


ჰეროდოტე - ისტორია



ჰეროდოტე ჰალიკარნესელის ისტორიის ეს გადმოცემა მიზნად ისახავს იმას, რომ დროთა ვითარებაში არ იქნება დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა, არც ის დიდი და საოცარი საქმეები უნდა დარჩეს განუდიდებელი, რომლებიც აღასრულეს როგორც ელინებმა, ისე ბარბაროსებმა, არ უნდა იქნეს დავიწყებული ყველა სხვა განსაკუთრებით კი ის მიზეზი, რისი გულისთვისაც ებრძოდნენ ელინები და ბარბაროსები ერთმანეთს

1. სპარსთა ისტორიკოსები ამბობენ, რომ ფინიკიელები იყვნენ ელინთა და სპარსთა მტრობის მიზეზი, რადგანაც ფინიკიელების მეწამულად წოდებული ზღვიდან რომ მოვიდნენ აი ამ ზღვასთან და დასახლდნენ იმ ადგილას, სადაც დღესაც სახლობენ, მაშინვე შორეული ნაოსნობა მოაწყვეს, წაიღეს ეგვიპტური და ასირიული საქონელი სხვადასხვა ქვეყნებში და მივიდნენ არგოსშიც. ხოლო არგოსი იმ დროისათვის აღმატბოდა ელადად წოდებულ ქვეყანაში შემავალ ყველა მხრეს. მოვიდნენ ფინიკიელები ამ არგოსში და გამოაფინეს თავისი საქონელი. მათი ჩამოსვლის მეხუთე თუ მეექვსე დღეს, როდესაც თითქმის ყველაფერი გაყიდული ჰქონდათ, მოვიდა ზღვასთან სხვა ბევრი ქალიცა და მათ შორის მეფის ასულიც, მისი სახელი, იმის მიხედვით, როგორც მას ელინები უწოდებენ, არის იო ინაქოსის ასული. ქალები გაჩერდნენ ხომადის ცხვირთან და ყიდულობდნენ იმ საქონელს, რაც მათ მეტად მოსწონდათ, ფინიკიელებმა კი წააქეზეს ერთმანეთი და დაესხნენ მათ თავს. ქალთაგან მეტი წილი გაიქცა, ხოლო იო სხვებთან ერთად მოიტაცეს. ფინიკიელებმა ჩაჰყარეს ქალები ხომალდებში და გასცურეს ეგვიპტისაკენ.

2. ასე მოვიდა იო ეგვიპტეში, როგორც მოგვითხრობენ სპარსელები და არა როგორც ელინები და პირველი უსამართლობაც ასე დაიწყო. სპარსელები ამბობენ, რომ ამის შემდეგ ზოგიერთი ელინთაგან (არ გადმოგვცემენ მათ სახელებს) მოვიდნენ ფინიკიის ტიროსში და მოიტაცეს მეფის ასული ევროპე. შეიძლება ესენი იყვნენ კრეტელები. ეს იყო სამაგიეროს მიზღვა - თანაბრად თანაბრისათვის. ამის შემდეგ ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს; გრძელი ხომალდით მოსცურეს ამა - კოლხიდაში, მდინარე ფასისთან, და იქ, როდესაც გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მოვიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფე გაგზავნეს ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისათვის და უკან გამოეთხოვა ასული. ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც ამათ უგიათ პასუხი მათ წინასე არგოსელი იოს მოტაცებისათვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე.

3. ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ ალექსანდრე, პრიამოსის ძემ, ყოველივე ამის გაგების შემდეგ, მოინდომა, რომ თავისთვის ელადიდან მოეტაცა ქალი, მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგანაც არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ელენე. ხოლო ელინებმა თავდაპირველად გადაწყვიტეს მოციქულების გაგზავნა, რომლებმაც უკან გამოითხოვეს ელენე და მოითხოვეს პასუხი მოტაცებისათვის. ხოლო ტროელებმა თავი იმართლეს იმით, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება, როდესაც ელინებმა არც პასუხი აგეს და არც ქალი დააბრუნეს, მათ რომ ეს მოსთხოვეს; ხოლო ახლა კი მოინდომეს, რომ სხვებს ეგოთ პასუხი.

4. აქამდე მათ შორის იყო თითო ქალის მოტაცება, ხოლო ამერიიდან ელინებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, რადგან მათ პირველებმა დაიწყეს ლაშქრობა აზიაში, მასზე უწინ ვიდრე აზიელებმა ევროპაში. ქალების მოტაცება უსამართლო კაცების საქმედ ითვლება, ხოლო მოტაცებული ქალებისადმი ზრუნვის გამოჩენა უგუნურებს შეჰფერის, გონივრებმა კი მოტაცებულ ქალთა მიმართ არავითარი ყურადღება არ უნდა გამოიჩინონ, რადგან ცხადია, რომ თუ ამ ქალებს არ უნდათ, მათ არც არავინ მოიტაცებს. სპარსელები ამბობენ, რომ ამიტომაცაა, რომ მათი აზიიდან მოტაცებული ქალებისათვის ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ, ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისათვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს. ამის მერმე მუშდამ ისეა მიჩნეული, რომ ელინები სპარსელების მტრები არიან. სპარსელები აზიასა და იქ მცხოვრებ ბარბაროს ტომებს თავისიანებად მიიჩნევენ, ხოლო ევროპესა და ელინთა ტომს კი ემიჯნებიან.

5. სპარსელები ამბობენ, რომ ეგრე იყო და გამოაცხადეს, რომ ელინთა მიმართ მათი მტრობის მიზეზი იყო ილიონის დამხობა. ხოლო იოს შესახებ ფინიკიელები სპარსელების აზრისა არ არიან. ფინიკიელები ამბობენ, რომ მათ ძალით კი არ მოიტაცეს და წაიყვანეს იო ეგვიპტეში, არამედ მოხდა ისე, რომ იო დაუახლოვდა არგოსში ხომალდის უფროსს და როდესაც შეიტყო, რომ ორსულად იყო, შერცხვა მშობლების, ამიტომ მან თვითონ მოინდომა ფინიკიელებთან ერთად გაეცურა, რომ არ გამოემყდებულყო მისი ამბავი. ამას მოგიტხრობენ სპარსელები და ფინიკიელები. მე ამის შესახებ არ დავიწყებ კითხვას, ასე იყო ეს ამბები, თუ სხვაგვარად, ისე მე თვით ვიცი ის პირი, რომელმაც ირველად ჩაიდინა უსამართლობა ელინთა მიმართ, ამას აღვნიშნავ და განვაგრძობ შემდეგ ჩემს თხრობას, თანაბრად მიმოვიხილავ ხალხთა მცირე და დიდ ქალაქებს, რადგანაც უწინ რომ დიდი ქალაქები იყო, ბევრი მათგანი დაკნინებულია, ხოლო რომლებიც ჩემს დროს დიდი იყო, უწინ ისინი მცირე ყოფილან. მე ვიცი, რომ ადამიანური ბედნიერება არაა უცვლელი, ამიტომ თანაბრად მოვიხსენებ ორთავეს.

6. კროდოსი იყო წარმოშობით ლიდიელი, ალიატესის შვილი, ტირანი იმ ტომებისა, რომლებიც მდინარე ჰალისის შიგნით ცხოვრობენ. ხოლო ჰალისი მიედინება სამხრეთიდან სირიელთა და პაფლაგონიელთა შორის, მიემართება ჩრდილოეთისაკენ და ეგრეთ წოდებულ ევსქინას პონტოს ერთვის. ეს კროდოსი ჩვენთვის ცნობილი ბარბაროსთაგან, პირველი იყო, რომელმაც ელინთაგან ზოგი დახარკა, ხოლო ზოგიერთი დაიმეგობრა. დაიმორჩილა იონიელები, ეოლიელები და დორიელები, რომლებიც აზიაში ცხოვრობდნენ, ხოლო დაიმეგობრა ლაკედემონელები. კროდოსის გამგებლობაში ნყველა ელინი თავისუფალი იყო, რადგანაც კიმერიელთა ლაშქრობამ, რომელმაც იონიამდე მიაღწია და რომელიც კროდოსზე უფრო ადრე მოხდა, ვერ დაიმორჩილა ქალაქები: ეს ლაშქრობა ხომ საერთოდ მხოლოდ მოულოდნელი თავდასხმა-ყაჩაღობა იყო.

7. ხელისუფლება ჰერკლიდებს რომ ეკუთვნოდა, შემდეგნაირად გადავიდა კროდოსის გვარში, რომელსაც მერმანდთა გვარი ერქვა. იყო კანდავლესი, რომელსაც ელინები მირსილოსს უწოდებდნენ, სარდელთა ტირანი, ჰერაკლეს ძის ალკადოსის ჩამომავალი. აგრონი, ნინოსის ძე (ხოლო ნინოსი ბელოსის ძე იყო, ხოლო ბელოსი კი

ალკაძოსისა) პირველი ჰერაკლიდი მეფე იყო სარდელისა, ხოლო კანდავლესი, მირსოსის ძე - უკანასკნელი. აგრონის უწინარესი მეფეები ამ ქვეყნისა იყვნენ ლიდოს ატისის ძის ჩამომავლები, ამის მიხედვით დაერქვა სახელი მთელ ამ ლიდიელ ხალხს, უწინ მეფობდად წოდებულს. ამათგან მიიღეს ძალაუფლება ჰერაკლიდებმა წინასწარმეტყველების თანახმად; ჰერაკლიდები წარმოშობილნი იყვნენ იარდანოსის მხევალისა და ჰერაკლესაგან; ისინი მართავდნენ ადამიანთა 22 თაობას, 505 წლის განმავლობაში, შვილი მამისაგან ღებულობდა ხელისუფლებას, კანდავლეს მირსოსის ძემდე.

8. ამ კანდავლესს უყვარდა თავისი ცოლი; შეყვარებული იყო და მიაჩნდა, რომ მას ჰყავს ცოლი, ყვლა ქალზე უმჩვენირესი. ეს ასე მიაჩნდა და ჰყავდა მას შუბოსანთა შორის გიგესი დასკილოსის ძე, რომელიც გამოირჩევით მოსწონდა, კანდავლესი ამ გიგესს ყველაზე უფრო სერიოზულ საქმეებს ანდობდა და თავისი ცოლის გარეგნობასაც უქებდა. დიდი დრო არ გასულა (რადგანაც კანდავლესს ბოროტი უნდა შემთხვევოდ), რომ კანდავლესმა უთხრა გიგესს შემდეგი: "გიგეს, მე მგონია, რომ შენ არ გჯერა ჩემი ნათქვამი ჩემი ცოლის გარეგნობის შესახებ (რადგანაც ადამიანებს ყურები უფრო ურწმუნო აქვთ, ვიდრე თვალები), ამიტომ ისე მოიქეცი, რომ ჩემი ცოლი შიშველი დაინახოს". გიგესმა ხმამაღლა შეჰყვირა და თქვა: "უფალო, ეს რა უგუნურ სიტყვას მეუბნები, რომ მიბრძანებ, ჩემი დედოფალი შიშველი ვნახო. გამარცვილ კვართთან ერთად ქალი ხომ სირცხვილს იხდის. ძველთაგანვე აქვთ ადამიანებს მიკვლეული მშვენიერი აზრები, რომელთაგანაც უნდა ვისწავლოთ. მათ შორის ერთი ასეთი არის: უყურე მას რაც შენი საკუთარია, მე მჯერა, რომ შენი ცოლი ყველა ქალზე უმშვენიერესია და გეხვეწები, ნუ მომთხოვ უკანონობის ჩადენას".

9. სთქვა გიგესმა ეს და ამგვარად უნდოდა თავი დაეცვა, რადგან ეშინოდა, რაიმე ცუდი არ მოჰყოლოდა ამას. "გამხნევი, გიგეს, და ნუ გეშინია ნურც ჩემი, თითქოს შენ გამოსაცდელად გეუბნები ამ სიტყვას, ნურც ჩემი ცოლისა, არავითარ ზიანს არ მოგაყენებს იგი შენ. თავიდანვე ისე მოვაწყობ, რომ ვერც კი გაიგებს, რომ შენ ის იხილე. მე შენ დაგაყენებ ღია კარებს უკან იმ ოთახში, რომელშიც ჩვენ ვიძინებთ. მე როგორც შევალ, მოვა ჩემი ცოლიც სარეცელთან, შემოსასვლელის მახლობლად დგას ტახტი. ამ ტახტთან სათითაოდ გაიხდის ტანსაცმელს და ზედ დაალაგებს, შენ კი სიმშვიდე დაიცავი და დაათვალიერე, ხოლო როდესაც წავა საწოლისაკენ და შენ მის ზურგს უკან აღმოჩნდები, მაშინ უნდა შეეცადო, ისე გახვიდე კარებში, რომ მან არ დაგინახოს".

10. გიგესმა რაკილა ვერ შეძლო ამ საქმის თავიდან აცილება, თანხმობა მისცა. ხოლო კანდავლესმა, როდესაც გადაწყვიტა, რომ ძილის დროა, შეიყვანა გიგესი ოთახში, ამის შემდეგ მაშინვე მივიდა იქ მისი ცოლიც. გიგესი უცქეროდა მას, რომ შემოვიდა და იხდიდა ტანსაცმელს. ხოლო როგორც კი საწოლისაკენ მიმავალი ქალის ზურგს უკან აღმოჩნდა, იგი მაშინვე ჩუმად გავიდა გარეთ. ქალმა დაინახა ის, რომ გადიოდა. იგი მიხვდა, რომ ეს მისი ქმრის მოწყობილი იყო, არ შეჰყვირა დარცხვენილმა და არც დაიმჩნია, რომ მიხვდა, გუნებაში კი გადასწყვიტა, რომ სამაგიეროს მიუზღავდა კანდავლესს, რადგანაც ლიდიელებს, ისევე როგორც თითქმის ყველა ბარბაროსს, დიდ სირცხვილად მიაჩნდათ, თვით მამაკაცის სიშიშველაც.

11. ამგვარად ქალმა მაშინ არაფერი დაიმჩნია და სიმშვიდე დაიცვა. ხოლო როდესაც გათენდა, რამდენიმე საგანგებოდ ერთგული მსახური მოამზადა და დაუძახა გიგესს. იგი მოვიდა დამახებისთანავე და არა ფიქრობდა, რომ ქალმა რაიმე იცის მომხდარის შესახებ. რადგან უწინაც ჩვეულებრივ, როდესაც დედოფალი მოიხმობდა, გამოეცხადებოდა ხოლმე. როგორც მოვიდა გიგესი, უთხრა მას ქალმა: "გიგეს, ახლა შენ ორი გზა გაქვს. გაძლევ არჩევანს, ამ ორიდან, რომელსაც გინდა, იმას დაადექი, ან მოჰკალი კანდაველესი და მაშინ შენი ვინქები მეც და ლიდიის სამეფოც, ან ახლავე უნდა მოვკდე შენ თვითონ, რომ მომავალში არ დაუჯერო ყველაფერი კანდაველს და არ შეხედო იმას, რაც არ შეგფერის. ან ის უნდა მოკვდეს, ეს რომ მოიგონა, ან შენ, რომელმაც ტიტველი მიხილე და ჩაიდინე ის, რაც არ შეგეფერებოდა". გიგესი ერთხანს გაკვირვებული უსმენდა დედოფლის სიტყვებს, შემდეგ კი შეეხვეწა მას, ნუ აიძულებდა გაეკეთებინა ასეთი არჩევანი. დედოფალმა არ შეიწყნარა და გიგესი ხედავდა, რომ ჭეშმარიტად აუცილებლობის წინაშეა, ან უფალი უნდა მოკლას, ან თვითონ უნდა იქნეს მოკლული სხვათა მიერ; მაშინ მან ამჯობინა თვითონ გადარჩენილიყო. იგი შეეკითხა დედოფალს: "რადგანაც შენ მე ჩემდა უნებურად მაიძულებ ჩემი უფალი მოვკლა, გამაგებინე კიდევაც, როგორ დავესხა მას თავს".

ქალი დაეთანხმა და უთხრა: "იმავე ადგილიდან უნდა მოხდეს თავდასხმა, საიდანაც მან შენ ჩემი თავი ტიტველი გაჩვენა. თავდასხმა უნდა მოხდეს მძინარეზე".

12. როგორც შეითქვენენ და დადგა ღამე, გიგესი შეჰყვა ქალს საწოლში (რადგანაც არ გაუშვეს გიგესი და არც იყო მისთვის არავითარი ხსნა. ან თვითონ უნდა დაღუპულიყო, ან კანდაველესი). ქალმა მისცა მას მახვილი და დამალა იმავე კარებს უკან. ამის შემდეგ როდესაც კანდაველსმა მოისვენა, გიგესი ჩუმად გამოვიდა და მოჰკლა იგი, და ასე დაეპატრონა ქალსაც და სახელმწიფოსაც (არქილოქე პაროსელი, რომელიც ამავე დროს ცხოვრობდა, იამბუკურ ტრიმერტრში იხსენიებს ამას).

13. გიგესმა დაიპყრო სახელმწიფო და შემოიმტკიცა ის დელფოს სამისნოს მეშვეობით. რადგანაც, როდესაც ლიდიელები საშინლად აღშფოთდნენ კანდაველესის მკვლელობის გამო და შეიარაღდნენ, გიგესის მომხრეები და დანაჩენი ლიდიელები ასე შეთანხმდნენ: თუ სამისნო გამოაცხადებს იმას, რომ გიგესი იყოს ლიდიელთა მეფე, იგი იმეფებს, თუ არა და, უკან გადასცემს ჰერკლიდებს ძალუფლებას. სამისნომ ცნო იგი და ასე იმეფა გიგესმა. ხოლო პითიამ შემდეგი თქვა, რომ ჰერაკლიდების მიმართ ასეთი საქციელისათვის სამაგიერო მიეზღვებათ გიგესის ჩამომავლებს მეხუთე თაობაში. ლიდიელებიც და მათი მეფეებიც ამ სიტყვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ვიდრე ის არ აუხდათ.

14. ეგრე ეპყროთ ჰერკალიდებისაგან წართმეული ძალაუფლება მერმნადებს, ხოლო გიგესმა ტირანობის დროს დელფოში გაგზავნა არა მცირედი შეწირულობა, ის კი არა, რამდენი ვერცხლიც კია შეწირული დელფოში, მისგანაა მეტი წილი; გარდა ვერცხლისა, უზომო ოქროც შესწირა გიგესმა. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს ექვსი კრატერი. ისინი დგანან კორინთელთა საგანძურში და იწონიან 30 ტალანტს. სიმართლე რომ ვთქვათ, კორინთელთა სახელმწიფოს კი არაა საგანძური, არამედ კიფსელოს ექტიონის ძისა. გიგესი პირველია ჩვენთვის ცნობილ ბარბაროსთა

შორის, რომელმაც შესაწირავები მიართვა დელფოს, ფრიგიის მეფის მიდეს გორდიესის ძის შემდეგ, მიდესმა დელფოს შესწირა სამეფო ტახტი, რომელზედაც თვითონ იჯდა და მოსამართლეობდა. ეს ტახტი ღირშესანიშნავი რამ არის, ის იქვე დგას, სადაც გიგესის კრატერებია. ეს ოქრო და ვერცხლი, რომელიც გიგესმა შესწირა, დელფოელების მიერ შემწირველის სახელის მიხედვით იწოდება გიგადად. როდესაც მმართველობა ხელთ იგდო გიგესმა, შეიყვანა ლაშქარი მილეტში, სმირნაში და კოლოფონის ქალაქი აიღო. მას არაფერი დიდი არ გაუკეთებია თავის მეფეობაში, რომელიც ორი წელ ნაკლებად 40 წელს გრძელდებოდა, საკმარისია მის შესახებ ამდენი მოგონება და მას ახლა თავს ვანებებ.

15. მოვიგონებ ადრისს, გიგესის ძეს, რომელიც გიგესის შემდეგ მეფობდა. მან დაიპყრო პრიენელები და მილეტში შეიჭრა, როდესაც ადრისი იყო სარდელების ტირანი. მომთაბარე სკვეითბის მიერ გამოძევებული კიმერიელები თავისი საცხოვრებისიდან მოვიდნენ აზიაში და აიღეს სარდე მთლიანად გარდა აკროპოლისისა.

16. ადრისი მეფობდა ერთ წელ ნაკლებ 50 წელს. მისი მემკვიდრე იყო სადიატესი, ადრესის ძე, რომელიც მეფობდა 12 წელს. ხოლო სადიატესის მემკვიდრე იყო ალიატესი. ეს ეომებოდა კიაქსარესს, დეიოკესის ჩამომავალს და მიდიელებს. ამასთანავე მან კიმერიელები გააძევა აზიიდან, აიღო სმირნა, რომელიც კოლოფონის ახალშენი იყო და კლამომენში შეიჭრა. აქედან ის ისე კი არ წავიდა, როგორც უნდოდა, არმედ დიდად დამარცხებული. ხოლო სხვა საქებარ საქმეთა შორის, რომელიც მისი მმართველობის დროს მოხდა, თხრობის ღირსია შემდეგი:

17. ალიატესი ებრძოდა მილეტელებს, ხოლო ომი გადმოეცა მას მემკვიდრეობით მამისაგან. იგი თავს ესხმოდა და ალყას არტყამდა მილეტს ამგვარად: როგორც კი დედამიწაზე ნაყოფი მომწიფდებოდა, მაშინვე გაემართებოდა ხოლმე იქით ლაშქრით. ლაშქრობისას სალამურებზე, პექტიდებზე, სადედაკაცო და სამამაკაცო ავლოსებზე უკრავდნენ, ხოლო როდესაც ალიატესი მილეტის სანახებს მიაღწევდა, სახლებს, რომლებიც იმ ველებზე იდგა, არც ანგრევდა, არც სწვავდა და არც კარებს ჩამოხსნიდა ხოლმე. სტოვებდა მათ ხელუხლებლად. ხოლო ხეებსა და დედამიწის მოსავალს როგორც კი მოსპობდა, ბრუნდებოდა უკან, რადგან ზღვა მილეტელებს ეპყრათ, ამიტომ ალყის შემორტყმა ადვილი საქმე არ იყო ლაშქრისათვის. ხოლო ლიდიელი სახლებს იმიტომ არ ანგრევდა, რომ მილეტელებს სახლები რომ ექნებოდათ, მიწის დათესვასა და დამუშავებასაც დაიწყებდნენ, თვითონ კი თავს დაესხმოდა და გაანადგურებდა მათ ნამუშევარს.

18. ასე ომობდა მილეტი თორმეტ წელიწადს. ამასობაში ორი დიდი დამარცხება იწვნიეს მილეტელებმა, ერთი - როდესაც იბრძოდნენ თავიანთ მიწაზე - ლიმენეიონზე, ხოლო მეორე - მაძანდროსის დაბლობზე. 6 წელიწადს თერთმეტიდან ჯერ კიდევ სადიატეს ადრისის ძე მართავდა. ლიდიელებს და იმ დროს აწყობდა ლაშქრობას მილეტის მხარში. ეს სადიატესი იყო, რომელმაც წამოიწყო ეს ომი. ხოლო დანარჩენი ხუთი წელი, რომელიც მოსდევდა ექვსს, ომობდა ალიატეს სადიატესის ძე და როგორც მე გამოვაცხადე ზემოთაც, მან მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან ბრძოლა და დაუღალავად ეწეოდა მას. მილეტელებს იონელისაგან ამ ომს არავინ უმსუბუქებდა ქიოსელების გარდა. ესენი მსგავსითვე უხდიდნენ მილეტელებს სამაგიეროს და

ემველებოდნენ მათ, ვინაიდან უწინ მილეტელებს გადაუტანიათ ქიოსელებთან ერთად ერთრეელებთან ბრძოლა.

19. მეთორმეტე წელს, როდესაც ლაშქარმა ყანებს ცეცხლი წაუკიდა, ასეთი ამბავი მოხდა როგორც ყანებს მოეკიდა, ალი ქარმა წაიღო და წაუკიდა ათენას ტაძარს, რომელსაც ეწოდება ასესოსისა; ცეცხლმოდებული ტაძარი დაიწვა. მაშინ ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ლაშქრის სარდელში დაბრუნებისთანავე ალიატესი ავად გახდა. რაკილა გაუგრძელდა ავადმყოფობა, მან კაცები გაგზავნა დელფოში ღვთის ნების შესატყობად (მათი გაგზავნა ან ვინმესთან თათბირის შედეგად მოხდა, ან კიდევ თვითონ გადაწყვიტა), რათა ღმერთს შეჰკითხებოდნენ ავადმყოფობის შესახებ. დელფოში მოსულებს პითიამ უთხრა, რომ არ გიწინასწარმეტყველებთ მანამ, ვიდრე არ აღადგენენ ათენას ტაძარს, რომელიც დაიწვა მილეტის მხარის ასესოსში.

20. მე დელფოელთაგან მსმენია და ვიცი, რომ ეგრე მომხდარა. ხოლო მილეტელები უმატებენ ამას, რომ პერიანდროს კიფსელოსის ძე მილეტის მაშინდელი ტირანის თრასიბულოსის გულითადი მეგობარი იყო. მან შეიტყო მისნობა, რომელიც ალიატესს ეხებოდა და გაგზავნა დესპანი თრასიბულოსთან სათქმელად, რომ წინასწარ სცოდნოდა ნამდვილი ვითარება. მილეტელები ჰყვებიან, ეგრე არისო.

21. ხოლო ალიეტესმა როგორც კი შეიტყო, მაშინვე გაგზავნა მაცნე მილეტში, რომ დაზავებოდა თრასიბულოსს და მილეტელებს იმდენი ხნით, რამდენიც ტაძრის აგებას დასჭირდებოდა. მოციქული მოვიდა მილეტში, თრასიბულოსს კი წინასწარ კარგად ჰქონდა შეტყობილი ყოველივე, იცოდა ალიატესი რის გაკეთებას აპირებდა და მოაწყო შემდეგი: მთელი პური, რაც ქალაქში იყო, როგორც მისი საკუთარი, ასევე კერძო პირების, მოედანზე მოაზიდვინა და გამოუცხადა მილეტელებს, რომ როგორც კი თვითონ ანიშნებდა, მაშინ უნდა დაეწყო ყველას სმა და მხიარულება.

22. ეს იმის გულისათვის გააკეთა და თქვა თრასიბულოსმა, რომ სარდელ მაცნეს დაენახა პურის დიდი გროვა და მომლხენი ხალხი და გადაეცა ალიატესისათვის. ასეც მოხდა, როგორც დაინახა ეს მაცნემ, გადასცა თრასიბულოსს ლიდიელი მეფის შემონათვალის და დაბრუნდა სარდელში; როგორც მე შევიტყვე დაზავება სხვა რაიმე მიზეზით არ მომხდარა, რადგან ალიატესი იმედოვნებდა, რომ მილეტში სასტიკი უპურობა და ხლახს უკიდურესად უჭირს, ხოლო მაცნე რომ მილეტიდან დაბრუნდა, იმის სრულიად საწინააღმდეგო აზრი მოისმინა, რასაც თვითონ ფიქრობდა. ამის შემდეგ მოხდა დაზავება, რომლის მიხედვითაც ისინი ერთმანეთის მეგობრები და მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ. ალიატესმა ასესოსში ათენას ერთი ტაძრის ნაცვლად ორი ტაძარი აუგო და თვითონაც ავადმყოფობას წამოუდგა. ასე ეომებოდა ალიატესი მილეტელებსა და თრასიბულოსს.

23. პერიანდროსი იყო კიფსელოსის შვილი, ამან იყო, რომ აუწყა თრასიბულოსს განგების ნება. ტირანობდა პერიანდროსი კორინთოში. მის შესახებ მოგვითხრობენ კორინთელები (და მათივე აზრისა არიან ლესბოსელები), რომ მის სიცოცხლეში დიდი სასწაულები მომხდარა: ტაძნარონში შემოსულა დელფინზე შემჯდარი არიონ მეტიმნელი, რომელიც კითაროდი იყო და მაშინდელ კითაროდთა შორის მეორე

არავინ იყო იმისთანა. პირველმა მან შექმნა დითირამბი იმ ხალხთა შორის, ვინც კი ჩვენ ვიცით, დაარქვა მას სახელი და დააწესა კორინთონში.

24. ამ არიონის სესახებ მოგვითხრობენ, რომ მან დიდი დრო დაჰყო პერიანდროსთან და მოისურვა გამგზავრება იტალიასა და სიკელიეში. იქ შეიძინა დიდძალი ქონება და მოინდომა უკან კორინთოში წამოსვლა. წამოვიდა ის ტარანტიდან და რადგანაც არავის ენდობოდა უფრო მეტად, ვიდრე კორინთელებს, დაიქირავა კორინთელების ხომალდი, ზღვაში კორინთელებმა განიზრახეს არიონი გადაეგდოთ და მისი ქონება მიეთვისებინათ. არიონმა ეს რომ შეიტყო, შეეხვეწა: წაეღოთ ქონება, ხოლო მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. არ შეიწყნარეს მისი თხოვნა და გამოუცხადეს მეზღვაურებმა: ან მოიკლას თავი და როგორმე მიაბარებენ მიწას, ან სასწრაფოდ გადავარდეს ზღვაში. არიონდ დიდი გასაჭირი ადგა და ითხოვა: რადგანაც მის მიმართ ასეა გადაწყვეტილი, ნება დართონ დადგეს მთელი მორთულობით გემბანზე და იმღეროს. არიონმა აღუთქვა, რომ იმღერებდა და მერე მოიკლავდ თავს. მეზღვაურები სიამოვნების მოლოდინსი იყვნენ, რაკილა ადამიანთა შორის საუკეთესო აედს მოუსმენდნენ და ხომალდის ცხვირიდან შუა ნაწილისაკენ წავიდნენ. არიონი საგანგებოდ მოიკაზმა. აილო კითარა, დადგა გემბანზე და დაიწყო მაღალი ხმით სიმღერა. ხოლო როდესაც დაამთავრა სიმღერა, გადავარდა ზღვაში, მთელი თავისი მორთულობით. მეზღვაურებმა გაცურეს კორინთოსაკენ. არიონის შესახებ ამბობენ, რომ ის დელფინმა აიყვანა და გამოიყვანა ტაძნარონთან. ნაპირზე გამოსული წავიდა კორინთოში თავისი მორთულობით და მოჰყვა იქ ყოველივეს, რაც შემთხვა. პერიანდროსმა არიონს არ დაუჯერა და მცველი მიუყვანა მას, არსად უშვებდა, ამავე დროს ფხიზლად ადევნებდა თვალს მეზღვაურებსაც. როგორც კი ჩამოვიდნენ ისინი, დაუძახა და მოათხრობინა, თუ რას იტყოდნენ არიონის შესახებ, ხოლო მათ მიუგეს, რომ არიონი უვნებელია, იმყოფება იტალიაში და მათ ის დატოვეს ტარანტში ყოვლად წარმატებული. მაშინ პერიანდროსმა უჩვენა მათ არიონი ისეთი, როგორიც გადავარდა ხომალდიდან ზღვაში. მეზღვაურები განცვიფრდნენ და მხილებულებს აღარ შეეძლოთ, რომ უარეყოთ თავიანთი დანაშაული. ამას მოგვითხრობენ კორინთელებიცა და ლესბოსელებიც. ხოლო არიონის არც თუ დიდი სპილენძის ქანდაკება არის ტაძნარონში. ესაა დელფინზე შემომჯდარი ადამიანის გამოსახულება.

25. ალიატეს ლიდიელმა მილეტელებთან ომი დაამთავარა და შემდეგ მოკვდა, მან იმეფა 57 წელი. ავადმყოფობას რაკი გადაურჩა, ეს მეორე იყო ამ სახლიდან, რომელმაც შესწირა დელფოს ვერცხლის დიდი კრატერი და ამ კრატერის რკინის შეკავშირებული სადგამი; დელფოში ყველა შეწირულებათა შორის გამოირჩევა ეს ნივთი ნამუშევარი გლავკოს ქიოსელისა, რომელმაც ერთადერთმა ყველა ადამიანთა შორის, გამოიგონა რკინის შეკავშირება.

26. ალიატესის გარდაცვალების შემდეგ სამეფო დაიმკვიდრა კროდსოსმა, ალიატესის ძემ, რომელიც მაშინ 35 წლის იყო. ელინთა შორის პირველები ეფესელები იყვნენ, რომელთაც ის დაესხა თავს. მის მიერ ალყაშემორტყმულმა ეფესელებმა ქალაქი გადასცეს არტემიდეს - გააბეს თოკი მისი ტაძრიდან ზღუდემდე. ძველ ქალაქსა, რომელიც მაშინ ალყაშემორტყმული იყო, და ტაძარს შორის არის 7 სტადიონი. კროდსოსმა პირველებს მათ დაადო ხელი, ხოლო შემდეგ რიგრიგობით ყველა

იონიელებისა და ეოლიელებს. სხვადასხვა ქალაქს სხვადასხვა მიზეზს მოსდებდა ხოლმე; ზოგის მიმართ ახერხებდა დიდი მიზეზის გამონახვას და მათ მძიმე ბრალდბას უყენებდა, ხოლო ზოგ მათგანს მცირედ ადანაშაულებდა.

27. კროდსოსმა როგორც კი აზიაში მცხოვრები ელინები დაიმორჩილა და დახარკვა, განიზრახა მის შემდეგ ხომალდების დამზადება და კუნძულების მცხოვრებლებზე თავდასხმა. როდესაც შეეკითხა კროდსოსი, რა არის ახალი ელადაშიო, მოსულმა უპასუხა, რამ შეაჩერა ხომალდმშენებლობა: "მეფეო, კუნძულებების მცხოვრებლებმა შეიძინეს 10000 ცხენი და გგუნებაში აქვთ ლაშქრობა სარდზე და შენს წინააღმდეგ". კროდსოსს ეგონა, რომ ის მართალს ლაპარაკობს და უთხრა: "ნეტავი კი ღმერთებმა ჩააგონონ ასეთი რამის გაკეტება კუნძულის მცხოვრებლებს და მართლაც წამოვიდნენ ისინი ლიდიელთა წინააღმდეგ ცხენებითაო". მოსულმა მოუსმინა და უთხრა: "მეფეო, მე მეჩვენება, რომ შენ გულით გინდა ცხენოსანი კუნძულებების შეპყრობა ხმელეთზე და ვფიქრობ შენი იმედი უსაფუძვლო არ არის, მაგრამ იმას არ ითვალისწინებ, რომ კუნძულსი მცხოვრებლები როგორც კი შეიტყობენ, რომ შენ აპირებ მათ საწინააღმდეგო ხომალდების აგებას, სხვას არაფერს არ მოინდომებენ თუ არა ლიდიელების ზღვაზე თავდასხმას, რათა სამაგიერო მოგიზღონ ხმელეთზე მოსახლე ელინთათვის, რომლებიც შენ მონობაში გყვანან". ძალიან მოეწონა კროდსოსს ეს მსჯელობა, რადგან ეჩვენა, რომ ისეა ნათქვამი, როგორც საჭიროა და დაჯერებულმა თავი ანება ხომალდმშენებლობას. ეგრე დაუმეგობრდა კროდსოსი კუნძულზე მცხოვრებ იონიელებს.

28. დროთა ვითარებაში კროდსოსმა მდინარე ჰალისის აქეთ მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი დაიმორჩილა. რადგან გარდა კლიკიელებისა და ლიკიელებისა, სხვა ყველა თავის ხელში ჰყავდა კროდსოსს. ხოლო ესენი არიან: ლიდიელები, ფრიგიელები, მისიელები, მარიანდინები, ხალიბები, პაფლაგონელები, თრაკიელები, თინებიცა და ბითონებიც, კარიელები, იონიელები, დორიელები და პამფილიელები.

29. როდესაც კროდსოსმა ესენი დაიმორჩილა და ლიდიელებს შეჰმატა, მოვიდნენ სიმდიდრით აყვავებულ სარდემში ელადის სხვადასხვა ბრძენებიც, რომლებიც კი ამ დროს იყვნენ. სხვებთან ერთად მოვდია სოლონიც, ათენელი კაცი, რომელმაც ათენელებს კანონები შეუქმნა მათივე განკარგულების თანახმად. სოლონმა ათ წელს იმოგზაურა სამშობლოს გარეთ ქვეყნების დათვალიერების საბაზით; სინამდვილეში კი იმიტომ, რომ არ გამხდარიყო იძულებული რაიმე შეეცვალა მის მიერ დაწესებულ კანონთაგან, თვითონ ათენელებს კი ამავეს გაკეთება არ შეეძლოთ, რადგანაც დიდი ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ ათი წლის განმავლობაში დაიცავდნენ კანონებს, რომლებც მათ სოლონმა შეუქმნა.

30. სოლონი ამ მიზეზების გამოც და დათვალიერების მიზნითაც გაემართა სამოგზაუროდ და მივიდა ეგვიპტეში ამასისთან და სარდემში კროდსოსთან. . კროდსოსმა ჩამოსული სასახლეში მიიღო. ხოლო შემდეგ, მესამე თუ მეოთხე დღეს, დაუძახა კროდსოსმა სოლონს და მისი მსახურები დაატარებდნენ მას საგანძურებში და აჩვენებდნენ ყოველივეს, რაც კი იყო მნიშვნელოვანი და მდიდრული. მას მერე, რაც სოლონმა ყოველივე ეს ნახა და დაათვალიერა, კროდსოსმა შეურჩია დრო და უთხრა:

"ათენელო სტუმარო, ჩვენამდეც მოაღწია შენმა დიდმა სახელმა შენი სიბრძნისა და მოგზაურობების შესახებ, რომ შენ მეცნიერების სიყვარულით და დათვალეების მიზნით დაიარე მრავალი ქვეყანა. ახლა მინდა შეგეკითხოთ, მათ შორის, ვინც შენ შეგხვედრია, ვინ ნახე ყველაზე უფრო ბედნიერი? კროდოსი ამას რომ კითხულობდა, იმედოვნებდა, რომ თვითონ იყო ადამიანთან შორის უბედნიერესი, ხოლო სოლონი მას არ მოეპირფერა და რაც მიაჩნდა სიმართლედ, ის უთხრა: "ტელოს ათენელი". გაუკვირდა კროდოსს ნათქვამი და უთხრა მკვირცხლად: "რატომ მიგაჩნია შენ ტელოსი უბედნიერესად?" სოლონი უპასუხა: "ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტელოსს, რომლის ხელშიც მისი ქალაქი წარმატებული იყო, ჰყავდა კარგი და კეთილი შვილები. და ის მოესწრო იმას, რომ ყველა მის შვილს გაუჩნდა შვილები და ეს შვილები ყველანი ცოცხლები იყვნენ. მეორე - ჩვენის აზრიც, მდიდრულად ცხოვრობდა და ცხოვრების აღსასრული ბრწყინვალე ჰქონდა: რადგან, როდესაც ათენელები მეზობლებს ებრძოდნენ ელევისში, იგი დაეხმარა მათ, მტერი გააქცია, და თვითონ ლამაზად მოკვდა, ათენელებმა იგი სახელმწიფო სახსრებით დამარხეს იქ, სადაც ის დაეცა და დიდი პატივი სცეს".

31. სოლონი გააღიზიანა კროდოსი ტელოსის შესახებ მრავლისა და ბედნიერების მოთხოვნით და (კროდოსს) შეკითხა მას: ვინ გინახავს ბედნიერი მეორე მას შემდეგ, რადგან ფიქრობდა, რომ მეორე ადგილი მაინც მას ხვდებოდა. ხოლო სოლონი უპასუხა: "კლეობისი და ბიტონი. ესენი წარმოშობით არიან არგოსელები, ქონება მათ საკმარისი ჰქონდათ და ამას გარდა სხეულის ძალაც. ორივენი თანაბრად იყვნენ გამარჯვებული შეჯიბრებებში, ამის შესახებ მოგვითხრობენ ასეთ ამბავს: როდესაც არგოსელებს ჰერას დღესასწაული ჰქონდათ, მათი დედა აუცილებლად უნდა მისულიყო სალოცავში ურმით, ხარები ვერ მიუყვანეს მას დროზე და რაკილა დრო აღარ იყო, ჭაბუკები თვითონ შეებმნენ უღელში და ეწეოდნენ ურემს, ურმით კი თავისი დედა მიჰყავდათ, 45 სტადიონი გაიარეს და მივიდნენ სამლოცველოში. მათ ეს გააკეთეს საზეიმო შეკრებულობის თვალწინ და სიცოცხლის აღსასრულიც შესანიშნავი ჰქონდათ, ამით ღმერთმა გვიჩვენა, რომ ადამიანისათვის უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე. ირგვლივ მყოფი არგოსელები ადიდებდნენ ჭაბუკების ძალას, ხოლო არგოსელი ქალები - მათ დედას, ასეთი შვილები რომ ჰყავდა. დედა კი დიდად იყო გახარებული შვილების საქმით და სახელით, იდგა ქანდაკების წინ და ლოცულობდა კლეობისისა და ბიტონისათვის - თავისი შვილებისათვის, რომლებმაც დედა დიდად ასახელეს და სთხოვა ღმერთქალს, მიენიჭებინა მათთვის, რაც კი რა საუკეთესოა ადამიანისათვის. ამ ლოცვის შემდეგ, როგორც კი შესწირეს მსხვერპლი და ინადიმეს, ჭაბუკებმა იმავე ტაძარში დაიძინეს და აღარ ამდგარან, ასეთი ბოლო ჰქონდათ მათ. არგოსელებმა მათი გამოსახულებები გააკეთეს და შესწირეს დელფოს, რადგანაც საუკეთესო ვაჟკაცები იყვნენ".

32. ამრიგად სოლონი ბედნიერების მხრივ მეორე ადგილი მიაკუთვნა მათ, ხოლო გაჯავრებულმა კროდოსმა უთხრა მას: "ათენელო სტუმარო, ჩვენს ბედნიერებას ეგრე არაფრად აგდებ, რომ კერძო პირების ბედნიერების დარადაც არ მიგაჩნია?!" სოლონი კი მიუგო: "კროდოსს, მე, რომელმაც ვიცი, რომ ყველივე ღვთაებრივი შურით აღსავსე და შფოთიანია, მე მეკითხები, ადამიანთა ყოფის შესახებ? ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბევრი რამ არის ისეთი, რასაც კაცი ნახულობს, რის ნახვაც მას არ სურს და ბევრსაც განიცდის. ადამიანისათვის ცხოვრების მიჯნად 70 წელი მიმაჩნია. ეს 70 წელი შეიცავს 25200 დღეს, დამატებითი თვე რომ არ იყოს. თუ კი ყოველ მეორე წელს

გავაგრძელებ ერთი თვით, იმისათვის, რომ წლის დროები თავთავის ადგილზე მოხვდნენ, მაშინ 70 წელზე მოვა 35 დამატებითი თვე, ხოლო ამ თვეებისაგან შედგება 1050 დღე. მთელი ამ დღეებიდან, რომლებსაც შეიცავს 75 წელიწადი, და ეს არის 26250 დღე, ერთი დღეც კი არ მოიტანს არაფერს სავსებით მსგავსს მეორე დღესთან შედარებით. ამრიგად, კროსოს, ადამიანი მთლიანად შემთხვევითობაა. მე შენ ძალიან მდიდრადაც მეჩვენე და მრავალი ხალხის მეფეცა ხარ, მაგრამ, რასაც მეკითხები, ჯერ ვერაფერს გეტყვი, ვიდრე არ შევიტყობ, რომ კარგად დაასრულე შენი სიცოცხლე. რადგანაც, დიდად შეძლებული არაა უფრო ბედნიერი მასზე, ვისაც მხოლოდ "პური არსობისა" აქვს, თუ კი ყოველივე სიკეთის პატრონს ბედმა არ გარგუნა ცხოვრების კარგად დასრულება; რადგან, ერთის მხრივ, ბევრნი, უაღრესაც მდიდარი ადამიანები უბედურები არიან, ხოლო მეორეს მხრივ, საშუალო შეძლების მქონენი - ბედნიერნი. ძალიან შეძლებულებს მაგრამ უბედურ კაცს ბედნიერების მიმართ მხოლოდ ორი უპირატესობა აქვს, იმას კი მდიდარისა და უბედურის მიმართ - მრავალი; მდიდარი სურვილს აისრულებს და დიდი უბედურება რომ დაატყდება, შეუძლია გადაიტანოს, ხოლო ღარიბს უპირატესობა აქვს მასთან შედარებით, რადგან, მართალია არ შეუძლია მასავით უბედურების გადატანა და თავისი სურვილების დაკმაყოფილება, მაგრამ მისი კარგი ბედი იცავს მას ყოველივე ბოროტისაგან: იგი არ სახიზრდება და არ ავადმყოფობს, უბედურებას არაფერს განიცდის, ჰყავს კარგი შვილები და არის კარგი შესხედავი. თუ ამასთან ერთად იგი სიცოცხლესაც კარგადა დაასრულებს (ეს ისაა, რასაც შენ ეძიებ), მაშინ ღირსია იმისა, რომ ბედნიერი ეწოდოს. ვიდრე კაცი არ აღესრულება, თავი შეიკავე იმისგან, რომ ბედნიერი უწოდო მას (მანამდე მხოლოდ ბედიანი უწოდე). ყოველივე ეს რომ თავმოყრილი იყოს ერთ ადამიანში, შეუძლებელია. ისევე, როგორც არც ერთი ქვეყანა არაა, რომ კმაყოფილდებოდეს იმით, რაც მას თვით აქვს. ერთი რომ აქვს, მეორე ესაჭიროება, ხოლო რომესაც მეტი აქვს, ისაა მიჩნეული უმჯობესად, ასევე არც ერთი ადამიანიშვილი არ არის სრულიად დაკმაყოფილებული, რადგან ერთი რომ აქვს, მეორე აკლია. მათ შორის ვისაც ყველაზე მეტი აქვს თავისი სიცოცხლის განმავლობაში და შემდეგ სიცოცხლეს კარგად ამთავრებს, ჩემი აზრით, მეფეო, მისთვისაა სამართლიანი ამ სახელის ტარება, მაშასადამე, უნდა ვიხილოთ ყოველივე ამბების ბოლო. რადგან ღმერთი ბევრს პირდებოდა ბედნიერებას და მერე შეუბრუნა ყოველივე ძირფესვიანად".

33. ესაა თქვა სოლონმაც, კროსოსს დიდად არაფრად ეპიტნავა. არც არაფერი უთხრა მას, ისე გაუშვა, რადგან იფიქრა, ძალიან უმეცარია ის, ვინც აწმყო სიკეთეს უყურადღებოდ სტოვებს და ყოველივე ამბის აღსასრულის ხილვას ბრძანებსო.

34. სოლონის წასვლის შემდეგ კროსოსს დიდი ღვთის რისხვა დაატყდა თავს, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ მას თავისი თავი ყველა ადამიანზე ბედნიერად მიაჩნდა. მან ძილში ნახა ჭემმარიტების მაუწყებელი სიზმარი, რომ უბედურება მოელის მის შვილს. კროსოსს ჰყავდა ორი შვილი, რომელთაგან ერთი გაუბედურებული, ყრუ-მუნჯი იყო, ხოლო მეორე ყოველმხრივ პირველობდა თავის ტოლებში. სახელად ერქვა მას ატისი. სიზმარმა ამ ატისის შესახებ ანიშნა კროსოსს, რომ ის დაილუპება რკინის შუბით დაჭრილი. რომ გაიღვიძა კროსოსმა და დაუფიქდა ამ სტიყვას, შეეშინდა და შვილს ცოლის მოჰგვარა. ჩვეულებრივ ატისი მხედართმთავრობდა ლიდელებს, ახლა მამა მას ამისთანა საქმეებზე აღარ უშვებდა, ხელშუბები, შუბები და ყველა სხვა მსგავსი იარაღი, რასაც ომში იყენებდნენ

ადამიანები, დარბაზებიდან გაატანინა და საწყობებში დაალაგებინა, რომ რაიმე არ ჩამოვარდნილიყო და მის შვილს არ დასცემოდა.

35. როდესაც კროდოსს შვილის ქორწილი ჰქონდა, სარდემი კაცი მოვიდა, რომელსაც უბედურება შემთხვევით და ხელეები არ ჰქონდა სუფთა. იგი წარმოშობით ფრიგიელი იყო, სამეფო გვარიდან, მოვიდა იგი კროდოსის სახლში და ადგილობრივი წესების მიხედვით ითხოვა გაწმენდა, ხოლო კროდოსმა იგი გაწმინდა (ლიდიელების გაწმენდა ემსგავსება ელინების გაწმენდას). მას შემდეგ, რაც კროდოსმა შეასრულა ის, რაც საჭირო იყო, გამოჰკითხა მოსულს თუ საიდან არის, ვინ არის და უთხრა შემდეგი: "ადამიანო, ვინა ხარ და ფრიგიის რომელი მხრიდან მოხვედი ჩვენთან სტუმრად? რომელი მამაკაცი ან ქალი მოჰკალი?". მან უპასუხა: "მეფეო, მე ვარ გორდიესის, მიდესის ძის ვაჟი, მქვია ადრესტოსი, და ჩემი საკუთარი ძმა შემომაკვდა უნებურად, მოვედი აქ მამის მიერ გამოძევებული და დაგვარგე ყველაფერი". კროდოსმა უპასუხა: "შენ ჩვენი საყვარელი ადამიანების შვილი ხარ და მოსულხარ მეგობრებში, დარჩი ჩვენთან და აქ არაფერი გაგიჭირდება. ეს უბედური შემთხვევა, როგორც შეიძლება, იოლად ადაიტანე და საბოლოოდ დიდად გარგებს".

36. მოსული ცხოვრობდა კროდოსის სახლში. ამავე დროს მისი ოლიმპოზე, დიდი ტახი გამოჩნდა. ის ჩამოვიდოდა ამ მთიდან და მისიელების ყანებს ანადგურებდა. ბევრჯერ დაესხნენ მისიელები ამ ტახს თავს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, ის კი არა, თვითონ დაზარალდნენ მისგან. ბოლოს მოვიდნენ კროდოსთან მისიელების მოციქულები და უთხრეს: "მეფეო, ჩვენს ქვეყანაში დიდი ტახი გამოჩნდა, რომელიც ყანებს გვინადგურებს, რამდენს არ ვეცადეთ, ვერ შევძელით მისი დამლევა. ახლა გთხოვთ, შენი შვილი, რჩეული ჭაბუკები და ძაღლები გაგვატანო თან, რომ ტახი გავაძევოთ ჩვენი ქვეყნიდან". ისინი ამას ითხოვდნენ, კროდოსს კი ახსოვდა სიზმარი და ასეთი სიტყვები უთხრა მათ: "ჩემს შვილს მეტს ნუღარ ახსენებთ, მაინც არ გაგატანთ იმას. რადგან ახლად დაქორწინებულია და ამჟამად ამ ამბებით არის გართული. რაც შეეხება რჩეულ ლიდიელებს, მონადირეებს და ძაღლებს, ყველას გაგატანთ და თან ვუბრძანებ, რომ ძალიან შეეცადონ და მოეხმარონ იმ მხეცის ქვეყნიდან გაძევებაში".

37. ეს უპასუხა კროდოსმა. მისიელები ამით კმაყოფილები დარჩნენ. კროდოსის შვილიც აქ იყო და იმანაც მოისმინა, თუ რას ითხოვდნენ მისგან მისიელები. რაკი კროდოსმა არ უთხრა შვილს, რომ მასაც თან ატანდა მისიელებს, ჭაბუკმა მას უთხრა: "მამა, უწინ საუკეთესო და უკეთილშობილეს საქმედ მიგვაჩნდა საომრად და სანადიროდ წასვლა და ამითი სახელს მოხვეჭა. ახლა კი ორივე ამ საქმისაგან მაკავებ. თუმცა არც ჩემი სიმხდალე შეგიძნევეს და არც სილაჩრე. ახლა მე რა პირით უნდა ვეჩვენო მათ აგორაზე მიმავალი და იქიდან დაბრუნებული? რას იფიქრებენ მოქალაქეები, როგორი ვარ, ან რას იფიქრებს ახლად შერთული ცოლი? რას იფიქრებს, როგორ ქმართან ვცხოვრობო? აი ამიტომ ან გამშვი სანადიროდ, ანდა დამიმტკიცე, რომ ჩემთვის უმჯობესია ის, რაც ხდება".

38. კროდოსმა მას უპასუხა: "შვილო, არც სიმხდალეს ვხედავ შენში და არც სხვას რასმე არაკეთილშობილურს, ამას რომ ვაკეთებ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ძილში გამომეცხადა ჩვენება და მითხრა, რომ შენ დღეგრძელი არ იქნები, დაილუპები რკინის შუბისაგან. ამ ჩვენების გამო იყო, რომ შენი ქორწილი დავაჩქარე და ამიტომ, რომ გიკრძალავ ამგვარ საქმეებზე წასვლას, შეძლებისდაგვარად გიფრთხილდები, რომ

ჩემს სიცოცხლეში შენი სიცოცხლე დავიცვა. შენ ხომ ერთადერთი შვილი მყავხარ, მეორე კი, რომელსაც სმენა არა აქვს, ვითომ არცა მყოლია".

39. ჭაბუკმა ამაზე შემდეგი მიუგო: "მამა, ასეთი სიზმარი რომ ნახე, გეპატიება ჩემი მოფრთხილება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, გითხრა, რომ ზოგ რამეს ვერ მიმხვდარხარ და სიზმარში ერ შეგიძნელება; შენ ამბობ, რომ სიზმარში გეჩვენა, თითქოს მე ბოლო მომეღება რკინის შუბით. აბა, ტახს სადა აქვს ხელები ან და რკინის შუბი, რომლისაც შენ ასე გეშინია? სიზმარში რომ გეხილა, თითქოს მე სიკვდილი ეშვებისაგან ან სხვა რიმე მსგავსისაგან მომელის, მაშინ უნდა მოქცეულიყავი ისე, როგორც იქცევი. შენ კი ძილში გეუწყა, რომ შუბისაგან უნდა დავიღუპო. რაკილა ადამიანებთან არ მოგვიწევს ბრძოლა, ამიტომ გამიშვი".

40 კროდოსმა უპასუხა: "შვილო, სიზმარის შენი ახსნა სჯობია ჩემსას, ამიტომ რაკილა მაჯობე ახსნაში, ვცვლი ჩემს გადაწყვეტილებას და ნებას გრთავ, რომ წახვიდე სანადიროს".

41. სთქვა ეს კროდოსმა და დაუძახა ფრიგიელ ადრესტოსს; როდესაც მოვიდა ადრესტოსი მასთან, უთხრა მას კროდოსმა შემდეგი: "ადრესტოს, შენ რომ საშინელი უბედურება დაგატყდა თავს, მე არ გამივიციხხარ, გაგწმინდე, სახლში მიგიღე და ყოველგვარი ხარჯი ვიკისრე. ახლა კი რადგანაც შენს მიმართ სკეთე მაქვს ჩანდილი, შენ გმართებ კეთილითვე გადამიხადო. მე გთხოვ, შენ იყო ჩემი შვილის მცველი, როდესაც იგი სანადიროდ წავა, რათა გზაზე ვინმე ბოროტმოქმედი არ გამოჩნდენ და ზიანი არ მოუტანონ. ამას გარდა შენ იმიტომაც გმართებს იქ წასვლა, რომ გამოზრწყინდე შენი საქმიანობით. ეს ხომ შენი მამაკაპეული საქმიანობაა და ამასთანავე ძალაც შეგწევს".

42 უპასუხა მას ადრესტორმა: "მეფეო, სხვა ვითარებაში მე არ წავიდოდი ამისთანა საქმეზე, რადგან, არც ამისთანა უბედურების ჩამდენს შემშვენის წარმატებულ ტოლებთან წასვლა და არც მინდა; თან ბევრი სხვა ამეც მბრკოლებს, ახლა კი, რადგან შენ ასე ძალიან გინდა (მე კი მმართებს, გასიამოვნო, რადგან კეთილი უნდა მოგაგო შენ), მე მზადა ვარ დაგემორჩილო; იმედი იქონიე რომ შენი შვილი, რომლის დაცვაც მიზრძანე, მცველის წყალობით უვნებელი დაბრუნდება".

43. მას შემდეგ, რად ადრესტოსმა ასე უპასუხა კროდოსს წავიდნენ ისა და ატისი რჩეული ჭაბუკებისა და ძაღლების თანხლებით. მიდიოდნენ ისინი ოლიმპოს მთაზე და ეძებდნენ ნადირს, ხოლო როდესაც იპოვეს, გარს შემოეხვივნენ მას და შუბები დაუშინეს. როდესაც სტუმარმა, რომელიც მკვლევლობისაგან განიწმინდა და რომელსად ადრესტოსი ერქვა, გსტყორცნა შუბი, შუბი ტახს ააცილია და მოარტყა კროდოსის შვილს. მან შუბით განგმირა ატისი და ასრულა სიზმარში ნაწინასწარმეტყველები. ვიღაცა გაიქცა კროდოსთან იმის შესატყობინებლად, რაც მოხდა, და რომ მივიდა სარდელში, აუწყა მას ნადირობის და შვილის სიკვდილის ამბავი.

44. კროდოსი შვილის სიკვდილმა საშინლად შეაძრწუნა და განსაკუთრებით იმან, რომ მისი შვილი მოჰკლა იმ კაცმა, ვინც თვითონ კროდოსმა განწმინდა მკვლევლობისაგან. უბედურებისაგან გულმოკლული, როგორც კი შეეძლო,

მოუწოდებდა განწმენდელ ზევსს და მოწმედ უხმობდა მას: ხედავ, რა მიყოლო სუტმარმა; მოუწოდებდა კერიისა და მეგობრობის მფარველს (ის სულ ერთსა და იმავე ღმერთს მიმართავდა), კერიის მფარველ ზევსს მოუწოდებდა იმიტომ, რომ მიიღო სახლში უცხოელი და ვერ მიხვდა, რომ შვილის მკვლელს მასპინძლობდა, ხოლო მეგობრობის მფარველ ზევსს მოუწოდებდა იმიტომ, რომ მცველად გაატანა შვილს კაცი და ყველაზე დიდი მტერი კი ის გამოდგან.

45. ამის შემდეგ მოვიდნენ ლიდილები და მოიტანეს გვამი, ხოლო უკან მოჰყვებოდა მას მკვლელი: იგი დადგა გვამის წინ, ჩაბარდა კრომოსსს ხელგაწვდილი და ეუბნებოდა, დამკალი ზედ ატასის გვამსო. იგი ყვებოდა თავისი პირველი უბედურების ამბავს და იმასაც, თუ როგორ შემოაკვდა ის, ვინც განწმინდა იგი ამ უბედურებისაგან, ამდენად არც თვითონაა ამიერიდან სასიცოცხლო. კრომოსმა რომ ეს მოისმინა, შეეცოდა ადრესტოსი, (თუმცა საკუთარი უბედურებაც ჰყოფნიდა) და უთხრა მას: "სტუმარო, მე დაკმაყოფილებული ვარ, რადგანაც შენ თავს შენვე უსჯი სიკვდილს. ჩემი უბედურების მიზეზი კი არა ხარ შენ, არამედ მისი მხოლოდ უნებური შემსრულებელი; მიზეზი რომელიღაც ღმერთთაგანია, რომელმაც მე უწინ მანიშნა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა".

კრომოსმა შესაფერისი პატივით დაკრძალა თავისი შვილი. ადრესტოსმა, გორდის მიდესის ძის ძემ, თავისი ძმისა და განწმენდელის მკვლელმა, საფლავის ირგვლივ შემოჯარულთ თვალწინ თავი დააკლა საფლავს, იმიტომ, რომ თავისი თავი ადამიანთა შორის ყველაზე უფრო უბედურად მიაჩნდა.

46. კრომოსი შვილის დაკარგვას დაახლოებით ორი წელიწადს დიდად გლოვობდა, ხოლო შემდეგ, ასტიაგეს კიარქსარესის ძის ძალაუფლება რომ დაამხო კიროსმა, კამბისესის ძემ და სპარსთა სახელმწიფო გაზარდა, ამან შეაწყვეტინა კრომოსს გლოვა. მან იფიქრა, რომ ვიდრე ძალიან მოღონივრდებოდნენ სპარსელები, როგორც მოეხერხებინა და შეეჩერებინა მათი მზარდი ძალა. ამ ფიქრების შემდეგ მაშინვე მოინდომა გამოეცადა მისნები, რომლებიც ელინთა ქვეყანაში და ლიბიაში არიან. დააგზავნა კაცები ზოგი სად, ზოგი სად: ზოგიერთები დელფოში წავიდნენ, სხვებ ფოკიდის აბეში, დანარჩენები დოლონეში. ზოგი მათგანი წარგზავნილი იქნა ამფიარეოსის და ტროფონიოსის საკურთხევლებში, ზოგი კიდევ ბრანქიდეში, რომელიც მილეტელებს ეკუთვნის. ესენი ელინური სამისნოებია, სადაც დაგზავნა კრომოსმა კაცები წინასწარმეტყველების შესატყობად. ლიბიის ამონის სამისნოში კიდევ სხვები გაგზავნა გამოსარკვევად. კაცები დააგზავნა იმისათვის, რომ გამოეცადა მისნები, რას იტყოდნენ და თუ აღმოჩნდებოდა, რომ ისინი სწორად მიხვდნენ, მეორედ გაგზავნიდა კაცებს და შეეკითხებოდა მათ, წამოეწყოთ თუ არა სპარსელებზე ლაშქრობა.

47. ღვთის ნების გამოსაცდელად წარგზავნილ ლიდიელებს უბრძანა: სარდედან გასვლის დღიდან, აი აქედან იანგარიშონ დღეები დარჩენილი დროისათვის და მესვე დღეს მიმართონ სამისნოს, შეეკითხონ, თუ რას აკეთებს ლიდიელთა მეფე კრომოსს ალიატესის ძე. რასაც კი თითოეული სამისნო უპასუხებს მათ, ის უნდა ჩაიწერონ და ჩამოუტანონ კრომოსს. თუ რა გამოაცხადეს სხვა სამისნოებმა, არავინ არაფერის ამბობს, ხოლო დელფოში, როგორც კი შევიდნენ ლიდილები ტამარში, მიმართეს ღმერთს და ჰკითხეს, რაც ჰქონდათ ნაბრძანები. ამაზე პითიამ ჰეგზამეტრული საზომით უთხრა შემდეგი: "მე ვიცი ქვიშის რიცხვი და ზღვის ზომა, ვიგებ ყრუ-

მუნჯისას და მესმის იმისა, ვინც ხმას არ იღებს. ჩემამდე მოვიდა სუნი მაგარჯავშნიანი კუსი, რომელიც იხარშება სპილენძის ჭურჭელში ცხვრის ხორცთან ერთად; მას სპილენძი აქვს ქვეშ დაფენილი და სპილენძი ახურავს ზემოდან".

48. პითიამ რომ ეს გამოაცხდა, ლიდიელებმა ჩაიწერეს, წამოვიდნენ და დაბრუნდნენ სარდეში. როგორც კი სხვა ყველა გაგზავნილებიც მოვიდნენ და მოიტანეს ნათქვამი, მაშინ კროდოსმა ეს ჩანაწერების სათითაოდ გაშალა და ჩაიკითხა. დანარჩენთაგან არც ერთი არ მოეწონა მას, ხოლო როდესაც დელფოს პასუხი მოისმინა, მაშინვე ილოცა, მიიღო და გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ისაა სამისნო, რომელიც დელფოშია, რადგან მარტო მან გამოიცნო, თუ რას აკეთებდა კროდოსი. როდესაც კროდოსმა კაცები დაგზავნა ღვთისაგან შესატყბოდ, დაელოდა დათქმულ დღეს და შემდეგი მოიმოქმედა: დარწმუნებულმა, რომ შეუძლებელია ვინმემ გამოიგონოს ასეთი რამ, ან გამოიცნოს მისი საქმიანობა, კუ და ცხვარი ერთად დაჭრა და თვითონ მოხარშა სპილენძის ქვაბში, ზედაც სპილენძისავე ხუფი დაახურა.

49. დელფოდან ასეთი რამ ეუწყა კროდოსს. ამფიარეოსის სამისნოს პასუხის შესაებ ვერაფერს ვიტყვი, თუ რა გაიგეს ლიდიელებმა, მას მერე რაც შეასრულეს ის, რაც ტადრისათვის არის დაწესებული (რადგანაც არც ამის შესახებ ლაპარაკობენ), ის კია რომ კროდოსმა ეს სამისნოც უტყუარად მიიჩნია.

50. ამის შემდეგ კროდოსმა დელფოს ღვთაება დიდი შესაწირავებით მოიმადლიერეა: შესწირა ყოველგვარი სამსხვერპლო საქონელი 3000, დიდ ცეცხლში დაწვა ერთად მოგროვილი სარეცლები, მოოქრული და მოვერცხლილი, ოქროს ფიალები, მოწის ტანსაცმელი და ქიტონები, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ღმერთი ამით თავის სასიკეთოდ განაწყობდა. ხოლო ლიდიელებს გამოუცხადა, რომ ყველამ შესწიროს მსხვერპლი და თითოეულმა მათგანმა ის, რაც აქვს. როგორც კი მსხვერპლშეწირვას მორჩნენ, გადაადნობინა უამრავი ოქრო და მისგან გამოაჭედვინა 117 ნახევარფილა, რომელთაც სიგრძე ჰქონდათ 6 ციდა, სიგან 3 ციდა, ხოლო სისქე ერთი ციდა. ამათგან 4 იყო წმინდა ოქროსი, თითოეული იწონიდა 2 ½ ტალანტს, დანარჩენი ნახევარფილები თეთრი ოქროსი, თითოეული 2 ტალანტს იწონიდა. გააკეთებინა ლომის გამოსახულება სუფთა ოქროსი, რომელიც იწონიდა 10 ტალანტს, ეს ლომი, როდესაც იწვოდა დელფოში ტადარი, ჩამოვარდა ნახევარფილებიდან (რომელზეც იდგა) და ახლა დგას კორინთელთა საგანძურში, ის ახლა იწონის 6 ½ ტალანტს, რადგანაც ხანძრისგან მისი 3 ½ ტალანტი დადნა.

51. ეს რომ გააკეთა კროდოსმა, ამათთან ერთად გაგზავნა დელფოში კიდევ შემდეგი შესაწირავები: დიდი ზომის ორი კრატერი, ოქროსი და ვერცხლისა, ამათგან ოქროსი მოთავსებულია ტადარში შემსვლელთათვის მარჯვნივ, ხოლო ვერცხლისა - მარცხნივ. მაგრამ ამ ჭურჭლებმაც გადაინაცვლეს ტადარს რომ ცეცხლი ეკიდა მაშინ და ოქროს კრატერი ახლა კლადომენელთა საგანძურში დგას და იწონის 8 ½ ტალანტს და 12 მნას, ხოლო ვერცხლისა დგას ტადრის შესავლსი კუთხეში და შეიცავს 600 ამფორას. თეოფანიების დროს დელფოელები მასში აზავებდნენ ღვინოს. დელფოელები მის შესახებ ამბობენ, რომ იგი თეოდორე სამოსელის ნახელავი არისო და მეც ასე მგონია, რადგანაც ჩვეულებრივი ნამუშევარი არ მეჩვენება იგი. კროდოსმა გაგზავნა კიდევ 4 ვერცხლის პითოსი, რომლებიც კორინთელთა საგანძურში დგანან, შესწირა ორი სასხურებელი, ოქროსი და ვერცხლისა. ამათგან ოქროს სასხურებელს აწერია, რომ

ლაკედემონელები ამბობენ, ეს ნივთი ჩვენი შეწირულიაო. ეს არაა სწორი, რადგანაც ისინი კროსოსის საჩუქარია. ერთმა დელფოელმა მოინდომა ლაკედემონელთა სიამოვნება და ასე დააწერა. მე ვიცი სახელი ამ კაცისა, მაგრამ არ ვახსენებ.

ლაკედემონელების შეწირულია ყრმის გამოსახულება, რომლის ხელიდანაც გადმოდის წყალი და არა რომელიმე ამ სახელურებელთაგან. სხვებთან ერთად სხვა შესაწირავებიც მრავლად გაგზავნა კროსოსს, რომლებიც ცალკე არ არის აღნიშნული, მათ შორის ვერცხლის მრგვალი ჩამოსხმული ჭურჭლები, ქალის ოროს სამწყრთიანი ქანდაკება, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ ეს კროსოსის პურისმცხოვლის გამოსახულება არისო. ამას გარდა კროსოსმა შესწირა თავისი ცოლის ყელსაბამები და სამაჯურები.

52. კროსოს ესენი გაგზავნა დელფოში, ხოლო ამფიარეოსს, რომ შეიტყო მისი სიკეთე და განსაცდელი, შესწირა მთლიანად ოქროს ფარი, ასევე მაგარი, მთლიანად ოქოს შუბი, რომელსაც ტარიცა და პირებიც ოქროსი ჰქონდა. ეს ორივე ჯერ კიდევ ჩემ დროში იყო თებეში, თებელთა აპოლონ ისმენიონის ტაძარში.

53. ტაძრისათვის საჩუქრების მისართმევად წარგზავნილ ლიდიელებს კროსოსმა უბრძანა, რომ შეჰკითხოვდნენ სამისნოს, - კროსოსს მარტოს ელაშქრა სპარსელების წინააღმდეგ, თუ რომელიმე ლაშქარი შემოეამხანაგებინა. როგორც კი მოვიდნენ ლიდიელები იქ, სადაც იყვნენ გაგზავნილები, შესწირეს შესაწირველები და შეეკითხნენ სამისნოს: "კროსოსი, ლიდიელთა და სხვა ხალხთა მეფე, ადამიანთა მხოლოდ ამ სამისნოს მიიჩნევს და მოგართმევთ თქვენი ახსნის შესაფერის საჩუქრებს; ახლა კი გეკითხებით: მარტოკა ილაშქროს სპარსელების წინააღმდეგ, თუ რომელიმე ლაშქარი გაიხადოს მოკავშირედ". ხოლო ორივე სამისნომ ერთი და იგივე აზრი გამოთქვა. უწინასწარმეტყველეს კროსოსს, რომ თუ ილაშქრებს სპარსელებზე, დიდ სახელმწიფოს დაანგრევს, ამას გარდა ურჩევდნენ, რომ ელინთაგან უძლიერესი გამოერჩია და მეგობრად გაეხადა.

54. როდესაც მოუვიდა ღვთის ნება და კროსოსმა შეიტყო, ძალიან გაიხარა წინასწარმეტყველებით, რადგან დიდად იმედოვნებდა, რომ დააქცევდა კიროსის სახელმწიფოს; გაგზავნა კვლავ კაცები პიოში, დელფოში, შეიტყო დელფოელების რიცხვი და დაასაჩუქრა თითოეული კაცი ორი ოქროს სტატერით. დელფოელებმა ამის სანაცვლოდ კროსოსსა და ლიდიელებს ზოგი უპირატესობა მიანიჭეს სხვებთან შედარებით: ისინი მისნობას სხვებზე უწინ იღებდნენ, დელფოში გადასახადს არ იხდიდნენ, დღესასწაულებზე პირველ ადგილს იკავებდნენ. ამას გარდა, ლიდიელთა შორის მსურველებს სამუდამოდ შეეძლო დელფოელის გამხდარიყო.

55. დაასაჩუქრეს დელფოელები კროსოსმა და საბოლოოდ მიმართა მისნობისთვის; მას მერე რაც ერთხელ ჭეშმარიტი მისნობა მიიღო დელფოსაგან, ხშირად მიმართავდა ხოლმე მას. უნდოდა მისნობის შეტყობა და მას შეეკითხა: ხანგრძლივად ექნება ძალაუფლება, თუ არა. ხოლო პითიამ მას მიუგო: "როდესაც მიდიელებს მეფედ ჯორი ეყოლებათ, მაშინ, ნაზფეხებიანო ლიდიელო, კენჭებმრავალ ჰერმოსისაკენ გაიქეცი, ნუ დარჩები, და ნურც იმის შეგრცხვება, რომ სიმხდალეს დაგწამებენ".

56. ამ სიტყვების მოსმენა კროდოსს ყველაზე უფრო გაეხარდა, რადგანაც იმედი ჰქონდა, ჯორი ადამიანის მაგივრად არასოდეს გახდებოდა მიდიელთა მეფე, მაშასადამე არასოდეს დაჰკარგავენ ხელისუფლებას არც თვითონ და არც მისი მემკვიდრეები. ამის შემდეგ მან დაიწყო ზრუნვა იმისათვის, რომ გამოერკვივა, ელინთა შორის ყველაზე ძლიერი ვინ იყო, რომ ისინი გაეხადა მეგობრად. მან გამოიკვლია და გამოარკვია, რომ ლაკედემონელები და ათენელები რიან უპირატესნი ელინ ტომთა შორის. პირველი დორიულ ტომში, ხოლო მეორე - იონიურში; ესენი არიან გამორჩეული, რადგან ერთი არის უძველესი ელაზგური ტომი, ხოლო მეორე - ელინური ტომი. ერთი ამათაგანი არსად გადასახლებულა, ხოლო მეორე მეტისმეტდ ბევრს დაეხეტებოდა. მეფე დევკალიონის დროს დორიელები დასახლებული იყვნენ ფთიოტიდის მიწაზე, ჰელენის ძის, დოროსის დროს იმ ქვეყანაში, რომელიც ოსასა და ოლიმპოს ქვემოთ არის და რომელსაც ეწოდება ჰისტიაოტისი. ხოლო ჰისტიაოტისიდან ისინი გამოაძევეს კადმეელებმა და მაკედონსებად წოდებულნი დასახლდნენ პინდოსში, აქედან დრიოპიდადან მოვიდნენ პელოპონესში და ეწოდათ დორიელები.

57. რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პელაზგები, ამის თქმა არ შემძლია დანამდვილებით. ხოლო თუ შესაძლებელია მიხვედრა იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ახლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ ქალაქ კრესტონში და რომლებიც ოდესღაც ემეზობლებოდნენ ახლა დორიელებად წოდებულებს (მათ ეკუთვნით ის მიწა, რომელიც ახლა თესალიოტიდად იწოდება), ან და თუ შეიძლება მიხვედრა იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ჰელესპონტში ცხოვრობდნენ, პლაკიესა და სკილაკეში და რომლებიც ათენელებთან იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებული, და ასევე პელაზგური დასახლებული პუნტების მიხედვით შეიძლება მიხვედრა, მაშინ პელაზგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ ენაზე, თუ მთელი პელაზგური ტომი ასეტი იყო, პელაზგური მოდგმის ატიკურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა, რადგანაც არც კრესტონელების ენა ჰგავდა მეზობელთაგან ვინმეს ენას, არც პლაკიელების, ხოლო ამ ორი ქალაქის მოსახლეობის ენა კი სერთოა, ცხადია, რომ როდესაც გავიდნენ ამ ადგილებში, შეინარჩუნეს ენის თავისებურებები და ამას იცავენ.

58. მე ვფიქრობ, ელინური ტომი, თავისი შექმნის დღიდან სულ მუდამ ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდა. პელაზგურ ტომს რომ გამოეყო ის სუსტი იყო; დასაწყისში ის მცირე იყო, გადიდდა და მრავალტომიანად იქცა. ეს მოხდა განსკუთრებით იმის შედეგად, რაც მრავალი პელაზგური ტომი შეუერთდა მას და შემდეგ თანდათანობით კიდევ სხვა ბარბაროსული ტომებიც. ხოლო მე ვფიქრობ, რომ პელაზგური ტომი, რომელიც ბარბაროსული იყო, არასოდეს გამრავლებულა დიდად.

59. კროდოსმა შეიტყო, რომ ამ ტომებიდა ჰიპოკრატესის ძეს პედისტერატოსს ეპყრო და გამოყოფილი ჰქონდა ატიკური ტომი. ის მაშინ ტირანობდა ათენელებზე. ჰიპოკრატესს, რომელიც კერძო პირი იყო და ესწრებოდა ოლიმპიურ დღესასწაულებს, დიდი სასწაული ეჩვენა: როდესაც ის მსხვერპლს სწირავდა, ხორცითა და წყლით სავსე ქვაბებში წყალი უცეცხლოდ ადულდა და გადმოვიდა. ქილონ ლაკედემონელმა, რომელიც იქ იყო და იხილა ეს სასწაული ურჩია ჰიპოკრატესს, ჯერ ერთი - ქალს ნუ

მოიყვანდა სახლში და შვილს ნუ გაიჩენდა, ხოლო თუ უკვე ჰყავდა ცოლი, მეორე რჩევა იყო, რომ ის ქალი გაეშვა, ხოლო თუ უკვე ჰყავდა შვილი, უარი ეთქვა მასზე. ქილონმა კი ურჩია ასე, მაგრამ ჰიპოკრატესმა არ მოისურვა დაჯერება. ამის შემდეგ ეყოლა მას სწორეს ეს პედისისტერატოსი, რომელმაც ათენელი ზღვისპირელებისა და ბარელების ამბოხების დროს (რომელთაგან პირველებს მეთაურობდა მეგაკლეს ალმეონის ძე, ხოლო ბარელებს ლიკურგოს არისტოლაიდესის ძე) განიზრახა ტირანობა და მესამე პარტია შექმნა, შეკრიბა მეამბოხენი, თავისი თავი სიტყვაში მაღალმთიელების მეთაურად გამოაცხადა და ასეთ ხრიკს მიმართა: მან თავიც დაიჭირა და ჯორებიც და ასე დაჭრილი შევიდა აგორაზე ეტლით, თითქოს გაურბოდა მტერს, რომელიც მას თავს დაესხა ქალაქგარეთ და აპირებდა მის მოკვლას. პედისისტერატოსი სთხოვდა ხალხს ვინმე მცველები მიეცათ მისთვის. პედისისტერატოსი უწინ განთქმული იყო მეგარელთა წინააღმდეგ წარმოებული ლაშქრობით, როდესაც მან აიღო ნისადა და სხვა დიდი საქმეებიც გაარიგა. ათენელი ხალხი მოტყუვდა, გამოიარჩია და მისცა მას მოქალაქეთაგან კაცები, რომლებიც პედისისტერატოსს შუბოსნებად კი არ ჰყავდა, არამედ კომბლოსნებად: ამ კაცებს ხელში ხის კომბლები ეჭირათ და მისდევდნენ მას უკან. ესენი პედისისტერატოსთან ერთად ამბოხდნენ და აიღეს აკროპოლისი. ასე დაიწყო პედისისტერატოსმა ათენელთ მართვა. მან არც არსებული თანამდებობები მოშალა, არც დაწესებული კანონები შეცვალა და მათ მიხედვით მართავდა ქალაქს, წესრიგს ამყარებდა კარგად და კეთილად.

60. დიდი დრო არ გასულა, რომ შეთანხმდნენ მეგაკლესის მომხრე მეამბოხენი და ლიკურგოსის თანამოაზრენი და დაამხეს პედისისტერატოსი. ასე ეპყრა პედისისტერატოსს პირელად ათენი და ტირანობა, მაგრამ რადგან ტირანობა არ იყო ჯერ განმტკიცებული, ადვილად გადმოაგდეს იგი. ხოლო პედისისტერატოსი რომ გააძევეს, დანარჩენები კვლავ თავიდან აიშალნენ ერთმანეთში. შეწუხებულამ ამ შფოთიანობით მეგაკლესმა შეუთვალა პედისისტერატოსს, რომ თუ ტირანობა უნდა შეერთოს მისი ქალი ცოლად. როდესაც მიიღო ეს აზრი და დაეთანხმა ამაში პედისისტერატოსიც, ათენში დაბრუნებისთანავე მათ გადაწყვიტეს, ჩემი აზრით, მეტისმეტად სულელური რამ (ძველიდანვე გამოირჩეოდა ბარბაროსი ხალხისაგან ელინური ტომი, უფრო მარჯვე იყო თავისუფალი სულელური გულუბრყვილობისაგან); მაშინ მათ ათენელების მიმართ, რომლებიც ელინთა შორის სიბრძნით პირველები არიან, ასთი რამ განიზრახეს: პადანიევსის დემში იყო ქალი, რომელსაც სახელად ერქვა ფიე, სიმაღლით იყო 4 წყრთა 3 თით ნაკლებ, და თანაც კარგი შესახედავი. ეს ქალი თავით ფეხებამდე აღჭურვეს, დასვეს ეტლზე და ისეთნაირად დააყენეს, რომ რაც შეიძლება ლამაზი გამოჩენილიყო; ასე შეიყვანეს ქალაქში, წინამორბედებად დაგზავნეს მაცნეები, რომლებმაც ქალაქში მისვლისას ისე ილაპარაკეს, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ; მათ თქვეს შემდეგი: "ათენელებო, მიიღეთ პედისისტერატოსი კარგი გულით, მას ადამიანთა შორის ყველაზე მეტად სცემს პატივს თვით ათენა და თვითონ აბრუნებს მას თავის აკროპოლისში". ისინი დადიოდნენ და ამ ხმას ავრცელებდნენ. მაშინვე დაირხა დემებში ხმა, რომ ათენა აბრუნებს პედისისტერატოსს, მოქალაქეებმა დაიჯერეს, რომ ეს ქალი თვით ქალღმერთია, ისინი ლოცულობდნენ ამ ქალის წინაშე და მიიღეს პედისისტერატოსი.

61. პედისისტერატოსმა ზემოთ მოთხოვნილი ხერხით ჩაიგდო ხელში ტირანობა და მეგაკლესთან არსებული შეთანხმების გამო შეერთო ცოლად მეგაკლესის ასული.

რადგანაც მას უკვე ჭაბუკი შვილები ჰყავდა და ნათქვამი იყო, რომ ალკმეონიდები დაწყევლილები არიან, ამიტომ არ მოინდომა, ახლად შერთული ცოლისაგან შვილები ჰყოლოდა და მასთან ურთიერთობა ჰქონოდა არა წესის მიხედვით. ქალი ამას პირველად მალავდა, ხოლო შემდეგ მან უამბო ეს თავის დედას, რომელიც მას ამის შესახებ ან შეეკითხა, ან შეიძლება არც შეჰკითხვია, ხოლო დედამ კიდევ გადასცა ყოველივე თავის ქმარს. მეგაკლესმა საშინლად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი პედისისტერატოსისაგან. გაჯავრებულმა შეწყვიტა ბრძოლა მეამბოხეებთან, პედისისტერატოსმა რომ შეიტყო, რასაც უპირებდნენ მას, დატოვა თავისი ქვეყანა სრულიად, მივიდა ერეტრიაში და ეთათბირა თავის შვილებს. ჰიპიესის აზრმა გაიმარჯვა, რომლის მიედვითაც ტვირანობა უკან უნდა დაეხუნებინათ. მაშინ დაიწყო საჩუქრების შეგროვება იმ ქალაქებინდა, რომლებიც მათგან რამეთი იყვნენ დავალებული. ბევრმა მოიტანა დიდი ქოენბა, მაგრამ თებელები ყველას აღმატებოდნენ საბოძვრით. ხოლო შემდეგ, სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, დრო გავიდა და მათ ყველაფერი მოამზადეს დადაბრუნებლად. პელოპონესიდან მოვიდნენ დაქაირავებული არგოსელები, მოვიდა მათთან ნაქსოსელი მოხალისე, რომელსაც ერქვა ლიგადამისი, იგი დიდ გულმოდგინეობას იჩენდა; მან ჩამოიტანა თან სახსარიც და ჩამოიყვანა კაცებიც.

62. ერეტრიიდან წამოსულები 11 წლის შემდეგ დაბრუნდნენ უკან. ატიკიდან პირველად დაიპყრეს მარათონი. მათ დაიბანაკეს ამ ადგილას და ქალაქიდან მათთან მოვიდა მათი თანამოაზრენი, სხვებიც ჩამოვიდნენ დემებიდან, რომელთაც ტირანია ერჩიათ თავისუფლებას. ესენი გროვდებოდნენ. ათენელი მოქალაქეები, ვიდრე პედისისტერატოსი სახსრებს აგროვებდა, და შემდეგაც, როდესაც მან დაიპყრო მარათონი, მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ხოლო როდესაც შეიტყვეს, რომ იგი მარათონიდან წამოვიდა მათ ქალაქზე, მაშინ გამოვიდნენ მის წინააღმდეგ. ესენი მთელი ლაშქრით გამოვიდნენ დაბრუნებულთა წინააღმდეგ. ესენი და პედისისტერატოსის მომხრეები (რომლებიც წამოვიდნენ მარათონიდან ქალაქის წინააღმდეგ) მოვიდნენ და შეხვდნენ ერთმანეთს ათენა პალეენიდან ტამართან და მოემზადნენ საბრძოლველად. მაშინ პედისისტერატოსს ღვთივმთაგონებული ამფილიტოს აკარნანიელი, მისანი, რომელიც მოვიდა მასთან და ჰეგზამეტრით თქვა შემდეგი: "ბადე ნასროლია და გაშლილი, ხოლო თვინასები მიისწრაფიან მისკენ მთვარიან ღამეში".

63. ასე უთხრა მას ღვთივმთაგონებულმა, ხოლო პედისისტერატოსი მიხვდა მისნობას, და თქვა, რომ ღებულობს ამ ნათქვამს და გაუძღვა ლაშქარს. ათენელი მოქალაქეები ამ დროს საუზმეს შეექცეოდნენ, ხოლო საუზმის შემდეგ ზოგიერთი მათგანი კამათელს აგორებდა, ზოგმა კი დაიძინა. პედისისტერატოსის მომხრეები თავს დაესხნენ ათენელებს და გააქციეს. როდესაც ისინი გარბოდნენ, პედისისტერატოსმა ჰეკვიანური გადაწყვეტილება მიიღო, რომ მიმოფანტული ათენელები კვლავ არ შეგროვილიყვნენ, შესხა თავისი შვილები ცხენებზე და წინ გაგზავნა. ისინი დაეწივნენ გაქცეულებს და უთხრეს ის, რაც უბრძანა მათ პედისისტერატოსმა, მათ გაამხნევეს ისინი და გამოუცხადეს, რომ თითოეული თავის სახლში წასულიყო.

64. მათ დააჯერეს ათენელები და ამგვარად პედისისტერატოსმა მესამედ აიღო ათენი. ამჯერად მან დაამკვიდრა ტირანია მრავალი მცველებითა და შემოსავლის

შემწეობით, რომლის ნაწილიც შემოდის აქედანვე, ხოლო ნაწილი მდინარე სტრიმონიდან. პედისტერატოსმა გადარჩენილ ათენელთაგან და მათგან, რომლებიც ამ დროს არ გაქცეულან, მძევლებად აიყვანა შვილები და გაგზავნა ნაქსოსზე (რადგანაც ეს კუნძულიც დაიმორჩილა მან ომში და ჩააბარა ლიგდამისს). ამას გარდა ღვთის მინიშნების მიხედვით განწმინდა კუნძული დელოსი, ხოლო განწმინდა შემდეგნაირად: მთელ იმ მიდამოში, რაც კი მოჩანდა სამლოცველოდან, ამოათხრევინა გვამები და გადაატანინა დელოსის სხვა ადგილას. პედისტერატოსი ტირანობდა ათენელებზე, ხოლო ათენელთაგან ზოგი ბრძოლასი დაეცა, ზოგი მათგანი კიდევ ალკმეონიდებთან ერთად გაიქცა სამშობლოდან.

65. კროდსოსმა ათენელთა შესახებ იმდროინდელ ამბავთაგან ეს შეიტყო, ხოლო ლაკედემონელების შესახებ, ის, რომ ისინი დიდ უბედურებას გადაურჩნენ და ტეგელებთან ომში გიმარჯვეს. რადგანაც, როდესაც ლეონი და ჰეგესიკლესი მეფობდნენ სპარტაში, სხვა ომებში წარმატებული ლაკედემონელები მხოლოდ ტეგელებთან მარცხდებოდნენ ხოლმე. ხოლო ამის უწინარეს მათ გაცილებით უფრო ცუდი კანონები ჰქონდათ ყველა სხვა ელინებთან შედარებით და უცხოელებთანაც არ ჰქონდათ ურთიერთობა. შემდეგ კი ეს კანონები კარგი კანონებით შეიცვალა. სპარტელთა სორის სახელოვან კაცს, ლიკურგოსს, რომელიც დელფოში მისნობის შესატყობად მივიდა, ტამრში შესასვლელთანვე ამ სიტყვებით შეეგებათ პითია: "მოხველი, ლიკურგოს, ჩემს მდიდარ ტამარში, შენ, ზევსისატვის და ყველა ოლიმპიელთათვის საყვარელო. არ ვიცი, როგორ გიზოდო ჩემს მისნობაში, ღმერთი თუ ადამიანი; მაგრამ ასე მგონია, რომ უფრო ღმერთად მიგიჩნევ, ლიკურგოს!" ზოგიერთები ამასთანავე ამბობენ, რომ პითიამვე დაუწესა მას ის სახელმწიფო წყობილება, რომელიც სპარტელთა შორის ამჟამად არსებობს, ხოლო როგორც თვითონ ლაკედემონელები ამბობენ, ლიკურგოსმა ეს კანონები ლეობოტესს, თავის ძმისშვილსა და სპარტელთა მეფეს რომ მეურვეობდა, მაშინ ჩამოიტანა კრეტიდანო, რადგან, როგორც კი გახდა მერუვე, შეცვალა ყველა კანონი და თვალი ეჭირა, რომ ის არავის დაერღვია. ხოლო შემდეგ ლიკურგოსმა მოაგვარა საომარი საქმეები, დააწესა რაზმები შეფიცული მეომრებისა, 30 კაცისაგან შემდგარი გუნდები და საერთო სასადილოები, ამას გარდა დააყენა ეფოები და გერონტები.

66. ამგვარად, შეეცვალათ მდგომარეობა სპარტელებს და დაუწესდათ კარგი კანონები, ხოლო ლიკურგოსი რომ გარდაიცვალა, აუგეს მას სამლოცველო და პატივი დასდეს დიდად. რადგანაც ქვეყანა მიდიდარი და ხალხმრავალი იყო, ამიტომ მალე აღზევდნენ და კარგი მდგომარეობა მოიპოვეს. ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ წყნარად ყოფნიდ და იფიქეს, რომ არკადიელებზე ძლიერები იყვნენ; შეეკითხნენ დელფოს სამისნოს არკადიელთა მთელი ქვეყნის შესახებ. ხოლო პითიამ მათ უპასუხა: "შენ მე არკადიას მთხოვ? ბევრსა თხოულობ, არ მოგცემ, არკადიაში ბევრი რკოსმჭამელი კაცია, ისინი დაგაბერკოლებენ. თორემ მე შენთვის არ მენანება მოგცემ შენს ტეგეას, ცეკვის დროს რომ ფეხები დაუშინო და კარგ დაბლობს, რომ საბელით გაზომო". ლაკედემონელებმა, ეს პასუხი რომ მოუვიდათ და მოისმინეს, სხვა არკადიელებს თავი ანებეს, სამაგიეროდ ბორკილები წაიღეს და ტეგელებზე გაილაშქრეს, რადგანაც მიენდვნენ ორაზროვან წინაწასწარმეტყველებას, თითქოს დაიმონებდნენ ტეგელებს, მაგრამ შეტაკების დროს ლაკედემონელები დამარცხდნენ, ზოგი მათგანი ცოცხლივ ჩაიგდეს ტყვედ ტეგელებმა დაამათ რომ ბორკილები ჰქონდათ თან, ის თვითონვე მათვე დაადვეს; ტეგეელთა სადგომი

სბლით გაზომეს და დაამუშავეს. ეს ბორკილები, რომლებიც ედოთ ლაკედემონელებს, ჩემს დრომდე იყო დაცული ტეგეეში და ეკიდა ათენა ალექს ტაძრის ირგვლივ.

67. უწინდელი ომების დროს ლაკედემონელები მუდამ მარცხდებოდნენ ტეგეელებთან, ხოლო კროდსოსის დროს და ალექსანდრიდესისა და არისტონის ლაკედემონიაში მეფობის დროს სპარტელებმა სძლიეს ომში ტეგეელებს, ეს კი ამგვარად მოხდა: რადგანაც ომში მუდამ ამარცხებდნენ ლაკედემონელებს ტეგეელები, მათ გაგზვნეს დელფოში კაცები ღვთის განგების შესატყობად, და შეეკითხნენ, თუ ღმერთაგან რომელს უნდა შეავედრონ თავი, რომ ომში აჯობონ ტეგეელებს. პითიამ მათ ურჩხია აგამენონის ძის, ორესტესის ძვლების მოტანა. რადგან ლაკედემონელებმა ვერ შეძლეს ორესტესის საფლავის პოვნა, გაგზავნეს კვლავ კაცები, რომ ეკითხათ ღმერთისათვის, იმ ადგილის შესახებ, სადაც განისვენებს ორესტესი. ამის შემკითხველებს პითიამ აუწყა: "არის ერთი არკადიის ტეგეე გამლილ ადგილას, სადაც ორი ძლიერი ქარი ქის; აქ დარტყმას საპასუხო დარტყმა მოსდევს, ხოლო უბედურებას - უბედურება, აქ ჰყავს აგამენონიდი ცხოვედლმყოფელ მიწას, შენ წაიღებ მას და ტეგეეზე გიმარჯვებ". ამ პასუხს ლაკედემონელებისათვის საფლავის ძებნა არ გაუადვილებია, ყველგან ეძებდნენ, ვიდრე არ აღმოაჩინა იგი ლიქესმა, რომელსაც სპარტელები "კეთილისმოქმედთაგანს" უწოდებდნენ.

"კეთილისმოქმედები" არიან ის მოქალაქეები, რომლებიც გამოდიან მხედართა წრიდან, მათ შორის ყოველთვის უხუცესები, ყოველწლიურად - ხუთი. იმ წელს, როდესაც გამოდის ასეთი ვინმე მხედართაგანი, სპარტელები მას გზვნიან საზოგადო საქმეებზე და მან ეს საქმიანობა არ უნდა შეწყვიტოს არასოდეს.

68. ამ კაცთაგან იყო ლიქესი, რომელმაც ტეგეეში აღმოაჩინა საფლავი შემთხვევისა და სიბრძნის წყალობით. იმ დროს, როდესაც სპარტელებს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ ტეგეელებთან, ლიქესი შევიდა სამჭედლოში და დაინახა რომ რკინა იჭედებოდა. ლიქესი გაოცებული უყურებდა იმას, თუ რა კეთდებოდა. მჭედელმა შეატყო მას გაოცება, შეწყვიტა მუშაობა და უთხრა: "ლაკონელო სტუმარო, რაკილა ეგრე გაკვირვებს რკინის დამუშავება, ძალიან გაკვირვებული დარჩები, თუ როგორმე ნახავ იმას, რაც მე მინახავს. მინდოდა ეზოში ჰა გამეკეთებინა, ვთხრიდი მიწას და წავაწყდი შვიდწერთიან კუბოს. არავითარ შემთხვევაში არ მეგონა, რომ იქნებოდნენ უფრო დიდი ტანის ადამიანები, ვიდრე ახლანდელები არიან, გავხსენი კუბო და ვნახე გვამი, რომელიც სიგრძით კუბოს ტოლი იყო. გავზომე და ისევ მიწა მივაყარე". მჭედელმა უთხრა მას, რაც ნახა, ლიქესი კი მიხვდა ნათქვამს და დაასკვნა, რომ მისნობის მიხედვით ეს სწორედ ორესტესია, ხოლო დაასკვნა შემდეგის მიხედვით: მჭედლის ორი საბერველი რომ ნახა, მიხვდა, რომ ეს არის ორი ქარი, მისნობაში ნათქვამი გრდემლი და ჩაქუჩი - დარტყმა და მისი საპასუხო დარტყმა, ხოლო რკინა რომელსაც სჭედენ, არის უბედურება უბედურებაზე, ეს იმიტომ რომ მისი აზრით, რკინა აღმოჩენილია ადამიანის საუბედუროდ. ლიქესმა დაასკვნა ეს, მოვიდა სპარტაში და მოუთხრო ლაკედემონელებს მთელი ამბავი. ლაკედემონელებმა ტყუილის თქმა დააბრალებს და გააძევეს იგი. ლიქესი მოვიდა ტეგეეში და უამბო მჭედელს თავისი უბედურება. მას უნდოდა მისი ეზო დაექირავებინა, მაგრამ მჭედელი არ დაეთანხმა ბოლოს ლიქესმა დაიყოლია მჭედელი, დასახლდა იქ, გათხარა საფლავი, მოაგროვა ძვლები, წამოიღო და წავიდა სპარტაში. აქედან

მოყოლებული ტეგელებთან შეტაკებისას ლაკედემონელები ყოველთვის იმარჯვებდნენ მათზე და ახლა პელოპონესის უმეტესი ნაწილი მათ ემორჩილება.

69. ყოველივე ეს რომ შეიტყო კროდოსმა, გაგზავნა სპარტაში დესპანები, რომელთაც წაიღეს ძღვენი და უნდა ეთხოვნათ მოკავშირეობა, თან უბრძანა მათ, რა უნდა ეთქვათ. ესენი რომ მოვიდნენ, თქვეს: "ჩვენ გამოგვაგზავნა კროდოსმა, ლიდიელთა და სხვა ხალხების მეფემ და შემოგითვალათ: ლაკედემონელებო, ღმერთმა გამომიცხადა მე, რომ ელინი დავიმეგობრო, და რადგანაც მე მწამს, რომ თქვენ თავკაცები ხართ ელადაში, ამიტომ მისნობის თანახმად თქვენ მოგმართავთ და მინდა, ჩემი მეგობარი და მოკავშირე გახდეთ ემმაკობისა და ტყუილების გარეშე". კროდოსმა დესპანების პირით ეს ამცნო ლაკედემონელებს, ხოლო ლაკედემონელებმა მოისიმინეს, თუ ღვთისაგან რა ეუწყა კროდოსს და გაიხარეს ლიდიელების მოსვლით, დადეს მთთან ფიცი მეგობრობისა და მოკავშირეობის შესახებ. მით უმეტეს, რომ კროდოსს მათ მიმართ ზოგი კარგი საქმე უწინ ჰქონდა გაკეთებული: მაგალითად ლაკედემონელებმა ერთხელ გაგზავნეს კაცები სარდემი ოქროს საყიდლად, ეს ოქრო მათ აპოლონის ქანდაკების გასაკეთებლად უნდოდათ (ქანდაკება ახლა ლაკონიკის თორნაქსში დგას), კროდოსმა კი მათ, საყიდლად მოსულებს, ოქრო საჩუქრად მისცა.

70. ლაკედემონელები ამის გულისთვისაც დასთანხმდნენ მოკავშირეობას და იმიტომაც, რომ კროდოსმა ისინი გამოარჩია და სხვებს ამჯობინა მეგობრებად. ამიტომ იყო, რომ ლაკედემონელებმა მიიღესო კროდოსის ეს წინადადება. ამას გარდა მათ გააკეთეს და წამოიღეს სპილენძის კრატერი, რომელიც გარედან, პირთა შეამკეს გამოსახულებებით, იგი სიდიდით 300 ამფორას იტევდა. მათ უნდოდათ სამაგიერო საჩუქარი მიეძღვნათ კროდოსისათვის. ამ კრატერმა ვერ მიაღწია სარდემდის, ამისას ორნარი მიზეზს ამბობენ: ლაკედემონელები ამბობენ, რომ როდესაც, კრატერი სარდემი მიჰქონდათ, გზაზე სამოსთან გაიარეს. სამოსელებმა რომ შეიტყვეს ეს ამბავი, დიდი ნავებით გასწურეს და წაართვეს ლაკედემონელებს, რომლებსაც მიჰქონდათ კრატერი, დაავგიანდათ. ამასობაში შეიტყვეს, რომ სარდემცა და კროდოსიც უკვე დაუმორჩილებია მოწინააღმდეგეს. მაშინ გაყიდეს კრატერი სამოსზე, მიჰყიდეს კერძო პირებს, რომელთაც იგი შესწირეს ჰერას ტაძარს. გამყიდველებმა სპარტაში დაბრუნებისთანავე თქვეს, რომ თითქოს გაძარცვეს ისინი სამოსელებმა.

71. ასეთი ბედი ეწვია კრატერს, ხოლო კროდოსი შეცდა მისნობაში და გაგზავნა ლაშქარი კაპადოკიაში, იმ იმედით, რომ დაამხოდა კიროსსაც და სპარსელთა საელმწიფოსაც. როდესაც კროდოსი ემზადებოდა სპარსელებზე სალაშქროდ, ერთმა ლიდიელმა (მისი სახელი იყო სანდანისი), რომელიც უწინაც ბრძენად იყო აღიარებული, ხოლო შემდეგ, ამ აზრის გამო დიდი სხელი მოიპოვა ლიდიელებში, ურჩია კროდოსს: "მეფეო, შენ იმ კაცებზე ემზადები სალაშქროდ, რომლებიც ატარებენ ტყავის შარვლებს და დანარჩენ ტანსაცმელსაც ტყავისას ხმარობენ, იმდენს კი არ სჭამენ, რამდენიც სურთ, არამედ იმდენს რამდენიც აქვთ, და ეს იმიტომ, რომ ისინი სუსხიანი ქვეყნიდან არიან. ისინი ღვინოს კი არ ხმარობენ, არამედ წყალსა სხვამენ, არც ლეღვი აქვთ საჭმელად, არც სხვა რამ ხეირიანი. ჯერ ერთი, თუ შენ სძლევ მათ, რას წაართმევ, თვითონაც რომ არაფერია აქვთ? ხოლო თუ დაგძლიეს, იგი რამდენ სიკეთეს დაკარგავ, რადგანაც ისინი რომ ჩვენს სიკეთეს იგემებენ, ჩაეჭიდებიან და ვეღარ გავაგდებთ. მე ვმადლობ ღმერთს, რომელიც ლიდიელებზე სალაშქროდ არ

აქეზებენ სპარსელებს". ეს ილაპარაკა, მაგრამ კროძოსი ვერ დააჯერა, მართლაც ვიდრე ლიდიელებს დაიპყრობდნენ, სპარსელებმა არც ფუფუნება იცოდნენ და არც სხვა რამ სიკეთე.

72. კაპადოკიელები ელინთა მიერ სირიელებად იწოდებიან; ხოლო ეს სირიელები უწინ, ვიდრე სპარსთა მმართველობაში გადავიდოდნენ, მიდიელთ ქვეშევრდომები იყვნენ, ახლა კი კიროსის. მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდინარე ჰალისი, რომელიც არმენიის მთებიდან გამოსული კილიკიაზე მოედინება, ხოლო ქვემოთ, მის მარჯვნივ სახლობენ მატინები, მეორე მხარეს კი - ფრიგიელები. ამ ქვეყნებს რომ ჩაუვლის, ჰალისი მიედინება ზემოთ ჩრდილოეთისაკენ და იქ საზღვრავს სირიის კაპადოკიელებს, რომლებიც მარჯვნივ არიან მარცხნივ მოსახლე პაფლოგენელებისაგან. ამრიგად მდინარე ჰალისი გამოჰყოფს აზიის თითქმის მთელ ქვევითა მხარეს, რომელიც კიპროსის პირდაპირ მდებარე ზღვიდან ევქსინის პონტომდე აღწევს. ხოლო ეს არის მთელი ამ ქვეყნის ყელი: ამ გზას მსუბუქად შეიარაღებული კაცი ხუთ დღეს მოუხდება.

73. კროძოსი კაპადოკიაზე შემდეგი მიზეზის გამო ლაშქრობდა: მას უნდოდა თავისი წილისათვის შეემატებინა მათი მიწაც; განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ენდობოდა მისნობას და უნდოდა კიროსისათვის სამაგიერო მეზღო. რადგანაც ასტიაგეს კიაქსარესის ძე, რომელიც კროძოსის მოყვარე და მიდიელთა მეფე იყო, დაიმორცილა კიროსმა, კამბისესის ძემ. ხოლო იგი კროძოსს შემდეგნაირად ემოყვრებოდა: სკვითი ნომადების ერთმა ჯგუფმა აჯანყების შემდეგ მიდიის მიწა-წყალს მიაშურა. ამ დროს მიდიელებზე ტირანობდა კიაქსარესი, ფრაორტეს დეიოკესის ძე, რომელიც ამ სკვითებს პირველად კარგად ეპყრობოდა, როდესაც ესენი მის კარს შეეფარნენ. იმდენად დააფასა კიაქსარესმა ესენი, რომ ბავშვები მისცა მათ ენის სასწავლებლად და მშვილდოსნობის ხელოვნებაში გამოსაწვრთნელად. დრო გავიდა, სკვითები მუდამ დადიოდნენ სანადიროდ და მუდამ რაღაცა მოჰქონდათ, ერთხელ კი მოხდა ისე, რომ ვერაფერი დაიჭირეს. ცარიელი ხელით დაბრუნებულებს კიაქსარესი (რადგანაც მას, როგორც ჩანს, საკმაოდ ფიცხი ხასიათი ჰქონდა) ზალიან მკაცრად და უდიერად მოეპყრო. სკვითებმა იუკადრისეს კიაქსარესის ასეთი ქცევა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ იმ ყმაწვილთაგან, რომელთაც ენას ასწავლიდნენ, ერთი დაკლათ. მათ მოამზადეს ის, როგორც ჩვეულებრივ ნადირის ხორცს ამზადებენ ხოლმე, მიუტანეს და მიართქვეს კიაქსარესს, ცხადია, როგორც ნანადირევი. მიუტანეს და სასწრაფოდ წავიდნენ ალიატეს სადიატესის ძესთან სარდეში. ასე იყო ეს ამბავი. კიაქსარესმა და მისმა სტუმრებმა, ვინც მასთან იყვნენ, ჰამეს ეს ხორცი, ხოლო ის კვითები, რომელთაც ეს ჩაიდინეს, ალიატესს შეეფარნენ.

74. ამის შემდეგ, რადგანაც ალიატესმა არ გასცა სკვითები, რომელთაც თხოულობდა კიაქსარესი, გაჩაღდა ომი ლიდიელებსა და მიდიელებს შორის და გაგრძელდა დაახლოებით 5 წელს. ამ ომის დროს ხშირად მიდიელები სჯობნიდნენ ლიდიელებს და ხშირად კიდევ ლიდიელები მიდიელებს. ამავე დროს მოუხდათ მათ ერთი დამის ბრძოლა: ორივე მხარე თანაბარი წარმატებით ომობდა, მეექვსე წელს, როდესაც შეეჯახნენ ერთმანეთს და ბრძოლა დაიწყო, მოხდა ისე, რომ დღე უცბად ღამედ იქცა.

თალეს მილეტელმა იონიელებს უწინასწარმეტყველა, რომ იქნებოდა დღის ეს შეცვლა და განსაზღვრა კიდევაც ის წელიწადი, რომელშიც მოხდებოდა ეს შენაცვლება². ლიდიელებმა და მიდიელებმა, როდესაც დაინახეს რომ დღის მაგივრად ღამე დადგა, შეწყვიტეს ბრძოლა და ორივე მხარე სასწრაფოდ დაეხაზა ერთმანეთს. ხოლო მათი მომრიგებლები იყვნენ შემდეგი პირები: სიენესის კილიკიელი და ლაზინეტოს ბაბილონელი. ესენი ჩქარობდნენ, რომ ფიცი დადებულყო და აწრამოეს საქორწინო მოლაპარაკებაც; ალიატესს ურჩიეს, მისი ქალი, არიენისი მიეთხოვებინა კიაქსარესის შვილისათვის, რადგანაც მტკიცე ნათესაობის გარეშე მოლაპარაკება მტკიცე ვერ დარჩებოდა. ეს ხალხი ხელშეკრულებებს სდებს ისევე, როგორც ელინები, მაგრამ დამატებით იკაწრავდნენ მკალვს ღრმად და სისხლს ულოკავდნენ ხომლე ერთმანეთს.

75. სწორედ ეს ასტიაგესი, კიროსის დედის მამა, დაიმორჩილა კიროსმა, ხოლო მიზეზად რა ჰქონდა, ამას მე ქვემოთ აღვნიშნავ. ამიტომ ჯავრობდა კროდსოსის კიროსზე და გაგზავნა კაცები მისნობის გასაგებად, ილაშქროს თუ არა სპარსელებზე. როდესაც მიიღო ორაზროვანი პასუხი, იმედოვნებდა, რომ სამაგისო იყო მისნობა და გაილაშქრა კიდევაც სპარსელთა ქვეყნის წინააღმდეგ. როგორც მიაღწია კროდსოსმა ჰალისს, მე ვამბობ, რომ იქიდან იმან გადაიყანა ლაშქარი არსებული ხიდებით, ხოლო ელინთა შორის გავრცელებული აზრის მიხედვით, ლაშქარი გადაიყვანა თალეს მილეტელმა. ეს იმიტომ, რომ კროდსოსი გამოუვალ მდგომარეობაში იყო და როგორ გადაიყვანდა მდინარეზე ლაშქარსო (რადგანაც ამ დროს ეს ხიდები სულაც არ არებობდა). ამბობენ, იქვე ბანაკში იყო თალესი, რომელმაც გააკეთა ის, რომ მდინარე, რომელიც ლაშქრის მარცხნივ მიედინებოდა, მის მარჯვნივაც წამოვიდა. ეს კი გააკეთა შემდეგნაირად: მან ბრძანა ბანაკის ზემოთ ღრმა თხრილის ამოთხრა, რომელსაც მთვარის ფორმა ექნებოდა, რათა მდინარეს ზურგიდნ შემოეველო იმ ადგილისათვის, სადაც ბანაკი იდგა, თხრილით შემობრუნებული ძველი კალაპოტისაკენ, კვლავ ჩაეველო ბანაკისათვის და ძველ კალაპოტში ჩავარდნილიყო, ისერ რომ, რაკილა მდინარე ამნაირად შუაზე გაიყო, მისი ორივე ტოტი ადვილად გასავლელი გახდა. ზოგი კი სულაც იმას ამბობდა, რომ ძველი კალაპოტი სულაც გამშრალი იყო, მაგრამ მე ამას არ ვუშვებ, რადგან უკან რომ მოდიოდნენ, მაშინ როგორღა გადავიდოდნენ მდინარეზე?

76. როდესაც კროდსოსი მდინარეზე გადავიდა ჯართან ერთად, მიაღწია პტერიედ წოდებულ ადგილს კაპადოკიაში (ხოლო პეტრიე არის ამ ქვეყანაში ყელაზე უკეთ გამაგრებული ადგილი, იგი მდებარეობს ქალაქ სინოპეს ქვემოთ, ხოლო სინოპე ზედ ევქსინის პონტოსთან არის), აქ დაიბანაკა მან და დაარბია სირიელთა მიწები. პტერიელთა ქალაქი აიღო და დაიმონა, აიღო აგრეთვე მთელი მის ირგვლივ მდებარე ადგილებიც, ხოლო სრულიად უდანაშაულო სირიელები იქიდან აჰყარა. ხოლო კიროსმა შეაგროვა თავისი ლაშქარი, შემოიერთა ყველა ისინი, ვინც კი მათ შორის მოსახლეობდა და შემოხვდა კროდსოსს. ხოლო ვიდრე გამოიყვანდა ლაშქარს, გაუგზავნა იონიელებს მაცნეები და შეეცადა ისინი კროდსოსისათვის ჩამოეცილებინა. იონიელებმა არ დაუჯერეს; ხოლო კიროსი მოსვლისთანავე კროდსოსის პირდაპირ დაბანაკდა, მაშინ ისინი ერთმანეთს სასტიკად შეეჯახნენ პეტრიის მხარეში. სასტიკი ბრძოლა იყო და ორივე მხირდან ბევრი დაიღუპა, საბოლოოდ ვერც ერთმა მხრემ ვერ გაიმარჯვა და ღამე რომ დადგა, ერთმანეთს თავი ანებეს. ასე იბრძოდა ორი ბანაკი.

77. კროდსოსს საკმარისად არ მიაჩნდა თავისი ლაშქარი (რადგან მას ბევრად უფრო ნაკლები ჯარი ჰყავდა შეგროვილი, ვიდრეო კოროსის იყო), ამით იყო უკმაყოფილო და მეორე დღეს, რომ აღარ დაესხა თავს კიროსი, კროდსოსი წავიდა სარდემში; გუნებაში ჰქონდა დაემახებინა ეგვიპტელებისათვის ხელშეკრულების თანახმად (რადგან მოკავშირეობის საკითხი ამისისთან, ეგვიპტის მეფესთან, უფრო უწინ ჰქონდა მოგვარებული, ვიდრე ლაკედემონელებთან), მოიწვია ბაბილონელებიც (რადგან ესენიც მისი მოკავშირენი იყვნენ, ხოლო ამ დროს ბაბილონელების ტირანი იყო ლაბინეტოსი) და შეუთვალა ლაკედემოლებს, რომ ამასთან ყოფილიყვნენ დათქმულ დროს. მან შეაგროვა ესენი, თავის ჯარიც შეუერთა და იფიქრა, რომ ზამთარ მოიცდიდა და გაზაფხულის დადგომისთანავე გაილაშქრებდა სპარსელებზე. ამ განზრახვით სარდში მისვლისთანავე დაუგზავნა მაცნეები თავის მოკავშირეებს და შეუთვალა, რომ მეხუთე თვეზე შეკრებილიყვნენ სარდემში. იქ მყოფი ჯარი კი, რომლითაც ებრძოდა სპარსელებს და რომელიც უცხოელთაგან შედგებოდა, მთლიანად გაუშვა, რადგან არავითარ შემთხვევაში არ ეგონა, რომ კიროსი, რომელიც ბრძოლის დროს მის მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა, გაბედავდა და თავს დაესხმოდა სარდეს.

78. ასე რომ ფიქრობდა კროდსოსი, მთელი გარეუბანი გველებით აივსო. მათ გამოჩენისთანავე ცხენებმა დატოვეს საძოვრები, სადაც იმწყოსდნენ, მოვიდნენ და გველებს დაუწყეს ჭამა. კროდსოსმა ეს რომ დაიანხა, იფიქრა სასწაული არისო და ესეც იყო, მაშინვე გაგზავნა კაცები ღვთის განგების შესატყობად ტელემესელი განმარტელებლებისაგან. მივიდნენ მისნობისათვის და შეიტყვეს ტელემესელთაგან, თუ რას უნდა ნიშნავდეს სასწაული, მაგრამ ვეღარ მოხერხდა კროდსოსისათვის შეტყობინება. რადგან, ვიდრე ისინი უკან მოაღწევდნენ სარდემში, კროდსოსი უკვე დატყვევებული იყო. ტელემესელებმა კი შემდეგი გამოიცნეს კროდსოსისათვის ქვეყანაში უცხო ჯარია მოსალოდნელი და ეს ჯარი რომ მოვა, დაიპყრობს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რადგან ამბობენ, გველი მიწის შვილია, ხოლო ცხენი - მტერი და მომხდურიო. ტელემელებმა ასეთი პასუხი მისცეს კროდსოსს, რომელიც უკვე დატყვევებული იყო, მაგრამ მათ ჯერ არაფერი იცოდნენ არც სარდესა და არც თვით კროდსოსის შესახებ.

79. პტერიეში მომხდარი ბრძოლის შემდეგ, როგორც კი კროდსოსის წავიდა სარდემში, კიროსმა მაშინვე შიტყო, რომ კროდსოსი თავისი ჯარის გაშვებას აპირებს. მან იფიქრა და გადაწყვიტა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია სარდეზე რაც შეიძლება ჩქარა წასვლა, მანამ ვიდრე მეორედ შეგროვდება ლიდიელთა ჯარი. როგორც კი გადაწყვიტა, სასწრაფოდ სისრულეში მოიყვანა თავისი გადაწყვეტილება, გაგზავნა ლაშქარი ლიდიაში და თვითონ მივიდა კროდსოსთან ამ ამბის მოციქულად. მაშინ კროდსოსი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ყველაფერი იმის საწინააღმდეგოდ მოეწყო, ვიდრე თვითონ მოელოდა, მაგრამ მაინც დასძრა ლიდიელები საბრძოლველად. ამ დროს აზიაში არ იყო არც ერთი ხალხი ლიდიელებზე უფრო მხნე და მამაცი. ისინი იბრძოდნენ ცხენებზე ამხედრებული, ეჭირათ დიდი შუბები და საუკეთესო ცხენოსნები იყვნენ.

80. ჯარები შეიყარნენ დაბლობზე, რომელიც არის ქალაქ სარდეს წინ და რომელიც დიდია და ტრიალი (ამ დაბლობზე მიედინება სხვა მდინარეებიცა და მათ შორის ჰილოსიც, რომლებიც ერთვიან უდიდეს მდინარეს, მას კი ჰეროსი ეწოდება; ჰერმოსი მოედინება დედა დინდიმენეს 1 წმინდა მთიდან და ერთვის ზღვას ქალაქ ფოკადსთან). როგორც კი დაინახა კიროსმა საბრძოლველად დაწყობილი ლიდიელები, შეეშინდა ცხენოსანი ჯარისა და მიდიელი ჰარპაგოსის რჩევით ასე მოიქცა: რაც კი ჯარში სურსათითა და ბარგით დატვირთული აქლემები ჰყავდა, ყველას ერთად მოუყარა თავი, ჩამოხსნა ტვირთი და ზედ შესხა კაცები, ჩაცმული ცხენოსნის ტანსაცმელში. მოაწყო ისინი ასე და უბრძანა მათ დანარჩენი ჯარის წინ გაძლოლა კროსოსის ცხენოსანი ჯარის შესახვედრად, ბრძანა აქლემებს ქვეითი ჯარი მიჰყოლოდა, ხოლო ქვეითის შემდეგ მთელი ცხენოსნობა უნდა დაძრულიყო. როდესაც ყველანი მოეწყვნენ, კიროსმა დაარიგა ისინი, რომ ლიდიელთაგან არ დაინდონ არავინ და მოჰკლა ყოველი, ვინც კი, შემოხვდებათ, ხოლო თვით კროსოსი არ მოჰკლან, მაშინაც კი თუ დაჭერილი თავის დაცვას მოინდომებდა. ასე დაარიგა, ხოლო აქლემები ცხენოსან ჯარს შემდეგი მიზეზის გამო დაუპირისპირა: ცხენს ეშინია აქლემისა და ვერ იტანს ვერც მის შესახვედრობას და ვერც მის სუნს; ამ ხერხს სწორედ იმ მიზნით მიართა კიროსმა, რომ კროსოსის ცხენოსანი ჯარი გამოუსადეგარი გაეხადა, ხოლო ლიდიელს კი განსაკუთრებული იმედი სწორედ ამ ცხენოსნებისა ჰქონდა. შეიყარნენ თუ არა საბრძოლველად, ცხენებმა აქლემების სუნი იკრეს, დაინახეს ისინი, უკან გაბრუნდნენ და კროსოსს იმედიც გადაუწყდა. მაგრამ ლიდიელები ამის გამო არ შეშინებულან, არამედ როგორც შეამჩნიეს ის, რაც მოხდა, ჩამოხტნენ ცხენებიდან და ქვეითად შეეხებნენ სპარსელებს. შემდეგ, როდესაც ორივე მხრიდან ბევრნი დაეცნენ, ლიდიელები გაბრუნდნენ და ზღუდის იქით შემწყვდეულებს სპარსელებმა ალყა შემოარყტეს.

81. მათ ალყა შემოარტყეს, ხოლო კროსოსს ეგონა, რომ ალყა დიდხანს გაგრძელდებოდა და სიმაგრიდან ახლა სხვა მოციქულები გაგზავნა მოკავშირეებთან. რადგან უწინ გაგზავნილების პირით შეთვლილი ჰქონდა მოკავშირეებისათვის მეხუთე თვეზე შეყრა სარდესში. ესენი კი გაგზავნა იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოშველებოდნენ, რადგან ალყაშემორტყმული იყო.

82. კაცები დაგზავნა სხვა მოკავშირეებთანაც და ლაკედემონელებთანაც. სწორედ ამ დროს მოხდა ისე, რომ თვით სპარტელებს მტრობა ჰქონდათ არგოსელებთან იმ მხარის გამო, რომელსაც ეწოდება თირეე. ეს თირეე იყო არგოლიდის ნაწილი, ლაკედემონელებმა ჩამოაჭრეს ის და დაეპტრონენ. არგოსელებისა და არგოლიდის დასავლეთი ნაწილი მალეემდე, როგორც ხმელეთზე მდებარე ქვეყანა, ისე კუნძული კითერა და დანარჩენი კუნძულები. არგოსელებმა თავი გამოიდეს თავისივე ჩამოჭრილი ნაწილისთვის და როდესაც ორივე მოწინააღმდეგე მხარე ერთად შეიყარა, შეთანხმდნენ, რომ თითოეული მხარიდან იბრძოლებდა 300-300 კაცი და რომელი მხარედ აჯობებდა, მისი იქნებოდა ეს ქვეყანაც. ლაშქარი კი ბრძოლის დროს აქ არ უნდა დარჩენილიყო და უნდა წასულიყო, თითოეული თავთავის ქვეყანაში. ეს იმიტომ, რომ იქ მყოფ ლაშქარს არ დაენახა, რომ მეორე მხარეს სჯობნის მისიანებს და არ წაშველებოდა მას. შეთანხმდნენ ამაში და წავიდნენ, თითოეული მხრიდან დარჩნენ მხოლოდ რჩეულები, რომლებიც შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. ესენი იბრძოდნენ და იყვნენ თანაბარნი, ბოლოს ექვსასი კაციდან დარჩა სამი:

არგოსელთაგან ალკენორი და ქრომიოსი, ხოლო ლაკედემონელთაგან - ოთრიადესი. ე სენი იყვნენ დარჩენილნი, როდესაც დამე დადგა. ორნი არგოსელთაგან, როგორც გამარჯვებულები, გაიქცნენ არგოსში, ხოლო ლაკედემონელთაგან ოთრიადესმა აჰყარა იარაღი არგოსელთა გვამებს და წამოიღო თავის ბანაკში და დაიკავა იქ თავისი ადგილი. მეორე დღეს მოვიდნენ წასულები და შეიტყვეს ყოველივე. ჯერჯერობით თითოეული მხარე ამტკიცებდა, ჩვენ გავიმარჯვეთო, ერთნი ამბობდნენ, ეს იმიტომ, რომ ჩვენგან მეტნი გადარჩნენო, ხოლო მეორენი მიუთითებდნენ გაქცეულ მოწინააღმდეგეზე, მაშინ, როდესაც მათი მეზრძოლი დარჩა და გაძრცვა მტრის გვამები. იდავეს, იდავეს და ბოლოს მოხდა ისე, რომ კიდევაც შეეზრძოლნენ ერთმანეთს. ორივე მხრიდან ბევრი დაიღუპა და საბოლოოდ გაიმარჯვეს ლაკედემონელებმა. არგოსლები ამ დროიდან იკრეჭენ თავს, უწინ კი აუცილებლად გრძელი თმები ჰქონდათ; ახლა მათ დააწესეს და ფიცი დასდეს, რომ არგოსელ მამაკაცთაგან არავინ მოიზრდისო თმას, ხოლო არგოსელ ქალთაგან არავინ ატარებს ოქროს სამკაულებს მანამ, ვიდრე თირეეს არ დაიბრუნებენ. ხოლო ლაკედემონელებმა ამის საწინააღმდეგე რამ დააწესეს: რაკილა აქამდე ისინი არ ატარებდნენ გრძელ თმებს, სამაგიეროდ ახლა გადაწყვიტეს გრძელი თმების მოშვება. ამბობენ, რომ იმ ერთს, რომელიც გადარჩა 300-დან, ოთრიადესს, შერცხვა სპარტაში დაბრუნება, მაშინ როცა მისი თანამოზრძელები დაიღუპნენ და მან თვითონ მოიკლა თავი თირეეში.

83. ამ დღეში იყვნენ სპარსელები, როდესაც მოვიდა მათთან სარდელი მაცნე და ითხოვა, რომ მიშველებოდნენ ალყაშემორტყმულ კროძოსს. როდესაც ეს შეიტყვეს მაცნეთაგან, მათ მოინდომეს შველა, მაგრამ როცა უკვე მოეწყვნენ სალაშქროდ და ხომალდებიც გაამზადეს, მოვიდა სხვა ცნობა, რომ ლიდიელთა სიმაგრე აღებულია და კროძოსიც ტყვედ არის ჩავარდნილი. ამრიგად სპარტელებმა შეწყვიტეს სამზადისი, რაკი ეს დიდი უბედურება დაატყდათ თავს.

84. ხოლო სარდე ასე აიღეს: როდესაც დადგა მეთოთხმეტე დღე, რაც კროძოსს ალყაშემორტყმული იყო, კიროსმა თავის ლაშქარში გაგზავნა მხედრები და შეუთვალა, ვინც პირველი ავიდოდა ზღუდეზე, მას საჩუქარს მისცემდნენ. ამის შემდეგ მთელი ლაშქარი შეეცადა ზღუდეზე ასვლას, მაგრამ ვერავინ მოახერხა; მაშინ, როდესაც სხვებმა თავი ანებეს, ერთი მარდი, რომელსაც ერქვა ჰიროდადესი, შეეცადა ასვლას აკროპოლისის იმ ადგილას, სადაც დარაჯად არავინ იდგა, დარაჯი კი იმიტომ არ იდგა, რომ არ იყო საშიში, ოდესმე ვინმეს აელო ეს ადგილი, რაკილა აკროპოლისი აქ ციცაბო და მიუვალი იყო. მხოლოდ ამ ადგილზე არ გაატარა მელესმა, სარდეს პირველმა მეფემ, ლომი, რომელიც მას ხასამ უშვა: ხოლო ტელმესელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ლომს თუ შემოატარებდნენ ზღუდეს, სარდე აუღებელი იქნებოდა. მელესმა ლომი მთელი ზღუდის ირგვლივ შემოატარა, სადაც აკროპოლისის ადგილები იოლად მისასვლელი იყო. ეს ადგილი ქალაქ ტმოლოსისაკენ არის მიმართული. ამ ჰიროდადესმა, მარდმა, წინაღლით დაინახა, რომ რომელიღაც ლიდიელი ჩამოვიდა აკროპოლისიდან სწორედ ამ ადგილას მუზარადისათვის, რომელიც ზემოდან ჩამოუგორდა და აიღო. დაინახა ჰიროდადესმა და დაიხსომა. მეორე დღეს კი თვითონ ავიდა ამ ადგილას და სხვა სპარსელებიც ავიდნენ. ბევრი სპარსელი დაესხა თავს სიმაგრეს. ასე აიღეს სარდე და გაანადგურეს მთელი ქალაქი.

85. ამასობაში კროდოსს შემდეგი შეემთხვა: მას ჰყავდა შვილი, რომელიც უწინაც მოვიხსენიე, სხვაფრივ ღირსეული, მხოლოდ მუნჯი. განვლილი ბედნიერების დროს კროდოსმა ყველაფერი გააკეთა მისთვის, ყოველმხრივ ზრუნავდა მასზე და სხვათა შორის დელფოშიც გააგზავნა კაცები მის შესახებ მისნობის შესატყობად. ხოლო პითიამ მას შემდეგი უთხრა: "წარმოშობით ლიდიელი, მრავალთა მეფე, ბრიყვო, კროდოს, ნუ მოინდომებ, რომ შენს სახლში მოისმინო დიდი სასურველი ხმა შენი ალაპარაკებული შვილისა. შენთვის ბევრად უმჯობესია ის ისეთივე დარჩეს, რადგან ხმას იგი პირველად უბედურ დღეს ამოიღებს". როდესაც სიმაგრეს იღბდნენ, ერთმა სპარსელთაგანმა, ვერ იცნო კროდოსი და გაემართა მის მოსაკლავად. ხოლო კროდოსი ხედავდა მისკენ მომავალ სპარსელს და თავსდატეხილი უბედურების გამო მას ყურადღებას არ აქცევდა, არც ის ენაღვლებოდა, რომ მას დაარტყამდნენ და მოჰკლავდნენ. ხოლო ამ მუნჯმა შვილმა, როგორც დაინახა თავდამსხმელი სპარსელი, საშინელი შიშისაგან უეცრად ამოიღვა ენა და თქვა: "კაცო, ნუ ჰკლავ კროდოსს". მან პირველად ახლა ამოიღო ხმა და ამის შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ლაპარაკობდა.

86. სპარსელებმა სარდე აიღეს და თვით კროდოსი ტყვედ ჩაიგდეს. კროდოსი 14 წელიწადს მეფობდა, 14 დღე იყო ალყაშემორტყმული და მისნობის მიხედვით თვითონ მოულო ბოლო თავის დიდ სახელმწიფოს. სპარსელებმა შიპყრეს იგი და წაიყვანეს კიროსთან. მან დიდი კოცონი დაანთებინა და მასზე ააყვანინა ბორკილებშეყრილი კროდოსი და მასთან ერთად შვიდი წყვილი ლიდიელი ყრმა. კიროსს გუნებაში ან ის ჰქონდა, რომ შეეწირა რომელიმე ღმერთთაგანისათვის ეს პირველი ნადავლი, ან უნდოდა შეესრულებინა რაღაც აღთქმა, ან იცოდა, რომ კროდოსი ღვთისმოსავი იყო და იმისი გულისათვის ააყვანინა კოცონზე, რომ უნდოდა ენახა, რომელიმე დემონთაგანი თუ შეეცდებოდა, რომ იგი არ დამწყვარიყო და გადარჩენილიყო. მან ეს გააკეთა, ხოლო კროდოსს, რომელიც კოცონზე იდგა, მოაგონდა, ამოდენა უბედურებაში რომ იყო, სოლონის ნათქვამი, თითქოს ღვთის მიერ შთაგონებული, რომ არავინ არის ცოცხალთა შორის ბედნიერი. მას რომ ეს გაახსენდა, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამოიოხრა, დაიკვნესა და სამჯერ დაიძახა "სოლონ". ხოლო კიროსმა რომ გაიგონა, უბრძანა თარჯიმნებს შეჰკითხოვდნენ კროდოსს, თუ ამას ვის ეძახის, ესენიც მივიდნენ და შეკითხნენ. რომ ეკითხებოდნენ, კროდოსი ჯერ ჩუმად იყო, ხოლო შემდეგ, რომ აიძულეს, თქვა: "მე დიდ ქონებას გავიღებდი იმისათვის, რომ მას ესაუბრა ყველა ტირანთან", რადგანაც კროდოსი მათ გაურკვეველად ელაპარაკებოდა, კვლავ შეეკითხნენ, რას ამბობო. რაკი სპარსელები ჩააცივდნენ და ძალიან შეაწუხეს, კროდოსმა უამბო, თუ როგორ მოვიდა მასთან თავდაპირველად ათენელი სოლონი, დაათვალიერა მთელი მისი სიმდიდრე და ასე ვთქვათ, არაფრად ჩააგდო; რომ მას ყოველივე აუხდა, რაც კი სოლონმა თქვა და არა მხოლოდ პირადად მის შესახებ თქმული, არამედ ადამიანთა მთელი მოდგმისა და განსაკუთრებით მათ შესახებ, ვისაც თავი მათ შორის ბედნიერად მიაჩნდა. კროდოსი ამას მოუთხროდა, ხოლო კოცონი უკვე ანთებული იყო და ნაპირებს ეკიდა. კიროსმა მოისმინა თარჯიმანთაგან ის, რაც კროდოსმა თქვა, დაუფიქრდა და ინანა, რომ თვითონ ადამიანია და სხვა ადამიანი, მასზე არანაკლებ ბედნიერი, ცოცხლად ცეცხლს უნდა მისცეს. ამას გარდა კიროსს შეეშინდა სამაგიეროს მიზღვის და განსაჯა, რომ არაფერი არის მკვიდრი ადამიანისთვის. მან განკარგულება გასცა, რომ სასწრაფოდ ჩაეჭროთ ანთებული ცეცხლი და ჩამოეყვანათ იქიდან კროდოსიცა და

ისინიც, ვინც მასთან ერთად იყვნენ. სპარსელები შეეცადნენ ჩაქრობას, მაგრამ ცეცხლს ვერ აჯობეს.

87. როგორც ლიდიელები ამბობენ, კროდოსმა როცა შეიტყო, რომ კიროსმა გადაიფიქრა მისი დაწვა და დაინახა, რომ ამოდენა ხალხი აქრობს ცეცხლს, მაგრამ ვერ ახერხებს მის დაძლევას, მოუწოდა და შეღალადა აპოლონი: თუ რაიმემ მისმა მიძღვნილმა ოდესმა ასიამოვნა აპოლონი, მოვიდეს და იხსნას იგი თავსდატეხილი ბოროტებისაგან. იგი მომტირალი მოუწოდებდა ღმერთს, ხოლო ამ დროს ნათელი, წყნარი ამიდნი შეიცვალა, გაჩნდა უცებ ღრუბლები და ქარიშხალი ამოვარდა, წამოვიდა ძლიერი წვიმა და ჩააქრო კოცონი. ეგრე შეიტყო კიროსმა, რომ კროდოსი ყოფილა ღმერთებისთვის სასურველი და კეთილი კაცი, ჩამოაყვანინა იგი კოცონიდან და შეეკითხა: ”კროდოსო, რომელმა ადამიანმა ჩაგაგონა ჩემს ქვეყანაზე საომრად წამოსვლა და ჩემს მტრად გახდომა იმის მაგივრად, რომ მეგობარი გამხდარიყავი?” კროდოსმა უპასუხა: ”მეფეო, მე გავაკეთე ეს შენდა სასიკეთოდ და ჩემდა საუბედუროდ. ხოლო ამის მიზეზი იყო ელინთა ღმერთი, რომელმაც წამაქეზა სალაშქროდ. არავინაა ისე უგუნური, რომ ომი ერჩივნოს მშვიდობიანობას. მშვიდობიანობის დროს შვილები მარხავენ მამებს, ხოლო ომის დროს მამები შვილებს. მაგრამ ჩანს, დემონებს სურდათ, რომ ეს ასე ყოფილიყო”.

88. მან ეს თქვა, ხოლო კიროსმა იგი შეახსენებინა, გვერდით მოისვა და ძალიან დიდი ზრუნვით ეკიდებებოდა. უყურებდა მას კიროსი და თვითონაც უკვირდა და ყველა მათაც, ვინც მასთან იყვნენ. ხოლო კროდოსი დაღონებული იყო, და ჩუმად იჯდა. შემდეგ შებრუნდა და დაინახა, რომ სპარსელები ლიდიელთა ქალაქს ანადგურებდნენ და უთხრა: ”მეფეო, გითხრა თუ არა შენ, რასაც ვფიქრობ, თუ ჩუმად ყოფნა მმართველს შენთან?” კიროსმა გაამხნევა და უბრძანა, ეთქვა, რაც კი უნდოდა. კროდოსი მას შეეკითხა: ”ეს ამოდენა ხალხი რასაა, რომ ასეთი მონდომებით აკეთებს?” კიროსმა უპასუხა: ”შენს ქალაქს არბევს და შენს ქონებას იტაცებს”. ხოლო კროდოსმა მიუგო: ”ეგენი არც ჩემს ქალაქს არბევენ და არც ჩემს ქონებას, რადგან აღარაფერია ამათგან ჩემი. მაგათ შენი ქონება მიაქვთ და შენსას ეზიდებიან”.

89. კიროსი დაადარდიანა იმან, რაც მას კროდოსმა უთხრა. მოიშორა სხვები და ჰკითხა კროდოსს, თუ რას ხედავს საგანგებოს იმაში, რაც ხდება. კროდოსმა უთხრა: ”მას შემდეგ, რაც ღმერთებმა შენ ჩემი თავი მონად მოგცეს, სამართლიანად მიმაჩნია, თუ რასმე შენზე უკეთ ვხედავ, მიგითითო შენ. სპარსელები ბუნებით ამაყები არიან და ღარიბები. თუ შენ არ მიაქცევ ყურადღებას მათ, რომ არბევენ და ხელში იგდებენ დიდ ქონებას, ამას, ალბათ, შენთვის შედეგი მოჰყვება: უნდა მოელოდე, რომ ის, ვინც მათგან ყველაზე მეტს ჩაიგდებს ხელში, შენს წინააღმდეგ გამოვა. ახლა, თუ კი ჰკუაში დაგიჯდება ჩემი ნათქვამი, ასე მოიქეცი: ყველა ბჭესთნ დააყენე შუბოსანი დარაჯები, რომლებიც ჩამოართმევენ ქონებას მათ, ვისაც გააქვს და ეტყვიან, თითქოს აუცილებელია გადასახადის აკრეფა მეათედის რაოდენობით ზევსისათვის შესაწირავად. ამრიგად შენ მათ არ შესძულდები, რადგან ძალით არ წაართმევ ქონებას, ისინი დაგეთანხმებიან, რომ შენ სამართლიანად იქცევი და ნებაყოფლობით მოგცემენ შენსასვე უკან”.

90. მოისმინა ეს კიროსმა და დიდად ეამა, რადგანაც რჩევა მოეწონა. მან დიდად შეაქო კროსოსი და უბრძანა შუბოსნებს, კროსოსის რჩევა შეესრულებინათ. ხოლო კროსოსს ასე მიმართა: "კროსოს, რაკილა შენ, მეფე კაცი მზად ხარ კარგი საქმე აკეთო და კეთილი რჩევა მომცე, მომთხოვე საჩუქარი, განსაკუთრებით მასიამოვნებ, თუ ებას დამრთავ, რომ ელინთა ღმერთს, რომელსაც მე ღმერთთა შორის განსაკუთრებულ პატივს ვცემდი, გავუგზავნო ეს ბორკილები და შევეკითხო - ნუთუ წესად აქვს მას მოტყუება იმისა, ვინც მას კარგს უკეთებს". კიროსი შეეკითხა, ამას რომ თხოულობს, რაში ადანაშაულებს ღმერთს. ხოლო კროსოსმა მოუთხრო მას ყველა თავისი განზრახვის შესახებ, მისნობის პასუხები და განსაკუთრებით კი თავისი შეწირულების ამბავი - და ისიც, როგორ წააქეცა ის ღმერთმა თავისი მისნობით სპარსელთა წინააღმდეგ სალაშქროდ. უთხრა ეს და მიმართა კვლავ თხოვნით, შემადლებინე ღმერთს ეს ვუსაყვედუროო. კიროსმა გაიცინა და უთხრა: "ამასაც გამაკეთებინებ, კროსოს, და სხვა ყველაფერსაც, რასაც კი მთხოვ". როგორც კი ეს მოისმინა კროსოსმა, გაგზავნა ლიდიელთაგან კაცები დელფოში და უბრძანა მათ, დაედოთ ბორკილები ტაძრის ბჭესთან და შეჰკითხოვოდნენ ღმერთს, არა სცხვენია, რომ მისნობით წააქეზა კროსოსი სპარსელების წინააღმდეგ სალაშქროდ, და აღუთქვა კიროსის ძლიერების დამხობა, რისი პირველი ნაყოფის ესაა და ამასთანავე ეჩვენებინათ ბორკილები. გარდა ამისა უნდა შეჰკითხოვოდნენ ელინთა ღმერთებს, წესად ხომ არა გაქვთ უმადურობაო.

91. დელფოში მოსულმა ლიდიელებმა თქვეს ის, რაც ნაბრძანები ჰქონდათ და ამბობენ, რომ პითიამ უთხრა მათ შემდეგი: "ღმერთისათვისაც კი შეუძლებელია გაექცეს იმას, რაც უწერია. კროსოსს მეხუთე თაობის ცოდვა ეწია: მისი წინაპარი იყო ჰერაკლიდთა შუბოსანი, რომელმაც ცბიერ ქალს გაუგონა, მოჰკლა თავისი ბატონი და ხელთ იგდო მისი ადგილი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ლოქსიესს ძალიან უნდოდა, რომ კროსოსის შვილების დროს მომხდარიყო სარდეს დამარცხება, და არა თვით კროსოსის დროს, მაგრამ არ შეიძლებოდა ბედისწერისათვის გვერდის ავლა. რამდენადაც ბედისწერა ამის საშუალებას იძლეოდა, ლოქსიესმა ის მის სასარგებლოდ წარმართა: სამი წლით გადასდო სარდეს ალბა, და დეე იცოდეს კროსოსმა, რომ ამდენივე წლით გვიან მოხდა მისი შეპყრობა, ვიდრე მას წერა. მეორე, რაც მისთვის გააკეთა ლოქსიესმა, ისაა, რომ, იგი გადააჩინა დაწვისაგან. ყველაფერი მოხდა მისნობის თანახმად, ხოლო კროსოსი მართალი არაა, როცა ჰყვედრის ღმერთს, რადგან ლოქსიესმა უწინასწარმეტყველა მას, რომ თუ ილაშქრებს სპარსელებზე, იგი დაამხოვს დიდ სახელმწიფოს. ამიტომ ის კარგად უნდა დაფიქრებულიყო და სამისნოში კიდევ გაეგზავნა კაცი და შეჰკითხოვოდა, ამ ორი სახელმწიფოდან რომელს ეხებოდა ნათქვამი, მის სახელმწიფოს, თუ კიროსისას?

კროსოსმა ვერ გაიგო წინასწარმეტყველება და აღარც იკითხა განმეორებით, ამიტომ თავისთავს დააბრალოს, რაც მოხდა და ბოლოს, როდესაც კროსოსი შეეკითხა მისნობას, ვერც ის გაიგო, რაც უთხრა მას ლოქსიესმა ჯორის შესახებ. ეს ჯორი ხომ კიროსი იყო: იგი გაჩენილია ორი ისეთი ადამიანისაგან, რომლებიც ერთ ტომს არ ეკუთვნიან: დედა ეკუთვნის უკეთესს, ხოლო მამა - უარესს. მისი დედა იყო მიდიელი, მიდიელთა მეფის, ასტიაგესის ასული; ხოლო მამა იყო სპარსელი, რომელიც მიდიელთა ქვეშევრდომად ითვლებოდა და იგი ყოველმხრივ დაბლა იდგა თავის ქალბატონზე, რომელთანაც ცხოვრობდა". ეს უპასუხა პითიამ ლიდიელებს,

რომლებმაც სარდელში ჩამოიტანეს პასუხი და გამოუცხადეს კროძოსს. მან მოისმინა და აღიარა, რომ თვითონ არის დამნაშავე და არა ღმერთი.

92. ასეთი იყო კროძოსის სახელმწიფო და იონიის პირველი დამორჩილებაც ასე მოხდა. კროძოსს ელადაში სხვა შეწირულებაც ბევრი ჰქონდა და არა მხოლოდ ის, რომელთა შესახებაც უკვე ვთქვი. ასეთებია: ბეოტიელთა თებეში - ოქროს სამფეხი, რომელიც შესწირა აპოლონ ისმენიოსს, ეფოსში - ოქროს ძროხები და სვეტთა უმრავლესობა, ათენა - პრონეეს ტაძარში, რომელიც დელფოშია, ოქროს დიდი ფარი. ესენი ჩვენს დრომდე იყო, ნაწილი შეწირულებისა კი განადგურდა, როგორც მე შევიტყვე, კროძოსის შეწირულება მილეტელთა ბრანქიდესათვის იმავე წონისაა და იმის მსგავსია, რაც არის დელფოში. ნივთები, რაც შესწირა დელფოს და ამფიარეოსის ტაძარს, მისი საკუთარი იყო, ანდა საუკეთესო ნაწილი იყო მამისეული ქონებისა, ხოლო სხვა შეწირულებები მან მტრის ქონებიდან გაიღო: ეს კაცი, ვიდრე გამეფდებოდა კროძოსი, მისი მოწინააღმდეგე იყო და ეშველებოდა პანტალეონს, რომ ის გამხდარიყო ლიდიელთა მმართველი. ხოლო პანტალეონი იყო ალიატესის შვილი, კროძოსის ძმა, მხოლოდ დედით სხვა, კროძოსი ჰყავდა ალიატესს კარიელი ქალისაგან, ხოლო პანტალეონი - იონელი ქალისაგან. შემდეგ, როდესაც მამის მიერ გადაცმული ძალაუფლება კროძოსმა მოსათელ საჩეჩელზე ათრევიანა და ისე დაღუპა, ხოლო მისი ქონება, რომელიც ჯერ კიდევ უწინ აღუთქვა, შესწირა ნახსენებ სამისნოებს, იმგვარად, როგორც ვთქვით. აი, ამდენი უნდა ითქვას შეწირულებათა შესახებ.

93. ლიდის ქვეყანაში საოცრებანი, აღსაწერად რომ ღირდეს, არც იმდენია, როგორც სხვა ქვეყნებში, გარდა ოქროს ქვიშისა, რომლებიც ტმოლოსიდან ჩამოაქვს წყლებს. ამას გარდა, კიდევ ერთი უდიდესი ნამუშევარი აქვთ ლიდიელებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეგვიპტელთა და ბაბილონთა ნამუშევრებს. აქ არის კროძოსის მამის, ალიატესის საფლავი, რომლის საფუძველი დიდი ქვებისაგან არის ნაკეთები, ხოლო დანარჩენი საფლავი წარმოადგენს მიწაყრილს. მას ეს საფლავი გაუკეთეს ვაჭრებმა, ხელოსნებმა და მეძავმა ქალებმა. ჯერ კიდევ ჩემს დრომდე საფლავზე ხუთი სასაზღვრო ნიშანი იყო აღმართული, რომლებზედაც წარწერები იყო ამოკვეთილი, იმის შესახებ, თუ თითოეულმა ამათგანმა რა გააკეთა. როცა გაზომეს, აღმოჩნდა, რომ საფლავის უმეტესი ნაწილი ამ ქალებს გაუკეთებიათ. ლიდიელი ხალხის ასულები ყველანი ეწევრიან მეძაობას და ამით იგროვებენ მზითევს. ასე იქცევიათ ისინი, ვიდრე გათხოვდებიან და თვითონ ითხოვებენ თავს. საფლავის გარშემოწერილობა 6 სტადიონი და 2 პლეთრონია, ხოლო მისი სიგანე არის 13 პლეთრონი. საფლავთან არის დიდი ტბა, რომლის შესახებაც ლიდიელები ამბობენ, რომ უშრეტელიაო. მას გიგესის ტბა ეწოდება. ესეც ასერ არის.

94. ლიდიელებს ელინების მსგავსი წესები აქვთ, იმის გამოკლებით, რომ ლიდიელები მეძავებად აქცევენ თავის ქალიშვილებს. ადამიანთა შორის ლიდიელები პირველები არიან, ვინც კი ჩვენ ვიცით, რომლებმაც მოსჭრეს და გამოიყენეს ოქროსა და ვერცხლის ფული. ესენი იყვნენ პირველი წვრილვაჭრები. ლიდიელები ამბობენ, რომ მათ, ისევე როგორც ელინები თამაშობანი, მათი გამოგონილია. ამბობენ, რომ ეს გამოიგონეს მამინ, როდესაც ტირსენიე დაასახლეს. ხოლო ამის შესახებ შემდეგს ჰყვებიან: მანესის ძის, ატისის მეფობის დროს მთელ ლიდაში საშინელი პურის ნაკლებობა იყო, ლიდიელები ერთხანს ითმენდნენ, ხოლო შემდეგ, რადგანაც არ

გათავდა ეს შიმშილობა, გამოსავალს ეძებდნენ, ზოგი რას იგონებდა და ზოგი რას. მაშინ იქნა გამოგონილი კამათლის, ზარის, ბურთისა და ყველა სხვა სათამაშოების სახეები, გარდა კოჭებისა; აი, ამის აღმოჩენას ლიდიელები არ იჩემებენ. შიმშილის წინააღმდეგ გამოიგონეს ეს და შემდეგნაირად იქცეოდნენ: ორი დღიდან ერთს მთლიანად თამაშობაში ატარებდნენ, რათა არ მოსდომებოდათ საჭმელი, ხოლო მეორე დღეს თავს ანებებდნენ და სჭამდნენ. ასე გაატარეს მათ 2 წელ ნეკლებ 20. მაგრამ გაჭირვება მაინც არ შენელებულა, ის კი არა, უფრო მეტად გამძაფრდა. ამიტომ მათმა მეფემ ყველა ლიდიელი ორ ნაწილად გაჰყოფა კენჭი ხვდა მხოლოდ ერთს, ხოლო მეორე ნაწილს ერგო ქვეყნიდან წასვლა. იმ ნაწილს, რომელსაც წილად ხვდა დარჩენა, ის თვითონ დაუდგა მეფედ, ხოლო იმას რომელიც უნდა წასულიყო, მან მეფედ დაუყენა თავისი შვილი, სახელად ტირსენოსი. ის ნაწილი, რომელსაც ერგო ქვეყნის დატოვება, წავიდა სმირნეში და ააგო იქ ხომალდები, დააწყო ზედ ყოველივე, რაც კი ესაჭიროებოდა ცურვისათვის და გასცურა სარჩოსა და მიწის საძებრად. მათ ბევრ ხალხს ჩაუარეს და მივიდნენ ომბრიკებამდე. აქ მათ დაარსეს ქალაქები და აქვე ცხოვრობენ დღემდე. ლიდიელების ნაცვლად მათ ახალი სახელი დაირქვეს იმ მეფის ძის მიხედვით, რომელმაც ისინი თავის ქვეყანაში წამოიყვანა. მისი სახელწოდების მიხედვით იწოდებიან ისინი ტირსენებად. აი, ამგვარად დაიმონეს ლიდიელები სპარსელებმა.

95. ამიერიდან ჩვენი თხრობა შეეხება კიროსს (რომელმაც დააქცია კროძოსის საგამგებლო) და სპარსელებს, მოგიტხრობთ, როგორ გაბატონდნენ ისინი აზიაში. მე დავწერ იმის მიხედვით, რასაც ზოგიერთი სპარსელი გადმოგვცემს, ვისაც არ სურს კიროსის შესახებ ამბების გაზვიადება (ისინი მოგვითხრობენ მხოლოდ ნამდვილად მომხდარ ამბებს), თუმცა ვიცი კიროსის შესახებ არსებულ მოთხრობათა სამი სხვა ვარიანტიც. ასირიელები განაგებდნენ ასიის ზემოთა ნაწილს დაახლოებით 520 წელს. პირველად მიდიელები განუდგნენ მათ. ესენი თავისუფლებისათვის ებრძოდნენ ასირიელებს, კარგი ვაჟკაცები იყვნენ, გადაიგდეს მონობის უღელი და განთავისუფლდნენ კიდევ. ამის შემდეგ სხვა ხალხებმაც მიდიელებს მიჰბამეს.

96. აზიაში მცხოვრები ყველა ტომი დამოუკიდებელი იყო, მაგრამ მალე ისევ ტირანის ხელქვეითი გახდა და აი როგორ: მიდიელებში იყო ბრძენი კაცი, რომელსაც ერქვა დეიოკესი, ფრაორტესის ძე. ამ დეიოკესს ძალიან უნდოდა ტირანობა და ასე მოიქცა: მიდიელები ცხოვრობდნენ სოფლებში, დეიოკესი თავის სოფელში უწინაც საკმაოდ ცნობილი იყო, ახლა კი განსკუთრებით ზრუნავდა იმისათვის, რომ სამართალი დაემყარებინა. და ის ამას აკეთებდა, მაშინ როდესაც მთელ მიდიაში დიდი უკანონობა სუფევდა; მან იცოდა, რომ უსამართლობა მტერია სამართლიანობისა. ასეთი ქცევისათვის მისმა თანასოფლელმა მიდიელებმა იგი თავის მოსამართლედ აირჩიეს. ხოლო დეიოკესი, რაკილა ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა, პირდაპირი და სამართლიანი იყო. იგი რომ ასე იქცეოდა, არც თუ მცირე ქებას ღებულობდა თავის თანასოფლელთაგან, ისე რომ სხვა სოფლების მოსახლეობამაც შეიტყო, რომ დეიოკესი არის ერთადერთი მართლად გამრიგე კაცი; და რაკი უწინ მათი საქმეები უსამართლოდ განიხილებოდა, ამიტომ როდესაც გაიგონეს მათ დეიოკესის შესახებ, სიამოვნებით მიაშურეს მას საქმის გასარჩევად და საბოლოოდ უკვე არავის სხვას არ მიმართავდნენ.

97. სულ მატულობდა მათი რიცხვი, ვინც მასთან მიდიოდა, რადგან ხალხს სჯეროდა, რომ იგი სამართალს პატიოსნად სჯიდა. დეიკესმა დაინახა, რომ ყოველივე მასზეა დამოკიდებული და არც დაჯდომა მოინდომა იქ, სადაც უწინ უჯდა და განსჯიდა ხოლმე და ისიც თქვა, რომ მეტს აღარ იმოსამართლეებს, რადგან არაა მისთვის სასარგებლო, რომ თავისი თავისათვის არ იზრუნოს და მოყვასისათვის კი მთელი დღის განმავლობაში იმოსამართლოს. ყაჩაღობამ და უკანონობამ ბევრად უფრო იმატა სოფლებში, ვიდრე უწინ იყო. ამიტომ შეიკრიბნენ მიდიელები და მსჯელობდნენ ერთმანეთში; შემდეგ ილაპარაკეს შექმნილ ვითარებათა შესახებ (მე ვფიქრობ, რომ განსაკუთრებით დეიოკესის მეგობრებმა ილაპარაკეს): "ამგვარ ვითარებაში შეუძლებელია ამ ქვეყანაში ცხოვრება, ამიტომ დავიყენოთ ჩვენ თვითონ მეფე. მაშინ ჩვენ ქვეყანაში კანონების კარგი იქნება, თვითონ ჩვენც საქმესაც მივხედავთ და არც სამშობლოს მიტოვება მოგვიხდება უკანონობის გამო". ამას ლაპარაკობდნენ და დაირწმუნეს თავი, რომ მეფეს დამორჩილებოდნენ.

98. შემდეგ, როდესაც ირჩევდნენ, თუ ვინ უნდა დააყენონ მეფედ, დეიოკესი აღმოჩნდა ყოველი კაცის მიერ წამოყენებული და დიდად შექებული; ბოლოს ისინი შეთანხმდნენ, რომ დეიკესი იქნებოდა მათი მეფე. დეიოკესმა უბრძანა მათ, აეგოთ მათ მისთვის სამეფო ღირსების შესაფერისი სახლი და შუბოსნები მიეცათ მისთვის მცველებად. მიდიელებმა გაუკეთეს ეს: აუგეს მას დიდი და მაგარი სახლი, ქვეყნის იმ ადგილას, რომელიც მან თვითონ მოინდომა და მისცეს ნება, გამოერჩია შუბოსნები მიდიელთაგან. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე დეიოკესმა აიძულა მიდიელები, შეექმნათ ერთი ქალაქი და იგი დაეცვათ, ხოლო სხვებზე ნაკლებად ეზრუნათ. მიდიელები დაყაბულდნენ ამაზე და ააგეს დიდი და მაგარი ზღუდეები (რასაც ახლა აგბატანა ეწოდება). ისე რომ ერთი ზღუდე მეორეში მრგვალად იყო ჩადგმული. ისე იყო ეს ციხესიმაგრე გაკეთებული, რომ ერთი წრე მეორეზე უფრო მაღალი იყო მხოლოდ ბასტიონებით. ამ გარემოებას ზოგან თვითონ ადგილი შველოდა, რომელიც ბორცვებიანი იყო, ხოლო ზოგან კი ეს ხელოვნურად გააკეთეს. წრე სულ შვიდი იყო, ხოლო უკანასკნელში იყო მეფის სასახლე და საგანძურები. მათ შორის უდიდესი ზღუდე არის სიდიდით ათენის ირგვლივ რომ კედელია, დაახლოებით იმოდენა. პირველი წრის ბასტიონები არის თეთრი, მეორისა შავი, მესამე წრისა - მიწისფერი, მეოთხისა - ლურჯი, მეხუთისა - ღია წითელი. ყველა წრის ბასტიონები ეგრე იყო შეღებილი წამლით, ხოლო ორი უკანასკნელიდან ერთს ბასტიონები მოვერცხლილი აქვს, მეორეს კი მოოქრული.

99. ეს ზღუდე დეიოკესმა თავისთვის აიგო საკუთარი სახლის ირგვლივ, ხოლო დანარჩენ ხალხს უბრძანა ზღუდის გარშემო დასახლებულიყვნენ. როდესაც ყველაფერი ააგეს, დეიოკესი პირველი იყო, რომელმაც შემდეგი წესი დაამყარა: ვერც ვერავინ შევიდოდა მეფესთან, მოციქულების საშუალებით უნდა მოეგვარებინათ ყოველივე საქმე და არც არავის უნდა შეეხებინა მეფისათვის, ამას გარდა, სიცილი და ფურთხება მეფის წინ ყველასათვის სამარცხვინოდ ითვლებოდა. იმისათვის განიდიდა მან თავისი თავი ამნაირად, რომ მის ტოლებს (რომლებიც მასთან ერთად იყვნენ შეზრდილი, არც მასზე უარესი ოჯახებიდან იყვნენ და არც ადამიანური ღირსებებით ჩამორჩებოდნენ მას) არ ენახათ ხოლმე იგი, არ გაჯავრებულიყნენ მასზე და ბოროტი არ განეზრახათ მის წინააღმდეგ. ხოლო რაკილა ვერ ნახავდნენ, იფიქრებდნენ, რომ იგი განსხვავებულია მათგან.

100. მას მერე, რაც მან ეს მოაწყო და განამტკიცა ტირანია, სამართლის ძალიან მკაცრი დამცველი აღმოჩნდა. საჩივრებს სწერდნენ და მას შეუგზავნიდნენ ხოლმე. იგი არჩევდა და შემომტანებს უკან ატანდა. ასე იქცეოდა იგი საჩივრების მიმართ, ხოლო სხვა ამბები მას შემდეგნაირად ჰქონდა მოგვარებული: თუ შეიტყობდა, რომ ვინმე რასმე აშავებს, მაშინ გამოიძახებდა მას და თითოეულს შესაფერისად მიუსჯიდა დანაშაულის მიხედვით. ხოლო მეთვალყურენი და ენის მიმტანნი ჰყავდა მას მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი განაგებდა.

101. დეიოკესმა მიდიელი ხალხი გააერთიანა და მას მართავდა. ხოლო მიდიელთა ტომები არიან: ბუსები, პარეტაკენები, სტრუქტურები, არიმანტები, ბუდიები, მოგვები. აი, ამდენია მიდიელთა ტომები.

102. დეიოკესის შვილი იყო ფრაორტესი, რომელმაც მიიღო მმართველობა მამის შემდეგ, მამა კი მეფობდა 53 წელს. ფრაორტესმა დაიმკვიდრა მმართველობა, მაგრამ არ იმყოფინა მხოლოდ მიდიელების მართვა და ილაშქრა სპარსელთა წინააღმდეგ. სპასელები პირველები იყვნენ, ვისც ის თავს დაესხა და პირველები იყვნენ, ვინც მან მიდიელების ქვეშევრდომებად გაიხადა. ხოლო შემდეგ, როდესაც მას ეს ორი ხალხი (და ორივე ძლიერი) ეპყრა, ის სათითაოდ იმორჩილებდა აზიაში შემავალ ხალხებს, მანამ ვიდრე არ ილაშქრა ასირიელებზედაც და კერძოდ იმ ასირიელებზე, რომლებსაც ნინოსი ეპყრათ. ეს ასირიელები იყვნენ უწინ ყველას რომ განაგებდნენ. ასირიელები მაშინ მარტონი იყვნენდა მოკავშირეთაგან მიტოვებულნი, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობდნენ. ამათზე ილაშქრა ფრაორტესმა, თვითონაც დაიღუპა (სულ 22 წელს მეფობდა) და მასთან ერთად დაიღუპა მისი ჯარის დიდი ნაწილიც.

103. ფრაორტესის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა გადავიდა კიაქსარესის ხელში, რომელიც იყო ფრაორტეს დეიოკესის ძის ძე, ამბობენ, რომ ეს ბევრად უფრო მამაცი იყო თავის წინაპარზე. მან პირველად დაჰყო აზიის ხალხები ლოხებად იარაღის მიხედვით და პირველმა განალაგა ისინი ცალ-ცალკე შუბოსნებად, მშვილდოსნებად და ცხენოსნებად, ხოლო ამის წინ ყველანი ერთმანეთში იყვნენ შერეულები. კიაქსარესი იყო, რომ ებრძოდა ლიდიელებს, როდესაც ღამე დღედ იქცა, ეს იყო, რომ მდინარე ჰალისის ზემოთ მთელი აზია მიიერთა. მან შეკრიბა ყველა, ვინც მის გამგებლობაში იყო, და გაილაშქრა ნინოსზე, რადგანაც უნდოდა მამის მაგიერი მიეზღო და ეს ქალაქი აეღო. კიაქსარესი ებრძოდა და სძლია ასირიელები, ალყა შემოარტყან ნინოსს, მაგრამ მას თავს დაესხა სკვითების დიდი ლაშარი, რომელსაც წინ უძლოდა სკვითების მეფე მადიესი, პროტოთიესის ძე. სკვითები შემოვიდნენ აზიაში მას მერე, რაც გაჰყარეს ევროპიდან კიმერიელები, ლტოლვილ კიმერიელებს მისდევდნენ და ასე მიაღწიეს მიდიელთა ქვეყანას.

104. ხოლო მადეტიდეს ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის, ხოლო კოლხიდიდან მიდიაში გადასავლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპედრების ტომი; ამათ რომ გასცდები, უკვე მიდიაში ხარ; მაგრამ სკვითები ამ გზით არ გადმოსულან, არამედ გადუხვიეს ზემოთა გზაზე, რომელიც ბევრად უფრო გრძელია, მარჯვნივ კი კავკასიონის მთები ჰქონდათ, ამ ადგილას შეებრძოლენ მიდიელები სკვითებს, მაგრამ დაძლეულ იქნენ ბრძოლაში და დაჰყარეს მმართველობა, სკვითებმა კი მთელი აზია ჩაიგდეს ხელში.

105. აქედან სკვითები წავიდნენ ეგვიპტეში და როდესაც მივიდნენ პალესტინაში - სირიაში, ფსამეტიქოსი, ეგვიპტის მეფე, შემოხვდა მათ საჩუქრებით და თხოვნით შეაჩერა, რომ უფრო წინ აღარ წასულიყვნენ. როდესაც სკვითები უკან მიდიოდნენ, მოხვდნენ სირიის ქალაქ ასკალონში, მეტმა ნაწილი დარჩა და გაძარცვა ურანია-აფროდიტეს სალოცავი. როგორც მე შევიტყვე, ეს სალოცავი ამ ღმერთქალის სალოცავთა შორის ყველაზე უძველესია. კიპროსზე რომ სალოცავია, ისიც აქედან წარმოიშვა, როგორც თვითონ კირპოსელები ამბობენ, ხოლო კითერიაში რომ არის, ისიც ფინიკიელებმა ააგეს. ფინიკიელები კი იმავე სირიიდან არიან. იმ სკვითების ჩამომავლებს, რომლებმაც გაძარცველს ასკალონში არსებული სალოცავი, ღმერთქალმა სამარადისოდ დამართა ქალური ავადმყოფობა. ისე რომ სკვითები ამბობენ, ამ დანაშაულის გამო, რომ ისინი ავად არიანო და სკვითის ქვეყანაში მოსულები ხედავენ, თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი, ვისაც სკვითებ "ენარეებს უწოდებენ"2.

106. დაახლოებით 28 წელი ეჭირათ სკვითებს აზია და ყოველივე გაატიალეს თავისი თავნებობითა და უდარდებლობით. გარდა იმისა, რომ სკვითებმა თითოეული ტომი დაბეგრეს და ხარკს ახდევინებდნენ, ისინი ყაჩაღობდნენ და ეზიდებოდნენ თითოეული ტომისაგან, რაც კი რამ ჰქონდათ. სკვითების დიდი ნაწილი დაპატიჟეს კიაქსარესმა და მიდიელებმა, დაათვრეს და ამოხოცეს. ეგრე დაიბრუნეს ძალაუფლება მიდიელებმა და ეპყრათ ის ხალხები ისევე, როგორც უწინ. ნინოსიც აიღეს (ხოლო როგორც აიღეს, ამას სხვა ადგილას ცხადვყოფ) და ასირიელებიც დაიმორჩილეს, გარდა ბაბილონის ნაწილისა. ამის შემდეგ გარდაიცვალა კიაქსარესი, რომელიც მეფობდა 40 წელს, თუ ჩავთვლით ამაში იმ წლებსაც, როდესაც სკვითები ბრძანებლობდნენ.

107. ასტიაგეს კიაქსარესის შვილმა დაიმკვიდრა სამეფო ხელისუფლება, მას ჰყავდა ასული, რომელსაც სახელად ერქვა მანდანე. ასტიაგეს ძილში ეჩვენა თავისი ქალი, რომელმაც იმდენი მოშარდა, რომ აავსო მთელი თავისი ქალაქი და წარღვნა მთელი აზია. ეს სიზმარი მან ამცნო მოგვთა შორის სიზმრის ამხსნელებს და შეეშინდა, როდესაც შეიტყო მათგან ყოველივე; როდესაც მანდანეს გათხოვების დრო მოუვიდა, თავის ღირსთაგან არვის მისცა მამამ ცოლად (ჩვენების შეეშინდა), არამედ მისცა სპარსელს, რომელსაც ერქვა კამბსესი, ასტიაგესს მიაჩნდა, რომ მას კარგი ოჯახი და თვნიერი ზნე ჰქონდა მაგრამ მაინც უფრო დაბლა აყენებდა საშუალო მიდიელებზე.

108. მანდანეს კამბიესთან ცხოვრების პრიველსავე წელს ასტიაგესმა სხვა სიზმარი ნახა. მას ეჩვენა, რომ მისი ასულის სარცხვინელთაგან ამოსულიყო ვაზი, და ეს ვაზი მთელ აზიას მოსდებოდა. ასტიაგესმა ნახა ეს და მოუთხორო სიზმრის ამხსნელებს, თან გამოიძახა სპარსეთიდან თავისი ასული, რომელსაც მშობიარობის დრო მოსვლოდა. მამამ მოსულ ქალს დარაჯები მიუყენა, რადგანაც უნდოდა მისი ნაშობი მოესპო. ეს იმიტომ, რომ სიზმრის მიხედვით მოგვთა შორის სიზმრისამხსნელებმა მას ანიშნეს, რომ მის ქალიშვილს შვილი შეეძინებოდა და იგი გამეფდებოდა ასტიაგესის მაგივრად. იმიტომ ფრთხილობდა ასტიაგესი და როგორც კი გაჩნდა კიროსი, დაუძახა ჰარპაგოსს, რომელიც იყო შინაური, მთელ მიდაში ყველაზე უფრო სანდო კაცი და ყოველივე მისი ქონების მეურვე, და უთხრა მას შემდეგი: "ჰარპაგოს, საქმე რამ უნდა დაგავალო და არავითარ შემთხვევაში არ მოექცე მას უყურადღებოდ. სხვებს ნუ მამჯობინებ და ამით მე ნუ მიღალატებ, ნურც შენს თავს ავნებ მომავლისათვის.

აიყვანე ბავშვი, რომელიც მანდანემ გააჩინა, წაიყვანე შენს ქვეყანაში და მოჰკალი. შემდეგ დამარხე იმნაირად, როგორც შენ თვითონ გსურს". ჰარპაგოსმა მიუგო მას: "მეფეო, არასოდეს შეგმთხვევია შენ აი, ამ კაცისაგან უსიამოვნო არაფერი და შევეცდები, რომ შემდეგშიც არაფერი დავაშავო, და თუ კი შენ ეგრე გირჩევნია, მე უნდა ისე მოგემსახურო, როგორც საჭიროა".

109. ეს მიუგო ჰარპაგოსმა, როდესაც გადასცეს მას სასიკვდილოდ განწირული ბავშვი და ტირილით მივიდა სახლში. როდესაც მოვიდა, მოუთხრო თავის ცოლს ყოველივე, რაც კი ასტიაგესმა უთხრა, ქალი შეეკითხა მას: "ახლა რა გაქვს შენ გუნებაში, რა უნდა გააკეთო?" ჰარპაგოსმა მიუგო. "არ გავაკეთებ იმას, რაც ასტიაგესმა მიბრძანა, კიდევაც რომ გაგიჟდეს და გახელდეს უარესად, ვიდრე ახლაა გახელებული, არ მოვიქცევი მე მისი სურვილის მიხედვით. არც ამისთანა მკვლელობაში დავებმარები. ბევრი რამის გამო არ მოვკლავ ბავშვს: იმიტომაც, რომ ეს ბავშვი ჩემი ნათესავია, იმიტომაც, რომ ასტიაგესი მოხუცია და ვაჟიშვილი არა ჰყავს. ხოლო ასტიაგესი რომ მოკვდება, ტირანია მის ქალიშვილზე გადავა, რომლის შვილსაც მე მაკვლევინებენ ახლა, და აბა, ამის მერე რა მომელის, თუ არა უდიდესი საფრთხე? ხოლო თუ ჩემი საკუთარი უშიშროებისათვის უნდა მოვკლა მე ეს ყრმა, მაშინ დეე ვინმე ასტიაგესის კაცი იყოს მისი მკვლელი და არა ჩემი".

110. ესა სთქვა და მაშინვე გაგზავნა მოციქული ასტიაგესის ერთ-ერთ მწყემსთან, რომელზედაც ფიქრობდა, რომ ის მისი მიზნებისათვის ყველაზე უფრო შესაფერის სამოვრებზე იყო მხეცებით სავსე მთებში. სახელად ერქვა მას მიტრადატესი. ცხოვრობდა იგი ასტიაგესისავე მხევალთან. იმ ქალს, ვისთანაც მიტრადატესი ცხოვრობდა, ელინურ ენაზე ერქვა კინო, ხოლო მიდიურზე - სპაკო (რადგანაც მიდიელები ძალს "სპაკას" უწოდებენ¹). ამ მთებს ფერდობები აქვს და ამ მწყემსს აქ ჰქონდა ხარების სამოვრები აგბატანიდან ჩრდილოეთისაკენ და ევქსინის პონტოსაკენ. აქ ხომ მიდიელთა ქვეყანა, სასპედრების მეზობლად, ძალიან მთიანი არის, ამასთანავე მაღალიცაა და ყოველივე მხრიდან ტყეებით დაფარული, ხოლო მიდიელთა მთელი დანარჩენი ქვეყანა დაბლობია. როდესაც დაუძახა ჰარპაგოსმა მწყემსს, იგი სასწრაფოდ მოვიდა მასთან და უთხრა მას ჰარპაგოსმა შემდეგი: "ასტიაგესი გიბრძანებს შენ, რომ ეს ბავშვი აიყვანო და მოათავსო ამ მთებში ყველაზე უდაბურ ადგილას, რათა, რაც შეიძლება მალე დაიღუპოს. მან მიბრძანა, რომ შემდეგი გითხრა შენ: თუ არ დალუპავ რამენაირად ბავშვს და გადაარჩენ, სასტიკად დაისჯები. მე მევალება თვალი ვადევნო, რომ ბავშვი გადააგდო".

111. ეს რომ მოისმინა მწყემსმა, აიყვანა ბავშვი, წავიდა უკან იმავე გზით და მივიდა თავის ქოხში. მას ცოლი მოსალოგინებელი ჰყავდა დღე-დღეზე და თითქოს ღვთის განგებით მან ბავშვი სწორედ მაშინ გააჩინა, როდესაც მწყემსი ქალაქში წავიდა. ორივენი ერთმანეთის გამო საგონებელში იყვნენ, მწყემსს ეშინოდა ცოლის მშობიარობისა, ხოლო ცოლს ეშინოდა იმისა, რომ ჰარპაგოსს რამე არ დაეშავებინა მისი ქმრისათვის, რაკი გამოიძახა. როდესაც დაბრუნდა მწყემსი და დაადგა თავზე ცოლს, მან ერთბაშად დაინახა და პირველად იმას შეეკითხა, ეგრე საგულდაგულოდ რად გამოგიძახა ჰარპაგოსმაო. ხოლო მან შეეკითხა, ეგრე საგულდაგულოდ რად გამოგიძახა ჰარპაგოსმაო. ხოლო მან უპასუხა: "ქალო, ქალაქში რომ მივედი, ვნახე და

მოვისმინე, რაც არ უნდა მენახა და არც ოდესმე უნდა დამართოდათ ჩემს ბატონებს. ჰარპაგოსის მთელი სახლი ტიროდა, ხოლო მე, შემინებული შევედი შიგ. შევედი თუ არა, დავინახე მწოლიარე ბავშვი, რომელიც ფართხალებდა და ტიროდა. მორთული იყო ის ოქროთი და ფერადი ტანსაცმლით. ხოლო ჰარპაგოსმა, როგორც კი დამინახა, მაშინვე მიბრძნა, რომ ავიყვანო ბავშვი, წავიდე, წავიყვანო ის და დავაგდო იქ, სადაც მთაში ყველაზე მეტია მხეცები. თქვა, რომ ასტიაგესია ის კაცი, რომელმაც მე ეს დამავალა და თან ძალიან დამემუქრა, თუ არ შევასრულებ მის განკარგულებას. მე ავიყვანე და წამოვიყვანე ბავშვი და მეგონა, რომ ის რომელიღაც მსახურთაგანისაა, აბა, რას მივხვდებოდი ვისია. მიკვირდა კი, რომ ვხედავდი ბავშვს ოქროთი და ძვირფასი ტანსაცმლით მორთულს, და დიდ გოდებას, რომელიც იდგა ჰარპაგოსის სახლეში. მაგრამ გზაზე უცხად შევიტყვე მთელი ამბავი მსახურისაგან, რომელიც მაცილებდა ქალაქარეთ და რომელმაც ჩამაბარა ჩვილი, მან მითხრა რომ ეს არის ასტიაგესის ასულის, მანდანეს და კიროსის ძის, კამბისესის შვილი, და რომ ასტიაგესმა ბრძანა მისი მოკვლა. აი, ნახე ბავშვი".

112. ეს რომ თქვა მწყემსმა, გადაიხადა და აჩვენა ცოლს ბავშვი. ხოლო ქალმა რომ დაინახა დიდი და ლამაზი ბავშვი, იტირა, შემოეხვია ქმარს მუხლებზე და შეეხვეწა, არავითარ შემთხვევაში არ გადააგდო. ქმარმა კი უთხრა, რომ არ შეიძლება სხვაგვარად მოქცევა, რადგანაც მოვლენ ჰარპაგოსის მსტოვრები და შეამოწმებენ. და თუ არ ექნება გაკეთებული ის, რაც დაავალეს, სასტიკად დასჯიან თვით მას. ქალმა, რომ ვერ დაარწმუნა თავისი ქმარი, შემდეგ უთხრა: "რადგანაც ვერ შევიძელი შენი დარწმუნება, რომ არ გადააგდო ბავშვი, მოიქეცი ისე (თუ მაინცდამაინცაუცილებელია ჩვენება), თითქოს ბავშვი გადაგდებულია: მე ვში და ვში მკვდარი. აიყვანე ეს გადააგდე, ხოლო ასტიაგესის ასულის ბავშვს აღვზრდით, თითქოს ჩვენი არის. ამრიგად, არც შენ დაისჯები ბატონების მიმართ ურჩობისათვის და არც ჩვენ გვექნება რაიმე ბოროტება ჩადენილი. გარდაცვლილი ბავშვი მოხვდება სამეფო აკლდამაში, ხოლო ცოცხლად დარჩენილი არ დაიუპავს სულს".

113. მწყემსმა გადაწყვიტა, რომ შექმნილ ვითარებაში კარგად ურჩია ცოლმა და მაშინვე გააკეთა ასე. მოსაკლავად წამოყვანილი ბავშვი გადასცა თავის ცოლს, ხოლო თავისი, მკვდარი რომ იყო, აიყვანა და ჩადო იმ კალათაში, რომელითაც ჰყავდათ მოყვანილი ის მეორე, მანდანეს შვილი, გამოაწყო იგი მეფის ბავშვის ყოველივე მოსართავში, წაიყვანა და მთაში ყველაზე უდაბურ ადგილას დასტოვა. ბავშვის გადაგდების მესამე დღეს წავიდა მწყემსი ქალაქში, ხოლო მიცვალებულის დარაჯად ერთი თავისი ხელქვეითი მწყემსთაგანი დატოვა. მივიდა ჰარპაგოსის სახლში და თქვა, რომ მზადაა აჩვენოს ბავშვის გვამი. ჰარპაგოსმა გაგზვნა თავისი შუბოსანთაგან ყველაზე სანდონი, მათ ანახა კიდევაც და დაამარხვინა მწყემსის შვილი. იგი დაიმარხა; ხოლო მეორე, რომელსაც შემდეგში კიროსი ეწოდა, აიყვანა და გაზარდა მწყემსის ცოლმა, სახელი კი რაღაც სხვა დაარქვა და არა კიროსი.

114. როდესაც ბავშვი ათი წლის იყო, შემდეგი ამბავი შეემთხვა მას და გამოამჟღავნა ყოველივე: ბავშვი თამაშობდა იმავე სოფელში, რომელშიც ეყენათ ნახირი, თამაშობდა თავის ტოლებთან ქუჩაში. ბავშვები თამაშობდნენ და აირჩიეს თავისი მეფედ ის, რომელიც მწყემსის შვილად იყო წოდებული. მან ბავშვები ასე დაანაწილა: ზოგს სახლი უნდა აეგო, ზოგი შუბოსანი იქნებოდა, ერთი რომელიღაცა მათგანი მეფის თვალი იქნებოდა, სხვას კიდევ მისცა ცნობების მომტანის თანამდებობა. ისე რომ

თითოეულს საქმე მიუჩინა. რადგანაც ერთმა ამ მოთამაშე ბავშვთაგანმა, რომელიც მიდიელებში სახელოანი კაცის, არტემბარესის შვილი იყო, არ გააკეთა ის, რაც დაავალა მას კიროსმა, კიროსმა უბრძანა სხვა ბავშვებს მისი შეპყრობა. ბავშვებმა დაუჯერეს და კიროსმა იგი სასტიკად გაამათრახა. როგორც კი გაათავსულეს ეს ბავშვი, რაკილა მას მიაჩნდა, რომ დაუმსახურებლად დაისჯა, განსაკუთრებით აღშფოთდა. მივიდა ქალაქში და თავის მამას შესჩივლა, რაც მას კიროსმა შეამთხვია, მაგრამ ის მას კიროსს კი არ უწოდებდა (რადგანაც ჯერ არ ჰქონდა მას ეს სახელი), არამედ ტიაგესის მწყემსის შვილს. გაჯავრებული არტემბარესი წავიდა ასტიაგესთან და თან წაიყვანა ბავშვი (რომელმაც თქვა, რომ უსიამოვნო ამბები გადაიტანა) და უთხრა: "მეფეო, შენი მონისაგან, მწყემსის შვილისაგან, ჩვენ ასე ვართ შეურაცხყოფილი" და აჩვენა ბავშვის ზურგი.

115. მოისმინა და იხილა ასტიაგესმა და არტემბარესის პატივისცემის გამო მოინდომა ბავშვის დასჯა. ამიტომ გამოიძახა მწყემსის ბავშვი. როდესაც ორივენი მოვიდნენ, შეხედა კიროსს ასტიაგესმა და თქვა: "შენ ამისთანა კაცის შვილი ხარ, როგორ გაბედე ჩემთან პირველი კაცის შვილისათვის ასეთი შეურაცხყოფის მიყენება?" ხოლო მან მიუგო: "უფალო, მე მაგის მიმართ სამართლიანად მოვიქეცი. ამ სოფლის ბავშვებმა, რომელთაგანია ეგეც, თამაშის დროს მე დამაყენეს თავიანთ მეფედ, რადგანაც იფიქრეს, რომ მე ვარ ამისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი. სხვა ბავშვები ასრულებდნენ ჩემს განკარგულებებს, ხოლო ეგ არ მიგონებდა და არავითარ ყურადღებას არ მამჩვენებდა, რისთვისაც მიიღო კიდევაც სასჯელი. თუ ამისათვის მე დასჯის ღირსი ვარ, აი აქა ვარ".

116. ბავშვი როდესაც ამას ლაპარაკობდა, ასტიაგესმა ის თანდათან იცნო, (ბავშვი სახის ნაკვეთები ჩამოგავდა მისას). მან თავისთვის იფიქრა, რომ ამ ბავშვის პასუხი ძალიან თავისუფალია, ამას გრდა დრო იმ ბავშვის გადაგდებისა თანხვდებოდა ამის ასაკს. ამით განცვიფრებული ასტიაგესი ერთ ხანს ჩუმად იყო, შემდეგ ძლივს გამხნევდა და უთხრა, რადგანაც უნდოდა არტემბარესის მოშორება (რათა მწყემსი მარტო ჰყოლოდა გამოსაკითხავად): "არტემბარეს, მე ისე გავაკეთებ, რომ შენ და შენს შვილს არაფერი გექნებათ სასაყვედურო". მან გაგზავნა არტემბარესი, ხოლო კიროსი, ასტიაგესმა ბრძანა და მსახურებმა შიგნით შეიყვანეს. როდესაც მწყემსი მარტოდ-მარტო დარჩა, მას ჰკითხა ასტიაგესმა, თუ საიდან ჰყავს ეს ბავშვი და ვინ გადმოსცა მას იგი. მწყემსმა უთხრა, რომ ბავშვი მისია და რომ ბავშვის მშობელი ჯერაც მასთან ცხოვრობს. ხოლო ასტიაგესმა უთხრა, რომ ვერაფერი შვილი გადაწყვეტილება მიუღია რაკილა სურს, რომ მაინცდამაინც სასტიკი წამება მიაყენონ. ეს რომ თქვა, ანიშნა შუბოსნებს, რომ შეეპყროთ მწყემსი. როდესაც იგი მიჰყავდათ საწამებლად, მან აღიარა მთელი ამბავი. დაიწყო თავიდან, მოუთხრო სრული სიმართლე და გაათავა ვედრება-მუდართით და ეხვეწებოდა, რომ ეპატიებინა მისთვის.

117. როდესაც მწყემსმა ჭეშმარიტება გააცხადა, ასტიაგესმა მოუკლო ლაპარაკს, ხოლო შუბოსნებს უბრძანა ჰარპაგოსი დაემახებინათ მასთან, რადგანაც მასზე ძალიან იყო გაჯავრებული. როდესაც მოვიდა ჰარპარგოსი, ჰკითხა ასტიაგესმა: "ჰარპარგოს, როგორი სიკვდილით მოჰკალი ბავშვი, რომელიც მე შენ გადმოგეცი და რომელიც ჩემი ასულის შვილი იყო?" ჰარპარგოსმა მწყემსი რომ დაინახა, რომელიც შიგნით იყო, ველარ გაბედა ტყუილი, რათა არ გამოემჟღავნებინათ და თქვა შემდეგი: "მეფეო,

როდესაც გამოგართვი ბავშვი, ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი შენი სურვილის მიხედვით, რომ მე უდანაშაულო დავრჩენილიყავი შენს მიმართ და თანაც არ გავმხდარიყავი კაცის მკვლელი შენის ასულისა და თვით შენს მიმართ. ბოლოს ასე მოიქეცი: დაფუძახე ამ მწყემსს, გადავეცი ბავშვი და ვუთხარი, რომ ეს შენა ხარ, რომელმაც უბრძანა მას ამ ბავშვის მოკვლა. ვთქვი ეს და არ მომიტყუებია, რადგანაც შენ ასე ბრძანე. გადავეცი მას და ვუთხარი, დაეტოვებინა ის უდაბურ მთაზე, დარჩენილიყო და ედარაჯნა იქამდე, ვიდრე ბავშვი არ მოკვდებოდა, თანაც დავემუქრე მას ბევრნაირად, იმ შემთხვევისათვის, თუ არ შეასრულებდა დავალებას. როდესაც გააკეთა მან ის, რაც ნაბრძანები ჰქონდა და მოკვდა ბავშვი, გავაგზავნე საჭურისთა შორის ყველაზე უფრო სანდონი, ვანახე მათ და დავამარხვინე იგი. ასე იყო, მეფეო, ეს ეს ამბავი და ასეთი სიკვდილი ეწია იმ ბავშვს".

118. ჰარპარგოსმა სიმართლე ილაპარაკა, ხოლო ასტიაგესმა დაფრა ბოლმა, რაც მის მიმართ ჰქონდა მომხდარის გამო, ჯერ მოუთხრო ჰარპარგოსს ისე, როგორც მოისმინა მან ეს ამბავი მწყემსისაგან, ხოლო შემდეგ, როდესაც მოუთხრო მას, ასეთ გაათავა, რომ დეე იცოცხლოს ბავშვმა და რაც მომხდარა, კარგად მოხდაო. მან თქვა "რაც ჩავიდინე ამ ბავშვის მიმართ, დიდად მაწუხებდა და ჩემი ასულის საყვედურებს ვეღარ ვიტანდი. რაკილა ბედი ასე კეთილად სეიცვალა, ჯერ შენი შვილი გამოგზავნე ამ ახლად მოსულ ბავშვთან, შემდეგ კი შენც მეწვიე ნადიმზე (რადგან ამ ბავშვის გადარჩენის გამო იმ დმერთებს მინდა შევწირო მსხვერპლი, რომლებსაც ასეთი პატივი შეჰფერით)".

119. ჰარპარგოსმა ეს რომ მოისმინა, თაყვანი სცა მეფეს და დიდად დაუფასა შეცოდების შენდობა, რომელიც, მან თავის დროზე ჩაიდინა, მაღლობა გადაუხადა ნადიმზე დაპატიჟებისთვის, რომელიც ასეთი კარგი შემთხვევისათვის იმართებოდა და წავიდა სახლში. სასწრაფოდ მივიდა შინ, მას ჰყავდა ერთადერთი შვილი, რომელიც დაახლოებით 13 წლის იყო, ის გაგზავნა, უბრძანა, წასულიყო ასტიაგესთან და გაეკეთებინა, რასაც კი ასტიაგესი უბრძანებდა. ხოლო თვითონ, გახარებულმა, მოუთხრო ცოლს ყოველივე, რაც შეემთხვა. ხოლო ასტიაგესმა, როგორც კი მივიდა მასთან ჰარპარგოსის შვილი, დააკვლევინა იგი და ასო-ასო ააქნევინა. აქედან ხორცის ნაწილი შეაწვევინა, ნაწილი კიდევ მოახარშვინა და უბრძანა, ასე მომზადებული ჰქონოდათ. როდესაც ნადიმის დრო დადგა, მოვიდნენ სხვა წვეულებიცა, და მათ შორის ჰარპარგოსიც. სხვებსაცა და თვის ასტიაგესსაც ცხვრის ხორციით სავსე ტაბლები დაუდგეს, ხოლო ჰარპარგოსს მიაართვეს მისი საკუთარი შვილის ხორციით სავსე ტაბლა. გარდა თავისა და ხელ-ფეხისა ყველაფერი აქ იყო. ესენი ცალკე ელაგა დახურულ კალათაში. როდესაც ჰარპარგოსმა საკმარისად ჭამა, ასტიაგესი შეეკითხა მას, კმაყოფილი არის თუ არა საჭმლით, როდესაც ჰარპარგოსმა უპასუხა, რომ ძალიან კმაყოფილია, იმ მოსამსახურებმა, რომლებსაც ეს ევალეზებოდათ, თავდახურული კალათით მოიტანეს ბავშვის თავი, ხელები და ფეხები, და უთხრეს ჰარპარგოსს, რომ გადაეხადა და აეღო იქინდა, რაც უნდოდა. ჰარპარგოსმა გაუგონა, გადახადა და დაინახა თავისი შვილის ნარჩენები. ხოლო რომ დაინახა, არ დაიმჩნია ის შეძრწუნება, რაც განიცადა. ასტიაგესის შეეკითხა, ხვდება თუ არა, რა ნადირის ხორცი უჭამია. ხოლო მან მიუგო, რომ ხვდება და ყველაფერი საუკეთესოა, რასაც კი აკეთებს მეფე. ეს მიუგო, აკრიფა დარჩენილი ხორცი და წავიდა სახლში. მე ვფიქრობ, ის აპირებდა ნარჩენების შეგროვებას და ყოველივეს დამარხვას.

120. ასტიაგესმა ჰარპარგოსს ასეთი სამართალი მიაგო. ხოლო კიროსის გამო მან ითათბირა და დაუძახა სიზმირსამხსნელ მოგვებს. მოსულეს შეეკითხა ასტიაგესი, თუ როგორ აუხსნეს მას ჩვენება. მათ ისევე ისე უპასუხეს, თქვეს რომ ყმაწვილი უნდა გახდეს მეფე, თუკი გადარჩა და ამაზე უწინ არ მოკვდა. ხოლო ასტიაგესმა მიუგო მას შემდეგი: "ეს ყმაწვილი ცოცხალია და კარგად არის. სოფელში იზრდებოდა და სოფლის ბავშვებმა ის მეფედ დააყენეს. ის ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც შემწვინის ნამდვილ მეფეებს: მან დააყენა სუბოსნები, მეკარეები, მაცნეები და ყველა სხვა თანამდებობის კაცები, აბა, ახლა ეს თქვენ რად გეჩვენებათ?" მოგვებმა უპასუხეს: "თუ ბავშვი ცოცხალია და მაშინ რიამე წინასწარი განზრახვით არ გამეფებულა, გამხნევდი და გული გაიმაგრე, რადგან მეორედ აღარ გამეფდება. ზოგიერთი ჩვენი წინასწარმეტყველებათაგანი ზოგჯერ ძლივს სრულდება ხოლმე, ასევე ზოგიერთი სიზმარი სულაც არ ახდება". ხოლო ასტიაგესმა შემდეგი მიუგო: "მოგვებო, მეც თვითონ არსებითად ამავე აზრისა ვარ, როდესაც მეფედ იწოდა ყმაწვილი, ამით სიზმარი სულაც არ ახდება". ხოლო ასტიაგესმა შემდეგი მიუგო: "მოგვებო, მეც თვითონ არსებითად ამავე აზრისა ვარ, როდესაც მეფედ იწოდება ყმაწვილი, ამით სიზმარი ახდა და ეს ბავშვი ჩემთვის მეტად აღარ არის საშიში. მაგრამ მაინც, კარგად მოისაზრეთ და მირჩიეთ მე, რაც ყველაზე უფრო უშიშარი იქნება ჩემი სახლისათვის და თქვენთვისაც". ამაზე მოგვებმა უპასუხეს: "მეფეო, პირადად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შენი ძალაუფლების ამაღლება. ხოლო სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო გადავა სხვის ხელში, ამ ყმაწვილის ხელში, რომელიც სპარსელია. ჩვენ, მიდიელებს, დაგვიმონეს, სპარსელები არავითარ ანგარიშს არ გაგვიჩვენებ, რადგან მათთვის უცხოები ვიქნებით. როდესაც შენ ხარ მეფე, ჩვენი თანამოქალაქე ნაწილობრივ ჩვენც ვმართავთქვეყანას და პატივი შენს გამო დიდი გვაქვს. ამრიგად, ჩვენ ყოველმხრივ გვმართებს ზრუნვა შენზე და შენს ძალაუფლებაზე. ახლაც, რაიმე საშიში რომ შეგვემჩნია, ყოველივეს გეტყოდით, მაგრამ რაკილა სიზმარი უმნიშვნელოდ დამთავრდა, ჩვენ თვითონაც გავმხნევდით და შენც ამასვე გირჩევთ. ეს ბავშვი კი თვლიდან მოიშორე, გაგზავნე სპარსელებთან და თავის მშობლებთან".

121. ასტიაგესმა რომ ეს მოისმინა, გაიხარა, დაუძახა კიროსს და უთხრა მას შემდეგი: "ბავშვო, მე შენ უსამართლოდ გექცევი სიზმირს მიზეზით, რომელიც არ ასრულდა, ხოლო შენმა ბედმა შენ დაგარჩინა, ახლა წადი მშვიდობით სპარსელებში, შენთა ერთად მხლებლებსაც გამოგზავნი. წადი და იქ მამა და დედა იპოვე, ხოლო ისეთი არა, როგორიც მწყემსი მიტრადატესია და მისი ცოლი".

122. უთხრა ეს ასტიაგესმა და გაგზავნა კიროსი. დაბრუნებული კიროსი კამბისესის სახლში მიიღეს მშობლებმა, მიიღეს და რომ შეიტყვეს ვინ არის, ბევრს უალერსებდნენ, რადგანაც ეგონათ, რომ დაბადებისთანავე მოკვდა და ეკითხებოდნენ, თუ როგორ გადარჩა. ხოლო ყმაწვილმა მათ ყველაფერი უამბო და უთხრა, რომ უწინ ეს არ იცოდა და დიდად სცდებოდა, ხოლო ყოველივე მის თავს გადახდილი შეიტყო გზაზე, მან უწინ ის იცოდა, რომ ასტიაგესის მწყემსის შვილი არის, ხოლო აქეთ რომ მოდიოდა გზაზე, მხლებლებისაგან შეიტყო ყველაფერი. მან თქვა, რომ ის მწყემსის ცოლმა გაზრდა და ყოველთვის ძალიან აქებდა ამ ქალს. ამ ამბის მოყოლისას ყველაფერი კინო იყო. მსობლებმა ისარგებლეს ამ სახელით და გაავრცელეს ხმა, თითქოს გადაგდებული კიროსი აღზარდა ძალღმა. აქდან გავრცელდა ეს ხმა.

123. დავაჟკაცებული და თავი ტოლებში ყველაზე მამაცისა და საყვარელი კიროსის დიდ ერთგული იყო ჰარპაგოსი და საჩუქრებს უგზავნიდა ხოლმე მას, რადგან ფიქობდა ასტიაგესისათვის სამაგიეროს გადახდას. ხოლო რაკილა ჰარპაგოსი კერძო პირი იყო, იცოდა, რომ თვითონ არ გამოდგებოდა ასტიაგესისათვის სამაგიეროს მისაზღველად, ხედავდა წამოზრდილ კიროსს და მას იხდიდა მოკაშირედ, რადგანაც კიროსის თავს გადახდილი ამბები თავისი საკუთარის მსგავსად მიაჩნდა. ამაზე უწინ მან მის მიმართ შემდეგი გააკეთა: ასტიაგესი მკაცრი იყო მიდილეთა მიმართ, ჰარპაგოსი სათითაოდ დაუკავშირდა მიდიელ დიდკაცებს და არწმუნებდა მათ, რომ ტახტზე უნდა დასვან კიროსი და შეწყდეს ასტიაგესის მეფობა. გაუკეთა მას ეს საქმე და მზად იყო, ჰარპაგოსმა მოინდომა შეეტყობინებინათ თავისი აზრი კიროსისათვის, რომელიც სპარსელეში ცხოვრობდა. რადგანაც გზები დაცული იყო, მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა ა ასეთ ხერხს მიმართა: მოამზადა კურდღელი, გაუკეთა მას მუცელი ისე, რომ ბეწვი არ გამოსწიწვნა, ეს რომ გააკეთა, მერე ჩაუდო შიგ ბარათი, რომელშიც ეწერა, რასაც აპირებდა. გაუკერა კურდღელს მუცელი და ბადეში ჩასმული მისცა ხელში როგორც მონადირეს, თავის მოსამსახურეთა შორის ყველაზე სანდოს, გაგზავნა სპარსელეებში და უბრძანა ზეპირად, რომ კურდღელი კიროსისათვის გადაეცა და ეთქვა, რომ მას საკუთარი ხელით გაეჭრა კურდღელი და ამ ამბავს არავინ დასწრებოდა.

124. ეს მოხდა ისე, როგორც ნაბრძანები იყო და კიროსმა რომ მიიღო კურდღელი, გაჰკვეთ, იპოვა შიგ ბარათი, აიღო და წაიკითხა. წერლიში შემდეგი ეწერა: "კამბისესის ძევ, ღმერთებმა გამოგარჩიეს შენ, თორემ ასეთ მდგომარეობას არ მიაღწევდი, შენ შენს მკვლელს, ასტიაგესს, სამაგიერო უნდა მიუზღო. მას უნდოდა, რომ შენ მომკვდარიყავი, მაგრამ ღმერთებისა და ჩემი წყალობით გადარჩი. მე ვფიქრობ, რომ დიდი ხანია, რაც შენ ყველაფერი იცი, ისიც თუ როგორ მოგექცა ის შენ და რა განვიცადე მე ასტიაგესისაგან, იმის გამო, რომ შენ არ მოგკალი და მწყემსს გადავეცი შენი თავი. შენ თუ მე დამიჯერებ, ასტიაგესის მთელი საბრძანებელის მმართველი გახდები. დაარწმუნე სპარსელეები, რომ გადაუდგნენ ასტიაგესს და გაუძეხი მათ მიდიელეების წინააღმდეგ. ასტიაგესი ან მე დამნიშნავს მხედართმთავრად შენს წინააღმდეგ (მაშინ მოხდება ის, რაც შენ გინდა), ანდა ვინმეს სხვას სახელოვან მიდიელთაგან. ესენი პირველები გაუდგებიან მას, შენ მხარეს დაიჭერენ და შეეცდებიან ჩამოაგდონ ასტიაგესი. რადგანაც აქ ყველაფერი მზადაა, გააკეთე ეს და გააკეთე რაც შეიძლება ჩქარა".

125. მოისმინა ეს კიროსმა და დაფიქრდა იმის შესახებ, თუ რა გზა იქნებოდა უფრო გონივრული სპარსელეების გადადგომაზე დაყოლიებისათვის. ფიქრობდა და გადაწყვიტა, რომ ეს ყველაზე უფრო შესაფერისი იყო და ასე მოიქცა: დაწერა ბარათზე, რაც უნდოდა, შეკრიბა სპარსელეები, შემდეგ გახსნა ბარათი, წაიკითხა და უთხრა, რომ ასტიაგესმა იგი დანიშნა სპარსელთა მხედართმთავრად. მან უთხრა: "სპარსელეებო, ახლა გიცხადებთ თქვენ, ისე მოდით, რომ თითოეულს ხელში ნამგალი გეჭიროთ". ასე გამოუცხადა კიროსმა, სპარსელეებში ბევრი გვარია, კიროსმა კი მხოლოდ ზოგი მათგანი შეკრიბა და ჩააგონა, რომ ჩამოშორდებოდნენ მიდიელებს. ეს გვარები, რომელთაგანაც დამოკიდებული არიან ყველა სხვა სპარსელეები შემდეგია:

პასარგადები, მარაფიები, მასპიები. ამათგან ყველაზე წარჩინებული არიან პარსარგადები, მათში შედის აქამენიდთა ოჯახიც. აქედან წარმოსდგნენ მეფეები - პერსეიდები, ხოლო სხვა სპარსელები შემდგი არიან: პანთიალები, დერუსიები, გერმანიები, ესენი ყველანი მიწათმოქმედნი არიან, ხოლო სხვები - მომთაბარეები: დაები, მარდები, დროპიკები, საგრატები.

126. როდესაც მივიდნენ ყველანი, თან ჰქონდათ, რაც კიროსმა გამოუცხადა. რადგან ერთგან სპარსეთში რაღაც ძეძვიანი ადგილი იყო, დაახლოებით 18, თუ სულაც 20 სტადიონი; კიროსმა უთხრა მათ, რომ ეს ადგილი გაეწმინდათ იმ დღესვე. როდესაც სპარსელებმა გააკეთეს ის სამუშაო, რაც დავალებული ჰქონდათ, შემდეგ ისევ დაავალა მათ კიროსმა, რომ მოსულიყვნენ მეორე დღეს მხოლოდ უსათუოდ დაბანილები. ამასობაში კიროსმა ერთ ადგილას შეაყრევინა თავისი მამის მთელი თხებისა და ცხვრების ფარა და ნახირი, მსხვერპლად შეაწირვინა და მოამზადებინა, რომ მიეღო სპარსელთა ლაშქარი, ამას გარდა ჰქონდათ ღვინისა და ჰურის საკმარისი მარაგი. მეორე დღეს მოსული სპარსელები დასხა მინდორზე და გაუმასპინძლდა. როდესაც წვეულება მოთავდა, კიროსმა ჰკითხა მათ: რა საქმიანობა ურჩევნიათ, გუშინდელი თუ ეს. ხოლო მათ უთხრეს, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა: რადგან გუშინდელი დღე მათთვის მთლიანად ცუდი იყო, ხოლო დღევანდელი - თავიდან ბოლომდე კარგი. კიროსმა რომ მოისმინა ეს სიტყვები, თქვა შემდგი და გამოამჟღავნა ყოველივე: "სპარსელო ვაჟკაცებო, ასეა თქვენი საქმე: თუ დამიჯერებთ, გეყნებათ ესეცა და სხვა ბევრი სიკეთეც, თავს დააღწევთ მონის შესაფერის შრომას. არ დამიჯერებთ და მაშინ, გუშინდელივით, გაუთავებელი ჯაფა გელით. მაშ დამიჯერეთ და იყავით თავისუფლები. მე თვით ვფიქრობ, რომ ღვთის განგებით ვარ მოვლენილი ამ საქმისათვის და ჩემი თავის იმედი მაქვს. ხოლო თქვენ მიდილებზე უარეს ვაჟკაცებად არ მიმაჩნისართ, არც სხვა საქმეში და არც ომში, რადგანაც ასეა, მაშ გადაუდევით ასტიაგესს სასწრაფოდ".

127. სპარსელებმა წინამძღოლი რაკი მოიპოვეს, სიხარულით განთავისუფლდნენ, რადგან დიდი ხანია მიდიელთა მმართველობისაგან ძალიან იტანჯებოდნენ. ასტიაგესმა რომ კიროსის ამბოხება შეიტყო, გაუგზავნა მოციქული და დაუძახა თავისთან. ხოლო კიროსმა მოციქულს გამოუცხადა, შეეტყობინებინა მეფისათვის, რომ იმაზე უფრო ადრე მივა მასთან, ვიდრე ეს თვით ასტიაგესს სურს. ასტიაგესმა, რომ ეს მოისმინა, შეაიარაღა ყველა მიდიელი და მათ მხედარმთავრად, თითქოს შემლილი იყო, დანიშნა ჰარპაგოსი, სულ დაავიწყდა, რაც მას დამართა. როდესაც მოლაშქრე მიდიელები სპარსლებს შეხვდნენ, ზოგიერთი მათგანი იბრძოდა, ისინი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შეთქმულებაში, ზოგიერთები კი გადადიოდნენ სპარსელების მხრეზე. ხოლო მეტი ნახილი მოდალატურად გაისარჯა და გაიქცა.

128. როგორც კი შეიტყო ასტიაგესმა, რომ მიდიელთა ლაშქარი ასე სამარცხვინოს დაიშალა, დაემუქრა კიროსს და თქვა: "მაინც ვერ გაიხრებს კიროსი", ეს რომ თქვა, ჯერ სიზმრის ამხსნელი მოგვები, რომელთაც იგი დაარწმუნეს და კიროსი გააშვებინეს, ჩამოაცვა სარზე, შემდეგ კი შეაიარაღა ქალაქში დარჩენილი მიდიელები, ახალგაზრდებიცა და ხნიერი მამაკაცებიც. თვითონ წაიყვანა მიდიელები, შეებრძოლა სპარსელებს და დამარცდა. თვითონ ასტიაგესი ცოცხალი იქნა შეპყრობილი, ხოლო მიდიელთაგან დაჰკარგა ისინი, რომელთაც იგი მიუძღვოდა.

129. დატყვევებულ ასტიაგესს წარუდგა ჰარპაგოსი, რომელიც ხარობდა მისი უბედურებით და ლანძღავდა მას. უთხრა მას შეურაცხყოფელი სიტყვები და ბოლოს გაახსენა ნადიმი, რომელზედაც იგი მას საკუთარი შვილის ხორციით გაუმასპინძლდა და ჰკითხა: რა არის ამასთან შედარებით მისი მონობა, რაც მას ხვდა მეფობის წილ. ასტიაგესმა შეხედა მას და კითხვა შეუბრუნა, შენც კიროსის თანამზრახველი ხომ არა ხარო, ხოლო ჰარპაგოსმა უთხრა, რომ პირველად მან მისწერა კიროსს და რომ მთელი ეს ამბავი მართლაც მისი საქმეა. ასტიაგესი მას უმტკიცებდა, რომ კაცთა შორის ის არის ყველაზე სულელი და ყველაზე უსამართლო. ყველაზე სულელი არის იმიტომ, რომ თვითონ შეეძლო მეფედ გამხდარიყო, რადგანაც მისით მოხდა, რაც მოხდა და სხვას კი გადასცა ძალაუფლება, ხოლო ყველაზე უსამართლო არის იმიტომ, რომ ნადიმის გულისათვის მიდიელები მონობაში ჩაჰყარა. თუ მაინცდამაინც ვინმესათვის უნდა გადაეცა სამეფო ხელისუფლება და თვითონ არ უნდა ჰქონოდა, უფრო სმართლიანი იქნებოდა მიდიელთაგან ვინმე გაემეფებინა. ეს უკეთესი იქნებოდა, ვიდრე სპარსელთაგან გამეფება. ახლა მიდიელები, რომელთაც ამაში ბრალი არ მიუძღვით, მონები გახდნენ ბატონების ნაცვლად, ხოლო სპარსელები, რომლებიც უწინ მიდიელთა მონები იყვნენ, ახლა ბატონებად იქცნენ.

130. ასტიაგესმა იმეფა 35 წელი და ეგრე დასრულდა მისი სამეფოს ძალაუფლება, ხოლო მიდიელები ასტიაგესის სიმკაცრის გამო იყო, რომ სპარსელებს დაემორჩილნენ. მიდიელები განაგებდნენ მდინარე ჰალისის ზემოთ მდებარე აზიას 130 წელს ორ წელს ნაკლებ. ამაში არ შედის სკვითების მმართველობის ხანა. შემდეგში მიდიელებმა ინანეს ის, რაც გააკეთეს და გადაუდგნენ დარიოსს. გადაუდგნენ, მაგრამ ბრძოლაში დამღუპლები კვლავ დამორჩილებულ იქნენ. მას აქვთ, რასაც ასტიაგესის დროს სპარსელები და კიროსი რომ აუჯანყდნენ მიდიელებს, სპარსელები მართავენ აზიას. ასტიაგესს კიროსმა ცუდი სხვა არაფერი გაუკეთა, მხოლოდ თავისთან ჰყავდა, ვიდრე არ გარდაიცვალა. ეგრე დაიბადა კიროსი, აღიზარდა და იმეფა, ამის შემდეგ მან დაიმორჩილა კროდოსი, რომელიც პირველი მოექცა უსამართლოდ, როგორც უკვე ვთქვი უწინ ის დაიმორჩილა და ეგრე განაგებდა კიროსი მთელ აზიას.

131. მე ვიცი, რომ სპარსელებს შემდეგი ჩვეულებები აქვთ: ქანდაკებების, ტაძრებისა და საკურთხევლების აგება მათ წესად არ აქვთ. ის კი არა, ვინც ამას აკეთებს, იმას სულელად თვლიან, რადგან, ასე მგონია, ადამიანის ბუნებისად არ მიაჩნიათ ღმერთები, როგორც ეს ელინებს სწამთ. მათ წესად აქვთ ზევსისათვის მსხვერპლის შეწირვა და ამ დროს უმაღლეს მთაზედ ადიან, ზევსს კი უწოდებენ ცის მთელ კაბადონს. მსხვერპლს სწირავენ აგრეთვე მზეს, მთვარეს, დედამიწას, ცეცხლს, წყალს და ქარებს. მხოლოდ ამას სწირავენ მსხვერპლს თავიდანვე, ხოლო შემდეგ ისწავლეს ურანის მიმართ მსხვერპლშეწირვა, ეს ისწავლეს ასირიელთაგან და არაბთაგან. ასირიელები აფროტიდეტს უწოდებენ მილიტას, არაბები - ალილატს, ხოლო სპარსელები - მიტრას.

132. ზეოხსენებული ღმერთების მიმართ სპარსელებს შემდეგნაირი მსხვერპლშეწირვა აქვთ დაწესებული: მსხვერპლშეწირვას რომ აპირებენ, არც საკურთხეველს აკეთებენ და არც ცეცხლს ანთებენ: არ ახდენენ დანთხევას, არც ავლოსზე უკრავენ, არც გვირგვინებს ხმარობენ და არც ქერის მარცვალს. ღმერთთა შორის ვინმეს მიმართ თუ უნდათ მსხვერპლის შეწირვა, თავს ტიართი იმკობენ, უფრო კი მირიტით დ ისე

გაიყვანენ წმინდა ადგილას საქონელს და მიმართავენ ღმრთს. მსხვერპლის შემწირველმა რომ პირადად თავისითავისათვის ილოცოს, არ შეიძლება. იგი ლოცულობს ყველა სპარსელისათვის, რომ კარგად იყვნენ (ყველა სპარსელი ხომ თვითონაც იგულისხმება) და მეფისათვის, ხოლო შემეგ ასო-ასო დასჭრის სამსხვერპლო ცხოველს, ხარშავს ხორცს, დააფენს ბალახს, რაც შეიძლება ახალს, ჩვეულებრივ სამყურას და ამაზე დაალაგებს მთელს ხორცს. ამას რომ გააკეთებს, იქვე მდგომი მოგვი მღერის ღმერთების წარმოშობის შესახებ, რადგან ისინი ამბობენ, რომ ასეთია მათი ლოცვა. უმოგვებოდ არა სჩვევიათ მათ მსხვერპლშეწირვა. ცოტა ხანი რომ გავა, მსხვერპლშემწირველს მიაქვს თან ხორცი და იხმარს მას ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია.

133. ყველა დღეთა შორის სპარსელებს ის დღე მიაჩნიათ პატივსაცემად, როდესაც თვითონ დაიბადნენ. ამ დღეს ისინი საჭიროდ თვლიან ყველა სხვა დღეებთან შედარებით გაცილებით მეტი საქმელი მოამზადონ. დაბადების დღეს სპარსელთა შორის მდიდრები ღუმელში მთლიანად შემწვარ ხრს, ცხენს, აქლემს და ვირს გამოიტანენ ხოლმე, ღარიბებს კი წვრილფეხა, საქონელი გამოაქვთ, საქმელს ისინი ცოტას ხმარობენ, ხოლო სადესერტო საქმელს, ბევრს და თანდათანობით. ამიტომაც, რომ სპარსელები ამბობენ, რომ ელინები მშივრები ათვებენ ჭამას, რადგან სადილის შემდეგ არაფერს მნიშვნელოვანს არ ჩამოატარებენ ხოლმე, ხოლო რაიმე რომ ჩამოეტარებინათ, ელინები არ შეწყვეტდნენ ჭამასო. სპარსელები ღვინოს ძალიან ეტანებიან, მათთვის არ შეიძლება არც გადაფურთხება და არც მოშარდვა სხვის წინაშე. ისინი ამ წესებს იცავენ. ჩვეულებრივ მთვრალეები ბჭობენ უმნიშვნელოვანეს საქმეთა შესახებ. ხოლო ბჭობისას რაც უფრო მოეწონებათ, იმას, მეორე დღეს რომ გამოფხიზლდებიან, წამოაყენებს იმ სახლის პატრონი, სადაც იყვნენ მოთათბირები და თუ გამოფხიზლებულეებსაც მოეწონათ, ღებულობენ იმ გადაწყვეტილებას, ხოლო თუ არ მოეწონათ, უარყოფენ. ასევე, რაზედაც ფხიზლები თათბირობენ იმას მთვრალეები დაადგენენ ხოლმე.

134. როდესაც სპარსელები ერთმანეთს ხვდებიან გზაზე, შემდეგი ნიშნით მიხვდება კაცი, შემხვედრნი თანასწორნი არიან, თუ არა. რადგან თუ თანაბარნი არიან, სიტყვიერი მისალმების მაგიერ კოცნიან ერთმანეთს ტუჩებში, თუ ერთი მათგანი ცოტათი უფრო დაბლა მდგომია, კოცნიან ერთმანეთს ლოყებზე, ხოლო თუ ერთი ბევრად უფრო დაბალი წარმოშობისაა მეორეზე, მდაბიო ემხობა მეორეს წინაშე და მას თაყვანს სცემს. სპარსელები თავისი თავის შემდეგ ყველაზე მეტად პატივს სცემენ მათ, ვინც ყველაზე უფრო ახლოს ცხოვრობს მათთან, შემდეგ პატივს სცემენ მათ, ვინც ამათ შემდეგ ცხოვრობს, ისე რომ პატივისცემა ხდება მანძილის მიხედვით. ამრიგად ყველაზე ნაკლებად სცემენ პატივს მათ, ვინც ყველაზე უფრო შორ ცხოვრობს მათგან. სპარსელებს მიაჩნიათ, რომ თვითონ არიან ადამიანთა შორის ყველაზე უფრო კეთილშობილი, ხოლოს სხვებს, მათი აზრით, სიქველე ახასიათებთ მეტნაკლებად; ვინც ყველაზე შორს ცხოვრობს მათგან, ისინი ყველაზე უარესები არიან. მიდიელთა გამგებლობის დროს ხალხები ერთმანეთს მართავდნენ, ყველას მართავდნენ მიდიელები და პირველ რიგში მათ, ვინც მათთან ყველაზე ახლოს ცხოვრობდნენ, ესენი კიდევ თავის მეზობლებს, ეს მეზობლები კი თავიანთ მოსაზღვრეს. ამის მიხედვითაა, რომ სპარსელები სცემენ პატივს ხალხებს; რადგან ტომის მართვაცა და მეურვეობაც სულ უფრო შორს მიდიოდა.

135. უცხოელთა ჩვეულებებს სპარსელები სხვა ხალხთა შორის ყველაზე უფრო ღებულებენ. ისინი ატარებენ მიდიურ ტანსაცმელს, რომელიც თავისზე უფრო ლამაზად მიაჩნიათ და ომში ეგვიპტურ აბჯარს იხამენ. თუ კი გაიგეს, შემდეგ არ იკლებენ არავითარ სიამოვნებას, მაგალითად ელინთაგან ისწავლეს და კავშირს იჭერდნენ ყმაწვილებთან. თითოეული სპარსელი ირთავს მრავალ კანონიერ ცოლს, ხოლო ხასები ბევრად უფრო მეტი ჰყავთ.

136. ბრძოლაში მამაცობის შემდეგ უდიდეს ვაჟკაცობად ითვლება ბევრი შვილის გაჩენა. მას, ვინც ყველაზე მეტ შვილს გააჩენს, მეფე საჩუქრებს უგზავნის ყოველწლიურად. რადგან მიაჩნიათ, რომ მრავალრიცხოვნება ძალა არი. ბავშვებს 5 წლიდან 20-მდე მხოლოდ სამ რასმე ასწავლიან: ცხენოსნობას, მშვილდოსნობას და სიმართლის ლაპარაკს. ვიდრე ბავშვი არ გახდება 5 წლის, არ ენახება მამას თვალით, მას ქალებში აქვს ადგილსამყოფელი. ეს იმიტომაა, რომ თუ ბავშვი მოკვდა პატარობაში, ამ ამბავმა მამას მწუხარება არ მიაყენოს.

137. მე ვაქებ ამისთანა ჩვეულებას; ვაქებ აგრეთვე იმასაც, რომ ერთი დანაშაულის გულისათვის არც თვითონ მეფე ჰკლავს არავის, და სპარსელთა შორის არც სხვა ვინმე მიუსჯის ვისმე თავის მსახურთაგანს სიკვდილს მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენისათვის. ხოლო როდესაც დაფიქრდებიან და გამოარკვევენ, რომ დანაშაული უფრო დიდია ამ კაცის დამსახურებაზე, მაშინ გარისხდებიან ხოლმე. ამბობენ, რომ სპარსელთა შორის არასოდეს არავის მოუკლავს თავისი მამა ან დედა; ხოლო თუკი ასეთი რამ მომხდარა, მთელი გულისყურით გამოკვლევების შემდეგ აღმოჩენილა, რომ ამის ჩამდენი ყოფილა მიგდებული ან უკანონო შვილი. ისინი ამბობენ, რომ ჭეშმარიტად შეუფერებელია მშობელი მისმა საკუთარმა შვილმა მოჰკლასო.

138. რისი გაკეთებაც არ შეიძლება მათთვის, მასზე არც ლაპარაკი შეიძლება. მათში ყველაზე სამარცხვინოდ ტყუილი ითვლება, ხოლო ტყუილის თქმის შემდეგ ყველაზე სამარცხვინოდ თვლიან ვალის აღებას, მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო, განსკუთრებით კი იმიტომ, რომ ამბობენ, დავალიანებუს რაღაც ტყუილის თქმა სჭირდებაო. მოქალაქეთაგან ვისაც კეთრი ან თეთრი ლაქალა აქვს, მას ქალაქში არ შეესვლება და არც სპარსელებთან აქვს ურთიერთობა. ამბობენ, რომ ვისაც ასეთი რამე სჭირს, მას მზის მიმართ შეცოდება მიუძღვისო. ყოველ უცხოელს, ვინც კი დაავადდება ამ სენით, ისინი ამევებენ ქვეყნიდან, ასევე ამევებენ თეთრ მტრედებსაც, რომელთაც მიიჩნევენ ომის მიზეზად. მდინარეში ისინი არც შარდავენ, არც აფურთხებენ, არც ხელეს იბანენ და არც სხვას აძლევენ ამის ნებას, რადგან მდინარეებს ისინი განსაკუთრებით სცემენ პატივს.

139. არის ერთი რამ, რაც თვით სპარსელებისათვის დაფარულია, ხოლო ჩვენთვის არა. პიროვნებების ყველა სახელი, ისევე, როგორც ძღვევამოსილების აღმნიშვნელი ყოველი სიტყვა მთავრდება ერთსა და იმავე ასოზე, რომელსაც დორიელების სან-ს უწოდებენ, ხოლო იონელები სიგმას. ვინც დაუკვირდება ამას, აღმოაჩენს, რომ ასე მთავრდება სპარსელთა სახელების არა მხოლოდ ერთი რომელიმე ნაწილი, არამედ ყველა ერთნაირად.

140. ამ ამბების შესახებ დანამდვილებით ვიცი და ისე ვამბობ. ხოლო მკვდრის შესახებ მალულად ლაპარაკობენ და არა ცხადლივ, რომ მანამდე არ დაიმარხება სპარსელი

კაცის გვამი, ვიდრე ფრინველი ან ძაღლი არ დაჰგლეჯს მას. მე დანამდვილებით ვიცი, რომ მოგვები ამას აკეთებენ, რადგან ცხადლივ აკეთებენ ამას. ხოლო სპარსელები შეჭვისავენ გვამს და მიწაში ფლავენ. მოგვები დიდად განსხვავდებიან ყველ სხვა ხალხისაგან და ეგვიპტელი ქურუმებისაგანაც. რადგან ეგვიპტის ქურუმებს სიწმინდედ მიაჩნიათ ის, რომ არაფერ სულდგმულს არ ჰკლავენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსხვერპლს სწირავენ, მოგვები კი საკუთარი ხელით ჰკლავენ ყოველივეს, გარდა ძაღლისა და ადამიანისა, და დიდად სასიქადულოდ მიაჩნიათ ამის კეთება. ასევე თავისი ხელით ხოდავენ ჭიანჭველებსაც, გველებსაც და ყოველივე სხვა ქვეწარმავლებსა და ფრთოსნებს. რაც შეეხება ამ ჩვეულებას, დეე იყოს ის ისე, როგორც იმთავითვე დაუწესებიათ, მე კი დავუბრუნდები ჩემს უწინდელ მოთხრობას.

141. როგორც კი ლიდიელები დაიმორჩილეს სპარსელებმა, იონელებმა და ეოლიელებმა გაგზავნეს მოციქულები სარდემში კიროსთან და უნდოდათ იმავე პირობებში ყოფილიყვნენმისი ქვეშევრდომები, რა პირობებშიც კროდსოსთან იყვნენ. კიროსმა მოუსმინა მათ, რასაც თხოულობდნენ, უამბო მათ იგავი და თქვა: ერთმა ავლოსზე დამკვრელმა კაცმა დაინახა ზღვაში თევზები და დაუკრა ავლოსზე, რადგან ფიქრობდა, რომ ამით გამოიყვინდა იმათ ხმელეთზე. როდესაც გაუმტყუნდა იმედი, აიღო ბადე, წყალში ისროლა, დიდძალი თევზი დაიჭირა და ნაპირზე გამოათრია, ხოლო რომ დაინახა მოფრთხილე თევზები, უთხრა მათ: "შეწყვიტეთ ცეკვა, რადგანაც, როდესაც ავლოსზე ვუკრავდი, მაშინ არ მოინდომეთ გამოსვლა და ცეკვაო". კიროსმა ეს ამბავი იონელებსა და ეოლიელებს იმიტომ უამბო, რომ იონიელებმა უწინ არ გაუგონეს მას, როდესაც თვით კიროსმა შეუთვალა მათ მოციქულები მეშვეობით გადსდგომოდნენ კროდსოსს, ხოლო როდესაც საქმე დასრულდა, მზად არიან გუგონონ კიროსს. კიროსმა გაჯავრებულმა უთხრა მათ ეს. იონელებმა კი, როდესაც შეიტყვეს ეს ამბავი, რომელიც მოედო ქალაქებს, თითოეულამ ზღუდეები შემოივლო და ყველანი, გარდა მილეტლებისა, შეიკრიბნენ პანიონიონში. რადგანაც მარტომ მილიტელებთან შეკრა კავშირი კიროსმა, როგორც ჰქონდა მათთან ლიდიელს, ხოლო დანარჩენმა იონელებმა დაადგინეს საერთო გადაწყვეტილების შემდეგად, რომ გაეგზავნათ მოციქულები სპარტაში და ეთხოვათ მათთვის შემწეობა.

142. იმ იონელებმა, რომელთაც ეკუთვნით პანიონი, ააგეს ქალაქები ცისა და ჰავის მხრივ საუკეთესო ადგილას, ყველა სხვა ხალხებთან შედარებით რომლებიც კი ჩვენ ვიცით. რადგან იონიას ვერ შეედრებიან არც მის ზემოთ და არც მის ქვემოთ, მის აღმოსავლეთით თუ დასავლეთით მდებარე მხრიდან. რადგან ზოგს ყინვა და ნესტი აწუხებს, ზოგსაც სიცხე და გვალვა. იონიელები ერთსა და იმავე ენაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ ოთხნაირ დიალექტს ხმარობენ. მათ შორის სამხრეთისაკენ მილეტია პირველი ქალაქი, ხოლო შემდეგ არიან მიუსი და პრიენე. ესენი კარიაში მდებარეობენ და მათი მცხოვრებნი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. ხოლო ლიდიაში არის შემდეგი ქალაქები: ეფესო, ლებედოსი, ტეოსი, კლამომენე, ფოკადე. ამ ქალაქებს ზემოდ მოხსენებულ ქალაქებთან ენის მიხედვით არაფერი მსგავსება არა აქვთ, ხოლო ერთმანეთში ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე. ამას გარდა დარჩენილი სამი იონური ლაქიდან ორი მდებარეობს კუნძულებზე, სამოსი და ქიოსი, ხოლო ერთი დაფუძნებულია ხმელეთზე, ერთრე. ქიოსელები და

ერთიელები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო სამოსელები - თავის საკუთარზე. ეს არის ენის ოთხი დიალექტი.

143. ამ იონელთაგან მილეტელებს საფრთხე არ ემუქრებოდათ, რაკიდა ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, ხოლო კუნშულის მცხოვრებლებსაც საშიში არაფერი ჰქონდათ, რადგან არც ფინიკიელები ყოფილან ოდესმე სპარსელთა ქვეშევრდომები და არც თვით სპარსელები ყოფილა ოდესმე ზღვაოსნები. სხვა იონელთაგან გამოყოფილი არიან ეს იონელები მარტო იმიტომ, რომ სუსტი იყო მაშინ მთელი ელინური მოდგმა, ხოლო სხვა ტომებზე ბევრად უფრო სუსტი და ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო იონური ტომი, რადგანაც ათენს გარდა სხვა არავითარი მნიშვნელოვანი ქალაქი არ ჰქონიათ. სხვა იონელებიცა და ათენელებიც გაურბოდნენ სახელს, არ უნდოდათ იონელები რქმეოდათ, ის კი არა ახლაც მეჩვენება, რომ ბევრ მათგანს რცხვენია ამ სახელის. სამაგიეროდ ეს თორმეტი ქალაქი ამაყოფა ამ სახელითა და დააფუძნეს საკურთხეველი მხოლოდ თავისთვის და დაარქვეს მას პანიონიონი და გადაწყვიტეს, რომ იონიელთაგან იქ სხვა არავინ მიიღებდა მონაწილეობას (არც მოუთხოვია არავის მოანწილეობის მიღება სმირნელთა გარდა).

144. ახლანდელი პენტაპოლისელი(უწინ რომ ჰესაპოლისი ერქვა) დორიელები მეზობლად დორიელთაგან არავის უშვებენ ტრიოპის ტაძრში, ის კი არა იმ თავისიანებსაც, ვინც კი უკანონოდ მოიქცეოდა ტაძრის მიმართ, გამორიცხავდნენ ხოლმე და აღარ უშვებდნენ ტაძარში. ტრიოპის აპოლონის შეჯიბრებაზე ძველთაგანვე სპილენძის სამფებს აძლევდნენ ხოლმე გამარჯვებულებს, მაგრამ ვინც მიიღებდა ამ ჯილდოს, ტაძრიდან კი არ უნდა გაეტანა სამფეხი, არამედ იქვე უნდა შეეწირა ღმერთისათვის. ერთმა ჰალიკარნესელმა, რომელსაც სახელად ერქვა აგასიკლეესი, გამარჯვება მოიპოვა და კანონი დაარღვია, თავის სახლში წაიღო სამფეხი და იქ მილურსმა. ამ მიზეზის გამო ხუთმა ქალაქმა, ლინდოსმა, იალისოსმა, კამიროსმა, კოსმა და კნიდოსმა გამორიცხეს ტრიოპის ტაძრის წევრობისაგან მეექვსე ქალაქი, ჰალიკარნესოსი. აი ასეთი სასჯელი დაადეს მათ ჰალიკარნესელებს.

145. მე ვფიქრობ, იონიელებმა თორმეტი ქალაქის კავშირი შექმნეს და არც უნდოდათ ამ კავშირში მეტის მიღება იმის გამო, რომ როდესაც პელოპონესში ცხოვრობდნენ, 12 ნაწილად იყოფოდნენ, ისევე როგორც ახლა 12 ნაწილად იყოფიან აქაძელები, რომელთაც გააძევეს იონიელები. პირველი ქალაქი მათ შორის არის სიკიონის მხრიდან პელენე, ხოლო შემდეგ არის ადგიერა და ადგე, სადაც გადის მუდმივ სანაოსნო მდინარე კრათისი, რომლისგანაც აქვს სახელი იმ მდინარეს, იტალიაში რომაა; შემდეგ არის ბურა და ჰელიკე, სადაც გაიქცნენ აქაძელების მიერ ბრძოლაში დამარცხებული იონიელები; შემდეგაა ადგიონი, რიპესი, პატრეესი, ფარეესი და ოლენოსი, რომელშიც არის დიდი მდინარე პედროსი; მერეა, დიმე და ტრიტეესი, მხოლოდ ეს უკანასკნელებია, რომ შუახმელეთზე მდებარეობენ.

146. ესაა სახელგანთქმულ აქაძელთა 12 ნაწილი, რაც ოდესღაც იონიელებისა იყო. ამიტომაა, რომ იონიელებმა 12 ქალაქი შექმნეს; დიდი სისულელეა იმის თქმა, თითქოს ეს იონელები რაღაცით უფრო მეტნი არიან სხვა იონიელებზე, ანდა რაღაცით უკეთესი თავისი წარმოშობით, პირიქით, მათ შორის მცირე ნაწილი როდი

უჭირავთ აბანატებს, რომლებიც ევბეიდან არიან და რომელთაც იონიასთან სახელიც კი არა აქვთ საერთო, ამას გარდა ორქომენელი მინიები შეერივნენ მათ; ასევე შეერივნენ მათ კადმეელები, დრიოპები, გამდგარი ფოკიდელები, მოლოსები, არკადიელი პელაზგები, ეპიდავრელი დორიელები და მრავალი სხვა ტომი; ათენელთა პრიტანეიდან გამოსულმა და იონიელთ შორის უკეთილშობილესად მიჩნეულმა წარმოშობის მიხედვით ზოგიერთმა მათგანმაც კი არ წაიყვანეს ახალშენში ცოლები, არამედ კარიელი ქალები მოიპოვეს ადგილზე; ის ქალები, რომელთაც მშობლები დაუხოცეს. ამ მკვლელობის გამო ამ ქალებმა დაიწესეს, ფიცი დასდეს და უანდერძეს თავის ასულებს, რომ არც ოდესმე ეჭამათ პური ქმრებთან ერთად და არც სახელი დაეძახათ საკუთარი ქმრისათვის. ეს იმიტომ, რომ ამ მამაკაცებმა დაუხოცეს მათ მამები, ქმრები და შვილები; ეს ჩაიდინეს და შემდეგ შეირთეს ისინი. ეს მოხდა მილეტში.

147. ზოგიერთმა იონიელმა მეფეებად დაიყენეს ლიკიელები, რომლებიც გლავკოს ჰიპოლოქოსის ძის ჩამომავლები იყვნენ, სხვებმა პილოსელი კავკონები, კოდროს მელანთოსის ძის ჩამომავლები, დანარჩენებმა კი გაიმეფეს როგორც ერთი ჩამომავლობის ხალხი, ასევე მეორე. ესენი ითვლებიან ყველაზე უფრო სუფთა წარმოშობის იონიელებად და ამიტომაცაა, რომ სხვა იონიელებზე უფრო მეტად იცავენ თავის სახელს. ყველა ეს იონელი ათენიდან არის წარმოშობით და აპატურიის დღეობას იხდის. ამ დღეობას კი იხდის ყველა იონელი, გარდა ეფესელებისა და კოლოფონელებისა. იონელთაგან მხოლოდ ესენი არ დღესასწაულობენ აპატურიას და ამისი მიზეზი რაღაცა მკვლელობაა.

148. ხოლო პანიონიონი არის წმინდა ადგილი მიკალეში, მის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი ერთობლივ ყველა იონელთაგან ჰელიკონელ პოსედონისათვის არის განკუთვნილი. ხოლო მიკალე არის ხმელეთის კონცხი მიმართული ზეფირის ქარისაკენ, სამოსისკენ, ყველა ქალაქიდან აქ გროვდებიან იონიელები და იხდიან დღესასწაულს, რომელსაც უწოდეს სახელად პანიონია. ის რაც ითქვა, ეხება არა მხოლოდ იონიელთა დღესასწაულს, არამედ ასევე ყველა ელინთა დღესასწაულებსაც, რომელთა სახელებიც ერთსა და იმავე ასოზე ბოლოვდებიან, ისევე როგორც სპარსული სახელები.

149. ესენი არიან იონიური ქალაქები, ხოლო ეოლიური ქალაქებია: კიმე, რომელსაც ლერისი ეწოდება, ფრიკონისი, ნეონ ტემხოსი, ტემნოსი, კილა, ნოტიონი, ადგიროესსა, პიტანე, ადგადე, მირინა, გრინედა. ესაა 11 უძველესი ეოლიური ქალაქი. ხოლო ერთი მათ შორის, სმირნე, წაიღეს იონიელებმა, თავდაპირველად კი ეოლიური თორმეტი ქალაქი იყო ხმელეთზე. ხოლო ესენი, ეოლიელები, იონიელებზე უფრო ნაყოფიერ ქვეყანაში დასახლდნენ, მაგრამ ჰავსი მიხედვით მათი ქვეყანა ვერ შეედრებოდა იონიელების ქვეყანას.

150. ხოლო ეოლიელებმა სმირნე ასე დაჰკარგეს: მათ მიიღეს შეთქმულებაში დამარცხებული და სამშობლოდან გამოძევებული კოფოფონელები. შემდეგ კოლოფონელი ლტოლვილები დაუდარაჯდნენ სმირნელებს, რომლებიც დიონისეს დღესასწაულს იხდიდნენ ზღუდის გარეთ, დაჰკეტეს კარიბჭე და აიღეს ქალაქი. მაშინ ყველა ეოლიელი გამოვიდა სმირნელების დასახმარებლად, მაგრამ მოხდა ისე, რომ შემდეგზე შეთანხმდნენ, იონიელები მისცემდნენ მათ მოძრავ ქონებას, ხოლო ეოლიელები დატოვებდნენ სმირნას. როდესაც სმირნელებმა ეს გააკეთეს, თერთმეტმა

ქალაქმა დაინაწილა ყოფილი სმირნელები და გახადა თავის საკუთარ მოქალაქეებად.

151. ესენია ეოლიის ხმელეთზე მდებარე ქალაქები, იმ ეოლიელებს გარდა, რომლებიც მოსახლეობენ იდეზე, რადგან ისინი განცალკევებულნი არიან. ხოლო კუნძულებზე მდებარე ქალაქთაგან ხუთია ლესბოსზე (რადგან მეექვსე ქალაქი, რომელიც ლესბოსზე მდებარეობდა, არისბა, დაიმონეს მეთიმნელებმა, თუმცა კი ერთმანეთის ნათესავები იყვნენ). ერთი ქალაქი მდებარეობს ტენედოსზე, ერთიც ე.წ. ჰეკატონესოსზე, ლესბოსელებსა და ტენედოსელებს, ისევე როგორც იმ იონიელებს, რომლებსაც კუნძულები ეჭირათ, არავითარი საშიშროება არ მოელოდათ. ხოლო დანარჩენმა ქალაქებმა გადაწყვიტეს, რომ საზოგადოდ ყველაფერში მიჰყოლოდნენ იონიელებს, როგორც ისინი მოიქცეოდნენ.

152. როდესაც იონიელთა და ეოლიელთა მოციქულები მოვიდნენ სპარტეში, საჩქარო იყო ამის გაკეთება, მათ თავიანთთაგან მოლაპარაკედ გამოარჩიეს ერთი ფოკიდელი, რომელსაც სახელად ერქვა პითერმოსი. მას ეცვა მოწეული ტანსაცმელი, რათა, რომ შეიტყობდნენ სპარტელები, რაც შეიძლება მეტნი მოსულიყვნენ, იგი წარსდგა სპარტელთა წინაშე, ბევრი ილაპარაკა და სთხოვა მათ დახმარება. ლაკედემონელებმა მას არ მოუსმინეს და გადაწყვიტეს, რომ არ დაეხმარებოდნენ იონიელებს. ისინი წავიდნენ, ხოლო ლაკედემონელებმა, რომელთაც გააწიბლეს იონელთა მოციქულები, თვითონ გაგზავნეს 50 ნიჩბიანი ნავით კაცები, როგორც მგონია, კიროსისა და იონიის საქმიანობისათვის თვალყურის სადევნებლად. როდესაც მოვიდნენ ესენი ფოკაში, გაგზავნეს სარდელში თავიანთთაგანი ყველაზე უფორ პატივცემული კაცი, რომელსაც სახელად ერქვა ლაკრინესი და რომელსაც უნდა გადაეცა კიროსისათვის ლაკედემონელთა სიტყვა, რომ ელადის მიწის არც ერთი ქალაქი არ ააოხროს, თორემ ესენი არ მოითმენენ.

153. ეს რომ თქვა მაცნემ, ამბობენ, კიროსი შეეკითხა იქ მყოფ ელინებს, თუ რა ხალხი არიან ლაკედემონელები და რამდენნი არიან, რომ ამას მოითხოვენ მისგან. როდესაც შეიტყო, უთხრა სპარტელ მაცნეს ”არასოდეს არ მეშინოდა ისეთი ხალხისა, რომელსაც ქალაქის შუაგულში აქვს შესაკრებად განკუთვნილი ადგილი იმისათვის, რომ იქ ერთმანეთს ეფიცებოდნენ და თან ატყუებდნენ. თუ ჯანმრთელად ვიქენი, ეგენი იონიელების გასაჭირზე კი არ იყბედებენ, არამედ თვის საკუთარზე”. კიროსის ეს სიტყვები ეხებოდა ყველა ელინს, რადგან ყველას აქვს მოედნები, რომელთაც იყენებდნენ ყიდვა-გაყიდვისათვის. ხოლო თვითონ სპარსელებს, არაფრად სჭირდებოდათ მოედნები და საერთოდ სულაც არა აქვთ ისინი. ამის შემდეგ სარდე ჩააბარა ტაბალოსს, სპარსელს, ხოლო კროდსოსისა და სხვა ლიდიელთა ოქრო მიანდო პაქტიესს, ლიდიელს, თვითონ კი წავიდა აგბატანაში, თან წიაყვანა კროდსოსი; ხოლო იონიელებს თავდაპირველად არც კი მიაქცია ყურადღება, რადგანაც მას ჯერ ბაბილონი უშლიდა ხელს, ბაქტრიელი ხალხი, საკები და ეგვიპტელები, რომლებთან ომში თვითონ აპირებდა მხედართმთავრობას, ხოლო იონიელების წინააღმდეგ სხვა მხედართმთავარი გაგზავნა.

154. როდესაც კიროსი წავიდა სარდედან, პაქტიესმა ლიდიელები გადაუყენა ტაბალოსსა და კორსს, თვითონ ჩავიდა ზღვასთან და რაკირა მის ხელში იყო სარდელთა მთელი ოქრო, დაიქირავა დამხმარე ჯარი და დაარწმუნა ზღვისპირეთის

მოსახლეობა, მასთან ერთად ელაშქრათ; სარდეს წინააღმდეგ რომ წავიდა, ალყა შემოარტყა ტაბლოსს და გამოიმწყვდია აკროპოლისში.

155. კიროსმა ეს ამბავი გზაში შეიტყო და უთხრა კროდოსს შემდეგი: ”კროდოს, ამ ამბებს რა ბოლო ექნება ჩემთვის? როგორც ჩანს, ლიდიელები არ მოგვიშლიან საზრუნავს არც ჩვენ და არც თავის თავს. მე ვფიქრობ, უკეთესი იქნება, რომ დავიმონო ისინი. ახლა მგონია, თითქოს ისე ვიქცევი, როგორც ვიღაცა, რომელიც მოჰკლავს მამას და მის შვილებს შეიცოდებს. რადგანაც მე შენ, ლიდიელთათვის უფრო მეტი ვიდრე მამა, წამოგიყვანე და თან დაგატარებ, ხოლო თვით ლიდიელებს კი გადავეცი ქალაქი და ამის შემეგ მიკვირს, რომ ისინი მე გადამიდგნენ”. კიროსი ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა, ხოლო კროდოსმა, რომელსაც ეშინოდა რომ სარდე მთლად არ გაენადგურებინა კიროსს, უპასუხა შემდეგი: ”მეფეო, ღირსეულად ლაპარაკობ, მხოლოდ მთლად ნუ მიჰყვები გულისთქმას და ნუ გაანადგურებ ძველ ქალაქს, რომელიც უდანაშაულოა როგორც უწინდელ, ისე ახლანდელ მდგომარეობაში. უწინდელი მდგომარეობა ჩემი შექმნილია და ამისათვის საკმარისადაც ვიწვნიე. რაც შეეხება ახლანდელ ვითარებას, - ამაში პაქტიესი არის დამნაშავე, შენ მას ჩააბარე სარდე, ამიტომ მან უნდა აგოს შენთან პასუხი. ლიდიელებს კი აპატიე და ისეთი რამ დაუწესე, რომ არც გადაგიდნენ და არც საშიშარნი იყვნენ შენთვის: გაგზავნე კაცი და მისი პირით აუკრძალე მათ იარაღის ხმარება. უბრძანე, რომ კვართები ჩაიცვან ტანსაცმელს ქვეშ და კოთურნები ამოიბან, უთხარი მათ, რომ შვილებს ასწავლონ კითარაზე და ქნარზე დაკვრა და ვაჭრობა და მალე დაინახავ, მეფეო, რომ მამაკაცების წილ ქალებად იქცევიან ისინი ისე, რომ აღარ უნდა შეგეშინდეს, რომ გადაგიდგებიან”.

156. კროდოსმა მას ეს ურჩია, რადგანაც ფიქრობდა, რომ ლიდიელთათვის ეს უმჯობესია, ვიდრე დამონება. მან იცოდა, რომ თუ კიროსს მნიშვნელოვან საბუთს არ წაუყენებდა, ვერ დაარწმუნებდა მას გადაწყვეტილება შეეცვალა. კროდოსს ეშინოდა რომ ლიდიელები ოდესმე შემდეგში, ახლა თუ კი გადარჩებოდნენ, გადაუდგებოდნენ სპარსელებს და მაშინ კი დაილუპებოდნენ. კიროსს კი მოეწონა რჩევა, სიბრაზემ გადაუარა და თქვა, რომ მას დუჯწერბს. დაუძახა მამარესს, მიდიელს და დაავალა, რომ გამოეცხადებინა ლიდიელებისთვის ის, რაც მას კროდოსმა ურჩია. ამას გარდა, მონებად ექცია ყველა სხვა, ვინც კი სარდეზე ილაშქრა ლიდიელებთან ერთად, ხოლო თვით პაქტიესი უეჭველად ცოცხლივ მოეგვარათ მისთვის.

157. კიროსმა ეს ყოველივე ბრძანა გზაში და წავიდა სპარსელთა საცხოვრისისაკენ, ხოლო პაქტისმა შეიტყო თუ არა, რომ ახლოს არის მასზე მომავალი ლაშქარი, შეემინდა და გაიქცა კიმეში. მიდიელი მამარესი კი წავიდა სარდეზე კიროსის ჯარის ნაწილით, რომელიც თან ჰყავდა. პაქტიესის თანამოაზრენი სარდეში რომ ვერ იპოვნა, ჯერ ლიდიელები აიძულა კიროსის ბრძანებები შეესრულებინათ, ამის მერე ლიდიელებმა სრულიად სხვაგვარი ცხოვრება მოიწყვეს. მამარესმა ამის შემდეგ კიმეში გაგზავნა მოციქულები და შეუთვალა, რომ პაქტიესი გაეცათ. ხოლო კიმელებმა გადაწყვიტეს რჩევა ეკითხათ ღმერთისათვის, რომელიც ბრანქიდემია. ძველიდანვე იყო დაფუძნებული იქ სამისნო, რომლითაც ყველა იონელი და ეოლიელი სარგებლობდა ჩვეულებრივ. ეს ადგილი მილეტისა არის და მდებარეობს პანორომოსის ნავსადგურის ზემოთ.

158. კიმელებმა გაგზავნეს კაცები ბრანქიდეში ღვთისაგან საკითხავად პაქტიესის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცნენ მას, რომ ღმერთებს ასიამოვნონ. შეკითხვაზე ასეთი პასუხი მიიღეს: მიეცით პაქტიესი სპარსელებსო. როგორც კი მოისმინეს ეს პასუხი კიმელებმა, განეწყვნენ მის გასაცემად, ხალხმა რომ ეს განიზრახა, არისტოდიკოსმა, ჰერაკლეედესის ძემ, მოქალაქეთა შორის დიდად მიჩნეულმა კაცმა, კიმელს დაუშალა ამის გაკეთება. თვითონ არ სჯეროდა მისნობისა და ფიქრობდა, რომ დესანებმა ჭეშმარიტება არ ილაპარაკეს. ამიტომ იყო რომ წავიდნენ პაქტიესის შესახებ შესაკითხად სხვა დესპანები და მათ შორის იყო არისტოდიკოსიც.

159. როდესაც მოვიდნენ ბრანქიდეში, ყველა წარგზავნილთაგან არისტოდიკოსმა იკითხა ღვთის განგება: ”მეუფევ, ჩვენთან მოვიდა ლიდიელთა პაქტიესი, შმივრდომეთო (ის ხომ ძლივს გადაურცა სპარსელთა ხელით სიკვდილს). სპარსელები კი თხოულობენ მას და კიმელებს უბრძანებენ, რომ გასცენ იგი. მართალია, ჩვენ გვეშნია სპარსელთა ძალისა, მაგრამ ვერ ვბედავთ, რომ პაქტიესი გავცეთ, ვიდრე შენგენ არ გავიგებთ ნამდვილად, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ”. იგი ამას შეეკითხა, ხოლო ღვთაებამ კვლავ იგივე წინასწარმეტყველება გამოუცხადა მათ და უბრძანა მიეცათ პაქტიესი სპარსელებისათვის. ამის შემდეგ არისტოდიკოსმა განზრახ გააკეთა შემდეგი: გარშემოუარა ტაძარს და ანადგურებდა ბელურებსა და სხვა ფრინველებს, რომლებსაც ბუდეები გაეკეთებინათ ტაძარში. როდესაც ის ამს აკეთებდა, ამბობენ, ტაძრიდან გაისმა ხმა, რომელიც მიმართული იყო არისტოდიკოსისადმი და რომელმაც თქვა შემდეგი: ”შე უწმინდურო, ამს რას ბედავ? ჩემს მავედრებლებს ტაძარში რომ ანადგურებ?” ხოლო არისტოდიკოსი არ დაბნეულა ამაზე და უპასუხნია: ”მეუფეო, შენ თვითონ ეგრე ეხმარები მავედრებლებს და კიმელებს კი უბრძანებ, რომ მავედრებელი გასცენ?” ხოლო მას კვლავ შემდეგი უპასუხეს: ”დიახ, ვბრძანებ, რათა უფრო ჩქარა დაილუპოთ ურწმუნოებისათვის და მეტად აღარ მოხვიდეთ ღვთის ნების შესატყობად მავედრებელთა გაცემის შესახებ”.

160. როდესაც ეს ამბები მოუტანეს კიმელებს და მათ ეს მოისმინეს, არ მოუნდათ არც პაქტიესის გაცემა, რომ არ დაღუპულიყვნენ და არც მისი თავსისთნ ყოფნა, რომ ალყა არ შემოერთყათ მათთვის და გაგზავნეს ის მიტილენეში. ხოლო მიტილენელები, როდესაც მამარესმა მათ მოციქულები გაუგზავნა, მზად იყვნენ გაეცათ პაქტიესი, მხოლოდ გარკვეული საფასურით; რამდენი მოითხოვეს საფასურად, არ შემიძლია დანამდვილებით ამისი თქმა, რადგანაც ეს საქმე არ მომხდარა. ხოლო როდესაც კიმელებმა შეიტყვეს მიტილენელების განზრახვა, გაგზავნეს ნავი ლესბოსზე და წაიყვანეს პაქტიესი ქიოსზე, ხოლო იქ ქალაქის მფარველ ათენას ტაძრიდან ქიოსელებმა გამოათრიეს პაქტიესი და გადასცეს სპარსელებს. ქიოსელებმა ის გადასცეს ატარნევსის ფასად. ატარნევსი ადგილია მისიაში, ლესბოსის პირდაპირ. სპარსელებმა რომ მიიღეს, პაქტიესი, ჰყადათ ის საპყრობილეში, რადგან მისი კიროსისათვის ჩვენება უნდოდათ. ამასობაში კარგახანს არც ერთ ქიოსელს ამ ატარნევსიდან არც ერთი ღმერთისათვის ქერის მარცვალი არ დაუყრია, არც კვერი გამოუცხვია აქაური მოსავლისაგან. და საერთოდ, რაც კი ამ ქვეყანაში მოდის, ყოველივეს არიდებდნენ ყოველგვარ მსხვერპლშეწირვას.

161. ამგვარად ქიოსელებმა პაქტიესი გასცეს, ხოლო ამის შემდეგ მამარესმა ილაშქრა იმათზე, ვინც ალყა შემოარტყა ტაბალოსს, შემდეგ პრიენელები დაიმორჩილა, მერე

გადიარა მთელი მაჰანდროსის დაბლობი, რომელიც მოალაფებინა ლაშქარს, ისევე როგორც მაგნესია. ხოლო ამის შემდეგ მალე მოკვდა მაძარესი ავადმყოფობისაგან.

162. მისი სიკვდილის შემდეგ მთავარსარდლობა მემკვიდრეობით ხვდა ჰარპაგოსს, რომელიც მიდიელი იყო წარმოშობით, ეს ის ჰარპაგოსი იყო, რომელსაც მიდიელთა მეფე ასტიაგესი გაუგნარი საჭმელით გაუმასპინძლდა და რომელიც დაეხმარა კიროსს ხელისუფლების მოპოვებაში. კიროსმა რომ ეს კაცი მხედართმთავრად დანიშნა, ის მივიდა იონიაში და ქალაქების მიწაყრილების მეშვეობით აიღო; ეს კი ასე ხდებოდა: როგორც კი მოიმწყვდევდა ხალხს კედლებში, მაშინვე მიწას მიაყრიდა კედლებს და მიწაყრილებს აკეთებდა ამ კედლების წინ.

163. იონიიდან პირველი ფოკადე იყო, რომელსაც მან შეუტია. ხოლო ეს ფოკეელები პირველები იყვნენ ელინთა შორის, რომელნიც შორეულ ნაოსნობას მისდევდნენ და რომელთაც აღმოაჩინეს ადრიესი, ტირსენიე, იბერიე და ტარტესოსი, ისინი სავაჭრო ხომალდებით კი არ ცურავდნენ, არამედ ორმოცდაათნიჩბიანი ნაგებობით. როდესაც ისინი მოვიდნენ ტრატესოში, დაუმეგობრდნენ ტრატესოლთა მეფეს, რომელსაც სახელად ერქვა არგანთონიოსი; იგი ტირანობდა ტარტეროსში 80 წელს, ხოლო იცოცხლა სულ 120 წელი. ამ კაცს ფოკეელები ისე დაუმეგობრდნენ, რომ პირველად მან შესთავაზა დაეტოვებინათ იონია და დასახლებულიყვნენ მის ქვეყანაში, სადაც კი მოინდომებდნენ, ხოლო შემდეგ, როდესაც ვერ დაიყაბულა ფოკეელები ამაზე და მიდიელის ძლიერება შეიტყო მათგან, მისცა მათ სახსარი, რომ ზღუდე შემოევლოთ ქალაქისათვის. სახსარი კი მან ძალიან გულუხვად გაიღო, რადგან კედლის სიგრძე ცოტა სტადიონებს როდი შეიცავდა, ხოლო მთლი კედელი გაკეთებულია დიდი ქვებისაგან და კარგად არის ნაგები.

164. ამგვარად აქვთ აგებული ფოკეელებს თავისი კედელი. ხოლო ჰარპაგოსმა, როგორც კი წაიყვანა მათ წინააღმდეგ ლაშქარი, ალყაშემოარტყა და უთხრა მათ, რომ სრულიად დასჯერდება, თუკი ფოკეელები მოინდომებენ კედლის მხოლოდ ერთი ბასტიონის დანგრევას და ერთი ნაგებობის გაწირვას. ფოკეელებს კი მონობისა ემინოდათ და შეუთვალეს, რომ ერთი დღე მიეცათ მოსათათბირებლად, ხოლო ვიდრე ისინი ითათბირებდნენ, ჰარპაგოსს წაეყვანა ლაშქარი ზღუდიდან. ამაზე ჰარპაგოსმა უთხრა, რომ კარგად იცის, თუ რის გაკეთებასაც აპირებენ ისინი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აძლეს მათ თათბირის ნებას. ამასობაში ჰარპაგოსმა წაიყვანა ლაშქარი კედლიდან, იმავე დროს და ფოკეელებმა ჩაუშვეს ზღვაში 50-ნიჩბიანი ნაგები, ჩასხეს შიგ შვილები და ცოლები, დატვირთეს ისინი მთელი თავისი მოძრავი ქონებითა და ტამრებიდან ქანდაკებებითა და სხვა შეწირულებებით, გარდა სპილენძისა და ქვის ნაკეთობებისა, თუ ნახატებისა ყველაფერი მოათავსეს ნაგებში, თვითონაც ჩასხდნენ და გაცურეს ქიოსში. ადამიანთაგან დაცარიელებული ფოკადე კი დაიპყრეს სპარსელებმა.

165. როდესაც ქიოსელებმა ოძნუსედ წოდებული კუნძულების ფოკეელებისათვის მიყიდვა არ მოინდომეს (ესენი კი საყიდლად მოვიდნენ), რადგან შეეშინდათ, რომ ოძნუსე სავაჭრო ადგილად იქცეოდა, ხოლო ამის გამო მათი საკუთარი კუნძული ქიოსი მნიშვნელობას დაკარგავდა, ამიტომ იყო, რომ ფოკეელები წავიდნენ კირნოსზე. კირნოსზე ამ ამბებზე 20 წლით ადრე ღვთის განგების თანახმად ააგეს ქალაქი, რომელსაც დაერქვა ალალიე. არგანთონიოსი ამ დროისათვის უკვე

გარდაცვლილი იყო. ისინი რომ კირნოსზე წასასვლელად გაემზადნენ, პირველად მოცურდნენ ფოკაეში, ამოხოცეს სპარსელთა დამცველი რაზმი, რომელიც იცავდა ჰარპაგოსისაგან მიღებულ ქალაქს, ხოლო ამის შემდეგ, დიდი წყევლა-კრულვა წარმოთქვეს იმათ მიმართ, ვინც ჩამორჩებოდა მათ ლაშქრობას. ამას გარდა ზღვაში გადააგდეს რკინის ნაჭერი და დაიფიცეს, რომ მანამ არ დაბრუნდებიან ფოკაეში, ვიდრე ეს რკინის ნაჭერი არ გამოჩნდება ზღვიდან. ხოლო როდესაც წავიდნენ კირნოსზე, მოქალაქეთაგან ნახევარზე მეტი ისე შეიპყრო ქალაქისა და საკუთარი ქვეყნის სურვილმა და სინანულმა, რომ დაარღვიეს ფიცი და წამოვიდნენ უკან ფოკაეში. ხოლო ისინი, ვინც დაიცვეს ფიცი, აიყარნენ ოძნუსიდან და გასცურეს.

166. როდესაც ფოკაელები კირნოსზე მოვიდნენ, დასახლდნენ მათზე ხუთი წლით ადრე მოსულებთან ერთად და ააგეს ტაძრები. რადგანაც ისინი ყველა მეზობლად მცხოვრებ ტომებს მარცვავენდნენ, მათზე ილაშქრეს ერთმანეთში მოლაპარაკებულმა ტირსენელებმა და კართაგენელებმა. თითოეულს ჰყავდათ 60-60 ნავი. ფოკაელებმაც შეამზადეს ხომალდები, რიცხვით 60 და შხვდნენ მათ სარდონიისად წოდებულ ზღვაში. როდესაც მათ შორი საზღვაო ბრძოლა მოხდა, ე. წ. კადმოსის ძეთა გამარჯვება ხვდა წილად ფოკეელებს, რომელთაც 40 ნავი დაეღუპათ, ხოლო, გადარჩენილი 20, გამოუყენებელი გახდა, რადგანაც ცხვირები გაელუნათ. ფოკეელებმა გასურეს ალალიეში, წამოიყვანეს შვილები და ცოლები, დაიტვირთნენ დანარჩენი ქონებით, რისი ტვირთვაც კი შეეძლო მათ ნავებს, შემდეგ დასტოვეს კირნოსი და გასცურეს რეგიონში.

167. ხოლო დაღუპული ნავების ხალხი კართაგენელებმა და ტირსენელებმა იგდეს ხელთ, ბევრი მათგანი გამოიყვანეს ნაპირზე და ჩაქოლეს. ამის შემდეგ, აგილეთაგან ყოველივე, რაც კი ჩაუვლიდა ამ ადგილს, სადაც ჩაქოლეს ფოკეელები, იღრმობდა რასმე, დასახიჩრდებოდა და დამბლა დაეცემოდა, ეს ყველას თანაბრად ემართებოდა: წვრილფეხა საქონელს, სახედრბსა და ადამიანებს; ამიტომ იყო, რომ აგილებმა დელფოში გაგზავნეს კაცები, უნდოდათ ცოდვისაგან განთავისუფლებულიყვნენ. ხოლო პითიამ უბრძანა, ეკეთებინათ ის, რასაც ახლა აკეთებენ, ე.ი. მნიშვნელოვანი მსხვერპლი შეეწირათ ფოკეელებისათვის და დაეწესებინათ მოვარჯიშეთა და ცხენთა შეჯიბრება. ფოკეელთაგან ამათ ამგვარი სიკვდილი ეწიათ; ხოლო ის ფოკეელები, რომლებიც გაიქცნენ რეგიონში, იქიდანაც წავიდნენ და დააფუძნეს ქალაქი ოძნოტრიის ქვეყანაში, ის, რომელსაც ახლა ჰიელე ეწოდება. დაარსეს ეს ქალაქი, რადგანაც შეიტყვეს პოსეიდონელი კაცისაგან, რომ ის კირნოსი, რომლის აგებაც მათ თითქოს უწინასაწრმეტყველა პითიამ, ერთ-ერთი გმირის სახელი იყო და არა კუნძულის. ასე დაემართა ფოკაეც, რომელიც იონიაშია.

168. ამათ მსგავსად მოიქცნენ ტეოსელები. რადგან, როდესაც აილო ჰარპაგოსმა მათი ზღუდე მიწაყრილის საშუალებით, ისინი ყველანი ჩასხდნენ ხომალდებში, გასცურეს თრაკიაში და იქ დასახლდნენ ქალაქ აბდერაში, რომელიც ამათზე უწინ კლადომენელმა ტიმოსოსმა დაარსა, მხოლოდ ამას არაფრით უსარგებლია, რადგანაც გამოამევეს თრაკიელებმა; ხოლო ტეოსელები, რომლებიც ახლა აბდერაში იყვნენ, პატივს სცემდნენ მას, როგორც გმირს.

169. იონიელთაგან მხოლოდ ამათ ვერ აიტანეს მონობა და დატოვეს სამშობლო, ხოლო სხვა იონიელები, გარდა მილეტელებისა, შეებრძოლნენ ჰარპაგოსს ისევე

როგორც ისინი, ვინც დატოვა სამშობლო და კარგი ვაჟკაცებიც აღმოჩნდნენ თავისი საკუთარი ქვეყნისათვის ბრძოლაში. ხოლო როდესაც დამარცხდნენ და შეპყრობილ იქნენ, დარჩა თითოეული თავის ქვეყანაში და ასრულებდნენ იმას, რასაც უბრძანებდნენ. ხოლო მილეტელებმა, როგორც უწინაც ვთქვი, თვით კიროსთან შეკრეს ფიცი და მშვიდობიანად იყვნენ. ამგვარად დაუმონებიანთ მეორედ იონია. როგორც კი ხმელეთზე მყოფი იონიელები იგდო ხელთ ჰარპაგოსმა, იონიელები, რომლებსაც კუბულები ეპყრათ, შეშინდნენ და თვითონვე ჩაბარდნენ კიროსს.

170. იონიელები დამარცხდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შეიკრიბნენ პანიონიონში; და მე შევიტყვე, რომ პრიენელმა ბიასმა მათ ყველაზე უფრო სასარგებლო აზრი მიაწოდა და ამისათვის რომ დაეჯერებინათ, ისინი ელინთა შორის ყველაზე უფრო ბედნიერები იქნებოდნენ. მან ბრძანა, რომ მოეწყოთ ელინებს საერთო ლაშქრობა და გაეცურათ სარდოში, და შემდეგ ერთი ქალაქი დაეარსებინათ ყველა იონელისათვის, ასე დაიხსნიდნენ ისინი თავს მონობისაგან და ბედნიერად იცხოვრებდნენ, თუკი კუნძულთა შორის ყველაზე უფრო დიდზე დასახლდებოდნენ და სხვებს კი მართავდნენ. ბოლოს თუკი ისინი იონიაში დარჩებოდნენ, თქვა ბიასმა, თავისუფლებას ვეღარ ეღირსებოდნენ. ამ აზრით პრიენელმა ბიასმა მიმართა განადგურებულ იონიელებს, ხოლო ვიდრე განადგურდებოდა, კარგი რჩევა მისცა იონიას თალესმა, მილეტელმა კაცმა, რომელიც წარმოშობით ფინიკიელი იყო. მან ბრძანა, რომ იონიელებმა დააწესონ ერთი სათათბირო, რომელიც იქნება ტეოსზე (რადგან ტეოსი იონის შუასია), ხოლო სხვა ქალაქები, რომლებიც დასახლებული არიან, ნაკლებად არ იქნებოდნენ მიჩნეული, იმის გამო, რომ ისინი ამიერიდან დემებად გადაიქცნენ.

171. ამათ ასეთი რჩევა მისცეს. ხოლო ჰარპაგოსმა იონია რომ დაიმორჩილა, გაილაშქრა კარიელების, კაენიელებისა და ლიკიელების წინააღმდეგ, და თან წაიყვანა იონიელებიცა და ეოლიელებიც. ხოლო ამ ხალხთაგან კარიელები ხმელეთზე კუნძულებიდან არიან მოსულები. ძველად კი ისინი მინოსის ქვეშევრდომები იყვნენ, იწოდებოდნენ ლელეგებად და ეპყრათ კუნძულები; ისინი არავითარ ხარკს არ იხდიდნენ, რამდენადაც მე შემიძლია მსჯელობა გადმოცემათა მიხედვით, მაგრამ როგორც კი მინოსი მოითხოვდა, უმზადებდნენ ხოლმე მას ხომალდებს. მინოსმა რომ დაიმორჩილა მრავალი ქვეყანა და ომებში გამარჯვებული გამოვიდა, აიძო ამ დროს კარიელთა ტომი ყველა სხვა ტომზე სახელოვანი იყო და დიაღაც ბევრად უფრო მეტად. მათ ეკუთვნის სამი აღმოჩენა, რაც ელინებმაც გამოიყენეს; მუზარადებზე ჯილის მიმაგრება კარიელებმა შემოიღეს, ფარებზე ნიშნის გაკეთებაც მათ გამოგონებაა და ესენი პირველები იყვნენ, რომლებმაც ფარებს ტარები გაუკეთეს: აქამდე უტაროდ ატარებდა ფარებს ყველა, ვინც კი ჩვეულებრივ ხმარობდა ფარებს, ტყავის თასმებით ჰქონდათ ხოლმე დამაგრებული ფარები. ამ თასმების საშუალებით კისერსა და მარცხენა მხარეზე გადაიკიდებდნენ ხოლმე მათ. შემდეგ, დიდი დრო რომ გავიდა, კარიელები დორიელებმა და იონიელებმა გამოაძევეს კუნძულებიდან და ეგერე მოვიდნენ ისინი ხმელეთზე. ეგრე იყო, ამბობენ კრეტელები კარიელების შესახებ. ხოლო თვით კარიელები არ არიან ამ საკითხის შესახებ მათი აზრის, არამედ თვითონ თავისი თავი ხმელეთზე მკვიდრ მცხოვრებად მიაჩნიათ და სახელად მუდამ ის გვერქვაო, ამბობენ, რც ახლაც გვქვია. საამისოდ მიუთითებენ კარიელი ზევსის უძველეს სალოცავზე მილასელეში, ხოლო ამ სალოცავში წილი აქვთ მისიელებს და ლიდიელებს, როგორც კარიელების ნათესავებს. რადგანაც ამბობენ, რომ ლიდოსი და

მისოსი კაროსის ძმები არიან. ესენი ამ სალოცავში მონაწილეობდნენ კარიელებთან ერთად, ხოლო მათ, ვინც სხვა ტომისაა არიან, მაგრამ იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რომელზედაც კარიელები. ამ სალოცავში წილი არა აქვთ.

172. ხოლო სიბრძნის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს მათში დამკვიდრებულ შემდეგ წესს: ავადმყოფები გამოჰყავთ მოედანზე, რადგან მკურნალები მათ საერთოდ არ ჰყავთ, ავადმოფთან მოდიან სხვადასხვა პირები და ეთათბირებიან მას ავადმყოფობის შესახებ, მოსულთა შორის არიან ისეთები, რომელთაც ან თვითონ გადაუტანიათ ის, რაც ავადმყოფს სჭირს, ანდა უნახავთ სხვა, რომელსაც სჭირვებია იგივე სენი. მოსულები ამის შესახებ ლაპარაკობენ და ურჩევენ ავადმყოფს იმას, რაც თვითონ გაუკეთებიათ და გადარჩენილან მსგავსი ავადმყოფებისაგან, ანდა სხვა უნახავთ, რომელიც გადარჩენილა. მათთვის არ შეიძლება ავადმყოფის გვერდით ჩუმად ჩავლა, რომ არ შეეკითხონ მას, თუ რა ავადმყოფობა სჭირს.

198. მიცვალებულებს ბაბილონელები თაფლში მარხავენ, ხოლო ტირილი იციან იმის მსგავსი, როგორც ეგვიპტეში, ბაბილონელი კაცი საკუთარ ცოლთან წოლის შემდეგ ყოველთვის ჯდება და გუნდრუკს აკმევს, ხოლო ცოლი ამასვე ჩადის სხვაგან. ხოლო როდესაც გათენდება, ორივენი იბანებიან, არავითარ ჭურჭელს არ ეხებიან. ამასვე აკეთებენ არაბებიც.

199. ბაბილონელთა ჩვეულებებს შორის შემდეგი არის ყველაზე სამარცხვინო: ყოველი ადგილობრივი ქალი უნდა დაჯდეს აფროდიტეს ტაძარში და ერთხელ თავის სიცოცხლეში დაწვეს უცხოელ მამაკაცთან. ბევრი ქალი არ კადრულობს სხვა ქალებში გარეგან, რადგან სიმდიდრით არიან გამაყებულები, ესენი ჩარდახიანი ურმებით მიდიან ტაძარში და იქ ჩერდებიან, ხოლო მათ უკან მოსდევს მრავალრიცხოვანი ამალა. ქალების მეტი წილი ასე აკეთებს: აფროდიტეს სალოცავში მრავალი ქალი იმყოფებოდა, რომელსაც თავზე ყაითნისაგან გაკეთებული გვირგვინები ჰქონდა. მრავალნი იყვნენ, რადგან ერთნი მოდიოდნენ და მეორენი მიდიოდნენ. ქალებს შორის ყოველი მიმართულებით სწორი გასასვლელებია, რომლებზედაც უცხოელები დადიან და ირჩევენ ქალებს. იქ მჯდომი ქალი, უწინ ვერ წავა სახლში, სანამ ვინმე უცხოელთაგანი ვერცხლის ფულს არ ჩაუგდებს კალათაში და არ დაიჭერს მასთან კავშირს ტაძრის გარეთ. ვინც ფულს ესვრის, მან უნდა თქვას შემდეგი: "მოგიწოდებენ შენ, ღმერთქალი მილიტას სახლით" (მილიტას ასირიელები აფროდიტეს უწოდებენ), ხოლო ფული რამდენი იქნება, არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ქალი მაინც ვერ იტყვის უარს, იმიტომ, რომ ეს ფული წმინდაა. ვინც პირველი გადაუგდებს ფულს, იმას უნდა წაყვეს ქალი და ვერც ვერავის უარყოფს. ხოლო როდესაც ქალი კავშირს იქონიებს, ის თავის წმინდა მოვალეობას შეასრულებს ღმერთქალის მიმართ და წავა სახლში. ამიერიდან რაც არ უნდა დიდი საბოძვარი მისცენ, ვერავინ ჩაიგდებს მას ხელში. ქალები, რომლებიც შესახედაობით და ტანადობით არიან დაჯილდოვებული, ჩქარა მიდიან, ხოლო შეუხედავები დიდხანს რჩებიან ტაძარში, რაკილა ვერ ახერხებენ წესის შესრულებას. ზოგიერთები სამსა და ოთხ წელსაც კი იცდიან. კიპროსის ზოგ ადგილას ამისი მსგავსი ჩვეულება აქვთ.

200. ეს ჩვეულებები აქვთ დაწესებული ბაბილონელებს, ხოლო მათ შორის არის სამი გვარი, რომელიც სხვას არაფერს ჭამს, გარდა თევზისა; რომ დაიჭერენ და მზეზე

გაახმოებენ, ამის მერე შემდეგს აკეთებენ: ჩააგდებენ გამხმარ თევზს როდინში, ნაყავენ ფილთაქვებით და ცრიან წმინდა ტილოში, ვისაც მოუნდება, ცომს ზელს იქიდან და ისე ჭამს, სხვები კი პურს აცხობენ.

201. როდესაც კიროსმა ხალხი დაიმორჩილა, მოინდომა, რომ მასაგეტები თავის ქვეშევრდომებად გაეხადა. ამბობენ, რომ ეს ხალხი მრავალრიცხოვანია და მამაცი, ხოლო სახლობენ ისინი აღმოსავლეთისაკენ. მზის აღმოსავლეთისაკენ, მდინარე არაქსის გადაღმა, ისე დონელთა პირდაპირ. ზოგიერთები ამბობენ, რომ მასაგეტთა ტომი სკვითური ტომიაო.

202. ხოლო არაქსის შესახებ ზოგი ამბობს, რომ დიდია ისტორსზე, ზოგი კი ამბობს, რომ უფრო პატარააო. ამბობენ, რომ აქ ბევრი კუძნულებია, სიდიდით ლესბოსის ოდენა. აქ ცხოვრობს ხალხი, რომელიც თხრის ყოველგვარ ფესვებს და ზაფხულობით იმით იკვებება, ხოლო ხეებზე ჰკრეფენ და აგროებენ მწიფე ნაყოფს და მას ჭამენ ზამთრობით. მათ ქვეყანაში მოიპოვება სხვა ხეებიც, რომლებიც რაღაც თავისებურ ნაყოფს ისხამენ. თვითონ ხალხი ერთ ადგილას გროვდება ხოლმე ჯგუფად ანთებენ ცეცხლს, ირგვლივ შემოუსხდებიან და ცეცხლში ჰყრიან ამ ნაყოფებს, ყნოსავენ ამ დამწვარ ნაყოფებს, რომლებიც ცეცხლშია ჩაყრილი და თვრებიან სუნისაგან. ისევე როგორც ელინები ღვინისაგან და რაც მეტ ნაყოფს აგდებენ, მით უფრო მეტად თვრებიან, ბოლოს კი დგებიან საცეკვაოდ და იწყებენ სიმღერას. მათ შესახებ ამბობენ, რომ ისინი ასეთ ცხოვრებას ეწევიან. ხოლო მდინარე არაქსი მომდინარეობს მატიაზეთაგან, საიდანაც მოედინება გინდესიც, რომელიც კიროსმა გაჰყო 360 არხად და რომელსაც აქვს 40 შესართავი, ამათგან ყველა, ერთს გარდა, იკარგება ჭაობებში. ამბობენ, რომ ამ ჭაობებში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც იკვებებიან უმი თევზით და ტანსაცმლად ხმარობენ სელაპის ტყავებს. არაქსის შესართავთაგან ერთი მიმიდინარეობს გაშლილ ადგილებზე კასპიის ზღვისაკენ. კასპიის ზღვა დამოუკიდებელია, არ უერთდება სხვა ზღვას, ხოლო მთელი ის ზღვა, რომელზედაც ელინები ცურავენ და ის, რომელიც ჰერაკლეს სვეტებს გარეთა (ატლანტისად რომ იწოდება) და მეწამული ზღვა, არსებითად ერთია.

203. კასპიის ზღვა კი სხვაა და დამოუკიდებელია, მისი სიგრძის გადალხვას ნიჩბებიანი ნავი უნდება თხუთმეტ დღეს; სიგანისას კი, სადაც ყველაზე ფართოა, 8 დღეს. ამ ზღვის დასავლეთით გადაჭიმულია კავკასოსი, რომელიც მთებს შორის ყველაზე უფრო ვრცელია და მაღალი. ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს კავკასოსის მთებში და მთელი ეს ხალხი იკვებება გარეული მცენარეებით. ამბობენ, რომ ამ ხეებს ფოთლები თავისებური მოყვანილობისა აქვთ. ამ ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს. ხოლო ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილია მასში. ამ ადამიანებს ისევე, როგორც ცხოველებს კავშირი აშკრად აქვთ.

204. ამ ზღვას, კასპიისად წოდებულს, დასავლეთის მხრივ კავკასოსი ესაზღვრება, ხოლო აღმოსავლეთით, საიდანაც მზე ამოდის, თვალუწვდენელი დაბლობი ეკვრის. ამ დიდი დაბლობის არამცირედი ნაწილი უჭირავთ მასაგატებს, რომლებზედაც კიროსს განზრახვა ჰქონდა ელაშქრა. ბევრი და დიდი მიზეზები ჰქონდა კიროსს საამისოდ, რომ გაეხედა და მათ წინააღმდეგ წასულიყო. უპირველეს ყოვლისა დაბადების მიხედვით მას თავისი თავი რაღაცით მეტი ეგონა ადამიანებზე, ხოლო

შემდეგ - იმ ბედის გამო, რაც მას ომებში ჰქონდა. რადგან სადაც კი არ წავიდა სალაშქროდ კიროსი, იმ ხალხმა მას ვერაფერით დააღწია თავი.

2005. მასაგატების დედოფალი იყო ქალი, მას შემდეგ, რაც მისი ქმარი გარდაიცვალა. სახელად მას ტომირისი ერქვა. კიროსმა გაუგზავნა მას კაცები და შუთვალა, რომ უნდა მისი ცოლად შერთვა. ტომირის მიხვდა, რომ კიროსი მას კი არ თხოულობს, არამედ მასაგატების სამეფოს და უარით უპასუხა მის ამ წინადადებას. ხოლო კიროსი, ამის შემდეგ, რაკილა არ გაუიდა ეშმაკობა, წავიდა არაქსისაკენ და აშკარად გაილაშქრა მასაგატების წინააღმდეგ, ხიდები გასდო მდინარეზე ლაშქრის გადასასვლელად და კომკები ააგო ხომალდებზე, რომელთაც მდინარეზე გაჰყავდათ ჯარი.

206. როდესაც კიროსი ამ საქმიანობაში იყო, ტომირისმა გაუგზავნა მას მოციქული და შეუთვალა შემდეგი: "მიდიელთა მეფევ, შეეშვი იმ საზრუნავს, რაზედაც ზრუნავ, რადგან არ ვიცი, წარმატებით ასრულდება ეს შენი განზრახვა თუ არა. შეეშვი და იმეფე იმაზე, რაც შენი სკუთარია და დაკმაყოფილდი იმით, რომ გვიცქირო, თუ როგორ განვაგებთ იმას, რასაც განვაგებთ. თუ არ მოგინდება ამ რჩევის მიღება და მშვიდობიანად ყოფნას ყველაფერი გერჩივნება, თუ მაინცდამაინც მოგინდება მასაგატების გამოცდა, მიდი, მაგრამ მდინარის ნაპირების შეერთებაზე ზრუნვას თავი ანებე, და როდესაც ჩვენ მდინარისაგან 3 დღის სავალზე დავიხვეთ, მაშინ გადმოდი ჩვენს მიწა-წყალზე. ხოლო თუ სენ ჩვენი მიღება გირჩევნია თქვენს მიწა-წყალზე, მაშინ შენ გააკეთე იგივე". კიროსმა რომ ეს მოისმინა, დაუძახა სპარსთა თავკაცებს, შეკრიბა ისინი და გაანდო მათ, რაშიც იყო საქმე, თან რჩევას ეკითხებოდა, თუ რომელ გზას დასდგომოდა. ისინი ერთსა და იმავე აზრს დაადგნენ და ურჩიეს რომ ტომირისიცა და მისი ლაშქარიც თავის ქვეყანაში მიელო.

207. იქვე იყო კრომოსო ლიდიელი, რომელსაც არ მოეწონა ეს აზრი და წარმოდგენილი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა: "მეფეო, მე შენ ერთ რამეს გეტყვი, რადგანაც მას მერე, რაც ზევსმა მოგცა შენ ჩემი თავი, მე ვუყურებ, რომ შეცდომა არაფერი მოხდეს შენს სახლში და შეძლებისდაგვარად უნდა აგაცილო ის თავიდან. ჩემ თავს გადახდილი უბედურებები უსიამოვნო გამოცდილებად მექცა. თუ შენ ფიქრობ, რომ უკვდავი ხარ და ასეთსავე ლაშქარს განაგებ, მაშინ სულ არაა საჭირო, რომ ჩემი აზრი გამოგიცხადო. ხოლო თუ იცი, რომ ადამიანი ხარ და განაგებ სხვებს, ასეთსავე ადამიანებს, ჯერ ის იცოდე, რომ ადამიანთა საქმიანობას წრე საზღვრავს, ეს წრე ბრუნავს და არ დაუშვებს, რომ ერთნი და იგივენი იყვნენ ბედნიერნი. ამდენად მე ამ საქმის შესახებ იმის საწინააღმდეგო აზრი მაქვს, რაც აქ გამოითქვა. თუ მოგვინდება, რომ მტერი ჩვენს ქვეყანაში შემოუშვათ, აქ შენ ასეთი საფრთხე გელის: დამარცხების შემთხვევაში დალუპავ მთელს სახელმწიფოს, რადგან ცხადია, რომ თუ გაიმარჯვებენ მასაგატები, ისინი უკან კი არ გაიქცევიან, არამედ შენი საგამგებლოსაკენ გაეშურებიან. ხოლო თუ კიდევაც შენ გაიმარჯვე, ვერ გაიმარჯვებ ისე, რომ გადახვიდე მათ მიწაზე და წარმატებით მისდით გაქცეულ მასაგატებს. რადგან ამ შემთხვევაშიც იმას ვგულისხმობ, რასაც ადრე, - თუ გაიმარჯვებ მოწინააღმდეგეზე, უთუოდ მოინდომებ ტომირისის სამეფოსაკენ წასვლას. ეგეც არ იყოს, სამარცხვინო და აუტანელია კიროსისათვის, კამბისესის ძისათვის, რომ ქალმა დაახევინოს მას და თავისი ქვეყანა დაათმობინოს. ახლა, მე ვფიქრობ, რომ უნდა გადავიდეთ მდინარეზე და წინ წავიდეთ იმდენზე, რამდენზედაც ისინი უკან გაიხვევენ. ამის შემდეგ უნდა შევეცადოთ, რომ დავამარცხოთ ისინი და აი რა უნდა

გავაკეთოთ: როგორც მე შევიტყვე, მასაგატებმა არ იციან სპარსული კეთილდღეობა რაშია და ნამდვილი კარგი ცხოვრება მათ არ განუცდიათ. ამიტომ ამ ხალხს დაუნანებლად დაუკალით ბევრი ცხვარი, მოამზადეთ და გამართეთ ნადიმი ჩვენს ბანაკში, ამის გარდა დაუდგით უხვად ჭურჭლები გაუზავებელი ღვინითა და ყოველგვარი საჭმლით. გააკეთეთ ეს ყველაფერი და დატოვეთ ბანაკში ლაშქრის ყველაზე უარესი ნაწილი, ხოლო დანარჩენები კვლავ დაბრუნდით მდინარესთან. რადგან თუ მე რაიმე არ მემლება, ისინი რომ დაინახავენ ასეთ სიუხვეს, გაემართებიან იქითკენ, ჩვენ კი დიდი საქმეები დაგვრჩება გასაკეთებელი”.

208. ეს აზრები ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო. ხოლო კიროსმა უარყო ადრინდელი აზრი და კრომოსოსის მიიღო, შეუთვალა ტომირისს, რომ უკან დახეულიყო, რადგანაც თვითონ გადადიოდა მისკენ. ტომირსმა დაიხია, პირველად რომ აღუთქვა, იმის მიხედვით. ხოლო კიროსმა კრომოსოსი დაუტოვა თავის შვილს კამბისესს, რომლისთვისაც აპირებდა შემდეგ სამეფო ძალაუფლების მიცემსაც და დაარიგა ის, რომ პატივი ეცათ და კარგადაც მოქცეოდნენ კრომოსოსს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასაგატებზე ლაშქრობა არ გაუმართლდებოდათ: ეს დაარიგა და გაგზავნა ისინი სპარსელების ქვეყანაში, თვითონ კი გადავიდა მდინარეზე თავის ლაშქრიანად.

209. როდესაც კიროსი გადავიდა არაქსის მეორე ნაპირას და დადგა ღამე, მან, მასაგატების ქვეყანაში რომ ეძინა, ასეთი სიზმარი ნახა: კიროსს დაესიზმრა, რომ ხედავს ჰისტაპესის უფროს შვილს, რომელსაც მხრებზე ფრთები აქვს, ერთი ფრთით ის აზიას უჩრდილებს, ხოლო მეორეთი ევროპეს. ჰისტაპესის, არასამესის ძის, აქამენიდათა გვარის წარმომადგენლის შვილთა შორის უფროსი იყო დარიოსი, რომელიც მაშინ ასაკით დაახლოებით რაღაც ოციოდე წლისა იქნებოდა და დატოვეს სპარსელთა ქვეყანაში, რადგან ლაშქრობის ასაკისა ჯერ არ იყო. როდესაც გაიღვიძა კიროსმა, დაიწყო ფიქრი ამ სიზმრის შესახებ და რადგან მან გადაწყვიტა, რომ ჩვენება დიდი მნიშვნელობის არის, დაუძახა ჰისტაპესს, გაიმართოვა და უთხრა: ” ჰისტაპესს, შენი შვილი ბოროტს იზრახავს და ჩემი და ჩემი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ლამობს. ეს ამბავი რომ დანამდვილებით ვიცი, ამას დაგიმტკიცებ. ღმერთები ჩემზე ზრუნავენ და მე ყველაფერს წინასწარ მიცხადებენ, რაც უნდა მოხდეს. ამრიგად, წასულ ღამეს მეძინა და ვნახე შენი უფროსი შვილი, რომელსაც მხრებზე ფრთები ჰქონდა და მათგან ერთით აზიას უჩრდილებდა, ხოლო მეორეთი ევროპეს. ამ ჩვენების მიხედვით სრულიად შეუძლებელია, რომ ის ჩემს წინააღმდეგ ბოროტს არ იზრახავდეს. ამიტომ შენ, რაც კი შეიძლება სასწრაფოდ წადი უკან სპარსთა ქვეყანაში და გააკეთე ისე, რომ როდესაც მე აქაურობას დავიმორჩილებ და მოვალ იქ, წარმომიდგინო შენი შვილი პასუხების საგებად”.

210. კიროსმა იფიქრა, რომ დარიოსი ბოროტს იზრახავდა მის წინააღმდეგ და იმიტომ თქვა ეს. ხოლო მისი სახლმწიფო გადავა დარიოსის ხელში. ჰისტაპესმა მიუგო მას შემდეგი: ”მეფეო, ნურც დაბადებულა ისაეთი სპარსელი, რომელიც შენ წინააღმდეგ ბოროტს განიზრახავს, ხოლო თუ არის ასეთი სპარსელი, დეე დაიღუპოს ის, რაც შეიძლება მალე; ხომ შენი წყალობითაა, რომ მონების ნაცვლდ სპარსელები თავისუფლები არიან, ხოლო იმის მაგივრად, რომ სხვებს ემართათ ისინი, თვითონ

მართავენ ახლა ყველას. თუ ჩვენებამ განიშნა, რომ ჩემი შვილი რაღაცას გიპირებს, მე გადმოგცემ შენ მას და უყავი რაც გინდა”. ჰისტასპესმა ასე უპასუხა და გადავიდა არაქსზე, წავიდა სპარსთა ქვეყანაში, რომ თავისი შვილი, დარიოსი კიროსის გულისათვის დაეჭირა.

211. კიროსი წავიდა არაქსიდან წინ ერთი დღის სავალ გზაზე და გააკეთა ის, რაც კროდოსმა ურჩია. ამის შემდეგ კიროსი და სპარსელთა ჯარის ვარგისი ნაწილი უკან გაბრუნდა არაქსისაკენ, ხოლო გამოუსადეგარი ნაწილი ადგილზე დარჩა. მოვიდა მასაგეტების ლაშქრის მესამედი ნაწილი და მან ამოხოცა კიროსი ლაშქრიდან დარჩენილები, რომელებიც თავს იცავდნენ, როდესაც მასაგეტებმა დაინახეს გაშლილი სურფა, თითქოს მოწინააღმდეგე დაემარცხებინოთ, დასხდნენ და ინადიმეს, ხოლო ჭამა-სმით რომ გული იჯერეს, დაიძინეს. ამ დროს მოვიდნენ აქ სპარსელები, ბევრი მათგანი ამოხოცეს, ხოლო ბევრად უფრო მეტი ცოცხლივ დაატყვევეს, მათ შორის დედოფალი ტომირისის შვილი, რომელიც მხედართმთავრობდა მასაგეტებს, სახელად ერქვა მას სპარაგპისესი.

212. როდესაც ტომირისმა შეიტყო, რა მოუვიდა მის ლაშქარსა და მის შვილს, გაუგზავნა მოციქული კიროსს და შეუთვალა შემდგი: ”სისხლით გაუმაძღარო კიროს, ნუ გაამაყდები ამ მომხდარი საქმის გამო, რადგანაც ვაზის ნაყოფით (რომლითაც თვით თქვენ გამოიბრუნებით და დაგიჟდებით ხოლმე ისე, რომ ღვინო რომ სხეულში ჩადის, თქვენ ცუდი სიტყვები ამოგდით პირიდან), აი, ამგვარი წამლით იემმაკე და დაძლიე ჩემი შვილი და არა ბრძოლაში აჯობე იარაღით ხელში. ახლა, როდესაც მე კარგს გირჩევ, დაიჯერე ჩემი სიტყვა: დამიბრუნე შვილი და წადი ამ ქვეყნიდან უვნებელი, შენ, რომელიც ასე თავხედურად მოეპყარი მასაგეტების ლაშქრის ერთ მესამედ ნაწილს: ხოლო თუ ამას არ იზამ, გეფიცები მზეს, მასაგეტების უფალს, რომ თუმცა გაუმაძღარი ხარ, მაგრამ მე მაინც მოვახერხებ შენ გაძლომას სისხლით”.

213. კიროსმა ტომირისის სიტყვებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია; ხოლო დედოფლის, ტომირისის შვილი, სპარაგპისესი, ღვინო რომ გამოუწელდა და შეიტყო რა უბედურებაშიც იყო, შეეხვეწა კიროსს, ბორკილები აეყარა მისთვის. როგორც კი აჰყარეს ბორკილები და ხელი ხელთ ჰქონდა, მაშინვე თავი მოიკლა სპარაგპისესმა.

214. ასე მოკვდა სპარაგპისესი, ხოლო ტომირისმა, რაკილა კიროსმა არ გაუგონა, შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი და თავს დაესხა კიროსს. ეს ბრძოლა ბარბაროსთაგან გადახდილ ბრძოლებსი, რამდენადაც მე ვერკვევი, ყველაზე უფრო უღმობელი იყო და მე კიდევაც შევიტყვე, თუ ის როგორ მომხდარა. ამბობენ, რომ თავდაპირველად ისინი ერთმანეთისაგან დაშორებით მდგარან და მშვილდებიდან ესროდნენ ერთმანეთს, ხოლო შემდეგ, თითქოს ისრები ყველა დახარჯეს და ერთმანეთს დაერივნენ შუბებითა და მახვილებით. კარგა დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ მებრძოლები და არც ერთ მხარეს არ უნდოდა გაქცევა. ბოლოს მასაგეტებმა აჯობეს. სპარსელთა ჯარის მეტი წილი ამ ადგილას ამოწყდა და თვით კიროსმაც აქ დაასრულა სიცოცხლე, იმეფემ მან მთელიანად ერთით ნაკლებ 30 წელს. ტომირისმა ადამიანის სისხლით აავსო ტიკვი, მოძებნა დახოცილ სპარსელებს შორის კიროსის გვამი და რომ იპოვა, ჩააყოფინა თავი ტიკვი. ტომირის შეურაცხყოფდა გვამს და შემდეგ ამბობდა: ”ცოცხალიც ვარ და ბრძოლაში

გამარჯვებულიც, მაგრამ შენ მომიკალი შვილი, წამართვი ის ვერაგობით. ამიტომ, როგორც დაგემუქრე იმას აგისრულებ და სისხლით გაგაძლებ”.

კიროსის ცხოვრების აღსასრულის შესახებ ბევრ ამბავს მოგვითხრობენ, ის, რომელიც მე გადმოგვცით, ყველაზე სარწმუნოდ მიმაჩნია.

215. მასაგეტები ტანსაცმელსაც სკვითების მსგავსს ატარებენ და ცხოვრებასაც მათებურს ეწევიან. ისინი ცხენოსნებიც არიან და ქვეითებიც (რადგან ორივენი ბრძოლაში ღებულობენ მონაწილეობას), მშვილდოსნებიც არიან და შუბოსნებიც და ჩვეულებრივ ჩუგლუგსაც ატარებენ. ყველაფერს ოქროსას და სპილენძისას ხმარობენ; ხოლო შუბები, ისრის წვერები და ჩულუგები მათ სპილენძისანი აქვთ გაკეთებული. თავს, ქამრებსა და სამკერდულებს ოქროთი იმკობენ. ასევე ცხენებსაც მკერდზე ირგვლივ სპილენძის ჯავშანს უკეთებენ, ხოლო აღვირები, ლაგამი და ბალთები ოქროს აქვთ.

რკინასა და ვერცხლის სრულებით არ ხმარობენ, რადგან ესენი არ მოიპოვება მათ ქვეყანაში, ხოლო ოქრო და სპილენძი უამრავი აქვთ.

216. მასაგეტები ასეთ ჩვეულებებს მისდევენ: თუმცა თითოეული მამაკაცი საკუთრივ ირთავს ქალს, მაგრამ ურთიერთობა ქალებთან მამაკაცებს საერთო აქვთ. ელინები ამბობენ, რომ სკვითები შვრებიან ასეო, სინამდვილეში კი სკვითები კი არ სჩადიან ამას, არამედ მასაგეტები. მასაგეტ მამაკაცს თუ მოუნდება ქალი, მისი ეტლის წინ ჩამოკიდებს თავის კაპარჭს და წვება მასთან სრულიად უშიშრად. მათ ადამიანის ასაკი სულაც არ აქვთ განსაზღვრული გარდა იმისა, რომ როდესაც ძალიან მოხუცდება კაცი, ყველა მისი ნათესავი მოიყრის თავს ერთად, დაჰკლავენ მოხუცს და მასთან ერთად სხვა საქონელსაც, მოხარშავენ ხორცს და ინადიმებენ. ეს მიჩნეულია მათ შორის უბედნიერეს აღსასრულად; ხოლო ავადმყოფობით მკვდარს კი არ ჭამენ, არამეს მარხავენ და უბედურად თვლიან, რომ არ მოუწია მას დაკვლამ. ისინი არაფერს თესენ, საზრდოობენ შინაური ცხოველებითა და თევზით, ხოლო თევზი უხვად მოიპოვება მდინარე არაქსში. ისინი სვამენ რძეს. ღმერთთა შორის თაყვანს სცემენ მხოლოდ მზეს, რომელსაც სწირავენ ცხენებს. ამ მხვერპლმეწიროვის აზრი ესაა: ღმერთთა შორის უსწრაფესს ყველა მოკვდავთ შორის უსწრაფესი განეკუთვნება.

II წიგნი ევტერპე

1. კიროსის გარდაცვალების შემდეგ, მეფობა მიიღო კამბისესმა, რომელიც იყო შვილი კიროსისა და კასანდანესი, ფარნასპესის ასულისა. როდესაც კასანდანე გარდაიცვალა, თვითონ კიროსი დიდად გლოვობდა და უბრძანა ყველა თავის ქვეშევრდომს ასევე ეგლოვათ იგი. აი, ამ ქალისა და კიროსის შვილი იყო კამბისესი, რომელიც იონიელებსა და ეოლიელებს ისე უყრებდა, თითქოს ისინი მისი მემკვიდრეობით მიღებული მონები ყოფილიყვნენ. მან მოაწყო ლაშქრობა ეგვიპტის წინააღმდეგ და თან წაიყვანა სხვა ქვეშევრდომებიცა და ის ელინები, ვისზედაც ძალა-უფლება ჰქონდა.

2. ეგვიპტელები კი უწინ, ვიდრე ფსამეტიქოსი იმეფებდა მათზე, თავს მიიჩნევდნენ წარმოშობით პირველებად ყველა ადამიანთა შორის. ხოლო მას მერე, რაც ფსამეტიქოსი გამეფდა, მან მოინდომა გაეგო, თუ ვინ არის წარმოშობით პირველი და

ამის მერე გაიგეს, რომ ფრიგიელები მათზე ადრინდელები არიან, ხოლო თვითონ - სხვა დანარჩენებზე უფრო ადრინდელები. ხოლო ფსამეტიქოსმა, რადგანაც ვერასგზით ვერ შეიძლო იმის გამოკვლევა, თუ ვინ არის ადამიანთა შორის წარმოშობით პირველი, ასეთ ხერხს მიმართა: უბრალო ადამიანების ორი ახალშობილი ბავშვი მწყემსს გადასცა გასაზრდელად ფარაში, რომ გაეზარდა შემდეგნაირად: მან ბრძანა, რომ ბავშვების თანდასწრებით არავის არ უნდა ელაპარაკა არც ერთ ენაზე, ისინი თავის ანაბარა უნდა ყოფილიყვნენ ცარიელ ქოხში და განსზღვრულ დროს მწყემსს უნდა მოერეკა მათთან თხები, გამოეკვება ისინი რძით და სხვა მათთვის საჭირო რამეები გაეკეთებინა. ეს გააკეთა და ბრძანა ფსამეტიქოსმა იმიტომ, რომ უნდოდა მოესმინა, რა ენაზე დაილაპარაკებდნენ ბავშვები პირველად, მას მერე, რაც თავს დაანებებდნენ უაზრო ტიტინს. ყოველივე ეს ასეც გაკეთდა. ორი წელი გავიდა (ამ ხნის განმავლობაში მწყემსი ასე იქცეოდა) და როდესაც მან გააღო კარები და შევიდა ქოხში, ორივე ბავშვი მის წინ დაეცა, უწვდიდნენ ხელებს და იძახოდნენ "ბეკოს". პირველად რომ მოისმინა ეს, მწყემსი მშვიდად იყო, ხოლო როდესაც ბევრჯერ გაიგონა ეს სიტყვა ბავშვების მოსავლელად რომ მიდიოდა ხოლმე, მაშინ შეატყობინა ეს თავის ბატონს და მისი ბრძანების თანახმად წაუყვანა მას ბავშვები. როდესაც თვითონ ფსამეტიქოსმა მოისმინა ეს სიტყვა, დაიწყო გამოკვლევა, თუ ხალხთა შორის ვინ რას უწოდებს "ბეკოსს", იკვლია და აღმოაჩინა, რომ ფრიგიელები უწოდებენ ასე პურს. აი ამნაირი საქმის შემდეგ გაარკვიეს საკითხი ეგვიპტელებმა და დაუთმეს ფრიგიელებს უფროსობა. ეს რომ ასე მოხდა, ამის შესახებ მოვისმინე ჰეფადსტოსის ტაძრის ქურუმთაგან, რომელიც არის მემფისში. ელინები კი მოგვითხრობენ სხვა მრავალ სისულელესთან ერთად იმასაც, თითქოს ფსამეტიქოსმა ენები დააჭრა რამდენიმე ქალს და მათ მიაბრა ბავშვები გასაზრდელად.

3. ბავშვების აღზრდის შესახებ აი ეს მიაშბეს, ხოლო ბევრი სხვა მოვისმინე მემფისში, სადაც ვესაუბრე ჰეფადსტოსის ქურუმებს. შემდეგ ვიყავი თებესა და ჰელიოპოლისში მხოლოდ იმისათვის, რომ მიხდოდა შემემოწმებინა, თანხვდებოდა თუ არა მათი მოთხრობა იმას, რაც მემფისში მიაშბეს: რადგან ჰელიოპოლიტები ეგვიპტელთა შორის ყველაზე უფრო განსწავლულები არიან. რაც მოვისმინე ღვთაებრივი ამბების შესახებ, მათი სახელების გარდა იმათი გადმოცემას მე ვერ გავზედავ, რადგან იმ აზრისა ვარ, რომ ყველა ადამიანმა თანაბრად იცის ასეთი ამბები. ხოლო თუ კი რასმე მოვიხსენიებ მათ შესახებ, მხოლოდ იმას, რასაც მაიძულებს ჩემი მოთხრობა.

4. ხოლო რაც შეეხება ადამიანთა საქმეებს, მათ შესახებ ქურუმები ერთნაირად გადგომოვცემენ: ყველა ადამიანთ შორის ეგვიპტელები პირველები არიან, რომელთაც აღმოაჩინეს წელიწადი და დაჰყვეს მისი დროები 12 ნაწილად. ამბობენ, რომ ეს მათ აღმოაჩინეს ვარსკვლავებზე დაკვირვების შედეგად. მე ვფიქრობ, რომ მათი ანგარიში უფრო ჭკვიანურია, ვიდრე ელინებისა, რადგან ელინები ყოველი ორი წლის შემდეგ დამატებით თვეს ურთავენ დროის მოსაწესრიგებლად, ხოლო ეგვიპტელები წელიწადში 30 -დღიან 12 თვეს ითვლიან და ყოველწლიურად უმატებენ კიდევ 5 დღეს ამ რიცხვს, ის რომ, დროთა ციკლი მათთან ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მოიცავს. ქურუმები ამბობენ, რომ ეგვიპტელები პირველები არიან, ვინც 12 ღმერთის სახელი დააწესა და ელინებმა ეს მათგან გადაიღესო. მათვე შემოიღეს პირველებმა ღმერთებისათვის საკურთხევლები, ქანდაკებები და ტაძრები და ქვებზე გამოსახულებების ამოკვეთა და რომ ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, მეტ წილს ნათქვამისას ისინი ამტკიცებენ საქმითაც. ისინი ამბობდნენ, რომ პირველი

ეგვიპტელი კაცი, რომელიც მეფობდა, იყო მინი. მის დროს მთელი ეგვიპტე თებეს მხარის გარდა წარმოადგენდა ჭაობს და მთელი იმ მხრიდან, რაც ახლა მოდრისის ქვემოთ არის, არაფერი იყო წყალს ზემოთ. ხოლო ზღვიდან ამ ტბამდე 7 დღის საცურაო არის მდინარის აყოლებით.

5. მე ვფიქრობ, რომ თავისი ქვეყნის შესახებ ისინი სწორედ ლაპარაკობენ, ვისაც გონება აქვს, მისთვის, უწინაც რომ არაფერი სმენოდეს, ერთი მშეხედვით ცხადი გახდება, რომ ის ეგვიპტე, სადაც ელინები ხომალდებით მიდიან ხოლმე, ეგვიპტელებისათვის შეძენილი მიწა და მდინარე საჩუქარია. ასეთივეა მეორე ნაწილიც, რომელიც არის ამ ტბის ზემოთ და რის გასვლასაც სჭირდება 3 დღე ცურვა, თუმცა კი ქურუმები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. ხოლო ეგვიპტის ქვეყნის ბუნება ასეთია: როდესაც ჯერ კიდევ მიცურავ ეგვიპტისაკენ და ერთი დღის სავალიდაა დარჩენილი ხმელეთამდე, თუ ჩააგდებ საძირავს, მას შლამი ამოჰყვება, რაც თერთმეტი ორგის სიღრმეზეა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენი მიწა ჩამოაქვს ამ მდინარეს.

6. თვით ეგვიპტის სიგრძე ზღვის გასწვრივ 60 სხომნია, ჩვენ ხომ ეგვიპტეს განსვსაზღვრავთ პლინთინეტისის უბიდან სერბონისის ტბამდე, რომელთანაც გადაჭიმულია კასიონის მთა. სწორედ ამ ტბიდან არის 60 სხომნი. ეს ადამიანები, ვინც მიწით ღარიბები არიან, მიწას ორგეებით ზომავენ, ვინც ნაკლებად ღარიბია - სტადიონებით ზომავს, ვისაც ბევრი მიწა აქვს - ფარასანგებით, ხოლო ვინც ძალიან მდიდარია მიწით, - სხომნებით. ფარასანგი - 30 სტადიონია ხოლო თითოეული სხომნი, რაც ეგვიპტური საზომია, 60 სტადიონია. ამგვარად, ეგვიპტის სიგრძე ზღვის გაყოლებით არის 3600 სტადიონი.

7. ხოლო შიდა ქვეყანა ეგვიპტისა, აქედან ვიდრე ჰელიოპოლისამდე ფართოა, მთლიანად სწორია, წყალმრავალია და ჭაობიანი. ხოლო გზა ჰელიოპოლისისაკენ ზღვიდან ზემოთ რომ აჰყვები, სიგრძით დაახლოებით იმოდენაა, რამოდენაც არის გზა მიმავალი ათენის თორმეტი ღმერთის საკურთხეველიდან ოლიმპიელი ზევსის ტაძრისაკენ, რომელიც პისაშია. თუ ვინმემ იანგარიშა ეს ორივე გზა, მცირეოდენ განსხვავებას აღმოაჩენს, ისინი მთლად თანაბარი სიგრძისა არ არიან, მაგრამ განსხვავება არ აღემატება 15 სტადიონს. რადგან ათენიდან პისამდე გზას 15 სტადიონი აკლია საიმისოდ, რომ 1500 სტადიონი იყოს, ხოლო ზღვიდან ჰელიოპოლისამდე სრულად არის ეს რიცხვი.

8. ჰელიოპოლისიდან ზემოთ წამსვლელთათვის ეგვიპტე ვიწროა, რადგან აქ ერთი მხრივ გადაჭიმულია არაბის მთა, რომელიც მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და რომელიც ჩრდილოეთით აღწევს ე.წ. მეწამულ ზღვამდე. ამ მთაში არის ქვის სამტეხლოები, სადაც ჭრიდნენ ქვებს იმ პირამიდებისათვის, რომლებიც მემფისშია. აქ მთა შემობრუნდება და მთავრდება უკვე ხსენებულ მხარეებთან. როგორც შევიტყვე, სადაც ეს მთა ყველაზე უფრო ფართოა, იქ თურმე ორი თვის სავალი გზაა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ხოლო მის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მოდის საკმეველი. ასეთი არის ეს მთა. ხოლო ლიბიის მხრიდან ეგვიპტის სხვა, კდლოვანი მთა არის გადაჭიმული, რომელზედაც პირამიდებია აღმართული; იგი ზემოდან ქვიშით არის დაფარული და იგივე მიმართულება აქვს, რაც არაბის მთის იმ ნაწილს, რომელიც სამხრეთისაკენ

მიემართება. ჰელიოპოლისის იქეთ ეგვიპტეს აღარ ეკუთვნის დიდი ტერიტორია, რადგან ეგვიპტე ვიწროა იმ მანძილზე, რომლის გავლასაც დაახლოებით 14 დღე წყალზე აღმა ცურვა სჭირდება. ზემოხსენებულ მთებს შორის დაბლობია, და როგორც მე ვფიქრობ, ყველაზე უფრო ვიწრო ადგილის სიგანე არ აღემატება 200 სტადიონს, ესაა არაბიის მთიდან ე.წ. ლიბიის მთამდე. აქედან კვლავ ფართოა ეგვიპტე.

9. ასეთია ეს ქვეყანა, ჰელიოპოლისიდან წყლით აღმა მგზავრობას უნდება 9 დღე, ხოლო გზა ხმელეთზე არის 4860 სტადიონი, რაც შეადგენს 81 სხომს. ეგვიპტის ეს სტადიონები რომ შევკრიბოთ, რაც ზღვის გასწვრივ არის, როგორც უწინაც ვთქვი, მივიღებთ 3600 სტადიონს და ახლა კი ვიტყვი, თუ რამდენია ზღვიდან შუა ქვეყნამდე, ე.ი. თებემდე. ეს არის 6120 სტადიონი. ხოლო თებედან ე.წ. ქალაქ ელფანტინამდე არის 1800 სტადიონი.

10. დიდი ნაწილი მოხსენებული ქვეყნისა, როგორც ქურუმები ამბობენ, და მეც ასე მგონია, ეგვიპტელებს შემდეგ შეემატათ. ქალაქ მემფისს ზემოთ აღნიშნულ მთებს შორის მდებარე ადგილები, მე მეჩვენება, რომ ოდესღაც ზღვის უბეს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ზღვის უბეს წარმოადგენდა მიდამოები ილიონის ირგვლივ, ტევორანიესთან, ეფოსოსთან და მაანდროსის დაბლობთან, თუკი შესაძლებელია ამ მცირეთა შედარება დიდთან, რადგან ეს ადგილები რომ დაშლამეს, არც ერთი იმ მდინარის შედარება არ შეიძლება სიდიდის მიხედვით ნილოსის ერთ ტოტთანაც კი, ნილოსს კი 5 ტოტი აქვს. კიდევ სხვა ბევრი მდინარე არის, რომელიც ნილოსს ვერ უტოლდება სიდიდით, მაგრამ რომელთაც ბევრი რამე უკეთებიათ. მათ შორის პირველ რიგში დავასახელებ აქელიოსს, რომელიც მიედინება აკარნანზე და ერთვის ზღვას და რომელმაც ექინადთა კუნძულების ნახევარი უკვე მატერიკად გადააქცია.

11. არაბიის ქვეყანაში ეგვიპტიდან არც თუ ისე დაშორებით არის ზღვის უბე, რომელიც გამოდის მეწამულად წოდებული ზღვისაგან და რომელიც ძალიან გრძელი და ვიწროა, როგორც გიჩვენებთ: ამ უბის გასწვრივ დაწყებული უკიდურესი შეღრმავებული წერტილიდან ვიდრე გაშლილ ზღვამდე 40 დღე დაეხარჯება ნიჩბიან ხომალდს, ხოლო სიგანე, უბის ყველაზე უფრო ფართო ნაწილში, ნახევარი დღის საცურაოა. ყოველდღეა მასზე მიმოქცევა. მე ვფიქრობ, როლმ მეორე ამისთანა უბე იყო ეგვიპტე, რომელიც ჩრდილოეთის ზღვიდან ეთიოპიამდე ვრცელდებოდა, ხოლო არაბიისა, რომელის შესახებაც ვაპირებ თხრობას, სამხრეთის ზღვიდან მიემართება სირიისაკენ, ისე რომ, ერთმანეთს უახლოვდებიან ისინი უბეებით და შუაში ხმელეთს სულ ცოტასღა ტოვებენ, თუკი ნილოსი იმავე არაბიის უბისაკენ მიედინება, მაშინ რაღა შეუშლიდა ხელს იმას, რომ ამ დინებას 20000 წლის განმავლობაში შლამით ამოევსო ეს უბე? მე კი ვფიქრობ, რომ 10000 წელიწადშიც ამოივსებოდა ის შლამით. მით უმეტეს, უწინდელ დროში, ჩემამდე, არაბიის უბეზე გაცილებით უფრო დიდი უბე რატომ არ აივსებოდა შლამით ამოდენა და ასე მოქმედი მდინარისაგან?

12. ვინც ეგვიპტის შესახებ ამ ამბებს გვიამბობს, იმათ მე მჯერა და თვითონაც სავსებით ასევე ვფიქრობ, რადგან ვნახე ეგვიპტე, რომელიც მეზობელ ქვეყანასთან შედარებით უფრო წინაა ზღვაში წამოწეული. მთებზე პოულობენ ხოლმე ნიჟარებს და აქვე მოჟონავს მარილიანი წყალი, რომელიც პირამიდებსაც კი ანადგურებს: ქვიშით მარტო ეგვიპტის ის მთაა დაფარული, რომელიც მემფისს ზემოთ არის. მწის მხრივ ეგვიპტეს არ ჰგავს არც მისი მეზობლად მდებარე არაბიე, არც ლიბიე, არც

სირიე (სირიელები ხომ არაბიის იმ ნაწილში ცხოვრობენ, რომელიც ზღვის პირას არის). ეგვიპტეში შავი დ ფხვიერი ნიადაგია, რადგან იგი შედგება შლამისა და იმ ნალექისაგან, რაც ეთიოპიიდან ჩამოაქვს მდინარეს. ლიბიეში ვიცით, რომ მოწითალო ნიადაგია და ქვიშანი, ხოლო არაბიისა და სირიაში თიხოვანი და კლდოვანი.

13. ამ ქვეყნის შესახებ ქურუმებმა, როგორც დიდი საბუთი, ისიც მითხრეს, რომ მოძრისის მეფობის დროს, როდესაც მდინარე რადაც 8 წყრთის სიმაღლეზე იწევდა, ეგვიპტეს წალეკავდა ხოლმე მემფისის ქვემოთ. ხოლო მოძრისის სიკვდილის შემდეგ 900 წელიც არ იყო გასული, როდესაც მოვისმინე ამის შესახებ ქურუმთაგან. ახლა კი ვერ წალეკავს ქვეყანას მდინარე, თუ სულ ცოტა 16 ან 15 წყრთის სიმაღლეზე მაინც არ აიწია. მე ვფიქრობ, მოძრისის ტბის ქვემოთ აგრეთვე სხვა მიწაზე და განსაკუთრებით კი ე.წ. დელტაზე მცხოვრებ ეგვიპტელებს (თუ ეს ქვეყანა ეგრე შესაბამისად მოიმატებს სიმაღლეზე, ა სევე გაფართოვდება და ნილოსი მას აღარ დაფარავს), მრავალი წლის განმავლობაში არ მოაკლდებათ ის, რაც ოდესღაც უთხრეს ელინებს, რომ თავს გადახდებოდათ. იმათ შეიტყვეს, რომ მთელი ელინთა ქვეყანა ირწყვებოდა წვიმით და არა მდინარეებით, როგორც მათი საკუთარი ქვეყანა და თქვეს, რომ ელინებს ოდესმე გაუცრუვდებათ დიდი იმედები და სასტიკად იშიმშილებენ. ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ თუ ღმერთმა არ მოინდომა მათი ქვეყნის წვიმით მორწყვა და გაუგრძელა გვაღვა, ელინები შიმშილისაგან ამოწყდებიან, რადგან ზევსს გარდა წყლის სხვა წყარო მათ არ გააჩნიათ.

14. ელინების მიმართ ეს ნათქვამი სწორი იყო. ახლა კი თვით ეგვიპტელების თავს რაც არის, იმას მოგიტხრობთ, როგორც უწინაც ვთქვი, თუ მემფისის ქვემოთ მდებარე მხარე (რადგან ეს არის, რაც მომატებულა) ისევე მოიმატებს სიმაღლეში, როგორც წარსულში, მაშინ იქ მცხოვრები ეგვიპტელები დაიმშვიდებიან, იმ შემთხვევაში თუ კი არც წვიმა დაასველებს მათ ქვეყანას და არც მდინარეს შეეძლება მისი ყანების დაფარვა. ახლა ესენი ბევრად უფრო გაუჭირვებლად იმკიან ნაყოფს, ვიდრე ყველა სხვა ხალხი და თუნდაც დანარჩენი ეგვიპტელები. ისინი არ მუშაობენ იმისათვის, რომ გუთნით კვლები გაიყვანონ, რაც ბარავენ, არც სხვა რასმე აკეთებენ იმისათვის, რაც სხვა ადამიანებს ესაჭიროებათ ყანის დასამუშავებლად, რადგან მდინარე თვითონ გადმოდის კალაპოტიდან და რწყავს ყანებს. ხოლო როცა მორწყავს, ისევე უკან ბრუნდება. მაშინ თითოეული თესავს თავის ყანას და შეუშვებს შიგ გორებს, რომ ღორებმა თესლები ჩატკეპნონ. ამის შემდეგ უცდის მკას, გალენწავს პურს ისევე ღორების მეშვეობით და ეგრე მოიპოვებს საჭმელს.

15. თუ ჩვენ მივყვებით იონიელთა აზრს ეგვიპტის შესახებ, ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ დელტა არის ეგვიპტეო. ე.ი. ისინი ამბობენ, რომ ეგვიპტე არის ე.წ. პერსევსის სათვალთვალო კომპიდან ზღვის გასწვრივ ვიდრე პელუსიონის ტარქეამდე., ეს სულ 40 სხომნი არის, ხოლო ზღვიდან შიდა ქვეყანამდე იგი გადჭიმულია ვიდრე ქალაქ კერკასოროსამდე, სადაც ნილოსი ტოტიანდება და ერთი ტოტი მიედინება პელუსიონში, ხოლო მეორე კანობისში. ეგვიპტის დანარჩენი ნაწილების შესახებ ისინი ამბობენ, რომ ზოგი ლიბიისა არის და ზოგიც არაბიისა. ისე რომ, თუ იონიელთა ამ აზრს გავიზიარებთ, ისე გამოვა, რომ ეგვიპტელებს უწინ არ ჰქონიათ ქვეყანა. ხოლო თვით ეგვიპტელები ამბობენ და მეც ასე ვფიქრობ, რომ დელტა წყლის მიერ ჩამოტანილი შლამია და შეიძლება ითქვას, ახლახან გაჩენილი. ხოლო თუ ეგვიპტელებს არავითარი ქვეყანა არ მოეპოვებოდათ, რა სისულელე იყო

მათგან თავისი თავის უძველეს ადამიანებად მიჩნევა? მაშინ მათ არც ბავშვების გამოცდა დასჭირდებოდათ იმის გასარკვევად, თუ რომელ ენაზე ალაპარაკდებოდნენ ისინი პირველად.

მე ვფიქრობ, რომ ეგვიპტელები იონიელების მიერ დელტად წოდებულ მხარესთან ერთად კი არ წარმოშობილან, არამედ მუდამ არიან მას მერე, რაც ადამიანთა მოდგმა გჩნდა - და რაც კი იზრდებოდა მათი ქვეყანა, ბევრნი რჩებოდნენ იქ, სადაც თავდაპირველად იყვნენ, ხოლო ბევრნი თანდათანობით ახალ ადგილებზე ჩამოდოდნენ. ძველად ხომ თებეს ეწოდებოდა ეგვიპტე და ეს მხარე ირგვლივ რომ შემოვზომოთ, მხოლოდ 6 120 სტადიონია.

16 . თუ ჩვენ ამ ამბებზე სწორად ვფიქრობთ, მაშინ იონიელები ცდებიან ეგვიპტის შესახებ. ხოლო თუ იონიელების აზრი სწორია, მაშინ მე გიჩვენებთ, რომ არც ელინებმა და არც თვით იონიელებმა არ იციან მსჯელობა, როდესაც ამბობენ, რომ მთელი ქვეყანა სამი ნაწილსაგან შედგება: ევროპისა, აზიისა და ლიბიისაგან. იმათ მეოთხე ნაწილად უნდა ჩაეთვაღათ ეგვიპტის დელტა, თუ ის არც აზიის ნაწილია და არც ლიბიისა, რადგან მათი აზრის თანახმად, ნილოსი არ ჰყოფს აზიას ლიბიისაგან. ამ დელტის წვერზე შუაში იყოფა ნილოსი და მის ირგვლივ მოედინება, ის რომ, დელტა აზიისა და ლიბიის შორის გამოდის.

17 . იონიელთა აზრს ჩვენ განზე ვტოვებთ და ამის შესახებ ასე ვიტყვით: მთელი ეგვიპტე არის ის ქვეყანა, რომელიც ეგვიპტელებითაა დასახლებული ისევე, როგორც კილიკე კილიკიელებით და ასირიე ასირიელებით. ხოლო აზიისა და ლიბიის საზღვრად სხვა არაფერი ვიცით სინამდვილეში, გარდა ეგვიპტის საზღვრებისა. ხოლო თუ ელინთა მოსაზრებას მივიღებთ, უნდა მივიღოთ ისიც, რომ მთელი ეგვიპტე დაწყებული კატადუპადან და ქალაქ ელეფანტინედან ორად არის გაყოფილი ამ მდინარით და ორივე ნაწილს თავთავისი სახელი აქვს: ერთს ეწოდება ლიბიისა, მეორეს - აზიისა. ხოლო ნილოსი იწყება კატადუპადან, შუა ეგვიპტეს შუაზე ჰკვეთს და მიედინება ზღვისაკენ. ნილოსი ქალაქ კენკასოროსამდე ერთ მდინარედ მიედინება, ხოლო ამ ქალაქიდან იგი იყო სამი გზით მიემართება: ერთი მიემართება აღმოსავლეთისაკენ და მას ეწოდება პელუსიონის ტოტი, მეორე დასავლეთისაკენ არის და მას კანობისის ტოტი ეწოდება. ხოლო ნილოსის პირდაპირი გზა ასეთია: იგი მოდის ზემოდან და აღწევს დელტის წვერს, აქედან იგი შუაში ჰყოფს დელტას და ერთვის ზღვას. ამ ტოტს ცოტა წყალი როდი მოაქვს ზღვაში და პატარა სახელიც არა აქვს, მას ეწოდება სებენიტესის ტოტი. არის კიდევ ორი სხვა ტოტი, რომლებიც გამოეყოფიან სებენიტესისას და ერთვიან ზღვას. მათ შემდეგი სახელები ეწოდებათ: ერთ მათგანს საისისა და მეორეს - მენდესისა. ხოლო ბოლბიტური და ბუკოლიკური ტოტები ბუნებრივი ტოტები კი არ არის, არამედ გათხრილია ხელოვნურად.

18. ჩემს აზრს, რომ ეგვიპტე ამოდენაა, როგორც გადმოვეცი ჩემს მოთხრობაში, ადასტურებს ამონის სამისნოს გამონათქვამი, რაც შევიტყვე მას მერე, რაც ჩემი აზრი შევიმუშავე ეგვიპტის შესახებ. ქალაქ მარეისა და აპისის მცხოვრებნი, ეგვიპტის იმ ნაწილისა, რომელიც ესაზღვრება ლიბიეს, თვითონ იმ აზრისა იყვნენ, რომ ისინი ლიბიელები არიან და არა ეგვიპტელები. მათ ემძიმებოდათ ის ღვთისმსახურება, რასაც ეწოდნენ მსხვერპლშეწირვისას, არ უნდოდათ თავი შეეკავებინათ ძროხის ხორცის ჭამისაგან და გაგზავნეს კაცები ამონთან და შეუთვალეს, რომ მათ და ეგვიპტელებს შორის საერთო არაფერია. რადგან ისინი ცხოვრობენ დელტის გარეთ,

არაფრით ჰგვანან მათ და უნდათ, რომ ყველაფრის გემოს ხილვის ნებართვა გამოსთხოვონ ღმერთს. ხოლო ღმერთმა მათ ამისი გაკეთების ნება არ მისცა, რაკილა ბრძანა, რომ ეგვიპტე ის ქვეყანაა, რომელსაც რწყავს ნილოსი, როდესაც ის თავის ნაპირებიდან გადმოდის, ხოლო ეგვიპტელები ისინი არიან, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქ ელეფანტინის ქვემოთ და ამ მდინარის წყალს სვამენ. ასეთი პასუხი მიიღეს მათ სამისნოდან.

19. ხოლო ნილოსი, როდესაც ივსება, წალეკავს ხოლმე არა მხოლოდ დელტას, არამედ ლიბიისად მიჩნეულ ზოგიერთ ადგილს და არაბიის ნაწილებს, ზოგან ორი დღის სავალზე მდინარის ორივე მხარეს, ხან ამაზე მეტს და ხანაც ამაზე ნაკლებს. ხოლო ამ მდინარის ბუნების შესახებ ვერ შევიძელი რამე გამეგო, ვერ ქურუმთაგან და ვერც სხვა ვინმესაგან. მე ძალიან მინდოდა მათგან შემდეგი შემეტყუო: რატომაა, რომ ნილოსი 100 დღის განმავლობაში მოედინება წყლით ავსებული, დაწყებული ზაფხულის მზის მობრუნებიდან და ამ ასი დღის შემდეგ კვლავ კლებულობს და უბრუნდება თავის კალაპოტს, ისე, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში სულ მუდამ დაბალია წყალი და ასეა, ვიდრე კვლავ ზაფხულის მზის მობრუნება არ დადგება. ამის შესახებ ვერც ერთი ეგვიპტელისაგან სრულიად ვერ შევიტყე რა, თუმცა კი ვეკითხებოდი მათ, თუ რას საგანგებო ძალა აქვს ნილოსს განსხვავებით ყველა სხვა მდინარის ბუნებისაგან. გარდა ზემოთქმულისა მე მათ ვეკითხებოდი სხვასაც, რადგან მინდოდა შემეტყუო თუ რატომაა, რომ ნილოსი ერთადერთი მდინარეთა შორის, საიდანაც სიო არ უბერავს.

20. ზოგმა ელინმა, რომელსაც სურდა, სიბრძნით გაეთქვა სახელი, სამგვარი აზრი გამოთქვა ამ წყლის შესახებ: ორი მათგანი მე არ მიმაჩნია ღირსად მოხსენებისა, მინდა მხოლოდ რამდენადმე აღვნიშნო ისინი. ერთი ამ ახსნათაგანი ამბობს, რომ მდინარეში წყლის მომატების მიზეზი არის სეზონური ქარები, რომლებიც ნილოსს აბრკოლებენ ზღვაში შერთვისაგანო. მაგრამ ხშირად ეს სეზონური ქარები არ ქრიან და ნილოსს მაინც ემართება იგივე ამბავი. ამას გარდა, სეზონური ქარები რომ ამის მიზეზი იყოს, სხვა მდინარეებსაც, რომლებიც ამ ქარების მიმართულების საწინააღმდეგოდ მიდენებიან, იგივე დაემართებოდათ, რაც ნილოსს და კიდევ უფრო მეტიც, რამდენადაც ისინი უფრო პატარები არიან და დინებაც გაცილებით უფრო სუსტი აქვთ ვიდრე ნილოსს. ხოლო ბევრი მდინარეა სირიაში, ბევრია ლიბიაშიც, რომლებსაც იმის მსგავსი არაფერი ემართებათ, რაც ემართება ნილოსს.

21. მეორე აზრი კიდევ უფრო უგუნურია ზემოთქმულზე, კიდევ უფრო საოცარია სათქმელად. ამ აზრის თანახმად ოკეანიდან მოედინება ნილოსი და ამიტომ ემართება მას ასეთი რამე. მაგრამ განა ოკეანე მთელი დედამიწის ირგვლივ არ მიედინება?

22. მესამე მოსაზრება თითქოს ყველაზე უფრო მართალი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე უფრო მცდარია. მართლაც, დიდი უაზრობაა იმის თქმა, თითქოს ნილოსი მოედინებოდეს დამდნარი თოვლისაგან, მაშინ, როდესაც ის გამოდის ლიბიიდან, გაივლის ეთიოპების შუაში და გამოდის ეგვიპტეში. როგორ მოედინება თოვლისაგან, როდესაც ის ძალიან თბილი ადგილებიდან იწყება და მიდის იქით, რომლებიც ბევრად უფრო ცივია, ვიდრე ის, საიდანაც გამოვიდა? ადამიანისათვის, რომელსაც ამდაგვარი რამეების შესახებ შეუძლია მსჯელობა იმისათვის, რომ თოვლისაგან არ გამოდის ნილოსი, პირველ და უდიდეს საბუთად გამოდგება ის, რომ იმ ქვეყნებიდან

მქროლავი ქარები თბილია. მეორე საბუთი ისაა, რომ ამ მხარეში წვიმა და ყინული არ არსებობს, რადგან როდესაც თოვს, აუცილებელია, რომ 5 დღეში კიდევაც იწვიოს, ისე რომ, თუ თოვს, იმ მხარეებში წვიმს ხოლმე კიდევაც. მესამე საბუთია ის, რომ ადამიანები სიციხისაგან შავები არიან. ძერები და მერცხლები მთელი წლის განმავლობაში ამ ქვეყანას არ სტოვებენ, ხოლო წეროები, რომლებიც გაურბიან სკვითის ქვეყანის ზამთარს, ამ ადგილებსი მოფრინავენ ზამთრის გასატრებლად. რომ სულ ცოტა მაინც ეთოვა ან იმ ქვეყანაში, რომელზედაც ნილოსი მოედინება, ან იქ, საიდანაც მისი დენა იწყება, ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა.

23. ის, ვინც ოკეანი შესახებ ლაპარაკობს, მცდარი მოსაზრებები მოჰყავს და საბუთი კი სრულიად არაფერი აქვს. მე კი არავითარი მდინარე, ოკეანი არ ვიცი და ვიფიქრობ, რომ ჰომეროსმა ან რომელიმე მასზე ადრინდელმა პოეტმა გამოიგონა ეს სახელი და შეიტანა პოეზიაში.

24. თუ ზემოთ მოყვანილი აზრების უარსაყოფად საჭიროა გამოვთქვა აზრი ჩემთვის გაურკვეველი მოვლენის შესახებ, მაშინ მე ვიტყვი, რასაც ვფიქრობ ნილოსის ადიდების გამო ზაფხულში.

ზამთრის ხანაში ქარიშხლების გამო მზე თავისი თავდაპირველი გზიდან ამოვარდება ხოლმე და გადადის ლიბიის ზემოთა მხარეებზე. ამით მოკლედ ცხადყოფილა ყოველივე, რაც უნდა ითქვას. ეს ღვთაება რომელ ქვეყანასთანაც უფრო ახლოს იქნება, ან რომელსაც გაუვლის, ბუნებრივია, რომ იქ წყლის განსაკუთრებული წყურვილი იქნება და იქაურ მდინარეებშიც წყალი ამოშრება.

25. ხოლო უფრო დაწვრილებით რომ ავსხნათ, შემდგი უნდა ითქვას: როდესაც მზე ლიბიის ზემოთა მხარეებზე გადადის, ასეთი რამ ხდება. რადგანაც ჰაერი მუდამ გამჭვირველია ამ ქვეყანაში, მიწა მუდამ თბილია და ცივი ქარები არ ქრის, მზე რომ გადადის მათზე, ისევე ხდება, როგორც ზაფხულში, როდესაც შუა ცაზე მიემართება. სახელდობრ ის იზიდავს წყალს თავისკენ, მიიზიდავს და შემდეგ მიერეკება ზემოთა მხარეებისაკენ. ქარები წყალს აიტაცებენ, მიმოფანტავენ და ააქროლებენ. ამიტომაც, რომ ამ ქვეყნიდან მქროლავი ქარები, სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისა, ყველა სხვა ქარზე ბევრად უფრო წვიმიანია. მე ვფიქრობ, რომ მზე მთელ წყალს არ აბრუნებს უკან, რასაც ყოველწლიურად დეზულობს ნილოსისაგან, არამედ ნაწილს იტოვებს თავისთვის. როდესაც ზამთარ ყუჩი მოსტყდება, მზე ისევ შუა ცაზე მიდის და ამიერიდან კვლავ თანაბრად ეწევა თავისკენ წყალს ყველა მდინარიდან. აქამდე მდინარეები მოდიდებული მოედინებოდნენ, რადგანაც მათ წყლებს ბლომად ჰქონდა წვიმის წყალი შერეული, ისე, რომ მიწა ირწყვებოდა და ხეობებით იღარებოდა. ზაფხულში კი, როდესაც მდინარეები წყალს აღარ იღებენ წვიმებისაგან და მზეც იზიდავს მათ წყალს, ისინი დაწვრილები არიან. ნილოსი კი, რომელიც უწვიმოდ არსებობს და ამავე დროს მზე იზიდავს მის წყალს, ერთადერთია მდინარეთა შორის, რომელიც ამ დროს ბევრად უფრო წყალმარჩხია, ვიდრე ზაფხულში, რადგან ის მაშინ ყველა სხვა წყლებთან ერთად თანაბრად არის მზის მიერ მიზუდული, ხოლო ზამთარში კი მარტო ის არის მზისაგან დასიცხული. ამრიგად, ამ მოვლენების მიზეზად მე მზე მიმაჩნია.

26. ჩემი აზრით მზე არის იმისი მიზეზიც, რომ ჰაერი აქ მშრალია, რადგან იგი სწვავს მთელი თავის გზას. ასევე ლიბის ზემოთა მხარეებში მუდამ ზაფხულია. წლის დროების თანმიმდევრობა რომ შეიცვლებოდეს ცის იმ ნაწილზე, სადაც ახლა ჩრდილოეთის ქარი ქრის და ზამთარი დგას, იქ იქნებოდა სამხრეთის ქარი და სამხრეთი, ხოლო სადაც ახლა სამხრეთის ქარია, იქ იქნებოდა ჩრდილოეთის ქარი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მზეც ცის შუაგულიდან გამოძევებული იქნებოდა ზამთრისა და ჩრდილოეთის ქარის მიერ და გაივლიდა ევროპის ზემოთა მხრეების ზემოთ, ისევე, როგორც ახლა გადადის ლიბის ზემოთა ნაწილების ზემოთ და მზე თუ მთელ ევროპაზე გადაივლიდა, ისტროსის მიმართ იგივე ძალა ექნებოდა, რაც ახლა აქვს ნილოსის მიმართ.

27. ხოლო რაც შეეხება სიოს, რომელიც არ ქრის ნილოსიდან, ამის შესახებ მე იმ აზრისა ვარ, რომ ძალიან თბილი ქვეყნებიდან ჩვეულებრივი არაა რამენაირი ქარის ქროლვა, სიო საერთოდ ცივი ქვეყნებიდან უბერავს ხოლმე.

28. მაგრამ დაე ეს იყოს, როგორც არის და როგორც ყოფილა დასაბამიდან. ხოლო ნილოსის სათავეების შესახებ ვერავინ მითხრა ვერაფერი, ვისაც კი ველაპარაკე, ვერც ეგვიპტელთაგან, ვერ ლიბიელთაგან და ვერც ელინთაგან, გარდა ათენას ფულების მცველის ქალაქ საისში, ეგვიპტეში, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ისიც გამეხუმრა, როდესაც მითხრა, რომ დაბეჯითებით იცის. მან მითხრა ასეთი რამ: არის ორი მთა, წვეტიანი მწვერვალებით, რომლებიც მდებარეობენ თებაისის ქალაქ სიენესა და ელეფანტინეს შორის, სახელად ჰქვიათ ამ მთათაგან ერთს კორფი, ხოლო მეორეს - მოფი. აი, ამ მთებს შორისაა ნილოსის უღრმესი სათავეები და აქედან მოედინება იგი, წყლის ნახევარი მიემართება ეგვიპტისაკენ, ჩრდილოეთის ქარის მიმართულებით, ხოლო მეორე ნახევარი - ეთიოპიისაკენ, სამხრეთისაკენ. სათავეები რომ ძალიან ღრმაა, ეს გამოიკვლია ეგვიპტის მეფემ, ფსამეტიქოსმა - თქვა მან. ფსამეტიქოსმა დააწნევიან მრავალი ათასი ორგის სიგრძის თოკი, რომელიც ჩაუშვეს ამ ადგილას და ვერ მიაღწიეს ფსკერს. ამ მცველმა თუ კი ნამდვილი ამბავი მითხრა, როგორც მე მივხვდი, ამით ის გამაგებინა, რომ ამ ადგილას არის ძლიერი მორევები და წყლების მიმოქცევა, ისე რომ, წყალი ეხეთქებოდა მთებსა და იქ ჩაშვებული საძირავი ვერ აღწევს ფსკერს.

29. სხვა ვერაფრის გაგება ვერ შევძელი ვერავისაგან, მაგრამ ზოგი რამ შევიტყვე ძალიან შორეული მხარის შესახებ, რადგან ქალაქ ელეფანტინემდე მე თვითონ მივედი და ყოველივე ჩემი თვალთ ვნახე, ხოლო რაც ამის იქითაა, ის გადმოცემის მიხედვით გამოვიკვლიე. ქალაქ ელეფანტინედან იქით ზემოთ რომ მიდიხარ, ცურვა აღმა გიხდება. ამიტომ ამ ადგილას ხომალდი ორივე მხრიდან თოკებჩაბმული უნდა გაათრიო, როგორც ხარი. ხოლო თუ თოკები დაწყდა, მაშინ ხომალდის დინების ძალა უკან წამოიღებს. ეს ადგილი არის დაახლოებით 4 დღის სავალი წყლით, ნილოსი აქ მაძანდროსის არ იყოს მიხვეულ-მოხვეულია. 12 სხოდნია ამგვარად გასაცურავი. ხოლო შემდეგ შევდივართ სწორ დაბლობში, სადაც ნილოსი გარს უვლის კუნძულს, მას ეწოდება ტაქომფსო. ელეფანტინეს ზემოთ მდებარე ადგილებში და ამ კუნძულის ნახევარზე ცხოვრობენ ეთიოპელები, ხოლო მეორე ნახევარზე ეგვიპტელები. კუნძულს მოჰყვება დიდი ტბა, რომლის ირგვლივ მომთაბარე ეთიოპელები ცხოვრობენ. ტბას რომ გასცურავ, მიაღწევ ნილოსის კალაპოტს, რაც ამ ტბას ერთვის. ხომალდიდან რომ გადმოხვალ, მდინარის გასწვრივ არის გზა, 40 დღის სავალი.

რადგან ნილოსში წყვეტიანი მეჩქვებია და კლდეები, ამიტომ შეუძლებელია მასზე ცურვა. ამ ადგილებს რომ გადაივლი 40 დღის განმავლობაში, კვლავ სხვა ხომალდში ჩაჯდები, 12 დღეს მიცურავ და შემდეგ შედიხარ დიდ ქალაქში, რომელსაც სახელად ჰქვია მეორე. ეს ქალაქი ითვლება ეთიოპიის დედაქალაქად. აქაურები ღმერთთაგან მხოლოდ ზევსისა და დიონისეს აღიარებენ, ამ ორ ღმერთს მართლა განსაკუთრებით სცემენ პატივს; მათ უდგათ ზევსის სამისნოც. ესენი ლაშქრობენ მხოლოდ მასინ, როდესაც ეს ღმერთი უბრძანებს მათ მისნობის საშუალებით და ლაშქრობენ იქ, სადაც ის უბრძანებს.

30. ამ ქალაქიდან გამოსული იმავე ხნის განმავლობაში მოხვალ გამოქცეულებთან, რადროშიც ელეფანტინედან მოხვედი ეთიოპების დედაქალაქში. ამ გამოქცეულებს სახელად ჰქვიათ "ასმაქი", ეს სიტყვა ელინურ ენაზე ნიშნავს "ისინი, ვინც მეფის მარცხენა მხარეზე დგანან". ესენი იყვნენ ეგვიპტელ მეომართაგან გამდგარი 240 000 კაცი, რომლებიც გადავიდნენ ეთიოპელების მხარეზე შემდეგ მიზეზის გამო: მეფე ფსამეტიქოსის დროს ქალაქ ელეფანტინენში მეციხოვნეები იდგნენ ქალაქის ეთიოპელთაგან დასაცავად, სხვები კიდეც პელუსიონის დაფნეში იდგნენ არაბთა და სირიელთაგან დასაცავად, სხვები კიდეც პელუსიეში იყო ჩაყენებული ლიბიის საგუშაგოზე. სპარსელებს ჯერაც, ამ ჩემს დრომდე ისევე უყენიათ მეციხოვნეები, როგორც ფსამეტიქოსის დროს. სპარსელებს ელეფანტინეშიც ჰყავთ მცველი რაზმი და დაფნეშიც. ეგვიპტელები სამ წელიწადს იდგნენ მეციხოვნეებად და არავინ გაათავისუფლა ისინი ამ სამსახურისაგან. მათ მოითათბირეს, ყველანი შეთანხმდნენ, გადაუდგნენ მამაპაპეულ ღმერთებს და ნუ დაანებებენ თავს შვილებსა და ცოლებს. ამბობენ, რომ ერთმა გადამდგართაგანმა ხელი მოიკიდა სარცხვინელზე და უთხრა, რომ სადაც ეს იქნება, იქვე ეყოლება მათ შვილებიცა და ცოლებიც. როდესაც ესენი ეთიოპიაში მივიდნენ, ჩაბარდნენ ეთიოპელთა მეფეს. სამაგიეროდ მეფემ ისინი ასე დაასაჩუქრა: ეთიოპელთა შორის იყვნენ მეფის მიმართ მტრულად განწყობილებიც. მეფემ უბრძანა მოსულებს, რომ ესენი გაეძევინათ და მათ მიწა-წყალზე დასახლებულიყვნენ. მას მერე, რაც მოსული ეგვიპტელები დასახლდნენ ეთიოპელებში, ეთიოპელებმა შეითვისეს ეგვიპტელთა ჩვევები და უფრო თვინიერები გახდნენ.

31. ამრიგად ეგვიპტის ტერიტორიის გარდა ნილოსის დინება 4 თვის სავალ მანძილზეა ცნობილი თავისი წყლითა და ხმელეთით, რადგან, აბა რამდენი თვე მოუხდება კაცი მგზავრობას, რომ დავითვალოთ ელეფანტინედან ამ მგაოქცეულებამდე? ნილოსი ხომ დასავლეთიდან, მზის დასავლიდან, მოედინება. ამის მერე კი არავის შეუძლია გარკვეული თქმა, თუ რას წარმოადგენს ნილოსი, რადგან ეს მხარე გაუდაბურებულია დიდი სიციხეების გამო.

32. მაგრამ შემდეგი მოვისმინე მე კირენელთაგან, რომლებიც წავიდნენ ამონის სამისნოსში და იქ ესაუბრნენ ამონთა მეფეს, ეტეარქოსს. მათ მითხრეს, რომ სხვათა შორის სიტყვა ჩამოვარდნილა ნილოსის შესახებაც, რომ არავინ იცის მისი სათავეები და ეტეარქოსმა თქვა, რომ ოდესღაც მასთან მოვიდნენ ნასიამოვნები. ეს ტომი ლიბიურია და ცხოვრობს სირტისში და სირტისის აღმოსავლეთით არც თუ დიდად დაშორებულ ქვეყანაში.

როდესაც ნასამონები მოვიდნენ, მეფე შეეკითხა მათ, ხომ არაფერი იციან მეტი ლიბიის უდაბნოების შესახებ. მათ თქვეს, რომ მათ შორის იყვნენ გამგებელთა ამაყი შვილები, რომლებიც მოწიფულობაში სხვადასხვა საოცრებებს სჩადიოდნენ. ერთხელაც ხუთ კაცს თავისი წრიდან არგუნეს წილად ლიბიის უდაბნოების დათვალიერება, რომ ეგებ იმაზე მეტი რამ ენახათ, რაც უწინ ჰქონდათ ნახული.

ხოლო რაც შეეხება ლიბიის ნაწილს, რომელიც ჩრდილოეთის ზღვას ეკვრის¹, დაწყებული ეგვიპტიდან ვიდრე სოლოემის კონცხამდე (დასაც ლიბიის ბოლოა), მთელი ეს მხარე უჭირავთ ლიბიელებს და მრავალ ლიბიურ ტომს, გარდა იმისა, რაც აქვთ ელინებს და ფინიკელებს. ხოლო იმ ნაწილებში, რომლებიც ზღვის ზემოთაა და იქაც, სადაც ზღვისპირას ცხოვრობს ხალხი, ლიბიე სავსეა მხეცებით. ხოლო მხეცებით სავსე ნაწილის ზემოთ არის ქვიშა და საშინლად უწყლო და ყველაფრისაგან გაუდაბურებული ადგილები, როდესაც ყმაწვილები თავისმა ტოლებმა გაგზავნეს წყლით და საჭმელით კარგად მომარაგებულ, პირველად წავიდნენ ისინი დასახლებულ ნაწილზე და ის რომ გადაიარეს, მივიდნენ მხეცებით სავსე მხარეში; აქედან ისე გადაიარეს უდაბნო, რომ გეზი დასავლეთის ქარის მიმართულებით ეჭირათ. როდესაც მათ მრავალი დღის განმავლობაში იარეს ვრცელ ქვიშიან მხარეზე, დაინაცეს დაბლობში გაზრდილი ხეები, მივიდნენ და ხელი მოჰკიდეს ამხეებზე გამობმულ ნაყოფს. ხელი რომ მოჰკიდეს, იმ წამსვე მათ თავს დაესხნენ პატარა ტანის კაცები, ჩვეულებრივ ადამიანებზე უფრო პატარები; დაიჭირეს და თან წაიყვანეს. მაგრამ ნასამონებს მათ ენისა არაფერი ესმოდათ და არც თავდამსხმელებმა იცოდნენ ნასამონური. მათ ჭაბუკები გაატარეს უზარმაზარ ჭაობებზე და როდესაც ისინი გადაიარეს, მოვიდნენ ქალაქში, სადაც ყველანი იმ სიდიდისანები იყვნენ, როგორისაც ჭაბუკების მომყვანნი, ფერად კი შავები. ქალაქს ჩამოუდიოდა დიდი მდინარე, რომელიც მიედინებოდა დასავლეთიდან მზის აღმოსავლისაკენ და მასში მოჩანდნენ ნიანგები.

33. ეტეარქოს ამონელის ამბის შესახებ მე აი, ამდენი გადმოვეცი. ამას გარდა მან მიაბზო, რომ ნასამონები დაბრუნდნენ შინ. (როგორც ამბობენ კინრენელები) და ის ხალხები, რომლებთანაც კი ისინი მივიდნენ, ყველანი გრძნეულები იყვნენ. ტეარქოსმა კიდევ ის აზრი გამოთქვა, რომ ის მდინარე, რომელიც იქ მიედინებოდა, იყო ნილოსი და ეს მოსაზრება გონივრული ჩანს, რადგან ნილოსი მოედინება ლიბიიდან და შუაზე ჰკვეთს ლიბიეს, და რამდენადაც მე შემიძლია ცნობილის მიხედვით მსჯელობა უნცობის შესახებ, მინდა ვთქვა, რომ ნილოსი ისტროსის ოდენა მოედინება. ხოლო მდინარე ისტროსი იწყება კელტების ქვეყნიდან და ქალაქ პირენედან, მოედინება და კვეთს შუაზე ევროპეს. კელტები არიან ჰერაკლეს სვეტების გარეთ და ემეზობლებიან კინესიელებს, რომლებსაც ევროპეში მცხოვრებთა შორის უკიდურესი დასავლეთის მხარე უჭირავთ. ხოლო ისტროსი, რომელიც მიმდინარეობს მთელ ევროპეზე, მთავრდება ზღვაში, რომელსაც ეწოდება ევქსინის პონტო, ისტერიესთან, სადაც ცხოვრობენ მილეტელი კოლონისტები.

34. ხოლო ისტროსს, რაკილა მიედინება დასახლებულ მხარეებზე, ბევრნი იცნობენ, ნილოსის სათავეების შესახებ კი არავის შეუძლია რაიმეს თქმა, რადგან დაუსახლებელი და უდაბურია ლიბიე, რომელზედაც ის მიედინება. ხოლო მისი დინების შესახებ რისი გაგებაც კი შეიძლებოდა გამოკვლევის საშუალებით, მე უკვე გადმოვეცი¹. შემდეგ ის ეგვიპტეში შედის. ხოლო ეგვიპტე მდებარეობს მთიანი

კლიკის პირდაპირ. აქედან სინოპედე, რომელიც ევქსინის პონტოსთანაა, 5 დღის პირდაპირი გზაა მარდი მოსიარულისათვის. ხოლო სინოპე მდებარეობს ზღვის პირას ისტროსის შესართავის პირდაპირ. ამრიგად, მე ვფიქრობ, რომ ნილოსი, რომელიც გადაივლის მთელს ლიბიეს, ემსგავსება ისტროსს. ნილოსის შესახებ აი ამდენი ითქვა.

35. ახლა ვიწყებ ეგვიპტის შესახებ დაწვრილებით თხრობას, რადგან მას უამრავი საკვირველება ახასიათებს და იქ მოიპოვება ენით აუწერელი დამუშევრები, რასაც ვერ ვნახავთ მთელ ქვეყნიერებაზე. ამიტომაცაა, რომ მის შესახებ სხვებზე მეტი უნდა მოგიტხროთ. ისევე, როგორც თავისებურია ეგვიპტის ცა და სხვა მდინარეებთან შედარებით განსხვავებულია ის მდინარე, რომელიც ამ ქვეყანაში მიედინება, ასევე მთელი ეგვიპტური წეს-ჩვეულებები და კანონები სხვა ადამიანების წეს-ჩვეულებებისა და კანონების საპირისპიროა. მაგ. მათი ქალები ბაზრებშიც დადიან და ყიდვა-გაყიდვასაც აწარმოებენ, ხოლო მამაკაცები სახლში სხედან და ქსოვენ. ქსოვისას სხვა ხალხები მისაქსელს ზემოთ აგდებენ, ხოლო ეგვიპტელები ქვემოთ. მამაკაცებს ტვირთი თავით დააქვთ, ხოლო დედაკაცებს კი ზურგით. ქალები შარდავენ გამართულები, ხოლო მამაკაცები დაცუცქულები. მუცელს სახლში ითვისუფლებენ, ხოლო ჭამენ გარეთ, ქუჩებში და ამას იმით ხსნიან, რომ სამარცხვინო, თუნდაც აუცილებელი რამ უნდა გაკეთდეს დაფარულად, ხოლო არასამარცხვინო ამკარად.

არც ერთი ქალი არ ქურუმობს არც მამრობითი ღვთაების და არც მდედრობით ღვთაების სალოცავში, მამაკაცები კი ყველა ღმერთის და ღმერთქალის სალოცავებში ქურუმობენ. ვაჟიშვილები სულაც არ არიან ვალდებულები, თუ კი არ სურთ, რომ არჩინონ თავისი მშობლები, ხოლო ქალიშვილები მაშინაც კი ვალდებულები არიან, როდესაც არ სურთ მშობლებზე ზრუნვა.

36. სხვაგან ღმერთების ქურუმები თმებს უშვებენ. ხოლო ეგვიპტეში იკრეჭენ. სხვა ხალხებს წესად აქვთ, რომ გლოვისას, ვინც განსაკუთრებით მახლობელია, თავს გადაიკრეჭს ხოლმე, ხოლო ეგვიპტელები, როდესაც ისინი მახლობლის სიკვდილს გლოვებენ, თმებს იზრდიან თავზედაც და წვერსაც უშვებენ, მანამდე კი გაკრეჭილები არიან. სხვა ხალხები ცხოველებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ, ხოლო ეგვიპტელები ცხოველებთან ერთად ცხოვრობენ. სხვები პურითა და ქერით არსებობენ, ეგვიპტელებს კი ამგვარი საზრდოთი არსებობა უდიდეს სირცხვილად .მიაჩნიათ; ისინი თავის პურს აცხობენ ასლისაგან, რასაც ზოგიერთები ძედასაც უწოდებენ. ცომს ეგვიპტელები ფეხით ზელებენ, ხოლო თიხას - ხელით (და ნეხვსაც ხელით იღებენ). სხვა ხალხები სარცხვინელ ასოს ტოვებენ მის ბუნებრივ მდგომარეობაში, იმათ გარდა, ვინც ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა; ეგვიპტელები კი წინადაცვეთას ახდენენ. მამაკაცთაგან ყოველი ორი ტანსაცმელს ატარებს, ქალთაგან თითოეული - თითოს. ყველა სხვა ხალხი იალქნების რგოლებსა და თოკებს ნავის გარეთ ამარებს, ხოლო ეგვიპტელები - შიგნით. ელინები ასოეს წერენ და კენჭებით ანგარიშობენ ისე, რომ ხელი მარცხნიდან მარჯვნივ მიაქვთ. ეგვიპტელებს კი ხელი მარჯვნიდან მარცხნისაკენ მიაქვთ. ასე აკეთებენ და თვითონ კი ამბობენ, რომ ჩვენ მარჯვნისაკენ წარვამრთავთ ნაწერს, ელინები კი მარცხნისაკენო. ეგვიპტელები ხმარობენ ორგვარ დამწერლობას, ერთს უწოდებენ ისინი წმინდას, ხოლო მეორეს - სახალხოს.

37. ეგვიპტელები მეტისმეტად ღვთისმოსავეები არიან, ბევრად უფრო, ვიდრე ყველა სხვა ხალხი და შემდეგ ჩვევებს იცავენ: სვამენ სპილენძის სასმელებიდან, რომელთაც ყოველდღე წმენდენ და ამას უკლებლივ ყველა ასრულებს. ტანსაცმელს სელისას ატარებენ, მუდამ ახლადგარეცხილს და ამისათვის ყველაზე მეტად ზრუნავენ. სარცხვინელი წინდაცვეთილი აქვთ სისუფთავის გულისათვის და საერთოდ ის ურჩევნიათ, სუფთები იყვნენ, ვიდრე ლამაზები. ქურუმები მთელ სხეულს იკრეჭენ ყოველ დღეგამომვებით, რათა ტილი ან სხვა რამ მკბენარი არა ჰყავდეთ ღვთის მსახურების დროს. ტანსაცმელს ქურუმები მხოლოდ სელისას ატარებენ, ფეხსაცმელს კი ჭილისას. მათ არ შეუძლიათ იხმარონ სხვა რამ ტანსაცმელი, ანდა ფეხსაცმელი.

ისინი დღეში ორჯერ ბანაობენ ცივი წყლით და ასევე ღამეში ორჯერ. სხვა რიტუალებსაც, ასე ვთქვათ, უამრავს ასრულებენ. სამაგიეროდ სიკეთეც ბევრი ხვდებათ ქურუმებს: ისინი საკუთარს არაფერს ხმარობენ და არაფერს ხარჯავენ; მათ აქვთ გამომცხვარი წმინა პურები, ყოველდღე აქვთ დიდი რაოდენობით ძროხისა და ბატის ხორცი და ეძლევათ ყურძნის წვენი. თევზი კი არ ეჭმევათ. ეგვიპტელები ცერცვს არ თესენ თავის ქვეყანაში, ხოლო თუ თავისით ამოვიდა, არ სჭამენ არც უმსა და არც მოხარშულს. ქურუმები კი ცდილობენ, რომ არც კი შეხედონ ცერცვს, რადგან იგი უწმინდურ ბოსტნეულადაა მიჩნეული. თითოეულ ღმერთს ერთი ქურუმი კი არა ჰყავს, არამედ მრავალი, მაგრამ მათ შორის არის ერთი ქურუმთმთავარი. ხოლო როდესაც რომელიმე მათგანი კვდება, მისი შვილი იჭერს მის ადგილს.

38. ხარები ეგვიპტელებს ეპაფოსის საკუთრებად მიაჩნიათ და ამის გამო მათ ამგვარად სცდიან: თუ დაინახეს, რომ მას აქვს თუნდაც ერთი შავი ბალანი, ცხოველს სუფთად არ მიიჩნევენ. ამას იკვლევა საამისოდ დაყენებული რომელიმე ქურუმი, რომელის თანდასწრებით ცხოველს ხან გამრთული დგას, ხან ზურგზე წვეება, ხან მას ენას აყოფინებენ, რომ გაიგონ, განწმენდლია თუ არა ის იმ გაკრვეული ნიშანთაგან, რომელთა შესახებ მე სხვა ადგილას მექნება საუბარი. იგი ათვალისწინებს ბალანს კუდზედაც. იმის გამოსარკვევად, იზრდება თუ არა ის აქ ბუნებრივად. თუ ყოველივე ამისგანა სუფთაა ცხოველი, აღნიშნავს მას ქურუმი, რქებზე დაახვევს ჭილს, შემდეგ წაუსვამს ზედ ლუქს და დაასვამს ბეჭედს. ასე წაიყვანს ცხოველს. ხოლო ვინც ასეთ უნიშნო ცხოველს მსხვერპლად შესწირავს, მის სასჯელად სიკვდილი არის განკუთვნილი. ამგვარად ხდება ცხოველის გამოკვლევა. ხოლო მსხვერპლშეწირვა მათ ასეთი აქვთ დაწესებული.

39. ნიშნისანი ცხოველი მიჰყავთ საკურთხეველისაკენ, სადაც მსხვერპლი უნდა შესწირონ. ანთებენ ცეცხლს, შემდეგ ღვინოს ასხამენ საკურთხეველზე და სამსხვერპლო საქონელზე, მოუწოდებენ ღმერთს და კლავენ საქონელს. რომ მოკლავენ, თავს სჭრიან. ცხოველის სხეულს ატყავებენ, ხოლო მის თავზე წყევლად წარმოსთქვამენ და ვისაც აქვს ბაზარი, სადაც ცხოვრობენ ამოსული ელინი ვაჭრები, იქ მიაქვს თავი, რათა ელინებს მისცენ. ხოლო თუ არ ჰყავთ გვერდით ელინები, ისინი ამ თავს მდინარეში აგდებენ. როდესაც წყევლას წარმოთქვამენ თავებზე, შემდეგ ამბობენ: თუ რაიმე ბოროტი უნდა დაემართოს ან მსხვერპლშეწირვებს, ან მთელს ეგვიპტეს, დეე, ის ამ თავს მიუბრუნდეს. ხოლო რაც შეეხება მსხვერპლად შესაწირავ საქონლის თავებსა და ღვინის დათხევას, ყველა ეგვიპტელი ერთსა და იმავე წესს იცავს, ისევე როგორც ყველა სხვა მსხვერპლშეწირვის დროს. ამ წესის გამოა, რომ არც ერთი ეგვიპტელი არც კი იგემებს არასოდეს არავითარ სულდგმულის თავს.

40. ხოლო რაც შეეხება სამსხვერპლო საქონლის გამოშიგვნას და დაწვას, სხვადასხვა სამსხვერპლო საქონლის მიმართ სხვადასხვაგვარად არის ეს ამბავი დაწესებული. ახლა იმის შესახებ მოგითხრობთ, თუ რომელი ღმერთქალი არის მიჩნეული უდიდესად და რომელს უმართავენ უდიდეს დღესასწაულს. მას შემდეგ რაც გაატყავებენ ხარს, ილოცავენ და მთელ მუცელს გამოუცარიელებენ, სხეულში მხოლოდ გულღვიძლს და ქონს ტოვებენ და ჭრიან ბარკლებს, თემოს, ბეჭებსა და კისერს. ამას რომ გააკეთებენ, შემდეგ ხარის დარჩენილ სხეულს ავსებენ სუფთა პურით, თაფლით, ქიშმიში, ლევით, საკმეველით, ნელსაცხებლითა და სხვა სურნელოვანი ნივთიერებებით. აავსებენ ყოველივე ამით, უხვად გადაასხამენ ზეთს და ცეცხლს უკიდებენ. მსხვერპლშეწირვის წინ ეგვიპტელები მარხულობენ, ხოლო როდესაც სამსხვერპლო საქონელი იწვის, ყველანი თავში იცემენ ხელს, თავში ცემას რომ მორჩებიან, ნადიმს მართავენ იმით, რაც გადარჩება სამსხვერპლო საქონლისაგან.

41. ყველა ეგვიპტელი მსხვერპლად წმინდა ხარებსა და მოზვრებს სწირავს, ხოლო ძროხების შეწირვა მათთვის არ შეიძლება, რადგან ისინი ისისთვის აარიან განკუთვნილი. ისის ძროხისრქიანი ქალის გამოსახულება აქვს, ისივე როგორც ელინები წარმოადგენენ იოს. ყველა ეგვიპტელი თაყვანს სცემს ძროხებს ყველა ცხოველზე უფრო მეტად. აი ამიტომაც, რომ ეგვიპტელი, არც კაცი და არც ქალი ელინს ტუჩებში არ აკოცებს, არც ელინი დანას გამოიყენებს. არც შამფურს, არც ქვაბს.

ის კი არა წმინდა ხარის ხორცსაც კი არ გასინჯავს, თუ ეს ხარი ელინის დანით არის დაკლული. ხოლო ხარ-ძროხა როდესაც კვდება, ეგვიპტელები მათ ასე მარხავენ: ძროხებს მდინარეში ჰყრიან, ხოლო ხარებს თითოეული მათგანი ფლავს თავისი ქალაქის გარეუბანში ისე, რომ მისი ერთი რქა, ან ორივე ამოშვერილია მიწიდან ადგილის მისანიშნებლად. როდესაც ეს ხრი გაიხრწნება და დადგება გარკვეული დრო, თითოეულ ქალაქში მოდის ხომალდი კუნძულიდან, რომელსაც ეწოდება პროსოპიტისი. იგი არის დელტაში და ირგვლივ რომ შემოიზომოს, 9 სხოდნია. ამ პროსოპიტისის კუნძულზე ბევრი ქალაქია, მაგრამ იმ ქალაქის სახელი, საიდანაც მოდიან ხომალდებით ხარების ძვლები წასაღებად, არის ატარბექისი, სადაც დაფუძნდებულია აფროდიტს წმინდა ტაძარი. ამ ქალაქიდან ბევრი დაეხეტებიან სხვადასხვა ქალაქებში, თხრიან ძველებს, მიაქვთ თან და მარხავენ ყველანი ერთ ადგილას. ყველა სხვა დახოცილ საქონლის იმნაირადვე მარხავენ, როგორც ხარებს, რადგან ამის შესახებ მათ ასე აქვთ დაწესებული. მაგრამ საქონელს ისინი ჩვეულებრივ არ კლავენ.

42. ის ეგვიპტელები, რომელთაც აქვთ თებელი ზევსის ტაძარი, ანდა ცხოვრობენ თებეს ოლქში, ხელს არ ახლებენ ცხვრებს და მსხვერპლად სწირავენ თხებს. ყველა ეგვიპტელი არ სცემს თაყვანს ერთსა და იმავე ღმერთებს, ეს არ ეხება მხოლოდ ისისსა და ოსირისს (რომელზედაც ამბობენ, დიონისე არისო), ამით ყველანი თანაბრად აღიარებენ. ის ეგვიპტელები, რომელთაც აქვთ მენდესის ტაძარი, ან ცხოვრობენ მენდესის ოლქში, ხელს არ ახლებენ თხებს და მსხვერპლად სწირავენ ცხვრებს. თებელები და ისინი, ვინც არ სწირავენ მსხვერპლად ცხვრებს, თუ საიდან დამკვიდრდა ეს წესი მათში, ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობენ: ჰერაკლეს ძალიან უნდოდა ზევსის დანახვა, ხოლო ზევსს კი არ უნდოდა, რომ მას დაენახა. ბოლოს, როდესაც ჰერაკლემ მეტისმეტად დაიჟინა, ზევსმა შედმეგ ხრიკს მიმართა: გაატყავა

ვერძი, მისი ტყავი წამოისხა, მოკვეთა ვერძს თავი, რომელიც წინ დაიჭირა და ასე ეჩვენა ჰერაკლეს. ამის გამოა, რომ ზევსის ვერძისთავიანი ქანდაკება გააკეთეს ეგვიპტელებმა, ხოლო ეგვიპტელებისაგან - ამონელებმა, რომლებიც ეგვიპტელთა და ეთიოპელთაგან არიან გამოსულები და ლაპარაკობენ ორთა ენის საშუალო ენაზე. მე ვფიქრობ, რომ სახელოწდება "ამონელები" იმის გამო დაირქვეს მათ, რომ ეგვიპტელები ზევსს "ამუნს" უწოდებენ. თებელები არ სწირავდნენ მსხვერპლად ვერძს, რადგან ეს ცხოველი მათთვის ამავე მიზეზის გამო წმინდა არის. წელიწადში ერთ დღეს, ზევსის დღესასწაულზე, ისინი ვერძს კლავენ, ატყავებენ და აცმევენ ამ ტყავს ზევსის ქანდაკებას და შემდეგ მასთან მოაქვთ ჰერაკლეს ქანდაკება. ამას რომ გააკეთებენ, ყველანი, ვინც კი ტაძრის ირგვლივ არიან, გულს იმჯილავენ ვერძის გამო და შემდეგ მას წმინდა საფლავზე მარხავენ.

43. ჰერაკლეს შესახებ, რომელზედაც ამ ამბავს მოგვითხრობენ, მოვისმინე, რომ ის ყოფილა ერთი თორმეტ ღმერთთაგანი. ხოლო სხვა რამე ჰერაკლეს შესახებ, რომელსაც ელინები იცნობენ, ეგვიპტეში ვერსად ვერაფერი შევიტყვე. ეგვიპტელებს რომ ელინთაგან არ მიუღიათ ჰერაკლეს სახელი, რამედ პირიქით, რომ ელინებმა შეითვისეს ის ეგვიპტელთაგან და ელინთა შორის სწორედ იმათ, რომელთაც ამფიტრიონის შვილს სახელად ჰერაკლე დაარქვეს, საამისოდ ბევრი სხვა საბუთიც მაქვს და მათ შორის შემდეგიც: ამ ჰერაკლეს ორივე მშობელი, ამფიტრიონი და ალკემენე წარმოშობით ეგვიპტიდან იყვნენ; აგრეთვე ისიც, რომ ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათ არ იციან არც პოსეიდონისა და არც დიოსკურების სახელი და ეს ღმერთები მათ სხვა ღმერთებს შორის არ ჰყავთ მიღებული. მათ რომ ელინთაგან გადაეღოთ რომელიმე ღვთაების სახელი, მე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, ეს მათ კარგად ეხსომებოდათ, რაკილა ეგვიპტელები მაშინ უკვე ზვავოსნოდნენ და ელინთა შორისაც იყვნენ უკვე მეზღვაურები. ამ შემთხვევაში ამ ღმერთების სახელები უფრო ეცოდინებათ ეგვიპტელებს, ვიდრე ჰერაკლესი. მაგრამ ჰერაკლე ძველი ღმერთია ეგვიპტელების. როგორც თვითონ ამბობენ, ამასისის გამეფებამდე 17000 წლით ადრე რვა ღმერთიდან თორმეტი ღმერთი წარმოიშვა და ერთი მათგანი ჰერაკლეა.

44. რადგანაც მინდოდა ამის შესახებ რამდენადაც კი შესაძლებელი იყო გარკვეულად რამე მცოდნოდა, გავცურე ფინიკიის ტიროსში, რაკილა შევიტყვე, რომ იქ არის ჰერაკლეს წმინდა ტაძარი. მე ვნახე, რომ ტაძარი მდიდრულადაა შემკული მრავალი სხვადასხვა შეწირულობებით, მასში იყო ორი სვეტი, ერთი სუფთა ოქროსი, ხოლო მეორე ზურმუხტისა, რომელიც ღამით ძალიან ბრწყინავდა. ღვთაების ქურუმებთან საუბრის შევეკითხე მათ, რამდენი ხნია გასული ამ ტაძრის დაფუძნებიდან და გამოვარკვიე, რომ ამ საკითხზე არც ისინი არიან ელინების აზრისა; რადგან თქვეს, რომ ტიროსის აშენებასთან ერთად არის ამ ღვთაების ტაძარიც დაფუძნებული, ხოლო მას მერე, რც ისინი ტიროსში ცხოვრებენ, გასულია 23000 წელი. ტიროსში ვნახე კიდევ ერთი ჰერაკლეს ტაძარი, რომელიც თასოსელი ჰერაკლეს სახელობისაა. ვიყავი თასოსზედაც, სადაც ვნახე ჰერაკლეს ტაძარი დაარსებული ფინიკიელთა მიერ, რომლებიც ევროპეს საძებნელად იყვნენ წამოსულები და თასოსი კი დაასახლეს. ყოველივე ეს მოხდა ადამიანთა ხუთი თაობით უწინარეს, ვიდრე ამფიტრიონის ძე ჰერაკლე დაიბადებოდა ელადაში. ჩემს მიერ მოთხრობილი ცხადყოფს, რომ ჰერაკლე ძველი ღმერთია. მე ვფიქრობ, რომ ის ელინები მოიქცნენ ყველაზე უფრო სწორედ, რომელთაც ჰერაკლეს ორი ტაძარი აქვთ, ერთში მსხვერპლს სწირავენ უკვდავი

ჰერაკლე ოლიმპიელად სახელდებულს, ხოლო მეორეში პატივს სცემენ მას, როგორც გამირს.

45. ელინები ბევრ სხვა დაუჯერებელ ამბებსაც მოგვითხრობენ. სისულელეა ის ამბავიც, რასაც ისინი ჰყვებიან ჰერაკლეს შესახებ, თითქოს ის მოვიდა ეგვიპტეში, ხოლო ეგვიპტელებმა მას თავზე გვირგვინი დაადგეს და დიდი ზეიმით წაიყვანეს ზევსისათვის შესაწირავად. ჯერ ჰერაკლე თითქოს წყნარად ყოფილა, ხოლო როდესაც საკურთხეველთან მისი მსვერპლშესწირავად გამზადება დაუწყიათ, მთელი ძალა მოუკრეფია და ირგვლივ ყველანი ამოუჟღეცია. მე ვფიქრობ, რომ ელინები ამას ამბობენ იმიტომ, რომ სრულებით არ იციან ეგვიპტელთა ბუნება და ზნე-ჩვეულებები. ეგვიპტელთათვის ცხოველების მსხვერპლად შეწირვა კი არა ნებადართული (გარდა ცხვრებისა, სუფთა ხარებისა, მოზვრებისა და ბატების) და როგორ იქნებოდა, რომ მათ ადამიანები შეეწირათ მსხვერპლად? ამას გარდა ჰერაკლე ხომ ერთი იყო და ისიც ადამიანი, როგორც თვითონ ამბობენ და რამდენად ბუნებრივია, რომ მას ამდენი ხალხი გაეჟლიტა? ღმერთებისა და გამირების შესახებ რომ ამდენი ვილაპარაკეთ, მოგვეტეოს ჩვენ.

46. ხოლო ჩემს მიერ უკვე ხსენებული ეგვიპტელები დედა-თხებს და ვაცებს არ სწირავენ მსხვერპლად შემდეგი მიზეზის გამო: მენდესელები პანს ასახელებენ რვა ღმერთს შორის, ხოლო ეს რვა ღმერთი, როგორც თვითონ ისინი ამბობენ, იყო თორმეტ ღმერთზე უწინარეს. მხატვრები და მოქანდაკეები ხატავენ და აქანდაკებენ პანის გამოსახულებას, ელინებისა არ იყოს, თხის სახით და ვაცის ფეხებით. მაგრამ ამავე დროს იმას კი არ ფიქობენ, რომ ის მართლაც ასეთია, არამედ სხვა ღმერთების მსგავსად მიაჩნიათ. ხოლო თუ რის გამო ხატავენ მას ამნაირად, ამაზე არ მესიამოვნება ლაპარაკი.

მენდესელები პატივს სცემენ ყველა თხას, მამლებს უფრო, ვიდრე დედლებს. ასევე თხის მწყემსებსაც დიდი პატივი აქვთ. ვაცთა შორის განსაკუთრებით ერთს სცემენ პატივს და როდესაც ის კვდება, მენდესელთა მთელი ოლქი დიდ მწუხარებას განიცდის. ეგვიპტურად ვაცსაც და პანსაც მენდესი ეწოდება. ჩვენს დროს ამ ოლქში ასეთი სასწაული მოხდა: ერთი ვაცი საჯაროდ დაწვა ქალთან და ეს მოხდა ადამიანთა თვალწინ.

47. ეგვიპტელებს ღორი უწმინდურ ცხოველად მიაჩნდათ. ჯერ ერთი, თუ რომელიმე ეგვიპტელი შემთვევით შეეხება ღორს, როდესაც მის გვერდით ჩაივლის, მაშინვე გაეშურება მდინარისაკენ და ჩაეშვება შიგ თავის ტანისამოსიანად. მეორეც ის არის, რომ მთელი მოსახლეობიდან მხოლოდ მეღორეები, თუნდაც რომ წარმოშობით ეგვიპტელები იყვნენ, არ შედიან ეგვიტის არც ერთ ტაძარში, არც არავის უნდა მეღორეს მისცეს თავისი ასული ცოლად, არც მათი ქალები მიჰყავს ვისმე. ისე რომ, მეღორეები ერთმანეთს აძლევენ ქალებს ცოლად და ერთმანეთის ქალებს თხოულობენ.

ეგვიპტელებს ნება არა აქვთ, რომ ღორი ღვთაებებს შეწირონ, გარდა მთვარისა და დიონისესი, ისიც ერთსა და იმავე დროს; სავსე მთვარის დროს მსხვერპლად სწირავენ ღორებს და შემდეგ ჭამენ მათ ხორცს. თუ რატომაა, რომ სხვა დღესასწაულზე არ აჭაჭანებენ ღორებს, ხოლო ამ დღესასწაულზე სწორედ მათ სწირავენ მსხვერპლად,

ამის შესახებ ეგვიპტელები მოგვითხრობენ ამბავს, რომელიც მე, მართალია ვიცი, მაგრამ შეუფერებლად მიმაჩნია მისი გადმოცემა. ღორების ეს შეწირვა მთვარისათვის ასე ხდება: როდესაც ქურუმი მას დაჰკლავს, ერთად დადებს კუდის წვერს, ელენთასა და ჩობალს, დაჰფარავს ყოველივე ამას ცხოველის მუცლის ქონით და შემდეგ ცეცხლს წაუკიდებს. ხოლო დანარჩენ ხორცს ჭამენ იმ სავსე მთვარის ღამეს, როდესაც სამსხვერპლო საქონლის შეწირვა მოხდა, სხვა დღეს კი ამას პირსაც არ აკარებენ. ღარიბები თავისი გაჭირვებული ცხოვრების გამო ცომისაგან ძერწავენ ღორებს, გამოაცხობენ და იმას სწირავენ მსხვერპლად.

48. დიონისეს დღესასწაულის წინა საღამოს თითოეული ეგვიპტელი კლავს გოჭს თავისი კარების წინ და დაკლულ გოჭს უკან ატანს იმ მეღორეს, რომელმაც ის მიჰყიდა. დიონისემდე მიძღვნილ დღესასწაულს ეგვიპტელები სხვაფრივ თითქმის ისე ატარებენ, როგორც ელინები, მხოლოდ ფერხულებს არ აბამენ, თუმცა ფალოსების მაგივრადაც მათ დახლოებით წყრთის ოდენა ქანდაკებები გამოიგონეს, რომლებიც მოძრაობენ კანაფების საშუალებით. ეს ქანდაკებები სოფელ-სოფელ დააქვთ ქალებს, ამ დროს ამ ქანდაკებების სარცხვინელი, რომელიც ბევრად ნაკლები არ არის დანარჩენ სხეულზე ზემოთ და ქვემოთ მოძრაობს. ამ პროცესიას წინ მიუძღვის ავლოსი, ხოლო მას მისდევენ ქალები, რომლებიც უგალობენ დიონისეს. ერთი წმინდა თქმულება არსებობს იმის შესახებ, თუ რატომ არის სარცხვინელი ამოდენა და რატომაა, რომ მთელი სხეულიდან მხოლოდ ის მოძრაობს.

49. მე ვფიქრობ, რომ მელამპუსს ამითეონის ძისათვის ეს მხვერპლშეწირვა უცნობი არ იყო, პირიქით ის ამ საქმის კარგი მცოდნე ჩანს. სწორედ მელამპუსი იყო, რომელმაც გაავრცელა ელინებში დიონისეს სახელი, მისითვის მხვერპლშეწირვა და ფალოსის საზეიმო ტარება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მან მთლიანად და დაწვრილებით ვერ აჩვენა ელინებს ეს ამბავი, რაც მისმა მომდევნო ბრძენმა კაცებმა ბევრად უკეთ შეიძღეს. რაც შეეხება ფალოსს, რომელსაც დიონისეს პატივსაცემად დაატარებენ, ის მელამპუსის შემოტანილია და რასაც აკეთებენ ელინები, მისი კეთება სწორედ მელამპუსისაგან ისწავლეს. მე ვამტკიცებ, რომ მელამპუსმა, რომელიც ბრძენი კაცი იყო და მისნობას დაუფლებული, ბევრი რამ შეითვისა ეგვიპტეში, აქედან ელინებმა შეიტანეს და მათ შორის დიონისეს კულტიც, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებით. რადგან მე არ შემიძლია იმის თქმა, რომ ის, რაც კეთდება ეგვიპტეში და ის, რასაც აკეთებენ ელინები ამ ღმერთის მიმართ, შემთხვევითაა ერთმანეთის მსგავსი. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ის ელინთა ჩვევების შესაბამისი იქნებოდა და არა ახლად შეტანილი მათში. ვერ ვიტყვი აგრეთვე იმასაც, რომ ეგვიპტელებმა ელინთაგან გადმოიღეს ეს ან სხვა რომელიმე ჩვევა. მე უფრო იმას ვფიქრობ, რომ მელამპუსმა დიონისეს კულტის შესახებ შეიტყო ტიროსელი კადმოსისაგან და მათგან, ვინც მასთან ერთად მივიდა ფინიკიიდან ამჟამად ბეოტიად წოდებულ ქვეყანაში.

50. ელადაში თითქმის ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული, რომ ეს სახელები ბარბაროსთაგან არის გადმოღებული, ეს დანამდვილებით შევითქვე გამოკითხვის შედეგად, ხოლო მე კი უფრო ის მეგონა, რომ სწორედ ეგვიპტიდან შემოვიდა ელადაში ეს სახელები, გარდა პოსეიდონისა და დიოსკურებისა, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე, ჰერას, ჰესტიას, თემიდის, ქარიტების, ნერეიდებისა და ყველა სხვა ღმერთების სახელები ეგვიპტელების ქვეყანაში ცნობილი იყო

იმთავითვე. მე იმას ვამბობ, რასაც ამბობდენ თვით ეგვიპტელები. ღმერთების სახელები, რომლებზედაც ეგვიპტელები ამბობენ არ ვიცი, მე ვფიქრობ, დარქმეულია პელაზგების მიერ, გარდა პოსეიდონისა. ამ ღმერთის შესახებ ელინებმა გაიგეს ლიბიელთაგან, რადგან ლიბიელების გარდა არსად ყოფილა პოსეიდონის სახელი გავრცელებული დასაბამიდან. ლიბიელები კი მუდამ პატივს სცემდნენ ამ ღმერთს. გმირებიც სრულიად არ სწამდათ ეგვიპტელებს.

51. ესეც და ამას გარდა სხვაც, რის შესახებაც ვილაპარაკებ, ელინებს ეგვიპტელთაგან გადმოუღიათ; ხოლო ჰერმესის ქანდაკებათა კეთება გამართული სარცხვენელით ეგვიპტელთაგან კი არ უსწავლიათ, არამედ პელაზგებისგან და პელაზგთაგან ელინთა შორის პირველად ათენელებმა გადმოიღეს, ხოლო ამათგან - დანარჩენებმა. პელაზგები ათენელების მეზობლები გხდნენ მათსავე ქვეყანაში მაშინ, როდესაც ათენელები უკვე ელინებად იქცნენ. აქედან იყო, რომ დაიწყო პელაზგების ელინებად მიჩნევაც. ხოლო ვისაც კი მიუღია მონაწილეობა კაბირთა მისტერიებში, რომელსაც სამოთრაკელები ასრულებენ (და რაც მათ პელაზგებისგან გადმოიღეს), ის უთუოდ გაიგებს, რასაც მე ვამბობ, რადგან ეს პელაზგები, რომლებიც ათენელების მეზობლები გახდნენ, უწინ სამოთრაკზე ცხოვრობდნენ და ამათგან გადმოიღეს სამოთრაკელებმა მისტერიები. ხოლო ჰერმესის ქანდაკების კეთება გამართული სარცხვენელით ელინთა შორის პირველად ათენელებმა ისწავლეს პელაზგებისაგან, ხოლო პელაზგები ამის შესახებ რაღაც წმინდა თქმულებას გადმოსცემენ, რაც ცხადდება ხოლმე სამოთრაკეში მისტერიების დროს.

52. როგორც მე დოდონეში მოვისმინე და შევიტყვე, პელაზგები პირველად ყოველგვარ მხვერპლშეწირვასა და ლოცვას ღმერთების მიმართ ისე ახდენდნენ, რომ სახელით ან ზედწოდებით არ მიმართავდნენ არც ერთ მათგანს, რადგან არ გაეგონათ ასეთი არაფერი. ხოლო ღმერთები უწოდეს მათ იმის გამო, რომ ისინი ათავსებდნენ ყოველგვარ საგნებს რიგზე და ანაწილებდნენ ყოველივეს. ხოლო ამის შემდეგ დიდმა დრომ რომ განვლო, პელაზგებმა შეიტყვეს ეგვიპტიდან შემოსული სხვადასხვა ღმერთების სახელები, დიონისეს სახელი კი ბევრად უფრო გვიან გაიგეს. ხანი რომ გავიდა, პელაზგებმა, სახელთა შესახებ დოდონეში იკითხეს. ეს სამისნო უძველესად ითვლებოდა ელინთა სამისნოებს შორის. ხოლო ამ დროს ის ერთადერთი იყო. როდესაც იკითხეს დოდონეში პელაზგებმა, მიიღონ თუ არა ბარბაორთაგან მოსული სახელები, სამისნომ ურჩია მიღება. ამ დროიდან მსხვერპლშეწირვის დროს ღმერთებს სახელებით მოიხსენიებდნენ ხოლმე. ხოლო შემდეგ პელაზგებისაგან ელინებმა გადაიღეს ეს ჩვევა.

53. საიდან წარმოიშვა თითოეული ღმერთი ან თუ არსებობენ ყველანი მუდამ, ან რანაირები იყვნენ ისინი შესახედავად, ამის შესახებ ელინებმა არაფერი იცოდნენ ამ ცოტა ხნამდე. მე ვფიქრობ, რომ ჰესიოდე და ჰომეროსი ჩემზე 400 წლით იყვნენ უფროსები და არა უფრო მეტი. ესენი იყვნენ, რომელთაც შეუქმნეს ელინებს ღმერთების წარმოშობის ისტორია, დაარქვეს ღმერთებს სახელები, გაუნაწილეს მათ პატივი და ხელოვნება და აღწერეს მათი გარეგნობა. ხოლო პოეტები, რომელთა შესახებაც ამბობენ, რომ ჰომეროსზე და ჰესიოდეზე უწინ იყვნენო, მე ვფიქრობ, რომ ამათ შემდეგ ცხოვრობდნენ. პირველი ნაწილი ამ ცნობებისა დოდონის ქურუმმა ქალებმა მოგვითხრეს, ხოლო შემდგომი, რაც ეხება ჰესიოდესა და ჰომეროსს, მე მეკუთვნის.

54. იმ სამისნოების შესახებ, რომელთაგან ერთი ელინთა შორისაა, ხოლო მეორე ლიბიეშია, ეგვიპტელები შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ: თებელი ზევსის ქურუმებმა მითხრეს, რომ ორი ქურუმი ქალი წაუყვანიათ თებედან ფინიკიელებს და ერთი მათგანი, როგორც მე შევიტყვე, გაუყიდათ ლიბიეში, ხოლო მეორე - ელინებში. აი, ეს ქალები იყვნენ, რომელთაც პირველებმა დაარსეს სამისნოები ზემოხსენებულ ხალხებში. ხოლო როდესაც მე ვკითხე, თუ საიდან იციან ასე დაბეჯითებით, რომ ლაპარაკობენ, მათ მითხრეს, რომ დიდხანს ეზებდნენ ამ ქალების ასავალ-დასავალს, მაგრამ ვერ შეძლეს მათი პოვნა, მხოლოდ შემდეგი შეიტყვეს მათ შესახებ ის, რასაც ამბობენ.

55. ეს მე მოვისმინე თებეში ქურუმთაგან, ხოლო დიდონის წინასწარმეტყველი ქალები შემდეგ ამბობენ: ორი შავი მტრედი აფრენილა ეგვიპტის თებედან, იმათგან ერთი ლიბიეში დამჯდარა, ხოლო მეორე მათთან მოფრენილა. ეს დაჯდა მუხაზე და ადამიანური ხმით დაილაპარაკა, რომ აქ ზევსის სამისნო უნდა იყოს. დოდონის მცხოვრებლებმა ეს გამოცხადება ღვთის ნებასურვილად მიიღეს და ამის შესაბამისად მოიქცნენ. ამბობენ, რომ ლიბიელებში წასულმა მტრედებმა უბრძანა ლიბიელებს, ამონის სამისნო დაეარსებინათ. ესეც ხომ ზევსის სალოცვია. ეს მიამბეს დოდონის ქურუმმა ქალებმა, რომელთაგან ყველაზე უფროსს ერქვა პრომენეა, მის მომდევნოს - ტიმარეტე, ხოლო ყველაზე უმცროსს - ნიკანდრე. მათივე აზრისა იყვნენ სხვა დოდონელები, რომლებიც ამავე საოცავს ემსახურებოდნენ.

56. მე კი ამის შესახებ ამ აზრისა ვარ: თუკი ფინიკიელებმა მართლაზ წაიყვანეს წმინდა ქალები და ერთი მათგანი ლიბიეში გაჰყიდეს, ხოლო მეორე ელადაში, მე ვფიქრობ, რომ ეს ქალი გაიყიდა დღევანდელი ელადის სწორედ იმ ნაწილში, რომელსაც უწინ პელაზგიე ეწოდებოდა, სახელდობრ თესპროტებით დასახლებულ ნაწილში. შემდეგ მან, მონობაში მყოფმა, დააფუძნა აქ, მუხის ქვეშ, ზევსის სამლოცველო. რაც სრულიად ბუნებრივი იყო; რაკილა თებეში ის ზევსის ტაძარს ემსახურებოდა, აქ რომ მოვიდა, მისი ხსოვნა მაინც ჰქონდა. ხოლო შემდეგ ელინთა ენა რომ ისწავლა, დააწესა სამისნო. მანვე თქვა, რომ მისი და გაყიდულია ლიბიეში იმავე ფინიკიელების მიერ, რომელთაც ის თვითონ გაჰყიდეს.

57. ჩემი აზრით, დოდონელებმა ამ ქალებს იმიტომ უწოდეს მტრედები, რომ ქალები ბარბაროსები იყვნენ და დოდონელებს ეჩვენებოდათ, რომ ისინი ჩიტების მსგავსად ლაპარაკობდნენ. დოდონელები ამბობენ, ხანი რომ გავიდა, მტრედი ადამიანის ენაზე ალაპარაკდაო, ე.ი. ეს მოხდა მაშინ როდესაც ქალმა გასაგები რაღაც სთქვეა, ვიდრე ის ბარბაროსულად ლაპარაკობდა, მათ ეგონათ, რომ ჩიტსავით ლაპარაკობსო, აბა როგორ შეიძლება, რომ მტრედმა ადამიანის ენით ილაპარაკოს? ისინი რომ ამბობენ, მრედი შავი იყო, ამით იმას გვანიშნებენ, რომ ქალი ეგვიპტელი იყო. მართლაც და მისნობა ეგვიპტის თებესა და დოდონეში ერთმანეთის მსგავსია. სამსხვერპლო მისნობაც საქონელზე აგრეთვე ეგვიპტიდან არის შემოსული ელადაში.

58. ადამიანთა შორის ეგვიპტელები პირველები არიან, რომლებიც მართავდნენ სახალხო დღესასწაულებს, ტრიუმფებსა და საზეიმო პროცესებს, ელინებს კი ეს ყოველივე მათგან უსწავლიათ. ამის საბუთად მე შემდეგი მაქვს: ეგვიპტელებთან ეს ამბები დიდი ხანია, რაც ხდება, ხოლო ელინებთან ის ახლახან დაწესდა.

59. ეგვიპტელები სახალხო დღესასწაულს წელიწადში ერთხელ კი არ აწყობენ, არამედ საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით ხალისით კი მართავენ ამას ქალაქ ბუბასტისში არტემიდეს პატივსაცემად, ხოლო მეორე სახალხო დღესასწაული იმართება ქალაქ ბუსირისში, ისისის პატივსაცემად. ამ ქალაქში არის ისისის უდიდესი ტაძარი, ხოლო თვით ეს ქალაქი ეგვიპტის დელტის შუაშია დაფუძნებული. ელინთა ენაზე ისისი დემეტრეა. მესამე სახალხო დღესასწაულს ქალაქ საისში მართავენ ათენას პატივსაცემად. მეოთხეს - ჰელიოპოლისში ჰელიოსის, მეხუთეს - ბუტოში ლეტოსას, ხოლო მეექვსეს, - ქალაქ პაპრემისში - არესის განსადიდებლად.

60. ხოლო როდესაც ისინი ქალაქ ბუბასტისში მიდიან, გზაში ასე იქცევიან: კაცები ქალებთან ერთად მიცურავენ და თითოეულ ნაგვი დიდი რაოდენობაა ორივე სქესისა. ზოგიერთ ქალს ფიფინები უჭირავს და იმას ატკაცუნებს, ხოლო კაცები კდივე ავლოსებზე უკრავენ მთელი მგზავრობის განმავლობაში; დანარჩენი ქალები და კაცები მდერიან და ტაშს უკრავენ. როდესაც რომელიმე ქალაქთან მიცურდებიან, ნავს მიაყენებენ ნაპირზე და ასე იქცევიან: ზოგიერთი ქალი იმასვე აკეთებს, რაც უკვე ითქვა, ხოლო ზოგიერთი კი დასცინის და უყვირის ამ ქალაქის ქალებს. ზოგი ქალი ცეკვავს, დანარჩენი ქალები ფეხზე დგებიან და შიშვლდებიან. ამას სჩადიან ყველა ქალაქში, რომელიც გზაზე მდინარის პირასაა, ხოლო როდესაც მიაღწევენ ბუბასტისს, იქ აწყობენ დღესასწაულს დიდი მსხვერპლშეწირვებით და ყურძნის ღვინო უფრო მეტი იხარჯება ამ დღესასწაულზე, ვიდრე მთელი დანარჩენი წლის განმავლობაში. როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები მოგვითხრობენ, ბავშვები რომ არ ჩავთვალოთ, კაცები და ქალები დაახლოებით 700000 იყრის თავს.

61. ასე ხდება ბუბასტისში, ხოლო ქალაქ ბუსირისში, როგორ ატარებენ ისინი დღესასწაულს, ამის შესახებ ზემოთ ვთქვი. მსხვერპლშეწირვის შემდეგ ყველა ქალი და კაცი, მრავალ ათიატასზე მეტი, გულს იმჯიღავს, ხოლო თუ ვის გამო იმჯიღავენ, ამის შესახებ ლაპარაკი ჩემგან მკრეხელობა იქნებოდა. ხოლო ეგვიპტეში მცხოვრები ყველა კარიელი კიდეც უფორ მეტ სიშლეგეს იჩენს - სახეებს დანებით იჭრიან და ამის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ ისინი უცხოელები არიან და არა ეგვიპტელები.

62. ხოლო როდესაც ქალაქ საისში მოიყრის ხალხი თავს მხვერპლშესაწირავად, ერთ-ერთ ღამეს ყველანი მრავალ სანათურს ანთებენ სახლების ირგვლივ ღია ცის ქვეშ, სანათურები წარმოადგენენ ფიალას, რომელიც სავსეა მარილითა და ზეთით, ხოლო ზემოთ არის პატრუქი, ესენი ანთია მთელ ღამეს, ხოლო დღესასწაულს ეწოდება, "სანათურთა ანთების" დღესასწაული. ის ეგვიპტელები, ვინც ვერ მიდიან ამ სახალხო დღესასწაულზე, ამ მსხვერპლშეწირვის ღამეს თვითონაც ასრულებენ რიტუალს, ანთებენ ყველანი სანათურებს, ისე რომ, ამ ღამეს მხოლოდ საისში კი არ არის დანთებული სანათურები, არამედ მთელს ეგვიპტეში. თუ რის გამოა, რომ ამ ღამეს შუქი და პატივი ხვდა წილად, ამის შესახებ ერთ წმინდა ამბავს მოგვითხრობენ.

63. ისინი, ვინც დადიან ჰელიოპოლისსა და ბუტოში, მხოლოდ მსხვერპლშეწირვას ახდენენ, ხოლო პაპრემისში მსხვერპლშეწირვასაც ახდენენ და მთელ რიტუალსაბ ისევე ასრულებენ, როგორც სხვაგან: მზის ჩასვილისას რამდენიმე ქურუმი ქანდაკების ირგვლივ ფუსბუსებს, ხოლო უმეტესობა ამ ქურუმთაგან ხის კვერთხებით დგას სალოცავის შესასვლელში. სხვები, რომელნიც აღთქმას ასრულებენ, 1000-ზე მეტნი არიან, თითოეულ მათგანს ასევე კვერთხი უჭირავს და

ესენი მეორე მხარეს დგანან შეგროვებულები. ქანდაკება, რომელიც ხის პატარა მოოქრულ ტაძარშია, წინა დღით მიაქვთ სხვა წმინდა სამყოფელში. ის მცირედნი ქურუმთაგან, რომლებიც ქანდაკების ირგვლი იყვნენ დარჩენილნი, მოათრევენ ოთხბორბლიან ურემს, რომლითაც მოაქვთ ტაძარი და ტაძარში მოთავსებული ქანდაკება; კარიბჭესთან მდგარნი არ აძლევენ მათ შესვლის საშუალებას, ხოლო აღთქმის შემსრულებლები ესარჩლებიან ღმერთს და ურტყამენ დამბრკოლებლებს, ესენი კი თავს იცავენ. ამრიგად, აქ სასტიკი კომბლების ტრიალი იმართება, ერთმანეთს თავებს უმტვრევენ და, როგორც მე ვფიქრობ, ბევრი იხოცება კიდევაც ჭრილობებისაგან, თუმცა ეგვიპტელები ამბობენ, არავინაც არ იხოცებო. ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ეს სახალხო დღესასწაული მათი შემდეგი ამბის მერე დაუწესდათ: ამ სალოცავში ცხოვრობდა არესის დედა; ხოლო არესი, რომელიც სხვაგან იყო გაზრდილი, დავაჟკაცების შემდეგ მოვიდა და მოინდომა დედას დაკავშირებოდა; დედის მსახურთ, რადგანაც მათ ის უწინ არ ენახათ, არ უნდოდათ მისი შეშვება, ის კი არა იგერიებდნენ. მაგრამ არესმა სხვა ქალაქიდან მოიყვანა კაცები, სასტიკად მოექცა მსახურებს და შევიდა დედასთან. აი, ამბობენ, რომ ამის მერე დაწესდა არესის ამ დღესასწაულზე ეს ცემა-ტყეპა.

64. ეგვიპტელები არიან პირველები, რომელთაც დააწესეს ის, რომ სალოცავებში ქალებთან არ დაწოლილიყვნენ და ქალებთან ურთიერთობის შემდეგ სალოცავებში განუბანელი არ შესულიყვნენ.

მართლაც და თითქმის ყველა სხვა ხალხი, ეგვიპტელთა და ელინთა გარდა, სალოცავებში წვებიან ქალებთან და მათგან რომ წამოვლენ, განუბანელნი შედიან სალოცავში, რადგან მიაჩნიათ, რომ ადამიანებსა და სხვა ცხოველებს შორის არაა განსხვავება, ეს იმიტომ, რომ ხედავენ სხვადასხვა ცხოველებს და ფრინველთა ნაირნაირ ჯიშებს, რომლებიც გრილებიან ღმერთების ტაძრებშიც და წმინდა ჭალებშიც; ხოლო ღმერთისათვის რომ ეს სასურველი არ ყოფილიყო, ამას ცხოველებიც არ გააეკთებდნენო. ისინი კი აკეთებენ ასე და ამგვარად ასაბუთებენ, მაგრამ მე მაინც არ მომწონს.

65. ეგვიპტელები ზედმიწევნით იცავენ ყველა რიტუალს, რაც ეხება ღვთისმსახურებას და სხვათა შორის შემდეგსაც. მართალია, ეგვიპტე ლიბიის მეზობლადაა, მაგრამ გარეული მხეცები იქ მაინცდამაინც ბევრი არ არის. სამაგიეროდ ყველა ცხოველი, რაც კი ეგვიპტეში, სალოცავად არის მიჩნეული, ისინიც, რომლებიც ადამიანებს თავისთვის ჰყავთ და ისინიც, რომლებიც თავისთან არა ჰყავთ. მე რომ მოგიტხროთ, თუ რის აგმო ეპყრობიან მათ, როგორც სალოცავებს, მაშინ ღვთაებრივი საქმიანობის შესახებაც უნდა მოგიტხროთ, ამის მოყოლას კი მე განსაკუთრებით გავურბივარ, ხოლო რაც აქამდე ვთქვი მათ შესახებ, ეს იმიტომ მოხდა, რომ იძულებული ვიყავი მეთქვა. ცხოველთა მიმართ კი მათ ასეთი ჩვეულება აქვთ: ეგვიპტელთაგან ზედამხედველებად არიან დაყენებული როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ცალკე თითოეული ჯიშის მოსავლელად, ისე რომ, შვილი მამისგან ღებულობს ამ თანამდებობას. ხოლო მოსახლეობა ქალაქებში მათ მიმართ სემდეგ აღთქმას ასრულებს: ჯერ ღოცულობენ იმ ღმერთის მიმართ, რომლისთვისაც განკუთვნილია ესა თუ ის ცხოველი, შემდეგ თავის შვილებს კრეჭენ ან მთელ თავს, ან მის ნახევარს, ან თავის ერთ მესამედ ნაწილს, სასწორზე სდებენ ამ თმას და ვერცხლზე სწონიან. რამდენ ვერცხლსაც აიწონის, იმას ცხოველთა მომვლელ ქალს

ამლევენ. აი, ასეთი საჭმელი ეძლევათ მათ. თუ კი ვინმემ განზრახ მოკლა ამ ცხოველთაგან რომელიმე, მას მიესჯება სიკვდილი, ხოლო თუ უნებლიედ შემოაკვდა, მაშინ იხდის იმ ჯარიმას, რასაც მას ქურუმები დაუწესებენ. ხოლო ვინმემ თუ მოკლა წერო ან ძერა, იქნება ეს ნებით, თუ უნებლიეთ, იგი აუცილებლად სიკვდილით ისჯება.

66. მიუხედავად იმისა, რომ შინაური ცხოველები ძალიან ბევრია, კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, კატებს რომ შემდეგი ზნე არ სჭირდეთ: როდესაც ძუ კატები კნუტებს დაჰყრიან, აღარ დაეხეტებიან ხვადებთან. ხვადები კი მოწადინებული არიან მათთან კავშირს, მაგრამ არ გამოუდით. ამის გამო ხვადები შემდეგ ხრიკს მიმართავენ: ისინი სტაცებენ ძუ კათებს კნუტებს და უხოცავენ, უხოცავენ, მაგრამ არ სჭამენ. უშვილოდ დარჩენილ ძუებს ძალიან უნდათ, რომ სხვები მაინც გაიჩინონ და ამიტომ მიდიან ხვადებთან; ეს ცხოველი ხომ ძალიან შივლთმოყვარულია. თუ ხანძარი გაჩნდა, საოცარი საქმე ემართბათ კატებს: ეგვიპტელები ჩამომწკრივდებიან და კატებს დარაჯობენ (სულაც არ ზრუნავენ ცეცხლის ჩაქრობაზე), კატები კი უსხლტებიან მათ, გადაახტებიან თავზე ადამიანებს და ცეცხლში ცვივიან. ეს დიდად აწუხებს ეგვიპტელებს. თუ რომელიმე სახლში თავისი სიკვდილით მოკვდა კატა, ოჯახის ყველა წევრი იპარსავს მხოლოდ წარბებს. ხოლო თუ მოკვდა ძალი, მაშინ იპარსავს მთელ სხეულსა და თავს.

67. მკვდარი კატები გადააქვთ სალოცავ ნაგებობებში, სადაც მარხავენ დაბალზამებულს და ეს ხდება ქალაქ ბუბასტისში. ძალღებს კი თითოეული თავის ქალაქში მარხავს, წმინდა აკლდამაში. სინიდოფალებსაც ისევე მარხავენ, როგორც ძალღებს. ხოლო თხუნელები და ძერები მიაქვთ ქალაქ ბუტომში, წეროები კიდევ - ჰერმესის ქალაქში. დათვებს, რომლებიც ძალიან ცოტანი არიან და მგლებს, რომლებიც მეღიებზე ბევრად დიდები არიან, მარხავენ იქვე, სადაც პოულობენ მათ გვამებს.

68. ნიანგებს ასეთი ბუნება აქვთ: ყველაზე უფრო ცივ, ზამთრის ოთხ თვეს არაფერს ჭამს ეს ცხოველი, რომელიც ოთხფეხია და ცხოვრობს ხმელეთზედაც და ჭაბომიც. იგი სდებს კვერცხს მიწაზე და იქვე სჩეკს, დღის მეტ წილს ატარებს ხმელეთზე, ხოლო მთელ ღამეს არის მდინარეში, რადგანაც წყალი უფრო თბილია ჰაერსა და ცვარზე. ჩვენთვის ცნობილ ყველა სულდგმულს შორის ეს ერთადერთი ცხოველია, რომელიც სულ პატარა ჩნდება და ძალიან დიდი კი იზრდება. მართლაც და ნიანგი ბატის კვერცხზე ბევრად უფრო დიდ კვერცხს არ სდებს, ახლად გამოჩეკილი ნიანგი დაახლოებით კვერცხის ოდენაა, ხოლო რომ გაიზრდება, 17 წერთაა და კიდევ უფრო მეტი. თვალები ღორისა აქვს, კბილები - დიდრონი, ხოლო ეშვები სხეულის შესაფერისი. მხეცთა შორის მხოლოდ მას არა აქვს ენა. ნიანგის ქვედა ყბა უძრავია და ცხოველთა შორის ესაა, რომ ზედა ყბას ამოდრავებს ქვედა ყბისაკენ. მას მაგარი ბრჭყალები აქვს, ხოლო ტყავი - ქერცლიანი და ზურგზე ისეთი, რომ მისი გაგლეჯა არ შეიძლება. წყალში ის ბრმაა, ხოლო ჰაერზე უადრესად მახვილი მზერა აქვს. რადგან იგი ჩვეულებრივ წყალში ცხოვრობს, მთელი პირის ღრუ სავსე აქვს წურბელებით. ყველა ფრინველი და ცხოველი გაურბის ნიანგს, მხოლოდ ჭინჭრაქას არ ერჩის იგი, რადგან ის მისთვის სასარგებლოა: როდესაც ნიანგი წყლიდან ხმელეთზე გამოდის და პირს დააღებს (ჩვეულებრივ ის ამას ყოველთვის დასავლეთის ქარის მიმართულებით

აკეთებს), მაშინ ჭინჭრაქა შედის მის პირში და ყლაპას წურბელებს. ეს ესია მოვლება ნიანგს და არაფერს უშავებს ჭინჭრაქას.

69. ზოგიერთ ეგვიპტელს ნიანგი წმინდად მიაჩნია, ზოგიერთს არა, და ესენი ნიანგს მტრულად ექცევიან. განსაკუთრებით წმინდად მიაჩნია იგი თებეს მიდამოს და მოდრისის ტბის მახლობლად მცხოვრებლებს. ყველა ეგვიპტელთა შორის ამ ორ მხარის მცხოვრებლები არიან, რომ ერთნი ნიანგს ზრდიან, იმინაურებენ მას. ყურებში უკეთებენ მინისა და ოქროს საყურეებს, ხოლო წინა თათებზე - რგოლებს. აძლევენ განსაკუთრებულ საჭმელს და მსხვერპლსა სწირავენ, განსაკუთრებით სცემენ პატივს მას სანამ ცოცხალია, ხოლო როდესაც კვდება, დააბალზამებენ და მარხავენ წმინდა აკლდამაში. ხოლო ქალაქ ელეფანტინეს მიდამოში მცხოვრებლები ნიანგს კიდევაც სჭამენ და არც მიიჩნევენ მას წმინდად. ეს ცხოველი ნიანგად კი არ იწოდება, არამედ ქამფსად. ნიანგები მათ იონიელებმა უწოდეს, რადგან ისინი გარეგნობით მიაძსგავსეს მათში გავრცელებულ იმ ხვლიკებს, რომლებიც კედლებზე არიან ხოლმე.

70. ნიანგის დაჭერის ბევრი და მრავალგვარი ხერხი არსებობს. მათგან იმას ავწერ, რომელიც ყველაზე უფრო ღირსეულად მიმაჩნია: მონადირე კავზე წამოცმულ ღორის ბეჭს შუა მდინარეში ჩაუშვებს ნიანგის მისაზიდად, ხოლო თვითონ მდინარის ნაპირას დგას, უჭირავს ცოცხალი გოჭი და სცემს მას. ნიანგი ხმას რომ გაიგონებს, მისკენ მოეშურება, გადაეყრება ბეჭს და გადაყლაპავს, ხოლო მონადირეები მას მოათრევენ. ნაპირზე გამოთრეულს მონადირე, უწინარეს ყოვისა, ტალახით ამოუგლესს თვალებს, რის შემდეგაც ძალიან ადვილია მისი დამორჩილება, ხოლო ეს რომ არ გააკეთოს, მაშინ გაუჭირდება.

71. ჰიპოპოტამები პაპრემისის ოლქში წმინდად არიან მიჩნეულნი, ხოლო სხვა ეგვიპტელთათვის ისინი წმინდანები არ არიან. მათ ასეთი გარეგნობა აქვთ: ის ოთხფეხა ცხოველია, ორმაგი, ხარის ჩლიქით, ნოღა, ფაფარი აქვს ცხენისა, გამოჩენილი ეშვები, კუდი და ხმა ცხენისა, ხოლო სიდით ვეება ხარს უტოლდება, კანი ისთი სქელია აქვს, რომ, როდესაც ის გახმება, მისგან აკეთებენ შუბის ტარებს.

72. მდინარეში ბინადრობენ წავებიც, რომლებიც წმინდად არიან მიჩნეული. თევზთა სორის წმინდად ითვლებიან ეგრეთწოდებული ქერცლოვანა და გველთევზა, ამბობენ, რომ ეს თევზები ნილოსისადმი არიან შეწირულნი, ხოლო ფრინველთაგან წმინდა არის ეგრეთწოდებული მელა-ბატი.

73. არის კდიევ სხვა წმინდა ფრინველი, სახელად ფენიქსი. მე ის არ მინახავს, მინახას მარტო მისი გამოსახულება, რადგან ის ძალიან იშვიათად მოდის, დახლოებით 500 წელიწადში ერთხელ, როგორც ჰელიოპოლისის მოსახლეები ამბობენ, რომ ის მხოლოდ მაშინ მოდის, როდესაც მამა უკვდება. თუ გამოსახულება ჰგავს მას, ის სიდიდითა და შესახედაობით ასეთია: მისი ფრთების ნაწილი ოქროსფერია და ნამდვილი წითელი. აღნაგობითა და სიდიდით განსაკუთრებით არწივსა ჰგავს. ამბობენ, რომ მას ასეთი რამ შეუძლია, თუმცა მე ვფიქრობ, რომ სარწმუნო არაა, რასაც ლაპარაკობენ: არაბიდან მოდის ჰელიოსის სალოცავში, თან თურმე თავისი მამა მოაქვს მურში ჩადებული და მარხავს ჰელიოსის სალოცავში. ხოლო მამა თურმე ასე მოაქვს: პირველად ის აკეთებს მურისაგან კვერცხს, იმოდენას, რისი ტარებაც შეუძია, შემდეგ სცდის მის ტარებას. ამ გამოცდის შემდეგ ის გამოღრუტნის კვერცხს საიმისოდ, რომ

თავისი მამა შიგ შედოს, მერე მურითვე გამოლესავს იმ ადგილს, სადაც კვერცხი გამოიღრუტნა და მამა შედო. ხოლო მას მერე, რაც კვერცხი მამითურთ იმავე წონისა არის, რამდენსაც იწონიდა თავდაპირველად, გალესავს კვერცხს, წაიღებს მას ეგვიპტისაკენ ჰელიოსის სალოცავში. აი, ამბობენ, რომ ეს ფრინველი ამას აკეთებსო.

74. თეხეს მიდამოებში არიან წმინდა გველები, რომლებიც ადამიანებს არავითარ შემთხვევაში არ ვნებენ; ისინი სიდიდით პატარები არიან და ორი რქა აქვთ, რომლებიც ეზრდებათ თავის თხემიდან, ესენი რომ იხოცებიან, მათ მარხავენ ზევსის სამლოცველოში, რადგან ამბობენ, რომ ისინი ღმერთისათვის არიან განკუთვნილი.

75. არაბიის ერთი ადგილია, რომელიც ქალაქ ბუტოსთან იქვე, ახლოს მდებარეობს და ამ ადგილას მოვედი. რომ შემეტყო ფრთოსანი გველების შესახებ. რომ მოვედი, აქ გველების იმდენი ძვლები და ხერხემლები ვნახე, რომ შეუძლებელია გადმოცემა. დახროვებული ეყარა ხერხემლები, დიდები, უფრო მცირენი და ამათზე უფრო პატარები, და ეს ხროვები მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო ეს ადგილი, სადაც ხერხემლებია მიმოფანტული, ასეთია: მთების ვიწრობებიდან შესავალია დიდ დაბლობზე, ხოლო ეს დაბლობი ეკვრის ეგვიპტის დაბლობს. არსებობს გადმოცემა, რომ გაზაფხულზე ფრთოსანი გველები არაბიიდან ეგვიპტეში მოფრინავენ, ხოლო მათ ამ ქვეყნის შესავალში შეხვდებიან ფრინველები, წეროები, რომლებიც არა თუ არ ატარებენ გველებს, არამედ ხოცავენ, არაბების თქმით, ამიტომაც, რომ წეროებს ეგვიპტელები დიდ პატივს სცემენო. ეგვიპტელები ამავე აზრისა არიან და ამბობენ, რომ ამ ფრინველებს ამიტომ ვცემთ პატივსო.

76. წეროს ასეთი შესახედაობა აქვს: იგი სულ მთლიანად შავია, ფეხები ყანჩისას მიუგავს, მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, ხოლო სიდიდით კრექსის ოდენაა. ასეთი შესახედაობისა არიან შვი წეროები, რომლებიც ებრძვიან გველებს. ხოლო იმ წეროებს, რომლებიც ადამიანების ფხთით ტრიალებენ (წეროები ხომ ორგვარია), ასეთი შესახედაობა აქვთ: თავი და მთელი კისერი სულ მოტიტვლებულია, ბუმბული მთლად თეთრია, გარდა თავისა, კისრისა, ფრთების ბოლოებისა და კუდის ბოლოს (ყოველივე ეს, რაც ჩამოვთვალე, არის შავი), ხოლო ფეხები და სახე ამ წეროს შავი წეროს მსგავსი აქვს.

გველი გარეგნობით ჰგავს გველთევზას, მხოოდ მისი ფრთები უბუმბულოა და ძალიან ჰგავს ღამურის ფრთებს, ეს უნდა ითქვას წმინდა ცხოველების მიმართ.

77. იმ ეგვიპტელებს, რომლებიც ეგვიპტის სამიწათმოქმედო მხარეში ცხოვრობენ, ადამიანთა შორის ყველაზე უკეთ შემორჩენიან მოგონებები და ისინი ყველაზე მეტად განათლებულები არიან მათ შორის, ვინც კი მე გამოვცადე. ისინი ამგვარ ცხოვრებას ეწევიან: ყველ თვეში სამ დღეს ზედიზედ იწმენდენ კუჭს და ჯანმრთელობის დასაცავად მიმართავენ ღბინებასა და ოყნებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ადამიანთა ყველა ავადმყოფობა წარმოსდგება იმ საკვებისაგან, რომელსაც ისინი სჭამენ. ყველა ხალხებს შორის ლიბიელების შემდეგ ეგვიპტელები არიან უფრო ჯანმრთელები და, როგორც მე ვფიქრობ, სწორედ ამინდის მიზეზით, რომელიც წლის დროების მიხედვით აქ ცვლილებას არ განიცდის. ხოლო ადამიანები ავადდებიან განსაკუთრებით ცვლილებასთან დაკავშირებით, ეს ეხება ყველა სხვა ცვლილებას და განსაკუთრებით კი ამინდისას. ისინი სჭამენ ასლის პურს, რომელსაც კილესტისს უწოდებენ. ისინი სვამენ ქერისაგან დაყენებულ ღვინოს, რადგანაც მათ ქვეყანაში

ვაზი არ ხარობს. თევზს ისინი ზოგს მზეზე ახმობენ და უმად სჭამენ. ფრინველთა შორის ისინი წინასწარ ამარილებენ და უმად სჭამენ მწყერებს, იხვებს და სხვა პატარა ფრინველებს. დანარჩენ ფრინველებს და თევზებს, რომლებიც მათ ჰყავთ (იმათ გარდა, რომლებსაც წმინდად მიიჩნევენ), ისინი შემწვარსა და მოხარშულს სჭამენ.

78. შეძლებულთა წვეულების დროს, ნადიმის დამთავრებისას, კაცი ჩამოატარებს კუბოში ჩადებულ ხის მიცვალებულს, რომელიც შესანიშნავად არის გაკეთებული, როგორც მოხატულობის, ასევე ნაკეთობის მხრივ, რაც სიდიდით დაახლოებით წყრთა ან ორი წყრთაა; აჩვენებს თითოეულს წვეულთაგან და ეუბნება: ”ამას შეხედე, შესვი და იმხიარულე, რადგან, როდესაც მოკვდები, ამნაირი იქნები”. ამგვარად იქცევიან ისინი თავიანთი ნადიმების დროს.

79. ეგვიპტელები თავის მამა-პაპათა ჩვეულებებსაც იცავენ და სხვას არაფერს ღებულობენ. მათ ღირშესანიშნავ ჩვევათა შორის არის ერთი სიმღერა, ლინოსი, რომელსაც ეგვიპტის გარდა მღერიან ფინიკიაში, კიპრსზე და სხვაგანაც და რომელსაც სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვა სახელი ჰქვია, ეს იგივეა, რასაც ელინები მღერიან და ლინოსს უწოდებენ. ეგვიპტელთა ბევრი სვა რამ მაკვირვებდა და მათ შორის ისიც, თუ საიდან გადაიღეს ლინოსი. ისე ჩანს, რომ ისინი მუდამ მღეროდნენ მას. ეგვიპტურად ლინოსს მანეროსი ეწოდება. ეგვიპტელთა ბევრი სხვა რამ მაკვირვებდა და მათ შორის ისიც, თუ საიდან გადაიღეს ლინოსი. ისე ჩანს, რომ ისინი მუდამ მღეროდნენ მას. ეგვიპტურად ლინოსს მანეროსი ეწოდება. ეგვიპტელებმა თქვეს, რომ ის იყო ეგვიპტის პირველი მეფის მხოლოდშობილი ძე და ის რომ უდროოდ მომკვდარა, ეგვიპტელებს მისთვის პატივი უციათ ამ სამგლოვიარო სიმღერით: ეს ყოფილა მათთვის პირველი და ერთადერთი სიმღერა.

80. სხვა რამითაც ჰგვანან ეგვიპტელები ელინებს, მხოლოდ ელინთაგან მარტო ლაკედემონელებს; როდესაც ახალგაზრდები შეხვდებიან უფროსებს, უთმობენ გზას და განზე დგებიან, ხოლო როდესაც უფროსები მათ მიუახლოვდებიან, თუკი ახალგაზრდები სხედან, დგებიან სკამებინდან. სხვა არაფრით ჰგვანან ისინი ელითანგან არავის. ეგვიპტელები რომ ხვდებიან ერთმანეთს გზაზე, სიტყვიერი სალმის მაგივრად წელში იხრებიან იმდენად, რომ ხელს მუხლებს ქვემოთ იწვდენენ.

81. ეგვიპტელები იცვამენ ტილოს კვართებს, წვივებთან ფოჩებით შემკულს, რასაც უწოდებენ კალასირისს. ამის ზემოდან ატარებენ თეთრი შალის ტანსაცმელს, წამოსხმულს; თუმცა შალის ტანსაცმლით შესვლა სამლოცველოებში, ანდა დამარხვა, არ შეიძლება, რადგან ცოდვათაა მიჩნეული. ეს წესი ეთანხმება ეგრეთ წოდებულ ორფიკულსა და ბაკქიკურ მისტერიებს, რომლებიც სინამდვილეში ეგვიპტურია და პითაგორული, ამ მისტერიების მონაწილისათვის არ შეიძლება შალის ტანსაცმელში დამარხვა. ამის შესახებ არსებობს ერთი წმინდა გადმოცემა.

82. ეგვიპტელებს კიდევ ბევრი სხვა რამ აქვთ გამოგონებული: მაგ., თითოეული თვე და დღე ამა თუ იმ ღმერთთაგანისათვის არის განკუთვნილი და დაბადების დღის მიხედვით გაირკვევა, თუ ვის რა შეემთხვა, როგორ მოკვდება და თვითონ როგორი იქნება. ეს გამოიყენეს იმ ელინებმა, რომლებიც პოეზიას მისდევენ. მინიშნებები ეგვიპტელებს ბევრად უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ყველა სხვა ხალხს. როდესაც

მინიშნება ხდება, მას იწერენ და უკვირდებიან შედეგს და თუ როდისმე, შემდეგ ამისა მსგავსი რაიმე მოხდა, ისინი მოელიან, რომ შედეგიც ასეთივე იქნება.

83. მისნობის მიმართ ასეთი დამოკიდებულება აქვთ : ადამიანთაგან არავის ძალუმს ეს ხელოვნება, ხოლო ღმერთთაგან - ზოგიერთებს. აქ არის ჰერაკლეს სამისნო, აპოლონისა, ათენასი, არტემიდესი, არესისა და ზევსისა, ხოლო ყველა ამ სამისნოს შორის განსაკუთრებით მიჩნეულია ლეტოს სამისნო ქალაქ ბუტოში, მისნობა მათთან ყველგან ერთნაირად კი არ ხდება, არამედ სვხადასხვანაირად.

84. ხოლო მკურნალობა მათთან შემდეგნაირად არის დანაწილებული: თითოეული მხოლოდ ერთი ავადმყოფობის მკურნალია და არა მრავალთა. ამიტომ ყველგან ბევრია ექიმები: ზოგი თვალის ექიმი, ზოგი - თავის, ზოგი - კბილისა, ზოგი-მუცლისა და ზოგიც უჩინარ სნეულებათა.

85. დატირება და დამარხვა მათ ასეთი იციან: როდესაც სახლში კვდება კაცი, ოჯახისათვის მნიშვნელოვანი პირი, ამ სახლის ყველა ქალი თავს ითხუპნის ტალახით, ხან სახესაც, შემდეგ ესენი სახლში სტოვებენ მიცვალებულს და თვითონ სარტყელშემორტყმულები და ძუძუებამოყრილები იმჯიღავენ მკერდს და დარბიან ქალაქში; ამათთან ერთად დარბიან მთელი მათი ნათესავი ქალები. თავის მხრივ კაცებიც მჯიღს იცემენ და ესენიც სარტყელშემორტყმულები არიან. ამის შემდეგ მიაქვთ გვამი დასაბალზამებლად.

86. ეგვიპტეში არის ხალხი, რომელიც ამ საქმიანობას ეწევა და მან იცის ეს ხელობა. როდესაც მოუტანენ ამ პირებს გვამს, ისინი უჩვენებენ მომტანებს გვამების ნიმუშებს, მოხატულებს და ეუბნებიან: საუკეთესო მეთოდით დაბალზამებულია ის, ვისი სახელით მოხსენიებაც ამისთანა საქმეში მე უწმინდურად მიმაჩნია. უჩვენებენ აგრეთვე მეორეს, რომელიც ამაზე ნაკლებია და იაფია, და უჩვენებენ მესამეს, რომელიც ყველაზე იაფია. ამის შემდეგ ისინი ცდილობენ შეიტყონ თუ როგორ სურთ მათ გვამის შემზადება.

ნათესაები შეუთანხმდებიან საფასურში და მიდიან, ხოლო სახლში დარჩენილი ხელოსნები დიდი გულმოდგინებით აბალზამებენ გვამს შემდეგნაირად: პირველად მოკაკული რკინით ტვინი გამოაქვთ ნესტოებიდან. მისი ნაწილი ასე გამოაქვთ, ხოლო მეორე ნაწილი იმით, რომ წამლებს ასხამენ შიგ. შემდეგ ბასრი ეთიოპიური ქვით ჰკვეთენ გვამს საზარდულზე, საიდანაც გამოაქვთ მთელი შიგნეულობა, გაწმენდენ ამ ღრუს, ჯერ გაჟღენთენ ფინიკის ღვინით და შემდეგ დანაყილი ნელსაცხებლებით. შემდეგ მუცლის ღრუს ავსებენ დანაყილი სუფთა მურით, კასიით და სხვა ნელსაცხებლებით, გარდა გუნდრუკისა და ისევე ჰკერავენ. ამას რომ მორჩებიან, აბალზამებენ გვამს ტუტიანი მარილით და ამაში ინახავენ 70 დღეს. ამაზე უფრო დიდხანს დაბალზამება არ შიძლება. როდესაც გავა 70 დღე, გაჰბანენ გვამს და მთელ სხეულს ახვევენ თასმებად დაჭრილ თხელ ტილოში, რომელსაც წასმული აქვს კომი, რასაც წებოს მაგივრად ხმარობენ ეგვიპტელები მეტწილად. ამის მერე ნათესავები ღებულობენ გვამს, აკეთებენ ადამიანის სახის ხის გამოსახულებას, რომელშიც სდებენ გვამს, ხურავენ და ასე ინახავენ სასაფლაო აკლდამაში, სადაც ზეზეულად აყენებენ კედელთან.

87. გვამის ასე დამუშავება ყველაზე ძვირი ჯდება. ხოლო ვისაც სურს, უფრო იაფად გამოვიდეს და თავიდან აიცილოს დიდი ხარჯი, მათთვის ამზადებენ შემდეგნაირად: ოყნას ავსებენ კედარის ზეთით და ამით უვსებენ მიცვალებულს მუცლის ღრუს, ისე რომ არც ჰკვეთენ მას და არც შიგნეულობას უღებენ, არამედ საჯდომიდან შეასხამენ და ამ სითხის უკან გამოსვლას აფერხებენ. ამის შემდეგ აბალზამებენ გვამს რამდენიმე დღის განმავლობაში. უკანასკნელ დღეს მუცლის ღრუდან უშებენ კედარის ზეთს, რომელიც პირველად შეუშვეს შიგ. ამ ზეთს ისეთი ძალა აქვს, რომ თან გამოაქვს მთელი გულმუცელი და დაშლილი შიგნეულობა, ხორცს ტუტიანი მარილი შლის და გვამისაგან მხოლოდ კანი და ძვლებიღა რჩება. ამას რომ მორჩებიან, ეგვერევე აძლევენ ნათესავებს გვამს, რადგან მას მეტს აღარაფერს უკეთებენ.

88. მესამე სახეობა დაბალზამებისა, რომელსაც უპოვარნი მიმართავენ, შემდეგია: გვამს მუცლის ღრუს გამოურეცხავენ ბოლოკის ზეთით და აბალზამებენ 70 დღით, შემდეგ აძლევენ პატრონებს წასაღებად.

89. გამოჩენილი კაცები ცოლებს გარდაცვალებისთანავე არ აძლევენ დასაბალზამებლად, ისევე, როგორც განსაკუთრებული სილამაზისა და დიდად სახელგანთქმულ ქალებს; ამათ აძლევენ დასაბალზამებლად სიკვდილის შემდეგ მესამე ან მეოთხე დღეს. იმიტომ, რომ ეშინიათ, მებალზამეები არ დაწვენ ამ ქალებთან. რადგან ამბობენ, რომ ერთ მებალზამეს ზედ წაასწრეს მაშინ, როდესაც ის ახლადგარდაცვლილი ქალის გვამთან იწვა, ხოლო მისმა ამხანაგმა მებალზამემ გასცა.

90. თუ ვინმე თვით ეგვიპტელთაგან ან თუნდაც უცხოელთაგან (სულ ერთია) მოიტაცა ნიანგმა, ან თვით დაიხრჩო მდინარეში, რომელ ქალაქშიც გამოირიყება მისი გვამი, იმ ქალაქის მცხოვრებლები მოვალენი არიან ის დააბალზამონ, რაც შეიძლება უკეთ გამოაწყონ და დაასაფლაონ წმინდა აკლდამაში. არავის არა აქვს მისი შეხების ნება, არც ნათესავს და არც რომელსამე მეგობარს, მას, როგორც ადამიანის გვამზე აღმატებულს თავისი ხელით მარხავენ თვით ნილოსის ქურუმები.

91. ეგვიპტელები თავს არიდებენ ელინურ ჩვევებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც სხვა რომელიმე ხალხის ჩვევებს მისდევენ. სხვა ეგვიპტელები ასე იცავენ თავიანთ წესჩვეულებებს; ხოლო არის დიდი ქალაქი, ქემისი, თებეს ოლქში, ნეაპოლისის მახლობლად. ამ ქალაქში არის დანაეს შვილის, პერსევსის ოთხკუთხოვანი სამლოცველო, რომლის ირგვლივ ფინიკები ხარობენ. სამლოცველოს კარიბჭე ქვისაა და ძალიან დიდი. ხოლო მასთან ორი უშველებელი ქვის გამოსახულება დგას. ამ შემოღობილში, შიგნით არის ტამარი, რომელშიც აღმართულია პერსევსის ქანდაკება. ეს ქემისელები ამბობენ, რომ პერსევსი ხშირად ჩნდება ხოლმე მათ ქვეყანაში, ხშირად სწორედ სამლოცველოს შიგნით; აქვე პოულობენ ხოლმე სანდალს, რომელსაც ის ატარებს და რომელიც ორი წერთის ოდენაა. როდესაც სამლოცველოში აღმოჩნდება სანდალი, მაშინ მთელი ეგვიპტე ყვავის. ამას ამბობენ ქემისელები და პერსევსის დღესასწაულს ელინურ ყაიდაზე აწყობენ: ისინი მართავენ გიმნასტურ შეჯიბრებებს, რაც ყოველგვარ შეჯიბრებას შეიცავს და ჯილდოდ აქვთ საქონელი, მოსასხამი და ტყავები. როდესაც მე მათ შევეკითხე, თუ რატომაა, რომ მხოლოდ მათ მოევილინებათ ხოლმე პერსევსი და სხვა ეგვიპტელთაგან განსახვავებით მხოლოდ ესენი აწყობენ გიმნასტურ შეჯიბრებას, ქემისელებმა მითხრეს, რომ პერსევსი მათი ქალაქიდან არის წარმოშობით, რადგან დანაოსი და ლინკევისი ქემისელები იყვნენ და აქედან წავიდნენ

ზღვით ელადაში. ამ პირებიდან იწყებდნენ ისინი გენეალოგიას და ჩამოდიოდნენ პერსევსამდე. ისინი ამბობენ, რომ პერსევსი მოვიდა ეგვიპტეში იმავე მიზეზის გამო, რასაც ასახელებენ ელინები (გორგონის თავის წასაღებად ლიბიიდან), მოვიდა მათთანაც და გაიცნო ყველა თავისი ნათსავი. ხოლო როდესაც მოვიდა ეგვიპტეში, მან შეიტყო ქემისის სახელი, რაც ადრე გაგონილი ჰქონდა თავისი დედისაგან. მანვე ბრძანა გიმნასტური შეჯიბრებების დაწესებაც.

92. ყოველი ეს ჩვეულება აქვთ იმ ეგვიპტელებს, რომლებიც ჭაობების ზევით ცხოვრობენ. ხოლო მათ, ვინც ჭაობებში ცხოვრობენ, იგივე წესჩვეულებები აქვთ, რაც სხვა დანარჩენ ეგვიპტელებს და სხვათა შორის თითოეული მათგანი ცხოვრობს ერთ ქალთან ელინებისა არ იყოს. ხოლო საზრდოს იაფად მოპოების მიზნით მათ შემდეგი რამ გამოიგონეს: როდესაც მდინარე ადიდება და დაბლობს დაჰფარავს, წყალში იზრდება მრავალი შროშანი, რასაც ეგვიპტელები ლოტოსს უწოდებენ. ისინი მას კრეფენ, მზეზე ახმობენ და შემდეგ ლოტოსის გულიდან იღებენ ნაწილს, რომელიც ყაყაჩოს მიაგავს, ფქვავენ მას და მისგან აკეთებენ პურს, რომელსაც ცეცხლზე აცხობენ. ამ ლოტოსის ძირიც იჭმევა და კარგი, ტკბილი გემოსია, ის მრგვალია და სიდიდით ვაშლის ოდენაა. არის ხვა შროშანებიც, რომლებიც ვარდებს ჰგვანან, ესენიც მდინარეში მოიპოვებიან. მათი ნაყოფი სხვა ჯამში იზრდება, რომელიც ამოსულია იმავე ფესვიდან, მაგრამ ყვავილიდან განზე და შესახედავად კრაზანის ფიჭასა ჰგავს. მასში მრავალი მარცვალია, ზეთისხილის კურკის ოდენა, ეს იჭმევა ნედლადაც და გამხმარიც. ხოლო ჭაობებიდან ერთწლიან ჭილს აგროვებენ, მის ზემო ნაწილს სჭრიან და სხვადასხვა რამისათვის იყენებენ, ხოლო დარჩენილ ქვედა ნაწილს, რომელიც დაახლოებით ერთი წყრთის სიგრძისაა, სჭამენ და ყიდიან. ხოლო ვისაც უნდა, რომ საგანგებოდ გემრიელი ჭილი მოიხმაროს, ისინი გავარვარებულ ღუმელში წვავენ და ისე ჭამენ მას. ზოგიერთები ამ ეგვიპტელთაგან თავს ირჩენენ მხოლოდ თევზით. როდესაც თევზს დაიჭერენ და მუცლის ღრუს გამოუსუფთავენ, მას მზეზე ახმობენ და შემდეგ ასე გამხმარს ჭამენ.

93. ჯოგად მცურავი თევზები ამ მდინარეებში სულაც არ მოიპოვებიან, ისინი ცხოვრობენ ტბებში და შემდეგს აკეთებენ: როდესაც მათ მოერევათ სურვილი განაყოფიერებისა, ჯოგად მიცურავენ ზღვაში, წინ მიუძღვნიან მამალი თევზები, რომლებიც ყრიან თესლებს, ხოლო დედლები მათ მისდევენ, ყლაპავენ ამ თესლებს და ამისაგან ნაყოფიერდებიან. მას მერე, რაც ზღვაში განაყოფიერდებიან, უკან მოცურავენ, თითოეული თავთავის შეჩვეულ ადგილისაკენ. ახლა მამლები კი აღარ მიუძღვნიან მათ წინ, არამედ დედლებისაა წინამძღოლობა. დედლები ჯოგად მიცურავენ წინ და აკეთებენ იმას, რასაც აკეთებდნენ მამლები. ისინი აქა-იქ ყრიან ცოტ-ცოტა ქვირითს, ხოლო მალელები, რომლებიც მათ მისდევენ, ყლაპავენ მას. ეს ქვირითი - თევზებია. იმ ქვირითისაგან, რომლებიც გადაურცება მამალ თევზს, წარმოიშობიან თევზები. იმ თევზებს, რომელთაც დაიჭერენ მაშინ, როდესაც ისინი ზღვისკენ მისცურავენ, გამოაჩნდებათ ხოლმე თავის მარცხენა მხარე გადახეხილი, ხოლო რომელთაც უკან ცურვის დროს დაიჭერენ, მათ გადახეხილი მარჯვენა მხარეზე აქვთ ხოლმე. ისინი შემდეგი მიზეზის გამო არიან დაშავებული: როდესაც უკან მიცურავენ დაღმა ზღვისაკენ, მიწა მათ მარცხნივ რჩება, ხოლო როდესაც უკან მოსცურავენ, მაშინაც იმავე ნაპირას მოჰყვებიან, თანაც მას ეხლებიან ხოლმე. რადგან, რაც შეიძლება ახლოს არიან მასთან, რათა დინების გამო გზას არ აცდნენ. მას მერე, რაც ნილოსი იწყებს ადიდებას, მდინარისაგან გაჟონილი წყლით პირველად იფარება

დაბლობები და ჭაობები, რომლებიც მდინარის გასწვრივა და როგორც კი დაიფარება ესენი, მაშინვე პატარა თევზებით ივსება იქაურობა. მე ვფიქრობ, სწორედ მივხვდი, თუ საიდან წარმოიშვნენ ისინი: როდესაც წინა წელს კლებულობს ნილოსი, თევზები ყრიან ქვირითს შლამში და თვითონ უკანასკნელ წყალთან ერთად მიდიან ამ ადგილიდან. ხოლო როდესაც გაივლის დრო, წყალი ისევ ფარავს ამ ადგილს და ამ ქვირითიდან მაშინვე იჩეკებიან ეს თევზები. ეს ითქმის თევზების შესახებ.

94. ჭაობის ირგვლივ მცხოვრები ეგვიპტელები ზეთს ხდიან სილიკიპრიონის ნაყოფისაგან, რომელსაც ეგვიპტელები კიკის უწოდებენ. ზეთს ისინი ასე ხდიან: მდინარეთა და ტბების ნაპირზე ისინი თესენ ამ სილიკიპონს, რაც ელინებთან თავისთავად, ველურად იზრდება. ეგვიპტეში კი საგანგებოდ დათესილს ბევრი ნაყოფი მოაქვს, მაგრამ მეტად ცუდსუნია. როდესაც ეგვიპტელები აიღებენ ამის მოსავალს, ზოგი ნაყავს და წყრავს, მის ნაყოფს, ხოლო ზოგი აშრობს და ადუღებს და მისგან გამოდენილ წვენს აგროვებს. ეს ზეთი ცხიმოვანია და ზეთისხილის ზეთზე ნაკლებ გამოსაყენებელი არ არის სანათურებისათვის, ესაა მხოლოდ, რომ მძიმე სუნი აქვს.

95. კოლოებს, რომლებიც მათ ქვეყანაში აურაცხელია, ეგვიპტელები ასე ებრძვიან: ჭაობებს ზემოთ მცხოვრებლები იყენებენ კომკებს, სადაც ისინი ადიან და იძინებენ, რადგან კოლოებს ქარის გამო არ შეუძლიათ მაღლა ფრენა, ხოლო ისინი, ვინც ჭაობების ირგვლივ ცხოვრობენ, კომკების მაგივრად შემდეგ ხერხს მიმართავენ: ყოველ კაცს აქვს ბადე, რომლითაც დღისით თევზებს იჭერს, ხოლო ღამით მას ასე იყენებს: თავისი საწოლის ირგვლივ აყენებს ამ ბადეს, შემდეგ შემძვრება მის ქვეშ და ასე სზინავს. მას რომ დაეძინა შალის მოსასხამში ან ტილოს გადასაფარებელში გამოხვეულს, კოლოები ამაშიც დაკბენდნენ, ხოლო ბადეში კბენას ისინი არც კი ცდილობენ.

96. სატვირთო ხომალდებს ეგვიპტელები აკაციისაგან აკეთებენ, გარეგნული ფორმით ეს ხომალდები კირენეს ლოტოსის მსგავსნი არიან: ამ აკაციის ფისი არის კომი. ამ აკაციისაგან ჭრიან ფიცრებს, დაახლოებით ორი წყრთის სიგრძისას, აუგრებსავით აწყობენ ერთად და ხომალდებს აგებენ შემდეგვარად: ორი წყრთის სიგრძის ფიცრებს აჭედებენ ერთმანეთს ბევრი და გრძლი ხის ლურსმებით. როდესაც ამგვარად ააგებენ, მათ ზემოდან გარდიგარდმო გადაჭიმავენ კიდეც ფიცრებს, ხოლო შპანგოუტებს სულ არ ხმარობენ, შმაკავშირებელი ნაწილები კი შიგნიდან დაცობილია ჭილით. საჭე ერთია და ისიც ხომალდის ფსეკერშია გაყრილი. ანძას აკაციისას ხმარობენ, ხოლო აფრებს - ჭილისას. ამ ხომალდებს მდინარეზე აღმა ცურვა არ შეუძლიათ, თუ კი მაცოცხლებელი ქარი არ ქრის, ჩვეულებრივ ნაპირიდან მიათრევენ ხოლმე მათ, ხოლო დინების მიმართულებით, ქვემოთ ის ასე მიდის: არის თაფლინდისაგან გაკეთებულ მოგრძო ფიცარი, რომელიც გადაკრულია ლერწმის წნულით და არის გახვრეტილი ქვა, რომელიც დაახლოებით ორი ტალანტის წონისაა. ამათგან ფიცარს, რომელიც თოკზეა გამობული, ხომალდის წინ უშვებენ, ხოლო ქვას, სხვა თოკზე გამობმულს - უკან. ფიცარი წყლის დინების ძალით სწრაფად მოძრაობს და წინ ეწევა ბარისს (ესაა სახელოწოდება ამ ხომალდებისა), ხოლო ქვა, რომელიც უკან მოჰყვება, წყალშია ჩაძირული და სწორედ წარმართავს ხომალდს. ასეთი ხომალდები ეგვიპტელებს დიდი რაოდენობით აქვთ და ზოგიერთი მათგანი მრავალი ათასი ტალანტის წონა ტვირთს მიეზიდება.

97. როდესაც ნილოსი ადიდდება და ქვეყანას ფარავს, მის ზემოთ მხოლოდ ქალაქები მოჩანან და ძალიან ჰგავს ეს ადგილი შესახედავად ეგევის ზღვის კუნძულებს. მთელი ეგვიპტე ხომ ზღვად არის გადაქცეული და მხოლოდ ქალაქებია ამაღლებული ამ წყალზე. როდესაც ეს ხდება, ხომალდებით მოგზაურობენ არა დინების მიმართულებით, არამედ ზედ შუა დაბლობზე. მაგალითად, გზა მისთვის, ვინც ნავკრატისიდან მემფისში მიდის, ზედ პირამიდების გასწვრივ არის. სინამდვილეში ეს კი არაა გზა, არამედ ის, რომელიც მიემართება დელტის წვერისა და ქალაქ კერკასოროსის გაყოლებით¹. ხოლო თუ აპირებენ ზღვიდან და კანობოსიდან ნავკრატისისაკენ ცურვას, დაბლობს გადაივლი, ჩაუვლი ქალაქ ანთილასა და ეგრეთ წოდებულ არქანდროსის ქალაქს.

98. ამათგან ანთილა, რომელიც მნიშვნელოვანი ქალაქია, საკუთრივ ეძლევა ფეხსაცმელების ხარჯისათვის იმის ცოლს, ვინც ეგვიპტეზე მეფობს. ეს ამბავი ხდება მას მერე, რაც ეგვიპტე სპარსელებისაა. ხოლო მეორე ქალაქს, მე ვფიქრობ, სახელი ეწოდა დანაოსის სიმის მიხედვით, ეს იყო აქადოსის ძის ფთიოსის ძე, არქანდროსი. ქალაქს ხომ არქანდროსის ქალაქი ჰქვია. თუმცა შეიძლება სხვა ვინმე არქანდროსიც ყოფილიყო, მაგრამ სახელი, ყოველ შემთხვევაში ეგვიპტური არ არის.

99. რაც აქამდეა მოთხრობილი, ყოველი ჩემი თვალთ მაქვს ნანახი, ჩემი ცოდნისა და გამოკვლევის შედეგია, ხოლო ამიერიდან ვიწყებ ეგვიპტელთა ამბების გადმოცემას იმის მიხედვით, რაც მსმენია. თუმცა ამას დავუმატებ ზოგ რასმე ჩემი თვალთ ნანახსაც.

როგორც ქურუმები მოგვითხრობენ, ეგვიპტის პირველმა მეფემ, მინმა ჯებირები დადგა მემფისის დასაცავად, რადგან უწინ მდინარე ქვიშოვანი მთების გასწვრივ მიედინებოდა, ლიბიის მხრიდან, ხოლო მინმა ზემოთ, ასე ას სტადიონზე მემფისიდან, სამხრეთის მიმართულებით ნილოსის ტოტი დაშლამა და მისი ძველი კალაპოტი დააშრო, მდინარე იქით გადააგდო და მისი დინება მთების შუაში წარმართა. სპარსთა დიდი ზრუნვის საგანია ჯერაც ნილოსის ეს ტოტი, რომელიც ჯებირებით შემოზღუდული მიედინება და ყოველწლიურად ამაგრებენ მას. რადგან თუ მდინარემ გაანგრია ჯებირები და გამდმოვიდა ამ ადგილას, მთელ მემფისს წალეკვის საშიშროება მოელის. ამრიგად, იმ მინმა, რომელიც პირველი მეფე იყო, ჯებირების აგებით ხმელეთად აქცია ეს ადგილი და ამ ადგილას დააფუძნა ის ქალაქი, რომელსაც ახლა მემფისი ეწოდება (მემფისი ხომ ეგვიპტის ვიწრო ნაწილში მდებარეობს). მან ქალაქს გარედან, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან შემოავლო ტბა, რომელიც მდინარის წყლით ივსება (ხოლო თვით ნილოსი მას აღმოსავლეთის მხრიდან საზღვრავს). ამავე ქალაქში მან ჰეფადსტოსის სამლოცველო აღმართა, რომელიც დიდია და ღირსი მოხსენებისა.

100. ქურუმებმა წიგნის მიხედვით მინის შემდეგ 330 მეფის სახლი ჩამოთვალეს კიდევ. ადამიანთა ამ თაობათა შორის თვრამეტი ეთიოპელები იყვნენ. ერთი - ადგილობრივი ქალი იყო, ხოლო დანარჩენები - ეგვიპტელი მამაკაცები. სახელი იმ ქალისა, რომელიც მეფობდა, იგივე იყო, რაც ბაბილონის დედოფლისა - ნიტოკრისი. ამბობენ, რომ მან შური იძია თავისი ძმისათვის, რომელიც ეგვიპტის მეფე იყო და რომელიც ეგვიპტელებმა მოკლეს. ეგვიპტელებმა მოკლეს მეფე და ხელმწიფება გადასცეს ნიტოკრისს, ხოლო მან ამისათვის შური იძია და ეგვიპტელთაგან ბევრი მზაკვრულად ამოწყვიტა. მან გააკეთა ვრცელი მიწისქვეშა დარბაზი და თითქოს

ამისი აღნიშვნა უნდოდა, გუნებაში კი სულ სხვას იზრახავდა. დაუძახა ეგვიპტელთაგან მათ, ვისაც ყველაზე მეტად ადანაშაულებდა მკვლელობაში, ამ ხალხს წვეულება გაუმართა და როდესაც ისინი ღრეობდნენ, მიუშვა მათზე მდინარე, დიდი დაფარული არხის მეშვეობით. მის შესახებ ამას მოგვითხრობენ და ამას გარდა, კიდევ იმას, რომ როგორც კი ქალმა ეს ჩაიდინა, შევარდა ნაცრით სავსე ოთხში, რომ მასზე შური არ ეძიათ.

101. ქურუმებს არაფერი უთქვამთ სხვა მეფეთა საქმიანობის შესახებ, რომ რაიმე ყოფილიყო აღსანიშნავი, ან რომელიმე ყოფილიყო სახელგანთქმული, თქვეს მხოლოდ ერთი, უკანასკნელი მეფის, მოძრისის შესახებ. მან თავის მოსაგონრად დატოვა ჰეფადსტოსის ტაძრის კარიბჭე, რომელიც ჩრდილოეთის ქარისაკენ არის მიმართული და გაათხრევინა ტბა (თუ რამდენი სტადიონი იყო ის ირგვლივ, ამის შესახებ შემდეგ განვაცხადებ), ტბაზედვე ააგებინა პირამიდები, რომელთა სიდიდეს შევებები ტბის შესახებ ცნობების გადმოცემასთან ერთად. აი, ამან ამდენი რამ გააკეთა, ხოლო სხვა მეფეთაგან არავის არაფერი გაუკეთებია.

102. არ შევებები ამ მეფეებს და მოვიხსენებ მას, რომელიც მათ შემდეგ მეფობდა და რომელსაც სახელად ერქვა სესოსტრისი. ქურუმები მოგვითხრობენ, რომ ის პირველი გამოვიდა არაბიის უბიდან გრძელი ხომალდებით და დაიპყრო მეწამულ ზღვასთან მცხოვრები ხალხები; იგი მიცურავდა მანამ, ვიდრე არ მიაღწია ზღვას, რომელიც საცურაოდ აღარ ვარგოდა მისი კბოლოვანების გამო. ქურუმების გადმოცემის თანახმად, როდესაც დაბრუნდა ეგვიპტეში, წამოიყვანა დიდძალი ლაშქარი, გამოიარა ხმელეთით და დაიმორჩილა ყოველი ხალხი, რომელიც კი მას შეხვდა. იმ ხალხებს, ვინც მამაცი იყო და სასტიკად იცავდა თავის თავისუფლებას, აღუმართა სვეტები მათსავე ქვეყანაში წარწერებით, რომლებიც გადმოსცემდნენ მის სახელს, მისი სამშობლოს სახელს და რომ მათი დამორჩილება მოხდა სესოსტრისის ძალით. ხოლო იმ ქალაქებს, რომლებსაც უბრძოლველად და იოლად იპყრობდა, სვეტებზე უწერდა იმასვე, რასაც იმ ხალხებს, ვინც მამაცობა გამოიჩინა, მაგრამ ამასთანავე უხატავდა ქალის სარცხვინელს, რითაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ისინი მხდალები არიან.

103. მან ეს გააკეთა და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ ის უშორესი ადგილი, სანამდეც მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიე დაყენებული სვეტები, ხოლო ამათზე უფრო შორს კი აღარ არის. აქედან შემობრუნდა და უკან წავიდა. შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო. მე არ შემეძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამ ადგილას თვით მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლად, ან კიდევ იმისი, რომ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, გადაღლილი ხეტიალით, დარცა მდინარე ფასისთან.

104. მაგრამ ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი იმაზე უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასევე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები

შავგვრემნები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვეთას. ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითონაც ამბობენ, ეგვიპტელთაგან ისწავლეს, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოლონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მარკონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ, რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან. მხოლოდ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც წინადაცვეთას ახდენენ და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელების მსგავსად აკეთებენ ამას, ხოლო ეგვიპტელთა და ეთიოპიელთა შესახებ არ შემოიძლია ვთქვ, თუ რომელმა ისწავლა ამ ორს შორის მეორისაგან. რაღაც ძალიან ძველი ჩანს ორივეგან. ხოლო იმის დიდ საბუთად, რომ ხალხმა ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა მათთან შერევის საფუძველზე, მეჩვენება შემდეგი: ის ფინიკიელები, რომლებიც ელადასთან ურთიერთობაში არიან, აღარ ბამავენ ეგვიპტელებს იმ საქმეებში, რაც სარცხვინელს ეხება და შვილების წინადაცვეთას აღარ ეწვეიან.

105. კიდევ სხვა რამის თქმაც შემოიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი - ეგვიპტურს.

106. მეტი წილი სვეტებისა, რომლებიც დააყენა სხვადასხვა ქვეყანაში ეგვიპტის მეფემ, სესოტრისმა, აღარ ჩანს, ხოლო პალესტინის სირიეში ჩემი თვალით ვნახე ისინი, წარწერაც ისეთი ჰქონდა, როგორიც ვთქვი და ზედ ქალის სარცხვინელიც იყო გამოსახული.

იონიეშიც არის ორი გამოსახულება ამ კაცისა კლდეებში გამოკვეთილი, ერთი იმ გზაზე, რომელიც მიდის ეფესოდან ფოკეაში, ხოლო მეორე - სარდედან სმირნეში მიმავალ გზაზე. ორივეგან გამოკვეთილია მამაკაცი, სიდიდით ხუთი ორნახევარი წყრთა, მას მარჯვენა ხელში უპყრია შუბი, ხოლო მარცხენაში - მშვილდი და სხვა საჭურველიც ამის შესაბამისად აქვს: მისი საჭურველი ხომ როგორც ეგვიპტური, ასევე ეთიოპურია. მას ერთი მხარიდან მეორე მხარისაკენ მკერდზე აქვს ეგვიპტური წმინდა ასოებით ამოკვეთილი წარწერა, რომელიც შემდეგს გადმოგცემს: "მე ეს ქვეყანა ჩემი მხრებით მოვიპოვე". თუ ვინაა და საიდანაა ეს კაცი, აქ არაა ნათელი, ხოლო სხვაგან კი გარკვეულია. ამ გამოსახულების მნახველთაგან ზოგიეთი ფიქრობს, რომ ეს არის მემნონის გამოსახულება, მაგრამ ისინი ჭეშმარიტებას დიდად არიან აცდენილი.

107. ქურუმები ჰყვებოდნენ, ეს ეგვიპტელი სესოსტრისი რომ ბრუნდებოდა, თან მოჰყავდა მრავალი ხალხი იმ ტომთაგან, რომელთა ქვეყნების მან დაიპყრო, და შემდეგ როდესაც მოვიდა პელუსიონის დაფნეში, მისმა ძმამ, რომელსაც ჩააბარა სესოსტრისმა ეგვიპტე, მას წვეულება გაუმართა და მასთან ერთად მისი შვილებიც მიიწვია, სახლს გარედან შემა შემოუწყო და შემდეგ ცეცხლი წაუკიდა. სესოსტრისმა რომ შეიტყო ეს, მაშინვე დაეთათბირა ცოლს (ცოლიც ხომ თან ჰყავდა წაყვანილი), ცოლმა ურჩია მას, რომ მათი ექვსი შვილიდან ორნი ცეცხლზე გაწვენენ ხიდად, ხოლო თვითონ, დანარჩენებმა მათზე გადაიარონ და გადარჩნენ. სესოსტრისი ასე მოიქცა, მისი ორი შვილი ამნაირად დაიწვა, ხოლო დანარჩენები გადარჩნენ მამასთან ერთად.

108. როდესაც სესოტრისი ეგვიპტეში დაბრუნდა, მან დასაჯა თავისი ძმა, ხოლო იმ ხალხის მიმართ, რომელიც თან მოიყვანა და რომელთა ქვეყნებიც მან დაიპყრო, ამნაირად მოიქცა: ის უზარმაზარი ქვეები, რომლებიც მის მეფობაში იყო მოტანილი ჰეფაესტოსის სალოცავთან, ამ ხალხს მოაზიდვინა, ხოლო ის არხები, რომლებიც დღესაც არის ეგვიპტეში, ყველა ამათ გაათხრევინა იძულებით. ისე რომ ეგვიპტე, რომელიც უწინ მთლიანად ცხენებითა და ეტლებით სავალი ქვეყანა იყო, ახლა ამისათვის თვისდაუნებურად გამოუსადეგარი გახადეს. ამრიგად, თუცმა ეგვიპტე მთლიანად დაბლობია, მაგრამ ამ დროიდან ცხენითა და ეტლით სამოგზაუროდ ის სრულიად გამოყენებული გახდა. ხოლო ამისი მიზეზია მრავალრიცხოვანი და მრავალნაირი მიმართულების არხები. მეფემ ქვეყანა აი ამიტომ დაათხრევინა: ის ეგვიპტელები, ვისაც ქალაქები მდინარესთან კი არ ჰქონდათ, არამედ მისგან მოშორებით, მდინარეში წყლის დაკლების დროს წყლის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ და ხმარობდნენ ჭიდან ამოღებულ ძალიან მლაშე სასმელს; აი, ამიტომ იყო, რომ მეფემ ეგვიპტე დაათხრევინა.

109. ქურუმები ამბობდნენ, რომ ამ მეფემ ქვეყანა დაუყო ყველა ეგვიპტელს და თითოეულს თანაბარი ოთხკუთხოვანი ნაკვეთი მისცა, ხოლო ამ ნაკვეთიდან სახელმწიფო შემოსავალი დააწესა და განკარგულება გასცა, მოსახლეობას ყოველწლიურად ხარკი გადაეხადა, ხოლო თუკი მდინარე ვისიმე ნაკვეთს რასმე წაჰგლეჯდა, ის უნდა მისულიყო მეფესთან და შეეტყობინებინა, რაც მოხდა. მეფე კი გზანვიდა კაცებს, რომლებიც ათვალთვლებდნენ და ზომავდნენ, თუ რამდენით ნაკლები გახდა ნაკვეთი, რათა მომავლისათვის მაინც მიეღო დაწესებული ხარკი. მე ვფიქრობ, რომ აქედან არის წარმომდგარი გეომეტრია, შემდეგ შესული ელადაში. ხოლო რაც შეეხება მზის საათს, მზის მაჩვენებელსა და დღის 12 ნაწილს, ეს ბაბილონელთაგან ისწავლეს ელინებ.

110. ეს იყო ერთადერთი ეგვიპტელი ემფე, რომელიც განაგებდა ეთიოპიას. მან თავის სამახსოვროდ ჰეფაესტოსის სალოცავის წინ დატოვა ორი ქვის ქანდაკება, თითო 30 წყრთის ოდენა, თავისი და თავისი ცოლის გამოსახულებით, ხოლო თავისი 4 შვილისა - თითოეული 20 წყრთის სიმაღლის. დიდი ხნის შემდეგ ჰეფაესტოსის ქურუმმა დარიოს სპარსელს არ მისცა ნება ამით წინ დაედგა თავისი ქანდაკება და უთხრა, რომ მას არ გაუკეთებია ისეთი საქმეები, როგორც აქვს გაკეთებული სესოსტრის ეგვიპტელს. სესოსტრისმა არა ნაკლები ტომები დაიპყრო, ვიდრე დარიოსმა და კიდევ სკვითებიც, ხოლო დარიოსმა ვერ შეძლო სკვითების დაპყრობა. ამიტომაც არ იქნება სამართლიანი, რომ მისი გამოსახულება სესოსტრის ქანდაკებებზე წინ დაიდგას, რაკილა მასთან შედარებით უპირატეოსება არა აქვს თავისი საქმიანობით. ამბობენ, რომ დარიოსმა შეუნდო მას ეს ნათქვამი.

111. როდესაც სესოსტრისი გარდაიცვალა, ამბობენ, რომ სამეფო ხვდა მის შვილს, ფეროსს, რომელსაც სრულიად არ ულაშქრია და შემთხვევით იყო დაბრმავებული ასეთი ამბის გამო: ერთხელ მდინარე ძალიან ადიდდა, 18 წყრთამდე, ისე რომ ყანები წალეკა, თან ქარიც ამოვარდა და მდინარეზე ტალღები ააგორა. ამბობენ, რომ ამ მეფემ, გაგიჟებულმა, სტაცა ხელი შუბს და სტყორცნა მდინარის მორევის შუაგულში, ხოლო შემდეგ, მალე დაუვავადა თვალები და დაბრმავდა. ათი წელი იყო ბრმა, ხოლო მეთერთმეტე წელს მოევლინა მას მისნობა ქალაქ ბუტონდა, რომ გავიდა მისი

სასჯელის დრო და თვალეზი აეხილება, თუკი თვალეზს დაიბანს იმ ქალის შარდით, რომელიც მხოლოდ თავის ქმართან ცხოვრობს და სხვა კაცებისა არაფერი იცის. მან პირველად თავისი საკუთარი ცოლი გამოცადა და შემდეგ თვალთ რომ არ აეხილა, შეკრიბა მის მიერ გამოცდილი ყველა ქალი (გარდა იმ ერთისა, რომლის შარდით დაბანილსაც აეხილა თვალეზი), შეკრიბა ერთ ქალქში, რომელსაც ახლა ეწოდება წითელი გორიხი, ყველანი იქ დაატყვევა და დასწვა ისინი თვით ქალაქთან ერთად. ხოლო ის ქალი, რომელიც შარდითაც აეხილა თვალეზი, მან ცოლად შეირთო. თვალეზის სატიკვარს რაკილა გადაურცა, ბევრი შესაწირავი გაუგზავნა სხვადასხვა სახელგანთქმულ სალოცავებს; განსაკუთრებული მოხსენების ღირსია შესანიშნავი საგნები, რაც შესწირა ჰელიოსის სალოცავს, სახელდობრ, რომი ქვის ობელისკი, თითოეული მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი, სიმაღლით 100 წყრთა, ხოლო სიგანით - 8 წყრთა.

112. ამბობენ, რომ ფეროსის შემდეგ სამეფო ტახტი მიიღო მემფისელმა კაცმა, რომელსაც ელინთა ენაზე სახელად ჰქვია პროტევსი. აქამდე მემფისში მისი ჭალა, ძალიან ლამაზი და კარგად მოვლილი, ჰეფადსტოსის სალოცავის სამხრეთით მდებარე. ამ ჭალის ირგვლივ ცხოვრობენ ტიროსელი ფინიკიელები და თვით ეს ადგილიც მთლიანად ტიროსელთა სადგომად იწოდებოდა. პროტევსის ჭალაში არის სალოცავი, რომელსაც უცხო აფროდიტეს სალოცავი ეწოდება. მე კი მგონია, რომ ეს სალოცავი ტინდარევსის ასულის, ელენესი არის. იმიტომ მგონია, რომ მოვისმინე ამბავი, ელენე პროტევსთან ცხოვრობდაო და უფრო კი იმიტომ, რომ უცხო აფროდიტეს სახელზეა სალოცავი: აფროდიტეს სახელობის არც ერთ სალოცავს ზედწოდებად "უცხო" არა აქვს.

113. მე რომ შევეკითხე, ქურუმებმა შემდეგი მიაძხეს ელენეს თავს გადამხდარი ამბების შესახებ: ალექსანდრემ მოიტაცა ელენე სპარტიდან და გაცურა თავის სამშობლოსაკენ. როდესაც ის ეგევის ზღვაში იმყოფებოდა, საპირისპირო ქარებმა გადაისროლეს ეგვიპტის ზღვაში, ხოლო აქედან (რაკილა ქარი არ ჩადგა), ის მიადგა ეგვიპტეს, სახელდობრ ეგვიპტეში ახლა კანობოსისად წოდებულ ნილოსის შესართავს და ტარიქედას, ამ ადგილას ნაპირზე იდგა და ახლაც არის ჰერაკლეს სალოცავი; თუკი მსახური (ვისიც არ უნდა იყოს ის) გაიქცევა, შეაფარებს თავს ამ სალოცავს, დაისვამს წმინდა დაღს და ამით თავისთვის ღმერთს განუკუთვნებს, მერე მისი ხელის ხლება აღარ შეიძლება. ამ კანონს თანაბრად იცავენ დასაბამიდან, ვიდრე ჩემს დრომდე. როდესაც ალექსანდრეს მსახურებმა შეიტყვეს, რომ ამ სალოცავს ასეთი კანონი ჰქონდა, მიატოვეს ალექსანდრე, დასხდნენ ღმერთის მავედრებლად და შეასმენდნენ ალექსანდრეს, რადგან მისთვის ვნება უნდოდათ. ამასთანვე ყვებოდნენ ყოველივეს, რაც კი ჩაიდინა მან ელენეს მიმართ და რა უსამართლობა მიაყენა მენელაოსს. ყოველივე ამაში ადანაშაულებდნენ მსახურები ალექსანდრეს ქურუმებისა და ნილოსის ამ შესართავის მცველის წინაშე, რომელსაც სახელად ერქვა თონისი.

114. ამ ამბის მოსმენისთანავე თონისმა სასწრაფოდ გაგზავნა მემფისში პროტევსთან მოციქულები და შეუთვალა შემდეგი: "მოვიდა უცხოელი, წარმოშობით ტევკრი, რომელმაც ელადაში უწმინდური საქმეები ჩაიდინა, მან თვისი საკუთარი მასპინძლის ცოლი მოატყუა, იგი თან წაიყვანა და დიდძალი ქონებაც წაიღო, მაგრამ ქარებმა ის შენს ქვეყანაში შემოაგდეს. როგორ მოვიქცეთ, გავუშვათ ის, უვნებლად

წავიდეს, თუ წავართვათ ყველაფერი, რაც აქვს და რითაც მოვიდა?" ამის საპასუხოდ პროტევსმა შემდეგი შემოთვალა: "ეს კაცი, რომელმაც ასეთი უწმინდური საქმეები ჩაიდინა თავის მასპინძლის მიმართ, შეიპყართ და მე მომგვართ, რათა შევიტყო რას იტყვის".

115. ეს რომ მოისმინა თონისმა, შეიპყრო ალექსანდრე და დაიჭირა მისი ხომალდები, შემდეგ წაიყვანა ის მემფისში, მასთან ერთად წაიყვანა ელენეც, წაიღო მთელი ქონება და ამას გარდა მავედრებლებიც თან გაიყოლა, როდესაც მათ მიაღწიეს მემფისს, პროტევსი შეეკითხა ალექსანდრეს, თუ ვინ არის და საიდან მოცურავს. ალექსანდრემ ჩამოუთვალა მას თავისი წინაპრები, უთხრა თავისი სამშობლოს სახელი და მოუთხრო, თუ საიდან მოდის. ამის შემდეგ შეეკითხა პროტევსი, საიდან წამოიყვანა მან ელენე. რაკილა ალექსანდრე მერყეობდა გადმოცემისას და სიმართლეს არ ამბობდა, იქ მყოფმა მავედრებლებმა ამხილეს ის და მოჰყვენ მის უსამართლობის მთელ ამბავს. დასასრულს პროტევსმა საპასუხოდ შემდეგი თქვა: "მე რომ ჩემთვის სავალდებულოდ არ მიმაჩნდეს ის, რომ არ უნდა მოვკლა არც ერთი უცხოელი, რომელთაც ქარები შემოაგდებენ ჩემს ქვეყანაში, გაზღვევინებდი ელენეს გამო, კაცთა შორის უბოროტესო, შენ რომელმაც მასპინძლის მიმართ უწმინდური საქმე ჩაიდინე; საკუთარი მასპინძლის ცოლთან მიხვედი, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა შენთვის საკმარისი, შენ ის აცდუნე და ჩუმიად თან წამოიყვანე. ამასაც არ დასჯერდი: შენი მასპინძლის სახლი გაძარცვე და ისე მოხვედი. ახლა მე, რადგან საერთოდ დავიწყეს, რომ უცხოელი არ უნდა მოვკლა, ამ ქალსა და ქონებას თან არ გაგატან, არამედ შევუნახავ შენს მასპინძელს, ელინს, იმ დრომდე, ვიდრე ის თვითონ არ მოვა და არ მოისურვებს მის წაყვანას. ხოლო შენ და შენდ თანამგზავრებს გიბრძანებთ, რომ სამი დღის განმავლობაში ჩემი ქვეყნიდან სხვაგან სადმე წახვიდეთ, თუ არა და ისე მოგექცევით, როგორც მტრებს".

116. ამნაირად მოხვდა ელენე პროტევსთან, როგორც ამბობენ ქურუმები. მე ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ჰომეროსმა იცოდა, მაგრამ ის არ იყო ისე შესაფერისი მისი პოემისათვის, როგორც მეორე, რომლითაც მან ისარგებლა, ამიტომ ეს განზე დატოვა, მაგრამ მაინც გვანიშნა, რომ ეს ამბავიც იცოდა. ცხადია, ეს "ილიადას" იმ ადგილიდან, სადაც აგვიწერს ალექსანდრეს ხეტიალს (სხვაგან არსად ეწინააღმდეგება იგი თავისთავს); იგი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე, რომელსაც მოჰყავდა ელენე, ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში შეეხეტა და მათ შორის მივიდა ფინიკიის სიდონშიც. ამას ჰომეროსი იხსენიებს "დიომედეს ვაჟკაცობაში", იგი ამბობს შემდეგ სიტყვებს: "იქ ეწყო მას ფერად-ფერადი ტანსაცმელი, სიდონელი ქალების ნახელავი; ეს ქალები თვით ღვთის მსგავსმა ალექსანდრემ მოიყვანა სიდონიდან, როდესაც გადასცურა ფართო ზღვა, იმ გზით, რომლითაც წამოიყვანა კეთილშობილი ელენე".

იხსენიება ეს ამბავი "ოდისეაშიც", შემდეგ ტაეპებში:

"ზევის ამ ასულს ჰქონდა ბრძნული, კარგი წამლები, რომლებიც მისცა მას ეგვიპტელმა პოლიდამნამ, თონის მეუღლემ, ნაყოფიერ მიწაზე იქ ბევრი ბალახი მოდის, მრავალი მათგანი სასარგებლოა, ხოლო ბევრი დამღუპველი".

ხოლო სხვაგან მენელეოსი ტელემაქოსს ეუბნება: "მე ძალიან მიწოდდა წამოსვლა, მაგრამ ღმერთები კიდევ მიჭერდნენ ეგვიპტეში, რადგან მე მათ არ შევწირე რჩეული ჰეკატომბე".

ამ ტაეპების მიხედვით ცხადია, რომ პოეტმა იცოდა ალექსანდრეს მოგზაურობა ეგვიპტეში, რადგან სირიე ეგვიპტის მეზობლადაა, ხოლო ფინიკიელები, რომელთაც ეკუთვნის სიდონი, სირიეში ცხოვრობენ.

117. ამ ლექსების და ამ ადგილების მიხედვით სრულიად ცხადია ისიც, რომ "კიპრიები" ჰომეროსის პოემა კი არ არის, არამედ ვიღაც სხვა პოეტისა, რადგან "კიპრიებში" ნათქვამია, რომ ალექსანდრემ ელენე რომ წამოიყვანა სპარტიდან, ისარგებლა ზურგქართ და წყნარი ზღვით და ილიონში მივიდა მესამე დღესაო, ხოლო "ილიადაში" ნათქვამია: ელენე რომ წამოიყვანა ალექსანდრემ, ბევრი იხეტიალაო. მაგრამ გვეყოფა ჰომეროსისა და "კიპრიების" შესახებ.

118. როდესაც შევეკითხე ქურუმებს, ელინები ილიონთან მომხდარი ამბების შესახებ ტყუილს ლაპარაკობენ თუ არა მეთქი, იმათ მიპასუხეს ამაზე და მიაბნეს ის, რაც იცოდნენ თვით მენელეოსისაგან მოყოლილი: ელენეს მოტაცების შემდეგ ტევკრისის ქვეყანაში მენელეოსის დასახმარებლად მოვიდა ელინთა დიდი ლაშქარი, რომელიც გადმოვიდა ხმელეთზე და დაბანაკდა. ლაშქარმა გაგზავნა მოციქულები ილიონში და ამ მოციქულებთან ერთად წვიდა თვით მენელეოსიც. როდესაც შევიდნენ ესენი ციხე-სიმაგრეში, მოითხოვეს ელენეც და ის ქონებაც, რომელიც მოიპარა ალექსანდრემ, ამასთანავე სამართალს მოითხოვდნენ მიყენებული უსამართლობისათვის. ტევკრები ერთსა და იმავეს ამბობდნენ მაშინაც და შემდეგაც, ფიცითაც და უფიცოდაც, რომ მათ არ ჰყავდათ არც ელენე და არა აქვთ არც მათ მიერ მითვისებულად გამოცხადებული ქონება, რომ ყოველივე ეს არის ეგვიპტეში და არაა სამართლიანი მათ მოსთხოვონ პასუხი იმისათვის, რაც აქვს პროტევსს, ეგვიპტელ მეფეს. ელინები კი ფიქრობდნენ, რომ მათ დასცინიან და იმ დრომდე ჰქონდათ ქალაქიშათვის ალყა შემორტყმული, ვიდრე ის არ აიღეს. ხოლო როდესაც აიღეს ციხე-სიმაგრე, ელენე არ აღმოჩნდა იქ და იგივე ამბავი მოისმინეს, რაც პირველად, ისე რომ, ელინებმა დაიჯერეს ის პირველი ამბავი და თვით მენელეოსი გაგზავნეს პროტევსთან.

119. მენელეოსი რომ მივიდა ეგვიპტეში, მდინარეს აჰყვა მემფისისაკენ, მოუთხრო იქ ჭეშმარიტად ყოველივე, მასპინძლები მას ძალიან კარგად შეხვდნენ, ელენე უვნებლად დაუბრუნეს და ამის გარდა მთელი მისი ქონებაც. მაგრამ ეს რომ მიიღო, მენელეოსი უსამართლოდ მოიქცა ეგვიპტელთა მიმართ, რომ მოინდომა გაეცურა, პირქარმა მას ამის საშუალება არ მისცა, როდესაც ეს დიდხანს გაგრძელდა, მან ასეთი უპატიოსნო საქციელი ჩაიდინა: მან ადგილობრივ მცხოვრებთა ორი ბავშვი დაიჭირა და მსხვერპლად შესწირა. შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მან ეს ჩაიდინა, იგი, შემულეებული და დევნილი, გაიქცა თავის ხომალდებით პირდაპირ ლიბიეში. იქიდან საით გაემართა, ამის თქმა აღარ შეეძლოთ ეგვიპტელებს. ქურუმებმა თქვეს, რომ ზოგი რამ იციან გამოკითხვის საშუალებით, ზოგიც კიდევ მათთან მოხდა და ამიტომ ძალიან ზუსტად იციან.

120. ეს მითხრეს ეგვიპტელთა ქურუმებმა. მე კი ჩემის მხრივ ელენეს შესახებ მოთხრობილი ამბავს შემდეგი შემიძლია დავუმატო: ელენე რომ ილიონში ყოფილიყო, მას დაუბრუნდნენ ელინებს ალექსანდრეს ნებით თუ უნებურად. რადგან არც ისე გიჟი იყო პრიამოსი, ანდა სხვა მისი მხლებელი ხალხი, რომ თავისი საკუთარი სიცოცხლის, შვილებისა და ქალაქის საფრთხეში ჩაგდება მოენდომებინათ, ოღონდ კი ალექსანდრეს ელენესთან ეცხოვრა. თუ კი პირველ ხანებში ისინი ამ

აზრისა იყვნენ, მას მერე რაც ბევრი ტროელი გაიჟლიტა ელინებთან ბრძოლაში, ხოლო თვითონ პრიამოსს თითოეულ ბრძოლაში ორი, სამი ან კიდევ უფრო მეტი შვილი უკვდებოდა (თუ კი შეიძლება რაიმეს თქმა პოეტებზე დაყრდნობით), მას მერე, რაც ასეთი საშინელება დატრიალდა, მე ვფიქრობ, რომ თვითონ პრიამოსსაც რომ ეცხოვრა ელენესთან, დაუბრუნებდა მას აქაღლებს, იმის იმედით, რომ ამით თავს დამტყდარი უბედურებებისაგან გათავისუფლდებოდა. ამას გარდა, არც სამეფო ხელისუფლება გადადიოდა ალექსანდრეზე; ხოლო რაკილა პრიამოსი მოხუცებული იყო, სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა მას კი არ ევალდებოდა, არამედ ჰექტორს, რომელიც შვილებში უფროსი და ალექსანდრეზე უკეთესი ვაჟკაცი იყო, და პრიამოსი რომ მოკვდებოდა, მას უნდა მიეღო ხელისუფლება. მას, ცხადია, არ შეშვენოდა უსამართლობის ჩამდენი ძმისათვის ხელის დაფარება, მით უმეტეს, რომ მისი მიზეზით დიდი უბედურება დაატყდებოდათ თვითონ მასაც და ყველა დანარჩენ ტროლებსაც. მათ მართლაც არ ჰყავდათ ელენე, რომ მიეცათ, მართლაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ელინებს მაინც არ სჯეროდათ. ჩემი აზრით, ეს ყოველივე ღვთის განგებით მოხდა, რათა ტროელთა საყოველთაო დაღუპვას ნათელეყო ხალხისათვის, რომ დიდი უსამართლობისათვის ღმერთები სასჯელსაც დიდს აწესებდნენ. მე ასე მეგონა და ასეც ვამბობ.

121. ქურუმები ამბობდნენ, რომ პროტევის შემდეგ სამეფო ხელისუფლება მიიღო რამფსინიტოსმა, რომელმაც თავის სამახსოვროდ დასტოვა ჰეფეამსტოსის სალოცავის სტოა, მიმართული დასავლეთისაკენ, სტოის პირდაპირ დადგა ორი ქნდაკება, თითოეული 25 წყრთის სიმაღლის. მათგან ერთს, რომელიც ჩრდილოეთისაკენ დგას, ეგვიპტელები უწოდებენ ზაფხულს, ხოლო მეორეს, რომელიც სამხრეთისაკენ არის - ზამთარს. იმ ქანდაკებას, რომელსაც ზაფხულს უწოდებენ, თევანსაც სცემენ და კარგადაც ექცევიან, ხოლო რომელსაც ზამთარს უწოდებენ, მას ამის საწინააღმდეგოდ ეპყრობიან. ამ მეფეს ვერცხლის სახით დიდი სიმდიდრე ჰქონდა, და შემდეგი დროის არც ერთი მეფე სიმდიდრის მხრივ არ აღემატებოდა, ახლოსაც კი ვერ მივიდოდა მასთან. მას უნდოდა, რომ თავისი ფულები უშიშარ ადგილას ჰქონოდა დაცული, ამიტომ ააშენებინა ქვის ნაგებობა, რომლის კედლთაგან ერთი მისი სასახლის გარეთა ნაწილს ეკვროდა. ხოლო მის მშენებელს ბოროტი განზრახვა ჰქონდა და შემდეგი იეშმაკა: ისე გააკეთა, რომ ერთ ქვას კედლიდან ადვილად გამოიღებდა ორი კაცი, ანდა თუნდაც ერთი. როდესაც შენობა დასრულდა, მეფემ მასში თავისი ფულები მოათავსა; ხანი, რომ გავიდა, ხუროთმოძღვარმა სიკვდილის წინ დაუძახა თავის შვილებს (ორი ჰყავდა) და უამბო მათ, თუ მათზე ზრუნვაში რა ეშმაკობა იხმარა, როდესაც მეფის საგანურს აგებდა და ეს სულ იმისათვის, რომ მათ მდიდრულად ეცხოვრათ. ამასთნავე გარკვევით აუხსნა, როგორ უნდა ამოეღო ქვა, მისცა მისი ზომები და უთხრა, თუ ამას დაიმახსოვრებენ, მეფის ქონების ხაზინადარები ესენი იქნებიან. ხუროთმოძღვარი რომ გარდაიცვალა, მისმა შვილებმა დიდად არ დააყოვნეს და საქმეს შეუდგნენ, წავიდნენ ღამით სასახლეში, იპოვეს ნაგებობაში ქვა, ადვილად გამოიღეს და დიდძალი ფული გამოიტანეს. მოხდა ისე, რომ მეფემ გააღო შენობა და ძალიან განცვიფრდა, როდესაც დაინახა, რომ ჭურჭელში ფულს მოუკლია, მაგრამ არც კი შეეძლო ვინმეს დადანაშაულება, რადგან კარებზე ტვიფრები მთელი იყო, ხოლო შენობა დაკეტილი. როდესაც მან მეორედ და მესამედ გააღო ოთახი და ქონება სულ უფრო და უფრო ნაკლები ეჩვენებოდა (რადგან ქურდები ხელს არ იღებდნენ მარცვაზე), იგი ასე მოიქცა: უბრძანა, გაეკეთებინათ ხაფანგები და დაეგოთ ისინი იმ ჭურჭლების

ირგვლივ, რომლებშიც ფულები ინახებოდა, დრო რომ გავიდა, ქურდები კიდევ მოვიდნენ უწინდებურად, ერთი მათგანი შევიდა კიდევ ოთახში და როგორც კი მიუახლოვდა ჭურჭელს, მაშინვე გება ხაფანგში. როგორც კი მიხვდა თუ რა უბედურება არის მის თავს, მაშინვე დაუძახა ძმას, განუმარტა, რაც მოხდა და უბრძანა - სასწრაფოდ შემოსულიყო ისიც ოთახში და მოეჭრა მისთვის თავი, რათა რომ დაინახავდნენ, არ ეცნოთ ის, თუ ვინ არის და ამით მასთან ერთად არ დაღუპულიყო მეორე ძმაც. ამანაც იფიქრა, რომ ძმა კარგად ლაპარაკობს, დაუჯერა და გააკეთა ისე, როგორც მან უთხრა. მოარგო ქვა, გაეშურა სახლისაკენ და ძმის მოჭრილი თავი თან წაიღო.

დღე რომ დადგა, შევიდა მეფე ამ შენობაში და გაოცებული დარჩა, რომ დაინახა ხაფანგში ქურდის უთავო სხეული, თვით ოთახი ხელუხლებელი, თან არც შესასვლელი ჩანდა არავითარი და არც გამოსასვლელი. საგონებელში ჩავარდნილმა მან შემდეგი გააკეთა: ქურდის გვამი გალავანზე ჩამოაკიდებინა მასთან დააყენა დარაჯები, რომელთაც მისცა განკარგულება, რომ შეეპყროთ და მასთან მიეყვანათ ყველა, ვისაც დაინახავდნენ მტირალს ან თანამგრძნობელს. გვამი რომ ჩამოჰკიდეს, დედა საშინლად განიცდიდა, ელაპარაკა კიდევაც ამის შესახებ გადარჩენილ შვილს და უბრძანა მას, რა გზითაც უნდოდა, მოეხერებინა, ძმის გვამი ჩამოეხსნა და მისთვის მიეტანა. ხოლო, თუ ის ამისათვის არ იზრუნებდა, დედა ემუქრებოდა მას, რომ წავიდოდა მეფესთან და განუცხადებდა, რომ მის შვილს აქვს მისგან მოპარული ფულები.

დედამ მაგრამ შეუტია თავის გადარჩენილ შვილს, ვაჟი ბევრს არწმუნებდა მას, მაგრამ მაინც ვერ დააჯერა და ბოლოს ასეთი რამ გამოიგონა: შეკაზმა ვირები, დატვირთა ისინი ღვინით სავსე ტიკებით და გარეკა. როდესაც მიუახლოვდა დარაჯებს და ჩამოკიდებულ გვამს, გამოსწია ორს თუ სამ ტიკს დაკიდებული თასმები და გახსნა. ღვინო რომ წამოვიდა, მან თავში წაიშინა ხელები და დიდი ხმით დაიწყო ყვირილი, თითქოს არ იცოდა, პირველს რომელ ვირს მივარდნოდა. დარაჯებმა რომ დაინახეს ასე უხვად დაღვრილი ღვინო, გამოიქცნენ გზაზე ხელში ჭურჭლებით და ავსებდნენ ამ ჭურჭლებს დაღვრილი ღვინით, რაც თავის წილად მიიჩნიეს. იგი საშინლად ლანძღავდა ყველას და ისე იქცეოდა, თითქოს ძალიან ბრაზობს; როდესაც დარაჯებმა მას დამშვიდება დაუწყეს, მან თავი მოაჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს მოლბა და მრისხანებამ გაუარა, საბოლოოდ კი გარეკა ვირები გზიდან და ისევ დატვირთა. დაჯარები კიდევ უფრო მეტს ელაპარაკებოდნენ მას, ერთი მათგანი კი ეხუმრებოდა და კიდევაც გააცინა, ამანაც აიღო და ერთი ტიკი მისცა მათ. დარაჯები სადაც იყვნენ, იქვე დასხდნენ და დაიწყეს სმა, ისიც მიიპატიჟეს და უთხრეს, რომ მათთან დარჩენილიყო და დაეღია. მანაც დაუჯერა და დარჩა. რაკილა დარაჯები სმის დროს მას მეგობრულად ექცეოდნენ, მან იმათ მეორე ტიკიც აჩუქა. დარაჯებმა ძალიან ბევრი დალიეს, დათვრნენ და სადაც სვამდნენ, იქვე მაგრად დაეძინათ. გვიან ღამით მან ჩამოხსნა ძმის გვამი, ხოლო დარაჯებს, შეურაცხყოფის ნიშნად ყველას მოპარსა მარჯვენა ლოყა.

დადო გვამი ვირებზე და გაეშურა სახლისაკენ. ასე შეუსრულა დედას მოთხოვნა. მეფე საშინლად განრისხდა, როდესაც უთხრეს, რომ ქურდის გვამი მოიპარესო. მას უნდოდა რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, აღმოეჩინა დამნაშავე და შემდეგ ხერხს მიმართა, თუმცა კი მე ეს არ მჯერა: თავისი ასული გაგზავნა საროსკიპოში და

უბრძანა, განურჩევლად ყველა მამაკაცი მიეღო, მხოლოდ ვიდრე მასთან დაწვებოდა კაცი, მას უნდა აეძულებინა იგი, ეთქვა მისთვის, რაც გაუკეთებია თავის ცხოვრებაში, ყველაზე უფრო ეშმაკური და უწმინდური. ვინც კი მოუყვებოდა მას ქურდის თავს გადამხდარ ამბავს, ის უნდა დაეჭირა ქალს და გარეთ არ გაესვა. ასულმა გააკეთა ის, რც მოსთხოვა მამამ, მაგრამ ქურდმა შეიტყო, რისთვისაც კეთდებოდა ყოველივე ეს და მოინდომა მეფისთვის ეჯობნა ეშმაკობაში, ამიტომ ასე მოიქცა: ახალ მკვდარს მოჰკვეთა მთელი მკლავი მხარში, დაიჭირა ის მოსასხამის ქვეშ, წავიდა და შევიდა მეფის ასულთან, როდესაც მას შეეკითხნენ ისევე, როგორც სხვებს, მან უამბო, როგორც მის მიერ ჩადენილი ყველაზე უწმინდური საქციელი ის, როდესაც მან მეფის საგანძურში ხაფანგში გაბმულ ძმას თავი მოჰკვეთა, ხოლო ყველაზე უფრო ეშმაკურად გამოაცხადა ის საქციელი, როდესაც მან დაათრო დარაჯები და ჩამოხსნა ძმის დაკიდებული გვამი. ქალმა რომ გაიგონა, ჩაეჭიდა მას, ხოლო ქურდმა სიბნელეში მას მკვრის ხელი გაუწოდა. ქალი ამ ხელს მოეჭიდა, ეგონა, რომ ამ ქურდის ხელი ეჭირა, ხოლო ქურდმა შეატოვა მას ხელი, კარავში გავარდა და გაიქცა. როდესაც მეფეს მოუტანეს ეს ამბავი, იგი განაცვიფრა ამ კაცის მოხერხებულობამ და სითამამემ და ბოლოს დაგზავნა კაცები ყველა ქალაქში და გამოაცხადა, რომ შეწყნარების პირობას აძლევს და დიდ საჩუქრებს პირდება ამ კაცს, თუ კი ის მის წინაშე წარსდგება. ქურდი ენდო მეფეს და მოვიდა მასთან. რამფსინიტოსი დიდად იყო მისით აღტაცებული და მას, როგორც ყველაზე ჭკვიან ადამიანს, მისცა თავისი ასული ცოლად. მას ხომ ეგვიპტელები ყველა სხვა ხალხზე უკეთესად მიაჩნდა. ეგვიპტელებში კიდევ ეს კაცი ჩაითვალა ყველაზე უკეთესად.

122. ამის შემდეგი იყო, მიაშობდნენ ქურუმები, რომ მეფე ცოცხლივ ჩავიდა ქვემოთ, იმ ადგილას, რომელსაც ელინები ჰადესს უქოდებდნენ. აქ ის კამათელს ეთამაშებოდა დემეტრეს, რომელთანაც ხან იგებდა და ხან აგებდა. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა დედამიწაზე და მისგან მიიღო საჩუქრად ოქროს ხელსახოცი. ამბობენ, რომ რამსინიტოსის ჰადესში ჩასვლის აღსანიშნავად (რადგან ის უკან დაბრუნდა) ეგვიპტელებმა დღესასწაული შემოიღეს, და რამდენადაც მე ვიცი, მას ჩემს დრომდისაც ასრულებენ, თუმცა არ შემიძლია ვქთავა, ამის გამოა, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო ეს დღესასწაული შემოღებული. ქურუმები დღესასწაულის დღეს ქსოვენ მოსასხამს, შემდეგ ერთს ქურუმთაგანს თვალეებს აუკრავენ ასახვევით, ჩააცმევენ მას მოსასხამს და მიჰყავთ იმ გზაზე, რომელიც მიდის დემეტრეს სალოცავისაკენ, თვითონ კი უკან ბრუნდებიან. ამბობენ, რომ ეს თვალეხახვეული ქურუმი მიჰყავს ორ მგელს დემეტრეს სალოცავისკენ, რომელიც ქალაქს 20 სტადინით არის დაშორებული და შემდეგ სალოცავიდან უკან ისევ ამ მგლებს მოჰყავთ იმავე ადგილას.

123. ეგვიპტელთა მონათხრობი გამოიყენოს იმან, ვისთვისაც ასეთი რამეები სარწმუნოა. მე მთელს ჩემს მოთხრობას საფუძლვად ვუდებ იმას, რაც მომისმენია სხვადასხვა ხალხისაგან და იმას ვწერ. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მიწისქვეშეთს მთავრობენ დემეტრე და დიონისე. ეგვიპტელებმა პირველებმა გამოთქვეს ის აზრი, რომ ადამიანის სული უკვდავია და მას მერე, რაც სხეული იღუპება, სული შედის სხვა ცხოველში, რომელიც იმ წუთს იბადება. როდესაც სული დაივლის ყელა ცხოველს ხმელეთისას, ზღვისას და ფრინველებს ზეცისას, კვლავ შედის ადამიანის სხეულში, რომელიც იბადება. ამ შემობრუნებას სჭირდება სამი ათასი წელიწადი. ეს

მოდღვრება გამოიყენა ზოგიერთმა ელინმა, როგორც თავისი საკუთარი, ზოგმა ადრე, ზოგმა უფრო გვიან, მე კი ვიცი მათი სახელები, მაგრამ არ ვწერ.

124. ქურუმები ამბობდნენ, რომ მეფე რამფსინიტოსამდე ეგვიპტეში სრული კანონიერება იყო და ყველაფერი უხვად მოიპოვებოდა, მაგრამ მის შემდეგ მათზე მეფობდა ქეოფსი, რომელმაც ქვეყანა მრვალგვარ უბედურებაში ჩააგდო. უპირველესად ყოვლისა მან დააკეტინა ყველა სალოცავი და აუკრძალა ეგვიპტელებს მსხვერპლშეწირვა; შემდეგ უბრძანა ყვეალ ეგვიპტელს მისთვის ემუშავა. მათ ქვები ქვის სამტეხლოდან, რომელიც არაბის მთებშია, ნილოსამდე უნდა მიეზიდათ. მდინარეზე რომ გადაიტანდნენ ქვებს ხომალდებით, მისი განკარგულებით იქ სხვები ღებულობდნენ მათ და ეზიდებოდნენ ლიბიურად წოდებულ მთისაკენ. 100 000 კაცი მუშაობდა და გამუდმებით ყოველ სამ თვეში. 10 წელიწადი იმუშავა ხალხმა იმ გზის გაკეთებაზე, რომელზედაც ეზიდებოდნენ ქვებს და მე მეჩვენება, რომ ეს საქმე ბევრით უფრო იოლი არ არის თვით პირამიდების აგებაზე (რადგან გზის სიგრძე არის ხუთასი სტადიონი, სიგანე - ათი ორგია, სიმაღლე, მის ყველაზე უფრო მაღალ ნაწილში - 8 ორგია, ის არის თლილი ქვით დაგებული და ზედ გამოსახულებებია ამოკვეთილი); 10 წელიწადს მოუნდნენ ამ გზისა და მიწისქვეშა ნაგებობების კეთებას, რომლებიც არის იმ ბორცვთან, რომელზედაც პირამიდები დადგეს. ეს განსასვენებელი მან თავისთვის გაიკეთა იმ კუნძულზე, რაც წარმოიქმნა იმით, რომ ნილოსიდან არხი გამოიყვან, ხოლო პირამიდის კეთებას ოცი წელი მოუნდა. თითოეული გვერდი ამ ოთხკუთხედისა არის 8 პლეთორის სიგრძისა და იამვე სიმაღლის. გაკეთებულია ის საგანგებოდ გაკრიალებული და ერთმანეთთან შეხამებული ქვებისაგან. არც ერთი ქვა არ არის 30 ფუტზე ნაკლები.

125. ხოლო ეს პირამიდა ამგარად არის გაკეთებული: აკეთებდნენ საფეხურებად, რომელსაც ზოგიერთები კბილანებს უწოდებენ, სხვები კი კიბურებს: ეს რომ ამგვარად გააკეთეს, შემდეგ დარჩენილი ქვები მოკლე ხეებისაგან გაკეთებული მანქანით ასწიეს, ჯერ მიწიდან ამ საფეხურების პირველ სართულზე, გადადეს ის მეორე მანქანაზე, რომელიც იდგა პირველ სართულზე, ამ სართულიდან მეორე სართულზე აათრია ახლა სხვა მანქანამ ეს ქვები, რადგან საფეხურების რამდენი სართულიც იყო, იმდენივე იყო მანქანაც; ან კიდევ - შესამლოა ერთი მანქანა მუშაობდა, მაგრამ ის ადვილად გადასატანი იყო და გადაჰქონდათ სართულიდან სართულზე, როგორც კი ქვას ასწევდნენ იმ სართულიდან. ორივე ცნობა მომყავს, რადგან ჩვენს ასე გვითხრეს. ჯერ პირამიდის ყველაზე ზემო ნაწილები გაკეთდა, შემდეგ გააკეთეს ის, რაც ამას მოსდევდა, ხოლო ბოლოს გააკეთეს ყველაზე ქვემოთა ნაწილები, ისინი, რომლებიც მიწაზე იყო. პირამიდაზე მოთავსებულ ეგვიპტურ წარწერაში აღნიშნული ყოფილა, თუ რამდენი დაიხარჯა მუშების ბოლოკზე, ხახვზე და ნიორზე. კარგად მახსოვს, თარჯიმანმა მითხრა, როდესაც ეს წარწერა წამიკითხა, რომ ამაში 1600 ვერცხლის ტალანტი გადაუხდიათო. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ რამდენად მეტი უნდა დახარჯულიყო იმ რკინის იარაღზე, რომლითც მუშაობდნენ, ან კიდევ მუშების საჭმელსა და ტანსაცმელზე? რამდენი დრო მოუნდა შენებას, ამის შესახებ უკვე ითქვა¹, ხოლო მე ვფიქრობ, რომ ამას გარდა ცოტა დრო არ წავიდოდა ქვის მოჭრასა და მოტანაზე და მიწისქვეშა თხრილების გაკეთებაზე.

126. იქამდე მივიდა ქეოფფის ბოროტება, რომ ფული რომ შემოაკლდა, თავისი საკუთარი ასული გაგზავნა საროსკიპოში და უბრძანა ამდენი და ამდენი ფული ეშოვა

(სახელდობრ რამდენი, არ უთქვამთ ჩემთვის). ქალმა იშოვა, რამდენიც მამამ უბრძანა, მაგრამ მოინდომა თავისი სახსოვარიც დატოვებინა, ამიტომ თითოეულ მასთან მისულ კაცს სთხოდა, რომ ერთი ქვა ეჩუქებინა მისი სამუშაოებისათვის. ამბობენ, რომ ამ ქვებისაგან არის აგებული სი პირამიდა, რომელიც სამ პირამიდას შორის, სწორედ შუაში დგას, დიდი პირამიდის წინ. მისი თითოეული წიბო პლეთონახევარია.

127. ეგვიპტელები ამბობენ, რომ ქეოფსმა იმეფა 50 წელი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ სამეფო ხელისუფლება გადავიდა მისი ძმის, ქეფრენის ხელში. ქეფრენი ყელაფერში იმგვარადვე იქცეოდა, როგორც ქეოფსი და სხვათა შორის ირამიდაც ააგო, მაგრამ მისი პირამიდა ქეოფსის აგებულთან ვერ მოვიდოდა. ის ჩვენ თვითონ გავზომეთ. მას არა აქვს მიწისქვეშა ნაგებობანი, არც ნილოსიდან მოდის არხი მასთან, როგორც ქეოფსის პირამიდასთან არის: აქ ხომ ხელოვნურად არის გაყვანილი წყალი, რომელიც კუნძულს გარემომოუვლის, ხოლო ამბობენ, რომ ამ კუნძულზე განისვენებს თვითონ ქეოფსი. ქეფრენმა პირამიდის პირველი ენა ჭრელი ეთიოპური ქვისაგან ააგებინა, მაგრამ მისი პირამიდა ორმოცი ფუტით უფრო დაბალია იმ მეორეზე და იქვეა აგებული, სადაც ის, დიდი პირამიდა. ორივენი დგანან ერთსა და იმავე ბორცვზე, რომლის სიმაღლეს დაახლოებით 100 ფუტია. ამბობენ, რომ ქეფრენმა იმეფა 56 წელი.

128. მხოლოს 106 წელს ანგარიშობენ, რომლის განმავლობაშიც ეგვიპტელებმა ყოველგვარი ბოროტება გადაიტანეს და მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი დაკეტილი სალოცავები არ გაღებულა. ამ მეფეთა მიმართ სიძულვილის გამოა, რომ ეგვიპტელებს არც კი უნდათ მათი ხსენება, ხოლო პირამიდებს უწოდებდნენ მწყემსი ფილიტისისას, რომელიც ამ დროს და სწორედ ამ ადგილებში მწყემსიდა საქონელს.

129. ქურუმები ამბობდნენ, რომ ამის შემდეგ 2 ეგვიპტეში მეფობდა მიკერინოსი, ქეოფსის შვილი, რომელსაც თავისი მამის საქმიანობა არ მოსწონდა, გააღო სალოცავები და ნება დართო გაჭირებისაგან უკიდურესობამდე გაწამებულ ხალხს თავის საქმიანობასა და მსხვერპლშეწირვებს დაბრუნებოდნენ, ხოლო სამართალს ის ყველა სხვა მეფეებზე უკეთ სჯიდა. ამ ამბის გამო იყო, რომ მას განსაკუთრებით აქებდნენ ყველა ეგვიპტელ მეფესთან შედარებით, რომლებიც კი მანამდე ყოფილან. ის მართლაც ყოველთვის კარგად სჯიდა და თუ ვინმე დარჩებოდა მისი განსჯის უკმაყოფილო, მას თავისი საკუთარი ქონების ნაწილს აძლევდა და აკმაყოფილებდა. ამრიგად, მიკერინოსი კეთილი იყო მოქალაქეთა მიმართ და ზრუნავდა მათზე, მაგრამ მასაც შეემთხვა ბევრი უბედურება და ამ უბედურებათა შორის პრიველად ასულის სიკვდილი დაატყდა თავს. ეს ასული ერთადერთი შვილი იყო სახლში. თავს დატეხილი უბედურების გამო საშინლად იყო ის დამწუხრებული და მოინდომა თავისი ასულის სხვებისგან განსხვავებით, რაღაც არაჩვეულებრივად დაემარხა, ამიტომ გამოფულურობული ხისაგან გააკეთებინა ძროხა, შემდეგ ის მოავარაყებინა და თავისი გარდაცვლილი ასული შიგ დამარხა.

130. ეს ძროხა მიწაში ჩაფლული არ იყო, ის კი არა ჩემს დროსაც შეიძლებოდა მისი ნახვა, ის იდგა ქალაქ საისში, მეფის სასახლეში, შესანიშნავად მორთულ ოთახში. მთელი დღე მას მრავალგვარ საკმეველს უკმევედნენ, ხოლო ყოველ ღამეს შებინდებამდე გათენებამდე სანათური ენთო ხოლმე. ამ ძროხის მახლობლად სხვა

ოთახში დგას მიკერინოსის ხასების ქანდაკებები, როგორც მითხრეს ქურუმებმა ქალაქ საისში. იქ დგას ხის დაახლოებით 20 გამოსახულება, რომლებიც შიშველ ქალებს გამოხატავენ. მაგრამ ვინ არიან ეს ქალები, ამის შესახებ იმაზე მეტს ვერ ვიტყვი, რაც უკვე ვთქვი.

131. ზოგიერთები ამ ძროხისა და გამოსახულებების შესახებ შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ: თითქოს მიკერინოსს უყარდა თვისი საკუთარი ასული და დაწვა მასთან ისე, რომ ქალს არ უნდოდა. ამბობენ, რომ ამის შემდეგ ქალმა ჯავრისაგან თავი ჩამოიხრჩო, მამამ იგი ამ ძროხაში დამარხა, ხოლო ქალის დედამ იმ მნახველებს, რომლებმაც მისცეს მამას ქალი, ხელები დააჭრა და მათი გამოსახულებები ახლას იმას გვიჩვენებენ, რაც მათ ცოცხლად გადახდათ თავს. მე ვფიქრობ, რომ ამას ტყუილუბრალოდ ამბობენ, განსაკუთრებით კი იმას, რაც შეეხება გამოსახულებების ხელებს. რადგან ჩვენ თვითონ ვნახეთ, რომ დროთა განმავლობაში დასცვივდა ხელები გამოსახულებებს და ხელები ჯერაც, ჩემს დრომდე გამოსახულებების ფეხებთან ჩანდა დაყრილი.

132. ძროხა საერთოდ გადახურულია მოწეულის გადასაფარებლით, მხოლოს ქედი და თავი მოჩანს, მოოქრული ძალიან სქელი ოქროთი, რქებს შორის კი მზის წრიული გამოსახულებაა ოქროსი. ძროხა გამართული კი არ არის, არამედ მუხლებზეა დაჩოქილი, ხოლო სიდიდით ის დიდი, ცოცხალი ძროხის ოდენაა. ის ყოველწლიურად გამოაქვთ ნაგებობიდან იმ დროს, როდესაც ეგვიპტელები ტირიან ღმერთს, რომელსაც მე ვერ დავასახელებ ამ ვითარებაში. მაშინ გამოაქვთ ძროხა სინათლზე, რადგან ამბობენ, რომ როდესაც კვდებოდა ასული, სთხოვა მამას, მიკერინოსს, წელიწადში ერთხელ მაინც შემახედე მზისათვისო.

133. ასულის დაკარგვის შემდეგ ამ მეფეს მეორე ასეთი უბედურება დაემართა: ქალაქ ბუტოდან მოუვიდა მისნობა, რომ მხოლოდ 6 წელიწადს იცხოვრებს კიდევ და მეშვიდეზე მოკვდება, მეფე ძალიან გაწყრა და სამისნოს შეუთვალა ღმერთის მიმართ საყვედური, მამაჩემმა და ბიძაჩემმა დაჰკეტეს სალოცავები, აღარ ახსოვდათ ღმერთები, ხალხსაც ღუპავდნენ და მაინც დიდხანს ცხოვრობდნენ, მე კი მიუხედავად ღვთისმოსაობისა ასე მალე უნდა მოკვდებო. მაშინ მეორედ მოუვიდა სამისნოდან ამბავი, რომელმაც აუწყა, რომ სწორედ იმის გამო შეუმოკლდა ცხოვრება, რომ არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა: რადგან ეგვიპტე გასაჭირში კიდევ 150 წელი უნდა ყოფილიყო, მისმა წინამორბედმა ორმა მეფემ ეს გაიგო, იგი კი ვერ მიხვდა ამას. რომ მოისმინა მიკერინოსმა, თუ რა ჰქონდა მისჯილი, გააკეთებინა ბლომად ლამპები და როგორც კი დალამდებოდა, დაანთებდა მათ, სვამდა და დროსაც ატარებდა, არც დღეს და არც ღამეს არ აცდენდა, დაეხეტებოდა ჭაობებსა და ჭალებში, სადაც ყველაზე უკეთესი გასართობი ადგილები ეგულებოდა. ამას, რომ აკეთებდა, მისნობის სიცრუის ჩვენება უნდოდა, თითქოს 12 წელს იცოცხლებდა 6-ის ნაცვლად, რაკილა ღამეებს დღეებად აქცევდა.

134. ამანაც დატოვა პირამიდა, მაგრამ ეს ბევრად უფრო პატრა იყო, ვიდრე მისი მამის გაკეთებული. თითოეული მისი წიბო (ის ოთხკუთხეოვანია) 3 პლეთრონია, 20 ფუნტ ნაკლებ. იგი ნახევრამდე ეთიოპური ქვისაგან არის ნაკეთები. ზოგიერთი ელინი ამბობს, რომ ის არის ჰეტერა როდოპისისა, მაგრამ მართაღს არ ლაპარაკობენ. მე მგონია, რომ იმათ, ვინც ამას ლაპარაკობს, არც კი იციან, ვინ იყო როდოპისი (თორემ

არ მიაწერდნენ მას ამისთანა პირამიდის აღმართვას, რომელზედაც, შეიძლება ითქვას, მრავალი ათასი ტალანტი დაიხარჯა). ამას გარდა მათ ისიც არ იციან, რომ ამისისის მეფობის დროს ცხოვრობდა როდოპისი და არა მიკერინოსის დროს. იმ მეფეების შემდეგ, რომელთაც ეს პირამიდები დატოვეს, მრავალი წლის მერე იყო როდოპისი, წარმოშობით თრაკიელი, მონა სამოსელი კაცის, იადმონისა, ჰეფადსტოპოლისის ძისა, რომლის მონა იყო როდოპისთან ერთად არაკების მწერალი ადსოპოსიც. ადსოპოსი რომ იადმონისა იყო, კარგად ჩანს შემდეგის მიხედვით: როდესაც დელფოელებმა მრავალგზის გამოაცხადეს განგების სურვილი, თუ ვინ უნდა მიიღოს მათგან დაღუპული ადსოპოსის სულისათვის სასყიდელი, არავინ გამოცხადდა, გარდა იადმონის შვილიშვილისა, ასევე იადმონისა, რომელმაც მიიღო ის სასყიდელი, და ეს იმიტომ, რომ ადსოპოსიც, როდოპისისა არ იყოს, იადმონისა იყო.

135. როდოპისი ეგვიპტეში ქსანთეს სამოსელმა მოიყვანა სამარცხვინო საქმიანობისათვის, მაგრამ დიდი ფული გადაიხადა და გაათავისუფლა ის მიტილენელმა ქარაქსოსმა, სკამანდრონიმოსის შვილმა, პოეტი ქალის, საფოს ძმამ. ამგვარად განთავისუფლდა როდოპისი და დარჩა ეგვიპტეში; ის იმდენად მშვენიერი იყო, რომ დიდძალი ფული იშვოა, რაც ბევრი იყო როდოპისისათვის, მაგრამ არც იმდენი, რომ ამისთანა პირამიდა აეგო. მისი შემდეგის მეთადის ნახვა ახლაც შეიძლება ყველასათვის, ვისაც კი მოუნდება და ამის მიხედვით ძნელია, მას რაიმე დიდი ქონება მივაწეროთ. როდოპისს მოუნდა თავისი მოსაგონარი დაეტოვებინა ელადაში, ამიტომ გააკეთებინა ისეთ რამ, რაც სხვას არავის მოჰფირებია სალოცავისათვის შეეწირა. მან თავისი ეს მოსაგონარი შესწირა დელფოს. როდოპისმა თავისი ქონების მეთადი ნაწილით რკინისაგან გააკეთებინა ხარის წამოსაგები ბევრი შამფური, იმდენი, რამდენიც მოვიდოდა ამ თანხის მეთადით და გაგზავნა დელოფოში. შამფურები ახლაც იქ ყრია, იმ საკურთხევლის უკან, რომელიც აღმართეს ქიოსელებმა, ზედ ტაძრის პირისპირ. ჩვეულებრივ ნავკრატისში ჰეტერები ძალიან ლამაზები არიან, მაგრამ ის, ვისაც ეს ამბავი ეხება, ისე სახელგანთქმული იყო, რომ ყველამ ელინმა იცოდა როდოპისის სახელი. ამაზე უფრო გვიან იყო არქიდიკე, რომელსაც უმღეროდა მთელი ელადა, მაგრამ მასზე ნაკლებს ლაპარაკობდნენ, ვიდრე როდოპისზე. ქარაქსოსმა როდოპისი რომ გაათავისუფლა, დაბრუნდა მიტილენეში, ხოლო საპფომ ის მაგრად გამოლანძღა თავის სიმღერაში.

136. როდოპისის შესახებ მოთხრობას ამაზე შევწყვეტ. ქურუმები მიაშობენ, რომ მიკერინოსის შემდეგ ეგვიპტის მეფე იყო ასიქისი, როლმელმაც ჰეფადსტოსის ტაძრის აღმოსავლეთით გააკეთებინა კარიბჭე, ბევრად უფრო ლამაზი და დიდი სხვა კარიბჭეზე. ყველა კარიბჭეს საერთოდ, ნაკეთობის თვალსაზრისით, ათასნაირი ჩუქურთმა ამკობს, ასიქისის კარიბჭე კი ამ მხრივ ბევრად აღემატებოდა ყველას. ქურუმებმა მითხრეს, რომ მისი მეფობის დროს მიმოქცევაში ფულის დიდი ნაკლებობა იყო, ამიტომ გამოიცა კანონი ეგვიპტელთათვის - გირაოდ მამის გვამი უნდა მიეცა კაცს და ისე აელო ვალი. ხოლო ამ კანონს კიდევ შემდეგი ემატებოდა: ვალის მიმცემი ვალის ამღების მთელი საძვალის მფლობელი ხდებოდა, ხოლო ასეთი გირაოს მიმცემს, თუკი ის ვალის დაბრუნებას მაინც არ მოინდომებდა, შემდეგი სასჯელი ედებოდა: არც მას თვითონ, არც სხვას ვისმე მის ნათესავთაგან, სიკვდილის შემდეგ არ დაასაფლავებდნენ, არც საგვარეულო და არც სხვა რომელიმე სხვა სამარხში. ამ მეფეს უნდოდა მისი წინამორბედი ეგვიპტის მეფეები დაეჩრდილა და

თავის მოსაგონრად მაინც დატოვა პირამიდა, რომელიც აგურებისაგან გააკეთებინა, ხოლო პირამიდაზე მოათავსა ქვაზე ამოკვეთილი შემდეგი წარწერა: "აბუჩად ნუ ამიგდებ ქვის პირამიდებთან შედარებით. მე მათ იმდენადვე აღვემატები, რამდენადაც ზევსი სხვა ღმერთებს, ჭოკს უშვებდნენ ჭაობში და ჭოკს რომ თიხა მოჰყვებოდა, იმას აგროვებდნენ და მისგან აკეთებდნენ აგურებს; აი, ამგვარად გამაკეთეს მე".

137. ეს გააკეთა ამ მეფემ. მას შემდეგ მეფობდა ბრმა კაცი, ქალაქ ანისისიდან, რომელსაც სახელად ერქვა ასევე ანისისი. მისი მეფობის დროს ეგვიპტეს თავს დაესხნენ ეთიოპელები და საბაკოსი, ეთიოპელთა მეფე, დიდძალი ჯარით. ეს უსინათლო გაიქცა ჭაობებისაკენ, ხოლო ეთიოპელი მეფობდა ეგვიპტეში დაახლოებით 50 წელი; ამ ხნის განმავლობაში მან შემდეგი გააკეთა: როდესაც ვინმე ეგვიპტელთაგანი რასმე დააშავებდა, მას კი არ აკვლევინებდა, არამედ ჩადენილი დანაშაულის სიდიდის მიხედვით უბრძანებდა თითოეულს და მიუსჯიდა სათანადო რაოდენობის მიწა დაეყარა საკუთარ ქალაქთან, საიდანაც იყო დამნაშავე. ამგვარად კიდევ უფრო ამაღლდნენ ქალაქები. ირველად ხომ სესოსტრისის მეფობაში დაჰყარეს მიწა მათ, ვინც არხებს თხრიდა, ხოლო მეორედ - ეთიოპელის მეფობაში, ისე რომ ქალაქები ძალიან ამაღლდნენ. ეგვიპტეში საერთოდ ქალაქებს მაღალი მდებარეობა აქვთ, მაგრამ მე მგონია, რომ განსაკუთრებით ამაღლებულია მიწაყრილით ქალაქი ბუბასტისი, რომელშიც არის ბუბასტისის ღირსშესანიშნავი სალოცავი. მართალია, არის სხვა უფრო დიდი და უფრო ძვირფასი სალოცავები, მაგრამ შესახედავად ამაზე უფრო სასიამოვნო სხვა არაა, ბუბასტისის ელინურ ენაზე არტემიდეა.

138. მისი სალოცავი ამგვარია: შესასვლელს გარდა დანარჩენი კუნძულს წარმოადგენს, რადგან ნილოსიდან გამოყავნილი არსები ერთმანეთს კი არ ერთვიან, არამედ შესასვლელამდე ერთი არხი მიედინება სალოცავის ერთ მხარეს, მეორე - მეორე მხარეს. თითოეულ არხს სიგანე 100 ფუტი აქვს და ხეებით არის დაჩრდილული. კარიბჭე სიმაღლით 10 ორგია არის და შემკურლია ღირსშესანიშნავი ექვსწყრთიანი ჩუქურთმებით. სალოცავი ქალაქის შუაში დგას და იგი ყოველი მხრიდან კარგად ჩანს. ეს იმიტომ, რომ ქალაქი მიწის დაყრის შემდეგ ამაღლდა, ხოლო სალოცავისათვის ხელი არავის უხლია, მას მერე, რაც ის გააკეთეს: ამიტომაც, რომ ის ისე კარგად ჩანს. მას ირგვლივ ჩუქურთმებიანი ღობე არტყია, ხოლო შიგნით არის დიდი ხეების ჭალა, რომელიც გარს ეკვრის დიდ ტაძარს, ტაძარში დგას ქნდაკება. სალოცავის სიგანე და სიგრძე თითო სტადიონია. შესავალი ქვით მოკირწყლულ ქუჩას წარმოადგენს, დაახლოებით 3 სტადიონის სიგრძისას. ის მიემართება ბაზრის გავლით აღმოსავლეთისაკენ, მისი სიგანე დაახლოებით 4 პლეთრია. ქუჩის ორსავე მხარეს ცათამჯენი ხეები იზრდება. ის მიემართება ჰერმესის სალოცავისაკენ. ასეთია ეს სალოცავი.

139. ეთიოპელის წასვლა, ამბობენ, საბოლოოდ ასე მოხდაო: მან ძილში ნახა ისეთი სიზმარი, რომ ადგა და გაიქცა. მოეჩვენა კაცი, რომელიც მივიდა მასთან და ურჩია, ეგვიპტის ქურუმები შეეგროვებინა და ყველანი სათითაოდ შუაზე გაეჩხა. სიზმრის ნახვის შემდეგ მან თქვა, რომ ღმერთებმა ეს მითითება უთუოდ იმიტომ მისცეს, რომ ის უპატიოს მოჰქცეოდა სალოცავებს და ამის შემდეგ ღმერთთაგან ან ადამიანთაგან რაღაც უბედურება დამართოდა. ამიტომ ასე კი არ მოიქცევა, არამედ წავა, რადგან გაუვიდა ეგვიპტის მართვის დრო, რაც მას ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა, რადგან

მართლაც, ის რომ ეთიოპიაში იყო, იმ სამისნომ, რომელსაც ეთიოპელები მიმართავენ ხოლმე გამოუცხადა მას, რომ მან ეგვიპტეში 50 წელი უნდა იმეფოს, ახლა დროც გავიდა, სიზმარმაც შეაშფოთა საბაკოსი და იმანაც აიღო და ეგვიპტე თავისი ნებით დატოვა.

140. როდესაც ეთიოპელი წავიდა ეგვიპტიდან, იქ კვლავ უსინათლო გამეფდა, მოსული ჭაობებიდან, სადაც 50 წელიწადს ცხოვრობდა ნაცრითა და მიწით ნაყარ კუნძულზე. როდესაც ეგვიპტეში ეთიოპელისაგან მალულად მოდიოდნენ მასთან და საჭმელი მოჰქონდათ, თითოეულს ისე, როგორც მას ჰქონდა შეწერილი, ის თხოულბოდა მათგან, რომ საჩუქრად ნაცარიც მიერთმიათ. ამირტაფოსზე ადრე ამ კუნძულის მიგნება ვერავინ შეძლო: 700 წელზე მეტ ხანს ვერ შეძლეს მისი პოვნა ამირტაფოსზე ადრინდელმა მეფეებმა. ამ კუნძულს სახელად ელბო ჰქვია და იგი ყოველი მიმართულებით ზომით 10 სტადიონია.

141. ამის შემდეგ მეფობდა ჰეფაფოსტოსის ქურუმი, რომელსაც სახელად ერქვა სეთოსი. ის ყურადღებას არ აქცევდა და არაფრად აგებდა ეგვიპტელ მეომრებს, თითქოს სულაც არ სჭირდებოდა ისინი. იგი უპატიოდ ექცეოდა მათ და ჩამოართვა მიწები, მაშინ როდესაც უწინდელმა მეფეებმა მეომრებს მისცეს 12-12 რჩეული ნაკვეთი. ამის შემდეგ ეგვიპტეს დიდი ლაშქართან თავს დაესხა სანაქარბოსი, არაბთა და ასირიელთა მეფე. მაგრამ ეგვიპტელ მეომრებს არ უნდოდათ თავისი მეფის შველა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქურუმი შევიდა ტაძარში და ქანდაკებდის წინ მოიტირა, თუ რა ხიფათს მოელის. მტირალს ძილი მოერია და ძილში ეჩვენა, თითქოს გამოეცხადა ღმერთი, რომელმაც გაამხნევა: ცუდი არაფერი შეგემთხვევა ლაშქრის წინააღმდეგ რომ გამოხვიდე, რადგან მე თვით გამოგიგზავნი შემწეობასო. სეთოსი მიენდო ამ სიზმარს, წაიყვანა ის ეგვიპტელები, ვინც თავისი ნებით გაჰყვნენ მას და დაიბანაკა პელუსიონში (რადგან აქ არის სწორედ ეგვიპტეში შესავალი).

მეომართაგან მას თან არც ერთი კაცი არ გაჰყოლია, მასთან იყვნენ მხოლოდ მედუქნეები, ხელოსნები და მეწვრილმანეები. მათ წინააღმდეგ მოსულ მტერს ღამით აქ შემოესივნენ მინდვრის თაგვები, შეუჭამეს კაპარქები, მშვილდები, ფარების სახელურები, ისე რომ, მროე დღეს უიარაღოდ დარჩენილებს გაქცევა მოუწდათ და ბევრი დაიღუპა მათ შორის, ახლაც დგას ჰეფაფოსტოსის სალოცავში ამ მეფის ქვის გამოსახულება, ხელზე თაგვი აზის, ხოლო წარწარაში შემდეგია ნათქვამი: "ჩემი შემხედვარი იყავნ ღვთისმოსავი".

142. ამბავი აქამდე ეგვიპტელებმა და მათმა ქურუმებმა გვიამბეს, რომლებიც აღნიშნავენ იმას, რომ პირველი მეფიდან ამ უკანასკნელ მეფემდე (ჰეფაფოსტოსის ქურუმამდე) იყო ადამიანთა 341 თაობა და ამდენივე მთავარი ქურუმი და მეფე. ადამიანთა სამასი თაობა იგივე 10000 წელია: რადგან ადამიანთა სამი თაობა 100 წელს ცხოვრობს. ამ 300-ს გარდა დანარჩენი 41 თაობა ცხოვრობდა 1340 წელს. ქურუმები ამბობდნენ, რომ ამ 11340 წლის განმავლობაში ეგვიპტეში არც ერთი ადამიანისმსგავსი ღმერთი არ ყოფილა. ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ არაფერი მსგავსი არ ყოფილა არც უწინ და არც შემდეგ, ეგვიპტის მომდევნო ხანის მეფეთა დროს¹. ისინი ამბობდნენ იმასაც, რომ ამ ხნის განმავლობაში მზემ თავისი მდგომარეობა ოთხჯერ შეიცვალა: სადაც ახლა ჩადის, იქიდან ორჯერ ამოვიდა და საიდანაც ახლა ამოდის, იქ ჩავიდა ორჯერ. მაგრამ ამის გამო ეგვიპტეში არაფერი

შეცვლილა, არც იმის მხრივ, რასაც მიწა ან მდინარე იძლეოდა, და არც ავადმყოფობასა და სიკვდილიანობასთან დკავშირებით.

143. უწინ, როდესაც თებეში ისტორიკოსმა ჰეკატაეოსმა თავისი გენეალოგია გამოიკვლია და თავისი გვარი მეთექვსმეტე თაობაში ღმერთს დაუკავშირა, ზევსის ქურუმები მასაც ისევე მოექცნენ, როგორც მე, თუმცა მე ისინი ჩემს გენეალოგიაში არ გამირკვევია: იმათ შემიყვანეს უზარმაზარ ტაძარში, მიჩვენეს და დამითვალეს ხის გამოსახულებები, რომლებიც სწორედ იმდენი იყო, რამდენიც ვთქვი, რადგან ყოველი ქურუმთმთავარი თავის სიცოცხლეშივე იდგამს იქ თავის გამოსახულებას. ქურუმებმა მას შემდეგ, რაც დამითვალეს და მაჩვენეს გამოსახულებები, ამიხსნეს, რომ თითოეული არის შვილი თავისი იქვე მდგომი მამისა; უკანასკნელად გარდავლილი ქურუმთმთავარის გამოსახულებიდა დაიწყეს და დამატარეს ყველა გამოსახულება, ვიდრე სულ ყველა არ მიჩვენეს. როდესაც ჰეკატაეოსმა გამოიკვლია თავისი გენეალოგია და მეთექვსმეტე თაობაში ის ღმერთს დაუკავშირა, ქურუმებმა ჩამოთვლასთან ერთად თავისი გენეალოგია წამოაყენეს, რაკილა არ ღებულობდნენ მისგან იმ აზრს, რომ ღმერთისაგან წარმოსდგა ადამიანი. ხოლო მათ მიე წამოყენებული ჰეკატაეოსის საწინააღმდეგო გენეალოგია ასეთი იყო: მათ თქვეს, რომ თითოეული ამ გამოსახულებათაგანი იყო "პირომისი", წარმოშობილი "პირომისისაგან" და ასე აჩვენეს 345 გამოსახულება "პირომისისა", რომლებიც "პირომისისაგან" იყო წარმოშობილი და ისინი არც ღმერთს უკავშირდებოდნენ და არც გმირს; "პირომისი" ელინურ ენაზე ნიშნავს კარგსა და კეთილს.

144. ქურუმებმა ახსენეს, რომ ისინი, ვის გამოსახულებებსაც მიჩვენებდნენ, სწორედ ასეთები იყვნენ სინამდვილეშიც და ღმერთებისაგან დიდად განსხვავდებოდნენ. ხოლო ამ ადამიანებზე უწინ, ეგვიპტეს ღმერთები მართავდნენ. ისინი ცხოვრობდნენ ადამიანებთან ერთად და მათ შორის მუდამ ერთი მბრძანებლობდა. ღმერთთაგან უკანასკნელად ეგვიპტეში ოროსი მეფობდა, ოსირისის შვილი, რომელსაც ელინები აპოლონს უწოდებენ. მან დაამხო ტოფონი და თვითონ იყო ეგვიპტის უკანასკნელი მეფე. ოსირისი კი დიონისეა ელინურ ენაზე.

145. ელინთა შორის ყველაზე უფრო ახალგაზრდა ღმერთებად მიჩნეულნი არიან ჰერაკლე, დიონისე და პანი, ხოლო ეგვიპტელთაგან პანი უძველესი ღმერთია და ერთი პირველ რვა ღმერთთაგანი. ჰერაკლე განეკუთვნება მეორე წყების ღმერთებს და ერთი თორმეტ ღმერთთაგანია, რაც შეეხება დიონისეს - ის მესამე რიგის ღმერთთაგანია, რომლებიც წარმიშვნენ 12 ღმერთისაგან. თვითი ეგვიპტელები ამბობენ, თუ რამდენი წელი გავიდა ჰერაკლედან მეფე ამასისამდე: ამის შესახებ მე ზემოთ ვილაპარაკე¹. ისინი ამბობენ, პანი უფრო ადრე იყო, ხოლო დიონისე - ყველაზე ნაკლებ ადრე და ესეც მეფე ამასისზე 15000 წლის უწინ იყო. ეგვიპტელები ამბობენ, რომ ეს ზუსტად იცინ, რადგან მუდამ ანგარიშობენ და იწერენ წლებს. კადმოსის ასულის სემელეს ძე, წოდებული დიონისედ, ჩემს დრომდე დაახლოებით 1600 წლით ადრე იყო, ხოლო ალკმენეს შვილი, ჰერაკლე - 900 წლით უწინარეს. პანი პენელოპეს შვილი იყო (ელინები ამბობენ, პენელოპეს და ჰერმესის შვილი იყო პანი) და მისი დროიდან ჩემ დრომდე უფრო ნაკლები ხანი გავიდა, ვიდრე ტროის ომიდან აქამდე, დაახლოებით 800 წელი.

146. ამ ორი შეხედულებიდან, ვისაც რომელის უფრო სჯერა, ის შეუძლია გამოიყენოს, მე კი მათ შესახებ ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი. რომ ეს ღმერთებიც ისევე გამოჩენილიყვნენ და დაბერებულნიყვნენ ელადაში, როგორც ჰერაკლე, ამფიტრიონის შვილი (ე.ი. დიონისე სემელეს ძე და პანი, პენელოპეს ძე). ვინმე იტყოდა, რომ ესენიც ჰერაკლესი არ იყოს, წარმოშობით კაცები იყვნენ და სახელები გადმოიღეს მათი წინაპარი ღმერთებისაგან. ახლა კი ელინები ამბობენ, რომ დიონისე დაბადებისთანავე ჩაიკერა ზევსმა თემოში და წაიყვანა ნისაში, რომელიც ეთიოპიაშია, ეგვიპტის ზემოთ, ხოლო პანის შესახებ ვერაფერს ამბობენ, თუ რა მოუვიდა მას დაბადების შემდეგ. ამრიგად, ჩემთვის ცხადია, რომ ელინებმა ამ ღმერთების სახელები უფრო გვიან შეიტყვეს, ვიდრე სხვა ღმერთებისა, ხოლო რა დროიდანაც შეიტყვეს, იქიდან გამოჰყავთ კიდევ მათი გენეალოგია.

147. ამას ამბობენ თვითონ ეგვიპტელები; ახლა კი გამოვცემ იმას, რასაც ამბობენ სხვა ხალხები ამ ქვეყნის შესახებ და ეგვიპტელები მათ ეთანხმებიან. ამას კიდევ ზოგს რასმე დავუმატებ, რაც მე თვითონ მინახავს. ეგვიპტელები რომ გათავისუფლდნენ ჰეფაოსტოსის ქურუმის მეფობის შემდეგ (რადგან მათ არასდროს არ შეეძლოთ უმეფოდ ცხოვრება), დააყენეს 12 მეფე და მთელი ეგვიპტე 12 ნაწილად დაჰყვეს. ეს მეფეები ერთმანეთს დაუმოყვრდნენ და მეფობდნენ შემდეგი კანონის დაცვით: ერთმანეთის ძალაუფლება არ უნდა დაემხოთ, არც უნდ ცდილიყვნენ, რომ ერთს მეორესთან შედარებით რაიმე უპირატესობა ჰქონდა და პირიქით, ერთმანეთში განსაკუთებით უნდა ემეგობრათ. ეს კანონები მათ შემდეგი მიზეზის გამო დაიწესეს და ძალიან მკაცრად იცავდნენ კიდევ: იმთავითვე, როგორც ტირანია მათ ხელში გადავიდა, ასეთი მისნობა მოუვიდათ: რომელი მათგანი ჰეფაოსტოსის სალოცავში მოახდენს დათხევას, ის გამეფდებოდა მთელს ეგვიპტეში. ამიტომ ისინი ყოველგვარ ღვთისმსახურებაზე ერთად დადიოდნენ.

148. მათ გადაწყვიტეს საერთო მოსაგონარი დაეტოვებინათ, ამიტომ მოდრისის ტბის ცოტა ზემოთ, ეგრეთწოდებულ ნიანგეის ქალაქთან ლაბირინთოსი გააკეთეს. მე ის ვნახე და მართლაც ენით გამოუთქმელი რამ არის. ვინმემ, რომ თავი მოუყაროს ელინთა ყველა გალავანს და სხვა ნაგებობებს, გამოჩნდება, რომ ნაკლები შრომა და ხარჯია მათზე გაწეული, ვიდრე ამ ლაბირინთოსზე, თუმცა შესანიშნავი ტაძარი არის ეფესოშიც და სამოსზედაც. პირამიდები მართლაც ენით აუწერელი რამ არის და თითოეული მათგანი ტოლფასოვანია ელინთა მრავალი გრანდიოზული ნაგებობისა, ლაბირინთოსი კი პირამიდებსაც აღემატება. ლაბირინთოსი შედგება 12 გადახურული ეზოსაგან, რომელთაც ერთმანეთის საპრისპიროდ მდებარე ბჭეები აქვთ, ეს ეზოები 6 ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და 6 სამხრეთისაკენ და ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. გარედან ერთი საერთო გალავანი აქვთ შემოვლებული. ოთახები შიგ ორ სართულადაა, ერთი არის მიწისქვეშ, ხოლო მეორე მიწის ზემოთ, ზედ მათ თავზე, ოთახები რიცხვით 3000-ია, თითო სართულზე - 1500. ზემო სართულის ოთახები ჩვენ თვითონ ვნახეთ, დავიარეთ და ამის შესახებ ვლაპარაკობთ საკუთარი თვალთ ნახულის მიხედვით, ხოლო მიწისქვეშა ოთახების ამბავი შევიტყვეთ გადმოცემათა საშუალებით. ეს იმიტომ, რომ ეგვიპტელთა მოთავეებმა მათი ჩვენება არაფრით არ მოინდომეს; ისინი ამბობდნენ, რომ იქ არის იმ მეფეების სამარხავი, რომელთაც თავდაპირველად ააშენეს ეს ლაბირინთოსი და სამარხავი წმინდა ნიანგებისა. ამგვარად, ქვემოთა ოთახების შესახებ გადმოვცემთ იმას, რაც მოვისმინეთ, ხოლო ზემოთა ოთახები, რომელიც ადამიანთა ნახელავს

აღმატებიან, ჩვენ თვითონ ვნახეთ. გასასვლელები ოთახებზე და მიხვეულ-მოხვეული გზები ეზოებზე ათასნაირი იყო და უამრავ საოცრებას შეიცავდა; მათ მიჰყავდათ კაცი ეზოდან ოთახებში, ოთახებიდან დერეფნებში, დერეფნებიდან სხვა ეზოებში და ოთახებიდან სხვა ეზოებში. მთელი ამ ნაგებობის სახურავი ქვისაა, ისევე, როგორც კედლებიც; კედლებზე ბლომად არის ჩუქრუთები; თითოეული ეზო თეთრი, ერთმანეთისაგან კარგად შეხამებული ქვების კოლონებით არის გარშემორტყმული. იმ კუთხესთან, სადაც ლაბირინთოსი თავდება, დგას 40 ორგის სიმაღლის პირამიდა, რომელზედაც დიდი გამოსახულებებია გამოკვეთილი. გზა პირამიდისაკენ მიწის ქვეშ არის გაყვანილი.

149. ეს ლაბირინთოსი ხომ ამისთანაა, მაგრამ მასზე ბევრად უფრო საოცარია ეგრეთწოდებული მოძრისის ტბა, რომელთანაც ლაბირინთოსი არის აგებული. ეს ტბა, ირგვლივ რომ შემოუარო, 3600 სტადიონია, ე.ი. 60 სხომნი და ეს იმდენივეა, რაც არის თვით ეგვიპტის სიგრძე ზღვის გასწვრივ. ტბა სირგძივ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა გადაჭიმული და მისი სიღრმე ყველაზე ღრმა ადგილას არის 50 ორგია. ცხადია, რომ ეს ტბა ხელოვნურია: ტბის ზედ შუაში დგას ორი პირამიდა, რომლებიც წყლის ზემოთ 50 ორიგის სიმაღლისა არიან და ამდენივე არიან წყლის ქვეშაც. თითოეულ ამ პირამიდად ადგას ტახტზე მჯდომარე ქვის გამოსახულება. ამგვარად ეს პირამიდები 100 ორგის სიმაღლისაა, 100 ორგია კი ექვსპლეთრიან სტადიონს უდრის, მაშინ როდესაც ორგია შეიცავს ექვს ფუტს ან 4 წყრთას, ფუტი 4 ციდაა, ხოლო წყრთა - 6 ციდა. წყალი ტბაში ადგილობრივ კი არ ამოდის (რადგან აქ მეტისმეტად უწყლო ადგილია), არამედ ნილოსიდან მოდის არხით, ექვს თვეს წყალი ტბისკენ მოედინება, ხოლო მეორე ექვს თვეს იქიდან კვლავ ნილოსისაკენ მიდის. როდესაც ის ტბიდან გამოდის, მაშინ ტბა 6 თვის განმავლობაში ხაზინას ყოველდღე ვერცხლის ტალანტს სძეს, თევზით მოპოებულს, ხოლო როდესაც წყალი ტბაში ჩადის, მაშინ - 20 მნას. 2

150. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიაჩნეს, რომ ეს ტბა მიწის ქვეშ ერთვის ლიბიის სირტისს, ისე რომ, მიემართება დასავლეთისაკენ ქვეყნის შიგნით, იმ ქედის გასწვრივ, მემფისს ზემოთ რომ არის, რადგან ვერსად ვნახე მოთხრილი მიწა, თუმცა კი ბევრს ვეცადე, შევეკითხე ტბის მახლობლად მცხოვრებთ, თუ სად არის მოთხრილი მიწა. მათ მითხრეს, სადაც არის გატანილი მიწა და მე ადვილად დავუჯერე. რადგან მე ვიცოდი, გადმოცემების თანახმად, რომ მეორე ასეთი ამბავი მოხდა ასირიელთა ქალაქ ნინოსში: ნინოსის მეფეს, სარდანაპალოსს დიდძალი ქონება ჰქონდა მიწისქვეშა საგანძურებში და ქურდებმა მოინდომეს მისი გატანა. ქურდებმა თავისი სახლებიდან დაიწყეს მიწისქვეშ მოზომვა და თხრილის გაყვანა მეფის სასახლისაკენ, ხოლო დაღამდებოდა თუ არა, მიწა თხრილიდან გაჰქონდათ მდინარე ტიგრესში, რომელიც ნინოსს ჩამოუდის, ასე აკეთებდნენ ვიდრე მიზანს არ მიაღწიეს. მე მოვისმინე, რომ ასეთივე რამ მეორედ ეგვიპტეში გააკეთეს, როდესაც ტბისთვის მოთხარეს მიწა, მხოლოდ ღამით კი არ მუშაობდნენ, არამედ დღისით. მოთხრილ მიწას ეგვიპტელები ნილოსში ჰყრიდნენ, ნილოსს კი მიჰქონდა ეს მიწა და რეცხავდა. ამბობენ რომ ეს ტბა ამრიგად არის ამოთხრილი.

151. თორმეტი მეფე სამართლიანად იქცეოდა. ერთხელ, როდესაც ისინი ჰეფადსტოსის სალოცავში მსხვერპლს სწირავდნენ, დღესასწაულის უკანასკნელ დღეს დათხევა უნდა მოეხდინათ. ქურუმთავარმა გამოუტანა მათ ოქროს ფიალები, რომლებითაც

ხდებოდა ჩვეულებრივ დათხევა, მაგრამ რაოდენობა შეეშალა და 11 ფიალა გამოიტანა, მაშინ როდესაც მეფეები თორმეტნი იყვნენ. რაკილა ფიალა აღარ შევდა მათ შორის განაპირას მდგომ ფსამეტიქოსს, მან თავიდან მოიხადა სპილენძის მუზარადი, შეუშვირა და ასე მოახდინა დათხევა. სხვა მეფეებიც ატარებდნენ მუზარადებს და მაშინსწორედ ყველას ეხურა. ფსიმეტიქოსს არავითარი ქვეყან ზრახვა არ ჰქონია მუზარადი რომ შეუშვირა, მაგრამ სხვებმა მიაქციეს ყურადღება იმას, რაც გააკეთა ფსამეტიქოსმა და გაიხსენეს მისნობა, რაც მათ მოხსენდათ, რომ ეგვიპტის მეფემ მათ შორის მარტო ის იქნებოდა, ვინც სპილენძის ფიალით მოახდენდა დათხევას. გაიხსენეს მისნობა, მაგრამ ფსამეტიქოსის მოკვლა სამართლიანად არ მიიჩნიეს, რადგან გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ მას საამისოდ არავითარი წინასწარი განზრახვა არ ჰქონია. მათ გადაწყვიტეს, გაემეფებინათ ის ჭაობებში და ჩამოერთმიათ მისი ძალაუფლების დიდი ნაწილი, აეკრძალათ მისთვის ჭაობებიდან გამოსვლა, რომ არ ჰქონოდა ურთიერთობა დანარჩენ ეგვიპტესთან. ჰეფაესტოსის

152. ადრე ეს ფსამეტიქოსი გაექცა ეთიოპელ საბაკოსს, რომელმაც მოუკლა მას მამა, ნეკოსი; ის გაიქცა მაშინ სირიეში, ხოლო როდესაც სიზმრის ჩვენების შედეგად ეთიოპელი წავიდა ეგვიპტიდან, იმ ეგვიპტელებმა, რომლებიც საისის ოლქიდან იყვნენ, მოიყვანეს ის უკან. შემდეგ ის მეფობდა და მეორედ თერთმეტის მეფის მიერ იქნა გამეფებული ჭაობებში, მუზარადთან დაკავშირებული ამბების გამო. ფსამეტიქოსმა მიიჩნია, რომ ძალიან არის მათგან შეურაცხყოფილი და გადაწყვიტა სამაგიერო მიეზღო თავისი გამძევებლებისათვის. მან გაგზავნა კაცები ქალაქ ბუტოში, ლეტოს სამისნოში, სადაც ეგვიპტელები ყველაზე უტყუარ მისნობას ღებულობენ. მოუვიდა მას მისნობა, რომ მის გამძევებლებს სამაგიერო მიეზღვებათ ზღვიდან, როდესაც გამოჩნდებიან სპილენძის კაცები. მან სრულიად არ დაიჭჯერა, რომ შველა მას სპილენძის კაცებისაგან მოუვა. მაგრამ დიდი დროს არ გაუვლია, რომ გაჭირვებამ აიძულა იონიელები და კარიელები ემეკობრათ ზღვაზე და ეგვიპტესაც მოადგნენ.

ისინი გამოვიდნენ ხმელეთზე სპილენძით შეჭურვილნი, ხოლო ერთი ეგვიპტელი წავიდა ჭაობებში და შეატყობინა ფსამეტიქოსს (რადგანაც უწინ არ ენახა სპილენძით შეჭურვილი კაცები), რომ სპილენძის კაცები მოვიდნენ ზღვიდან და აჩანაგებენ დაბლობსაო. ფსამეტიქოსი მიხდა, რომ მისნობა სრულდება, კარგად შეხდა იონიელებსა და კარიელებს და დიდი დაპირებებით დაიყოლია, რომ მასთან დარჩენილიყვნენ. ისინი რომ დაიყოლია, მათთან ერთად და ეგვიპტელთა მოხალისეების შემწეობით მეფეებს წაართვა ძალაუფლება.

153. ფსამეტიქოსმა რომ მთელი ეგვიპტე დაიპყრო ჰეფაესტოსის ტაძარში, მემფისში კარიბჭე ააგო, რომელიც სამხრეთისაკენ გამოდიოდა. ამ კარიბჭის პირდაპირ ააშენა ეზო აპისისათვის; აქ იანხავდა აპისს, როგორც კი გამოჩნდებოდა. ეზო ირგვლივ კოლონებით არის გარშემორტყმული და ჩუქურთმებით არის სავსე. სვეტების მაგივრად 12-წყრთიანი გამოსახულებებს ებჯინება ეზო. აპისი ელინთა ენაზე არის ეპაფოსი.

154. თავის მოკავშირეებს, იონიელებს და კარიელებს ფსამეტიქოსმა სამოსახლოდ მიწები მისცა ერთმანეთის პირდაპირ, რომელიც შუაში ნილოსი ჰყოფდა, ამ სამოსახლოებს "ბანაკები" ეწოდა. ფსამეტიქოსმა მისცა მათ მიწები და ასევე მისცა სხვა

ყველაფერი, რასაც შეჰპირდა, მიაბარა მათ ეგვიპტელი ბავშვებიც, რომელთაც მათგან ელინური ენა უნდა ესწავლათ. მათგან აქვთ ნასწავლი ენა, დღეს რომ ეგვიპტეში თარჯიმნები არიან იმათ. იონიელები და კარიელები დიდხანს ცხოვრობდნენ ამ მიწებზე. ეს მიწები ზღვასთან არის, ცოტა უფრო ქემოთ, ვიდრე ქალაქი ბუბასტისია, ნილოსის ეგრეთ წოდებული პელუსიონის შესართავთან. შემდეგ ხანებში მეფე ამისისმა გადაასახლა ისინი იქიდან, დაასახლა მემფისში და მათ დააკისრა თავისი დაცვა ეგვიპტელთაგან. რაკილა ესენი ეგვიპტეში დასახლდნენ და ელინებს ურთიერთობა ჰქონდათ მათთან, ამიტომ დაწვრილებით ვიცით ყოველივე, რაც გადახდა თავს ეგვიპტეს ფსამეტიქოს მეფიდან დაწყებული და მის შემდეგ ხანებში. ესენი იყვნენ სხვა ენაზე მოლაპარაკეთა შორის პირველები, ვინც ეგვიპტეში დასახლდნენ. რაც შეეხება მიტოვებულ ადგილებს, იქ ჩემს დრომდე იყო ხომალდების სადგომები და ნაგებობათა ნანგრევები.

155. ამგვარად ჩაიგდო ხელში ფსამეტიქოსმა ეგვიპტე. რაც შეეხება ეგვიპტის სამისნოს, უკვე ბევრჯერ ვახსენე და რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ამბავს საგანგებოდ გადმოვცემ. ეს სამისნო, რომელიც ეგვიპტეშია, ლეტოს სალოცავი არის და დაფუძნებულია დიდ ქალაქში, ნილოსის ეგრეთ წოდებულ სებენიტესის შესართავთან, ზღვიდან ზემოთკენ რომ მიცურავ, იქ, იმ ქალაქს, სადაც არის სამისნო, ეწოდება ბუტი, როგორც ზემოთაც ვთქვი. ამ ბუტოში არის აპოლონისა და არტემიდეს სალოცავი. ხოლო ლეტოს ტაძარი, რომელშიც არის სამისნო, თვითონ დიდია და 10 ორგის სიმაღლის კარიბჭე აქვს. რაც ვნახე იმას გადმოვცემ, რამაც ყველაზე მეტად გამაოცა: ამ სალოცავში არის ლეტოს ტაძარი, ერთი ქვისაგან გაკეთებული, სომალე, სიგრძე და თითოეული მისი კედელი თანაბარია, თითოეული ამათგანი არის 40 წყრთა. სახურავად ტაძარს ქვა ახურავს, რომელსაც ოთხწყრთიანი ლავგარდანი აქვს.

156. ამგვარად, ამ სალოცავის ირგვლივ რაც კი ჩანს, ტაძარი ყველაზე დიდი საცორებაა და შემდეგ, მეორე საოცრებაა - კუნძული, რომელსაც ეწოდება ქემისი. იგი მდებარეობს ღრმა და ფართო ტბაში ბუტოს სალოცავის მახლობლად. ამბობენ, რომ ეგვიპტელებს ეს კუნძული მცურავად მიაჩნდათ. თვითონ მე არ დამინახავს, რომ ის ცურავდეს, ან მოძრაობდეს და გაოცებით ვისმენ, რომ ეს კუნძული მცურავი არისო. ამ კუნძულზე არის აპოლონის დიდი ტაძარი და სამი საკურთხეველი, მასზე იზრდება ბლომად ფინიკები და ბევრი სხვა ხე, ნაყოფიანი თუ უნაყოფო. ეგვიპტელები მას რომ მცურავს უწოდებენ, საამისოდ შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ: თავდაპირველად ეს კუნძული არ იყო მცურავი, მაგრამ ლეტო, ერთი პირველი რვა ღმერთთაგანი, დასახლდა ქალაქ ბუტოში, სადაც მას ეს სამისნო აქვს და ისისისაგან მიიბარა აპოლონი, გადამალა და გადაარჩინა ამ კუნძულზე, რომელსაც ახლა მცურავი ეწოდება, მაშინ როდესაც ტიფონი დადიოდა და ყველგან ეძებდა, რადგან უნდოდა ეპოვა ოსირისის შვილი. ამბობენ, რომ აპოლონი და არტემიდე დიონისესა და ისისის შვილები არიან, ხოლო ლეტო მათი ძიძა და გადამრჩენი იყო. ეგვიპტურად აპოლონი არის ოროსი, დემეტრე - ისისი, არტემიდე - ბუბასტისი. აი, ამ ამბიდან და არა სხვა რომელიმედან აიღო ესქილემ, ევფორიონის ძემ ის, რასაც მე ვიტყვი და ის იყო ერთადეთი ძველ პოეტებს შორის, რომელმაც არტემიდე გამოიყვანა დემეტრეს ასულად¹. აი, ამიტომ გახდა კუნძული მცურავი. ამას ასე მოგვითხრობენ.

157. ფსამეტიქოსი ეგვიპტეში 54 წელს მეფობდა, აქედან ერთით ნაკლებ 30 წელიწადს სირიის დიდი ქალაქის, ამოტოსისათვის ჰქონდა ალყაშემორტყმული, ივდრე არ აიღო. ჩვენთვის ცნობილ ქალაქთა შორის ამოტოსმა ყველაზე დიდხანს გაუძლო ალყას.

158. ფსამეტიქოსს ჰყავდა შვილი ნეკოსი, რომელიც მის შემდეგ მეფობდა ეგვიპტეში, მან პირველმა დაიწყო არხის გაყვანა მეწამული ზღვისაკენ, შემდეგ რომ დარიოს სპარსელმა გათხარა. არხის სიგრძე დაფარვას ოთხი დღის ცურვა უნდება, ხოლო თხრილის სიგანე იმოდენაა, რომ ორი ნიჩბებიანი ტრიერი შეიძლება გაცურდეს ერთდროულად. წყალი მასში შემოყვანილია ნილოსიდან, შემოყვანილია ქალაქ ბუზასტისზე ცოტა ზემოთ, არხი მიდის არაბული ქალაქის, პატუმისის გასწვრივ და ერთვის მეწამულ ზღვას. მოთხრილია ის ჯერ ეგვიპტის დაბლობის იმ ნაწილში, რომელიც არაბიის გასწვრივაა, ხოლო შემდეგ მიემართება იმ დაბლობის ქვემოთ, რომელიც მემფისთან გადაჭიმული იმ მთის ძირასაა, სადაც არის ქვის სატეხელი. აქედან არხი მიემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ გადაჭიმულია ხეობისკენ და მთიდან უხვევს სამხრეთისაკენ, სამხრეთის ქარის მიმართულებით, არაბიის უბისაკენ უმოკლესი და შეკვეცილი გზა ჩრდილოეთის ზღვიდან სამხრეთის ზღვამდე, რომელსც მეწამული ეწოდება, არის ის, რომელიც მოემართება კასიის მთიდან (ეს მთა საზღვრავს ეგვიპტეს და სირიეს) და არაბიის უბემდე ზუსტად 1000 სტადიონია. ესაა უმოკლესი გზა, ხოლო არხი გაცილებით უფრო გრძელია, რადგან ბევრად უფრო მიხვეულ-მოხვეულია. ნეკოსის მეფობის დროს ამ არხის გაყვანისას დაიღუპა 120000 ეგვიპტელი. ნეკოსმა თხრა შუაგზაზე შეაწყვეტინა, რადგან მისნობამ შეუშალა ხელი, რომელმაც აუწყა, რომ ის ბარბაროსისათვის იღწვის. ეგვიპტელები ბარბაროსებს უწოდებენ ყველას, ვინც მათგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს.

159. ნეკოსმა არხის გაყვანა რომ შეწყვიტა, დაიწყო ლაშქრობისათვის მზადება. ტრიერები ზოგი ჩრდილოეთის ზღვაში გააკეთებინა, ზოგი არაბიის უბეში, მეწამულ ზღვასთან. ჯერაც ჩანს ამ ტრიერების სადგომები. საჭიროების შემთხვევაში იგი ყოველთვის იყენებდა ამ ტრიერებს. ნეკოსი სირიელებს ხმელეთზე შეებრძოლა და მაგდოლოსში დაამარცხა ისინი, ხოლო ბრძოლის შემდეგ სირიის დიდი ქალაქი, კადიტისი აიღო. თავისი საომარი ტანსაცმელი მილიტელთა ბრანქიდეში გაგზავნა და შესწირა აპოლონს. მან მხოლოდ 11 წელი იმეფა და გარდაიცვალა, ხოლო ძალაუფლება მის მერე გადავიდა მის შვილზე, ფსამისზე.

160. ფსამისის მეფობის დროს ეგვიპტეში მოვიდნენ ელიდელი მოციქულები, რომლებიც ტრაბახობდნენ, რომ ოლიმპიეში შეჯიბრება მათ ყველა ხალხზე უფრო სამართლიანად და უკეთესად ჩაატარეს და ამას გარდა იმ აზრისა იყვნენ, რომ ეგვიპტელებმა, რომლებიც ადამიანთა შორის ყველაზე ბრძენნი არიან, ვერაფერი გამოიგონეს უკეთესი. როდესაც მოვიდნენ ელიდელები ეგვიპტეში და თქვეს, თუ რისთვის მოვიდნენ, მაშინ ამ მეფემ შეჰყარა ის ეგვიპტელნი, ვინც ყველაზე უფრო ბრძენ კაცებად ითვლებოდნენ. ეგვიპტელები რომ შეიკრიბნენ, შეიტყვეს ელიდელთაგან ყოველივე, რასაც ისინი ჩვეულებრივ აკეთებდნენ შეჯიბრების დროს. როდესაც მათ უამბეს ყოველივე, თქვეს, რომ მოვიდნენ იმისათვის, რათა შეისწავლონ, ეგვიპტელებს რაიმე ამაზე უკეთესი ხომ არ მოეპოვებათ. ეგვიპტელებმა მოითათბირეს და შეეკითხნენ ელიდელებს, მონაწილეობენ თუ არა შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მათი თანამოქალაქენი. მათ თქვეს, რომ ვისაც კი უნდა შეჯიბრებასი

მონაწილეობა, ყველასათვის შეიძლება, მათთვისაც და სხვა ელინებისათვისაც. ეგვიპტელებმა თქვეს, რომ ასე რომ დაუწესებიათ, ამითი ცოდავენ სამართლიანობის წინაშე, რადგან სრულიად შეუძლებელია, შეჯიბრებაში მონაწილე თანამოქალაქის მიმართ მიკერძოება არ გამოიჩინო და უსამართლოდ არ მოექცე უცხო. ისე რომ, თუ უნდათ სამართლიანობა დაამყარონ და ამისათვის მოვიდნენ ეგვიპტეში, ბრძანონ, რომ მხოლოდ უცხოელები შეეჯიბრონ ერთმანეთს და ელიდელთაგან არც ერთმა არ მიიღოს შეჯიბრში მონაწილეობა. ასე ურჩიეს ეგვიპტელებმა ელიდელებს.

161. ფსამისი მხოლოდ 6 წელი მეფობდა ეგვიპტეში, და ეთიოპიაში გალამქრების შემდეგ მალე მოკვდა. ამის მერე ხელისუფლება მიიღო აპრიესმა, ფსამისის ძემ. იგი ფსამეტიქოსის, თავისი პაპის მამის მერე ყველა მასზე ადრე მყოფ მეფეზე უფრო ბედნიერი იყო, მართავდა ქვეყანას 25 წელიწადს და ამ ხნის განმავლობაში ილაშქრა სიდონზე და საზღვაო ბრძოლა ჰქონდა ტიროსის მეფესთან. მას უბედურება უნდა შემთხვეოდა (ამის მიზეზის შესახებ უფრო დაწვრილებით ლიბიის ისტორიაში მოგიტხრობთ), ახლა კი მოკლედ ვიტყვი: აპრიესმა დიდი ლაშქარი გაგზავნა კირენელების წინააღმდეგ და სასტიკად დამარცხდა. ეგვიპტელებმა ის ამისათვის დაადანაშაულეს და მის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს, რადგან იფიქრეს, რომ აპრიესმა ისინი განზრახ გაგზავნა წინასწარ განწირულ საქმეზე, რომ ისინი გაწყვეტილიყვნენ და თვითონ კი დანარჩენი ეგვიპტელები არხეინად ემართა. ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა მათზედაც, ვინც შინ დაბრუნდა და იმათზედაც, ვინც დაღუპულთა მეგობრები იყვნენ და ყველანი ამკარად ამბოხდნენ.

162. აპრიესმა რომ ეს შეიტყო, გაგზავნა მათთან ამასისი, რომ შეეჩერებინა ისინი სიტყვიერი ზემოქმედებით. როდესაც ამასისი მოვიდა, უნდოდა მათი შეკავება, რომ ასეთი რამ არ გაეკეთებინათ. ამასისი რომ ლაპარაკობდა, ერთი ეგვიპტელი დაუდგა უკან, დაახურა მუზარადი და თქვა: სამეფო ხელისუფლების ნიშნად ვადგამო. ამასისი თავის ის, რაც მოხდა, არ იყო მიუღებელი, როგორც დაიმჩნია კიდეც. მას შემდეგ, რაც ამბოხებულმა ეგვიპტელებმა მეფედ დააყენეს, მან აპრიესზე თავდასხმისათვის მზადება დაიწყო. აპრიესმა რომ ეს შეიტყო, ამასისის წინააღმდეგ გაგზავნე ერთი ცნობილი კაცი, თავისიანი ეგვიპტელთა შორის, რომელსაც სახელად ერქვა პატარბემისი და უბრძანა მას, ცოცხლივ მოეგვარა მისთვის ამასისი. როდესაც პატარბემისი მივიდა და მოუწოდა ამასისს, ამასისმა (რომელიც ამ დროს ცხენზე იჯდა) წამოიწია, გაიქარვა და უთხრა მას, აპრიესს, ეს წაუღეო. მაგრამ პატარბემისი მაინც არ ეშვებოდა, რაკილა მეფე გეძახის, წამოდი მასთანო. ამასისმა მიუგო მას, რომ კარგა ხანია ემზადება ამისთვის და აპრიესი მისით არ დარჩება უკმაყოფილო, რადგან თვითონაც მივა და სხვებსაც მიუყვანს. პატარბემისი ამ ნათქვამის მიხედვით მიხვდა, რაც გულში ჰქონდა ამასისს და დაინახა ის, რისთვისაც ემზადებოდა და საჩქაროდ წავიდა, რადგან უნდოდა მეფისათვის სასწრაფოდ გაეგებინებინა, რაც ხდებოდა როდესაც მოვიდა აპრიესთან ისე, რომ არ მოიყვანა ამასისი, მეფემ მას სიტყვა არ ათქმევინა და დიდად განრისხებულმა ბრძანა, მოეჭრად მისთვის ყურები და ცხვირი. როდესაც დანარჩენმა ეგვიპტელებმა, რომლებიც ჯერ კიდევ მის მხარეზე იყვნენ, დაინახეს, რა სამარცხვინოდ მოექცნენ მათ შორის ყველაზე გამოჩენილ კაცს, ბევრი აღარ უყოყმანიათ, ამბოხდნენ დანარჩენებთან ერთად და თვითონაც გადავიდნენ ამასისის მხარეზე.

163. აპრიესმა რომ ეს შეიტყო, შეიარაღა დაქირავებული ჯარი და წავიდა ეგვიპტელთა წინააღმდეგ. მასთან ერთად იყო 30000 დაქირავებული კარიელი და იონელი, ხოლო მისი დიდი და შესანიშნავი სასახლე იყო ქალაქ საისში. ამრიგად აპრიესი და მისი მოხრენი ეგვიპტელთა წინააღმდეგ მიდიოდნენ, ხოლო ამასისი თავისი მომხრეებით უცხოელების წინააღმდეგ ლაშქრობდა. ქალაქ მომემფისში შეიყარა ორივე მხარე და აქ აპირებდნენ ერთმანეთთან შებრძოლებას.

164. ეგვიპტელთა 7 გვარია, მათ შორის არიან: ქურუმები, ეგრეთ წოდებული მეომრები, მენახირეები, მელორეები, ვაჭრები, თარჯიმნები და მესაჭეები. აი, ეგვიპტელთა ამდენი გვარი არსებობს, ხოლო სახელები ამ გვარებს ხელობის მიხედვით ჰქვიათ. მათ შორის მეომრებს ეწოდებათ კალასირიები და ჰერმოტიბიები, რადგან ისინი ამ ოლქებიდან არიან: მთელი ეგვიპტე ხომ ოლქებად არის დაყოფილი.

165. ჰერმოტიბიებისაა შემდეგი ოლქები: ბუსირისის, საისის, ქემისის, პაპრემისის, ეგრეთ წოდებული პროსოპისის კუნძული და ნათოსის ნახევარი. ამ მხარეებიდან არიან ჰერმოტიბიები და ისნი 160000-ზე უფრო მეტნი არიან. მათ შორის ხელობა არავინ იცის, ისინი მხოლოდ სამხედრო საქმიანობას ეწევიან.

166. კლასირიებისა კიდევ შემდეგი ოლქებია: თებესი, ბუბასტისის, აფთაფის, ტანისის, მედენისის, სებენიტოსის, ათრიბისის, ფარბათოსის, თმუისის, ონუფისის, ანისისისა და მიეკფორიტის. აი, ეს ოლქი კუნძულზე მდებარეობს, ქალაქ ბუბასტისის პირდაპირ. ეს ოლქები კალასირიებისაა და ისინი 250000 სულზე მეტნი არიან.ლ არც მათთვის შეიძლება, რომ რაიმე ხელობას მისდევდნენ, მხოლოდ ომში ღებულობენ მონაწილეობას და ამ საქმიანობაში შვილი ცვლის ხოლმე მამას.

167. ისწავლეს თუ არა ეს ეგვიპტელთაგან ელინებმა, ამის შესახებ არ შემიძლია დაბეჯითებით რაიმეს თქმა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ თრაკიელები, სკვითები, სპარსელები, ლიდიელები და თითქმის ყველა ბარბაროსები სხვა მოქალაქეებზე გაცილებით ნაკლებ პატივს სცემენ მათ, ვინც ხელობას მისდევს და ასევე მათ ჩამომავლებს; განსაკუთრებით კეთილშობილებად მიაჩნიათ ისნი, ვინც ხელობისაგან შორს არიან და განსაკუთრებით კი ლაკედემონელებმა, ხოლო კორინთელები ყველაზე ნაკლებ იგდებენ აბუჩად ხელოსნებს.

168. ქურუმთა გარდა ეგვიპტელთა შორის მხოლოდ მეომრებს აქვთ გამორჩეული პატივი; თითოეულს აქვს 12 საუკეთესო დაუხარკავი ნაკვეთი. ხოლო ნაკვეთის სიგრძესა და სიგანეში 100 წყრთაა; ეგვიპტური წყრთა სამოსურის ტოლია. ეს პატივი მეომრებს აქვს, ხოლო მეორე უპირატესობით ისინი ჯერჯერობით სარგებლობენ და არასოდეს ყოფილა ისე, რომ ერთსა და იმასვე ესარგებლა: ათასი კალასირიელი და ათასი ჰერმოტიბიელი ყოველწლიურად იყვნენ ხოლმე მეფესთან პირად მცველებად. ამისათვის ისინი მიწის ნაკვეთებს გარდა ყოველდღიურად კიდევ შემდეგს ღებულობდნენ: თითოეული გამომცხვარ პურს, წონით 5 მნას, ძროხის ხორცს ორ მნას; ღვინოს - ოთხ საწყაოს. ეს მუდამ ეძლეოდათ მეფის პირად მცველებს.

169. როდესაც აპიესმა მოიყვანა დაქირავებული ჯარი და ამასისი კიდევ მთელი ეგვიპტელებით მოვიდა ქალაქ მომემფისში, იქ მოხდა ბრძოლა. უცხოელები კარგად იბრძოდნენ, მაგრამ რადგან რაოდენობით ბევრად ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს,

ამიტომ დამარცხდნენ. ამბობენ, რომ აპრიესი ამ აზრისა იყო, რომ ღმერთიც კი ვერ შეიძლებოდა მისი მეფობის შეწყვეტას, ისე ურყევად მიაჩნდა მას დაფუძნებული თავისი ძალაუფლება. ახლა კი ბრძოლაში დამარცხებული და ტყვედ ჩავარდნილი წაიყვანეს ქალაქ საისში, იმ სახლში, რომელიც უწინ მისი იყო, ახლა კი ამასისის სასახლე გამხდარიყო. ერთხანს მას მეფის სასახლეში ინახავდნენ და ამასისი მას კარგად ექცეოდა. ბოლოს როდესაც ეგვიპტელებმა საყვედურები დაიწყეს, რომ უსამართლობაა მათი და საკუთარი მტრის ასეთნაირად შენახვა, ამასისმა აპრიესი გადასცა ეგვიპტელებს. ეგვიპტელებმა ის დაახრჩვეს და შემდეგ დამარხეს მის მამა-პაპათა სამარხში. სამარხი არის ათენის სალოცავში, საკურთხევლის მახლობლად, შემსვლელისათვის ხელმარცხნივ. საისის მცხოვრებლებმა ყველა მეფე, ვინც კი ამ ოლქიდან იყო, ამ სალოცავის შიგნით დამარხეს. ამასისის სამარხი უფრო მოშორებულია საკურთხეველს, ვიდრე აპრიესისა და ამის წინაპრებისა, მაგრამ ისიც სალოცავის ეზოშია. ეს არის დიდი ქვის ნაგებობა, რომელიც სვეტებისაგან არის გაკეთებული (სვეტები კი პალმის ხეებს მოგვაგონებენ) და ძვირფასად არის შემკული. შიგნით ამ ნაგებობაში ორმაგი კარია დადგმული და ამ კარებს იქით არის სამარხი.

170. საისში არის აგრეთვე სამარხავი იმისა, ვისი სახელის მოხსენიებაც ასეთ პირობებში ცოდვას, ის ათენას სალოცავშია, ტადრის უკან და ათენას სალოცავის მთელი კედლის გასწვრივ უჭირავს ადგილი. ამავე წმინდა მიწის ნაკვეთზე დგას ქვის ობელისკები, იქვეა ტბა, რომელსაც ირგვლივ ნაჩუქურთმევი და ლამაზად ნაკეთები ქვის ზემიკრველი აქვს და მე ისე მგონია, რომ სიდიდით იმოდენავეა, რამოდენაც არის დელოსის, ეგრეთ წოდებული ბორბლისმსგავსი თბა.

171. ამ ტბაზე ღამით აწყობენ ვნებათა სანახაობებს, რომელსაც ეგვიპტელები მისტერიებს უწოდებენ. თუმცა თითოეული ამ მისტერიის შესახებ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ დუმილს ვარჩევ.

დუმილს ვარჩევ დემეტრეს დღესასწაულის შესახებაც, რომელსაც ელინები თესმოფორიებს უწოდებენ, იმის გარდა, რისი თქმაც მის შესახებ დასაშვებია. დანაოსის ასულებმა გამოიტანეს ეს დღესასწაული ეგვიპტიდან და ასწავლეს პელაზგ ქალებს. მას მერე, რაც მთელი პელოპონესის მცხოვრებლები გაამევეს დორიელებმა, ეს დღესასწაულიც მოისპო, ხოლო პელოპონესელთაგან გადარჩნენ არკადიელები, რომლებიც არ გაუძევებიათ და მხოლოდ მათ შემოინახეს ეს დღესასწაული.

172. აპრიესის ჩამოგდების შემდეგ იმეფა ამისისმა, რომელიც საისის ოლქის ქალაქიდან, სიუფიდან იყო. პირველად ეგვიპტელები ამასისს არაფრად აგდებდნენ და არც პატივს სცემდნენ, რადგან უწინ ის მდაბიო იყო და გამოჩენილ ოჯახს არ ეკუთვნოდა. ხოლო შემდეგ ამასისმა ესენი სიბრძნითა და გონიერებით მოთოკა. მას უამრავი ძვირფასი ნივთი ჰქონდა და მათ შორის - ოქროს ფეხისსაბანი ტაშტი, რომელშიც ფეხს იბანდნენ ყოველთვის თვითონ ამასისიც და ყველა მისი სტუმარი.

ეს ტაშტი მან დაამტვრევინა, მისგან ღმერთის ქანდაკება გააკეთებინა და დადგა ქალაქის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას. ეგვიპტელები მიდიოდნენ ამ ქანდაკებასთან და დიდად სცემდნენ თავყვანს. ამასისმა ეს რომ შეიტყო, შეჰყარა ეგვიპტელები და უთხრა მათ, რომ ფეხისსაბანი ტაშტისაგან არის ქანდაკება გაკეთებული, ამ ტაშტში ეგვიპტელები უწინ აფურთხებდნენ, შარდავდნენ და ფეხებს

იბანდნენ, ახლა კი ასე დიდ თავყვანს სცემენო. შემდეგ თქვა, რომ თვითონაც ამ ფეხისაბანი ტაშტის მსგავსი ამბავი დაემართა: თუ უწინ მდაბიო იყო, ახლა მათი მეფეა და ამიტომ მოუწოდებს მათ, სცენ მას პატივი და ყურადღებით მოეპყრან, ამგვარად მოარჯულა მან ეგვიპტელები, ისე რომ, ისინი მას თავისი ნებით ემსახურებოდნენ.

173. იგი საქმოსნობაში ასეთ თანრიგს იცავდა: დილაადრიან, ვიდრე მოედანი ხალხით აივსებოდა, ის დიდი გულმოდგინებით არჩევდა შემოსულ საქმეებს, ხოლო ამის მერე - სვამდა, თავის თანამეინახეებთან ხუმრობდა, უსაქმურობდა და მხიარულობდა. მისი მეგობრები ამის გამო წუხდნენ, უნდოდათ მისი დარიგება და ეუბნებოდნენ: "მეფეო, სწორედ არ იქცევი, რადგან მეტისმეტად ხარ გატაცებული უღირსი საქმიანობით. შენ გმართებს დიდებულ ტახტზე ღირსეულად ჯდომა და მთელი დღის განმავლობაში საქმეების კეთება, მაშინ ეგვიპტელები დაიჯერებენ, რომ დიდი კაცი ჰყავთ გამგებელი და შენს შესახებ კიდევ უფრო უკეთ ილაპარაკებენ. ახლა კი შენი ქცევა სულაც არაა მეფური". ამასისმა მათ შემდეგი უპასუხა: "როდესაც მშვილდოსანს მშვილდის მოხმარება სურს, ჯერ მოსჭიმავს მას, ხოლო შემდეგ ისევ მოუშვებს. მშვილდი რომ მუდამ მოზიდული იყოს, გატყდებოდა და საჭიროების შემთხვევაში აღარ გამოდგებოდა. ასევეა ადამიანიც: მან თუ მოინდომა მუდმივად მუშაობა და გასართობად სრულიადაც ვერ მოიცალა, ან გაგიჟდება, ანდა დამბლა დაეცემა. ეს კი მე კარგად ვიცი და ამიტომ მუშაობასაც და გართობასაც თავთავის წილს განვუკუთვნებ". ასე უპასუხა მან თავის მეგობრებს.

174. ამბობენ, რომ ამასისს, როდესაც ის ჯერ კიდევ კერძო პირი იყო, უყვარდა სმა, ხუმრობა და სულ არ მისდევდა სერიოზულ საქმიანობას. სმისა და მხიარული ცხოვრების შედეგად გაჭირვებაში რომ ჩავარდებოდა, დაეხეტებოდა აქეთ-იქით და ქურდობდა კიდევ. გაქურდულები რომ იტყოდნენ, შენ გაქვს ჩვენი ფულებიო, ის უარყოფდა ამას და ამიტომ მიჰყავდათ უახლოეს სამისნოში. ხშირად მისნობა ამხელდა მას, მაგრამ ასევე ხშირად აიცილებდა ხოლმე დანაშაულს, როდესაც ამასისი გამეფდა, შემდეგი რამ გააკეთა: ამ ღმერთთა სალოცავებზე, სადაც თქვეს, რომ ის ქურდი არაა, არც ზრუნავდა და არც არას აძლევდა მათ შესაკეთებლად, არც მსხვერპლის შესაწირად დადიოდა იქ, რადგან ისინი არაფრის მაქნის და ტყუილ მისნებად მიაჩნდა, ხოლო განსაკუთრებით ზრუნავდა მათზე, ვინც მის შესახებ ამბობდა, რომ ის ქურდია, რადგან ისინი ჭეშმარიტად ღმერთები იყვნენ და უტყუარი მისნობა ჰქონდათ.

175. ჯერ მან საისში ათენას გუაკეთე საოცარი კარიბჭე, რომელიც ბევრად აღმატებოდა ყველა სხვას სიმაღლითა და მოცულობით, ქვების სიდიდითა და საერთო სიმშვენიერით. შემდეგ აღმართა უზარმაზრი გამოსახულებები და ვეება მამაკაცი - სფინქსები და მოაზიდვინა უშველებელი ქვები საშენებლად. ამ ქვეყნის ნაწილი მოიტანეს იმ ქვისსამტეხლოდან, რომელიც მემფისის ქვემოთაა, ხოლო მეორე ნაწილი, უზარმაზარი ქვები - ქალაქ ელეფანტინედან, რომელიც საისიდან 20 დღის საცურაო მანძილით არის დაშორებული. მაგრამ განსაკუთრებით გამაკვირვა შემდეგმა: ქალაქ ელეფანტინედან მოატანინა მთლიანი ქვის ნაგებობა, რომლის გადმოზიდვასაც მოუწოდნენ დაახლოებით 3 წელიწადს. ამ საქმეში 2000 კაცი იყო ჩაბმული და ესენი ყველანი მესაჭეები იყვნენ. ამ სახლის სიგრძე გარედან იყო 21 წყრთა, სიგანე - 14, ხოლო სიმაღლე 8. ასეთია ამ მთლიანი ქვისაგან ნაგები სახლის

ზომები გარედან. ხოლო შიგნიდან მისი სიგრძე არის 18 წყრთა და 4 ხელის დადება, სიგანე - 12 წყრთა, ხოლო სიმაღლე არის 5 წყრთა. ეს ნაგებობა დგას სალოცავის შესასვლელთან. სალოცავის შიგნით ის შემდეგი მიზეზის გამო არ შეუტანიათ: როდესაც ამ სახლს მოათრევდნენ, რაკი საქმე მეტისმეტად გაჭიანურდა, მუშაობისგან გადაღლილი არქიტექტორი ძალიან ოხრავდა, ამასისმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამას და არ მისცა ნება, რომ შენობა კიდევ უფრო იქით გადაეტანათ. სხვები კიდევ იმას ამბობდნენ, რომ ერთი კაცი, მზიდავთაგანი, მის ქვეშ დაიღუპა ამ ადგილას და ამიტომ აღარ შეიტანეს სალოცავში.

176. სხვა სახელგანთქმულ სალოცავებსაც, ყველას ამასისმა სიდიდის თვალსაზრისით ღირშესანიშნავი ნამუშევრები შესწირა, მაგალითად მემფისში ჰეფამსტოსის სალოცავის წინ ზურგზე მწოლიარე გამოსახულება დადგა, რომლის სიმაღლე იყო 75 ფუტი. იმავე კვარცხლბეკზე, წმიდათაწმიდის აქეთ და იქით დადგა ეთიოპური ქვისაგან ნაკეთები ორი გამოსახულება, თითოეული 20 ფუტის სიდიდის, საისშიც არის მეორე ასეთივე ქვის გამოსახულება და ისიც იმნაირადვე დევს, როგორც მემფისში. ამასისმა მემფისში ისისის სალოცავი ააგო, დიდი და შესანიშნავი.

177. ამბობენ, რომ ამასისის მეფობის დროს ეგვიპტე განსაკუთრებით კეთილდღეობაში იყო, იმ მხრივაც, რასაც ქვეყანა იღებდა მდინარისაგან და იმ მხრივაც, რასაც ქვეყნისაგან ღებულობდნენ ადამიანები; მაშინ ეგვიპტეში სულ 20000 დასახლებული ქალაქი იყო. ამასისმა ეგვიპტელთათვის გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც ყველა ეგვიპტელი ყოველწლიურად უჩვენებდა ოლქის უფროსს, თუ რითი ცხოვრობდა. ვინც ამას არ გააკეთებდა და ვერ აჩვენებდა, რომ პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობდა, მას სიკვდილით სჯიდნენ. ათენელმა სოლონმა ეს კანონები ეგვიპტელთაგან გადმოიღო და დაუწესა ათენელებს; ეს კანონი უნაკლო იყო და იგი ათენელებს მუდამ უნდა დაეცვათ.

178. ამასისი ელინთმოყვრე იყო, ელინთაგან ზოგიერთებს ბევრი რამ კარგი გაუკეთა და ვინც მათგან ეგვიპტეში მოვიდოდა, ქალაქ ნავკრატისი მისცა დასასახლებლად. ვისაც არ უნდოდა ეგვიპტეში დასახლება და მხოლოდ სავაჭრო მიზნებით მოდიოდნენ ხომალდებით, მათ მიწები მისცა, რომ აეშენებინათ თავისი ღმერთებისათვის საკურთხევლები და სალოცავები. მათ შორის უდიდესი სალოცავი, ყველაზე სახელგანთქმული და განსაკუთრებით მოქმედი იყო ეგრეთ წოდებული ჰელენიონი; შემდეგმა ქალაქებმა ააშენეს ერთად ეს სალოცავი: იონიურმა: ქიოსმა, ტეოსმა, ფოკეამ და კლადომენემ; დორიულმა: როდოსმა, კინდოსმა, ჰალიკარნესოსმა და ფასელისმა; ეოლიურმა მხოლოდ მიტელენემ. ამათი არის ეს სალოცავი და ვაჭრობასაც ეს ქალაქები ზედამხედველობენ. ხოლო როდესაც სხვა ქალაქები მოინდომებენ ხოლმე ჩარევას, მათ უფლება არა აქვთ მონაწილეობისა. აფინელებმა ცალკე დაიდგეს თავისთვის ზევსის სალოცავი, ასევე - სამოსელებმა ჰერასი და მილეტელებმა - აპოლონისა.

179. უწინ მხოლოდ ნავკრატისი იყო სავაჭრო ადგილი და სხვა სავაჭრო ადგილი არა ჰქონდათ ეგვიპტელებს. თუ ვინმე ნილოსის რომელიმე სხვა შესართავში მივიდოდა, უნდა დაეფიცა, რომ უნებურად მოვიდა აქ და დაფიცების შემდეგ იმავე ხომალდით უნდა გაეცურა კანობოსის შესართავისაკენ. ანდა თუ ვერ შესძლებდა გაცურვას

პირქარის გამო, ტვირთი ნავეებით უნდა გადაეზიდა დელტის შემოვლით, ვიდრე ნავკრასტში არ მივიდოდა. ასე იყო ნავკრასტისი გამორჩეული.

180. როდესაც ამფიქტიონები, დელფოში რომ ახლა ტაძარია, მის გასაკეთებლად 300 ტალანტად გაურიგდნენ მეიჯარეებს (უწინდელი ტაძარი თავისთავად დაიწვა)¹, დელფოელებს საიჯარო თანხის მხოლოდ მეოთხედის გადახდა დასჭირდათ. დელფოელები დადიოდნენ სხვადასხვა ქალაქებში შეწირულებების შესაკრებად და ამას რომ აკეთებდნენ, ეგვიპტიდან ცოტა არ წამოუღიათ, ამისისმა მისცა მათ 1000 ტალანტი შაბი, ხოლო ეგვიპტეში მცხოვრებმა ელინებმა 20 მნა.

181. ამასისმა კირინელებთან მეგობრობა და სამხედრო კავშირი დაამყარა. მას ისიც კი უნდოდა, რომ იქიდან მოეყვანა თავისთვის ცოლი, ან იმიტომ, რომ ელინი ქალი უნდოდა ცოლად, ანდა იმიტომ, რომ კირინელებთან მეგობრობა კიდევ უფრო მეტად განემტკიცებინა. ზოგიერთები ამბობენ, რომ მან ცოლად შეირთო ბატოსის ასული, სხვები ამბობდნენ, რომ არკესილასის ქალი, ზოგი კიდევ ამბობდა, რომ მან მოიყვანა, სახელოვანი მოქალაქის, კრიტობულოსის ასული, რომელსაც სახელად ერქვა ლადიკე. ამასისი მასთან რომ წვებოდა, ვერ ახერხებდა შეუღლებას, სხვა ქალებთან კი საქმე კარგად გამოსდიოდა. როცა ეს ბევრჯერ განმეორდა, ამასისმა უთხრა ეგრეთ წოდებულ ლადიკეს: "ქალო, შენ მე მომაჯადოვე და ვერავითარი მანქანება ვერ გიხსნის უსასტიკესი სიკვდილისაგან, რაც კი ხვდომია წილად რომელიმე ქალს". ლადიკემ ბევრი იუარა, მაგრამ ვერ მოაღბო ამასისი, შემდეგ ილოცა გუნებაში აფროდიტეს მიმართ და აღუთქვა, თუ ამ ღამეს ამასისი შესძლებდა მასთან შეუღლებას (რადგან სიკვდილისაგან ქალს მხოლოდ ეს გადაარჩენდა), იგი ღმერთქალს ქანდაკებას გაუგზავნის კირენეში. ამ ღოცვის შემდეგ ამასისიმა მაშინვე მოახერხა მასთან შეუღლება. ამიერიდან ამასისი ყოველთვის ახერხებდა ქალთან თანაყოფას და ამის მერე მაგრად შეუყვარდა ცოლი. ლადიკემ ღმერთქალს დანაპირები შეუსრულა: გააკეთებინა ქანდაკება და გაგზავნა კირენეში, ის ჩემს დრომდე მთელი იყო და იდგა კირინელთა ქალაქის გარეთ. ეს ლადიკე უვნებელი გაუშვა კირენეში კამბისესმა, როდესაც ეგვიპტე დაიპყრო და შეიტყო მისგან მისი ვინაობა.

182. ამასისმა შესაწირვები ელადშიც გაგზავნა. კირინეში შესწირა ათენას მოოქრული ქანდაკება და თავისი საკუთარი გამოსახულება, ლინდოსის ათენას - ორი ქვის ქანდაკება და სელის შესანიშნავი აბჯარი, სამოსზე ჰერას - თავისი ორი ხის ხატი, რომლებიც ჯერ კიდევ ჩემს დრომდე იდგა დიდ ტაძარში კარს უკან. სამოსს შეწირულება თავისი და პოლიკრატეს ადაქსის მის მეგობრობის გამო გაუგზავნა, ხოლო ლინდოსს რაიმე მეგობრობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ როგორც ამბობენ, ლინდოსზე არის ათენას სალოცავი, რომელიც ააშენეს აქ მოსულმა დანაოსის ასულებმა, როდესაც ისინი გამოექცნენ ეგვიპტოსის ვაჟებს. აი, ესაა ამასისის შეწირულობანი, ხოლო კიპრის მან პრიველმა აიღო და დახარკა.

III წიგნი
თ ა ლ ე ა ა

1. ამ ამასისი წინააღმდეგ ილაშქრა კამბისესმა, კიროსის ძემ, მოიყვანა თან სხვებიც, ვისაც მართავდა და მათ შორის ელინთაგან იონიელები და ეოლიელები. მან შემდეგი

მიზეზების გამო ილაშქრა: კამბისესმა გაგზავნა ეგვიპტეში მოციქული და სთხოვა ამასისს ასული. მან ეს მოთხოვნა ერთი ეგვიპტელი კაცის რჩევით, რომელიც ამასისის უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ყველა ეგვიპტელი ექიმთაგანი ისე იყო ცოლსა და შვილებს მოწყვეტილი და სპარსელებში გაცემული მაშინ, როდესაც კიროსმა გაგზავნა ამასისთან კაცი და მოსთხოვა თვალის ეიმი, საუკეთესო მათ შორის, ვინც ეგვიპტეში იყო. ამაზე გაჯავრებული ეგვიპტელი აქეზებდა მას რჩევით და ეუბნებოდა კამბისესს, ეთხოვა ამასისისათვის ასული, იმის იმედით, რომ ამასისი ან მისცემდა და დამწუხრდებოდა, ან არ მისცემდა კამბისესს ქალს და ამით მას გადაიკიდებდა. ამასისი შეაწუხა სპარსელთა ძლიერებამ და შეშინებულმა არ იცოდა, მიეცა ასული, თუ უარი ეთქვა, რადგან კარგად იცოდა, რომ კამბისესს მისი ქალი ცოლად კი არ უნდოდა, არამედ ხარჭად. მან მოიფიქრა ყოველივე ეს და ასე მოიქცა; წინანდელ მეფეს, აპრიესს ჰყავდა ასული, ტანადი, ლამაზი და ამ დროისათვის მთელი სახლიდან მარტო ისღა იყო გადარჩენილი, სახელად ერქვა ნიტეტისი. ეს ქალი ამასისმა მორთო ტანსაცმლითა და ოქროულობით და გაუგზავნა სპარსელებს, როგორც საკუთარი ასული. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც კამბისესი ქალს ეალერსებოდა და მამსი სახელით იხსენიებდა, ქალმა უთხრა: "მეფეო, არც კი იცი, რომ ამასისმა მოგატყუა: მან მე მომართო და შენთან ისე გამომაგზავნა, თითქოს საკუთარ ასულს გაძლევდა, სინამდვილეში კი მე აპრიესის ასული ვარ, რომელიც მისი მეუფე იყო და რომლის წინააღმდეგაც ამბოხდა იგი ეგვიპტელებთან ერთად და მოჰკლა". ამ მონათხრობმა და მთელმა ამ ამბავმა დიდად განარისხა კამბისესი კიროსის ძე და ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლა განაზრახვინეს.

2. ასე ამბობენ სპარსელები, ხოლო ეგვიპტელები თავისად მიიჩნევენ კამბისესს, ისინი ამბობენ, რომ იგი ამ აპრიესის ასულისაგან არის დაბადებულიო, რადგან კიროსმა გაგზავნა კაცები ამასისთან ასულისათვის და არა კამბისესმაო. ისინი კი ამბობენ ამას, მაგრამ სწორედ არ ლაპარაკობენ. ეგვიპტელთათვის დაფრული არაა (რადგან თუ ვინმემ სხვამ იცის სპარსელთა წესები, ეგვიპტელებმაც იციან) ჯერ ეს ერთი ის, რომ სპარსელთა კანონის მიხედვით, ვერ იმეფებს უკანონო შვილი, მაშინ როდესაც არსებობს კანონიერი, და მეორეც ის, რომ კამბისესი იყო კასანდანეს შვილი აქადმენიდი ფარნასპესის ასულისა და არა ეგვიპტელი ქალისა. ეგვიპტელები ამახინჯებენ ამბავს და ისე გამოჰყავთ, თითქოს კიროსის სახლის ნათესავები არიან. ასე წარმოუდგენიათ მათ ეს ამბავი.

3. გადმოსცემენ კიდევ ასეთ ამბავსაც, მაგრამ მე ის არ მჯერა: ერთი სპარსელი ქალი მოვიდა კიროსის ცოლებთან და როდესაც დაინახა კასანდეანესთან მდგომი ლამაზი და ტანადი ბავშვები, განცვიფრებულმა ბევრი ქება წარმოთქვა. ხოლო კასანდანემ, რომელიც კიროსის ცოლი იყო, უთხრა შემდეგი: "აი, ასეთი ბავშვების დედა ვარ და კიროსი მე უპატიოდ მექცევა. ეგვიპტიდან მოყვანილი ქალი კი დიდ პატივში ჰყავს". ასე თქვა მან, ნინტესისით უკმაყოფილომ, ხოლო ბავშვთაგან უფროსმა, კამბისესმა თქვა: "დედა, თუ ასეა, როდესაც დავვაჟკაცდები, ეგვიპტეში რაც ზემოთ არის, ქვემოთ მოვაქცევ და რაც ქვემოთაა, იმას ზემოთ". ეს როცა თქვა კამბისესი დაახლოებით 10 წლისა იყო და ქალები გააოცა. მას კარგად ახსოვდა თავისი ნათქვამი და როდესაც დავაჟკაცდა და მიიღო სამეფო, ილაშქრა ეგვიპტის წინააღმდეგ.

4. კიდევ რთი ასეთი ამბავი მოხდა ამ ლაშქრობის დროს: ამასისის დაქირავებულთა შორის იყო ერთი კაცი, წარმოშობით ჰალიკარნესელი. მას სეხელად ერქვა ფანესი, ის

ჭკვიანი კაცი და მამაცი მეზრძოლი იყო. ეს ფანესი რაღაცაზე გაჯავრდა ამასისზე და ხომალდით გაიქცე ეგვიპტედან, უნდოდა კამბისესს მოლაპრაკებოდა. რადგანაც დაქირავებულ ჯარში მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა და ეგვიპტის ამბები მან ზედმიწევნით იცოდა, ამასისმა ყველა ზომა იხმარე მის დასაჭერად და დაადევნა თავისი უერთგულესი საჭურისი, რომელიც ტრიერით გაგზავნა. მან ფანესი ლიკიემი დაიჭრა, შეიპყრო, მაგრამ არ მოიყვანა უკან ეგვიპტეში, რადგან ფანესმა მას ჭკუით აჯობა. მან დაათრო დარაჯები და გაიქცა სპარსელებთან. როდესაც კამბისესი ეგვიპტის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა და აფიქრებდა მსვლელობა, რადგან უწყლო სივრცე ჰქონდა გადასასვლელი, მოვიდა მასთან ფანესი და დაუხასიათა ამასისის მდგომარეობა საზოგადოდ, თან აუხსნა, თუ როგორ უნდა იარონ და ურჩია: გაეგზავნა კაცები არაბთა მეფესთა და ეთხოვა მისთვის, რომ გადასასვლელი მისთვის უხიფათო გაეხადა.

5. მხოლოდ ამნაირად იყო ხსნილი გზა ეგვიპტეში. ფინიკიიდან ქალაქ კადიტისის საზღვრამდე არის პალეტინელებად წოდებული სირიელების ქვეყანა. ქალაქ კადიტისიდან (რომელიც, როგორც მე ვფიქრო, სარდზე ბევრად პატარა არაა), ქალაქ იენისოდამდე ზღვის გასწვრივ არის სავაჭრი პუნქტები, რომლებიც არაბთა მეფეს ეკუთვნის. იენისოსიდან ისევე სირიელთა ადგილებია, ვიდრე სერბონისის ტბამდე, ხოლო ტბასთან არის ზღვისაკენ გადაჭიმული კასიონის მთა. სერბონისის ტბიდან, რომელშიც, გადმოცემით, ტიფონია დამალული, აი, აქედან არის სწორედ ეგვიპტე ქალაქ იენისოსს, კასიონის მთისა და სერბონისის ტბას შორის, მცირე ტერიტორია არ არის, დაახლოებით 3 დღის სავალი გზაა და მთლად უწყლო.

6. ვინც ეგვიპტეში მოსულა, მათ შორის მხოლოდ ზოგიერთს თუ მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რაზედაც ახლა ვიწყებ თხრობას. ეგვიპტეში მთელი ელადიდან და ამას გარდა ფინიკიიდან ყოველწლიურად შემოაქვთ ღვინით სავსე თიხის ჭურჭლები და უნდა ითქვას, რომ ერთი ცარიელ ღვინის ჭურჭელსაც კი ვერ ნახავთ ეგვიპტეში. კაცმა რომ თქვას, რას უშვრებიან მათ? აი, ეს მინდა ვთქვა. თითოეულმა მამასახლისმა თავის ქალაქში უნდა შეაგროვოს მთელი თიხის ჭურჭელი და გაგზავნოს მემფისში, ხოლო მემფისიდან ისინი, წყლით ავსეულები, მიათქვთ სირიის უწყლო ადგილებში. ამრიგად, თიხის ჭურჭელი, რომელიც შემოდის და იცლება ეგვიპტეში, მიდის სირიეში, სადაც ემატება მასზე უწინ მიტანილ ჭურჭელს.

7. ამრიგად, სწორედ სპარსელებმა გაიკვლიეს ეს შესასვლელი ეგვიპტეში იმით, რომ ამნაირად მოამარაგეს ის წყლით მაშინვე, როგორც კი დაიპყრეს. მაგრამ ამ დროისათვის წყალი ჯერ არ ჰქონდათ მომზადებული და კამბისესმა, როგორც შეაგონა ჰალიკარნესელმა, გაგზავნა მოციქულები არაბების მეფესთან და სთხოვა, გავლის უშიშროება აღეთქვა, თვითონაც მისცა ამის პირობა და მისგანაც მიიღო.

8. არაბები სხვა ხალხებზე უფრო მტკიცედ ინახავე პირობას, რომელსაც შემდეგნაირად დებენ: როდესაც ორნი მოინდომებენ ხელშეკრულების დადებას, მესამე კაცი მათ შუაში ჩაუდგება და წვეტიანი ქვით გაუჭრის ხელის გულებს ცერების გასწვრივ ხელშეკრულების დამდებთ; შემდეგ თითოეულის ტანსაცმლიდან პატარას გამოაგლეჯს და წაუსვამს სისხლს შუაში დადებულ 7 ქვას. ამ დროს ის მოუწოდებს დიონისესა და ურანიეს. როდესაც ამას შეასრულებს, ხელშეკრულების დამდები,

თავის მეგობრებს წარუდგენს მეორეს, უცხოელი იქნება ის, თუ თანამოქალაქე (რადგან შესაძლოა ხელშეკრულება თანამოქალაქესთან იდებოდეს), ხოლო თვით მეგობრები ამის მერე ვალდებული არიან დადებულ ხელშეკრულებას პატივი სცენ. ღმერთთა შორის არაბები მხოლოდ დიონისესა და ურნიეს აღიარებენ და ამბობენ, რომ ისინი თავზე თმას ისევე იკრეჭენ, როგორც თვით დიონისეს აქვს გადაკრეჭილი: თმა იმათ მრგვალად აქვთ შემოკვერცხილი, ხოლო საფეთქლები გაპარსული. ისინი დიონისეს უწოდებენ ოროტალტს, ხოლო ურანიეს - ალილატს.

9. მას მერე, რაც არაბთა მეფემ კამბისესისაგან მოსულ მოციქულებთან დადო ხელშეკრულება, შემდეგი რამ მოაწყო: აქლემის ტყავის ტიკები აავსო წყლით, დატვირთა ყველა ცოცხალი აქლემი, შემდეგ გავიდა უწყლო მხრეში და იქ დაუცადა კამბისესის ლაშქარს. ეს არის ყველაზე უფრო სარწმუნო ამბავი. ხოლო საჭიროა ნაკლებ სანდო ამბის გადმოცემაც, რადგან მასაც მოგვითხრობენ. არაბეთში არის დიდი მდინარე, რომელსაც ჰქვია კორისი და რომელიც ერთვის ეგრეთწოდებულ მეწამულ ზღვას. ამბობენ, რომ არაბთა მეფემ ხარისა და სხვა ტყავებისაგან შეაკერინა მილები, რომლებიც ამ მდინარიდან აღწევდნენ უწყლო ადგილებს, მათში გაუშვა წყალი, ხოლო უწყლო მიწაზე მოათხრევინა დიდი წყალსაცავი, რომელშიც გროვდებოდა და ინახებოდა წყალი. მდინარიდან უწყლო ადგილებამდე 12 დღის სავალი გზაა. არაბთა მეფემ წყალი სამი მილით სამ ადგილას გაიყვანა.

10. ნილოსის ეგრეთწოდებულ პელუსიონის შესართავთან დაიბანაკა კამბისესის მოლოდინში ფსამენიტოსმა, ამასისის შვილმა. კამბისესი რომ ეგვიპტეში მოვიდა, ამასისი აღარ დახვდა ცოცხალი: ამასისმა იმეფა 44 წელი და მოკვდა. ხოლო ამ ხნის განმავლობაში მას არავითარი დიდი უსიამოვნება არ შეხვედრია. რომ მოკვდა, დაბალწამებული დამარხეს სალოცავის იმ აკლდამაში, რომელიც თვითონ ააგო. ფსამენიტოს ამასისის ძის მეფობაში ეგვიპტელებს დიდი სასწაული ეჩვენათ: ეგვიპტის თებეში მოვიდა წვიმა, თუმცა თვითონ თებელები ამბობენ, რომ იქ არასოდეს უწვიმია, არც უწინ და არც შემდეგ, ჩემს დრომდე. საერთოდ ზემო ეგვიპტეში არ წვიმს ხოლმე, ის კი არა, მაშინ თებეში, ალბათ, მხოლოდ წინწყლავდა.

11. სპარსელებმა რომ გადაიარეს უწყლო ადგილები, ეგვიპტელების მახლობლად დაიბანაკეს, რადგან მათთან ბრძოლას აპირებდნენ. იქ ეგვიპტის მეფის დაქირავებულმა ჯარმა, ელინმა და კარიელმა ვაჟკაცებმა, რომლებიც გაბრაზებული იყვნენ ფანესზე (იმიტომ, რომ ეს ეგვიპტის წინააღმდეგ მიუძღვოდა უცხო მტერს), შემდეგი რამ ჩაიდინეს: ფანესს ჰყავდა ეგვიპტეში დატოვებული შვილები, ისინი მოიყანეს ბანაკში, მამის დასანახად ორივე ბანაკს შორის დადგეს ჭურჭელი, შემდეგ შვილები სათითაოდ გამოიყვანეს და დაჰკლეს ჭურჭლის თავზე. შვილები, რომ ასე ამოუხოცეს, ღვინო და წყალი შეურიეს ამავე ჭურჭელში, შემდეგ მთელმა დაქირავებულმა ჯარმა დალია წყალ-ღვინონარევი სისხლი და ისე წავიდა საბრძოლველად, ძალიან ცხარე ბრძოლა იყო, ორივე ბანკიდან უამრავი ხალხი დაიღუპა და საბოლოოდ უკუიქცნენ ეგვიპტელები.

12. დიდი საკვირველება ვნახე აქ, რის შესახებაც გაგებული მქონდა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან დაცემულთა ძალები ცალ-ცალკე ყრია (ცალკე ყრია სპარსელთა ძვლები, როგორც თავიდანვე იყო გამოყოფილი და ცალკეა ეგვიპტელთა); სპარსელთა თავის ქალები ისე სუსტია, რომ თუ მოინდომებ

და ესვრი თუნდაც კენჭს, გახვრეტ კდიევაც, ხოლო ეგვიპტელთა თავის ქალები ისე მაგარია, რომ ძლივს გასტეხ, ქვაც რომ დაარტყა. ამის მიზეზად შემდეგს ასახელებენ და მეც ასე ადვილად დავიჯერე. ეგვიპტელები ბავშვობიდანვე იპარსავენ თავებს და მზისაგან ძვლები უუხეშდებათ, იგივე არის მიზეზი იმისა, რომ ისინი არ მელოტდებიან. ყველა ხალხთა შორის ყველაზე ნაკლები მეტლოების ნახვა ეგვიპტელებში შეიძლება. ეს არის მიზეზი იისა, რომ ეგვიპტელებს მაგარი თავები აქვთ; ხოლო სპარსელებს რომ სუსტი თავები აქვთ, ამის მიზეზი შემდეგია: ისინი ბავშვობიდანვე ინაზებენ თავებს იმით, რომ ნაბდის ქუდებს ატარებენ. აი, ასეა ეს ამბავი და ეს მე თვითონ ვნახე. ამის მსგავსი რამ ვნახე პაპრემისში, სადაც ინაროს ლიბიელმა ამოხოცა აქამდენს დარიოსის ძესთან ერთად მოსული სპარსელები.

13. ბრძოლაში დამარცხებული ეგვიპტელები ყოველგვარი წესრიგის გარეშე გაიქცნენ. მემფისში რომ გამოიკეტნენ, კამბისესმა თავის მოციქული სპარსელი მიტილენური ხომალდით აღმა მდინარეზე გაგზავნა, რომ მას ეგვიპტელთათვის დაზავება შეეთავაზებინა. ხოლო ეგვიპტელებმა, რომ დაინახეს მემფისში შესული ხომალდი, ერთბაშად გამოცვივდნენ გალავნიდან, გაანადგურეს ხომალდი, ხალხი სულ ასო-ასო აჰკუწეს და შევიდნენ ისევ გალავანში. ამის მერე ეგვიპტელებს ალყა შემოარტყეს და ცოტა ხნის შემდეგ ისინი დანებდნენ კიდევაც. ხოლო მეზობელი ლიბიელები შეშინდნენ იმის გამო, რაც ეგვიპტეს გადახდა თავს და თვითონ დანებდნენ სპარსელებს უბრძოლველად, ხარჯიც დაიწესეს და საჩუქრებიც გაუგზავნეს. კირენელებსა და ბარკელებს ისევე შეეშინდათ, როგორც ლიბიელებს და ისინიც ისევე მოიქცნენ. კამბისესმა ის საჩუქრები, რომლებიც ლიბიელთაგან მოუვიდა, კეთილად მიიღო, ხოლო კირენელთაგან გამოგზავნილი საჩუქრით უკმაყოფილო დარჩა, რადგან ვფიქრობ, იცოტავა (კირინელებმა ხომ მხოლოდ 500 ვერცხლის მნა გაუგზავნეს). მან დასტავა ხელი ამ ფულებს და თავისივე ხელითვე გადაუყარა ლაშქარს.

14. მემფისის სიმაგრის აღების მეათე დღეს კამბისესმა შეურცხყოფის მისაყენებლად ქალაქის გარეუბანში დასვა ეგვიპტელთა მეფე ფსამენიტოსი, რომელიც 6 თვეს მეფობდა. დასვა ის სხვა ეგვიპტელებთან ერთად და მისი სულიერი სიმტიცის გამოსაცდელად შემდეგი გააკეთა: მის ასულს ჩააცვა მონის ტანსაცმელი და კოკით ხელში გაგზავნა წყალზე. მასთან ერთად გამოარჩია და გაგზავნა სხვა თავკაცების ასულებიც, რომლებიც ისევე იყვნენ ჩაცმულები, როგორც მეფის ასული. ქალწულებმა თავისი მამების წინ ყვირილით და ტირილით ჩაიარეს; ყველა სხვა მამები აყვირდნენ და ატირდნენ თავიანთი შვილები შავ დღეში რომ დაინახეს, ხოლო ფსამენიტოსმა რომ შეხედა და მიხვდა რაც იყო, ჩაჰქინდრა თავი. როდესაც წყლისმზიდველებმა გაიარეს, შემდეგ კამბისესმა გაგზავნა მეფის ძე სხვა 2000 მისი ასაკის ეგვიპტელთაერთად, რომელთაც კისრებზე თოკები ებათ და პირში ლაგამი ჰქონდათ ამოდებული. ასე მიჰყავდათ ისინი დასასჯელად, რათა სამაგიერო მიეზღოთ მათთვის მემფისში მიტილენელების ხომალდიანად დაღუპვისათვის. მეფის მოსმართლეებმა ასეთი რამ დაადგინეს: თითოეული კაცის სანაცვლოდ ათი ეგვიპტელი წარჩინებული უნდა დაღუპულიყო. ფსამენიტოსმა დაინახა ესენი, გვერდით რომ ჩაუარეს და მიხვდა, რომ მისი შვილი მოსაკლავად მიჰყავდათ და მაშინ როდესაც მის ირგვლივ მსხდომი ეგვიპტელები ტიროდნენ და საშინლად მოსთქვამდნენ, მან კვლავ ჩუმად ჩაჰქინდრა თავი. ამათაც რომ ჩიარეს, გამოჩნდა ფსამენიტოსის ერთი ხნიერი თანამეინახე, რომელსაც მთელი ქონება დაჰკარგოდა,

ახლა აღარაფერი ჰქონდა და მათხოვარივით დათხოვლობდა ლაშქარში. მან ჩაუარა ფსამენისტოსს, ამასისის ძეს და მასთან ერთად გარეუბანში მსხდომ ეგვიპტელებს. ფსამენისტოსმა რომ დაინახა, იტირა დიდი ხმით, სახელი დაუძახა მეგობარს და თავში წაიშინა. მასთან იმყოფებოდნენ დარჯები, რომლებიც კამბისესს მოახსენებდნენ, როგორ იქცეოდა ფსამენისტოსი ყველა ცალკეულ შემთხვევაში. გაუკვირდა კამბისესს ის, რაც მოხდა, გაუგზავნა მას მოციქული და მისი პირით შეეკითხა შემდეგს: "ფსამენისტოსს, მეფე კამბისესის გეკითხება შენ: რატომაა, რომ შავ დღეში მყოფი ასულისა და სასიკვდილოდ გაგზავნილი ვაჟის დასახვავზე არც გიყვირია და არც გიტირია, ხოლო მათხოვარი, რომელიც შენი ნათესავიც კი არ არის (როგორც სხვათაგან შეუტყვია კამბისესს), ასე დააფასე". მოციქულმა ეს ჰკითხა ფსამენისტოსს, ხოლო ფსამენისტოსმა მას უპასუხა: "კიროსის ძეო, საკუთარი განსაცდელი მეტისმეტად დიდია საამისოდ, რომ იმაზე იტირო. ხოლო იმ მეგობრის საწუხარი ღირსია ცრემლებისა, რომელიც მოხუცებულობის ზღურბლს მიღწეული სიმდიდრიდან და ბედნიერებიდან სიღატაკეში ჩავარდა". როდესაც ეს პასუხი მოუტანეს და მოისმინა კამბისესმა, დაეთანხმა ნათქვამს. როგორც ეგვიპტელები ამბობენ, კროდოსმა იტირა (ეს იყო, რომ ესეც თან ახლდა კამბისესს ეგვიპტეში) და იტირეს იმ სპარსელებმა, ვინც ამ დროს იქ იყვნენ. ხოლო თვით კამბისესი სიბრალულმა შეიპყრო და მაშინვე ბრძანა, მეფის შვილი სიკვდილისაგან ეხსნათ, ხოლო ფსამენისტოსი გარეუბნიდან წამოეყვანათ და მისთვის მიეგვარათ.

15. გაგზავნილებს ყმაწვილი ცოცხალი აღარ დახვდათ, რადგან ის პირველი მოეკლათ, ხოლო თვითონ ფსამენისტოსი ააყენეს და წამოიყვანეს კამბისესთან. ამის მერე ის ცოვრობდა კამბესისთან და არავითარი ძალადობა არ გაუცდია. ის კიარა, მას რომ შეძლებოდა და არ ეფიქრა განდგომაზე, ეგვიპტესაც კი მიიღებდა სამერუვეოდ, რადგან სპარსელები, ჩვეულებრივ, პატივს სცემდნენ ხოლმე მეფეთა შვილებს: მეფეების განდგომის შემთხვევაში, ისინი მაინც აძლევდნენ ხოლმე ძალაუფლებას მათ შვილებს. რომ ისინი, ჩვეულებრივ, ასე იქცევიან, ამის შესახებ ბევრი სხვა რამის მიხედვით შეიძლება მსჯელობა და ამას მოწმობს ინაროსის შვილის, თანირასის მაგალითი, რომელსაც დაუბრუნეს ის ძალაუფლება, რაც მის მამას ჰქონდა; იგივე ითქმის ამირტადოსის ძის, პავსირისის მიმართაც. ეს მაშინ, როდესაც სპარსელებისათვის არავის მიუყენებია ინაროსსა და ამირტადოსზე უფრო მეტი ზიანი. ახლა კი ფსამენისტოსი ბორტოს იზრახვიდა და ამისთვის მიეზღო სამაგიერო: იგი ამხილეს იმაში, რომ ეგვიპტელებს აჯანყებდა და შეიტყო თუ არა ეს კამბისესმა, დააღვიძნა მას ხარის სისხლი და ის მაშინვე მოკვდა. ასე მოკვდა ფსამენისტოსი.

16. კამბისესი მემბისიდან ქალაქ საისში მივიდა და რისი გაკეთებაც უნდოდა, კიდევაც გააკეთა. შევიდა თუ არა ამისისის სახლში, ბრძანა ამისისის გვამი აკლდამიდან გარეთ გამოეტანათ. როგორც კი აუსრულეს განკარგულება, მან ბრძანა, გვამი გაემთრახებინათ, მისთვის თმები დაეწეწათ, დაეჩხვლიტათ და სხვა მრავალი შეურცხყოფა მიეყენებინათ. როდესაც ყოველივე ამის მოქმედნი დაიღალნენ (დაბალზამებულმა გვამმა ყველაფერს გაუძლო და არ დაიშალა), კამბისესმა ბრძანა, გვამი დაეწვათ; ეს განკარგულება კი მკრებელობა იყო, რადგან სპარსელები ცეცხლს ღმერთად მიიჩნევენ. მართლაც და გვამების დაწვა არც ერთ ამ ხალხს წესად არ აქვს, სპარსელებს უკვე თქმული მიზეზის გამო, კერძოდ ისინი ამბობენ, რომ სწორი არაა ადამიანის გვამი ღმერთს მისცე. ხოლო ეგვიპტელებს კი იმიტომ, რომ ცეცხლი განსულირებულ არსებად მიაჩნიათ, რომელიც ყოველივეს სჭამს, რასაც კი იღებს და

საჭმლით რომ გამოძლება, კვდება მასთან ერთად, რაც შეჭამა. ეგვიპტელები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ, რომ ცხოველებს გადაუგდონ გვამი და იმიტომ ახალზამებენ მას, რომ მიწაზე დადებული მატლებმა არ შეჭამონ. ამრიგად კამბისესის განკარგულება ორივე ამ ხალხის ჩვეულებებს ეწინააღმდეგებოდა. როგორც ეგვიპტელები ამბობენ, ყოველივე ეს ამასისის გვამს კი არ გადახდა, არამედ სხვა ვიღაც ეგვიპტელისას, რომელიც გარეგნობით ამასისს ჰგავდა. ის შურაცხევებს სპარსელებმა და ეგონათ, რომ ამასისს შეურაცხყოფდნენ. ამბობენ, რომ ამასისმა შეიტყო მისნობისაგან, თუ რა გადახდებოდა და თავს სიკვდილის შემდეგ და რაც უნდა მომხდარიყო, იმით აიცდინა თავი, რომ ეს გამათრახებული კაცი, მისი სიკვდილისთანავე საკუთარი სამარხის კარში დაამარხვინა, ხოლო სვილს უბრძანა, თვითონ ამავე აკლდამის ყველაზე მიყრუებულ კუნჭულში დაემარხათ. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ამასისის ეს განკარგულება თავისი და იმ კაცის დამარხვის შესახებ სულაც არ ყოფილა და რომ ეს ყოველივე ეგვიპტელების გამოგონილია.

17. ამის შემდეგ კამბისესმა გადაწყვიტა სამი ლაშქრობა: კარქედონელების წინააღმდეგ, ამონების წინააღმდეგ და დღეგრძელი ეთიოპელების წინააღმდეგ. რომლებიც ცოხვრობდნენ ლიბიეში, სამხრეთის ზღვასთან¹. თათბირის შემდეგ დაასკვნა კარქედონელთა წინააღმდეგ საზღვაო ლაშქარი გაეგზავნა, ამონების წინააღმდეგ ქვეიტი ჯარის ნაწილი გამოარჩია, ხოლო ეთიოპელების წინააღმდეგ ჯერ მეთვალთვალები გგზავნა, რომ იმათ ენახათ, მართლა არის თუ არა სწორედ ამ ეთიოპელებში მათ მიერ ხსენებული "მზის მაგიდა" და ამას გარდა სხვა რამეებიც დაეზვერათ; ეს ყოველივე ხდებოდა იმ საბაბით, რომ მათ მეფესთან საჩუქრები მიჰქონდათ.

18. ხოლო "მზის მაგიდაზე" ამას ამბობენ: ქალაქის გარეუბანსი არის მინადორი, სავსე ყოველგვარი ოთხფეხის მოხარშული ხორცი. ღამდამობით ამ ქალაქის ყველა მაღალი თანამდებობის ირს ევალეობდა ხორცი მოეტანა აქ, ხოლო დღისით მოდიოდნენ მსურველები და სჭამდნენ მას. ადგილობრივი მცხოვრებლები კი ამბობენ, რომ თვით მიწა იძლევა ყოველივე ამასო. აი, ამბობენ, რომ ასეთია ეგრეწოდებული "მზის მაგიდა".

19. კამბისესმა რომ გადაწყვიტა მეთვალყურეების გაგზავნა, მაშინვე გამოიხმო ქალაქ ელეფანტინედან ზოგიერთი იხთიოფაგი, რომელთაც იცოდნენ ეთიოპური ენა. ვიდრე ისინი მოვიდოდნენ, კამბისესმა ბრძანა, კარქედონის წინააღმდეგ გაეცურა ფლოტს, ხოლო ფინიკიელებმა უარი თქვეს ამაზე, რადგან დიდი ფიცით იყვნენ შეკრულნი, რომ არ ჩაიდენდნენ არაფერს უწმინდურს და საკუთარი შვილების წინააღმდეგ არ ილაშქრებდნენ. რადგან ფინიკიელებმა ეს არ მოინდომეს, დანარჩენები აღარ კაროდნენ ომისათვის. ამრიგად გადაურჩნენ კარქედონელები სპარსელთა მიერ დამონებას. კამბისესს სამართლიანად არ მიაჩნდა ფინიკიელების იძულება, რადგან ისინი ნებაყოფლობით დამორჩილდნენ სპარსელებს და სპარსელთა მთელი საზღვაო ფლოტი ფინიკელთაგან იყო დამოკიდებული. კიპროსელებიც, ასევე, თვითონ დანებდნენ სპარსელებს და მათთანერთად ილაშქრეს ეგვიპტის წინააღმდეგ.

20. როდესაც კამბისესთან მოვიდნენ ელეფანტინედან იხთიოფაგები, მან გაგზავნა ისინი ეთიოპელებთან და უბრძანა, რა უნდა ეთქვათ. მათ წაიღეს საჩუქრები:

მოწეულის ტანსაცმელი, ყელსაბამი ოქროს მეწკვი, სამაჯურები, ალუბასტრის ჭურჭელი ნელსაცხებლით და ერთი ხელადა პალმის ღვინო. ამბობენ, რომ ეს ეთიოპელები, რომელთანაც გაგზავნა კამბისესმა თავისი კაცები, ყველაზე უფრო ტანადები და ლამაზები არიან ყველა ხალხთა შორის. ამბობენ, რომ ისინი მისდევენ სრულიად სხვა კანონებს, რომლებითაც გამოირჩევიან სხვა ხალხებისაგან, სახელდობრ, სამეფო ხელისუფლების მიმართ ასეთი კანონი აქვთ. მოქალაქეთა შორის ირჩევენ უდიდესს ტანადობით, რომელსაც თავისი ამ ახოვანების შესაფერისი ძალაც აქვს და ეს არის ღირსი მეფობისა.

21. ამ ხალხებთან რომ მოვიდნენ იხთიოფაგები, გადასცეს საჩუქები მათ მეფეს და უთხრეს შემდეგი: "სპარსელთა მეფეს, კამბისესს უნდა გახდეს შენი მოკავშირე და მეგობარი, ამიტომ გამოგვგზავნა შენთან მოსალაპარაკებლად და გვიბრძანა, გადმოგვეცა შენთვის საჩუქრები, რომლებიც თვით მასაც ყველაზე დიდ სიამოვნებას მოჰგვრიდნენ". ხოლო ეთიოპელი მიხვდა, რომ მასთან მეთვალთვალები მოვიდნენ და უთხრა მათ შემდეგი: "სპარსელთა მეფემ იმიტომ არ გამომგზავნათ ჩემთან საჩუქრებით, რომ დიდ პატივად მიაჩნია ჩემთან მეგობრობა, არც თქვენ მეუბნებით მართალს (თქვენ ხომ მეთვალთვალებად მოხვედით ჩემს სახელმწიფოში) და არც ის კაცია პატიოსანი. ის რომ პატიოსანი კაცი იყოს, თავისი ქეყნის გარდა სხვა ქვეყანას არ მოინდომებდა და არც იმ ხალხის დამონებად დააპირებდა, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია. ახლა კი გადაეცით მას ეს მშვილდი და უთხარიტ: ეთიოპელთა მეფე ურჩევს სპარსელთა მეფეს, მაშინ ილაშქრონ მათ დღეგრძელ ეთიოპელების წინააღმდეგ, თუნდაც რიცხოვრივად აღმატებულებებმა, როდესაც სპარსელები ასევე ადვილად მოსწევენ მშვილდს, რომელიც სიდიდით ამოდენავე იქნება; ხოლო მანამდე კი ღმერთებს მადლობას უნდა სწირავდეს, რომ მათ არ ჩააგონეს ეთიოპელეთა შვილებს სხვა მიწაც შეემატებინათ თავისათვის".

22. ეს თქვა, მოუშვა მშვილდი და გადასცა მოსულეებს. შემდეგ აიღო მოწეულის ტანსაცმელი და იკითხა, თუ რა არის და როგორაა გაკეთებული. როდესაც ითხიოფაგებმა სიმართლე უთხრეს მოწეულისა და მისი შეღებვის შესახებ, მან თქვა, რომ, ეს ხალხი მატყუარაა და მათი ტანსაცმელიც მაცდუნებელია; მეორედ მან ოქროულზე იკითხა, ყელსაბამი მეწკვიზე და სამაჯურებზე, როდესაც იხთიოფაგებმა აუხსენეს მას, რომ ეს მისი სამკაულებია, მეფეს გაეცინა, რადგან ეს ნივთები მან ბორკილებად მიიჩნია და თქვა, რომ მის ქვეყანაში ამათზე ბევრად უფრო მაგარი ბორკილები აქვთ. მესამედ მან ნელსაცხებლის შესახებ იკითხა. როდესაც უამბეს მისი დამზადებისა და ხმარების შესახებ, მეფემ იგივე სიტყვები თქვა, რაც ტანსაცმელთან დაკავშირებით, ხოლო როდესაც ჯერი ღვინოზე მიდგა და შეიტყო მისი დამზადების წესი, ძალიან მოეწონა სასმელი და იკითხა, თუ რას სჭამს სპარსთა მეფე და რამდენ ხანს ცოცხლობს ყველაზე დღეგრძელი სპარსელი. იხთიოფაგებმა უთხრეს, რომ სპარსთა მეფე ჭამს პურს და აუხსენეს, რა არის ხორბალი, ხოლო ყველაზე ხანგრძლივ სიცოცხლედ სპარსელისათვის გამოაცხადეს 80 წელი. ამაზე ეთიოპელმა თქვა, რომ მას არ უკვირს, რომ ისინი ასე ცოტა ხნას ცოცხლობენ, რაკიდან ნეხვს ჭამენ. მაგრამ ისინი ამდენ ხანსაც ვერ იცოცხლებდნენ, რომ ასეთი სასმელი არ ჰქონდეთ მოსაღონივრებლად (აქ იხთიოფაგებს მიუთითა ღვინოზე). აი, ამითია, რომ მისიანები ჩამორჩებიან სპარსელებს.

23. როდესაც იხთიოფაგები თავის მხრივ შეეკითხნენ მეფეს მათი სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მათი ცხოვრების შესახებ, მან უპასუხა, რომ ბევრი მათგანი აღწევს 120 წელს, ზოგიერთები კი ამასაც აჭარბებენ, რომ მათ საჭმელად აქვთ მოხარშული ხორცი და სასმელი კი რძე. როდესაც მეთვალთვალებმა გაკვირვება დაიმჩნიეს წლების ხანგრძლივობის გამო, ისინი წყაროსთან წაიყვანეს. მასში დაბანილები ბრწყინვას იწყებდნენ, თითქოს ის ზეთისა ყოფილიყოს და მისგან ისეთი სუნი მოდიოდა, როგორც იისაგან. მეთვალთვალები ამბობდნენ, რომ ამ წყაროს წყალი ისე მსუბუქია, რომ არაფეს იტივტივებს, არც ხეს და არც სხვა რასმე, ხეზე უფრო მსუბუქს, ის კი არა, ყველაფერი იძირება მასშიო. თუ ეს წყალი მართლაც ისეთია, როგორსაც ამბობენ, რაკილა ყოველთვის მას ხმარობენ, ალბათ ამიტომ არიან ეთიოპელები დღეგრძელები. მეთვალთვალები წყაროდან ხალხთა საპყრობილეში წაიყვანეს, სადაც ყველას ოქროს ბორკილი ედო. ამ ეთიოპელებში სპილენძი ყველაზე იშვიათი და ძვირფასი რამ არის. საპყრობილე რომ დაათვალიერეს, შემდეგ დაათვალიერეს ეგრეთწოდებული "მზის მაგიდაც".

24. ამის მერე, ბოლოს და ბოლოს, დაათვალიერეს ეთიოპელთა აკლდამებიც, რომლებიც ამბობენ, შემდეგნაირად არის მიწისაგან გაკეთებული: მას მერე, რაც გვამს გამოაშრობენ (ან ისე, როგორც ეგვიპტელები, ან როგორმე სხვაგვარად), დაჰფარავენ მას მთლიანად თაბაშირით და შეამკობენ მხატვრობით, თანაც ისე, რომ შესახედავად რამდენადაც შესაძლებელია ჰგავდეს მიცვალებულს, შემდეგ შემოუდგამენ მას ირგვლივ მინისაგან გაკეთებულ ცარიელ სვეტს (ამ მასალას აქ დიდი რაოდენობით თხრიან და ის ადვილად დასამუშავებელია). სვეტში ჩადგმული გვამი კარგად ჩანს, მას არც ცუდი სუნი ასდის და არც სხვა მხრივ არის უსიამოვნო, საერთოდ, მთლიანად ისევე გამოიყურება, როგორც თვით გვამი. მახლობლებს მთელი წლის განმავლობაში სახლებში აქვთ ეს სვეტი, მოაქვთ მისთვის პირველი ნაყოფები და სწირავენ მსხვერპლს. ამის მერე გააქვთ და სდგამენ ქალაქის მახლობლად.

25. მეთვალთვალებმა ყოველი ეს ნახეს და უკან გაბრუნდნენ. როდესაც ეს ამბები მოიტანეს, კამბისესი განრისხდა და მაშინვე გაილაშქრა ეთიოპელებზე ისე რომ, არც კი გაუცია განკარგულება სურსათის მომარაგების შესახებ და არც ის მიუღია მხედველობაში, რომ ქვეყნის კიდეზე მოუწევდა ლაშქრობა. ამრიგად, მან როგორც კი მოუსმინა იხთიოფაგებს, მაშინვე გაილაშქრა, როგორც შლეგმა და არა გონიერმა. მასთან მყოფ ელინებს უბრძანა იქვე დარჩენილიყვნენ, ხოლო ქვეითი ჯარი მთლიანად თან წაიყვანა. ლაშქრობისას თებეში რომ მივიდა, გამოჰყო თავისი ჯარიდან დაახლოებით 50000 კაცი და უბრძანა მათ დაემონებინათ ამონიები და დაეწვათ ზევსის სამისნო, ხოლო თვითონ დანარჩენი ლაშქრით წავიდა ეთიოპელების წინააღმდეგ. ლაშქარს გზის მეხუთედიც არ გაევიდა, რომ გაუთავდათ მთელი სურსათი. საგზლის შემდეგ სახედრებს მიჰყვეს ხელი და ისინიც შთანთქქეს. კამბისესს რომ მაშინვე შეეცვალა თავისი განზრახვა და ჯარი უკან გაებრუნებინა, მიუხედავად თავიდანვე დაშვებული შეცდომისა, ის მაინც ჰკვიანი კაცი იქნებოდა. მაგრამ ის არაფერს აქცევდა ყურადღებას და სულ წინ მიდიოდა. ჯარისკაცები, სანამ მიწაზე მაინც შოულობდნენ საზრდოს, სჭამდნენ ბალახებს და იმით ირჩენდნენ თავს. ხოლო როდესაც უდაბნოში გადავიდნენ, ზოგიერთმა მათგანმა საშინელი საქმე დაატრიალა. კენჭი იყარეს ერთმანეთში და ათი კაციდან ერთი შეჭამეს. კამბისესმა რომ ეს შეიტყო, შეეშინდა ერთმანეთი არ ამოსჭამონო. თავი გაანება ეთიოპელებზე ლაშქრობას და უკან დაბრუნდა, მაგრამ ვიდრე თებეს მიაღწევდა, ლაშქარის დიდი

ნაწილი ამოუწყდა. თებედან ჩავიდა მემფისში და გაუშვა ელინები, რომ გაეცურათ თავისი ქვეყნისაკენ.

26. ასე დამთავრდა ეთიპოელების წინააღმდეგ ომი, ხოლო იმათ, ვინც ამონების წინააღმდეგი იყვნენ სალაშქროდ გაგზავნილი, თებედან რომ გავიდნენ, წინამძღოლები ჰყავდათ; ცნობილია, რომ მათ მიაღწიეს ქალაქ ოასისს, რომელიც გადმოცემით ეჭირათ სამოსელებს, აფსქრიონის ფილედან; იგი დაშორებულია თებეს 7 დღის სავალი გზით, რომელიც უდაბნოებზე გადის. ელინურ ენაზე ამ ადგილს ეწოდება ნეტართა კუნძულები. ამბობენ, რომ სწორედ ამ ადგილას მოვიდა ლაშქარი, ხოლო ამის მერე მათ შესახებ სხვა არავინ არაფერი იცის, გარდა თვითონ ამონებისა და იმათი, ვინც მათი ნათქვამი მოისმინა. ეს იმიტომ, რომ მათ ვერც ამონიებამდე მიაღწიეს და ვერც უკან დაბრუნდნენ, ხოლო ამონიები მათ შესახებ შემდეგს ამბობენ: მას მერე, რაც სპარსელები ამ ოასისიდან წამოვიდნენ, უდაბნოზე გადაიარეს და მათ წინააღმდეგ გამოემართნენ, ოასისსა და მათ შორის თითქმის შუა გზაზე რომ იყვნენ, საუზმისას მეტისმეტად ძლიერმა სამხრეთის ქარმა დაბერა, იმათ დიდძალი ქვიშა მიაყარა და ამ ქვიშის ქვეშ დამარხა. აი, ამგვარად, გაუჩინარდნენ ისინი. აი, ასე გვიამბობენ ამონიელები ამ ლაშქრის შესახებ.

27. როდესაც კამბისესი მემფისში მოვიდა, ეგვიპტელებს გამოეცადა აპისი, რომელსაც ელინები ეპაფოსს უწოდებენ. მისი გამოჩენისთანავე, ეგვიპტელებმა საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვეს და საზეიმოდ განწყვიტდნენ. კამბისესმა რომ დაინახა, რას აკეთებდნენ ეგვიპტელები, დანამდვილებით იფიქრა, რომ მის თავს დატეხილი უბედურების გამო ხარობენ ისინი ასე და გამოუძახა მემფისის მერუვეებს. როდესაც ისინი წარდგნენ მის წინაშე, კამბისის შეეკითხა მათ, უწინ რომ ვიყავი მემფისში, ეგვიპტელებს ასეთი არაფერი გაუკეთებიათ, ახლა კი, როდესაც ლაშქრის დიდი ნაწილი დაგვარგე, რატომ აკეთებენო. მათ მიუგეს, რომ ეგვიპტელებს ახლა გამოეცხადათ ღმერთი, რომელიც მათ ჩვეულებრივ იშვიათად ეჩვენებათ ხოლმე და როდესაც კი ის გამოჩნდება, მაშინ ყველა ეგვიპტელი, დიდად გახარებული დღესასწაულობს. კამბისესმა რომ ეს მოისმინა, თქვა, რომ ისინი სტყუიან და როგორც მატყუარები სიკვდილით დასაჯა.

28. ისინი რომ დახოცეს, შემდეგ კამბისესმა ქურუმებს გამოუძახა. როდესაც ქურუმებმაც იგივე უთხრეს, მან თხოვა, რომ ნუ დაუმალავენ მას, კეთილია თუ არა ის ღმერთი, რომელიც მოევლინა ეგვიპტელებს. ეს თქვა და უბრძანა ქურუმებს მასთან მოეყვანათ აპისი. ისინი წავიდნენ მის მოსაყვანად. ეს აპისი ანუ ეპაფოსი არის ხბო, დაბადებული ძროხისაგან, რომელსაც ამის მერე აღარასოდეს შეეძლება დამაკება და სხვა ხბოს მოგება. ეგვიპტელები ამბობენ, რომ ძროხას სხივი ეფინება ციდან და ამ სხივისაგან აჩენს ის აპისს. ამ ხბოს, რომელსაც აპისი ეწოდება, შემდეგი ნიშნები აქვს: ის შავია, შუბლზე აქვს თეთრი ოთხკუთხა ხალი, ზურგზე კი არწივის გამოხატულება, კუდზე აქვს ორმაგი ბალანი, ხოლო ენის ქვეშ - ხოჭოს მსგავსი წანაზარდი.

29. როდესაც ქურუმებმა მოიყვანეს აპისი, კამბისესმა, რომელიც უკვე ჰკუიდან იყო შეშლილი, იმიშვლა მახვილი, უნდოდა აპისისათვის მუცელში ჩაეცა, მაგრამ თემოზე მოუხვდა. კამბისესმა გაიცინა და უთხრა ქურუმებს: " თქვე უბედურებო, განა არიან ამნაირი ღმერთები, რომელთაც სისხლიც აქვთ, ხორციც და რკინისაგანაც ივნებიან?"

მაგრამ სწორედ ეგვიპტელთა შესფერისია ასეთი ღმერთი. თქვენ კი, ჩემი დაცინვა იოლად არ ჩაგივლით". ეს თქვა და უბრძანა დამსჯელებს, ქურუმები გაემთრახებინათ, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ეგვიპტელებს, ვისაც კი შეიპყრობდნენ მოდღესასწაულეს, უნდა დაეხოცათ. ასე დამთავრდა ეგვიპტელების დღესასწაული, ქურუმები დაისაჯნენ, ხოლო თეძოში დაჭრილი აპისი სალოცავში დაილუპა.

ჭრილობისაგან გარდაცვლილი აპისი ქურუმებმა კამბისესის ჩუმად დამარხეს.

30. როგორც ეგვიპტელები ამბობენ, კამბისესი ამ უსამართლობის ჩადენის გამო მაშინვე გაგიჟდა, თუმცა არც უწინ იყო მაინცდამაინც გონიერი. პირველად მან დალუპა სმერდისი, როლმელიც მისი ძმა იყო მამითაც და დედითაც. ის მან შურით გაგზავნა ეგვიპტიდან სპარსეთში, რადგან სპარსელთა შორის მხოლოდ მან შეიძლოა ორი თითის დადებაზე იმ მშვილდის მოწვევა, რომელიც ეთიოპელისაგან მოიტანეს იხთიოფაგებმა. სპარსელთაგან სხვა ვერავინ შეძლო ამის გაკეთება. როდესაც სმერდისი სპარსელებში გაგზავნა, კამბისესმა ძილში ასეთი სიზმარი ნახა. მას ეჩვენა, რომ სპარსელთაგან მოვიდა მასთან მოციქული და აცნობა, რომ სამეფო ტახტზე ზის სმერდისი, რომელიც თავით ეხება ზევას. ამის მერე კამბისესს შეეშინა, რომ ძმას ის არ მოეკვლევინებინა და თვითონ არ დამჯდარიყო ტახტზე და სპარსელებში გაგზავნა პრექსასპესი, სპარსელთა შორის მისთვის ყველაზე სანდო კაცი, რომ მას მოეკლა მისი ძმა, პრესასპესი ავიდა სუსამი და მოჰკლეს სმერდისი. ზოგი ამბობს, რომ სანადიროდ წაიყვანა და ისე, ხოლო სხვები ამბობენ, რომ წაიყვანა და მეწამულ ზღვაში ჩაახრჩო.

31. ამბობენ, რომ ეს იყო კამბისესის მიერ ჩანდენილი პირველი ბოროტება. მეორე ბოროტება იყო ის, რომ მან მოჰკლა თავისი და, რომელიც გაჰყვა მას ეგვიპტეში და რომელთანაც ის ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი და იყო ორივე მხირვ. იგი მან ასე შეირთო (სპარსელებს ამაზე უწინ სულაც არ სჩვეოდათ თავის დებთან ცხოვრება): კამბისესს შეუყვარდა ერთი თავისი და, მოუნდა მისი შერთვა და რაკილა წესი არ იყო, რომ ეს სურვილი შეესრულებინა, დაუძახა სამეფო მოსამართლეებს და შეეკითხა მათ, არის თუ არა რაიმე კანონი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია დის ცოლად შერთვა. სამეფო მოსამართლეები სპარსელთაგან არიან ამორჩეული და რჩებიან ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე ან მანამ, ვიდრე არ აღმოუჩენენ მათ რაიმე უსამართლო საქციელს. ესენი სჯიან სამართალს სპარსელთა შორის, განმარტავენ მამაპაპეულ კანონებს და ყველაფერი დამოკიდებულია მათზე. კამბისესის შეკითხვას მათ სამართლიანად უპასუხეს და თან ისე, რომ თვითონ არაფერი ვნებოდნენ. მათ თქვეს, რომ ვერ იპოვეს ისეთი კანონი, რომელიც ძმას ნებას რთავდა დის შერთვისას, მაგრამ აღმოაჩინეს სხვა კანონი, რომლის თანახმადაც სპარსთან მეფეს შეუძლია გააკეთოს, რაც კი მოუნდება. ამრიგად, კამბისესის შიშით არც კანონი დაარღვიეს და რომ არც თვითონ დალუპულიყვნენ კანონის დაცვისათვის, გამოძებნეს სხვა კანონი, რომელიც დის შერთვის მოსურნე მეფეს დაეხმარებოდა. მაშინ კამბისესმა შეირთო ის, ვინც უყვარდა, ხოლო ამის მერე დიდხანს არ გაუვლია, რომ შეირთო მეორე დაც, მათ შორის უმცროდი და გაჰყვა მას თან ეგვიპტეში და ის მოჰკლა იქ.

32. ამ ქალის სიკვდილის შესახებ, სმერდისისა არ იყოს, ორნაირი ცნობა არსებობს: ელინები ამბობენ, რომ შეაჭიდა ლომისა და ძაღლის ლეკვები და ამას უყურებდა მასთან ერთად მისი ცოლიც; როდესაც ძაღლის ლეკვი მარცხდებოდა, მოიჭრა მასთან

მისი ძმა, მეორე ლეკვი, რომელსაც საბელი აეწყვიტა და რაკილა ძაღლის ლეკვები ორნი იყვნენ, მათ აჯობეს ლომის ლეკვს. კამბისესი ამ სანახაობით კმაყოფილი დარჩა, მასთან მჯდომარე ქალი კი ტიროდა. კამბისესმა რომ ეს შეამჩნია, შეეკითხა, თუ რატომ ტირის, ხოლო მან უპასუხა, რომ ძმის საშველად მოსული ლეკვის დანახვაზე ტირის, რადგან ახსენდება სმერდისი და იცის, რომ მას არავინ წაემველებოდა. ელინები ამბობენ, რომ სწორედ ამ სიტყვების გამო მოჰკლა ის კამბისესმა ხოლო ეგვიპტელები ასეთ რამეს ჰყვებიან: ერთხელ როდესაც მაგიდასთან ისხდნენ, ქალმა აიღო სალათი. ირგვლივ სული დააგლიჯა ფოთლები და შეეკითხა თავის ქმარს, რომელი სალათი უფრო ლამაზია ფოთლებდაგლეჯილი თუ ხშირფოთლებიანი? მარმა უპასუხა, რომ ხშირფოთლებიანი, ამაზე ქალმა მიუგო: "ოდესმე შენც ამ სალათს დაემსგავსები, რადგან კიროსის სახლი ამოსწყვიტე". გაცოფებულმა კამბისესმა წიხლი ჰკრა მას, ის კი ფეხბიმედ იყო, მოსწყდა მუცელი და მოკვდა.

33. ია, ასე შმაგობდა კამბისესი თავისი შინაურების მიმართ და ეს ან აპისის გამო იყო, ან სხვა რამ, მრავალი უბედურების მიზეზით, რაც, ჩვეულებრივ, თავს ატყდება ხოლმე ადამიანებს. მაგალითად, კამბისესის შესახებ ამბობენ, რომ მას დაბადებიდან რაღაც დიდი ავადმყოფობ სჭირდა, რასაც ზოგიერთები წმინდად მიიჩნევენ. ისე, რომ სრულიად არაა გასაკვირი, ასეთ ავადმყოფ სხეულში რომ გონებაც არ იყოს საღი.

34. სხვა სპარსელების მის მიმართ კამბისესმა შემდეგი სიგიჟე გამოიჩინა; ამბობენ, რომ მან უთხრა პრექსასპესს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა და რომელიც მას ამბავთმთხრობელად ჰყავდა, ხოლო მისი შვილი კიდევ ღვინისმწედდ, რც ასევე მცირე პატივი არ არის; ამბობენ, რომ კამბისესმა მას უთხრა: "პრექსასპეს, სპარსელებს როგორ კაცად მივაჩნევარ მე და ჩემს შესახებ რას ამბობენ?" ხოლო მან უთხრა: "უფალო, საერთოდ ძალიან გაქებენ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ მეტისმეტად გიყვარს ღვინო". ეს უთხრა პრექსასპესმა მას სპარსელების შესახებ, ხოლო გაჯავრებულმა კამბისესმა მიუგო: "მაშინ სპარსელები ჩემზე ახლა იმას ამბობენ, რომ მე ღვინით ვარ გატაცებული და ამიტომ ჰკუაზე გადავცდი და გამოვსულელდი. მაშასადამე, მათი უწინდელი ნათქვამი არ იყო მართალი". მართლაც უწინ როდესაც კამბისესი ზოგიერთ სპარსელთან და კროდსოსთან ერთად ბჭობდა, შეეკითხა მათ, თუ რას ფიქრობენ, როგორი კაცია ის, თავის მამასთან, კიროსთან შედარებით. ხოლო სპარსელებმა მიუგეს, რომ ის უეკეთესია მამაზე, რადგან მას აქვს ყოველივე ის, რც ჰქონდა მამას და ამის გარდა აქვს კიდევ ეგვიპტე და ზღვა. სპარსელებმა ეს თქვეს, ხოლო კროდსოსს, რომელიც აქ იყო, არ მოეწონა მათი პასუხი და კამბისესს შემდეგი უთხრა: "მე კი ვფიქრობდი, კიროსის ძევ, რომ შენ არა ხარ მამის დარი, რადგან შენ ჯერ არ გყავს ისეთი შვილი, როგორიც დატოვა მან შენი სახით". კამბისესს ესია მოვნა ეს და შეაქო კროდსოსის სიტყვა.

35. ეს რომ გაიხსენა, გაჯავრებულმა უთხრა პრექსასპესს: "აბა, შენ თვითონ ანხე, სპარსელები მართალს ამბობენ, თუ თვითონ არიან ჰკუას გადამცდრები, ამს რომ ამბობენ. მე ახლა ვესვრი შენ შვილს, რომელიც კარებში დგას და თუ მოვარტყი შიგ გულში, მაშინ გამოჩნდება, რომ სპარსელებს სისულელეები უთქვამთ, ხოლო თუ ავაცდინე, მაშინ გამოჩნდება, რომ სპარსელებს სიმართლე უთქვამთ და მე არა ვრ ჩემს ჰკუაზე". ეს თქვა, მოსჭიმა მშვილდი და ესროლა ყმაწვილს. ყმაწვილი რომ დაეცა, მეფემ ბრძანა, გაეკვეთათ და ჭრილობა გაესინჯათ. როდესაც ისარი შუა გულში

აღმოაჩინეს, კამბისესმა ყმაწვილის მამას სიცილით უთხრა გახრებულმა: "პრექსასპეს, ხომ ცხადია შენთვის, რომ გიჟი არა ვარ და სპარსელები ჭკუაზე არიან გადამცდრები. ახლა მითხარი, გინახავს ვინმე ადამიანთა შორის, რომელიც ასე კარგად ისროდეს მიზანში?" პრექსასპესი ხედავდა, რომ კაცი არ იყო თავის ჭკუაზე, შეეშინდა, არაფერი მიყოსო და უთხრა: "უფალო, მე ვფიქრობ, რომ თვით ღმერთიც კი არ ისვრის ასე კარგად". ასეთი რამ ჩაიდინა კამბისესმა მაშინ, ხოლო მეორედ, სრულიად უდანაშაულო 12 წარჩინებული სპარსელი შეაპყრობინა და ცოცხლივ ჩაამარხვინა მიწაში თავდაყირა.

36. ის რომ ასე იქცეოდა, ლიდიელმა კროდოსიმა მისი მორჯულება განიზრახა შემდეგი სიტყვებით: "მეფეო, ყველაფერში ასაკსა და გულისთქმას ნუ მიჰყვები, არამედ გაჩერდი და თავი შეიკავე ხოლმე. რადგან წინდახედულება კარგი რამაა, ხოლო სიფრთხილე კი სიბრძნეა. შენ ხოცავ ბავშვებს. თუ კვლავაც ასე მოიქცევი, ემანდ სპარსელები არ აღსდგენენ შენს წინააღმდეგ. ხოლო მე მამაშენი კიროსი ხშირად მეუბნებოდა, დამერიგებინა და მერჩია ის, რასაც კარგად მივიჩნევდი".

კროდოსი ურჩევდა კამბისესს ამას, რადგან კეთილად იყო განწყობილი, ხოლო მან მიუგო შემდეგი: "შენ მიბედავ რჩევა-დარიგებებს, შენ, რომელმაც ასე კარგა მოუარა შენს სამშობლოს და ასე კარგად ურჩია ჩემს მამას, გადადი მდინარე არაქსზე და თავს დაესხი მასაგეტებსო, მაშინ, როდესაც ისინი თვითონ აპირებდნენ ჩვენს ქვეყანაში გადმოსვლას? შენ თვითონ დალუპე შენი სამშობლო, რადგან მას ცუდად მართავდი და შენ დალუპე კიროსი, რომელიც გიჯერედა შენ¹. მაგრამ ველარ გადამირჩები, დიდი ხანია ვემებს საბაბს, რომ გაგისწორდე". ეს თქვა და დასწვდა მშვილდს, რომ ესროლა მისთვის, მაგრამ კროდოსი წამოხტა და გარეთ გაიქცა. რადგან კამბისესმა სროლა ვერ მოასწრო, უბრძანა მსახურებს, რომ შეეპყროთ და მოეკლათ. მსახურებმა იცოდნენ მისი ზნე და დამალეს კროდოსი იმისთვის, რომ თუ კამბისესი შეინანებდა და მოიკითხავდა, ვინც გამოაჩენდა ცოცხალ კროდოსს, ის საჩუქარს მიიღებდა. ხოლო თუ არ შეინანებდა და არ შეწუხდებოდა, მაშინ მოჰკლავდა მას.

მართლაც, დიდ ხანს არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ კამბისესმა მოიკითხა კროდოსი, ხოლო მასხუჯრებმა რომ შეიტყვეს ეს, ახარეს მას, ცოცხალიაო. კამბისესმა თქვა, რომ უხარია მისი გადარჩენა, მაგრამ ისინი, ვინც კროდოსი დაინდო, ვერ გადაურჩებიან და დაიხოცებიან. მან კიდევაც შეასრულა თავისი დანაქადები.

37. ბევრი ასეთი სიგიჟე ჩაიდინა მან სპარსელებისა და თავისი მოკავშირეების მიმართ, ხოლო მემფისში რომ დარჩა, ძველი სამარხები დახსნა და გვამები დაათვალიერა. როდესაც ჰეფადსტოსის სალოცავში მივიდა. მწარედ დასცინა მის ქანდაკებას. ეს იმიტომ რომ ჰეფადსტოსის ქანდაკება ძალიან ჰგავდა ფინიკიურ პატიაკებს, რომელსაც ფინიკიელები ტრიერების ცხვირზე სდგამდნენ. ვისაც არ უნახავს პატიაკები, მე მათ ასე ავუხსენი: ის არის მუშტისოდენა კაცის გამოსახულება. კამბისესი კაბედრთა სალოცავშიც შევიდა, აქ შესვლა ქურუმებს გარდა არავისთვის იყო ნებადართული, იქ მდგომი ქანდაკებები დიდად შეურაცხყო და დასწვა, ხოლო ეს ქანდაკებები ჰეფადსტოსის ნამუშევართა მსგავსნი არიან. იმასაც კი ამბობენ, რომ კაბედრები ჰეფადსტოსის შვილები არიან.

38. ამრიგად, ჩემთვის ყოველმხრივ ცხადია, რომ კამბისესი ნამდვილი გიჟი იყო. თუ არა და, საცოლავებსა და ადათ-წესებზე დაცინვას ვერ გაბედავდა. რადგან ვინმემ რომ შესთავაზოს რომელსაც გნებავთ ხალხს, გამოარჩიე ყველა არსებულ ადათ-წესს შორის საუკეთესო, ის, რომ გადახედავს, რა თქმა უნდა, გამოარჩევს თავის საკუთგარს. ეგრე მიაჩნიათ თითოეულ ხალხს, რომ მისი ადათწესები ბევრად უკეთესია სხვისაზე. ამიტომაც არაა ჩვეულებრივი, რომ გიჟს გარდა სხვა ვინმე დასცინოდეს ასეთ რამეებს. რომ თავისი ადათ-წესების მიმართ ყველა ადამიანი ასე იქცევა, ამის საბუტად ბევრი სხვა რამის მოყვანა შეიძლება და მათ შორის ამისაც: დარიოსმა თავისი მმართველობის დროს დაუძახა იმ ელინებს, ვინც მის კარზე იყვნენ და შეეკითხა, რა საფასურით მოინდომებდნენ ისინი თავიანთი დახოცილი მამების შეჭმას. მათ უპასუხეს, რომ არაფრის გულისათვის არ გააკეთებენ ამას. ამის შემდეგ დარიოსმა დაუძახა ინდტაგან ეგრეთწოდებულ კალატიებს, რომლებიც მშობლებს სჭამენ და შეეკითხა ელინების თანდასწრებით (ამათ კი თარჯიმნის შემწეობით გაიგეს ის, რაც ითქვა), რა საფასურით დათანხმდებიან ისინი რომ გარდაცვლილი მამები ცეცხლს მისცენ. იმათ საშინლად შეჰყვირეს და შესძახეს ამას რას ლაპარაკობსო. აი ასე წმინდად მიაჩნია ხალხს თავისი წეს-ჩვეულებები და მე ვფიქრობ, სწორედ ამბობდა პინდარე თავის პოემებში, ადათ-წესები ყველაფრის მეფეაო.

39. როდესაც კამბისესი ეგვიპტეზე ლაშქობდა, ლაკდემონელებმა მოაწყვეს ლაშქრობა სამოსისა და პოლიკრატეს ამაქსის ძის წინააღმდეგ, რომელიც აჯანყდა და ისე დაიჭირა სამოსი. პირველად მან სამად გაჰყო სახელმწიფო და თავის ძმებთან, პანტაგნოტოსთან და სილოსონტთან ერთად მართავდა მას, ხოლო შემდეგ მათ შორის ერთი მოჰკლა, უმცროსი კი, სილოსონტი, გააძევა და მთელი სამოსი დაიჭირა; მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ამასისთან, ეგვიპტის მეფესთან, მას საჩუქრებს უგზავნიდა და მისგანაც სამაგიეროს ღებულობდა. სულ ცოტა ხანში პოლიკრატესის ძლევა მოსილება გაიზარდა და მისი სახელი გაითქვა იონისა და მთელ დანარჩენ ელადაში. რადგან სადაც კი არ უნდა ელაშქრა, ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა. მას ჰქონდა 100 ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდი და ჰყავდა 1000 მშვილდოსანი. იგი განურჩევლად ყველას მარცვადა; ამბობდა, მეგობარს იმით უფრ გაახარებ, თუ წართმეულს უკან დაუბრუნებ, ვიდრე იმით, რომ თავიდანვე არაფერს წაართმევო. მან აიღო ბევრი კუნძული და ხმელეთზე ბევრი ქალაქი - საზღვაო ბრძოლაში სძლია და დაპყრო ლესბოსელები, რომლებიც მთელი ლაშქრით ეხმრებოდნენ მილეტელებს. ეს ტყვეები იყვნენ, თხრილი რომ შემოავლოეს სამოსის კედელს.

40. პოლიკრატესის დიდი წარმატება დაფარული არ იყო ამასისისთვის და ეს გარემოება მას ძალიან აწუხებდა. როდესაც პოლიკრატესის წარმატება მეტისმეტად გაიზარდა, შემდეგი წერილი გაუგზავნა მან სამოსზე ამასისმა: "ამასისი შემდეგს ეუბნება პოლიკრატესს. ტკბილად გასაგონია, როდესაც მეგობარი და მოკავშირე კარგად ცხოვრობს, მაგრამ მე თუ მკითხავ, არ მიხარია შენი დიდი მიღწევები, რადგან ვიცი, რომ ღვთაება შურიანია. ამიტომ მე ვინდომებდი ჩემთვისაც და იმისთვისაც, ვისზედაც მე ვზრუნა, რომ ბედი გვწყალობდეს ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთში კი დაბრკოლებები შეგვხვედროდეს და ასე გაგვეტარებინოს მთელი ცხოვრება, სადაც ჯერჯერობით იქნებოდა მარცხი და წარმატება. რადგან არასოდეს მსმენია, რომ ყველაფერში ბედნიერ კაცს საბოლოოდ უბედურება არ ეწვიოს და ძირფესვიანად არ ამოაგდოს. ამიტომ დამიჯერე და შენი ბედნიერების მიმართ ახლა ასე მოიქეცი:

მოიფიქრე და გამოარჩიე, შენთვის ყველაზე უფრო ძვირფასი ნივთი, რომლის დაკარგვაც ყველაზე უფრო გატკენს გულს; აიღე და გადააგდე ის ისე, რომ აღარასოდეს დაინახოს ადამიანის შვილმა. თუ ამის მერე წარმატებები და განსაცდელი ამბები რიგრიგობით არ შეგემთხვა, წაეხმარე ამ ამბავს იმგვარად, მე რომ გასწავლე".

41. ეს რომ წაიკითხა, პოლიკრატესი მიხვდა, რომ ამისი მას კარგად ურჩევდა და დაუფიქრდა, მის ძვირფას ნივთთა შორის რომლის დაკარგვა დასწყვეტდა ყველაზე მეტად გულს. დაფიქრდა და შემდეგი გადაწყვიტა: მას ჰქონდა ერთი ბეჭედი, რომელსაც ატარებდა, ზურმუხტისთვლიანი და ოქროში ჩასმული, თეოდოროს ტელეკლეესის ძის, სამოსელის, ნახელავი. როდესაც მისი გადაგდება გადაწყვიტა, ასე მოიქცა: 50-ნიჩბიან ხომალდზე დასხა ხალხი, თვითონაც ავიდა და შემდეგ ბრძანა, გაეყვანა ზღვაში. კუნძულს კარგი მანძილით რომ დაშორდა, მოიხსნა ბეჭედი და ყველას დასახავად, ვინ იყო ხომალდზე მასთან ერთად და გადააგდო ზღვაში. ეს რომ გააკეთა, უკან გაბრუნდა და სახლში მოსული ძალიან დამწუხრდა.

42. ამ ამბის მერე მეხუთე თუ მეექვსე დღეს ასეთი რამ მოხდა: მეთევზემ დაიჭირა დიდი და ლამაზი თევზი და გადაწყვიტა, რომ იგი პოლიკრატესის საკადრისი იყო და ამიტომ მოინდომა მისთვის მიერთმაი. მან მოიტანა თევზი სასახლის კართან და თქვა, რომ უნდა წარუდგეს თვით პოლიკრატესს, როდესაც შევიდა მასთან, გადასცა თევზი და უთხრა: "მეფეო, ეს თევზი რომ დავიჭირე, არ მივიჩნიე სამართლიანად, ბაზარზე წამელო, მიუხედავად იმისა, რომ თავს ჩემი შრომით ვირჩენ: ვიფიქრე, რომ შენი და შენი ძალაუფლების საკადრისია, ამიტომ წამოვიღე და შენ მოგართვი". პოლიკრატესს ეს იამოვნა ეს სიტყვები და მიუგო: "შენ ძალიან კარგად მოიქეცი და ორმაგი მადლობა გეკუთვნის სიტყვებისა და საჩუქრისათვის. მე შენს სადილად გეპატიჟები". მეთევზემ დიდ პატივად მიიჩნია დაპატიჟება და სახლში წავიდა. ამასობაში მსახურებმა გასჭრეს თევზი და მუცელში უანხეს პოლიკრატესის ბეჭედი. როგორც კი დაინახეს, სასწრაფოდ ამოიღეს და გახარებულებმა წაუღეს პოლიკრატესს, მისცეს ბეჭედი და უთხრეთ, თუ რანაირად არის ის ნაპოვნნი. პოლიკრატესმა იფიქრა, რომ ეს მოხდა ღვთაების განგებით, დაწერა წერილში, რაც გააკეთა და რაც თავს გადახდა და გაგზავნა ეგვიპტეში.

43. ამასისმა რომ წაიკითხა პოლიკრატესისგან მოსული წერილი, მიხვდა, რომ ადამიანი უძლურია იხსნას მეორე ადამიანი მის თავს დასატეხი უბედურებისაგან და რომ პოლიკრატესს, რომელსაც ყველაფერში ბედი სწყალოდა, კარგი ბოლო არ ექნებოდა. ის იმასაც კი პოულობდა, რასაც აგდებდა. ამასისმა გაგზავნა მოციქული სამოსზე და შეუთვალა, ჩვენი მეგობრობა დარღვეულიაო. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მას მეგობრის გამო გული არ დასტანჯვოდა, როდესაც საშინელი და დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს პოლიკრატესს.

44. აი ამ, ყოველმხრივ გალადებული პოლიკრატესის წინააღმდეგ გაილაშქრეს ლაკედემონელებმა, რომლებიც მოიწვიეს იმ სამოსელებმა, რომელთაც შემდეგ კრტეზე დააფუძნედ კიდონიე, პოლიკრატესმა სამოსელების ჩუმად მოციქული გაუგზავნა კამბისესს, კიროსის ძეს, რომელიც ამ დროს ლაშქარს აგროვებდა ეგიპტის წინააღმდეგ და სთხოვა, მასთანაც გამოეგზავნა კაცები სამოსზე და მისგანაც ეთხოვა ლაშქარი. კამბისესმა რომ ეს მოისმინა, სასწრაფოდ გაგზავნა სამოსზე კაცები და

სთხოვა პოლიკრატესს, საზღვაო ფლოტი გამოეგზავნა მისთვის ეგვიპტის წინააღმდეგ. პოლიკრატესმა გამოარჩია ის მოქალაქეები, რომელთა მიმართად განსაკუთრებული ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი აჯანყებას აპირებდნენ და გაგზავნა ისინი 40 ტრიერით, თანაც სთხოვა კამბისესს, ესენი უკან აღარ გამოემიგზავნო.

45. ერთნი ამბობენ, რომ პოლიკრატესი მიერ გაგზავნილი სამოსელები არ მისულან ეგვიპტეში, რადგან, როდესაც მიცურავდნენ კარპათოსთან, მოილაპარაკეს, რომ აღარ სურდათ ამაზე უფრო შორს წასვლა. სხვები კი ამბობდნენ, რომ მათ მიაღწიეს ეგვიპტეს, მაგრამ იქ დარაჯი ჰყავდათ მიყენებული და იქიდან გამოიქცნენო. როდესაც ისინი მიცურდნენ სამოსთა, პოლიკრატესი შემოხვდა მათ ხომალდებით და ბრძოლა გაუმართა. ამ ბრძოლაში უკან დაბრუნებულებმა გაიმარჯვეს და გადმოვიდნენ კუნძულზე. მაგრამ ხმელეთზე ბრძოლაში დამარცხდნენ და გაცურეს ლაკედემონისაკენ. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ეგვიპტიდან მოსულებმა გაიმარჯვეს პოლიკრატესზეო.. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ისინი მართალს არ ამბობენ, რადგან იმათ არ დასჭირდებოდათ ლაკედემონელების მოწვევა, თვითონ რომ საკმარისი ყოფილიყვნენ პოლიკრატესის დასამორჩილებლად. ამას გარდა, ისიც საეჭვოა, რომ პოლიკრატესი, რომელსაც იმდენი დაქირავებული ჯარი და საკუთარი მშვილდოსნები ჰყავდა, დაბრუნებულ მცირერიცხოვან სამოსელებს დაემარცხებინათ. პოლიკრატესმა თავის ქვეშევრდომ მოქალაქეთა შვილები და ცოლები შერევა ნავთსადგომში და გამზადებული ჰყავდა, რომ თუ მოქალაქეები მას განუდგებოდნენ და უკან დაბრუნებულებს მიემხრობოდნენ, ცეცხლს წაუკიდებდა მათ ნავთსადგომებში.

46. შემდეგ პოლიკრატესის მიერ გამოძევებული სამოსელები მოვიდნენ სპარტეში, წარუდგნენ მმართველებს და ბევრი ილაპარაკეს, რადგან ძალიან გაჭირვებული იყვნენ. ხოლო მმართველებმა მათთან პირველად მოსულ სამოსელებს უპასუხეს, რომ თავში ნათქვამი დაავიწყდათ, ბოლოში ნათქვამი კი ვერ გაიგეს. ამის შემდეგ მეორედ რომ წარუდგნენ სპარტელს, არაფერი უთქვამთ, მხოლოდ მოიტანეს ტომარა და თქვეს რომ ტომარას ესაჭიროება პურის ფქვილი. სპარტელებმა კი უპასუხეს, რომ ტომარა სრულიად ზედმეტია და გადაწყვიტეს მათ დახმარებოდნენ.

47. ამის შემდეგ ლაკედემონელები მოემზადნენ და გაემართნენ სამოსზე, სამოსელების თქმით, იმ კეთილი საქმის სამაგიეროდ სამოსელები მათ უწინ, მესენელებთან ბრძოლის დროს რომ დაეხმარნენ თავისი ხომალდებით. ხოლო ლაკედემონელები კი ამბობენ, რომ ისინი სამოსელების დასახმარებლად კი არ ლაშქრობდნენ, არამედ იმიტომ, რომ უნდოდათ იმათი დასჯა, ვინც სასმისი მოიტაცა (რომელიც წაუღეს კროფსოსს) და მათი, ვინც აბჯარი მოიტაცა (რომელიც ეგვიპტის მეფემ, ამასისმა გამოუგზავნა მათ საჩუქრად). აბჯარი სამოსელებმა ერთი წლით ადრე მოიტაცეს, ვიდრე ჭურჭელი, ის იყო სელისა და ჩაქსოვილი ჰქონდა ბევრი გამოსახულება და შემკული იყო ოქროთი და ბამბის ძაფით. განსაკუთრებით საოცარია აბჯრის თითოეული ძაფი, რომელიც თუმცა წრვილია, მაგრამ შეიცავს 360 ცალკეულ ძაფს და ყველა მათგანი კარგად ჩანს. მეორე ასეთივე აბჯარი ამასისმა შესწირა ათენას ლინდოსზე.

48. კორინთელები დიდი გულმოდგინებით მონაწილეობდნენ სამოსის წინააღმდეგ ლაშრობაში, რადგან სამოსელებმა მათ შეურაცხყოფა მიაყენეს იმ დროზე სამი

თაობით უწინ, ვიდრე სასმისის მოიტაცებდნენ, პერიანდროსმა, კიფსელოსის ძემ სარდში, ალიატესთან გაგზავნა 300 ყმაწვილი, წარჩინებული კერკირელის შვილი წინადასაცვეთად. კორინთელებს მიჰყავდათ ეს ყმაწვილები და როდესაც მიადგნენ სამოსს, სამოსელებმა შეიტყვეს, თუ რისთვის მიჰყავდათ ისინი სარდში და ასწავლეს ყმაწვილებს, რომ თავი შეეფარებინათ არტემიდეს სალოცავისატვის, ხოლო შემდეგ კორინთელებს არ მისცეს ნება მავედრებელი ყმაწვილები სალოცავიდან გამოეთრიათ; რადგან კორინთელები ყმაწვილებს საჭმელს არ აძლევდნენ, სამოსელებმა გამართეს დღესასწაული, რომელსაც ახლაც კი მართავენ ხოლმე. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ყმაწვილები სალოცავში იყვნენ თავშეფარებული, ღამის დადგომისთანავე სამოსელები ქალწულთა და ჭაბუკთა გუნდებს აწყობდნენ, ხოლო ამ გუნდებს ევალეზობდა სალოცავში თან წაეღოთ ქუნჯუთისა და თაფლისაგან გაკეთებული საჭმელი, იმისათვის, რომ კერკირელ ყმაწვილებს მოეტაცათ და ეჭამათ. ეს გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ამ ყმაწვილებისათვის მიჩენილმა კორინთელმა დარაჯებმა ისინი არ მიატოვეს და არ წავიდნენ. ყმაწვილები კი სამოსელებმა კერკირაზე დააბრუნეს.

49. პერიანდროსის სიკვდილის შემდეგ კორინთელებს რომ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ კერკირელებთან, მაშინ კორინთელები სამოსელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას ამ მიზეზის გამო. მაგრამ, რაც კორინთელები კერკირის კუნძულზე დასხლდნენ, მას მერე დღემდე გამუდმებით მტრობენ ერთმანეთს მიუხედავად იმისა, რომ ერთი ტომისანი არიან. აი, ამიტომ იყო, რომ კორინთელებს გულში ბოღმა ჰქონდათ სამოსელების მიმართ. ხოლო პერიანდროსმა კერკირელ წარჩინებულთა შვილები გამოარჩია და გაგზავნა სარდში წინადასაცვეთად, რადგან მათი დასჯა უნდოდა. ეს კი იმიტომ მოინდომა, რომ უწინ კერკირელებმა მის მიმართ ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

50. მას მერე, რაც პერიანდროსმა თავისი ცოლი, მელისა მოჰკლა, ამ ამბავს სხვა უბედურებაც დაერთო ზედ. მას მელისასაგან ჰყავდა ორი შვილი, ერთი 17-ის და მეორე 18 წლისა. ისინი დაპატიჟა პაპამ დედის მხრივ, პროკლესმა, ეპიდავროსის ტირანმა და ძალიან კარგად მიიღო, როგორც შეეფერებოდა მისი საკუთარი ასულის შვილებს. როდესაც ისინი შინ გაისტუმრა, გააცილა და უთხრა: "ბავშვებო, იცით ვინ მოჰკლა დედათქვენი?" უფროსმა ამ სიტყვებს არ მიაქცია ყურადღება, ხოლო უმცროსმა, რომელსაც სახელად ერქვა ლიკოფრონი, ეს რომ მოისმინა, ისე იდარდა, რომ კორინთოში მოსული, არც კი დაელაპარაკა მამას, როგორც დედის მკვლელს, ხოლო მამა რომ ელაპარაკებოდა, ის ხმას არ სცემდა და მის შეკითხვებს ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს გაბრაზდა მასზე პერიანდროსი და გააგდო სახლიდან.

51. ლიკოფრონი რომ გააგდო, შეეკითხა უფროს შვილს, თუ რას ელაპარაკა მათ პაპა. შვილმა უამბო, რომ პაპამ ისინი ძალიან კარგად მიიღო, ხოლო ის სიტყვა, რაც მათ პროკლესმა გამოთხოვების უთხრა და რასაც მან არ მიაქცია ყურადღება, მას აღარ ახსოვდა. პერიანდროსმა უთხრა, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მას თქვენთვის რამე არ ეთქვაო და არ მოეშვა. ბოლოს ყმაწვილმა გიახსენა და უთხრა. პერიანდროსი მიუხვდა, რაც მოხდა, მაგრამ ღმობიერების გამოჩანა არ მოისურვა. მოციქული გაგზავნა მათთან, ვისთანაც მისი გაძევებული შვილი ცხოვრობდა და შეუთვალა, ნუ აჩრებთ სახლშიო. იქიდან გამოძევებული ყმაწვილი მივიდა სხვასთან, მაგრამ იქიდანაც გამოაგდეს, რადგან პერიანდროსი ემუქრებოდა ყველას, ვინც კი მას

შეიფარებდა და ბრძანებდა, გადააგდეთო. გამოგდებული მივიდა ერთი თავისი ამხანაგის სახლში. მათ, მართალია, ეწინოდათ, მაგრამ მიიღეს, რადგან მაინც პერიანდროსის შვილი იყო.

52. ბოლოს პერიანდროსმა გამოაცხადა, რომ ვინც მის შვილს სახლში შეუშვებს, ან დაელაპარაკება, მას დაედება ამდენი და ამდენი ჯარიმა, რაც შეეწირება აპოლონს. ამ განცხადების შემდეგ არც არავინ ელაპარაკებოდა მას და არც არავის უნდოდა მისი სახლში შეშვება. თვითონ ლიკოფრონსაც არ მიაჩნდა სამრთლიანად ამ ბრძანების დარღვევა, ამიტომ ითმენდა და სტოებში დაეხეტებოდა. მეოთხე დღეს დაინახა ის პერიანდროსმა, დაუბანელი და უჭმელი, შეეცოდა, სიბრაზემ გადაუარა, მიუახლოვდა და უთხრა: "შვილო, რა უფრო სასურველია შენთვის, ის, რასაც ახლა აკეთებ, თუ ტირანობა და სიკეთე, რაც მე მაქვს ახლა და რაც შენზე გადმოვა, თუკი მამის ერთგული იქნები. შენ, ჩემმა შვილმა და მიდარი კორინთოს მეფემ ირჩიე მაწანწალას ცხოვრება, განდექი და სიბრაზე გახრჩობს მის მიმართ, ვისდამიც ყველაზე ნაკლებად გმართებს რისხვა, რადგან თუ რაიმე უბედურება შეგვემთხვევა, რის გამოც უნდობლად მეპყრობი, ის უბედურება ჩემს თავსაც არის და მე გაცილებით მეტად მაწევს, რადგან ის ჩემი ჩადენილია. დაბრუნდი სახლში, რაკი შეიტყვე, თუ რამდენად უკეთესია შენს მიმართ შური, ვიდრე სიბრალული და რა მოსდევს რისხვას მშობლებისა და ძლევათაგან პირბისადმი". პერიანდროსს ამისთანებით უნდოდა შვილთან შერიგება, მაგრამ მან მამას სხვა არაფერი უპასუხა გარდა იმისა, რომ უთხრა, ღმერთს წმინდა ჯარიმა უნდა გადაუხადო, რადგან მე დამელაპარაკეო. პერიანდროსი მიხვდა, რომ მისი შვილის სიძულვილი უსაზღვრო და გადაულახავია, მოიშორა ის თავიდან და ხომალდით გაგზავნა კერკირაზე, რადგან კერკირაც მის გამგებლობაში იყო. პერიანდროსმა შვილი რომ გაგზავნა, გაილაშქრა თავისი სიმაჰრის, პროკლეესის წინააღმდეგ, რადგან მომხდარ ამბავში ყველაზე დიდ დამნაშავედ ის მიაჩნდა, აიღო ეპიდავროსი, დაიჭირა პროკლეესი და დაატყვევა.

53. დრო გავიდა, პერიანდროსი მოხუცდა და შეატყო თავის თავს, რომ აღარ შეუძლია სხელმწიფო საქმეების მოვლა და მოწესრიგება. ამიტომ გაგზავნა კერკირაზე კაცი და მოიწვია ლიკოფრონი ტირანობის გადასაბარებლად, რადგან უფროს შვილს კარგი თვალით არ უყურებდა, რაკი რეგვენად მიაჩნდა. ლიკოფრონმა პასუხის ღირსიც კი არ გახადა ამბის მომტანი. პერიანდროსს უყვარდა ჭაბუკი და მეორედ გაუგზავნა მას მისი და, თავისი ასული, რადგან ფიქრობდა, რომ მას უფრო დაუჯერებდა. ქალი მივიდა მასთან და უთხრა: "ყმაწვილო, რა გირჩევნია, ის, რომ ტირანობა სხვის ხელში გადავიდეს და მამაჩვენის სახელი განადგურდეს, თუ ის, რომ დაბრუნდე და შენი გახდეს ეს ყოველივე? დაბრუნდი სახლში და ანებე თავი საკუთარი თავის დასჯას. პატივმოყვარეობა ცუდი თვისებაა და ბოროტებას ბოროტებითვე ნუ მკურნალობ. ბევრნი სამართლიანობაზე მეტად გულისხმიერებას მიიჩნევენ. ბევრმა დედის უფლებებზე ზრუნვაში დაჰკარგა მამის უფლებები. ტირანობა საიმედო მონაპოვარი არაა, ბევრია მისი მოსურნე, მამა კი უკვე მოხუცია და დაბერებული. ნუ მისცემ შენს კუთვნილს სხვებს". ქალი ძალიან დამაჯერებლად ელაპარაკებოდა მას, ისე, როგორც მამამ ასწავლა, მაგრამ ლიკოფრონმა მიუგო, რომ არ დაბრუნდება კორინთოში მანამ, სანამ იცის, რომ მამა ცოცხალია. ქალმა რომ ეს ამბავი მოიტანა, პერიანდროსმა მესამედ გაუგზავნა მოციქული, რომ კერკირაზე თვითონ წავა, ოღონდ ვაჟი მოვიდეს კორინთოში და გახდეს მისი ტირანიის მემკვიდრე. ამ პირობებზე შვილი დათანხმდა; პერიანდროსი მიდიოდა კერკირაზე, ხოლო მისი შვილი კორინთოში. მაგრამ ეს

შეიტყვეს კერკირელებმა და მოჰკლეს ჭაბუკი, იმისათვის, რომ პერიანდროსი არ მისულიყო მათ ქვეყანაში. აი, ამის გამო იყო, რომ პერიანდროსი შურს იძიებდა კერკირელებზე.

54. ლაკედემონელები რომ მოვიდნენ დიდი ლაშქრით, ალყა შემოარტყეს სამოსს. მათ იერიში მიიტანეს გალავანზე და დააპირეს კოშკზე ასვლა, რომელიც ქალაქის გარეუბანში იყო ზღვის გასწვრივ; ამ დროს თავისიანებს პოლიკარტესი მოემშველა მრავალირცხოვანი ჯარით და ლაკედემონელები გარეკა. ზემოთა კოშკიდან, რომელიც მთის მწვერვალზე იდგა, მტრის წინააღმდეგ გამოვიდნენ დაქირავებულები ბევრი თვით სამოსელთაგან, მაგრამ ცოტა ხანს გაუძლეს ლაკედემონელებს და უკუიქცნენ. ლაკედემონელები კი მისდევდნენ და ხოცავდნენ მათ.

55. იმ დღეს იქ მყოფი ყველა ლაკედემონელი რომ არქიესსა და ლიკოესს ჰგვანებოდნენ, მაშინ უთუოდ აიღებდნენ სამოსს. მხოლოდ არქიესი და ლიკოპესი შეცვივდნენ გალავანში გაქცეული სამოსელების ფეხდაფეხ, მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა გადაეკეტათ და დაიხოცნენ სამოსელთა ქალაქში. ამ არქიესის მესამე თაობას, მეორე არქიესს, სამოსს არქიესის ძის შვილს მე თვითონ შევხვდი პიტანეში (ეს მისი დედა იყო). ის უცხოელთა შორის განსაკუთრებულ პატივს სცემდა სამოსელებს და ამბობდა, რომ მის მამას სახელად სამოსი იმიტომ ერქვა, რომ სამისის მამა, არქიესი ვაჟკაცურად მოკვდა სამოსზე. მან თქვა, პატივს ვცემ სამოსელებს იმიტომ, რომ მათ პაპაჩემი სახელმწიფო ხარჯით დაკრძალესო.

56. ლაკედემონელებს 40 დღე ჰქონდათ ალყა შემორტყმული სამოსისათვის, სხვა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს და დაბრუნდნენ პელოპონესში. მაგრამ ერთი ნაკლებად სარწმუნო ამბავიც არის გავრცელებული, თითქოს ლიკრატესმა მოაჭრევინა ბევრი ადგილობრივი ფული ტყვიისაგან, მოაოქროვებინა და დაურიგა მათ. ლაკედემონელებმა ფული რომ მიიღეს, მერე წავიდნენ, ასეთი იყო ლაკედემონელი დორიელების პრიველი ლაშქრობა აზიაში.

57. იმ სამოსელებმა, რომლებმაც პოლიკარტესის წინააღმდეგ ილაშქრეს, როდესაც ლაკედემონელებმა მათი დატოვება განიზრახეს, თვითონაც გასცურეს სიფნოსისაკენ, რადგან ფულები ესაჭიროებოდათ, ხოლო სიფნოსელების საქმეები იმ დროს ძალიან კარგად იყო; კუნძულებზე მცხოვრებთა სორის სიფნოსელები ყველაზე მდიდრები იყვნენ, რადგან მათ თავის კუნძულზე ჰქონდათ ოქროს და ვერცხლის საბადოები. ის რომ, აქედან შემოსული ქონების მეათედი ნაწილი შესწირეს დელფოს და იქ შექმნეს საგანძური, რაც უმდიდრესი ხალხების საგანძურის მსგავსი იყო. სიფნოსელები თავის ქონებას ყოველწლიურად ერთმანეთში ინაწილებდნენ. როდესაც საგანძურს აგებდნენ, შეეკითხნენ სამისნოს, შეიძლება თუ არა, რომ მათმა დღევანდელმა კეთილდღეობამ დიდხანს გასტანოს, ხოლო პითიამ მათ ასეთი პასუხი მისცა: "როდესაც სიფნოსის პრიტანეონი თეთრი გახდება და მეოდანი - თეთრწარბებიანი, გონიერი კაცი უნდა მოერიდოს ხის რაზმეულს და წითელ მაცნეს". მაშინ სიფნოსელებს მოედანიც და პრიტანეონიც პაროსის ქვევით ჰქონდათ შემკული.

58. ეს წინასწარმეტყველება სიფნოსელებმა ვერც მაშინ გაიგეს და ვერც მერე, როდესაც სამოსელები მოვიდნენ. როგორც კი სიფნოსთან მივიდნენ სამოსელები, ერთი ხომალდით მოციქულები გაგზავნეს ქალაქში. ძველად ყველა ხომალდი სურინჯით

იყო შეღებილი. სწორედ ამას გულისხმობდა პითიას წინასწარმეტყველება სიფნოსელების მიმართ, ერიდეთ ხის რაზმეულსა და წითელ მაცნესო. მოსულამ მოციქულებმა სიფნოსელებს 10 ტალანტი სთხოვეს სესხად. როდესაც სიფნოსელებმა სესხზე უარი უთხრეს, სამოსელებმა მათი მიწების გაჩანაგება დაიწყეს. ეს რომ სიფნოსელებმა შეიტყვეს, მაშინვე მოვიდნენ და ბრძოლა გაუმართეს მომხდურთ, მაგრამ დამარცხდნენ და ბევრ მათგანს, ქალაქის გზა მოუჭრეს სამოსელებმა. ამის მერე სიფნოსელებს 100 ტალანტის გაღება მოუხდათ.

59. სამოსელებმა ჰერმიონელთგან ამ ფულით კუნძული იყიდეს, ჰიდრეე, რომელიც პელოპონესთანაა და გადასცეს ტროიძენელებს, ხოლო თვითონ კრეტეზე კიდონიე დააფუძნეს, მაგრამ ამ კუნძულზე ამისათვის კი არ მოვიდნენ, არამედ მაკინთელების გასარეკად. ისინი დარჩნენ აქ და ბედნიერად ცხოვრობდნენ 5 წლის განმავლობაში, ისე, რომ სალოცავები რომ არის კიდონიეში, მათი გაკეთებულია და ასევე დიქტინეს ტაძარიც. მეექვსე წელს აფინელებმა გაუმართეს მათ საზღვაო ბრძოლა, დაამარცხეს ისინი და დაიმონეს კრეტელების შემწეობით. მათ ხომალდებს ჰქონდათ ტახის მსგავსი ცხვირი, ესენი ჩამოაჩხეს და შესწირეს ათენას სალოცავს აფინაზე. აფინელებმა ეს იმიტომ გააკეთეს, რომ გაჯავრებულები იყვნენ სამოსელებზე. რადგან უწინ, ამფიკრატესის სამოსზე მეფობის დროს სამოსელებმა ილაშქრეს აფინის წინააღმდეგ, დიდი ზიანი მიაყენეს აფინელებს და თვითონაც საკმაოდ დიდი ზარალი ნახეს. ეს იყო ამისი მიზეზი.

60. სამოელთა შესახებ განსაკუთრებით იმიტომ გამიგრძელდა სიტყვა, რომ მათ აქვთ ყველა ელინთა შორის სამი უდიდესი ნაგებობა: ერთი მათგანია მაღალ, 150 ორგის სიმაღლის მთაში გაყვანილი გვირაბი, რომელიც მთის ძირში იწყება და ორი გასასვლელი აქვს. გვირაბის სიგრძე 7 სტადიონია, ხოლო სიმაღლე და სიგანე, თითოეული 8 ფუტი. მტელი გვირაბის განსწვრივ მოთხრილია სხვა არხი, 20 წყრთის სიღრმისა და სამი ფუტის სიგანის, მასზე მოედინება წყალი, რომელიც გამოყვანილია დიდი წყაროდან და მიღების საშუალებით მიდის ქალაქში. ამ გვირაბის მაშენებელი იყო ევპალინოს ნავსტროფოსის ძე, მეგარელი. ეს არის ერთი იმ სამ ნაგებობათაგანი. მეორე არის მიწაყრილი ზღვაში, ნავსადგურთან, მისი სიღრმე 20 ორგია, ხოლო სიგრძე 2 სტადიონზე მეტია. მესამე ნაგებობა არის ტაძარი, უდიდესი ჩვენთვის ცნობილ ყველა ტაძართა შორის. პირველი მისი მაშენებელი იყო ადგილობრივი მცხოვრები, როდკოს ფილესის ძე. აი, ამის გამოა, რომ სამოსელთა შესახებ სიტყვა გავაგრძელებ.

61. ჰკუაზე გადამცდარი კამბისეს კიროსის ძე ჯერ კიდევ ეგვიპტეში იყო, რომ მის წინააღმდეგ ამბოხდა ორი ძმა, მოგვები, მათ შორის ერთი კამბისესმა დატოვა თავისი სასახლის მზრუნველად. ის განუდგა მას, რადგან შეიტყო სმერდისის სიკვდილი, რად დამალული იყო (სპარსელთაგან მხოლოდ ცოტამ იცოდა ეს ამბავი, უმრავლესობამ ისე იცოდა, რომ ცოცხალი იყო). ამასთან დაკავშირებით მან ასე განიზრახა სამეფო ხელისუფლების ხელში ჩაგდება: მას ჰყავდა ძმა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, მასთან ერთად გადაუდგა კამბისესს, ის შესახედავად ძალიან ჰგავდა სმერდისს, კიროსის ძეს, რომელიც მოაკვლევინა კამბისესმა, მისმა საკუთარმა ძმამა. ის შესახედავად ჰგავდა სმერდისს და სახელიც იგივე ერქვა, სმერდისი. აი, ეს კაცი მოგვმა პატიმედთესმა დაარწმუნა, რომ თვითონ მოუგვარებს მას ყველაფერს და წაიყვანა და დასვა სამეფო ტახტზე. ეს რომ გააკეთა, დაგზავნა მოციქულები ყველგან

და ასევე ეგვიპტეშიც და უბრძანა ლაშქარს, რომ ამერიიდან სმერდის კიროსის ძეს უნდა დაემორჩილონ და არა კამბისესს.

62. ყველა მოციქულმა გამოაცხადა მოგვის განკარგულება და იმანაც ვინც ეგვიპტეში იყო გაგზავნილი (მან კმბისესი და მისი ლაშქარი სირიის აგბატანაში აღოაჩინა); ამან მოგვის განკარგულება ისე გამოაცხადა, რომ ლაშქარის შუაში იდგა. კამბისესმა რომ მოისმინა ეს მოციქულთაგან, იფიქრა, რომ მართალს ამბობსო და რომ მას უღალატა პრექსასპესმა (მან ხომ პრექსასპესი გაგზავნა სმერდისის მოსაკლავად და, ჩანს, მას ეს არ გაუკეთებია). მან შეხედა პრექსასპესს და უთხრა: "პრექსასპეს, ასე შემისრულე, მე რომ საქმე დაგავალე?" მან უპასუხა: "უფალო, არ არის მართალი, რომ სმერდისი, შენი ძმა შენს წინააღმდეგ აღსდგა, არც ის შეიძლება, რომ ამ კაცისაგან შენ რაიმე უსიამოვნება შეგემთხვეს, გინდა დიდი, გინდა მცირე. შენი ბრძანება რომ შევასრულე, მერე დავმარხე კიდეც სმერდისი ჩემი საკითარო ხელით. თუ კი მკვდრები დგებიან, მაშინ იმასაც ელოდე, რომ ასტიაცესი, მიდიელთა მეფეც აღსდგება შენს წინააღმდეგ, ხოლო თუ ახლას ისევია, როგორც უწინ იყო, მაშინ სმერდისისაგან არავითარი უსიამოვნება არ შეიძლება რომ წარმოსდგეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ უნდა დავედევნოთ მოციქულს და გამოვიკვლიოთ, თუ ვისგანაა ის მოსული, რომ გამოგვიცხადა ჩვენ, სმერდისია მეფე და მას უსმინეთო".

63. პრექსასპესის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა კამბისესს, ამიტომ სასწრაფოდ დაედევნა და დააბრუნეს მოციქული. დაბრუნებულს პრექსასპესმა ჰკითხა: "კაცო, შენ ამბობ, რომ სმერდისის მოციქული ხარ, კიროსის ძისა. ახლა მართალი გვითხარი და მშვიდობით წადი, თვითონ სმერდისი გეჩვენა და გიბრძანა ეს, თუ რომელიმე მისი მსახურთაგანი?". მან მიუგო: "სმერდისი, კისორის ძე, მას მერე, რაც მეფე კამბისესი წავიდა ეგვიპტის წინააღმდეგ, არც კი მინახავს. მე ეს დამავალა მოგვმა, რომელიც კამბისესმა თავის სასახლის მეურვედ დატოვა, მან მითხრა, რომ სმერდისი, კიროსის ძე, მავალეს თქვენთვის ამის თქმასო". ასე თქვა მან და არაფერი მოუტყუებია, ხოლო კამბისესმა თქვა: "პრექსასპეს, შენ შეასრულე ჩემი ბრძანება, როგორც პატიოსანმა კაცმა და თავისუფალი ხარ ბრალდებისაგან, მაგრამ ვინ უნდა იყო სპარსთაგან ის მემამბოხე, რომელმაც მიითვისა სმერდისის სახელი?" მან მიუგო: "მეფეო, მე მგონია, მივხვდი, რაც მოხდა. მოგვები არიან ისინი, ვინც შენს წინააღმდეგ აღსდგნენ, ერთი ის, რომელიც შენი სასახლის მეურვედ დატოვე, პატიმედთესი და მეორე მისი ძმა, სმერდისი".

64. კამბისესმა რომ სმერდისის სახელი გაიგონა, ირწმუნა ამ სიტყვებისა და თავისი სიზმრის სიმართლე. მან სიზმარში ნახა, თითოქს ვიღაცამ გამოუცადა მას, რომ სმერდისი დაჯდება სამეფო ტახტზე და თავით ზეცას მიეხრებო; მიხვდა, რომ ტყუილ-უბრალოდ დალუპა ძმა და დაიტირა ის. რომ მოიტირა და შეიცხადა ყველა უბედურება, შეახტა ცხენს, რადგან გუნებაში ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად გაელაშქრა სუსაში მოგვების წინააღმდეგ. როდესაც ცხენზე ჯდებოდა, მისი მახვილის ქარქაშს წვერი წასძვრა და გაშიშვლებული მახვილი თეძოში მოხვდა. ისე დაიჭრა სწორედ იმ ადგილას, სადაც თვითონ დაარტყა უწინ ეგვიპტელთა ღმერთს, აპისს. კამბისესმა იგრძო, რომ ჭრილობა სასიკვდილოა და იკითხა, რა ჰქვია ქალაქსაო. მას უპასუხეს, რომ აგბატანა. მან ჯერ კიდეც უწინ, ქალაქ ბიუტოში მიიღო მისნობა, რომ მისი ცხოვრება დასრულდება აგბატანაში. იგი ფიქრობდა, რომ გარდაიცვლება მოხუცებული მიდიის აგბატანაში, სადაც მისი დედაქალაქი იყო, ხოლო მისნობას კი

თურმე სირიის აგბატანა უგულისხმებია. ხოლო როდესაც იკითხა და შეიტყო ქალაქის სახელი, გონს მოეგო იმ უბედურების გამო, რაც მას მოგვმა და ჭრილობამ მიაყენეს, მიხდა ღვთის განგებას და სთქვა: "აქ უწერია სიკვდილი კამბისესს, კიროსის ძეს".

65. მაშინ ესა თქვა, ხოლო დაახლოებით 20 დღის შემდეგ იქ მყოფ სპარსელთაგან დაუმახა ყველაზე წარჩინებულთ და უთხრა მათ შემდეგი: "სპარსელებო, ისე მოხდა, რომ რასაც განსაკუთრებით ვმალავდი, სწორედ იმაში უნდა გამოგიტყდეთ. ეგვიპტეში რომ ვიყავი, სიზმარი ვნახე, რომელიც, ნეტავი კი არასოდეს მენახა. მე მეჩვენა მოციქული, რომელიც მოვიდა სახლიდან და მომიტანა ამბავი, რომ სმერდისი ზის სამეფო ტახტზე და თავით ებჯინება ზეცასო. შემეშინდა, ძმამ არ წამართვას ხელისუფლება მეთქი და აჩქარებულად და უგუნურად მოვიქეცი. მაგრამ ადამიანისათვის შეუძლებელია თავიდან აიცდინოს ის, რაც მოსახდენია, მე კი, უგუნურმა პრექსასპესი გავგზავნე სუსაში და მოვაკვლევი სმერდისი. ასეთი ბოროტება რომ ჩავიდინე, უშიშრად ვცხოვრობდი, რადგან არ მეგონა, რომ სმერდისის მოკვლის შემდეგ სხვა რომელიმე ადამიანი აღდგებოდა ჩემს წინააღმდეგ. მაგრამ ძალიან მოვტყუვდი, სრულიად უსაბაზოდ გავხდი ძმის მკვლელი და სახელმწიფო კი მაინც დავკარგე, რადგან ის სმერდისი მოგვი იყო, რომლის ამბოხების შესახებაც მაუწყა სიზმარში ღვთაებამ. ეს საქმე ჩავიდინე და იცოდეთ, სმერდისი, კიროსის ძე აღარ გყავთ, ხოლო თქვენი სახელმწიფო მოგვებს უპყრიათ, იმას, რომელიც დავტოვე სასახლის მეურვედ და მის ძმას, სმერდისს. ვისაც ყველაზე მეტად მართებდა მოგვების მიერ მიყენებული ბოროტებისათვის ჩემს მაგიერ შურისძიება, ის მოსპეს თავისმა უახლოესმა პირებმა უკეთური სიკვდილით; რადგან ის აღარ არის, ამიტომ, სპარსელებო, თქვენ მოგმართავთ და მინდა, რომ ერთი რამ აუცილებლად აასრულოთ ჩემი ცხოვრების აღსრულების შემდეგ. მოვუწოდებ სამეფო ღმერთებს და მოვითხოვ თქვენგან შემდეგს (თქვენგან ყველასაგან და განსაკუთრებით კი იმ აქამდენიდთაგან, რომლებიც აქ არიან): არ მისცეთ საშუალება, ხელისუფლება კვლავ მიდიელების ხელში გადავიდეს; თუ მათ ეშმაკობით მოიპოვეს ის, ეშმაკობითვე უნდა ჩამოვართვათ, ხოლო თუ ძალით მოიპოვეს, მთელი ძალა უნდა იხმართო, მის გადასარჩენად. ამას რომ აღასრულებთ, მიწა ნაყოფს მოიტანს, ქალები და ჯოგები მემკვიდრეობას გაამრავლებენ და თქვენც სამუდამოდ თავისუფლები იქნებით; ხოლო თუ არ აღადგენთ თქვენს ხელისუფლებას და არც შეეცებით მის აღდგენას, მაშინ მე ვისურვებ, რომ ამისი საწინააღმდეგო რამ დაგემართოთ თქვენ და ამას გარდა თითოეულ სპარსელს ისეთივე ბოლო ჰქონდეს, როგორც მაქვს მე". ამას ამბობდა კამბისესი და დასტიროდა თავის ბედს.

66. სპარსელებმა რომ დაინახეს მტირალი მეფე, ტანსაცმელი ზედ შემოიხიეს და დიდი ხმით მორთეს ტირილი. ამის მერე, მეფეს დაეწყო ძვლის ანთება, დალპა თეძო და ამან გადაიტანა კამბისესი, კიროსი ძე, რომელმაც იმეფა სულ 7 წელი და 5 თვე. ეს საერთოდ უშვილო იყო, არ ჰყავდა არც ვაჟი და არც ქალი მემკვიდრედ. იქ მყოფმა სპარსელებმა არ დაიჯერეს ის, რომ მოგვებმა ჩაიდეს ძალაუფლება, ის კი არა, მათ იფიქრეს, რომ კამბისესმა სმერდისის სიკვდილის ამბავი მათ მოსატყუებლად გამოიგონა, რათა მთელი სპარსეთი აემხედრებინა მის წინააღმდეგ.

67. მათ სჯეროდათ, რომ მეფედ სმერდისი ზის, კიროსის ძე. მით უმეტეს, რომ პრექსასპესს შეეშინდა ელიარებინა, სმერდისი მოვკალიო, რადგან კამბისესის

სიკვდილის შემდეგ მისთვის სახიფათო იყო გაემყდნებინა, რომ მისი ხელით დაიღუპა კიროსის შვილი. ხოლო კამბისესი რომ დაიღუპა, მოგვი უშიშრად მეფობდა (ისარგებლა იმით, რომ სმერდისი კიროსის ძის თანამოსახლე იყო) იმ 7 თვეს, რომელიც კამბისესს დააკლდა მეფობის 8 წლის შესრულებამდე, ამ ხნის განმავლობაში ყველა თავის ქვეშევრდომს ბევრი კარგი საქმე გაუკეთა, ისე რომ, მისმა სიკვდილმა ყველა აზიელი დიდად დაამწუხრა, გარდა თვითონ სპარსელებისა. მოგვმა ხომ ყველა ხალხს, ვისაც კი მართავდა, დაუგზავნა კაცები და შეუთვალა, რომ ისინი თავისუფალი არიან სამხედრო სამსახურისა და ხარკისაგან სამი წლის განმავლობაში.

68. მან ეს გამოაცხადა მაშინვე, როგორც კი ძალაუფლება იგდო ხელთ, ხოლო მერვე თვეზე მისი ამბავი ამნაირად გამომჟღავნდა: ოტანესი იყო ფარნასპესის შვილი, წარმოშობითა და შეძლებით ერთი პირველი სპარსელთაგანი. ამ ოტანესს პირველს შეეპარა ეჭვი იმაში, რომ მოგვი კიროსის ძე სმერდისი კი არ არის, არამედ ვიღაც სხვაა. ეს იმის მიხედვით დაასკვნა, რომ მეფე არასოდეს გამოდიოდა ციხესიმაგრიდან და წარჩინებულ სპარსელთაგან არავის უძახდა თავისთან. ეჭვით შეპყრობილი ასე მოიქცა: კამბისესს ჰყავდა მაშინ ცოლად მისი ასული, რომელსაც სახელად ერქვა ფადიმე. იგი ჰყავდა მაშინ ცოლად მოგვსაც. ის მასთან ცხოვროდა და კამბისესის ყველა სხვა ცოლთანაც. ოტანესმა გაუგზავნა ამ თავის ასულს კაცი, რომ შეეტყო, თუ ვისთან სძინავს მას, სმერდის კიროსი ძესთან თუ ვინმე სხვასთან. ქალმა შემოუთვალა, არ ვიციო, რადგან არც სმერდის კიროსის ძე უნახავს ოდესმე და არც ის იცის, ვინ არის, ვინც მასთან ცხოვრობს. მეორედ გაუგზავნა ოტანესმა კაცი და შეუთვალა: "თუ შენ არ იცნობ სმერდის კიროსის ძეს, ატოსას ჰკითხე, ვინ არის, ვისთანაც ცხოვრობთ ისიც და შენც, რადგან ის ხომ კარგად იცნობს თავის ძმას". ასულმა ამაზე უპასუხა: "არც ოტოსასთან შემიძლია ლაპარაკი და ვერც სხვა ვისმე ვხედავ იმ ცოლთაგან, ვისთანაც ცხოვრობს. ამ კაცმა, ვინც არ უნდა იყოს ის, სამეფო ტახტზე ასვლისთანავე დაგვაშორა ერთმანეთს".

69. ეს რომ მოისმინა ოტანესმა, კიდევ უფრო ცხადი გახდა მისთვის საქმის ვითარება. მან მესამედ გაუგზავნა მოციქულობა თავის ქალს და შეუთვალა: "ასულო ჩემო, შენ კეთილშობილი ხარ, ამიტომ მამა რომ გიბრძანებს, უნდა დაემორჩილო და ხიფათში ჩაიგდო თავი, რადგან თუ ეგ სმერდის კიროსის ძე კი არა, არამედ ისაა, ვინც მე მგონია, მას არც შენთან წოლა მართებს და სპარსელებზე მეფობასაც თავი უნდა გაანებოს, თანაც ყოველივე ამისთვის პასუხი აგოს. ამიტომ ასე უნდ მოიქცე: როდესაც ის შენთან დაწვება და შეატყობ, რომ დაიძინა, მოუსინჯე ყურები. თუ ნახავ, რომ აქვს ყურები, მაშინ იცოდე, რომ შენთან სმერდის კიროსის ძე წევს, ხოლო თუ არა აქვს, მაშინ შენთან მოგვი სმერდისუ ცხოვრობს". ამაზე ფადიმემ შემოუთვალა, რომ მართლაც დიდი საფრთხე მოელის, თუ ამას გააკეთებს, რადგან კაცს მართლა არა აქვს ყურები და იგრძნობს, რომ ყურებს უსინჯავენ, კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ შემთხვევაში ქალს გააქრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც გააკეთებს ამას; ასე აღუთქვა ქალმა მამას ამის გაკეთება. ამ მოგვს, სმერდისის ყურები დააჭრა კიროსმა, კამბისის ძემ, რადაც არც თუ ისე მცირე დანაშაულისათვის. ფადიმემ კი, ოტანესის ასულმა, ყველაფერი შეასრულა, რასაც დაჰპირდა მამას. როდესაც დადგა მისი ჯერ მოგვთან მისვლისა (რადგან სპარსელებთან ცოლები მორიგეობით მიდიან ხოლმე), იგი მივიდა და დაწვა მასთან, ხოლო მოგვმა რომ მაგრად დაიძინა, ქალმა ყურები

მოუსინჯა და სულ ადვილად დაიდასტურა, რომ მის ქმარს ყურები არ ჰქონდა. გათენებისთანავე გაგზავნა კაცი მამასთან და ყველაფერი შეატყობინა.

70. ხოლო ოტანესმა მოიყვანა ასპათინესი და გობრიესი, წარჩინებული სპარსელები, რომელთაც ის განსაკუთრებით ენდობოდა და უამბო მათ მთელი ეს ამბავი. მათ თვითონ ჰქონდათ ეჭვი, რომ ასეა საქმე და ოტანესის მოტანილი ამბავი დაიჯერეს.

მათ გადაწყვიტეს, რომ თითოეული მათგანი შეიამხანაგებს ერთ სპარსელს, ვისაც ის განსაკუთრებით ენდობა. ოტანესმა შემოიყვანა ინტაფრენესი, გობრიესმა - მეგაბიმოსი, ხოლო ასპათინესმა - ჰიდარნესი, ისინი რომ ექვსნი გახდნენ, სუსაში სპარსეთიდან მივიდა დარიოსი, ჰისტასპესის ძე; მისი მამამ ხომ სპარსეთში მეფისნაცვალი იყო.

როდესაც ის მოვიდა, ამ ექვსმა სპარსელმა გადაწყვიტა, დარიოსიც შეეამხანაგებინათ.

71. ესენი, შვიდნი რომ იყვნენ, შეიკრიბნენ, ერთმანეთს სიტყვა მისცეს და ერთგულება შეჰფიცეს. როდესაც დარიოსის ჯერი დადგა აზრის გამოსათქმელად, მან შემდეგი თქვა: "მე მეგონა, მხოლოდ მე ვიცოდი, რომ მოგვი მეფობს, ხოლო სმერდისი, კიროსის ძე მკვდარია. აი, ამის გამო იყო, რომ აქეთ მოვიჩქაროდი, რათა შემემზადებინა მოგვისთვის სიკვდილი; რადგანაც ისე მოხდა, რომ მარტო მე კი არა, თქვენც გცოდნიათ ეს ამბავი, ვფიქრობ, ნუ გავაჭინაურებთ და სასწრაფოდ ვიმოქმედოთ; ასე აჯობებს". - ამაზე ოტანესმა თქვა: "ჰისტასპესის ძევ, კარგი მამის შვილი ხარ და უთუოდ არ გინდა, რომ მამას ჩამორჩე, მაგრამ ამ საქმის დაწყებას ეგრე განუსჯელად ნუ იჩქარებ, მას მეტი გონიერებით მოეკიდე. რადგან მისი დაწყებისათვის საჭიროა, რომ უფრო მრავალი ვიყოთ". ამაზე დარიოსმა უპასუხა: "აქ დამსწრე ვაჟკაცებო, ოტანესის ნათქვამის მიხედვით თუ მოვიქცევით, იცოდეთ, სამარცხვინოდ დაიღუპებით, რადგან ვილაც მაინც მიუტანს მოგვს ანგარებით ამბავს. ყველაზე უკეთესი იქნებოდა, თქვენ თვითონვე გაგეკეთებინათ ეს საქმე, მაგრამ რადგან გადაწყვიტეთ, რომ უფრო ბევრისათვის გაგეგებინებინათ და მეც გამენდვეთ, ამიტომ ან დღესვე ვიმოქმედოთ, ანდა იცოდთ, რომ თუ დღევანდელი დღე გავაცდინეთ, მხილებას სხვა ვერავინ მომასწრებს. მე თვითონ ვაუწყებ ყოველივეს მოგვს".

72. როდესაც დაინახა, რომ დაიროსი ასე ჩქარობდა, ოტანესმა თქვა: "რაკილა ასე გვაჩქარებ და გადადების ნებას არ გვაძლევ, მაშინ შენ თვითონ აგვიხსენი, როგორ უნდა შევიდეთ სასახლეში და დავესხათ თავს მოგვებს. უთუოდ თვითონაც იცი, რომ ყველგან დარაჯებია დაყენებული, ხოლო თუ არ გინახავს, მოგისმენია მაინც ამის შესახებ. რაინაირად უნდა გავცდეთ მათ?" დარიოსმა მიუგო: "ოტანეს, ბევრი რამ არის, რისი ახსნაც სიტყვით კი არა, საქმით ხდება ხოლმე. ამასთან ბევრი რამის ახსნა შესაძლებელია სიტყვით, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელოვანი საქმე არ მოჰყვება. იცოდეთ, რომ იქ დაყენებულ დარაჯებთან გავლა სრულებით არ არის ძნელი, რადგან თქვენ ყველანი ისეთები ხართ, რომ ვერავინ გაბედავს, არ გაგატარონ, ზოგი პატივისცემით, ზოგი კი შიშით. ხოლო მე, საუკეთესო საბაბი მაქვს რომ გამატარონ, რადგან ვიტყვი, რომ ეს ესაა მოვედი სპარსეთიდან და მინდა მეფეს გადავცე მამის დანაბარები, რადგან სადაც დაჭიროა ტყუილის თქმა, იქ უნდა ითქვას კიდევაც. ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივე სურთ მათაც, ვინც ტყუის და მათაც, ვინც სიმართლეს ამბობს. ერთნი ტყუიან მაშინ, როდესაც უნდათ სხვების ტყუილით

დარწმუნება და ამით სარგებლობა, ხოლო სხვები მართალს ამბობენ, რათა სიმართლით მოიხვეჭონ სარგებელი და ხალხის მეტი ნდობა დაიმსხურონ. ამრიგად, სხვადასხვა მოქმედებით ერთსა და იმავე შედეგს ვაღწევთ. გამორჩენას რომ არ მოელოდეს, მართალია ადამიანი ადვილად გახდებოდა მატყუარა და მატყუარა კი მართალი. რომელი კარისმცველიც თავის ნებით გაგვატარებს, შემდეგში ბედს ეწევა, ხოლო ვინც შეეცდება წინააღმდეგობა გაგვიწიოს, ის მტრად გამოცხადდება. ახლა კი მოვკიდოთ ხელი საქმეს და შევიჭრათ სასახლეში".

73. ამის შემდეგ გობრიესმა თქვა: "მეგობრებო, როდის გვექნება უკეთესი შემთხვევა ძალაუფლების დასაბრუნებლად, ანდა (თუ ვერ შევძლებთ მის დაბრუნებას) თავის დასადებად? ჩვენ, სპარსელები მიდიელ მოგვს ვემორჩილებით და ისიც უყუროს. ზოგიერთ თქვენგანს, ვინც ავადმყოფ კამბისესთან იყო, კარგად ეხსომება, თუ სიცოცხლის აღსასრულისას რით დაემუქრა ის სპარსელებს, თუ კი ისინი არ შეეცდებიან ძალაუფლების დაბრუნებას; მაშინ არ დავუჯერეთ მას, რადგან გვეგონა, რომ კამბისესი ცილს სწამებს მოგვეს. ამიტომ ახლა იმ აზრისა ვარ, რომ დავუჯეროთ დარიოსს, არ დავიშალოთ ამ ჩვენი შეკრებიდან და პირდაპირ წავიდეთ მოგვის წინააღმდეგ". ეს თქვა გობრიესმა და ყველანი დაეთანხმნენ მას.

74. სანამ ესენი თათბირობდნენ, ამასობაში შემდეგი რამ მოხდა. მოგვებმაც მოითათბირეს და გადაწყვიტეს პრექსასპესი დაემეგობრებინათ. ეს იმიტომ, რომ ის კამბისესის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, ჯერ ერთი იმის გამო, რომ კამბისესმა ისარი ესროლა მის შვილს და მოჰკლა, კიდევ იმიტომ, რომ მხოლოდ მან იცოდა სმერდისის, კიროსის ძის სიკვდილი, რადგან ის თავისი ხელით ჰყავდა მოკლული და კიდევ იმიტომ, რომ სპარსელებში პრექსასპესს დიდი სახელი ჰქონდა. ყოველივე ამის გამო მოგვებმა დაუმახეს პრექსასპესს, შეეცადნენ დაემეგობრებინათ, დაადებინეს ერთგულების სიტყვა და ფიცი, რომ საიდუმლოდ შეენახა და არავისთვის გაემჟღავნებინა. როგორც მოატყუეს მათ სპარსელები და ყოველივე ამისთვის მას აურაცხელ სიმდიდრეს დაჰპირდნენ. პრექსასპესმა აღუთქვა, რომ ასე მოიქცეოდა. როდესაც მოგვებმა ამაზე დაიყოლიეს, მერე სხვა რამეც დაავალს: უთხრეს, რომ ყველა სპარსელს შეკრებენ სასახლის გალავანთან და მას კი უბრძანეს, რომ ასულიყო კომპოზე და იქიდან გამოეცხადებინა, რომ მათ განაგებს კიროსის ძე, სმერდისი და სხვა არავინ. ეს იმიტომ დაავალეს, რომ სპარსელებს ის ყველაზე სანდო პირად მიაჩნდათ, მრავალგზის ჰქონდა ნათქვამი, კიროსის ძე სმერდისი ცოცხალიაო და ასევე მრავალგზის უარყვია მისი მკვლელობა.

75. როდესაც პრექსასპესმა თქვა, რომ მზდ არის ესეც გააკეთოს, მოგვებმა თავი მოუყარეს სპარსელებს, აიყვანეს პრექსასპესი კომპოზე და უბრძანეს, ელაპარაკა; ხოლო რასაც ისინი მისგან მოითხოვდნენ, მან საგანგებოდ დაივიწყა და დაიწყო კიროსის სახლის გენეალოგიის თხრობა აქამდენისიდან მოკიდებული, ხოლო შემდეგ, როდესაც კიროსამდე მოვიდა, თქვა თუ რამდენი სიკეთე გაუკეთებია კიროსს სპარსელებისათვის, ეს რომ მოუთხრო, შემდეგ გამოამჟღავნა ჭეშმარიტება და თქვა, რომ უწინ მალავდა (რადგან მისთვის სახიფათო იყო მომხდარის შესახებ ლაპარაკი), ხოლო ახლა კი აუცილებლად გამოაცხადებს, რაც მოხდა. მან თქვა, რომ კამბისესმა აიძულა და მან თვითონ მოჰკლა კიროსის ძე, სმერდისი, ხოლო ახლა მეფობენ მოგვები. შემდეგ ბევრი სწყევლა სპარსელები, თუკი ისინი ძალაუფლებას არ

დაიბრუნდებდნენ და მოგვებს არ დასჯიდნენ და თავდაყირა გადმოეშვა კომპის ძირს. ასე აღესრულა პრექსასპესი, რომელიც მუდამ ღირსეული კაცი იყო.

76. ხოლო შვიდმა სპარსელმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, მაშინვე დასხმოდნენ თავს მოგვებს და ეს საქმე არ გადაედოთ, ილოცეს ღმერთების მიმართ და გამოვიდნენ ისე, რომ, რაც პრექსასპესს თავს გადახდა, არაფერი იცოდნენ. შუაგზაზე რომ იყვნენ, მაშინ შეიტყვეს, რაც პრექსასპესს დაემართა. მაშინ გადაუხვიეს გზიდან და ისევ მოლაპარაკება დაიწყეს. ისინი, ვინც ოტანესის მხრეზე იყვნენ, ამბობდნენ, რომ გადაედოთ და არ დასხმოდნენ თავს მოგვებს, სანამ საქმეები ასე არეულია. ხოლო დარიოსის მომხრეები კი ამბობდნენ, რომ დაუყოვნებლივ აღესრულებინათ, რაც გადაწყვიტეს. ისინი რომ კამათობდნენ, გამოჩნდა შვიდი წყვილი ქორი, რომლებიც ორ წყვილ ძერას მისდევდნენ, სწიწნიდნენ და გლეჯდნენ მათ. ეს რომ დაინახეს, შვიდთავემ დარიოსის აზრი გაიზიარეს და ფრინველთაგან გამხნეებულები გაემართნენ სასახლისაკენ.

77. როდესაც კარიბჭეს მიადგნენ, მოხდა ისე, როგორც დარიოსი მოელოდა: დარაჯები მოწიწებით შეხვდნენ სპარსელ წარჩინებულებს, მათგან არაფერს საეჭვოს არ მოელოდნენ, გაატარეს ღვთაებრივი შთაგონებით და არავის უკითხავს არაფერი. შემდეგ, როდესაც შევიდნენ ეზოში, შეხვდნენ საჭურისებს, რომელთაც ცნობების მიტანა ევალეზოდათ. საჭურისები შეეკითხნენ სპარსელებს, რისთვის მოსულხართო. ისინი თან ამათ ეკითხებოდნენ და თან კარისმცველებს ემუქრებოდნენ, რად გაატარეთ სპარსელებიო. როდესაც ამ შვიდმა მოინდომა წინ წასვლა, საჭურისებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. სპარსელებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში, იძრეს სატევრები, საჭურისები, რომლებიც უძალიანდებოდნენ, ადგილზე დაჰკლეს და თვითონ სირბილით შეცვივდნენ მამაკაცთა დარბაზში.

78. ისე მოხდა, რომ ორივე მოგვი ამ დროს შიგნით იყო და თათბირობდა პრექსასპესის საქციელის გამო. მაგრამ როდესაც დაინახეს შემფოთებული და აყვირებული საჭურისები, მიხვდნენ, რაც მომხდარიყო, ორივენი წამოცვივდნენ და მოემზადნენ თავის დასაცავად. ერთი მათგანი სასწრაფოდ მშვილდს ეცა, ხოლო მეორემ შუბი მოიმარჯვა. მაშინ დაერივნენ ერთმანეთს, მშვილდოსნისათვის მშვილდი სრულიად ურგები აღმოჩნდა, რადგან მოწინააღმდეგე მას ახლოდან უტევდა, ხოლო მეორემ, რომელიც შუბით იცავდა თავს, ჯერ ასპათინესი დასჭრა თემოში, მერე ინტაფრენესი - თვალში, ამ ჭრილობამ ინტაფრენესს თავალი დააკარგვინა, მაგრამ არ მოუკლავს, ერთმა მოგვმა დასჭრა ეს ორი კაცი, ხოლო მეორე მოგვი, მშვილდი რომ ვერ მოიხმარა, შევარდა საწოლ ოთახში, რომელიც მამაკაცთა ოთახის გვერდით იყო და უნდოდა მისი კარები ჩაეკეტა, მაგრამ მასთან ერთად ამ შვიდიდან ორი შეცვივდნენ - დარიოსი და გობრიესი. გობრიესი და მოგვი შეიბნენ, დარიოსი კი იდგა და არ იცოდა, რა ექნა, რადგან ემინოდა სიბნელეში გობრიესი არ დაეჭრა. გობრიესმა რომ დაინახა უქმად გაჩერებული დარიოს შეეკითხა, რატომაა, რომ ხელს არ ანძრევო. დარიოსმა უპასუხა, მეშინია, შენ არ დაგჭრაო. გობრიესმა ამაზე მიუგო: დაგვკარი მახვილი თუნდაც ორივესაო. დარიოსმა დაუჯერა: დაჰკრა სატევარი და ბედად მოგვს მოახვედრა.

79. მოგვები დახოცეს და თავები დასჭრეს, ხოლო თავიანთი დაჭრილები იქვე დატოვეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაუძლურებულები იყვნენ და მერე კიდევ ციხე-

სიმაგრის დასაცავად. ხოლო ხუთი მათგანი, ხელში მოგვების თავებით, გარეთ გამოვარდნენ, ყვირილი და ხმაური ასტეხეს. სხვა სპარსელებს დაუძახეს, უამბეს, რაც მოხდა და თავები უჩვენეს. ამასთანავე ჰკლავდნენ ყველა მოგვს, ვისაც კი გადაეყრებოდნენ. როდესაც სპარსელებმა შეიტყვეს, თუ ამ შვიდმა რა გააკეთა და მოგვებმა ისინი როგორ მოატყუეს, თვითონაც ისევე მოიქცნენ: იშიშვლეს სატევრები და ჰკლავდნენ მოგვებს, სადაც კი მოახელთებდნენ. დამე რომ არ დამდგარიყო, ვერცერთი მოგვი ვერ გადარჩებოდა. ეს დღე სპარსელებს საერთოდ ყველა სხვა დღეზე მეტად მიაჩნიათ და მათავენ დიდ დღესასწაულს, რასაც "მოგვთა მოკვდინებას" უწოდებენ. ამ დროს ვერც ერთი მოგვი ვერ გამოჩნდებოდა დღის სინათლეზე; ამ დღეს მოგვები თავთავის სახლებში ატარებენ.

80. როდესაც შფოთიანობა დაცხრა და ხუთ დღეზე მეტი გავიდა, მოგვების წინააღმდეგ ამბოხებულმა სპარსელებმა ითათბირეს სახელმწიფოებრივი საქმეების შესახებ; მათ მიერ წარმოთქმული სიტყვების მიმართ ზოგიერთი ელინი უნდობლობას იჩენს, მაგრამ ეს სიტყვები მათლაც წარმოთქვეს. ოტანესმა გამოაცხადა, სახელმწიფოს მართვაში ყველა სპარსელი უნდა მონაწილეობდესო. მან თქვა: "მე მგონია, რომ ერთი პირი აღარ უნდა იყოს ჩვენი მმართველი, რადგან ეს არც სასიამოვნოა და არც კარგი. თქვენ ხომ ნახეთ, სანამდის მივიდა კამბისესის თავხედობა და თქვენ თვითონვე განიცადეთ მოგვების თავნებობა. როგორ შეიძლება კარგი რამ იყოს ერთმმართველობა, რომელიც არაფრით არ ზღუდავს მმართველის თვითნებობას? ადამიანთა შორის ყველაზე ღირსეულმა რომ მოიპოვოს ეს ძალაუფლება, ისიც კი ვედარ შეინარჩუნებს თავის ჩვეულებრივ ღირსებას, რადგან თავნებობას წარმოშობს მასში ის სიკეთე, რომელიც მის ხელთაა, ხოლო შურიანობა იმთავითვე ახასიათებს ადამიანის ბუნებას. ეს ორი თვისება მერე ყოველგვარ ბოროტებას აჩენს. ისე რომ, ყველაფრით გულმოყრჭებული ის ბევრ უღირს საქციელს სჩადის, ზოგს თავნებობით და ზოგსაც შურით. თუმცა ტირანი, რაკილა მას ყოველგვარი სიკეთე აქვს, არ უნდა იყოს შურიანი, მაგრამ მისი საქციელი მოქალაქეთა მიმართ ამის სრულიად საწინააღმდეგო რასმე გვიჩვენებს, მას შურს საუკეთესო მოქალაქეებისა, რომლებიც არსებობენ და ცოცხლობენ, სამაგიეროდ შეჰხარის უბოროტესთ მოქალაქეთა შორის, ხოლო შესძენას ყველაზე მეტად იწონებს. მისი გული ყველაზე უფრო ძნელი მოსაგებია: რადგან თუ ზომიერად ავლენ მის მიმართ აღტაცებას, ის უკმაყოფილოა, საკმარისად არ მცემ პატივსო, ხოლო თუ ვინმე მეტისმეტად პატივს მიაგებს, მაშინაც უკმაყოფილოა, მემლიქვნელებათ. ახლა კი ვიტყვი იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: ის მამა-პაპათა წეს-ჩვეულებებს არღვევს, ძალას ხმარობს ქალებზე და განუსჯელად ხოცავს მამაკაცებს. ხალხის მმართველობას უპირველესად ყოვლისა სახელწოდება აქვს შესანიშნავი - თანასწორუფლებიანობა, ხოლო შემდეგ ხალხის მმართველობა არაფერს აკეთებს ისეთს, რასაც აკეთებს ერთმმართველი. თანამდებობებს ისინი წილისყრით იჭერენ, თანამდებობისათვის პასუხს აგებენ, ხოლო ყოველგვარი გადაწყვეტილება საერთო საბჭოზე გააქვთ. ამიტომ, ჩემის აზრით, უნდა მოვსპოთ ერთმმართველობა და გაავძლიეროთ ხალხის მმართველობა, რადგან სიმრავლე ყოვლის შემძლეა". ოტანესმა ეს წინადადება შემოიტანა.

81. ხოლო მეგაბიდოსმა ბრძანა, მცირეთა მმართველობას მივენდოთ, მან თქვა: "რაც ოტანესმა ილაპარაკა ტირანიის მოსპობის შესახებ, მეც იმასვე ვიტყვოდი, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ძალაუფლება ხალხს გადაეცეს, აქ ის თავის სწორ აზრს ასცდა,

რადგან არაფერია უფრო უგუნური და თავნება, ვიდრე უსარგებლო ბრბო. მართლაც, სრულიად აუტანელია, რომ ხალხმა თავი იხსნას ტირანის თავნებობისაგან და თავი ჩაიგდოს ხალხის აღვირახსნილ თავნებობაში, რადგან თუ ტირანი რამეს აკეთებს, მან იცის და ისე აკეთებს, ხალხმა კი არ იცის. ანდა როგორ უნდა იცოდეს რამე იმან, ვისაც არც უსწავლია და არც უნახავს არაფერი კარგი და ხეირიანი, ის მიექანება და იჭრება საქმეებში უგუნურად, ადიდებული მდინარის მსგავსად. რაც შეეხება ხალხს, ვისაც სპარსელებისათვის ბოროტება უნდა, იმათ შემოგვთავაზონ მათი მმართველობა, ჩვენ კი ამოვარჩევთ საუკეთესო ადამიანთა ჯგუფს და მათ გადავცემთ ძალაუფლებას. ჩვენ თვითონ მათ შორის ვიქნებით. ცხადია, საუკეთესო ადამიანებს გადაწყვეტილებებიც საუკეთესო ექნებათ". მეგაბიდოსმა ეს აზრი გამოთქვა.

82. მესამედ დარიოსმა წარმოთქვა სიტყვა; მან თქვა: "მე ვფიქრობ, რაც თქვა მეგაბიდოსმა ხალხის მმართველობის შესახებ, აქ მან სწორად ილაპარაკა. ხოლო რაც შეეხება მცირეთა მმართველობას, აქ ის მართალი არ არის, წარმოდგენილი სამი შესაძლებლობიდან მე მჯერა, რომ თითოეული მათგანი საუკეთესოა - ხალხის მმართველობაც საუკეთესოა, მცირეთა მმართველობაც და ერთმმართველობაც, მაგრამ მაინც იმას ვიტყვი, რომ უკანასკნელი ბევრად აღემატება ორივეს. ერთი ღირსეული კაცის მმართველობაზე უკეთესი არაფერი შეიძლება იყოს, რადგან კარგი აზრების გამოყენებით ის უკანალოდ უპატრონებს ხალხს და ასეთი მმართველობის დროს საგანგებოდ დაიძალბება მტრებისაგან გადაწყვეტილებები. მცირეთა მმართველობის დროს, როდესაც მრავალნი ზრუნავენ სახელმწიფოს საქმეებზე, ჩვეულებრივ, დიდი უთანხმოება ჩამოვარდება ხოლმე მათ შორის, რადგან თითოეულ მათგანს სურს მოთავებობა და თავისი აზრების გატანა, რაც მათში ერთმანეთის მიმართ დიდ უთანხმოებას წარმოშობს, აქედან წარმოსდგება განხეთქილებები, განხეთქილებებიდან - მკვლელობა, ხოლო მკვლელობის შემდეგ წარმოიშობა ერთმმართველობა; აი, ამიტაც კარგად ჩანს, რომ ის არის მმართველობის საუკეთესო ფორმა. მერე - როდესაც სთავებია ხალხი, შეუძლებელია, რომ ბოროტება არ წარმოიშვას და რაკილა ბოროტება წარმოიშობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთმანეთს კი არ მტრობენ ეს ცუდი ადამიანები, არამედ პირიქით, დიდ მეგობრობას ამყარებენ. ბოროტის ჩამდენი ადამიანები სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩვეულებრივ შეთანხმებულები არიან ხოლმე. და ეს ასეა, სანამ ერთი ვინმე არ ჩაუდგება სათავეში ხალხს და არ მოუღებს ბოლოს ასეთ ყოფას. ამიერიდან ეს პირი იწვევს ხალხის აღტაცებას და ამ აღტაცების შედეგად ის ერთმმართველი ხდება. აი, ამის მიხედვითაც ნათელია, რომ ერთმმართველობა საუკეთესო ფორმაა სახელმწიფოს მართვისა. ყოველივე ნათქვამს რომ თავი მოვუყაროთ და ვიკითხოთ, საიდან მივიღეთ ჩვენ თავისუფლება და ვინ მოგვცა ის? ხალხმა, მცირეთმმართველობამ, თუ ერთმმართველობამ? მე იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენ გაგვათავისუფლა ერთმა კაცმა და ამიტომ ჩვენ უნდა მოვუაროთ მმართველობის ამ ფორმას. ამას გარდა, მამაპაპეულ კარგ წესჩვეულებებს არ უნდა გადავუხვიოთ, ასე არ ივარგებს".

83. ეს სამი აზრი იყო წამოყენებული, ხოლო შვიდი კაციდან დანარჩენი ოთხი შეუერთდა ამ უკანასკნელს. რადგანაც დამარცხდა ოტანესის აზრი, რომელსაც სპარსელებისათვის თანასწორუფლებიანობის დამყარება უნდოდა, ოტანესმა უთხრა მათ შემდეგი: "მეგობრებო, ცხადია, რომ ერთი ჩვენგანი გახდება მეფე, იქნება ეს წილისყრით, თუ სპარსელი ხალხის არჩევით, ვისაც ის მიანდობს ამ საქმეს, ან კიდევ

სხვა რამ გზით. მაგრამ მე თქვენ არ შეგეჯიბრებით, რადგან არც მართვა მინდა და არც ის, რომ ვინმე მმართველად. მე იმ პირობებით ვამბობ უარს ძალაუფლებაზე, რომ არც ერთი თქვენგანი არ იქნება ჩემი მმართველი არც თვითონ ჩემი და არც ჩემი ჩამომავლობის არასოდეს". ოტანესმა რომ ეს თქვა, დანარჩენი ექვსი დაეთანხმა მას ამ პირობაზე; ის აღარ შესცილებია მათ თანამდებობის მოპოვებაში და განზე გადგა. ამჟამად სპარსელთა შორის მხოლოდ ეს სახელია თავისუფალი და ის ჰმორჩილებს მეფეს იმდენად, რამდენადაც თვითონ სურს, მაგრამ სპარსელთა კანონებს, ცხადია, არ არღვევს.

84. დანარჩენები ამ შვიდიდან თათბირობენ იმისათვის, რომ მეფე რაც შეიძლება სამართლიანად დაესვათ. მათ გადაწყვიტეს, რომ ვისაც მოხვდება სამეფო ხელისუფლება, მან ოტანესსა და მის ჩამომავლობას სამუდამოდ უნდა მიაღწიოს ხოლმე ყოველწლიურად საუკეთესო მიდიური ტანსაცმელი და ყოველგვარი საჩუქრები, რაც სპარსელებში ყველაზე უფრო ძვირფასად ითვლება. მისთვის საჩუქრების მიცემა იმიტომ გადაწყვიტოს, რომ მან პირველმა მოიფიქრა ეს საქმე და შემოიკრიბა ისინი. ასე გამოარჩიეს მათ ოტანესი, ხოლო დანარჩენებს კი საყოველთაოდ ასე დაუდგინეს: თითოეულს ამ შვიდთაგანს შეეძლება, როდესაც მოისურვებს სასახლეში შესვლა წინასწარ შეტყობინების გარეშე, თუკი მეფე ამ დროს ცოლთან არ წევს, ხოლო მეფეს ცოლის შერთვა შეუძლია მხოლოდ მისი ახლანდელი თანამებრძოლების ოჯახებიდან. სამეფო ხელისუფლების შესახებ მათ შემდეგი გადაწყვიტეს: ისინი გარეუბანში ისხდებიან ცხენებზე და მზის ამოსვლის ვისი ცხენიც პირველად დაიჭიხვინებს, იმისი იქნება სამეფო ხელისუფლება.

85. დარიოსს ჰყავდა ერთი ჭკვიანი მეჯინიბე, მას სახელად ერქვა ომბარესი. როდესაც დაიშალნენ, ამ კაცს დარიოსმა შემდეგი უთხრა: "ომბარეს, ჩვენ გადავწყვიტეთ სამეფო ხელისუფლება ასე მივაკუთვნოთ ერთ-ერთ ჩვენგანს: უნდა შევსხდნეთ ცხენებზე და ვისი ცხენიც პირველი დაიჭიხვინებს მზის ამოსვლისთანავე, მისი იქნება სამეფო ხელისუფლება. ახლა კი თუკი რამე ხერხი იცი, ისე გააკეთე, რომ ეს პატივი ჩვენ გვერგოს და არა სხვა ვისმე", ომბარესმა მიუგო შემდეგი: "უფალო, ამაზე თუა დამოკიდებული შენი გამეფება, გამხნევი და გამხიარულდი, რადგან შენს გარდა სხვა არავინ იქნება მეფე, ამისი წამალი მე მაქვს". დარიოსმა თქვა: "თუკი იცი რამე ასეთი საშუალება, დროა, რომ მას მიმართო და შორს არ გადასდო, რადგან შეჯიბრი ხვალ დილას გვაქვს". ომბარესმა რომ მოისმინა, ასე მოიქცა: დაღამებისთანავე წაიყვანა და გარეუბანში დააბა ერთი ფაშატი, რომელიც დარიოსის ცხენს განსაკუთრებით უყვარდა. აქვე მოიყვანა დარიოსის ცხენიც და დიდხანს ატარა ფაშატის ირგვლივ, სულ ახლოს, ისე რომ, ულაცი ეხებოდა ფაშატს და ბოლოს მიუშვა კიდევ ულაცი ფაშატზე.

86. მეორე დღეს, გათენებისთანავე ექვსივენი მოლაპარაკების თანახმად ცხენებზე შემსხდრები მოვიდნენ. მათ გაიარეს გარეუბანზე; როდესაც იმ ადგილას მივიდნენ, სადაც წინა ღამით ფაშატი იყო დაბმული, დარიოსის ცხენი წინ გაიჭრა და დაიჭიხვინა. ცხენის დაჭიხვინებისთანავე ცაზე იელვა და ჭექა-ქუხილი გაისმა. ყოველივე ამან, რაც განგების მინიშნებასავით მოხდა, გადასწყვიტა დარიოსის ტახტზე დასმა. სხვები კიდევ ჩამოვიდნენ ცხენებიდან და დარიოსს თაყვანი სცეს.

87. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ომბარესმა ასეთი რამ იეშმაკა, ხოლო სხვები შემდეგ ამბობენ (სპარსელები ორგვარად მოგვითხრობენ ამის შესახებ); თითქოს ომბარესი ხელით შეეხო ამ ფაშატის სარცხვინელს და მერე ეს ხელი დამალული ჰქონდა შარვალში. შემდეგ, მზის ამოსვლისას, როდესაც ცხენები უნდა გაჭენებულიყვნენ, ომბარესმა ამოიღო ხელი, დარიოსის ცხენს მიუტანა ნესტოებთან, ცხენმა დაყნოსა, შეკრთა და დაიჭიხვინა.

88. ასე მიიღო დარიოს ჰისტასპესის ძემ მეფობა და აზიაში ყველანი მისი ქვეშევრდომები იყვნენ, გარდა არაბებისა. ეს ხალხები ჯერ კიროსმა დაიმორჩილა და შემდეგ კამბისესმა. არაბები არასოდეს დაუმონებიათ სპარსელებს, ისინი მათი მეგობრები გახდნენ მაშინ, როდესაც კამბისესის გაატარეს ეგვიპტისაკენ, რადგან არაბთა უნებურად სპარსელები ეგვიპტეში ვერ შევიდოდნენ. დარიოსმა შეერთო სპარსელთა წარჩინებული ქალები: კიროსის ორი ასული - ატოსა და არტისტონე, ამათგან ატოსა ჯერ თავისი ძმის, კამბისესის ცოლი იყო და შემდეგ მოგვისა, ხოლო არტისტონე კი ქალწული იყო. შემდეგ შეერთო მან სმერდის კიროსის ძის ასული, სახელად პარმისი. მას ცოლად ჰყადა აგრეთვე ოტანესის ის ასული, რომელმაც მოგვი ამხილა. ყოველივე დარიოსის ძლევა მოსილებით იყო აღსავსე. პირველად მან ქვის ქანდაკება გააკეთებინა და დაადგმევინა. გამოსახულება მხედარს წარმოადგენდა, რასაც დჰქონდა წარწერა, შემდეგის მაუწყებელი: "დარიოს ჰისტასპესის ძემ სპარსელთა სამეფო ტახტი მოიპოვა თავისი ცხენის (ნათქვამი იყო სახელი) და მეჯინიბე ომბარესის სიქველით".

89. ეს რომ გააკეთა, სპარსელები 20 საგამგებლოდ დაჰყო, რასაც თვითონ სპარსელები უწოდებენ სატრაპიებს. საგამგებლოდ რომ დაჰყო, საგამგებლოებს გამგებლები დაუყენა და დაუწესა ხარკი, რაც მისთვის უნდა გადაეხადათ¹ ცალკეული ხალხების მიხედვით; ხოლო ამ ცალკეულ ხალხებს მიაწერა მათი მეზობლებიც: მახლობელ ხალხებს რომ გასცდა, დანარჩენები - ზოგი ერთ ხალხთან გაანაწილა და ზოგიც - მეორესთან. საგამგებლოების მიხედვით ხარკის გადახდა მან ყოველწლიურად ასე განსაზღვრა: ის ხალხები, ვისაც ნათქვამი ჰქოდა ვერცხლით გადაეხადათ ხარკი, იხდიდნენ ბაბილონური ტანალტის საზომით, ხოლო ვინც ოროთი იხდიდა, ისინი ევბეურ ტალანტებს იხდიდნენ. ბაბილონური ტალანტი უდრის 78 ევბეურ მნას. კიროსისა და შემდეგ კამბისესის მმართველობაში არავითარი ხარკი არ ყოფილა დაწესებული. მაშინ ქვეშევრდომებს მეფეებისათვის საჩუქრები მოჰქონდათ. ხარკის დაწესებისა და სხვა მისი მსგავსი ღონისძიებების შემოღებისათვის სპარსელები დარიოსს მეწვრილმანეს უწოდებდნენ, კამბისესს ეძახდნენ უფალს, კორისს კი მამას. ეს იმიტომ, რომ დარიოსი ყოველგვარ საქმეში გამორჩენას ეძებდა, კამბისესი მკაცრი იყო და უყურადღებო, ხოლო კიროსი - კეთილი და ყოველმხრივ მათზე მზრუნველი.

90. იონიელთაგან, აზიელ მაგნესიელთაგან, ელიელთაგან, კარიელთაგან, ლიკიელთაგან, მილიებისაგან და ჯამფილიელთაგან (რადგან ყველა ამათ ერთად ჰქონდათ ხარკი დაწესებული) შემოსდიოდა 400 ტალნატი ვერცხლი. ეს იყო დარიოსის მიერ დაწესებული პირველი სატრაპია. მისიელთაგან, ლიდიელთაგან, ლასონიებისაგან, კაბალიელთაგან და ჰიტენიელთაგან შემოდიოდა 500 ტალანტი. ესაა მეორე სატრაპია. ჰელესპონტელთაგან, რომლებიც ცხოვრობენ მარჯვენა ნაპირზე, მისთვის, ვინც მიცურავს ევქსინის პონტოსკენ, ფრიგიელთაგან, თრაკიელთაგან, რომლებიც აზიაში არიან, პაფლაგონიელთაგან, მარიანდინთაგან და

სირიელთაგან 360 ტალანტი იყო გადასახადი. ესაა მესამე სატრაპია. კილიელთაგან მოდიოდა 360 თეთრი ცხენი (წლის ყოველ დღეზე დითო ივარაუდებოდა) და 500 ტალანტი ვერცხლი. აქედან 140 ტალანტი იხარჯებოდა კილიკიის ქვეყნის დამცველ ცხენოსანთა რაზმის შესანახავად, ხოლო 360 ტალანტი მისდიოდა დარიოსს. ესაა მეოთხე სატრაპია.

91. ქალაქ პოსიდემონიდან (რომელიც ამფილოქოს ამფირეოსის ძემ ააშენა კილიკიისა და სირიის საზღვარზე) ვიდრე ეგვიპტემდე, გარდა არაბთა ნაწილისა (რადგან ეს დაუხარკავი იყო), ხარკის სახით შემოდიოდა 350 ტალანტი. ამ სატრაპიაში შედიოდა მთელი ფინიკია, პალესტინად წოდებული სირია და კიპროსი. ესაა მეხუთე სატრაპია. ეგვიპტიდან, ეგვიპტის მეზობელ ლიბიელთა ქვეყნიდან, კირენედან და ბარკედან (რადგან ესენიც ეგვიპტის სატრაპიაში ირიცხებოდნენ) დარიოსი ღებულობდა 5700 ტალანტს, გარდა იმ ფულისა, რომელიც შემოდიოდა მოდრისის ტბიდან² იქ მოპოვებული თევზის წყალობით. ამ ფულისა და კიდევ პურის გარდა შემოდიოდა 700 ტალანტი. 120000 საწყაო პური მიდის იმ სპარსელთა და მათი დაქირავებული ჯარის გამოსაკვებად, რომლებიც ცხოვრობენ მეძვრისში თეთრ ციხესთან. ესაა მეექვსე სატრაპია. სატაგიდები, განდარიები, დადიკები და აპარიტები ერთსა და იმავე სატრაპიაში არიან გაერთიანებული და იხდიან 170 ტალანტს. ესაა მეშვიდე სატრაპია. სუსელთგან და კისიელთაგან დანარჩენი მხრიდან შემოდის 300 ტალანტი. ესაა მერვე სატრაპია.

92. ბაბილონიდან და დანარჩენი ასირიიდან დარიოსს შემოსდიოდა 1000 ტალანტი ვერცხლი და 500 დასაჭურისებული ყრმა. ესაა მეცხრე სატრაპია. აგბატანელთაგან და დანარჩენი მიდიიდან, პარიკანიელთაგან და ორთოკორიბანტთაგან - 450 ტალანტი. ესაა მეთხუთე სატრაპია. კასპიები, პავსიკები, პანტიმათები და დარეიტები ერთად იყვნენ დახარკულები და იხდიდნენ 200 ტალანტს. ესაა მეთერთმეტე სატრაპია.

93. პაქტიიკედან, არმენიელთაგან და მის მეზობლად მცხოვრებთაგან ვიდრე ევქსინის პონტომდე, დარიოსს 400 ტალანტი მისდიოდა. ესაა მეცამეტე სატრაპია. საგარტიეისგან, სარანგიებისგან, თამანელებისაგან, უტიებისაგან, მიკებისაგან და მათგან, რომლებიც ცხოვრობენ მეწამული ზღვის კუნძულებზე, სადაც ასახლებს მეფე ეგრეთ წოდებულ გამევეებულებს, ყველა ამათგან არკი იყო 600 ტალანტი, ესაა მეთოთხმეტე სატრაპია. საკები და კასპიები¹ 250 ტალანტს იხდიდნენ, ესაა მეხუთმეტე სატრაპია. პართები, ხორასმელები, სოგდები და არიები იხდიდნენ სამას ტალანტს. ესაა მეთექვსმეტე სატრაპია.

94. პარიკანიები და ასიელები ეთიოპელები იხდიდნენ 400 ტალანტს. ეს მეჩვიდმეტე სატრაპიაა. მატეინებს, სასპედრებსა და ალაროდიელებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია. მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინოაკებს და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი. ესაა მეცხრამეტე სატრაპია. ინდოელები, რომლებიც ბევრად მეტნი არიან ყველა ჩვენთვის ცნობილ ხალხებზე, ხარკად იხდიდნენ განსხვებით ყველა სხვა დანარჩენებისაგან 360 ტალანტ ოქროს ქვიმას. ესაა მეოცე სატრაპია.

95. ბაბილონური ფული ევბეურ ტალანტებზე რომ გადავიყვანოთ, 9880 ტალანტი იქნება², ხოლო ოქრო ვერცხლზე ცამეტჯერ მეტად რომ ვიანგარიშოთ, გამოვა რომ ოქროს ქვიმა 4680 ევბეური ტალანტის ღირებულებისაა. ამრიგად, ყველაფერს რომ

თავი მოვუყაროთ, დარიოსი ყოველწლირად 14560 ევბურ ტალანტს ღებულობდა ხარკად, ხოლო ამის გარდა, რაც წვრილმანი იყო, იმაზე არც კი ვლაპარაკობთ.

96. ეს იყო ხარკი, რასაც ღებულობდა დარიოსი აზიიდან და ლიბიის მცირე ნაწილიდან. მაგრამ გავიდა დრო და ხარკი შემოუვიდა აგრეთვე კუნძულებიდან და იმ ხალხისაგან, რომელიც ცხოვრობდა ევროპაში თესალიამდე. ამ ხარკს მეფე საგანძურში ასე ინახავდა: ადნობდა და ასხამდა თიხის ქვევრებში, ავსებდა ჭურჭელს და შემდეგ შემოაცლიდა მას თიხას, როდესაც კი დასჭირდებოდა ფული, ჩამოატეხინებდა იმდენს, რამდენიც ესაჭიროებოდა.

97. აი, ესენი იყვნენ დარიოსის მიერ დაწესებული საგამგებლოები და მათზე დაკისრებული ხარკი. მხოლოდ სპარსეთის ქვეყანა არ მომიხსენებია დახარკულთა შორის, რადგანაც სპარსელებით დასახლებული ქვეყანა დაუხარკავი დარჩა. შემდეგ ხალხებს ხარკი არ ჰქონდათ დაწესებული, მაგრამ საჩუქრები კი მიჰქონდათ. ესენი იყვნენ ის ეთიოპელები, რომლებიც ეგვიპტის მეზობლები არიან და რომლებიც კამბისესმა დაიმორჩილა მაშინ, დღევანდელ ეთიოპელებზე, რომ ილაშქრა. ესენი წმინდა ნისესთან ცხოვრობენ და უწყობენ დღესასწაულს დიონისეს. ეს ეთიოპელები და მათი მეზობლები ხმარობენ იმავე თესლს, რომელსაც კალანტიელი ინდები, ხოლო საცხოვრებლად აქვთ მიწურები. ესენი ორივენი ყოველ მესამე წელს იხდიდნენ და ჩვენს დრომდე იხდიან ორ ქომნიქს ბუნებრივ ოქროს, 200 ძირ შავ ხეს, ხუთ ეთიოპელ ყრმას და სპილოს 20 დიდ ეშვს. კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსელების მმართველობა, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს და ეს გრძელდება ჩვენს დრომდე, რომ ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ყრმა და 100 ქალწული. არებები 1000 ტალანტ გუნდრუკს იხდიდნენ ყოველწლიურად. ესაა საჩუქრები, რომელსაც ღებულობს მეფე ხარკს გარდა.

98. ინდოელები ასე შოულობენ ამოდენა ოქროს, რომლის ნაწილიც, როგორც უკვე ითქვა სპარსეთის მეფესთან მიაქვთ ქვიშის სახით: ინდოეთის ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილი ქვიშიანია. მართლაც, ჩვენთვის ცნობილია ყველა ხალხს შორის, რომელიც ცხოვრობს აზიაში, და რომლის შესახებაც დაბეჯითებით შეგვიძლია რისამე თქმა, ინდოელები ყველაზე უფრო აღმოსავლეთისაკენ, მზის აღმოსავლეთისაკენ არიან, ხოლო ინდოელების აღმოსავლეთით ქვიშების გამო უკვე უდაბური ადგილია. ინდოელები მრავალი ტომისაგან შედგებიან და ეს ტომები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ზოგი მათგანი მომთაბარეა, სხვები არა; ზოგიერთები კიდევ მდინარის ჭაობებში ცხოვრობენ და უმ თევზს ჭამენ, რასაც იჭერენ ლერწმის ნავეებით გასულები. ხოლო თითოეული ნავი გაკეთებულია ლერწმის ერთი მუხლისაგან. ეს ინდოელები ლელის ტანსაცმელს ხმარობენ: ისინი მდინარეში ჭრიან ლელს და ჩეჩქავენ, შემდეგ აქედან ჭილოფის მსგავსს რაღაცასაც ქსოვენ და იცვამენ, როგორც ამბჯარს.

99. სხვა ინდოელები, რომლებიც ამათგან აღოსავლეთისაკენ ცხოვრობენ, მომთაბარეები არიან, ჭამენ უმ ხორცს და ეწოდებათ მათ პადები. ამბობენ, რომ ისინი შემდეგ ჩვეულებებს მისდევენ: თუკი ვინმე მათი ტომისგან, დაავადდა, იქნება ეს ქალი თუ კაცი, კაცს კლავენ კაცები, ისინი, ვინც მასთან ყველაზე ახლოს არიან, თანაც ამბობენ, რომ ავადმყოფი უარყოფს, არა ვარ ავადო. ისინი არ უჯერებენ, კლავენ და

შექცევით, ხოლო როდესაც ქალი ავადმყოფობს, მისი უახლოესი ქალები იმასვე აკეთებენ მის მიმართ, რასაც კაცები სჩადიან ხოლმე. ვინც მოხუცებში შედის, იმასაც კლავენ და შეექცევით. მაგრამ ბევრი მათგანი ვერ აღწევს ამ ასაკამდე, რადგან ამაზე უწინ ყველას რაიმე ავადმყოფობა ემართება და ხოცავენ.

100. სხვა ინდოელებს კიდევ სხვა ჩვევები აქვთ. ისინი არც რაიმე სულიერს კლავენ, არც რასმე სთესენ, არც სახლები აქვთ საცხოვრებლად. ისინი მცენარეულით იკვებებიან. მათ აქვთ მცნარე, რომელიც თავისთავად ამოდის, აგროვებენ, ქერქიანად ხარშავენ და ჭამენ. თუკი ვინმე მათ შორის დაავადმყოფდა, მიდის უდაბნოში და იქ წვება. არავინ ზრუნავს არც მკვდრისათვის და არც ავადმყოფისათვის.

101. ყველა ჩემს მიერ ჩამოთვლილ ინდოელებს სქესობრივი ურთიერთობა აშკარად აქვთ, ისევე როგორც ცხოველებს. და მათ ყველა ისეთივე კანი აქვთ, როგორც ეთიოპელებს. მათი თესლი, რომელსაც ისინი ქალებში ანთხევენ, თეთრი კი არაა, როგორც სხვა ხალხების, არამედ შავია, როგორც მათი კანი. ასეთსავე თესლს ანთხევენ ეთიოპელებიც. ეს ინდოელები სპარსელებისაგან ძალიან შორს ცხოვრობენ, სამხრეთისაკენ და არასდროს ყოფილან მეფე დარიოსის ქვეშევრდომები.

102. სხვა ინდოელები ქალაქ კსპატიროსის დ პაქტიიკეს ქვეყნის მეზობლები არიან, ისინი ცხოვრობენ ყველა ინდოელებზე უფრო ჩრდილოეთით, ჩრდილოეთის ქარისაკენ და ბაქტრიელების მსგავს ცხოვრებას ეწევიან. ინდოელთა შორის ესენი ყველაზე უფრო მეტბოლოები არიან და ოქროს მოსპოვებლადაც ესენი მიდიან, მათ ქვეყანასთან ქვიშოვანი ნიადაგის გამო უდაბური ადგილია. ამ უდაბნოსა და ქვიშებში ბინადრობენ ჭიანჭველები, რომლებიც სიდიდით ძალზე უფრო პატარები არიან, მაგრამ მელებზე უფრო დიდები. რამდენიმე მათგანი სპარსთა მეფესაც კი ჰყავს იქ მონადირეული. ეს ჭიანჭველები თავის სცხოვრებელს იკეთებენ მიწის ქვეშ და ქვიშა ამოაქვთ სწორედ იმდაგვარად, როგორც ამას აკეთებენ ჭიანჭველები ელინთა ქვეყანაში, შესახედავადაც ჰგვანან ელინთა ჭიანჭველებს. ქვიშა, რომელიც მათ ამოაქვთ ოქრონარევია. აი, ამ ქვიშისათვის მიდიან უდაბნოში ინდოელები. თითოეული აბამს სამ აქლემს, აქეთი-იქიდან მამალი აქლემია მიბმული, ხოლო შუაში - დედალი. ამ დედალზე ჯდება თვითონ მხედარი და საგანგებოდ არის შერჩეული ისეთი დედა-აქლემი, რომელიც ნორჩ შვილებს მოჰკლიჯეს და ისე შეაბეს. მათი აქლემები სისწრაფით ცხენებს არ ჩამოუვარდებიან და ამას გარდა მათ გაცილებით უფრო დიდი ტვირთის ზიდვა შეუძლიათ.

103. რა შესახედაობის არის აქლემი, ეს ელინებმა იციან, ამიტომ არ აღვწერ, აღვნიშნავ მარტო იმას, რაც მათ არ იციან. აქლემებს უკანა ფეხებზე აქვს ოთხი თემოსეული კუნთი და ოთხი სახსარი, ხოლო სარცხვინელი აქვს უკანა ფეხებს შორის, მიმართული კუდისაკენ.

104. აი, ასე შეაბამენ ხოლმე ინდოელები აქლემებს, როდესაც ოქროს მოსაპოვებლად მიდიან. ისინი ისეთ თადარიგს იჭერენ, რომ ამ მოტაცების დროს ყველაზე დიდ სიცხე იყოს, რადგან ამ პაპანაქების დროს ჭიანჭველები მიწის ქვეშ არიან შეყუჟულები. ყველაზე უფრო ცხარე მზე ამ ხალხისათვის არის გათენებისას და არა შუადღისას, როგორც სხვა ხალხებისათვის, და იქ სიცხეა მზის ამოსვლიდან ჩვენი ბაზრობის მოთავებამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში იქ ბევრად უფრო მაგრად

აცხუნებს მზე, ვიდრე ელადაში შუა დღისას და ამოხედავს, რომ ინდოელები ამ დროს წყალს ისხამენ ხოლმეო. შუა დღისას მზე დაახლოებით ერთნაირად აცხუნებს სხვა ხალხებსაც და ინდოელებსაც. ნაშუადღევს მზე მათთვის ისეთივეა, როგორც სხვებისთვის გათენების ხანს. ამის მერე თანდათანობით იმატებს სიცივე და მზე რომ ჩადის, მაშინ კარგა მაგრად ცივა.

105. ინდოელები, რომელთაც თან ტომრები აქვთ, მოდიან ამ ადგილას, ავსებენ ამ ტომრებს ქვიშით და რაც შეიძლება სწრაფად ბრუნდებიან უკან, რადგან, როგორც სპარსელები ამბობენ, ჭიანჭველები მაშინვე იგებენ ყნოსვით მოსვლას და უკან დაედევნებიან ხოლმე. სისწრაფეში ამ ჭიანჭველებს სხვა არაფერი შეეძრება, ისე რომ, თუ ინდოელები ჭიანჭველების შეგროვებამდე არ დაადგნენ გზას, ვერც ერთი მათგანი ვერ გადარჩება. მამალ აქლემებს, რომლებიც დედლებს ჩამოუვარდებიან სისწრაფეში, ჩამორჩენისთანავე აუშვებენ ხოლმე, მხოლოდ ორივეს ერთად არა, ხოლო დედა აქლემს ასხოვთ, რომ შვილები ჰყავთ დატოვებული და დაღლილობას არ იმჩნევენ. მეტწილ ოქროს ინდოელები ასე იპოვებენ, როგორც სპარსელები ამბობენ, ხოლო დანარჩენ, მცირე ნაწილს, თავის ქვეყანაში თხრიან საბადოებიდან.

106. დასახლებული მსოფლიოს უკიდურეს ქვეყნებს ბევრი საუკეთესო რამე ხვდა წილად, ხოლო ელადას ყველაზე უკეთესი ერგო - ზომიერი ჰავა, დასახლებული მსოფლიოს უკიდურესი აღმოსავლეთის ქვეყანა ხომ ინდოეთია, როგორც უკვე ვთქვი ცოტა ზემოთ. ჯერ ერთი იქ არიან ცხოველები, ოთხფეხნი და ფრთოხნები, რომლებიც სიდიდით ბევრად აღემატებიან სხვა ქვეყნების ცხოველებს, გარდა ცხენებისა (ესენი ჩამორჩებიან მიდიურ ცხენებს, ეგრეთ წოდებულ ნესეურს). ეგეც არ იყოს - იქ უამრავი ოქროა, ზოგოი განათხარი, ხოგოი მდინარეების მიერ ჩამოტანილი და ზოგოი მოტაცებული, როგორც უკვე გიჩვენეთ. ველური ხეები იქ ნაყოფად მატყლს ისხამს, რომელიც სილამაზითა და ღირსებით უმჯობესია ცხვრისაზე. ტანსაცმელს ინდოელები ამ ხეების მატყლისაგან იქსოვენ.

107. შემდეგ - სამხრეთისაკენ დასახლებული ქვეყნების უკიდურესი მხარე არის არაბიე, მთელი ქვეყნებიდან მხოლოდ აქ მოიპოვება ფისი, გუნდრუკი, კასია, დარიჩინი და ლედანონი; გუნდრუკს გარდა ყოველივე ამის მოპოვება არაბებისათვის მნელია. ფისის შესაგროვებლად ისინი ახრჩოლებენ სტირაქსს, რაც ელინებში შემოაქვთ ფინიკიელებს. ამას ახრჩოლებენ და ისე აგროვებენ ფისს, რადგან იმ ხეებს, რომელთაც ფისი აქვთ, ფრთოსანი გველები იცავენ, ზომით პატარები და შესახედავად ჭრელები, ისინი დიდი რაოდენობით არიან თითოეულ ხესთან. სწორედ ეს გველები არიან ეგვიპტეზე რომ ლაშქრობენ ხოლმე. მათ ამ ხეებს მოხლოდ სტირაქსის კომლის მოაშორებ.

108. არაბები ამბობენ, რომ მთელი დედამიწა აივსებოდა ამ გველებით, რომ იმათაც ის არ ემართებოდეთ, რაც ვიცი, რომ ემართებათ იქედნეებს, ღვთის განგება, როგორც სესვენის მას, ბრძენია, რადგან საცოდავი და საჭმელად ვრიგის სულიერნი, ყველანი მრავალნაყოფიერები შექმნა, რომ მათგან ზოგი მაინც გარჩეს და სულ ერთიანად არ ამოწყდნენ, ხოლო საშიშარი და მავნე სულიერები კი - ნაკლებნაყოფიერი გააჩინა. მაგალითად, კურდღელზე ნადირობს ყველა: მხეცი, ფრინველი და ადამიანი, ამიტომაცაა, რომ ის ასე მრავალნაყოფიერია. ყველა მხეცთა შორის ის ერთადერთია, რომელიც უკვე დამაკებული მაინც მაკდება, ისე რომ ნაყოფთაგან მუცელში ერთი ბეწვიანი ჰყავს, მეორე - ტიტველი, მესამე ეს-ეს არის ყალიბდება დედის

საშვილოსნოში და მეოთხე კიდევ ისახება. კურდღელი ასე მაკობს, ხოლო რაც შეეხება ძუ ლომს, რომელიც ყველაზე ძლიერი და მამაცი ცხოველია, ის ერთხელ შობს თვის სიცოცხლეში და ისიც ერთ ლეკვს. რადგან, როდესაც შობს, შვილთან ერთად საშვილოსნოსაც გამოაგდებს ხოლმე. ამისი მიზეზი შემდეგია: როგორც კი ლეკვი დედის მუცელში დაიწყებს მოძრაობას, რაკილა მას ყველა სხვა მხეცზე უფრო ბასრი კლანჭები აქვს, აზიანებს საშვილოსნოს, ხოლო რაც უფრო იზრდება, მით უფრო ღრმად კაწრავს და ბოლოს, მშობიარობა რომ მოახლოვდება, საშვილოსნოსაგან სრულიად აღარაფერი რჩება მთელი.

109. იქედნეები და არაბების ფრთოსანი გველები რომ ისევე მრავლდებოდნენ, როგორც მათ ბუნებამ განუკუთვნა, ადამიანებს აღარ ეცხოვრებოდათ. ახლა კი, ისინი რომ დაწყვილდებიან გასანაყოფიერებლად, მამალი იწყებს ქმედებას და როგორც კი დაღვის თესლს, დედალი ჩააფრინდება კისერში და მანამ არ გაუშვებს, ვიდრე არ გამოულრდნის მთლიანად. აი, ამგვარად კვდება მამალი, ხოლო დედალს მამლის გამო ასეთი რამ ეზღვება: შვილები მამის სამაგიეროს ზღავენ ჯერ კიდევ დედის მუცელში რომ არიან; ისინი ჭამენ დედას, უღრღნიან მუცელს და ასე ჰპოვებენ გამოსასვლელს, ხოლო სხვა გველები, რომლებიც ადამიანისათვის არ არიან დამლუპველნი, სდებენ კვერცხებს და ძალზე ბევრ შვილებს სჩეკენ. იქედნეები მთელ დედამიწის ზურგზე არიან მოდებული, ხოლო ფრთოსანი გველები, ყველანი თავმოყრილნი არიან მხოლოდ არაბეთში და სხვაგან არსად გვხვდებიან. ამიტომაცაა, რომ ისინი ბევრი ეჩვენებათ.

110. აი, ამგვარად იპოებენ არაბები ფისს, ხოლო კასიის მოპოვება შემდეგვარად ხდება: შეიხვევენ ტყავებითა და ბეწვებით მთელს სხეულსა და სახეს, გარდა თვალებისა და მიდიან კასიის მოსაპოვებლად. ის იზრდება ტბაში, რომელიც ღრმა არ არის. ტბის ირგვლივ და თვით ტბაში ცხოვრობენ ფრთოსანი ცხოველები, რომლებიც ყველაზე უფრო ღამურებს ჰგვანან. ისინი საშინლად წრიპინებენ და მამაცები არიან ბრძოლაში. თვალებიდან უნდა მოიცილონ ისინი და ისე მოჰკრიფონ კასია.

111. ამაზე უფრო უცნაურია დარიჩინის შეგროვების წესი. მათ არ შეუძლიათ გვითხრან, თუ საიდან წარმოდგება ის, ანდა რომელ ქვეყანაში იზრდება, მხოლოდ ზოგიერთები სარწმუნო ცნობის საფუძველზე ამბობენ, რომ ის იმ ადგილებში იზრდება, სადაც დიონისე აღზარდესო. ამბობენ, რომ დიდ ფრინველებს მოაქვთ ჩხირები, რასაც დარიჩინს ვუწოდებთ, როგორც ფინიკიელებმა გვასწავლეს. ფრინველებს მოაქვთ ეს ჩხირები თავის ბუდეებში, რომლებიც ტალახისაგან არიან ნაკეთები და გადმოკიდებულია ისეთ მთებზე, სადაც ადამიანი ფეხსაც კი ვერ მოიკიდებს. ამიტომაცაა, რომ არაბებმა შემდეგი რამ გამოიგონეს: დახოცილ ხარებს, ვირებს და სხვა სახედრებს ჭრიან რაც შეიძლება დიდ ნაჭრებად და მიაქვთ იმ ადგილებში, ხორცს დებენ ბუდების მახლობლად, ხოლო თვითონ შორს გადგებიან. ფრინველები ჩამოფრინდებიან და სახედრის ხორცის ნაჭრები მიაქვთ ბუდეებში. ბუდეები ტვირთის სიმძიმეს ვერ უზღებენ და ძირს ცვივიან. მაშინ ხალხი მიდის ახლოს და აგროვებს დარიჩინს, ამგვარად მოგროვილი დარიჩინი გადის მერე სხვა ქვეყნებში.

112. კიდევ უფრო საკვირველია ლედანონის, ანუ როგორც არაბები უწოდებენ - ლადანონის შეგროვება. ის თვითონ ძალიან სურნელოვანია და მოიპოვება ყოვლად

მყრალ გარემოში: მას პოულობენ ვაცების წვერებში და ისეთია, როგორც ხის ფისი. ის იხმარება ძალიან ბევრ ნელსაცხებლებში და არაბები ყველაზე მეტად მას იყენებენ საკმევლად.

113. აი, ამდენი ითქვა საკმევლების შესახებ, რადგან არაბების ქვეყანას საოცრად სასიამოვნო სუნი სდის. მათ ჰყავთ ორი საკვირველი ჯიშის ცხვარი, რაც სხვაგან არსად გვხვდება. მათგან ერთს აქვს გრძელი კუდი, არანაკლები სამ წყრთაზე; მან რომ ეს კუდი ძირს ათრიოს, მიწაზე ხახუნით კუდზე წყლულები გაუჩნდება. ამიტომ ყოველი მწყემსი სწავლობს დურგლობას რამდენიმე მანტ. ის აკეთებს ურიკას და მას ცხვირს კუდქვეშ აბამს. ამგვარად, თითოეული ცხოველის კუდი ცალკეულ ურიკაზე არის მიბმული. ცხვრების მეორე ჯიშს ბრტყელი კუდი აქვს, დაახლოებით წყრთის სიგანისა.

114. დასახლებული სამყაროს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ქვეყანა არის ეთიოპია. იქაა ბევრი ოქრო, უზარმაზარი სპილოები, ყოველგვარი ველური ხეები და შვი ხე, ხალხი კი არის ტანადი, ლამაზი და დღეგრძელი.

115. ეს არის უკიდურესი ქვეყნები აზიისა და ლიბიეში. ხოლო ევროპის დასავლეთით მდებარე უკიდურესი ქვეყნების შესახებ მე არ შემოძლია დაბეჯითებით რამე ვთქვა, რადგან არ მჯერა იმისა, რომ იქაა მდინარე, ბარბაროსების მიერ ერიდანოსად წოდებული, რომელიც ერთვის ჩრდილოეთის ქარისაკენ მიმართულ ზღვას, საიდანაც, როგორც ამბობენ, შემოდის ქარვა; არც ის ვიცი, არსებობს თუ არა კასიტერიდის კუნძულები, საიდანაც ჩვენ თუტია მოგვდის. ჯერ ერთი სახელი "ერიდანოსი" არის ბერძნული და არა ბარბაროსული, ვიღაც პოეტის მიერ შეთხზული. მეორეა და რამდენადაც არ ვეცადე, ვერ ვნახე ისეთი კაცი, რომელსაც თავისი თვალთ ენახა ევროპის იქითა მხარეს ზღვა. ასეა თუ ისე, თუთიაც და ქარვაც დედამიწის კიდიდან მოგვდის.

116. ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში ჩანს, რომ ძალიან ბევრი ოქროა, მაგრამ როგორ ხდება მისი მოპოვება, არც ამის შესახებ შემოძლია დაბეჯითებით რისამე თქმა. ამბობენ კი იმას, რომ ცალთვალა არიმასპები სტაცებენ ოქროს გრიფონებსო. მე არც იმისა მჯერა, რომ ცალთვალა ხალხი არსებობდეს, მაშინ, როდესაც მათ სხვა ყველაფერი დანარჩენი ადამიანების მსგავსი აქვთ. ამგვარად განაპირა ქვეყნებს, რომლებიც გარს არტყიან დანარჩენ, შუაში მოქცეულ ქვეყანას, აქვთ ისეთი რამეები, რც ჩვენის აზრით ყველაზე ლამაზია და ყველაზე იშვიათი.

117. აზიაში არის ერთი დაბლობი, ყოველმხრივ გარშემორტყმული მთებით, ხოლო ამ მთებში არის ხუთი ხეობა. ოდესღაც ეს დაბლობი ხორასმელებს ეკუთვნოდათ და მდებარეობდა ამ ხორასმელების, ჰირკანიების, პართების, სარანგების და თამანების საზღვარზე. ხოლო მას მერე, რაც სპარსელებმა მოიპოვეს ძალაუფლება, ის არის მეფისა. დაბლობის ჩამკეტი მთიდან მოედინება დიდი მდინარე, რომელსაც სახელად ჰქვია აკესი. უწინ ეს მდინარე ხუთ ტოტად იყო დაყოფილი და რწყავდა ხუთ ზემოხსენებულ ქვეყანას, ისე რომ ცალკეულ ხეობაზე მოედინებოდა თითოეული მათგანისაკენ. მაგრამ მას მერე, რაც ეს ხალხები დაექვემდებარენ სპარსელს, მათ ასეთი ცუდი ამბავი დაემართათ: მეფემ ამოაშენებინა მთების ხეობები და თითოეული ხეობის წინ კარები დაადგმევნა. ამით მან წყალს გადაუკეტა გამოსავალი

და მთებში მომწყვდეული დაბლობი ზღვად იქცა, რადგან მდინარე შიგ შედიოდა, გამოსავალი კი არსად ჰქონდა. ხალხი, რომელიც წინათ ჩვეული იყო ამ წყლის ხმარებას, ახლა ველარ იყენებდა მას და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ზამთრობით ღმერთი მათ წვიმას უგზავნიდა, ისევე როგორც სხვა ხალხებსაც, მაგრამ ზაფხულობით, როდესაც თესდნენ ფეტვსა და ქუნჯუთს, ძალიან უჭირდათ წყალი. ამიტომ უწყლობით შეჭირვებულნი ცოლებითურთ მიდიოდნენ სპარსელებში, დგებოდნენ მეფის კარების წინ და მოთქმით ტიროდნენ. მეფე მათ უკიდურესი გასაჭირის დანახვაზე ბრძანებდა, გაეღოთ კარი, რომელსაც მათ ქვეყანაში შეჰყავდა წყალი. როდესაც მათი მიწა კარგად გაიჟღინთებოდა წყლით, კარი კვლავ იკეტებოდა; შემდეგ ბრძანებდა მეფე, რომ ახლა სხვა კარი გაეღო მათთვის, ვინც დარჩენილთა შორის ყველაზე ფურო გაჭირვებული იყო. როგორც გამიგონია და ვიცი, მეფე მათგან ხარკს გარდა დიდძალ ფულს ღებულობდა ამ კარის გარებისათვის. ასე იყო ეს ამბავი.

118. რაც შეეხება მოგვის წინააღმდეგ ამხედრებულ შვიდ ვაჟკაცს, ერთი მათგანი, ინტაფრენესი, დაისაჯა თავის თავნებობისათვის და ამბოხების შემდეგ მალე მოკვდა ასეთ პირობებში: მას უნდოდა სასახლეში შესვლა მეფესთან მოსალაპარაკებლად, რადგან არსებობდა ასეთი წესი, რომ მოგვის წინააღმდეგ ამოხეხულებს შეეძლოთ მეფესთან შესვლა წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუკი მეფე ამ დროს ცოლთან არ იწვა. ამიტომაც ინტაფრენესმა, რომელიც ერთი შვიდთაგანი იყო, არ ჩათვალა საჭიროდ, რომ ვინმე გაეგზავნა შესატყობინებლად და მოინდომა შესვლა, მაგრამ კარის მცველმა და ამბების მომხსენებელმა ის არ გაატარეს, უთხრეს, რომ მეფე ცოლთან წევსო. ინტაფრენესმა იფიქრა, რომ ისინი ატყუებენ, ამიტომ იძრო ხანჯალი, დააჭრა მათ ყურები და ცხვირები, აასხა ისინი თავის ცხენის აღვირზე, შემოახვია ეს მათ კისრებზე და ისე გაუშვა.

119. ასე გამოეცადნენ ისინი მეფეს და მიზეზიც უთხრეს, თუ რისთვის დაისაჯნენ ასე. დარიოსი შემფოთდა, ექვსივე შეთქმულის საერთო გადაწყვეტილების შედეგი ხომ არ იყო, ასე მოქცევა და სათითაოდ გამოიძახა ისინი. უნდოდა აზრი გაეგო, ხომ არ გაამართლებენ ისინი ამ საქციელს. როდესაც შეიტყო, რომ ინტაფრენესმა ეს მათთან შეთანხმებით არ ჩაიდინა, შეიპყრო თვითონ ინტაფრენესი, მისი შვილები და მთელი მისი სახლობა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ის თავის ნათესავებთან ერთად იზრახავდა მის წინააღმდეგ ამბოხებას. ამიტომაც დაიჭირა ისინი და სიკვდილი მიუსაჯა.

ინტაფრენესის ცოლი მოვიდა მეფის კართან, ტიროდა და მოთქვამდა. რაკი ტირილი აღარ შეწყვიტა, დარიოსმა შეიბრალა ის, გაუგზავნა მოციქული და შეუთვალა: "დედაკაცო, მეფე დარიოსმა მოიღო წყალობა და ყველა შეპყრობილი შენ მახლობელთაგან ერთს, ვისაც ისურვებ, გაათავისუფლებს". ქალმა იფიქრა და ასე მიუგო: "თუ მეფე ერთ სულს მაპატიებს, მაშინ მათ შორის ვირჩევ ჩემს ძმას". ეს რომ შეიტყო დარიოსმა, გაუკვირდა; ისევ გაგზავნა კაცი და შეეკითხა: "დედაკაცო, მეფე გეკითხება, რატომაა, რომ ქმარი და შვილები გასწირე და ძმა ამოირჩიე გადასარჩენად, ძმა, რომელიც უფრო უცხოა შენთვის, ვიდრე შვილები და ნაკლებ საყვარელი, ვიდრე ქმარი". ქალმა მიუგო: "მეფეო, ქმარი მე სხვაც შეიძლება მყავდეს, თუკი ღმერთი ინებებს, და სხვა შვილებიც მეყოლება, თუ ესენი დავკარგე, ხოლო რადგან ძმა და დედა აღარ მყვანან ცოცხლები, ამიტომ სხვა ძმა ვერაფრით ვერ მეყოლება. აი, ამ აზრით ვხელმძღვანელობდი, როდესაც ეს გითხარი". დარიოს

მოეწონა ქალის ნათქვამი, ნასიამოვნები დარჩა მისით და გაუთავისუფლა ისიც, ვისც ის თხოვდა და უფროსი შვილიც, ხოლო სხვა დანარჩენი ყველანი დაუხოცა. ამგვარად, როგორც ვთქვი, ასე დაირუპა ერთი შვიდთაგანი და ისიც ესოდენ მალე.

120. კამბისესის ავადმყოფობის დროს შემდეგი ამბავი მოხდა: კიროსმა დააყენა სარდელში სატრაპოდ ოროდტესი, სპარსელი. ამ კაცმა ერთი უსინდისო ზრახვა ჩაიდო გულში; მას არც რაიმე განუცდია, არც რამ სიტყვა სმენია პოლიკრატეს სამოსელისაგან, ის კი არა, სულაც არ უნახავს ის თვალით და მოინდომა მისი შეპყრობა და დალუპვა, როგორც უმრავლესობა ამბობს, შემდეგი მიზეზის გამო: მეფის კარის წინ იჯდა ოროდტესი და ერთი სხვა სპარსელი, სახელად მიტრობატესი, რომელიც სასკილიის სატრაპიის მმართველი იყო. ისინი ლაპარაკიდან ჩხუბზე გადავიდნენ. ისინი კამათობდნენ სიქველის შესახებ და მიტრობატესმა ოროდტესს წასძახა: "შენ შენი თავი ვაჟკაცად მიგაჩნია და მეფისათვის კუნძული სამოსი კი ვერ დაგიმორჩილებია, რომელიც შენს სატრაპიასთან ასე ახლოს მდებარეობს; მისი დაპყრობა ძალიან ადვილია და უპყრია კიდევაც ვიღაც ადგილობრივ მეამბოხეს 15 ჰოპლიტით; ახლა ის მისი ტირანია". ზოგიერთები ამბობენ, ოროდტესმა რომ ეს მოისმინა ძალიან გაჯავრდა ამ ლანძღვაზე და განიზრახა დაესაჯა არა ის, ვინც შეურაცხყო, არამედ პოლიკრატესი, რომლის მოკვლაც გადაწყვიტა, რადგან მისი მიზეზით გააგონეს მას ასეთი ძვირი სიტყვები.

121. ხოლო ზოგიერთები, მცირერიცოვანნი, კი ამბობენ, რომ ოროდტესმა სამოსზე გაგზავნა მაცნე, რაღაც საქმეზე სათხოვნელად (არ ამბობენ კი, რა საქმეზე). პოლიკარტესი ამ დროს სუფრასთან წოლილა კაცების დარბაზში და მასთან იმყოფებოდა ანაკრონტ ტეოსელი. განზრახ მოეკიდა აგდებით ოროდტესის საქმეს, თუ უნებლიედ ასეთი რამე, ყოველმ შემთხვევაში პოლიკარტესი ასე მოქცეულა: ოროდტესის მაცნე რომ შევიდა და დაელაპარაკა პოლიკარტესს (რომელიც, მოხდა ისე, რომ კედლისაკენ იყო მიბრუნებული ამ დროს), იგი არც შემობრუნდა და არც რაიმე უპასუხა მას.

122. ამგვარად, ორ მიზეზს ასახელებენ პოლიკარტესის სიკვდილისას, და ვისაც რომელი უნდა, ის დაიჯეროს. ოროდტესმა, მაგნესიაში რომ იჯდა, რომელიც მდინარე მაძანდროსის ზემოთ მდებარეობს, სამოსზე გაგზავნა მირსოსი, გიგესის ძე, ლიდიელი, რომელსაც გაატანა მოციქულობა, რადგან მან იცოდა პოლიკარტესის განზრახვის შესახებ. პოლიკარტესი ჩვენთვის ცნობილ ელინთა შორის პირველი იყო, რომელმაც განიზრახა ზღვის მფლობელობა, კნოსელი მინოსისა და ზოგიერთი სხვა ვინმეს გარდა, თუკი ვინმე კიდევ იყო მასზე უწინ ზღვის მფლობელი. ასე ვთქვათ, ადამიანთა მოდგმაში პოლიკარტესი პირველი იყო, რომელსაც დიდი იმედი ჰქონდა იონიესა და კუნძულებზე ბატონობისა. ოროდტესმა მისი ეს განზრახვა რომ შეიტყო, გაუგზავნა მოციქულობა და შემდეგი შეუთვალა: "ოროდტესი პოლიკარტესს ეუბნება შემდეგს: შევიტყვე, რომ დიდი საქმეები განგიზრახავს, მაგრამ შენი ქონება შენი მიზნების შესაბამისი არაა. მოდი, ასე მოიქეცი, შენს მდგომარეობასაც გაიუმჯობესებ და მეც მიხსნი: მეფე კიმბისეს ჩემი სიკვდილი გადაუწყვეტია. ეს მე დანამდვილებით შემატყობინეს. წამიყვანე აქედან ჩემი ავლა-დიდებით, მისი ნაწილი შენთვის წაილე და ნაწილი მე შემინახე. ამ ფულების შემწეობით შენ მთელი ელადის მმართველი გახდები. თუ არ გჯერა, რომ ქონება მაქვს, გამოგზავნე, ვისაც შენ ყველაზე უფრო ენდობი და იმას ვაჩვენებ".

123. პოლიკარტესმა ეს რომ მოისმინა, ესიამოვნა და დაეთანხმა. რადგან ძალიან უნდოდა ბევრი ფული, პირველად სანახავად მაძანდრიოსი გაგზავნა, მაძანდრიოსის ძე, ერთი მოქალაქეთაგანი, რომელიც მას მდივნად ჰყავდა (ამის მერე დიდხანს არ გაუვლია, რომ ამან პოლიკარტესის მამაკაცთა დარბაზის შესანიშნავი მორთულობა მთლიანად შესწირა ჰერას სალოცავს). ოროდტესმა იცოდა, რომ მეთვალთვალე მოვა და მის მოლოდინში ასეთ ხრიკს მიმართა: რვა ყუთი აავსო ქვებით, მხოლოდ ნაპირებთან სულ ცოტა ადგილი დატოვა, ქვებს ზემოთ ოქრო დააყარა, შეჰკრა ყუთები და გამზადებული ჰქონდა. მაძანდრიოსი მოვიდა, დაათვალიერა და შეატყობინა პოლიკარტესს.

124. ბევრი მისანი უკრძალავდა, მეგობრებიც ძალიან უშლიდნენ პოლიკარტესს წასვლას, ამას გარდა ასულსაც ასეთი რამ ეჩვენა სიზმარში: მან ნახა, თითქოს მისი მამა ჰაერში იყო ატაცებული, ზევსი ჰბანდა მას, ხოლო ჰელიოსი ნელსაცხებელს სცხებდა. ამისთანა სიზმარი რომ ნახა, ქალი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ პოლიკარტესი ოროდტესითან არ წასულიყო; ის რომ ორმოდაათნიჩბიან ხომალდზე ჯდებოდა, მაშინაც კი მანიშნებელ სიტყვებს ეუბნებოდა. პოლიკარტესი კი ემუქრებოდა მას, თუ შინ მშვიდობით დავბრუნდი, დიდხანს დარჩები ქალწულიო. ქალი ევედრებოდა ღმერთებს, რომ ეს მუქარა ასრულდებოდა, რადგან ერჩინა დიდხანს ყოფილიყო ქალწული, ვიდრე მამა დაეკარგა.

125. პოლიკარტესმა არავითარ რჩევას არ მიაქცია ყურადღება და გაცურა ოროდტესთან, თან წაიყვანა ბევრი თავისი მეგობარიც. მათ შორის იყო დემოკედესი, კალიფონტის ძე, კროტონელი, რომელიც ექიმი იყო და მისი დროის საუკეთესო მცოდნე თავისი ხელობისა. მაგნესიაში რომ მივიდა, პოლიკარტესი სამარცხვინოდ დაიღუპა, რაც არ შეეფერებოდა არც მას და არც მის მისწრაფებებს, რადგან, სირაკუზელ ტირანებს გარდა, ვერც ერთი სხვა ელინი ტირანთაგანი ვერ შეედრებოდა პოლიკარტესს მის ბრწინვალებაში. ოროდტესმა ის რომ მოაკვლევინა (ვერც კი აღვწერ, თუ როგორ მოაკვლევინა), მერე ჯვარს აცვა. ხოლომისი მხლებლები, რომლებიც სამოსელები იყვნენ, გაუშვა და უბრძანა ჩემი მადლობლები უნდა იყოთ, რომ თავისუფლები ხართო. ხოლო მხლებელთა შორის, ვინც უცხოელები და მონები იყვნენ, მონობაში ჩაყარა და თავისთნ დატოვა. პოლიკარტესი რომ ჩამოჰკიდეს, ამით სულ ახდა მისი ასულის სიზმარი: მას ბანდა ზევსი, როდესაც წვიმდა, ხოლო ჰელიოსი ნელსაცხებელს სცხებდა, როდესაც მისი სხეულიდან რაღაც სინოტივე მოჟონდა. პოლიკარტესის კეტილდრეობა ამგვარად დამთავრდა (როგორც უწინასწარმეტყველა ეგვიპტის მეფე ამასისმა).

126. ამის მერე დიდხანს არ გაუვლია, რომ ოროდტესს პოლიკარტესისათვის სამაგიერო მიეზოდ. კამბისესის სიკვდილის შემდეგ, მოგვების მეფობის ხანაში ოროდტესი იყო სარდელი და არაფერი არგო სპარსელებს, რომელთაც მიდიელებმა წაართვეს ძალაუფლება. ამ არეულობის დროს მან მოკლა მიტრობატესი, დასკილიის მმართველი, რომელმაც უსაყვედურა მას პოლიკარტესის გამო, და მიტრობატესის შვილი, კრანასპესი. ესენი სპარსელებში პატივცემული პირები იყვნენ. მან მრავალგვარი თვითნებობა ჩაიდინა და მათ შორის ესეც: როდესაც დარიოსისაგან შიკრიკი მოუვიდა, რადგან არ მოეწონა ის ამბავი, რაც მან მოუტანა, ჩაუსფრა კაცები უკან გაბრუნებულს, მოაკვლევინა ის და ისიცა და მისი ცხენიც დამალა.

127. დარიოსმა რომ ძალაუფლება ხელთ იგდო, განიზრახა ოროდტესის დასჯა ყველა მისი უსამართლო საქციელისათვის და განსაკუთრებით კი მიტრობატესისა და მისი შვილის მკვლელობისათვის. დარიოსს არ უნდოდა პირდაპირ გაეგზავნა ლაშქარი მის წინააღმდეგ, რადგან ქვეყანაში ჯერ კიდევ შფოთიანობა იყო და თვითონაც ახლახან ჰქონდა მოპოვებული ტახტი; ამის გარდა მან შეიტყო, რომ ოროდტესს დიდი ძალა ჰქონდა, მარტო პირად მცველებად - 1000 სპარსელი ედგა და იგი ფლობდა ფრიგიის, ლიდიისა და იონიის სატრაპიებს. ამის გამო დარიოსმა შემდეგ ხერხს მიმართა: შეჰყარა სპარსელთა შორის ყველაზე მეტად წარჩინებულები და უთხრა მათ შემდეგი: "სპარსელებო, რომელი თქვენგანი იკისრებს შემისრულოს ერთი საქმე ბრძნულად, ძალისა და ჯარის გამოუყენებლად? რადგან აქ მარტო ეშმაკობაა საჭირო და ძალმომრეობას არაფერი ესაქმება. რომელი თქვენგანი მომიყანს ოროდტესს ცოცხალს, ან ვინ მოჰკლავს მას? მას სპარსელებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, ხოლო ბოროტება კი ბევრი გაუკეთებია. ჯერ ერთი, ორი ჩვენგანი დაღუპა, მიტრობატესი და მისი შვილი, მშემდეგ - ის კლავს, ვისაც ვუგზავნი მოსაწვევად, არაჩვეულებრივ თვითნებობას იჩენს სპარსელების მიმართ, ვიდრე უარესი ბოროტება არ ჩაუდენია, ჩვენ მისი სიკვდილით დასჯა გვმართებს".

128. დარიოსმა რომ ეს იკითხა, 30 კაცი წამოდგა და თითოეულ მათგანს უნდოდა ამის გაკეთება. რაკი მათ ერთმანეთში დავა დაიწყეს, დარიოსმა უბრძანა, წილი ეყარათ. იყარეს წილი და შეხვდა ბაგაფოსს, არტონტესის ძეს. წილი რომ ხვდა ბაგაფოსი ასე მოქიცა: მან დაწერა მრავალი წერილი, რომლებიც სხვადასხვა საქმეს ეხებოდა, დაბეჭდა დარიოსის ბეჭდით, წავიდა და თან წაიღო სარდელში. მივიდა სარდელში და წარუდგა ოროდტესს, ხოლო წერილებს სათითაოდ იღებდა და აძლევდა მეფის მდივანს წასაკითხად (მეფის მდივანი ყველა სატრაპს ჰყავს). წერილებს რომ აძლევდა ბაგაფოსი ცდიდა პირად მცველებს, ვინმე მათგანი ოროდტესისგან გადგომას მოინდომებდა თუ არა. მან დაინახა, რომ ისინი წერილებს დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ და უფრო დიდი პატივით კიდევ იმას, რაც წერილებსია ნათქვამი; ამის მერე მან გადასცა შემდეგი წერილი, რომელშიც ასეთი რამ ეწერა: "სპარსელებო, მეფე დარიოსი გიკრძალავთ თქვენ ოროდტესის პირად მცველობას". მათ რომ ეს მოისმინეს, მაშინვე დაუშვეს შუბები. ბაგაფოსმა დაინახა, რომ ისინი ემორჩილებიან წერილებს და გამხნევებულმა უკანასკნელი წერილი გადასცა მდივანს, რომელშიც ეწერა: "მეფე დარიოსი უბრძანებს სარდელში მყოფ სპარსელებს, მოკლან ოროდტესი". მცველებმა როდესაც მოისმინეს ეს, იშიშვლეს ხანჯლები და მაშინვე მოკლეს ოროდტესი. ასეთი სამაგიერო მიეზღო სპარსელ ოროდტესს პოლიკარტეს სამოსელისათვის.

129. მას მერე რაც ოროდტესის ქონება გადმოიტანეს სუსაში, დიდ დროს არ გაუვლია, რომ მეფე დარიოსი გარეულ მხეცებზე ნადირობის დროს ჩამოხტა ცხენიდან და ფეხი იღრძო, როგორღაც ძალიან მაგრად იღრძო, ისე რომ, კოჭი ამოუვარდა სახსრიდან. პირველად მიმართა ეგვიპტელ ექიმებს, რომლებიც თავისთან ჰყავდა, რადგან ისინი საუკეთესო ექიმებად მიაჩნდა და, ჩვეულებრივ, მათ მიმართავდა ხოლმე. მათ ღონივრად დაუჭიმეს ფეხი და კიდევ უფრო უარესად გახადეს. მერვე დღეს, როდესაც ძალიან ცუდად იყო, ვიღაცამ, რომელსაც უწინ სარდელში სმენოდა კროტონელი დემოკედესის ხელოვნების შესახებ, შეატყობინა ეს დარიოსს. დარიოსმა ბრძანა, სასწრაფოდ მოეყვანათ ის მასთან. როგორც იქნა, იპოვეს დემოკედესი ოროდტესის

მონებს შორის სრულიად მიგდებული, გამოიყვანეს და წაიყვანეს მეფესთან, ბორკილების თრევითა და ძონძებში ჩაცმული.

130. შუაში რომ დააყენეს, მეფე შეეკითხა მას, იცის თუ არა მან ეს ხელობა. მან იუარა, რადგან ეშინოდა, თავს თუ გამოიჩენდა, სამუდამოდ არ დაეკარგა ელადა, მაგრამ დარიოსი მიხვდა, რომ მან იცის ეს ხელობა და უბრძანა მის მომყვანებს, გამოეტანათ მათრახები და წვეტიანი ჯოხები. მაშინ დემოკედესმა აღიარა, მაგრამ თქვა, რომ ზედმიწევნით არ იცის, მხოლოდ ცოტა რამ გაეგება ამ ხელობისა ერთ ექიმთან ურთიერთობის შედეგად. შემდეგ, როდესაც დარიოსი მიენდო მას, მან გამოიყენა ელინური წამლები, გამღიზიანებელთა შემდეგ იხმარა დამაყუჩებლები, მოჰგვარა ძილი და სულ ცოტა ხანში სრულიად გამოაჯანმრთელა, თუმცა მისთვის აღარ ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე ისევ ფეხმარდი იქნებოდა. ამის მერე დარიოსმა მას აჩუქა ორი წყვილი ოქროს ბორკილი. ექიმი შეეკითხა, ხომ არ აპირებს მისი უბედურების გაორმაგებას, რაკილა მოარჩინა. დარიოსს მოეწონა ეს სიტყვა და გაგზავნა ის თავის ცოლებთან. საჭურისებმა ჩამოატარეს ის და ეუბნებოდნენ მეფის ცოლებს, რომ ესაა, ვინც მეფეს სიცოცხლე აჩუქაო. მაშინ თითოეულმა ცოლმა ფიალით ოქრო ამოიღო ყუთიდან და დემოკედესს აჩუქაო, საჩუქარი იმდენად უხვი იყო, რომ ამ ფიალებიდან გადმოცვენილი სტატერები მოაგროვა მხლებელმა მსახურმა (რომელსაც სახელად სკიტონი ერქვა) და მას დიდი რაოდენობით შეუგროვდა ოქროს ფული.

131. ეს დემოკედესი შემდეგნაირად მოვიდა კროტონიდან და დაუმეგობრდა პოლიკარტესს: კროტონში მას ძალიან ტანჯავდა მამა, რომელსაც მძიმე ხასიათი ჰქონდა. და როდესაც ვეღარ შეძლო ამის ატანა, მიატოვა იქაურობა და წავიდა აფინაზე. იქ ყოფნის პირველსავე წელიწადს მან ყველა სხვა ექიმს აჯობა, თუმცა და მოუწყობელი იყო და თან არ ჰქონდა არავითარი იარაღი, რაც ამ ხელობის კაცს სჭირდება. მეორე წელიწადს აფინელებმა ის სახელმწიფო ხარჯზე აიყვანეს ად ტალანტს უხდიდნენ, მესამე წელს - ათენელები 100 მნას აძლევდნენ, ხოლო მეოთხე წელს პოლიკარტესმა ორი ტალანტი მისცა. ასე მოვიდა ის სამოსზე და ამ კაცის წყალობით, რომ კროტონელი ექიმები განსაკუთრებით არიან სახელგანთქმულნი (ისე იყო, რომ ელადაში პირველებად კროტონელი ექიმები ითვლებოდნენ, მეორეებად - კირენელები. ამავე დროს, არგოსელები იყვნენ მუსიკის საუკეთესო მცოდნენი ელინთა შორის).

132. დარიოსის მოერჩენის შემდეგ დემოკედესი სუსაში უზარმაზარი სახლში ცხოვრობდა, გახდა მეფის თანამეტრაპზე და შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა, გადა ერთისა - ელადაში დაბრუნების ნება არ ჰქონდა. ჯერ ეს ერთი - მეფეს სთხოვა და გადაარჩინა ეგვიპტელნი ექიმები, რომლებიც უწინ მკურნალობდნენ მეფეს და რომელთაც სარზე ჩამოცმა ელოდათ, რაკილა ელინთა ექიმზე უმწეონი აღმოჩნდნენ. მერე - გადაარჩინა ერთი ელიდელი მისანი, რომელიც უწინ პოლიკარტესის მხლებელი იყო, ახლა კი მივიწყებული, მონათა შორის იმყოფებოდა. ერთი სიტყვით, დემოკედესს დიდი ძალა ჰქონდა მეფის კარზე.

133. ცოტა ხნის შემდეგ ასეთი ამბები მოხდა: ატოსას, კიროსის ასულს და დარიოსის მეუღლეს ძუძუზე სიმსივნე გაუჩნდა, რაც შემდეგ თანდათან უფრო ეზრდებოდა. სანამ სიმსივნე პატარა იყო, ატოსას რცხვენოდა და მალავდა, არავის ეუბნებოდა, მაგრამ როდესაც გაუჭირდა მოაყვანინა დემოკედესი და იმას აჩვენა. ექიმმა მორჩენა

აღუთქვა, მხოლოდ ფიცი ჩამოართვა, რომ სამაგიეროდ ქალი აუსრულებს იმას, რასაც მოსთხოვს, თანაც უთხრა, რომ არაფერს სამარცხვინოს არ მოითხოვდა.

134. მას მერე, რაც დემოკიდესმა უმკურნალა და მოარჩინა ქალი, დემოკიდესისგან დარიგებულმა ატოსამ დარიოსს ლოგინში ასეთი საუბარი გაუმართა: "მეფეო, ამოდენა ძალის პატრონი ისე ზიხარ, სპარსელებს არც ხალხს სძენ, და არც ხალხს სძენ, და არც ძღვევამოსილებას. ახალგაზრდა კაცს, დიდი ქონების პატრონს თავის გამოჩენა შეშვენის, ბოლოს და ბოლოს სპარსელებმაც უნდა დაინახონ, რომ ვაჟკაცის ხელქვეითნი არიან. შენ ორი რამის გამო გმართებს ამის გაკეთება: ჯერ ერთი იმიტომ, რომ სპარსელებმა იცოდნენ, რომ მათი ბელადი ვაჟკაცია და მერე იმიტომ, რომ ომში გართულებს მოცლაც არ ექნებათ შენს წინააღმდეგ ბოროტი განზრახვისა. აბა, ახლა გვიჩვენე რამე საქმე, სანამ ახალგაზრდა ხარ. სხეული რომ იზრდება, მასთან ერთად იზრდება აზრიც, ხოლო როდესაც სხეული ხუცდება, მასთან ერთად ხუცდება გონებაც და ბლაგვდება ყოველგვარი საქმიანობისათვის". ასე ლაპარაკობდა ატოსა, როგორც ასწავლეს, ხოლო მეფემ მიუგო: "დედაკაცო, ყოველივე ამის გაკეთებას, რაც მითხარი, თვითონაც ვაპირებდი; მაგალითად, გადაწყვეტილი მაქვს გავდო ხიდი ერთი ხმელეთიდან მეორენ ხმელეთზე და ვილაშქრო სკვითების წინააღმდეგ. სულ ცოტა ხანში ყოველივე ამას შევასრულებ". ატოსამ უთხრა: "მოეშვი, პირელად სკვითებზე ნუ ილაშქრებ, რადგან ისინი, როცა კი მოინდომებ, შენი გახდებიან. ჩემი ხათრით ჯერ ელადაზე გაილაშქრე, რადგან ბევრი მსმენია და ძალიან მინდა, მხევლებად ლაკონელი, არგოსელი, ატიკელი და კორინთელი ქალები მყავდნენ. თანაც შენ გამოსადეგი კაცი გყავს, რომელიც ყველაფერს გაჩვენებს ელადაში და ყველგან გაგიძღვება: ეს ისაა, რომელმაც შენ ფეხი მოგიჩინა". დარიოსმა მიუგო: "დედაკაცო, რადგან შენ ფიქრობ, რომ პირველად ელადის დაპყრობა უნდა ვცადო, მგონია უმჯობესი იქნება ელინებში ჯერ სპარსთა მეთვალთვალები გავგზავნოთ იმ კაცთან ერთად, ვინც შენ დამისახელე, ისინი შეიტყობენ, ნახავენ ყველაფერს და ამბავს მოგვიტანენ. ხოლო შემდეგ, ყველაფერი რომ მეცოდინება, მე თვითონ შევუტევ მათ". ესა სთქვა და მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო.

135. როგორც კი გათენდა, დაუძახა 15 წარჩინებულ სპარსელს და უბრძანა მათ, გაჰყოლოდნენ დემოკიდესს და დაევლოთ ელადის ზღვის სანაპირო მხარეები, მხოლოდ ისე, რომ არ გაქცეოდათ დემოკიდესი და უეჭველად უკან მოეყვანათ. მათ რომ ეს უბრძანა, შემდეგ დაუძახა დემოკიდესს და სთხოვა, გასძლოლოდა სპარსელებს, ეჩვენებინა მათთვის მთელი ელადა და უკან დაბრუნებულიყო. თან უბრძანა, მამისა და ძმებისათვის წაეღო საჩუქრად ყოველივე, რაც კი მას მოძრავი ქონების სახით ჰქონდა და აღუთქვა, რომ დაბრუნებულს ბევრად უფრო მეტს მისცემდა სამაგიეროდ. ამას გარდა, უთხრა, რომ საჩურებს მიუმატებს კიდევ საბარგო ხომალდს, რომელიც ყოველგვარი სიკეთით დატვირთული მასთან ერთად გაუდგება გზას. მე ვფიქრობ, არიოსმა ყოველივე ეს დემოკიდესს მზაკვრული აზრის გარეშე აღუთქვა, დემოკიდესს კი შეეშინდა, ხომ არ მცდისო დარიოსიო, ამიტომ არ დააცხრა საჩუქრებს, რაც კი ჰქონდა მიღებული და უთხრა, რომ მთელ თავის ქონებას ტოვებს ამ ქვეყანაში, რათა უკან რომ დაბრუნდება, მაშინ მოიხმაროს, ხოლო რაც შეეხება საბარგო ხომალდს, რომელსაც დარიოსი დაჰპირდა ძმების საჩუქრად, იმს კი ღებულობს. ასეთი დავალებები მისცა მას დარიოსმა და ზღვას გაუყენა.

136. ისინი მოვიდნენ ფინიკიაში, ფინიკიის ქალაქ სიდონში, მაშინვე გაამზადეს ორი ტრიერი და ტრიერებთან ერთად დიდი სავაჭრო ხომალდი, რომელიც აავსეს ყოველგვარი სიკეთით. ეს ყოველივე რომ მოამზადეს, გაცურეს ელადაში, მიჰყვებოდნენ ზღვის სანაპირო მხარეებს, ათვალეიერებდნენ და იწერდნენ, ვიდრე არ დაათვალეიერეს მისი დიდი, მნიშვნელოვანი ნაწილი და არ მოვიდნენ იტალიის ქალაქ ტარნატაში. აქ არისტოფილიდესმა, ტარანტელთა მეფემ, დემოკიდესის მდგომარეობის შესამსუბუქებლად მიდიურ ხომალდებს საჭეები დახსნა, ხოლო თვით სპარსელები შეიპყრო, როგორც მეთვალყურეები. ვიდრე იმათ თავს ეს ამბები იყო, დემოკიდესი მოვიდა კროტონში. როდესაც მან თავის სამშობლოს მიაღწია, მაშინ გაათავისუფლა არისტოფილიდესმა სპარსელები და დაუბრუნა ის ნაწილები, რაც მოხსნა მათ ხომალდებს.

137. სპარსელებმა აქედან გაცურეს, დაედევნენ დემოკიდესს და მიაღწიეს კროტონს. აქ იპოვეს ის ბაზარზე და ხელი სტაცეს. ზოგიერთი კროტონელი სპარსეთის შიშით მზად იყო გაეცა დემოკიდესი, სხვებმა კი მისი მხარი დაიჭირეს და კომბლები დაუშინეს სპარსელებს; მაშინ სპარსელებმა მიმართეს მათ შემდეგი სიტყვებით: "კროტონელებო, დაუფიქრდით რას შვრებით: თქვენ მეფისაგან გამოქცეულ მონას გვართმევთ, როგორ მოეწონება მეფე დარიოსს ასეთი სითავზედე? ეს კაცი თუ წაგვართვით, რას მოიგებთ ამით? რომელ ქალაქზე გავილაშქრებთ ამ ქალაქზე უწინ? რომელი ქალაქის დამონებას შევეცდებით ამაზე პირველად?" ამას ლაპარაკობდნენ, მაგრამ კროტონელები ვერ დაითანხმეს. სპარსელებმა რომ დაკარგეს დემოკიდესი და სავაჭრო ხომალდი, რომელიც მასთან ერთად მიჰყავდათ, წავიდნენ უკან აზიაში, რადგან უგამყოლოდ დარჩენილნი აღარ შეეცადნენ ელადაში წინ წასვლას და მის გამოკვლევას. წარსულებს მხოლოდ ერთი დაავალა დემოკიდესმა, უბრძანა, ეთქვათ დარიოსისათვის, რომ დემოკიდესი ცოლად ირთავს მილონის ასულსო. რადგან მოჭიდავე მილონის სხელს დიდ პატივს სცემდა მეფე. ვფიქრობ დემოკიდესმა იმიტომ დააჩქარა ქორწილი და დახარჯა დიდი ფული, რომ ეჩვენებინა დარიოსისათვის, თუ რა სახელოვანი იყო ის თავის სამშობლოშიც.

138. კროტონიდან წამოსული სპარსელები მოხვდნენ თავისი ხომალდებიანად იეპიგიეში და იქ მონობაში ჩაცვივდნენ, ვიდრე არ გაათავისუფლა გილოსმა, ტარანტელმა (გამოქცეულმა თავისი ქალაქიდან) და არ წაიყვანა მეფე დარიოსთან. მეფე სამაგიეროდ მზად იყო, მიეცა მისთვის, რასაც კი მოისურებდა. გილოსმა ირჩია, ტარანტში უკან დაბრუნება, მანამდე კი უამბო მას თავისი უბედურების შესახებ. ის მოერიდა ელადის შემფოთებას, მის გამო რომ დიდ ფლოტს გაეცურა იტალიისაკენ და უთხრა მეფეს, მხოლოდ კნიდოსელები ეყოფიან ჩემს უკან დაბრუნებასო. მას ეგონა, რადგან ესენი ყველაზე უფრო მეგობრულად იყვნენ ტარანტელებთან, შეიძლებდნენ მის დაბრუნებას სამშობლოში. დარიოსმა აღუთქვა და კიდევაც შეასრულა აღთქმა: გაგზავნა მოციქული კნიდოსზე და უბრძანა, გილოსი ტარანტაში წაეყვანათ. კნიდოსელებმა დაუჯერეს დარიოსს, მაგრამ ტარანტელებმა აღარ დაუჯერეს მათ და კნიდოსელებს არ შეემლოთ მათი იძულება. ასე მოხდა ეს ამბები. ესენი იყვნენ პირველი სპარსელები, რომლებიც აზიიდან მივიდნენ ელადაში და რომლებიც ზემოთქმული საქმის გამო მეთვალყურეებად მივიდნენ იქ.

139. ამის შემდეგ მეფე დარიოსმა აიღო სამოსი, ელინურ და ბარბაროსულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უწინ; აიღო ის შემდეგი მიზეზების გამო: როდესაც

კამბისეს კიროსის ძე ლაშქრობდა ეგვიპტეზე, ეგვიპტეში მოვიდა ბევრი ელინი, ზოგიერთები, ჩვეულებისამებრ, სავაჭროდ, სხვები სალაშქროდ და ზოგიც ამ ქვეყნის სანახავად. მათ შორის იყო სილოსონტი, ადაკესის ძე, პოლიკარტესის ძმა, გამოძევებული საოსიდან. ამ სილოსონტს ასეთი ბედი ეწია: მან ერთხელ ჩაიცვა ცეცხლისფერი მომსასხამი და დადიოდა მემფისის ბაზარზე. დაინახა დარიოსმა, რომელიც კამბისესის პირადი მცველი იყო (ჯერ არავითარი დიდი თანამდებობა არ ჰქონდა), მოუნდა წამოსასხამი და მივიდა სილოსონტთან მის საყიდლად. სილოსონტმა დაინახა, რომ დარიოსს ძალიან უნდოდა მისი წამოსასხამი და თითოქს ღვთაების მიერ შთაგონებულმა უთხრა: "არ გავყიდი, ფულის გულისათვის, მაგრამ გაჩუქებ, რაკი ასე გინდა, რომ გქონდეს". დარიოსმა შეაქო ის ამისათვის და გამოართვა ჩასაცმელი, ხოლო სილოსონტი ფიქრობდა, რომ დაკარგა მოსასხამი თავისი სისულელის გამო.

140. ხანი რომ გავიდა, მოკვდა კამბისესი, შვიდნი ამბოხდნენ მოგვის წინააღმდეგ და ამ შვიდიდან ერთმა, დარიოსმა ხელთ იგდო ძალაუფლება. სილოსონტმა შეიტო, რომ ძალაუფლება გადასულა სწორედ ამ კაცის ხელში, რომელსაც მან ოდესღაც ეგვიპტეში ტანსაცმელი აჩუქა. წავიდა სუსაში და დაჯდა მეფის სასახლის ბქესთნა და თქვა, რომ დარიოსის კეთილისმყოფელი არის. მეკარემ გაიგონა მისი სიტყვები და გადასცა მეფეს. გაკვირვებულმა მეფემ უთხრა მას: "ვინ არის ელინთა შორის ჩემი კეთილისმყოფელი, რომლისგანაც მე დავალებული ვარ, მე ხომ ახლახან მოვიპოვე მმართველობა? არავინ მოსულა ელინთაგან ჩვენთან და შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი ელინისაგან არ მისარგებლია. მაგრამ მაინც შემოიყვანე შიგნით, რომ ვნახო, თუ რა უნდა, ამას რომ ამბობს", მეკარემ შემოიყვანა სილოსონტი. ის რომ წარდგა, თარჯიმნები შეეკითხნენ, ვინ არის და რა გაუკეთებია, რომ მეფის კეთილისმოქმედად სახავს თავისთავს. სილოსონტმა უამბო ყოველივე, რაც მოსასხამთან დაკავშირებით მოხდა და რომ თვითონაა ის კაცი, რომელმაც მოსასხამი აჩუქა მეფეს. დარიოსმა ამაზე მიუგო: "უკეთილშობილესო კაცთა შორის, შენ ხარ ის ადამიანი, რომელმაც დამასაჩუქრა მაშინ, როდესაც არავითარი ძალაუფლება არ მქონდა. თუმცა საჩუქარი მცირე იყო, მაგრამ ჩემი მადლობა იმოდენა უნდა იყოს, თითქოს დიდი რამ მიმეღოს. ახლა მის სამაგიეროდ მიბოძებია შენთვის უთვალავი ოქრო დ ვერცხლი და არასოდეს ინანებ იმას, კარგი რომ გაუკეთე დარიოს ჰისაპესის ძეს". ამაზე სილოსონტმა უთხრა: "მეფეო, ნურც ოქროს მომცემ და ნურც ვერცხლს, არამედ მომიპოვე და მომეცი ჩემი სამშობლო სამოსი, რომელიც ახლა უპყრია ჩვენს მონას, მას მერე, რაც ოროდტესმა მოკლა ჩემი ძმა, პოლიკარტესი. მომეცი სამოსი სისხლისღვრისა და დამონების გარეშე".

141. ეს რომ მოისმინა დარიოსმა, გაგზავნა ლაშქარი, რომლის მხედართმთავარიც იყო ოტანესი, ერთი იმ შვიდთაგანი და უბრძანა ყოველივე ისე გაეკეთებინა, როგორც ითხოვდა სილოსონტი. ჩავიდა ზღასთან ოტანესი და მოამზად აფლოტი.

142. სამოსზე ძალაუფლება მადანდრიოს მადანდროსის ძეს ჰქონდა, რომელმაც პოლიკარტესისაგან მიიღო მეურვეობა. მას უნდოდა, ძალიან სამართლიანი კაცი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოუვიდა. როდესაც პოლიკარტესის სიკვდილი შეიტყო, ჯერ პირველად გამათავისუფლებელ ზევსს აუგო საკურთხეველი და მის ირგვლივ შემოსაზღვრა წმინდა ნაკვეთი, რაც ახლაც არის გარეუბანთან. შემდეგ კრებაზე შეყარა ყველა მოქალაქე და ასეთი სიტყვით მიმართა მათ: "თქვენც იცით, რომ

პოლიკარტესის კვერთხი და მთელი მისი ძალაუფლება მე მაქვს მონდობილი და ახლა მე შემოდლია თქვენზე ბატონობა. მაგრამ რასაც მე ჩემს მახლობლობაში ვკიცხავ, იმას თვითონ არ გავაკეთებ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. მე არ მომწონდა, პოლიკარტესი მის მსგავს ადამიანებზე რომ ბატონობდა, და არც ის მომეწონება, სხვა ვინმე თუ მსგავს რამეს გააკეთებს. პოლიკარტესს თავისი ბედი ეწეია, ხოლო მე მმართველობას სახალხოს ვხდი და თქვენ თანასწორუფლებიანობას გთავაზობთ. ხოლო ჩემთვის სამართლიანად მიმაჩნია, რომ ასეთი პატივი მომანიჭოთ: პოლიკარტესის ქონებიდან გამომიყავით 6 ტალანტი და ამას გარდა მე და ჩემს ჩამომავლობას სამუდამოდ მოგვანიჭეთ ქურუმობა ზევსი - გამათავისუფლებისა, რომელსაც მე თვით ავუგე სალოცავი, თქვენ კი თავისუფლება მოგანიჭეთ". ეს გამოუცხდა სამოსელებს, ხოლო ერთი მათგანი ადგა და უთხრა: "შენ არცა ხარ ღირსი იმისა, რომ ჩვენი მმართველი იყო, წარმოშობით მდაბიო და ბუნებით მავნე. უმჯობესია ანგარიში ჩაგვაბარო მონდობილი ფულების შესახებ".

143. ეს თქვა მოქალაქეთა შორის სახელოვანმა კაცმა, რომელსაც სახელად ტელესარქოსი ერქვა, ხოლო მაჰანდრიოსმა იფიქრა, რომ თუ ხელიდან გაუშვა ძალაუფლება, ვინმე გახდება მის მაგიერ ტირანი და განიზრახა, რომ არ გაეშვა ხელიდან ძალაუფლება, ამიტომ დაბრუნდა ციხე-სიმაგრეში, გამოიძახა სათითაოდ წარჩინებულები, თითქოს ფულების ანგარიში უნდა ჩაებარებინა მათთვის, შეიპყრო ისინი და დაატყვევა. მათ დატყვევების შემდეგ მაჰანდრიოსი ავად გახდა. მის ძმას, რომელსაც სახელად ერქვა ლიკარეტოსი, იმედი ჰქონდა, რომ მაჰანდრიოსი მოკვდებოდა და რომ გაეადვილებინა თავისთვის სამოსზე ხელისუფლების მოპოვება, ყველა ტყვე ამოხოცა. როგორც ჩანს, სამოსელებს არ უნდოდათ, რომ თავისუფლები ყოფილიყვნენ.

144. როდესაც მოვიდნენ სამოსზე სპარსელები და მოიყვანეს სილოსონტი, ადამიანის შვილს მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ის კი არა, მაჰანდრიოსის მომხრეებმა და თვით მაჰანდრიოსმაც თქვეს, რომ მზად არიან დაუზავდნენ მათ და კუნძულიდან წავიდნენ. ოტანესი დაეთანხმა ამაზე და დაუზავდა მათ, ხოლო სპარსელთაგან ყველაზე ღირსეულებმა დაადგმევინეს ტახტები ციხე-სიმაგრის პირდაპირ და დასხდნენ.

145. ტირან მაჰანდრიოსს ჰყავდა ერთი შერეკილი ძმა, რომელსაც სახელად ერთქვა ქარილეოსი. რაღაც დანაშაულისათვის ის მიწისქვეშა სარდაფში ჰყავდათ დმწყვდეული. მან როდესაც შეიტყო ის, რაც მოხდა, გამოიხედა თავისი საპყრობილიდან და რომ დაინახა მშვიდად მსხდომი სპარსელები, ატეხა ყვირილი, ამბობდა, რომ უნდა მაჰანდრიოსთან მოლაპარაკება, მაჰანდრიოსმა ეს რომ გაიგონა, ბრძანა, გაეთავისუფლებინათ და მოეყვანათ მასთან. როგორც კი მოიყვანეს, ლანძღვითა და გინებით უნდოდა დაერწმუნებინა მაჰანდრიოსი, სპარსელებს თავს დასხმოდა. იგი ამბობდა: "უსაზიზღრესო კაცთა შორის, მე, შენს საკუთარ ძმას უსამართლოდ მომექეცი და ღირსი რომ არ ვიყავი ბორკილებისა, დამატყვევე და მიწისქვეშა სარდაფში ჩამაგდე. ხოლო სპარსელებს, რომლებიც გაძევებენ და ბოგანოდ გაქცევენ, უყურებ და ვერ ბედავ, დასაჯო. თუმცა კი სულ ადვილია მათი დაძლევა. ხოლო თუ შენ გემინია მათი, მომეცი შენი დაქირავებული ჯარი და მე დავსჯი მათ აქ მოსვლისათვის. შენ კი მზად ვარ გაგისტუმრო კუნძულიდან".

146. ეს თქვა ქარილეოსმა. ხოლო მადანდრიოსმა გაუგონა მის სიტყვას, მაგრამ, ვფიქრობ, ის ისე უგუნური არ იყო, რომ დაეჯერებინა, თითქოს მისი ჯარი აჯობებდა მეფისას; მას შურდა სილოსონტისა, რომელსაც სრულიად უშრომელად უნდა ჩაებარებინა სავსებით უვნებელი ქალაქი. ამიტომ უნდოდა გაელიზიანებინა სპარსელები, რომ მათ რაც შეიძლება დაესუსტებინათ სამოსი და ეგრე გადაეცა ის სილოსონტისათვის. მან კარგად იცოდა, რომ თუ გამოაჯავრებდა სპარსელებს, ისინი სასტიკად განრისხდებოდნენ სამოსელებზე, ისიც იცოდა, რომ თვითონ უშიშრად შეეძლო კუნძულიდან გასვლა, როდესაც კი მოინდომედა, რადგან ფარული გვირაბი იყო გაკეთებული, რომელიც ციხესიმაგრიდან ზღვისკენ მიემართებოდა. ამგვარად, მადანდრიოსი გაცურდა სამოსიდან, ხოლო ქარილეოსმა შეიარაღებული ჯარი, გააღო ციხე-სიმაგრის კარები და თავს დაესხა სპარსელებს, რომლებიც არ ელოდნენ ასეთ რასმე, რადგან ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი მოგვარებულია. დაქირავებულები შეესივნენ ტახტრევნებში მსხდომ სპარსელებს და მათგან ყველაზე წარჩინებულნი ამოხოცეს. მაგრამ შემდეგ დანარჩენი სპარსელი ჯარი წამოეშველა თავისიანებს და შევიწროვებული დაიქირავებულები შეცვივდნენ უკან ციხე-სიმაგრეში.

147. მხედართმავარმა ოტანესმა რომ დაინახა, თუ რა დიდი ზიანი მიაყენეს სპარსელებს, დარიოსის განკარგულება, რომელიც მისცა მას გამოგზავნისას, ნუ მოკლავ ნურც ერთ სმოსელს, ნურც დაატყვევებ და კუნძული სილოსონტს ხელუხლებელი გადაეციო - აი ეს განკარგულება მას სრლიად დაავიწყდა და უბრძანა ლაშქარს, ვისც კი მოახელთებთ, კაცი იქნება თუ ბავშვი, ყველანი დახოცეთ განურჩევლად. მაშინ ლაშქრის ნაწილმა ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრეს, ხოლო მეორე ნაწილმა ამოხოცა ყველა, ვინც კი შემოხვდ, სულ ერთია სლოცავში იყო, თუ სალოცავს გარეთ.

148. სამოსიდან გაქცეულმა მადანდრიოსმა ლაკედემონისაკენ გაცურა. იქ რომ მივიდა, გადაზიდა, რაც კი ჰქონდა თან მოტანილი და ასე მოიქცა: ვერცლისა და ოქროს სასმისებს გამოალაგებდა ხოლმე და მოსამსახურეები მათ იქვე წმენდნენ, ის კი ამ დროს ესაუბრებოდა კლეომენეს ანაქსანდრიდესის ძეს, რომელიც მეფობდა სპარტეში და შეიტყუებდა ხოლმე მას თავის სახლში. როგორც კი დაინახავდა კლეომენესი სასმისებს, ყოველთვის გაკვირვებასა და აღტაცებას გამოხატავდა. მადანდრიოსმა ორჯერ და სამჯერ რომ უთხრა ეს, კლეომენესი, რომელიც მეტისმეტად სამართლიანი კაცი იყო, რა რომელსაც არ მიაჩნდა სამართლიანად საჩუქრების მიღება, მიხვდა, რომ მადანდრიოსი მოქალაქეთა შორის ვინმე სხვას დაასაჩუქრებს და ამით მოიპოვებს მათგან დახმარებას; ამიტომ წავიდ ეფორებთან და უთხრა მათ, რომ სპარტისათვი უმჯობესია უცხო სამოსელი გააძევეს პელოპონესიდან, რათა მან ან თვით, ან სხვა ვინმე სპარტელი ცუდ სქმეზე არ დაიყაბულოს.

149. მათ გუგონეს კლეომენესს და მადანდრიოსი გააძევეს ქალაქიდან, ხოლო სპარსელებმა ააოხრეს სამოსი და სილოსონტს ხალხისაგან სულ დაცარიელებული გადასცეს. ხოლო შემდეგ ხანში მხედართმავარმა ოტანესმა ის ისევ დაასახლა სიზმრის ჩვენებისა და სარხვინელთა სატკივრის შეყრის გამო.

150. როდესაც ფლოტი წავისა სამოსისაკენ, აჯანყდნენ ბაბილონელები, რომლებიც ძალიან კარგად იყვნენ მომზადებული. იმ დროს, როდესაც მოგვი განაგებდა ქვეყანას,

სანამ შვიდნი აწყობდნენ ამბოხებას და მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ არეულობა იყო, ისინი ემზადებოდნენ ალყისათვის და როგორღაც ყოველივე აამას დაფარულად აკეთებდნენ. ხოლო შემდეგ, - როდესაც ისინი ცადად აჯანყდნენ, ასე მოიქცნენ: კაცებმა გამოარჩიეს დედები, თითოეულმა გამოარჩია თითო ცოლი, რომელიც საკუთარ სახლში ყველას ერთივინა, შემდეგ მოუყარეს თავი ყველა დანარჩენებსა და დაახრჩვეს, ხოლო თითო ცოლი მზარეულად გამოირჩიეს, სხვა ქალები კი იმიტომ დაახრჩვეს, რომ მათზე საჭმელი არ დახარჯულიყო.

151. დარიოსმა რომ ეს შეიტყო, შეაგროვა მთელი თავისი ჯარი და გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, რომ მივიდა ბაბილონთან, ალყა შემოარტყა მას, ბაბილონელები კი სულაც არ წუხდნენ ალყის შემორტყმის გამო. ბაბილონელები ადიოდნენ გალავნის ქონგურბზე, იმანჭებოდნენ და დასცინოდნენ დარიოსს და მის ლაშქარს. ხოლო ერთმა მათგანმა ასეთი სიტყვაც უთხრა მათ: "სპარსელებო, რას უსხედხართ მან და არ მიდიხართ? თქვენ მხოლოდ მაშინ დაგვიპყრობთ, როდესაც ჯორი კვიცს მოიგებს". ეს თქვა ვიღაც ბაბილონელმა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჯორი არასოდეს არ მოიგებდა კვიცს.

152. უკვე წელიწადი და შვიდი თვე გავიდა. დარიოსი და მთელი მისი ლაშქარი წუხდა იმას, რომ ვერ შეძლეს ბაბილონეთალ დაძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი სიბრძნე და ყველანაირი ემშაკობა გამოიყენა მათ მიმართ დარიოსმა. რადგან ვერ შეძლო მათი დამარცხება, სხვა ღონისძიებებიც სცადა და ისიც, რომლის მეოხებითად კიროსმა დაიპყრო ბაბილონელები; ესეც სცადა დარიოსმა, მაგრამ ბაბილონელები ძალიან ფხიზლად იყვნენ სადარაჯოზე და ვერც ამ ხერხით შეძლო მან ქალაქის აღება.

153. მაგრამ მეოცე თვეზე ძოპიროსს, მეგაბიძოსის შვილს (ეს ის მეგაბიძოსია, ერთი იმ შვიდკაცთაანი, რომელთაც მოგვი დამარხეს), აი, ამ მეგაბიძოსის შვილს, ძოპიროსს შემდეგი სასწაული შეემთხვა: მისმა ერთმა სურსათის მთვირთველმა ჯორმა კვიცი შობა. როდესაც მას შეატყობინეს, არ დაიჯერა ძოპიროსმა და თვითონ ნახა ნაშობი, აუკრძალა მნახველებს რაიმეს თქმა მომხდარის შესახებ, თვითონ კი დაფიქრდა. მას გაახსენდა ბაბილონელის სიტყვები, რომელმაც თავშივე თქვა, რომ როდესაც ჯორი შობს, მაშინ აიღებთ ციხე-სიმაგრესაო. აი, ამ ნათქვამის მიხედვით ძოპიროსმა იფიქრა, რომ ახლა შესაძლოა ბაბილონის აღება, რადგან ღვთის განგებით მოხდა ის, რაც იმ კაცმა თქვა და ისიც, რომ მისმა ჯორმა კვიცი შობა.

154. მან გადაწყვიტა, რომ ახლა დადგა ბაბილონის აღების დრო და მოვიდა დარიოსთან იმის გასაგებად, დიდი მნიშვნელობა აქვს თუ არ ბაბილონის აღებას. როდესაც სეიტყო, რომ დარიოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამას, დაფიქრდა, როგორ მოქცეულიყო, რომ თვითონ აეღო ქალაქი და ეს საქმე მარტო თვითონ გაეკეთებინა, რადგან სპარსელებში ასეთი ვაჟკაცური საქმეები ყველაზე დიდად ფასობს. მან იფიქრა, რომ სხვა ვერაფრით შეიძლებს ბაბილონის ხელში ჩაგდებას, თუ არ დაისახიჩრა თავი და ისე არ გავიდა მტრის ბანაკში. მას ეს იოლ საქმედ მიაჩნდა და ისე დაისახიჩრა თავი, რომ ამის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა: მოიჭრა ცხვირი, ყურები, თმები საზარლად მრგვლად შემოიკვედრცხა, გაიმართრა თავი და მივიდა დარიოსთან.

155. დარიოსმა ძალიან მძიმედ განიცადა, ასეთი წარჩინებული კაცი დასახიჩრებული რომ დაიანხა, ტახტიდან ყვირილით ჩამოხტა და შეეკითხა, ვინაა რომ ეგრე დაგასახიჩრა და შენ რა ჩაიღინეო. მან უპასუხა: "არ არსებობს კაცი, შენს გარდა, რომელსაც შეუძლია ასეთი რამ გამიკეთოს. სხვა არავის გაუკეთებია ეს, მეფეო, მე თვითონ ვუყავი ჩემს თავს ეს ამბავი, რადგან ძალიან მრცხვენია, რომ ასირიელები დასცინიან სპარსელებს". დარიოსმა მიუგო: "შე უბედურო, შენ ბრწყინვალე სახელს ჩრდილავ სამარცხვინო საქციელით, როდესაც ამბობ, რომ ალყაშემორტყმულთა გულისათვის მოურჩენელი ამბავი დამართე შენს თავს. შე სულელო, როგორ გგონია, შენ რომ თავი დაისახიჩრე, მტერი უფრო მალე დაგემორჩილდება? ჭკუაზე გადასცდი და დაილუპე თავი?" ძოპიროსმა უპასუხა: " მე რომ შენთვის გამემჟღავნებინა, რასაც ვაპირებდი, შენ არ დამრთავდი ამის ნებას. ამიტომ მე თვითონ მოვიფიქრე და ისე გავაკეთე. ახლა კი, თუ შენ არ შემიშლი ხელს, ჩვენ ავიღებთ ბაბილონს. მე ასე, როგორც ვარ, შევევარდები მათ ციხე-სიმაგრეში და ვიტყვი, რომ შენგან ვარ ასე დასჯილი. ვფიქრობ, რომ იმათ დავარწმუნებ და მომანდობენ ლაშქარს. შენ კი, ჩემი გალავანში შესვლიდან ათი დღის შემდეგ შენი ლაშქრიდან გამოჰყავი ისეთი 1000 კაცი, რომლის დალუპვაც არაფრად მიგაჩნია და დააყენე ისინი ეგრეთ წოდებულ სემირამისის კარიბჭესთან. ამ ათი დღის მერე მეშვიდე დღეზე სხვა ორი ათასი კაცი დააყენე ეგრეთ წოდებულ ნინევიის კარიბჭესთან. ამ მეშვიდე დღის მერე მოიცადე 20 დღე და შემდეგ 400 კაცი ეგრეთ წოდებულ ქალღმრთის კარიბჭესთან და იქ დააყენე. არც უწინ მისულელებს და არც ამათ თავის დასაცავად სატევრების გარდა რაფერი უნდა ჰქონდეთ. მხოლოდ ამისი ნება მიეცით. ამის მერე პირდაპირ მეოცე დღეს, უბრძანე დანარჩენ ლაშქარს, რომ ყოველი მხრიდან თავს დაესხნენ ციხე-სიმაგრეს, ხოლო ჩემთვის დააყენე სპარსელები ეგრეთ წოდებულ ბელოსისა და კისიის კარიბჭესთან. მე ვფიქრობ, დიდ საქმეებს რომ ვუჩვენებ, ყოველმხრივ მომენდობიან ბაბილონელები და კარიბჭეების გასაღებებსაც მომანდობენ. ამის მერე კი ჩემზე და სპარსელებზე იყოს ის, რც უნდა გავაკეთოთ".

156. ძოპიროსმა ასეთო განკარგულებები გასცა და წავიდა კარიბჭისაკენ, თან უკან-უკან იყურებოდა, თითქოს მრთლა თავისიანებისაგან იყო გამოქცეული. ვინც ამ მხრეს იდგა, კოშკებიდან დაინახეს ის, ჩამოვიდნენ ძირს, ცოტათი შეაღეს ცალი კარი და შეეკითხნენ, თუ ვინ არის და რა უჭირს, რომ მოვიდა. მან უთხრა, რომ ძოპიროსია და მათ მხარეზე გადმოვიდა. ეს რომ მოისმინეს კარების მცველებმა, წაიყვანეს ბაბილონელთა მთავრობასთან. მათ წინაშე რომ წარსდგა, დაიწყო ჩივილი, თქვა, რომ დარიოსმა დამართა ის, რაც სინამდვილეში თვითონ დამართა თავის თავს, ხოლო იმის გამო დასაჯა ასე, რომ ის ურჩევდა დარიოსს, წაეყვანა აქედან ლაშქარი, რადგან არავითარი გზა არ ჩანდა ბაბილონის აღებისა. "ისე, რომ, - თქვა მან, - ბაბილონელებო, ჩემი თქვენთან მოსვლა თქვენ უდიდეს სარგებელს მოგიტანთ, ხოლო დარიოსს და სპარსელთა ლაშქარს კი უდიდეს ზიანს, რადგან ჩემი დასახიჩრება ისე არ ჩაუვლის მას; მე ხომ ვიცი მისი განზრახვების მთელი ასავალ-დასავალი". ასე ილაპარაკა ძოპიროსმა.

157. ბაბილონელები რომ ხედავდნენ ერთ ყველაზე წარჩინებულს სპარსელთა შორის, ცხვირი და ყურებ დაჭრილს და გამათრახებულს სისხლში მოსვრილს, დაიჯერეს რომ მართალს ამბობს, რომ ის მათთან მოკავშირედ მოვიდ და მზად იყვნენ მიენდოთ მისთვის ის, რასაც კი ის თხოულობდა, ის კი თხოულობდა ლაშქარს. მას მერე, რაც მან მიიღო ლაშქარი, მოიქცა ისე, როგორც დარიოსთან იყო შეთანხმებული: მეათე

დღეს გამოიყვანა ბაბილონელთა ლაშქარი და გარსშემოარტყა იმ ათას კაცს, რომელთა შესახებაც უთხრა დარიოსს, რომ პირველად ისინი დაეყენებინა, და ამოხოცა კდიევაც ისინი. ბაბილონელებმა ირწმუნეს, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო და მეტისმეტად გახარებულები მზად იყვნენ ყველაფერში დახმარებოდნენ მას. მან მოიცადა იმდენი დღე, რამდენიც დათქმული ჰქონდათ, შემდეგ კვლავ გამოიყვანა დარჩეული ბაბილონელები და ამოხოცა დარიოსის ორი ათასი ჯარისკაცი. ამ საქმის შემხედვარე ბაბილონელებს მოპიროსის ქება ყველას პირზე ეკერა. მოპიროსმა კვლავ შეიცადა დათქმული დღეები და გამოიყვანა ბაბილონელთა ლაშქარი წინასწარ შეთანხმებულ ადგილას, გარსშემოარტყა და ამოხოცა დარიოსის ოთხიათასი ჯარისკაცი. ესეც რომ გააკეთა, მოპიროსი ბაბილონელებისათვის ყველაფერი გახდა, მას მიენდო მათი მხედართმთავრობა და ციხისმცველობა.

158. როდესაც შეთანხმების თანახმად დარიოსი ყოველის მხრიდან თავს დაესხა ციხე-სიმაგრეს, მაშინ გამოიჩინა მოპიროსმა მთელი თავისი ეშმაკობა. ბაბილონელები ავიდნენ გალავანზე და ისე იგერიებდნენ დარიოსის ლაშქარს, რომელიც მათ უტევდა, მოპიროსმა, გააღო ეგრეთ წოდებული კისიისა და ბელოსის კარიბჭეები და შემოიყვანა სპარსელები ციხე-სიმაგრეში. ის ბაბილონელები, რომლებმაც დაინახეს, რაც მოხდა, შეცვივდნენ ზევსი - ბელოსის სალოცავში, ხოლო ვინც ვერ დაინახა, ყველა თავ-თავის ადგილას დარჩა, სანამ ესენიც არ მიხვდნენ, რომ გაცემულები იყვნენ.

159. ასე იქნა ბაბილონი აღებული მეორედ¹. დარიოსმა ბაბილონელები რომ დაიპყრო, ჯერ დაანგრევინა ციხე-სიმაგრე და ჩამოაგლეჯინა ქალაქის კარიბჭეები (პირველად, როდესაც კიროსმა აიღო ბაბილონი, არაფერი ამდაგვარი არ ჩაუდენია), შემდეგ 300 თავკაცი სარზე ჩამოაგებინა, ხოლო დანარჩენ ბაბილონელებს ნება დართო ქალაქში ეცხოვრათ, იმისათვის, რომ ბაბილონელებს ცოლები ჰყოლოდათ, რათა შთამომავლობა დაეტოვებინათ, დარიოსმა წინდახედულად შემდეგ რამ გააკეთა (თავისი საკუთარი ცოლები ხომ, როგორც თვშივე ვთქვი, დაახრჩვეს ბაბილონელებმა, მხოლოდ იმისთვის, რომ სურსათი დაეზოგათ²): მეზობელ ხალხებს უბრძანა, რომ ქალები მოეყვანათ ბაბილონში, თითოეულს ამდენი და ამდენი დაეკისრა, ისე რომ სულ 50 000 ქალი მოვიდა ბაბილონში. აი, ამ ქალებისაგან წარმოსდგებიან დღევანდელი ბაბილონელები.

160. დარიოსის განსჯით დიდი საქმეების კეთებაში არც ერთ სპარსელს არ უჯობნიან მოპიროსისათვის, არც ადრე და არც შემდეგ მაცხოვრებელს, გარდა კიროსისა. მასთან თავის შედარებას ვერც ერთი სპარსელი, ვერ ბედავდა მას ერჩივნა მოპიროსი ასე საშინლად დასხიჩრებული არ ჰყოლოდა და ამ ბაბილონთან ერთად კიდევ ოც სხვა ბაბილონზე იყტოდა უარს. მან მოპიროსს დიდი პატივი სცა: ყოველწლიურად ამღევდა ისეთ საჩუქებს, რაც სპარსელებში ყველაზე მეტად ფასობს. მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში მისცა ბაბილონი უხარკოდ და კიდევ სხვა ბევრი რამ აჩუქა. ამ მოპიროსს ჰყავდა შვილები, მეგაბიდოსი, რომელიც მხედართმთავრობდა ეგვიპტეში ათენელებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლას, ამ მეგაბიდოსს ჰყავდა შვილი მოპიროსი, რომელიც სპარსელებს გადაუდგა და ათენის მხრეზე გადავიდა.

1. ბაბილონის აღების შემდეგ თვით დარიოსმა სკვითების წინააღმდეგ გაილაშქრა. რადგან აზია მოსახლეობის მხრივ ძალიან იყო მომრავლებული და ფულიც ძალიან ბევრი შემოდიოდა, დარიოსმა განიზრახა, დაესაჯა სკვითები, რადგან ისინი უწინ შეიჭრნენ მიდიაში, დაამარცხეს ბრძოლაში მოწინააღმდეგეები და პირველები მოიქცნენ უსამართლოდ. როგორც უწინ ვთქვი, ზემო აზიას მართავდნენ სკვითები ორწელ ნაკლებ ოცდაათი წელი. კიმერიელებს რომ მისდევდნენ, შეიჭრნენ აზიაში და ბოლო მოუღეს მიდიელების ბატონობას (სკვითების მოსვლამდის ხომ ესენი განაგებდნენ აზიას). სკვითები ოცდარვა წელიწადი იყვნენ წასულები და ამდენი ხნის შემდეგ რომ დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში, არა ნაკლები განსაცდელი მოელოდათ, ვიდრე მიდიელებთან ბრძოლა იყო. მათ მოწინააღმდეგის მცირე ლაშქარი როდი დახვედრიათ, რადგან სკვითი ქალები რაკილა მათი ქმრები დიდხანს იყვნენ წასული, ამასობაში მონებთან დადიოდნენ.

2. სკვითები ყველა მონას აბმრავებენ რძის გულისათვის, რომელსაც სვამენ.³ ამას ასე აკეთებენ: იღებენ ძვლის ჩასაბერ მილებს, რომლებიც ძალიან ჰგვანან სალამურებს, ამას ჩაუდგამენ ფაშატ ცხენებს ასოში და პირით უბერავენ, ხოლო ზოგი რომ უბერავს, ამ დროს სხვები სწველიან. ამბობენ, რომ ამას შემდეგი რამისათვის აკეთებენ: როდესაც უბერავენ, ფაშატს ძარღვები ებერება და ჯიქანი დაბლა იწევს. როდესაც რძეს მოსწველიან, ასხამენ ხის ღრმა ჭურჭელში, ამ ჭურჭლებს შემოუსხამენ ბრმებს, რომლებიც სდღვებავენ რძეს: რძის იმ ნაწილს, რომელიც ზემოთ ამოდის, ხდიან და ისაა მიჩნეული საუკეთესოდ, ხოლო რომელიც ძირს რჩება, ის ნაკლებად ფასობს, ვიდრე პირველი. აი, ამის გამოა, რომ სკვითები ვისაც კი ხელთ იგდებენ, ყველას აბრმავებენ. ისინი ხომ მიწათმოქმედნი არ არიან, არამედ მომთაბარენი.

3. ამ მონათაგან და ქალთაგან წარმოსდგა ახალი თაობა, რომელმაც თავისი წარმოშობა რომ შეიტყო, წინააღმდეგობა გაუწია სკვითების მიდიელთაგან უკან დაბრუნებას. უპირველეს ყოვლისა მათ თავისი ქვეყანა შემოუზღლუდეს ფართოხოთხრილით, რომელიც ვრცელდებოდა ტავროსის მთებიდან მაფეტისის ტბის იმ ნაწილამდე, სადაც ის ყველაზე უფრო ფართოა. შემდეგ, როდესაც სკვითები ცდილობდნენ ამ ქვეყანაში შეჭრას, ისინი მათ წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ებრძოდნენ. ბრძოლა ხშირად ხდებოდა, მაგრამ სკვითებმა ვერ შეძლეს რაიმე უპირატესობა მოეპოვებინათ ბრძოლაში. მაშინ ერთმა მათგანმა თქვა: "რას შვრებით, სკვითებო? ჩვენ საკუთარ მონებს ვეომებით და ჯერ ეს ერთი ვიხოცებით და მცირერიცხოვანნი ვხდებით, მერეა და მათ ვხოცავთ და ხელქვეითები ნაკლები გვრჩება. ამიტომ მე ვფიქრობ, შუბები და მშვილდები დავყაროთ, თითოეულმა ჩვენგანმა აიღოს ცხენის მათრახი და წავიდეთ მათკენ. სანამ ისინი გვხედავენ, რომ იარაღი არ გვიჭირავს, იმათ მიაჩნიათ, რომ ჩვენი მსგავსნი არიან და ჩვენი მსგავსნი წარმოშობისა. ხოლო როდესაც დაინახავენ, რომ იარღის ნაცვლად მათრახები გვიჭირავს, მიხვდებიან, რომ ჩვენი მონები არიან და ამ შეგნებით წინააღმდეგობას აღარ გაგვიწევენ".

4. ეს რომ მოისმინეს სკვითებმა, ასეც მოიქცნენ, ხოლო ახალგაზრდობამ გაოცებისაგან ბრძოლა მიატოვა და გაიქცა. ამგვარად, სკვითები იყვნენ აზიის მბრძანებლები,

შემდეგ გამოაძევეს ისინი მიდიელებმა და ზემოხსენებული ხერხით დაბურნდნენ ისინი თავის სამშობლოში. აი, რის გულისთვის უნდოდა დარიოსს მათი დასჯა და შეაგროვა ჯარი მათ წიანააღმდეგ.

5. როგორც სკვითები ამბობენ, ისინი ხალხებს შორის ყველაზე ახალგაზრდები არიან და თავისი წარმოშობის შესახებ შემდეგს მოგვითხრობენ: პირველი კაცი, რომელიც დაიბადა ამ, მაშინ უდაბურ ქვეყანაში, იყო ტრაგიტაოსი. ისინი ამბობენ (თუმცა კი მე არ მჯერა ამ ნათქვამის), რომ ამ ტრაგიტაოსის მშობლები იყვნენ ზევსი და მდინარე ბორისთენესის ასული. აი, ამნაირი წარმოშობის იყო ტრაგიტაოსი, ხოლო მას ჰყავდა სამი შვილი: ლიპოქსაისი, არპოქსაისი და ყველაზე უმცროსი - კოლაქსაისი. მათი მმართველობის დროს ციდან ჩამოცვივდა ოქროს ნივთები: გუთანი, უღელი, ცული და ჯამი; დაცვივდნენ ისინი სკვითების ქვეყანაში. პირველმა ეს ნივთები დაინახა უფროსმა, მივიდა მათთან ახლოს, უნდოდა აეღო, მაგრამ, რომ მიუახლოვდა, ცეცხლი წაეკიდა ოქროს. ის გაბრუნდა უკან, ახლა მეორე ძმა წამოვიდა, მაგრამ კვლავ იგივე მოხდა. ისე რომ, ოქრომ თავისი ცეცხლით მოიშორა ისინი თავიდან. მესამედ მივიდა მათთან სულ უმცროსი ძმა და ცეცხლი ჩაქრა, ისე რომ მან წაიღო ეს ნივთები თავის სახლში. ამის მერე უფროსმა ძმებმა სცნეს მინიშნება და უმცროსს გადასცეს მთელი ძალაუფლება.

6. ლიპოქსაისისაგან წარმოიშვა სკვითების ის გვარი, რომელთაც ეწოდებათ ავქატები. საშუალო ძმისაგან, აპროქსაისისაგან ისინი, რომელთაც ეწოდებათ კატარები და ტრასპიები, ხოლო უმცროსისაგან სამეფო სკვითები¹, რომელთაც ეწოდებათ პარალატები. მათი საერთო სახელწოდება არის სკოლოტები, მეფე სკოლოტოსის სახელის მიხედვით. სკვითები მათ ელინებმა უწოდეს.

7. აი, ამას მოგვითხრობენ სკვითები თავისი წარმოშობის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ პირველი მეფიდან, ტრაგიტაოსიდან დარიოსის მათ ქვეყანაში გამოსვლამდე გავიდა სულ მთლიანად არც მეტი, არც ნაკლები 1000 წელი, ზუსტად ამდენი. მეფეები ამ წმინდა ოქროს საგანგებოდ იცავენ, ყოველწლიურად მოდიან და დიდი მსხვერპლშეწირვებით ცდილობენ მისი მოწყალება დაიმსახურონ. ვისაც აქვს ეს წმინდა ოქრო და დღესასწაულის დროს ღია ცის ქვეშ დაეძინება, მასზე ამბობენ სკვითები, ერთ წელსაც ვეღარ გაძლებსო. ამის გამო მას აძლევენ იმოდენა მიწას, რასაც ერთი დღის განმავლობაში გარშემოუვლის ცხენით. რადგანაც ქვეყანა დიდი იყო, კოლაქსაისმა ის სამ სამეფოდ გაუყო თავის შვილებს, მათ შორის ერთი ყველაზე დიდია და იქ ინახება ოქრო. ამბობენ, რომ ამ ქვეყნის ზემოთ, ჩრდილოეთის ქარისაგან მდებარე ქვეყნებში შეუძლებელია წინ რაიმეს დანახვა, ანდა გავლა, რადგან ყველგან ბუმბულია მოფენილი. უამრავი ბუმბულია მიწაზედაც და ჰაერშიც და ესაა, რომ ხედს ეფარება.

8. სკვითები ამას მოგვითხრობენ თავის თავისა და მათ ზემოთ მდებარე ქვეყნის შესახებ, ხოლო ის ელინები, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, მოგვითხრობენ შემდეგს: ჰერაკლე, რომელიც მიერეკებოდა გერიონესის ხარებს, მოვიდა ამ ქვეყანამდე, რომელიც უდაბური იყო და რომელიც ახლა სკვითებს უჭირავთ, ხოლო გერიონესი ცხოვრობდა პონტოს გარეთ, როგორც ელინები ამბობენ, ერთი კუნძულზე, რომელიც გედედრასთან არის, ჰერაკლეს სვეტებს გარეთ, ოკეანესთან, ისინი კი ამბობენ, რომ ოკეანე მზის აღოსავლეთიდან დაწყებული მთელი დედამიწის გარშემო მოედინება, მაგრამ საქმით ამას ვერ ამტკიცებენ. აქედან რომ მოვიდა

ჰერაკლე ახლა სკვითურად წოდებულ ქვეყანაში (რაკი ზამთარმა და ყინვამ მოუსწრო მას), გაეხვია ლომის ტყავში და ისე დაიძინა. ამ დროს ღვთის განგებით ცხენები, რომლებიც მას ეტმლი ება, გაქრნენ.

9. ჰერაკლემ რომ გაიღვიძა, დაუწყო მათ ძებნა, მთელი ქვეყანა დაიარა, ვიდრე არ მოვიდა ეგრეთ წოდებულ ჰილეს ქვეყანაში. იქ ერთ გამოქვაბულში აღმოაჩინა ორმაგი ბუნების ქმნილება, ქალწულისა და იქედნეს ნარევი, რომელსაც საჯდომს ზემოთ ნაწილები ქალისა ჰქონდა, ხოლო ქვემოთ - გველისა. ჰერაკლემ დაინახა, გაუკვირდა და შეეკითხა, ხომ არსად გინახავს უპატრონოდ მოხეტიალე ცხენებიო. იმან უპასუხა, რომ ცხენები მას ჰყავს და არ დაუბრუნებს, ვიდრე ჰერაკლე მასთან არ დაწვება. ამ ფასად ჰერაკლე დაწვა მასთან. იგი აჭიანურებდა ცხენების დაბრუნებას, რადგან უნდოდა, რომ რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო ჰერაკლე მასთან, ჰერაკლეს კი ეჩქარებოდა მიეღო თავისი ცხენები და აქედან წასულიყო. ბოლოს დაუბრუნა მას ცხენები და უთხრა:

”ცხენები რომ აქ მოვიდნენ, მე შეგინახე ისინი, ხოლო შენ მათი გადარჩენისათვის გასამრჯელო მომეცი; მე შენგან სამი შვილი მყავს. როცა ისინი გაიზრდებიან, მითხარი, რა უნდა ვუქნა იმათ, აქ დავასახლო (ეს ქვეყანა ხომ ჩემი სამფლობელოა), თუ შენთან გამოვგზავნო”. ის ამას შეეკითხა, ხოლო ამბობენ, რომ ჰერაკლემ ამაზე ეთხრა: ”როდესაც დაინახავ, რომ შენი შვილები დავაჟკაცდნენ, არ იქნება შეცდმოა, თუ ასე მოიქცევი: უყურე და რომელი მათგანიც შეძლებს ამ მშვილდის ასე მოწვევას და სარტყლის ამნაირად შემორტყმას, ის გახადე ამ ქვეყნის მცხოვრები, ხოლო ის, ვინც ამას ვერ შეძლებს, გაგზავნე ამ ქვეყნიდან. ამას რომ გააკეთებ, თვითონაც კმაყოფილი იქნები და ჩემს დანაბარებსაც შეასრულებ”.

10. თავისი მშვილელებიდან ერთი მოზიდა (აქამდე ხომ ჰერაკლე მუდამ ორ მშვილდს ატრებდა) და აჩვენა სარტყელიც, გადასცა მას მშვილდი და სარტყელი, რომელსაც ბალთის ბოლოზე ოქროს ფიალა ჰქონდა, მისცა და სავიდა, ხოლო დედამ, როდესაც მისი დაჩენილი შვილები დავაჟკაცდნენ, ჯერ დაარქვა მათ სახელები: ერთს აგათიროსის, მის მომდევნოს გელონოსი, ხოლო სულ უმცროსს სკვითესი. ხოლო შემდეგ, ახსოვდა მას ჰერაკლეს დანაბარები და ისიც შეასრულა. ორმა შვილმა, აგათიროსმა და გელონოსმა, ვერ შეძლეს შემოთავაზებულ შეჯიბრში შედეგისათვის მიეღწიათ, ამიტომ მშობელმა გაამევა ისინი თავისი ქვეყნიდან და ისინი წავიდნენ, ხოლო ყველაზე უმცროსმა მათ შორის, სკვითესმა შეასრულა, რაც საჭირო იყო და დარჩა ამ ქვეყანაში. აი ამ სკვითებისაგან, ჰერაკლეს ძისაგან, წარმოიშვენ ისინი, ვინც მუდამ სკვითების მეფეები არიან, ხოლო ჰერაკლეს ფიალის გამო არის, რომ სკვითები აქამდე სარტყელზე ფიალას ატარებენ. აი, ეს გაუკეთა დედამ სკვითესს. ამას მოგვითხრობენ ეს ელინები, ვინც პონტოსთან ცხოვრობენ.

11. ხოლო არის კიდევ სხვა ამბავი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა და რომელსაც მე თვით განსაკუთრებით მჯერა. მომთაბარე სკვითები ცხოვრობენ აზიაში, ომში მასაგეტების მიერ შევიწროვებულებმა გადაიარეს მდინარე არაქსი და მივიდნენ კიმერიელების ქვეყანაში (რადგან ეს ქვეყანა, სადაც ახლა სკვითები ცხოვრობენ, ამბობენ, კიმერიელებისა იყო); სკვითები რომ თავს დაესხნენ, კიმერიელებმა თათბირი გამართეს, რადგანაც დიდი ჯარი დაესხათ თავს; კიმერიელთა აზრი გაიყო, მაგრამ ორივე მხარე მტკიცედ ადგა თავისას, უმჯობესი აღმოჩნდა ბასილევსთა

აზრი, რადგან ხალხის აზრით უნდა აყრილიყვნენ ქვეყნიდან და არ იყო საჭირო თავის საფრთხეში ტყუილუბრალოდ ჩაგდება. ხოლო აბსილევსთა აზრით, საჭირო იყო ბრძოლა ქვეყნისათვის თავდამსხმელების წინააღმდეგ. მაგრამ არც ხალხმა მოინდომა ბასილევსების დაჯერება და არც ბასილევსმა ხალხისა. ხალხმა გადწყვიტა, უბრძოლველად დატოვოს ქვეყანა და გადასცეს იგი თავდამსხმელს, ხოლო ბასილევსებმა გადაწყვიტეს, თავი დაედოთ თავიანთი ქვეყნისათვის და ხალხთან ერთად არ გაქცეულიყვნენ. ისინი იამზე ფიქრობდნენ, თუ რამ კარგი განუცდიათ სამშობლოში და იმაზედაც, თუ რა ბოროტება მოელით, თუკი გაქცევებიან სამშობლოდან. ასე რომ ფიქრობდნენ, წაიჩხუბენ და გაიყვნენ შუაზე, ისე რომ ორივე მხარეზე ბასილევსების თანაბარი რაოდენობა დარჩა და შეებრძოლნენ ერთმანეთს. ამათ სულ მთლად ამოხოცეს ერთმანეთი, ხოლო კიმერიელმა ხალხმა დამარხა ისინი მდინარე ტირესთან (მათი საფლავები ჯერაც ჩანს), ასე დამარხეს და წამოვიდნენ ქვეყნიდან, ხოლო სკვითები მოვიდნენ და დაიპყრეს დაცარიელებული ქვეყანა.

12. ახლაც არის სკვითიაში კიმერიული ზღუდეები, არის კიმერიული გადასასვლელი, არის ქვეყანა, რომელსაც ეწოდება კიმერიე, არის კიმერიულად წოდებული ბოსფორი. ჩანს, რომ კიმერიელები, რომელზედაც არის ახლა სინოპე, ელინური ქალაქი. ცხადია, რომ სკვითები, რომლებიც მათ სდევნიდნენ, მოვდნენ მიდიის მიწა-წყალზე (შეეშალათ გზა). კიმერიელები სულ ზღვის გასწვრივ გარბოდნენ, ხოლო სკვითებს კავკასოსი მარჯვნივ ჰქონდათ, ისე მისდევდნენ, ვიდრე არ მოხვდნენ მიდიის მიწა-წყალზე, ე.ი. გადაუხვიეს გზას სიგნით, შუა ხმელეთისაკენ. ესაა ის მეორე მოსაზრება, რომელსაც გამოთქვამდნენ ელინებიც და ბარბაროსებიც.

13.. არისტეეს კაისტრობიოსის ძემ, პროკონესოსელმა თქვა თავის პოემაში, რომ ის მოვიდა ისეღონებთან ფოძბოსის მიერ შთაგონებული. ისეღონებს ზემოთ ცხოვრობენ არიმასპები, ცალთვალა ხალხი, ამათ ზემოთ ოქროსმცველი გრიფონები, ხოლო მათ ზემოთ - ჰიპერბორეები, რომლებიც აღწევენ ზღვამდე. ყველა ეს ხალხი გარდა ჰიპერბორეებისა, დაწყებული არიმასპებიდან მუდამ თავს ესხმის მეზობლებს, ისე რომ ისეღონები გამოაძევეს თავისი მიწა-წყლიდან არიმასპებმა, ისეღონებმა - სკვითები, ხოლო კიმერიელებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთის ზღვასთან, დატოვეს თავისი ქვეყანა სკვითების მიერ შევიწროვებულებმა. ამგვარად, არისტეესის მონათხრობი ამ ქვეყნის შესახებ განსახვავდება სკვითების გადმოცემისაგან.

14. საიდანაც იყო არისტეესი, რომელმაც ეს შეთხზა, უკვე ვთქვი. ახლა გადმოგცემთ იმ ამბავს, რომელიც მოვისმინე მის შესახებ პროკონესოსსა და კიმიკოსში. ამბობენ, რომ არისტეესი, რომელიც წარმოშობით მოქალაქეთა შორის უმნიშვნელო გვარისა არ იყო, პროკონესოსში ერთხე შევიდა სამთელავოში და მოკვდა. მთელავმა დაკეტა სახელოსნო და მიცვალებულის ნათესავებთან წავიდა შესატყობინებლად. მთელ ქალაქს მოედო არისტეესის სიკვდილის ამბავი. მაგრამე ერთი კიმიკოსელი კაცი, რომელიც მოვიდა ქალაქ არტაკედან, ეკამათებოდა ამის მთქმელებს; ამბობდა, რომ ის თვითონ შეხვდა არისტეესს, რომელიც მიდიოდა კიმიკოსში და კდიევაც ელაპარაკა მას. ეს კაცი გამწარებით კამათობდა, ხოლო მიცვალებულის ნათესავები მივიდნენ სამთელავოში და თან ჰქონდათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო მის დასამარხავად. როდესაც გააღეს შენობა, არისტეესი არც მკვარი ჩანდა და არც ცოცხალი. ხოლო

შემდეგ, მეშვიდე წელს ის გამოჩნდა პროკონესოსში და შეთხზა ის პოემა, რასაც ელინები ახლა "არიმასპეას" უწოდებენ. შეთხზა და ხელმეორედ გაქრა.

15. ამას გვიამბობენ ამ ქალაქებსი, ხოლო მე ვიცი, რაც მოუხდათ მეტაპონტიონელებს, რომლებიც იტალიაში არიან, არისტეესის მეორედ გაუჩინარების 240 წლის მერე; ეს გამოვიკვლიე შედარების შედეგად პროკონესწოსა და მეტაპონტიონში. მეტაპონტიონელები ამბობენ, რომ თვითონ არისტეესი გამოჩნდა მათ ქვეყანაში და ბრძანა, აეგოთ აპოლონისთვის საკურთხეველი და მის გვერდით დაედგათ ქანდაკება, რომელსაც დაარქმევდნენ არისტეეს პროკონესოსელის სახელს. მან თქვა, რომ იტალიელთა შორის მხოლოდ მათ ქვეყანაში მოვიდა აპოლონი და თვითონაც მას მოჰყვა, მაგრამ ახლა რომ არისტესია, მაშინ, როდესაც ღმერთს მოსდებდა, ყვავი იყო. ეს რომ თქვა, არისტეესი გაუჩინარდა, ხოლო მეტაპონტიონელებმა თქვეს, რომ დელფოში გაგზავნეს კაცები, რომ ეკითხათ ღმერთისათვის, თუ რას ნიშნავდა ადამიანის მოჩვენება. პითიამ უბრძანა მათ, რომ დაეჯერებინათ მოჩვენებისათვის და რომ დაუჯერებენ, ეს მათთვის უკეთესი იქნება. მეტაპონტიონელებმა მიიღეს ნათქვამი და შეასრულეს. ახლაც დგას აპოლონის გამოსახულებასთან ქანდაკება, რომელსაც არისტეესისა ეწოდება და მის ირგვლივ დაფნის ხეებია ჩაყრილი. ხოლო აპოლონის გამოსახულება მოედანზეა. აი, ეს უნდა ითქვას არისტეესის შესახებ.

16. არავინ იცის ზუსტათ, თუ რა არის იმ ქვეყნის ზემოთ, რომლის შესახებაც აქ თხრობა დავიწყე, რადგან არავის უნახავს თავისი თვალთ იქაურობა და მე არ შემძლია, ვისმე ვაამბობინ და შევიტყო. თვით ჩემს მიერ ცოტა ზემოთ მოხსენებული არისტეესიც კი არ წასულა ისეღონებზე შორს, როგორც თვითონვე ამბობს თავის პოემაში, ხოლო ამაზე ზემოთ მდებარე ქვეყნების შესახებ ის გადმოსცემდა განაგონის მიხედვით და ამბობდა, ამას ისეღონები ლაპარაკობენო. ხოლო ჩვენ, რაც კი დანამდვილებით შევიტყვეთ ყველაზე შორს მდებარე ქვეყნების შესახებ, თუნდაც განაგონის მიხედვით, ყველაფერს გადმოვცემთ.

17. ბორისტენიტთა სავაჭრო ადგილიდან (ეს ხომ მთელი სკვითის ზღვისპირა საშუალო ადგილია), პირველები ცხოვრობენ კალიპიდები, რომლებიც არიან ელინი სკვითები, ხოლო ამათ ზემოთ არის სხვა ტომი, რომელსაც უწოდებენ ალიძონებს. ესენიც და კალიპიდებიც სხვა ყველაფერს ისევე აკეთებენ, როგორც სკვითები, ხოლო პურს თესენ და ჭამენ კდიეც, ასევე ხახვს, ნიორს, ოსპსა და ფეტვს. ალიძონებს ზემოთ ცხოვრობენ მიწათმოქმედი სკვითები, რომლებიც საჭმელად კი არ თესენ პურს, არამედ გასაყიდად. ამათ ზემოთ ცხოვრობენ ნევრები, ხოლო ნევრებისაგან ჩრდილოეთისაკენ არის უკაცრიელი ადგილი, როგორც ჩვენ ვიცით. ეს ტომები მდინარე ჰიპანისის გასწვრივ ცხოვრობენ ბორისტენესიდან დასავლეთისაკენ.

18. როდესაც გადაივლით ბორისტენეს, ზღვიდან პირველი არის ჰილეე, ხოლო აქედან ზემოთ რომ წახვალთ, ცხოვრობენ მიწათმოქმედი სკვითები, რომელთაც მდინარე ჰიპანისთან მცხოვრები ელინები უწოდებენ ბორისტენიტებს, ხოლო ისინი თავისთავს - ლბიოპოლიტებს. ამ მიწათმოქმედი სკვითების საცხოვრისი აღმოსავლეთისაკენ სამი დღის სავალზე ვრცელდება და აღწევს მდინარემდის, რომელსაც ეწოდება პანტიკაპესი, ხოლო ჩრდილოეთის ქარის მიმართულებით მდინარე ბორისტენესის დინებას აღმა თუ ავყვებით, 11 დღის სავალი გზაა. ამათ ზემოთ არის უდაბნო, საკმაოდ დიდი. უდანობს შემდეგ ცხოვრებენ ანდროფაგები,

სრულიად სხვა ტომი, რომელსაც არაფერი აქვს სკვითური, ხოლო ამათ ზემოთ არის ნამდვილი უდაბნო, რომელზედაც რამდენადაც ვიცი, ადამიანთა არც ერთი ტომი არ ცხოვრობს.

19. ამ მიწათმოქმედი სკვითებისაგან აღმოსავლეთით, მდინარე პანტიკაპესის გადაღმა ცხოვრობენ მომთაბარე სკვითები, რომლებიც არც თესენ რასმე და არც არაფერს ხნავენ. მთელი ეს ქვეყანა უტყეოა, გარდა ჰილეესი. ეს მომთაბარეები ცხოვრობენ ქვეყანაში, რომელიც ვრცელდება აღმოსავლეთისაკენ მდინარე გეროსამდე და ამ გზის გავლას სჭრიდება 14 დღე.

20. გეროსის გადაღმა არის სამეფოდ წოდებული მხარე, სადაც არიან უმამაცესი და მრავალრიცხოვანი სკვითები, რომლებიც სხვა სკვითებს თავის მონებად მიიჩნევენ. სამხრეთისაკენ ესენი აღწევენ ტავრიკემდე, ხოლო აღმოსავლეთისაკენ მიწაყრილამდე, რომელიც მოთხარეს უსინათლოებმა და მადეტისის ტბის სავაჭრო პუნქტამდე, რომელსაც ეწოდება კრემნო. მათი ადგილები ვრცელდება მდინარე ტანაისამდე. სამეფო სკვითების ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მელანქლადნები. ეს სხვა ტომია, არა სკვითური. ხოლო მელანქლადნების ზემოთ არის ტბები და უკაცრიელი ადგილები, როგორც ჩვენ ვიცი.

21. ხოლო მდინარე ტანაისის რომ გადაივლი, უკვე სკვითია კი აღარაა, არამედ აქაა პირველი სავრომატული ქვეყანა. ეს სავრომატული ქვეყნები იწყება მადეტისის ტბის უკიდურესი წერტილიდან და ვრცელდება ჩრდილოეთის მიმართულებით 15 დღის სავალი გზის მანძილზე. მთელ ამ მხარეში ვერ ნახავთ ვერც ველურ მცენარეს და ვერც ხეხილს. ამათ ზემოთ მეორე მხარეში ბუდინები ცხოვრობენ. მათ უჭირავთ ქვეყანა, რომელიც მთლად დაფარულია სხვადასხვაგვარი ხშირი ტყით.

22. ბუდინების ზემოთ ჩრდილოეთისაკენ პირველია დაახლოებით 7 დღის სავალი უდაბნო. უდაბნოს შემდეგ რომ გადაუხვევ უფრო აღმოსავლეთისაკენ, არიან თისაგეტები, მრავალრიცხოვანი და თავისებური ტომი. ისინი თავს ირჩენენ მონადირეობით. მათ მახლობლად იმავე ადგილებში ცხოვრობს ხალხი, რომელსაც სახელად ჰქვია იირკები. ესენიც მონადირეობით ირჩენენ თავს. ისინი შემდეგნაირად ნადირობენ: მონადირე ადის ხეზე და იქ საფრდება (ძალიან ხშირი ტყეა მთელ ქვეყანაში); თითოეულს გამზადებული ჰყავს ცხენი, რომელიც მიჩვეულია მუცელზე წოლას (იმისათვის, რომ უფრო დაბალი გამოჩნდეს) და ძაღლი. როგორც კი დაინახავს მონადირე ხიდან მხეცს, მაშინვე ესვრის ისარს, მერე შეჯდება ცხენზე და გაეკიდება, ძაღლიც თან მისდევს. ამათ ზემოთ, მხოლოდ უფრო აღმოსავლეთისაკენ ცხოვრობენ სხვა სკვითები, რომლებიც სამეფო სკვითებს გამოეყვნენ და ასე მოვიდნენ ამ ადგილას.

23. მთელი ეს ქვეყანა, რომელზედაც ვილაპარაკეთ, ვიდრე ამ სკვითების მიწა-წყალმდე, დაბლობი და პოხიერნიადაგიანია, ხოლო აქედან არის ქვიანი და ოღრო-ჩოღრო. ამ ოღრო-ჩოღრო მხარის დიდ ნაწილს რომ გაივლი, მაღალი მთების ძირას მდებარე ადგილებში, ამბობენ, რომ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც დაბადებით ყველანი მელოტები არიან, კაცებიცა და ქალებიც ერთნაირად, მათ აქვთ მიჭყლეტილი ცხვირები და დიდი ნიკაპები. ისინი საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ. ტანსაცმელს კი ხმარობენ სკვითურს, ხოლო საჭმელს ხეებზე შოულობენ. ხეს,

რომლისგანაც ისინი იკვებებიან, ჰქვია სახელად პონტიკონი და სიდიდით დაახლოებით ლელვის ხის ოდენაა. ნაყოფი მოაქვს ლობიოს მსგავსი, მაგრამ კურკიანი. როდესაც ის დამწიფდება, სწურავენ ნაჭერში, აქედან გამოდის სქელი და შავი წვენი. ამ წვენს ეწოდება "ასქი" და ამ "ასქის" საფუარს აურევენ და ამას სჭამენ. საქონელი მათ ბევრი არ ჰყავთ, რადგან საძოვრები ამ მხარეში უვარგისია. თითოეული მათგანი სახლდება ხის ძირში, ზამთრობით ხეს შემოაფარებენ ხოლმე თეთრი ნაზდის საფარველს, ხოლო ზაფხულობით ნაზადს ხსნიან. ადამიანთაგან არავინ ექცევა მათ უსამართლოდ (რადგან, ამბობენ, რომ ისინი წმინდანები არიან), მათ არც საომარი რამ იარაღი აქვთ. შემდეგ ესენი არიან, რომ მეზობელ ტომებში უთანხმოებას აგვარებენ. ამას გარდა, თუ ვინმე ლტოლვილმა მათ შეაფარა თავი, მას არავინ აღარაფერს დაუშავებს. მათ ჰქვიათ არგიპეები.

24. ამ მელოტთა საცხოვრისამდე ქვეყნის დიდი ნაწილი კარგად არის ცნობილი და აგრეთვე მათ აქეთ მცხოვრები ხალხებიც. რადგან სკვითთაგან ზოგიერთები აღწევენ მათ ქვეყნამდე და მათგან ძნელი არაა ამბის შეტყობა, აგრეთვე ელინთაგან, რომლებიც ბორისთენესის სავაჭრო ადგილიდან არიან და პონტოს სხვა სავაჭრო ადგილებიდან. სკვითთაგან მოსულთ 7 თარჯიმნითა და 7 ენაზე უხდებათ მათთან ლაპარაკი.

25. ამგვარად, აქამდე მდებარე ქვეყანა ცნობილია, ხოლო მელოტთა ზემოთ რაც ხდება, ამის შესახებ დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყვის, რადგან ისინი მოჭრილი არიან გაუვალი, მაღალი მთებით, რომლებზედაც არავინ გადასულა. თვით ეს მელოტები ამბობენ (მე კი ამისი არ მჯერა), რომ მთებში ცხოვრობს თხისფეხებიანი ხალხი, ხოლო მთას რომ გადახვალ, იქ სხვა ხალხია, რომელსაც წელიწადში ექვს თვეს სძინავსო. მე ამისი სულაც არ მჯერა. ხოლო მელოტებისაგან აღმოსავლეთით, კარგად არის ცნობილი, რომ ისეღონები ცხოვრობენ. არაფერია ცნობილი არც მელოტებისა და არც ისეღონების ზემოთ, ჩრდილოეთით მდებარე მხარის შესახებ იმის გარდა, რასაც თვითონ არ მოგვითხრობენ.

26. ამბობენ, რომ ისეღონებს შემდეგი ჩვეულებები აქვთ: როდესაც კაცს მოუკვდება მამა, მთელი მისი მახლობლები მორეკავენ საქონელს, შემდეგ მათ დაჰკლავენ, დასჭრიან ხორცს და ამასთან ერთად დასჭრიან მასპინძლის მშობელსაც. მთლ ამ ხორცს აურევენ და პურის ჭამას მართავენ. მიცვალებულის თავს აცლიან თმებს, შიგნიდან კარგად სწმედენ, ოქროში ჰფარავენ და შემდეგ ხმარობენ როგორც საგანგებო ნივთს, რომელითაც ყოველწლიურად დიდ მსხვერპლშეწირვას ახდენენ. ამას შვილი უკეთებს მამას ისევე, როგორც ელინები მართავენ ხოლმე ქელეხს. ამბობენ, რომ ეს ხალხი სამართლიანი არის და ქალები მამაკაცის თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

27. ამგვარად ესენი ცნობილი არიან, ხოლო ამათ ზემოთ, ისევ ისეღონები მოგვითხრობენ, რომ არის ცალთვალა ხალხი და ოქროსმცველი გრიფონები, ისეღონებისაგან გაიგეს ეს სკვითებმა და თქვეს, ხოლო სკვითებისაგან ჩვენ შევიტყვეთ; ჩვენც მათ სკვითურად ვუწოდებთ არიმასკებს. "არიმა"-ს სკვითურად ნიშნავს "ერთს", ხოლო "სპუ"-ს თვალს.

28. მთელ ამ ხსენებულ ქვეყანაში ძალიან მაგარი სიცივე იცის, აქ რვა თვის განმავლობაში საშინელი ყინვაა. ამ ხნის განმავლობაში წყალს რომ გადააქცევ, ტალახი არ ჩნდება, ხოლო ცეცხლს თუ დაანთებ, გაჩნდება ტალახი. ზღვა იყინება და აგრეთვე მთელი კიმერიული ბოსფორიც, ისე რომ თხრილს აქეთ მცხოვრები სკვითები ყინულზე გადიან ეტლებით გაღმა და ლაშქრობენ იქ მყოფი სინდების) წინააღმდეგ. ამგვარად, რვა თვის განმავლობაში აქ ზამთარია. ხოლო დანარჩენი ოთხი თვეც ცივია. ეს ზამთარი განსხვავდება ყველა სხვა ქვეყნის ზამთრისაგან იმით, რომ როდესაც წვიმის დროა, თითქმის სრულებით არ წვიმს, ხოლო ზაფხულში გადაუღებელივ წვიმს, როდესაც სხვაგან ჭექა-ქუხილია, აქ სრულებით არ არის, ხოლო ზაფხულში ძლიერი ჭექა-ქუხილია, ხოლო თუ ზამთარში იქნა ჭექა-ქუხილი, უკვირთ და სასწაულად მიაჩნიათ. ისევე როგორც მიწისძვრა, ზაფხულში იქნება, თუ ზამთარში, სკვითიაში სასწაულად მიაჩნიათ. ცხენები იტანენ ამისთანა ზამთარს, ხოლო ჯორები და ვირები სრულებით ვერ იტანენ. სხვაგან კი პირიქითაა: ცხენები სიცივეში თუ გაჩერდნენ, იყინებიან, ვირები და ჯორები კი უძლებენ.

29. მე ვფიქრობ, ამიტომვეა, რომ ეგრეთ წოდებული ურქო ხარების ჯიშს აქ რქები არ ეზრდება. ამ ჩემს აზრს ადასტურებს აგრეთვე ჰომეროსის ლექსიც ”ოდისეაში”, სადაც ნათქვამია: ”და ლიბია, სადაც ბატნკებს მაშინვე ამოსდით რქები¹”. სწორედ არის ნათქვამი: თბილ ქვეყნებში სწრაფად ამოდის რქები. ხოლო ცივ ქვეყნებში სიცივისაგან საქონელს ან სულ არ ამოსდის რქები, ან თუ ამოსდის, - ძლივსძლივობით.

30. აქ სიცივის გამო ხდება ასე. მე მიკვირს (ჩემს მოთხრობას ხომ თავიდანვე ახასითებდა დამატებები), რომ ელიდის მთელ ქვეყანაში ჯორებს ვერ აშენებენ, ამ ადგილას არც სიცივეა და არც სხვა რამ მიზეზი ჩანს საამისოდ. თვითონ ელიდელები ამბობენ, რომ რაღაც წყევლის გამოა, რომ ჯორები არ ჰყავთ. როდესაც კი ცხენებს მაკობის დრო დაუდგებათ, მათ გრეკავენ მეზობელ ქვეყანაში და იქ მიუშვებენ მათზე ვირებს, ვიდრე ცხენები არ დამაკდებიან. შემდეგ ისევ უკან გამორეკავენ.

31. რაც შეეხება ბუმბულს, რომლითაც, როგორც სკვითები ამბობენ, ავსებულია ჰაერი, და რომლის მიზეზით ხმელეთზე წინ არაფერი ჩანს და გავლაც შეუძლებელია, ამის შესახებ მე ასეთი აზრი მაქვს: ამ ქვეყნის ზემოთ მდებარე მხარში გამუდმებით თოვს, ზაფხულში ნაკლებ, ვიდრე ზამთარში, როგორც ჩვეულებრივ. ვისაც კი ახლოს უანხავს, როგორ მოდის დიდი თოვლი, გაიგებს, რასაც ვამბობ: თოვლი ხომ ბუმბულს ჰგავს. აი, ამისთანა ზამთრის გამოა, რომ ამ ქვეყნის ჩრდილოეთის ნაწილები დაუსახლებელია. მე ვფიქრობ, რომ სკვითები და მათი მეზობლები ბუმბულს რომ ამბობენ, თოვლი მიაჩნიათ ბუმბულად. აქ არის გადმოცემული ის, რასაც ამბობენ ყველაზე უფრო შორეული ადგილის შესახებ.

32. ჰიპერბორეების შესახებ არც სკვითები ამბობენ რასმე და არც სხვა ვინმე ამ ადგილებში მცხოვრები, გარდა ისეღონებისა, მაგრამ მე ვფიქრობ რომ არც ესენი ამბობენ არაფეს, რადგან მაშინ სკვითებიც იტყოდნენ რასმე მათზე, ისევე, როგორც ცალთვალათა შესახებ ამბობენ. ჰიპერბორეების შესახებ ნათქვამია ჰესიოდესთან, არის აგრეთვე ჰომეროსთანაც ”ეპიგონებში”, თუ კი მართლა ჰომეროსმა შეთხზა ეს პოემა.

33. ბევრად უფრო მეტს გადმოგვცემენ მათ შესახებ დელოსელები. ისინი ამბობენ, რომ ჰიპერბორეებისგან წმინდა შეწირულებანი პურის ნამჯაში გამოხვეული მოდის სკვეთებში, ხოლო სკვეთებიდან გადადის თანდათანობით ერთმანეთის მეზობელ ხალხებში, რომელთაც მიაქვთ ის დასავლეთისაკენ, ვიდრე ადრისას არ მიაღწევენ. ხოლო აქედან სამხრეთისაკენ იგზავნება და ელინთა შორის პირველად მას დოდონელები ღებულობენ. აქედან ჩააქვთ მალიის უბეში და მიაქვთ ევბოდაზე, სადაც ერთი ქალაქი უგზავნის მას მეორე ქალაქს, ვიდრე კარისტოსამდე. ამის მერე ჩაუვლიან ანდროსს, რადგან კარისტოსელებს მოაქვთ ის ტენოსზე, ხოლო ტენოსელებს - დელოსზე. ამგვარად, აღწევენ ეს წმინდა შეწირულობები დელოსს. პირველად ჰიპერბორეებმა გამოგზავნეს ორი ასული, რომელთაც მოჰქონდათ ეს წმინდა შეწირულობა, მათ დელოსელები უწოდებენ ჰიპეროქეს და ლაოდიკეს. მათთან ერთად უშიშროების მიზნით ჰიპერბორეებმა გამცილებლად ხუთი მამაკაცი გამოაგზავნეს. მათ ახლა პერფერეები ეწოდებათ და დიდ პატივში არიან დელოსზე. რადგან ჰიპერბორეელთაგან გაგზავნილები უკან აღარ დაბრუნდნენ, მათ შეეშინდათ, ვაი თუ ყოველთვის ისე მოხდს, რომ გაგზავნილები აღარ დაგვიბრუნდნენო, ამიტომ მას მერე თავისი ქვეყნის საზღვართან მიაქვთ ხოლმე წმინდა შეწირულებები პურის ნამჯაში და მეზობლებისაგანა მოითხოვენ, რომ გადაუგზავნონ ისინი თავის ქვეყნიდან სხვა ხალხს. ამბობენ, რომ ასე გადაგზავნით აღწევს შეწირულება დელოსს. მე თვითონ ვიცი ერთი წეს-ჩვეულება, რომელიც ძალიან ჰგავს იმას, რასაც ამ წმინდა შეწირულების მიმართ აკეთებენ თრაკიელი და პადონიელი ქალები, როდესაც მსხვერპლს სწირავენ არტემიდე დედოფალს, პურის ნამჯის გარეშე ვერ ახდენენ ამ ღვთისმსახურებას.

34. მე ვიცი, რომ ეს ქალები ასე აკეთებენ. ხოლო ჰიპერბორეებისაგან მოსული, დელოსზე გარდაცვლილი ქალების პატივისცემით, დელოსელი ასულები და ჭაბუკები თმებს იჭრიან: ასულები ქორწილის წინ დალაღს იჭრიან, თითისტარზე ახვევენ და სდებენ საფლავზე (საფლავი არის შიგნით, არტემიდეს სალოცავში. შემსვლელისათვის მარცხნივ, მასზე იზრდება ზეთის ხილის ხე), ხოლო დელოსელი ჭაბუკები ნორჩ ყლორტზე ახვევენ თავის თმას და საფლავზე სდებენ. აი, ასეთ პატივში არიან დელოსის მცხოვრებთაგან ჰიპერბორეებისაგან მოსული ქალები.

35. თვითონ დელოსელები ამბობენ, რომ არგემ და ოპისმა, ჰიპერბორეებმა ქალწულებმა, ყველა ეს ხალხები გამოიარეს და მოვიდნენ დელოსზე, უფრო უწინ, ვიდრე ჰიპეროქე და ლაოდიკე. ესენი მოვიდნენ იმიტომ, რომ ეძლეათიეს მოუტანეს შესაწირავი, რომელიც თვითონ დაიწესეს სწრაფი მშობიარობისათვის, ხოლო არგე და ოპისი, როგორც ამბობენ, მოვიდნენ თვით ღვმერთებთან ერთად და ამიტომ ათასნაირ პატივს სცემენ დელოსელები მათ. ქალები შესაწირავებს უგროვებდნენ მათ და სახელებით მიმართავდნენ ჰიმნში, რომელიც შეთხზა მათთვის ოლენ ლიკიელმა. დელოსელებისაგან ისწავლეს კუნძულების მცხოვრებლებმა და იონიელებმა სიმღერით შექება და სახელით მოხსენიება ოპისისა და არგესი და მათთვის შესაწირავების შეგროვება (ეს ოლენი ლიკიდან მოვიდა და შეთხზა ყველა ძველი ჰიმნი, რომლებსაც გალობენ დელოსზე). შესაწირავ თედოებს როდესაც სწვევენ საკურთხეველზე, მის ფერფლს ოპისისა და არგეს საფლავზე ყრიან ხოლმე მთლიანად. მათი საფლავი არის არტემიდეს სალოცავის უკან, აღმოსავლეთისაკენ, კეოსელთა სანადიმო დარბაზის მახლობლად.

36. აი, ეს უნდა ითქვას ჰიპერბორეების შესახებ. აღარ გადმოვცემ აბარისის ამბავს, რომელზედაც ამბობენ, რომ ჰიპერბორეელი იყო, მთელ დედამიწაზე დადიოდა, დაატარებდა ისარს და არაფერს არ სჭამდაო. თუ არის ჰიპერბორეელი ხალხი, უნდა იყოს სხვა ხალხიც - ჰიპერნოტიებიც. მეცნიერება, როდესაც ვხედავ, რომ დედამიწის მოხაზულობის მრავალ აღმწერელთაგან ვერც ერთმა ვერ გაგვარკვია ამ საქმეში წესიერად. მათ მოხაზეს ოკეანე, რომელიც დედამიწას გარშემოედინება, დედამიწა მრგვალია, თითქოს ფარგლით არის შემოხაზული, ხოლო აზია ევროპის ოდენად არის წარმოდგენილი. მე მოკლედ ვილაპარაკებ თითოეული მათგანის სიდიდეზე და იმაზედაც, თუ როგორია თითოეულის მოხაზულობა.

37. სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდილები, მიდიელებს ზემოთ სასპედრები, სასპედრებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე.

38. აქედან დასავლეთისაკენ ზღვიდან ზღვამდე ორი სანაპიროა გადაჭიმული, რომელთა შესახებაც მე მოვყვები. აქაა ერთი ნაპირი, რომელიც ფასისის ჩრდილოეთით იწყება და მიემართება ზღვისაკენ პონტოსა და ჰელსპონტის გასწვრივ, ვიდრე ტროის სიგეფონამდე. ხოლო სამხრეთით იგივე ნაპირი მიემართება მირიანდიის უბიდან, რომელიც მდებარეობს ფინიკიასთან, ზღვასთან მდებარე ადგილებამდე. ვიდრე ტრიოპიონის კონცხამდე. ამ სანაპიროზე ცხოვრობს 30 ტომი.

39. ესაა ეთი სანაპირო, ხოლო მეორე სანაპირო იწყება სპარსელთა ქვეყნიდან და მიემართება მეწამული ზღვისაკენ, ეს შეიცავს სპარსეთს, ამის მერე ასირიეს და ასირიის მერე არაბიესს. ეს მთავრდება (არ მთავრდება, მაგრამ ასეა მიღებული) არაბიის უბესთან, სადაც დარიოსმა ნილოსინდა არხი მიიყვანა. სპარსეთიდან ფინიკიამდე ვრცელი და სწორი ადგილია, ხოლო ფინიკიიდან ეს სანაპირო მიემართება ამ ჩვენი ზღვის გავლით სირიის პალესტინისაკენ და ეგვიპტისაკენ და აქ მთავრდება. ამ სანაპიროზე არის მხოლოდ სამი ტომი.

40. ესაა აზიის სამფლობელოები, რომლებიც მდებარეობენ სპარსელებისაგან დასავლეთით. ხოლო სპარსელების, მიდიელების, სასპედრების და კოლხების ზემოთ აღმოსავლეთისაკენ და მზის აღმოსავლისაკენ, აი აქ მდებარეობს მეწამული ზღვა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ არის კასპიის ზღვა და მდინარე არაქსი, რომელიც მიედინება მზის აღმოსავლისაკენ. ინდოეთამდე აზია დასახლებულია, ხოლო აქედან არის უდაბნო, რომელიც მიემართება აღმოსავლეთისაკენ და არავის არ შეუძლია იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს ის.

41. ასეთი და ამოდენა არის აზია, ხოლო ლიბიე არის მეორე სანაპიროზე, ის იწყება ეგვიპტესთან. ეგვიპტესთან ეს სანაპირო ვიწროა: ჩვენი ზღვიდან მეწამულ ზღვამდე 100 000 ორგია არის, რაც უდრის 1000 სტადიონს, ხოლო ამ ვიწროობიდან ის სანაპირო, რომელსაც ლიბიე ეწოდება, ძალიან ფართო ხდება.

42. მე ძალიან მაკვირვებს ქვეყნის განსაზღვრა და დაყოფა ლიბიედ, აზიად და ევროპედ, რადგან მათ შორის განსხვავება მცირე არ არის. სიგრძეზე ევროპე ორივეს

მიწყევბა, ხოლო სიგანით, მე ვფიქრობ, არც კი შეიძლება მისი შედარება აზიასა და ლიბიესთან. ცხადია, რომ ლიბიეს ირგვლივ ზღვა ერტყმის, გარდა იმ ნაწილისა, რომლითაც ის აზიას ესაზღვრება. ვინც ჩვენ ვიცით, მათ შორის პირველი იყო ნეკო, ეგვიპტელი მეფე, რომელმაც ეს დაამტკიცა: მან შეწყვიტა არხის თხრა, რომელიც ნილოსიდან არაბიის უბისაკენ მიემართებოდა, გაგზავნა ფინიკიელები ნავებით და უბრძანა მათ, უკან ჰერაკლეს სვეტებთან გაეცურათ, ვიდრე არ მივიდოდნენ ჩრდილოეთის ზღვასა და ამრიგად, ეგვიპტეში. ფინიკიელები გამოვიდნენ მეწამული ზღვიდან და შესცურეს სამხრეთის ზღვაში. გვიანი შემოდგომის დადგომისთანავე ისინი მიადგებოდნენ ნაპირს, დათესდნენ ყანას და ლიბიის რა ნაწილებშიც არ უნდა ყოფილიყვნენ, უცდიდნენ მომკას. პურს რომ აიღებდნენ, განაგრძობდნენ ხოლმე გზას. ორი წელი გაატარეს მათ მგზავრობაში და მესამე წელს შემოუარეს ჰერაკლეს სვეტებს და მოვიდნენ ეგვიპტეში. იმასაც ამბობენ (მაგრამ მე არ მჯერა და ეგება სხვამ ვინმემ დაიჯეროს), რომ როდესაც ლიბიის ირგვლივ ცურავდნენ, მზე ხელმარჯვნივ ჰქონდათ.

43. ასე გახდა პირველად ცნობილი, რომ ლიბიე კუნძულია, ხოლო შემდეგ კარქედონელები იყვნენ, რომლებმაც ამის შესახებ იგივე თქვეს; სატასპესმა, ტეასპისის ძემ, აქამენიძმა, არ შემოსცურა ლიბიის ირგვლივ, თუმცა კი ის ამისათვის იყო გაგზავნილი, რადგან შეეშინდა გზის სიგრძისა და ქვეყნის უდაბურობისა და დაბრუნდა უკან, არ შეასრულა ის დავალება, რაც მას დედამ დააკისრა. სატასპესმა ძალა იხმარა მეგაბიძოსის ძის, ძოპიროსის ქალწულ ასულზე. ამ დანაშაულისათვის მეფე ქსერქსესმა მოინდომა მისი ძელზე ჩამოცმა. მაგრამ სატასპესის დედამ, რომელიც დარიოსის და იყო, პატიება გამოითხოვა მისთვის; მან თქვა, რომ თავის შვილს თვითონ უფრო დიდ სასჯელს დაადებს, ვიდრე მეფე. ის იძულებული იქნება გარშემოუაროს ლიბიეს, ვიდრე ამ ცურვისას არ მიაღწევს არაბიის უბეს. ამ პირობით ქსერქსესი დათანხმდა, ხოლო სატასპესი მივიდა ეგვიპტეში, მიიღო ხომალდი და მეზღვაურები და გასცურა ჰერაკლეს სვეტებისაკენ. როდესაც გაიარა სვეტები და გარშემოუარა ლიბიის კონცხს, რომელსაც ჰქვია სახელად სოლოემსი, გასცურა სამხრეთისაკენ. მრავალი თვის განმავლობაში მან გასცურა ზღვის დიდი ნაწილი, მაგრამ რადგან კიდევ უფრო მეტი იყო გასაცური, გამობრუნდა უკან და გასცურა ეგვიპტისაკენ. აქედა მივიდა მეფე ქსერქსესთან და უთხრა, რომ აქედან ძალიან დაშორებით ის ცურავდა პაწაწინა ხალხის ქვეყნის გასწვრივ, ეს ხალხი ხმარობს ფინიკის ხის ტანსაცმელს. როგორც კი ესენი ხომალდით უახლოვდებოდნენ ნაპირს, პატარები გარბოდნენ მთებში და სტოვებდნენ ქალაქებს. ესენი ქალაქებში რომ შედიოდნენ, არავსი არაფერს უშავებდნენ, ხოლო საქონელი მოჰყავდათ მათგან. ლიბიეს ირგვლივ რომ არ შემოუარა, ამის მიზეზად მან შემდეგი თქვა: ნავს აღარ შეეძლო წინ წასვლა, ადგილზე დაჩაო. ქსერქსესმა არ დაიჯერა რომ ის სიმართლეს ამბობდა და რაკილა სატასპესმა არ შეასრულა მიცემული დავალება, თავდაპირველად სასჯელი დაადო და ძელზე ჩამოაცმევინა. ამ სატასპესის საჭურისმა როგორც კი შეიტყო, რომ მისი უფალი მოკვდა, დიდძალი ქონება წაიღო და გაიქცა სამოსზე. ეს ქონება წაართვა მას ერთმა სამოსელმა კაცმა, რომლის სახელიც ვიცი, მაგრამ ჩემი ნებით ვმაღავ.

44. აზიის დიდი ნაწილი დარიოსის მიერ იყო აღმოჩენილი, მას უნდოდა შეეტყო, სად ერთვის ზღვას მდინარე ინდოსი, რომელიც ყველა მდინარეთა შორის მეორეა ნილოსის შემდეგ, რომელშიც არიან ნიანგები. ამიტომ გაგზავნა ნავებით კაცები, ვისაც

ენდობოდა, რომ სიმართლეს მოუტანდნენ და მათ შორის სკილაქს კარიანდელიც. ისინი გავიდნენ ქალაქ კასპატროსიდან, პაქტიკეს მიწა-წყლიდან და დაჰყვნენ მდინარეს დაღმა ზღვისაკენ მზის ამოსავლის მიმართულებით, ზღვა გასცურეს დასავლეთისაკენ და ოცდამეათე თვეს მიაღწიეს იმ ადგილას, საიდანაც ეგვიპტელთა მეფემ გაგზავნა ფინიკიელები ლიბიის გარშემოსავლელად, როგორც ზემოთ ვთქვი. ამათი მოგზაურობის მერე დარიოსმა დაიპყრო ინდები და ამ ზღვითაც სარგებლობდა. ამრიგად ჩანს, რომ აზია მისი აღმოსავლეთის ნაწილის გარდა ლიბიის მსგავსია.

45. ევროპის შესახებ არავინ იცის, მზის აღმოსავლისკენ ან ჩრდილოეთისაკენ წყლით არის შემორტყმული თუ არა. სიგრძით ცნობილია, რომ ვრცელდება ორთავემდის. მე არ შემძლია ახსნა, თუ რატომაა, რომ დედამიწა ერთია და სამ სახელს ატარებს (სახელწოდებები კი მიღებული აქვს ქალებისაგან) ან რატომაა მისი საზღვრები - ნილოსი, რომელიც ითვლება ეგვიპტის მდინარედ და ფასისი, კოლხიდის მდინარე (ხოლო სხვები ასახელებენ მაგეტისის მდინარეს ტანაისსა და კიმერიულ გადასასვლელს), არც სახელები ვიცი იმათი, რომლებმაც ასე დაჰყვეს დედამიწა და არც ის, თუ საიდან დაარქვეს ეს სახელები. ელინთა მეტი ნაწილი ამბობს, რომ ლიბიეს სახელი დაერქვა ლიბიესაგან, ადგილობრივი მცხოვრები ქალისაგან, ხოლო აზია მოსახლეა პრომეთევსის მეუღლისა. მაგრამ ლიდიელები კამათობენ ამ სახელის გამო და ამბობენ, რომ აზია ეწოდა ქვეყანას კოტისის ძის, მანესის შვილიშვილის ასიესის სახელის მიხედვით და არა პრომეთევსის აზიეს გამო. ასიესის მიხედვით ჰქვია სარდემი ფილეს ასიადე. ხოლო ევროპის შესახებ ადამიანთა შორის არავინ იცის, მას ირგვლივ აქვს წყალი თუ არა, არც ის, თუ საიდან მიიღო მან სახელი, არც ის ჩანს, თუ ვინ დაარქვა მას სახელით, თუ იმას არ ვიტყვით, რომ ტიროსელი ქალისაგან, ევროპესაგან მიიღო ქვეყანამ სახელი, მანამდე კი უსახელოდ იყო, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ქალი აზიიდან იყო და არ მოსულა იმ ქვეყანაში, რომელსაც ელინები ახლა ევროპეს უწოდებენ. ის ფინიკიიდან მოვიდა კრეტეზე, ხოლო კრეტიდან ლიკიეში. აი, ამდენი უნდა ითქვას ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ მათ შესახებ იმ მასალას ვიყენებ, რაც საერთოდ არის აღიარებული.

46. ევქსინის პონტოსთან, სადაც ილაშქრა დარიოსმა, ყველა ქვეყნებზე უფრო უმეცარი ტომები ცხოვრობენ, თუ გამოვრიცხავთ სკვითებს, რადგან არც ერთი ტომი მათგან, რომელიც პონტოს აქეთ ცხოვრობს, არ არის სიბრძნით აღმატებული, არც ღირსეული კაცი ვიცი ვინმე, რომ იყოს აქედან, გარდა სკვითური თომისა და ანაქარასისა. სკვითური ტომი, ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილ ტომთა შორის, ერთ, ადამიანთათვის ძალიან მნიშვნელოვან საქმეშია სხვებზე ბრძენი. სხვა მხრივ კი ვერაფრით გამაოცეს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ისაა, რომ როდესაც მთ ვინმე ესხმის თავს, მტერი მათ ვერ გაექცევა, და ვერც დაიჭერს მათ, თუ თვით სკვითებმა არ მოინდომეს გამოჩენა. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არც ქალაქებ აქვთ აგებული და არც ზღუდეები. ყვლას თან დააქვს თავისი სხელები, და ყველანი მშვილდით შეიარაღებული ცხენოსნები არიან. მიწათმოქმედებას კი არ ეწევიან, მესაქონლეობით ირჩენენ თავს; მათი საცხოვრებლები ურმებზეა. აბა, როგორ არ იქნება ასეთი ხალხი უძლეველი და მიუწვდომელი?

47. საამისოდ მათ ხელს უწყობს თვითონ დედამიწა და ეხმარებიან მდინარეები: რადგან მათი მიწა დაბლობია, მდიდარია ბალახით და კარგად ირწყვის, ხოლო

მდინარეები, რომლებიც მიედინებიან ამ მიწა-წყალზე, რიცხვით ბევრად ნაკლები არ არიან ეგვიპტის არხებზე. მათგან მე დავასახელებ მხოლოდ იმათ, რომლებიც უფრო მნიშვნელოანი და სანაოსნოები არიან ზღვიდან შემოსული ხომალდებისათვის: ხუთშესართავიანი ისტროსი, შემდეგ ტირესი, ჰიპანისი, ბორისთენესი, პანტიკაპესი, ჰიპაკირისი, გეროსი და ტანაისი. მათი დინება ასეთია:

48. ისტროსი არის უდიდესი მდინარე ყველა მათ შორის, რომლებიც ჩვენ გვინახავს, ის მუდამ თნაბარი სიდიდის მოედინება, ზაფხულშიც და ზამთარშიც. სკვითის მდინარეთა შორის ის პირველია დასავლეთიდან და ამოდენა იმიტომ არის, რომ მას ბევრი სხვა მდინარე ერთვის. მდინარეები, რომლებიც მას ასე დიდს ხდიან, არიან შემდეგი: ხუთი მათგანი სკვითის მიწა-წყალზე მიედინება, ესაა როგორც სკვითები უწოდებენ პორატა, ხოლო ელინები - პირეტოსი, შემდეგ ტიარანტოსი, არაროსი, შემდეგ ტიარანტოსი, არაროსი, ნაპარისი და ორდესოსი. მოხსენებულ მდინარეთა შორის პირველი დიდია, აღმოსავლეთისაკენ მიედინება და იქ უერთებს ისტროსს თავის წყლებს; მეორე ხსენებულთა შორის, ტიარანტოსი უფრო დასავლეთისაკენაა და უფრო პატარაც არის, ხოლო არაროსი, ნაპარისი და ორდესოსი ამათ შორის მიედინებიან და ისე ერთვიან ისტროსს. ესაა საკუთრივ სკვითის მდინარეები, რომლებიც ავსებენ ისტროსს, ხოლო აგათირსთა მხრიდან მოედინება მდინარე მარისი, რომელიც ასევე უერთდება ისტროსს.

49. ჰადმოსის მწვერვალთან სამი სხვა დიდი მდინარე მოედინება ჩრდილოეთისაკენ და უერთდება მას: ატლასი, ავრასი და ტიბისის. თრაკიასა და თრაკიელ კრობიძების მხრეზე მოედინება ათრისი, ნოესი და არტანესი, რომლებიც ერთვიან ისტროსს. პადონთაგან და როდოპის მთიდან გამოსული მდინარე სკიოსი შუაზე ჰკვეთს ჰადმოსს და ერთვის ისტროსს. ილირიელთაგან ჩრდილოეთის მიმართულებით მიედინება მდინარე ანგროსი, ჩადის ტრიბალიკონის დაბლობში, აქ ერთვის მდინარე ბრონგოსს, ხოლო ბრონგოსი კიდევ ისტროსს. ამგვარად, ისტროსი ღებულობს ორი დიდი მდინარის წყალს, ომბირკების ზემოთ მდებარე ქვეყნიდან მდინარე კარპისი და მეორე - ალპისი მიედინება ჩრდილოეთისაკენ და ერთვის ისტროსს. ამგვარად, ისტროსი მთელ ევროპაზე მიედინება, იწყება კი კელტებში, რომლებიც კინეტების შემდეგ ყველაზე უკიდურესი ხალხია დასავლეთით, მათ შორის, ვინც ცხოვრობს ევროპეში. მთელ ევროპეს რომ გადაივლის, სკვითის საზღვრებში შედის.

50. რადგანაც ჩემს მიერ ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა მდინარე ერთვის ისტროსს, ის უდიდესია მდინარეთა შორის, მაგრამ მარტო მისი წყალი რომ შევადაროთ ნილოსისას, სიუხვით ნილოსი აჯობებს, რადგან ნილოს არც მდინარე ერთვის და არც სხვა რამე წყარო, რომ სიდიდე მოუმატოს. ისტროსი რომ ზაფხულში და ზამთარში მუდამ თანაბარია, ეს, მე ვფიქრობ, შემდეგით აიხსნება: ზამთრობით იმოდენაა, რამოდენაც არის, ან ცოტათი მეტი თავის ბუნებრივ ზომაზე, რადგან ზამთრობით ამ ქვეყანაში თითქმის არ წვიმს, ყველგან თოვლი დევს. ხოლო ზაფხულობით თოვლი, რომელიც ზამთარში ბლომად მოვიდა, დნება და ყოველი მხრიდან ჩამოდის ისტროსში. ჯერ ხომ ეს თოვლი, რომელიც მას ერთვის, ამრავლებს მის წყლებს, ამასთან ერთად კიდევ ხშირი და ძლიერი წვიმები - ზაფხულში ხომ წვიმებიც იცის აქ. ისე რომ, რამდენადაც ზაფხულში მზე უფრო მეტ წყალს ისრუტავს ისტროსიდან, ვიდრე ზამთარში, იმდენად ისტროსს ზაფხულში უფრო მეტი წყლები

ერთვის, ვიდრე ზამთარში. ეს რომ, საბოლოოდ წონასწორობა დაცულია და ისტროსში მუდამ თანაბარი რაოდენობის წყალი ჩანს.

51. სკვითის მდინარეთა შორის, ერთია ისტროსი. მას შემდეგ არის ტირესი, რომელიც იწყება ჩრდილოეთიდან, იწყება და მიედინება დიდი ტბიდან, რომელიც საზღვრავს სკვითისა და ნევრების მიწა-წყალს. მის შესართავთან ცხოვრობენ ელინები, რომელთაც ტირიტები ეწოდებათ.

52. ხოლო მესამეა მდინარე ჰიპანისი, რომელიც იწყება სიკვთების ქვეყანაში, გამოდის დიდი ტბიდან, რომლის ირგვლივ ველური თეთრი ცხენების საძოვარია, ხოლო ამ ტბას, სრულიად მართებულად ჰიპანისის დედა ეწოდება. აქედან გამოსული მდინარე ჰიპანისი, მიედინება და დაახლოებით 5 დღის საცურაო მანძილზე თხელია და ტკბილი, ხოლო ამის მერე, ზღვამდე 4 დღის საცურაო მანძილზე მეტისმეტად მწარეა: მას ერთვის მწარე წყარო, ისე მწარე, რომ თუმცა უმნიშვნელო სიდიდისაა, მაგრამ ჰიპანისს რომ შეერევა (რომელსაც სიდიდით ცოტა მდინარე თუ შეედრება), ამწარებს მას. ხოლო ეს წყარო არის ამ ქვეყნის საზღვარზე, რომელიც უჭირავთ მიწათმოქმედ სკვითებსა და ალიძონებს. ამ წყაროსი და აგრეთვე იმ ადგილის სახელი, საიდანაც წყარო გამოდის, სკვითურად არის ექსამპაფოსი, ხოლო ელინური ენის მიხედვით კი "წმინდა გზები". ტირესი და ჰიპანისი ალიძონების ქვეყნის საზღვართან უახლოვდება ერთმანეთს. აქედან კი თითოეული ამათგანი იცვლის მიმართულებას და ისე მიედინება, რომ ფართოვდება მათ შორის ადგილი.

53. მეოთხე მდინარეა ბორისტენესი, რომელიც ისტროსის შემდეგ უდიდესი მდინარეა ამ მხარეში და ჩვენის აზრით, ყველაზე მეტი სარგებლობა მოაქვს ქვეყნისათვის არა მხოლოდ სკვითის მდინარეთა შორის, არამედ საერთოდ, ყველა სხვა მდინარეებთან შედარებით გარდა ეგვიპტის ნილოსისა. ამას ხომ ვერც სხვა მდინარე ვერ შეედრება! ხოლო ყველა დანარჩენებზე უფრო სასარგებლოა ბორისტენესი, რომელსაც ირგვლივ უმშვენიერესი და უნოყიერესი საძოვრები აქვს საონლისათვის. თვით მდინარეში მოიპოვება საუცხოო და უამრავი თევზი, სასმელად ხომ მისი წყალი ძალიან სასიამოვნოა, მიედინება ანკარა, მღვრიე წყლების გვერდით, მის გასწვრივ საუკეთესო სხნავ-სათესი მიწებია, ხოლო სადაც მიწა არ ითესება, იქ უხშირესი ბალახი მოდის. მის შესართავთან თავისთავად ილექება უამრავი მარილი. მასში მოიპოვება უზარმაზარი უძველო თევზები, რომელთაც ანტაკები ეწოდებათ და რომელთაც ამარილებენ, ამას გარდა ამ მდინარეს სხვა მრავალი საოცარი რამ ახასიათებს. ადგილი გეროსამდე (სადამდეც 40 დღის საცურაო მანძილია) ბორისტენესი მოედინება ჩრდილოეთიდან; იმ ადგილების შესახებ, რომლებზედაც მოედინება ბორისტენესი გეროსის ზემოთ, ადამიანთაგან არავის შეუძლია რამის თქმა. ცხადია, რომ ის მოედინება უდაბნოზე და ისე შემოდის მიწათმოქმედი სიკვთების ქვეყანაში. ხოლო ეს სიკვთები ცხოვრობენ მის გასწვრივ ათი დღის საცურაო მანძილზე, მხოლოდ ეს მდინარეა და ნილოსი, რომელთა სათავეების დასახელება არ შემიძლია და ასე მგონია, ელინთაგან არც სხვას ვისმე შეუძლია. ბორისტენესი ზღვას რომ უახლოვდება, აქ უერთდება მას ჰიპანისი და ისიც იმავე ჭაობში ჩადის. ამ ორ მდინარეს შორის არსებული მიწის ზოლი იწოდება ჰიპოლეოსის კონცხად, მასზე დგას დემეტრეს სალოცავი. სალოცავს გადაღმა, ჰიპანისთან ცხოვრობენ ბორისტენიტები.

54. ესაა, რაც შეეხება ამ მდინარეებს. მათ შემდეგ მეხუთე მდინარე არის კიდევ სხვა - მას სახელად პანტიკაპესი ჰქვია, ისიც ჩრდილოეთიდან მოედინება და გამოდის ტბიდან. მასა და ბორისთენეს შორის ცხოვრობენ მიწათმოქმედი სიკვთები; ის შედის ჰილაფეში, გაივლის მას და ერთვის ბორისთენესს.

55. მეექვსე არის მდინარე ჰიპაკირისი, რომელიც გამოდის ტბიდან, მიედინება მომთაბარე სკვითების შუაში და ერთვის ზღვას ქალაქ კარკინიტისთან; მარჯვნივ ესაზღვრება ჰილაფეს და ეგრეთ წოდებულ აქილევსის სარბიელს.

56. მეშვიდე არის მდინარე გეროსი, რომელიც გამოეყოფა ბორისთენეს სწორდ იმ ადგილას, სადამდისაც ცნობილია ბორისთენესი. გეროსი გამოეყოფა იმ ადგილს (სახელი მასაც იგივე ჰქვია, რაც ამ ადგილს), მიედინება ზღვისკენ და საზღვრავს მომთაბარეთა ქვეყანას სამეფო სკვითების მიწა-წყლისაგან, ის ერთვის ჰიპაკირისს.

57. მერვე არის მდინარე ტანაისი, რომელიც მოედინება ზემოდან, დიდი ტბიდან და ერთვის კიდევ უფრო დიდ ტბას, რომელსაც ეწოდება მადეტისი. ეს ტბა საზღვრავს სამეფო სკვითებსა და სავრომატებს. ამ ტანაისს ერთვის სხვა მდინარე, რომელსაც სახელად ჰქვია ჰირგისი.

58. ესენი არიან მნიშვნელოვანი მდინარეები, რომლებიც რწყავენ სიკვთების ქვეყანას. სიკვთიაში რომ ბალახი იზრდება, ჩვენთვის ცნობილ ყველა სხვა ბალახზე უფრო უწყობს ხელს საქონელში ნაღვლის გაზრდას. საქონელი რომ დაიკვლება, მაშინ ვრწმუნდებით იმაში, რომ ეს ასეა.

59. ამგვარად, სიკვთებს დიდი რაოდენობით აქვთ ის, რაც ცხოვრებისთვის ესაჭიროებათ, ხოლო წეს-ჩვეულებებს ამისთანას მისდევენ: ღმერთთაგან მხოლოდ ამათ სცემენ პატივს: განსაკუთრებით ჰისტის, შემდეგ ზევსსა და გეს. (გე მიაჩნიათ ზევსის ცოლად); ამათ შემდეგ აპლონს, აფროდიტე ურანიას, ჰერაკლეს და არესს. ამათ ყველა სკვითი სცნობს, ხოლო ეგრეთ წოდებული სამეფო სკვითები პოსედონსაც სწირავენ მსხვერპლს. სკვითურად ჰისტეს ეწოდება ტაბიტი, ზევსს, ჩემი აზრით, ძალიან მართებულად, ეწოდება პაპადოსი. გეს - აპი, აპოლონს - გოდტოსიროსი, აფროდიტე ურანიას - არგიმპასა, ხოლო პოსედონს - თავიმასადასი. სიკვთები გამოსახულებებს, საკურთხევლებსა და ტაძრებს ჩვეულებრივ არ აგებენ, თუ არ ჩავთვლით არესისას. არესისათვის კი აგებენ ხოლმე.

60. მსვერპლშეწირვა ყველა ღვთაების მიმართ და ყოველგვარი შესაწირავი ერთნაირი აქვთ და ეს ხდება შემდეგნაირად: სამსხვერპლო საქონელს წინაფეხებშეკრულებს აყენებენ. ის, ვინც მსხვერპლს სწირავს, საქონლის უკან დგება, ეწევა თოკის ბოლოს და ასე აწარცხებს მას. როდესაც სამსხვერპლო საქონელი ეცემა, მსხვერპლის მომტანი შეღალადებს იმ ღმერთს, რომელსაც სწირავს, შემდეგ საქონელს ქედზე მარყუჟს მოსდებს, მასში ჯოსხს გაუყრის, შემოაბრუნებს ამ ჯოხს და ასე მოახრჩობს. ისე რომ, არც ცეცხლს ანთებენ, არც მსხვერპლშეწირვის დამწყებ რაიმე რიტუალს ასრულებენ, არც რასმე ათხევენ. საქონელს რომ მოახრჩობს და გაატყავებს, მერე მის ხარშვას შეუდგება.

61. რადგან სიკვთიის ქვეყანა სრულიად უტყეოა, ამიტომ სიკვთებმა ხორცის მოსახარმად შემდეგი რამ გამოიგონეს: მას მერე რაც გაატყავებენ სამსხვერპლო საქონელს, ხორცს ძვლებს დააცლიან. შემდეგ, თუ კი ხელთა აქვთ, ჩაჰყრიან ადგილობრივ ნაწარმ ქვებში, რომლებიც ძალიან ჰყავს ლესბოსურ ჭურჭლებს, მხოლოდ მათზე გაცილებით უფრო დიდებია. ჩაჰყრიან ამ ქვებში ხორცს და ხარშავენ სამსხვერპლო საქონელის ძვლებს წაკიდებულ ცეცხლზე, ხოლო თუ ქვაბი არა აქვთ, მაშინ მთელ ხორცს ჩასდებენ სამსხვერპლო საქონლის კუჭში, უმატებენ წყალს და ძვლებს უკიდებენ ცეცხლს. ძვლებს ძალიან კარგად უკიდია, ხოლო ძვლებისაგან გაწმენდილი ხორცი ადვილად ეტევე კუჭში. ამრიგად, ხარი თავისთავს თვითონ იხარშავს და ასე ყველა სხვა სამსხვერპლო საქონელი. როდესაც მოიხარშება ხორცი, მსხვერპლშეწირავი სწირავს ღვთაებას ხორცის ნაჭრებსა და შიგნეულს, რომელთაც თავის წინ იყრის. მსხვერპლად სწირავენ ყოველგვარ ცხოველებს და განსაკუთრებით კი ცხენებს.

62. ყველა სხვა ღმერთს ასე სწირავენ მსხვერპლად ამ საქონელს, ხოლო არესს შემდეგნაირად: სიკვთების ყველა სამეფოში ოლქების მიხედვით იდგმება არესის ასეთი სალოცავი: ფიჩხის კონებს ერთად ალაგებენ ისე, რომ სიგრძეცა და სიგანეც 3 სტადიონი იყოს, სიმაღლე კი ნაკლები. ამის ზემოთ კეთდება ოთხკუთხედი ბაქანი, რომელსაც სამი გვერდი ციცაბო აქვს, ხოლო ერთი - ადგილი მისასვლელი. ყოველწლიურად მოაქვთ 150 ურემი ფიჩხი, რადგან უამინდობის გამო ეს გროვა გამუდმებით დაბლა იწევს. ყოველ ამისთანა გროვაზე დევს ძველებური რკინის ცელი და ეს არის არესის კერპი. ამ ცულს ყოველწლიურად სწირავენ რქოსან საქონელს და ცხენებს და მას უფრო მეტს სწირავენ, ვიდრე სხვა ღმერთებს. ცოცხლად ხელში ჩაგდებული ყოველი ასი მტრიდან ერთს მსხვერპლად სწირავენ, მაგრამ ისე კი არა, როგორც საქონელს, არამედ სხვაგვარად: მას მერე, რაც ტყვეს ღვინოს დაათხევენ თავზე, დაჰკლავენ ჭურჭელზე, შემდეგ ჭურჭელს წაიღებენ ზემოთ ფიჩხის გროვაზე და სისხლს დაასხამენ ცულს. ზემოთ ეს მიაქვთ, ხოლო ქვემოთ, სალოცავთან შემდეგს აკეთებენ: დახოცილ ვაჟკაცებს ყველას მარჯვენა მხრეს აჭრიან ხელთან ერთად და ჰაერში ისვრიან. ხოლო სხვა სამსხვერპლო ცხოველებს რომ მოითავებენ, მერე შინ მიდიან. ხელი სადაც დავარდება იქვე დევს, გვამი კიდეც ცალკე.

63. ასეთი მსხვერპლშეწირვები აქვთ დაწესებული სიკვთებს, ხოლო ღორებს ესენი ჩვეულებრივ არც მსხვერპლად სწირავენ¹ და არც აშენებენ ამ ქვეყანაში.

64. საომარი ჩვევები მათ ასეთი აქვთ: როდესაც სკვითი მოჰკლავს პირველ ვაჟკაცს, მის სისხლს სვამს. ხოლო ბრძოლაში დახოცილების თავები მეფესთან მიაქვთ, რადგან თავს რომ მიიტანენ, ნადავლშიც წილს იღებენ, ხოლო თუ არ მიიტანეს თავი, არაფერს მიიღებენ. თავს ისინი ასე ატყავებენ: შემოსერავენ მას ირგვლივ, ყურებთან, შემდეგ იღებენ ხელში და თავს კანიდან გამობერტყავენ, მერე ხარის ნეკნით კანს ხორცს აცლიან და ხელებით ქნიან, რომ დაარბილებენ, ხელსახოცად ხმარობენ. ჩამოჰკიდებენ იმ ცხენის ლაგამზე, რომელსაც თვითონ დააჭენებენ და ამაყობენ, რადგან ყველაზე დიდ ვაჟკაცად ის ითვლება, ვისაც ყველაზე მეტი აქვს ასეთი კანის ხელსახოცი. ბევრი მათგანი იცვამს ასეთი გატყავებული კანებისაგან გაკეთებულ მოსასხამს, რაც ისევეა შეკერილი, როგორც ქურქი. ბევრი კიდეც მტრის გვამის მარჯვენა ხელს ატყავებს საკუთარი ფრჩხილებით და ამისაგან კაპრაჰის ბუდეს აკეთებს. ადამიანის კანი მართლაც სქელი და პირალაა და თითქმის ყველა სხვა ტყავს

აღმატება სითეთრით. ბევრი სკვითი მთლიანად ატყავებს მტრის გვამს, გადასჭიმავს მას ჯოხებზე და ცხენზე შემჯდარი დაატარებს თან.

65. აი, ასეთ ჩვევებს მისდევენ ისინი ამ საკითხში, ხოლო რაც შეეხება თავებს (ყველასას არა, მაგრამ ყველაზე მეტად საძულველი მტრებისას), მათ მიმართ შემდეგს აკეთებენ: თითოეული ახერხავს მთელი იმ ნაწილს, რაც წარბებს ქვემოთ არის და თავის ქალას კი ასუფთავებს. თუ კაცი ღარიბია, ის მხოლოდ გამოუქნელი ხარის ტყავს შემოაკრავს გარედან და ეგრე ხმარობს, ხოლო თუ მდიდარია, გარედან გამოუქნელი ხარის ტყავს აკრავს, ხოლო შიგნით მოავარაყებს და ეგრე ხმარობს სასმისად. ასევე ეპყრობიან ისინი თავის ნათესავების თავის ქალებსაც, თუ მათთან უთანხომება აქვთ და თუ მეფის თანდასწრებით ერთი დაძლევეს მეორეს. როდესაც მათთან მოდიან სტუმრები, რომელთა პატივისცემაც სურთ, ამ თავებს გამოიტანენ და ამბობენ, რომ ესენი მათი ნათესავები იყვნენ, მათთან ბრძოლა გააჩაღეს და ამ ბრძოლაში დამარცხდნენ. ამას ისინი მოუთხრობენ, როგორც დიდ ვაჟკაცობას.

66. წელიწადში ერთხელ თითოეული ოლქის მმართველი სასმისში შაზავებდა ღვინოს და ასმევდა მხოლოდ იმ სკვითებს, რომელთაც მტრები ჰყავდათ დახოცილი, ხოლო ვისაც არ ჩაედინა ეს საქმე, არც კი გაასინჯებდა ამ ღვინოს და ისინი ცალკე ისხდნენ ხოლმე შერცხვენილები: რადგან ეს მათთვის უდიდესი სირცხვილია. ხოლო ისინი, ვისაც ძალიან ბევრი ჰყავდა დახოცილი, ორ თასს ღებულობენ ერთად და ორივედან ერთბაშად სვამენ.

67. სიკვთებს ბევრი მისანი ჰყავთ, რომლებიც შემდეგნაირად მისნობენ მეწნის მრავალ ტოტზე; ისინი მოზიდავენ ტოტების დიდ კონებს, დააწყობენ ძირს და დაშლიან; თითოეულ ტოტს ცალკე სდებენ და წინასწარმეტყველებენ, თან ლაპარაკობენ და თან ისევ აგროვებენ ტოტებს და შემდეგ ისევ ერთიმეორეზე აწყობენ. მისნობის ეს წესი მათში მამაპაპეულია, ხოლო ენარები¹, ქალაჩუნა მამაკაცები ამბობენ, რომ აფროდიტემ ასწავლა მათ ასეთი მისნობა: ისინი ცაცხვის ქერქზე მკითხაობენ. ცაცხვის ქერქს სამად ჭრიან, მას თითებს შორის წნავენ, შემდეგ ისევ შლიან და ამასობაში წინასწარმეტყველებენ.

68. როდესაც სიკვთების მეფე ავად ხდება, მოიწვევს მისანთა შორის სამ ყველაზე გამოჩენილ პირს და ისინი ზემოთ თქმულის მიხედვით მკითხაობენ. ამასობაში ისინი ყველაზე ხშირად იმას ამბობენ, რომ სამეფო კერის ღმერთები ტყუილად დაიფიცა ამან და ამანო და ასახელებენ ამის ჩამდენ მოქალაქეებს. სიკვთებს ხომ ჩვეულება აქვთ, როდესაც განსაკუთრებული დაფიცება უნდათ, იფიცებენ სამეფო კერის ღმერთებს. შემდეგ მას, ვინც ტყუილად დაიფიცა, შეიპყრობენ და მიჰყავთ მისნებთან. როდესაც მივა, მისნები ამხელენ, რომ მინობის ცნობით მან ტყუილად დაიფიცა სამეფო კარის ღმერთები და ამიტომაც მეფე ავადო. ის უარზეა, ამბობს არ დამიფიცნია ტყუილადო და ძალიან ჯავრობს. რაკილა ის უარობს, მეფე გამოიძახებს სხვა მისნებს, ორჯერ უფრო მეტს, თუ ისინიც დაადანაშაულებენ მას მისნობის მიხედვით ტყუილ ფიცში, მაშინვე მოჰკვთენ თავს და მისი ქონებას წილად ხვდება პირველად დამადანაშაულებელ მისნებს, ხოლო თუ მეორედ მოსული მისნები გაამართლებენ მას, მაშინ სხვა მისნებს მოუხმობენ, შემდეგ კიდევ სხვებს და ა. შ. თუ მისნების მეტი წილი გაამართლებს ამ კაცს, მაშინ სიკვდილს თვით პირველად გამოძახებულ მისნებს მიუსჯიან.

69. მათ შემდეგნაირად ხოცავენ: ურემს აავსებენ ფიჩხით და აბამენ შიგ ხარებს, მისნებს შებორკავენ, ხელებს უკან შეუკრავენ, პირში რამეს ჩასჩრიან და შეაგდებენ შუა ფიჩხში, ფიჩხს ცეცხლს წაუკიდებენ და ამით აშინებენ ხარებს, რომელთაც მიერეკებიანა. ბევრი ხარი იწვის მისნებთან ერთად, ხოლო ბევრი მათგანი შეტრუსული გაიქცევა ხოლმე, როგორც კი დაიწვის მათი ხელნი. აი, ამნაირად სწვავენ მისნებს, ამისთვისაც და სხვა დანაშაულის შემთხვევაშიც და მათ ცრუმისნებს უწოდებენ. მეფე მათ რომ დახოცავს, არც მათ შვილებს ტოვებს ცოცხლებს, ის კი არა, მის ირგვლივ ყველაფერი მამრობითს აკვლევინებს, ხოლო მდედრობითს არ სჯის.

70. ფიცის დადების დროს სიკვთები ასე იქცევიან: თიხის დიდ თასში ჩაასხამენ ღვინოს და ღვინოში ურევენ იმათ სისხლს, ვინც ფიცსა სდებს. ამათ სჩხვლეტენ სადგისით, ან დანით უკაწრავენ სხეულს, შემდეგ კი თასში აწობენ მახვილს, ისრებს, ცულსა და შუბს. ამასობაში ლოცულობენ და შემდეგ სვამენ ისინიც, რომლებიც ფიცს დებენ და ისინიც, ვინც მათ მიმდევართა შორის განსაკუთრებით ღირსეულია.

71. მეფეთა სამარხავი გერების მხარეშია, აი, აქამდეა ბორისთენესი სანაოსნო. აქ, მეფის სიკვდილისთანავე მიწაში დიდ, ოთხკუთხედ ორმოს მოთხრიან, ამას რომ გაამზადებენ, იღებენ გვამს, სხეულს ცვლით ფარავენ, ხოლო ამაზე უწინ მუცელს გაჰკვეთენ და შიგნეულობისაგან ასუფთავებენ, მას ავსებენ დანაყილი ჭილით, საკმევლით, ნიახურის თესლით და ანისით, შემდეგ ისევ, გაჰკერავენ და მიაქვთ ეტლით სხვა ტომთან. ისინი, ვინც ღებულობენ მოტანილ გვამს, იქცევიან ისევე, როგორც სამეფო სიკვთები: იკვეთენ ყურის ნაწილს, თმებს ირგვლივ იკვერცხავენ, შუბლსა და ცხვირს იკაწრავენ და მარცხენა ხელს ისრებით იგმერენ. აქედან ეტლით მიაქვთ მეფის გვამი სხვა ტომთან, რომელსაც ის მართავდა. ხოლო გვამს მიჰყვებიან ისინი, რომლებთანაც უწინ მივიდნენ. როდესაც გვამს ყველა ტომს ჩამოატარებენ, მოიყვანენ გერებთან, რომლებიც მისი ქვეშევრდომი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე სულ განაპირა არიან და იქ არის საფლავიც. შემდეგ, გვამს საფლავში ჩალაზე ასვენებენ, ჩაარჭობენ შუბებს გვამის აქეთ და იქით, შუბებზე ხეებს გასდებენ და შემდეგ ლერწმით გადახურავენ. საფლავის დარჩენილ ფართო ნაწილში მარხავენ ერთ-ერთ ხარჭთაგანს, წინასწარ დახრჩობილს, ღვინისმწდეს, მზარეულს, მეჯინიბეს, მსახურს, ამბების მომხსენებელს, ცხენებს, ყველა სხვა ცხოველთა ირველშობილებს და ოქროს ფილაებს, რადგანაც ვერცხლისას და სპილენძისას ისინი არაფერს ხმარობენ. ამას რომ მოათავებენ, შემდეგ ყველანი ერთად დიდ მიწაყრილს აკეთებენ, ჩქარეობენ და ძალიან ცდილობენ, რომ რაც შეიძლება დიდი გააკეთონ.

72. ხოლო წლისთავზე ასე იქცევიან: დარჩენილ მსახურთაგან გამოარჩევენ ყველაზე უფრო გამოსადეგებს (ესენი წარმოშობით სიკვთები არიან, რადგან თვით მეფე ბრძანებს, რომ მას მხოლოდ ესენი უნდა ემსახურონ, ხოლო ფულით ნაყიდები მას არ ემსახურებიან). ამ მსახურთაგან 50-ს ახრჩობენ, ასევე ახრჩობენ 50 საუკეთესო ცხენს; მათ აცლიან შიგნეულობას და უწმენდენ მუცელს, რომელსაც ავსებენ ბზით და შემდეგ ისევ ჰკერავენ. ორ ხეზე აყენებენ ნახევარ ბორბალს ფერსოთი ქვემოთ, ბორბლის მეორე ნახევარს აყენებენ მეორე ორ ხეზე, ამგვარად ბევრ სხვა ბორბალს ამაგრებენ. შემდეგ ცხენებს მთელ სიგრძეზე, კისრამდე უყრიან მსხვილ კეტებს და ასე სწევენ ძალა ბორბლებზე. წინა ბორბლებზე ცხენების მხრებია, ხოლო უკანა

ბორბლები იჭერენ მუცლის ნაწილს, ისე რომ ორივე მხრივ ფეხები ჰაერშია ჩამოკიდებული. შემდეგ ლაგამსა და აღვირს ამოსდებენ ცხენებს, წინ ეწევიან და პალოებზე ამაგრებენ. ხოლო დახრჩობილ 50 ჭაბუკს სათითაოდ სხამენ ცხენებზე. მათი დასმა ასე ხდება: თითოეულ გვამს ხერხემლის გასწვრივ კისრამდე უყრიან სწორ ჯოხს, ამ ჯოხის ქვემოთა ნაწილი შედის მეორე ხის ნახვრეტში, რომელიც ცხენშია გაყრილი. ამნაირ მხედრებს საფლავის გარშემო აყენებენ და თვითონ მიდიან. ასე მარხავენ სკვითები მეფეებს.

73. ხოლო სხვა სკვითები, როდესაც ისინი იხოცებიან, უახლოესი ნათსავეები დასდებენ ეტლებზე და მეგობრებში ჩამატარებენ. ყოველი მეგობარი მხლებლებს კარგად ღებულობს და უმასპინძლდება, ხოლო გვამს ყველაფერს ისევე უწილადებენ, როგორც სხვეს. კერძო პირებს 40 დღეს დაატარებენ ასე და შემდეგ მარხავენ. დამარხვის მერე სკვითები შემდეგნაირად იწმინდებიან: ჯერ საცხებს ისვამენ თავზე და შემდეგ იბანენ, ხოლო ტანს კი ამნაირად ისუფთავებენ: სამ ხეს დაარჭობენ ერთმანეთის მიმართ დახრილს, მათზე გადასჭიმვენ შალის ნაბადს, რაც შეიძლება მჭიდროდ მოახურავენ ყვოელი მხრიდან; ხეებსა და ნაბდებს შორის, შუაში დგას ვარცლი, რომელშიც ყრიან ცეცხლისაგან გავარვარებულ ქვეს.

74. ამ ქვეყანაში იზრდება კანაფი, რომელიც ძალიან ჰგავს სელს, გარდა სისქისა და სიმაღლისა, ამით სელს ბევრად აღემატება კანაფი. ის თავისთავად იზრდება და დათესვითაც. მისგან თრაკიელები ტანსაცმელს იმზადებენ, რომელიც ძალიან ჰგავს სელისას. იმდენად ჰგავს, რომ გამოუცდელი კაცი ვერც კი მიხვდება ტანსაცმელი სელისა არის თუ კანაფისა, ხოლო ვისაც საერთოდ არ უნახავს კანაფის ტანსაცმელი, მას უთუოდ ეგონება, რომ ის სელისა არის.

75. აი, სკვითები იღებენ ამ კანაფის თესლს, შედიან ნაბდების ქვეშ და თესლს ცეცხლისაგან გავარვარებულ ქვეშე ყრიან. ამისაგან ისეთი ოხშივარი გამოდის და იმისთნა ორთქლი დგება, რომ ვერც ერთი ელინური აბანო მას ვერ აჯობებს. სიკვთები აბანოში სიამოვნებისაგან პირდაპირ ღმუიან. ეს მათთვის დაბანის მაგიერია, რადგან ისინი ტანს არასოდეს არ იბანენ წყლით. ხოლო მათი ქალები წყალში ურევვენ ოღროჩოღრო ქვაზე დანაყილ კვიპაროსს, კედარსა და ლიბანოსს, შემდეგ ამ დანაყილ სქელ მასას ისვამენ მთელ სხეულსა და სახეზე. ქალებს ამისგან თან კარგი სუნის სდით და თან, როდესაც მეორე დღეს მოიცილებენ ამ საგოზავს, სუფთები და გაკრიალებული არიან.

76. უცხო ჩვეულებებს სიკვთები სასტიკად გაურბიან და ეს სხვა ტომებზე ნაკლებ არ ეხება ელინებს, კიდევაც გამოჩნდა ეს ანაქარსისისა და შემდეგ სკილესის მაგალითებზე. ჯერ ანაქარსისის შესახებ - მან მრავალი ქვეყანა დაიარა, ყველგან დიდი სიბრძნე გამოიჩინა და ბრუნდებოდა უკან სიკვთების სამყოფელში. ჰელესპონტზე რომ მიცურავდა, მიადგა კიძიკოსს და ნახა, რომ კიძიკოსელები ღმერთების დედა დიდი ზეიმით უხდიდნენ დღესასწაულს. ანაქარსისმა აღუთქვა ღმერთების დედას, რომ თუ უვნებელი და ჯანმრთელი დაბრუნდება თავის სამშობლოში, ისეთსავე მსხვერპლშეწირვას მოუწყობს მას, როგორსაც კიძიკოსელები აკეთებდნენ და დააწესებს ღამისთევას. როდესაც მოვიდა სკვითების ქვეყანაში, წავიდა ეგრეთ წოდებულ ჰილაფეში (ეს ყველნაირი ხეებით სავსე ადგილი აქილევსის სარბიელთანაა), აი, აქ წავიდა ანაქარსისი და ნამდვილი დღეობა გაუმართა

ღმერთქალს, ისე რომ ხელში დაირები ეჭირა, ხოლო ზედ მისი გამოსახულებები ეკიდა. ვილაც სკვითმა შენიშნა, მას რომ აკეთებდა და ამბავი მიუტანა მეფე სავლიოსს. მეფე თვითონ მოვიდა და რომ დაინახა ანაქარსისი ამ ყოფაში, მოკლა მშვილდისრით ახლა თუ ვინმე იკითხავს ანაქარსისს, სკვითები მას პასუხობენ, რომ ასეთს არავის იცნობენ და ეს იმიტომ ხდება, რომ მან იმოგზაურა ელადაში და უცხოურ ჩვეულებებს მისდია. როგორც მოვისმინე ტიმნესისაგან, არიაპედეთის მერუვისაგან, ანაქარსისი იყო სკვითების მეფის, იდნათრისოსის მამის ძმა, შვილი - გნუროსისა, ლიკოსის ძისა და სპარგაპედტესის შვილიშვილისა, ხოლო თუ ანაქარსისი მართლაც ამ სახლიდან იყო, მაშინ ის მოუკლავს თავის ძმას, რადგან იდნათრისოსის შვილი იყო სავლიოსის, ხოლო სწორედ სავლიოსმა მოჰკლა ანაქარსისი.

77. მე კიდევ სხვა რაღაც ამბავი მოვისმინე, რომელსაც პელოპონესელები მოგვითხრობენ, თითქოს ანაქარსის სკვითების მეფემ გაგზავნა ელადაში სასწავლებლად. ხოლო უკან რომ დაბრუნდა, უთხრა თავის გამგზავნს, რომ ლაკედემონელთა გარდა ყველა ელინი ყოველგვარ სიბრძნეს ეწაფება, მაგრამ მხოლოდ ლაკედემონელებს შეუძლიათ ბრძნულად საუბარი და ბრძნული საუბრის მოსმენაო. მაგრამ ეს ამბავი თვით ელინთა მიერ არის შეთხზული და ის კაცი სწორედ ისე უნდა დაღუპული, როგორც უწინ ვთქვი. ასე დაიღუპა ის უცხო ჩვეულებათა მიმდევრობისა და ელინებთან ურთიერთობის გამო.

78. მრავალი წლის შემდეგ სკილესს, არიაპედეთის ძეს მსგავსი რამ შეემთხვა. სკვითების მეფეს, არიაპედეთის სხვა შვილებს შორის ჰყავდა ერთი, სკილეს, ის განუჩნდა მეფეს ისტრიელი ქალისაგან და არა ადგილობრივი სკვითისაგან, მას თვითონ დედამ ასწავლა ელინური ენა და წერა. ცოტა ხნის შემდეგ არიაპედეთისი მოკვდა აგათირსების მეფის, სპარგაპედეთის მზაკვრობის შედეგად, ხოლო სამეფო მიიღო სკილესმა და მასთან ერთად მამის ცოლიც, რომელსაც სახელად ერქვა ოპოდე.

ეს ოპოდე იყო ადგილობრივი მცხოვრები და მისგან არიაპედეთს ჰყავდა შვილი, ორიკოსი. სკილესი მეფობდა სკვითებზე, მაგრამ სულაც არ უყვარდა სკვითური ცხოვრება, რადგან ბევრად უფრო ერჩივნა ელინური ზნე-ჩვეულებები, რაკილა ბავშვობიდანვე ასე იყო აღზრდილი. ამიტომაც ასე იქცეოდა: როდესაც კი წაიყვანდა სკვითების ლაშქარს ბორისტენიტების ქალაქში (ხოლო თვითონ ბორისტენიტები თავისთავს მიღეტელებს უწოდებენ) და მათთან მივიდოდა, სკილესი ლაშქარს გარეუბანში დასტოვებდა, თვითონ კი შედიოდა გალავანში ნდა აკეტილებდა კარიბჭებს, იხდიდა სკვითურსა და იცვამდა ელინურ ტანსაცმელს, ეს ეცვა, დადიოდა ბაზარზე და არც მცველები ახლდნენ თან და არც სხვა ვინმე (ხოლო კარიბჭეს იცავდნენ რომ ვინმეს სკვითს არ დაენახა ამ ტანსაცმელში). ის საერთოდ ცხოვრების ელინურ წესების მისდევდა და ღმერთებსაც მსხვერპლს ელინური ჩვეულებების მიხედვით სწირავდა. როდესაც გაატარებდა აქ თვეს ან მეტს, ისევ იცვამდა სკვითურ ტანსაცმელს და უკან მიდიოდა. ამას ის ხშირად აკეთებდა. ამას გარდა ბორისტენესში სახლი აიშენა და იქ ცოლად ადგილობრივი ქალი მოიყვანა.

79. ხოლო სკილესს უბედურება უნდა დამართოდა და დაემართა კიდევაც შემდეგი შემთხვევის გამო: მას ძალიან უნდოდა ზიარებოდა დიონისეს ბაკქიურ მისტერიას. როდესაც მან განიზრახა ჩაბმულიყო მისტერიაში, შემდეგი დიდი სასწაული მოხდა: ბორისტენიტების ქალაქში მას დიდი და ძვირფასი სასახლე ჰქონდა, რომელიც

ცოტათი ზემოთ ვახსენე და რომლის ირგვლივაც თეთრი ქვის სფინქსები და გრიფონები იდგნენ. ამ სასახლეს სტყორცნა ღემრთმა ისარი და ის მთლიანად დაიწვა, მაგრამ სკილესს ამის გამო სულაც არ აუღია ხელი მისტერიაში მონაწილეობაზე. სკვიტები ელინებს ბაკქიურ დღესასწაულისათვის მრახავდნენ; ამბობდნენ, რომ არაფერი საჭიროა ისეთი ღმერთის გამოგონება, რომელიც ადამიანებს აგიჟებსო. როდესაც სკილესი ჩაება ბაკქიურ მისტერიაში, ერთმა ბორისთენიტმა მიიბრინა სკვიტებთან და უთხრა: "სკვიტებო, ჩვენ დაგვცინით იმისათვის, რომ ბაკქიურ დღესასწაულს ვმართავთ და ღმერთს ვყავართ შეპყრობილი. ახლა კი იმავე ღვთაებას შეუპყრია თქვენი მეფე, რომელიც ბაკქიურ დღესასწაულშიც მონაწილეობს და ღმერთს გაუგვიჟებია კიდევ. თუ ჩემი არ გჯერათ, მომყევით და გიჩვენებთ". სკვიტთა მეთაურები მიჰყვნენ მას, ბორისთენიტმა ისინი წაიყვანა და ჩუმად დასხა კომპოზე. სკილესმა ჩამოიარა საზეიმო პროცესიასთან ერთად და სკვიტებმა დაინახეს, თუ როგორ მონაწილეობდა ის ბაკქიურ მისტერიაში. ეს ამბავი დიდ უბედურებად მიიჩნიეს, წავიდნენ და შეატყობინეს მთელ ლაშქარს, რაც ნახეს.

80. ამის შემდეგ სკილესი რომ დაბრუნდა უკან, სკვიტებს მისი ძმა ოქტამასადესი დაეყენებინათ მეფედ (ეს იყო ტერესის ასულის შვილი) და სკილესისაგან გამდგარიყვნენ. სკილესი თრაკიაში გაიქცა, როცა გაიგო, რა მოელოდა და მის მიმართ ასეთი ქცევის მიზეზი შეიტყო. ოქტამასადესმა რომ ეს გაიგო, თრაკიის წინააღმდეგ გაილაშქრა, ისტროსს რომ მიადგა, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ თრაკიელები, ის იყო ერთმანეთს უნდა შეებოდნენ, რომ სიტალკესმა კაცი გაუგზავნა ოქტამასადესს და შეუთვალა: "რად გვინდა ერთმანეთის გამოცდა? შენ ჩემი დის შვილი ხარ, ჩემი ძმა კი შენს ხელშია. მომეცი ჩემი ძმა და სამაგიეროდ სკილესს მოგცემ. ხოლო ლაშქარს არც შენ ჩააგდებ საფრთხეში და არც მე". სიტალკესმა კაცი გაუგზავნა და ეს შეუთვალა. მართლაც და, ოქტამასადესთან იყო სიტალკესის ძმა, მისგან გაქცეული, ოქტამასადესი დაეთანხმა ამაზე, მისცა სიტალკესის თავისი საკუთარი დედისძმა და მისგან მიიღო თავისი ძმა, სკილესი. სიტალკესმა ძმა რომ ხელთ იგდო, წაიყვანა აქედან, ხოლო ოქტამასადესმა იქვე მოჰკვება სკილესს თავი. აი, ასე იცავენ სკვიტები თავის წესებს, ხოლო ვინც უცხოელთა ჩვევებს შეითვისებს, იმათ ამნაირად სჯიან.

81. სკვიტების რაოდენობის ზუსტად გარკვევა ვერ შევძელი; მათი სიმრავლის შესახებ სხვადასხვა აზრი მოვისმინე. ერთი აზრის მიხედვით ისინი ძალიან ბევრნი არიან, ხოლო მეორე აზრის თნახმად - მცირერიცხოვანნი. მაგრამ ჩემი თვალით მე, აი, რა ვნახე: მდინარე ბორისთენესსა და ჰიპანისს შორის არის ადგილი, რომელსაც სახელად ჰქვია ესამპადოსი, რაც მოვიხსენე ცოტათი ზემოთ, როდესაც ვთქვი, რომ იქ მწარე წყლის წყაროა, საიდანაც გამოდენილი წყალი ჰიპანისს სასმელად უვარგისს ხდის მეთქი. ამ ადგილას დგას სპილენძის ქვაბი, პავსანიას კლეომბროტოსის ძის მიერ პოტოს სრუტესთან დადგმულ ჭურჭელზე ექვსჯერ უფრო დიდი. ვისაც ის სულ არ უნახავს, მათთვის ასე ავწერ: სკვიტების სპილენძის ჭურჭელში სულ ადვილად ჩადის 600 ამფორა, ხოლო ამ სკვიტური ჭურჭლის სისქე არის 6 თითი. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, ისრის პირებისაგან არის გაკეთებულიო. მათმა მეფემ, რომელსაც სახელად ერქვა არიანტასი, მოინდომა შეეტყო სკვიტების რაოდენობადა ბრძანა, ყველა სკვიტს, თითოს თითო ისრის პირი მოეტანა. ვინც არ მოიტანდა, იმას სიკვდილით დაემუქრა. უამრავი ისრის პირი მოიტანეს და მეფემ გადაწყვიტა მათგან თავისი სახსოვარი რამე გაეკეთებინა და დაეტოვებინა. აი, აქედან გაკეთდა ეს

სპილენძის ჭურჭელი და დაიდგა ექსამპლარში. ეს მოვისმინე სკვიტების სიმრავლის შესახებ.

82. გარდა ძალიან დიდი და მრავალრიცხოვანი მდინარეებისა, ღირშესანიშნავი ამ ქვეყანაში არაფერია. თუმცა, მდინარეებისა და დაბლობის სიდიდის გარდა გაკვირვების ღირსია და მოსახსენებელი შემდეგი: კლდეზე, მდინარე ტირესის პირად აჩვენებენ ჰერაკლეს ნაკვალევს, რაც კაცის ნატერფალს ჰგავს, მხოლოდ სიდიდით ორი წყრთაა. ასეა ამბავი. ახლა კი დავუბრუნდები იმას, რაც თავიდან უნდა მომეთხრო.

83. როდესაც დარიოსი ემზადებოდა სკვიტებზე გასალაშქრებლად და დაგზავნა მოციქულები, რათა მისი განკარგულებით ზოგს ქვეითი ლაშქარი მოემზადებინა, ზოგსაც ხომალდები, ხოლო დანარჩენებს ხიდი გაედოთ თრაკულ ბოსფორზე, არტაბანოსმა, ჰისატკესის ძემ (რომელიც დარიოსის ძმა იყო) სთხოვა მას, არავითარ შემთხვევაში არ გაელაშქრა სკვიტების წინააღმდეგ და აუწერა, თუ რა სიძნელეები იყო სკვიტებთან დაკავშირებული. მაგრამ დარიოსმა რომ არ შეისმინა მისი კეთილი რჩევა, იმანაც თავი დაანება. დარიოსმა ყველაფერი რომ მოამზადა, გაიყვანა ლაშქარი სუსადან.

84. ამ დროს ერთ-ერთმა სპარსელმა, ოდობადოსმა სთხოვა დარიოსს, სამი შვილი მყავს, სამივენი მოდიან სალაშქროდ და ერთი მაინც დამიტოვეო, დარიოსმა უპასუხა, რომ უყვარს ოდობადოსი და მისი თხოვნაც ბუნებრივად მიაჩნია, ამიტომ ყველა შვილს დაუტოვეს. ოდობადოსს ძალიან გაეხარდა და ეგონა, რომ შვილები ლაშქრობისგან გაათავისუფლდა; დარიოსმა კი უბრძანა ამასთან მყოფ მეთაურებს, დაეხოცათ ოდობადოსის სამივე შვილი, და ისინიც, დახოცილები მართლაც დარჩნენ იქვე.

85. დარიოსი სუსადან რომ გავიდა, მივიდა კალქედონიეში, რომელიც ბოსფორთანაა, სადაც ხიდი იყო გადებული. აქ ავიდა ხომალდზე და გასცურა ეგრეთ წოდებულ კიანეებისაკენ, რომლებიც, როგორც ელინები ამბობენ, უწინ მოხეტიალენი იყვნენ. დაჯდა კონცხზე და ათვალიერებდა პონტოს, რომელიც მართლაც ღირსია დათვალიერებისა; ის ყველა ზღვაზე უფრო საოცარია: სიგრძით არის 11100 სტადიონი, ხოლო მისი ყველაზე უფრო ფართო ნაწილის სიგრძე 33000 სტადიონია. ამ ზღვის სრუტე სიგანით არის ოთხი სტადიონი, ხოლო სრუტის სიგანე ანუ მისი ყელი, რომელსაც ბოსფორი ეწოდება და სადაც ხიდია გადებული, დაახლოებით 120 სტადიონია, ბოსფორი გადაჭიმულია პროპონტიდამდე. ხოლო პროპონტიდა, რომელიც სიგანით 500 სტადიონია და სიგრძით - 1400, ერთვის ჰელესპონტს, რომლის უვიწროესი ადგილი არის 7 სტადიონი, ხოლო სიგრძე - 400. ჰელესპონტი ერთვის გაშლილ ზღვას, რომელსაც ეგევსის ზღვა ეწოდება.

86. ხოლო მანძილები ასეა გაზომილი: ხომალდი ჩვეულებრივ გრძელმ დღეში გადის 70000 ორგიას, ხოლო ღამით 60000-ს. სრუტიდან ფასისამდე (ეს ხომ პონტოს ყველაზე გრძელი მანძილია) ცურვას უნდებიან 9 დღესა და 8 ღამეს. ეს იქნება 1110000 ორგია, ხოლო ამ ორგიებიდან გამოდის 11100 სტადიონი, ხოლო სინდიკედან თემისკირემდე, რომელიც მდებარეობს მდინარე თერმოდონტთან (პონტო აქ ყველაზე უფრო ფართოა), მანძილი სამი დღისა და ორი ღამის საცურაოა. ეს იქნება 330000 ორგია,

ხოლო სტადიონობით რომ ვიანგარიშო - 33000 სტადიონი. ეს პონტოც, ბოსფორიცა და ჰელესპონტიც ასე გავზომე და ყველაფერი ისეა, როგორც ზემოთ ვთქვი. ამ პონტოს მახლობლად მდებარეობს ტბა, რომელიც უერთდება პონტოს და მასზე არც თუ ბევრად პატარაა, მას ეწოდება მამეტიციცია და პონტოს დედაც.

87. დარიოსმა რომ დაათვალიერა პონტო, გასცურა უკან ხიდისაკენ, რომლის მშენებელიც იყო მანდროკლეს სამოსელი. ბოსფორიც რომ დაათვალიერა, მის ნაპირზე დაადგმევინა ორი სტელა, თეთრი ქვისა, ზედ ამოაკვეთინა წარწერები, ერთზე ასირულად, ხოლო მეორეზე ელინურად და ჩამოთვალა ყვლა, ვინც კი თან მიჰყავდა, ხოლო თან მიჰყავდა ყველა, ვინც კი მისი ხელქვეითი იყო. მათი რიცხვი მხედრების ჩათვლით 700000 იყო, გრდა ფლოტისა, ხომალდი კი მან 600 შეაგროვა. ეს სტელები შემდეგ ბიძანტიონელებმა წაიღეს თავის ქალაქში და გამოიყენეს არტემიდე ორთოსის საკურთხევლისათვის, გარდა ერთი ქვისა, რომელზედაც ასირიული წარწერა იყო და ის დასტოვეს დიონისეს ტაძართან ბიძანტიონში. ბოსფორის ის ადგილი, სადაც ხიდი გასდო მეფე დარიოსმა, მე მგონია, ბიძანტიონსა და იმ სალოცავს შორის არის, რომელიც სრუტესთან დგას.

88. მას შემდეგ რაც დარიოსმა მოიწონა ხიდი, მის მაშენებელს, მანდროკლეს სამოსელს აჩუქა ყველაფერი 10-10. ამის სამაგიეროდ მანდროკლესმა დახატა სურათზე ბოსფორის მთელი ხიდი, ტახტზე მჯდომი მეფე დარიოსი და მისი ლაშქარი, რომელიც გადადიოდა ამ ხიდზე, ეს დახატა, შესწირა ჰერას სალოცავს და ზედ წააწერა:

"თევზით მდიდარ ბოსფორზე ხიდი ააგო მანდროკლესმა და ჰერას უძღვნა ეს სურათი ხიდის მოსაგონებლად, თვითონ მან ამით გვირგვინი დაიდგა, ხოლო სამოსელებს სახელი მოუხვეჭა, რადგან მეფე დარიოსის გული მოიგო ამის გაკეთებით".

89. ეს იყო ის მოსაგონარი, რაც დასტოვა ხიდის მაშენებელმა. ხოლო დარიოსი, მას მერე რაც მან მანდროკლესი დაასაჩუქრა, გადავიდა ევროპესი, იონიელებს კი უბრძანა, გაეცურათ პონტოში მდინარე ისტროსამდე, ხოლო როდესაც მიაღწევდნენ ისტროსს, იქ დაეცადათ მისთვის და ხიდი გაედოთ მდინარეზე. ფლოტი მიჰყავდათ იონიელებს, ეოლიელებს და ჰელესპონტელებს. ფლოტმა კიანეებს რომ ჩაუარა, მერე პირდაპირ ისტროსისაკენ გასცურა, მდინარეზე მან აღმა იცურა ზღვიდან ორი დღის სავალზე მდინარის იმ ადგილამდე, საიდანაც ისტროსი ორ ტოტად იყოფა და აქ გასდო ხიდი. დარიოსმა ბოსფორი რომ ხიდით გადაიარა, შემდეგ თრაკია განვლო, მივიდ მდინარე ტეროსის სათავეებთან და აქ დაიბანაკა სამ დღეს.

90. როგორც ირგვლივ მაცხოვრებლები ამბობენ, ტაეროსი მდინარეთა შორის გამოირჩევა, როგორც საერთოდ სამკურნალო თვისებების მქონე და განსაკუთრებით კი იმით, რომ მუნისგან ჰკურნავს ხალხსაც და ცხენებსაც. ამ მდინარეს აქვს ორის გამოკლებით ორმოცი სათავე და ყველა ეს სათავე ერთსა და იმავე კლდეშია. ზოგიერთი სათავის წყალი ცივია, ხოლო ზოგი - თბილი. ამ წყაროებამდე თანაბარი მანძილია ქალაქ ჰერმონიდან, რომელიც პერინთოსთანაა და აპოლონიიდან, რომელიც არის ევქსინის პონტოსთან. გზას უნდება ორი დღე. ეს ტეაროსი ერთვის

მდინარე კონტადესდოსს, კონტადესდოსი - აგრიანესს, აგრიანესი ჰებროსს, ეს კიდეც - ზღვას ქალაქ ანოსთან.

91. ამ მდინარეს რომ მიაღწია დარიოსმა, დაიბანაკა, მოეწონა მდინარე და აღმართა იქ სტელა, რომელზედაც წააწერა შემდეგი: "მდინარე ტეაროსის წყაროების წყალი შესანიშნავია და საუკეთესო ყველა სხვა მდინარის წყალთან შედარებით. ამ წყაროებთან მოვიდა ყველა ადამიანთა შორის შესანიშნავი და საუკეთესო ვაჟკაცი, დარიოს ჰისტასპესის ძე, სპარსელების და მთელი ხმელეთის მეფე, როდესაც მას სკვითების წინააღმდეგ მიჰყავდა ლაშქარი". აი, ეს იყო ამ სტელაზე დაწერილი.

92. დარიოსი აქედან წამოვიდა და მიაღწია სხვა მდინარს, რომელსაც სახელად ჰქვია არტესკოსი და რომელიც მიედინება ოდრისებზე. ამ მდინარესთან მოსული ასე მოიქცა: უჩვენა ლაშქარს ერთი ადგილი და უბრძანა ყოველ კაცს, ამ ადგილთან რომ ჩაივლიდა, თითო ქვა დაედო. ლაშქარმა შეასრულა მისი განკარგულება და დარიოსმა ლაშქარი რომ წაიყვანა აქედან, ამ ადგილას ქვების დიდი გორები დატოვა.

93. ვიდრე ისტროსამდე მივიდოდა, დარიოსმა პირველად დაიპყრო გეტები, რომელთაც თავი უკვდავად მიაჩნდათ. ხოლო თრაკიელები, რომლებსაც უჭირავთ სალმიდესოსი და ისინი, რომლებიც ცხოვრობენ აპოლონიისა და ქალაქ მესამბიის ზემოთ და ეწოდებათ სკირმიადები და ნიფსეები, უბრძოლველად დანებდნენ დარიოსს. გეტები კი, რომლებიც თრაკიელთა შორის ყველაზე მამაცები და სამართლიანები არიან, მოუფიქრებლად მოიქცნენ და მაშინვე ტყვეობაში ჩაცვივდნენ.

94. მათ ადამიანის უკვდავება ასე ესმით: იმათ ჰგონიათ, რომ კი არ კვდებიან, როდესაც იხოცებიან, არამედ მიდიან ღვთაება სალმოქსისთან. ზოგი მათგანი ამ ღვთაებას გებელიძისს უწოდებს. ისინი ყოველ მეხუთე წელიწადს მუდამ, კენჭისყრით თავისი წრიდან გზავნიან მოციქულს სალმოქსისთან და ავალებენ მას, რაც უფრო სჭირდებათ იმჟამად. ხოლო მიცულის გაგზავნა ასე ხდება: ზოგიერთები დაეწყობიან და ხელში სამ-სამი შუბი უჭირავთ, სხვები კიდეც სალმოქსისთან წარგზავნილს ჩასჭირდებენ ხელს ხელებსა და ფეხებში, აისვრიან მალა და დააგებენ შუბებზე. თუ ეს ზედწამოგებული მოკვდა, მიიჩნევენ, რომ ღმერთი მათ მიმართ მოწყალეა, ხოლო თუ არ მოკვდა, მაშინ დაადანაშაულებენ თვით მოციქულს, იტყვიან, ცუდი კაციაო, დაადანაშაულებენ და სხვას გაგზავნიან მოციქულად. ისინი დავალებებს მაშინ აძლევენ, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ არის კაცი. თვითონ ეს თრაკიელები ჭექა-ქუხილის დროს ისრებს ესვრიან ცას და ემუქრებიან ღმერთს: ისინი არც ერთ სხვა ღმერთს არ ცნობენ, გარდა თავისი საკუთარი ღმერთისა.

95. როგორც შევიტყვე ჰელესპონტთან და პონტოსთან მცხოვრებ ელინთაგან, ეს სალმოქსისი იყო სამოსზე მონობაში ნამყოფი კაცი, სახელდობრ, ის იყო მონა პითაგორეს მნესარქოსის ძისა. შემდეგ განთავისუფლდა და დიდი ქონება მოიპოვა და რომ მოიპოვა, უკან დაბრუნდა სამშობლოში. თრაკიელებს მძიმე ცხოვრება ჰქონდათ და ისედაც სულელები იყვნენ, სალმოქსისი კი გაეცნო იონიელების ცხოვრებას და უფრო განათლებულ ჩვევებს, ვიდრე თრაკიელებს ჰქონდათ, რადგან ელინებთან ჰქონდა ურთიერთობა და ელინთა შორის კიდეც პითაგორესთან, რომელიც სიბრძნის მხრივ უკანასკნელი არ ყოფილა. სალმოქსისმა გააკეთებინა დარბაზი, სადაც ღებულობდა მოქალაქეთა თავკაცებს, უმასპინძლებოდა მათ და ასწავლიდა, რომ არ

მოკვდებიან არც თითონ, არც მისი თანამეინახენი და არც ისინი, ვინც მათგან ოდესმე გაჩნდებიან, არამედ წავლენ ისეთ ადგილას, სადაც იქნებიან მუდამ და ექნებათ ყოველივე სიკეთე. იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ის ამას აკეთებდა, რაც ვთქვი და ასე ლაპარაკობდა, მან გაიკეთა მიწისქვეშა საცხოვრებელი, როდესაც საცხოვრებელი მზად იყო, სალმოქსისი გაუჩინარდა თრაკიელთათვის, ჩავიდა ქვემოთ, მიწისქვეშა საცხოვრებელში და იქ იცხოვრა სამ წელიწადს. ხოლო თრაკიელები სწუხდნენ და ისე განიცდიდნენ, თითქოს ის მკვდარი ყოფილიყოს. მეოთხე წელს ის ეჩვენა თრაკიელებს და ამით დაიჯერეს თრაკიელებმა ის, რასაც მათ სალმოქსისი ეუბნებოდა. ამბობენ, რომ ასე მოიქცაო.

96. მის შესახებ მოთხორბას და მიწისქვეშა საცხოვრებლის ამბავს მე არც მთლად უნდობლად ვეკიდები და არც მაინცდამაინც მჯერა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს სალმოქსისი პითაგორესზე მრავალი წლით ადრე ცხოვრობდა. ისე კი, სალმოქსისი კაცთაგანი იყო, თუ გეტების რომელიმე ადგილობრივი ღვთაება, კარგად იყოს! ეს ხალხი, რომელსაც ამნაირი წეს-ჩვეულებები ჰქონდათ, დაიმორჩილეს თუ არა სპარსელებმა, გაჰყვა მათ ლაშქარს.

97. როდესაც სარიოსი და მასთან ერთად მყოფი ქვეითი ჯარი მივიდნენ ისტროსთან და მდინარეზე გადავიდნენ, დარიოსმა უბრძანა იონიელეს, დაენგრიათ ხიდი და მას გაჰყოლოდნენ ხმელეთზე ხომალდებზე მყოფ ლაშქართან ერთად. როდესაც იონიელებმა ხიდის დანგრევა და ბრძანების აღსრულება დააპირეს, კოესმ, ექსანდროსის ძემ, რომელიც მიტილენელთა მხედართმთავარი იყო, დარიოსს უთხრა (მას მერე რაც შეიტყო, ესიამოვნება თუ არა დარიოსს, მოისმინოს აზრი იმისგან, ვისაც მისი გამოთქმა სურს): "მეფეო, შენ აპირებ ასეთ ქვეყანაზე გალაშქრებას, სადაც ვერ ნახავ ვერც მოხნულ მიწას და ვერც დასახლებულ ქალაქს. დატოვე ეს ხიდი იმავე ადგილას და მცველებად დაუყენე ისინი, ვინც ეგ ააგო. რაც გუნებასი გვაქვს, თუ ისე აგვიხდა და ვიპოვეთ სკვითები, მაშინ უკან დაბრუნებაც შეგვეძლება, ხოლო თუ ვერ შევძელით მათი პოვნა, უკან დაბრუნება მაინც საზრუნავი აღარ გვექნება. მე იმისი კი არ მეშინია, რომ სკვითები ბრძოლაში დაგვამარცხებენ, არამედ უფრო იმისი, რომ იმათ ვერ ვიპოვნით და ხეტიალში დავიტანჯებით. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მე ამას ჩემი გულისათვის ვამბობ, რომ აქ დარჩენა მინდა, მაგრამ მეფეო, ამას იმიტომ ვამბობს, რომ შენთვის მიმაჩნია ეს აზრი საუკეთესოდ. მე თვითონ, რა თქმა უნდა, შენ წამოგყვები და ნაბიჯითაც არ ჩამოგრჩები". დარიოსს ძალიან მოეწონა ეს აზრი და შემდეგი უპასუხა: "მვირფასო ლესბოსელო, როდესაც შინ მშვიდობით დავბრუნდები, უქველად მოდი ჩემთან, რათა კარგი რჩევისათვის კეთილი საქმეები მოგაგო".

98. ეს რომ თქვა, 60 ნასკვი გააკეთა თასმაზე, დაუძახა მოსალაპარაკებლად იონიელთა ტირანებს და უთხრა: "იონიელო ვაჟკაცებო, შევიცვალე ის აზრი, უწინ რომ მქონდა ხიდის შესახებ, ახლა წაიღეთ ეს თასმა და ასე მოიქცეთ; როგორც კი დაინახავთ, რომ წავედი სკვითების წინააღმდეგ, იმდ როიდან დაიწყეთ და ყოველდღე თითო ნასკვი გახსენით, თუ არ დავბრუნდი იმ დროისათვის ნასკვებით აღრიცხული დღეები რომ გაივლის, გასცურეთ უკან თქვენი ქვეყნისაკენ, მანამდე კი, ასე გადავწყვიტე, დაიცავით ხიდი, გულმოდგინედ იზრუნეთ მისი გადარჩენისა და დაცვისათვის. ასე თუ მოიქცევით, მე დიდად მასიამოვნებთ". ეს თქვა დარიოსმა და წავიდა წინ.

99. თრაკია სკვითიის ქვეყანაზე უფრო ზღვისაკენ მდებარეობს, სადაც ამ ქვეყნის უბე იწყება, იქაა სკვითია და ისტროსიც აქ შედის სკვითიაში, აღმოსავლეთით რომ შებრუნდება ზღვის შესართავისაკენ. ისტროსიდან დავიწყებ ამ სკვითიის მხარის ზღვისაკენ მდებარე ნაწილის აღწერას, მისი გაზომვის მიზნით. ისტროსისაგან დაწყებული ნაწილი არის ძველი სკვითია, იგი მდებარეობს სამხრეთისკენ, სამხრეთის ქარის მიმართულებით და ვრცელდება კარკინიტისად წოდებულ ქალაქამდე, შემდეგ ნაწილი ამის მერე არის იმავე ზღვასთან, ესაა მთიანი ქვეყანა, ის დასახლებულია ტავრების ტომით და ვრცელდება ნახევარკუნძულამდე, რომელსაც ეწოდება კლდოვანი. ის შედის ზღვაში აღმოსავლეთის ქარის მიმართულებით. სკვითიას ორ მხრივ საზღვრად აქვს ზღვა, სამხრეთით და აღმოსავლეთით, ისევე, როგორც ატიკის ქვეყანას. ტავრები ისევე ცხოვრობენ სკვითიაში, როგორც მაგალითად ატიკაში რომ სვა ტომს ეცხოვრა და არა ათენელებს სუნიონის კონცხზე (მხოლოს ისე, რომ ზღვაში უფრო მეტად ყოფილიყო კონცხი შეჭრილი), თორიკოსიდან სოფელ ანაფლისტოსამდე. ამის შესახებ მე იმდენად ვლაპარაკობ, რამდენადაც შესაძლებელია პატარა რამის შედარება დიდთან. აი, ასეთი არის ტავრიკე. ხოლო მას, ვისაც ატიკის ამ ნაწილის ირგვლივ ხომალდით არ შემოუვლია, მე სხვაგვარად ავუხსნი: წარმოიდგინოს მან, რომ იპოვა კონცხი ბრენტესიონის ნავსადგურიდან ვიდრე ტარანტამდე გამოყოფილი და დასახლებული იყოს სხვა ტომით და არა იაპიგებით.

მე მხოლოდ ეს ორი დავასახელე, მაგრამ კიდევ ბევრი სხვისი დასახელება შეიძლება იმის განსამარტავად, თუ რას ჰგავს ტავრიკე.

100 ტავრიკის აქეთ, ტავრებს ზემოთ და აღმოსავლეთის ზღვასთან ცხოვრობენ სკვითები, რომლებსაც უჭირავთ კიმერიის ბოსფორის დასავლეთის ნაწილი და მადეტისის ტბის მიდამოები მდინარე ტანისამდე, რომელიც ერთვის ამ ტბის ყურეს. ისტროსიდან ზემოთ მდებარე ადგილებში, რომლებსაც მივყავართ ხმელეთის შიგნით, სკვითიის მეზობლები პირველად აგათირსები არიან, შემდეგ ნევრები, მერე ანდროფაგები და ბოლოს მელანქლაანები.

101. სკვითიე თითქოს ოთხკუთხედის ფორმისა, მისი ორივე გვერდი აღწევს ზღვამდე, ამასთანავე სრულიად ტოლებია ხმელეთის შიგნით მიმართული გვერდი და ის, რომელიც ზღვის გასწვრივ არის. ისტროსიდან ბორისთენესამდე ათი დღის გზაა, ხოლო ბორისთენესიდან მადეტისის ტბამდე - მეორე ათი დღისა. ზღვიდან შუა ხმელეთამდე, მელანქლაანებდე, რომლებიც ცხოვრობენ სკვითების ზემოთ, არის 20 დღის სავალი გზა, დღიურ გზად მე მიმაჩნია 200 სტადიონი. ამგვარად, სკვითიის დიაგონალი არის 4000 სტადიონი, ხოლო ის სწორი ხაზები, რომლებსაც ქვეყნის შიგნით მივყავართ, კვლავ ამდენსავე სტადიონს შეიცავენ. აი, ასეთია ამ ქვეყნის სიდიდე.

102. ხოლო სკვითებმა მოიაზრეს, რომ ისინი მარტო ვერ ძლევენ დარიოსის ლაშქარს პირისპირ ბრძოლაში და დაგზავნეს შიკრიკები მეზობლებში. ამ ხალხების ბასილევსები შეკრებილიყვნენ და თათბირობდნენ იმის შესახებ, თუ დიდ ჯარს როგორ გამკლავებოდნენ, ხოლო ეს შეკრებილი ბასილევსები იყვნენ: ტავრების, აგათირსების, ნევრების, ანდროფაგების, მელანქლაანების, გელონების, ბუდინებისა და სავრომატების ბასილევსები.

103. ამ ტომთა შორის ტავრები შემდეგ წესებს მისდევენ:

ქალწულს¹ მსხვერპლად სწირავენ ყველა იმ ელინს, ვისაც ხომალიდ დაეღუპება, ანდა ვისაც ისინი შეიპყრობდნენ და ამას შემდეგნაირად აკეთებენ: იწყებენ მსხვერპლშეწირვას და მას თავში კომბალს ურყტამენ. ზოგიერთები ამბობენ, სხეულს კლდიდან ძირს აგდებენ (ამ კლდეზე სალოცავია აგებული), თავს კი სარზე ჩამოაგებენ; ხოლო სხვები თავის შესახებ თავის შესახებ ამ აზრისანი არიან, ხოლო სხეულზე ამბობენ, კლდიდან კი არ აგდებენ, მიწაში ფლავენო. ამ ღმერთქალის შესახებ, რომელსაც მსხვერპლს სწირავენ, თვითონ ტავრები ამბობენ, რომ იფეგენეა არისო, აგამენონის ასული. ხოლო მტერს, რომელსაც კი ხელთ იგდებენ, ისინი ასე ექცევიან: ყოველ მათგანი სჭრის მტერს თავს და მიაქვს სახლში, შემდეგ ძლიან დიდ ჯოხზე დაარჭობენ თავს და დააყენებენ სახლს ზემოთ, მასზე ბევრად უფრო მაღლა, მეტ წილად საკვამურის ზემოთ. ისინი ამბობენ, რომ ესენი მთელი იმ სახლის მცველები არიან, რომლის ზემოთაც დააყენეს. ტავრები ცხოვრობენ ყაჩაღობითა და ომებით.

104. ხოლო აგათირსები წყნარი ხალხია და დიდი ხალისით ატარებენ ოქროს ნივთებს. ქალებთან უერთიერთობა მათ საერთო აქვთ. ეს იმისთვის, რომ ისინი ერთმანეთის ძმები იყვნენ და ყველანი ერთმანეთის ნათესავები; არც შური ჰქონდათ და არც მტრობა ერთმანეთის მიმართ. თავის სხვა წეს-ჩვეულების მიხედვით ისინი თრაკიელებს ემსგავსებიან.

105. ნევრები სკვითური წესებს მისდევენ. დარიოსის ლაშქრობაზე ერთი თაობით ადრე ისინი იძულებული იყვნენ მთელი თავისი ქვეყანა დაეტოვებინათ გველების გამო. ეს იმიტომ, რომ ჯერ მათ ქვეყანაში გაჩნდა ძალიან ბევრი გველი და კიდევ უფრო ბევრი ზემოდა, უდაბნოებიდან ჩამოვიდა. ისე, რომ შევიწროვებულმა ნევრებმა მიატოვეს თავიანთი ქვეყანა და დასახლდნენ ბუდინებთან ერთად, ხალხს ჰგონია, რომ ისინი გრძნეულები არიან. რადგან სკვითები და ელინები, რომლებიც სკვითიაში ცხოვრობენ, ამბობენ, რომ ყოველ წელიწადში ერთხელ თითოეული ნევრი მგლად იქცევა რამდენიმე დღით და შემდეგ ისევ თავისსავე სახეს ღებულობს. ამას მეუბნებიან, მე კი არ მჯერა, თუმცა, ამბობენ და თანაც ფიცულობენ.

106. ყველა ადამიანთა შორის საგანგებოდ ველური ჩვევები აქვთ ანდროფაგებს: ისინი არც სამართალს სცნობენ და არც რაიმე კანონს მისდევენ. ისინი მომთაბარეები არიან, ტანისამოსს ატარებენ სკვითურის მსგავსს, ხოლო ენა კი საკუთარი აქვთ. ამ ხალხებიდან მხოლოდ ესენი სჭამენ ადამიანის ხორცს.

107. ყველა მელანქლადნები შავ ტანსაცმელს ატარებენ, ამის გამო აქვთ მათ ეს სახელიც, ხოლო ჩვეულებებს სკვითურს მისდვენ.

108. ხოლო ბუდინები დიდი და მრავალირცხოვანი ტომია: ისინი ლურჯთვალება და წითურთმიანები არიან. მათში არის აგებული ერთი ხის ქალაქი; ამ ქალაქის სახელია გელონოსი. გალავნის თითოეული კედლის სიგრძე არის 30 სტადიონი. ის მაღალია და მთლად ხისაა, მათი სახლებიც ხისაა და სალოცავებიც. იქ არის ელინთა ღმერთების სალოცავები, ელინური ქანდაკებებით, საკურთხევლებითა და ხის ტაძრებით, ხოლო დიონისეს ყოველ მესამე წელს უხდიან დღეობას. ეს იმიტომ, რომ

გელონები თავდაპირველად ელინები იყვნენ, წამოვიდნენ ზღვისპირა ქალაქიდან და დასახლდნენ ბუდინებში. ზოგი მათგანის ენა სკვითურია, ზოგის - ელინური.

109. ხოლო ბუდინები იმ ენაზე არ ლაპარაკობენ, რომელზედაც გელონები, არც ცხოვრება აქვთ ისეთი, როგორც გელონებს. ბუდინები ამ ქვეყნის მკვიდრნი არიან, მომთაბარეობენ და აქ მცხოვრებ ხალხთა შორის მხოლოდ ესენი არიან გირჩისმჭამელები. გელონები კი მიწათმოქმედნი არიან, სჭამენ პურს, ამენებენ ბაღს და არაფრით ჰგვანან ბუდინებს, არც შესახედავად და არც ფერით. თუმცა ელინები ბუდინებსაც გელონებს უწოდებენ, მაგრამ სწორედ არ უწოდებენ. მთელი მათი ქვეყანა სხვადასხვაგვარი ტყით არის დაფარული. უდიდეს ტყეში არის დიდი ტბა, გარშემორტყმული ჭაობითა და ლერწმით. ამ ტბაში იჭერენ წავებს, თახვებსა და სხვა ოთხკუთხა დინგიან ცხოველებს, რომელთა ტყავსაც ტყაპუჭებს აკერებენ, ხოლო მათი კვერცხები ბუნდინებს საშვილოსნოს სამკურნალო საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ.

110. სავრომატების შესაებ შემდეგს მოგვითხრობენ: როდესაც ელინები ამანებს ებრძოდნენ (სკვითები ამადონებს უწოდებენ "ოფორპატა"-ს, ელინურ ენაზე ეს სახელი ნიშნავს "კაცთმკვლელებს", რადგან "ოფორ" აღნიშნავს "მამაკაცს", ხოლო "პატა" მოკვლას), მაშინ თერმოდონტთან ბრძოლაში ელინებმა გაიმარჯვეს, გამოცურეს უკან და წამოიყვანეს სამი ხომალდი ამადონები, რომლების შეპყრობაც შეიძლეს. ამადონები ზღვაში დაესხნენ მათ თავს და ამოხოცეს მამაკაცები. ხომალდებისა მათ არა იცოდნენ რა, არც საჭეების ხმარება იცოდნენ, არც აფრებისა და ნიჩბებისა, ისე რომ მამაკაცები რომ ამოხოცეს, ამადონები მიენდვნენ ტალღებსა და ქარს და მიაღწიეს კრემნოს, მადეტისის ტბაზე, ხოლო კრემნო თავისუფალი სკვითების ქვეყანაშია. აქ გადმოვიდნენ ამადონები ხომალდებიდან და ახლა ხმელეთზე იარეს დასახლებულ ადგილამდის. შეხვდნენ თუ არა პირველსავე ცხენების ჯოგს, მოიტაცეს, ამხედრდნენ და დაიწყეს ყაჩაღობა სკვითების ქვეყანაში.

111. ხოლო სკვითებს არ შეეძლოთ აეხსნათ რა მოხდა, რადგან არც ენა იცოდნენ მათი, არც ტანსაცმელს სცნობდნენ და არც ტომს და გაოცებული იყვნენ, საიდან მოვიდნენ ისინი; ეგონათ, რომ ამადონები მამაკაცები იყვნენ, მხოლოდ ასაკით ნორჩნი და ბრძოლა გაუმართეს მათ. ბრძოლაში სკვითებმა გვამები ჩაიგდეს ხელში და ეგრე შეიტყვეს, რომ ისინი ქალები იყვნენ. სკვითებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ მოეკლათ ამადონები, ის კი არა, თავისი წრიდან გაგზავნეს ამადონებთან ყვლაზე უფრო ახალგაზრდა, იმავე რაოდენობით, რამდენნიც ამადონები იყვნენ. ახალგაზრდები უნდა დაბანაკებულიყვნენ ამადონების მახლობლად და გაეკეთებინათ ის, რასაც ქალები გააკეთებდნენ. ხოლო თუ ამადონები მათ დაედევნებოდნენ, ახალგაზრდები კი არ უნდა შებრძოლებოდნენ, არამედ უნდა გაქცეულიყვნენ. ხოლო როდესაც ამადონები შეწყვეტდნენ დევნას, ახალგაზრდები უნდა მისულიყვნენ ახლოს და დაებანაკებინათ. ასე გადაწყვიტეს სკვითებმა, რადგანაც უნდათ, რომ ამ ქალებისაგან შვილები ჰყოლოდათ.

112. გაგზავნილმა ჭაბუკებმა გააკეთეს ის, რაც ევალეზობდათ, ხოლო როდესაც შეატყვეს მათ ამადონებმა, რომ ისინი სრულიადაც არ არიან სამტროდ მოსულნი, ხელი არ ახლეს. ყოველდღიურად ანაკი ბანაკი ბანაკთან სულ უფრო ახლოს მიდოდა. ჭაბუკებს ისევე, როგორც ამადონებს არაფერი ჰქონდათ, გარდა იარაღისა და

ცხენებისა. ამიტომ ჭაბუკებიც იმავე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რომლითაც ამადონები, ე.ი. ნადირობდნენ და ყაჩაღობდნენ.

113. ამადონები შუადღისას იფანტებოდნენ ცალ-ცალკე ან ორ-ორად და ერთმანეთიდან შორს სხდებოდნენ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სკვითებმმა ეს შეიყტვეს და დაიწყეს თვითონაც ამის კეთება. ერთი ჭაბუკი განმარტოვდა და ამადონთაგან ერთ-ერთს მიუახლოვდა, ამადონმა არ გააძევა და ნება დართო მასთან დაწოლილიყო. ქალს ლაპარაკი არ შეეძლო (რადგანაც არ იცოდნენ ერთმანეთის ენა), მაგრამ ხელით ანიშნა, რომ მეორე დღეს მოსულიყო ამავე ადგილას და მეორე კაციც მოეყვანა, ანიშნა, რომ ორნი იქნებიან, რომ თვითონაც მეორე ქალს მოიყვანს. ჭაბუკი წავიდა და უთხრა ყველაფერი დანარჩენებს. მეორე დღეს მოიდა ამავე ადგილას თვითონ და მეორეც მოიყვანა, ნახა ამადონი და მასთან ერთად მეორეც, რომელიც მათ ელოდებოდნენ, დანარჩენმა ჭაბუკებმა რომ შეიტყვეს, თვითონაც მიიჩვიეს დანარჩენი ამადონები.

114. შემდეგ შეაერთეს ბანაკები და დასახლდნენ ერთად. თითოეულ ჭაბუკ ჰყავდა ის ქალი, რომელთანაც პირველად იწვა. კაცებმა ვერ შეძლეს ალების ენის სწავლა, ქალები კი იგებდნენ კაცების ენას. როდესაც გაიგეს ერთმანეთის, შემდეგ უთხრეს ამადონებს კაცებმა: "ჩვენ გვყვანან მშობლები, გვაქვს ჩვენი ქონებაც. ახლა მეტი აღარ შეგვიძლია ასეთი ცხოვრება, როგორც ამდენ ხანს გვაქვს. წავიდეთ და მათთან ერთად ვიცხოვროთ. ცოლებად კი თქვენ გვეყოლებით და სხვა არავინ". ამადონებმა ამის საპასუხოდ უთხრეს შემდეგი: "ჩვენ არ შეგვიძლია ცხოვრება თქვენ ქლებთან ერთად, რადგანაც ჩვენ და მათ ერთი და იგივე ჩვეულებები არა გვაქვს. ჩვენ ვმშვილდოსნობთ კიდევაც, შუბსაც ვისვრით და ვჯირითობთ, ხოლო ქალური საქმეები არ გვისწავლია. თქვენმა ქალებმა კი აქედან, რაც ჩამოვთვალეთ, არაფრის კეთება არ იციან, აკეთებენ ქალურ საქმეებს და რჩებიან ურმებში. არც სანადიროდ გადიან და არც სხვაგან სადმე. ამიტომაც არ შეგვიძლია ჩვენ მათთან შეთანხმება. ხოლო თუ თქვენ გინდათ, რომ ჩვენ გყავდეთ ცოლებად და აპირებთ, რომ იყვეთ სამართლიანები, წადით მშობლებთან, მიიღეთ ქონებიდან თქვენი წილი, შემდეგ მოდით და ვიცხოვროთ ჩვენთან".

115. ჭაბუკებმა დაუჯერეს და ასე მოიქცნენ. როდესაც მიიღეს თავისი კუთვნილი წილი ქონებიდან, მოვიდნენ უკან ამადონებთან და ქალებმა უთხრეს მათ შემდეგი: "შიშსა და ძრწოლას შევუპყრივართ ჩვენ. თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ იმ ადგილას, სადაც თქვენ თქვენი მამები გაძარცვეთ. ხოლო ჩვენ ამდენი ვავნეთ თქვენს მიწა-წყალს, ხოლო თუ თქვენ ღირსად მიგაჩნივართ თქვენი ცოლობისა, მოდით, ასე ვქნათ: ავდგეთ და წავიდეთ ამ ქვეყნიდან და დავსახლდეთ მდინარე ტანაისს გადაღმა". ჭაბუკებმა ესეც დაუჯერეს მათ.

116. გადავიდნენ ტანაისზე და მზის აღმოსავლისაკენ გაიარეს სამი დღის სავალი გზა ტანაისიდან. ხოლო სამი დღე იარეს მამტესის ტბიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მივიდნენ იმ ქვეყანაში, რომელშიც ახლაც ცხოვრობენ და იქ დასახლდნენ. სავრომატების ქალები ამ დროიდან მოკიდებული ისეთსავე ცხოვრებას ეწევიან, როგორც ძველად, სანადიროდ გადიან ცხენებზე ამხედრებულები, ქმრებთან ერთად და უქმრებოდ. მიდიან სომრად და იმავე ტანსაცმელს იცვამენ, რომელსაც მათი ქმრები ატარებენ.

117. სვრომატები სკვითების ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ძველთაგანვე ამახინჯებენ მას, რადგანაც ამადონებმა ის კარგად ვერ ისწავლეს. ქორწინების საკითხები მათთან ასე წყდება. ვერც ერთი ქალწული იმაზე უწინ ვერ გათხოვდება, ვიდრე არ მოჰკლავს მტერს - მამაკაცს. ზოგიერთი ქალი მოხუცებული, მაგრამ გაუთხოვარი კვდება, რადგან ვერ შეძლო ამ კანონის შესრულება.

118. როდესაც ზემოჩამოთვლილი ტომების ბასილევსები შეიკრიბნენ, მოვიდნენ მათთან სკვითების მოციქულები და შეატყობინეს, რომ სპარსელებმა მას მერე, რაც იმ მატერიკზე ყველაფერი დაიმორჩილა, ხიდი გასდო ბოსფორის ყელზე და გადავიდა მეორე მატერიკზე, გადმოვიდა და დაიმორჩილა თრაკიელები, და ხიდს სდებს მდინარე ისტროსზე, რადგან სურს მთელი ეს მხარეც თავისი ქვეშევრდომი გაიხდოს. მათ თქვეს: "არ დაგვლუპოთ და არავითარ შემთხვევაში არ გადაგვიდგეთ, რომ შეთანხმებულად წინააღმდეგეთ თავდამსხმელს. თქვენ ხომ არ იზმათ ამას? თუ დაგვეტოვებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ან დავტოვოთ ქვეყანა, ანდა დავრჩეთ და დავუზავდეთ მოწინააღმდეგეს. აბა, რა მოგვივა, თუ თქვენ არ მოინდომებთ ჩვენს დახმარებას? ამით არც თქვენ შეგიძლებუქდებათ მდგომარეობა, რადგან სპარსელი ისევე წამოვა თქვენს წინააღმდეგ, როგორც წამოვიდა ჩვენზე; ის არ დასჯერდება ჩვენს დამორჩილებას და მერე თქვენ მოგდგებათ. მე ერთ სარწმუნო საბუთს მოგიტანთ ჩვენი აზრის სასარგებლოდ: თუ სპარსელმა ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ ილაშქრა, რომ სამაგიერო გადაეხადა ჩვენთვის სპარსელთა უწინდელი დამონებისათვის, მაშინ მას ყველა სხვისთვის თავი უნდა დაენებებინა და გაელაშქრა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე, და ყველასათვის გამოეცხადებინა, რომ სკვითების წინააღმდეგ მიდის და არა ვისიმე წინააღმდეგ. ახლა კი ჩვენს მატერიკაზე გადმოსვლისთანავე შეუდგა ყველას დამორჩილებას, ვინც კი გზაზე გადაეყარა. აი, ასე გახდნენ მისი ქვეშევრდომები თრაკიელი და ჩვენი მეზობლები, გეტები".

119. როდესაც სკვითებმა ეს გამოაცხადეს, ითათბირეს ამ ტომთა ბასილევსებმა და მათი აზრი გაიყო: გელონოსი, ბუდინოსი და სავრომატესი ერთი და იმავე აზრისა იყვნენ და შეპირდნენ შველას, ხოლო აგათირსოსმა, ნევროსმა, ანდროფაგოსმა და მელანქლანთანა და ტავართა ბასილევსებმა სკვითებს შემდეგი მიუგეს: "თქვენ რომ პირველები არ მოქცეულიყავით უსამართლოდ სპარსელების მიმართ და არ დგეწყოთ ომი, რადას თქვენ ახლა თხოულობთ და ამბობთ, ის ჩვენ სწორად მოგვეჩვენებოდა, დაგიჯერებდით და თქვენსავით მოვიქცევოდით, მაგრამ თქვენ იმათ ქვეყანაში შეიჭერთ უჩვენოდ და გეპყრათ სპასელები იმდენ ხანს, სანამ ღმერთმა დაგროთოთ ნება. ახლა კი, როდესაც ისინი გამოაღვიძა იმავე ღმერთმა, სამაგიეროს გიზღავენ თქვენ; ხოლო ჩვენ არც ოდესმე მოვქცევივართ ამ ხალხს უსამართლოდ, არც ახლა შევეცდებით პირველები რომ უსამართლოდ მოვექცეთ. თუ სპარსელი ჩვენს ქვეყანაში დაგვესხა თავს და დაიწყო უსამართლოდ მოქცევა, მაშინ არც ჩვენ გავჩერდებით. ჯერჯერობით კი ვუყურებთ ამას და ვართ ჩვენთვის, რადგანაც ვფიქრობთ, რომ სპარსელები ჩვენ კი არ დაგვესხმიან თავს, არამედ უსამართლობის მიზეზით."

120. როდესაც ეს მოისმინეს და შეიტყვეს სკვითებმა, გადწყვიტეს, რომ პირისპირ შებმას თავს აარიდებენ, რადგან ეს ხალხი მათ მოკავშირეებად არ უხდებიან, გაიპარებიან ჭებისაკენ და რომელსაც გვერდით ჩაუვლიან, იმასაც და წყარობსაც

მიწას მიაყრიან, ბალახს კი მიწიდან მოსთხრიან. თვითონ ამასობაში ორად გაიყვანენ. ერთ ნაწილს, რომლის მეფეც იყო სკოპასისი, შეუთერთდნენ სავრომატები. თუკი სპარსელები მათ თავს დაესმხოდა, უნდა შეეტყუებინათ ის და გაქცეულიყვნენ მაეტესის ტბის გასწვრივ, პირდაპირ მდინარე ტანაისისკენ, ხოლო თუ სპარსელი გაბრუნდებოდა, უნდა დასდევნებოდნენ. ეს იყო სამეფოს ერთი ნაწილი და მდებარეობდა იმ გზაზე, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკეს. სამეფოს ორი სხვა ნაწილი, მეორე დიდი, რომელსაც მართავდა იდნთირსოსი და მესამე, რომელზედაც მეფობდა ტაქსაკისი, უნდა შეერთებოდნენ ეთსა და იმავე ადგილას გელონებსა და ბუდინებს; ესენიც ერთი დღის სავალი გზით წინ უნდა ყოფილიყვნენ სპარსელებზე, უკან უნდა დაეხიათ. მოეტყუებინათ სპარსელები და ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც გადაწყვიტეს. პირველად ისინი უნდა შეჭრილიყვნენ პირდაპირ იმ ქვეყნებში, რომლებმაც უარი თქვეს მათ მოკავშირეობაზე, რომ ჩაებათ ისინი ომში (რადგან თუ მათ თავისი ნებით არ ინდომეს სპარსელებთან ომი, უნებურად მაინც ეომათ). ამის მერე ისინი დაბრუნდებოდნენ თავის ქვეყანაში და შეესეოდნენ მტერს, თუკი გადწყვეტდნენ დათათბირებისას ამას.

121. სკვითებმა რომ ეს გადაწყვიტეს, გაემართნენ დარიოსის ლაშქრის შესახვედრად, მაგრამ ისე, რომ წინამორბედებად საუკეთესო მხედრები გაგზავნეს. ურმები, რომლებშიც ცხოვრობდნენ ბავშვები და ქალები, აგრეთვე მთელი საქონელი (გარდა იმისა, რაც საკმარისი იყო მათ გამოსაკვებად; ეს თავისთვის დაიტოვეს) და სხვა ყველაფერი, ურმებთან ერთად დააწინაურეს და განკარგულება მისცეს, სულ მუდამ ჩრდილოეთისაკენ ევლოთ.

122. ეს ყველაფერი წინ წავიდა, ხოლო სკვითების წინ წარგზავნილმა მხედრებმა სპარსელები ისტროსიდან დაახლოებით სამი დღის სავალზე აღმოაჩინეს. აღმოჩენილთ ერთი დღის სავალი გზით გადაუსწრეს და დაიბანაკეს, თანაც ისე, რომ ყველაფერი, რაც დედამიწაზე იზრდებოდა, ერთიანად გაანადგურეს. სპარსელებმა რომ დაინახეს სკვითების მხედრობა, კვლადაკვალ მიჰყვნენ, ისინი კი სულ უკან იხევდნენ. შემდეგ სპარსელები პირდაპირ ერთი ნაწილისაკენ გაემართნენ და დაედევნენ მას აღმოსავლეთისაკენ, ტანაისისკენ, როდესაც სკვითები გავიდნენ ტანაისზე, სპარსელებიც გადავიდნენ და დაედევნენ მათ, ვიდრე არ გადაიარეს სავრომატების ქვეყანა და არ მიაღწიეს ბუდინების მიწა-წყალს.

123. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც სპარსელები სკვითისა და სავრომატების ქვეყანაზე მიდიოდნენ, ვერაფრის გაჩანაგება ვერ მოახერხეს, რადგანაც ქვეყანა უკვე გაუდაბურებული იყო, ხოლო როდესაც ბუდინების ქვეყანაში შეიჭრნენ, იქ ნახეს ხის გალავანი (რომელიც დაეტოვებინათ ბუდინებს და დაცარიელებული იყო) და გადასწვეს ის. ეს გააკეთეს და წავიდნენ წინ, მიჰყვნენ მტერს კვლადაკვალ, ვიდრე არ გადაიარეს ეს ქვეყანა და არ მიაღწიეს უდაბნოს. ამ უდაბნოში ადამიანთაგანი არავინ ცხოვრობს: ის მდებარეობს ბუდინების ქვეყნის ზემოთ და მისი გადალახვა შეუძლებელია 7 დღეში. უდაბნოს ზემოთ ცხოვრობენ თისაგეტები, მათი ქვეყნიდან მოედინება 4 დიდი მდინარე, რომლები მაეტესების ქვეყნის გავლით ერთვიან ეგრეთ წოდებულ მაეტესის ტბას. მათ ეწოდებათ შემდეგი სახელები: ლიკოსი, ოაროსი, ტანაისი, სირგისი.

124. როდესაც დარიოსი მივიდა უდაბნოში, შეაჩერა ლაშქრობა და ჯარი მდინარე ოაროსთან დააყენა. შემდეგ 8 დიდი კედელი ააშენა, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით, დაახლოებით ასე, 60 სტადიონით დაშორებული. ამ კედლების ნანგრევები ჩემ დრომდეც კი იყო შერმორჩენილი. სანამ დარიოსი ამით იყო გართული, მის მიერ დევნილამ სკვითებმა ზემოდან შემოუარეს და დაბრუნდნენ სკვითიაში. ასე გაუჩინარდნენ ისინი სრულიად და მეტი აღარ გამოჩენილან. მაშინ დარიოსმა მიანება თავი ნახევრადაგებულ კედლებს, ხოლო თვითონ უკან გაბრუნდა და წავიდა დასავლეთისაკენ, რადგან ფიქროდა, რომ ისინი ყველანი სკვითები არიან და გარბიან დასავლეთისაკენ.

125. დარიოსმა საჩქაროდ წაიყვანა ლაშქარი, ისე რომ სკვითიას მიაღწია და წააწყდა სკვითების ორ ნაწილს: რომ შეხვდა, დაედევნა, სკვითები კი ერთი დღის სავალზე უსწრებდნენ წინ. რადგანაც დარიოსი არ ანელებდა თავდასხმას, სკვითები თავის გადაწყვეტილების მიხედვით გარბოდნენ იმ ქვეყნებში, რომელთაც უარი უთხრეს მოკავშირეობაზე, ხოლო პირველი მათ შორის იყო მელანქალმების ქვეყანა. შეიჭრნენ ამ მხარეში და დაარბიეს მოსახლეობა, სკვითებმა და სპარსელებმაც. შემდეგ სკვითები წავიდნენ ანდროფაგების ქვეყანაში, როდესაც ააღელვეს აქაურობაც, თავს დაესხნენ ნევრიდას; ნევრებიც რომ ააღელვეს, სკვითები აგათირსებში გაიქცნენ. აგათირსები ხედავდნენ, რომ მათი მეზობლები გააქციეს და შეაშფოთეს სკვითებმა, ისე რომ, იმაზე უწინ, ვიდრე სკვითები შეიჭრებოდნენ მათ ქვეყანაში, გაგზავნეს აგათირსებმა სკვითებთან მოსალაპარაკებლად მაცნე, რომ არ გადასულიყვნენ მათ საზღვრებს, თანაც გააფრთხილეს, რომ თუ შეეცდებოდნენ სკვითები შემოსვლას, მათ პირველად აგათირსებთან მოუხდებოდათ ბრძოლა. აგათირსებმა ეს შეუთვალეს და თან მაშველი რაზმები გაგზავნეს საზღვრებზე, რადგან გუნებაში ჰქონდათ თავდამსხმელების უკუგდება. მელანქალმებმა, ანდროფაგებმა და ნევრებმა როდესაც შეიჭრნენ მათთან სპარსელები სკვითებთან ერთად, არც კი დაიცვეს თავი. დაივიწყეს მუქარა და შემფოთებული გაიქცნენ ჩრდილოეთისაკენ, უდაბნოში, ხოლო სკვითები აგათირსების მხრეში აღარ შესულან, რაკილა აგათირსებმა მათ თავის სათქმელი უთხრეს და ნევრიდის ქვეყნიდან სპარსელები თავის სამფლობელოში წამოიყვანეს.

126. რადგან ეს ამბავი ძალიან დიდხანს გაგრძელდა და აღარ გათავდა, დარიოსმა გაუგზავნა მხედარი სკვითების მეფეს, იდანთირსოსს და შეუთვალა შემდეგი: "შე უბედურო, რას მირბიხრ, ხომ შეგიძლია ორში ერთი გამოარჩიო და ის გააკეთო? თუ ფიქრობ, რომ შეგიძლია ჩემს ძლევამოსილებას წინაღულდე, დადექი, შეწყვიტე ხეტიალი და იბრძოლე, ხოლო თუ შენ თავი უფრო სუსტად მიგაჩნია, მაშინაც უნდა შეწყვიტო სირბილი, მიართვა შენს უფალს საჩუქრად მიწა-წყალი და ეახლო მოსალაპარაკებლად".

127. ამაზე სკვითების მეფემ, იდანთირსოსმა შეუთვალა: "სპარსელო, ჩემი საქმე ასეა: შეშინებული უწინ არავის გავექცევივარ და არც ახლა გაგირბი შენ. არაფერი ახალი არ გამიკეთებია ახლა იმასთან შედარებით, რასაც მშვიდობის დროს ვაკეთებ ხოლმე ჩვეულებრივ, ხოლო იმსასაც აგიხსნი თუ რატომ არ გებრძვი ახლავე. ჩვენ არა გვაქვს არც ქალაქები და არც ბალები, რომ მთი ადლების ან გაჩეხვის გვეშინოდეს და ამის გამო სასწრაფოდ ომი გავაჩალოთ თქვენთან. ხოლო თუ თქვენთვის სრულიად აუცილებელია სასწრაფოდ ომში ჩამბმა, ჩვენ გვაქვს მამაპაპათა სამარხები. მოდით,

მოდებნეთ ისინი, შეეცადეთ მათ დანგრევას და მაშინ შეიტყობთ, შეგებრძოლებით ამ სამარხების გამო, თუ არ შეგებრძოლებით. ხოლო ამაზე უწინ, გონებ გვიკარნახებს, რომ არ შეგებრძოლოთ თქვენ. რაც შეეხება ომს, სკმარისი ითქვა მის შესახებ, ხოლო მე ჩემს მეუფებად მიმაჩნია მხოლოდ ზევსი, ჩემი წინაპარი და ჰისტიე, სკვითების დედოფალი. შენ კი, მიწის და წყლის ნაცვლად ისეთ საჩუქრებს გამოგიგზავნით, რაც შეგვერის, ხოლო შენ თავს ჩემს მეუფეს რომ უწოდებ, ამის საანცვლოდ მითქვამს, იტრებს მეთქი", ეს იყო სკვითების სიტყვა.

128. მაცნე წავიდა და მიუტანა ეს ამბავი დარიოსს, ხოლო სკვითების მეფეები სიბრაზით აღივსნენ დამონებაზე ლაპარაკი რომ მოისმინეს. ის ნაწილი, რომელშიც სკვითებთან ერთად სავრომატებიც იყვნენ და რომელსაც განგებდა სკოპასისი, გაგზავნეს იონიელებთან და უბრძანეს მოლაპარაკებოდნენ იონიელებს, რომლებიც ისტროსზე გადებულ ხიდს დარაჯობდნენ, ხოლო დარჩენილმა სკვითებმა გადაწყვიტეს, რომ სპარსლებს აღარ აუბნევდნენ გზას და გამუდმებით დაესხმოდნენ თავს, როდესაც ისინი პურის საჭმელად დასხდებოდნენ. მართლაც, როგორც კი შენიშნავდნენ, რომ დარიოსის ლაშქარი პურის საჭმელად იჯდა, იმას აკეთებდნენ, რაც გადაწყვიტეს. სკვითების მხედრობა სპარსელების მხედრობას მუდამ დაიფრენდა ხოლმე, სპარსელთა მხედრები გარბოდნენ და ქვეით ჯარს ერეოდნენ, ქვეითი კი მათ იცავდა. სკვითები გარეკავდნენ მხედრობას და მერე უკან ბრუნდებოდნენ, რადგან ქვეითი ჯარის ემინოდათ. ამის მსგავს თავდასხმებს სკვითები ღამლამობით ახდენდნენ.

129. დიდად საკვირველი რამ უნდა ვთქვა, თუ რა დაეხმარა სპარსელებს და რა შეუშალა ხელი სკვითებს, როცა ისინი დარიოსის ბანაკს დაესხნენ თავს - ეს იყო ვირების ყროყინი და ჯორების შესახედაობა. რადგან, როგორც უწინ ვთქვი¹, სკვითების ქვეყანაში არც ვირებია და არც ჯორები. სკვითის მთელ მხარეში ყინვების გამო სრულიად არ არის არც ვირი და არც ჯორი. ვირებმა ტავისი ჩოჩქოლი შეაშფოთეს სკვითების მხედრობა. ყოველთვის, როდესაც სკვითები თავს დაესხმოდნენ სპარსელებს, გაგონებდნენ თუ არა სკვითების ცხენები ვირების ყროყინს, შეშფოთდებოდნენ და უკან იხევდნენ, ყურებს ცქვეტდნენ, რადგან უწინ არც ასეთი ხმა მოესმინათ და არც ასეთი შესახედაობის სულგდმული ენახათ. ამ გარემოებამ სპარსებს ომში ცოტა რამ შეღავათი მისცა.

130. როდესაც სკვითებმა დაინახეს, რომ სპარსელები შეშფოთებულები არიან, იმისათვის, რომ ისინი, რაც შეიძლება მეტხანს გაეჩერებინათ სკვითიაში და ყოველმხრივ გასაჭირში ემყოფებინათ, ასე მოიქცნენ: ისინი თავისი საკუთარი საქონლის ნაწილს მწყემსებიანად უკან იტოვებდნენ, თვითონ კი ადგილს იანცვლებდნენ. სპარსელები შემოიჭრებოდნენ, დაიტაცებდნენ საქონელს და თავისი ქვეით ძალიან კმაყოფილი რჩებოდნენ.

131. ამისთნა ამბავი მრვალგზის განმეორდა და ბოლოდ დარიოსი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; სკვითების მეფეებმა ეს შეიტყვეს და გაუგზავნეს დარიოსს მოციქული საჩუქრებით - ფრინველით, თავვით, ბაყაყით და 5 ისრით. სპარსელები საჩუქრების მომტანს შეეკითხნენ საჩუქრების აზრის შესახებ, ხოლო მან თქვა, რომ სხვა არაფერი დაუვალებიათ მისთვის, გარდა იმისა, რომ მოიტანოს ეს საჩუქრები და რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს უკან. ამასთანავე მან უთხრ

სპარსელებს, რომ თუ ისინი ჭკვიანები არიან, თვითონ გამოიცილონ, რს მოასწავებს ეს საჩუქრები. ეს რომ მოისმინეს სპარსლებმა, დაიწყეს თათბირი.

132. დარიოსის აზრით, სკვითები თვითონ ბარდებოდოდნენ მას და აძლევდნენ მიწასაც და წყალსაც, ამას ასკვნიდა დარიოსი იმის საფულძველზე, რომ მისი განამრტებით თაგვი მიწაში ცხოვრობს და იკვებება იმავე ნაყოფით, რომლითაც ადამიანი, ბაყაყი წყალში ცხოვრობს, ფრინველი განსაკუთრებით წააგავს ცხენს, ხოლო ისრები სკვითების საკუთარ სიმამაცეზე მიუთითებენ. დარიოსმა რომ ეს აზრი წამოაყენა, მას გობრიესი დაუპირისპირდა, ერთი იმ შვიდ ვაჟკაცთაგანი, რომლებმაც დაამხეს მოგვი. მან ასე ახსნა საჩუქრები: "სპარსელებო, თუ თქვენ ფრინველებად არ იქცევით და ცაში არ აფრინდებით, ან თაგვებად არ იქცევით და მიწაში არ ჩაძვრებით, ან ბაყაყებად არ იქცევით და ტბებში არ ჩახტებით, ამ ისრებით ამოხოცილები უკან ველარ დაბრუნდებით".

133. ასე ხსნიდნენ სპარსელები საჩუქრების მნიშვნელობას, ხოლო სკვითთა ერთმა ნაწილმა, რომელიც უწინ მაატესის ტბასთან იყო მის დასაცავად დაყენებული, ხოლო ახლა ისტროსთან გაიგზავნა იონიელთა მოსალაპარაკებლად, ხიდს რომ მიაღწია, ასე თქვა: "იონიელებო, ჩვენ მოვედით და მოგიტანეთ თავისუფლება, თუკი მოინდომებთ, რომ მოგვისმინოთ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ დარიოსმა გიბრძანათ, მხოლოდ 60 დღეს დაიცვათ ხიდი, ხოლო თუ ამ დროისათვის არ დავბრუნდებით, შეგიძლიათ თქვენს სამშობლოში წახვიდით. თუ ახლა თქვენ ასე მოიქცევით, არც მის წინაშე იქნებით დამნაშავე და არც ჩვენს წინაშე: მოიცადეთ დათქმულ ვადამდე და ამის შემდეგ წადით". ხოლო როდესაც იონიელებმა აღუთქვეს, რომ ასე გააკეთებენ, სკვითები სასწრაფოდ გაბრუნდნენ უკან.

134. დარიოსს რომ გაუგზავნეს საჩუქრები, დარჩენილი სკვითები დაეწყვნენ დარიოსთან შესაბრძოლებლად, ქვეითებიცა და მხედრებიც, ხოლო სკვითები რომ დაეწყვნენ, უცბათ მათ შორის კურდღელმა გაირბინა. ვინც კი დაიანხა, ყველა დაედევნა კურდღელს. სკვითები რომ აირდაირივნენ და ყვირილი რომ ატყდა, დარიოსმა იკითხა მოწინააღმდეგის მღელვარების მიზეზი, როდესაც შეიტყო, რომ ისინი კურდღელს დაედევნენ, უთხრა მათ, ვისაც ჩვეულებრივ ელაპარაკებოდა ხოლმე სხვა დროსაც: "ეს ხალხი ჩვენ სულ არაფრად გვაგდებს და ახლა მგონია, რომ გობრიესმა სკვითების საჩუქრების შესახებ სწორედ ილაპარაკა. ახლა მეც იმავე აზრისა ვარ, როგორც ის იყო და საჭიროა კარგი თათბირი იმისთვის, რომ უკან დაბრუნება უხიფათოდ შევძლოთ". ამაზე გობრიესმა თქვა: "მეფეო, გადმოცემის მიხედვით წინათაც ვიცოდი დაახლოებით თუ რა ძნელი იყო ამ ხალხთან ურთიერთობა, ხოლო აქ რომ მოვედი, კარგად გავიგე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ვხედავ, თუ როგორ გვამასხარავენ ისინი ჩვენ. ახლა კი ასე ვფიქრობ: დადამებისთანვე დავანთოთ ბევრი კოცონი, როგორც ჩვეულებრივ ვაკეთებდით ხოლმე, რომ გაჭირვების ყველაზე ნაკლებად ამტანი ჯარისკაცები მოვატყუოთ, დავაბათ სახედრები და წავიდეთ აქედან მანამ, ვიდრე სკვითები ისტროსთან არ მოსულან ხიდის ასაშლელად, ანდა იონიელებს არ მოუფიქრებიათ რაიმე ჩვენს დასალუპავად". ეს ურჩია გობრიესმა.

135. ხოლო ღამე რომ დადგა, დარიოსი მართლაც შეუდგა ამ რჩევის შესრულებას: დავარდნილი ხალხი, რომლის დალუპვასაც ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა

ექნებოდა მისთვის, და ყველა სახედარი, რომელიც შეკრა, დატოვა იქვე, ბანაკში; ხოლო სახედრები და დასუსტებული მოლაშქრეები იმისათვის დატოვა, რომ სახედრებს ყოყინი აეტეხათ, ადამიანები კი თავიანთი უძულრების გამო იყვნენ დატოვებული; ცხადია, დარიოსი იმას იმიზეზებდა, თითქოს ჯარის რჩეული ნაწილით აპირებდა სკვითებზე თავდასხმას, ხოლო ამათ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბანაკი უნდა დაეცვათ. დარიოსმა დარჩენილებს დაუბარა, რომ დაენთოთ კოცონი და თვითონ სასწრაფოდ წავიდა ისტროსისაკენ. ხოლო ჯარისაგან მიტოვებული სახედრები სულ უფრო და უფრო დიდი ხმით ყოყინებდნენ; სკვითებს რომ ესმოდათ სახედრების ყოყინი, სრულიად დაჯერებულები იყვნენ, რომ სპარსელები იმავე ადგილას დგანან.

136. მეორე დილას დარჩენილები მიხვდნენ, რომ დარიოსმა ისინი გაწირა, მათ გაიწვდინეს ხელები სკვითებისაკენ და უთხრეს, რაც ხდებოდა. მათ რომ ეს მოისმინეს, სასწრაფოდ შეიკრიბნენ, ორი ნაწილი სკვითებისა და კიდევ ერთი სავრომატებთან ერთად, ბუდინები და გელონები, და დაედევნენ სპარსელებს პირდაპირ ისტროსისაკენ. რადგანაც სპარსელთა ჯარი უპირატესად ქვეითებისაგან შედგებოდა, რომელმაც გზა არ იცოდა (გზები არც კი იყო გაჭრილი), სკვითების ჯარი კი ცხენოსანი იყო და მან იცოდა უმოკლესი გზები, ამიტომ ისინი აცდნენ ერთმანეთს და სკვითები ბევრად უფრო ადრე მივიდნენ ხიდთან, ვიდრე სპარსელები. როდესაც შეიტყვეს, რომ სპარსელები ჯერ არ მოსულიყვნენ, უთხრეს ხომალდებზე მყოფ იონიელებს: "იონიელებო, თქვენთვის მოცემული დღეების რიცხვი გავიდა და სწორედ არ იქცევით, რომ ჯერაც აქ ხართ. თუ უწინ შიშის გამო რჩებოდით, ახლა გახსენით გზა და სასწრაფოდ გაბრუნდით შინ, გაიხარეთ განთავისუფლებულებმა და იცოდეთ, რომ უნდა უმადლოთ ღმერთებსა და სკვითებს. თქვენს უწინდელ უფალს ჩვენ ისე მოვდრეკთ, რომ აღარასოდეს ილაშქრებს არც ერთ ხალხზე".

137. ამ საკითხზე იონიელებმა ითათბირეს. მილტიადეს ათენელის აზრით (რომელიც ჰელესპონტის ქერსონესელების მხედართმთავარი და ტირანი იყო), მათ უნდა დაეჯერებინათ სკვითებისათვის და გაეთავისუფლებინათ იონია. ჰისტიადოს მილეტელი კი ამ აზრის წინააღმდეგი იყო; ის ამბობდა, რომ ამჟამად დარიოსის წყალობით თითოეული მათგანი განაგებს ქალაქს, ხოლო თუ დარიოსის ძალაუფლება დაემხო, მაშინ არც თვითონ შეეძლება მილეტელთა მართვა და არც სხვას ვისმე რომელიმე სხვა ქალაქისა; რადგან ყოველ ქალაქს სახალხო მმართველობა ურჩევნია ტირანიის ხელისუფლებას. ჰისტიადოსმა რომ თავისი აზრი გამოთქვა, ყველა ტირანი მაშინვე მის აზრს დაადგა, მაშინ, როდესაც წინ მილტიადესის აზრს იზიარებდნენ.

138. ამ თათბირზე ხმას აძლევდნენ შემდეგი ტირანები, რომელთაც მეფე საერთოდ ანგარიშს უწევდა: ჰელესპონტელთა ტირანები: დაფნის აბიდოსელი, ჰიპოკლოს ლამფსაკოსელი, ჰეროფანტოს პარიონელი, მეტროდოროს პროკონესოსელი, არისტაგორეს კიპიკოსელი და არისტონ ბიძანტიონელი. ესენი იყვნენ ჰელესპონტიდან. ხოლო იონიიდან იყვნენ: სტარტის ქიოსელი, ადაკეს სამოსელი, ლაოდამას ფოკეელი და ჰისტიადოს მილეტელი, რომლის მიერ წამოყენებული აზრიც საწინააღმდეგო იყო მილტიადესის აზრისა. ეოლიელთაგან წარჩინებული მხოლოდ არისტაგორეს კიმეელი იყო.

139. ამათ მიიღეს ჰისტიადოსის აზრი და გადაწყვიტეს მისთვის კიდევ შემდეგი საქმე და სიტყვა მიეტევებინათ: მათ უნდა მოეშალათ ხიდის ის ნაწილი, რომელიც სკვითების მხარეზე იყო, უნდა მოენგრიათ იმ ზომაზე, რასაც გასროლილი ისარი მისწვდებოდა, რათა სკვითებისათვის მოეჩვენებინათ, თითქოს რაღაცას აკეთებენ, სინამდვილეში კი არაფერს გააკეთებდნენ, ეს იმიტომ, რომ სკვითებს ძალა არ ეხმარათ და არ მოენდომებინათ ისტროსზე გადასვლა ხიდით, ხოლო როდესაც ხიდის იმ ნაწილის ნგრევაში იქნებოდნენ, რომელიც სკვითებისაკენ იყო, ეტყოდნენ მათ, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ სკვითებს ასიამოვნონ. აი, ეს მიუმატეს მათ ჰისტიადოსის აზრს, ხოლო შემდეგ ჰისტიადოსმა ყველას მაგივრად სკვითებს შემდეგი მიუგო: "სკვითებო, თქვენ სწორედ დროზე მოხვედით და კარგი რჩევაც მოგვიტანეთ და რაკილა კარგად წაგვმართეთ, ჩვენც საკმარისად მოგემსახურებით. როგორც ხედავთ, გადასასვლელს ვშლით და ყოველ ღონეს ვხმარობთ, რადგან გვინდა, რომ თავისუფლები ვიყოთ. სანამ ჩვენ ხიდს მოვშლით, თქვენ უნდა მოძებნოთ სპარსელები და რომ იპოვით, უნდა მიუზღაოთ სამაგიერო, ისე, როგორც მათ შეჰფერის, ჩვენ მაგივრადაც და თქვენ მაგივრადაც".

140. სკვითებმა მეორედ დაუჯერეს იონიელებს. რომ ისინი მართალს ამბობდნენ, გაბრუნდნენ სპარსელების მოსაძებნად და სრულიად აცდნენ მათ გზას. ამაში დამნაშავენი თვითონ სკვითებ იყვნენ, რადგან ამ ადგილებში მათ გაანადგურეს ცხენების საძოვრები და წყლებს მიწა წააყარეს. ეს რომ არ გაეკეთებინათ, თუკი მოინდომებდნენ, ადვილად იპოვიდნენ სპარსელებს. ახლა კი, როგორც ჩანს, ისინი სწორედ იმის გამო მოტყუვდნენ, რის გამოც ყველაზე უკეთ იბჭეს. საქმე ის იყო, რომ სკვითები თავისი ქვეყნის იმ ნაწილში დადიოდნენ და დაემებდნენ მოწინააღმდეგეს, სადაც ცხენებისთვის საძოვარი იყო და წყალი მოიპოვებოდა და ეგონათ, რომ სპარსელებიც იმავე ადგილების გავლით გაექცეოდნენ მათ. სპარსელები კი იმავე ბილიკით მიდიოდნენ, რომლითაც უწინ ევლოთ და ასეც ძლივს იპოვეს გადასასვლელი. ღამით მიაღწიეს მათ გადასასვლელს და ხიდი რომ აშლილი დახვდათ, საშინელმა შიშმა მოიცვა ისინი, ხომ არ მიგვატოვეს იონიელებმაო.

141. დარიოსის ამაღლაში იყო ერთი ეგვიპტელი კაცი, რომელსაც ყველა ადამიანზე უფრო ძლიერი ხმა ჰქონდა. აი, ამ კაცს უბრძანა დარიოსმა დამდგარიყო ისტროსის ნაპირზე და დაეძახებინა ჰისტიადოს მილეტელისათვის. მან ეს გააკეთა, ჰისტიადოსმა გაიგონა პირველივე დამახება, გამოიყვანა ყველა ხომალდი, რომ ლაშქარი გადაეყვანა და ისევ გადო ხიდი.

142. ასე გადარჩნენ სპარსელები. ხოლო სკვითები ჯერაც ეძებდნენ სპარსელებს და მეორედ აცდნენ მათ.¹ სკვითებმა იონიელების შესახებ ასეთი აზრი გამოთქვეს: თავისუფალი იონიელები ყველა ხალხზე უფრო ბოროტი და არაადამიანური არიან, ხოლო თუ მათ მონებად მიიჩნევენ, მაშინ ისინი უფლისმოყვარული მსახურები ხდებიან და ყველაზე ნაკლებ განწყობილები საიმისოდ, რომ გაექცნენ თავის უფალს. აი, ასეთი რამ წასძახეს სკვითებმა იონიელებს.

143. დარიოსმა თრაკიაზე გადაიარა და მივიდა ქერსონესოსის სესტოსში. აქედან თვითონ ხომალდებით გადავიდა აზიაში, ხოლო ევროპეში მხედართმთავრად დატოვა მეგაბიდოსი, სპარსელი, რომელსაც დარიოსმა ოდესღაც საგანგებო პატივი

სცა. მან სპარსელებში ყოფნისას ასეთი რამ თქვა: ერთხელ როდესაც დარიოსი ბროწეულის შეჭმას აპირებდა, პირველივე ბროწეულის გახლეჩისას ჰკითხა მას მისმა ძმამ არტაბანოსმა, რად უნდა მას იმდენი, რამდენი მარცვალაც არის ბროწეულში? ხოლო დარიოსმა უპასუხა, რომ მას ურჩევნია ჰყავდეს ამდენი მეგაბიდოსი, ვიდრე დამორჩილებული ელადა. აი, ამ სიტყვებით სცა პატივი დარიოსმა მეგაბიდოსს სპარსელებში, ხოლო ახლა დატოვა ის მხედართმთავრად და საკუთარი 80000-იანი ლაშქარი მიანდო.

144. ამ მეგაბიდოსმა შემდეგი სიტყვა თქვა და თავისი თავის შესახებ საუკუნო ხსოვნა დატოვა ჰელესპონტელებში. ის რომ ბიძანტიონში იყო, შეიტყო, რომ კალქედონელები 17 წლით ადრე დასახლებულან ამ ქვეყანაში, ვიდრე ბიძანტიონელები, ხოლო ეს რომ შეიტყო, თქვა, რომ კალქედონელები ამ დროს ბრძელები ყოფილან, რადგან ბრძელები რომ არ ყოფილიყვნენ, უარეს ადგილს არ აირჩევდნენ დასახლებლად, მაშინ როდესაც უკეთესი იქვე ჰქონდათ. ამრიგად, აი, ეს მეგაბიდოსი დატოვებული იქნა მაშინ მხედართმთავრად ჰელესპონტელთა ქვეყანაში და ის იმორჩილებდა მათ, ვინც სპარსეთს არ ემხრობოდა.

145. მეგაბიდოსი რომ ამას აკეთებდა, იმავე დროს ლიბიის წინააღმდეგ მოეწყო ერთი დიდი ლაშქრობა. ხოლო უწინ, ვიდრე მე მის მიზეზს მოგიხსნებოდა, გადმოცემთ შემდეგს: არგოს მეზღვაურთა შვილიშვილები გამოაძევეს ლემნოსიდან იმ პელაზგებმა, რომლებმაც ბრავრონიდან მოიტაცეს ათენელი ქალები; პელაზგების მიერ გამოძევებული ლემნოსიდან, წამოვიდნენ და მოცურცნენ ლაკედემონში. დასახლდნენ ტეიგეტონზე და ცეცხლი დაანთეს. ლაკედემონელებმა რომ დაინახეს ეს, გაუგზავნეს შიკრიკი და გამოიკითხეს, თუ ვინ არიან და საიდან არიან. შიკრიკის შეკითხვაზე მათ უთხრეს, რომ არიან მინიები და რომ შვილები არიან არგოზე მოცურავე გმირებისა, რომლებიც გადმოსხდნენ ლემნოსზე და იქ გააჩინეს ესენი. ლაკედემონელებმა მოისმინეს მინიების წარმოშობის ამბავი და მეორედ გაუგზავნეს კაცი შესაკითხავად, რა უნდათ, რომ მოვიდნენ ამ ქვეყანაში და ცეცხლი დაანთეს. ხოლო ამათ უთხრეს, რომ პელაზგებისაგან გამოგდებულები მოვიდნენ მამებთან. რადგან სამართლიანია, რომ უნდათ იცხოვრონ მათთან ერთად, მონაწილენი იყვნენ მათი პატივისა და მათი მიწა-წყლისა. ლაკედემონელები დაეთანხმნენ, რომ მიიღებენ მინიებს იმ პირობით, როგორც მათ თვითონ სურთ. განსაკუთრებით იმიტომ მიიღეს ლაკედემონელებმა მინიები, რომ ტინდარიდების მოწყობილი იყო ეს საზღვაო ექსპედიცია არგოზე, მიიღეს ლაკედემონელებმა მინიები, გადასცეს მიწები და ფილებად დაყვეს. შემდეგ დამოყვრებაც დაიწყეს. მინიებმა შეირთეს ლაკედემონელი ქალები, ლემნოსიდან მოყვანილი ქალები და ლაკედემონელებს შერთეს.

146. ცოტა ხნის შემდეგ მინიები გაამაყდნენ, მოითხოვეს მონაწილეობა სამეფო ხელისუფლებაში და ჩაიდინეს ბევრი სხვა ისეთი რამ, რაც არ იყო ჩასადენი. მაშინ ლაკედემონელებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი ამოეხოცათ, დაიჭირეს ისინი და ჩაყარეს საპყრობილეში. ლაკედემონელები ვისაც კლავდნენ, კლავდნენ ღამით, ხოლო დღისით - არავის. როდესაც მინიების დახოცვა დააპირეს, მინიების ცოლები, რომლებიც სპარტელი მოქალაქეები და წარჩინებულ სპარტელთა ასულები იყვნენ, შეეხვეწნენ მათ, რომ შეეშვათ საპყრობილეში თითოეული საკუთარ ქმართან მოსალაპარაკებლად. სპარტელებმა ნება დართეს ქალებს, რადგან არ ეგონათ, რომ ისინი რაიმე ეშმაკობას განიზრახავდნენ, ხოლო ქალები რომ შევიდნენ,

შემდეგნაირად მოიქცნენ: მთელი თავისი ტანსაცმელი მისცეს ქმრებს, ხოლო თვითონ ქმრებისა ჩაიცვეს, მინიებმა ჩაიცვეს ცოლების ტანსაცმელი და გამოვიდნენ გარეთ, როგორც ქალები. ამნაირად გადაირჩინეს თავი და კვლავ დასახლდნენ ტეიგეტონზე.

147. ამავე დროს თერასი, ავტესიონის ძე, ტისამენოსის შვილიშვილი, თერსანდროს პოლინედკესის ძის შვილიშვილის შვილი, გავიდა ლაკედემონიდან ახალშენის დასაფუძნებლად. ხოლო ეს თერასი, წარმოშობით კადმოსის ჩამომავალი, დედის ძმა იყო არისტოდენოსის შვილისა, ევრისტენესისა და პროკლესის. სანამ ეს ბავშვები პატარები იყვნენ, თერასი მეურვეობდა სპარტის სახელმწიფოს. ხოლო როდესაც დისწულები დაიზარდნენ და გადაიბირეს მმართველობა, თერასს გაუჭირდა, რომ სხვა ყოფილიყო მისი გამგებელი მის შემდეგ, რაც იგემა ძალაუფლება და თქვა, რომ არ დარჩება ლაკედემონში, არამედ წავა თავის ნათესავებში. ისინი იყვნენ ახლა რომ თერა ეწოდება, იმ კუნძულზე (უწინ კი მას კალისტე ერქვა) და ჩამომავლები იყვნენ მემბლიარეოსია, ფინიკიელი კაცის, პოდეკილესის ძისა. კადმოსი, აგენორის ძე ევროპეს რომ ეძებდა, მიადგა ამჟამად თეთრად წოდებულ კუნძულს, მიადგა და არ ვიცი ქვეყანა მოეწონა, თუ სხვა რამ მიზეზის გამო, დატოვა ამ კუნძულზე სხვა ფინიკიელებიც და მათთან ერთად თავისი ნათესავი მემბლიარეოსიც. ადამიანთა რვა თაობის განმავლობაში მათ ეჭირათ კალისტედ წოდებული კუნძული, ვიდრე თერასი არ მოვიდა ლაკედემონიდან.

148. აი, ამათთან გამომემართა თერასი, რომელსაც თან ჰყავდა ხალხი სხვადასხვა ფილებიდან. აი, ამათთან ერთად ცხოვრება უნდოდა, არსად უპირებდა მათ გარეკვას, ის კი არა, მეტისმეტად თავისიანებად მიიჩნევდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მინიები გაიქცნენ საპყრობილიდან და დასახლდნენ ტეიგეტონზე, ლაკედემონელებს უნდოდათ მათი ამოხოცვა. თერასი ეხვეწებოდა მათ, რომ სისხლი არ დაეღვარათ და პირდებოდა, რომ თვითონ გაიყვანდა მათ ამ ქვეყნიდან. ლაკედემონელები დაეთანხმნენ მის ამ აზრს და თერასმა სამი ოცდაათნიჩბიანი ხომალდით გაცურა მემბლიარეოსის ჩამომავლებისაკენ, მაგრამ თან ყველა მინიები კი არ წაიყვანა, არამედ მხოლოდ ზოგიერთები, რადგან მეტი წილი მათგან გაბრუნდა პარორეატებისა და კავკონებისკენ და გამოაძევა ისინი თავიანთი ქვეყნიდან. შემდეგ ეს მინიები თვითონ დაიყვნენ ექვს ნაწილად და დააფუძნეს იქ შემდეგი ქალაქები: ლეპრეონი, მაკისტოსი, ფრიქსე, პირგოსი, ეპიონი, ნუდიონი. ამათგან მეტი წილი ჩემს დროს გაანადგურეს ელეელებმა, ხოლო კუნძულს მოახალშენეთა მეთაურის, თერასის სახელი ეწოდა.

149. რადგანაც თერასის შვილმა უარი თქვა მასთან ერთად წასვლაზე, მამამ უთხრა, რომ ტოვებს მას, როგორც ცხვარს მგლებში. აი, ამ ნათქვამიდან წარმოსდგა ჭაბუკის სახელი, ოდოლიკოსი და ეს სახელი შემორჩა მას. ოდოლიკოსმა გააჩინა ადგეესი, რომლის სახელის მიხედვით იწოდებიან ადგილები, დიდი ფილე სპარტეში. ამ ფილეში ხალხს არ რჩებოდა შვილები და ღვთის მინიშნებით მათ დაუარსეს სალოცავი ლაიოსისა და ოდდიპუსის ერინებს. ამის შემდეგ შერჩათ შვილები. იგივე ამბავი დაემართათ ამ ხალხის ჩამომავლებს თერაზედაც.

150. აი, ამ ამბამდე ლაკედემონელები იმასვე ამბობენ, რასაც თერელები, ხოლო ამის შემდეგ მხოლოდ თერელები გადმოგვცემენ შემდეგს: გრინოსი, ალსანოსის ძე, რომელიც იყო ამ თერასის ჩამომავალი და მეფობდა კუნძულ თერეზე, მივიდა

დელფოში და თავის ქალაქიდან ჰეკატომბი მიიტანა. მას ახლდნენ სხვა მოქალაქეებიც და მათ შორის ბატოსი, პოლიმნესტოსის ძე, წარმოშობით ევფემიდი, ერთ-ერთი მინიათაგანი. როდესაც გრინოსი, თერელთა მეფე სხვა რამეების შესახებ ეკითხებოდა სამისნოს, პითიამ უპასუხა მას, ააგე ლიბიეში ქალაქიო, ამაზე გრიონოსმა მიუგო და უთხრა: "მეუფეო, მე ახლა უკვე საკმაოდ ხნიერი ვარ და მიჭირს ეგ ვიტვირთო. შენ ვინმეს, უფრო ახალგაზრდას უბრძანე მაგის გაკეთება". ესა თქვა და თან მიუთითა ბატოსზე. მაშინ ეს მოხდა, ხოლო შემდეგ, როდესაც წავიდნენ, წინასწარმეტყველებისათვის არ მიუქცევით ყურადღება, არც იცოდნენ, ლიბიე ქვეყნის რომელ ნაწილშია და ვერც ბედავდნენ უცნობ ადგილას ახალმოშენეთა გაგზავნას.

151. ამის შემდეგ 7 წელიწადს არ უწვიმია თერეზე, ამ ხნის განმავლობაში ყველა ხე გახმა კუნძულზე, გარდა ერთისა. მაშინ, თერელებმა მიმართეს სამისნოს და პითიამ უბრძანა ლიბიეში დაეარსებინათ ახალშენი. რადგან მათი გასაჭირიდან სხვა გამოსავალი არ იყო, გაგზავნეს კრეტეზე მოციქულები, რომ შეეტყვოთ, ვინმე კრეტელი ან კრეტეზე გადმოსახლებული ხომ არ ყოფილა ოდესმე ლიბიეში. მოციქულები დაეხეტებოდნენ და მივიდნენ ქალაქ იტანოსში: აქ ისინი შეხვდნენ ერთ მოწით მოვაჭრე კაცს, რომელსაც სახელად ერქვა კორობიოსი. მან თქვა, რომ ქარმა ის ერთხელ გარიყა და მიაყენა ლიბიეს, ლიბიის კუნძულს, პლატეას. სასყიდლით დაიყაბულეს ეს კაცი და წაიყვანეს თერეზე, ხოლო თერიდან ჯერ ბევრი კი არა, სულ რამდენიმე კაცი წავიდა ლიბიის დასაზვერად. კორობიოსის წინამძღოლობით მივიდნენ ამ კუნძულ პლატეაზე, კორობიოსი იქ დატოვეს, დაუტოვეს რამდენიმე თვის სამყოფი საზრდო და თვითონ სასწრაფოდ უკან დაბრუნდნენ, რომ შეეტყობინებინათ თერელებისათვის ამ კუნძულის შესახებ.

152. რადგან ისინი უკან უფრო მეტხანს არ დაბრუნდნენ, ვიდრე დათქმული ჰქონდათ, კორობიოსს შემოაკლდა ყველაფერი. შემდეგ სამოსური ხომალდი (მისი მფლობელი იყო კოლაფოსი) მიცურავდა ეგვიპტეში და მიადგა ამ პლატეას. სამოსაელებმა რომ შეიტყვეს კორობიოსისაგან ამბავი, დაუტოვეს მთელი წის სამყოფი საზრდო, თვითვე კი გავიდნენ კუნძულიდან და გაცურეს, ძალიან უნდოდათ ეგვიპტეში მოხვედრა, მაგრამ აღმოსავლეთის ქარმა მათ გზა გაუმრუდა, რადგან ქარი არ ჩადგა, გადაიარეს ჰერაკლეს სვეტები და ღვთის განგების მიხედვით მიაღწიეს ტარტესოსს. იმ დროისათვის ამ სავაჭრო ადგილში მიმოსვლა ნაკლებად იყო, ისე რომ, როდესაც სამოსელები უკან ბრუნდებოდნენ, ყველაზე მეტი სარგებელი ნახეს საქონლის გაყიდვით ყველა იმ ელინთა შორის, ვისაც კი დაბეჯითებით ვიცნობთ, სოსტრატოსის გარდა, რომელიც იყო ადგინელი, ლაოდამანტის ძე; მასთანა ხომ არავის შეუძლია მეტოქეობა, ხოლო სამოსელებმა გამოჰყვეს 6 ტალანტი, მეთათედი ანწილი თავისი მონაგებისა, და გააკეთეს სპილენძის ჭურჭელი, არგოლიდურის მსგავსი. მას ირგვლივ წინ წამოწეული გრიფონების თავები ჰქონდა. ის შესწირეს ჰერეს ტამარს, ხოლო საყრდენად სამი სპილენძის მუხლმოდრეკილი ქანდაკება ჰქონდა. თითოეული 7 წყრთის სიმძლის. ამ საქმის შემდეგ უპირველესად ყოვლისა კირენელებსა და თერელებს დიდი მეგობრობა დაუმყარდათ სამოსელებთან.

153. თერელებმა კორობიოსი რომ დატოვეს კუნძულზე, დაბრუნდნენ თერაზე და გამოაცხადეს, რომ დაასახლეს კუნძულ ლიბიესთან. თერელებმა გადაწყვიტეს, შვიდივე სოფლიდან გაეგზავნათ კაცები. ძმათა შორის წილისყრით ერთი უნდა

გამოეჩიათ და მათი წინამძღოლი და მეფე იქნებოდა ბატოსი. ასე გაგზავნეს მათ ორი ორმოცდაათნიჩბიანი ნავი პლატეში.

154. ამას თერელები მოგვითხრობენ, ხოლო დანარჩენ ამბავს თერელები ისევე გადმოგვცემენ, როგორც კირენელები. მხოლოდ ბატოსის საკითხში არ ეთანხმებიან კირენელები თერელებს. ისინი ასე მოგვითხრობენ: კრეტეზე არის ქალაქი ოაქსოსი, რომლის მეფე იყო ეტეარქოსი, მას ჰყავდა დედით ობოლი ასული, სახელად ფრონიმე. მამამ ამ დროს სხვა ქალი შეირთო ცოლად. ქალმა ნამდვილი დედინაცვლობა მოუწოდო ფრონიმეს, ყველაფერს ცუდს უკეთებდა მას და ყოველგვარ ფანდებს მიმართავდა მის წინააღმდეგ. ბოლოს გარყვნილება შესწამა და თავისი ქმარი დაარწმუნა, რომ ეს ასე არის. ცოლისაგან ჩაგონებულმა მან პირდაპირ უწმინდური საქმე ჩაიდინა თავისი ასულის მიმართ. ოაქსოსში იყო ერთი თერელი ვაჭარი, სახელად თემისონი. ეტეარქოსმა ის მეგობრად გაიხადა და ფიცი დაადებინა, რომ მოემსახურებოდა მას, როცა კი რამე დასჭირდებოდა. მას მერე, რაც თემისონმა შეჰფიცა, ეტეარქოსმა მიუყვანა და გადასცა მას თავისი ასული და უბრძანა წაეყვანა და ზღვაში დაეხრჩო. თემისონი ძალიან გააჯავრა ფიცის ასეთმა გაწბილებამ, გაწყვიტა მასთან ემგობრობა და შემდეგი გააკეთა: მიიღო გოგონა და გაცურა მასთან ერთად ზღვაში. როდესაც შუა ზღვაში იყო, მოინდომა ეტეარქოსის ფიცისაგან განთავისუფლება, შეკრა ქალი თოკებით და ჩაუშვა ზღვაში, შემდეგ ისევ უკან ამოიყვანა და წავიდა თერეზე.

155. იქიდან ფრონიმე წაიყვანა პოლიმენსტოსმა, თერელთა შორის სახელგანთქმულმა კაცმა და ხარჭად დაიშვა. დრო რომ გავიდა, ქალმა მას გაუჩინა ბიჭი, ენაბლუ და ენაჩლუნგი, მას სახელად ერქვა ბატოსი, როგორც ამბობენ თერელები და კირენელები, ხოლო მე კი მგონია, რომ სხვა რაღაც ერქვა მას: ბატოსი გადაერქმოდა მას მაშინ, როდესაც ლიბიეში მივიდა, იმ წინასწარმეტყველების მიხედვით, რომელიც დელფოში მოხდა მის მიმართ და იმ პატივის გამო, რაც ამ სახელს ჰქონდა მოპოვებული. საქმე ისაა, რომ ლიბიელები მეფეს "ბატოსს" უწოდებენ და ამიტომ მგონია, რომ პითია წინასწარმეტყველებისას მას ლიბიურ ენაზე მიმართავდა, რადგან იცოდა, რომ ის ლიბიეში გამეფდებოდა. როდესაც ის დავაჟკაცდა, მივიდა დელფოში თავისი მეტყველების შესახებ საკითხავად; რომ შეეკითხა, პითიამ მას უპასუხა: "ბატოს, შენ აქ მეტყველების გამო მოხვედი. მეუფე ფოდოს - აპოლონი კი ცხვრების სამშობლოში, ლიბიეში გაგზავნის ქალაქის დასაარსებლად". ეს რომ ელინურ ენაზე ეთქვა, პითია ეტყოდა: "მეფო, შენ აქ მეტყველების გამო მოხვედი". ხოლო ყმაწვილმა მას მიუგო: "უფალო, მე მოვედი შენთან მეტყველების შესახებ პასუხის გასაგებად, შენ კი სხვას, შეუძლებელს რასმე მიბრძანებ, მეუბნები, რომ ლიბიეში ქალაქი დავაარსო, სადა მაქვს საამისოდ ძალა, სად მყავს ხალხი?" ეს უთხრა, მაგრამ პითიას სხვა პასუხი ვერ დააცდენინა. პითია იმასვე უწინასწარმეტყველებდა, რაც უწინ უთხრა, ხოლო ბატოსმა მიანება მას თავი, და წავიდა თერეზე.

156. ამის შემდეგ კვლავ უბედურება ეწია თვით მასაც და სხვა თერელებსაც¹. თერელებს არ ესმოდათ თავიანთი უბედურება და დელფოში გაგზავნეს კაცები თავსატეხილი ამბის მიზეზების გასაგებად. პითიამ მათ უწინასწარმეტყველა, რომ ბატოსთან ერთად უნდა დააფუძნონ ლიბიეში კირენე და შემდეგ უკეთ იქნებიან. ამის მერე თერელებმა გაგზავნეს ბატოსი ორი ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდით. როდესაც ესენი ლიბიეში მივიდნენ, რადგან არ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, უკან

წამოვიდნენ თერეზე. ხოლო თერელებმა უკან დაბრუნებულებს ისრები დაუშინეს და არ აძლევდნენ ნებას მიწას მისდგომოდნენ, ის კი არა, უბრძანებდნენ, უკან გაეცურათ. ისინი იძულებულნი გახდნენ უკან წასულიყვნენ და დაესახელებინათ კუნძული, რომელიც ლიბიესთან მდებარეობდ და რომელსაც სახელად ჰქვია, როგორც უწინ ითქვა, პლატეა,2 ამბობენ, რომ ეს კუნძული იმოდენავეა, რამოდენაც არის ახლა კირენელთა ქალაქი.

157. ამ კუნძულზე ესენი ორ წელს ცხოვრობდნენ, მაგრამ სასიკეთო არაფერი შემთხვევით, ამიტომ ერთი თავისიანი დატოვეს იქ და ყველა დანარჩენი წავიდა ისევ დელფოში, მივიდნენ და შეეკითხნენ სამისნოს, უთხრეს, რომ ცხოვრებენ ლიბიეში და არაფერი გაუმჯობესება მათ აქ ცხოვრებას არ მოჰყოლია, ხოლო პითიამ მათ ამაზე შემდეგი რამ უთხრა: ”დიდად მაოცებს შენი სიბრძნე, თუ შენ ჩემზე უკეთ იცი ცხვრების სამშობლო ლიბიე, მაშინ, როდესაც შენ არ ყოფილხარ იქ და მე კი ვყოფილვარ”. ეს რომ მოისმინეს, ბატოსმა და მისმა მხლებლებმა უკან გაცურს, რადგან ღმერთი არ ღებულობდა მათ ახალშენს მანამ, ვიდრე არ მიაღწევდნენ თვით ლიბიეს. ამის მერე მივიდნენ კუნძულზე. თან წაიყვანეს იქ დატოვებული კაცი და დააფუძნეს ქალაქი თვით ლიბიის იმ ადგილას, რომელიც კუნძულის პირდაპირ მდებარეობდა რომელსაც სახელად ერქვა აპირისი, ამ ადგილს ორივე მხრიდან გარს არტყია უმშვენიერესი ტყიანი ხეობა და ერთის მხრივ მდინარეც ჩამოუდის.

158. ამ ადგილას ცხოვრობდნენ ექვს წელიწადს. ხოლო მეშვიდე წელს ლიბიელები შეეხვეწნენ მათ და დაიყოლის ისინი, რომ უკეთეს ადგილას წაიყვანდნენ, ოღონდ ეს ადგილი დაეტოვებინათ. აქედან აჰყარეს ისინი ლიბიელებმა და წაიყვანეს დასავლეთისაკენ. რომ ელინებს ყველაზე უფრო ღამაში ადგილი არ შეემჩნიათ, როდესაც ისინი მას გაივლიდნენ, ლიბიელებმა გამოზომეს დრო და ღამით გაატარეს იქ. ამ ადგილს სახელად ჰქვია ირასა. მოიყვანეს ისინი აპოლონისად წოდებულ წყაროსთან და უთხრეს: ”ელინებო, აქ მოგიხდებათ თქვენ ცხოვრება, რადგანაც ცა აქ გახსნილია”.

159. ახალშენის დამაარსებლის, ბატოსის სიცოცხლეში (ის კი ქვეყანას მართავდა 40 წელიწადს) და მისი შვილის, არკესილეოსის დროს (ეს მართავდა ქვეყანას 16 წელიწადს) იქ მცხოვრები კირენელები იმდენნი იყვნენ, რამდენიც იყვნენ დასაწყისში, როდესაც ახალმომენებად მოვიდნენ. ხოლო მესამე მმართველის დროს, რომელსაც ეწოდებოდა ბატოს ბედნიერი, პითიამ თავისი წინასწარმეტყველებით წააქეზა ყველა ელინი, წასულიყვნენ და დაესახელებინათ ლიბიე კირენიელებთან ერთად, რადგან კირენელები მართლაც ეპატიჟებოდნენ ხალხს და მიწებს ჰპირებოდნენ, ხოლო პითიამ შემდეგი უწინასწარმეტყველად: ”ვინც ფრიად სასურლველ ლიბიეში მივა მას შემდეგ, რაც მიწები დანაწილებული იქნება, მე მითქვამს, რომ ის მერე საკმაოდ შეწუხდება”. როდესაც დიდძალი ხალხი შეგროვდა კირენეში, ბევრი მიწა დაჰკარგეს მეზობლად მცხოვრებმა ლიბიელებმა და მათმა მეფემ, რომელსაც სახელად ერქვა ადრიკრანი; მათ დაჰკარგეს მიწები და შევიწროვებულები იყვნენ კირენელეთაგან, ამიტომ გაგზავნეს კაცები ეგვიპტეში და ჩაჰბარდნენ ეგვიპტის მერეს, აპრიესს. ამან კი შეკრიბა ეგვიპტელთა დიდი ლაშქარი და გაგზავნა კირენეს წინააღმდეგ. ხოლო კირენელები გამოვიდნენ ერთ ადგილთან, ირასასთან, შეებრძოლნენ ეგვიპტელებს თესტეს წყაროსთან და დაამარცხეს ისინი ბრძოლაში. რადგან ეგვიპტელებს უწინ არ ჰქონიათ გამოცდილება ელინებთან

ბრძოლისა, უყურადღობოდ მოეკიდნენ ამ საქმეს და განადგურდნენ. ისე რომ, მათგან მხოლოდ მცირეოდენი დაბრუნდნენ ეგვიპტეში. აი, ამის საპასუხოდ იყო, რომ ეგვიპტელები უკმაყოფილონი იყვნენ აპრიესთან და გადაუდგნენ მას.

160. ამ ბატოსს ჰყავდა შვილი, არკესილეოსი, რომელიც გამეფებისთანავე გადაემტერა თავის ძმებს, ვიდრე მათ არ მიატოვეს ის და არ წავიდნენ ლიბიის სხვა მხარეში, სადაც საკუთრივ დაიფუძნეს ქალაქი, რომელსაც მაშინაც და ახლაც ეწოდება ბარკე. ქალაქს რომ აშენებდნენ, ამასთან ერთად ლიბიელები აუჯანყეს კირენელებს. ამის შემდეგ არკესილეოსმა ილაშქრა იმ ლიბიელთა წინააღმდეგ, რომლებმაც მიიღეს მისი ძმები და რომლებიც გადაუდგნენ მას. ხოლო ლიბიელებს შეეშინდათ მისი და გაიქცნენ აღმოსავლელ ლიბიელებთან. არკესილეოსი დაედევნა გაქცეულებს, სდია მათ, ვიდრე არ მიაღწიეს ლიბიის ლევკონს, სადაც ლიბიელებმა გადაწყვიტეს მას თავს დასხმოდნენ. შებრძოლებისას მათ დაამარცხეს კირენელები, ისე რომ, ადგილზე დაეცა კირენელთა 7000 ჰოპლიტი. ამ მარცხის შემდეგ არკესილეოსმა საწამლავი დალია, დაუძლურდა და მერე მისმა ძმამ, ლეარქოსმა მოახრჩო იგი; ხოლო ლეარქოსი ვერაგულად მოკლა არკესილეოსის ცოლმა, რომელსაც სახელად ერქვა ერიქსო.

161. არკესილეოსის სამეფო დაიმკვიდრა მისმა შვილმა ბატოსმა, რომელიც კოჭლი იყო და ფეხებსუსტი, ხოლო კირენელებმა, ეს უბედურება რომ შეემთხვათ, კაცები გაგზავნეს დელფოში შესაკითხავად, თუ რანაირი წესწყობილება უნდა დაიმყარონ, რომ ყველაზე უკეთ იცხოვრონ. პითიამ უბრძანა, რომ არკადიელთა მანტინეიდან მოიყვანონ კაცი, მშვიდობისმყოფელი. კირენელებმა ითხოვეს ასეთი კაცი და მანტინეელებმა მისცეს მათ მოქალაქეთა შორის ერთი ყველაზე უფრო სახელოვანი, რომელსაც სახელად ერქვა დემონაქსი. ეს კაცი მივიდა კირენეში, შეიტყო ყველაფერი დაწვრილებით და დაყო ისინი სამ ფილედ, დაყო ისინი შემდეგნაირად: ერთი ნაწილი შედგებოდა თეთრელებისა და მათ მეზობლად მცხოვრებლებისაგან, მეორე - პელოპონესელთაგან და კრეტელთაგან, ხოლო მესამე - ყველა კუნძულთა მცხოვრებთაგან. შემდეგ მან მეფე ბატოსს გამოუყო საუფლისწულო მამულები და მიანიჭა ქურუმის უფლებანი, ხოლო სხვა ყველაფერი, რაც უწინ ჰქონდათ მეფეებს, ხალხს გადასცა.

162. ამ ბატოსის მეფობისას ასე გრძელდებოდა, ხოლო მისი შვილის არკესილეოსის მეფობაში დიდი შფოთიანობა ჩამოვარდა მეფის უფლებების გამო. ეს იმიტომ, რომ არკესილეოსმა, კოჭლი ბატოსისა და ფერეტიმეს ძემ თქვა, რომ არ მიიღებს ამნტინეელი დემონაქსის მიერ დადგენილ წესებს, და მოითხოვა თავის წინაპართა უფლებანი. ამის მერე ის აჯანყდა, დამარცხდა და გაიქცა სამოსზე, ხოლო მისი დედა გაიქცა კიპროსის სალამინში. იმ დროისათვის სალამინს ფლობდა ეველთონი, რომელმაც დელფოს შესწირა ღირშესანიშნავი საცეცხლური, კორინთლთა საგანძურში რომ დევს. მასთან მივიდა ფერეტიმე და ლაშქარი მოსთხოვა, რომელიც მათ კირენეში დააბრუნებდა. ეველთონმა მას ყველაფერი მისცა, გარდა ლაშქრისა. ფერეტიმემ მიიღო, რაც მას მისცეს, თქვა, რომ ესეც კარგია, მაგრამ ის უკეთესი იქნებოდა, რომ მიეცათ ლაშქარიც, რომელსაც ის თხოულობდა. ის ამას ამბობდა ყოველი საჩუქრის მიღებიდას, ხოლო ეველთონმა მას უკანასკნელ საჩუქრად გაუგზავნა ოქროს თითისტარი და ჯარა და ამას დაუმატა მატყლი. როდესაც ფერეტიმემ კვლავ იგივე სიტყვა გაიმეორა, ეველთონმა უთხრა, რომ ქალებს ასე ასაჩუქრებენ და არა ლაშქრით.

163. ხოლო არკესილოესი ამ დროს სამოსზე იყო და მიწის განაწილების დაპირებით ყველა მამაკაცი შეკრიბა. როდესაც დიდძალი ლაშქარი შეიკრიბა, არკესილოესმა დელფოში გაგზავნა კაცები, რომელთაც უნდა შეეტყვოთ წინასწარმეტყველება მისი უკან დაბრუნების შესახებ. პითიამ მას უთხრა შემდეგი: ”ლოქსიესმა ოთხ ბატოსს და ოთხ არკესილოესს, ადამიანთა რვა თაობას, მოგანიჭათ მეფობა კირენეზე. ის გირჩევთ თქვენ, რომ ამის მეტად ნურც კი შეეცდებით, წყნარად იყავი და დაბრუნდი შენს სამშობლოში. თუ აღმოაჩენ, რომ ღუმელი სავსეა ჭურჭრებით, ნუ გამოსწვავ ჭურჭლებს, არამედ გაატანე ისინი ზურგის ქარს. ხოლო თუ დაანთებ ღუმელს, ნუ შეხვალ ისეთ ადგილას, რომელსაც ირგვლივ წყალი ექნება. თუ არა და დაიღუპები შენ თვითონაც და ულამაზესი ხარიც”. ასე უწინასწარმეტყველა პითიამ არკესილოესს.

164. ხოლო არკესილოესმა წაიყვანა კაცები სამოსიდან და დაბრუნდა კირენეში, მაგრამ ძალაუფლება რომ ხელთ იგდო, დაივიწყა მისნობა და ცდილობდა თავისი გამეგებისათვის სამართალი მოეთხოვა თავისი მოწინააღმდეგეებისათვის. ზოგიერთი მათგანი სულაც გადაიხვეწა ქვეყნიდან, ხოლო ზოგიც დაიჭირა არკესილოესმა და მოსაკლავად კიპროსზე გაგზავნა. ესენი მიადგნენ კნიდოსს, ხოლო კნიდოსელებმა ისინი გამოათრიეს ნაპირზე და გაგზავნეს თერეზე. დანარჩენი კირინელები გაიქცნენ და კერძო პირის, აგლომაქოსის დიდ კომპოში შეეფარნენ, ხოლო არკესილოესმა ამ კომპოსათვის ირგვლივ შეშა შემოაწყობინა და ცეცხლი წააკიდებინა. როდესაც ბოროტმოქმედება ჩაიდინა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ სწორედ ამას ნიშნავდა მისნობა, როდესაც პითიამ აუკრძალა მას, რომ თუ ღუმელში ჭურჭელს აღმოაჩენდა, ისინი არ უნდა გამოეწვა მას; ამიტომ თავისი ნებით განზე გადაკირინელთა ქალაქისაგან, რადგან ნაწინასწარმეტყველები სიკვდილს ეშინოდა და ფიქრობდა, რომ ირგვლივ წყალშემოვლებული სწორედ კირენეა. ცოლად ჰყავდა მას თავისი ნათესავი ქალი, ბარკელთა მეფის ალაძედრის ასული და ამ კაცთან წავიდა; ბარკელებმა და ზოგიერთმა კირენედან გაქცეულმა დაინახეს ის მოედანზე მოსიარულე და მოკლეს, შემდეგ მოკლეს, აგრეთვე მისი სიმამრიც, ალაძედრიც. ამრიგად, არკესილოესი, ნებითა და უნებლიეთ წინასწარმეტყველების მიმართ სწორედ არ მოიქცა და ეწია კიდევაც თავისი ბედი.

165. ხოლო ვიდრე არკესილოესი ბარკეში იმყოფებოდა და თავისთავს ბოროტს უმზადებდა, დედამისს, ფერეტიმეს კირენეში თავისი შვილის ყოველი პატივი ჰქონდა, განაგებდა ყოველგვარ საქმეს და იჯდა კიდევაც სათათბიროში. ხოლო მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ შვილი მოუკლეს ბარკეში, ადგა და გაიქცა ეგვიპტეში; არკესილოესს ბევრი რამ კარგი ჰქონდა გაკეთებული კამბისესისათვის, კიროსის მისათვის, რადგან სოწრედ ამ არკესილოესმა გადასცა კირენე კამბისესს და მას ხარკს უხდიდა. როდესაც მივიდა ფერეტიმე ეგვიპტეში, არიანდესის მავედრებლად დაჯდა და სთოხვა მას, მისთვის თავი გამოედო, თან საბუთად იყენებდა იმას, რომ მისი შვილი შეეწირა მიდიელთა მიმართ კეთილგანწყობილებას.

166. ეს არინდესი იყო ეგვიპტის მმართველი, კამბისესის მიერ დაყენებული; შემდეგ ხანში ის დაიღუპა იმიტომ, რომ თავს დარიოსს უტოლებდა. მან შეიტყო და დაინახა, რომ დარიოსს სურს თავისი თავის ისეთი მოსაგონარი დატოვოს, როგორც არც ერთ სხვა მეფეს არ გაუკეთებია და ჰბაძავდა მას, ვიდრე არ მიეზღ.

საქმე ის იყო, რომ დარიოსი რაც შეიძლება სუფთად აღნობიანებდა ოქროს და ისე აჭრევიანებდა მონეტებს, ხოლო არიანდესი, რომელიც ეგვიპტის მმართველი იყო, ამასვე აკეთებდა ვერცხლის მიმართ. ახლაც ყველაზე უფრო სუფთა ვერცხლი არიანდესის ვერცხლია. როდესაც დარიოსმა შეიტყო, რომ ის ამას აკეთებდა, სხვა მიზეზი მოიძო, ორგულობა დასწამა და მოაკვლევინა.

167. მაშინ ამ არიანდესმა შეიბრალა ფერეტიმე და მისცა მას მთელი ეგვიპტის ლაშქარი, როგორც ქვეითი, ასევე საზღვაო; ქვეითი ჯარის მხედართმთავრად დაუყენა ამასისი, მარაფილეთაგანი, ხოლო ფლოტის უფროსად - ბადრესი, რომელიც იყო პასარგადთა გვარიდან. ვიდრე ლაშქარს გაგზავნიდა, არიანდესმა შიკრიკი აფრინა ბარკეში, რომ შეეტყო, თუ ვინ მოკლა არკესილეოსი. ხოლო ყველა ბარკელმა თავის თავზე მიიღო ეს ბრალდება, რადგან მისგან ბევრი ბოროტება ჰქონდა გადატანილი. ეს რომ შეიტყო არიანდესმა, მაშინვე გაგზავნა იქ ლაშქარი ფერეტიმესთან ერთად. ეს დანშაული, ასე მგონია, მხოლოდ სათქმელად მოიმიზეზა იმისათვის, რომ ლაშქარი გაეგზავნა ლიბიელთა დასაპყრობად. რადგან ლიბიეში მრავალი სხვადასხვა ტომია, რომელთაგან მხოლოდ მცირეოდენნი იყვნენ სპარსეთის მეფის ქვეშევრდომები, უმეტესობა კი დარიოსს არაფრად აგდებდა.

168. ხოლო ლიბიელები ასეთი თანმიმდევრობით ცხოვრობდნენ: ეგვიპტიდან დაწყებული ლიბიელთაგან პირველები ცხოვრობენ ადრიმაქიდები, რომლებიც ძირითადად ეგვიპტურ წესებს მისდევენ, ხოლო ტანსაცმელს ატარებენ ისეთსავე, როგორსაც სხვა ლიბიელები. მათი ქალები ორივე წვივზე იკეთებენ სპილენძის სამკაულს, თავზე გრძელი თმა აქვთ და როდესაც ისინი თავში ტილს დაიჭერენ, მათ ჯერ თვითონ უკბენენ და შემდეგ ისე გადააგდებენ. ლიბიელთა შორის მხოლოდ ესენი სჩადიან ამას და მხოლოდ ესენი აჩვენებენ მეფეს ქალწულებს გათხოვების წინ; ხოლო თუ მეფეს მოეწონა რომელიმე მათგანი, მას ნამუსს ახდის. ეს ადრიმაქიდები ცხოვრობენ ეგვიპტიდან ვიდრე ნავსადგურამდე, რომელსაც პლინოსი ეწოდება.

169. ამათ მოჰყვებიან გილიგამები, რომელთაც უჭირავთ ქვეყანა მათგან დასავლეთისაკენ ვიდრე აფროდისიასის კუნძულამდე. აი, ამ მხარის შუაში მდებარეობს კუნძული პლატეა, რომელიც დაასახლეს კირენელებმა, ხოლო მატერიკზე არის მენელეოსის ნავსადგური და აძირისი, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ კირინელები. სწორეს აქ გვხვდება პირველად მცენარე სილფიონიც². სილფიონი იზრდება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ვრცელდება პლატეის კუნძულიდან ვიდრე სირტიის შესართავამდე. ეს ტომი იმის მსგავს წესებს მისდევს, როგორსაც სხვა ლიბიელები.

170. გილიგამებს მისდევენ დასავლეთისაკენ ასბისტები. ესენი კირენეს ზემოთ ცხოვრობენ. ასბისტები ზღვამდე ვერ აღწევენ, რადგან ზღვის გასწვრივ ცხოვრობენ კირენელები. ოთხცხენიან ეტლს ისინი ლიბიელთა შორის ყველაზე უკეთ მართავენ, ხოლო მათი ჩვეულებების მეტი წილი კირენელების ჩვეულებათა მიბადვას წარმოადგენს.

171. ასბისტებს დასავლეთისაკენ მისდევენ ავსქისები. ესენი ბარკეს ზემოთ ცხოვრობენ და ზღვამდე ევესპერიდესთნა აღწევენ. ავსქისების ქვეყნის შუაში ცხოვრობენ ბაკალები, მცირერიცხოვანი ტომი, რომელიც ზღვამდე აღწევს ბარკის

ქალაქ ტავქედრასთან. ისინი იმავე წესებს მისდევენ, რომლებსაც კირენეს ზემოთ მცხოვრები ტომები.

172. ამ ავსქისებს დასავლეთისკენ მისდევენ ნასამონები, მრავალრიცხოვანი ტომი, რომელიც ზაფხულში ზღვის პირას ტოვებს თავის სქონელს და თვითონ ადის ავგილის მხარეში ფინიკების შესაგროვებლად, რადგან იქ იზრდება მრავალი და უზარმაზარი პალმები და ყველას ნაყოფი ასხია. როდესაც ისინი მოინადირებენ ხოლმე კალიებს, მზეზე ახმობენ, ფქვავენ, შემდეგ რძეში ურევენ და ისე სვამენ. ჩვეულებრივ თითოეულ მამაკაცს ბევრი ცოლი ჰყავს და შეუძლია ყველა ქალთან ჰქონდეს ურთიერთობა, რასაც აკეთებენ მასაგეტების მსგავსად.

ესენიც კვერთხს გამოდგამენ ხოლმე და ისე წვებიან ქალთან. როდესაც ნასამონი ცოლს პირველად ირთავს, წესია, რომ პირველ ღამეს პატარძალმა ყველა სტუმარს უნდა ჩამოუაროს და ყველა მათგანთან დაწვეს. თითოეული სტუმარი, რომელიც წვება ქალთან, აძლევს მას საჩუქარს, რაც სახლიდან აქვს თან მოტანილი. ნასამონების ფიცი და მისნობა ასეთია: ისინი იფიცებენ ყველაზე უფრო სამართლიანად და მამაცად შერაცხილ ვაჟკაცებს. ფიცისას მათ საფლავებს ეხებიან, ხოლო როდესაც მისნობა სურთ, წინაპართა საფლავებზე მიდიან, ლოცულობენ და იქვე იძინებენ. რა სიზმარსაც ნახავენ ძილში, იმას ღებულობენ წინასწარმეტყველებად. პირობის დადებისას ისინი ასე იქცევიან: თავისი ხელით ასმევენ ერთი მეორეს და თვითონაც მისი ხელიდან სვამს. თუ არა აქვთ არავითარი სასმელი, მაშინ მტვერს იღბენ მიწიდან და იმას ლოკავენ.

173. ნასამონების მეზობლები არიან ფსილები. ისინი ამგვარად ამოწყდნენ: სამხრეთის ქარი უბერავდა და წყლის საცავები ამოაშრო. მთელი ქვეყანა, რომელიც სირტიისის შიგნით იყო, უწყლოდ დარჩა. ფსილებმა მოითათბირეს და საერთო გადაწყვეტილებით გაილაშქრეს სამხრეთის ქარის წინააღმდეგ (ვამბობ იმას, რასაც ამბობენ ლიბიელები). როდესაც მივიდნენ ქვიშოვან უდაბნოში, დაუბერა სამხრეთის ქარმა და ქვიშა წააყარა მათ. როდესაც ისინი დაიღუპნენ, მათი ქვეყანა ნასამონებმა დიჭირეს.

174. ამათ ზემოთ, სამხრეთის ქარის მიმართულებით, მხეცებით სავსე მხარეში ცხოვრობენ გარამანტები, რომლებიც გაურბიან ყველა ადამიანს და ყოველგვარ ურთიერთობას; მათ არც არავითარი საომარი იარაღი აქვთ და არც თავდამსხმელებს იგერიებენ.

175. ესენი ცხოვრობენ ნასამონების ზემოთ, ხოლო ზღვის გასწვრივ, დასავლეთისაკენ ადგილი უჭირავთ მაკებს, რომლებიც თავს იკრეჭენ; ისინი თმის შუა ნაწილს იზრდიან, ხოლო აქეთ-იქით თმას ძირში იკრეჭენ. ომში ფარებად სირაქლემას ტყავებს ხმარობენ. მათ ქვეყანაზე მდინარე კინიფსი მიედინება, რომელიც იწყება ეგრეთწოდებულ ქარიტთა ბორცვიდან და ერთვის ზღვას. ეს ქარიტთა ბორცვი ხშირი ტყით არის დაფარული, მაშინ, როდესაც ლიბიის ადრემოხსენებული დანარჩენი ნაწილი სულ მოტიტვლებულია. ზღვიდან ამ ბორცვამდე 200 სტადიონია.

176. ამ მაკების მომდევნო ტომი გინდანებია, მათი ქალები კოჭებზე მრავალ ტყავის რგოლს ატარებენ შემდეგი მიზეზის გამო, როგორც ამბობენ: რამდენ კაცთანაც

დაწვება ქალი, იმდენი ტყავის რგოლს შემოირტყამს კოჭზე, ხოლო ვისაც ყველაზე მეტი ექნება ასეთი რგოლი, ის ყველაზე უკეთესად ჩაითვლება, რადგან ყველაზე მეტ მამაკაცს ჰყვარებია ის.

177. კონცხზე, რომელიც ამ გინდანთა ქვეყნიდან არის შეჭრილი ზღვაში, ცხოვრობენ ლოტოფაგები, რომლებიც მხოლოს ლოტისის ნაყოფს ჭამენ და იმით არსებობენ. ლოტოსის ნაყოფი სიდიდით იმოდენავეა, რამოდენაც არის დანამასტაკის ნაყოფი, ხოლო სიტკბოთი ჩამოჰგავს პალმის ნაყოფს. ამ ნაყოფისაგან ლოტოფაგები აყენებენ ღვინოსაც.

178. ლოტოფაგებს ზღვის გასწვრივ მისდევენ მაქლიები, ესენიც ჭამენ ლოტოსს, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებ, ვიდრე ზემოთ ხსენებული ტომი. ესენი აღწევენ დიდ მდინარემდე, რომელსაც სახელად ჰქვია ტრიტონი. ეს მდინარე ერთვის დიდ ტბას, ტრიტონისს. ამ ტბაში არის კუნძული, რომელსაც ჰქვია ფლა. ამბობენ, რომ ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ ეს კუნძული ლაკდემონელებმა უნდა დაასახლონო.

179. კიდევ ასეთ ამბავსაც მოგვითხრობენ: იესონმა, როდესაც მან პელიონთან არგო ააგო, მოათასა მასზე ჰეკატომბიცა და სპილენძის სამფეხიც, შემოუარა პელოპონესს და აუნდოდა დელფოში მისვლა. როდესაც ცურვის დროს მალეესთან მოხვდა, ჩრდილოეთის ქარმა წაიღო ის ლიბისაკენ, ვიდრე ხმელეთს დაინახავდა, აღმოჩნდა ტრიტონის ტბის თხელ წყალში. მან არ იცოდა, როგორ უნდა გამოსულიყო და ფიქრობენ, თითქოს გამოჩნდა ტრიტონი და უბრძანა იესონს, მისთვის მიეცა სამფეხი. ამასთანავე უთხრა, რომ გზას უჩვენებდა და უვნებლებს გაამგზავრებდა. იესონმა დაუჯერა, ისე რომ უჩვენა მას ტრიტონმა გზა თავთხელ წყალში, ხოლო სამფეხი დაიდგა თავის სამსხვერპლოში და ამ სამფეხზე დამჯდარმა უწინასწარმეტყველა მანიშნებელი სიტყვა იესონის თანამგზავრებს, რომ თუ ვინმე არგოს მეზღვაურთა ჩამომავალთაგანი წაიღებს სამფეხს, მაშინ აუცილებელი იქნება ტრიტონისის მიდამოში ასი ელინური ქალაქის აგება. ეს რომ მოისმინეს ლიბის მცხოვრებლებმა, დამალეს სამფეხი.

180. ამ მაქილებს მოსდევენ ავსეები. ესენიც და მაქილებიც ტრიტონისის ტბის ირგვლივ ცხოვრობენ, ხოლო მათ საზღვრავს ერთმანეთისაგან მდინარე ტრიტონი, მაქილები უკან უშვებენ გრძელ თმას, ხოლო ავსეები - წინ. ათენას ყოველწლიურ დღესასწაულზე მათი ქალწულები ორად იყოფიან და ერთმანეთს ებრძვიან ქვებითა და ჯოხებით და ამბობენ, რომ ამით მამაპაპეულ წესს ასრულებენ ადგილობრვი დმერთქალის მიმართ, რომელსაც ჩვენ ათენას ვუწოდებთ. იმ ქალწულებს, ვინც ჭრილობებისგან მოკვდება, ისინი ცრუ ქალწულებს უწოდებენ. ვიდრე გაუშვებენ ქალებს საბრძოლველად, ისინი საყოველთაოდ ყველაზე უფრო ლამაზად აღიარებულ ქალწულებს მორთავენ ხოლმე კორინთული მუზარადით და ელინური შეჭურვილობით, დასვამენ ეტლზე და შემოატარებენ ტბის ირგვლივ (მე არ შემიძლია ვთქვა, ქალწულებს რა საჭრუველით რთავდნენ, ვიდრე ელინები მათ მეზობლად დასახლდებოდნენ, მაგრამ მგონია კი, რომ ეგვიპტური იარაღით ირთვებოდნენ ისინი, რადგან ფარიცა და მუზარადიც ეგვიპტიდან შევიდა ელინებში). ამბობენ, რომ ათენა პოსედონისა და ტრიტონისის ტბის ასულია, მაგრამ ის თავის მამის უკმაყოფილო იყო და თავი გადააბარა ზევსს; ზევსმა ის თავის ასულად აქცია, ისინი ამას ამბობენ, ქალებთან ურთიერთობა ისევე აქვთ, როგორც ცხოველებს. როდესაც

ქალს ბავშვი წამოეზრდება, ერთ ადგილას იყრიან თავს მამაკაცები ყოველ მესამე თვეს და იმის შვილად ჩაითვლება ბავშვი, ვისაც ჰგავს ამ მამაკაცთა შორის.

181. მომთაბარე ლიბიელთა შორის ესენი არიან ზღვისპირის მცხოვრებლები. მათ ზემოთ შიგნით ხმელეთზე ლიბიე მხეცებითაა სავსე, ხოლო მხეცებით სავსე ლიბიის ზემოთ გადაჭიმულია ქვიშოვანი ზეგანი, რომელიც ვრცელდება ეგვიპტელთა თებედან ჰერაკლეს სვეტებამდე. ამ ზეგანზე დაახლოებით 10 დღის სავალ მანძილზე ერთმანეთისაგან დაშორებით ბორცვებადაა დაგროვილი მსხვილმარცვლიანი მარილის ზოდები. თითოეული ბორცვის თავზე შუიდან ამოდის ცივი და ტკბილი წყალი, ხოლო მის ირგვლივ ცხოვრობს ხალხი, რომელიც უდაბნოსაკენ და მხეცებით სავსე ლიბიის ზემოთ ყველაზე განაპირას არიან. თებედან 10 დღის სავალ გზაზე პირველები არიან ამონიები, რომელთაც აქვთ თებელი ზევსის სალოცავი აქაც და თებეშიც, როგორც უწინაც ვთქვი, არის ზევსის ვერძისახაიანი გამოსახულება. მათ სხვა წყაროს წყალიც აქვთ, რომელიც დილაადრიან თბილია, შემდეგ ბაზრის ავსების დროისათვის ცივდება, ხოლო შუა დღისას ის ძალიან ცივია. აი, ამ დროისათვის ისინი რწყავენ ბაღებს. დღე როდესაც გადაიხრება, ის თანდათან კარგავს სიგრილეს და მზის ჩასვლისას წყალი ისევ თბება. წყლის სიტბო განსაკუთრებით იმატებს შუაღამის მოახლობისას და იმედენად იმატებს, რომ სულ თუხთუხით დუღს. შუაღამე რომ გადავა, წყალი გათენებამდე თანდათან გრილდება.

ამ წყაროს სახელწოდება არის მზის წყარო.

182. ამონიების შემდეგ ისევ ამ ქვიშოვან ზეგანზე, უფრო შორს 10 დღის სავალ გზაზე, არის მარილის ბორცვი, მსგავსი ამონიების ბორცვისა. არის წყალიც და მის ირგვლივ ცხოვრობს ხალხი. ამ ადგილს ეწოდება ავგილა. ამ ადგილას მოდიან ნასამონები ფინიკების შესაგროვებლად.

183. ავგილებიდან შემდეგი ათი დღის სავალ გზაზე არის კიდევ ერთი მარილის ბორცვი, წყალი და ბევრნი ნაყოფის მომტანი პალმის ხე, ისევე როგორც სხვა ბორცვებზე. მასზე ცხოვრობს ხალხი, რომელსაც სახელად ჰქვია გარმანტები, ესენი ძალიან დიდი ტომია; ისინი მიწას ჯერ მარილს აყრიან და მერე ისე თესავენ. აქედან ლოტოფაგებამდე უმოკლესი გზაა და ეს გზა რის 30 დღის სავალი. ამ ხალხში გვხვდება უკუღმამძოვარი ხარები. ისინი უკუღმამძოვრები შემდეგი მიზეზის გამო არიან: მათ რქები წინისაკენ აქვთ მოხრილი, ამიტომ უკან მიდიან და ისე ძოვენ; წინსვლის დროს ძოვა არ შეუძლიათ, რადგან დედამიწას უწინ რქებით ებჯინებიან. ისე სხვაფრივ არაფრით განსხვავდებიან სხვა ხარებისაგან, გარდა ტყავის სისქისა და სიმკვრივისა. ეს გარამანტები ოთხცხენიანი ეტლებით ნადირობენ გამოქვებულეებში მცხოვრებ ეთიოპელებზე, რადგან ის ეთიოპები, რომლებიც ცხოვრობენ გამოქვებულეებში, ყველა ადამიანებზე უფრო ფეხმარედები არიან, ვის შესახებაც კი რაიმე გაგვიგია და მოგვისმენია. ეს გამოქვებულის მცხოვრებლები იკვებებიან გველებით, ხვლიკებით და სხვა მსგავსი ქვეწარმავლებით. ხოლო მათი ენა არც ერთ სხვა ენას არ მიაგავს, ისინი ისე წივიან, როგორც ღამურები.

184. ხოლო გარამანტთა შემდეგ 10 დღის სავალ გზაზე არის კიდევ ერთი მარილის ბორცვი, წყალი და ხალხი, რომელიც მის ირგვლივ ცხოვრობს და რომელსაც სახელად ჰქვია ატარანტები. ჩემთვის ცნობილ ხალხთა შორის, მხოლოდ ესენი არიან

უსახელოები, რადგან მათი სერთო სახელია ატარანტები, ხოლო სათითაოდ მათ შორის არავის აქვს საკუთარი სახელი. როდესაც მზე მეტისმეტად დააცხუნებს, ესენი მას წყევლიან და სამარცხვინოდ ლანძღავენ, რადგან ის წვავს და ანადგურებს თვითონ ადამიანებსაც და მათ ქვეყნებსაც. ატარანტებს შემდეგ კვლავ 10 დღის სავალ გზაზე არის ახლა სხვა მარილის ბორცვი, წყალი და ხალხი, რომელიც მის ირგვლივ ცხოვრობს. ამ ბორცვს მოსდევს მთა, რომელსაც სახელად ჰქვია ატლასი. ეს მთა ვიწროა და სრულიად მრგვალი, იმასაც ამბობენ, რომ იმდენად მაღალია, რომ მისი მწვერვალის დანახვა არც კი შეიძლებაო, რადგან არასოდეს ტოვებს მას ღრუბელი, არც ზაფხულში და არც ზამთარში. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ ეს არის ზეცის საბჯენი სვეტი. ხოლო ხალხი, რომელიც ამ მთასთან ცხოვრობს, მისი მოსახელია. მათ ხომ ატალანტები ეწოდებათ. ამბობენ, რომ ისინი არაფერ სულიერ არ ჭამენ და არც სიზმრებს ხედავენ.

185. მე შემიძლია ჩამოვთვალო იმ ხალხთა სახელები, რომლებიც ზეგანზე ცხოვრობენ ატალანტებამდე, ხოლო ვინც მათ შემდეგ არიან, იმათ სახელებს ვეღარ ჩამოვთვლი. ეს ზეგანი აღწევს ჰერაკლეს სვეტამდე და ვრცელდება მათ შემდეგაც. ხოლო ამ ზეგანზე ყოველ ათი დღის სავალ გზაზე არის მარილის საბადო და იქვე ცხოვრობს ხალხი, ხოლო სახლები მათ ყველას ქვამარილისაგან აქვთ აგებული: ლიბიის ამ ნაწილში ხომ სრულიად არ იცის წვიმები, რომელსაც, ცხადია, ვერ გადარჩებოდა მარილისაგან ნაგები კედლები. მარილი, რომელსაც აქ თხრიან, ფერად თეთრია და მოწისფერი, ამ ზეგანის ზემოთ მისგან სამხრეთით, ლიბიის შიგნითა ნაწილებში არის უდაბური მხარე, უწყლო, უმხეცო, უწვიმარი და უტყეო და იქ სულ არაა სინესტე.

186. ამრიგად, ეგვიპტიდან ტრიტონისის ტბამდე მომთაბარე ლიბიელები არიან ხორცის მჭამელები და რძისმსმელები, მხოლოდ ძროხის ხორცს არ ეკარებიან, იმავე მიზეზის გამო, რატომაც არ ჭამენ მას ეგვიპტელები. ასევე არ აშენებენ ისინი ღორებს. არც კირენელი ქლები ჭამენ ძროხის ხორცს ეგვიპტისისის შიშით, ის კი არა, ისისის გამო, ისინი მარხვას ინახავენ და დღესასწაულებს აწყობენ. ხოლო ბარკელი ქალები არც ძროხის ხორცს ჭამენ და არც ღორისას.

187. ასეა ეს ამბები. ხოლო ტრიტონისის ტბის დასავლეთით არც მომთაბარე ლიბიელები არიან, არც იამვე კანონებს იცავს მოსახლეობა და არც მათი ბავშვები აკეთებენ იმას, რასაც ჩვეულებრივ მომთაბარეები აკეთებენ ხოლმე. ხოლო ლიბიელი ნომადები, დაბეჯითებით არ შემიძლია თქმა რომ ყველანი, მაგრამ მათ შორის ბევრი ამას აკეთებენ: თავიანთ შვილებს, როდესაც ისინი ოთხი წლისა გახდებიან, ცხვრის ჭუჭყიანი მატყლით უწვავენ თავზე ძარღვებს, ხოლო ზოგიერთები მათ შორის ბავშვებს ძარღვებს საფეთქლებთანაც უწვავენ. ამას იმისთვის აკეთებენ, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში აღარ დაიტანჯონ ისინი თავიდან ლორწოს დენით. ისინი ამბობენ, რომ სწორედ ამიტომ ვართ ყველაზე უფრო ჯანრმთელებიო. მართლაც, ლიბიელები ჩვენთვის ცნობილ ყველა ადამიანზე უფრო ჯანრმთელები არიან. მე დაბეჯითებით არ ვიცი, ეს ამის გამოა, თუ არა, მაგრამ ისინი მართლაც ყველაზე ჯანრმთელები არიან. როდესაც ბავშვებს წვავენ, თუ მათ კრუნჩხვა დაემართათ, მათ მიმართ ასეთ წამალს ხმარობენ; გადაასხამენ თხის შარდს და ამით არჩენენ. მე ვამბობ იმას, რასაც ამბობენ თვითონ ლიბიელები.

188. მსხვერპლს მომთაბარეები ასე სწირავენ: ჯერ საქონელს ყურს მოაჭრიან,

გადაისვრიან იმას სახლის ზემოთ და ამას რომ გააკეთებენ, შემდეგ მოუგრებენ მას კისერს. ისინი მხოლოდ მზესა და მთვარეს სწირავენ მსხვერპლს. ამათ მსხვერპლს სწირავს ყველა ლიბიელი, ტრიტონისის ტბასთან მცხოვრებნი უპიტარესად ათენას სწირავენ მსხვერპლს, ხოლო მათ შემდეგ მცხოვრებნი - ტრიტონსა და პოსეიდონს.

189. ელინებმა ლიბიელი ქალებისაგან გადმოიღეს ის ტანსაცმელი და აბჯარი, რაც ათენას გამოსახულებებზე გვხვდება. მართლაც, თუმცა ლიბიელ ქალთა ტანსაცმელი ტყავისაა და აბჯარზე ჩამოკიდებული ფოჩები გველები კი არაა, თასმებია, მაგრამ სხვა ყველაფერში ისინი ერთნაირები არიან. თვით სახეწოდებაც გვიმტკიცებს იმას, რომ ლიბიიდან არის შემოსული პალადას გამოსახულებების ტანსაცმელი: ლიბიელი ქალები ტანსაცმელზე ატარებენ უბეწვო ფოჩებიან თხის ტყავს, შეღებილს ენდროსი, აი, ამ თხის ტყავისაგან გადმოიღეს ელინებმა სახელი აბჯრისა². მე ვფიქრობ, რომ მსხვერპლშეწირვის დროს კივილი პირველად აქედან წარმოსდგა, რადგან ლიბიელი ქალები კივილს ხშირად მიმართავენ და კარგადაც კივიან. ასევე ლიბიელთაგან ისწავლეს ელინებმა ოთხი ცხენის შებმა ეტლში.

190. მომთაბარეები თავიანთ მიცვალებულებს ისევე მარხავენ, როგორც ელინები, გარდა ნასამონებისა, ესენი მათ დამჯდრებს მარხავენ და იმას ცდილობენ, რომ როდესაც ადამიანს სული ამოსდის, იჯდეს და დაწოლილი არ მოკვდეს. მათი ცხოვრებლები გაკეთებულია ლერწმის ღეროს ირგვლივ მოწნული შტოებისაგან და მათი გადატანა შეიძლება. აი, ასეთ წესებს მისდევენ მომთაბარეები.

191. მდინარე ტრიტონის დასავლეთით ავსებებს მისდევენ მიწათმოქმედი ლიბიელები, რომლებიც ცხოვრობენ ერთ ადგილზე და აშენებენ სახლებს, მათ სახელად ჰქვიათ მაქსიმები. მათ თავის მარჯვენა მხარეზე გრძელი თმები აქვთ, მარცხენა მხარე კი მოპარსული, ხოლო სხეულზე ისვამენ სურინჯს. ისინი ამბობენ, ტროიდან მოსული ხალხის ჩამომავლები ვართო. ეს მხარე და ლიბიის დანარჩენი ნაწილი, რომელიც დასავლეთისკენ რის, ბევრად უფრო მდიდარია მხეცებითა და ტყეებით, ვიდრე მომთაბარეთა მხარე. რადგან ლიბიის ის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთისაკენაა და რომელიც უჭირავთ მომთაბარეებს, დალობია და ქვიშიანი, ვიდრე მდინარე ტრიტონამდე, ხოლო ნაწილი მდინარე ტრიტონიდან დასავლეთით, სადაც ცხოვრობენ მიწათმოქმედები, ძალიან მთიანია, ტყიანი და მხეცებით მდიდარი. აქ გვხვდებიან უზარმაზარი გველები, ამას გარდა ლომები, სპილოები, დათვები, ასპიტები, ვირები, რომელთაც რქები აქვთ, ძაღლისთავა ადამიანები და უთავო ადამიანები, რომელთაც თვალები აქვთ მკერდზე, როგორც თვით ლიბიელები ამბობენ, ველური მამაკაცები და ველური ქალები და დიდი სიმრავლე სხვა ჩვეულებრივი მხეცებისა.

192. ხოლო ნომადების ქვეყანაში ამისთანა არაფერია, სამაგიეროდ იქ არის შემდეგი ცხოველები: ნიამორები, ქურციკები, ჯერინები, ვირები, არა ისინი, რომელთაც რქები აქვთ, არამედ სხვები, არამსმელები (რადგან ისინი წყალს არ სვამენ), ნიამორები, რომელთა რქებისაგანაც კეთდება ქნარის სახელურები (სიდიდით ეს ცხოველი ხრისოდენა არის), მელიები, აფთრები, ზღარბები, ველური ვერძები, დიქტიები, ტურები, ავაზები, ჯიქები, ნიანგები, რომლებიც სამი წყრთის სიგრძისა არიან, მიწაზე ცხოვრობენ და ძალიან ჰგვანან ხვლიკებს, სირაქლელები, პატარა გველები, რომელთაც თითოეულს თითო რქა აქვს. აი, ეს მხეცები არიან აქ და ამას გარდა კიდევ ისეთებიც,

როგორებიც სხვაგან, გარდა ირმებისა და გარეული ტახებისა. ირმები და გარეული ტახი ლიბიეში სრულებით არ არის. აქ სამგვარი ჯიშის თაგვებია. ერთნი იწოდებიან ორფეხად, მეორენი - ძეგერიებად (ეს ლიბური სახელია და ელინურ ენაზე ნიშნავს "ბორცვებს"), ხოლო მესამენი ზღარბებად, სადაც სილფიონი¹ იზრდება, იქ გვხვდებიან ისეთივე კვერნები, როგორებიც ტარტესოსში, ასეთები არიან მომთაბარე ლიბიის ქვეყნის მხეცები, რამდენადაც კი შევძელით, რომ მივწვდომოდით და გამოგვეკვლია.

193. მაქსიმებს ემეზობლებიან ლიბიელი ძავეკები, რომელთა ქალები მართავენ ეტლებს, როდესაც ისინი ომში მიდიან.

194. ამათ ემეზობლებიან გიძანატები; მათთან ბევრ თაფლს ამზადებენ ფუტკრები, მაგრამ, ამბობენ, რომ კიდევ უფრო მეტ თაფლს აკეთებენ თვითონ ხელოსანი ხალხი. ყველა ესენი ტანს სურინჯით იღებენ და ჭამენ მაიმუნებს, რომლებიც ბლომად არიან მთებში.

195. კარქედონელები ამბობენ, რომ მათ ქვემოთ მდებარეობს კუნძული, რომელსაც სახელად ჰქვია კირავისი. იგი სიგრძით 200 სტადიონია, ხოლო სიგანეში ვიწროა და ადვილად გადაისვლება მასზე ხმელეთიდან. ის სავსეა ზეთისხილითა და ვაზით. ამ კუნძულზე არის ტბა, რომლის შლამიდანაც ადგილობრივი ქალწულები ოქროს მარცვლებს კრეფენ ფრინველების ფრთებით, რომლებსაც ფისი უსვია. ეს მართალია თუ არა არ ვიცი, რაც მითხრეს, იმას ვწერ. მაგრამ შესაძლოა ასეც არის, რადგან მე თვითონ ვნახე, რომ ძაკინოტოსში ტბიდან და წყლიდან ფისი ამოჰქონდათ. ძაკინოტოსში ბევრი ტბაა და მათ შორის უდიდესი 70 ფუტია ყოველი მიმართულებით, ხოლო სიღრმით ორი ორგიაა. მასში ჩაუშვებენ ხოლმე ჭოკს, რომელსაც წვერზე ტვიის ტოტი აქვს მიმაგრებული, ხოლო სხვა მხრივ უკეთესია პიერიის ფისზე. შემდეგ ასხამენ მას ორმოში, რომელიც ტბის მახლობლად არის მოთხრილი. როდესაც მას ბლომად მოაგროვებენ, ორმოდან გამოასხამენ ამფორებში, რაც არ უნდა ჩავარდეს ტბაში, მიდის მიწის ქვეშ და შემდეგ აღმოჩნდება ზღვაში. ხოლო ზღვა დაახლოებით 4 სტადიონით არის დაშორებული ტბას. ამრიგად, ლიბიეში მდებარე კუნძულის შესახებ რასაც მოგვითხრობენ, ისიც მართალი უნდა იყოს.

196. კარქედონელები იმასაც ამბობენ, რომ ლიბიის ჰერაკლეს სვეტების გადაღმა ხალხით დასახლებული მხარეც. მათთან როდესაც მიდიან კარქედონელები და მიაქვთ სავაჭრო, ჩაამწკრივებენ მას ნაპირზე, თვითონ ისევ ხომალდებზე ადიან და კვამლს უშვებენ. ადგილობრივი მცხოვრებლები ხედავენ კვამლს, მიდიან ზღვასთან, შემდეგ საქონლის სამაგიეროდ ოქროს ტოვებენ და მიდიან საქონლისაგან შორს. კარქედონელები გამოდიან და ათვალეირებენ, საქონლის შესაფერისი ოქრო თუა დატოვებული, თუ საკმარისია, მიაქვთ და მიდიან, ხოლო თუ არაა საკმარისი, ბრუნდებიან უკან ხომალდებზე და იცდიან, მოსახლეობა კი მოდის და კიდევ უმატებს ოქროს იქამდე, ვიდრე მათ არ დაიყაბულებს. არც ერთი მხარე არ იქცევა უსამართლოდ, რადგან არც კარქედონელები ჰკიდებენ ოქროს ხელს, ვიდრე ის საქონლის ღირებულებას არ გაუთანაბრდება, და არც ადგილობრივი მცხოვრებლები ეკარებიან საქონელს იმაზე უწინ, ვიდრე კარქედონელები ოქროს არ აიღებენ.

197. ესენი არიან ის ლიბიელები, რომელთა სახელებით მოხსენიებაც შევიძელით. მეტი ნაწილი ამათგან მიდიელთა მეფეს არც ახლა მიიჩნევენ არაფრად და არც მაშინ აგდებდა რამედ. კიდევ ის შემძლია ვთქვა ამ ქვეყნის შესახებ, რომ იქ მხოლოდ ოთხი ტომი ცხოვრობს (უფრო მეტი არა), რამდენადაც მე ვიცი; ამათგან ორი ტომი ადგილობრივია, ხოლო ორი - არა. ლიბიელები და ეთიოპელები ადგილობრივები არიან, ამათგან ლიბიელები ცხოვრობენ ჩრდილოეთით, ეთიოპელები კი ლიბიის სამხრეთ ნაწილში. ხოლო ფინიკიელები და ელინები - მოსულები არიან.

198. მე ვფიქრობ, რომ ლიბიე ღირსებები მიხედვით არც კი შეიძლება რომ შევადაროთ აზიას ან ევროპეს, კინიფსის გარდა¹ - იგივე სახელი აქვს ქვეყანას, რაც მდინარეს. აი, ეს მხრე დემეტრეს ნაყოფის მოტანის თვალსაზრისით ქვეყანათა შორის საუკეთესოს მსგავსია და სულ არა ჰგავს დანარჩენ ლიბიეს, აქ არის შავმიწა ნიადაგი, ის ირწყვის წყაროებით, არც გვალვის საშიშროებაა და მას არც დიდი წვიმები ანადგურებენ. უნდა ითქვას, რომ ლიბიის ამ ნაწილში ზომიერი წვიმები იცის. მოსავალი აქაც იმოდენავეა, რამდენსაც იძლევა ბაბილონიის მიწა². კარგია ის მიწაც, რომელზედაც ცხოვრობენ ევესპერიტები, რადგან როდესაც ამ მიწაზე კარგად მოდის მოსავალი, ის იძლევა ნაყოფს ერთი ასად, ხოლო კინიფსის მიწა - ერთი სამასად.

199. ხოლო კირენელთა ქვეყანაში, რომელიც ყველაზე უფრო მაღალია მომთაბარეებით დასახლებულ მთელს ლიბიაში, სამჯერ იღებენ მოსავალს, რაც იწვევს გაოცებას. პირველად ზღვისპირას შემოდის მოსავალი ასაღებად და მოსაკრეფად. ამას რომ აიღებენ, შემდეგ შემოდის ზღვისპირის ზემოთ მდებარე, შუა ადგილების მოსავალი, ამ ადგილებს ბორცვებს უწოდებენ. როდესაც ამ შუა ადგილების მოსავალს აიღებენ, ქვეყნის ყველაზე უფრო მაღალი ადგილების ნაყოფი მწიფდება და შემოდის, ისე რომ, როდესაც პირველი მოსავალი დალეულია და შეჭმული, უკანასკნელი მაშინ წამოემველება ხოლმე. ამრიგად, 8 თვეს უგრძელდება კირენელებს მოსავლის აღება. ესეც ასე!

200. ფერეტიმეს მშველელი სპარსელები, რომლებიც არიანდესმა გაგზავნა ეგვიპტიდან, მივიდნენ ბარკეში, ალყა შემოარტყეს ქალაქს და თხოულობდნენ, მიეცათ მათთვის არკესილეოსის მკვლელობაში დამნაშავენი, რადგანაც ბარკის მთელი მოსახლეობა იყო დამნაშავე, ამიტომ არ მიიღეს სპარსელების წინადადება. ბარკის ალყა გაგრძელდა 9 თვეს, სპარსელებმა გაიყვანეს მიწისქვეშა თხრილები, რომლებიც მიდიოდა კედლებამდე და გააფთრებით ესხმოდნენ ქალაქს თავს. სპილენძის ფარის შემწეობით თხრილები აღმოაჩინა ერთმა მჭედელმა. იმან ისინი ასე შენიშნა: თავისი ფარი მას კედლის შიგნით დაჰქონდა და ეხებოდა ქალაქის მიწას. ყველა სხვა ადგილას, სადაც ეხებოდა, სრული სიჩუმე იყო, ხოლო ფარის სპილენძი მარტო იქ ჟღერდა, სადაც თხრილები იყო. ამ ადგილებში ბარკელებმა შემხვედრი თხრილები გაყვანეს და ამოხოცეს ის სპარსელები, რომლებიც მიწას თხრიდნენ. ასე იქნა ეს აღმოჩენილი, ხოლო თავდასხმებს ბარკელები მამაცურად იგერიებდნენ.

201. ასე გაატარეს კარგა ხანი და ორივე მხრიდან ბევრნი დაიხოცნენ, სპარსელთაგან არანაკლები ბარკელებზე, ვიდრე ქვეითი ჯარის მხედართმთავარმა, ამასისმა შემდეგ ხერხს არ მიმართა: ის მიხვდა, რომ ბარკელებს ძალით ვერ აჯობებენ, ქალაქი ეშმაკობით უნდა აიღონ და ასე მოიქცა: ღამით გაათხრევინა ფართო არხი, მასზე გაადებინა თხელი ფიცრები, ხოლო ზემოდან, ფიცრებზე დააყრევინა მიწა და

ყოველივე ეს დანარჩენ ნიადაგთან გაასწორებინა. გათენებისას მოსალაპარაკებლად მოიწვია ბარკელები. მათ სიხარულით მიიღეს მიწვევა, რადგან თვითონაც უნდოდათ მათთან მორიგება. ხოლო ხელშეკრულება ასეთი დასდეს - ფიცს სდებდნენ შენიღბულ თხრილზე, რომ ვიდრე ეს მიწა ასე იქნება, შეთანხმებაც ძალაში დარჩებაო, ბარკელებს უნდა გადაეხადათ შესაფერისი ხარკი მეფისათვის, ხოლო სპარსელებს აღარ უნდა განეზრახათ ბოროტი ბარკელთა მიმართ. ფიცის დადების შემდეგ ბარკელებმა დაიჯერეს, ყვლა კარიბჭე გააღეს, თვითონაც გამოვიდნენ ქალაქიდან და მტერთა შორის, ვინც კი მოისურვებდა, ყველას შეეძლო შესვლა გალავანში. მაშინ სპარსელებმა დაანგრიეს დაფარული ხიდი და შეცვივდნენ გალავნის შიგნით. ხოლო ამათ გაკეთებული ხიდი იმიტომ დაანგრიეს, რომ დაეცვათ ბარკელებთან დადებული ფიცი, იმდენ ხანს დარჩებოდათ ხელშეკრულება ძალაში, რა ხანსაც მიწა იქნებოდა ისე, როგორც მაშინ იყო, ხოლო რომ ჩაანგრიეს ხიდი, შეთანხმებაც დაირღვა.

202. ბარკელთა შორის ყველაზე მეტად დამნაშავენი ფერეტიდემ, როდესაც სპარსელებმა მას ისინი გადასცეს, სარზე ჩამოაცმევინა გალავნის ირგვლივ, ხოლო მათი ცოლებისათვის ძუძუები დააჭრევინა და ისინიც გალავნის ირგვლივ ჩამოაცვა. დანარჩენი ბარკელები მისი ბრძანებით სპარსელებს გადაეცათ ნადავლად, ბატიადების გარდა, რომელთაც დანაშაული არ მიუძღოდათ არკესილეოსის მკვლელობაში, ამათ ჩააბარა ქალაქი ფერეტიმემ.

203. დანარჩენი ბარკელები სპარსელებმა მონებად გაიხადეს და უკან დაბრუნდნენ, როდესაც ისინი კირენელთა ქალაქთან მივიდნენ, რაღაც მისნობით შთაგონებულმა კირინელებმა გაატარეს ისინი ქალაქზე. ლაშქარი რომ გადიოდა, ბადრესმა, საზღვაო ლაშქრის მხედართმთავარმა, ბრძანა ქალაქი აეღოთ, მაგრამ ამასისმა, ქვეითი ლაშქრის მხედართმთავარმა, ამისი ნება არ მისცა, რადგან ისინი მხოლოდ ელინური ქალაქის, ბარკეს წინააღმდეგ იყვნენ გაგზავნილი. როდესაც ქალაქიდან გავიდნენ და ლიკადონელი ზევსის ბორცვთან ისხდნენ, სპარსელები შეწუხდნენ, რომ არ დაიპყრეს კირენე. ისინი შეეცადნენ მეორედ შესულიყვნენ ქალაქში, მაგრამ კირენელებმა ამის ნება არ მისცეს. სპარსელები შიშმა მოიცვა, თუმცა კი არავინ ებრძოდა მათ, გაიქცნენ და მხოლოდ 60 სტადიონის გავლის შემდეგ დასხდნენ. დაბანაკებულ ლაშქართან მოვიდა არიანდესის მოციქული და უკან გაიძახა. მაშინ სპარსელებმა სთხოვეს კირენელებს, მიეცათ მათთვის საგზალი, მიიღეს და წავიდნენ ეგვიპტეში. ახლა მათი ტანსაცმლისა და საჭურველის გამო იჭერდნენ ლიბიელები მათ შორის ჩამორჩენილებსა და დაგვიანებულებს და ხოცავდნენ, ვიდრე ბოლოს და ბოლოს გადარჩენილებმა არ მიაღწიეს ეგვიპტეს.

204. სპარსელთა ეს ლაშქარი ლიბიის ყველაზე უფრო შორეულ კუთხეში ევესპერიდებამდე მივიდა. ხოლო რაც შეეხება დატყვევებულ ბარკელებს, ისინი გაასახლეს ეგვიპტიდან სპარსეთის მეფესთან, ხოლო მეფე დარიოსმა დასასახლებლად მათ ბაქტრიის ქვეყანაში მისცა სოფელი. ამ სოფელს სახელად დაარქვეს ბარკე და ის ჯერაც, ჩემს დრომდე არსებობდა ბაქტრიის მიწა-წყალზე.

205. მაგრამ არც ფერეტიმეს დაუსრულებია კარგად თავისი ცხოვრება. ბარკელებთან ანგაიშის გასწორების შემდეგ, როგორც კი დაბრუნდა ლიბიიდან ეგვიპტეში, საზარლად მოკვდა: ცოცხლივ დაეხვია მატლები. ეს იმიტომ, რომ ადამიანთა მიმართ

სასტიკი შურისძიება ღმერთებში დიდ სიძულვილს იწვევს. აი, ამნაირად და ასე საშინლად იძია შური ბარკელებზე ფერეტიმემ, ბატოსის ასულმა.

V წიგნი ტერფსიქორე

1. იმ სპარსელებმა, რომლებიც დარიოსმა ევროპეში დატოვა და რომელთაც მეგაბიძოსი განაგებდა, ჰელესპონტელთაგან პირველად პერინთოსელები დაიპყრეს, რადგან მათ არ მოისურვეს დარიოსის ქვეშევრდომები გამხდარიყვნენ და სწორედ ამათ იყო, რომ უწინ პაფონებიც სასტიკად მოეპყრნენ.

ეს იმიტომ, რომ სტრიმონის მიდამოებში მცხოვრებ პაფონებს ღმერთმა გამოუცხადა ელაშქრათ პერინთოსელების წინააღმდეგ: თუ მოპირდაპირედ დაბანაკებული პერინთოსელები მოუწოდებდნენ მათ და სახელით უხმობდნენ, ამ შემთხვევაში უნდა დასხმოდნენ მათ თავს, ხოლო თუ არ დაუძახებდნენ, არ უნდა დახმოდნენ თავს, ხოლო თუ არ დაუძახებდნენ, არ უნდა დახმოდნენ თავს. პაფონებმა ასეც გააკეთეს.

როდესაც პერინთოსელები მათ პირდაპირ გარეუბანში დაბანაკდნენ, მაშინ მათ შორის ორთა სამმაგი ბრძოლა მოხდა გამოწვევით: შეებრძოლა კაცი კაცს, ცხენი ცხენს და ძაღლი ძაღლს. როდესაც პერინთოსელებმა ორ ბრძოლაში გაიმარჯვეს, გახარებულებმა პენი შემოსძახეს. პაფონებმა დაასკვნეს, რომ ეს არის სწორედ წინასწარმეტყველება და უთხრეს ერმთნაეთს: ”ახლაა, რომ გვისრულდება წინასწარმეტყველება და ახლაა წაღმა ჩვენი საქმე”. ასე დაესხნენ თავს პაფონები პენის შემსრულებელ პერინთოსელებს, სასტიკად ძლიეს ისინი და ცოტანილა გადარჩნენ მათგან.

2. ეს იყო, რაც გადახდათ უწინ პაფონთაგან პერიონთოსელებს, ხოლო როდესაც პერიონთოსელები, კარგი ვაჟკაცები, თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, სპარსელებმა და მეგაბიძოსმა ძლიეს ისინი სწორედ თავისი ჯარის სიმრავლით. პერინთოსი რომ დაიმორჩილა, მეგაბიძოსმა ლაშქარი თრაკიაზე გადაატარა და ყოველი ქალაქი და ყოველი ტომი, რომელიც იქ სახლობდა, მეფეს დაუქვემდებარა, რადგანაც მას დარიოსისაგან ჰქონდა ნაბრძანები თრაკიის დაპყრობა.

3. ხოლო თრაკიელთა ტომი ინდიების შემდეგ ყველა ხალხებზე უფრო მრავალრიცხოვანია. თრაკიელები რომ ერთ კაცს ემართა, ან შეთანხმებული ყოფილიყვნენ ერთმანეთში, ჩემი აზრით დაუძლეველი იქნებოდნენ და ყველა ტომზე ბევრად უფრო ძლიერი. მაგრამ ეს მათთვის ძნელია, გადაულახავი და არ ყოფილა ოდესმე შესაძლებელი. ამის გამო არიან ისინი სუსტები, ხოლო სახელები თრაკიელებს ბევრი აქვთ, თითოეულს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზნე-ჩვეულებებით ყველანი ყოველმხრივ ჰგვანან ერთმანეთს, გარდა გეტებისა, ტრავსებისა და იმ თრაკიელებისა, რომლებიც კრესტონელთა ზემოთ ცხოვრობენ.

4. ამათგან უკვე გიამბუთ გეტების ჩვეულებათა შესახებ, გეტების, რომელთაც თავი უკვდავად მიაჩნიათ, ხოლო ტრავსები ყველა სხვა მხრივ დანარჩენ თრაკიელთა მსგავსად იქცევიან, მაგრამ რაც შეეხება დაბადებულებსა და გარდაცვალებულებს, მათ მიმართ ასეთ რასმე ჩადიან: დაბადებულს გარსშემოუსხდებიან მახლობლები და

ჰგოდებენ იმის გამო, თუ რამდენი ბოროტება უნდა შეემთხვას მას დაბადების შემდეგ, და ჩამოთვლიან ყველა ადამიანურ განსაცდელს; ხოლო მიცვალებულს თამაშით და მხიარულებით მარხავენ მიწაში და თან დასძენენ, თუ რა დიდ ბედნიერებაშია, ამოდენა ბოროტებათაგან გათავისუფლებული.

5. ხოლო კრესტონელთა ზემოთ მცხოვრები თრაკიელები ასე იქცევიან: თითოეულს ჰყავს მრავალი ცოლი. როდესაც რომელიმე მათგანი კვდება, მის ირგვლივ ქალების დიდი მოცილეობა იწყება და მეგობართა მაგარი ჩარევა იმის გასარკვევად, თუ ამ ქალთა შორის ქმარს განსაკუთრებით რომელი უყვარდა. ვის მიმართაც ამას გადაწყვეტენ, ის ცოლად დიდად პატივცემულია; მას ხოტბას ასხამენ კაცები და ქალები და მისი უახლოესი პირი მას ქმრის საფლაოზე დააკლავს, შემდეგ დაკლული ქმართან ერთად იმარხება, ხოლო სხვა ქალები დიდ უბედურებას განიცდიან, რადგან ეს მათთვის უდიდესი სირცხვილია.

6. ხოლო სხვა თრაკიელებს შემდეგ ჩვეულება აქვთ: ისინი ჰყიდიან შვილებს უცხოეთში გასაყვანად. ქალწულებს ყურს არ უგდებენ, ის კი არა, ნებას რთავენ კავშირი იქონიონ იმ მამაკაცებთან, ვისთანაც მათ თვითონ სურთ, ხოლო ცოლებს სასტიკად დარაჯობენ. ცოლებს ისინი ყიდულობენ მშობლებისაგან დიდ ფასად. კანის მოხატვა კეთილშობილებადაა მიჩნეული, ხოლო მოუხატველობა - არაკეთილშობილებადაა, უქმად ყოფნა საპატიოდაა მიჩნეული, ხოლო მიწის მუშა ყველა უპატიოდაა. ომიანობითა და ყაჩაღობით თავის რჩენა საპატიოდ ითვლება. ესაა მათი ყველაზე თვალში საცემი ზნე-ჩვეულებები.

7. თაყვანს სცემენ მხოლოდ შემდეგ ღმერთებს: არესს, დიონისეს და არტემიდეს. ხოლო მათი მეფეები, გარდა იმ ღმერთებისა, რომელთაც სხვა მოქალაქეები ცნობენ, ღმერთებს შორის განსაკუთრებით ჰერმესს სცემენ თაყვანს, იფიცებენ მხოლოდ მას და ამბობენ, რომ ჰერმესისაგან არიან თვითონ წარმოშობილი.

8. მათ შორის მდიდრებს ასე მარხავენ: გვამს გამოდგამენ სამი დღის განმავლობაში, კლავენ ყოველგვარ სამსხვერპლო საქონელს და ნადიმობენ, დატირებული კი წინასწარ ჰყავთ, ამის შემდეგ მარხვენ გვამს, ან წვავენ, ან სხვაფრივ - მიწაში ფლავენ, აკეთებენ მიწაყრილს და ყოველგვარ შეჯიბრს მართავენ, რომელშიც უდიდესი ჯილდო ორთაბრძოლისათვისაა განკუთვნილი. ასეთია თრაკიელების დაკრძალვა.

9. ვერავინ იტყვის დანამდვილებით ამ ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მხარე ვის უჭირავს, რომელი ხალხები სახლობენ იქ, ის კი არა - ისტროსის გადაღმა რომ ადგილებია, როგორც ჩანს უდაბური ქვეყანაა და უსაზღვრო. ერთადერთი, ისტროსის გადაღმა მოსახლე ხალხი, რომლის შესახებაც მე შევიძელი გაგება, ისაა, რომელსაც სიგინები ეწოდება. ესენი მიდიურ ტანსაცმელს ატარებენ, ხოლო მათ ცხენებს მთელი სხეული ბანჯგვლიანი აქვთ, დაახლოებით ხუთი თითის სიგრძის ბალნით დაფარული, ეს ცხენები პატარები და ნოღები არიან და ადამიანს ვერ ატარებენ, ხოლო ეტლში შებმულები ფიცხები არიან. ამიტომაც, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებლები ეტლით დადიან. ამათი საზღვარი თითქმის ენეტებამდე აღწევს, ადრიესში რომ არიან. იმასაც ამბობენ, რომ ისინი მიდიელთა მოახალშენენი არიან. როგორ გამხდარან ისინი მიდიელთა მოახალშენენი, მე ვერ ვხვდები, მაგრამ დიდი დროის განმავლობაში ყოველივე შეიძლება მოხდეს. მაგ., ლიგიები, რომლებიც მასალიის

ზემოთ ცხოვრობენ, საგინებს "წვრილვაჭრებს" უწოდებენ, ხოლო კიპროსელების ენაზე ეს სიტყვა "შუბებს" აღნიშნავს.

10. როგორც თრაკიელები ამბობენ, ფუტკრებს უჭირავთ ისტროსის გადაღმა მხარე და ამიტომაც, რომ იქითკენ უფრო წინ წასვლა არ შეიძლება. მე კი ვფიქრობ, რომ ამის მთქმელები სარწმუნოს არაფერს ამბობენ, რადგან, როგორც ჩანს, ფუტკრები ვერ იტანენ სიცივეს, მე კი ვფიქრობ, რომ ჩრდილოეთის დაუსახლებლობა სწორედ სიცივის მიზეზითაა. ესაა რასაც ამ ქვეყნის შესახებ ამბობენ, ხოლო ამ ქვეყნის ზღვისპირეთი მეგაბიდოსმა სპარსელთა ქვეშევრდომად გაიხადა.

11. დარიოსმა სასწარაფოდ გადაიარა ჰელესპონტი და მივიდა სარდემი, მან გაიხსენა ჰისტიამოს მილეტელის ერთგული სამსახური მის მიმართ და კოეს მიტილენელის კეთილი რჩევა, დააძახებინა ისინი სარდემი და მისცა მათ არჩევანი. ჰისტიამოსს, რაგანაც იმ მილეტის ტირანი იყო, არავითარი ტირანობა აღარ უნდოდა და მოსთხოვა მეფეს მირკინოსი (ედონებში რომ არის), სადაც ქალაქის აგება უნდოდა. მან ეს აირჩია, ხოლო კოესმა, რომელიც ტირანი კი არა, უბრალო კაცი იყო, მოითხოვა მიტილენეს ტირანობა. ორივეს აუსრულდა სურვილი და გაემართნენ იმ ქვეყანაში, რომელიც თვითონ აირჩიეს.

12. ამასობაში დარიოსს ერთი ასეთი ამბავი შეემთხვა, რომ ძალიან მოუნდა და უბრძანა მეგაბიდოსს პაფონები დაეპყრო და გადაესახლებინა ევროპიდან აზიაში: პიგრესი და მასტიეს პაფონი ვაჟკაცები იყვნენ, რომლებსაც დარიოსის აზიაში გადასვლის შემდეგ თვითონ უნდოდათ ტირანობა და მოვიდნენ სარდემი, თან წაიყვანეს თავისი და, წარმოსადეგი და კარგი შესახედავი. ისინი დაუდარაჯდნენ დარიოსს, რომელიც სათათბიროდ ლიდიელთა გარეუბანში დაჯდა ასე მოიქცნენ: გამოაწყვეს თავისი და, რაც კი შეიძლება საუკეთესოდ და გაგზავნეს წყალზე: ქალს თავზე ჭურჭელი ედგა, ხელით ცხენს მართავდა და თან სელს ართავდა. როდესაც ქალმა ჩაიარა, დარიოსი ამაზე დაფიქრდა, რადგან არც სპარსელებს სჩვეიათ და არც ლიდილებს ქალის მიერ იმის კეთება, რასაც ეს აკეთებდა, არც სხვა რომელიმე აზიელ ხალხს. დაინტერესდა ამით დარიოსი, გაგზავნა ერთი-ორი შუბოსანი და უბრძანა მათ, დადარაჯებოდნენ, თუ რას უზამს ქალი ცხენს. ესენი უკან მიჰყვნენ ქალს, როდესაც ქალი მდინარესთან მივიდა, დააღვივინა ცხენს წყალი, რომ დააღვივინა, აავსო ჭურჭელი წყლით და იმავე გზით გამობრუნდა, ჭურჭელი თავზე ედგა, ცხენს ხელით მიათრევდა და თან ტითისტარს ატრიალებდა.

13. დარიოსს ისიც გაუკვირდა, რაც მეთვალთვალეთაგან მოისმინა და ისიც, რაც თვითონ ნახა და უბრძანა, მოეყვანათ ქალი მასთან. ხოლო როგორც კი მოიყვანეს ქალი, მისი ძმებიც იქვე გაჩნდნენ, რომლებიც ამ ამბებს იქვე, სორიახლოს უთვალთვალებდნენ, როდესაც დარიოსი მათ შეეკთიხა, თუ სადაურია ქალი, ჭაბუკებმა უპასუხეს, რომ თვითონ პაფონები არიან და ეს კი მათი დაა, დარიოსი ისევ შეეკითხა: "რა ხალხია პაფონები, ქვეყნის რომელ მხარეში ცხოვრობენ, და რა უნდათ მათ, რომ მოვიდნენ სარდემი". ხოლო მათ უპასუხეს, რომ მოვიდნენ იმიტომ, რათა მას ჩაბარდნენ. ხოლო პაფონიე მდინარე სტრიმონთან მდებარეობს, სტრიმონი კი ჰელესპონტისაგან შორს არაა. თვითონ კი ტროელი ტევკრების ჩამომავლები არიან, იმათ ყოველივე ეს თქვეს, ხოლო დარიოსმა იკითხა, ყველა თქვენი ქალი ასეთი

გამრჯენი არიან თუ არაო, ხოლო მათ თამამად უთხრეს, რომ ასეთები არიანო, სწორედ ამისათვის იყო მთელი ეს ამბავი მოწყობილი.

14. მაშინ დარიოსმა მისწერა წერილი მეგაბიძოსს, რომელიც თრაკიაში მხედართმთავრად ჰყავდა დატოვებული, რომ აეყარა პაფონები თავისი მიწა-წყლიდან და მასთან მოეყვანა, თვითონაც, მათი შვილებიც და მათი ცოლებიც. მაშინვე გაჭენდა მხედარი და წაიღო ჰელესპონტში ცნობა, გადაიარა ჰელესპონტი და მისცა წერილი მეგაბიძოსს. მან წაიკითხა წერილი, აიყვანა თრაკიელი წინამძღოლები და გაილაშქრა პაფონეზე.

15. პაფონებმა რომ შეიტყვეს სპარსელები მოდიანო, შეიკრიბნენ და გაილაშქრეს ზღვის მიმართულებით, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ სპარსელები აქ დაესხმებოდნენ მათ თავს. პაფონები მზად იყვნენ მეგაბიძოსის ლაშქარი, რომელიც მათზე მიდიოდა, უკუეგდოთ, ხოლო სპარსელებმა რომ შეიტყვეს, პაფონები შეიკრიბნენ და ზღვის მხრიდან შემოსასვლელს დარაჯობნენ, წაიყვანეს წინამძღოლები და ზემოთა გზაზე გაბრუნდნენ. პაფონებმა ვერც კი შეამჩინეს ისინი, მათ მიერ მიტოვებულ ქალაქებს რომ დაესხნენ თავს. ხოლო ქალაქებს რომ დაესხნენ თავს, ადვილად დაიპყრეს ისინი. პაფონებმა როგორც კი შეიტყვეს, რომ ქალაქები აღებულია, მაშინვე დაიფანტნენ და თითოეული თავის კუთხეში წავიდა და ჩაჰბარდა სპარსელებს. ეგრე აიყარნენ თავისი საცხოვრისიდან პაფონთაგან სირიოპაფონები, პაფოპლები და ისინი, რომლებიც პრასიასის ტბამდე სახლობდნენ და მივიდნენ აზიაში.

16. ისინი, რომლებიც პანგაფონის მთასთან ცხოვრობენ დობერების, აგრინების და ოდომანტების მეზობლად და თვით პრასიასის ტბასთან. არ ემორჩილებოდნენ მეგაბიძოსის მართველობას. თუმცა მეგაბიძოსი შეეცადა ამ ტბაზე მცხოვრებთა დაპყრობას შემდეგნაირად: შუა ტბაში მაღალ ხიმინჯებზე იდგა შეკრული ფიცარნაგი, რომელიც ხილით უკავშირდებოდა ხმელეთს. ძველად ყველა მოქალაქე ერთად დგამდა ხიმინჯებს, რომლებიც ფიცარნაგის საყრდენს წარმოადგენდნენ, ხოლო შემდეგ მათი დადგმის ამისთანა ჩვეულებას მისდევდნენ: როდესაც ვინმე ცოლს ირთავდა, თითოეული ცოლის სახელობაზე მოჰქონდა თორბელოსად წოდებული მთიდან სამი ხიმინჯი და ტბაში არჭობდნენ. ხოლო თითოეული კაცი ძალიან ბევრ ცოლს ირთავს. ისინი ამგვარად ცხოვრობენ. თითოეულს ფიცარნაგზე აქვს ქოხი, რომელშიც ცხოვრობს და ჩამოსაშები კარი, რომლითაც ფიცარნაგზე გავლით ქვემოთ ტბისაკენ მიემართებიან. ჩვილ ბავშვებს ფეხზე თოკს აბამენ, რადგან ეშინიათ, ძირს არ ჩაგორდნენ. ცხენებსა და სახედრებს საჭმელად თევზს აძლევენ, რადგან თევზის ისეთი სიმარეველა, რომ როდესაც ჩამოსაშეებ კარს გააღებენ და თოკით ცარიელ კალათას ტბაში გადაუშვებენ, სულ ცოტა ხანში მას თევზით სავსეს ამოსწევენ ხოლმე: ხოლო ტბაში თევზის ორი ჯიშია: ერთს უწოდებენ პაპრაკს, ხოლო მეორეს - ტილონს.

17. დამორჩილებული პაფონები წავიდნენ აზიაში; ხოლო მეგაბიძოსმა პაფონების დამორჩილებისთანავე მოციქულებად გაგზავნა მაკედონიაში 7 სპარსელი ვაჟკაცი, რომლებიც თვით მის შემდეგ ყველაზე უფრო სხელმოხვეჭილი იყვნენ ბანაკში. გაიგზავნენ ისინი ამინტესთანა, რომ მოეთხოვათ მიწა-წყალი მეფე დარიოსისათვის, ხოლო პრასიასის ტბიდან მაკედონიამდე ძალიან მოკლე გზაა: ამ ტბის მერე პირველად არის საბადო, საიდანაც შემდეგ ალექსანდრეს ყოველდღიურად

ვერცხლის ტალანტი შესდიოდა, ხოლო საბადოს შემდეგ არის მთა, რომელსაც დისოროსი ეწოდება. ამ მთას რომ გადაივლი, უკვე მაკედონიაში ხარ.

18. გაგზავნილი სპარსელები, როგორც კი მივიდნენ ამინტესთან, მოსთხოვეს მას მეფე დარიოსისათვის მიწაცა და წყალიც. ამინტესმა მისცა მათ, რასაც თხოულობდნენ და სტუმრად დაპატიჟა, გაუმართა შესანიჩნავი ნადიმი და სპარსელები მეგობრულად მიიღო. როდესაც ნატიმი დამთავრდა, სპარსელები სმას შეუდგნენ და ასე მიმართეს მას:

”მვირფასო მაკედონელებო, ჩვენ, სპარსელებს წესად გვაქვს, დიდ წვეულებას რომ ვაწყობთ, მაშინ ხარჭებსა და ცოლებს შემოვიყვანთ და გვერდით ვისხამთ. შენ კი, რაკი ხალისით მიგვიღე, დიდებულად გაგვიმასპინძლდი, მეფე დარიოსს მიწასა და წყალს აძლევ, ბარემ ჩვენს წესსაც მისდიე”. ამინტესმა ამაზე უთხრა: ” სპარსელებო, ჩვენ არა გვაქვს ეს წესად, პირიქით, ჩვენთან მამაკაცები განცალკევებულები არიან ქალთაგან, მაგრამ რაკი თქვენ ხართ ჩვენი უფალნი და გსურთ, რომ ასე იყოს, ესეც შეიძლება”. ასე თქვა ამინტესმა და კაცი გაგზავნა ქალების მოსაყვანად. როდესაც დამახებული ქალები მოვიდნენ, მწკრივად დასხდნენ სპარსელების პირდაპირ. სპარსელებმა რომ დაინახეს ლამაზი ქალები, უთხრეს ამინტესს, არაფერია იმაში ჭკვიანური, რაც გააკეთე, რადგან ემჯობინებოდა სულაც არ მოსულიყვნენ ქალები, ვიდრე ის, რომ მოვიდნენ და გვერდით კი არ დაგვისხდნენ, პირდაპირ ჩამოგვიმწკრივდნენ და ჩვენს თვალებს სატკივარი გაუჩინესო. ამინტესი იძულებული გახდა, ქალებისათვის ებრძანებინა სპარსელების გვერდით მოსხდომა: როდესაც ქალები დამორჩილდნენ, სპარსელებმა მაშინვე მკერდზე დაუწყეს ხელების წავლება, რადგან ძალიან ნაღვინეები იყვნენ, ზოგიერთები კი მათ კოცნასაც ცდილობდნენ.

19. ამის შემყურე ამინტესი, თუმცა ძალიან ბრაზობდა, მაგრამ გარეგნულად მშვიდად იყო, რადგან ძალიან ეშინოდა სპარსელებისა. ამინტესის მე ალექსანდრეც იქ იყო და ხედავდა ამას; ის ახალგაზრდა კაცი იყო და უბედურება ჯერ არაფერი განეცადა. მან ვეღარ შეძლო თავის შეკავება და ძალიან მწყრალად უთხრა ამინტესს: ”მამა, ასაკის მიხედვით შეგეფერება, წახვიდე და მოისვენო და არ იჯდე ამდენ ხანს სმის დროს. მე დავრჩები აქ და ყოველივე აუცილებელს მივაწვდი სტუმრებს”. ამინტესი მიხვდა, რომ ალექსანდრე რაღაცის დატრიალებას აპირებდა და უთხრა: ”შვილო, შენ ალელვებული ხარ და მე მგონი კიდევაც მიგიხვდი, რომ გიდნა გამისტუმრო და შენ აქ რაღაც დაატრიალო, მე გთხოვ ამ კაცებს არაფერი დაუშავო, რომ არ დაგელუპო, პირიქით, მშვიდად უყურე იმას, რაც ხდება; ხოლო რაც შეეხება ჩემს წასვლას, ამას გაგიგონებ”.

20. ამინტესმა ეს რომ ითხოვა, წავიდა; ალექსანდრემ კი უთხრა სპარსელებს: ”სტუმრებო, აქ ქალთაგან თქვენთვის მრავალი ხელმისაწვდომი, თუ მოგინდებათ, ყველასთან შეგიძლიათ დაწოლა, თუ არა და იმათთან, რომლებიც მოგინდებათ მათ შორის. თქვენ მხოლოდ გვანიშნეთ ამის შესაებ, ახლა კი თქვენი დაწოლის დრო მოვიდა, ვხედავ, მაგრამ ხართ ნასვამი, თუ გინდათ, ეს ქალები გაუშვით დასაბანად და დაბანილებს მერე უკან დაელოდეთ”. ეს რომ თქვა, სპარსელები დაეთანხმნენ, ხოლო მოსული ქალები ალექსანდრემ უკან საქალებოში გაგზავნა; თვითონ ალექსანდრემ ქალების თანაბარი რიცხვის უწვერული მამაკაცები გამოაწყო ქალების

ტანსაცმელში, მისცა მათ ხელში მახვილები და შიგნით შეიყვანა. შეიყვანა ესენი და უთხრა სპარსელებს: ” სპარსელებო, მე მგონია, ღირსეულად გიმასპინძლეთ, ისიც კი, რაც ყველაფერზე უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ჩვენი საუკეთესო დედები და დები მოგვგარეთ, რათა თქვენ საბოლოოდ შეიტყოთ, რომ პატივს გცემთ ისე, რისი ღირსიც ხართ, ხოლო მეფეს, რომელმაც თქვენ გამოგზავნათ, შეატყობინეთ, რომ ელინმა ვაჟკაცმა, მაკედონელთა მმართველმა, თქვენ კარგი სუფრა და საწოლი დაგახვედრათ”. ესა თქვა ალექსანდრემ და სპარსელ მამაკაცს მაკედონელი მამაკაცი მიუსვა, თითქოს ქალიაო. ამათ კი, როდესაც სპარსელებმა მოუნდომეს ხელების შევლება, ამოწყვიტეს სპარსელები.

21. ასეთი სიკვდილით ამოწყდნენ ესენი, თვითონაც და მათი მხლებლებიც: რადგან მათ თან ახლდათ ეტლები, მსახურები და ბევრი სხვა რამე, რაც საჭირო იყო მგზავრობაში. ყოველივე ეს მათთან ერთად გაქრა. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ სპარსელებმა ამ კაცების ძებნა დაიწყეს. ალექსანდრემ ისინი მოხერხებულად შეაჩერა, მისცა ბევრი ფული და თავისი და, რომელსაც სახელად ერქვა გიგადე; ფული და გიგადე ალექსანდრემ ბუბარესს მისცა, სპარსელ ვაჟკაცს, რომელიც მხედართმთავროდა დაღუპული სპარსელების მძებნელებს. ამ სპარსელების სიკვდილი ამგვარად იქნა დამალული და მიჩქმალული.

22. პერდიკესის ეს ჩამომავლები, რომ ელინები არიან, ამას თვითონაც ამბობენ და მეც ასე ვიცი (შემდეგ მოთხრობაში კიდევაც დავამტკიცებ იმას, რომ ისინი ელინები არიან¹). ამას გარდა ოლიმპიაში შეჯიბრების მომწყობებმაც ასე გადაწყვიტეს, რომ ისინი ელინთაგან არიან. რადგან, როდესაც ალექსანდრემ მოინდომა მონაწილეობის მიღება ამავე შეჯიბრებაში, ის ელინები, რომლებიც უნდა შეჯიბრებოდნენ სირბილში, აძევებდნენ მას, ამბობდნენ, რომ ეს შეჯიბრება ბარბაროსთა ასპარეზობა კი არ არის, არამედ ელინთა ასპარეზობააო, ხოლო როდესაც ალექსანდრემ დაუმტკიცა მათ, რომ ის არგოსელი არის, აღიარეს მისი ელინობა. სირბილში შეჯიბრებისას რომ მიიღო ალექსანდრემ მონაწილეობა, წილად პირველბოა ხვდა. ეს ამბები ასე მოხდა.

23. მეგაბიდოსმა წაიყვანა პადონები და მივიდ ჰელესპონტში, შემდეგ გადაცურა ჰელესპონტი და მივიდა სარდეში. ამ დროს ჰისტიამოს მილატელი ზულდეს აგებდა იმ ადგილას, რომელიც მან დარიოსისაგან გამოითხოვა როგორც გასამრჯერლო და საჩუქარი ხიდის დაცვისათვის², ხოლო ეს ადგილი მდინარე სტრიმონთანაა და სახელად ჰქვია მირკინოსი. შეიტყო მეგაბიდოსმა, რასაც აკეთებს ჰისტიამოსი და როგორც კი მოვიდა სარდეში და მოიყვანა პადონები, დარიოსს შემდეგი უთხრა: "მეფეო, ეს რა ჩაგიდენია, საშიშარსა და ბრძენ ელინს ქალაქი ააშენებინე თრაკიაში, სადაც უამრავი ნავთსაშენი მასალაა, ბევრი სანიჩზე ხეებია და ვერცხლის საბადოები?! უამრავი ელინი ცხოვრობს ამ ადგილის ირგვლივ, ბევრია ბარბაროსიც, რომელიც წინამძღოლობს რომ იშოვნიან, იმას გააკეთებენ, რასაც ეს უბრძანებს დღე იქნება თუ ღამე. შენ ამ კაცს შეაწყვეტინე ის, რასაც აკეთებს, რომ შინააშლილობა აიცდინო, ალერსიანად იხმე შენთან და შეაწყვეტინე თავისი საქმიანობა, ხოლო როდესაც ხელში ჩაიგდებ, ის ჰყავი, რომ ელინებთან აღარსოდეს მივიდეს".

24. ეს რომ თქვა მეგაბიდოსმა, იოლად დაარწმუნა დარიოსი, რომ კარგად ჭკრეთს წინასწარ იმას, რაც უნდა მოხდეს, დარიოსმა ამის მერე მოციქული გაგზავნა

მირკინოსში და დააბარა შემდეგი: " ჰისტიაოს, მეფე დარიოსი გეუბნება: ბევრი ვიფიქრე და მოვიფიქრე, რომ მე და ჩემს სახელმწიფოს შენზე უფრო ერთგული კაცი არავინა ჰყავს, ეს მე ვიცი და დავადასტურე არა სიტყვების მიხედვით, არამედ საქმით. ახლა, რადგანაც მე დიდი საქმეების აღსრულება განვიზრახე, მოდი უქველად ჩემთან რომ ყოველივე გაგიზიარო". ჰისტიაოსმა დაიჯერა ეს სიტყვები და რადგან დიდ პატივად მიაჩნდა მეფის მრჩევლად ყოფნა, მივიდა სარდელში, როდესაც მოვიდა, დარიოსმა უთხრა: " ჰისტიაოს, აი, რისთვის დაგიძახე: მას მერე, რაც სკვითებისაგან დავბრუნდი და შენ თვალთაგან მოშორებით მყავხარ, არაფერი სხვა ისე არ მაკლდა, როგორც შენი ნახვა და შენთან საუბარი, რადგან დავრწმუნდი, რომ ყოველგვარ ქონებაზე უფრო ძვირფასია ჭკვიანი და ერთგული მეგობარი. მე ვიცი და, შემოიზღია დავამტკიცო, რომ ორივე შენა ხარ ჩემი სახელმწიფოსათვის. ახლა კარგი ჰქენი, რომ მოხვედი, მე კი შემდეგს გთავაზობ: თავი დაანებე მილეტს და ახლად აგებულ ქალაქს თრაკიაში, წამომყევი სუსამი, ყველაფერი, რაც მე მაქვს, შენც გექნება, და იქნები ჩემი თანამეინახე და მრჩეველი".

25. ეს რომ თქვა დარიოსმა, სარდელის მმართველად თავი მამით ერთი ძმა, არტაფრენესი დააყენა, წავიდა სუსამი და თან წაიყვანა ჰისტიაოსი, ხოლო ზღვისპირეთის მხედართმთავრად დანიშნა ოტანესი, რომლის მამა სისამნესი მეფე კამბისესს სამფოს მოსამართლედ ჰყავდა, ხოლო როდესაც სისამნესმა ფულის გულისათვის სამართალი უსამართლოდ განსაჯა, მეფემ ის მოაკვლევინა და გაატყავებინა, ხოლო მას რომ გახადეს ტყავი, იმისაგან თასმები დააჭრევინა და იმ ტახტზე გადააკვრევინა, რომელზედაც სისამნესი იჯდა და მოსამართლეობდა ხოლმე. ტყავი რომ გადააკვრევინა, კამბისესმა იმ სისამნესის ნაცვლად, რომელიც მოჰკლა და გაატყავა, მოსამართლედ დანიშნა სისამნესის შვილი და უბრძანა ხსომეობდა, რომ ტახტზე ზის და მოსამართლეობს.

26. ამ ოტანესმა, რომელიც დაჯდა ამ ტახტზე დ რომელიც მაშინ მეგაბიძოსის მემკვიდრე იყო მხედართმთავრობაში, დაიპყრო ბიძანტიონელებიც და ქალკედონელებიც, აიღო ანტანდროსიც, რომელიც ტროადის მიწაწყალზეა, აიღო ლამპონიონიც; წაართვა ლესბოსელებს ხომალდები და დაიპყრო ლემნოსიც და იმბროსიც, ორივენი მაშინ ჯერ კიდევ პელაზგთაგან დასახლებულები.

27. ხოლო ლემნოსელები მამაცად იბრძოდნენ და თავს იცავდნენ, ისე რომ, მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დამარცხდნენ. გადარჩენილი ლემნოსელების მმართველად სპარსელებმა ლიკარეტოსი დააყენეს, ძმა მადანდრიოსისა, რომელიც უწინ მეფობდა სამოსზე. ეს ლიკარეტოსი მმართველი იყო ლემნოსისა და იქვე გარდაიცვალა. . . ამის მიზეზი შემდეგი იყო: ოტანესმა ყველანი დაატყვევა და დაიმორჩილა: ზოგს ბრალად სდებდა სკვითებზე ლაშქრობის დროს ბრძოლისთვის თავის არიდებას; ზოგს კიდევ იმას, რომ ისინი არიოსის ლაშქარს ავიწროვებდნენ, როდესაც ის სკვითებისაგან უკან ბრუნდებოდა.

28. მხედართმთავრობაში ამდენი რამ გააკეთა, ხოლო შემდეგ ცოტა ხნით უბედურებები მიწყნარდა, მერე კი მეორედ დაიწყო უბედურება ნაქსოსელი და მილეტელი იონელებისათვის, რადგან თუ ნაქსოსი თავისი სიმდიდრით კუნძულთა შორის სწორედ ამ დროს გამოირჩეოდა, მაშინ იყო რომ მილეტი განსაკუთრებით ყვაოდა და იონიის მშვეენებას წარმოადგენდა, ამაზე უწინ კი ადამიანთა ორი თაობის

მანძილზე მილეტში საგანგებო შფოთიანობა იყო, ვიდრე პაროსელებმა არ დააწყნარეს იქაურობა; ყველა ელინთა შორის მილეტელებმა ესენი ამოირჩიეს დამწყანრებლებად.

29. ხოლო პაროსელებმა მათი საქმეები ასე მოაგვარეს: მათი წარჩინებული კაცები მოვიდნენ მილეტში და როდესაც დაინახეს, რომ მილეტელები საშინად არიან გაჩანაგებულები, უთხრეს, რომ უნდათ მათი ქვეყნის დათვალიერება. ესეც გააკეთეს და დაიარეს მილეტის მთელი მიწა-წყალი, როგორც კი დაინახავდნენ გაუდაბურებულ ქვეყანაში რომელიმე კარგად დამუშავებულ ყანას, ჩაიწერდნენ ამ ყანის პატრონის სახელს, დიარეს მთელი ქვეყანა და ასეთები ცოტა აღმოაჩინეს: ქალაქში რომ დაბრუნდნენ, მოიწვიეს კრება და ისინი დანიშნეს ქალაქის მმართველად, რომელთა ყანებიც კარგად დამუშავებული ნახეს. თავისი აზრიც გამოთქვეს, რომ ესენი სახელმწიფო საქმეებზედაც ისევე იზრუნებენ, როგორც თავის საკუთარზე ზრუნავდნენ, ხოლო დანარჩენ მილეტელებს, რომლებიც უწინ შფოთს ტეხენ, უბრძანეს ამათ დამორჩილებოდნენ.

30. პაროსელებმა მილეტელები ასე დააწყნარეს, მაგრამ ამიერიდან იყო, რომ ამ ქალაქებიდან დაატყდათ თავს უბედურება იონიასა და ისიც ასე: ნაქსოსის შემღებულთაგან ზოგი ხალხმა გამოაძევა და გამოძევებულები მოვიდნენ მილეტში: ამ დროს მილეტის მეუვედ იყო არისტაგორეს მილპაგორესი ძე, სიძე და ბიძაშვილი ლისაგორესის ძის ჰისტიადოსი, მილეტის ყოფილი ტირანი, სუსაში იმ დროს აღმოჩნდა, როდესაც მილეტში ნაქსოსელები მივიდნენ, ჰისტიადოსის უწინდელი მეგობრები. ნაქსოსელები მივიდნენ მილეტში და სთხოვეს არისტაგორესს, როგორმე დახმარებოდათ მათ, რომ ესენი სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. არისტაგორესმა მოიფიქრა, რომ თუ ესენი მისი მეშვეობით დაბრუნდებიან თავის სამშობლოში, თვითონ გახდება ნაქსოსის მმართველი, ამიტომ ამოეფარა ჰისტიადოსთან მათ მეგობრობას და შემდეგი სიტყვით მიმართა მათ: "მე თვითონ არ შემძლია იმოდენა ჯარის მოცემა, რომ დაგაბრუნო ქალაქში, მათი მპყრობელების, ნაქსოსელების სურვილის წინააღმდეგ, რადგან შევიტყვე, რომ ნაქსოსელებს 8000 მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცი ჰყოლიათ და ბევრი გრძელი ხომალდი, მაგრამ შევეცდები და ყოველ ღონეს ვიხმარ; საამისოდ შემდეგი მოვიფიქრე: არტაფრენესი ჩემი მეგობარია. ამავე დროს, თქვენც მოგეხსენებათ, ჰისტაპესის შვილია და მეფე დარიოსის ძმაა; ის განაგებს აზიაში მთელ ზღვისპირეთსა, ჰყავს დიდი ლაშქარი და აქვს მრავალი ნავი.

მე ვფიქრობ, რომ ეს კაცი გააკეთებს, რასაც ვთხოვთ". ნაქსოსელებმა ეს მოისმინეს და დაავალეს არისტაგორესს, გაეკეთებინა ყოველივე, რაც შეიძლება კარგად, უთხრეს რომ საჩუქრებს დაჰპირდება არტაფრენესს და რომ თვითონ გადაუხდიდნენ ლაშქრის ხარჯებს, ამავე დროს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ როგორც კი გამოჩნდებოდნენ ნაქსოსზე, ნაქსოსელები ყოველივეს გააკეთებდნენ, რასაც კი მათ უბრძანებდნენ, ისევე როგორც სხვა კუნძულების მცხოვრებლებიც (ეს იმიტომ, რომ ამ კიკლადთა კუნძულთაგან არც ერთი არ ყოფილა ჯერ დარიოსის გამგებლობაში).

31. მოვიდა არისტაგორესი სარდელი დ უთხრა არტაფრენეს, რომ ნაქსოსი დიდი კუნძული არაა, მაგრამ ყოველმხრივ კარგია და მშვენიერი, თან იონიის მახლობლად მდებარეობს, სიმდიდრე ბევრია იქ და მონები. "გაილაშქრე ამ ქვეყანაზე და დააბრუნე ისინი, ვინც აქედან არიან გაქცეულები. ამას რომ გააკეთებ, მე დაგიმზადებ დიდ

ქონებას, გარდა ლაშქრის ხარჯებისა (რადგან სამართალი მოითხოვს, ვისაც მიგვყავხართ, იმათ გავიღოთ ესეც). შემდეგ მოუპოვებ მეფეს იმავე ნაქსოსსა და მასზე დამოკიდებულ კუნძულებს: პაროსს, ანდროსსა და სხვათა, რომელთაც კიკლადები ეწოდებათ, აქედან რომ წამოხვალ, ადვილად დაესხმი თავს ვებოდას, რომელიც დიდი და მდიდარი კუნძულია, არა ნაკლები კიპროსზე და თან ძალიან ადვილი ასაღები. ყოველივე ამის აღსასრულებლად საკმარისია ასი ნავი". ამაზე არტაფრენესმა უპასუხა: "შენ მეფის სახლის კეთილი საქმეების მოსრუნე ხარ, ყოველივე ეს რაც ურჩიე, კარგია, გარდა ნავების რიცხვისა. ასი ნავის ნაცვლად ორასს დაგიმზადებ გაზაფხულისათვის. მხოლოდ საჭიროა, თვით მეფე იყოს ამის ყაბუღს".

32. არისტაგორესმა ეს რომ მოისმინა, გაეხარდა და წავიდა მილეტში. ხოლო არტაფრენესმა გაგზავნა სუსამი კაცები და მეფეს შეატყობინა ის, რაც არისტაგორესმა თქვა. თვით დარიოსი რომ თანახმა გახდა არტაფრენესმა მოამზადა ორასი ტრიერი, სპარსელთა დიდი ჯარი და ამათ მხედართმთავრად დააყენა მეგაბატესი, სპარსელი ვაჟკაცი, აქამენიდათაგანი, მისი და დარიოსის ბიძაშვილი; შემდეგ ხანებსი, თუ დაეჯერება გადმოცემას, ამის ასულს თხოულბოდა ლაკედემონელი პავსანიესი, კლეობროტოსის ძე, რომელსაც სურვილი ჰქონდა ელადის ტირანი გამხდარიყო. არტაფრენესმა მეგაბატესი დააყენა მხედართმთავრად და გაუგზავნა ლაშქარი არისტაგორესს.

33. მეგაბატესმა წამოიყვანა მილეტიდან არისტაგორესის იონიური ლაშქარი და ნაქსოსელები და გასცურა თითქოს ჰელესპონტში; მაგრამ როდესაც მივიდა ქიოსზე, ნავები წარმართა კავკასასაკენ, რომ იქიდან ჩრდილოეთის ქარის მეშვეობით ნაქსოსზე გადმოსულიყო. მაგრამ ნაქსოსელები ამ ლაშქრობას არ დაუღუპავს, ამგვარი საქმე კი მოხდა: როდესაც მეგაბატესმა ნავებით შემოუარა სადარაჯოებს, მინდროსის ნავზე არავინ აღმოჩნდა მოდარაჯე. მეგაბატესი ძალიან გაბრაზდა და უბრძანა შუბოსნებს, რომ მოეძებნათ ამ ნავის მეთაური (მას სახელად ერთქვა სკილაქსი), შეეკრათ ის და ამ ანვის ქვემოთა ხვრელში ჩაეჭედად იმგვარად, რომ გარეთ თავი დაეტოვებინათ და შიგნით ტანი. როდესაც სიკლაქსი შეკრეს, ვიღაცამ აცნობა რისტაგორესს, რომ მეგაბატესმა შეკრა და შეურაცხყოფას აყენებს მის მინდოსელ სტუმარს. იგი მოვიდა და სთხოვდა სპარსელს პატიებას, მაგრამ თხოვნით რომ ვერაფერს გახდა, წავიდა და თვითონ გაათავისუფლა სკილაქსი. ეს რომ შეიტყო მეგაბატესმა, ძალიან გაბრაზდა და შეუტია არისტაგორესს, მან კი უპასუხა: "შენ რა გესაქმება? განა არტაფრენესმა იმისათვის არ გამოგზავნა, რომ ჩემი დაგეჯერებინა და იქ გაგეცურა, სადაც გიბრძანებდი? რად ერევი სხვის საქმეში?" ეს სიტყვა არისტაგორესმა, ხოლო მეგაბატესს ამაზე ძალიან მოუვიდა გული და როგორც კი დაუღამდა, ხომალდით გაგზავნა კაცები ნაქსოსზე იმისათვის, რომ შეეტყობინებინათ ნაქსოსელებისათვის მთელი საქმის ვითარება.

34. მართლაც ნაქსოსელები სრულიად არ ელოდნენ, რომ ეს ლაშქარი მათზე მოდის; როდესაც შეიტყვეს, მაშინვე მთელი მოსავალი მინდვრებიდან ქალაქის ზღუდის შიგნით შეიტანეს, როგორც ალყაშემორტყმულები მომარაგდნენ საჭმლითა და სასმელით და კედელიც გაამაგრეს. ესენი მოემზადნენ, რადგან ომი უკვე კარზე იყო მომდგარი, ისე რომ, როდესაც სპარსელებმა ნავები ქიოსიდან ნაქსოსზე გადაიყვანეს, ისინი კარგად დაცულები დახვდნენ და ალყა 4 თვეს გაგრძელდა. ის ფული, რაც სპარსელებმა თან მოიტანეს, მთლად დაეხარჯათ, თვით არისტაგორესმაც ბევრი

დახარჯა ამას გარდა, ხოლო ალყა კი უფრო მეტს საჭიროებდა; მაშინ სპარსელებმა ნაქსოსელ ლტოლვილთათვის სიმაგრე ააგეს და ყოვლად ხელმოცარულნი დაბრუნდნენ უკან კუნძულებიდან ხმელეთზე.

35. ამგვარად არისტაგორესმა ვერ შეასრულა ის, რასაც დაჰპირდა არტაფრენეს. ამასთნავე მას ძალიან აწუხებდა ის ხარჯები, რასაც ლაშქარი მოითხოვდა, ასევე ამინებდა ლაშქრის წარუმატებლობა და მეგაბატესთან გაფუჭებული ურთიერთობა; ისე რომ, ფიქროდა, მილეტზე ძალაუფლება ჩამოერთმევაო. ეშინოდა ყოველივე ამის და გადაწყვიტა განდგომა. მოხდა ამავე დროს ის, რომ დატატურიებულთავიანი კაცი მოვიდა სუსიდან, ჰისტიადოსის გამოგზავნილი, იმის მანიშნებლად, რომ არისტაგორესი უნდა განდგომოდა მეფეს. ჰისტიადოს უნდოდა ენიშნებინა არისტაგორესისათვის გადგომა, მაგრამ სხვაგვარად ვერ ანიშნებდა მას უხიფათოდ, რადგან გზებს სდარაჯობდნენ, ამიტომ მან მონათა შორის ყველაზე ერთგულს გააკრეჭინა თავი, ზედ ამოაჩხვლეტინა ნიშნები, დაიცადა სანამ თმა ამოუვიდოდა; როგორც კი ამოუვიდა მას თმა, გაგზავნა ეს კაცი მილეტში და სხვა არაფერი დაუვალებია იმის გადა რომ, როდესაც მივიდოდა მილეტში, ეთქვა არისტაგორესისათვის გაეკრიჭა მისთვის თმები და დაეთვალიერებინა მისი თავი. ხოლო თავზე ამოჩხვლეტილი ნიშნები კი, როგორც უწინ ვთქვი, განდგომისაკენ მოუწოდებდნენ. ჰისტიადოსმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ ძალიან განიცდიდა თავის სუსაში დაყოვნებას, ხოლო თუ მილეტი გადაუდგებოდა სპარსთა მეფეს, ჰისტიადოსს დიდი იმედები ჰქონდა, რომ მას გაუშვებდნენ ზღვისაკენ. მან ადრე მოიფიქრა, რომ თუ რამე გადატრიალება არ მოხდებოდა მილეტში, იგი ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა იქ.

36. ეს იფიქრა ჰისტიადოსმა და ამიტომ გაგზავნა მოციქული მილეტში, ხოლო არისტაგორესისათვის მთელი ეს ამბები თანადროულად მოხდა. იგი მოეთათბირა თავის თანამოაზრეებს, გაოუცხადა მათ თავისი აზრი და ისიც, რაც ჰისტიადოსისაგან მოივდა, ყველანი იმავე აზრისა იყვნენ და მოუწოდებდნენ ამბოხებისაკენ, მხოლოდ ჰეკატაოს ლოგოგრაფოსმა თავდაპირველად არ ურჩია, რომ სპარსთა მეფესთან ომი წამოეწყო, ჩამუთვალა ყველა ის ტომი, რომლებიც ემორჩილებოდნენ დარიოსს და შეახსენა მისი ძლევამოსილება. ხოლო შემდეგ, როდესაც არ დაუჯერეს, ურჩია ისე მაინც მოქცეულიყვნენ, რომ ზღვა მათ ხელში ყოფილიყო. როდესაც ამას ლაპარაკობდა, მან სთქვა, რომ ამის მოსახსენებლად მეტი გზა არაა (რადგან იცოდა მილეტელთა ძალების სისუსტე), ის ქონება უნდა ჩაიგდონ ხელში, რაც ბრანქიდეს სამლოცველოშია ლიდიელი კროდოსის მიერ შეწირული. ამ შემთხვევაში მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ზღვაზე გაბატონდებოდნენ, თანაც თვითონ მოიხმარენ ამ ქონებას და მტერი ვერ შეძლებს დატაცვებას. ხოლო ეს ქონება დიდი იყო, როგორც გადმოვეცი ჩემი ისტორიის ირველ თავში. მაგრამ ვერც ამ აზრმა გაიმარჯვა. მილეტელებმა მაინც გადაწყვიტეს, რომ უნდა გამდგარიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი უნდა წასულიყო მიუსში, იმ ბანაკში, რომელიც ნაქსოდისან იყო მოსული და აქ იდგა და ეცადა შეეპყრო ნავებით მოსული მხედართმთავრები.

37. ამ საქმისათვის გაიგზავნა იეტრაგორესი. მან ეშმაკობით შეიპყრო ოლიატოს იბანოლისის ძე, მილასელი, ჰისტიადოს ტიმენსის ძე, ტერმერელი, კოეს ერქსადროსი ძე, რომელსაც დარიოსმა მიტილენე აჩუქა, არისტაგორეს ჰერაკლიდესის ძე, კიმელი და სხვა მრავალი. ამგვარად არისტაგორესი სრულიად აშაკარად გადაუდგა მეფეს და

დარიოსის წინააღმდეგ ყოველგვარ ხრიკეს მიმართა. პირველად მან თითქოს ხელი აიღო ტირანიაზე და მილეტში დაამყარა თანაბარუფლებიანობა, ეს იმისათვის, რომ მილეტელები თავისი ნებით მიმხრობოდნენ მას. შემდეგ ასევე მოიქცა მთელი იონიის მიმართ, ტირანთაგან ზოგიერთები გაამევა, ხოლო ის ტირანები, რომლებიც შეიპყრო იმ ნავებზე, მასთან ერთად რომ მოცურდნენ ნაქსოსის წინააღმდეგ, გადასცა ქალაქებს, ყველა იმ ქალაქს, საიდანაც თითოეული მათგანი იყო, რადგან მოქალაქეთა გულის მოგება უნდოდა.

38. ხელთ იგდეს თუ არა კოესი, მიტილენელებმა გაიყვანეს იგი ქალაქ გარეთ და ჩაქოლეს, კიმელებმა თავისი ტირანი გაუშვეს, ისევე როგორც სხვა მრავალმა ქალაქმა გაუშვა თავისი ტირანი. ამგვარად, ყველა ქალაქში მოხდა ტირანთა დამხობა, ხოლო არისტაგორეს მილეტელმა ტირანების დამხობისთანავე უბრძანა თითოეულ ქალაქს საკუთარი მხარდართმთავარი დაეყენებინათ, ხოლო შემდეგ თვითონ წავიდა ტრიერით ლაკედემონში, რადგან ვინმე დიდი მოკავშირე ჰყავდა მოსამებნი.

39. ანაქსანდრიდეს ლეონის ძე უკვე აღარ მეფობდა სპარტეში, რადგან გარდაიცვალა და ძალაუფლება კლეომენესს, ანაქსანდრიდესის ძეს ჰქონდა, არა პირადი ღირსებების მიხედვით, არამედ მემკვიდრეობით. ანაქსანდრიდესს ცოლად ჰყავდა თავისი დის ასული, რომელიც ძალიან უყვარდა, შვილები კი არ ჰყავდათ. ეს რომ ასე იყო, ეფორებმა დაუძახეს მას და უთხრეს: "თუ შენ არ ზრუნავ შენი თავისათვის, ჩვენ მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ევრისტანესის გვარი არ შეწყდეს, მართალია გყავს ცოლი, მაგრამ რადგან ის არ გიჩენს შვილებს, გაუშვიო და სხვა შეირთე. ამ საქციელით სპარსელებს ასიამოვნებ". მან მიუგო, რომ არ მიიღებს არც ერთ მათ წინადადებას, და რომ მათ მისთვის კარგი არაფერი ურჩევიათ, რადგან მას ჰყავს ცოლი, მის მიმართ სრულიად უცოდველი, მათ კი სურთ, ეს გაუშვას და სხვა მოიყვანოს. და რომ ის არც იფიქრებს დაუჯეროს მათ.

40. მაშინ ეფორებმა და გერონტებმა მოითათბირეს და ანაქსანდრიდესს შესთავაზეს: "ვხედავთ, რომ ცოლი ასე ძალიან გიყვარს და იმის წინააღმდეგ მაინც ნუ წახვალ და დაგვიჯერე, რასაც გირჩევთ, რომ სპარსელებმა შენს წინააღმდეგ ცუდი რამ არ გადაწყვიტონ. რც შეეხება იმ ცოლს, რომელიც გყავს, ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ ის გაუშვა, რასაც ახლა აკეთებ, ყველაფერი ძველებურად გაუკეთე, მხოლოდ იმის გარდა სხვა ქალი მოიყვანე კიდევ, რომელსაც შვილის გაჩენა შეეძლება". მათ რომ ეს თქვეს, ანაქსანდრიდესი დათანხმა, შემდეგ მას ორი ცოლი ჰყავდა და ცხოვრობდა ორ სახლად; მან ისეთი რამ გააკეთა, რაც არასოდეს ჰქონიათ სპარტელებს ჩვეულებად.

41. დიდი დრო არ გასულა, რომ შემდეგ მოყვანილმა ცოლმა გააჩინა აი, ეს კლეომენესი. როგორც კი მას სპარტელების ტახტის მემკვიდრე გაუჩინა, პირველი ცოლი, პირველ ხანებში რომ უშვილო იყო, მაშინვე დაორსულდა. აი, ასეთი ამბავი დაემართა მას. ის ნამდვილად დაორსულდა, ხოლო მეორე ცოლის ნათესავებმა შეიტყვეს ეს ამბავი, აღელდნენ და ამბობდნენ, რომ ქალი ტყუილად იკვების და უნდა ზავში მიიგდოსო. ისინი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, დრო კი თანდათან იწურებოდა; ეფორები, რომლებსაც ასევე არ სჯეროდათ, მშობიარე ქალს გარსშემოუხსდნენ და სდარაჯობდნენ, მან გააჩინა დორიევსი, ხოლო მის მერ მაშინვე გაუჩნდა ლეონიდესი და ლეონიდესის მიყოლებით კლეომბროტოსი. ზოგიერთები კი

ამბობენ, კლემენტორტოსი და ლეონიდესი ტყუპები არიანო, ხოლო მეორედ მოყვანილ ცოლს, რომელიც პირნეტადეს დემარმენოსის ძის ასული იყო, მეორედ აღარ უშვია.

42. ხოლო კეომენესი, როგორც ამბობენ შეშლილივით ჭკუანაკლი იყო, დორიევს კი თავის ტოლ-სწორთა შორის ბადალი არ ჰყავდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პირადი ღირსებების მხედვით იგი მიიღებდა ხელისუფლებას. ის რომ ასე ფიქრობდა, ამასობაში ანაქსანდრიდესიც მოკვდა, ხოლო ლაკედემონელებმა მისდიეს მათში არსებულ წესს და დააყენეს მეუფედ უფროსი კლემენესი; დორიევსი ამაზე ძალიან გაჯავრდა და იუკადრისა კლემენესის მეფობა, გამოეთხოვა სპარტელ ხალხს და წაიყვანა ახალსენი დასაარსებლად, მაგრამ ისე, რომ არც დელფოს სამისნოს შეეკითხა, თუ რომელ ქვეყანაში წავიდეს და დააფუძნოს ახალშენი, და არც სხვა რამ გააკეთა, რაც წესად ჰქონდათ; ადგა და დიდად აღშფოთებულმა ლიბიეში წაიყვანა თავისი ხომალდები. მათ წინ თერელები უძლოდნენ. როდესაც მიაღწია კინიპამდე, იქ დაასახლა ლიბიელთა საუკეთესო ადგილები, რომელიც ამ მდინარესთან იყო. იგი აქედან მაკებმა, ლიბიელებმა და კარქედონელებმა გამოაძევეს მესამე წელს და დაბრუნდა პელოპონესში.

43. აქ ანტიქარეს ელეონელმა ურჩია მას ლაიოსის წინასწარმეტყველების მიხედვით სიკელიეში დაეარსებინა ჰერაკლედე, და უთხრა რომ ერიქსის მთელი ქვეყანა ჰერაკლიდებისა არის, რადგანაც თვით ჰერაკლეს მონაპოვარიყო. დორიევსმა რომ ეს მოისმინა, წავიდა დელფოში მისნობის შესატყობად, აიღებს თუ არა ამ ქვეყანას, საით წასვლასაც აპირებს. პითიამ მიუგო მას, რომ აიღებს, დორიევსმა წაიყვანა ის ლაშქარი, რომელიც ლიბიეში ჰყავდა და გაემართა იტალიის გასწვრივ.

44. ამავე დროს, როგორც ამბობენ, სიბარიტები, თვითონ ისინიც და ტელისი, მათი მეფე, აპირებდნენ კროტონზე ლაშქრობას. შეშინებულმა კროტონელებმა დორიევსს სთხოვეს შემწეობა; ამანაც შეიწყნარა თხოვნა. დორიევსმა მათთან ერთად ილაშქრა სიბარისზე და აიღეს კიდეც სიბარისი. სიბარიტები ამბობენ, რომ ეს გააკეთა დორიევსმა და მათ, ვინც მასთან იყვნენ. ხოლო კროტონელები ამბობენ, რომ უცხო არავინ შევლოდა მათ სიბარიტებთან ომში, გარდა კალიესისა, რომელიც ელეელი მისანი იყო. იამიდთაგანი, და ესეც ამგვარად: ის გამოექცა საბირიტთა ტირანს, ტელისს და მოვიდა მათთან, რადგან არ გამოსდიოდა სასიკეთო მსხვერპლშეწირვა, როდესაც კროტონის წინააღმდეგ სწირავდა. ამას ამბობენ კროტონელები.

45. ამის დასამტკიცებლად სიბარიტებსა დაკროტონელებს თავთავისი საბუთები მოჰყავთ: სიბარიტები მიუთითებენ წმინდა ჭალაზე და ტამარზე, რომელიც არის ამომშრალი კრათისთან, ამბობენ, რომ როდესაც დორიევსმა სხვებთან ერთად ქალაქი აიღო, ეგრეთ წოდებულ კრათისელ ათენას აუგო ეს ტამარი, ამას გარდა ყველაზე უფრო დიდ საბუთად თვით დორიევსის სიკვდილი არის მიჩნეული, რადგანაც ის დაიღუპა იმიტომ, რომ იმის საწინააღმდეგოდ მოიქცა, რაც ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა: თუ ის მხოლოდ იმას გააკეთებდა, რისთვისაც ლაშქრობა მოაწყო, აირებდა კიდევაც ერიქსის ქვეყანას და რომ აიღებდა, მისი მფლობელიც გახდებოდა; მაშინ არც თვითონ დაიღუპებოდა და არც ლაშქარი. კროტონელები კი მიუთითებენ იმაზე, რომ კალიეს ელეელს კროტონიეტისის მიწაზე ბევრი საგანგებო ნაკვეთი ჰქონდა ბოძებულები, რაც ჯერ კდევ ჩემს დრომდე ეჭირათ კალიესის ჩამომავლებს, ხოლო დორიევსსა და დორიევსის ჩამომავლებს არაფერი ჰქონდათ. ისე რომ დორიევსს რომ

მონაწილეობა მიეღო სიბარიტების ომში, მას ბევრად მეტს მისცემდნენ, ვიდრე კალიესს. ესაა ის საბუთები, რომელიც თითოეულ მხრეს მოჰყავს და ვისაც როგორ უნდა, იმას დუჯეროს.

46. დორიევსთან ერთად გასცურეს სხვა სპარტელებმა, რომლებიც მასთან ერთად აფუძნებდნენ ახალ ქალაქს. ესენი იყვნენ თესალოსი, პარაბატესი, კელეესი და ევრილეონი, რომლებიც, როდესაც მივიდნენ სიკელიესი მთელი თავისი ლაშქრით, ბრძოლაში დაიხოცნენ ფინიკიელებისა და ეგესტელების მიერ ძლეულნი. ამ ახალმოშენთა შორის მხოლოდ ევრილეონი გადაურჩა ამ უბედურებას, მან წაიყვანა ლაშქრიდან ისინი, ვინც გადარჩნენ და დაიპყრო სელინუსელთა კოლონია მინოე და დაეხმარა სელინუსელს, რომ თავი გაეთავისუფლებინათ მონარქ პედთაგორესისაგან. ხოლო შემდეგ პედთაგორესი რომ დაამხო, თვითონ დაიმკიდრა ტირანობა სელინუსში, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს მონარქობდა, რადგანაც სელინუსელების მას გადაუდგნენ და გაქცეული მოჰკლეს აგორადოს ზევსის საკურთხეველთან.

47. დორიევსს მიდსია და მასთან ერთად მოკვდა ფილიპე ბუტაკიდესის ძე, კროტონელი ვაჟკაცი, რომელმაც დანიშნა ტელის სიბარიტელის ასული და გაიქცა კროტონიდან, ისე რომ, ქორწინებას დაუსხლტა, წავიდ და გასცურა კირენში, ხოლო აქედან წვიდა და მისდია დორიევსს საკუთარი ტრიერთითა და ხალხიც საკუთარი ხარჯით ჰყავდა წყევანილი, მას ოლიმპურ შეჯიბრებებში გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და მისი დროის ელინთა შორის ულამაზესი იყო. მისი სილამაზის გამო იყო, რომ ეგესტელებისაგან მიიღო ის, რაც არ მიუღია სხვას არავის: მის საფლავთან ააგეს გმირისათვის განკუთვნილი სამლოცველო და მსხვერპლს სწირავენ მისი გულის მოსაგებად.

48. ამგვარად აღესრულა დორიევსი, ხოლო მას რომ აეტანა კლეომენესი მეფობა და დარჩენილიყო სპარტეში, თვითონ გახდებოდა ლაკედემონის მეფე რადგანაც კლეომენესი დიდხანს არ განაგებდა ქვეყანას, მოკვდა უძეოდ. დარჩა მხოლოდ ერთი ასული, რომელსაც სახელად ერქვა გორგო.

49. ამრიგად, არისტაგორესი, მილეტის ტირანი, მაშინ მივიდ სპარტეში, როდესაც იქ ძალაუფლება კლეომენესს ჰქონდა, როგორც ლაკედემონელები ამბობენ, მან მასთან საუბარი ისე გამართა, რომ ხელში სპილენძის დაფა ეჭირა, რომელზედაც მთელი დედამიწის დაფა იყო ამოჭრილი, მთელი ზღვები და მდინარეები. გაუბა მას საუბარი არისტაგორესმა და უთხრა შემდეგი: "კლეომენეს, ნუ გაგიკვირდება ჩემი აჩქარება, რომელიც აქ მოსასვლელად გამოვიჩინე. ეს მე აუცილებლობამ გამაკეთებინა: ოინიელები იმის ნაცვლად, რომ თავისუფლები იყვნენ, მონები არიან, და ეს ჩვენთვის სირცხვილი და უდიდესი უბედურებაა, თქვენთვის კი უფრო მეტად, რამდენადაც სათავეში უდგახართ ელადას, ახლა ელინთა ღმერთებს გაფიცებთ, გაათავისუფლეთ მონობისაგან ოინიელები, რომლებიც თქვენი სისხლისანი არიან, თქვენთვის ეს ადვილად მისაღწევია: რადგან ბარბაროსები არ არიან მამაცები, თქვენ კი საომარ საქმეებში ბევრად აღემატებით ყველას. ისინი ასე იბრძვიან: მშვილდით და მოკლე შუბით, ხოლო ბრძოლაში ისე მიდიან, რომ ფართო შარვლები აცვიათ და თავზე წოწოლა ქუდები ჰხურავთ, ამიტომ ადილად დასამლევები არიან. ხოლო იმ ხმელეთზე ვინც ცხოვრობს, მათ იმდენი ქონება აქვთ, რამდენიც არა აქვთ ყველა სხვა ხალხს ერთად, ოქროთი დაწყებული, ვერცხლი, სპილენძი, ფერადი ტანსაცმელი,

სახედრები და მონები. თუ ამას გულით მოინდომებთ, თქვენი იქნება. მე გაჩვენებთ, თუ როგორ არიან ისინი განსახლებული. ამ იონიელების მეზობლად არიან ლიდელები, რომლებიც ცხოვრობენ კარგ ქვეყანაში და ყველაზე უფრო მდიდრები არიან ვერცხლით", ესა სთქვა და აჩვენა დედამიწის რუკაზე, რომელიც თან ჰქონდა დაფაზე ამოჭრილი. "ხოლო ლიდელების აღმოსავლეთით - განაგრძობ არისტაგორესმა - არიან ფრიგიელები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილ ყველა ხალხთან შედარებით საქონელმრავალნი და მოსავლით მდიდარნი არიან. ფრიგიელების მეზობლად არიან კაპადოკიელები, რომლებიც აღწევენ ამ ზღვას იქამდე, სადაც მდებარეობს კუნძული კიპროსი. ესენი ყოველწლიურად უხდებიან მეფეს ხარკს - 500 ტალანტს. კილიკიელების მეზობლად არის კასიის ქვეყანა, რომელშიც მდინარე ქოასპესთან მდებარეობს სუსა, სადაც ცხოვრობს დიდი მეფე და სადაც არის მისი საგანძურები. ეს ქალაქი რომ აიღოთ, ზევსთანაც კი გაბედავთ სიმდიდრეში შეჯიბრებას. მაგრამ განა ღირს თქვენთვის პატარა ქვეყნის გამო, რომელიც არც იმდენად კარგია და თან საზღვრებით შემოფარგლული, ბრძოლის დაწყება მესენიელებთან, რომლებიც ბრძოლაში, თქვენი თანაბარი არიან არკადიელებთან და არგოსელებთან, რომელთაც არ ოქრო აბადიათ და არც ვერცხლი, რის გულისთვისაც კაცს სურვილი უჩნდება ბრძოლისა და ბრძოლაში სიკვდილისა. მაშინ, როდესაც თქვენ იოლად შეგიძლიათ მთელი აზიის მართვა, სხვას რასმე აირჩევთ?" ეს თქვა არისტაგორესმა, ხოლო კლეომენესმა შემდეგი მიუგო: "მიღეტელო სტუმარო, ჩემს პასუხს მესამე დღისათვის გადაგიდებ".

50. მაშინ ამდენი დღით გადაუდო ხოლო როდესაც დადგა პასუხისათვის განსაზღვრული დღე, მოვიდნენ დათქმულ ადგილას, კლეომენესი შეეკითხა არისტაგორესს, თუ რამდენი დღის გზა არის იონიელთა ზღვიდან მეფემდე, ხოლო არისტაგორესი, რომელიც საერთოდ ჭკვიანი იყო და კლეომენესს მოხერხებულად ატყუებდა, ამაში შეცდა, რადგან თუ კი სპარტელების აზიაში გადაყანა უნდოდა, არ იყო საჭირო, რომ მისთვის სიმართლე ეთქვა, მან კი სწორად უთხრა, გზას სამი თვე სჭირდებაო, ხოლო კლეომენესმა შეაწყვეტინა არისტაგორესს სიტყვა, რომლის თქმასაც კიდევ აპირებდა გზის შესახებ და უთხრა: "სტუმარო მიღეტელო, დატოვე სპარტე მზის ჩასვლამდე, რადგან ლაკედემონელთათვის არაფერი გითქვამს სასიკეთო, როდესაც ისინი ზღვისთვის სამი თვის სავალი გზით გინდოდა დაგემორებინა".

51. ეს თქვა კლეომენესმა და შევიდა სახლში, ხოლო არისტაგორესმა დაიჭირა ზეთის ხილი შტო და წავიდა კლეომენესის სახლში, სახლში შესულმა გამოუცხადა კლეომენესს, მოემსმინა მისთვის, როგორც მავედრებელისათვის და ბავშვი აქედან გაესტუმრებინა (კლეომენესთან იქვე მისი ასული იდგა, რომელსაც სახელად გორგო ერქვა. ეს მისი ერთადერთი შვილი იყო და მაშინ 8 თუ 9 წლისა იქნებოდა). კლეომენესმა უთხრა მას, თქვი რაც გინდა და ბავშვის გულისათვის ნუ შეიკავებ თავსო, მაშინ არისტაგორესმა დაიწყო იმით, რომ დაპირდა 10 ტალანტს, თუ კი კლეომენესი აუსრულებდა სათხოვარს როდესაც კლეომენესმა უარი უთხრა, არისტაგორესმა თანდათანობით თანხას უმატა, ხოლო, როდესაც მივიდა იქამდე, რომ 50 ტალანტი შესთავაზა, ბავშვმა დაიძახა: "მამა, თუ არ ადგები და არ გახალ, უცხოელი მოგისყიდის". კლეომენესს გაეხარდა, რომ ბავშვმა შეახსენა და გავიდა მეორე ოთახში, ხოლო არისტაგორესმა საბოლოოდ დატოვა სპარტე და მეფისაკენ გამგზავრების შესახებ მეტი ლაპარაკი ვეღარ მოახერხა.

52. ხოლო ეს გზა ასეთია: ყველგან არის სამეფო სადგომები და საუკეთესო სასტუმროები, მთელი გზა გადის დასახლებულ და უშიშარ ადგილებზე. ლიდიეს და ფრიგიეზე მოდის 20 სადგური და ეს არის 94 1/2 ფარსანგი. ფრიგიიდან გზა მდინარე ჰალისისაკენ უხვევს, ჰალისთან არის ბჭეები, რომელთა გავლაც ყველასათვის აუცილებელია, ვინც უნდა გადავიდეს მდინარეზე. აქვეა დიდი საყარულო. რომ გადახვალ კაპადოკიაში, კილიკიის საზღვრამდე არის ორით ნაკლები 30 სადგური, სულ 104 ფარსანგი. ამ საზღვრებში გასავლელია ორი ბჭე და ორი საყარაულო, ხოლო ამას რომ გასცდები და გზას გაივლი კილიკიაზე, ის სამი სადგურია, 15 1/2 ფარსანგი. კილიკიის და არმენიის საზღვარი მოდის სანაოსნო მდინარეზე, რომლის სახელიც არის ეფრატესი. არმენიაში არის 15 დასასვენებელი სადგური 56 1/2 ფარსანგის მანძილზე და იქვე არის საყარაულოებიც. ამ ქვეყანაზე მიედინება ოთხი სანაოსნო მდინარე, რომელთა გადაცურვა აუცილებელია. პირველი ტიგრესი, შემდეგ მეორესა და მესამეს ეწოდება ძაბატოსი, მაგრამ ეს ერთი და იგივე მდინარე არაა და ისინი არც ერთი და იმავე ადგილიდან გამომდინარეობენ, რადგანაც პირველი მათგანი - არმენიელთაგან მოედინება, ხოლო მეორე - მათიენთაგან. ამ მდინარეთაგან მეოთხეს სახელად ჰქვია გინდესი, რომელიც ოდესღაც კიროსმა 360 არხად დაჰყო. ამ არმენიიდან შევდივართ მათიენის ქვეყანაში, აქ 34 სადგურია, 137 ფარსანგი. აქედან კისიის ქვეყანაში გადავიდავართ. აქ 11 სადგურია, სულ 42 1/2 ფარსანგი მდინარე ქოასპემდე, რომელიც აგრეთვე სანაოსნოა. ამ მდინარესთან არის აგებული ქალაქი სუსა; ეს სადგურები სულ 111-ია. სარდედან სუსაში რომ მიდიხარ, აი ამდენი დასასვენებელი სადგურია ამ გზაზე.

53. თუ კარგად გავზომავთ სამეფო გზას ფარსანგებით (ხოლო ფარსანგი ნამდვილად 30 სტადიონს უდრის) სარდედან სამეფო სამყოფელამდე, ე.წ. მემნონამდე, 13500 სტადიონია, რაც უდრი 450 ფარსანგს. თუ კაცი ყოველდღიურად 150 სტადიონს გავილის, მაშინ ამ გზას მოუხდება სულ 90 დღეს.

54. ამგვარად, არისტაგორეს მილეტელმა რომ უთხრა კლეომენეს ლაკედემონელს, სამი თვის სავალი გზაა მეფემდისო, სწორად უთხრა, ხოლო თუ ვინმეს უნდა ამაზე უფრო ზუსტად იცოდეს, მე ამასაც ვიტყვი, რადგან ამ მანძილს უნდა მიემატოს კიდევ გზა ეფესოდან სარდემდე. ისე, რომ მე ვამბობ, ელინური ზღვიდან სუსამდე (რომელსაც მემნონის ქალაქს უწოდებენ), მთლიანად არის 1440 სტადიონი და რადგან ეფესოდან სარდემდე 540 სტადიონია, ამით სამთვიანი გზა 3 დღით გრძელდება.

55. არისტაგორესი რომ წავიდა სპარტიდან, მივიდა ათენში, რომელიც ტირნთაგან ამგვარად იყო განთავისუფლებული: ჰიპარქოსმა, პედისისტრატოსის ძემ, ტირანი ჰიპიესის ძმამ, იოლად ასახსნელი სიზმარი ნახა თავისი უბედურების შესახებ და კიდევაც მოჰკლეს ის არისტოგეეტონმა და ჰარმოდოსმა, რომლებიც წარმოშობით გეფირაეზისი გვარისა იყვნენ. ხოლო ამის შემდეგ ათენელები ოთხი წლის განმავლობაში ტირანიას კიდევ უფრო მეტად განიცდიდნენ, ვიდრე უწინ.

56. ხოლო ჰიპარქოსმა ასეთი სიზმარი ანხა: პანათენელების წინა ღამეს ჰიპარქოსს ეჩვენა ვაჟკაცი, რომელიც მასთან იდგა, წარმოსადეგი და ლამაზი და რომელმაც მას გამოცანად შემდეგი ჰეგზამეტრი უთხრა:

"მოისმინე, ლომო, მოუთმენელი ამბები მომთმენი გულით, რადგან უსამართლობის ჩამდენ ადამიანთაგან სასჯელს არავინ გაჰქცევია". ჰიპარქოსმა გათენებისთანავე ყოველივე გამოუცხადა სიზმრის ამხსნელებს, ხოლო შემდეგ დაანება თავი ამ სიზმარზე ფიქრს და მოაწყო საზეიმო პროცესია, რომელშიც დაიღუპა კიდევ.

57. ხოლო გეფირადები (ჰიპაროსის მკვლელები) როგორც თვითონ ამბობენ, წარმოშობით ერეტრიიდან ყოფილან, ხოლო როგორც მე მივაკვლიე, ისინი ფინიკიელები იყვნენ, იმ ფინიკიელთაგანნი, რომლებიც კადმოსთან ერთად მოვიდნენ იმ მიწაზე, რომელსაც ახლა ბოდტოია ეწოდება და დასხლდნენ წილად ხვდომილ ამ ქვეყნის ტანაგრის მხარში, აქედან ჯერ კადმეელები გამოაძევეს არგოსელებმა, ხოლო შემდეგ ეს გეფირადები გამოაძევეს ბოდტოიელებმა და მაშინ წავიდნენ ისინი ათენში. ათენელებმა მიიღეს ისინი საკუთარ მოქლაქეებად გარკვეული პირობით და ბევრი რამ ისეთი აღუკვეთეს, რაც არა ღირს მოსახსენებლად.

58. ხოლო კადმოსთან ერთად მოსულმა ფინიკიელებმა, რომელთაგანნიც იყვნენ გეფირადები, ეს ქვეყანა დაასახლეს, ბევრი სხვადასხვაგვარი ცოდნა შესძინეს ელინებს და განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ შორის დამწერლობა, რომელიც უწინ არ ჰქონდათ ელინებს. მე მგონია, პირველად იმ დამწერლობას ხმარობდნენ, რომელსაც იყენებდა ყველა ფინიკიელი, ხოლო დრო რომ გავიდა, ენის შეცვლასთან ერთად გამოიცვალა ასოების მოხაზულობაც. ხოლო ამ დროს მოსული ფინიკიელების ირგვლივ ქვეყნის მეტი წილი ელინთაგან ეჭირათ იონელებს. ამათ ისწავლეს ფინიკიელთაგან ასოები, მცირედ შეუცვალეს მოხაზულობა და ისე იყენებდნენ მათ, ხოლო ხმარებისს, როგორც სიმართლე მოითხოვდა, ამბობდნენ, რომ ფინიკიური დამწერლობა ეწოდებაო, რადგანაც ფინიკიელების მიერ იყო შემოტანილი ელადაში. ბერძნები ძველიდანვე წიგნებს ტყავებს უწოდებდნენ, რადგანაც ოდესღაც ჭილის ნაკლებობის გამო ისინი თხის და ცხვრის ტყავებს ხმარობდნენ საწერად. ჯერაც, ჩემს დროს, ბევრი ბარბაროსი ამისთანა ტყავზე წერს.

59. მე თვითონ ვნახე კადემური დამწერლობა აპოლონ ისმენიელის ტაძარში., ბოდტოიელთა თებეში სამ სამფეხზე გაკეთებული. ის ძალიან ჰგავს იონიურს. ამ სამფეხთაგან ერთს ასეთი წარწარა აქვს: ამფიტრიონის შწმოწირული ვარ, ტელემოებისგან მოპოვებული".

ეს უნდა მომხდარიყო ლაიოსის დროს, რომელიც იყო ლაბდაკოსის ძე, ლაბდაკოსი კი პოლიდოროს კადმოსის ძის ძე იყო.

60. ხოლო მეორე სამფეხზე ჰეგზამეტრული ლექსით შემდეგია ნათქვამი:

"სკადოს მოკრივემ რომ გაიმარჯვა, შემოგწირა შენ, შორსმტყორცნელ აპოლონს, ჩემი თავი უმშვენიერეს სამკაულად".

სკადოსი უნდა იყოს ჰიპოკოონტის ძე, თუ კი შემწირველი ისაა, და არა სხვა ვინმე, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, რაც ერქვა ჰიპოკოონტის ძეს, რომელიც ოდიპოს ლაიოსის ძის დროს იყო.

61. მესამე სამფეხზე ასევე ჰეგზამეტრით არის ნათქვამი: "ლაოდამასმა, თავისი ერთმმართველობის დროს, თვითონ შემოგწირა უმშვენიერეს სამკაულად შენ, შორსმჭვრეტელ აპოლონს ეს სამფეხი". როდესაც ლაოდამას ეტეოკილესის ძემ მმართველობდა, გამოაძევეს არგოსელებმა კადმეელები და ისინი წავიდნენ ენქელებთან, ხოლო გეფირადები, რომლებიც დარჩნენ, შემდეგში ბოჰოტიელების მიერ იქნა გამოძევებული და გადავიდნენ ათენში. ათენში მათ ააგეს ტაძრები, რომელთა შორის არც ერთი არ ჰგავს ათენის დანარჩენ ტაძრებს. ისინი სულ განსხვავებული არიან სახვა ტაძრებისაგან, განსაკუთრებით კი აქაფის დემეტრეს ტაძარი და მისი მისტერიები.

62. მე უკვე მოგიხსენებთ ჰიპარქოსის სიზმრის შესახებ და გითხარით ისიც, საიდან წარმოსდგებიან გეფირადები, რომელთაგანაც იყვნენ ჰიპარქოსის მკვლელები. ამას გარდა კიდევ უნდა დავუბრუნდე ამბავს, რომელსაც თავდაპირველად ვყვებოდი, თუ როგორ განთავისუფლდნენ ათენელები ტირანთაგან¹. როდესაც ტირანობდა ჰიპიესი და ათენელებს კიდევ უფრო ამწარბდა ჰიპარქოსის სიკვდილის გამო, ალკმეონიდები, წარმოშობით ათენელები, თავის დროზე რომ გაექცნენ პედსტრატიდებს, შემდეგ სხვა ათენელ ლტოლვილებთან ერთად ცდილობდნენ ზალით უკან დაბრუნებას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. რომ შეეცადნენ უკან დაბრუნებას და ათენის განთავისუფლებას, მას მერე, რაც გაამაგრეს ლედფსიდრიონი, რომელიც პადონიის ზემოთაა, დიდი მარცხი განიცადეს. მაშინ ალკმეონიდები, რომლებც ყოველმხრივ ბოროტს იზრახავდნენ პედსტრატიდების წინააღმდეგ, დაექირავნენ ამფიქტიონებს, რომ ააშენებდნენ ტაძარს დელფოში, იმას, რომელიც ახლაც, მაშინ კი არ იყო. რაკილა იმთავითვე შეძლებულელები და სახელოვანი ვაჟკაცები იყვნენ, იმაზე უკეთესი ტაძარი ააგეს, ვიდრე ნიმფში ჰქონდათ მიცემული, განსაკუთრებით იმით, რომ ნიმფის მიხედვით ტუფის ქვისაგან უნდა გაეკეთებინათ ტაძარი და მათ მისი წინა მხარე პაროსის ქვისა გააკეთეს.

63. როგორც ათენელები ამბობენ, ეს ხალხი რომ დელფოში იმყოფებოდა, მოისყიდეს პითია, რომ თუ მოვიდოდა აქ ვინმე სპარტელთაგანი მისნობის შესატყობად, სულ ერთია, კერძო პირი თუ სახელმწიფო მისიით წარმოგზავნილი, პითიას უნდა გამოეცხადებინა, ათენი გაათავისუფლებოდა. ლაკედემონელებმა, რადგან პითია მათ მუდამ ერთსა და იმავე რასმე უცხადებდა, გაგზავნეს ანქიმოლოის ასტერის ძე, სახელოვანი კაცი მოქალაქეთა შორის, რათა ლაშქრით გამოემძვებინა პედსტრატიდები ათენიდან მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ისინი საგანგებოდ მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ. ეს იმიტომ, რომ ისინი ყოველივე ღვთაებრივს მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ადამიანურს. სპარტელებმა ისინი ზღვით გაგზავნეს, ხომალდებით. ანქიმოლოის მიცურდა ფალერონში და აქ გადმოსხა ლაშქარი, ხოლო პედსტრატიდებმა ეს რომ შეიტყვეს, თესალიიდან გამოუძახეს მაშველ ჯარს, რადგანაც ესენი მათი მოკავშირეები იყვნენ. თესალიელებმა სერთო გადაწყვეტილების თანახმად ამ თხოვნისამებრ მათ ათასი ცხენოსანი და თავისი მეფე კინეესი, კოდელი გაუგზავნეს. ესენი რომ მოკავშირეებად ჰყავდათ, პედსტრატიდები ასე მოიქცნენ: გაჩეხეს ფალერონის დაბლობი, რათა ეს ადგილი ცხენოსნობისათვის მოსახერხებელი გამხდარიყო და გაგზავნეს თავისი ცხენოსანი ჯარი მტრის ბანაკის წინააღმდეგ. ცხენოსანმა ჯარმა ამოწყვიტა სხვა ბევრი ლაკედემონელი და მათ შორის ანქიმოლოისიც, ხოლო გადარჩენილები შერეკეს ნავებზე. ასე დასრულდა

ლაკედემონიდან მოსულთა პირველი ლაშქრობა, ხოლო ანქიმოლიოსის საფლავი არის ატიკის ალოპეკეში, ჰერაკლეს ტაძრის მახლობლად, რომელიც კინოსრგესშია.

64. ამის შემდეგ ლაკედემონელებმა უფრო დიდი ლაშქარი მოამზადეს და გაგზავნეს ათენის წინააღმდეგ, ხოლო ლაშქრის მხედართმთავრად მეფე კლეომენეს ანაქსანდრიდესის ძე დააყენეს. ესენი ზღვით კი აღარ წავიდნენ, არმედ ხმელეთით. რომ შეიჭრნენ ატიკეში, პირველად თესალიელი ცხენოსანი ჯარი შეებრძოლა მათ, მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ უკან გაბრუნდა, მათგან დაახლოებით 40 კაცი დაიღუპა, ხოლო ისინი, ვინც გადარჩნენ სასწრაფოდ გაბრუნდნენ თესალიაში, კლეომენესი კი შევიდა ქალაქში განთავისფულების მოსურნე ათენელებთან ერთად და ალყა შემოარტყა ტირანებს, რომლებმაც თავი შეაფარეს პელარგიკულ ზღუდეს.

65. ლაკედემონელები ვერაფრით ვერ დაიმორჩილებდნენ პესტრატიდებს (რადგან ალყა ვერ იყო მოფიქრებული, ხოლო პესტრატიდები კი საჭმლით და სასმელით კარგად იყვნენ მომარაგებული), ალყა ექნებოდათ შემორტმული სულ რამდენიმე დღეს და მერე უკან გაბრუნდებოდნენ სპარტეში, მაგრამ მოხდა ერთი შემთხვევა, რმაც ერთ მხარეს უბედურება მოუტანა, ხოლო მეორეს დად დაეხმარა: შეიპყრეს პესტრატიდების შვილები, რომლებიც ამ ადგილიდან გააპარეს. ამ ამბავმა მთელი ამთი საქმე არია; შვილების გამო პესტრატიდები დათანხმდნენ იმ პირობებზე, რაც უნდოდათ ათენელებს, სახელდობრ იმაზე, რომ ხუთ დღეში წავიდოდნენ ატიკიდან შემდეგ წავიდოდნენ სიგეფონში, რომელიც სკამანდროსზე არის, მას მერე, რაც ათენელებს 36 წლის განმავლობაში განაგებდნენ. ისინი წარმოშობით პილოსელი ნელიდები იყვნენ, რომელთაგანაც წარმოსგნენ კოდროსი და მელანთოსი, მათი მახლობლები, ატიკეში რომ მივიდნენ და შემდეგ ათენელთა მეფეები რომ გახდნენ, ამის მოსაგონრად იყო, რომ ჰიპოკრატესმა იგივე სახელი, პესტრატოსი დაარქვა თავის შვილს, იგი ნესტორის ძის, პესტრატოსის თანამოსახლე გახდა. ამგვარად განთავისუფლდნენ ათენელები ტირანებისაგან. პირველად იმას გიამბობთ, განთავისუფლებულმა ათენელებმა თუ გააკეთეს ან განიცადეს რამე ღირსი მოთხრობისა, მანამდე ვიდრე იონია დარიოს აუჯანყდებოდა და არისტაგორეს მილეტიელი მივიდოდა ათენში, რომ მათთვის შემწეობა ეთხოვნა.

66. ათენში, რომელიც უწინაც დიდი იყო, ტირანთაგან განთავისუფლებული უფრო გაიზარდა. მასში ორი კაცი დინასტობდა: კლეესთენეს ალკმეონიდი, რომლის შესახებაც ამბობდნენ, რომ პითია მოისყიდა და ისაგორეს ტეფსანდროსის ძე, რომელიც ცნობილი ოჯახიდან იყო, თუმცა მისი წინაპრების შესახებ ვერაფერს ვიტყვი. მისი ნათესავები კი კარიელ ზევსს სწირავდნენ მსხვერპლს. ეს ორი ადამიანი დავობდა ძალაუფლებისათვის, მაგრამ ბოლოს კლეესთენესი რომ მიხვდა, ვმარცხდებო, ხალხი შეიამხანაგა. შემდეგ ათენელები, რომლებიც ოთხ ფილედ იყვნენ დაყოფილი, ათ ფილედ დაჰყო. მან გაუუქმა ამ ფილებს იონის შვილის (გელეონის, აიგიკორესის, არგადესის და ჰოპლესის) სახელწოდებები და დაძებნა მათთვის სხვა, ადგილობრივი გმირების სახელები (მათ შორის ყველა ადგილობრივი იყო), გარდა ამაქსისა, რომელიც მრთალია უცხო გმირი იყო, მაგრამ მაინც დაუმატა მისი სახელი, როგორც ათენელების მეზობლისა და მოკავშირისა.

67. მე ვფიქრობ, ყოველივე ამ საქმეში კლეესთენესმა მიბაძა თავის დედის მამას, კლეესთენეს სიკიონის ტირანს. კლეესთენესმა არგოსელებთან ომის შემდეგ სიკიონში

შეაწყვეტინა შეჯიბრება რაფსოდებს ჰომეროსის პოემების გამო, რადგან არგოსელები და არგოსი დიდად იყვნენ შექებული ამ პოემაში. ამას გარდა სიკიონის მოედანზე იყო და არის გმირის, ადრესტოს ტალაოსის ძის ტაძარი და კლემსთენესმა მისი თავიდან მოშორებაც მოიწადინა, რადგანაც იგი არგოსელი იყო. წავიდა იგი დელფოში და შეეკითხა მისანს, შეიძლება თუ არა, რომ მოიშოროს თავიდან არესტოსი, ხოლო პითიამ მიუგო მას და უთხრა, რომ სიკიონელთა მეფე ადრესტოსი იყო, შენ კი მათი ჩამქოლველი ხარო, რადგან ღმერთმა ამის ნება არ მისცა, კლემსთენესი უკან წავიდა და იმას ფიქრობდა, თუ რა ელონა ისეთი, რომ ადრესტოსი თივთონ წასულიყო. როგორც კი იფიქრა, რომ ასეთი რამ გამოსძებნა, გაგზავნა კაცები ბოდოტიის თებებში და შეუთვალა, მელანიპოს ასტეკოსის ძის მოყვანა მინდა სიკიონშიო. თებელები დაეთანხმნენ. წამოიყვანა კლემსთენესმა მელანიპოსი და მიუჩინა მას ადგილი თვით პრიტანეონში და იქ, ყველაზე გამაგრებულ ადგილას აუგო მას სალოცავი. კლემსთენესმა იმიტომ წაიყვანა მელანიპოსი (უნდა აგიხსნათ), რომ ადრესტოსის ყველაზე დიდი მტერი ეს იყო, რადგან მან მოუკლა ადრესტოსს ძმა, მეკისტევსი და სიმე ტიდევსი. როდესაც კლემსთენესმა მელანიპოსს ადგილი მიუჩინა, მსხვერპლშეწირვები და დღეობები ჩამოართვა ადრესტოსს და გადასცა მელანიპოსს. სიკიონელები ჩვეულებებისამებრ, ძალიან დიდ პატივს სცემდნენ ადრესტოსს: რადგან ეს ქვეყანაჲ პოლიბოსისა იყო (ადრესტოსი კი პოლიბოსის ასულის ვაჟი იყო). და რაკი პოლიბოსი უძეოდ აღესრულა, ძალაუფლება მან ადრესტოსს გადასცა. სიკიონელები ადრესტოსს მრავალგვარად სცემდნენ პატივს, და სხვათაშორის იმითაც, რომ მის ტანჯვას ტრაგიკული გუნდები ადიდებდნენ; დიონისეს კი არ სცემდნენ ესენი პატივს, არამედ ადრესტოსს. კლემსთენესმა კი გუნდები დიონისეს დაუბრუნა, ხოლო სხვა მსხვერპლის შეწირვა მელანიპოსს განუკუთვნა.

68. ასე მოექცა ის ადრესტოსს. მან დორიულ ფილებსაც შეუცვალა სახელები. ეს იმიტომ, რომ სიკიონელებსა და არგოსელებს ერთი და იგივე სახელები არ რქმოდათ. აქ მან მწარედ დასცინა სიკიონელებს, როდესაც მათ ღორის, ვირისა და გოჭის სახელები დაარქვა, მხოლოდ დაბოლოებები დაუმატა; ეს არ შეეხო მხოლოდ მის საკუთარ ფილეს. ამას სახელი თავისი საკუთარი მმართველობის მიხედვით დაარქვა. ესენი არქელაებად იწოდებოდნენ, მეორენი - ჰიატებად, სხვები - ონეატებად, და დანარჩენებიც - ხომრეატებად. ფილების ამ სახელწოდებებს ხმარობდნენ სიკიონელები როგორც კლემსთენესის მმართველობის დროს, ისე მისი სიკვდილის შემდეგაც კიდევ 60 წელიწადს. ხოლო ამის მერე ერთმანეთში მოლაპარაკების შედეგად, გამოცვალეს ეს სახელები და ფილებს დაარქვეს ჰილეები, პამფილები და დიმანტები, ხოლო მეოთხედ ამათ ადრესტოსის შვილის, აფიალევსის სახელის მიხედვით გაკეთებული და აფიალებად წოდებული ფილე მიუმატეს.

69. ეს გაუკეთებია სიკიონელ კლემსთენესს, ხოლო ათენელი კლემსთენესი, რომელიც ამ სიკიონელის ასულის ვაჟი იყო და სახელიც მის მიხედვით ჰქონდა დარქმეული, მე ვფიქრობ, არაფრად აგდებდა იონიელებს და თავის სეხნია კლემსთენესს იმაში ბამავდა, რომ ატიკელებს არ დაუტოვა იგივე ფილები, რაც ჰქონდათ იონიელებს. როდესაც მან თავისკენ მოიმხრო უწინ შევიწროვებული ათენელი ხალხი, ფილებს სახელები გადაარქვა და რიცხოზრვადაც გაზარდა. ნაცვლად ოთხისა, მან დააყენა 10 ფილარქოსი, ხოლო ფილები კი დაჰყო 10-10 დემებად, ხოლო ხალხი რომ თავისკენ მიიმხრო, თავის მოწინააღმდეგეებზე ბევრად უფრო გაძლიერდა.

70. ისაგორესმა, რომელიც ამჯერად დამარცხებული აღმოჩნდა, სამაგიეროდ შემდეგი იღონა: დაუძახა კლეომენეს ლაკედემონელს, რომელიც პეისისტრადიდების ალყის მერე მისი მეგობარი იყო. ამას გარდა იმასაც ამბობდნენ, კლეომენეს ისაგორესის ცოლთან ურთიერთობაში ბრალი ედებო. პირველად კლეომენესმა ათენში მაცნე გაგზავნა, რომ გაეძევებინათ კლემსტენესი და მასთან ერთად სხვა ბევრი ათენელი, ისინი, რომლებიც გამოარჩია მან, როგორც ბოროტმოქმედნი. მან კაცი გაგზავნა და ეს ათქმევინა ისაგორესის რჩევის მიხედვით. საამისოდ ის მოიმოწა, რომ ალკმეონიდებსა და მათ თანამოაზრეებს მკვლელობაში ედებოდათ ბრალი, თუმცა თვითონ კლემსტენესი და მისი მეგობრები ამაში არ მონაწილეობდნენ.

71. ხოლო ათენელთაგან ზოგიერთებს ბოროტმოქმედები შემდეგი მიზეზის გამო ეწოდათ: ათენელთა შორის იყო კილონი, ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, იგი ისწრაფვოდა ტირანობისაკენ, მან თავისი ტოლებისაგან შექმნა პარტია და შეეცადა აკროპოლისი აეღო, მაგრამ რადგან ვერ შეძლო იქ ძალაუფლების მოპოება, მავედრებლად დაჯდა ქანდაკებასთან. ნავკრართა პრიტანეებმა, რომლებიც მაშინ ათენს მართავდნენ, ქანდაკებასთან დამსხდარი მავედრებლები წამოაყენეს და გაუშვეს, თან აღუთქვეს, რომ ყველაფრისაგან დაიცავენ, გარდა სიკვდილისა. ალკმეონიდებმა კი, როგორც ამბობენ, ისინი ამოხოცეს. ეს მოხდტა პეისისტრატოსის დრომდე.

72. კლეომენესმა რომ გაგზავნა კაცები და მოითხოვა კლემსტენესისა და ბოროტმოქმედების გაძევება, კლემსტენესი თვითონ წავიდა. ხოლო შემდეგ, მიუხედავად ამისა, კლეომენესი მაინც მივიდა ათენში, არც თუ დიდი რაზმის თანხლებით, მივიდა და გააძევა ათენელთა 700 ოჯახი, რომლებზედაც მიუთითა ისაგორესმა. მათი გაძევების შემდეგ შეეცადა საბჭო დაეთხოვა და 300-ს, ისაგორესის მომხრეებს ჩააბარა მმართველობა. როდესაც საბჭომ მოინდომა წინააღმდეგობის გაწევა და არ მოინდომა დამორჩილება, კლეომენესმა, ისაგორესმა და ამისმა მომხრეებმა დაიჭირეს აკროპოლისი. დარჩენი ათენელები ერთი აზრისა იყვნენ და ალყა შემოარტყეს მათ ორი დღის განმავლობაში. მესამე დღეს დაზავდნენ და ყველა ლაკედემონელი წავიდა ამ ქვეყნიდან. ასე აუსრულდა კლეომენესის ის, რაც გამოუცხადა ქურუმმა ქალმა; როდესაც კლეომენესი ავიდა აკროპოლისზე მის დასაპყრობად, შევიდა ღმერთქალის სამლოცველოში, თითქოს სალოცავად, ხოლო ქურუმი ქალი ტახტიდან უწინ წამომდგარა, ვიდრე ეს ბჭეს გადააბიჯებდა და უთქვამს შემდეგი: "ლაკედემონელო სტუმარო, გაბრუნდი, ნუ შემოხვალ სამლოცველოში, რადგან დორიელთათვის აქ შემოსვლა არაა ნებადართული". ხოლო კლეომენესმა მიუგო: "ქალო, დორიელი კ არა, აქადელი ვარ". მან არ მიაქცია ყურადღება ამ მოწოდებას და მაინც დააპირა განზრახვის აღსრულება და მაშინ იყო, რომ გაძევებული იქნა ლაკედემონელებთან ერთად. ხოლო დანარჩენები ათენელებმა შებორკეს სიკვდილით დასასჯელად მათ შორის იყო დელფოელი ტიმესითეოსი, რომლის შესახებაც შემიძლია გითხრათ, რომ მას უდიდესი საქმეები ჰქონდა ჩადენილი ძალისა და ნებისყოფის თვალსაზრისით.

73. ესენი შებორკეს და დახოცეს, ხოლო ამის შემდეგ ათენელებმა, კლემსტენესი და 700 ოჯახი, კლეომენესის მიერ გაძევებული, გამოიძახეს და მოციქულები გაგზავნეს სარდემში, რადგანაც უნდოდათ სპარსელები მოკავშირეებად გაეხადათ, რაკილა იცოდნენ, რომ ლაკედემონელებთან და კლეომენესთან ომი მოუხდებოდათ.

მოციქულები როდესაც სარდში მივიდნენ და თქვეს ის, რაც ნაბრძანები ჰქონდათ, არტაფრენეს ჰისტასპესის ძე, სარდელთა მმართველი, შეეკითხა მათ, თუ რა ხალხი არიან, რომელი ქვეყნის მცხოვრებლები, რომ სპარსელებს თხოვენ, მოკავშირეებად გაგვიხდითო; რომ შეიტყო მოციქულთაგან, მოკლედ უპასუხა შემდეგი: თუ მისცემენ ათენელები მეფე დარიოსს მიწასა და წყალს, მაშინ იგი დასთანხმდებოდა მათ მოკავშირეობაზე, ხოლო თუ არ მისცემენ, უბრძანა, წასულიყვნენ. მოციქულებმა თავისი პირადი პასუხისმგებლობით უთხრეს, რომ მისცემენ, რადგანაც უნდოდათ, რომ ისინი მოკავშირეებად გაეხადათ. ესენი როდესაც თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ, დიდად იქნენ დადანაშაულებულები.

74. კლეომენესმა რომ შეიტყო, თუ როგორ ამცინებენ მას ათენელები სიტყვითა და საქმით, დაიწყო მთელი პელოპონესიდან ლაშქრის შეკრება, ისე რომ არ გამოუცხადებია, თუ რისთვის კრებდა. მას სურდა დაესაჯა ათენელი ხალხი და უნდოდა ტირანად დაეყენებინა ისაგორესი, რომელიც მასთან ერთად წავიდა აკროპოლისიდან. კლეომენესი დიდი ლაშქრით შეიჭრა ელევსინში. ბეოტელებმა კი, შეთანხმების თანახმად, აიღეს ოძნოე და ჰისიე, ატიკის უკიდურესი დემები, ხოლო ქალკიდელები მეორე მხრიდან დაესხნენ თავს ატიკის მიწა-წყალს და ანადგურებდნენ მას. ათენელები, მართალია, ორ ცეცხლს შუა იყვნენ, მაგრამ ბეოტიელებთან და ქალკიდელებთან გასწორებას შემდეგისათვის აპირებდნენ. ახლა კი ელევსინში მყოფ პელოპონესელებს შეებრძოლნენ.

75. როდესაც ორი ბანაკი ბრძოლაში ჩაბმას აპირებდა, პირველმა კორინთელებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში, რომ არ იქცევინან სამართლიანად და გაბრუნდნენ და წავიდნენ, ხოლო შემდეგ მათ მიჰყვა დემარეტოს არისტონის ძე: ესეც სპარტელთა მეფე იყო. მან კლეოპენესთან ერთად გამოიყვანა ლაშქარი ლაკედემონიდან და არც უწინ იყო მასთან მტრულ ურთიერთობაში. ამ უთანხმოების შემდეგ კი სპარტეში გამოიცა კანონი, რომ სალაშქროდ წასულ ჯარს არ შეიძლებოდა ორივე მეფე გაჰყოლოდა. აქამდე კი ორივენი მიჰყვებოდნენ ხოლმე. როდესაც მეფეთაგან ერთი ტავისუფლდებოდა, ტინდარიდთაგანაც ერთი რჩებოდა ხოლმე. ხოლო აქამდე ორივენი მიჰყვებოდნენ ხოლმე ლაშქარს, რადგანაც სპარტელების მიერ იყვნენ მიწვეული შემწეებად. ელევსინში მყოფმა დანარჩენმა მოკავშირეებმა რომ დაიანხეს, ლაკედემონელთა მეფეები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან და კორინთელები კი დატოვეს მწყობრი, ადგნენ და თვითონაც წავიდნენ.

76. ეს მეოთხედ იყო, რომ ატიკაში მოვიდნენ დორიელები: ორჯერ საომრად შემოიჭრნენ, ხოლო ორჯერ ათენელი ხალხის სასიკეთოდ. პირველად მაშინ, როდესაც ბეგარას აფუძნებდნენ (ეს ლაშქრობა სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ათენელებზე კოდროსი მეფობდა). მეორედ და მესამედ მაშინ, როდესაც პედსისტრატიდების გასამეფებლად მოვიდნენ სპარტიდან, ხოლო მეოთხედ მაშინ, როდესაც კლეომენესი შეიჭრა ელევსინში პელოპონესელებითურთ. ამგვარად, მაშინ მეოთხედ იყო, დორიელები რომ შეიჭრნენ ათენში.

77. ეს ლაშქრობა ასე სამარცხვინოდ რომ დასრულდა, ათენელებმა სამაგიეროს მიზღვა მოინდომეს და პირველად ქალკიდელების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ბეოტიელები მოვიდნენ ევრიპოსთან ქალკიდელების დასახმარებლად. ათენელებმა მომხრეები რომ დაინახეს, გადაწყვიტეს, ბეოტიელებს უწინ დასხმოდნენ თავს,

ვიდრე ქალკიდელებს. შეებრძოლნენ ათენელები ბეოტიელებს და სასტიკად დაამარცხეს, ძალიან ბევრი ამოხოცეს და 700 მათგან ცოცხლივ შეიპყრეს, იმავე დღეს ათენელები გადავიდნენ ევზოძე და შეებრძოლნენ ქალკიდელებს, დაძლიეს ისინი და დატოვეს 4000 ახალმოშენი, რომელთაც ეს წილად ხვდათ, ჰიპობოტების მიწაზე. ხოლო ჰიპობოტებად იწოდებოდნენ ქალკიდელთა შორის შეძლებულები. ხოლო ქალკიდელთა შორის ცოცხალი ვინც შეიპყრეს, ისინი ბეოტიელ ტყვეებთან ერთად ჰყავდათ საპყრობილეში შებორკილები. ერთ ხანში კი გაუშვეს ისინი ორ-ორი მნის ფასად, ხოლო ბორკილები, რომლებიც ტყვეებს ედოთ, ჩამოჰკიდეს აკროპოლისზე. ისინი ჯერ კიდევ ჩემ დრომდე იყო იქ ჩამოკიდებული მიდიელი მეფის მიერ ცეცხლით დამწვარ კედელზე, დასავლეთისაკენ მიმართული ტაძრის პირდაპირ. გამოსასყიდის მეთადის საფასურით ათენელებმა გააკეთეს სპილენძის ეტლი და დადგეს აკროპოლისში. აკროპოლისის ბჭეს ვინც გაივლის, პირველად ხელმარცხნივ ეს ეტლი დახვდება. მასზე შემდეგი სწერია: "ათენელთა შვილებმა ბეოტიელი და ქალკიდელი ხალხები დაიმორჩილეს ომში. რკინის მუქი ბორკილებით ჩაუქრეს მათ სიამაყე და მათი გამოსასყიდი მეთადი დახარჯეს ამ ცხენებზე, რომლების შეწირეს პალადას".

78. ათენელები ასე გაძლიერდნენ. არა მარტო ამ ერთი მაგალითის მიხედვით, არამედ ყოველმხრივ ცხადია, რომ თანასწორუფლებიანობა მეტისმეტად კარგი რამ არის, რადგან სანამ ათენელები ტირანთა გამგებლობაში იყვნენ, არაფრით სჯობდნენ თავის მეზობლად მოსახლეო ხალხებს საომარ საქმიანობაში, ხოლო ტირანთაგან რომ განთავისუფლდნენ, ნამდვილად პირველები გახდნენ. ამის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ სანამ ისინი დაქვემდებარებულები იყვნენ, განზრახ იქცოდნენ ისე, როგორც მეუფისათვის მომუშავეებს შეჰფერით, ხოლო როდესაც განთავისუფლდნენ, თითოეული ცდილობდა თავისთავისთვის რამე შეემატებინა.

79. ამათ ეს გააკეთეს, ხოლო თებელებმა ამის შემდეგ კაცები გაგზავნეს ღმერთთან, რადგანაც უდოდათ სამაგიერო მიეზლოთ ათენელებისათვის. ხოლო პითიამ უთხრა მათ, რომ ესენი თვითონ სამაგიეროს ვერ მიუზღავენ და უბრძანა გამოეცხადებინათ ეს საერთო კრებაზე და დახმარება ეთხოვათ მათ შორის ყველაზე უფრო მახლობლისათვის. ღვთის განგების შესატყობად წასული კაცები რომ დაბრუნდნენ, სახალხო კრება მოიწვიეს და მისნობა გამოუცხადეს. როდესაც შეიტყვეს მისნობა - შველა ყველაზე მახლობლებს სთხოვეთო, თებელებმა თქვეს: "ჩვენთვის ყველაზე ახლოს ტანაგრელები, კორონეები და თესპიები არ ცხოვრობენ? ესენი ხომ მუდამ დიდი ხალისით იბრძვიან ჩვენთან ერთად და ამ ომსაც ერთად გადავიტანთ. რა უნდა ვთხოვოთ მათ? ალბათ მისნობა ამას არ მოასწავებს?".

80. ამას რომ ლაპარაკობდნენ, თქვა ერთ-ერთმა, რომელიც მიხვდა: "მე ვფიქრობ, მივხვდი, რისი თქმა უნდა ჩვენთვის წინასწარმეტყველებას: ამბობენ, რომ ასოპოსის ასულები იყვნენ თებე და აფინა. რადგანაც ისინი დები არიან, ვფიქრობ, რომ ჩვენ აფინელებს უნდა ვთხოვოთ შემწეობა და ღმერთის მისნობაც იმას ნიშნავს", რადგანაც სხვას არავის გამოუთქვამს ამაზე უკეთესი აზრი, ამშინვე გაგზავნეს კაცები აფინელებთან და მისნობის მიხედვით თხოვეს დახმარება, როგორც ყველაზე მახლობლებს, ხოლო აფინელებმა მათ თხოვნაზე უპასუხეს, რომ ადაკიდებს გაუგზავნიან შემწეობად.

81. როდესაც თებელები თავისას შეეცადნენ ადაკიდების მოკავშირეების იმედით, სასტიკად იქნენ დამარცხებული ათენელების მიერ. მაშინ თებელებმა კვლავ გაუგზავნეს კაცები ადგინელებს, ადაკიდები დაუბრუნეს უკან, ხოლო მოსთხოვეს სხვები. ადგინელები გაამაყებული იყვნენ თავისი დიდი კეთილდღეობით და თან ის ძველი მტრობაც გაიხსენეს, რაც ათენელების მიმართ ჰქონდათ, ამიტომ, როდესაც თებელებმა მათ შემწეობა თხოვეს, ისინი თავს დაესხნენ ათენელებს სიე, რომ წინასწარ შულტას არ გამოუცხადებია. მაშინ, როდესაც ათენელები თავს ესხმოდნენ ბეოტიელებს, ადგინელებმა გრძელი ხომალდებით გასცურეს ატიკეში, გააჩანაგეს ფალერონი და სანაპიროს სხვა მონაკვეთზე მდებარე ბევრი დემი, რითაც დიდად ავნეს ათენელებს.

82. ადგინელების ძველი მტრობა ათენელების მიმართ ასე დაიწყო: ეპიდავრელებს მიწა არავითარ ნაყოფს არ აძლევდა. ამის გამო ეპიდავრელებმა მიმართეს დელფოს მისნობისათვის. პითიამ მათ უბრძანა, დამიესა და ავქსესიეს აღუმართეთ ქნდაკებები და რომ აღუმართავთ, მერე უკეთესად წავა თქვენი საქმეო. შემდეგ შეეკითხნენ ეპიდავრელები, თუ რისგან გააკეთონ ქნდაკებები, - სპილენძისაგან თუ ქვისაგან. პითიამ ამათგან ორივე აუკრძალა და უბრძანა, გაეკეთებინათ ბალი ზეთის ხილის ხისაგან. მაშინ ეპიდავრელებმა სთხოვეს ათენელებს, ნება მიეცათ მათთვის ზეთის ხილის ხის მოჭრისა, რადგან ითვლებოდა, რომ ყვლაზე უფრო წმინდა ხეები ათენელებისა იყო. მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ამ დროს ზეთის ხილის ხეები სხვა ქვეყანაში არსად იყო, გარდა ათენისა. ათენელებმა უპასუხეს, რომ მისცემენ ამის ნებას იმ პირობით, თუ ეპიდავრელები ყოველწლიურად მოუტანენ შესაწირავებს ათენა პოლიასს და ერეთხევსს. ეპიდავრელები დაეთანხმნენ ამაზე და მიიღეს ის, რასაც თხოულობდნენ და ამ ზეთის ხილის ხეებისაგან გააკეთეს და დადგეს ქნდაკებები. ამის მერე მიწაც აძლევდა მათ ნაყოფს და ესენი ათენელებს უსრულებდნენ იმას, რაზედაც შეთანხმდნენ.

83. ამ დროს და ამაზე უწინაც ადგინელები ეპიდავრელებს ყველაფერში მორჩილებდნენ და სხვათა შორის იმაშიც, რომ ადგინელები ერთმანეთში სამართლის განსჯისათვის გადიოდნენ ეპიდავროსში, ხოლო მას მერე, რაც ხომალდები ააგეს, უგუნურად მოიქცნენ და ეპიდავრელებს გადაუდგნენ. რაკილა მტრები იყვნენ და თანაც ზღვისმპყრობელნი, ანადგურებდნენ ეპიდავრელებს. ბოლოს ის ქნდაკებების, დამიესი და ავქსესიესი, წაართვეს მათ, წამოიღეს და დადგეს თავის ქვეყნის ზედ შუაგულში, იმ ადგილას, რომლის სახელიც არის ოდე და რომელიც ქალაქიდან დაახლოებით 20 სტადიონითაა დაშორებული. ამ ადგილას დადგეს ეს ქნდაკებები და მსხვერპლის შეწირვით და ქალთა განმაქიქებელი გუნდების გამოსვლებით აღმობიერებდნენ მათ.

ამ ღმერთთაგან თითოეულისათვის ათი კაცი იყო გამოყოფილი გუნდის მომწყობად. ხოლო გუნდები არც ერთ მამაკაცს არ იხსენიებდნენ ძვირად, მხოლოდ ადგილობრივ ქალებს დასცინოდნენ. ეპიდავრელებსაც ჰქონდათ ასთივე რიტუალი. ამის გარდა მათ სხვა საიდუმლო ღვთისმსახურებებიც ჰქონდათ.

84. როდესაც ეს ქნდაკებები მოჰპარეს ეპიდავრელებს, ისინი აღარ უსრულებდნენ ათენელებს იმას, რისი პირობაც ჰქონდათ დადებული. ათენელებმა კაცები გაუგზავნეს და რისხვა შეუთვალეს ეპიდავრელებს. ისინი კი უმტკიცებდნენ მათ, რომ არ იქცევიათ უსამართლოდ, რადგან, რა ხანიც ჰქონდათ ქნდაკებები თავის

ქვეყანაში, ისინი ასრულებდნენ თავიანთ ადქმას, ხოლო, როდესაც მათ ქანდაკებები წაართვეს, რა სამართალია, რომ კიდევ ამათ იხადონ შესაწირავები; ახლა ეს უნდა დაეკისროს ადვინელებს, რომელთაც წაიღეს ქანდაკებები. ამის შემდეგ ათენელებმა ადვინაში გაგზავნეს კაცები და მოითხოვეს ქანდაკებები. ხოლო ადვინელებმა ამაზე თქვეს, რომ მათ ათენელებთან არავითარი საქმე არა აქვთ.

85. ათენელები კი ამბობდნენ, რომ ამ მოთხოვნის შემდეგ ერთი ტრიერით გაგზავნეს საზოგადოებრივი დავალებით მოქალაქეები. ისინი მოვიდნენ ადვინაში და შეეცადნენ კვარცხლბეკიდან მოეხსნათ ქანდაკებები, როგორც მათი ხისაგან გაკეთებული, რათა წაეღოთ თან ათენში. რადგან ამ გზით ვერ შეძლეს მათი ხელში ჩაგდება, საბელი შემოახვიეს და ისე მიათრევდნენ ქანდაკებებს, როდესაც მიათრევდნენ, ქუხილი გაისმა და ქუხილთან ერთად მიწაც იძრა. ამის შედეგად ის კაცები, რომლებიც ტრიერით იყვნენ მოსული და მიათრევდნენ ქანდაკებებს, ჭკულიდან შეიშალნენ და ისე გახდნენ, რომ დაერივნენ ერთმანეთს, როგორც მტრები, მანამ ვიდრე არ ამოხოცეს ერთმანეთი და მათგან მხოლოდ ერთი არ დარჩა; ისიც დაბრუნდა ფალერონში.

86. ათენელები ამბობენ, ასე იყო. ხოლო ადვინელების გადმოცემით ათენელები ერთი ხომალდით არ მოსულან (რადგანაც ერთსა ან ერთზე ცოტათი მეტს იოლადა დაამარცხებდნენ ადვინელები, სულაც რომ არ ჰქონოდათ მათ ხომალდები), არამედ მრავალი ხომალდებით მოვიდნენ მათი ქვეყნის წინააღმდეგ. ადვინელებმა კი თვითონ დაიხიეს და საზღვაო ბრძოლა არ გაუმართეს მათ. იმას კი ვერ ამბობენ დანამდვილებით, თუ რატომ დაიხიეს უკან, იმიტომ რომ იცოდნენ, უფრო სუსტები ვართ საზღვაო ბრძოლაშიო, თუ იმიტომ, რომ იმისი გაკეთება უნდოდათ, რაც გააკეთეს. ათენელებს არავინ შეხვდათ, რომ ბრძოლაში შეხმოდნენ და გადმოვიდნენ ხომალდებიდან, გაემართნენ ქანდაკებებისაკენ, და რომ ვერ შეიძლეს კვარცხლბეკიდან მათი გადმოღება, შემოახვიეს საბლები და ასე მიათრევდნენ მანამ, სანამ ორივე ნათრევმა ქანდაკებამ ერთი და იგივე არ მოიმოქმედა - მე ამ ნათქვამისა არა მჯერა, სხვამ კი შეიძლება დაიჯეროს; ქანდაკებები დაეცნენ მუხლებზე ათენელების წინაშე და ამიერიდან სამუდამოდ ასე დარჩნენ. ათენელებმა ასე გააკეთეს; ხოლო ადვინელები იმასაც ამბობენ, რომ როდესაც შეიტყვეს - ათენელები ჩვენზე აპირებენ გალაშქრებასო, თვითონ არგოსელები შეიგულეს მომხრეებად. როდესაც ათენელები გადაიდნენ ადვინელების ქვეყანაში, ადვინელთა შემწეებად მოვიდნენ არგოსელები, რომლებიც ჩუმად გადმოვიდნენ ეპიდავროსიდან კუნძულზე და დაესხნენ თავს ათენელებს, რომელთაც მოუჭრეს გზა ხომალდებისაკენ ისე, რომ ამათ წინასწარ არაფერი შეუტყვიათ; ამავე დროს გაისმა ქუხილი და იძრა მიწა.

87. ამას მოგვითხრობენ არგოსელებიცა და ადვინელებიც, ხოლო ათენელების მოთხოვნასთან ამას საერთო ისა აქვს, რომ მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა მათგან და დაბრუნდა ატიკეში. თუმცა არგოსელები იმას ამბობენ, რომ ატიკელთა ბანაკი ამათ ამოწყვიტეს და მხოლოდ ერთი მათგანი გადარჩა, ხოლო ათენელები ამბობენ, რომ ღმერთმა ამოწყვიტა მათი ბანაკი და საბოლოოდ არც ერთი არ გადარჩენილა, ის ერთიც ამგვარად დაიღუპა: როდესაც მოვიდა ათენში, მოუთხრო მათ მომხდარი უბედურების შესახებ. ადვინის წინააღმდეგ გალაშქრებული ვაჟკაცების ცოლები ძალიან გაბრაზდნენ, რომ შეიტყვეს, მხოლოდ ეს ერთი გადარჩა მთელი ხალხიდანო,

შემოეხვივნენ ამ კაცს ირგვლივ, ჩხვლეტდნენ მას ტანსაცმლის ბალთებით და თითოეული ამათაგანი ეკითხებოდა მას, თუ სად არის მისი ქმარი. ეგრე დაიღუპა ეს კაცი. ათენელებს იმ უბედურებაზე უფრო საშინლად ამ ქალების მიერ ჩადენილი საქმე ეჩვენათ. რადგან სხვა ვერაფრით შეიძლებდნენ ქალების დასჯას, შეაცვლევინეს მათ ტანისამოსი და იონური ჩააცვეს. აქამდე ათენელი ქალები ატარებდნენ დორიულ ტანსაცმელს, რომელიც ძალიან ემსგავსებოდა კორინთულს. ისინი მათ შეცვალეს სელსი კვართებით, რომ არ ეხმარათ ბალთები.

88. ხოლო ნამდვილად რომ ვთქვათ, ასეთ ტანსაცმელს ხმარობდნენ თავდაპირველად არა იონელი ქალები, არამედ კარიელები, რადგანაც ქალების საყოველთაო ელინური ტანსაცმელი დასაბამიდან ისეთივე იყო, როგორსაც ახლა დორიულს ვუწოდებთ. ამას გარდა, არგოსელებმა და ადგინელებმა კიდევ წესად შემოიღეს, რომ თავიანთ ქვეყნებში ბალთებს მაშინ დადგენილი ზომის ნახევარს აკეთებდნენ და აღნიშნული ღმერთების სამლოცველოებში ქალები უპირატესად ბალთებს სწირავდნენ; ხოლო ატიკური არც სხვა რამ შეიძლებოდა შეეტანათ სამლოცველოში და არც თიხის ჭურჭელი; ის კი არა, აქ წესად აქვთ დარჩენილი, რომ სვან მხოლოდ ადგილობრივ ნაკეთები ტოლჩებიდან. ხოლო არგოსელი და ადგინელი ქალები იმ დროიდან დაწყებული ჩემ დრომდე ათენელებთან შუღლის გამო ატარებდნენ უფრო დიდ ბალთებს, ვიდრე უწინ.

89. ადგინელების მიმართ ათენელების მტრობა ისე დაიწყო, როგორც მოგითხრეთ. ხოლო როდესაც თებელებმა მოუწოდეს ადგინელებს, ისინი ხალისიანად დაეხმარნენ მათ, რადგანაც ახსოვდათ ის, რაც ქანდაკებებთან დაკავსირებით მოხდა. ამგვარად ადგინელები აჩანაგებდნენ ატიკის ზღვის სანაპირო მხარეს, ხოლო ათენელები რომ ემზადებოდნენ ადგინელების წინააღმდეგ სალაშქროდ, მოუვიდათ მისნობა დელფოდან, თავი შეეკავებინათ ადგინელთა მიმართ უსამართლობისგან 30 წლის განმავლობაში და 31 - ე წელს ადაქსისათვის მიეჩინათ სამლოცველო და მაშინ დაეწყოთ ადგინელების მიმართ ომი, რაც ისე წარიმართებოდა, როგორც მათ უნდოდათ. ხოლო თუ მაშინვე გაილაშქრებდნენ ადგინელთა წინააღმდეგ, ლაშქრობის განმავლობაში შიგადაშიგ მარცხი შეხვდებოდათ, ხშირად თავისას გაიტანდნენ, საბოლოოდ კი დამარცხდებოდნენ. ეს ამბავი რომ მოიტანეს და მოისმინეს ათენელებმა, მიუჩინეს ადაქსს სამლოცველო, რომელიც ახლაც არის აღმართული მოედანზე, მაგრამ 30 წელიწადი ვერ მოითმინეს, როდესაც მოისმინეს, რომ საჭირო იყო თავის შეკავება, რადგან ადგინელთაგან ბევრი მტრობა ჰქონდათ განცდილი.

90. ხოლო როდესაც ესენი სამაგიეროს მისაზღველად მოემზადნენ, ლაკედემონელთაგან შეემთხვათ საქმე, რამაც ისინი დააბრკოლა. როდესაც ლაკედემონელებმა შეიტყვეს ის, რაც ალკმეონიდებმა გააკეთეს პითიას მიმართ და ისიც, რაც პითიამ მოიმოქმედა მათ წინააღმდეგ და პედსისტრატიდების მიმართ, ორმაგად განიცადეს უბედურება, ერთი იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც მათი სტუმარი იყო, გააძევეს თავისი სამშობლოდან, და მეორეც იმიტომ, რომ ეს გააკეთეს და ათენელები მაინც არ ჩანდნენ მათი მადლობლები. ამას გარდა მისნობებიც აქეზებდნენ მათ (რომელთა თანახმადაც ბევრი მტრობა უნდა შეემთხვეოდათ ათენელთაგან), რომელთა შესახებ პირველად არაერი იცოდნენ, მაგრამ კლეომენესი რომ მივიდა სპარტეში და ამბავი მოუტანა, მაშინვე შეიტყვეს. კლეომენესმა ათენელთა აკროპოლისიდან მოიპოვა ეს მისნობები, რომლებიც უწინ

პედისტრატეებს ჰქონდათ. პედისტრატეები რომ გაამევეს აქედან, მათ მისნობები სამლოცველოში დატოვეს და დატოვებული მისნობები აიღო კლეომენესმა.

91. მაშინ, როდესაც ლაკედემონელებმა მისნობები აიღეს, ისიც დაინახეს, რომ ათენელები მზლავრდებიან და სრულიად არ აპირებენ მათ დამორჩილებას; მაშინ მოისაზრეს, რომ თუ ატიკელთა მოდგმა თავისუფალი იქნებოდა, იგი მათი მოდგმის თანაბარი გახდებოდა, ხოლო ტირანიდის გამგებლობაში მყოფი სუსტი და ხელისუფლების მორჩილი იქნებოდა. ყოველივე ეს რომ გამოირკვიეს, გამოიძახეს ჰიპისი, პედისტრატოსის ძე, სიგეონიდან, რომელიც ჰელესპონტშია (სადაც იყვნენ პედისტრატეები გაქცეულები). როდესაც მოწვეული ჰიპისი მოვიდა, სხვა მოკავშირეთა მოციქულებიც გამოიძახეს სპარტელებმა და უთხრეს მათ შემდეგი: "მოკავშირებო, ჩვენ თვითონ ვცნობთ, რომ სწორედ არ მოვიქცით, რადგანაც ორაზროვანი მისნობით წაქეზებულებმა ხალხი, რომელიც ჩვენი მეგობარი იყო და რომელიც გვპირდებოდა ათენის დამორჩილებას, გავრეკეთ სამშობლოდან და შემდეგ ის გავაკეთეთ, რომ უმადურ ხალხს გადავცეთ ქალაქი; ამ ხალხმა კი, მას შემდეგ რაც ჩვენი საშუალებით გაითავისუფლა თავი და გამხნედა, შეურაცხვეყო ჩვენცა და ჩვენი მეფეც იმით, რომ გაგვამევა; ხოლო რაც უფრო გაიზარდა თვითონ, მით უფრო მოემატა წარმოდგენა თავის თავზე, როგორც უკვე სავსებით დარწმუნდნენ ამაში მათ მეზობლად მცხოვრები ბეოტიელები და ქალკიდელები, ხოლო მალე ზოგი სხვაც დარწმუნდება, თუ შეცდომას რასმე დავუშვებ კიდევ. ხოლო მას შემდეგ, რაც ასე მოვიქცით, უნდა შევეცადოთ, რომ გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომა. სწორედ ამისათვის მოვიწვიეთ ახლა ჰიპისი და თქვენც იმიტომ გამოგიძახეთ ქალაქებიდან, რომ სერთო მოლაპარაკების შედეგად და საერთო ლაშქრის შემწეობით წავიყვანოთ ის ათენში და გადავცეთ ის, რაც წავართვით".

92. ეს ილაპარაკეს სპარტელებმა, ხოლო მოკავშირეთა დიდმა ნაწილმა არ მოიწონა ეს სიტყვა. სხვები ჩუმიად იყვნენ, ხოლო სოსიკლეს კორინთელმა თქვა: "მართლაც და ზეცა აღმოჩნდება დედამიწის ქვეშ და დედამიწა ამაღლება ცის ზემოთ, ადამიანები ზღვაში დაიდებენ ბინას და თევზები კი იქ, სადაც უწინ ადამიანები იმყოფებოდნენ, თუკი თქვენ, ლაკედემონელებო, ემზადებით იმისათვის, რომ მოსპოთ თანასწორუფლებიანობა და ქალაქებსი კვლავ დააწესოთ ტირანია; რადგან არაფერია ადამიანისათვის ტირანიაზე უფრო მეტად უსამართლო და უფრო მეტად სისხლისმწოველი. თუ თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ კარგია, როდესაც ქალაქებს ტირანები მართავენ, მაშინ ჯერ თქვენ თვითონ პირველებმა დაიყვენათ ტირანი თქვენს გამგებლად და შემდეგ შეეცადეთ, რომ სხვებს დაუყენოთ. ახლა კი, თქვენ ტირანია არ გამოგიცდიათ და მეტისმეტად უფრო ხილდებით კიდევაც, რომ სპარტეში ის არ დამყარდეს, მოკავშირეებს კი ცუდად ექცევით. თქვენ რომ ეს გამოგეცადოთ ჩვენსავით, თათბირისას უკეთეს აზრებს გამოსთქვამდით, ვიდრ ახლა თქვით. კორინთელებს, მაგალითად, სახელმწიფო წყობილება ასეთი ჰქონდათ: იყო ოლიგარქია (ამ საგვარეულოს ბაკქიადები ეწოდება) და ის მართავდა ქალაქს, ხოლო ქორწინება უთუოდ ამ საგვარეულოში, ერთმანეთს შორის უნდა მომხდარიყო. მათ შორის იყო ერთი, ამფიონი, რომელსაც გაუჩნდა კოჭლი ასული. მას სახელად ერქვა ლაბადა. ბაკქიდთა შორის რადგან არავის უნდოდა მისი შერთვა, ის წაიყვანა ეეტიონმა, ექვრატესის ძემ, რომელიც პეტრეს დემიდან იყო, ხოლო წარმოშობით ლაპითესისა და კანდიდესისაგან მომდინარეობდა. მას არ ჰყავდა შვილები არც ამ

ქალისაგან და არც სხვისაგან. ამიტომ წავიდა დელფოში მემკვიდრეობის საკითხის გამოსარკვევად. შესვლისთანავე პითიამ მას ასეთი სიტყვით მიმართა:

”ეტიონ, არავინ გცემს შენ პატივს, თუმცა დიდად პატივსაცემი ხარ. ლაბადა ფეხმძიმედაა და შობს მრგვალ ქვას, რომელიც დაეცემა მონარქებს და განიკითხავს კორინთოს”. ეტიონისათვის თქმული ეს მისნობა როგორღაც შეიტყვეს ბაკქიადებმა, რომელთაც უწინ კორინთოს მიმართ წარმოთქმული მისნობა ვერ გაიგეს და ის იიგვე იყო, რაც შემდეგ ეტიონის მიმართ ითქვა; ბაკქიადების მიმართ წარმოთქმული მისნობა კი ასეთი იყო: ”არწივი კლდეებსი დაფეხმძიმდება, ხოლო შობს ძლიერსა და სისხლისმსმელ ლომს, რომელიც ბევრს დაუსუსტებს მუხლებს. კარგად მოიფიქრეთ ეს, კორინთელებო, რომლებიც ცხოვრობთ ლამაზი პედრენეს ირგვლივ გორაკებიან კორინთოში”. ასეთი იყო ბაკქიადებისათვის უწინ გამოცხადებული, მაგრამ გაურკვეველი მისნობა. ხოლო როდესაც სეითყვეს ის, რაც ეტიონს გამოეცხადა, მაშინვე გამოიცნეს უწინ ნათქვამი, რადგანაც ის ეთანხმებოდა ეტიონისას. ხოლო როდესაც გამოიჩინეს ბაკქიადებმა, გაყუჩდნენ, რადგან უნდოდათ ეტიონისგან გაჩენილი ჩამომავლის მოსპობა. როგორც კი ქალმა შვილი შობა, მაშინვე გაგზავნეს ათი თავისიანი იმ დემში, რომელშიც ცხოვრობდა ეტიონი, იმისათვის, რომ მოეკლათ ბავშვი. ისინი მოვიდნენ პეტრაში, შევიდნენ ეტიონის ეზოში და თხოულობდნენ ყრმას. ლაბადამ არაფერი იცოდა, თუ რისთვის მოვიდნენ ისინი და იფიქრა, რომ მამის მიმართ კეთილი განწყობის გამო თხოულობენო, გამოიყვანა ბავშვი და ხელში მისცა ერთს მათგანს. გზაში მათ გადაწყვიტეს რომ მათ შორის ვინც პირველმა აიყვანა, იმან უნდა დაანარცხოს ბავშვი მიწაზე. როდესაც ლაბადამ მოიყვანა ბავშვი და გადასცა მათ, იმ მამაკაცს, რომელმაც ის აიყვანა, ბავშვმა შესცინა ღვთის განგებით, კაცმა ეს შეამჩნია, შეებრაღა და ვერ შეძლო მისი მოკვლა. შეეცოდა და გადასცა მეორეს, ამან კიდევ მესამეს და ეგრე შემოიარა ბავშვმა ყველა ათი კაცი, ამ ხელიდან ხელში გადასვლით; არავის უნდოდა მისი მოკვლა. ბავშვი მშობელს უკან დაუბრუნეს და გამოვიდნენ გარეთ; გაჩერდნენ კარებთან და ერთმანეთს ლანძღვდნენ და საყვედურობდნენ, განსაკუთრებით კი მას, ვინც პირველმა აიყვანა ბავშვი და არ გააკეთა ის, რაც გადაწყვიტეს. მანამ იკამათს, ვიდრე დრო არ გაივდა და არ გადაწყვიტეს, რომ კვლავ შესულიყვნენ და ყველას მიეღო მონაწილეობა მკვლელობაში, მაგრამ კორინთოსთვის ბოროტება ეტიონის ჩამომავალს უნდა მოეტანა. რადგან იმავე კარის მეორე მხარეს მდგომმა ლაბადამ ყოველივე ეს მოისმინა, შეეშინდა, რომ ამათ სხვა რამ არ მოეფიქრებინათ, და მეორედ რომ ჩაიგდებდნენ ხელში, არ მოეკლათ ბავშვი. ამიტომ წაიყვანა და დამალა ის ყველაზე უჩინარ ადგილას (რომელიც კი ეჩვენა ასეთად), ყუთში, რადგანაც იცოდა, რომ თუ დაბრუნდებიან და მოსამებნად მოვლენ, ყველაფრის დაჩხრეკას მოინდომებენ. ასეც მოხდა. ისინი შემოვიდნენ და ეძებდნენ ყრმას და რომ ვერ ნახეს, გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ და მოეხსენებინათ წარგზავნილთათვის, რომ მათი ბრძანება შესრულებულია. ისინი დაბრუნდნენ უკან და ასეც თქვეს. ხოლო ეტიონის შვილი იზრდებოდა და რაკიდა ის ამ საფრთხეს ყუთის წყალობით გადარჩა, ამიტომ ამის მიხედვით დაარქვეს მას სახელად კიფსელოსი. როდესაც კიფსელოსი დავაჟკაცდა და მისნობის შეტყობა მოინდომა, დელფოში ორაზროვანი წინასწარმეტყველება მიიღო, იგი დაეყრდნო ამას, თავს დაესხა კორინთოს და კიდევაც დაიპყრო. ხოლო მისნობა ასეთი იყო: ”ბედნიერია ეს კაცი, რომელიც ჩემს სახლში შემოდის, კიფსელოსი ეტიდი, სახელგანთქმული კროინთოს მეფე, თვითონაც და მისი შვილებიც, ხოლო მისი შვილთა შვილები უკვე აღარ იქნებიან ბედნიერი”. მისნობა ასეთი იყო. ხოლო

კიფსელოსი ტირანი რომ გახდა, ამნაირი კაცი დადგა: კორინთელთაგან ბევრი გააძევა, ბევრს ქონება ჩამოართვა, ხოლო ბევრად უფრო მეტი სიცოცხლეს გამოასალმა. იგი თითქმის 30 წელს მართავდა კორინთოს და თავისი ცხოვრება მშვიდობიანად დაამთავრა. მისი ტირანიის მემკვიდრე მისი შვილი პერიანდროსი გახდა. თავდაპირველად პერიანდროსი თავის მამაზე უფრო კეთილი იყო, ხოლო შემდეგ, რაც მოციქულთა მეშვეობით ურთიერთობა დაამყარა თრასიბულოსთან, მილეტის ტირანთან, ბევრად გადააჭარბა კიფსელოსს სისხლისმსმელობაში. მან გაგზავნა თრასიბულოსთან მაცნე, იმის გასაგებად, თუ ყველაზე უკეთ როგორ უნდა იმართოს ქალაქი, რომ ყველაზე უფრო საიმედოდ წარიმართოს მისი საქმეები. თრასიბულოსმა პერიანდროსისაგან მოსული კაცი გაიყვანა ქალაქგარეთ, შეიყვანა დათესილ მინდორში და მაშინ, როდესაც ის ყანაში დადიოდა, ამ მაცნეს წარამარა ეკითხებოდა, თუ რისთვისაა მოსული კორინთოდან. თან გამუდმებით სწყევტდა, როგორც კი დაინახავდა რომელიმე ამაღლებულს დანარჩენ თავთავებზე, სწყევტდა და აგდებდა, ვიდრე ყანის საუკეთესო და ყველაზე სქელი ნაწილი არ გაანადგურა, ასე გადაიარა მან ეს ადგილი და არაფერი უთხრა, ისე გაგზავნა უკან მაცნე. როდესაც მაცნე კორინთოში დაბრუნდა, პერიანდროსს ძალიან უნდოდა რჩევის შეტყობა, ხოლო მაცნემ უთხრა, რომ თრასიბულოს არაფერი ურჩევია და უკვირს მისგან, თუ რად გაგზავნა ასეთ კაცთან, რომელიც შეშლილია და თავის ქონებას თვითონვე ანადგურებს, ამასთანავე მოუთხრო, რაც ნახა თრასიბულოსთან. პერიანდროსი მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს საქციელი და იფიქრა, რომ თრასიბულოსი ამით მას ურჩევდა მოქალაქეთა შორის გამორჩეულნი დაეხოცა. ამის მერ იყო, რომ პერიანდროსი ყოველგვარ ბოროტებას იჩნდა მოქალაქეთა მიმართ. რაც კიფსელოსის ხელით სიკვდილსა და დევნას გადაურჩა, ის პერიანდროსმა დაასრულა. ხოლო ერთ დღის მთელი კორინთელი ქალები დააშიშვლა თავისი ცოლის მელისას გულისათვის. მან გაგზავნა მოციქულები თესპროტში, მდინარე აქერონტთან მიცვალებულთაგან წინასწარმეტყველების შესატყობად, მეგობრის მიერ მიბარებული განძის შესახებ, ხოლო მელისა გამოეცხადა მას და უთხრა, რომ არც ანიშნებს და არც ეტყვის, თუ რომელ ადგილას ძევს ეს განძი, რადგან მას სცივა და ტიტველია. ეს იმიტომ, რომ ტანსაცმელი, რომელიც მასთან ერთად დაიმარხა, სრულიად გამოუსადეგარია, რადგანაც ის არ დაუწვავთ. იმის საბუთად, რომ ეს ჭეშმარიტებაა, მან თქვა, რომ პერიანდროსმა გრილ ღუმელში შეაწყო პურები. შეატყობინეს თუ არა პერიანდროსს (ვინაიდან სარწმუნო იყო მისთვის მინიშნება, რადგან მან მიცვალებულ მელისასთან იქონია კავშირი), მან ამ ცნობის მიღების შემდეგ მაშინვე გასცა ბრძანება, რომ ჰერეს სალოცავში მოსულიყვნენ მთელი კორინთოს ქალები. ესენი როგორც დღესასწაულზე, ისე მოვიდნენ, საუკეთესოდ მორთულნი, ხოლო პერიანდროსმა დააყენა შუბოსნები, რომ გაეხადათ ყველა ქალი განურჩევლად, თავისუფალიცა და მხევალიც, შემდეგ თავი მოყარა მთელ ამ ტანსაცმელს ერთ თხრილში, შეავედრა მელისას და დასწვა, ამის შემდეგ, მეორედ გაგზავნა კაცი და შეეკითხა, ხოლო მელისას აჩრდილმა მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ინახებოდა მეგობრისეული განძი. ასეთი არის ტირანია, ლაკედემონელებო, და ასეთია მასთან დაკავშირებული საქმეები. ჩვენ კორინთელები, დიდად ვიყავით გაცხებული, როდესაც შევიტყვეთ, რომ თქვენ გამოითხოვეთ ჰიპიესი, ხოლო ახლა კიდევ უფრო მეტად ვართ გაკვირვებული, როდესაც თქვენ ამას ლაპარაკობთ. ამიტომ გაფიცებთ და მოვუწოდებთ ელინურ ღმერთებს, რომ არ აღადგინოთ ტირანია ქალაქებში, ნუთუ არ შეწყვეტთ ამ ამბავს და მაინც შეეცდებით სამართლიანობის მიუხედავად ჰიპიესის უკან დაბრუნებას? იცოდეთ, რომ კორინთელები ამის მომხრენი არ იქნებიან”.

93. ეს თქვა სოსიკლესმა, კორინთელმა დესპანმა, ხოლო ჰიპიესმა იმავე ღმერთებს მოუწოდა, რომელთაც მან და მიუგო მას, რომ კორინთელები ყველაზე მეტად მოინდომებენ პედისიტრატიდებს, მაშინ როდესაც მათ დაუდგებათ გაჭირვებიდ დღეები, ათენელთაგან შევიწროვებულთ. ჰიპიესმა ეს იმიტომ უთხრა, რომ მისნობა სხვებზე უფრო ზუსტად იცოდა. დანარჩენი მოკავშირენი აქამდე ჩუმად იყვნენ, ხოლო როდესაც მოუსმინეს სოსიკლესს, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა, ყველა მათგანმა ხმა ამოიღო და მიემხრო კორინთელის მიერ გამოთქმულ აზრს, ლაკედემონლებს კი მოუწოდებდნენ, რომ ახალი არაფერი დაედგინათ ელადის სახელმწიფოს მიმართ.

94. ასე შეწყდა ეს საქმე. იქიდან წამოსულ ჰიპიესს ამინტეს მაკედონელმა მისთავაზა ანთემუნტი, ხოლო თესალიელებმა იოლკოსი. ამათგან ჰიპიესმა არც ერთი არ ინდომა და დაბრუნდა უკან სიგეფონში, რომელიც პედისიტრატოსმა ბრძოლაში წაართვა მიტილენელებს და დაპყრობის მერე იქ ტირანად დააყენა თავისი უკანონო შვილი, ჰეგესიტრატოსი, რომელიც ჰყავდა არგოსელი ქალისაგან. ხოლო ჰეგესიტრატოსმა უბრძოლველად ვერ შეინარჩუნა ის, რაც პედისიტრატოსისაგან მიიღო; რადგან დიდი ხნის განმავლობაში ეომებოდნენ ერთმანეთს ქალაქ აქილეფონიდან მიტილენელები და სიგეფონიდან ათენელები. მიტილენელები უკან თხოულობდნენ თავის მიწა-წყალს, ხოლო ათენელები არ ცნობდნენ მათ მისწრაფებებს, და უმტკიცებდნენ, რომ ეოლიელებს არა აქვთ უფრო მეტი უფლება ილიონის მიწაზე, ვიდრე თვით ამათ, ან სხვა დანარჩენებს, რომლებიც ელინთაგან ეხმარებოდნენ მენელეოსს ელენეს მომტაცებლებზე შურისძიებაში.

95. ესენი რომ ერთმანეთს ეომებოდნენ, ბევრი რამ მოხდა ბრძოლაში და მათ შორის ისიც, რომ პოეტი ალკაფოსი ერთ-ერთ ხელჩართული ბრძოლის დროს, როდესაც იმარჯვებდნენ ათენელები, თვითონ გაიქცა, მისი იარაღი ხელთ იგდეს ათენელებმა და ჩამოჰკიდეს ათენას ტაძარში, რომელსაც სიგეფონშია. ამის შესახებ ალკაფოსმა შეთხზა ერთი სიმრრა, რომელიც გაგზავნა მიტილენეში და თავის განცდის შესახებ შეატყობინა თავის მეგობარს, მელანიპოსს. მიტილენელები და ათენელები შეარიგა პერიანდროსმა, კიფსელოსის ძემ, რომელსაც მიმართეს ამათ, როგორც მოსამარლთეს, ხოლო შეარიგა იმნაირად, რომ მიაკუთვნა თითოეულ მხარეს მისი კუთვნილი. ამრიგად სიგეფონი მოხვდა ათენელების ხელში.

96. ლაკედემონიიდან აზიაში მოსულმა ჰიპიესმა ყოველგვარი ღონე იღმარა იმისათვის, რომ გადაემტერებინა ათენელებისათვის არტაფრენესი და გააკეთა ყველაფერი საამისოდ, რათა ათნი მასა და დარიოსს დაქვემდებარებოდა. ჰიპიესი რომ ამას აკეთებდა, ათენელებმა შეიტყვეს ეს და გაგზავნეს მოციქულები სარდემში, რომ არ მიეცათ საშუალება სპარსელებისათვის ათენელთა ლტოლვილების დაჯერებისა. ხოლო არტაფრენესმა უბრძანა მათ, რომ თუ უნდათ უვნებლები გადარჩნენ, უკან უნდა მიიღო ჰიპიესი. ათენელებმა მოისმინეს და უარყვეს მისი წინადადება. უარყვეს და ამით სრულიად ცხადლივ აღიარეს, რომ სპარსელების მტრები არიან.

97. ეს რომ ასე მოხდა და ათენელები გადაემტერნენ სპარსელებს, ამავე დროს ათენში, რადგან ის სხვა დანარჩენ ქალაქებზე ბევრად უფრო ძლიერდებოდა, მოვიდა

მილეტელი არისტოგორესი, კლეომენეს ლაკედემონელის მიერ გამოძევებული სპარტიდან. წარსდგა არისტაგორესი ხალხის წინაშე და იგივე ილაპარაკა, რაც სპარტეში, აზიის სიმდიდრისა და სპარსული ომების შესახებ. თქვა რომ სპარსელები არც ფარს ხმარობენ და არც შუბებს და ამიტომ ადვილად დასამღევნი არიან. უთხრა მათ ეს და ამას გარდა კიდევ ისიც, რომ მილეტელები ათენელი ახალმოშენები არიან და მათ მართებთ იმათი დახსნა, რადგანაც ძალიან ძლიერები არიან. არისტაგორესს არაფერი დაუტოვებია, რომ მათ არ დაჰპირებოდა, რადგან გასაჭირი დიდი ადგა, და იქამდე ეხვეწებოდა, ვიდრე არ დაიყაბულა ათენელები. ისე გამოდის, რომ ბევრის ცთუნება უფრო ადვილია, ვიდრე ერთისა, რადგან კლეომენეს ლაკედემონელი მარტო იყო და ვერ შეძლო არისტაგორესმა მისი შეცდენა, ხოლო 30000 ათენელი კი აცთუნა. დაითანხმა ათენელები და მათ გადაწყვიტეს 20 ხომალდი გაეზავნათ იონიელების საშველად. მათ მხდართმთავრად დანიშნეს მელანთიოსი, რომელიც მოქალაქეთა შორის ყოველმხრივ პატივცემული ვაჟკაცი იყო. აი, ეს ხომალდები გახდა ბოროტების დასაბამი როგორც ელინებისათვის, ასევე ბარბაროსებისათვის.

98. არისტაგორესმა უწინ გაცურა და მივიდა მილეტში, ერთი გადაწყვეტილება მიიღო, რომლისგანაც იონიელებს არავითარი სარგებლობა არ ექნებოდათ (იმას სარგებლობისათვის სულაც არ გაუკეთებია ეს საქმე, არამედ იმიტომ, რომ მეფე დარიოსი შეეშფოთებინა): მან კაცი გაგზავნა ფრიგიასი პაფონებთან, რომლებიც მდინარე სტრიმონის სანაპიროდან იყვნენ, მეგაბადოსის ტყვეები, ისინი ცხოვრობდნენ ფრიგიის ტერიტორიაზე და თავისთავის სოფელიც ჰქონდათ. როდესაც ეს კაცი მოვიდა პაფონებთან, ეთხრა მათ შემდეგი: "პაფონებო, მე გამომგზავნა არისტაგორესმა, მილეტის ტირანმა, რათა გასწავლოთ განთავისუფლების საშუალება, თუკი მოინდომებთ, რომ მას დაუჯეროთ და თქვენ საკუთარ ქვეყანაში წახვიდეთ, ზღვამდე თქვენ უნდა იზრუნოთ თქვენს თავზე, ხოლო ამის შემდეგ ჩვენ ვიზრუნებთ". ეს რომ მოისმინეს პაფონებმა, ძალიან გაეხარდათ, წაიყვანეს ცოლშვილი და გაეშურნენ. ისინი რომ უკვე ქიოსზე იყვნენ, სპარსელთა დიდი ცხენოსანი ჯარი, რომელიც პაფონებს დასდევებოდა, მივიდა ზღვასთან. რადგანაც ისინი აქ ვერ დაიჭირეს, შეუთვალეს ქიოსზე პაფონებს, რომ უკან დაბრუნებულიყვნენ; პაფონებმა მათი წინადადება არ მიიღეს და ქიოსელებმა ისინი ლესბოსზე გადაიყვანეს, ლესბოსელებმა კი დორისკოსში წაიყვანეს, აქედან ისინი ფეხით წავიდნენ და მივიდნენ პაფონიაში.

99. ეს გააკეთა არისტაგორესმა. როდესაც ათენელები მივიდნენ მილეტში 20 ხომალდით, თან მოიყვანეს ერეტრიელთა 5 ტრიერი, ისინი ათენელთა გულისათვის კი არ ლაშქრობდნენ, არამედ თვით მილეტელთა ხათრით, რომელთაც მიუზღავდნენ სამაგიეროს (რადგან უწინ მილეტელები მიეხმარნენ ერეტრიელებს ქალკიდელების წინააღმდეგ ომში; მაშინ, ქალკიდელებს ერეტრიელებისა და მილეტელების წინააღმდეგ სამოსელები ეხმარებოდნენ). როდესაც მივიდნენ ისინი და მათ გარდა კიდევ სხვა მოკავშირეები, არისტაგორესმა მოაწყო, ლაშქრობა სარდეზე. იგი თვითონ არ ლაშქრობდა, არამედ დარჩა მილეტში, მხედართმთავრებად სხვები დააყენა მილეტელთაგან, თავისი ძმა ქაროპინოსი და სხვა მოქალაქეთაგან ჰერმოფანტოსი.

100. როდესაც ამ ლაშქრით იონიელები ეფოსში მივიდნენ, ხომალდები დატოვეს კორესოში, რომელიც ეფესოს მიწა-წყალზეა, ხოლო თვით დიდი რაზმით წინ წავიდნენ, წინამძღოლუბად კი ეფესელები დაიყენეს. ისინი მიდიოდნენ მდინარე

კადსტრიოსის გასწვრივ, ხოლო მას მერე, რაც გადაიარეს ტმოლოსზე, მიაღწიეს სარდეს. სარდე მათ აიღეს. ხოლო აკროპოლისს თვითონ არტაფრენესი იცავდა, რომელსაც მცირერიცხოვანი ლაშქარი როდი ჰყავდა.

101. თუმცა აიღეს ქალაქი, მაგრამ ძარცვისაგან თავი შეიკავეს და აი რატომ:სარდეში სახლები მეტწილად ლერწმიდა იყო, ხოლო თვით აგურის სახლებსაც სახურავი ლერწმისა ჰქონდათ. როგორც კი რომელიღაც ჯარისკაცთაგანმა ერთ ამ სახლთაგანს ცეცხლი წაუკიდა, მაშინვე ცეცხლი სახლიდან სახლზე გადავიდა და მთელი ქალაქი მოიცვა. ქალაქი რომ იწვოდა, ლიდიელები და ქალაქში მყოფი სპარსელები ყოველის მხრიდან გარემოცული აღმოჩნდნენ, ისე რომ, ცეცხლმა მოიცვა ნაპირებიც კი და არ შეეძლოთ მათ ქალაქიდან გამოსულიყვნენ. ამიტომ ყველა გაექანა მოედნისაკენ მდინარე პაქტოლოსთან, რომელსაც ოქროს ქვიშა ჩამოაქვს, შუა მოედანზე მიედინება და შემდეგ მდინარე ჰერმოსს ერთვის, ეს კიდევე ზღვას. ამ პაქტოლოსთან მოედანზე შეგროვილი ლიდიელებიცა და სპარსელებიც იძულებულნი იყვნენ თავი დაეცვათ. იონიელებმა რომ დაინახეს, მტრის ნაწილი თავს იცავდა, ხოლო მეორე ნაწილი რადიდი რაოდენობით მიიწევდა წინ, შეეშინდათ და უკან დაიხიეს ტმოლოსად წოდებულ მთისაკენ, ხოლო აქედან ღამე წავიდნენ ხომალდებისაკენ.

102. სარდე დაიწვა და მასში ადგილობრივი ღმერთქალის, კიბეხეს ტაძარიც: ამას იმიზეზებდნენ შემდეგ სპარსელები, ელინები ტაძრებს რომ სწვავდნენ. მაშინ სპარსელებმა, რომელთაც ეპყრათ მდინარე ჰალისის შიგნით მდებარე ოლქები, ეს რომ შეიტყვეს, თავი მოიყარეს და დაეხმარნენ ლიდიელებს. მაგრამ სარდეში ვეღარ იპოვნეს იონიელები, მისდიეს მათ კვალს და დაიჭირეს ისინი ეფესოში. იონიელები დაეწყვიდნენ მათ საწინააღმდეგოდ, შეეხნენ მათ და სასტიკად დამარცხდნენ. სპარსელებმა ბევრი მათგანი ამოხოცეს, ბევრი სახელოვანი კაცი და მათ შორის ევალკიდესი, რომელიც ერეტრიელებს მხედართმთავრობდა, შეჯიბრებებზე გამარჯვების ნიშნად გვირგვინი ჰქონდა მოპოვებული და დიდად იყო შექებული სიმონიდეს კეოსელის მიერ. ბრძოლას გადარჩენილი თავიანთ ქალაქებში მიმოიფანტნენ.

103. ასე იბრძოლეს მაშინ, ამის შემდეგ ათენელებმა სრულიად მიატოვეს იონიელები და მიუხედავად იმისა, რომ არისტაგორესმა ამთ მოციქულების საშუალებით ბევრჯერ მიმართა, ათენელებს მაინც ვერ ათქმევინა, რომ დაეხარებოდნენ მათ. იონიელებმა ათენელთა მოკავშირეობა დაჰკარგეს (რადგან ის, რაც გააკეთეს დარიოსის მიმართ, ვერ გამოუვიდათ), მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ემზადებოდნენ მეფის წინააღმდეგ საომრად. გასცურეს ჰელესპონტში და დაიმორჩილეს ბიძანტიონიცა და სხვა ყველა ქალაქიც, რომლებიც იმ ტერიტორიაზე მდებარეობენ. შემდეგ გასუცრეს ჰელესპონტს გარეთ და კარიის დიდი ნაწილი შეიმატეს და მოკავშირედ გაიხადეს; კავნოსს უწინ რომ არ უნდოდა მათი მოკავშირეობა, როგორც კი დაიწვა სარდე, მაშინვე შეუერთდა მათ.

104. ხოლო კიპროსელებს ყვალას უნდოდა მათთან შეერთება, გარდა ამათუსელებისა; კიპროსელები კი მიდიელებს ასე განუდგნენ: იყო ონესილოსი, სალამინელთა მეფის გორგოსის უმცროსი ძმა, ქერსისის ძე, სირომოს ეველთონტის ძის შვილიშვილი. ეს ვაჟკაცი უწინაც მრავალჯერ ურჩევდა გორგოსს, გადასდგომოდა მეფეს, მაშინ კი, როცა შეიტყო, იონიელები გადაუდგნენო, მეტისმეტად დაჟინებით აქეზებდა. ხოლო

როდესაც ვერა და ვერ დაიყაბულა გორგოსი, დაუდარაჯდა მას და როცა ის სალამინელთა ქალაქიდან გავიდა, იონესილოსმა თავის მეამბოხეებთან ერთად დაუკეტა ქალაქის ბჭე. ასე დაჰკარგა გორგოსმა ქალაქი და გაიქცა მიდიელლებთან, ხოლო იონესილოსი მართავდა სალამინს და დაითანხმა მთელი კიპროსელები, მასთან ერთად გადასდგომოდნენ მეფეს. სხვა ყველანი დაიყაბულა, ხოლო ამათუსელებმა არ მოინდომეს, რომ მისთვის დაეჯერებინათ და ამიტომ მან ალყა შემოარტყა მათ.

105. იონესილოსმა ალყა შემოარტყა ამათუნტს, ხოლო დარიოსმა რომ შეიტყო, სარდუ აიღეს და დაწვეს ათენელებმა და იონელებმა, ხოლო წინამძღოლი ამ თავყრილობისა და ყველას გამაერთიანებელი იყო მილეტელი არისტაგორესი, ამბობენ, რომ პირველად, როცა მან ეს შეიტყო, იონელებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან კარგად იცოდა, რომ ესენი თავისი განდგომისათვის დაუსჯელები არ დარჩებოდნენ: ის კი იკითხა, ვინ არიან ათენელებიო; ხოლო მას შემდეგ, რაც შეიტყო, თუ ვინ არიან, მოითხოვა მშვილდი, აიღო ისარი და ზევით, ცისაკენ გაუშვა და როდესაც ის ჰაერში ისროლა, თქვა: "ზევსო, შემადლებინე, რომ ათენელებს სამაგიერო მიუზღო", ესა თქვა და დაავალა ერთ თავის მოსამსახურეთაგანს, რომ როდესაც საჭმელად იჯდებოდა, ყოველთვის სამეზოს ეთქვა მისთვის: "უფალო, გახსოვდეს ათენელები".

106. ეს დავალება, რომ მისცა, თავისთან დაამახებინა ჰისტიადოს მილეტელი, რომელიც დარიოსს დიდი ხანია დაჭრილი ჰყადა და უთხრა: "ჰისტიადოს, შვიტყვე, რომ შენს მოადგილეს, რომელსაც შენ მილეტი ჩააბარე, ჩემი საწინააღმდეგო საქმეები განუზრახავს. რადგან მან მეორე ხმელეთიდან მოიყვანა ხალხი და მათთან ერთად იონელები, რომლებიც პასუხს აგებენ ჩემთან იმისათვის, რაც ჩაიდინეს. მან დაარწმუნა იონელები, მათ მიჰყოლოდნენ და წამართვა სარდუ. ახლა როგორ მოგწონს ეს ამბავი? ვითომ ეს შენი რჩევის გარეშე მოხდა? ფრთხილად იყავი, შემდეგში თავი არ წააგო ამისათვის". ამაზე უთხრა ჰისტიადოსმა: "მეფეო, ამას როგორ მეუბნები? განა მე ვურჩევდი ვინმეს ისეთ საქმეს, რაც შენ დიდ ან მცირე უსიამოვნებას მოგაყენებდა? რისთვის უნდა ვცდილობდე ამას, რა მაკლია? ყოველივე ის, რაც შენა გაქვს, მეცა მაქვს, ამასთანავე ღირსსა მხდი, რომ ყველა შენი ბჭობა მოვისმინო. ხოლო თუ ჩემი მოადგილე ისე იქცევა, როგორც შენ მითხარი, იცოდე, რომ ის თავისი საკუთარი ჭკუით იქცევა ამნაირად. რაც შემეხება მე, ვერც კი დავუშვებ იმ აზრს, რომ მილეტელები და ჩემი მოადგილე შენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბოროტს იზრახავდნენ. თუ მათ ასეთი რამე მართლაც ჩაიდინეს და შენ სიმართლე გითხრეს, მეფეო, ახლა მაინც გაიგე, თუ რა საქმე გააკეთე იმით, მე რომ ზღვიდან აქეთ გადმომასახლე. როგორც ჩანს, იონელებმა, მე რომ მათ თვალიდან მოვცილდი, ის გააკეთეს რაც ძველადვე ძალიან უნდოდათ, ხოლო სანამ მე იონიაში ვიყავი, არც ერთი ქალაქი არ ამბოხებულა. ამიტომ ახლა, რაც შეიძლება ჩქარა გამიშვი, რომ წავიდე იონიაში, რათა ყოველივე ეს ძველებურად მოვაწესრიგო, ხოლო მილეტის მეურვეს, რომელმაც ეს მოაწყო, მოვთოკავ და შენ გადმოგცემ. ყოველივე ამას რომ მოვაგვარებ შენს საამებლად, გეფიცები შენს ღმერთებს, რომ უწინ არ გავიხდი იმ ქიტონს, რომელიც მეცმევა იონიაში წასვლისას, ვიდრე სარდოს, უდიდეს კუნძულს მოხარკედ არ გაგიხდი".

107. ჰისტორიკოსი ამას რომ ამბობდა, ატყუებდა მეფეს, ხოლო დარიოსმა დაუჯერა და გაუშვა, თან უბრძანა, რომ როგორც კი მოაგვარებდა ყოველივეს, რაც აღუთქვა, მაშინვე უკან დაბრუნებულიყო სუსამი.

108. როდესაც ცნობა მოუვიდა მეფეს სარდეს შესახებ და დარიოსმა ისარი ზეცას სტყორცნა, ჰისტორიკოსს ელაპარაკა და დარიოსის მიმარ გაშვებული ჰისტორიკოსი ზღვასთან მივიდა, სწორედ ამ დროს ასეთი რამ მოხდა: როდესაც ონესილოს სალამინელს ალყა ჰქონდა შემორტყმული ამათუსელებისათვის, ამბავი მოუვიდა, რომ კიპროსზე ელოდებიან სპარსელი არტიბიოსის მისვლას, რომელიც ხომალდებით დიდ სპარსულ ლაშქარს წაიყვანდა თან. ეს რომ შეიტყო ონესილოსმა, მაცნეები დაგზავნა იონიაში და მოუწოდა მათ. იონიელებს დიდხანს არ უთათბირნიათ, მივიდნენ დიდი ლაშქრით. იონიელები მივიდნენ კიპროსზე, ხოლო ამასობაში სპარსელებმა ხომალდებით გადასცურეს კილიკიიდან, სალამინთან კი ქვეითად იარეს. ფინიკიელებმა ამასობაში ხომალდებით შემოუარეს კონცხს, რომელსაც კიპროსის გასაღები ეწოდება.

109. ეს რომ ასე მოხდა, კიპროსის ტირანებმა თავი მოუყარეს იონიელ მხედართმთავრებს და უთხრეს: ”იონიელებო, ჩვენ, კვიპროსელები, გთავაზობთ არჩევანს, ვისთან მოინდომებთ ბრძოლას, სპარსელებთან თუ ფინიკიელებთან. რადგან თუ თქვენ მოინდომებთ ხმელეთზე დაწყობილები სპარსელებთან შებრძოლებას, მაშინ დროა, ჩამოხვიდეთ ხომალდებიდან და დაეწყეთ ხმელეთზე, ჩვენ კი ავალთ თქვენ ხომალდებზე და შევებრძოლებით ფინიკიელებს, ხოლო თუ თქვენ გირჩევენიათ ფინიკიელებთან შებრძოლება, მოიქეცით, როგორც გნებავთ; ხოლო ამ ორი შესაძლებლობიდან რომელსაც გამოარჩევთ, სულეთია, მაგრამ ისე უნდა მოიქცეთ, რომ იონიაცა და კიპროსიც თავისუფლები გახადოთ, რამდენადაც ეს თქვენზე იქნება დამოკიდებული”. იონიელებმა ამაზე უთხრეს: ”იონიელთა საერთო კრებამ იმისათვის გამოგვგზავნა, რომ ზღვა დავიცვათ და არა იმისათვის, რომ კვიპროსელებს ხომალდები გადავცეთ და თვითონ ხმელეთზე შევებრძოლოთ სპარსელებს. სადაც ვართ დაწყობილები, იქ შევეცდებით კარგები ვიყოთ. თქვენ კი გმართებთ გახსოვდეთ, თუ როგორ იტანჯებით მიდიელთა მონობაში და უნდა კარგ ვაჟკაცებად გამოიჩინოთ თავი”.

110. იონიელებმა ასე მიუგეს. ამის შემდეგ, როდესაც სპარსელები სალამინის დაბლობზე გამოვიდნენ, კვიპროსელმა მეფეებმა დააწყეს ნაწილი კვიპროსელებისა სხვა ჯარისკაცების საწინააღმდეგოდ, ხოლო სალამინელთაგან და სოლომელთაგან გამოარჩიეს საუკეთესო ანწილი და სპარსელების წინააღმდეგ გამოიყვანეს. სპარსელი მხედართმთავარი არტიბიოსის წინააღმდეგ თავისივე სურვილით გამოვიდა ონესილოსი.

111. არტიბიოსი იჯდა ცხენზე, რომელიც ისე იყო გაწვრთნილი, რომ ჰოპლიტის წინაშე ყალყზე დგებოდა. ონესილოსმა რომ ეს შეიტყო, უთხრა თავის საჭურველმტვირთველს, წარმოშობით კარიელს, ხოლო საომარ საქმეებში დიდად სახელმოხვეჭილსა და საერთოდ სიმამაცით სავსე ვაჟკაცს: ”შევიტყვე, რომ არტიბიოსის ცხენი ყალყზე დგება და ფეხებითა და პირით კლავს მას, ვინც წინ აღუდგება. ახლავე გადასწყვიტე და მითხარი, ამ ორში რომელს გირჩევენია დაუდარაჯდე და დაჰკრა, ცხენს თუ თვითონ არტიბიოსს?” ამაზე მისმა

საჭურველთმცვრთველმა მიუგო: ”მეფეო, მე მზადა ვარ ეს ორივე საქმე, ან ერთი მათგანი და საერთოდ ყველაფერი, რასაც მიბრძანებ, გავაკეთო. მაგრამ მინდა გითხრა, რაც შენთვის ყველაზე უფრო სასარგებლოდ მიმაჩნია, მე ვფიქრობ, მეფესა და მხედართმთავარს მეფესთანა და მხედართმთავართან შებრძოლება შეშვენის (რადგან თუ ძლიე მხედართმთავარი, შენთვის დიდად სასახელო იქნება, და მეორეს მხრივ, თუ მან შენ გაჯობა, ეს კი გაშოროს ღმერთმა, ღირსეული კაცის ხელით სიკვდილი უკვე განახევრებული უბედურებაა), ხოლო ჩვენ, მსახურებს, შეგვშვენის შევებრძოლოთ სხვა მსახურებსა და ცხენს. ამ ცხენის ვერაგობისა კი ნუ შეგეშინდება, რადგან მე ვიდებ თავზე იმას, რომ ამიერიდან აღარასოდეს ადგება ის ყალყზე არც ერთი ადამიანის წინაშე”.

112. ეს თქვა, და მაშინვე შეებრძოლა ორივე ბანაკი ერთმანეთს, როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. ხომალდებით ბრძოლისას იონიელები იმ დღეს ძალიან ძლიერნი იყვნენ და დაამარცხეს ფინიკიელები. მათ შორის განსაკუთრებით ივაჟკაცეს სამოსელებმა. ხოლო ხმელეთზე, როდესაც ბანაკები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ეკვეთნენ ისინი ერთმანეთს და იბრძოდნენ. ორივე მხედართმთავარს კი შემდეგი რამ დაემართა: როდესაც ცხენზე შემჯდარი არტიბიოსი თავს დაესხა ონესილოსს, ონესილოსმა თავის საჭურველთმცვრთველთან შეთანხმებისამებრ შეუტია თვით თავდამსხმელ არტიბიოსს; ხოლო როდესაც ცხენმა ფეხები ონესილოსის ფარას დაჰკრა, მაშინ კარიელმა ნამგალი შემოჰკრა და დააჭრა ცხენს ფეხები. სპარსელთა მხედართმთავარი არტიბიოსი თავის ცხენთან ერთად იქვე დაეცა.

113. როდესაც სხვები იბრძოდნენ, სტესენორი, კურიონის ტირანი, გაიქცა და თან გაჰყვა არც თუ მცირერიცხოვანი ლაშქარი. ამბობენ, რომ ეს კურიელები არგოსელი ახალმოშენეები არიან. კურიელები რომ გაიქცნენ, სალამინელთა საბრძოლო ეტლებმაც მაშინვე მათ მიჰბადეს. ეს რომ ასე მოხდა, სპარსელები კიპროსელებზე უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ. როდესაც კიპროსელთა ბანაკი გაიქცა, ბევრი სხვა დაეცა და მათ შორის ონესილოს ქერსისის ძე, რომელმაც მოაწყო კიპროსელთა განდგომა, ასევე სოლოელთა მეფე არისტოკიპოსი, ფილოკიპროსის ძე, იმ ფილოკიპროსისა, რომელთანაც მოვიდა, კიპროსზე სოლონ ათენელი და თავის ლექსებში ის ყველა ტირანზე მეტად შეაქო.

114. ამათუნტელებმა თავი მოჰკვეთეს ონესილოსს. ეს იმიტომ, რომ მას ალყა ჰქონდა მათთვის შემორტყმული; ეს თავი წაიღეს ამათუნტში და ბჭეზე ჩამოჰკიდეს. თავი აქ ეკიდა და როდესაც შიგნიდან გამოცარიელდა, ფუტკრის გუნდი შევიდა შიგ და ფიჭით აავსო იგი. ეს რომ ასე მოხდა, ამის შესახებ ამათუნტელები შეეკითხნენ სამისნოს და მან გამოაცხადა, რომ თავი ჩამოეხსნათ და დაემარხათ, ხოლო ონესილოსიათვის ყოველწლიურად მსხვერპლი შეეწირათ ხოლმე, როგორც გმირისათვის, და ამას რომ გააკეთებენ, ეს მათ სიკეთეს მოუტანს.

115. ამათუნტელები ამას აკეთებენ ჩემს დრომდე; ხოლო იონიელები ამ დროს კიპროსთან საზღვაო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული. როდესაც იონიელებმა შეიტყვეს, რომ ონესელოსის საქმე გაფუჭდა, ხოლო კიპროსელთა ქალაქები ალყაშემორტყმულია, ყველა, გარდა სალამინისა (იგი უწინდელ მეფეს, გორგოსს გადასცეს სალამინელებმა), მაშინვე გადასცურეს იონიაში. კიპროსის ქალაქთაგან

ყველაზე მეტ ხანს ალყას სოლომ გაუძლო, ხოლო მეხუთე თვეზე ისიც აიღეს სპარსელებმა იმ ხერხით, რომ მის ზღუდეს ირგვლივ ძირი გამოუთხარეს.

116. ამგვარად კიპროსელები ერთ წელს იყვნენ თავისუფლები და შემდეგ კვლავ თავად იყვნენ დამონებულნი. დავრისეს ცოლად დარიოსის ასული ჰყავდა, ასევე ჰიმადესა და ოტანესაც, ასევე სხვა სპარსელ მხედართმთავრებსაც ჰყავდათ დარიოსის ასულები ცოლებად. აი, ამათ მისდიეს იმ იონიელებს, რომელთაც სარდზე გაილაშქრეს, არეკეს ისინი თავის ხომალდებზე, როგორც კი ბრძოლაში დაამარცხეს ისინი და მაშინ დაინაწილეს ქალაქები და დაიწყეს მათი განადგურება.

117. დავრისესი გაემართა ჰელესპონტის ქალაქებისაკენ, აიღო ჯერ დარდანოსი, ხოლო შემდეგ - აბიდოსი, პერკოტე, ლამფსაკოსი და პაძოსი: ყოველდღე თითო ქალაქს იღებდა. როდესაც პაძოსიდან მიდიოდა პაროსის ქალაქში, ცნობა მოუვიდა, რომ კარიელებსაც იგივე განუზრახავთ, რაც იონიელებს და გადასდგომიან სპარსელებს. ამიტომ გამობრუნდა ჰელესპონტიდან და ჯარი კარიის წინააღმდეგ წაიყვანა.

118. ამის შესახებ კარიელებმა უწინ შეიტყვეს, ვიდრე დავრისესი მათთან მივიდოდა. კარიელებმა რომ ეს შეიტყვეს, დაიწყეს შეგროვება ე.წ. თეთრ სვეტებთან, მდინარე მარსიესთან, რომელიც მოედინება იდრიასის ქვეყნიდან და ერთვის მაძანდროსს. როდესაც შეგროვდნენ კარიელები, იქ ბევრი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა და მათ შორის, ჩემი აზრით, საუკეთესო იყო პიქსოდაროს მავსოლოსის ძისა, რომელიც კინდიელი იყო, მას ცოლად კილკიელი მეფის, სიენესისის ასული ჰყავდა. ამ კაცის აზრით, კარიელებს უნდა გადაეველოთ მაძანდროსი და ისე ებრძოლათ, რომ მდინარე ზურგში ჰქონოდათ, რაკი უკან გაქცევას ვერ შეძლებდნენ, ადგილზე დარჩებოდნენ და იძულებული გახდებოდნენ უფორ უკეთესად ეჩვენებინათ თავი, ვიდრე მათი ბუნება იყო. ამ აზრმა ვერ გაიმარჯვა, არამედ ამჯობნეს, სპარსელებს ჰქონოდათ ზურგში მაძანდროსი და არა მათ, რადგან, ცხადია, თუ სპარსელებს ბრძოლაში დამარცხების შედეგად გაქცევა დასჭირდებოდათ, ისინი უკან ვეღარ დაბრუნდებოდნენ და მდინარეში ჩაცვივდებოდნენ.

119. შემდეგ, როდესაც სპარსელები მოვიდნენ და მაძანდროსზე გადავიდნენ, მდინარე მარსიესთან შეებრძოლნენ კარიელები სპარსელებს, ბრძოლა სასტიკი და ხანგრძლივი იყო, საბოლოოდ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანების შედეგად დამარცხდნენ კარიელები. სპარსელთაგან დაახლოებით 2000 კაცი დაიღუპა, ხოლო კარიელთაგან - 10 000 -მდე. გადარჩენილმა კარიელებმა თავი შეაფარეს მეომფარი ზევსის სამლოცველოს ლაბრავანდაში, დიდსა და წმინდა ჭადრების ჭალას; ჩვენთვის ცნობილ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კარიელები სწირავენ მეომარ ზევსს მსხვერპლს. თავი რომ შეაფარეს, აქ მოითათბირეს თავის გადარჩენის შესახებ, რა უჯობთ - სპარსელებს ჩაუცვივდნენ ხელში, თუ სრულიად დატოვონ აზია.

120. როდესაც ისინი ამას ბჭობდნენ, მათთან შემწეებად მილეტელები და მათი მოკავშირეები მოვიდნენ. მაშინ კარიელებმა თავის უწინდელი გადწყვეტილება შეცვალეს და კვლავ თავიდან საბრძოლველად მოემზადნენ. მივიდნენ ესენი და შეებრძოლნენ სპარსელებს და ახლა უფრო სასტიკად დამარცხდნენ, ვიდრე უწინ. ძალიან ბევრი დაიხოცა ამ ბრძოლაში, განსაკუთრებით კი მილეტელები გაწყდნენ.

121. ამ დამარცხების შემდეგ კარიელები მომძლავრდნენ და კდიევ წამოიწყეს ბრძოლა. როდესაც შეიტყვეს, რომ სპარსელები აპირებენ მათ ქალაქებზე გალაშქრებას, კარიელები ჩასაფრდნენ პედასოსში მიმავალ გზაზე, რომელზედაც სპარსელებს შემოაღამდათ. სპარსელები აქ ამოწყდნენ, თვითონაც და მათი მხედართმთავრებიც, დავრისესი, ამორგესი და სისიმაკესი. მათთან ერთად მოკვდა მირსოსიც, გიგესის ძე. ამ ჩასაფრებას ხელმძღვანელობდა ჰერაკლედეძი, იბანოლისის ძე, მილასელი კაცი. სპარსელთაგან ესენი ასე ამოწყდნენ.

122. ხოლო ჰიმადეძი, რომელიც თვითონაც მათ შორის იყო, ვინც სდია სარდეზე მოლაშქრე იონელებს, გაემართა პროპონტიდისაკენ და აიღო კიოსი, რომელიც მისიეშია. ეს რომ აიღო, შეიტყო თუ არა, რომ დავრისესს დაუტოვებია ჰელესპონტი, გაილაშქრა კარიაზე, დატოვა თვითონ პროპონტიდა და პელესპონტზე წაიყვანა ლაშქარი, დაიპყრო მთელი ეოლიელები, რომლებიც ილიონის მხარეში ცხოვრობენ, და დაიპყრო აგრეთვე გერგიტები, რომლებიც დარჩენილი იყვნენ ძველ ტევკრებისაგან. ხოლო ჰიმადეძმა ეს ტომები დაიპყრო და ავადმყოფობისგან გარდაიცვალა ტროადაში.

123. იგი ასე აღესრულა, ხოლო სარდელთა მმართველი არტაგორენესი და ოტანესი, მესამე მხედართავარი, დაეწყვნენ და ილაშქრს იონიის წინააღმდეგ და მის მეზობელ ეოლისზე. იონიაში კლადომენე აიღეს, ხოლო ეოლიელების ქვეყანაში - კიძე.

124. ხოლო ქალაქები რომ აიღეს, როგორც ჩანს, არისტაგორეს მილეტელი სულით დაეცა, ის არისტაგორესი, რომელმაც ააშფოთა იონია და დიდი საქმეები წამოიწყო. მან გაქცევა გადაწყვიტა, ეს რომ დაიანახა, რადგან შეუძლებლად ეჩვენებოდა მეფე დარიოსის დაძლევა. ამიტომ თავი მოუყარა თავის თანამოაზრეებს და მოეთათბირა, უთხრა, რომ მათთვის უმჯობესი იქნება, რაიმე თავშესაფარი იქონიონ, თუ კი გაძევებული იქნებიან მილეტიდან; ან სარდოში წაიყვანს მათ ამ ადგილიდან ახალმოშენებად, ან ედონთა მირკინოსში, რომელიც ჰისტიაფოსმა მიიღო საჩუქრად დარიოსისაგან და შემოზღუდა.

125. ჰეკატაფოს ჰეგესანდროსის ძის, ისტორიკოსის აზრით მას არც ერთ ამ ადგილას არ მართებდა წასვლა, არამედ კუნძულ ლეროსზე უნდა აეგო სიმაღე და იქ ყოფილიყო. წყნარად, თუ კი მილეტიდან გააძევებდნენ. ხოლო შემდეგ, აქედან ის შეიძლება მილეტში დაბრუნებას.

126. ეს ურჩია ჰეკატაფოსმა, ხოლო თვით არისტაგორესი უფრო იმ აზრისა იყო, რომ მირკინოსში წასულიყო, მილეტი მან ჩააბარა პითაგორესს, სახელმობხეჭილ კაცს მოქალაქეთა შორის, ხოლო თვითონ წაიყვანა ყველა, ვისაც წასვლა სურდა და გასცურეს თრაკიაში, იქ დაიჭირა ქვეყანა, რომელსაც მიადგა. ხოლო როდესაც გამოვიდა აქედან და ერთ-ერთ ქალაქს ალყა შემოარტყა, თვით არისტაგორესიცა და მისი ლაშქარიც ამოწყვეტილი იქნენ თრაკიელების მიერ, რომელთაც მოლაპარაკების შემდეგ ქალაქიდან გამოსვლა მოინდომეს.

1. ასე დაიღუპა არისტაგორესი, რომელმაც ამბოხება მოაწყო იონიაში. ხოლო ჰისტიადოსი, მილეტის ტირანი, რომელიც გაუშვა დარიოსმა, მივიდა სარდეში. როდესაც მიაღწია სუსადან სარდეს, არტაფრენესი, სარდელთა მეურვე, შეეკითხა მას, თუ რას ფიქრობს ის, რატომ გადადგნენ იონიელები. მან უთხრა, რომ არაფერი იცის და თანაც განცვირებულია მომხდარის გამო. თითქოს მართლაც არაფერი იცოდა შექმნილი ვითარების შესახებ. ხოლო არტაფრენესი მიხვდა, რომ ის რაღაცას ეშმაკობდა და რაკი იცოდა ამბოხების ნამდვილი მიზეზი, უთხრა: "ჰისტიადოს, ასე იყოს ეს საქმე: ეს ფეხსაცმელი შენ შეჰკერე, არისტაგორესმა კი ჩაიცვა".
2. არტაფრენესი ამას რომ ამბობდა, ამბოხებას გულისხმობდა. ხოლო ჰისტიადოსს შეეშინდა, რომ მიუხვდა არტაფრენესი და პირველსავე ღამეს გაიქცა ზღვისაკენ, ისე რომ, მოატყუა მეფე დარიოსი. რადგანაც იგი მას დაჰპირდა უდიდეს კუნძულს, სარდოდს დაგიმორჩილებო. სინამდვილეში კი იონიელთა წინამძღოლობა იკისრა დარიოსის წინააღმდეგ ომში. ქიოსზე რომ გადავიდა, კაცი რაღაც ახალ უბედურებას უპირებს მათ დარიოსის დავალებით, ხოლო როდესაც ქიოსელებმა შეიტყვეს მთელი ამბავი, რომ ის მტერია მეფისა, გაათავისუფლეს.
3. შემდეგ, როდესაც ჰისტიადოსს ეკითხებოდნენ იონიელები, თუ რატომ აცივდებოდა ის ასე დაჟინებით არისტაგორესს მეფეს გადასდგომოდა (რითაც ამოდენა ბოროტება მოუტანა იონიელებს), იგი ნამდვილ მიზეზს სრულიად არ უმჟღავნებდა მათ, არამედ ეუბნებოდა, თითქოს მეფე დარიოსმა გადაწყვიტა ფინიკიელების აყრა და დასახლება იონიაში, ხოლო იონიელებისა ფინიკიაში და ამისათვის იყო, რომ ის აქეზებდა არისტაგორესს. ხოლო სინამდვილეში მეფეს ამის მსგავსი არაფერი ჰქონდა გადაწყვეტილი და განზრახული იონიელების მიმართ.
4. შემდეგ ჰისტიადოსმა მოციქულის, ჰერიპოს ატარნელის საშუალებით სარდეში მყოფ სპარსელებს გაუგზავნა წერილი, რადგან ისინი უწინაც ელაპარაკებოდნენ მას ამბოხების შესახებ. ხოლო ჰერმიპოსმა იმათ კი არ გადასცა წერილები, ვისაც ეგზავნებოდა ისინი, არამედ წაიღო და ჩააბარა არტაფრენესს. არტაფრენესმა რომ შეიტყო ყველაფერი, რაც ხდებოდა, უბრძანა ჰერმიპოსს წაეღო და გადაეცა მათთვის ეს წერილები, ვისაც ისინი გაუგზავნა ჰისტიადოსმა, ხოლო პასუხები, რომლებსაც სპარსელები გაუგზავნიან ჰისტიადოსს, მას მიუტანოს. როდესაც ეს ამბები გამომჟღავნდა, არტაფრენესმა მაშინ ბევრი სპარსელი ამოხოცა.
5. ამასთან დაკავშირებით სარდეში მღელვარება იყო. როდესაც ჰისტიადოსს ეს იმედი გაუცრუვდა, ქიოსელებმა, თვით ჰისტიადოსის თხოვნის თანახმად, წაიყვანეს ის უკან მილეტში. ხოლო მილეტელები დიდად იყვნენ ნასიამოვნები არისტაგორესისაგან განთავისუფლების გამო და არავითარი სურვილი არ ჰქონდათ სხვა ტირანი მიეღოთ თავის ქვეყანაში, რადგან უკვე იგემეს თავისუფლება. ამიტომ, როდესაც ჰისტიადოსმა მოინდომა მოძალადურად შესულიყო მილეტში ღამით, ვიღაცა მილეტელმა დასჭრა ის თემოში. გამოძევებული თავისი საკუთარი ქვეყნიდან დაბრუნდა უკან ქიოსზე. ხოლო იქიდან, რადგანაც ვერ დაიყაბულა ქიოსელები, რომ მიეცათ მისთვის

ხომალდები, გადავიდა მიტილენეში და დაითანხმა ლესბოსელები, მისთვის ხომალდები მიეცათ. ლესბოსელებმა გაამზადეს 8 ტრიერი და ჰისტიადოსთან ერთად გასცურეს ბიძანტიონში, დასხდნენ იქ და პონტოდან მომავალ ხომალდებს იპრყობდნენ, ყველას, გარდა იმ ხომალდებისა, რომლებიც ამბობდნენ, რომ მზად არიან დაემორჩილნონ ჰისტიადოსს.

6. ეს ჩაიდინეს ჰისტიადოსმა და მიტიელენებმა, ხოლო თვით მილეტის წინააღმდეგ დიდი ფლოტი და ქვეითი ჯარი ემზადებოდა, რადგან სპარსთა მხედართმთავრები შეერთდნენ, შეჰქმნეს ერთი ლაშქარი და გაემართნენ მილეტზე, დანარჩენი ქალაქების მიმართ კი ნაკლები ყურადღება გამოიჩინეს. ფლოტში ფინიკიელები აღმოჩნდნენ ყველაზე მამაცები, მათთან ერთად ლაშქრობდნენ ახლახან დამორჩილებული კიპროსელები, კილიკიელები და ეგვიპტელები.

7. როდესაც ისინი გაემართნენ მილეტის და საერთოდ იონიის წინააღმდეგ, შეიტყვეს ეს იონიელებმა და გაგზავნეს თავისიანთაგან რწმუნებული პანიონიონში¹. როდესაც მოვიდნენ ისინი ამ ადგილას და მოითათბირეს, გადაწყვიტეს, რომ ქვეითი ჯარი არ გამოეყვანათ სპარსელების საპირისპიროდ, არამედ მილეტელებს თავისი ზღუდეები თვითონ უნდა დაეცვათ, ხოლო ფლოტი ისე უნდა მოემზადებინათ, რომ არ დაეტოვებინათ არც ერთი ხომალდი, გაემართათ და სასწრაფოდ შეგროვილიყვნენ ლადეში, სადაც მილეტის გამო ბრძოლა უნდა მომხდარიყო, ხოლო ლადე არის მილეტელთა ქალქის მახლობლად მდებარე პატარა კუნძული.

8. ამის შემდეგ გამართული ხომალდებით მივიდნენ იონიელები მილეტთან და მათთან ერთად მოვიდნენ ლესბოსზე მცხოვრები ეოლიელები, ჯარი ამგვარად დაეწყო: აღმოსავლეთის ფრთა თვითონ მილეტელებს ეჭირათ, მათ ჰყავდათ 80 ხომალდი. მათ მოყოლებით იდგნენ პრიენელები 12 ხომალდით და მიუსელები - 3 ხომალდით, მიუსელებს ტეოსელები მისდევდნენ 17 ხომალდით, ხოლო ტეოსელებს - ქიოსელები 100 ხომალდით. ამათ გარდა აქვე იყვნენ დაწყობილი ერთრეელები და ფოკეელები. ერთრეელებს 8 ხომალდი ჰყავდათ, ხოლო ფოკეელებს სამი. ფოკეელებს მისდევდნენ ლესბოსელები 70 ხომალდით, სულ ბოლოს დაწყობილი იყვნენ და დასავლეთის ფრთა ეჭირათ სამოსელებს 60 ხომალდით, ამ ტრიერების საერთო რიცხვი იყო 353.

9. ამდენი ხომალდი ჰქონდათ იონიელებს, ხოლო ბარბაროსებს ჰქონდათ 600 ხომალდი. როდესაც ესენიც მივიდნენ მილეტში და მათთან ერთად მივიდა მთელი ქვეითი ჯარიც, მაშინ სპარსელთა მხედართმთავარმა შეიტყვეს ხომალდების სიმრავლის ამბავი და შეშინდნენ, ვაითუ ვერ შევძლოთ მათი დაძლევაო, რადგან ზღვა მათ ხელთ არ იყო და ისე მიელტის აღება ვერ მოხერხდებოდა. თან დარიოსისა ემინოდათ, რომ ცუდს რასმეს დაჰმართებდა მათ. ამის ფიქრში რომ იყვნენ, შეაგროვეს იონიელთა ტირანები, რომელბსაც არისტაგორეს მილეტელმა წაართვა ძალაუფლება და რომლებიც მიდილების ქვეყანაში გაიქცნენ, ხოლო მაშინ მოხდა ისე, რომ მათთან ერთად ლაშქრობდნენ მილეტის წინააღმდეგ. ვინც ამ კაცთაგან ამ დროს აქ იყო, შეჰყარეს და უთხრეს მათ შემდეგი: ”იონიელებო, ახლა თითოეულმა თქვენთაგანმა უნდა გამოიჩინოს თავი, როგორც მეფის სახლის მიმართ კეთილად განწყობილმა: თითოეული თქვენთაგანი უნდა შეეცადოს, რომ გააცალკევოს თავისი მოქალაქეები დანარჩენი მოკავშირეებისაგან. შეატყობინეთ და დაჰპირდით, რომ

განდგომისათვის არავითარი უსიამოვნება არ შეხვდებათ, რომ არ დაიწვევა არც ტაძრები და არც მათი კერძო სახლები. და არც უფრო მეტი ძალმომრეობა იქნება მათ მიმართ, ვიდრე უწინ იყო. ხოლო თუ ამას არ შეისმენენ და მაინცდამაინც მოინდომებენ ომში მონაწილეობას, მაშინ გადაეცით მათ მუქარა (რასაც უეჭველად ავუსრულებთ), რომ თუ ბრძოლაში დამარცხდებიან, თვითონ მათ ტყვეებად ვაქცევთ, მათ შვილებს დავასაჭურისებთ, ხოლო ქალწულებს გავრეკავთ ბაქტრიეში, მათ ქვეყანას კი სხვას გადავცემთ”.

10. მათ ასე უთხრეს, ხოლო იონიელთა ტირანთაგან თითოეულმა ღამით თავის ხალხში მოციქულები დაგძავნა. იონიელები, რომლებთანად მოვიდნენ ეს მოციქულები, დაუფიქრებლად მოიქცნენ და არ დაუშვეს ღალატი, რადგან თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ მხოლოდ მათ შემოუთვალეს სპარსელებმა ასე. ეს ამბები მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც სპარსელები მივიდნენ მილეტში.

11. შემდეგ, როდესაც იონიელები მოგროვდნენ ლადეში, მოაწყვეს სახალხო კრება, რომელზედაც მათ წინაშე ბევრმა სიტყვა წარმოთქვა და მათ შორის ფოკელმა მხედართმთავარმა დიონისოსმა, რომელმაც თქვა: ”იონიელებო, ჩვენი ბედიღბალი ბეწვზე ჰკიდია, ან თავისუფლები ვიქნებით, ან მონები და ისიც ლტოლვილი მონები. მაგრამ თუ თქვენ ახლა მოინდომებთ რომ გაუძლოთ უბედურებას, ამჟამად ძალიან გაგიჭირდებდათ, მაგრამ შეძლებთ, რომ ძლიოთ მოწინააღმდეგე და თავისუფლები იქნებით. ხოლო თუ თქვენ უმოქმედონი და მოუწესრიგებლები დარჩებით, მე არავითარი იმედი არა მაქვს, რომ მეფე პასუხს არ გაგებინებთ განდგომისათვის. დამიჯერეთ და მომენდეთ და მე თქვენ გპირდებით, რომ თუ ღმერთები თანაბრად მიაგებენ ყველას, მტერი ან სულაც არ შეგვებრძოლება ანდა, თუ შეგვებრძოლა, სასტიკდ დამარცხდება”.

12. ეს რომ მოისმინეს იონიელებმა, მიენდნენ დიონისოსს. ხოლო დიონისოსს ყოველდღიურად გამოჰყავდა ხომალდები და გაამწკრივებდა ხოლმე მათ, რათა მენიჩბეები გაევარჯიშებინა იმაში, რომ ხომალდები ერთმანეთს შორის გაეცურებინათ. მეზღვაურები კი ამ დროს შექურვილი უნდა ყოფილიყვნენ. დღის დანარცენი ნაწილი ხომალდები მას ღუზაზე ეყენა. ისე რომ, იონიელებს სამუშაო მთელი დღის განმავლობაში ჰქონდათ. 7 დღის განმავლობაში ისინი ემორჩილებოდნენ და აკეთებდნენ იმას, რასაც მათ უბრძანებდნენ. ხოლო ამის შემდეგ დღეს იონიელებმა, რადგან ისინი დაიტანჯნენ ამნაირი შრომით, გაჭირვებითა და მზით, უთხრეს ერთმანეთში: ”რა დავუშავთ ღმერთებს ისეთი, რომ ასეთ რასმე ვიტანთ? შეშლილები ვიყავით და გონებას გადაცდენილები მკვებარა ფოკიელს რომ მივენდეთ, რომელსაც სულ 3 ხომალდი ჰყავდა. მან ხელთ გვიგდო ჩვენ და შეურაცხვეყოფს საშინელი შეურაცხყოფით, ბევრი ჩვენგანი უკვე დაავადმყოფდა, ბევრს კიდევ ალბათ იგივე დღე მოელის, ჩვენთვის უმჯობესია მომავალი მონობა გადავიტნოთ, როგორც არ უნდა იყოს ის, ვიდრე იმას შევურიგდეთ, რაც ჩვენ თავს არის. მოდით, მეტი ნუღარ დავემორჩილებით დიონისოსს”. ეს თქვეს და ამის შემდეგ აღარავის მოუნდა დამორჩილება. ის კი არა, მათმა ლაშქარმა კარვები გამართა კუნძულზე და ისხდნენ ჩრდილში, აღარც ასვლა უნდოდათ ხომალდებზე და აღარც ვარჯიში.

13. როდესაც სამოსელმა მხედართმთავრებმა შეიტყვეს ის, რაც გააკეთეს იონიელებმა, მაშინ მიიღეს მათ ადაკეს სილოსონტის ძის უწინდელი რჩევა. ეს აზრი ადაკესმა გამოთქვა სპარსელების ბრძანებასთან დაკავშირებით. იგი სთხოვდა მათ დაეტოვებინათ იონიელთა მოკავშირეობა. სამოსელებმა იმიტომ მიიღეს ეს აზრი, რომ ხედავდნენ ერთის მხრივ, დიდ უწესრიგობას იონიელთა შორის და მეორეს მხრივ, სრულიად ცხადი იყო მათთვის, რომ შეუძლებელი იყო სპარსთა მეფის სახელმწიფოს დამღევა; კარგად მიხვდნენ იმას, რომ დარიოსის ეს ფლოტი კიდევაც რომ დაემარცხებინათ, სხვა მოვიდოდა მის ნაცვლად ხუთჯერ უფრო დიდი. ამიტომ, როგორც კი დაინახეს სამოსელებმა, რომ იონიელები უარობენ დიონისიოსის მორჩილებას, საბაბად ის მოსდეს, მით უმეტეს, რომ თავისთვის სასარგებლოდ მიაჩნდათ გადაერჩინათ თავისი სამლოცველოები და კერძო სახლები. ხოლო ადაკესი, რომლის წინადადებაც გაიზიარეს, იყო შვილი სილოსონტ ადაკესის ძისა, ის იყო სამოსის ტირანი და მიღეტელმა რისტაგორესმა წაართვა მას ხელისუფლება ისევე, როგორც იონიის სხვა ტირანებს.

14. მაშინ, როდესაც ფინიკიელები გამოვიდნენ თავისი ხომალდებით იონიელების წინააღმდეგ, იონიელებმაც გამოიყვანეს და ჩამოამწკრივეს თავისი ხომალდები. მიუახლოვდნენ თუ არა ერთმანეთს, ბრძოლა გააჩაღეს და მე არ შემძლია ზუსტად განვსაზღვრო, თუ იონიელთა შორის ვინ აღმოჩნდა მშიშარა და ვინ მამაცი ამ საზღვაო ბრძოლაში, რადგან ისინი სულ ერთმანეთს აბრალდებდნენ თავის წარუმატებლობას. ამბობენ, რომ სამოსელებმა ადაკესთან შეთანხმების თანახმად აუშვეს იალქნები, გამოვიდნენ მწყობრიდან და გასცურეს უკან სამოსზე, გარდა 11 ხომალდისა, რომელთა ტრიერარქოსებმა არ გაუგონეს მხედართმთავრებს, ესენი დარჩნენ მონაწილეობა მიიღეს საზღვაო ბრძოლაში. ამ საქმისათვის სამოსელთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ სვეტებზე გამოეწერათ ისინი და მათი მამის სახელები, რადგანაც მამაცი ვაჟკაცები აღმოჩნდნენ. და მართლაც დგას მოედანზე ეს სვეტი. ხოლო როდესაც ლესბოსელებმა შეიტყვეს, რომ მათი მეზობლები გაიქცნენ, მიბაძეს სამოსელებს, ისევე როგორც იონიელთა მეტმა წილმა.

15. მათ შორის, ვინც მონაწილეობა მიიღო საზღვაო ბრძოლაში, ყველაზე დიდი გაჭირვება ქიოსწელებს შეხვდათ, რომელთაც თავი გამოიჩინეს ბრწყინვალე საქმიანობითა და იმითაც, რომ ღალატი არ გაუვლიათ გულში. როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, მათ მოიყვანეს 100 ხომალდი, ხოლო თითოეულ მათგანზე 40 კაცი იყო, მოქალაქეთა შორის რჩეული მეზღვაურები. მართალია, ისინი ხედავდნენ, რომ მოკავშირეთა უმრავლესობა ღალატობდათ, მაგრამ არ მიიჩნიეს სამართლიანად მიებაძათ მათი ცუდი საქციელისათვის, ის კი არა, მცირერიცხოვან მოკავშირეებთან ერთად მარტო დარჩენილებმა გასცურეს მტრის ხომალდებს შორის, საზღვაო ბრძოლაში ჩაებნენ, რომელშიც მტრის ბევრი ხომალდები აიღეს, ხოლო თავისი ხომალდების მეტი წილი დაჰკარგეს. ქიოსელები გადარჩენილი ხომალდებით თავის ქვეყანაში გაიქცნენ.

16. ხოლო ის ქიოსელები, რომელთა დაზიანებული ხომალდები გამოუსადეგარი იყო, გაიქცნენ მიკალეში, რადგან მტერი უკან მისდევდათ. მათ აქ ხომალდები ნაპირზე გამოათრიეს და დატოვეს, ხოლო თვითონ ფეხით წავიდნენ ხმელეთზე. როდესაც ქიოსელები მივიდნენ ეფესელთა მიწა-წყალზე (რომელსაც ღამით მოაღწიეს), მაშინ ქალები იქ თესმოფორიებს დღესასწაულობდნენ, ხოლო ეფესლებს ჯერ არაფერი

გაეგონათ იმის შესახებ, თუ რა მოუხდათ ქიოსელებს და რომ დაინახეს ქვეყანაში შემოჭრილი ჯარი, სულაც ის იფიქრეს, რომ ისინი ყაჩაღები არიან და მოვიდნენ იმათი ქალების მოსატაცებლად. ამიტომ მთელი ხალხი გამოვიდა თავისიანების საშველად და ამოხოცეს ქიოსელები ასეთი იყო ის უბედურებები, რაც ყოველი მხრიდან დაატყდათ თავს ქიოსელებს.

17. ხოლო დიონისიოს ფოკელმა, როდესაც შეიტყო, თუ რა საბედისწერო ამბები გადახდათ თავის იონიელებს, მტრისგან წართმეული სამი ნავით ფოკეაში კი აღარ გასცურა (რადგანაც კარგად იცოდა, რომ მთელ იონიასთან ერთად მასაც დაიმონებდნენ), არამედ, როგორც იყო, ისე პირდაპირ გასცურა ფინიკიაში, იქ ჩაიძირა რამდენიმე სავაჭრო გემი, ამით დიდი ქონება ჩაიგდო ხელში და გასცურა სიკელიეში, საიდანაც გამოდიოდა და მეკობრეობას ეწეოდა, მაგრამ ელინთაგან არავის ერჩოდა, მხოლოდ კარქედონელებსა და ტირენებს მარცვადა.

18. როდესაც სპარსელებმა საზღვაო ბრძოლაში დაამარცხეს იონიელები, მილეტს შემოარტყეს ალყა ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც, გარს შემოუთხარეს ზღუდეები და ყოველგვარი ხერხი იხმარეს, მაგრამ ქალაქი არისტაგორესის განდგომიდან საბოლოოდ მხოლოდ მეექვსე წელს აიღეს, მათ დაიმონეს ქალაქი, ისე რომ, სწორედ ის უბედურება დაატყდა თავს მილეტს, რაც უნდა მოსვლოდა მისნობის თანახმად.

19. როდესაც არგოსელებმა მიმართეს დელფოს თავისი ქალაქის გადასარჩენად, ზოგადი მისნობა მიიღეს, რომელიც ნაწილობრივ ეხმარებოდა თვით არგოსელებს, ხოლო დამატებით მილეტელებს. იმას, რაც ეხებოდა არგოსელებს, თავის დროზე გავიხსენებ, ხოლო მილეტელების შესახებ, რომლებიც იქ არ ყოფილან, ასეთი რამ ითქვა: "მილეტო, ბოროტი საქმეების ჩამდენო, მრავალთათვის გახდები მაშინ საზრდო და შესანიშნავი საჩუქარი. შენი ცოლები ბევრს, გრძელთმიანებს დაბანენ ფეხებს და ჩვენს ტამარზე, რომელიც დიდდამაშია, სხვები იზრუნებენ". მილეტელებს ეს ამბები მაშინ მართლაც გადახდათ თავს, როდესაც მათი ვაჟკაცების მეტი წილი ამოხოცეს გრძელთმიანმა სპარსელებმა, ხოლო ცოლები და შვილები მონებად აქციეს, სალოცავი კი, რომელიც დიდდამაში იყო, ტამარიცა და სამისნოც, გამარცვეს და დაწვეს. ამ სალოცავში დაცული განძის შესახებ მრავალგზის მითქვამს სხვაგან, სხვა მოთხრობაში.

20. მილეტელები, რომლებიც ცოცხლად ჩაიგდეს ხელში ტყვედ, აქედან სუსაში წაიყვანეს. მეფე დარიოსმა მათ ცუდი არაფერი უქნა და დაასახლა ე.წ. მეწამულ ზღვასთან, ქალაქ ამპეში, რომელთანაც ჩამოდის მდინარე ტიგრესი და ერთვის ზღვას. ხოლო მილეტელთა ქვეყანას რაც ეხება, თვითონ სპარსელებმა დაიჭირეს ქალაქის ირგვლივ მდებარე ადგილები და დაბლობი, ხოლო მთიანი ნაწილი მისცეს საკუთრად პედასელ კარილებს.

21. მას მერე, რაც მილეტელებმა ამდენი განიცადეს სპარსელთაგან, სიბარიტებმა მათ სამაგიერო არ მიაგეს მსგავსითვე. იმ სიბარიტებმა, რომლებიც ლაოსში და სკიდროსში ცხოვრობდნენ, მას მერე რაც თავისი ქალაქი დაკარგეს. რადგან, როდესაც სიბარისი აიღეს კროტონელებმა, ყველა მილეტელმა უკლებლივ თავი გადაიკრიჭა და დიდ მწუხარებას მიეცა. რადგან ეს ქალაქები, მათ შორის, რომლებიც ჩვენ ვიცით, ყველაზე უფრო მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან. მაგრამ

ათენელები სრულიად სხვაგვარად მოიქცნენ. ათენელებმა თავისი დიდი მწუხარება მილეტის დაცემის გამო სხვანაირად გამოხატეს, მაგ. , როდესაც ფრინიქოსმა დაწერა დრამა "მილეტის აღება" და ის დაიდგა, მთელი თეატრი ცრემლად დაიღვარა, ხოლო ავტორი დააჯარიმეს 1000 დრაქმით, როგორც საკუთარი უბედურების შემსხენებელი და განკარგულება გაიცა, რომ აღარასოდეს არავის დაედგა ეს დრამა.

22. ამგვარად, მილეტი დაიცალა მილეტელთაგან. ხოლო იმ სამოსელებს, რომლებსაც რაიმე ეხადათ, არ მოსწონდათ მათი მხედართმთავრების საქციელი მიდიელების მიმართ. საზღვაო ბრძოლის შემდეგ მათ მაშინვე მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ვიდრე მათ ქვეყანას მოაღწევს ტირანი ადაკესი, გაცურონ სადმე ახალშენის დასაარსებლად, რათა არ დახვდნენ ადგილზე და არ დაემონონ მიდიელებს და ადაკესს. ამავე დროს მანკლებმა სიკელიიდან მოციქულები გამოგზავნეს იონიაში და მიიწვიეს იონიელები ე.წ. ლამაზ სანაპიროზე, რადგან უნდოდათ აქ იონიელთა ქალაქი დაეარსებინათ. ხოლო ეს ლამაზად წოდებული სანაპირო სიკელიელებისაა და მდებარეობს სიკელიის იმ ნაწილში, რომელიც მიმართულია ტირენიისაკენ. იონიელთაგან მხოლოდ სამოსელები წავიდნენ და მათთან ერთად გადარჩენილი მილეტელები.

23. ამასობაში ასეთი ამბები მოხდა: როდესაც სამოსელები სიკელიეში მიდიოდნენ და მივიდნენ ეპიძეფირიის ლოკრებში, თვითონ ძინკლეელები და მათი მეფე, რომელსაც სახელად ერქვა სკვითესი, გასშემოერთყნენ სიკელიელთა ქალაქს, რადგან მისი აღება უნდოდათ. ეს რომ შეიტყო რეგიონის ტირანმა ანაქსილეოსმა, რომელიც მაშინ მტრულ ურთიერთობაში იყო მანკლეელებთან, გაერია სამოსელებში და არწმუნედა მათ, რომ საჭიროა თავი ანებონ ლამაზ სანაპიროს, რომელზედაც ისინი მიცურავენ, ხოლო დაიპყრონ მანკლე, რომელიც ადამიანთაგან დაცარიელებულია. სამოსელებმა დაუჯერეს და დაიპყრეს მანკლე. მაშინ მანკლეებმა, შეიტყვეს თუ არა, რომ მათი ქალაქი აღებულია, მიაშურეს მის საშველად და მიიწვიეს ჰიპოკრატესი, გელეს ტირანი, რადგანაც ეს მათი მოკავშირე იყო. როდესაც მათთან მშველელად მოვიდა ჰიპოკრატესი თავისი ჯარით, შებორკა სკვითესი, მანკლეელების მონაქრი, როგორც ქალაქის დამკარგველი და ასევე მისი ძმა პითოგენესი და ქალაქ ინიქსში გაგზავნა, ხოლო დნარჩენ მანკლეელებს უღალატა, რადგან შეუთანხმდა სამოსელებს, რომელთაც დაუდო ფიცი და იმათაც დაადებინა. ხოლო ამის სამაგიეროდ მან სამოსელთაგან შემდეგი გამოითხოვა: მთელი მოძრავი ქონების და მონების ნახევარი, რაც ქალაქშია, ჰიპოკრატესს უნდა მიეღო და მინდვრებიდანაც ყველაფერი მასვე უნდა რგებოდა. მანკლეელთა უმრავლესობა თვითონ ჰყადა დამონებული, ხოლო მათგან 300 მეთაური სამოსელებს გადასცა დასასჯელად, მაგრამ სამოსელებს ისინი არ დაუსჯიათ.

24. ხოლო სკვითესი, მანკლეელების მონარქი, ინიქსიდან გაიქცა ჰიმერეში, აქედან კი აზიაში მივიდა და წარუდგა მეფე დარიოსს, ხოლო დარიოსს ელადიდან მოსულთა შორის ის ყველაზე სამართლიანად მიაჩნდა. მან გამოსთხოვა მეფეს ნება და წავიდა სიკელიეში, შემდეგ სიკელიიდან ისევ უკან დაბრუნდა მეფესთან და ამგვარად მოხუცებული, დიდი შეძლების პატრონი გარდაიცვალა სპარსელთა შორის. ხოლო მიდიელთაგან განთავისუფლებულმა სამოსელებმა სრულიად გაუჭირვებლად იგდეს ხელთ შესანიშნავი ქალაქი მანკლე.

25. საზღვაო ბრძოლის შემდეგ, რომელიც მილეტისათვის მოხდა, სპარსელების განკარგულების თანახმად, ფინიკიელებმა სამოსზე უკან დააბრუნეს ადაკეს სილოსონტი ძე, რადგან მან სპარსელებს დიდი სამსახური გაუწია და დიდი საქმეებიც გაუკეთა. მათ შორის, ვინც გადაუდგა სპარსელებს მხოლოდ სამოსელებს არ ჰქონდათ გადამწვარი არც ქალაქი და არც სამლოცველოები. ეს იმიტომ, რომ მათი ხომალდები გაიქცნენ საზღვაო ბრძოლის დროს. მილეთი რომ აიღეს, მაშინ კარია დაიპყრეს სპარსელებმა, ზოგიერთი ქალაქი ნებაყოფლობით დამორჩილდა, ხოლო ზოგიერთებში ისინი ძალით შეიჭრნენ.

26. ამასობაში ჰისტიადოს მილეთელი ბიძანტიონთან იმყოფებოდა და იჭერდა იონიურ საბარგო ხომალდებს, რომლებიც მოდიოდნენ პონტოდა. მას შეატყობინეს, რაც მილეთს თავს გადახდა. მან ჰელესპონტის საქმეები გადასცა ბისალტეს აპოლოფანესის შვილს, აბიდოსელს, ხოლო თვითონ წაიყვანა ლესბოსელი და ქიოსში გაცურა. ქიოსელებთან ბრძოლა მას ქიოსის მიწა-წყალზე მოუხდა, იმ ადგილას, რომელსაც ხევები ეწოდება. რადგან აქ ჩასაფრებული ჯარი მას არ ატარებდა, ჰისტიადოსმა ბევრი მათგანი ამოხოცა, ხოლო დანარჩენ ქიოსელებს, რომლებიც ისედაც განადგურებულები იყვნენ საზღვაო ბრძოლაში, ქიოსელთა პოლიქნედან შეუტია და დაამარცხა ისინი ჰისტიადოსმა ლესბოსელის შემწეობით.

27. ჩვეულებრივ წინასწარ არის ხოლმე მინიშნება, როდესაც რაიმე დიდი უბედურება უნდა შეემთხვას ან ქალაქს, ან ხალხს. ქიოსელებსაც ამის წინ დიდი ნიშნები ჰქონდათ. ჯერ ეს ერთი, როდესაც დელფოში 100 ჭაბუკისაგან შემდგარი გუნდი გაგზავნეს, მათგან მხოლოდ ორი დაბრუნდა უკან, 98-ს მათ შორის ჭირი შეხვდა და დაიხოცა. მეორეცაა და ქალაქში იმავე დროს, საზღვაო ბრძოლაზე ცოტათი უწინ ბავშვებს, რომლებიც სკოლაში იმყოფებოდნენ, სწავლისას სახურავი ჩამოენგრათ თავზე, ისე რომ, 120 ბავშვიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. ეს ნიშნები უჩვენა მათ ღმერთმა, ხოლო ამის შემდეგ საზღვაო ბრძოლა მოჰყვა, რომელმაც დააჩოქა ქალაქი, საზღვაო ბრძოლის შემდეგ კი მოვიდა ჰისტიადოსი და ლესბოსელები მოიყვანა, ხოლო ქიოსელები რაკილა დამაბუნებულები იყვნენ, მათი დამორჩილება სულ ადვილად მოხერხდა.

28. აქედან ჰისტიადოსმა წაიყვანა მრავალი იონიელი და ეოლიელები და გაილაშქრა თასოსზე. როდესაც თასოსს გარს ადგა, მოუვიდა ცნობა, რომ ფინიკიელები მილეთიდან იონიის სხვა მხარეების წინააღმდეგ წასულან ხომალდებით. ეს რომ შეიტყო, თასოსი აღარ დაარბია, თვითონ კი ლესბოსზე გაემშურა და წაიყვანა თან მთელი ლაშქარი. ხოლო როდესაც ლაშქარს მოშივდა, მან იგი ლესბოსიდან ატარნევში გადაიყვანა, რათა მოემკოთ პური აქაც და კაიკოსის დაბლობზედაც, რომელიც მისიელებს ეკუთვნოდა. მოხდა ისე, რომ ამავე ადგილებში იყო ჰარპაგოსი, სპარსელი, მხედართმთავარი საკმაოდ დიდი ლაშქრისა, იგი ხმელეთზე გამოსულ ჰისტიადოსს შეებრძოლა, თვითონ ჰისტიადოსი ცოცხლივ ჩაიგდო ტყვედ, ხოლო მისი ლაშქრის მეტი წილი ამოხოცა.

29. ხოლო ჰისტიადოსი ტყვედ ასე ჩავარდა, როდესაც ელინები სპარსელებს ებრძოდნენ მალენეში, რომელიც ატარნევსის ქვეყანაშია, დიდხანს გრძელდებოდა მათი ბრძოლა, ვიდრე სპარსელთა მხედრები არ მოვიდნენ მოგვიანებით და თავს არ დაესხნენ ელინებს. სპარსელი მხედრები ასე მოიქცნენ, ელინები კი უკუიქცნენ,

ჰისტიადოსს იმედი ჰქონდა, რომ მეფე მას არ მოჰკლავდა ამ შეცოდებისათვის და თავის გადასარჩენად ასეთ ხერხს მიმართა: როდესაც მირბოდა, ერთი სპარსელი წამოეწია და როგორც კი დაიჭირა და დაუპირა განგმირვა, ჰისტიადოსი დაელაპარაკა მას სპარსულად და აღიარა, რომ ის არის ჰისტიადოს მილეტელი.

30. მეფე დარიოსთან რომ წაეყვანათ დატყვევებული, მე ვფიქრობ, ცუდი არაერი შეემთხვევოდა. მეფე მიუტევებდა მას დანაშაულს. ახლა კი სწორედ ამის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ის არ გაქცეულიყო და მეფესთან ისევ დიდ კაცი არ გამხდარიყო, არტაფრენესმა სარდეს მეურვემ და ჰარპაგოსმა, რომელმაც დაიჭირა იგი სარდესში, ჯერ ერთი მისი სხეული ჯვარზე გააკერეს, ხოლო თავი დააბალზამეს და სუსასი წაუღეს მეფე დარიოსს. დარიოსმა რომ ეს შეიტყო, უსაყვედურა ამის ჩამდენთ, რომ არ მოიყვანეს მის წინაშე ცოცხალი ჰისტიადოსი, ხოლო ჰისტიადოსის თავი დააბანინა და ბრძანა, კარგად დაემარხათ, როგორც ისეთი კაცისა, რომელმაც მასაც და სპარსელებსაც ბევრი კარგი სამსახური გაუწია. ასე დასრულდა ჰისტიადოსის ამბები.

31. სპარსელთა ფლოტმა ზამთარი მილეტთან გაატარა და მეორე წელს რომ გავიდა ზღვაში, ადვილად აიღო ის კუნძულები, რომლებიც ხმელეთთან ახლოს მდებარეობენ - ქიოსი, ლესბოსი და ტენედოსი. ყოველი კუნძულის აღებისას ბარბაროსები ადგილობრივ მოსახლეობას თითქოს ბადით იჭერდნენ, რასაც ისინი ამგვარად აკეთებდნენ: ერთიერთმანეთს ჰკიდებდნენ ხელს და ასე გამწკრივებულები ჩრდილოეთის ზღვიდან სამხრეთის ზღვამდე მთელ კუნძულზე დადიოდნენ და ნადირობდნენ ადამიანებზე. მათ ხმელეთზე მდებარე იონიური ქალაქებიც დაიპყრეს, მხოლოდ აქ ადამიანებს ამ ხერხით, თითქოს ბადით, აღარ იჭერდნენ, რადგან ეს უკვე შეუძლებელი იყო.

32. მაშინ იყო, რომ სპარსელთა მხედართმთავრებმა შეასრულეს ის მუქარა, რომლითაც დაემუქრნენ მათ წინააღმდეგ დაბანაკებულ იონიელებს. როდესაც დაიპყრეს ქალაქები, უმაღაზესი ყრმები გამოარჩიეს, დაასაჭურისეს და სადი მამაკაცების ნაცვლად საჭურისებად აქციეს, ხოლო ულამაზესი ქალწულები გაგზავნეს მეფესთან. ამას გარდა იმას აკეთებდნენ, რომ ქალაქებს წვავდნენ და მათთან ერთად ტაძრებსაც. ეს იყო იონიელების მესამედი დამონება. პირველად ისინი ლიდიელებმა დაიმონეს, ხოლო შემდეგ ორჯერ - სპარსელებმა.

33. სპარსელების ფლოტი წამოვიდა იონიიდან და ჰელესპონტის შესასვლელის მარცხნივ მდებარე ნაწილი მთლად დაიპყრო. რაც შეეხება ხმელეთის მიმართულებით მის მარჯვნივ მდებარე ადგილებს, ისინი ხომ უკვე სპარსელების ხელში იყო. ხოლო ევროპეში შემდეგი ადგილებია ჰელესპონტთან მდებარე: ქერსონესი. რომეზედაც ბევრია ქალაქები, პერინთოსი, ციხე-სიმაგრეები თრაკიის სანაპიროზე, სელიმბრიე და ბიძანტიონი. ბიძანტიონელებმა და მათ პირდაპირ მცხოვრებმა ქალკედონელებმა არც კი დაუცადეს ფინიკიელების მოსვლას, ისე დატოვეს თავისი ქვეყანა და წავიდნენ ევქსინიის პონტოში და იქ დასახლდნენ ქალაქ მესამბრიეში. ფინიკიელებმა გადაწვეს აქ დასახლებული ქვეყნები და შემობრუნდნენ პროკონესოსისა და არტაკესაკენ, ისინიც ცეცხლს მისცეს და კვლავ ქერსონესისაკენ გაცურეს, რათა გადარჩენილი ქალაქები გაენადგურებინათ, რომლებთანაც უწინ მიცურდნენ, მაგრამ არ დაარბიეს. კიძიკოსის წინააღმდეგ ისინი სულ არ წასულან, რადგან კიძიკელები ფინიკიელთა შემოსვლაზე უწინ თვითონ დაემორჩილნენ მეფეს

ომბარეს მეგაბადოსის ძესთან შეთანხმების შედეგად, რომელიც დასკილეფონის მმართველი იყო. ფინიკიელებმა დაიპყრეს ქერსონესის ყველა სხვა ქალაქი, გარდა ქალაქ კარდიესი.

34. აქამდე ამ ქალაქებს განაგებდა მილტიადეს, ძე კიმონ სტესაგორესის ძისა, ხოლო ეს ძალაუფლება პირველად მოიპოვა მილტიადეს კიფსოლისის ძემ შემდეგნაირად: ქერსონესი ეჭირათ თრაკიელ დოლონკოსებს, ხოლო ამ დოლონკოსებს დიდად ავიწროებდნენ ომით აფსინთიები, ამიტომ მათ დელფოში გაგზავნეს თავისი მეფეები ომის შესახებ მისნობის შესატყობად; ხოლო პითიამ უპასუხა, რომ უნდა წაიყვანონ თავის ქვეყანაში ახალშენის დამაარსებლად ის, ვინც, ტაძრიდან გამოსულებს პირველი მიიპატიჟებს სტუმრად. დოლონკოსები მიდიოდნენ წმინდა გზით, რომელიც ფოკეელებსა და ბეოტიელებზე გადადის და რადგანაც მათ არავინ დაუძახა, ამიტომ შემობრუნდნენ ათენისაკენ.

35. ათენში იმ დროს მთელი ძალა პედისისტრატოსის ხელში იყო, მაგრამ გავლენა ჰქონდა მილტიადეს კიფსელოსის ძესაც, რომელიც იმ სახლიდან იყო, რომელსაც ოთხცხენიანი ეტლები ჰყავდა, თავისი უძველესი წარმოშობის მიხედვით იგი ადაკესისა და აფინესაგან მომდინარეობდა, ხოლო უახლოესი წინაპრების მიხედვით იგი ათენელი იყო: ფილაძოსი, ანტის შვილი, ამ სახლიდან პირველი იყო, ათენელი რომ გახდა. ეს მილტიადესი იჯდა თავის კარიბჭესთან და დაიანხა ჩავლილი დოლონკოსები, რომელთაც უცხოური ტანსაცმელი ეცვათ და შუბები ეჭირათ. მან იმათ დაუძახა და როდესაც მიუახლოვდნენ, შესთავაზა თავისთან დასვენება და გამასპინძლება. მათ მიიღეს ეს წინადადება და ესტუმრნენ მას, შემდეგ კი გამოუმჯღავნეს ყოველივე, რაც იცოდნენ მისნისაგან. გამოუმჯღავნეს და სთხოვეს, რომ ღმერთისათვის დაეჯერებინა. ეს რომ მილტიადესმა მოისმინა, მაშინვე შეიწყნარა მათი თხოვნა, მით უმეტეს, რომ შეწყუბუებული იყო პედისისტრატოსის მმართველობით და უნდოდა, მას გასცლოდა. მაშინ წავიდა დელფოში, რათა წინასწარმეტყველთათვის კითხვით მიემართა, დაეთანხმოს თუ არა დოლონკოსების თხოვნას.

36. როდესაც პითიამაც იგივე უბრძანა, მაშინ მილტიადეს კიფსელოსის ძემ, რომელსაც ამაზე უწინ გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული ოლიმპიურ შეჯიბრებაში, თავის ოთხცხენიანი ეტლით წაიყვანა ყველა ათენელი, ვისაც კი სურდა ამ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება; გასცურა დოლონკოსებთან ერთად და დაიჭირა მათი ქვეყანა. ხოლო დოლონკოსებმა რომ მოიყვანეს ის, ტირანად დასვეს, პირველად მან ქერსონესის ყელი გადაჰკეტა ზღუდით, რომელიც იწყებოდა ქალაქ კარდიესთან და ვრცელდებოდა, ვიდრე პაქტიემდე, რათა აფსინთიებს არ შეძლებოდათ ამ ქვეყანაში შემოჭრა და ზიანის მოტანა. ყელი სულ 36 სტადიონია, ხოლო ამ ყელიდან შიგნით მთელი ქერსონესი სიგრძით 420 სტადიონია.

37. მილტიადესმა ქერსონესის ყელი რომ გადაჰკეტა ზღუდით და ამგვარად გარეკა აფსინთიები, დანარჩენთაგან პირველად შეებრძოლა ლამფსაკელებს, მაგრამ ლამფსაკელები ჩაუსაფრდნენ მას და ცოცხლივ შეიპყრეს, მილტიადესი ძალიან მოსწონდა კროდოსს ლიდიელს, ამიტომ როდესაც კროდოსმა შეიტყო, ეს ამბავი, გაგზავნა კაცები და შეუთვალა ლამფსაკელებს, რომ მილტიადესი გაეთავისუფლებინათ. თუ არა და დაემურა მათ, რომ ფიჭვის ხელსავით ამოაგდებდა.

ლამფსაკელებს დიდხანს არ ესმოდათ, თუ რას ნისნავდა ის სიტყვები, რომლითაც მათ კროდსოსი დაემუქრა - ფიჭვის ხესავით ამოგაგდებთო - ბოლოს ერთმა რომელიღაც მოხუცებულმა გამოიცნო და ახსნა, თუ ნამდვილად რას ნიშნავდა ის სიტყვები: ხეთა შორის მხოლოდ ფიჭვია თურმე ისეთი, როდესაც მოსჭრი, ერთ ყლორტსაც აღარ ამოიყრის და საბოლოოდ იღუპება. ამიტომ ლამფსაკელებს შეეშინდათ კროდსოსისა და გაათავისუფლეს და გაუშვეს მილტიადესი.

38. ამგვარად, კროდსოსის წყალობით გადარცა მილტიადესი, ხოლო შემდეგ ის უშვილო გარდაიცვალა, თავისი მმართველობა და ქონება დაუტოვა სტესაგორესს, რომელიც იყო მისი დედიბიძის ძმის, კიმონის, შვილი. ის რომ გარდაიცვალა, ქერსონესელებმა მოაწყვეს მსხვერპლშეწირვები, როგორც ეკუთვნოდა ახალშენის დამაარსებელს, მოაწყვეს ცხენოსანთა და მოვარჯიშეთა შეჯიბრებანი, ხოლო ლამსაკელთაგან არავინ მიიღო შეჯიბრებაში მონაწილეობა. ლამფსაკელებთან ბრძოლის დროს დაიღუპა სტესაგორესიც, რომელიც უშვილო გარდაიცვალა, გარდაიცვალა კი იმისაგან, რომ პრიტანეონში მას თავში ნაჯახი დაარტყა ერთმა კაცმა, რომელიც მტრის ბანაკიდან თითქოს მის მხარეზე იყო გადმოსული, სინამდვილეში კი მისი დაუძინებელი მტერი იყო.

39. როდესაც ამტგვარად გარდაიცვალა სტესაგორესი, მაშინ მილტიადეს კიმონის ძე, გარდაიცვალა სტესაგორესის ძმა, პედისსტრატიდებმა ტრიერით გაგზავნა ქერსონესში, რომ იქაური საქმეებისათვის მოეწოდებოდა. პედისსტრატიდები მას ათენშიაც კარგად ექცეოდნენ, თითქოს მისი ძმის, კიმონის სიკვდილში მათ ბრალი სულაც არ მიუძღოდათ. თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, ამის შესახებ მე სხვაგან ვიამბობთ. მილტიადესი რომ მივიდა ქერსონესში, სახლიდან არ გამოდიოდა, ეტყობა, თავისი ძმის, სტესაგორესის ხსოვნის პატივსაცემად. ქერსონელებმა რომ ეს შეიტყვეს, ისინი, ვინც მმართველები იყვნენ, შეიკრიბნენ ყველა ქალაქებიდან და მოვიდნენ ერთად, მისი თანაგრძნობისათვის, მან კი ისინი შეაბორკინა. ასე დაიპყრო მილტიადესმა ქერსონესი და ინახავდა 500 კაცისაგან შემდგარ რაზმს, ხოლო ცოლად შეირთო თრაკიელთა მეფის ოლოროსის ასული ჰეგესიპილე.

40. ეს კიმონის ძე მილტიადესი ის ის იყო მოვიდა ქერსონესში, რომ სხვა იმაზე ბევრად უარესი უბედურება შემთხვა, რაც იყო მის თავს, რადგან ქერსონესში მოსვლის მესამე წელს ის სკვითებს გაექცა აქედან, ემფე დარიოსის მიერ წაქეზებული მომთაბარე სკვითები შეგროვდნენ და მიაღწიეს ამ ქერსონესამდე. მილტიადესმა არ დაუცადა იმათ მოსვლას და გაიქცა ქერსონესიდან, ხოლო როდესაც სკვითები წავიდნენ აქედან, მასინ დოლონკოსებმა დააბრუნეს ის უკან ქერსონესში. ეს შემთხვა მას აქ მოსვლის მესამე წელს და ეს მოხდა იმაზე უწინ, რაც იყო ახლა მის თავს.

41. როდესაც მილტიადესმა შეიტყო, ფინიკიელები ტენედოსზე არიანო, 5 ტრიერი დატვირთა საკუთარი ქონებით და გაცურა ათენში. რადგანაც იგი ქალაქ კარდიედან გამოვიდა, ამიტომ შავ უბეზე მოუხდა გაცურვა, ხოლო ქერსონესს რომ ჩაუარა გვერდით, მის ხომალდებს თავს დაესხნენ ფინიკიელები. თვითონ მილტიადესი ოთხი ხომალდითურთ გაიქცა იმბროსზე, ხოლო მეხუთე ხომალდი ხელში იგდეს დადევნებულმა ფინიკიელებმა. მოხდა ისე, რომ ამ ხომალდს მეთაურობდა მილტიადესის უფროსი შვილი, მეტიოქოსი, რომელიც მას თრაკიელ ოლოროსის ქალისაგან კი არ ჰყავდა, არამედ სხვისაგან. ხომალდთან ერთად ისიც შეიპყრეს

ფინიკიელებმა და როდესაც შეიტყვეს, რომ ეს არის მილტიადესის შვილი, მიჰგვარეს მეფეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ დიდ მადლობას დაიმსახურებდნენ, რადგან მილტიადესის შესახებ იყო აზრი, თითქოს ის არწმუნებდა იონიელებს დაეჯერებინათ სკვითებისათვის, როდესაც სკვითები ურჩევდნენ მათ ხიდი აეხსნათ და თავის ქვეყანაში წასულიყვნენ, ხოლო დარიოსმა, როდესაც მას მეტოქოს მილტიადესის ძე მიჰგვარეს ფინიკიელებმა, მეტოქოსს კი არ ავნო, არამედ ბევრი სიკეთე უყო: მისცა სახლი და ქონება, მიათხოვა სპარსელი ქალი ცოლად, ხოლო მისგან რომ შვილები გაუჩნდა, ისინი სპარსელებად ჩაითვალნენ. მილტიადესი კი იმბროსიდან ათენში მივიდა.

42. ამ წელიწადს სპარსელებს იონიელების მიმართ მტრული აღარაფერი ჩაუდენიათ: პირიქით, ამ წელიწადმა იონიელებს დიდი სარგებლობა მოუტანა. არტაფერნესმა, სარდიელთა მეურვემ ქალაქებიდან გამოიძახა წარმომადგენლები და აიძულა იონიელები ერთმანეთს შორის ხელშეკრულება დაედოთ, რომლის მიხედვითაც სამართალი საერთოდ უნდა ეწარმოებინათ, ერთმანეთისათვის არაფერი წაერთმიათ და დაეშავებინათ; მან აიძულა, ეს გაეკეთებინათ და ამას გარდა აზომა მათი ქვეყანა ფრანსანგების მიხედვით (ასე უწოდებენ სპარსელები 30 სტადიონის შემცველ საზომს), რომ აზომა ფარსანგებით, ამისდა კვალად დაუწესა თითოეულს ხარკი. არტაფერნესის მიერ დაწესებული გადასახადები უცვლელია მისი დროიდან დაწყებული ჯერაც, ჩემს დრომდე. ხოლო არტაფერნესმა თითქმის ისეთივე გადასახადები დააწესა, როგორც უწინ ჰქონდათ. ამ ღონისძიებებმა იონიელებს მშვიდობიანობა მოუტანა.

43. რომ გამოზაფხულდა და მეფემ ყველა მხედართმთავარი გაუშვა, მარდონიოს გობრიესის ძე მივიდა ზღვასთან და თან მოიყვანა ძალიან დიდი ქვეითი ჯარი და მრავალრიცხოვანი ფლოტი, იგი ასაკით ახალგაზრდა იყო და ახლახან ჰყავდა შერთული მეფე დარიოსის ასული არტომოსტრე. მიჰყავდა ეს ლაშქარი მარდონიოსს და როდესაც კილიკიაში მივიდა, თვითონ ჩაჯდა ხომალდში და გაემგზავრა სხვა ხომალდებთან ერთად, ხოლო ქვეითი ჯარი სხვა წინამძღოლებმა წაიყვანეს ჰელესპონტისაკენ. როდესაც მარდონიოსმა აზიის გასწვრივ გასცურ, მივიდა იონიაში. ახლა მე მინდა მოგიხროთ იმ დიდ სასწაულზე, რაც არ დაიჯერეს ელინებმა. როდესაც ოტანესმა 7 სპარსელს უთხრა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ სპარსელებში სახალხო მმართველობა უნდა იყოსო, მარდონიოსმა იონიელთა ყველა ტირანი დაამხო და ქალაქებში სახალხო ძალაუფლება დაამყარა. ამის შემდეგ მაიშურა ჰელესპონტს. როდესაც მოგროვდა უამრავი ხომალდი და შეიკრიბა მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარი, სპარსელები ხომალდებით გადავიდნენ ჰელესპონტზე. გადაიარეს ევროპე და გაემართნენ ერეტრიასა და ათენზე.

44. ეს ქალაქები ლაშქრობებისათვის მხოლოდ საბაზი იყვნენ, სინამდვილეში მათ გუნებაში ჰქონდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ელინური ქალაქი დაეპყროთ. ჯერ ეს ერთი, ხომალდებით დაიპყრეს თასოსელები, რომელთაც ხელიც კი არ გაუწმრევიათ მათ საწინააღმდეგოდ, მეორეს მხრივ, ქვეითმა ჯარმა მაკედონელები შეჰმატა იმათ, ვინც ადრე ჰყავდათ დამონებული. მაკედონელთა აქეთ მცხოვრები ყველა ხალხები ხომ უკვე ჰყავდათ დამორჩილებული სპარსელებს. თასოსიდან გადავიდნენ მეორე მხარეს და იარეს ვიდრე აკანთოსამდე, ხოლო აკანთოსიდან რომ წამოვიდნენ, ათონს შემოუარეს, ცურვისას დიდმა ქარმა დაარტყა მათ ჩრდილოეთიდან, დაატრიალა

ისინი და დიდ გასაჭირში ჩააგდო; ხომალდთა დიდი სიმრავლე გადაისროლა ათონზე. ამბობენ, რომ ამ დროს დაიღუპა 300 ხომალდი და 20 000 კაცზე უფრო მეტი. რადგანაც ათონის სანაპიროზე ზღვა სავსეა ცხოველებმა და შთანთქმეს, ზოგიც კლდეებზე დაიღწა; ზოგმა არ იცოდა ცურვა და იმიტომ დაიღუპა, დარჩენები კი სიცივისაგან დაიხოცნენ.

45. აი ეს დაემართა საზღვაო ფლოტს. ხოლო მარდონიოსსა და ქვეით ჯარს, რომლებიც დაბანაკებულები იყვნენ მაკედონიაში, ღამით ბრიგი თრაკიელები დაესხნენ თავს. ბრიგებმა ბევრი მათგანი ამოხოცეს, ხოლო თვითონ მარდონიოსი დაჭრეს. მაგრამ ვერც თვითონ ბრიგები გადაურჩნენ სპარსელთა დამონებას, რადგან მარდონიოსი უწინ არ წავიდა ამ ადგილებიდან, ვიდრე ისინი არ დაიმორჩილა, ხოლო ისინი რომ დაიმორჩილა შემდეგ ლაშქარი უკან წაიყვანა, რადგანაც ქვეითი ჯარი ძალიან დააზარალეს ბრიგებმა, ხოლო ფლოტი ათონთან განადგურდა. ეს ექსპედიცია ბრძოლაში შერცხვენილი დაბრუნდა აზიაში.

46. მომდევნო წელს დარიოსმა პირველად მოციქულები გაუგზავნა თასოსელებს, რომლებიც მეზობლებმა დააბეზდეს მასთან, თითქოს განდგომას იზრახავდნენ. გაუგზავნა და უბრძანა მათ, რომ მოეთხარათ თავისი ზღუდე და ხომალდები აბდერაში მიეყვანათ. ეს იმიტომ, რომ თასოსელებმა, როდესაც ისინი ჰისტიადოს მილტიელის მიერ ალყაშემორტყმულები იყვნენ და შემოსავალი კი დიდი ჰქონდათ, თავიანთი ქონება გრძელი ხომალდების აგებას და ქალაქისათვის მაგარი ზღუდის შემორტყმას მოახმარეს. ხოლო შემოსავალი მათ ხმელეთიდანაც ჰქონდათ და საბადოებიდანაც. მაგალითად, სკაპტე ჰილეს ოქროს საბადოებიდან ჩვეულებრივ 80 ტალანტი შემოსდიოდათ. თვით თასოსზე მყოფი საბადოებიდან ამაზე უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც ისე ბევრი, რომ ჩვეულებრივ თასოსელები, რომლებიც თავის საკუთარ მოსავალზე ხარკს არ იხდიდნენ, ღებულობდნენ ხმელეთიდან და საბადოებიდან ყოველწლიურად 200 ტალანტს და როდესაც უფრო მეტი შემოუვიდოდათ, მაშინ 300-საც.

47. მე თვითონ ვნახე ეს საბადოები. ყველაზე მეტად საოცარი მათ შორის არიან ისინი, რომელებიც ფინიკიელებმა აღმოაჩინეს. ფინიკიელები თასოსთან ერთად დასახლდნენ ამ კუნძულზე, რომელსაც ახლა სახელი სწორედ ამ თასოსის, ფოდნიქსის ძის მიხედვით ჰქვია. თასოსის ფინიკური საბადოები არის იმ ადგილთა შორის, რომელთაც ეწოდება კოინირა, სამოთრაკეს პირდაპირ. ესაა დიდი მთა, სულა ათხრილი საბადოების ძიებაში. ასეთი არის ეს საბადოები.

48. მეფის ბრძანების თანახმად, თასოსელებმა დაანგიეს თავისი ზღუდე და მთელი ხომალდები გაგზავნეს აბდერაში. ამის შემდეგ დარიოსმა გამოსცადა ელინები, თუ რა აქვთ მათ გუნებაში, უნდათ მასთან ბრძოლა, თუ მის დამორჩილებას აპირებენ. ამიტომ მან დაგზავნა მაცნეები ზოგი აქეთ, ზოგი იქით მთელ ელადაში და უბრძანა, მოეთხოვათ მათგან მეფისათვის მიწა და წყალი. ისინი მან ელადაში გაგზავნა, ხოლო სხვა მაცნეები დაგზავნა თავის მოხარკე ზღვისირა ქალაქებში და უბრძანა გაეკეთებინათ გრძელი ხომალდები და ცხენების გადასაყანი - ნავები.

49. ამით ესენი მოამზედეს; ბევრმა, ხმელეთზე მაცხოვრებელმა, მათთან ელადაში მოსულ მაცნეებს მისცეს ის, რასაც მათგან ითხოვდა სპარსთა მეფე, ხოლო კუნძულზე

მაცხოვრებლებმა ყველამ, ვისთანაც კი მივიდნჯენ და მოსთხოვეს, შეასრულეს დარიოსის შემონათვალი. სხვა კუნძულზე, მცხოვრებლებმაც მისცეს დარიოსს მიწა და წყალი და მათ შორის ადგინებდნენ. ადგინებდნენ რომ ეს გააკეთეს, ათენელები მაშინვე დაემუქრნენ მათ, რადგან იფიქრეს, რომ ადგინებები მათ წინააღმდეგ იზრახავდნენ; რაკილა მეფეს მიწა და წყალი მისცე, ეგონათ, რომ ისინი სპარსელებთან ერთად აპირებდნენ მათზე გალაშქრებას. ათენელები სიხარულით მოეჭიდნენ ამ საბაბს, წავიდნენ სპარტეში და დაადანაშაულეს ადგინებები, როგორც ელადის მოღალატეები.

50. ამ ბრალდების გამო კლეომენეს ანაქსანდრიდესის ძე, სპარტელთა მეფე, გადავიდა ადგინაზე, რადგან უნდოდა, დაეჭირა ადგინელთა შორის ყველაზე დიდი დამნაშავენი. როდესაც ის შეეცადა მათ დაჭერას, ზოგიერთმა ადგინელმა მას წინააღმდეგობა გაუწია, განსაკუთრებით კი კრიოს პოლიკრიტესის ძემ, რომელმაც თქვა, რომ კლეომენესი მშვიდობიანად ვერც ერთ ადგინელს ვერ წაიყვანს, რადგან ის, ათენელთაგან მოსყიდული, ამას სპარტელთა სახელმწიფოს დასტურის გარეშე აკეთებს. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი მეორე მეფესთან ერთად მოვიდოდა მათ შესაპყრობად. ასე ილაპარაკა კრიოსმა დემარეტოსის დავალების თანახმად. ხოლო კლეომენესი ადგინიდან რომ მიდიოდა, შეეკითხა კრიოსს, თუ რა ჰქვია მას სახელად. მან უთხრა, რაც ერქვა. ამაზე კლეომენესმა უთხრა ამს: "ვერძო, ახლა კი დროა, შენი რქები სპილენძით დაფარო, რადგან დიდი უბედურება მოგელის".

51. ამავე დროს დემარეტოს არისტონის ძე, რომელიც სპარტეში იყო დარჩენილი, ცილს სწამებდა კლეომენესს. დემარეტოსიც ასევე სპარტელთა მეფე იყო, მხოლოდ უფრო ნაკლებ წარჩინებული სახლიდან. დემარეტოსი კლეომენესზე სხვაფრივ არაფრით იყო ნაკლები, ორივენი ერთი და იმავე კაცის ჩამომავლები იყვნენ, მხოლოდ მეტ პატივში იყო ევრისტენესის სახლი მისი პირველშობილობის გამო.

52. ლაკედემონელები არ ეთანხმებიან არც ერთ პოეტს და ამბობენ, რომ იმ ქვეყანაში, რომელშიც ახლა ცხოვრობენ, ისინი მოიყვანა თვით მეფემ, არისტოდემოსმა, რომელიც არის არისტომაქოსის ძე, კლეოდადოსის შვილიშვილი და ჰილოსის შვილიშვილის შვილი და არა არისტოდემოსის შვილებმა. იდი დრო არ გასულა და არისტოდემოსს ცოლმა შვილები გაუჩინა. ცოლს სახელად ერქვა არგედე. ამბობენ, რომ ის იყო ასული ავტესიონისა, ტისამენოს თერსანდროსის ძის შვილისა, ხოლო ეს თერსანდროსი პოლინედკესის ძე იყო. . . ამ ქალმა გააჩინა ტყუპი, ხოლო არისტოდემოსმა ბავშვები დაინახა, დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. იმ ლაკედემონელებმა, რომელთაც მაშინ ეს ეკითხებოდათ, კანონის თანახმად, მეფედ შვილთაგან უფროსის დასმა განიზრახეს, მაგრამ არ იცოდნენ, რომელი აერჩიათ, რადგან ბავშვები მსგავსნი და თანაბარნი იყვნენ. რაკი ვერ შეძლეს გამოცნობა, თუ რომელია უფროსი, შეეკითხნენ მშობელს, ხოლო იმან უთხრა, რო ვერც თვითონ არჩევს. მან ძალიან კარგად იცოდა, რომელია ბავშვებში უფოსი, მაგრამ მაინც ასე ილაპარაკა, რადგან უნდოდა, რომ ორივე შვილი მეფე გამხდარიყო. ლაკედემონელებმა არ იცოდნენ, რა ექნათ და დელფოში გაგზავნეს კაცები, რათა შეჰკითხებოდნენ მისანს, როგორ მოქცეულიყვნენ ამ საქმეში. პითიამ უბრძანა მათ, რომ ორივე ბავშვი აღიარონ მეფეებად, ხოლო უფრო მეტი პატივი სცენ უფროსს. პითიამ მათ ასე უპასუხა, ხოლო ლაკედემონელებმა მიუხედავად ამისა, მაინც არ იცოდნენ რა ექნათ, როგორ გამოერჩიათ მათ შორის უფროსი, ვიდრე ერთმა

მესენიელმა კაცმა, რომელსაც ერქვა პანიტესი, არ ურჩია მათ. ხოლო ამ პანიტესმა შემდეგი ურჩია ლაკდემონელებს: უნდა დასდარაჯებოდნენ ისინი დედას, ამ ბავშვებთანავე უწინ რომელსაც ჰბანს და რომელსაც აჭმევს. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ის ამას ყოველთვის ერთნაირად აკეთებს, მაშინ ესენი გაიგებდნენ ყოველივეს, რასაც ეძებდნენ და რისი აღმოჩენაც უნდოდათ, ხოლო თუ დედას შეემოწმებოდა ხოლმე და ხან ერთს დაბანდა და აჭმევდა პირველად და ხან მეორეს, მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ არც ამან იცის არაფრით მათზე მეტი და ამიტომ სხვა გზას რასმე უნდა დასდგომოდნენ. სპარტელები, მესენიელის რჩევის თანახმად, დაუდარაჯდნენ არისტოდემოსის შვილების დედას და შენიშნეს, რომ ის ჭმევსა და დაბანის მხრივ უპირატესობას მუდამ აძლევდა ერთს და არა მეორეს, რადგან არ იცოდა, თუ რის გულისათვის სდარაჯობდნენ მას. ლაკდემონელებმა წამოიყვანეს ის ბავშვი, რომელსაც დედა უპირატესობას ანიჭებდა, როგორც უფროსი და აღზარდეს სახელმწიფოს ხარჯზე. სახელად მას დაარქვეს ევრისტენესი, ხოლო მეორეს - პროკლესი. ამბობენ, რომ როდესაც ისინი დავაჟკაცდნენ, მტრობდნენ ერთმანეთს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ძმები იყვნენ, ხოლო მათი მემკვიდრეებიც ამგვარადვე განაგრძობდნენ.

53. ელინთაგან მხოლოდ ლაკდემონელები ამბობენ ასე, ხოლო რასაც ახლა დავწერ, ის იქნება ელინთა საერთო მონაყოლის მიხედვით: დორიელი მეფეები თვით დანაეს ძე პერსესამდე (დვთაებას თუ გამოვრიცხავთ) ელინთა მიერ სრულიად სამართლინად მიჩნეული და გამოცხადებული არიან ელინებად. რადგან ისინი ამ დროს ხომ მართლაც ელინებად ირიცხებოდნენ. მე ვთქვი: "პერსესამდე" მეთქი და ამაზე უწინარესი არვინ მიხსენებია, იმიტომ, რომ პერსესს არა აქვს მოკვდავი მამის მიხედვით რაიმეზე ზეწოდება, როგორც მაგალითად ჰერაკლეს - ამფიტრიონისა. ისე რომ, მე სრულიად სწორედ ვთქვი როდესაც ვიხმარე გამოთქმა "პერსესამდე", ხოლო ვისაც მოუნდება აკრისიოსის ასულის, დანაეს წინაპრების ჩამოთვლა, აღმოჩნდება, რომ დორიელთა ბელადები წარმოშობით ეგვიპტელი მკვიდრნი არიან.

54. ასეთია მათი გენალოგია ელინთა მონათხრობის მიხედვით, ხოლო სპარსელთა მოთხრობის თანახმად, პერსესი ასიერიელი იყო და თვითონ ის გახდა ელინი და არა პერსესის წინაპრები. ხოლო იმის თანახმანი არიან, რომ აკრისიოსის წინაპრები სპარსელების ნათესავები არ ყოფილან, და როგორც ელინები, ისინიც იმას ამბობენ, რომ ისინი ეგვიპტელები იყვნენო.

55. აი, ეს უნდა ითქვას მათ შესახებ. იმის შესახებ, თუ ეგვიპტელები როგორ გახდნენ დორიელების მეფეები, უკვე მოგვითხრეს სხვებმა და ამიტომ ჩვენ მას გამოვტოვებთ. ხოლო რასაც სხვები არ შეხებიან, იმას მოვიგონებ.

56. სპარტელები თავის მეფეებს შემდეგ უფლებებს ანიჭებდნენ: მათ ჰქნდათ ორი ქურუმის ღირსება: ერთი ლაკდემონელი ზევსისა და მეორე ზეციერი ზევსისა. მათ შეემლოთ თავიანთი სურვილსამებრ ომის წამოწყება ყველა ქვეყანასთან ისე, რომ ვერც ერთი სპარტელი ვერ წავიდოდა ამის წინააღმდეგ, თუ არა და მას შეაჩვენებდნენ. ლაშქრობისას მეფეები პირველები მიდიოდნენ და უკანასკნელები ბრუნდებოდნენ. მეფეებს 100 რჩეული კაცი ჰყავდათ ლაშქრობის დროს მცველად. ლაშქრობისას საქონელი იმდენი მიჰყავდათ, რამდენიც უნდათ, ხოლო ყველა იმ საქონლიდან, რომელთაც მსხვერპლად სწირავდნენ ტყავსა და ბეჭებს მეფეები ღებულობენ.

57. ესაა ის უფლებები, რომლებიც მათ აქვთ ომის დროს, ხოლო სხვა უფლებები მშვიდობიანობის დროისათვის აქვთ მიცემული და ეს უფლებები შემდეგია: თუ რაიმე საზოგადოებრივი მსხვერპლშეწირვა ხდება, საჭმელად პირველები მეფეები სხდებიან და პირველად ამათგან იწყებენ გამასპინძლებას; თითოეულ მეფეს სხვა მონადიმეებთან შედარებით ორმაგად სთავაზობენ ყოველივეს. ესენი ახდენენ პირველად სამსხვერპლო დათხევებსა და ღებულობენ მსხვერპლად შეწირული საქონლის ტყავებს. ყოველ ახალ მთვარეზე და თვის მეშვიდე დღეს თითოეული მათგანისათვის სახალხო ფონდიდან აპოლონის ტაძარში მოჰყავთ ერთი ზრდადასრულებული სამსხვერპლო საქონელი, მოაქვთ მედიმნი ქერის ფქვილი და ლაონიკური მეთოხედი ღვინო. ხოლო ყველა შეჯიბრებაზე გამორჩეული წინა ადგილები მეფეებს უჭირავთ. ამას გრდა მეფებს ევალებათ მოქალაქეთაგან თავიანთი სურვილისამებრ პროქსენების დანიშვნა, იმათი და პითიელების არჩევა, თითოს - ორის. ხოლო ეს პითიელები არიან დელფოში ღვთის განგების შესატყობად წარგზავნილი პირები და ისინი იკვებებიან მეფეებთან ერთად სახელმწიფო ხარჯზე. მეფეები თუ არ მოვიდნენ ნადიმზე, მათ შინ ეგზავნებათ თითოეულს ორი ქოძნიკსი¹ ქერის ფქვილი და ერთი კოტილე ღვინო, ხოლო როდესაც ისინი ნადიმს ესწრებიან, მაშინ ყოველივე ორმაგად ეძლევათ. ამგვარადვე სცემენ მათ პატივს, როდესაც ისინი კერძო პირებთან არიან მიწვეული ნადიმზე. წინასწარმეტყველება, რომელიც მათ უცხადებათ, მეფეებთან ინახება, მაგრამ მათთან ერთად პითიელებმაც იციან მის შესახებ. სამართალს მეფეები დამოუკიდებლად მარტო მაშინ განაგებენ, როდესაც საქმე ეხება მამის ქონების მემკვიდრე ერთადერთ ასულს, ვის უნდა გაჰყვეს იგი ცოლად, თუ თვითონ მამამ არ დანიშნა ის, ან კიდევ მაშინ, თუ საქმე სახელმწიფო გზებს ეხება. თუ ვინმეს მოუხდება, რომ ბავშვი იშვილოს, ეს უნდა მოხდეს მეფეთა თანდასწრებით. მეფეები იქვე სხედან, როდესაც უხუცესები ბჭობენ, უხუცესები კი რიცხვით 30-ნი არიან ორის გამოკლებით. თუ მეფეები არ მოვიდნენ, მაშინ უხუცესთან შორის მათ ყველაზე მახლობელ ნათესავებს აქვთ მინიჭებული მეფეთა უფლებები და ისინი აგდებენ ორ კენჭს მეფეთა მაგივრად, ხოლო მესამეს - თავის მაგივრად.

58. ეს ეძლევა მეფეს სიცოცხლეში სპარტელთა სახელმწიფოსაგან. ხოლო სიკვდილის შემდეგ მათ ასეთ პატივს მიაგებენ: მხედრები ატყობინებენ მომხდარის შესახებ მთელ ლაკონიკას, ხოლო ქალები დადიან ქალაქში და ტაშტზე უკრავენ. ამის მერე, ყოველი სახლიდან ორმა თავისუფალმა კაცმა, მამამაკცმა და ქალმა, აუცილებლად უნდა ჩიაცვას ძაძა, ვინც არ გააკეთებს ამას, ის დიდად ისჯება. ლაკდემონელებს მეფეების სიკვდილის შემთხვევაში ისეთი ჩვეულება აქვთ, როგორც აზიაში ბარბაროსებს, რადგან ბარბაროსთა მეტი წილი იმავე წესს იცავს მეფეების სიკვდილისას როგორსაც ლაკდემონელები. როდესაც მოკვდება ლაკდემონელთა მეფე, სპარტელთა გარდა აუცილებლად უნდა მოვიდეს სატირლად მთელი ლაკდემონიდან გარკვეული რიცხვი პერიოდებისა. როდესაც შეიკრიბება ერთ ადგილას მრავალი ათასი პერიოდიკი, ჰეილოტი და თვით სპარტელი, უერთდებიან მათ ცოლებიც, ყველანი გამეტებით ირტყამენ შუბლში ხელს და გულშემზარავად ჰგოდებენ, თან ყოველთვის იმას ამბობენ, რომ ეს უკანასკნელი, გარდაცვლილი, მეფეთა შორის საუკეთესო იყო. როდესაც რომელიმე მეფე ომში კვდება, მის გამოსახულებას აკეთებენ და მiasვენებენ კარგად მორთული სარეცელით. ხოლო

მისი დამარხვის შემდეგ, 10 დღეს მოედანზე არაფერი კეთდება არც სახალხო საბჭო იკრიბება, ამ დღეების განმავლობაში ისინი მწუხარებას ეძლევიან.

59. ლაკდემონელები სპარსელებს სხვა რამითაც ჰგვანან, მაგ. , როდესაც მეფე კვდება და მის მაგივრად ჯდება მეორე მეფე, ამ უკანასკნელმა ტახტზე ასვილსთანავე, უნდა გაათავისუფლოს რომელიმე სპარტელთაგანი, რომელსაც მართებს რაიმე ან მეფის ან სახელმწიფოსი. ისევე როგორც სპარსელთა შორის მეფე რომ დაჯდება ტახტზე, ის ათავისუფლებს ყველა ქალაქს ძველი გადასახადებიდან.

60. ლაკდემონელები ერთი რამით ეგვიპტელებსაც ჰგვანან: მათი მაცნეები, ავლოსზე დამკვრელები და მზარეულები მემკვიდრეობით ღებულობენ მამის ხელობას, ისე რომ, ავლოსზე დამკვრელის შვილი ავლოსზე დამკვრელი გამოდის, მზარეულისა - მზარეული და მაცნესი - მაცნე. სხვებს რომ წკრიალა ხმაც ჰქონოდათ, მათ ვერავინ წაართმევს ამ თანამდებობებს, რადგან ისინი ამ საქმიანობას ეწევიან მემკვიდრეობის უფლებით.

61. ასეთია მათი ჩვეულებები. ხოლო როდესაც კლეომენესი აფინაზე იყო და საერთოდ მთელი ელადის სასიკეთოდ ზრუნავდა, დემარეტოსი მას ცილს სწამებდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მას აფინელების ბედი აწუხებდა, არამედ იმიტომ, რომ შური და საკუთარი ბოროტება ამოძრავებდა. ამიტომ კლეომენესმა აფინიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა დემარეტოსისათვის წაერთმია ხელისუფლება და მასზე თავდასასხმელად შემდეგი გარემოება გამოიყენა: სპარტეში რომ მეფობდა არისტონი, მას ორი ცოლი ჰყადა შერთული, მაგრამ შვილები არა ჰყავდა. რადგან იგი იმ აზრისა არ იყო, რომ ამისი მიზეზი თვითონაა, შეერთო მესამე ცოლი და შეერთო ამნაირად: სპარტელთა შორის არისტონს ერთი მეგობარი კაცი ჰყავდა, რომლის მიმართაც ის ყველა მოქალაქეზე უკეთ იყო განწყობილი. მოხდა ისე, რომ ამ კაცს ჰყადა ცოლი, სპარტელ ქალთა შორის ულამაზესი, ხოლო ეს ქალი ულამაზესი გახადა უმახინჯისაგან. ბავშვობაში ის საზარელი იყო შესახედავად, მაგრამ მისმა ძიძამ (რადგან ის შეძლებული ადამიანების ასული იყო და თან ასეთი ულამაზო, ხოლო ძიძა ხედავდა მშობლებს, რომლებიც მის ასეთ გარეგნობას საშინელ უბედურებად მიიჩნევდნენ) ყოველივე ამას რომ აულო ალლო, მოიგონა შემდეგი: დაუწყო მას ყოველდღე ტარება ელენეს ტაძარში, რომელიც არის ეგრეთ წოდებულ თერაპნეში, ფოძოსის ტაძრის ზემოთ. როგორც კი შეიყვანდა ძიძა ბავშვს ტაძარში, გამოსახულების წინ დააყენებდა და ევედრებოდა ღმერთქალს, ბავშვი სიმახინჯისაგან დაეხსნა. ამბობენ, რომ ერთხელ ტაძრიდან გამოსულ ძიძას გამოეცხადა ერთი ქალი, გამოეცხადა და შეეკითხა მას, თუ რა უჭირავს ხელში. ძიძამ უპასუხა, რომ ბავშვი უჭირავს; მაშინ ქალმა უთხრა, მაჩვენეო. ძიძამ კი არ აჩვენა, რადგან მშობლებისაგან აკრძალული ჰქონდა ვინმესათვის მისი ჩვენება, ხოლო ქალმა უბრძანა მას, აუცილებლად ეჩვენებინა. როდესაც ძიძამ შეატყო, რომ ქალს ასე ძალიან უნდოდა ბავშვის ნახვა აილო და აჩვენა იგი. ქალი შეეხო ბავშვის თავს და თქვა, რომ ის სპარტეში ყველა ქალზე ულამაზესი დადგება. ამ დღიდან მისი გარეგნობა გამოიცვალა, ხოლო როდესაც გათხოვების დრო მოუვიდა, იგი ითხოვა აგეტოსს ალკეიდესის ძემ, და ეს იყო არისტონის მეგობარი.

62. არისტონს ამ ქალის სიყვარული სტანჯავდა და მან შემდეგი ეშმაკობა იხმარა: თავის მეგობარს, რომლის ცოლიც იყო ეს ქალი, აღუთქვა, რომ საჩუქრად მისცემდა მთელი თავისი საცხოვრებლიდან ერთს რასმე, რასაც კი ის თვითონ ამოირჩევდა, მხოლოდ უთხრა, რომ მეგობარსაც მისთვის სამაგიეროდ მსგავსი საჩუქარი უნდა მიეცა. აგეტოსს სრულებით არ უფიქრია, რომ მის ცოლს შეიძლება რამე შეხებოდა, რადგან ხედავდა რომ არისტონს ცოლი ჰყავდა და დათანხმდა ამაზე. ეს პირობა მათ ფიცითაც განამტკიცეს. შემდეგ თვითონ არისტონმა მისცა მას, რაც აირჩია აგეტოსმა მისი საგანძურიდან და როდესაც დადგა მისი ჯერი, აერჩია და წამოეღო მისგან სანაცვლო საჩუქარი, მან მეგობრის ცოლის წამოყვანა მოინდომა. აგეტოსმა უთხრა, რომ სხვა ყველაფრის თანახმაა, მხოლოდ ამ ერთისა არა. მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა, არისტონის მიერ შეცდენილი თავისი ფიცის გამო მისთვის ნება დაერთო და ქალი გაეტანებინა.

63. ასე მოიყვანა არისტონმა მესამე ცოლი, ხოლო მეორე კი გაუშვა; 10 თვე არ იყო გასული, რომ ამ ცოლმა ეს დემარეტოსი გაუჩინა. არისტონი საბჭოში იჯდა ეფორებთან ერთად, როდესაც რომელიღაც მსახურმა ახარა, შვილი შეგეძინაო. მან იცოდა დრო, როდესაც ცოლი მოიყვანა, თვეები თითებზე დათალა და თქვა ფიცით: "ეგ ჩემი არ იქნება". ეს გაიგონეს ეფორებმა, მაგრამ მაშინ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. როდესაც ბავშვი წამოიზარდა, არისტონმა ინანა თავისი ნათქვამი, რადგან დემარეტოსი მას დანამდვილებით თავის შვილად მიაჩნდა. ხოლო დემარეტოსს ეს სახელი მან შემდეგი მიზეზის გამო დაარქა: ამაზე უწინ მთელი სპარტელები ევედრებოდნენ ღმერთებს არისტონისათვის, როგორც სპარტელ მეფეთა შორის ყველაზე სახელოვანი ვაჟკაცისათვის, რომ მას შვილი გასჩენოდა. ამიტომ იყო, რომ ბავშვს სახელად დაერქვა დემარეტოსი.

64. გამოხდა ხანი, არისტონი გარდაიცვალა და დემარეტოსის ხელში გადავიდა ძალაუფლება, მაგრამ, როგორც ჩანს, დემარეტოსს ეს ძალაუფლება უნდა დაეკარგა, როდესაც მომხდარი ამბები გამოჩვენდებოდა. ჯერ კიდევ უწინ დემარეტოსმა დიდად აიმხედრა კლეომენესი, როდესაც მან ლაშქარი წამოიყვანა ელევსინიდან და უფრო კი მაშინ, როდესაც გადვიდა აფინაზე აფინელთა შორის მიდიელთა მომხრეების დასასჯელად.

65. დემატოსის დასჯის სურვილით შეპყრობილი კლეომენესი დაუკავშირდა ლევტიქიდესს, რომელიც იყო მენარეს აგისის ძის ძე, და თან იმავე სახლიდან, რომლიდანაც იყო დემარეტოსი, იმ პირობით, რომ თუ მას დასვამენ მეფედ დემარეტოსის მაგივრად, იგი კლეომენესს აფინელების წინააღმდეგ წაჰყვებოდა. ლევტიქიდესი დემარეტოსის დიდი მტერი იყო შემდეგი ამბის გამო: ლევტიქიდესს დანიშნული ჰყავდა პერკალოსი, ქილონ დემარმენოსის ძის ასული, ხოლო დემარეტოსმა მას მზაკვრულად ჩაუშალა ეს ქორწინება, რაკილა მოასწრო მას პერკალოსის მოტაცება და ცოლად შერთვა. ამიტომ იყო, რომ ლევტიქიდესი მტრობდა დემარეტოსს და როდესაც კლეომენესის სურვილიც წაემატება ამას, მან დაადანაშაულა დემარეტოსი და თქვა, ის უკანონოდ მეფობს სპარტელებზე, რადგანაც არაა არისტონის შვილიო. ფიცის წამოთქმის შემდეგ დაიწყო მხილება. გაიხსენა ის სიტყვა, რომელიც სთქვა არისტონმა, როდესაც მას მსახურმა შეატყობინა ბავშვის გაჩენა - რომ გამოითვალა თვეები და იფიცებოდა და ამბობდა, რომ ეს მისი შვილი არაა. ლევტიქიდესმა ისარგებლა ამ ამბით და ამტკიცებდა, რომ დემარეტოსი

არც არისტონის შვილია და მაშასადამე არც სპარტეზე მეფობს კანონიერად; ხოლო მოწმეებად მოჰყადა ის ეფორები, რომლებმაც მაშინ აქ ისხდნენ და არისტონის ეს სიტყვები მოისმინეს.

66. ბოლოს, როდესაც ამის შესახებ კამათი გაგრძელდა, სპარტელებმა გადაწყვიტეს ეკითხათ დელფოს სამისნოსათვის, არის თუ არა დემარეტოსი არისტონის შვილი. კლეომენესის შეგონებით საქმე გადაიტანეს პითიასთან, იქ კლეომენესმა გადაიბირა კობონი, არისტოფანტოსის ძე, კაცი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა დელფოში, ხოლო კობონმა დაიყაბულა მისანი ქალი, პერიალოსი, რომ ეთქვა ის, რაც კლეომენესს უნდოდა. ამგვარად, როცა დემარეტოსი არაა არისტონის შვილი. შემდეგში ეს ყოველივე გამომჟღავნდა და კობონი გააძევეს დელფოდან, ხოლო მისან ქალს, პერიალოსს აეხადა მისი ღირსება.

67. ასე დაემხო დემარეტოსის ხელისუფლება. ხოლო სპარტიდან დემარეტოსი მიდიელებთან შემდეგი შეურაცხყოფის გამო გაიქცა; მას შემდეგ, როდესაც დემარეტოსს ხელისუფლება წაერთვა, იგი განაგებდა რაღაც არჩევით თანამდებობას. ერთხელ, გიმნოპედიის დროს, რომელსაც დემარეტოსი ზედამხედველობდა, ლევტიქიდესმა, რომელიც ამ დროს თვითონ მეფობდა მის მაგივრად, გაუგზავნა მას მსახური დასაცინად და მასხრად ასაგდებად და შეეკითხა დემარეტოსს, თუ როგორია ეს თანამდებობა მეფობის შემდეგ. მას ეწყინა ასეთი შეკითხვა და უპასუხა, რომ თვითონ ორივე გამოსცადა, ხოლო ლევტიქიდესს ჯერ არ განუცდია, ხოლო ეს შეკითხვა ლაკედემონელთათვის დასაწყისი იქნება ან უამრავი უბედურებისა, ან დიდი კეთილდღეობისა. ეს სთქვა, ჩამოიფარა თავზე საბურველი და წავიდა თეატრონიდან თავის სახლში, მაშინვე მოამზადა და მსხვერპლად შესწირა ზევსს ხარი, ხოლო მსხვერპლი შესწირა და დაუძახა თავის დედას.

68. დედა რომ მოვიდა, ჩაუდო ხელში შიგნეულის ნაწილი, შეევედრა და უთხრა შემდეგი: ”დედა, ყვალა სხვა ღმერთებსაც გაფიცებ და ოჯახის მფარველ ზევსსაც, გვედრები, მითხარი სიმართლე; ვინ არის ნამდვილად ჩემი მამა, რადგან კამათის დროს ლევტიქიდესმა თქვა, რომ პირველი ქმრისაგან ფემძიმედ მოხვედი, ეგრე მოხვედი არისტონთან, ხოლო სხვები კიდევ უფრო უაზრო ამბავს ჰყვებიან, თითქოს სენ ორსული მოხვედი ერთერთი მსახურისაგან, რომელიც ვირების მწყემსია, და მე თითქოს მისი შვილი ვარ. გაფიცებ ღმერთებს, რომ სიმართლე მითხრა. თუ მართლა შეგიცოდას, როგორც ამბობენ მარტო შენ არ ხარ ამის ჩამდენი, ბევრი სხვა ქალიც ასევე სცოდავს, მით უმეტეს, რომ სპირტში გავრცელებულია აზრი, თითქოს არისტონს არ შეეძლო შვილის გაჩენა, თორემ უწინდელი ცოლებისაგან ეყოლებოდა შვილი”.

69. ასე ილაპარაკა დემარეტოსმა, ხოლო დედამ შემდეგი უპასუხა: ”შვილო, რადგან მევედრები, რომ სიმართლე გითხრა, ყოველივეს შეიტყობ ისე, როგორც იყო. მას მერე, რაც არისტონმა თავის სახლში წამომიყვანა, მესამე ღამეს შემოვიდა ჩემთან მოჩვენება, რომელიც ჰგავდა არისტონს, დაწვა ჩემთან და შემდეგ დამადგა გვირგვინები, რომლებიც თან ჰქონდა, მერე წავიდა. ამის შემდეგ შემოვიდა არისტონი. როდესაც დაინახა გვირგვინები, შემეკითხა, ვინ მოგცაო, მე ვუთხარი, შენ არ მომეცი მეთქი? ის კი არ დამეთანხმა. მერე დავიფიცე და ვუთხარი, რომ კარგს არ შვრება, ამას რომ უარყოფს, რადგან სულ ცოტა ხნის წინ მოვიდა, იწვა ჩემთან და მომცა გვირგვინები. ჩემმა ფიცმა დაარწმუნა არისტონი, რომ ეს ღმერთის მიერ

ჩადენილი ამბავი იყო. ჯერ ეს ერთი გვირგვინები იმ გმირის სამლოცველოდან აღმოჩნდნენ, რომელიც ჩვენი ეზოს ბჭესთან არის აგებული და რომელსაც ეწოდება ასტრაბაკოსისა, ხოლო მეორეს მხრივ, მისნებმაც თქვეს, რომ შენთან თვითონ ეს გმირი იყო. ასე იყო, შვილო, ყველაფერი, რისი გაგებაც შენ გინდოდა. შენ ამ გმირის შვილი ხარ და შენი მამაა გმირი ასტრაბაკოსი, ან არისტონი, რადგანაც შენ იმ ღამეს ხარ ჩასახული. ხოლო, რაც შეეხება იმას, რითაც განსაკუთრებით გიტყვენ შენი მტრები, რომლებიც ამბობენ, შენი გაჩენა რომ შეიტყო თვითონ არისტონმა, თქვა მრავალი მსმენელის თანდასწრებით, ჩემი არ არისო (რადგანაც დრო, ათი თვე, ჯერ არ იყო შესრულებული), ეს არისტონმა ამისთანა საქმეების უმეცრებით წამოისროლა, რადგან ცნობილია, რომ ქალები შობენ ცხრათვიანსაც და შვიდთვიანსაც, ყველანი როდი ასრულებენ ათ თვეს. მე კი, შვილო, შენ შვიდთვიანი გაგაჩინე. თვითონ არისტონი მიხვდა მალე, რომ უგუნურად წამოსცდა ეს სიტყვა. სხვა ამბავი შენი დაბადების შესახებ არ დაიჯერო, რადგან ჩემგან სრული ჭეშმარიტება მოისმინე, ხოლო ვირის მწყემსთაგან ცოლებმა შვილები თვითონ ლევტიქიდესსა და იმათ გაუჩინონ, ვინც ამისთანებს ლაპარაკობენ”.

70. ეს ილაპარაკა დედამ. ხოლო დემარეტოსმა შეიტყო, რაც უნდოდა, მოეწყო საგზაოდ და წავიდა ელიდაში, ისე კი დაიბარა, თითქოს დელფოს სამისნოში მიდიოდა ღვთისგანგების შესატყობად. ლაკედემონელებმა იეჭვეს, რომ ის გაქცევას აპირებდა და დაედევნენ. ხოლო დემარეტოსმა მოაწრო ელინიდან მაკინოთოსში გადასვლა. ლაკედემონელებიც გადავიდნენ, დაესხნენ მას თავს და მსახურები წაართვეს. ხოლო შემდეგ, რადგან მაკინთელებმა ის არ გასცეს, გადავიდა აზიაში მეფე დარიოსთან. დარიოსმა ის დიდი პატივით მიიღო და მიწა და ქალაქები უბოძა. ასე მოვიდა აზიაში დემარეტოსი და ასეთი იყო მისი ბედი. ლაკედემონელთა შორის ის დიდად ბრწყინავდა, როგორც საქმით, ისე ჭკუით, ამას გარდა მან ოლიმპიადაზე ოთხცხენიანი ეტლით მოიპოვა გამარჯვება, რაც სპარტეში მყოფ მეფეთა შორის მხოლოდ ამან შეძლო.

71. როდესაც დაეცა დემარეტოსი, ხელისუფლება დაიმკვიდრა ლევტიქიდეს მენარესის ძემ. მას გაუჩნდა შვილი, ძევქსიდემოსი, რომელსაც ზოგიერთი სპარტელი კინისკოსს უწოდებდნენ¹. ამ ძევქსიდემოსს არ უმეფია სპარტეში, რადგანაც ლევტიქიდესზე ადრე გარდაიცვალა და დატოვა შვილი არქიდემოსი. ლევტიქიდემოსმა რომ დაჰკარგა ძევქსიდემოსი, შეირთო მეორე ცოლი. ევრიდამე, რომელიც იყო მენიოსის და, ხოლო დიაქტორიდესის ასული. ამისაგან მას ვაჟი შესძენია, გაუჩნდა ქალი - ლამპიტო, რომელიც ლევტიქიდესმა მისცა და შერთო არქიდემოსის ძეს.

72. მაგრამ არც ლევტიქიდესი დაბერებულა სპარტეში, დემერატოსის მიმართ ჩადენილი საქმისათვის მიეზლო სამაგიერო: მან ლაკედემონელებით გაილაშქრა თესალიაში და როდესაც შეეძლო, მთელი მხარე დაემორჩილებინა, ბევრი ვერცხლი მიიღო ქრთამად. მას თავის კარავში ზედ დანაშაულზე წაასწრეს, როდესაც ვერცხლით გატენილ სახელოზე იჯდა. იგი სასამართლოში მისცეს და ამიტომ გაიქცა სპარტიდან, ხოლო მისი სახელი მთლად მოსთხარეს. იგი გაიქცა ტეგეეში და იქ გარდაიცვალა.

73. ეს ამბები შემდეგ ხანებში მოხდა, ხოლო როდესაც კლეომენესმა თავისას მიაღწია დემარეტოსის წინააღმდეგ საქმეში, მაშინ წაიყვანა ლევტიქიდესი და აფინელებზე გაილაშქრა, იმათზე საშინლად გაბრაზებულმა მიყენებული შეურაცხყოფის გამო. როდესაც ორივე მეფე მოვიდა მათ წინააღმდეგ, აფინელებმა გადაწყვიტეს, აღარ გაუწიონ მათ წინააღმდეგობა. ხოლო მეფეებმა გამოარჩიეს აფინელთაგან 10 კაცი, ყველაზე ემტად ღირსეულნი - სიმდიდრითა და წარმოშობით და წაიყვანეს, ამათ შორის სხვებთან ერთად იყვნენ კრიოსი, პოლიკარტოსის ძე და კასამბოსი, არისტოკრატესის ძე, ყველაზე ძლევამოსილნი. მოიყვანეს ისინი ატიკის ქვეყანაში და მძევლად გადასცეს ათენელებს, აფინელების მოსისხლე მტრებს.

74. ამის შემდეგ ცნობილია ახდა, რომ კლეომენესი ვერაგულად მოექცა დემარეტოსს, მას შეეშინდა სპარტელებისა და გაიპარა თესალიაში. აქედან მივიდა არკადიაში და იქ ახალი ამბები დაატრიალა: მან წააქეზა არკადიელები სპარტის წინააღმდეგ, ჩამოართვა მათ ფიცი, რომ წაჰყვებიან მას, სადაც არ უნდა წაიყვანოს ისინი და ამას გარდა უნდოდა, რომ არკადიელთა თავკაცები ქალაქ ნონაკრისში წაეყვანა და დაეფიცებინა სტიქსის წყლებთან. არკადიელები ამბობენ, რომ სტიქსის წყალი ამ ქალაქში არისო, და მართლაც არის აქ რაღაც ამგვარი; პატარა წყალი მოწანწკარებს კლდიდან და წვეთავს ხევში; ხოლო ამ ხევს ირგვლივ ძემძნარი აკრავს. ნონაკრისი, სადაც ეს წყაროა, არკადიის ქალაქ ფენეოსთან არის.

75. როდესაც ლაკედემონელებმა შეიტყვეს, რომ კლეომენესმა ეს გააკეთა, შეეშინდათ, მოიყვანეს უკან სპარტეში და იგივე ძალაუფლება მიანიჭეს, რომლითაც უწინ მართავდა იგი მათ. როგორც კი დაბრუნდა კლეომენესი სპარტეში, მაშინვე სიგიჟის სენი შეეყარა, თუმცა უწინაც ცოტა არ იყოს შერევილი იყო: როდესაც შეხვდებოდა ვინმე სპარტელს, სახეში კვერთხს არტყამდა ხოლმე. ამნაირი ქცევისათვის მისმა მახლობლებმა ერთხელ ბორკილები დაადეს, როგორც შემლილს, შებორკილმა ერთხელ დაიანხა, რაომ მისი დარაჯი მარტოკაა და მოსთხოვა მას დანა. დარაჯს პირველად არ უნოდა მიცემა, მაგრამ კლეომენესი დაემუქრა მას, დამაცა, ერთი გავთავისუფლდეთ და იქამდე ემუქრებოდა, სანამ დარაჯს (რომელიც ერთი ჰელოტთაგანი იყო) არ შეეშინდა მისი მუქარისა და არ მისცა დანა. კლეომენესმა აიღო რკინა და დაიწყო თავის თავის დასერვა წვივებიდან. მან დაიჭრა სხეული სიგრძეზე ისე, რომ წვივებიდან ბარძაყებს აჰყვა, ხოლო ბარძაყებიდან თეძოებსა და ფერდებს, ვიდრე არ მიაღწია კუჭამდე და კუჭი რომ გაიჭრა, მაშინ მოკვდა. როგორც ელინთა შორის ბევრნი ამბობენ, ეს იმიტომ მოხდა, რომ კლეომენესმა ჩააგონა პითიას, დემარეტოსის შესახებ ისეთი რამეები ეთქვა, ხოლო როგორც მხოლოდ ათენელები ამბობენ, ეს იმიტომ დაემართა კლეომენესს, რომ ელევსინში შეჭრისას ღმერთების ჭალა გასჩენა. ხოლო როგორც არგოსელები ამბობენ, იმიტომ დაისაჯა ასე კლეომენესი, რომ მან არგოსის ტაძრიდან გამოიყვანა ის არგოსელები, რომლებიც ბრძოლიდან გაიქცნენ და დახოცა, თვით ჭალა კი არაფრაც მიიჩნია და გადასწვა.

76. ეს მას მერე მოხდა, როდესაც კლეომენესს მისნობის შეტყობა უნდოდა და დელფოში უწინასწარმეტყველეს, რომ არგოსს აიღებდა. ამის მერე მან წაიყვანა სპარტელები და მივიდა მდინარე ერასინოსთან, რომელზედაც ამბობენ, სტიმფალისის ტბიდან მოედინებაო (ეს ტბა უფსკრულში უჩინარდება და შემდეგ ისევ ჩნდება არგოსში, ამტიომაა, რომ ეს წყალი არგოსელთა მიერ ერასინოსად იწოდება). როდესაც მივიდა კლეომენესი ამ მდინარესთან, მას მსხვერპლი შესწირა.

რადგან მსხვერპლშეწირვამ არ ანიშნა მდინარეზე გადასვლა, კლეომენესმა თქვა, რომ მას მოსწონს ერასინოსი, რომელსაც არ უნდა მოქალაქეთა გაცემა, მაგრამ არგოსელები მაინც ნუ გაიხარებენ. ამის მერე მან უკან დაიხია და ლაშქარი წაიყვანა თირეეში, აქ ზღვას მსხვერპლად შესწირა ხარი და ნავებით წაიყვანა ისინი ტირინთისა და ნავპლიის მხარეებში.

77. არგოსელებმა ეს რომ შეიტყვეს, წავიდნენ ზღვისაკენ თავისიანების დასახმარებლად, ხოლო როგორც მიუახლოვდნენ ტირინთს, იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება სეპემა, ჩამოხტნენ ლაკედემონელების პირდაპირ, ისე რომ ორ ბანაკს შორის მანძილი დიდი არ დაუტოვებიათ. არგოსელებს აშკარა ბრძოლის არ შეეშინებიათ, მაგრამ იმისი ეშინოდათ, ვაი თუ ეშმაკობით დაგვიპყროს. სწორედ ამ ამბის შესახებ იყო მისნობა, რომელიც საერთოდ გამოუცხადა პითიამ ამათ და მილეტელებს, როდესაც თქვა შემდეგი: "როდესაც მდებრი მამრს დაძლევეს, გააძევენ და მოიპოვებს არგოსელებში პატივს, მაშინ ის ბევრ არგოსელ ქალს ჩამოაკაწვრინებს ლოყებს. მომავა ადამიანთა შორის ოდესმე ვინმე იტყვის: საშინელი, სამად დაკლავნილი გველი დაძლეული იქნა და შუბით მოკლული". რადგან ყოველივე ეს ამბები ერთდროულად მოხდა, არგოსელები შიშმა შეიპყრო. ამიტომ იყო, რომ გადაწყვიტეს, დაეჯერებინათ მტრის მაცნესათვის, გადაწყვიტეს და ასეც მოიქცნენ, როგორც კი მაცნე ანიშნებდა რასმე ლაკედემონელებს, არგოსელებიც იმასვე აკეთებდნენ.

78. კლეომენესმა შეამჩნია, რომ არგოსელები ისე იქცეოდნენ, როგორც ანიშნებს ლაკედემონელებს თავიანთი საკუთარი მაცნე და გამოუცხადა თავისიანებს შემდეგი: როდესაც მაცნე ანიშნებს მათ საუზმეზე დასხდომას, მაშინ აიღონ მათ იარაღი და არგოსელებზე წავიდნენ. ლაკედემონელება აასრულეს ეს ბრძანება: როდესაც არგოსელები საუზმობდნენ ლაკედემონელების მაცნეს მინიშნებით, ესენი მათ თავს დაესხნენ, ბევრი მათგანი ამოხოცეს, ხოლო ბევრს კი, რომლებიც არგოსის ჭალას შეეფარნენ, ალყა შემოარტყეს და დაუდარაჯდნენ.

79. ამის მერე კლეომენესი შემდეგნაირად მოიქცა: მასთან იმყოფებოდა მტრის ბანაკიდან გამოქცეული რამდენიმე კაცი და იმათგან შეიტყო არგოსელთა სახელები. შემდეგ გამოძიახა და გაგზავნა მათთან მაცნე, რომელსაც ასწავლა იმ არგოსელთა სახელები, რომლებიც სალოცავში იყვნენ გამოკეტილები, გამოიძახა და ათქმევინა, რომ მათი გამოსასყიდი უკვე მოტანილია, ხოლო პელოპონესელთათვის დადგენილია გამოსასყიდი ორი მნა ყოველ ტყვეზე. ამგვარად კლეომენესმა გამოაძახებინა დაახლოებით 50 არგოსელი სათითაოდ და მოაკვლევინა, ხოლო რაც ხდებოდა, დაფარული იყო მათთვის, ვინც ჭალაში დარჩა. რადგან ტყეში ხშირი იყო, ვინც იქ იჯდა, ვერ ხედავდა, თუ რა ხდებოდა გარეთ, ვიდრე ერთი მათგანი არ ავიდა ხეზე და იქიდან არ გადმოხედა იმას, რასაც კლეომენესი სჩადიოდა. ამის მერე ისინი დამახებაზე აღარ გამოდიოდნენ.

80. აქ კლეომენესმა უბრძანა ყველა ჰელოტეს, რომ შეშა შემოეწყობოთ ჭალისათვის და როდესაც მათ ეს შეასრულეს, ცეცხლი წაუკიდეს ჭალას. როდესაც ჭალა იწვოდა, იგი შეეკითხა ერთ-ერთ გადმოსულს, თუ ღმერთთაგან რომელს ეკუთვნის ჭალა, ხოლო მან მიუგო, არგოსსო. ეს რომ მოისმიან, ამოიოხრა და თქვა: "აპოლონ წინასწარმეტყველო, შენ მე სასტიკად მომატყუე, როცა მითხარი, არგოსს აიღებო. ვფიქრობ, რომ წინასწარმეტყველება უკვე ამისრულდა".

81. ამის შემდეგ კლეომენესმა ჯარის დიდი ნაწილი გაუშვა, რომ სპარტაში დაბრუნებულიყო, ხოლო თვითონ წაიყვანა 1000 უმამაცესი ჯარისკაცი და წავიდა ჰერას სალოცავში მსხვერპლის შესაწირავად. როდესაც მან მოინდომა მსხვერპლის შეწირვა საკურთხეველზე, ქურუმმა დაუშალა, უთხრა, უცხოელებისათვის აქ მსხვერპლშეწირვა ნებადართული არააო. კლეომენესმა უბრძანა ჰელოტებს, ქურუმები საკურთხევიდან გადმოეთრიათ და გაემათრახებიდათ, ხოლო თვითონ მსხვერპლი მაინც შესწირა. ამის შემდეგ კი სპარტეში წავიდა.

82. კლეომენესი რომ უკან დაბრუნდნა, მტრებმა ის ეფორებს წარუდგინეს, იმას აბრალებდნენ, არგოსი იმიტომ არ აიღო, რომ არგოსელებმა მოისყიდესო, ალება კი მისთვის სრულიად ადვილი იყო. კლეომენესმა ამაზე უპასუხა (ტყუოდა თუ მართალს ამბობდა, არ შემიძლია დაბეჯითით ვთქვა), რომ როდესაც მან არგოსის სალოცავი აიღო, გადაწყვიტა, ღმერთის მისნობა ამისრულდაო. ამის მერე არ მიაჩნდა სამართლიანად, რომ ქალაქის ალება მასზე უწინ ეცადა, ვიდრე მსხვერპლშეწირვას არ მოახდენდა და არ შეიტყობდა, ღმერთი აძლევს მას თავდასხმის ნებას, თუ უშლის. როდესაც ის მსხვერპლს სწირავდა ჰერას ტაძარში, ქანდაკების მკერდიდან ცეცხლის ალი გამობრწყინდა და ამით მან შეიტყო დაბეჯითებით, რომ ვერ აიღებს არგოსს. რადგან ქანდაკების თავიდან რომ გამობრწყინებულიყო ცეცხლი, მაშინ აიღებდა ციხე-სიმაგრეს, ხოლო რაკილა მკერდიდან გამობრწყინდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ რაც ღმერთს სურდა, ის მას უკვე შესრულებული ჰქონდა. სპარტელებს სარწმუნოდ და ბუნებრივად ეჩვენათ მისი ლაპარაკი და იგი ამჯერად ადვილად გადაურჩა თავის მტრებს.

83. არგოსი ისე დაიცალა კაცთაგან, რომ მთელი მათი საქმეები მონების ხელში გადავიდა, ისინი მართავდნენ და განაგებდნენ ვიდრე დალუპულთა შვილები არ წამოიზარდნენ, მაშინ ამათ კვლავ ხელთ იგდეს არგოსი და მონები გააძევეს. ხოლო გაძევებულმა მონებმა ბრძოლით აიღეს ტირინთი, ერთხანს მათ მეგობრული განწყობილება ჰქონდათ ერთმანეთში, ხოლო მას შემდეგ, რაც მონებთან მივიდა მისანი კლეანდროსი, რომელიც წარმოშობით არკადიის ფიგალიიდან იყო, მან მონებს ჩააგონა თავს დასხმოდნენ ბატონებს. ამის მერე ხანგრძლივი ომი წამოიწყო მათ შორის, ვიდრე არგოსელებმა არ გაიმარჯვეს დიდის გაჭირვებით.

84. არგოსელები ამბობენ, რომ ამის გამო გაგიჟდა კლეომენესი და უკეთურად დაილუპა, ხოლო თვით სპარტეელები ამბობენ, რომ არავითარ ღვთაებრივ ძალას არ გაუფიქრებია კლეომენესი, მას სკვითებთან ჰქონდა ურთიერთობა, გალოთდა და ამან გააგიჟაო. მას შემდეგ, რაც დარიოსი შეიჭრა მომთაბარე სკვითების ქვეყანაში, სკვითებს უნდოდათ მისთვის სამაგიეროს გადახდა, ამიტომ გაგზავნეს სპარტეში კაცები, რომ ისინი მოკავშირეებად გაეხადათ და შეთანხმებულიყვნენ იმაში, რომ თვით სკვითები შეეცდებოდნენ მიდიაში შეჭრას მდინარე ფასისის გასწვრივ, ხოლო სპარტელებს შეუთვალეს დამრულიყვნენ ეფესოდან, გაჰყოლოდნენ გზას ქვეყნის შიგნით და შემდეგ აქ სადმე შეხვედროდნენ სკვითებს. ამბობენ, რომ ამისათვის მოსულ სკვითებს კლეომენესი ხშირად ხვდებოდა, მოდიოდა მათთან, ჰქონდა მათთან ურთიერთობა და მათგან ისწავლა სმა. სპარტელები ფიქრობდნენ, ამისაგან გაგიჟდა იგი. როგორც თვითონ ამბობენ, აქედან წარმოსდგება გამოთქმა, "სკვითიურად დამისხიო", როდესაც უნდოდათ გაუზავებელი ღვინის დალევა. ასე

ამბობენ სპარტელები კლეომენესის შესახებ. მე კი ვფიქრობ, რომ კლეომენესს სამაგიერო მიუზღო დემარეტოსის მიმართ ჩადენილი ბოროტებისათვის.

85. ადგინელებმა რომ შეიტყვეს კლეომენესის სიკვდილი, გაუგზავნეს სპარტეში მოციქულები, რომელთაც უნდა დაედანაშაულებინათ ლევტიქიდესი იმის გამო, რომ მას ათენში ამათი მძევლები ჰყავდა. ლაკედემონელებმა შეკრიბეს სასამართლო და დაადგინეს, რომ ლევტიქიდესისაგან მეტისმეტად არიან შეურაცხყოფილი ადგინელები და გადაწყვიტეს მას, გაეცათ იგი და წაეყვანათ ადგინაზე იმ კაცების სანაცვლოდ, რომლებიც ლევტიქიდესს ათენში ჰყავდა დატოვებული. როდესაც ადგინელები წაყვანას უპირებდნენ ლევტიქიდესს, თეასიდეს ლეოპრეპესის ძემ, სპარტეში ცნობილმა კაცმა, უთხრა მათ: "რას აკეთებთ ადგინელებო? მოქალაქეთა მიერ გაცემული სპარტელთა მეფე გინდათ წაიყვანოთ? შესაძლოა ამჟამად განრისხებულმა სპარტელებმა ასე გადაწყვიტეს, მაგრამ თუკი თქვენ ამას გააკეთებთ, ფრთხილად იყავით, რომ შემდეგში თქვენს ქვეყანას რაიმე დამღუპველი უბედურება არ დაატეხონ მათ თავს". ეს რომ მოისმინეს ადგინელებმა, აღარ წაიყვანეს იგი, მხოლოდ იმაში კი შეთანხმდნენ, რომ ლევტიქიდესი წაჰყვებოდა მათ ათენში და მისცემდა ადგინელებს იქ დატოვებულ მძევლებს.

86. როგორც კი მოვიდა ლევტიქიდესი ათენში, მოითხოვა მძევლები, მაგრამ ათენელები სხვადასხვა რასმე იმიზეზებდნენ, რადგანაც მიცემა არ უნდოდათ. იმასაც ამბობდნენ, რომ ორმა მეფემ მისცა მათ მძევლები და სამართლიანი არ იქნება ერთ მეფეს დაუბრუნონ მეორის გარეშე. როდესაც ათენელებმა უარი თქვეს მძევლების მიცემაზე, ლევტიქიდესმა უთხრა მათ შემდეგი: "ათენელებო, ისე მოიქეცით, როგორც გინდათ, მაგრამ თუ დააბრუნებთ მძევლებს კარგს იხამთ, ხოლო თუ არ დააბრუნებთ - ცუდად მოიქცევით. მე კი მინდა გითხრა, თუ რა მოხდა სპარტეში ერთ მიზარებულ ქონებასთან დაკავშირებით. ჩვენთან, სპარტელებში არის გადმოცემა იმის შესახებ, რომ ლაკედემონში ჩემზე ორი თაობით ადრე იყო ვინმე გლავკოსი, ეპიკიდესის შვილი, აი, იმაზე გიამბობთ და გეტყვით, რომ ყოველმხრივ პირველი კაცი იყო, განსაკუთრებით კი თავისი სამართლიანობით გამოირჩეოდა ყველა მათ შორის, ვინც ამ დროს ლაკედემონში ცხოვრობდა. ხოლო დადგა დრო და მას შემდეგი ამბავი შეემთხვა: სპარტეში მოვიდა მილეტელი კაცი, რომელსაც მასთან უნდოდა ლაპარაკი და უთხრა მას: "მე მილეტელი ვარ, გლავკოს, და აქ იმიტომ მოვედი, რომ მინდა შენი პატიოსნება გამოვიყენო. მთელს ელადაში სახელგანთქმულია შენი სიმართლიანობა, განსაკუთრებით კი იონიაში. მე ჩემთვის ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ იონია მუდამ რაღაც ხიფათშია, ხოლო პელოპონესს უშიშარი, მკვიდრი მდგომარეობა აქვს და იმაზედაც რომ იონიაში ქონება არასოდეს არაა ერთისა და იმავე პიროვნების ხელში. ამისთანა რამეებზე ფიქრსა და ზრუნვაში გადავწყვიტე მთელი ჩემი ქონების ნახევარი ფულად მექცია და შენთვის მომეზარებინა, რადგან კარგად ვიცი, რომ შენთან ხელუხლებლად შემენახება. ისე რომ, მიიღე ჩემგან ეს ფული და შეინახე ეს ნიშნებიც. ფული მხოლოდ იმას მიეცი, ვინც ამისთანა ნიშნებით მოვა და მოგთხოვს". ასე ილაპარაკა მილეტიდან მოსულმა უცხოელმა, ხოლო გლავკოსმა მიიზარა მისგან ფული ზემოთქმული პირობის საფუძველზე. კარგა ხნის შემდეგ სპარტეში მოვიდნენ იმ კაცის შვილები, რომელმაც გლავკოსს ფული მიაბარა. მოვიდნენ, ესაუბრნენ გლავკოსს, ნიშნები აჩვენეს და ფული მოითხოვეს, მან კი უარი უთხრა და მიუგო შემდეგი: "სულ არ მახსოვს ეს ამბავი და ვერც თქვენმა ლაპარაკმა შემახსენა რამე. გულით კი მინდა, რომ მოვიგონო და სამართლიანად მოვიქცე, რადან

თუ მივიღე ფული ზუსტად დაგიბრუნებთ, ხოლო თუ საერთოდ არ მიმიღია, მაშინ ელინთა კანონების მიხედვით მოგეპყრობით. ამიტომ პასუხს მოგცემთ დღეიდან მეოთხე თვეზე”. მილეტელები დიდად დამწუხრებულნი წავიდნენ, რადგან დაკარგეს ფული; გლავკოსი კი მივიდა დელფოში მისნბის შესატყობად. იგი შეეკითხა სამისნოს, ფიცის მოშველიებით ხომ არ შეიძლება სხვისი ფულების მითვისება. პითიამ კი შემდეგი სიტყვებით უსაყვედურა: ”გლავკოს ეპიკიდესის ძევ, ამჟამად დიდად სასარგებლოა ფიცით რომ მიითვისე ფულები, დაიფიცე, რადგან სიკვდილი იმასაც მოელის, ვინც ფიცს ინახავს. მაგრამ ფიცს შვილი ჰყავს, უსახელო, რომელსაც არც ხელები აქვს და არც ფეხები, იგი გატაცებით სდევს ფიცის დამრღვევს, ვიდრე არ მოსთხრის და არ გაანადგურებს მთელ მოდგმას და მის მთელ სახლს. ხოლო ფიცის შემნახველი კაცის შთამომავლობას სულ უფრო და უფრო უკეთესი ცხოვრება ექნება მომავალში”. ეს რომ მოისმინა გლავკოსმა, ღმერთს შეევედრა ეპატეებინა მისთვის მისი ნთქვაში. პითიამ კი უთხრა, რომ სულერთია ღმერთისათვის, ცთუნებას განიცდი თუ ასეთ საქმეს მართლა ჩაიდენ. ამის მერე გლავკოსმა მოიწვია მილეტელი სტუმრები და დაუბრუნდა ფული; ახლა კი გეტყვით, ათენელებო, თუ რის გამო წამოვიწყე ამ ამბის თხრობა: ამჟამად გლავკოსს არც ჩამომავალი ჰყავს და არც რაიმე სახელი არსებობს, რომელსაც გლავკოსისა ერქვას, ძირფესვიანად არის ის სპარტიდან ამოგდებული. ამგვარად, კარგია, არც კი დაფიქრდე მიზარებული ქონების შესახებ და როგორც კი მოგთხოვს პატრონი, მაშინვე უკან დაუბრუნო”.

87. ასე ილაპარაკა ლევტიქიდესმა და რადგან არც კი მოუსმინეს ათენელებმა, უკან გაბრუნდა. ხოლო ადგინელებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ ეგოთ პასუხი ათენელთა მიმართ ჩადენილი შეურაცხყოფისათვის, რომელიც თებელთა საამებლად მიაყენეს მათ, კიდევ ასეთი რამ ჩაიდინეს: ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ათენელების, თავი მათგან განაწყენებულად მიაჩნდათ და ემზადებოდნენ ათენელთა დასასჯელად: როდესაც ათენელებს სუნიონში ის დღეობა ჰქონდათ, რომელიც ყოველ მეხუთე წელს იმართება, ადგინელები მათ ჩაუსაფრდნენ და ხელთ იგდეს წმინდა ხომალდი, სავსე ათენელი თავკაცებით, რომლებიც შეიპყრეს და შებორკეს.

88. ათენელებს რომ ეს გადახდათ ადგინელეთაგან, მეტი აღარ დააყოვნეს და ყოველივე ბოროტს იზრახავდნენ ადგინელთა წინააღმდეგ. ადგინაზე იყო ერთი ნიკოდრომოსი, კნოტოსის ძე, სახელგანთქმული კაცი. იგი ძალიან გაჯავრებული იყო ადგინელებზე, რომელთაც უწინ თვითონ ის გაამევეს კუნძულიდან. მან რომ შეიტყო ათენელები ადგინელთათვის ბოროტის გასაკეთებლად ემზადებიანო, შეუთანხმდა ათენელებს, რომ გადასცემდა მათ ადგინას და დაუნიშნა დღე, როდესაც წამოიწყებდა თვითონ ამ საქმეს, ხოლო ისინი უნდა მისულიყვნენ და დახმარებოდნენ.

89. ამის შემდეგ ათენელებთან შეთანხმების თანახმად, ნიკოდრომოსმა დაიჭირა ძველ ქალაქად წოდებული ადგილი, მაგრამ ათენელები დროზე არ მოვიდნენ; რადგანაც მოხდა ისე, რომ მათ არ ჰყავდათ ხომალდები, რომლებიც შემლებდნენ ადგინელებთან ბრძოლას და სანამ ისინი კორინთელებს სთხოვდნენ, ხომალდებით დაგვეხმარეთო, საქმეც დაიღუპა. ხოლო კორინთელებმა, რომლებიც ამ დროს საგანგებოდ მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ მათთან, თხოვნის მერე მისცეს ათენელებს ოცი ხომალდი, მისცეს და თითოეულ ხომალდში 5 დრაქმა გამოართვეს (რადგან საჩუქრად მიცემა მათი კანონის მიხედვით არ შეიძლებოდა). ეს ხომალდებიც წაიყვანეს ათენელებმა და

თავისებიც, მოამზადეს სულ 70 ხომალდი და გასცურეს აფინაზე, მაგრამ ერთი დღე გადააცილეს დათქმულ დღეს.

90. ხოლო ნიკოდრომოსი, რაკი ათენელები დანიშნულ დროზე არ მოვიდნენ, ხომალდზე ავიდა და გაიქცა აფინიდან, ხოლო მას თან გაჰყვნენ სხვა აფინელებიც: ათენელებმა ამათ სუნიონის მისცეს საცხოვრებლად. ესენი აქედან ესხმოდნენ თავს და მარცვავდნენ კუნძულზე მყოფ აფინელებს. თუმცა ეს შემდეგში მოხდა¹.

91. შემღებულმა აფინელებმა დაამარცხეს ნიკოდრომოსთან ერთად გამდგარი ხალხი და როდესაც ისინი ხელთ იგდეს, გამოიყვანეს დასასჯელად. ამის მერე მძიმე ცოდვა აწვათ მათ კისერზე, რომლისგანაც, რა არ იღონეს, მაგრამ ვერაფრით შეძლეს განწმენდა. ისინი უწინ იქნენ გამოძევებული კუნძულიდან, ვიდრე ღმერთქალს მოალმობიერებდნენ. ეს ყვლაერი მოხდა იმიტომ, რომ როდესაც მათ ხალხიდან ცოცხლივ შეპყრობილი 70 კაცი გამოიყვანეს დასასჯელად, ერთმა მათგანმა თავი იხსნა ბორკილებისაგან და შეეფარა დემეტრეკანონმდებლის ტაძრის კარიბჭეს, სადაც ხელი ჩასჭიდა ამ კარიბჭის რგოლებს. ხოლო რადგან აფინელებმა ვერ შეძლეს ამ კარიდან მისი აგლეჯა და გამთრევა, დააჭრეს ხელები და ეგრე წაიყვანეს; ხოლო ეს ხელები პირდაპირ შეეზარდა ამ რგოლებს.

92. ასე მოექცნენ აფინელები თავის ხალხს. ხოლო როდესაც ათენელები მოვიდნენ, აფინელები შეებრძოლნენ მათ თავისი 70 ხომალდით. მაგრამ დამარცხდნენ ამ საზღვაო ბრძოლაში და როგორც უწინ, ახლაც ისევ არგოსელებს მიმართეს. ამათ კი აღარ მოინდომეს მათი დახმარება, რადგან ნაწყენები იყვნენ იმათზე, იმის გამო, რომ კლეომენესის მიერ იძულებული აფინელთა ხომალდები ლაკედემონელებთან ერთად მიადგნენ არგოლიდის ქვეყანას. ამ თავდასხმის დროს სიკიონელთა ხომალდებიდანაც გადმოვიდნენ ნაპირზე კაცები. ამისათვის არგოსელებმა მათ სასჯელად 1000 ტალანტი შეაწერეს, თითოეულს ამათგან - 500. სიკიონელებმა ცნეს ის, რომ უსამართლოდ მოიქცნენ და თანახმა იყვნენ 100 ტალანტი გადაეხადათ, რითაც სასჯელის მოხდას აპირებდნენ, ხოლო აფინელებმა არც დანაშაული ცნეს და ძალიან თავხედურადაც მოიქცნენ. ამიტომ იყო, რომ როდესაც შეწევნა სთხოვეს, არც ერთი არგოსელი არ გაუგზავნია სახელმწიფოს დასახმარებლად, ხოლო მოხალისეთაგან შედგა 1000 კაცამდე. ესენი წაიყვანა მხედართმთავარმა, რომელსაც სახელად ერქვა ევრიბატესი, ხუთჭიდაში მონაწილე კაცმა. ამათგან მეტი წილი უკან აღარ დაბრუნებულა, რადგან ათენელებმა ამოწყვიტეს აფინაზე, ხოლო თვითონ მათ მხედართმთავარი ევრიბატესი პირისპირ შეებრძოლა სამ ვაჟკაცს და დახოცა ისინი, ის კი მოკლა მეოთხემ, სოფანეს დეკელეელმა.

93. ერთხელ, როდესაც ათენელები მოუმზადებლები იყვნენ, აფინელები დაესხნენ თავს ხომალდებით და დაამარცხეს, წაართვეს 4 ხომალდი იმ ხალხიანად, რომელიც ზედ ისხდა.

94. ასე დაიწყო ათენელების ომი აფინელებთან. ხოლო სპარსელი მეფე ამასობაში თავისას აკეთებდა, რადგან მსახური გამუდმებით ახსენებდა მას ათენელების შესახებ და პედისტრატიდებიც აბეზრებდნენ თავს ათენელების შესმენით. ამასთანავე დარიოსს უნდოდა საბაბად გამოეყენებინა ეს ამბავი და დაემორჩილებინა ელადის ის ხალხები, რომლებმაც არ მისცეს მას მიწა და წყალი. მან მარდონიოსი გაათავისლვა

მხედართმთავრობისაგან, რადგან ლაშქრობაში წარმატება ვერ მოიპოვა; დანიშნა სხვა მხედართმთავრები და გაგზავნა ერეტრეასა და ათენში. ესენი იყვნენ დატისი, წარმომობით მიდიელი, და არტაფრენესი, არტაფრენესის შვილი, თავისი ძმისშვილი. მან გაგზავნა ესენი და უბრძანა, დაემორჩილებინათ ათენი და ერეტრია და მისთვის მონები წარმოედგინათ.

95. ეს მხედართმთავრები დანიშვნისთანვე წამოვიდნენ მეფისაგან და მივიდნენ კილიკიის ალექონის დაბლობში, თან მოიყვანეს დიდი ქვეითი ჯარი, რომელიც კარგად იყო მომარაგებული. აქ მათ დაიბანაკეს და მათ შეუერთდა მთელი საზღვაო ფლოტი, რომელიც შეწერილი ჰქონდა ცალკეულ ხალხებს, მოვიდა აგრეთვე ცხენების გადამტვირთველი ხომალდები, რომლებიც დარიოსმა მოამზადებინა ჯერ კიდევ წინა წელს თავის მოხარკეებს, შერეკეს ცხენები ამ ხომალდებზე, დასხეს ქვეითი ჯარიც და 600 ტრიერით გასცურეს იონიაში. აქედან ხმელეთის გაყოლებით კი არ დაიჭირეს გეზი პირდაპირ ჰელესპონტისა და თრაკიისაკენ, არამედ წამოვიდნენ სამოსიდან, იკაროსის ზღვის გასწვრივ და მიცურავდნენ კუნძულიდან კუნძულისაკენ. მე მგონია, იმათ განსაკუთრებით ეშინოდათ ათონის ირვლივ მოგზაურობისა, რადგან წინა წლის ლაშქრობისას სწორედ ამ ადგილას დაზარალდნენ ძალიან. ამას გარდა ნაქსოსის გამოც იქცეოდნენ ასე, რადგან ჯერ არ ჰქონდათ ნაქსოსი დაპყრობილი.

96. იკაროსის ზღვიდან სპარსელები მივიდნენ ნაქსოსზე (რაცან პირველად მისი დალაშქვრა უნდოდათ), მათ ახსოვდათ თუ ისინი უწინ. . . მაგრამ ნაქსოსელებმა მათ არ დაუცადეს და მთებისაკენ გაიქცნენ. სპარსელებმა ნაქსოსელი ვინც მოიხელთეს, დაატყვევეს, ხოლო ტაძრები და ქალაქი გადაწვეს. შემდეგ კი სხვა კუნძულებისაკენ წავიდნენ.

97. სანამ სპარსელები ამას აკაეთებდნენ, დელოსელებმა თვითონ დატოვეს დელოსი და ტენოსზე გაიქცნენ. როდესაც ფლოტი მიუახლოვდა დელოსს, დატისმა, რომელიც წინ მიცურავდა, არ მისცა ნება, რომ ხომალდები თვით ამ კუნძულთან გაჩერებულიყვნენ, არამედ გააჩერა გადაღმა რენაიეში. როდესაც შეიტყო, თუ სად იყვნენ დელოსელები, გაუგზავნა მაცნე და შეუთვალა მათ: "წმინდა ვაჟკაცებო, რას გაიქცევით? რატომ მაწერთ ისეთ რამეს, რაც არ დამიმსახურებია? მე თვითონაც იმდენად და მეფისაგანაც ისე მაქვს ნაბრძანები, რომ იმ ქვეყანას, რომელშიც ორი ღმერთი⁷ დაიბადა, არ გავანადგურებთ; არ გავანადგურებთ არც ქვეყანას და არც მის მოსახლეობას. მოდი, დაბრუნდით თქვენს ქვეყანაში და მოუარეთ თქვენს კუნძულს". ეს შეუთვალა მან დელოსელებს მაცნეს პირით, ხოლო შემდეგ 300 ტალანტი საკმეველი დააზვინა საკურთხეველზე და უკმია.

98. დატისმა რომ ეს გააკეთა, თავისი ლაშქრით პირველად ერეტრიაში წავიდა და თან წაიყვანა იონიელებიც და ეოლიელებიც. მისი წასვლის შემდეგ დელოსი შეანჯრია მიწისძვრამ და როგორც დელოსელები ამბობენ, ეს მოხდა პირველად და უკანასკნელად ჩემს დრომდე. ეს სასწაული ღმერთმა ადამიანებს მოუვლინა იმისათვის, რომ მომავალი უბედურებები ენიშნებინა. მართლაც, დარიოს ჰისტასპესის ძის ქსერქსეს დარიოსის ზისა და არტოქსერქსეს ქსერქსესის ძის დროს (ამ სამი ერთიმეორის მიმდევრო თაობის დროს) ელადას უფრო მეტი უბედურება დაატყდა თავს, ვიდრე იმ 20 თაობის მმართველობაში, რაც უსწრებდა წინ დარიოსს, ნაწილობრივ სპარსელებისაგან, ხოლო ნაწილობრივ თვით საკუთარი

ბელადებისაგან, რომლებიც ძალაუფლებისათვის ეომებოდნენ ერთმანეთს. ამგვარად, არაფერია უჩვეულო იმაში, რომ დელოსი იძრა, მაშინ, როდესაც ის უწინ უძრავად იყო. ხოლო ღვთისგანგებაში ამის შესახებ შემდეგი ყოფილა დაწერილი: „შევანძრევ დელოსსაც, თუმცა ის უძრავი არის“. ელინურ ენაზე ეს სახელები ნიშნავენ: დარიოსი - „მოქმედს“, ქერქსესი - „მეომარს“, არტოქსერქსესი - „დიდ მეომარს“. ასე უწოდებდნენ სწორედ თავიანთ ენაზე ელინები ამ მეფეებს.

99. ხოლო დელოსიდან წარმოსული ბარბაროსები მიადგნენ სხვა კუნძულებს, იქიდან წამოიყვანეს ლაშქარი და კუნძულებზე მცხოვრებთა შვილები მძევლებად აიყვანეს. კუნძულების შემოვლისას სპარსელები კარისტოსსაც მიადგნენ და რადგან კარისტელებმა არც მძევლები მისცეს და არც მეზობელი ქალაქების წინააღმდეგ ლაშქრობაზე დათანხმდნენ, მაშინ ამათ ალყა შემოარტყეს და მათ მიწას ანადგურებდნენ, მანამ, ვიდრე კარისტელებიც არ გადავიდნენ სპარსელთა მხარეზე.

100. ხოლო როდესაც ერეტრიელებმა შეიტყვეს, რომ სპარსელი ლაშქარი მათ წინააღმდეგ მოცურავს, სთხოვეს ათენელებს მხარი დაგვიჭირეთო, ათენელებს უარი არ უთქვამთ დახმარებაზე და შემწედ მისცეს 4000 კაცი იმათგან, რომელთაც ეჭირათ წილად რგებული მიწა ქალკიდის ჰიპობოტებში. ხოლო ერეტრიელებს რაიმე გარკვეული გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდათ მიღებული; ათენელები რომ მოიწვიეს, მათ შორის ორნაირი აზრი არსებობდა: ერთნი იმას ამბობდნენ, რომ დაეტოვებინათ ქალაქი და შეფარებოდნენ ევბეის მაღლობებს, ხოლო მეორენი, რომელნიც საკუთარ გამოჩენას ელოდნენ სპარსთა მეფისაგან, ღალატისათვის ემზადებოდნენ. ორივე მხარის განზრახვა შეიტყო ერეტრიელთა შორის წარჩინებულმა კაცმა, ალქინეს ნოთონის ძემ; მან მოსულ ათენელებს გააგებინა ყოველივე, რაც მათთან ხდებოდა და სთხოვა, რომ გაბრუნებულიყვნენ თავის ქვეყანაში, თუ არ უნდოდათ, ამომწყდარიყვნენ. ალქინესმა ასე ურჩია და ათენელებმაც მას დაუჯერეს.

101. მართლაც ისინი გადავიდნენ ოროპოსში და ასე გადაირჩინეს თავი, ხოლო სპარსელებმა თავისი ხომალდებით ერეტრიის ქვეყნისაკენ გაცურეს და მივიდნენ ტემენოსში, ქოძრებში და აფგილიაში, დაიჭირეს ეს ადგილები, მაშინვე ცხენები გადმოსხეს ხმელეთზე და მტერზე თავდასასხმელად გაემზადნენ. ხოლო ერეტრიელებს არა ჰქონდათ გადაწყვეტილი, გამოსულიყვნენ და ებრძლათ, რადგან მას მერე, რაც გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ ისინი ვერ დატოვებდნენ ქალაქს, ისინი იმისათვის ზრუნავდნენ, რომ როგორმე დაეცვათ ქალაქის ზღუდეები, სასტიკი იერიში იქნა მიტანილი ამ კედლებზე და 6 დღის განმავლობაში ბევრი დაიღუპა ორივე მხრიდან. მეშვიდე დღეს ევფორბოსმა, ალიმაქოსის ძემ და ფილაგროსმა, კინეესის ძემ, მოქალაქეთა შორის სახელოვანმა კაცებმა, ქალაქი გადასცეს სპარსელებს. სპარსელები რომ შევიდნენ ქალაქში, ჯერ სამლოცველოები გაძარცვეს და დაწვეს, ეს იმიტომ, რომ სამაგიეროს უზღავდნენ სარდელში გადამწვარი სამლოცველოებისათვის, ხოლო შემდეგ დარიოსის განკარგულების თანახმად დაიმორჩილეს მოსახლეობა.

102. სპარსელებმა ხელთ რომ იგდეს ერეტრია, დაჰყვეს იქ რამდენიმე დღე და შემდეგ გაცურეს ატიკის ქვეყნისაკენ, დიდად ჩქარობდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ იმასვე უზამდნენ ათენელებს, რაც უყვეს ერეტრიელებს. რადგან მართლმან ატიკის ყველაზე

უფრო მოსახერხებელი ადგილი იყო ცხენოსნობისათვის, და თან ყველაზე უფრო ახლოს ერეტრიიდან, ჰიპიესმა, პედისისტრატოსის ძემ აქ მოიყვანა სპარსელები.

103. ათენელებმა რომ ეს შეიტყვეს, გაემუხრნენ თვითონაც მარათონისაკენ. მიჰყავდა ისინი ათ მხედართმთავარს, რომელთა შორის მეათე იყო მილტიადესი, რომლის მამა კიმონი, სტესაგორესის ძე, შეიპყრო და ათენიდან გააძევე პედისისტრატოსმა, ჰიპოკრატესის ძემ. გაძევებულმა კიმონმა ოთხცხენიანი ეტლით გაიმარჯვა ოლიმპიურ შეჯიბრებაზე და ისეთივე გამარჯვება მოიპოვა მან, როგორც მისიმა დედითერთმა ძმამ, მილტიადესმა. ხოლო ამის მერე, როდესაც შემდეგ ოლიმპიადაზე იმავე ფაშატებით გაიმარჯვა ისევ კიმონმა, მან ნება დართო პედსტრატორსს, თვითონ გამოცხადებულიყო გამარჯვებულად. გამარჯვება რომ პედისისტრატოსს დაუთმო, ამით ის შეირიგა, რის შემდეგ კიმონი უკან დაბრუნდა თავის სამშობლოში. ხოლო როდესაც მან შემდეგ, სხვა ოლიმპიადაზე იმავე ფაშატებით მოიპოვა გამარჯვება, იგი შეიპყრეს და მოკლეს პედისისტრატოსის შვილებმა, მაშინ, როდესაც თვით პედისისტრატოსი აღარ იყო ცოცხალი. იმათ კიმონი მოკლეს პრიტანეონთან ღამით, მიგზავნილი კაცების ხელით. დასაფლავებულია კიმონი ქალაქის წინ იმ გზის გადაღმა, რომელიც გადადის ე.წ. კოდლეზევ. ხოლო მის პირდაპირ დასაფლავებული არიან ის ფაშატები, რომლებმაც მას სამ ოლიმპიადაზე მოუპოვეს გამარჯვება. ასევე გაითქვეს სახელი სხვა ფაშატებმაც, სახელდობრ ევაგორეს ლაკონელისამ, მაგრამ მათზე უფრო მეტი გამარჯვება სხვას არ ხვდომია წილად. ხოლო კიმონის შვილთაგან უფროსი იყო სტესაგორესი, რომელიც იმ დროს იზრდებოდა ქერსონესში თავისი მამის ძმასთან, მილტიადესთან. უმცროსი შვილი კი იმყოფებოდა თვით კიმონთან ათენში: სახელად მას მილტიადესი ერქვა ქერსონესის დამაარსებელის, მილტიადესი სახელის მიხედვით.

104. ამრიგად, ის მილტიადესი მხედართმთავრობდა მაშინ ათენელებს, რომელიც მოვიდა ქერსონესიდან და ორჯერ გადაურჩა სიკვდილს. ერთხელ მაშინ, როდესაც ფინიკიელებმა მისდიეს მას ვიდრე იმბროსამდე და ყველაფერს იზამდნენ საიმისოდ, რომ ის შეეპყროთ და მეფისათვის⁴ მიეგვარათ, ხოლო მეორედ მაშინ, როდესაც გამოექვა ამათ და მოვიდა თავის ქვეყანაში, ფიქრობდა, რომ უკვე გადარჩენილია და მაშინ, მისმა მტრებმა, რომლებიც მას ელოდებოდნენ, სასამართლოში წაიყვანეს და ბრალს სდებდნენ ქერსონესში ტირანოებისათვის. იგი ამათაც გადაურჩა და ხალხის მიერ არჩეული დააყენეს ათენელთა მხედართმთავრად.

105. პირველად, როდესაც ჯერ კიდევ ქალაქში იყვნენ, მხედართმთავრებმა სპარტეში გაგზავნეს მაცნედ ათენელი ფილიპიდესი, რომელიც საერთოდ მალიადმსრბოლი იყო და ამ საქმიანობას ეწეოდა. როგორც თვითონ ფილიპიდესი ჰყვებოდა და როგორც ამცნო მან ათენელებს, პართენიონის მთასთან, რომელიც ტეგეეს ზემოთაა, შეხვდა მას პანი. პანმა ფილიპიდესს სახელი დაუძახა და უბრძანა გადაეცა ათენელებისათვის, რატომ არ ზრუნავენ ისინი მისთვის, მაშინ, როდესაც ის ათენელების მიმართ კეთილად არის განწყობილი. უკვე მრავალგზის უქნია მათთვის სიკეთე და კვლავაც უზამს; ათენელებმა, რაკილა მათი საქმეები კარგად წარიმართა, ირწმუნეს, რომ ეს მართალია და აკროპოლისის ქვემოთ ააგეს პანის სამლოცველო და ამ ცნობის მიღებიდან მოყოლებული, ყოველწიურად მსხვერპლშეწირვებითა და ჩირაღდნებიანი პროცესიით ადიდებდნენ მას.

106. როდესაც გაგზავნეს მხედართმთავარმა ეს ფილიპიდესი (მაშინ, მან რომ თქვა, პანი მეჩვენაო), ათენელთა ქალაქიდან გამოსული, მეორე დღეს უკანვე სპარტეში იყო, მივიდა მის მმართველებთან და უთხრა: "ლაკედემონელებო, ათენელები გთხოვენ თქვენ დაეხმაროთ და არ დაუშვათ ის, რომ ელინთა უძველესი ქალაქი ბარბაროსთა მონობაში ჩავარდეს. რადგან ერეტრია უკვე დამორჩილებულია და ელიდა ამჟამად ერთი მნიშვნელოვანი ქალაქით უფრო დარიბია". მან გადასცა სპარტელებს, რაც ნაბრძანები ჰქონდა, ხოლო სპარტელებმა გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ ათენელებს, მაგრამ ამით არ შეეძლოთ მაშინვე შეესრულებინათ გადაწყვეტილება, რადგან არ უნდოდათ კანონის დარღვევა. მაშინ თვის მეცხრე დღე იდგა, ხოლო მათ თქვეს, რომ მეცხრე დღეს ვერ გამოვლენ თავის ქვეყნიდან, რადგან მთვარე ჯერ სავსე არ არისო.

107. ვიდრე ესენი მთვარის ავსებას უცდიდნენ, ჰიპიესმა, პედისტრატოსის ძემ, ბარბაროსები მარათონში მიიყვანა, ხოლო წინა ღამით ძილში მან ასეთი სიზმარი ნახა: ეჩვენა ჰიპიესს, თითქოს თავის საკუთარ დედასთან იწვა. ამ სიზმრის მიხედვით მან დაასკვნა, რომ დაბრუნდება ათენში, თავის ძალაუფლებას აღიდგენს და თავის სამშობლოში გარდაიცვლება მოხუცებული. სიზმრის მიხედვით მან ასე დაასკვნა. ახლა კი მიუძღვებოდა სპარსელებს, ჯერ ერეტრიდან წამოყვანილი ტყვეები გადმოსხა სტირეელთა კუნძულზე, რომელსაც ეწოდება აფილიე, ხოლო შემდეგ მანვე დააყენა ლუზაზე მარათონში წაყვანილი ხომალდები და ხმელეთზე გადმოსული ბარბაროსები საბრძოლოდ დარაზმა. ის რომ ამას აწესრიგებდა, მოხდა ისე, რომ აუტყდა ცხვირის ცემინება და ხველება იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე მან ჩვეულებრივ იცოდა. რადგან ხნიერი იყო, კბილების მეტი წილი ენძრეოდა, ხოლო ძლიერი ხველების სედეგად ერთი კბილი კიდევაც გამოუვარდა პირიდან. კბილი ქვიშაში ჩავარდა და ჰიპიესმა ბევრი ეძება, რომ ეპოვნა. რაკი კბილი ვერ იპოვა, ამოიოხრა და მის გვერდზე მდგომთ უთხრა: „ეს მიწა ჩვენი არაა და ვერც შევძლებთ მის დამორჩილებას, რამდენიც მე ჩემ წილად მეკუთვნოდა, ის ჩემმა კბილმა დაიჭირა“. ჰიპიესმა დაასკვნა, რომ ასე ასრულდა მისი სიზმარი.

108. ჰერაკლეს ჭალაში დარაზმულ ათენელებთან მშველელად უკლებლივ მოვიდნენ პლატეელები. პლატეელები თავისი ნებით უკვე მორჩილებდნენ ათენელებს და ათენელებს მათ გამო ბევრი ჯაფა ჰქონდათ გაწეული. ხოლო ისინი ათენელებს ამგვარად ჩაბარდნენ: თებელების მიერ შევიწროვებული პლატეელები პირველად აპირებდნენ მინდობოდნენ კლეომენესს, ანაქსანდრიდესის ძეს და ლაკედემონელებს, რომლებიც იქ აღმოჩნდნენ. მაგრამ მათ არ მიიღეს ისინი და უთხრეს მათ შემდეგი: "ჩვენ თქვენგან შორს ვცხოვრობთ, ამიტომ ასეთ პირობებში ჩვენის მხრიდან დახმარება მეტისმეტად უმნიშვნელო იქნება, რადგან მრავალგზის მოასწრებთ თქვენ ტყვეობაში ჩაცვივნას, ვიდრე ვინმე ჩვენგანი ამას შეიტყობს. ჩვენ გირჩევთ, ჩაჰბარდეთ ათენელებს, თქვენს მეზობლებს, რომლებიც ცუდი მფარველები არ იქნებიან". ეს ურჩიეს ლაკედემონელებმა არა იმიტომ, რომ კეთილს იზრახავდნენ პლატეელების მიმართ, არამედ იმიტომ, რომ უნდოდათ ათენელებისათვის სადარდებელი გაეჩინათ - ბეოტიელებთან ომები. ლაკედემონელებმა რომ პლატეელებს ეს ურჩიეს, იმათაც დაუჯერეს და როდესაც ათენელები თორმეტი ღვთაების დღესასწაულს იხდიდნენ, მავედრებლად დასხდნენ საკურთხეველთან და თავისი თავი მათ ჩააბარეს. თებელებმა რომ ეს შეიტყვეს, გაილაშქრეს პლატეელებზე. ამათ კი ათენელები დაეხმარნენ. ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ ეს არ დაუშვეს კორინთელებმა, რომლებიც აქ აღმოჩნდნენ და როდესაც ორივე მხარემ

მომრიგებლობა დააკისრა, შეარიგეს ისინი და მიწაზედაც საზღვარი დაუდგეს იმ პირობით, რომ თებელები თავს დაანებებდნენ იმ ბეოტიელებს, ვისაც არ სურდა ბეოტიელთა კავშირის წევრობა. კორინთელებმა რომ მოაგვარეს ეს ამბავი, წავიდნენ, ხოლო შემდეგ ათენელები რომ მოდიოდნენ, ბეოტიელები დაესხნენ მათ თავს, დაესხნენ, მაგრამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ. ხოლო შემდეგ ათენელებმა გადალახეს ის საზღვრები, რომლებიც კორინთელებმა პლატეელებს დაუწესეს. ეს საზღვრები გადალახეს და თებელთა და პლატეელთა საზღვრად თვით ასოპოსი და ჰისიე დააწესეს. აი, ამგვარად მოხდა, რომ მიენდვნენ პლატეელები ათენელებს, ახლა კი მოვიდნენ მათ მეშველად მარათონში.

109. ათენელ მხედართმთავართა აზრი გაიყო, ერთ ნაწილს არ სურდა ბრძოლა (რადგან მცირერიცხოვანნი ვართ მიდიელთა ლაშქართან შესაბრძოლებლად), მეორე ნაწილი კი მომხრე იყო ბრძოლისა და მათ შორის იყო მილტიადესიც. აზრი რომ გაიყო, გამარჯვება ამ აზრთა შორის უარესისაკენ იხრებოდა და მაშინ ოხდა ასეთი რამ: იყო მეთერთმეტე ხმოსანიც, რომელიც კენჭისყრით იყო არჩეული ათენელთა პოლემარქოსად (ძველად ათენელები პოლემარქოსს მხედართავრების თანაბარ ხმას ანიჭებდნენ). ხოლო ეს პოლემარქოსი იყო კალიმაქოს აფიდნელი. მასთან მივიდა მილტიადესი და უთხრა: "კალიმაქოს, შენზეა ახლა დამოკიდებული, ათენი მონობაში ჩავარდება, თუ გათავისუფლდება და თუ გათავისუფლდა, მაშინ დაუტოვებ შენს შესახებ ისეთ მოგონებას ადამიანთა ყველა მომდევნო თაობას, როგორც არ დაუტოვებია ჰარმოდისსა და არისტოგეიტონს, და არც სხვა ვინმეს მას მერე, რაც ათენელები არსებობენ, ახლაა, რომ უდიდესი საფრთხის წინაშე დგანან. თუ ისინი დაიმორჩილეს მიდიელებმა, სრულიად ცხადია, რა მოელით ჰიპიესის ხელში ჩაცვენით. ხოლო თუ ამ ქალაქმა გაიმარჯვა, მას შეუძლია პირველი გახდეს ელინურ ქალაქთა შორის. ახლა კი მოგიტხოვრებ, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს, და რატომაა, რომ ამ საქმეში გადაწყვეტა შენზეა დამოკიდებული; ჩვენი, ათი მხედართმთავრის, აზრი გაიყო: ერთნი ვამბობთ, რომ ბრძოლა გაიმართოს, ხოლო მეორენი ამბობენ, არ უნდა მოხდეს შეტაკებაო. თუ არ ვიბრძოლებთ, ასე მგონია, რომ რაღაც დიდი განხეთქილება ჩამოვარდება და შეანჯღრევს ათენელთა გონებას და მათ მიდიელთა მომხრეებად აქცევს. ხოლო თუ ჩვენ მანამ დავესხმებით თავს, სანამ ათენელთა შორის თავს იჩენს განხეთქილება, მაშინ ღმერთები სამართლიანობას გამოიჩენენ და ჩვენ შევძლებთ ბრძოლაში გამარჯვებას. ამგვარად ეს ყოველივე შენ ხელშია და შენზეა დამოკიდებული. რადგან თუ ჩემს მხრეს დაიჭერ, შენი სამშობლო თავისუფალი იქნება და შენი ქალაქი პირველი გახდება ელადის ქალაქთა შორის. ხოლო თუ იმათ აზრს მივემხრობით, რომელთაც ბრძოლა არ უნდათ, მაშინ, იმის საწინააღმდეგო მოხდება, რაც კი რამ კარგი ჩამოგიტოვალე".

110. ასე ელაპარაკა მილტიადესი კალიმაქოსს და მიიმხრო კიდევაც და როდესაც ამათ დაჯგუფებას მიემათა პოლემარქოსის ხმა, გადაწყდა შებრზოლება. ამის შემდეგ ის მხედართმთავრები, რომლებიც მომხრე იყვნენ შებრძოლებისა, თავის წილხვდომილ წინამძღოლობას გადასცემდნენ ხოლმე მილტიადესს; ისიც ღებულობდა მათგან ამას, მაგრამ მანამ არ დაიწყო ბრძოლა, ვიდრე მისი საკუთარი რიგი არ მოვიდა წინამძღოლობისა.

111. როდესაც მისი რიგი მოვიდა, ათენელები ამგვარად იყვნენ საბრძოლოდ მოწყობილი: მარჯვენა ფრთას წინამძღოლობდა კალიმაქოს პოლემარქოსი, რადგან

მაშინ ათენელებს ასეთი კანონი ჰქონდათ, რომ პოლემარქოსს უნდა სჭეროდა მარჯვენა ფრთა; ის წინამძღოლობდა და მას მისდევდნენ ერთმანეთის მიყოლებით სხვა ფილები, თავთავიანთი რიგის მიხედვით. ხოლო სულ ბოლოს პლატეელები იყვნენ დარაზმული და ეჭირათ მარცხენა ფრთა. სწორედ ამ ბრძოლის მერეა, რომ სხვერპლშეწირვის დროს, საყოველთაო დღესწაულზე, რაც ხდება ყოველ მეხუთე წელს, ათენელთა მაცნე ლოცულობს და ამბობს, რომ სიკეთე ათენელებთან ერთად მიენიჭოთ პლატეელებსაცო: როდესაც ათენელები დაეწყვნენ მარათონში, მოხდა ასეთი რამე: მათ ლაშქარი რომ გაუსწორდა მიდიელთა ლაშქარს, მის შუა ნაწილში მწყობრი შეთხელებული იყო და ჯარი ყველაზე მეტად ამ ადგილას მოისუსტებდა, ორთავე ფრთა კი ძლიერი იყო, სწორედ მწყობრების სიმრავლის შედეგად.

112. როგორც კი მოეწყვნენ და მსხვერპლშეწირვამაც კარგი ნიშნები უჩვენა, ათენელები დაიდრნენ და სირბილით მიაშურეს ბარბაროსებს. მანძილი ამ ორ მებრძოლ ბანაკს შორის 8 სტადიონზე ნაკლები არ იყო. სპარსელებმა რომ დაინახეს სირბილით მომავალი მტერი, მოემზადნენ მათ შესახვედრად, თან იცქირეს, ათენელები სულ გაგიჟებულანო, როდესაც დაინახეს, რომ ისინი, ასე მცირერიცოვანნი, სირბილით მოემშურებიან ამათკენ, ისე რომ არც მხედრობა ჰყავდათ და არც მშვილდოსნები. ასე ფიქრობდნენ ბარბაროსები. ხოლო ამასობაში ათენელები, ყველანი ერთად ეკვეთნენ ბარბაროსებს და მართლაც რომ ღირსეულად იბრძოდნენ. ჩვენთვის ცნობილ ელინთა შორის, პირველად სწორედ მათ შეუტოეს მტერს სირბილით, ისევე როგორც პირველები იყვნენ იმ ხალხთა შორის, რომლებიც უყურებდნენ და მშვიდად იტანდნენ მიდიურ ტანსაცმელს და ამ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს. აქამდე კი ელინებს მიდიელთა მხოლოდ სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა.

113. მარათონში ბრძოლამ დიდხანს გასტანა. ბანაკის შუაგულში, რომლის წინააღმდეგაც თვით სპარსელები და საკები იყვნენ დაწყობილი, ბარბაროსებმა გაიმარჯვეს. აქ რომ გაიმარჯვეს ბარბაროსებმა, გაარღვიეს მოწინააღმდეგის რიგები და მისდიეს მას შიგნით, ხმელეთისაკენ, ხოლო ორთავე ფრთაზე გაიმარჯვეს ათენელებმა და პლატეელებმა. გამარჯვებულებმა ბარბაროსთან ნაწილი გააქციეს, ხოლო თვითონ შეაერთეს ორივე ფრთა და შეებრძოლნენ ბანაკის შუაგულის გამრღვევთ, ისე რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს ათენელებმა. გაქციულ სპარსელებს მისდიეს და ჩეხავდნენ, ვიდრე არ მიაღწიეს ზღვამდე, სადაც მოითხოვეს ცეცხლი და თავს ესხმოდნენ ხომალდებს.

114. ამ უკანასკნელი შეჯახებისას დაიღუპა კალიმაქოს პოლემარქოსი, შესანიშნავი ვაჟკაცი, ხოლო მხედართმთავართანგა დაეცა სტესილეოსი, თრასილოსის ძე. აქვე დაეცა კინეგეაროსი, ევფორიონის ძე, რომელიც ეჭიდებოდ ხომალდის კიჩოს და რომელსაც ნაჯახით მოჭრეს ხელი. აქვე დაიღუპა ათენელთაგან სხვა მრავალი, სახელოვანი კაცი.

115. ათენელებმა ამ დროს შვიდი ხომალდი ჩაიგდეს ხელში, ხოლო დანარჩენი ხომალდებით ზღვაში გავიდნენ ბარბაროსები, წაიყვანეს კუნძულზე დატოვებული ერეტრიელი ტყვეები, გარსემოუარეს სუნიონს, რადგან უნდოდათ ათენელებისათვის მიესწროთ ქალაქში მისვლა. ათენელებს ეჭვი დაებადათ, რომ ეს აზრი მზაკვრულად ჩააგონეს ალკმეონიდებმა სპარსელებს. რადგან ესენი თითქოს

შეთანხმებული იყვნენ სპარსელებთან და ფართი ანიშნეს კიდევაც, როდესაც სპარსელები უკვე თავის ხომალდებზე ისხდნენ.

116. ესენი რომ სუნიონს გარს უვლიდნენ, ათენელები მთელი სისწრაფით გაემუხრნენ ქალაქისაკენ, მის დასაცავად და მას ბარბაროსების მისვლამდე მიაღწიეს. მარათონის ჰერაკლეს ტაძრიდან მოსულმა ათენელებმა დაიბანაკეს ჰერაკლეს სხვა ტაძართან, რომელიც კინოსარგესშია. ბარბაროსები კი ხომალდებით ავიდნენ ფალერონზე ზემოთ (ეს იყო მაშინ ათენელთა ნავსადგური). ერთხანს გაჩერდნენ აქ და მერე ხომალდებით გასცურეს უკან აზიაში.

117. მარათონის ამ ბრძოლაში დაიხოცა ბარბაროსთაგან დაახლოებით 6400 კაცი, ხოლო ათენელთაგან 192. ამდენი კაცი დაიღუპა ორივე მხრიდან. იქვე მოხდა ასეთი სასწაული: ათენელი ეპიძელოსი, კუფაგორესის ძე, იბრძოდა ამ ომში, თავი გამოიჩინა კარგი ვაჟკაცობით, მაგრამ დაკარგა თვალის ჩინი, ისე, რომ არ ჰქონდა დაზიანებული სხეულის არც ერთი ნაწილი და საერთოდ არაფერი მოხვედრია. ამის მერე მთელი თავისი სიცოცხლე ისე გაატარა, რომ უსინათლო იყო. მე თვით მოვისმინე, რას ყვებოდა ის ამ უბედურების შესახებ; მას ეჩვენა, თითქოს წინ ზორბა, მძიმედ შეიარაღებული ვაჟკაცი აღემართა, რომლის ნიკაპი მთელ ფარს ჩრდილავდა, ამ მოჩვენებამ მას გვერდით ჩაუარა, მაგრამ მასთან მდგომი მეზრძოლი კი მოკლა. როგორც შევიტყვე, ამას ყვებოდა ეპიძელოსი.

118. ხოლო დატისი ლაშქართან ერთად წავიდა აზიაში და მიკონოსში ყოფნისას ძილში სიზმარი ნახა. როგორი იყო სიზმარი, არ ამბობენ; ხოლო მან, ინათა თუ არა, მოაწყო ხომალდების ჩხრეკა და ფინიკიურ ხომალდზე რომ აპოლონის მოოქრული ქანდაკება იპოვა, გამოიკითხა, საიდანაა მოტაცებულიო. როდესაც შეიტყო, თუ რომელი ტაძრიდან იყო, თავისი ხომალდით გაემართა დელოსზე. დელოსელები ამ დროისათვის დაბრუნდნენ უკან კუნძულზე, ხოლო დატისმა დაუდგა მათ ქანდაკება ტაძარში და უბრძანა დელოსელებს, წაეღოთ ის თებელთა დელიონში, რომელიც ზღვისპირას, ქალკიდის პირდაპირაა. დატისმა ეს უბრძანა და უკან გასცურა. ხოლო დელოსელებს ეს ქანდაკება არ წაუღიათ არსად, სმაგიეროდ 20 წლის შემდეგ თვითონ თებელებმა წაიღეს დელიონში ეს ქანდაკება ღვთის განგების მინიშნებით.

119. აიზიაში ხომალდებით მოსულმა დატისმა და არტაფრენესმა დატყვევებული ერეტრიელები სუსასი წაიყვანეს. მეფე დარიოსი, ვიდრე ერეტრიელები ტყვედ ჩაცვივდებოდნენ, საშინლად იყო მათზე განრისხებული, რადგან ერეტრიელები მიაჩნდა მას უსამართლობის პირველ მიზეზად. მაგრამ როდესაც მან ისინი თავისთან მოაყვანიდა და თავის ხელქვეითებად აქცია, ცუდი არაფერი გაუკეთა, დაასახლა კისიის ქვეყანაში, თავის მამულში, რომელსაც სახელად ჰქვია არდერიკა, რაც სუსიდან 210 სტადიონით არის დაშორებული, ხოლო 40 სტადიონით იმ ჭიდან, საიდანაც სამგვარი რამ ამოაქვთ: ასფალტი, მარილი და ზეთი, რომელსაც ასე იღებენ: მხრეულზე კასრის მაგიერ ამაგრებენ ნახევარ ტიკს, რასაც ჩაუშვებენ ხოლმე ჭაში და იქიდან სითხეს იღებენ, რომელსაც შემდეგ ასხამენ წყალსაცავში. აქედან ამ სითხეს გადაასხამენ სხვა ჭუჭყელში, სადაც იმ სამ სახეს ღებულობს, ასფალტი და მარილი მაშინვე მკვრივდებიან, ხოლო ზეთი, რომელსაც სპარსელები რადინაკეს უწოდებენ, შავია და მყრალი. აქ დაასახლა მეფე დარიოსმა ერეტრიელები, რომლებიც

ჩემს დრომდე ცხოვრობენ ამ ქვეყანაში და ლაპარაკობენ თავის ძველ ენაზე. ასე იყო ერეტრიელთა ამბები.

120. მგარის ავსების შემდეგ ათენში მოვიდა 2000 ლაკედემონელი, რომლებმაც ისეთი გულმოდგინება გამოიჩინეს, რომ სპარტიდან გამოსვლის მესამე დღეს უკვე ატიკაში იყვნენ. მათ ბრძოლაში დაავიანდათ, მაგრამ უნდოდათ, მიდიელები დაეზვერათ, ამიტომ მივიდნენ მარათონში და დაზვერეს. ხოლო მას შემდეგ, რაც შეაქეს ათენელები და მათი გმირობა, უკან გაბრუნდნენ.

121. ჩემთვის საკვირველია და მიუღებელი ის აზრი, თითქოს ალკემონიდეებმა უჩვენეს სპარსელებს ფარი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე და რომ მათ უნდოდათ ათენელები ბარბაროსებისა და ჰიპიესის ხელქვეითები გამხდარიყვნენ; რადგან ალკემონიდეებმა გვიჩვენეს, რომ ტირანიის მოძულენი იყვნენ უფრო მეტად, ან ისე მაინც, როგორც კალიეს ფადნიპოსის ძე, ჰიპონიკოსის მამა, რადგან ყველა ათენელს შორის მხოლოდ კალიესი ბედავდა პედისტრატის ქონების ყიდვას, როდესაც მას ათენიდან აძევებდნენ და მისი ქონება სახელმწიფო მაცნეს მიერ გასაყიდად გამოცხადდებოდა ხოლმე. და ეს კალიესი იყო, რომელიც პედისტრატოსის მიაძრთ ყველაფერს მეტისმეტად მტრულს მოიგონებდა ხოლმე.

122. ეს კალიესი იმისი ღირსია, რომ ხშირად მოიგონოს ყველა ადამიანი. ჯერ ერთი იმის გამო, რაც ზემოთ ითქვა - როგორც სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებული ადამიანი, მეორეც იმის გამო, რასაც მან ოლიმპიადაში მიაღწია, გაიმარჯვა ცხენების შეჯიბრში, ხოლო ოთხცხენიანი ეტლების შეჯიბრში მეორე ჯილდო მიიღო. ამაზე უწინ გაიმარჯვა პითიურ დღესასწაულზე და ელინთა შორის თავი გამოიჩინა უდიდესი ხელგაშლილობით. კიდევ იმისათვის არის მოგონების ღირსი, რაც მან გააკეთა თავისი სამი ასულისათვის. როდესაც მათი გათხოვების დრო დადგა, თითოეულ მათგანს მისცა ძალიან მდიდრული მზითევი და ასიამოვნა სამთავეს იმით, რომ მიათხოვა იმ კაცებს, ვინც კი მოინდომეს მისმა ასულებმა და თავის საქმროებად ამოირჩიეს ათონელთა შორის.

123. ხოლო ალკემონიდეებს სძულდათ ტირანია ან ისევე, როგორც კალიესს, ანდა მასზე მეტად. ამიტომაც, რომ მაკვირვებს ეს ამბავი და არც ვიჯერებ იმ ცილისწამებას, თითქოს მათ ფარით ანიშნეს სპარსელებს. რადგან ტირანების დროს ისინი სულ გაძევებული იყვნენ და სწორედ მათ მოახერხეს ის, რომ პედისტრატიდეებმა დაკარგეს ტირანია; ამგვარად, ჩემი აზრით, ალკემონიდეებმა უფრო მეტი გააკეთეს ათენის განთავისუფლებისათვის, ვიდრე ჰარმოდისმა და არისტოგეეტონმა. რადგან მათ ჰიპარქოსის მოკვლით გააბოროტეს დანარჩენი პედისტრატიდეები და ვერ მოშასლეს ამით დანარჩენების ტირანია. ხოლო ალკემონიდეებმა ნამდვილად გაათავისუფლეს ათენი, თუკი ნამდვილია ის ამბავი, რომ მათ ჩააგონეს პითიას, ლაკედემონელებისათვის ენიშნებინა ათენის განთავისუფლება, რის შესახებაც მე ზემოთ ვილაპარაკე.

124. თუმცა შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ისინი გაჯავრებულები იყვნენ ათენელ ხალხზე და გასცეს თავისი სამშობლო, მაგრამ მათზე უფრო სახელოვანი და მეტად პატივცემული პირები არ ყოფილან ათენელთა შორის. ისე რომ არაა მისაღები

ის აზრი, თითქოს მათ ფართო ანიშნეს მტერს რაიმე ღალატის მიზნით. მაგრამ ფარი რომ მართლაც აიწია რაღაცის სანიშნებლად, ამის უარყოფა არ შეიძლება, რადგან მართლაც მოხდა ასე, მაგრამ ვინ ასწია ფარი, ამის შესახებ მეტ ვერაფერს ვიტყვი.

125. ალკემონიდების გვარი ძველიდანვე იყო სახელგანთქმული ათენში. მაგრამ ჯერ ალკემონისა და მერე კიდევ მეგაკლეესის შემდეგ ისინი განსაკუთრებით გაბრწყინდნენ. ჯერ ეს ერთი, ალკემონი, მეგაკლეესის ძე დიდი ხალისით ეხმარებოდა სარდელ ლიდიელებს, რომლებიც მოვიდნენ კროდსოსისგან ღვთის განგების შესატყობად დელფოში და მათ შემწობა აღმოუჩინა; ხოლო კროდსოსმა რომ გაიგო ღვთისგანგების შესატყობად წარგზავნილ ლიდიელთაგან ალკემონის კეთილი საქციელი მის მიმართ, მიიწვია ის სარდელში და მოსულს აღუთქვა საჩუქრად იმდენი ოქრო, რამდენის გატანასაც შესძლებდა ის თვითონ ერთგზობაზე. ხოლო ამნაირი საჩუქრის დაპირების მერე ალკემონმა შემდეგ ხერხს მიმართა და ასე გაიტანა ოქრო: მან ჩაიცვა დიდი ქიტონი და ისე ჩაიცვა, რომ ამ ქიტონს წინ ღრმა უბე დაჰკიდებოდა; ფეხებზე ამოიკრა კოთორნები, ყველაზე უფრო ფართო, რაც კი იპოვა და შევიდა საგანძურში, რომელშიც ის შეიყვანეს. შევიდა ოქროს ქვიშის გროვაში და პირველად წვივების ირგვლივ ჩაიყარა იმდენი ოქრო, რამდენსაც დაიტევდნენ კოთორნები. შემდეგ უბე აივსო ოქროთი, მერე ოქროს ქვიშა დაიყარა თავზე თმებსი, პირიც გამოივსო და ასე გავიდა საგანძურიდან, ძლივს მიათრევდა კოთორნებს და ადამიანის გარდა ყველაფერს ჰგავდა, მას პირი ჰქონდა გამოვსებული და მთლიანად გაბერილი იყო. კროდსოსს მის დანახვაზე სიცილი წასკდა და მისა მას მთელი ეს ოქრო და კდიევ სხვაც აჩუქა, არანაკლები ამაზე. ასე გამდიდრდა ეს სახლი და ამავე ალკემონმა ოლიმპიადაზე გამარჯვება მოიპოვა თავისი საკუთარი ოთხცხენიანი ეტლით.

126. ხოლო შემდეგ, მეორე თაობაში, სიკიონელმა ტირანმა კლემსთენესს, არისტონიმოს მირონის ძის ძეს (ხოლო მირონი ანდრიესის ძე იყო) ჰყავდა ასული, რომელსაც სახელად ერქვა აგარისტე. მამამ მოისურვა მისი გათხოვება ისეთ კაცზე, ვინც ელინთა შორის საუკეთესო აღმოჩნდებოდა. ოლიმპიური შეჯიბრებების დროს კლემსთენესმა მოიპოვა გამარჯვება ოთხცხენიანი ეტლით და მან მაცნეს შემდეგი გამოაცხადებინა, ელინთა შორის ვისაც თავი მიაჩნია კლემსთენესის სიძეობის ღირსად, მესამოცე დღეს, ან უფრო ადრე, მოვიდეს მასთან სიკიონში, რადგან კლემსთენესს ქორსილი აქვს გადაწყვეტილი ამ წელიწადში ამ მესამოცე დღიდან დაწყებული. მაშინ ის ელინები, რომლებიც ამყობდნენ თავისი თავით, ან თავისი სამშობლოთი, მივიდნენ მასთან, როგორც სასიზოები. ხოლო კლემსთენესმა მათ მოუწყო სარბიელი და საასპარეზო მოედანი.

127. იტალიიდან მოვიდა სიბარსელი მინდრიდეს ჰიპოკრატეს ძე, რომელიც სიმდიდრით ყრველას აღემატებოდა (სიბრისი ამ დროს განსაკუთრებით ყვაოდა), აგრეთვე სირისელი დამასოსი, ბრძენად წოდებული ამირისის შვილი. ესენი მოვიდნენ იტალიიდან, ხოლო იონიის უბიდან ამფიმნესტოს ეპისტროფოსის ძე, ეპიდამენელი. ეს მოვიდა იონიის უბიდან. ეტოლიიდან მოვიდა მალესი, ძმა იმ ტიტორმოსისა, რომელიც ყველა ელინს აღემატებოდა ძალით და ადამიანებს ეტოლიდის ქვეყნის კიდეზე გაექცა. პელოპონესიდან მოვიდა არგოსელთა ტირანის ფედონის შვილი ლეოკედესი, იმ ფედონისა, რომელიმაც პელოპონესელებს საზომები შეუქმნა და ყველა ელინზე უფრო მედიდური იყო. მან გამოაძევა ელეელი

მსაჯები და თვითონ მიისაკუთრა ოლიმპიაში შეჯიბრების მსაჯობა. ამას გარდა მოვიდა შვილი ლიკურგოსისა, ამიანტოსი, არკადიელი, ტრაპეპუნტიდან, ხოლო ქალაქ პადონიდან აძანიელი ლაფანესი, იმ ევფრიონის ძე, რომელმაც, როგორც ამბობენ, არკადიაში თავისთან მიიღო დიოსკურები და ამ დროიდან ყველა მოსულ ადამიანს კარგად ხვდებოდა. ასევე მოვიდა ელეელი ონომასტოსი, აგადოსის ძე. ესენი მოვიდნენ სწორედ პელოპონესიდან, ხოლო ათენიდან მოვიდნენ: მეგაკლეესი, იმ ალკემეონის ძე, რომელიც კროსოსთან იყო და კიდევ ჰიპოკლეედესი, ტემსანდროსის ძე, ათენელთა შორის სიმდიდრითა და შესახედაობით გამორჩეული, ხოლო ერეტრიიდან, რომელიც ამ დროს ყვაოდა, მოვიდა ლისანიესი. ევბიდან მხოლოდ ეს იყო. თესალიიდან მოვიდა კრანონიელი დიაქტორიდესი, სკოპადთაგანი, ხოლო მოლოსელთაგან ალკონი. აი ესენი იყვნენ სასიძოები.

128. როდესაც მოვიდნენ ესენი დანიშნულ დღეს, კლემსტენესმა ჯერ მათი სამშობლო და თითოეულის წარმოშობა გამოიკვლია, ხოლო შემდეგ გააჩერა ისინი თავისთან მთელ წელიწადს და ცდიდა მათ ვაჟკაცობას, მიდრეკილებებს, განათლებას და ჩვევებს. ამიტომ იყო, რომ ესაუბრებოდა მათ სათითაოდ და ხანდახან ყველას ერთად. მათ შორის უფრო ახალგაზრდები ფიზიკურ ვარჯიშობაში გამოჰყავდა, ხოლო უფრო მეტად კი საერთო წვეულებებზე ცდიდა. მთელი ამ ხნის განამჯობაში ყველაფერს აკეთებდა მათთვის და ამასთანავე საგანგებოდ უმასპინძლებოდა მათ. სასიძოთა შორის მას განსაკუთრებით მოეწონა ათენიდან მოსულები, ხოლო მათ შორის ამჯობინებდა ჰიპოკლეედესს ტემსანდროსის ძეს, რომელიც გამოირჩეოდა ვაჟკაცობით და იმითაც, რომ წარმოშობით ნათესავი იყო კორინთელი კიფსელიდებისა.

129. დადგა ქორწილის დღე, როდესაც, თვითონ კლემსტენესის გადაწყვეტილების თანახმად, მას უნდა გამოეჩინა მოსულთა შორის სასიძო. ამ დღეს კლემსტენესმა 100 ხარი დააკვლევინა და გაუმასპინძლდა არა მხოლოდ სასიძოებს, არამედ ყველა სიკიონელს. როდესაც წვეულება დამთავრდა, სასიძოები შეეჯიბრნენ ერთმანეთს მუსიკასა და საჯარო პაექრობაში. სმის დროს სხვებს ჰიპოკლეედესმა გადააჭარბა, როდესაც უბრძანა ავლოსზე დამკვრელებს, დაეკერა საცეკვაო, ხოლო როდესაც ავლოსზე დამკვრელმა აასრულა მისი განკარგულება, მან იციკვა. იგი თვითონ ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ცეკვით, ხოლო კლემსტენესი, რომელიც უყურებდა მთელ ამ ამბავს, შემფოთებული იყო. ცოტა ხნის შემდეგ, ჰიპოკლეედესმა ბრძანა, რომ ტაბლა შემოეტანათ, როდესაც შემოიტანეს ტაბლა, იმან ტაბლაზე ჯერ ლაკონური ცეკვები იციკვა, ხოლო შემდეგ სხვა ცეკვები - ატიკური. მესამედ თავით დაეყრდნო მაგიდას და დაიწყო ფეხების ქნევა: კლემსტენესი, პირველად და მეორედ რომ ცეკვავდა ჰიპოკლეედესი, სანამ ჯერ კიდევ იმას ფიქრობდა, რომ ჰიპოკლეედესი მისი სიძე გახდებოდა, წუხდა მისი ცეკვისა და მოურიდებლობის გამო, მაგრამ იკავებდა თავს, არ უნდოდა შეეტია მისთვის. მაგრამ როდესაც დაიანხა მისი ფეხების ქნევა, ვეღარ შეიკავა თავი და უთხრა: " ტემსანდროსის ძე, ცეკვას შეეწირა შენი ქორწილი". ხოლო ჰიპოკლეედესმა უპასუხა: "მაგისი დარდი არა აქვს ჰიპოკლეედესს". აქედანაა, რომ ეს გამოთქმა დამკვიდრდა.

130. ხოლო კლემსტენესმა სიჩუმე დაამყარა და საჯაროდ გამოაცხადა: "ჩემი შვილის საქრმოებო, მე თქვენ ყველას გაქებთ და რომ შეიძლებოდეს, ყველას გასიამოვნებდით. არავის გამოვარჩევი თქვენს შორის და არც დანარჩენებს

უარვეყოფდი. მაგრამ რადგან მხოლოდ ერთი ქალწულის ბედი მაბარია, ამიტომ ყველას გუნებისად ვერ მოვიქცევი, მაგრამ იმათ, თქვენს შორის, ვისაც უარი ეთქმის ამ ქორწინებაზე, თითოეულს თითო ტალანტ ვერცხლს მოგცემთ იმისათვის, რომ პატივი მეცით და ჩემი ქალის შერთვა მოინდომეთ და თქვენს სახლს განშორებული იყავით. ხოლო ჩემ შვილს, აგარისტეს ათენელთა კანონების მიხედვით დავნიშნავ მეგაკლეესზე, ალკემონის ძეზე". რადგან მეგაკლეესმაც თქვა, რომ ნიშნას ქალს, კლემსთენესმა გადაწყვიტა ქორწინება.

131. ამგვარად, გადაწყდა სასიძოვების დავა და ასე გაითქვეს სახელი ალკემონიდებმა მთელს ელადაში. როდესაც ესენი შეუღლდნენ, გაჩნდა კლემსთენესი, რომელმაც დაუწესა ათენელებს ფილები და სახალხო მმართველობა, ხოლო სახელი მას თავისი დედის მამის, სიკიონელი კლემსთენესის მიხედვით ერქვა. მეგაკლეესს კიდევ ჰყავდა შვილი ჰიპოკრატესი, ხოლო ჰიპოკრატესს ჰყავდა მეორე მეგაკლეესი და მეორე აგარისტე, რომელსაც ახელი ერქვა კლემსთენესის ასულის, აგარისტეს მიხედვით. ეს აგარისტე მითხოვდა ქსანთიპოსს, არიფრონის ძეს, და ფეხმძიმედ რომ იყო, ძილში ნახა, თითქოს ლომი გააჩინა. რამდენიმე დღის შემდეგ მან ქსანთიპოსს გაუჩინა პერიკლეესი.

132. მარათონის ბრძოლის შემდეგ მილტიადესი, რომელიც ათენელთა შორის უწინაც სახელმოხვეჭილი იყო, განსაკუთრებით აღზევდა. მან მოსთხოვა ათენელებს 70 ხომალდი, ლაშქარი და ფული, ისე, რომ არ უთხრა მათ, თუ რომელ ქვეყანაზე აპირებს გალაშქრებას, მხოლოდ ის უთხრა, რომ თუ მას თან გაჰყვებიან, გამდიდრდებიან, რომ ის მათ წაიყვანს ისეთ ქვეყანაში, საიდანაც სულ ადვილად გადმოიტანენ უამრავ ოქროს. ეს უთხრა და მოითხოვა ხომალდები. ათენელები წახალისდნენ ამ დაპირებებით და მისცეს ყოველივე, რასაც ითხოვდა.

133. მილტიადესმა წამოიყვანა ლაშქარი და გაცურა პაროსის წინააღმდეგ. საბაბად ის მოიძო, თითქოს პაროსელებმა პირველებმა ილაშქრეს ათენელებზე, როდესაც სპარსელთან ერთად მოივდნენ მარათონში ტრიერებით. ეს მხოლოდ საბაბი იყო, ისე კი მილტიადესი გაჯავრებული იყო პაროსელებზე ლისაგორეს ტემსიესის ძის გამო, რომელიც წარმოშობით პაროსელი იყო და რომელმაც ცილი შესწამა მას ჰიდარნეს სპარსელთან. როდესაც მილტიადესმა მიაღწია ლაშქრით იმ ქვეყანას, სადაც მიცურავდა, ალყა შემოარტყა პაროსელებს, რომლებიც შერეკა ზღუდის შიგნით, შეუგზავნა მაცნე და მოითხოვა 100 ტალანტი. დაემუქრა, რომ თუ არ მისცემენ ამ თანხას, არ წაიყვანდა თავის ლაშქარს იმაზე უწინ, ვიდრე არ დაიპყრობდა მათ ქვეყანას. ხოლო პაროსელები სულაც არ ფიქრობდნენ, მილტიადესისათვის ფულის მიცემას და ის ადარდებდათ, თუ როგორ დაეცვათ თავისი ქალაქი. ბევრი რამ იღონეს საამისოდ და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ღამით კედლის ის ადგილები, რომლები თავსასხმისათვის ხელსაყრელი იყო, უწინდელთან შედარებით ორჯერ აამაღლეს.

134. ამგვარად მოგვითხრობს ამ ამბავს აქამდე ყველა ელინი, ხოლო ამის მერე თვით პაროსელები ამბობენ, რომ შემდეგი რამ მოხდა: როდესაც მილტიადესმა არ იცოდა, რა ექნა, მოვდია მასთან მოსალაპარაკებლად ერთი ტყვე ქალი, წარმოშობით პაროსელი, რომელსაც სახელად ერქვა ტიმო; იგი იყო მიწისქვეშეთის ღმერთების მცირე ქურუმი. იგი მივიდა მილტიადესთან და უთხრა, რომ თუ ასე უნდა პაროსის

აღება, მის რჩევას მიჰყვება. ამის მერე მან მისცა რჩევა, ხოლო მილტიადესი მივიდა ქალაქის წინ მდებარე ბორცვთან, გადახტა ზღუდეზე, რომელიც დემეტრე კანონმდებლის ტაძარს ერტყა (რადგან ვერ შეიძლო ბჭის გაღება), გადახტა და შევიდა საკურთხეველში, რომ რჩევის მიხედვით ემოქმედნა (ან უნდა შეხებოდა რაღაცას, ხელშეუხებელს, ან რაღაც სხვა უნდა გაეკეთებინა). ბჭესთან მისული, უცბად საოცარმა შიშმა აიტანა და უკან წამოვიდა იმავე გზით; ღობეზე რომ გადმოხტა, თემო იღრმო, ხოლო სხვები ამბობენ, მან ამ დროს მუხლი დაარტყაო.

135. მილტიადესი ცუდად იყო და ამიტომ გაცურა უკან, მაგრამ ვერც ფული მოუტანა ათენელებს და ვერც პაროსი მოუპოვა, თუმცა 26 დღე ჰქონდა ალყა შემორტყმული და მთლად გააჩანაგა კუნძული. პაროსელებმა რომ შეიტყვეს ღმერთების მცირე ქურუმი ტიმო წაუძღვება მილტიადესსო, მოუნდათ ამის გამო მისი დასჯა და დელფოში გაგზავნა კაცები ღვთის განგების შესატყობად, როგორც კი თავი დააღწიეს ალყას გაგზავნეს და შეეკითხნენ, მოკლან თუ არა ღმერთების მცირე ქურუმი იმისათვის, რომ მან მიუთითა მტერს სამშობლოს დაპყრობის საშუალებებზე და გაუმჟღავნა მილტიადესს საიდუმლოებანი, რომლებიც მამრობითი სქესისათვის დაფარული უნდა ყოფილიყო; ხოლო პითიამ არ დართო ამის ნება, თქვა, რომ ტიმო არ არის დამნაშავე, რადგან მილტიადესს კეთილი ბოლო არ ელის და ტიმო გამოეცადა მას იმისათვის, რომ ბოროტებისაკენ წაძლოლოდა. ასე გამოუცხადა პითიამ პაროსელებს.

136. ხოლო პაროსიდან დაბრუნებული მილტიადესი ათენელებმა ყბად აიღეს, სხვებმაც და განსაკუთრებით კი ქსანთიპოს არიფრონისე ძემ, რომელიც ათენელთა მოტყუების გამო მილტიადესის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა სახალხო კრებაზე მილტიადესი იქ კი იყო, მაგრამ არ იმართლებდა თავს (არ შეეძლო ლაპარაკი იმიტომ, რომ თემო უღპებოდა), თვითონ დაწოლილი ესწრებოდა სახალხო კრებას, მისი მეგობრები კი მას იცავდნენ; მრავალგზის გაიხსენეს მართონის ბრძოლა და ლემნოსის აღება, თუ როგორ აიღო მან ლემნოსი და გადასცა ათენელებს, რითაც სამაგიერო მიუზღო პელაზგებს, სახალხო კრებამ მილტიადესის მხარე დაიჭირა და აჩუქა მას სიცოცხლე, მაგრამ ასხელმწიფოს მიმართ დანაშაულისათვის 50 ტალანტით დააჯარიმა, ამის შემდეგ მილტიადესი მოკვდა თემოს ანთების და ლპობისგან, ხოლო ის 50 ტალანტი გადაიხადა მისმა შვილმა, კიმონმა.

137. ხოლო მილტიადესმა, კიმონის ძემ, ლემნოსი ასე დაიპყრო: პელაზგები ატიკიდან ათენელებმა გააძვეეს სამართლიანად, თუ უსამართლოდ, ვერაფეს ვიტყვი, გარდა იმისა, რასაც ამბობენ სხვები; მაგალითად ჰეკათაის ჰეგესანდროსის ძე ამბობდა თავის ისტორიაში, უსამართლოდო. ის მოგვითხრობს, რომ ათენელებმა ნახეს ის მიწა ჰიმესოსის ქვემოთ, რომელიც ოდესღაც თვით მისცეს საცხოვრებლად პელაზგებს, როგორც გასამრჯელო იმ ზღუდისათვის, რომელიც პელაზგებმა აკროპოლისს შემოავლეს. ეს მიწა კარგად დამუშავებული რომ დაინახეს ათენელებმა, (უწინ ის ცუდი იყო და უვარგისი), შეიპყრო ისნი შურმა და ამ მიწის ხელში ჩაგდება მოისურვეს, და ამიტომ გამოაძვეეს პელაზგები, სხვა არაფერი საბაბი ჰქონიათ ათენელებს. ხოლო, როგორც თვითონ ათენელები ამბობენ, სრულიად სამართლიანი იყო პელაზგების გამოძვეება, რადგან პელაზგები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჰიმესოსის ქვემოთ, არ ისვენებდნენ და ასეთ უსამართლობას ჩადიოდნენ: ათენელების ასეულები და ყრმები თვითონ დადიოდნენ წყლისათვის ენეა კრუნოსზე, რადგან ამ დროისათვის მონები ჯერ არ ჰყავდათ არც მათ და არც სხვა

ელინებს. როგორც კი მოვიდოდნენ ქალები, პელაზგები თავისი სითაცხედითა და უმეცრებით ძალას ხმარობდნენ ათენელებზე თავდასხმას იზრახავდნენ და ათენელებმა ამხილეს ისინი სწორედ მაშინ, როდესაც პელაზგები თავისი განზრახვის აღსრულებას აპირებდნენ, ხოლო ათენელები მათზე გაცილებით უკეთესები აღმოჩნდნენ, რადგან ბოროტის მზრახველი პელაზგები რომ დაიჭირეს, შეეძლოთ მათი მოკვლა და არ მოისურვეს, არამედ უთხრეს მათ რომ მიწა დაეტოვებინათ. ასე იყო, რომ პელაზგები გადმოსახლდნენ და სხვა ადგილებთან ერთად ლემნოსიც დაიჭირეს. ამ მოთხრობათაგან პირველს პეკატაფოსი გადმოგვცემს, ხოლო მეორეს ათენელები ჰყვებიან.

138. ამ პელაზგებმა როდესაც დაიკავეს ლემოსი, მოინდომეს ათენელებისათვის სამაგიერო გადაეხადათ. მათ კარგად იცოდნენ ათენელთა დღეობები. გამართეს 50-ნიჩბიანი ნავეები და ჩაუსაფრდნენ ათენელ ქალებს, რომლებიც ბავრონში მოწყობილ არტემიდეს დღეობაში მონაწილეობდნენ: აქედან ამ ქალთაგან ბევრი მოიტაცეს, გაცურეს ლემნოსისაკენ, ისინიც თან წაიყვანეს და ხასეზად გაიხადეს. ამ ქალებმა შვილები გააჩინეს, ბავშვებს ატიკური ენა და ათენელთა ჩვეულებები ასწავლეს. ამ ბავშვებს არ უნდოდათ პელაზგი ქალების შვილების შერეოდნენ, თუ ვინმე მათგანს სცემდა რომელიმე პელაზგთაგანი, ყველანი ეშველებოდნენ მას და ერთიმეორეს იცავდნენ. ატიკელთა ბავშვები სამართლიანად მიიჩნევდნენ პელაზგთა ბავშვებზე უფროსობას და დიდად ჯობდნენ მათ. პელაზგებმა შეიტყვეს ეს და ერთმანეთში მოლაპარაკება გამართეს. ამ თათბირის დროს ისინი რაღაც შიშმა შეიპყრო: რაღაც ისამენ ატიკელი ქალების შვილები, როდესაც დავაჟკაცდებიან, თუ ახლა ეხმარებიან ერთმანეთს კანონიერი ცოლების ბავშვების წინააღმდეგ და ცდილობენ კიდევაც მთზე უფროსობას. ამიტომ გადაწყვიტეს პელაზგებმა, დაეხოცათ ატიკელი ქალების დარჩენილი ბავშვები. მათ გააკეთეს ეს და მათთან ერთად ამოხოცეს მათი დედებიც. ამ საქმისა და ამაზე მუწინ მომხდართა გამო (მაგალითად, ლემნოსელმა ქალებმა თოანტთან ერთად სხვა კაცებიც ამოხოცეს), რომ ელადაში ყველა საშინელ საქმეს ლემნოსური ეწოდება.

139. პელაზგების მიერ მათი შვილების და ცოლების ამოხოცვის შემდეგ არც დედამიწას მოჰქონდა ნაყოფი, არც ქალები და საქონელი აჩენდნენ რასმე, როგორც მანამდე. შიმშილითა და უშვილობით შეჭირვებულებმა დელფოში გაგზავნეს კაცები, რომ ეთხოვათ ხსნა ამ ბოროტებისაგან. პითიამ უბრძანა მათ, რომ ათენელებისათვის მიეგოთ ის სამართალი, რასაც თვითონ ათენელები მოითხოვდნენ. მოვიდნენ პელაზგები ათენში და გამოაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ყოველგვარი უსამართლობა ზღონ. ათენელებმა პრიტანეფონში საწოლი დააგეს, რაც შეიძლება ლამაზი და მის წინ დადგეს მაგიდა სავსე ყოველგვარი სიკეთით. უბრძანეს პელაზგებს, რომ ამნაირი ქვეყანა გადასცენ მათ, ხოლო პელაზგებმა მოისმინეს და უპასუხეს: "მაშინ გადმოგვცემთ, თუ ჩრდილოეთის ქარის მიმართულებით ერთ დღეში დაფარავს ხომალდი მანძილს თქვენი ქვეყნიდან ჩვენამდე", პელაზგები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ატიკა ლემნოსიდან შორს, სამხრეთისაკენ მდებარეობს.

140. მაშინ ასე მოხდა. ამის მერე მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჰელესპონტის ქერსონესი ათენელთა ხელში იყო, მილტიადეს კიმონოს ძე წლიური ქარების ქროლვის დროს ქერსონესის ელაფუსიდან ხომალდით მოვიდა ლემნოსზე და

გამოუცხადა პელაზგებს, წასულიყვნენ ამ კუნძულიდან; თან შეახსენა ის წინასწარმეტყველება, რომლის ასრულებასაც პელაზგები არ მოელოდნენ. ჰეფადსტიელები მას დამორჩილდნენ. მირინელებმა არ ცნეს, რომ ქერსონესი ატიკის მახრეა, რის გამოც მათ ალყა შემოარტყეს და მერე ესენიც დაიმორჩილეს. ასე დაიპყრეს ათენელებმა და მილეტელებმა ლემნოსი.

VII წიგნი პოლიმნია

1. მარათონში მომხდარი ბრძოლის ამბავი რომ მოუვიდა მეფე დარიოს ჰისტაპესის ძეს, იგი უწინაც გაჯავრებული იყო ათენელებზე სარდში შეჭრის გამო და ახლა ხომ ბევრად უფრო განრისხდა და განსაკუთრებით წაქეზდა ელადაზე გასალაშქრებლად. მაშინვე დაგზავნა მოციქულები ქალაქ-ქალაქ და შეუთვალა, მოემზადებინათ ლაშქარი, ხოლო თითოეულს უბრძანა, უწინდელზე ბევრად უფრო მეტი სამხედრო გემები, ცხენები და სატვირთო ხომალდები გამოეყვანათ და სურსათიც მეტი მოემარაგებინათ. ეს შენათვალა აზიას და სამი წლის განმავლობაში აღელვებდა, სანამ ელადაზე სალაშქროდ საუკეთესო ვაჟკაცები ირჩეოდნენ და ემზადებოდნენ ამ ლაშქრობისათვის. მეოთხე წელიწადს კამბისესის მიერ დამონებული ეგვიპტელები გადაუდგნენ სპარსელებს. მაშინ იყო, რომ განსაკუთრებით დააჩქარა დარიოსმა ორივე ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრება.

2. როდესაც დარიოსი ეგვიპტის და ათენის წინააღმდეგ ემზადებოდა, მის შვილებს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა ქვეყნის მართვის გამო, რადგან სპარსელთა კანონების მიხედვით მას ჯერ მეფე უნდა დაესვა და შემდეგ ისე ელაშქრა. დარიოსს გამეფებამდე პირველი ცოლისაგან, გობრიესის ასულისაგან ჰყავდა სამი შვილი, ხოლო მას მერე, რაც გამეფდა, კიროსის ასულ ატოსასაგან კიდევ ოთხი გაუჩნდა. პირველი წყება შვილებიდან უფროსი იყო არტობანადესი, ხოლო შემდეგ გაჩენილთა შორის - ქსერქსესი. ისინი ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, რაკილა ერთი და იმავე დედიდსანები არ იყვნენ: არტობანადესი იმას ამბობდა, რომ ის ყველა შვილზე უფროსია და რომ ყველა ხალხისათვის სერთო წესის მიხედვით, ხელისუფლება ყველაზე უფროსისაა. ხოლო ქსერქსესი ამბობდა, რომ ის ატოსის შვილია, კიროსის ასულისა და რომ კიროსმა მოუპოვა სპარსელებს თავისუფლება.

3. დარიოსს ჯერ თავისი აზრი არ გამოემჟღავნებინა, რომ ასეთი რამ მოხდა: ამ დროს სუსაში მოვიდა დემარეტოსი, არისტონის ძე, რომელმაც სპარტეში დაჰკარგა ხელმწიფება და თვითონ, თავისი ნებით დატოვა ლაკედემონი¹. ამ კაცმა რომ შეიტყო, დარიოსის შვილებს შორის უთანხმოებააო, მივიდა ქსერქსესთან, როგორც ამბობენ, და ურჩია, იმისათვის, რასაც ამბობდა კდიევ დაემატებინა შემდეგი, რომ ის გაუჩნდა დარიოსს მაშინ, როდესაც ის უკვე მეფე იყო და სპარსელებზე ძალაუფლება ჰქონდა, ხოლო არტობანადესი კი მასინ გაჩნდა, როდესაც დარიოსი ჯერ კიდევ კერძო პირი იყო. ისე რომ, არც შესაფერისი იქნებოდა და არც სამართლიანი, სხვას ვისმე ჰქონოდა ეს პატივი და არა ქსერქსესს. "რადგან სპარტეში ასეთი კანონია მიღებული", თქვა დემარეტოსმა, "თუ არიან მანამდე დაჩენილი შვილები, ვიდრე მათი მამა გამეფდებოდა, და გამეფებულს შემდეგ კიდევ გუჩნდა შვილები, მეფობას დებულობს ის, რომელიც შემდეგ იშვა", ქსერქსერსმა გამოიყენა დემარეტოსის რჩევა, ხოლო დარიოსმა სამართლიანად ცნო ის, რაც უთხრეს და ის დააყენა მეფედ. მე ვფიქრობ,

რომ ამ რჩევის გარეშეც გამეფდებოდა ქსერქსესი, რადგანაც ატოსა ყოველისშემძლე იყო.

4. ქსერქსესი რომ სპარსელთა მეფედ დასვა, დარიოსი განეწყო სალაშქროდ. მაგრამ ამ ამბისა და ეგვიპტის განდგომიდან ერთი წლის შემდეგ მზადებაში რომ იყო, მოხდა ისე, რომ გარდაიცვალა თვითონ დარიოსი, რომელმაც სულ 36 წელს იმეფა: მან ვერ მოახერხა სამაგიერო მიეზლო ვერც გამდგარი ეგვიპტელებისათვის და ვერც ათენელებისათვის.

5. დარიოსის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ხელისუფლება გადავიდა მის შვილზე, ქსერქსეზე. ქსერქსესს თავდაპირველად სულაც არ ჰქონდა სურვილი ელადაზე ლაშქრობისა, იგი მხოლოდ ეგვიპტის წინააღმდეგ აგროვებდა ლაშქარს. მასთან იმყოფებოდა და სპარსელთა შორის ყველაზე დიდი გავლენა მასზე ჰქონდა მარდონიოს გობრიესის ძეს, რომელიც ქსერქსესის მამიდასვილი იყო, დარიოსის დის შვილი. მან ასეთი სიტყვით მიმართა ქსერქსესს: "უფალო, არ შეგვფერის, რომ ათენელებს არ მივუზღოთ სამაგიერო იმ ბოროტებისათვის, რაც მათ მიაყენეს სპარსელებს. მაგრამ შენ ჯერ ის უნდა გააკეთო, რაც შენს ხელთ არის; ხოლო რომ მოარჯულებ ეგვიპტეს, ილაშქრე ათენზე, რათა სახელი დაგივარდეს ხალხთა შორის და შემდეგისათვის ყველამ თავი შეიკავოს შენს ქვეყანაზე ლაშქრობისაგან". ამ სიტყვით მარდონიოსი მისგან სამაგიეროს მიზღვას მოითხოვდა. ამ ნათქვამს მან დაუმატა, რომ ევროპე უმშვენიერესი ქვეყანაა, იქ იზრდება მრავალნაირი ხეხილი, ის სერთოდ ყოველგვარი სიკეთით არის სავსე და რომ მოკვდავთა შორის მხოლოდ სპარსელთა მეფეა ღირსი იმისა, რომ მას ფლობდეს.

6. ეს უთხრა მარდონიოსმა, რადგან დიდი მოყვარული იყო გადატრიალებისა და თვითონ უნდოდა, ელადის მმართველი გამხდარიყო. დრო რომ გავიდა, მან დაიყოლია და დააჯერა ქსერქსესი, ასე მოქცეულიყო. თუმცა ზოგი რამ სხვაც დაეხმარა იმაში, რომ ქსერქსესი დაეყალბებინა. ჯერ ერთი ის, რომ თესალიიდან, ალევადთაგან, მოვიდნენ მოციქულები და მოუწოდებდნენ მეფეს ელადის წინააღმდეგ გაელაშქრა, თანაც, თავის მხრივ სრულ ერთგულებას აღუთქვამდნენ. ხოლო ეს ალევადები თესალიის მეფეები იყვნენ. მეორეც ის იყო, რომ სუსაში მოსული პედისტრატიდები მარტო იმას კი არ ამბობდნენ, რასაც ალევადები, არამედ იმაზე მეტსაც ჰპირდებოდნენ ქსერქსესს. ისინი მოვიდნენ, თან მოიყვანეს ონომაკრიტოსი, ათენელი მისანი და ამასთანავე პირი, რომელმაც მოაწესრიგა მუსაფოსის წინასწარმეტყველებანი. პედისტრატიდებს მასთან უწინ მტრობა ჰქონდათ და ახლა შეირიგეს. ისე იყო, რომ ჰიპარქოსმა, პედისტრატოსის შვილმა ონომაკრიტოსი ათენიდან გაამევა, რადგან ლასოს ჰერმიონელმა ამხილა ის იმაში, რომ მუსაფოსის წინასწარმეტყველებაში ურთავდა რაღაცეებს, მაგალითად იმას, რომ ლემნოსთნ მდებარე კუნძულები ზღვაში დაინთქმებიანო. ამისათვის გაამევა ის ჰიპარქოსმა, თუმცა უწინ საგანგებოდ დაახლოებული იყო მასთან. ახლა კი პედისტრატიდებთან ერთად მოვიდა სუსაში და რომ წარუდგნენ მეფეს, პედისტრატიდებმა მის შესახებ ბევრი საზეიმო სიტყვა თქვეს და მანაც გაიმეორა თავისი წინასწარმეტყველებები, მაგრამ ისე, რომ თუ რომელიმე მათგანი უბედურების მომასწავებელი იყო ბარბაროსებისათვის, იმათ შესახებ არაფერს ამბობდა, არჩევდა მათ შორის ყველაზე უფრო ბედნიერების მომტანთ, მაგალითად მან თქვა, რომ ჰელესპონტი შეიკრვება სპარსელი კაცის მიერ და აღწერა ლაშქრის

მსვლელობა. ეგრე მოახვია მან თავზე ქსერქსეს თავისი წინასწარმეტყველება, ხოლო პედსისტრატიდებმა და ალევადებმა - თავისი რჩევა.

7. თუმცა დაიყოლიეს ქსერქსესი ელადის წინააღმდეგ ლაშქრობაზე, მაგრამ მან პირველად გამდგარ ეგვიპტელებზე გაილაშქრა დარიოსის სიკვდილიდან მეორე წელს. მან ისინი დაიმორჩილა და მთელი ეგვიპტე ბევრად უფრო მძიმე მონობაში ჩააგდო, ვიდრე დარიოსის დროს იყო, ხოლო მისი მეურვეობა გადასცა თავის ძმას, აქადმენესს, დარიოსის შვილს, აქადმენესი ერთ ხანს განაგებდა ეგვიპტეს, ხოლო შემდეგ ის მოჰკლა ინაროსმა, ფსამეტიქოსის ძემ, ლიბიელმა.

8. ხოლო ქსერქსესმა ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ მოინდომა ათენის წინააღმდეგ ლაშქრობის წამოწყება და დაუძახა და შეკრიბა სპარსელი წარჩინებულები, რათა შეეტყო მათი აზრი და თვითონაც ყველას წინაშე გამოთქვა თავისი სურვილები. როგორც კი შეიკრიბნენ, ქსერქსესმა უთხრა მათ შემდეგი: "სპარსელებო, ეს წესი თქვენში მე კი არ შემომმაქვს, არამედ წინაპართაგან მაქვს მიღებული და მივსდევ მას. როგორც შევიტყვე უფროსთაგან, არასოდეს ვყოფილვარ მოსვენებით, მას მერე რაც ძალაუფლება წავართვით მიდიელებს, როდესაც კიროსმა მოსპო ასტიაგესი. მაგრამ ღმერთს ამ გზაზე მივყავართ და ჩვენ თვითონ რომ მივსდევთ მას, ამას ბევრი კარგი რამ მოსდევს ჩვენთვის. რაც კიროსმა, კამბისესმა და მამაჩემმა, დარიოსმა, გააკეთეს და ხალხები დაიპყრეს, კარგად იცით და აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. ეს ტახტი რომ მივიღე, იმაზე ვფიქრობდი, არ ჩამოვრჩენოდი იმათ, ვისაც ჩემზე უწინ ჰქონდათ ეს პატივი და მათზე ნაკლებ არ გამემლიერებინა სპარსელები. ამაზე ფიქრისას მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჯერ ეს ერთი ჩვენ შევიმატებთ სახლესა და ამასთანავე ქვეყანას, რომელიც არც სიდიდითაა ნაკლები იმაზე, რაც ახლა გვაქვს და არც მასზე ნაკლებ ნაყოფიერი, ხოლო მეორე მხრივ მივუზღავთ სამაგიეროს და დავსჯით. ახლა იმიტომ შეგკრიბეთ, რომ გაგაგებინეთ, რისი გაკეთება მაქვს განზრახული, მე მინდა ხიდი გავდო ჰელესპონტზე და ევროპეზე გადავატაროთ ლაშქარი ელადის წინააღმდეგ, რათა ათენელები დავსჯო იმისათვის, რაც მათ სპარსელებსა და მამაჩემს უყვეს. თქვენ ხომ იცი, რომ ჯერ კიდევ მამაჩემი აპირებდა ამ ხალხის წინააღმდეგ ლაშქრობას. მაგრამ ის გარდაიცვალა და არ დასცალდა მათი დასჯა. მე კი, მისი და სხვა სპარსელების სამაგიეროს მისაზღვევად მანამ არ მოვისვენებ, ვიდრე არ ავიღებ და არ დავწვავ ათენს, რადგან პირველად უსამართლოდ ათენელები მოგვექცნენ მეცა და მამაჩემსაც. პირველად ისინი მოვიდნენ სარდებში, ჩვენ მონასთან, არისტაგორეს მილეტელთან ერთად და დაწვეს წმინდა ჭალები და სამლოცველოები, ხოლო ყველამ კარგად იცით, თუ რა გვიყვეს მეორედ, როდესაც მათ ქვეყანაში გადავედით, დატისისა და არტაფრენესის მხედართმთავრობის დროს. სწორედ ამის გულისათვისაა, რომ მე მათ წინააღმდეგ ლაშქრობა განვიზრახე; ამას გარდა რომ დავუფიქრდი, მივხვდი, თუ ამისაგან რამდენ სიკეთეს მოვიხვეჭთ, თუ დავიპყრობთ ათენელებს და მათ მეზოლად მყოფ ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ ფრიგიელი პელოპის ქვეყანაში, მაშინ სპარსელთა ქვეყნის საზღვარი ზევსის ზეცამდე მიაღწევს. ხოლო მზე არ დაჰხედავს არც ერთ სხვა ქვეყანას ჩვენს მეზობლად, რადგან მთელ ევროპეს გადავივლი და ყველა ამ ქვეყნებს თქვენთან ერთად, ერთ ქვეყანად ვაქცევ. მე შევიტყვე, რომ ასეა საქმე: არც ერთი ქალაქი და არც ერთი ხალხი არ დარჩება ისეთი, რომელსაც შეეძლება ჩვენთან ბრძოლა, თუკი მათ ჩამოვიცილებთ, ვის შესახებაც ვილაპარაკე. ზოგს ჩვენს მიმართ დანაშაულის გამო დავადგამთ მონობის უღელს, ზოგს კიდევ უდანაშაულოდ. თქვენ კი სასვლელად, ყოველი თქვენთაგანი იმ

დროისათვის დიდის ხალისით უნდა გამოცადდეს; ვინც მოვა და ლაშქარი ყველაზე უკეთ ეყოლება მომზადებული, ისეთ საჩუქარს მივცემ, რაც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტ პატივსაცემად ითვლება. ეს ასე უნდა გააკეთოთ; ახლა კი თქვენ რომ არ გეგონოთ, თითქოს მე თვითნებურად ვწყვეტ საკითხს, ამ ამბავს გამოვიტან საერთო სამსჯავროზე და მოგიწოდებთ ყველას, ვისაც კი სურვილი ექნება თქვენ შორის, გამოთქვას თავისი აზრი". ეს თქვა და დადუმდა.

9. ხოლო მის შემდეგ ილაპარაკეს მარდონიოსმა: „უფალო, შენ არა მარტო იმ სპარსელთა შორის ხარ საუკეთესო, რომლებიც იყვნენ, არამედ მათ შორისაც, ვინც იქნებიან. ყოველივე, რასაც შენ შეეხე ლაპარაკის დროს, საუკეთესოა და ჭეშმარიტი და შენ არ მისცემ ნებას ევროპეში მცხოვრებ იონიელებს, რომ მასხრად აგვიგდონ, რადგან ისინი უღირსნი არიან. თუ კი საკები, ინდები, ეთიოპელები, ასირიელები და ბევრი სხვა დიდი ხალხი, რომელთაც სპარსელებისათვის არაერი დაუშავებიათ, დავიმორჩილეთ და მონებად ვაქციეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდოდა ჩვენი ძაუალფება გაგვედიდებინა, საშინელება იქნება, რომ არ დავსაჯოთ ელინები, რომელთაც პირველებმა ჩაიდინეს ჩვენს მიმართ უსამართლობა. რისი გვეშინია? ხალხის სიმრავლის? თუ ქონების ძალის? მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით მათი ბრძოლის უნარი, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მათი ჯარები სუსტია. ჩვენ ხომ უკვე დავიმორჩილეთ მათი შვილები, ისინი, რომლებიც ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ და რომელთაც იონიელები, ეოლიელები და დორიელები ეწოდებათ. მე ერთხელ თვითონ ვცადე ამ ხალხზე თავდასხმა მამაშენის ბრძანებით, მაკედონიამდე და მივედი და ცოტაღა დამრჩა, რომ თვით ათენამდე მიმეღწია, მაგრამ არავინ გამოსულა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც შევიტყვე, ელინებს ომის გამართვა სრულიად მოუფიქრებლად სჩვევიათ თავისი უმეცრებისა და სისულელის გამო. როდესაც ისინი ერთმანეთს ომს უცხადებენ, ირჩევენ უმშვენიერესს და მთლად მოვაკებულ ადგილს, სადაც ჩამოდიან და იბრძვიან ისე რომ, გამარჯვებულიც კი დიდად დაზარალებული მიდის. ხოლო დამარცხებულთა შესახებ სულაც არაფერს ვამბობ, რადგან ისინი მთლად ამოწყდებიან ხოლმე: რაკი ისინი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, ამიტომ თავიანთ უთანხმოებებს მაცნებენ, მოციქულების და ზოგიერთი სხვა საშუალებების მეოხებით უფრო იგვარებენ, ვიდრე ბრძოლით. ხოლო თუ მაინცდამაინც აუცილებელია მათი ერთმანეთთან ომი, მაშინ თითოეულმა მხარემ უნდა გამოძებნოს თავისთვის ხელსაყრელი ადგილი და იქ შეეცადოს ბრძოლას. მართალია, ელინები ამისთანა უსმგავსი გზით იბრძვიან, მაგრამ მე ისე მივედი მაკედონიის ქვეყანამდე, რომ არც კი უფიქრიათ ჩემთან ომის გამართვა. მეფეო, ვინ გაბედავს შენს წინააღმდეგ გამოსვლას და ომს, მაშინ, როდესაც ამოდენა ხალხი და მთელი შენი ფლოტი მოგყავს აზიიდან? მე ვფიქრობ, ელინთა ბუნებას საამისოდ გამბედაობა არ ეყოფა. თუ კი რაიმე მეშლება და ისინი დაუფიქრებლობით ატაცებულნი მაინც გამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ, შეიტყობენ, რომ ჩვენ ყველა ხალხებს შორის საუკეთესონი ვართ სამხედრო საქმიანობაში. მაგრამ დაე, ნურაფერი დაგვრჩება გამოუცდელი, რადგან თავისთავად არაფერი ხდება; ის კი არა, ადამიანები ჩვეულებრივ გამოცდილებით აღწევენ ყველაფერს“.

10. მარდონიოსმა ამნაირად დაუჭირა მხარი ქსერქსესის აზრსა დაასრულა თავისი სიტყვა. მაშინ, როდესაც სხვა სპარსელები ჩუმად იყვნენ და ვერ ბედავდნენ თავისი აზრის გამოთქმას უკვე წამოყენებულის საწინააღმდეგოდ, არტაბანოსმა, ჰისტასპესის ძემ, რომელიც ქსერქსესის ბიძა იყო (სწორედ ამისი იმედით), თქვა: „მეფეო, როდესაც

არ გამოითქმის ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები, მაშინ არც შეიძლება, აირჩეს უკეთესი. მაშინ უნდა აღსრულდეს ის, რაც ითქვა; ხოლო როდესაც გამოითქმულია სხვადასხვა აზრი, მაშინ შესაძლებელია მოხდეს არჩევანი; თვით ბაჯალლო ოქრო ვერ გამოიცნობა მარტო თავისი თავის მიხედვით, ხოლო მას შემდეგ, რაც მას სხვა ოქროს გავუხახუნებთ, გამოვიცნობთ მათ შორის უკეთესს. მე მამაშენს, ჩემს ძმას, დარიოსს ვურჩევდი, რომ არ ელაშქრა სკვითების წინააღმდეგ (ეს ისეთი ხალხია, რომელსაც მთელს ქვეყანაში არსად აქვს ქალაქი). მას იმედი ჰქონდა, რომ დაიპყრობდა მომთაბარე სკვითებს, არ დამიჯერა, ილაშქრა და ბევრი მამაცი ადამიანი დაიღუპა თავისი ლაშქრიდან და ისე დაბრუნდა უკან. შენ, მეფეო, აპირებ ილაშქრო იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ბევრად აღემატება სკვითებს და რომლის შეასხებაც ამბობენ, რომ უმამაცესნი არიან როგორც ზღვაზე, ასევე ხმელეთზე. ჩემის მხრივ სამართლიანობა მოითხოვს, გითხრა, თუ რაოდენ საშიაში არის ეს საქმე - შენ ამბობ, რომ ხიდს გასდებ ჰელესპონტზე და ევროპეზე გადაატარებ ლაშქარს ელადის წინააღმდეგ. შესაძლოა, შენ ან ხმელეთზე დამარცხდე ან ზღვაზე, ან კიდევ ორივეგან, რადგან, როგორც ამბობენ, ისინი მამაცი ხალხია და ამას შეიძლება კაცი მიხვდეს იმის მიხედვითაც, რომ იმოდენა ლაშქარი, რომელიც დატისთან და არტაფრენესთან ერთად მოვიდა ატიკის ქვეყანაში, მარტო ათენელებმა ამოწყვიტეს. შეიძლება მათ ორივეგან არ ეწიოთ ბედი, მაშინ ჩვენს ხომალდებს დაესხმებიან თავს, გაიმარჯვებენ საზღვაო ბრძოლაში, გაცურავენ ჰელესპონტში და მოხსნიან ხიდს, ეს კი, მეფეო, საშინელება იქნება. ამას მე საკუთარ ნასიბრძნს კი არ მოგახსენებ, არამედ ასეთი ამბავი ერთხელაც შეგვემთხვა, ცოტა უბედურება კი არ გადაგვხვდა თავს, როდესაც მამაშენმა შეკრა თრაკიის ბოსფორი. ხიდი გასდო მდინარე ისტროსზე და გადავიდა მასზე სკვითების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაშინ სკვითები ძალიან ეხვეწებოდნენ იონიელებს, რომ გასავალი გაეხსნათ (ხომ ისინი დარაჯობდნენ ისტროსზე გადებულ ხიდებს). მაშინ რომ ჰისტიადოსი, მილეტის ტირანი, აჰყოლოდა სხვა ტირანებს და მათ წინააღმდეგ არ წასულიყო, სპარსელთა სახელმწიფო დაიღუპებოდა. პრიდაპირ საშინელებაა ამ ამბის მოსმენაც კი, რომ მეფის მთელი ძალაუფლება ერთ კაცზეა დამოკიდებული. ამიტომ, თუ საგანგებო აუცილებლობა არ იქნება, ნუ ჩაიგდებ ამისთანა გასაჭირში თავს და დამიჯერე მე. ახლა გაუშვი ეს შეკრებილობა. ხოლო მას მერე, რაც შენ თვითონ კარგად მოიფიქრებ, თუკი არჩევ, კვლავ გამოუცახდო მათ ის გადაწყვეტილება, რომელიც საუკეთესოდ მოგეჩვენება. მე იმ აზრისა ვარ, რომ კარგი გადაწყვეტილება უდიდესი ბედნიერებაა, რადგან თუ მოხდა კიდევაც რაიმე მისი სიკეთეს არაფერი დააკლდება. ხოლო ვინც ცუდ აგდაწყვეტილებას მიიღებს, თუ მას ბედი წყალობს, ის ეწევა საწადელს, მაგრამ კიდევაც რომ არ დამარცხდეს, მაინც ცუდი იქნება მისი გადაწყვეტილება. შენ ხედავ, რომ ღმერთი მეხსა სცემს გამორჩეულ ცხოველებს და არ აძლევს თავმოწონეობის ნებას, პატრა ცხოველები კი მას აღიზიანებენ. შენ ხედავ, რომ მისი ისრები მუდამ უდიდეს ნაგებობებს და ასეთსავე ხეებს ხვდება, რადგან ღმერთს უყვარს ყოველივე გამორჩეულის დასახიჩრება. ამავე მიზეზის გამო შეიძლება, რომ დიდი ლაშქარი მციმრემ ამოწყვიტოს, თუკი მოშურნე ღმერთი შიშის ზარს დასცემს მათ, ანდა მეხს, რის შედეგადაც ისინი სამარცხვინოდ ამოწყდებიან. რადგან ღმერთი სხვა არ რთავს ნებას, რომ თავის თავზე დიდი აზრისა იყოს. ყოველივე აჩქარებულ საქმეს მოსდევს შეცდომები, რისგანაც ჩვეულებრივ დიდი ზიანი წარმოსდგება. მოთმინებას კი სიკეთე მოჰყვება, რაც შეიძლება არ გამოჩნდეს მაშინვე, მაგრამ დროის განმავლობაში მას ვინმე უეჭველად აღმოაჩენს. აი, მეფეო, მე შენ ამას გირჩევ. შენ კი, გობრიესის ძე, მარდონიოს, თავი ანებელ ელინთა შესახებ ასეთ უაზრო ლაპარაკს, რადგან ისინი ასე

აუგად ხსენების ღირსი არ არიან. ელინებს რომ ცილს დასწამებ, ამით თვით მეფეს აქეზებ მათზე სალაშქროდ და მე მეჩვენება, რომ მთელი შენი მისწრაფება აქეთ არის წარმართული. მაგრამ ეს ასე ნუ იქნება, რადგან ცილისწამება უსაშინლესი რამეა, ცილსიწამებისას ორი იქცევა უსამართლოდ, ხოლო დაზარალებული ერთი გამოდის. ის, რომელიც შეასმენს, უსამართლობას ჩადის, რადგან ადანაშაულებს იმას, ვინც იქ არაა; უსამართლობას ჩადის ისიც, ვინც დაიჯერებს იმაზე უწინ, ვიდრე ზუსტად არ გამოიკვლევს ამბავს; ხოლო ვინც იქ არ არის, მათი ლაპარაკით მის მიმართ ორმაგი უსამართლობაა ჩადენილი, რადგან ერთი მათგანი მას აბეზღებს, ხოლო მეორე კი ბოროტად სახავს. მაგრამ თუ მაინცდამაინც აუცილებელია ამ ხალხის წინააღმდეგ ლაშქრობა, დაე, მოსახდენი მოხდეს, მაგრამ მაშინ თვითი მეფე სპარსელთა ქვეყანაში დარჩეს, ჩვენ ორივემ კი ჩვენი შვილები მძევლებად დავტოვოთ აქვე. შენ თვითონ გაუძეხ ლაშქარს, შეაგროვე ხალხი, ვინც გინდა და წაიყვანე იმოდენა ლაშქარი, რამოდენაც მოგესურვება. თუ ამ ლაშქრობით მეფეს ის საქმეები გაუკეთდება, რასაც შენ ამბობ, დაე, დაიხოცნონ ჩემი შვილები და მათთან ერთად მეც. ხოლო თუ ის მოხდება, როგორც მე ვწინასწარმეტყველებ, მაშინ შენი შვილები დაისაჯონ და მათთან ერთად შენც, თუკი უკან დაბრუნდები. თუ არ მოისურვებ ამ პირობების მიღებას, და ყოველივეს მიუხედავად, მაინც წაიყვან ლაშქარს ელადის წინააღმდეგ, მაშინ ასე გეტყვი: აქ დარჩენილი ზოგიერთი სპარსელი გაიგონებს იმას, რომ მარდონიოსი, რომელმაც საშინელი ბოროტება მიაყენა სპარსელებს, ძაღლებმა და ფრინველებმა დაგლიჯეს სადღაც ათენელთა ქვეყანაში, ან ლაკედემონიაში, ან ამაზე უწინ სადმე გზაზე; აი, მაშინ შეიტყობ, თუ როგორი იყო ის ხალხი, რომლის წინააღმდეგაც აქეზებდი მეფეს“.

11. ასეი ილაპარაკა არტაბანოსმა, ხოლო ქსერქსესი გაჯავრდა და მიუგო შემდეგი „არტაბანოს, შენ ძმა ხარ მამაჩემისა და ამან გიხსნა იმისაგან, რომ საკადრის საზღაურს არ იღებ მაგ უაზრო სიტყვებისათვის. მაგრამ რადგან შენ მშობარა და უგულო ყოფილხარ, იმით შეგარცხვენ, რომ არ წაგიყვან თან ელადის წინააღმდეგ სალაშქროდ და აქ დაგტოვებ დედაკაცებთან ერთად. მე უშენოდაც გავაკეთებ იმას, რაც ვთქვი, ნუ ვიქნები მე შვილი დარიოსისა, ჰისტასესის ძისა (ხოლო ჰისაპესი არსამესის ძე იყო, არსამესი არიარამნესისა, არიარამნესი ტეისპესის, ტეისპესი - კიროსისა, კიროსი - კამბისესისა, კამბისესი, - ტეისპესის, ხოლო ტეისპესი, - აქამენესისა), თუ არ დავსაჯო ათენელები. რადგან მე კარგად ვიცი, რომ ჩვენ თუ მშვიდობიანად ვიქნებით, ისინი მაინც არ მოისვენებენ, ის კი არა, სულაც თვითონ გამოილაშქრებენ ჩვენს ქვეყანაზე, თუ შეიძლება იმის მიხედვით დავასკვნათ, რაც მათ წამოიწყეს, როდესაც დაწვეს სარდე და შეიჭრნენ აზიაში. ისე რომ, ვერც ერთი მხარე ვერ დაიხვეს უკან. ისლა დაგვრჩენია, ან ვიმოქმედოთ, ან მოვითმინოთ, რათა ყოველივე ჩვენი ელინთა გამგებლობაში გადავიდეს, ან ყოველივე მათი სპარსელებისა გახდეს. რადგან ამ ჩვენ მტრობაში სხვა გამოსავალი არ არსებობს. ამგვარად, კარგი იქნება, დავსაჯოთ ისინი ჯერ მარტო იმიათვის, რაც მათგან გადაგვიტანია; თანაც ამ გზით კარგად შევიტყობ, თუ რა საშინელება მომელის, იმ ხალხის წინააღმდეგ რომ გავილაშქრო, რომლებიც დაიმორჩილა პელოპს ფრიგიელმაც კი, ჩემი წინაპრების მონამ, და თანაც ისე, რომ აქამდე თვით ეს ხალხიდა და მათი ქვეყანაც დამპყრობლების სახელის მიხედვით იწოდებიან“.

12. ამის შესახებ ეს ილაპარაკეს. ხოლო შემდეგ, დაღამებისას, ქსერქსესი შეაწუხა არტაბანოსის რჩევამ. ღამით ბევრი იფიქრა და გადწყვიტა, რომ მას არაფრად

სჭრიდებოდა ელადის წინააღმდეგ ლაშქრობა. როდესაც მან ეს ახალი გადაწყვეტილება მიიღო, დაიძინა და როგორც სპარსელები ამბობენ, იმ ღამეს ძილში ასეთი სიზმარი ნახა. ეჩვენა ქსერქსეს წარმოსადეგი და კარგი ვაჟკაცი, რომელიც თავზე წამოადგა და უთხრა: „შეცვალე, სპარსელო, შენი გადაწყვეტილება და აღარ მიგყავს ლაშქარი ელადაზე? აკი გამოუცხადე სპარსელებს, რომ ლაშქარი მოეგროვებინათ! კარგს არ აკეთებ, რომ გადაწყვეტილებას ცვლი და არც არავინ მოგიწონებს ამას. ამ გზას დაადექი, რისი გაკეთებაც დღისით გადაწყვიტე“.

13. ეს წარმოთქვა და ქსერქსეს ეჩვენა, რომ გაფრინდა. ხოლო დილით ამ სიზმრისა აღარაფერი ახსოვდა, დაუძახა უწინ შეკრებილ სპარსელებს და უთხრა მათ შემდეგი: „სპარსელებო, მაპატიეთ, რომ ასე სწრაფად ვცვლი გადაწყვეტილებას. მაგრამ ჯერ არ მიმიღწევია გონებრივი სიმწიფისათვის და ისინიც, რომლებიც მაქეზებდნენ ამის გასაკეთებლად, არსოდეს მცილდებიან გვერდიდან. როდესაც მოვისმინე არტაბანოსის რჩევა, ჭაბუკურად განვსაჯე და ისთი შეურაცხმყოფელი სიტყვები აღმომხდა უფროსი კაცის მიმართ, რაც მას არ ეკადრებოდა. ახლა კი მეც მის აზრს ვიზიარებ და მინდა მის რჩევას მივდიო. რადგან შევიცვალე ჩემი განზრახვა, წყნარად იყავით, არ ვილაშქრებთ ელადაზე“.

14. სპარსელებმა რომ ეს მოისმინეს, დიდად გაიხარეს და მას თაყვანი სცეს. ხოლო რომ დაღამდე, მძინარე ქსერქსეს კვლავ იგივე სიზმარი ეჩვენა, წაადგა თავზე კაცი და უთხრა: „დარიოსის შვილო, შენ გამოუცხადე სპარსელებს და აღკვეთე ლაშქრობა, ხოლო ჩემს სიტყვებს არავითარი ყურადღება არ მიაქციე, თითქოს არც გაგეგონოს არაფერი. კარგადი იცოდე, რომ თუ ახლავე არ გაუძღვები ლაშქარს, ამის გამო შემდეგი რამ შეგემთხვევა: როგორი დიდიც და ძლევამოსილიც გახდი მცირე ხანში, ისევე დამდაბლდები კიდევ უფრო სწრაფად“.

15. ქსერქსეს ძალიან შეეშინდა ამ ჩვენების, წამოხტა საწოლიდან და მოციქული გაგზავნა არტაბანოსის დასამებნად. როდესაც ის მოვიდა, ქსერქსოსმა უთხრა: „არტაბანოს, თავიდანვე არ მოვიქეცი გონივრულად, როდესაც შენი სასარგებლო რჩევის საპასუხოდ უაზრო სიტყვები გითხარი. ხოლო შემდეგ, დიდ დროს არ გაუვლია, რომ აზრი შევიცვალე, მივხვდი, რომ შენი რჩევისამებრ უნდა მოვიქეცი, მაგრამ მთელი ჩემი სურვილის მიუხედავად, მაინც ვერ ვიზამ ამას. რადგან, როგორც კი აზრი გამოვიცვალე და სხვა გადაწყვეტილება მივიღე, ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ, რომელიც არაფრით არ მიწონებს, რომ ეს გავაკეთო. ახლა კი დამემუქრა კიდევაც და ისე წავიდა. თუ მართლაც ღმერთია მის წარმომგზავნი და მას მართლაც ესიამოვნება, რომ ელადის წინააღმდეგ გავილაშქროთ, მაშინ იგივე სიზმარი, შენთანაც მოფრინდება და იმასვე გიბრძანებს შენც, რასაც მე მიცხადებს. მე ვიფიქრე, რომ ეს მაშინ მოხდება, თუ შენ ჩაიცვამ მთელს ჩემს ტანსაცმელს და ისე დაჯდები ჩემს ტახტზე, მერე კი დაიძინებ ჩემს საწოლში“.

16. ასე ელაპარაკა მას ქსერქსესი. ხოლო არტაბანოსმა მას პირველ განკარგულებისთანავე არ გაუგონა, რადგან არ მიაჩნდა თავი იმის ღირსად, რომ მეფის ტახტზე დამჯდარიყო. ბოლოს, როდესაც აიძულეს, დაემორჩილა მეფეს, მხოლოდ ეს თქვა: „მეფეო, ჩემს თვალში ერთნაირი ფასი აქვს იმასაც, როცა კაცი თვითონ გონიერია და იმასაც, როცა უჯერებს გონიერ მრჩეველს. შენ ორივე ეს თვისება გაქვს, მხოლოდ ცუდ ადამიანებთან ურთიერთობის გამო სცდები ხოლმე; ეს

იმასა ჰგავს როცა ამბობენ, ზღვა ადამიანებისათვის ყველაფერზე უფრო სასარგებლოა, ოღონდ ქარების ქროლვა არ აძლევს მას საშუალებას თავისი ბუნება გამოამჟღავნოსო. მე რომ მოვისმინე შენგან ძვირი, იმდენად ეს კი არ მწყენია, რამდენადაც ის, რომ ორი აზრი წარედგინა სპარსელებს, რომელთაგან ერთი ამპარტავნებას ზრდის, ხოლო მეორე პირიქით, მათ ათვინიერებს (რადგან ეუბნება მათ, თუ რა ცუდია, როდესაც ასწავლა სულს მუდმივად ეძებოს რაიმე უფრო მეტი, ვიდრე ის, რაც აქვს). აი, ამ ორი აზრიდან შენ უარესი ამოირჩიე როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სპარსელებისათვის. ხოლო ახლა, როდესაც შემობრუნდი უკეთესი აზრისაკენ და გადაიფიქრე ელადაზე გალაშქრება, ამბობ, რომ სიზმარს ნახულობ, რომელსაც რომელიღაცა ღმერთი გიგზავნის და რომელიც გიკრძალავს ლაშქრობაზე ხელის აღებას. მაგრამ, შვილო, ეს ღვთაებისაგან არ მომდინარეობს. მე შენ აგიხსნი სიზმარს, რომელიც ადამიანებს აცთუნებს. მე ხომ შენზე ბევრად უფროსი ვარ. სიზმრად, ჩვეულებრივ, იმას ნახულობს კაცი, რაზედაც დღისით ფიქრობს. ხოლო ჩვენ ამ ბოლო დღეებში სულ ამ ლაშქრობის ამბები გვიტრიალებდა თავში. ეს ამბავი თუ ისე არაა, როგორც მე ავხსენი და რაღაც აქვს საერთო ღმერთთან, ყოველივე ამის შესახებ მოკლედ უკვე მითხარი. დაე ჩვენება მეც გამომეცხადოს, როგორც გამომეცხადა შენ და იგივე მიბრძანოს. ხოლო ის მოჩვენება, თუ კი ის, საერთოდ, აპირებს მომევლინოს, ისევე გამომეცხადება მე, შენი ტანსაცმელი მეცმევა, თუ ჩემი, შენს საწოლში მოვისვენებ, თუ ჩემსაში. რადგან, როგორც არ უნდა იყოს იგი, იმდენად სულელი ხომ არ იქნება, რომ მე დამინახოს და მარტოოდენ ტანსაცმლის მიხედვით ქსერქსად მიმიღოს. თუმცა შეიძლება არ მომაქციოს ყურადღება და არც გამხადოს ღირსი გამოჩენისა, სულერთია, ჩემი ტანსაცმელი მეცმევა, თუ სენი. და მაინც შენ გეჩვენოს ხოლმე, ესეც უნდა გამოვცადოთ. შენ თუ ის გამუდმებით გამოგეცხადა, მე თვითონ გეტყვი, რომ ეს ღვთაებრივი ამბავია მეთქი. ხოლო თუ შენ ასე ფიქრობ, რომ მაინცდამაინც ასე უნდა ვქნათ და მე შენს საწოლში უნდა მოვისვენო, დაე იყოს ასე, ავასრულებ შენს განკარგულებას და ეგებ მეც გამომეცხადოს. მანამდე კი ჩემ აზრს არ გადავალ“.

17. აი, ეს ილაპარაკა არტაბანოსმა და იმედი ჰქონდა, რომ ქსერქსეს დაიყოლიებდა, მაგრამ მას არაფერი უთქვამს და არტაბანოსიც ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. მან ჩაიცვა ქსერქსესის ტანსაცმელი და დაჯდა სამეფო ტახტზე; ამის შემდეგ, როგორც კი დაიძინა, მძიანრემ ნახა იგივე სიზმარი, რაც ქსერქსეს ეჩვენებოდა ხოლმე. ჩვენება თავს დაადგა არტაბანოსს და უთხრა: „შენ ის არა ხარ, გამწარებით რომ უშლიდი ქსერქსესს ელადაზე გალაშქრებას, თითქოს იმიტომ, რომ მასზე ზრუნავდი? მაგრამ იცოდე, ვერც შემდეგში და ვერც ახლა ვერ გადაურჩები დასჯას, რადგანაც ლამობ ღვთის განგების შეცვლას. ხოლო რაც მოუვა ქსერქსესს თავისი გაუგონრობისათვის, ეს მას თვითონ გამოუვცხადე“.

18. არტაბანოსს ეგონა, რომ ჩვენება ემუქრებოდა მას და გახურებული რკინით ცდილობდა მისთვის თვალები ამოეშანთა, შეშინდა არტაბანოსი, ღრიალით წამოვარდა, მიუჯდა ქსერქსესს და მას მერე, რაც მთელი თავისი სიზმარი უამბო, ეს უთხრა: „მეფეო, მე, როგორც ისეთ კაცს, რომელსაც უნახავს, თუ როგორ დაცემულა მრავალი ძალაუფლება უფრო უძლურთა ხელით, არ მინდოდა რომ ყველაფერში შენ ასაკს მიჰყოლოდი, რაკილა ვიცოდი, თუ რა ცუდია, როდესაც კაცი ხარბად მიელტვის ყველაფრის მოხვეჭას, რაკილა მახსოვდა თუ რა დაემართა კიროსის ლაშქარს, რომელიც მასაგეტებზე წავიდა, რაკილა მახსოვდა თუ რა მოუვიდა კამბისესის

ლაშქარს, რომელიც ეთიოპელების წინააღმდეგ წავიდა და მე თვითონ ხომ დარიოსს ვახლდი სკვითებზე გალაშქრებისას. ეს ვიცოდი და იმ აზრისა ვიყავი, რომ ყველანი უნეტარესად ჩავთვლიან, თუ კი წყნარად იქნები. მაგრამ რადგან აქ რაღაც ღვთაებრივი შთაგონებაა, ხოლო ელინები, როგორც ჩანს, ღვთის განგების მიერ არიან განწირული, ამიტომ მე თვითონაც ვიცვლი ჩემს აზრს და ახალს ვადგები. შენ კი შეატყობინე სპარსელებს, რაც გამოგიცხადა ღმერთმა და უბრძანე, რომ მოემზადონ იმ შენი პირველი განკარგულების მიხედვით. მოიქეცი ისე, რომ შენი მხრივ არაფერი დააკლო საქმეს, როდესაც ღმერთი თვითონ გაძლევს ხელში მტერს“. ასე ილაპარაკა მან; ორივენი სიზმრისაგან იყვნენ შთაგონებულნი. გათენებისთანავე ქსერქსესმა ეს ამბავი აუწყა სპარსელებს, ხოლო არტაბანოსი, რომელიც უწინ მარტოკა გამოდიოდა ამ საქმის წინააღმდეგ, ახლა აშკარად მის სასარგებლოდ მოუწოდებდა.

19. სალაშქროდ განწყობილმა ქსერქსესმა ამის მერე კიდევ მესამედ ნახა სიზმარი, რომელიც მოგვებმა რომ მოისმინეს, ასე ახსნეს: იგი დაიმორჩილებს მთელს ქვეყანას და ყველა ხალხს. სიზმარი კი ასეთი იყო: ეჩვენა ქსერქსეს, რომ გვირგვინად ჰქონდა ზეთის ხილის შტო, ხოლო ამ ხის ტოტები მთელ დედამიწას ჰფარავდნენ. შემდეგ კი გაუჩინარდა ის გვირგვინი, თავზე რომ ედგა. მოგვება რომ სიზმარი ასე ახსნეს, შეკრებილი სპარსელები თავის საგამგებლოებსი გაბრუნდნენ და დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ განკარგულების შესრულებას, რადგან თითოეულ მათგანს უნდოდა აღთქმული საჩუქრის მიღება. ამგვარად ქსერქსესმა ლაშქარი ისე შეაგროვა, რომ არ დაუტოვებია აზიის ხმელეთის არც ერთი ადგილი.

20. ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ქსერქსესი დაახლოებით 4 სრული წელი ამზადებდა ლაშქარს და სხვა ყოველივეს, რაც ლაშქრისათვის იყო საჭირო, ხოლო მეხუთე წელს გაილაშქრა დიდი და ძლევამოსილი ჯარით. ეს იყო ყველაზე დიდი ლაშქარი, რომლის შესახებაც რამე გვსმენია, ისე, რომ მასთან შედარებით არაფრად ჩანდა თვით დარიოსის ლაშქარიც, რომლითაც მან სკვითებზე ილაშქრა და არც იმ სკვითებისა, რომლებიც კიმერიელებს დაედევნენ, შეიჭრნენ მიდიელთა ქვეყანაში, დაიმორჩილეს და აზიის თითქმის მთელ ზემოთა ხმარეს დაუფლნენ (ამის გულისათვის იყო, რომ დარიოსს მათი დასჯა უნდოდა); ასეთი არ ყოფილა, არც მოთხრობების მიხედვით ცნობილი ატრედთა ლაშქარი, რომელიც ილიონისაკენ გაემართა, არც მისიელთა და ტევკრების ჯარი, რომელიც ტროის ომზე უწინ შეიკრიბა, გადავიდა ევროპეში ბოსფორთან, მთელი თრაკიელები დაიმორჩილა, ჩავიდან იონურ ზღვამდე და სამხრეთისაკენ კი მდინარე პენეოსამდე მივიდა.

21. ყველა ეს ლაშქრობა და ამათ გარდა კიდევ სხვებიც, ქსერქსესის ლაშქართან მოსატანიც კი არ არის. რადგან რა ხალხი არ წაიყანა ქსერქსესმა აზიიდან ელადის წინააღმდეგ. რომელი მდინარის წყალი ეყოფოდა ამ ლაშქარს წყურვიის მოსაკლავად და არ დააკლდებოდა, გარდა უდიესი მდინარეებისა? ზოგმა ხალხმა ხომალდები მოიყვანა, ზოგმა ქვეითი ჯარი, სხვებმა ცხენოსნები, ნაწილს ცხენების გადასაყვანი ნაგებით უნდა მოემარაგებინა ჯარი და ამასთანავე უნდა მიეღო მონაწილეობა ლაშქრობაში, ნაწილს გრძელი ხომალდები უნდა მოეყვანა ხიდებისათვის, ხოლო დანარჩენებს ლაშქრობისათვის საჭირო საზრდო უნდა გაეღოთ და ამას გარდა კიდევ ხომალდები.

22. ათონის ირგვლივ რომ იცურეს პირველად, მაშინ სასტიკად დამარცხდნენ², ამიტომ ახლა ათონისათვის საგანგებო სამზადისში იყვნენ 3 წლის განმავლობაში: ქსერქსეს ელაფუსში იდგნენ ტრიერები. აქედან გადმოდიოდნენ სხვადასხვა მოლაშქრენი და მათრახით იძულებულნი ათონთან თხრიდნენ მიწას, მათი შემცვლელები კი აქეთ მოდიოდნენ. ამ ადგილს თხრიდნენ ისინიც, ვინც ათონის ირგვლივ ცხოვრობდნენ. ხოლო ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ ბუბარეს მეგაბაძოსის ძე და არტაქაძეს არტაძოსის ძე, სპარსელი ვაჟკაცები.

ათონი დიდი და სახელგანთქმული მთაა, ზღვამდე აღწევს და ადამიანთა მიერ არის დასახლებული. იმ ადგილას, სადაც მთა ხმელეთში გადადის, ნახევარკუნძულის ფორმა აქვს და მისი ყელი დაახლოებით 12 სტადიონია. ეს ყელი წარმოადგენს პატარა ბორცვებიან დაბლობს და გადაჭიმულია ზღვის იმ ადგილიდან, რომელიც აკანთოსთანაა ვიდრე ზღვამდე ტორონეს პირდაპირ. ხოლო ამ ყელზე, სადაც მთავრდება ათონი, მდებარეობს ელინური ქალაქი სანე; ხოლო სანეს იქით, მაგრამ ათონის მთის აქეთ, მდებარეობა ქალაქები, რომელთა მოსახლეობა სპარსელ მეფეს უნდოდა ხმელეთის მცხოვრებთა მაგიერ კუნძულების მცხოვრებლებად ექცია. ეს ქალაქებია: დიონი, ოლოფიქსოსი, აკროთოონი, თისოსი და კლეონე.

23. ესაა ის ქალაქები, რომლებიც ათონზეა. ხოლო ბარბაროსები ხალხების მიხედვით იყვნენ დაყოფილი და ისე თხრიდნენ ამ ადგილს. მათ ქალაქ სანესთან სწორი ხაზი გაავლეს. როდესაც თხრილი ღრმა გახდა, ისინი ვინც ქვემოთ იდგნენ, თხრას განაგრძობდნენ, ხოლო დანარჩენები გადასცემდნენ ნათხარ მიწას სხვებს, მათზე ზემოთ მდგომთ საფეხურებთან; ესენი კვლავს სხვებს გადასცემდნენ და ასე შემდეგ, ვიდრე არ მიაწვდიდნენ ყველაზე ზემოთ მდგომთ. მათ კი გაჰქონდათ მიწა და ყრიდნენ. სხვას ყველას, გარდა ფინიკიელებისა, თხრილის კედლები ენგრეოდათ და ორმაგი შრომა უწევდათ. ასეთი რამ კი გარდაუვალი იყო, რადგან ისინი ამ თხრილის ზემოთა და ქვემოთა ნაწილებს ერთი და იმავე ზომისას აკეთებდნენ. ფინიკიელებმა კი ისევე როგორც სხვა საქმეებში, აქაც სიბრძნე გამოიჩინეს: თავის წილხვდომილი ადგილი ისე გათხარეს, რომ თხრილის ზემოთა ნაწილი ორჯერ უფრო ფართო გააკეთეს, ვიდრე თვით თხრილი უნდა ყოფილიყო, ხოლო თანდათანობით მუშაობაში თხრილს სულ უფრო და უფრო ავიწროვებდნენ. ისე რომ, ქვემოთ რომ ჩავიდნენ, მათი ნაკვეთები სხვების გათხრილის თანაბარი იყო. იქვე მინდორზე ფინიკიელებს შესაკრები ადგილი და ბაზარი ჰქონდათ, ხოლო აზიიდან ბევრი დაფქვილი ხორბალი მოსდიოდათ.

24. რომ დავუფიქრდი, მივხვდი, რომ ქსერქსესმა თავისი ქედმაღლობის გამო ბრძანა აქაურობის გადათხრა. მას უნდოდა, რომ თავისი ძალა გამოეჩინა და თავის სამახსოვროდ რაიმე დაეტოვებინა. თუმცა სრულიად უშრომელადაც შეიძლებოდა ხომალდების გათრევა არსებულ ყელში, მაგრამ მან მაინც ბრძანა, რომ არხი გაეყვანათ ზღვისაკენ და ისიც იმ სიგანისა, რომ ორ ტრიერს შეძლებოდა მასში ერთდროულად გვერდიგვერდ ცურვა. იმ ხალხმა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა არხის გაყვანა, ებრძანა მდინარე სტრიმონზე ხიდის გადგმა.

25. ეს გააკეთა ქსერქსესმა, ხოლო ამავე დროს უბრძანა ფინიკიელებსა და ეგვიპტელებს და მოამზადეს ხიდებისათვის საჭირო ქილისა და თეთრი სელის მოწყობილობა. ამას გარდა ლაშქრისათვის მოიმარაგა სურსათი, რათა არ დამშეოდა

ლაშქარი და მეზარგული საქონელი, რომლებიც ელადის წინააღმდეგ წავიდოდნენ. მან შეისწავლა ადგილები და ბრძანა, რომ მთელი ეს სურსათი იქ მიეზიდათ, სადაც ყველაზე უფრო მოსახერხებელი იყო და მართლაც აზიის ყოველი კუთხიდან მოჰქონდათ ზოგს რა და ზოგს რა საზარგო ხომალდებითა და ტიკებით. სურსათი ზოგს უნდა მიეზიდა თრაკიის ეგრეთწოდებულ თეთრ კონხზე. ზოგს პერინთელთა ტიროდიძაში, სხვებს დორისკოსში, ნაწილს ეიონში, რომელსაც სტრიმონთან არის, დანარჩენებს კი ებრძანათ წაეღოთ მაკედონიაში.

26. სანამ ესენი ამ საქმეს აგვარებდნენ, მთელი ქვეითი ჯარი შეიკრიბა და ქსერქსესთან ერთად გაემართა სარდელში, კრიტალადან გამოსული, რომელიც კაპადოკიაშია. რადგან აქ იყო დათქმული თავის მოყრა ხმელეთიდან მთელი იმ ჯარისათვის, რომელიც ქსერქსესთან ერთად უნდა წასულიყო. მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომელმა გამგებელმა მოიყვანა ყველაზე უკეთ მომზადებული ლაშქარი და მიიღო მეფისაგან აღთქმული საჩუქარი. ისიც არ ვიცი, ამის თაობაზე რაიმე ცილობა იყო, თუ არა. მას შემდეგ, რაც ისინი გადავიდნენ მდინარე ჰალისზე, შევიდნენ ფრიგიაში, გადაიარს ეს ქვეყანა და მივიდნენ კელადნეში, სადაც სათავეა მდინარე მადანდროსის წყაროებისა და კიდევ მეორე მდინარისა, რომელიც მადანდროსზე ნაკლები არ არის. მას სახელად ჰქვია კატარექტესი. იგი ზედ კელადნეს მოედანზე ამოდის და ერთვის მადანდროსს. აქვე, ამ ქალაქში, ჰკიდია სილენ მარსიესის ტყავი; ამის შესახებ ფრიგიელთა შორის არსებობს თქმულება, რომ მარსიესი აპოლონმა გაატყავა და მისი ტყავი აქ ჩამოჰკიდა.

27. ამავე ქალაქში იჯდა პითოსი, ატისის ძე, ლიდიელი, რომელიც გულუხვად გაუმასპინძლდა მეფის მთელ ლაშქარსაც და თვით ქსერქსესსაც და თან ფული შესთავაზა ომში მოსახმარად. როდესაც პითოსმა ფული შესთავაზა, ქსერქსესი შეეკითხა მასთნა მყოფ სპარსელებს, თუ რა კაცია პითოსი და რამდენი ფული აქვს, რომ ამის შემოთავაზება შეუძლია. ხოლო მათ უთხრეს: „მეფეო, ეს ის კაცია, რომელმაც მამაშენს, დარიოსს, აჩუქა ოქროს ჭადარი და ოქროს ვაზი. იგი ახლაც პირველი კაცია შენს მერე სიმდიდრის მხრივ მათ შორის, ვისაც ჩვენ ვიცნობთ“.

28. ქსერქსესს გაუკვირდა ეს უკანასკნელი სიტყვები და შემდეგ თვითონ პითოსს შეეკითხა, რამდენი ფული გაქვსო. მან მიუგო: „მეფეო, მე არც ჩემს ქონებას დაგიმაღავ და არც იმას გეტყვი, რომ არ ვიცი, რამდენი მაქვს. ვიცი კიდევაც და ზუსტადაც გეტყვი. მე როგორც კი შევიტყვე, რომ ელინთა ზღვისაკენ მიდიხარ, მომინდა შენთვის ფული მომეცა საომრად და გამოვირკვიე რამდენი მაქვს. დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მქონია ვერცხლის 2000 ტალანტი, ხოლო ოქროსი 4.000 000 დარიოსის სტატერი 7000-ის გამოკლებით. აი, ამას გაჩუქებ შენ. ჩემთვის კი საცხოვრებლად ისიც საკმარისია, რაც შემომივა მონებისა და მიწებისაგან“.

29. მან ასე ილაპარაკა, ხოლო ქსერქსესს ესამოვნა მისი ნალაპარაკევი და უთხრა: „ლიდიელო მეგობარო, მას შემდეგ, რაც სპარსეთის ქვეყნიდან წამოვედი, აქამდე, შენს გარდა, კაცი არ შემხვედრია, რომელიც ისურვებდა ჩემი ლაშქრის გამასპინძლებას და არც ისეთი ვინმე შემხვედრია, რომელიც ჩემთან მოსულიყოს და თავისი ნებით ომში მოსახმარად ფულის მოცემა შემოეთავაზებინოს. შენ დიდებულად გაუმასპინძლდი ჩემს ლაშქარს და დიდი ფულიც შემოგვთავაზე. ამის სანაცვლოდ მე შენ ასეთი პატივი მინდა მოგანიჭო: შენ გახდები ჩემი მეგობარი და შენს 4 000 000 სტატერს ჩემი

საკუთარი საგანძურიდან შეგვისებ, მოგცემ 7000-ს, რომ არ აკლდეს შენ 4 000 000-ს 7 ათასი; დაე, გქონდეს მრავალი თანხა ჩემ მიერ შევსებული. შენ თვითონ გქონდეს, რაც შეგიძენია და ეცადე, რომ ყოველთვის ასეთი იყო: რადგან ასე თუ მოიქცევი, არ ინანებ არც აწყმომში და არც მომავალში“.

30. ასე თქვა ქსერქსესმა, შეუსრულა ის, რაც აღუთქვა და გზა განაგრძო. მან ჩაუარა ფრიგიელთა ქალაქს, ანავად წოდებულს და ტბას, საიდანაც მარილს იღებდნენ და მიაღწია ფრიგიის დიდ ქალაქს, კოლოსეს, სადაც მდინარე ლიკოსი მიწის უფსკრულში ვარდება და უჩინარდება. ასე, დაახლოებით 5 სტადიონის შემდეგ ისევ გამოჩნდება და ესეც ერთვის მაძანდროსს. კოლოსედან გამოსული ლაშქარი მივიდა ქალაქ კიდრარაში, რომელიც მდებარეობს ფრიგიელთა და ლიდიელთა საზღვარზე. აქ სვეტი იყო დარჭობილი, კრომსოსის მიერ დადგმული, რომლის წარწერაც ამ საზღვარზე მიუთითებდა.

31. ფრიგიიდან რომ ლიდიაში შევიდა ქსერქსესი, აქ გზა გაიყო, მარცხენა მიემართებოდა კარიისაკენ, ხოლო მარჯვენა - სარდესაკენ, ვინც ამ გზას დაადგებოდა, აუცილებლად უნდა გადაევიდა მდინარე მაძანდროსი და ჩაევიდა ქალაქი კალატებოსი, რომელშიც არიან ისეთი მოხელენი, რომლებიც თაფლინდისა და ხორბლისაგან თაფლს აკეთებენ. ამ გზით წავიდა ქსერქსესი და შეხვდა ერთი ჭადარი, რომელსაც მისი სილამაზის გამო ოქროს სამკაული შესწირა და მცველად მიუჩინა ერთი უკვდავთაგანი. მეორე დღეს კიდევ მივდია ლიდიელთა ქალაქში.

32. სარდესში რომ მივიდა, პირველად მაცნეები დაგზავნა, რომ მოეთხოვათ მიწა და წყალი და ებრძანებინათ მეფეს გაშლილი სუფრით დახვედროდნენ, მან მხოლოდ ათენსა და ლაკედემონში არ გაგზავნა კაცი მიწის მოთხოვნით, სხვაგან კი ყველგან. ხოლო მეორედ მიწასა და წყლის მოთხოვნით მან აი რატომ დაგზავნა კაცები: ვინც უწინ არ მისცა, როდესაც დარიოსმა გაუგზავნა დესპანები, მას ეოგნა, ისინი ახლა უეჭველად მომცემენ შეშინებულებიო. ამის გაგება უნდოდა დაბეჯითებით და ამიტომ გაგზავნა ქსერქსესმა კაცები.

33. ამის შემდეგ ემზადებოდა აბიდოსში წასასვლელად. ამასობაში მათ ჰელესპონტზე ხიდი გასდეს აზიიდან ევროპისაკენ. ჰელესპონტში რომ ქერსოსია, იმ ქალაქ სესტოსსა და მადიატოსს შორის არის ფართო კონცხი, რომელიც ზღვამდე აღწევს აბიდოსის პირდაპირ. აქ, ამის შემდეგ, დიდ დროს არ გაუვლია², რომ ათენელებმა, რომელთაც მხედართმთავრობდა ქსანთიპოსი არიფრონის ძე, შეიპყრეს სპარსელი არტიაკტესი, სესტოსის მმართველი და ცოცხლივ გააკრეს ბომზე, სწორედ ის, რომელიც ელაფუსში, პროტესილეოსის ტაძარში ერეკებოდა ქალებს და იქ უწმინდურებას სჩადიოდა.

34. აბიდოსიდან ამ კონცხზე ხიდები გასდეს მათ, ვისაც ეს ევალეზებოდა. ერთი ფინიკიელებმა - თეთრი სელისა, ხოლო მეორე ეგვიპტელებმა - ჭილისა. ხოლო აბიდოსიდან მის მოპირდაპირე ნაპირამდე 7 სტადიონია. როდესაც გაიდო ხიდები გადასასვლელზე, დიდი ქარიშხალი ამოვარდა და ეს ყოველივე დაანგრია და დააქცია.

35. ქსერქსესმა რომ ეს შეიტყო, საშინლად გაბრაზდა და ბრძანა ჰელესპონტისათვის 300 მათრახი დაერთყათ და ზღვაში წყვილი ბორკილი ჩაეგდოთ. ისიც კი მითხრეს,

თითქოს ამის გარდა დამდაღებებიც გაუგზავნია, რომ ჰელესპონტი დაედაღათ. ყოველ შემთხვევაში ის კი ნამდვილად უბრძანებია, რომ ამ გამათრახებისას უხეში და თავხედური სიტყვები ეთქვათ: „მწარე წყალო, უფალი შენ იმიტომ გსჯის, რომ შენ მას უსამართლოდ მოექცევი მაშინ, როდესაც მას შენთვის არაფერი დაუშავებია. შენ გინდა თუ არა, მეფე ქსერქსესი მაინც გადაივლის შენზე. მართლაც, სამართლიანია ის, რომ არც ერთი ადამიანი არ გწირავს მსხვერპლს, რადგან ჭუჭყიანი და მლაშე მდინარე ხარ“. ასე უბრძანა ქსერქსესმა თავის ხელქვეითებს, ზღვა დაესაჯათ და თავები დაეჭრათ იმათთვის, ვინც ხელმღვანელობდა ჰელესპონტზე ხიდების გადებას.

36. ვისაც ასეთი უსიამოვნო მოვალეობა დაეკისრა, იმათ მოუხდათ მისი შესრულება. ხოლო სხვა ხუროთმოძღვრებმა გააკეთეს ახალი ხიდები და გააკეთეს შემდეგნაირად: 50 - ნიჩბიანი ნაგები და ტრიერები ერთად დააყენეს, ევქსინის პონტოს მხრივ 360, ხოლო მეორეს მხრივ - 314; პონტოსაკენ - ირიბად დააყენეს, ხოლო ჰელესპონტისაკენ - დიენბის მიმართულებით. ეს იმისათვის, რომ ბაგირები კარგად დაეჭიამთ. ერთად დააყენეს და ჩაუშვეს ზალიან გრძელი ღუზები, პონტოსაკენ რომ იყო იმ ხიდიდან იმ ქარების გამო, რომლებიც შიგნიდან უბერავდნენ, ხოლო მეორე ხიდიდან, რომელიც დასავლეთისაკენ, ეგევსისი ზღვისკენ იყო, დასავლეთისა და სამხრეთის ქარების გამო. 50-ნიჩბიან ნაგებს შორის სამგან გასასვლელი დასტოვეს, რადგან თუ ვინმე მოისურვებდა, შეძლებოდა პატარა ნაგებით პონტოში შეცურება და პონტოდან უკან გამოსვლა. ეს რომ გააკეთეს, შემდეგ გადასჭიმეს ხმელეთიდან ხის ოწინარეებზე დახვეული ბაგირები, მხოლოდ ამჯერად თითოეული ხიდი ამ ორიდან ერთი რომელიმე ამ მასალიდან კი აღარ გააკეთეს, არამედ თითოეული ხიდისათვის გამოიყენეს ორი თეთრი სელისა და ოთხი ჭილის ბაგირი. სისქე და შესახედაობა ორივეს ერთნაირი ჰქონდა, მხოლოდ სელისა უფრო მძიმე იყო, მისი ერთი წყრთა ტალანტს იწონიდა. როდესაც გასასვლელზე გადეს ხიდები, დახერხეს ხის ძელები და ისინი იმ ზომისა გააკეთეს, რა სიგანეც ხიდსა ჰქონდა, დაალაგეს ისინი რიგზე დაჭიმულ ბაგირების ზემოთ, ხოლო რიგზე რომ დააწყვეს, შემდეგ კვლავ შეჰკრეს. შემდეგ მოიტანეს ხის მასალა, ისიც რიგზე დააგდეს და ზედ მიწა დაყეარეს, ხოლო მიწის დატკეპნის შემდეგ ორთავე მხარეს კედლები ამოაშენეს, რათა სახედრები და ცხენები არ შეშინებულიყვნენ, ზღვას რომ გადმოხედავდნენ.

37. როდესაც ხიდებიც გააკეთეს და ათონის ირგვლივ სამუშაოებიც დაამთავრეს (ე.ი. თხრილის ბოლოებთან მიწაყრილები გააკეთეს, რათა მიმოქცევის დროს ქვიშით არ ავსებულყო თხრილის ბოლოები), შეატყობინეს ქსერქსესს, რომლის ლაშქარმა ზამთარი სარდელში გაათარა; გაზაფხულის დადგომისთანავე ის მოემზადა, სარდელდან გამოვიდა და აბიდოსისაკენ გაემართა. როგორც კი დაიდრნენ, მზემ დასტოვა ზღვაში თავისი საბრძანებელი და გაუჩინარდა, მაშინ, როდესაც არც ღრუბლიანი დარი იყო და ცაც საგანგებოდ იყო მოკრიალებული; დღის მაგივრად ღამე დადგა. ქსერქსესმა რომ ეს დაინახა, შეფიქრებდა და შეეკითხა მოგვებს, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს სასწაული. ხოლო მათ უპასუხეს, რომ ამით ღამერთმა ანიშნა მას, რომ ელინები თავის ქალაქებს დაჰკარგავენ. ისიც თქვეს მოგვებმა, რომ მზე ელინთა მომასწავებელია, ხოლო მთვარე -სპარსელებისა. ეს რომ შეიტყო ქსერქსესმა, ძალიან გაიხარა და გაემართა სალაშქროდ.

38. როგორც კი დაძრა ქსერქსესმა ლაშქარი, მივიდა მასთან პითიოს ლიდიელი შეშინებული ცით მოვლენილი სასწაულისაგან და გამხნეებული საჩუქრებით¹, და

უთხრა: „უფალო, მინდა რაღაცა გთხოვო, რაც შენთვის ადვილი აღსასრულებელია, ხოლო ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანი არის“. ქსერქსესი ყველაფრის თხოვნას უფრო მოელოდა, ვიდრე იმას, რაც მან მოითხოვა და უთხრა დაგეხმარებით. თან უბრძანა, ეთქვა, თუ რას თხოულობს. ხოლო პითოსმა რომ ეს მოისმინა, გამხნედა და უთხრა: უფალო, ხუთი შვილი მყავს და ყველას მოუწია შენთან ერთად ელადის წინააღმდეგ ლაშქრობამ. მეფეო, გთხოვ, ჩემი ასაკი შეიბრალო და ჩემს შვილთაგან ერთი, უფროსი, გაათავისუფლო ჯარიდან, რათა მან იზრუნოს ჩემზედაც და ჩემს ქონებაზედაც. ხოლო ოთხი დანარჩენი წაიყვანე შენთან ერთად, გააკეთე, რაც განგიზრახავს და მშვიდობით დაბრუნებულიყავი უკან“.

39. ქსერქსესი ძალიან განრისხდა და მიუგო შემდეგი: „ბოროტო კაცო, შენ ბედავ შენი შვილები შემახსენო მაშინ, როდესაც მე თვითონ ვლაშქრობ ელადის წინააღმდეგ და თან მიმყავს ჩემი შვილები, ძმები, ნათესავები და მეგობრები, შენ, რომელიც ჩემი მონა ხარ და რომელსაც მართებს თან წამომყვეს მთელი თავისი სახლეულითა და ცოლით? კარგად უნდა იცოდე ის, რომ ადამიანთ სული ყურებში ცხოვრობს, როდესაც ის კარგს რასმე ისმენს, მის სხეულში სიამოვნება იღვრება, ხოლო როდესაც ის ამის საწინააღმდეგოს ისმენს, რისხვით ივსება. როდესაც შენ კეთილი საქმე გააკეთე და დაგვიპირდი კიდევ სხვას მისთანას, ნუ დაიქადნებ, რომ მეფეს გადააჭარბე ქველმოქმედებაში. ხოლო მას შემდეგ, რაც სირცხვილზე ხელი აიღე, იმას კი არ მიიღებ რაც გეკუთნის, არამედ იმაზე უარესს, რად დაიმსახურე. სტუმართმოყვარეობამ გიხსნას შენცა და შენი ოთხი შვილი. მაგრამ შენ დაისჯები იმ ერთი შვილის სიკვდილით დასჯით, რომელიც განსაკუთრებით გიყვარს“. ქსერქსემაც რომ ასე უთხრა, მაშინ უბრძანა, ვინც ამისთანა საქმეების გამრიგებლად ჰყავდა დაყენებული, რომ ეპოვნათ პითოსის უფროსი შვილი და შუაზე გაეჭრათ. ხოლო გაჭრის შემდეგ ერთი ნახევარი მარჯვნივ დაედოთ, ხოლო მეორე კი მარცხნივ, რათა მათ შორის გაეგლო ლაშქარს.

40. ბრძანების ასრულების შემეგ ლაშქარმა შაუში გაიარა. ყველაზე წინ მიდიოდნენ მებარგულები და სახედრები, ხოლო ამათ შემდეგ სხვადასხვა ტომისაგან შერეული ლაშქარი, რომელიც დანაწილებული არ იყო. ლაშქრის ნახევარზე მეტს დანარჩენთაგან ჰყვოდა გარკვეული მანძილი, რათა მათ მეფესთან ერთად არ ევლოთ. მეფეს წინ უძლოდა ათასი ცხენოსანი, ყველა სპარსელს შორის გამორჩეული. ხოლო მათ შემდეგ მიდიოდა ათასი შუბოსანი, ესენიც ყველა სპარსელს შორის რჩეულნი იყვნენ, მათ ძირს, მიწისაკენ, მიმართული შუბები ეჭირათ. შემდეგ საუკეთესო მოსართავებით მოჰყავდათ ათი წმინდა ცხენი, ნესაფურად წოდებული, ხოლო ნესაფური ამ ცხენებს იმიტომ ეწოდათ, რომ მიდიაში ერთი დიდი დაბლობია, რომელსაც ნესაფონი ჰქვია. და ამ მინდორზეა, რომ ზორბა ცხენები იზრდებიან. ამ ათ ცხენს მოსდევდა ზევსისათვის განკუთვნილი წმინდა ეტლი, მასში შებმული იყო რვა თეთრი ცხენი. ამ ცხენებს უკან ფეხით მოჰყვებოდათ მეეტლე, რომელსაც ხელში ეჭირა სადავეები, რადგან ადამიანთაგან არავის ჰქონოდა ნება ამ ტახტზე ასვლისა, ხოლო ამ ეტლის უკან იყო თვითონ ქსერქსესი ნესაფურ ცხენშებმულ ეტლში. მის გვერდით მიდიოდა მეეტლე, რომელსაც სახელად ერქვა პატირამფესი, სპარსელი ოტანესის შვილი.

41. ამგვარად, გამოვიდა ქსერქსესი სარდედან, ხოლო როდესაც მოუნდებოდა, გადაჯდებოდას ხოლმე ამ ეტლიდან ჩარდახიან ურემში. მას უკან მოჰყვებოდა ათასი

შუბოსანი, სპარსთა შორის უმამაცესი და უწარჩინებულესი. ამათ შუბები წესისამებრ ეჭირათ, შემდეგ სხვა ათასი მხედარი იყო, სპარსთა შორის ნარჩევი, ხოლო მხედრობის მერე დანარჩენ სპარსელთა შორის ნარჩევი 10 000 კაცი მოდიოდა. ესენი ქვეითები იყვნენ. ამათგან 1000 კაცს შუბებზე შუბის წვერების ნაცვლად ოქროს ბროწეულები ჰქონდათ და ესენი გარს ერტყნენ სხვებს, ხოლო დანარჩენი ცხრა ათასი მათ შორი იმყოფებოდა და ამათ ვერცხლის ბროწეულები ჰქონდათ შუბებზე. ოქროს ბროწეულები ჰქონდათ აგრეთვე იმათ, რომელთაც მიწისაკენ დახრილი შუბები ეჭირათ, ხოლო მათ, ვინც უშუალოდ მისდევდა ქსერქსეს, ოქროს ვაშლები ჰქონდათ შუბზე. ამ ათი ათას მეომარს მისდევდა ათი ათასი სპარსი მხედარი. მხედრობის შემდეგ კარგი ორი სტადიონი მანძილი იყო დატოვებული და შემდეგ მიდიოდა დანარჩენი ხალხი არეულად.

42. ლაშქარი ლიდიიდან წავიდა მდინარე კაიკოსისკენ და მისიის ქვეყნისაკენ, კაიკოსიდან წამოსულთა კანის მთა მარცხნივ დარჩათ და ატარნევსზე გავლით მივიდნენ კარენის ქალაქში. აქედან თებეს დაბლობი გადაიარეს და ჩაუარეს ატრამიტეონის ქალაქს და ანტანდროსს, რომელიც პელაზგური ქალაქია. შემდეგ დაიჭირეს იდე, მარცხნივ მოიტოვეს ის და შევიდნენ ილიონის მიწა-წყალზე. პირველად, როდესაც იდეს მთის ძირში გაატარეს ღამე, ჭექა-ქუხილი და მეხი დაატყდათ თავს და იქ ამოწყდა კარგა ბლომად ხალხი.

43. როდესაც ლაშქარი მივიდა მდინარე სკამანდროსთან (ეს პირველი მდინარე იყო მას მერე, რაც სპარსელები სარდედან გამოვიდნენ და გზას დაადგნენ, და რომლის დინებამაც მოიკლო და არ ეყო დასალევად ლაშქარს და ცხოველებს), აი, როგორც კი მოაღწია ქსერქსესმა ამ მდინარეს, ავიდა პრიამოსის ციხე-სიმაგრეზე, რადგან მისი დათვალიერება უნდოდა. როდესაც დაათვალიერა და დაწვრილებით შეიტყო ყოველივე იქ მყოფთაგან, ილიონის ათენას მსხვერპლად შესწირა 1000 ძროხა, ხოლო მოგვებმა ტროის ომში დახოცილი გამირებისათვის ზედაშე დაათხიეს. ეს რომ გააკეთეს, ღამით მათი ბანაკი შიშმა შეიპყრო. ხოლო როგორც კი გათენდა, წავიდნენ აქედან, მარცხნივ მოიტოვეს ქალაქი როფტეონი, ოფრინეონი და დარდანოსი. ეს უკანასკნელი აბიდოსის მეზობლად არის, მარჯვნივ კი გერგიითი - ტევკრები არიან.

44. როდესაც მივიდნენ აბიდოსში, ქსერქსესმა მოისურვა მთელი ლაშქარი დაეთვალიერებინა. მართლაც, ბორცვზე წინასწარ იყო მისთვის საგანგებოდ მოწყობილი თეთრი ქვის ტალანი. ხოლო ის აბიდოსელებმა გააკეთეს მეფის ადრე გაცემული განკარგულების თანახმად. აქ რომ დაჯდა ქსერქსესი, გადაიხედა ნაპირისაკენ და დაინახა სახმელეთო ჯარიცა და ხომალდებიც. ეს რომ დაინახა, ხომალდების შეჯიბრის ნახვაც მოუნდა. როდესაც მოაწყვეს ხომალდთა შეჯიბრი, გაიმარჯვეს სიდონელმა ფინიკიელებმა და მეფე ნასიამოვნები დარჩა როგორც ამ შეჯიბრით, ისე ლაშქრით.

45. როდესაც დაინახა ხომალდებით დაფარული მთელი ჰელესპონტი, ხოლო ნაპირები და აბისოდელთა დაბლობები ავსებული ხალხით, მაშინ ქსერქსესმა თავისი თავი ჯერ ნეტარად ჩათვალა და მერე კი იტირა.

46. ეს რომ მისმა ბიძამ არტაბანოსმა შეამჩნია (იმან, რომელიც თავისუფლად გამოსთქვამდა თავის აზრს და თავდაპირველად არ ურჩევდა ქსერქსესს ელადის

წინააღმდეგ ლაშქრობას) აი, ამ კაცმა რომ შეამჩნია, ქსერქსესი ტირისო, ჰკითხა: „მეფეო, რა რიგად განსხვავდება ერთამანეთისაგან შენი ახლანდელი ქცევა წინანდელისაგან, ჯერ იყო და ნეტარად მიიჩნე შენი თავი და ახლა კი ტირი“. ხოლო ქსერქსესმა მიუგო მას: „სინანულმა მომიცვა, როდესაც ვიფიქრე, თუ რა მოკლე არის ადამიანის სიცოცხლე, თუ ამოდენა ხალხიდან ერთიც აღარ იქნება ცოხალი მეასე წელს“. ხლო არტაბანოსმა მიუგო და უთხრა: „ამის გარდა სხვაც ბევრია ჩვენს ცხოვრებაში დასანანებელი. რადგან თუნდაც ესოდენ ხანმოკლე ცხოვრებაში, ერთი ადამიანიც კი არ არის ისე ბედნიერი (არც ამათ შორის და არც სხვები), რომელსაც ერთხელ კი არა, მრავალგზის არ ენატროს და არ ემჯობინებინოს სიკვდილი სიცოცხლისათვის. თავსდატეხილ უბედურებათა და მტანჯველ სნეულებათა გამო ეს ხანმოკლე სიცოცხლე კი გრძლად გვეჩვენება. და რადგანაც ცხოვრება ძალიან უმსგავსია, ამიტომ სიკვდილი საჩუკვარ თავშესაფრად ევლინება ადამიანს. ღმერთი, რომელმაც გვაგემა ცხოვრების სიტკბო, როგორც ჩანს, მის მიმართ, მოშურნე არის“.

47. ხოლო ქსერქსესმა მიუგო და თქვა: „არტაბანოს, შევწყვიტოთ ლაპარაკი ადამიანთა ცხოვრების შესახებ, რომელიც მართლაც იმგვარია, როგორცაა შენ მას წარმოადგენ: სიკეთი მფლობელნი ძვირს ნულარ გავიხსენებთ. ხოლო მე გთხოვ მითხრა შემდეგი: სიზმრის ჩვენება რომ ეგრე ცხადად არ მოგვლენოდა, შენ შეინ თავდაპირველი აზრისა იქნებოდი, ე.ი. არ დამრთავდი მე ელადაზე ლაშქრობის ნებას, თუ მაინც გამოიცვლიდი აზრს? აი, ამაზე მიპასუხე გარკვეულად“. არტაბანოსმა მიუგო: „მეფეო, აღესრულოს სიზმარის ჩვენება ისე, როგორც ეს ჩვენ ორთავეს გვინდა. მე კი ჯერაც შიშითა ვარ სავსე და ვერა ვმშვიდდები, ის კი არა, ბევრს ვფიქრობ, როდესაც ვხედავ, რომ ორი ყველაფერზე უფრო დიდი მტერი გყავს“.

48. ქსერქსესმა ამაზე შემდეგი მიუგო: „უცნაურო ადამიანო, ამას რას ამბობ, რა ორ საშინელ მტერზე ლაპარაკობ? რა, ჩვენი სახმელეთო ჯარია სიმრავლის მხრივ სასაყვედურო (ელინური ლაშქარი ხომ არ გეჩვენება ჩვენსაზე უფრო მრავალრიცხოვანი?), თუ ჩვენი ფლოტი ჩამორჩება მათსას, თუ ორივეს ერთს სწუნობ? თუ ამის გამო ვფიქრობ, რომ არასახარბიელოა ჩვენი მდგომარეობა, ხელად შეიძლება, სხვა ლაშქარი შეიკრობოს“.

49. ხოლო არტაბანოსმა მიუგო მას და თქვა: „მეფეო, ვერც ერთი ჰკუთამყოფელი კაცი ვერ დაიწუნებს ვერც ამ ლაშქარს და ვერც ხომალდთა სიმრავლეს. ამაზე მეტიც რომ შეგეკრიბა, ჩემგან ნახსენები ორი მტერი კდიევ უფრო საშიში იქნებოდა. ეს ორი მტერი არის - მიწა და ზღვა. რადგან ასე მგონია, არც ზღვაშია არსად ისეთი ნავსადგური, რომელიც ქარიშხალი თუ ამოვარდა, ამ შენს ფლოტს დაიტევს და საიმედო თავშესაფარი იქნება შენი ხომალდებისათვის. თანაც ასეთი ნავსადგური ერთი კი არ უნდა იყოს, არამედ ბევრი, მთელი იმ სანაპიროს გასწვრივ, რომელსაც შენ ჩაუვლი, რადგან არა გვაქვს ასეთი ნავსადგურები, რომელთაც შეუძლიათ შენი ფლოტის შეფარება, იცოდე, რომ შემთხვევითობა განაგებს ადამიანებს და არა ადამიანები შემთხვევითობას. ორი მტრიდან ერთის შესახებ ხომ ვთქვი და ახლა მეორის შესახებაც მოგახსენებ. მიწა შენი მტერი აი ამიტომ არის: თუ შენ რაიმე წინააღმდეგობა არ გადაგელობა, იმდენად უფრო გიმტრობს მიწა, რამდენადაც უფრო შორს წახვალ, და სულ მუდამ წინ შეგიტყუებს. ადამიანები ხომ ბედნიერებას არ სჯერდებიან. ახლა კი იმას გეუბნები, რომ თუ არაფერი გაგიჩვეს წინააღმდეგობას, დროსთან ერთდ მანძილიც მოიმატებს და წარმოიშობა შიშშილი. ის კაცია ნამდვილი

ვაჟკაცი, ვინც ბჭობის დროს ფრთხილად იქცევა, ყოველივეს ასწონ-დასწონის და სხვებს ყურს დაუგდებს, მაგრამ საქმეში გამბედავი უნდა იყოს“.

50. ქსერქსემა მიუგო: „არტაბანოს, შენ ყოველივე ამას მართლაც სწორად სჯი. მაგრამ ნურც ყველაფრისა გეშინია და ნურც ყოველივეს თანაბრად უკვირდები, რადგან თუ მოინდომებ, რომ ყოველთვის, ყოველ ჯერზე ყველაფერს თანაბრად ჩაუკვირდე, ვერასოდეს გააკეთებ ვერაფერს. უმჯობესია ყველაფერი გაბედო და საშინელების ნახევარი გადაიტანო, ვიდრე ყველაფრის წინდაწინ გეშინოდეს და არასოდეს არაფერი განიცადო. თუ ყველაფერზე იკამათებ, რაც კი ითქმის და არ აღიარებ სიმართლეს. მაშინ შენ ისევ შეცდები, როგორც ის, ვინც ამის საწინააღმდეგოს ამბობს. ეს ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივეა. იცის კი ადამიანმა, რა არის სიმართლე? ვფიქრობ, რომ სულაც არა. ვისაც უნდა რაღაცის კეთება, ის ჩვეულებრივ მოგებულებს არის. ხოლო ვინც ყველაფერზე ფიქრობს და ყოყმანობს, ის გაცილებით ნაკლებადაა წარმატებული. შენ ხედავ, სპარსელთა სახელმწიფომ თუ რამოდენა ძლიერებას მიაღწია. ისინი, ვინც ჩემამდე იყვნენ მეფეებად, იმავე აზრისანი რომ ყოფილიყვნენ როგორისაც შენ ხარ, ანდა ამ აზრისა რომ არ ყოფილიყვნენ როგორისაც შენ ხარ, ანდა ამ აზრისა რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ ასეთივე მრჩეველები ჰყოლოდათ, ვერასოდეს ვნახავდით ჩვენს სახელმწიფოს ასე წინ წასულს. ისინი საფრთხეში ვარდებოდა და ასე სწევდნენ წინ ჩვენს სახელმწიფოს. რადგან დიდი საქმე მხოლოდ დიდი საფრთხის გადალახვით მიიღწევა. ჩვენც ვბაძავთ ჩვენს უწინარეს მეფეებს და გამოვვებით წლის საუკეთესო დროს, რომ დავიპყროთ მთელი ევროპე, მერე უკან დავბრუნდებით, არც შიმშილობა მოგვიწევს და არც სხვა რაიმე უბედურებას გადავიტანთ. ჯერ ეს ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ დიდძალი საგზალი მიგვაქვს თან, ხოლო მეორეც იმიტომ, რომ რა ქვეყანასა და ხალხზედაც გადავივლით, ყველაგან ვიშოვით საჭმელს. ჩვენ ხომ მიწისმოქმედი ხალხის წინააღმდეგ ვლაშქრობთ და არა მომთაბარეებზე“.

51. ამის შემდეგ უთხრა არტაბანოსმა: „მეფეო, რაკილა არ მართავ ნებას, მეშინოდეს რაიმე საქმისა, რჩევა მაინც მიიღე ჩემგან (რადგან აუცილებელია, მრავალი საქმის შესახებ მრავალი სიტყვის თქმა). კიროსმა, კამბისესის ძემ მთელი იონია დაიმორჩილა, გარდა ათენისა და სპარსელების მოხარკე გახადა. ისე რომ, მე შენ გირჩევ, ეს ხალხი არავითარ შემთხვევაში არ წაიყვანო თავისი წინაპრების წინააღმდეგ, რადგან ჩვენ მათ გარეშე შევძლებთ მტრების დაძლევას. ისინი თუ წამოგყვებიან, ან დიდ უსამართლობას ჩაიდენენ და თავის დედაქალაქს დაიმონებენ, ან არა და, თუ სამართლიანად მოიქცევიან, უნდა მოეხმარონ მას თავისუფლებისათვის ბრძოლაში. თუ უსამართლოდ მოიქცევიან, ამით არაფერ დიდ სარგებლობას არ მოგვითანენ ჩვენ, ხოლო თუ სამართლიანები იქნებიან, შეუძლიათ დიდად ავნი სენს ლაშქარს. გახსოვდეს ეთი ძველი კარგი გამოთქმა -დასაწყისთან ერთად მთელი დასასრული როდი ჩანსო“.

52. ამაზე მიუგო ქსერქსესმა: „არტაბანოს, შენს აზრთა შორის ყველაზე მცდარი ესაა, როდესაც გეშინია, იონიელებმა არ გვიღალათონ. მათ მიმართ ჩვენ ხომ უდიდესი საბუთი გვაქვს, რისი მოწმეც შენცა ხარ და ყველა ისინიც, რომლებიც დარიოსთან ერთად ლაშქრობდნენ სკვითების წინააღმდეგ, როდესაც მათზე იყო დამოკიდებული მთელი სპარსული ჯარის დაღუპვა და გადარჩენა. იმათ კი მაშინ მხოლოდ სამართლიანობა გვიჩვენეს და ერთგულება დაგვიმტკიცეს. ცუდი არაფერი

გაუკეთებიათ. ამას გარდა, თუ მათ ჩვენს ქვეყანაში დატოვეს შვილები, ცოლები და ქონება, არ უნდა გვეფიქრობოდეს, რომ ისინი რასმე ცუდს გაგვიკეთებენ. ამგვარად, ნუ გეშინია ამისი, იყავი და მოუარე ჩემს სახლსა და ჩემს ხელისუფლებას. რადგან მთელს ჩემ დიდებულთა შორის მხოლოდ შენ განდობ ჩემს სამეფოს“.

53. ეს რომ თქვა, ქსერქსესმა უკან სუსაში გაგზავნა არტაბანოსი, ხოლო სპარსელთა შორის ყველაზე სახელოვან პირებს მეორედ გამოუძახა. როდესაც ისინი მოვიდნენ, უთხრა მათ შემდეგი: „სპარსელებო, მე თქვენ იმისათვის შეგკრიბეთ, რომ გთხოვოთ სიმამაცე გამოიჩინოთ და არ შეარცხვინოთ სპარსელთა უწინდელი საქმიანობა, რაც მართლაც დიდი და ღირსეული იყო. ის კი არა, თითოეული ცალ-ცალკე და ყველანი ერთად თავგამოდებით უნდა ვცდილობდეთ, რადგან ყველასათვის საერთო სიკეთისათვის ვზრუნავთ. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ ამ ომში მხნეობამ არ გიღალატოთ, რადგან როგორც შევიტყვე, ჩვენ ვლამპრობთ მამაცი ვაჟკაცების წინააღმდეგ და თუ კი ჩვენ მათ დავამარცხებთ, აღარ იქნება ადამიანთა სხვა რომელიმე ლაშქარი, რომელსაც მოუნდება ჩვენი წინააღმდეგობა. ახლა კი შევევედროთ ღმერთებს, რომლებიც მფარველობენ სპარსეთის ქვეყანას და შევუდგეთ გადასვლას“.

54. იმ დღეს სპარსელები გადასასვლელად ემზადებოდნენ, ხოლო მეორე დღეს სანამ ელოდებოდნენ მზის ამოსვლას (რისი ნახვაც უნდოდათ), ყოველგვარი საკმეველი აკმეის ხიდებზე და გზები მოჰფინეს ტვიის ტოტებით. როდესაც ამოვიდა მზე, ქსერქსესმა ოქროს ფიალიდან მოახდინა დათხევა ზღვაში და შევედრა მზეს, რომ არაფერი შემთხვეოდა ისეთი, რაც ხელს შეუშლიდა ევროპის დაპყრობაში მასზე უწინ, ვიდრე ევროპის მეორე კიდემდე მივიდოდა. რომ ილოცა, ფიალა ჰელესპონტში გადაისროლა, აგრეთვე ოქროს კრატერი და სპარსული მახვილი, რომელსაც აკინაკესს უწოდებენ. მე არ შემიზღია დანამდვილებით განვსაზღვრო, მზეს შესწირა ეს ნივთები, როდესაც ისინი ზღვაში ჩაჰყარა, თუ ზღვა დაასაჩუქრა იმის გამო, რომ ჰელესპონტი გაამათრახა და ამით თავის საქციელს ინანიებდა.

55. ამის შემდეგ სპარსელებმა დაიწყეს გადასვლა, იმ ერთი ხიდით, რომელიც პონტოსკენ იყო მიმართული, გადადიოდა ქვეითი ჯარი და მთელი მხედრობა, ხოლო მეორეთი, რომელიც ეგევსის ზღვისაკენ იყო მიმართული, სახედრები და მსახურები. ლაშქარს წინ მიუძღოდა 10 000 სპარსელი, ყველა გვირგვინოსანი, ხოლო მათ შემდეგ მიდიოდა მრავალი ხალხისაგან შემდგარი ლაშქარი. ამ დღეს ესენი გადავიდნენ, ხოლო მეორე დღეს ყველაზე უწინ გადავიდნენ მხედრები და ისინი, ვისაც შუბები ძირს ჰქონოდათ დაშვებული. ესენიც გვირგვინებით იყვნენ შემკული. შემდეგ მიდიოდნენ წმინდა ცხენები და წმინდა ეტლი. ამათ მიჰყვებოდა თვით ქსერქსესი, შუბოსნები და ათასი მხედარი, ხოლო ამათ მისდევდა დანარჩენი ლაშქარი. ამავე დროს ხომალდებმა გაცურეს მოპირდაპირე ნაპირისაკენ. ხოლო მე ისიც გავიგე, რომ მეფე ყველაზე ბოლოს გადავიდაო.

56. ქსერქსე რომ გადავიდა ევროპეში, ათვალთვლებდა თავის ლაშქარს, რომელიც მათრახის ცემით გადაჰყავდათ. ხოლო მისი ლაშქარი გადადიოდა 7 დღესა და 7 ღამეს ისე, რომ არ შეუსვენია არც ერთი წუთით. ამბობენ, ქსერქსესი რომ გადავიდა ჰელესპონტზე, ერთ-ერთმა ჰელესპონტელმა თქვა: „ზევსო, რატომ მიიღე სპარსელის გარეგნობა და სახელად ზევსის ნაცვლად ქსერქსესი დაირქვი? ელადის განადგურება

რომ მოინდომე, ამოდენა ხალხი თან რად მიგყავს? შენ ხომ უამათოდაც შეგეძლო ამას გაკეთება?“

57. ყველანი რომ გადავიდნენ და გზა განაგრძეს, დიდი სასწაული მოხდა, მაგრამ ქსერქსესმა ყურადღება არ მიაქცია მას, თუმცა ადვილად ასახსნელი კი იყო: ცხენმა შობა კურდღელი. ეს ადვილად ასახსნელი სასწაული იმას ნიშნავდა, რომ ქსერქსესს ელადაზე ლაშქარი დიდი ზეიმითა და მთელი ბრწყინვალეებით მიჰყავდა, ხოლო უკან რომ წამოვიდოდა, იგივე ადგილი სირბილით უნდა გადაერბინა, რომ თავი გადაერჩინა. ქსერქსესს მეორე სასწაულიც ეჩვენა, ჯერ კიდევ სარდელში რომ იყო: ჯორმა გააჩინა ჯორი, რომელსაც ორმაგი სარცხინველი ჰქონდა, მამრობითიცა და მდედრობითიც; ზემოდან იყო მამრობით. არც ერთ ამ ჩვენებას არ მიაქცია ყურადღება და წავიდა წინ, მასთან ერთად მიდიოდა სახმელეთო ჯარი.

58. ხოლო ფლოტი დაიძრა ჰელესპონტიდან და ნაპირის გასწვრივ გასცურა სახმელეთო ჯარის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით. იგი მიცურავდა დასავლეთისაკენ და უნდა მისულიყო სარპედონის კონცხთან და ნაბრძანები ჰქონდა, აქ რომ მივიდოდა, დაეცადა. სახმელეთო ჯარი კი მიდიოდა ქერსონეზე გავლით აღმოსავლეთისაკენ, ისე რომ, მარჯვნივ უნდა ჰქონოდა ჰელეს საფლავი, ათამანტის ასულისა, ხოლო მარცხნივ - ქალაქი კარდიე. ჯარმა გაიარა იმ ქალაქის შუაში, რომელსაც სახელად ჰქვია აგორე. აქედან მან შემოუარა ეგრეთ წოდებულ შავ უბეს და გაიარა შავი მდინარე, რომელსაც მაშინ არ აღმოაჩნდა ლაშქრისათვის საკმარისი წყალი და დააკლდა. ამ მდინარისაგან მიიღო ამ უბემ სახელი. აქედან ლაშქარი დაიძრა დასავლეთისაკენ, ჩაუარა ეოლიდის ქალაქ ანოსს და ნავთსადგურს - სტენტორისს, ვიდრე არ მივიდა დორისკოსში.

59. ხოლო დორისკოსი არის თრაკიის სანაპირო და ვრცელი დაბლობი, რომელზედაც მიედინება დიდი მდინარე ჰებროსი. აქვეა აგებული სამეფო ცხიესიმაგრე, რომელსაც დორისკოსი ეწოდება. მასში დარიოსი მიერ იყო ჩაყენებული სპარსული ჯარი ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ის სკვითების წინააღმდეგ ლაშქრობდა. ქსერქსესმა იფიქრა, რომ ეს ადგილი მოსახერხებელია იმისათვის, რომ დააწყოს და დათვალოს თავისი ჯარი და ასე მოიქცა. მთელი ფლოტი რომ მოვიდა დორისკოში, ქსერქსესმა უბრძანა მის უფროსებს, დორისკოსთან ყველაზე ახლოს მდებარე სანაპიროს მისდგომოდნენ. აქაა დაფუძნებული სალე, სამოთრაკიული ქალაქი და ძონე. ხოლო ეს სანაპირო მთავრდება სახელგანთქმული კონცხით, სერეფონით. ძველად ეს ადგილი კიკონებისა ყოფილა. ამ სანაპიროს მიაყენეს ხომალდები, გამოათრიეს ნაპირზე და თვითონ დაისვენეს. ქსერქსესი კი ამ დროს დორისკოსში ლაშქარს ათვალიერებდა.

60. მე არ შემძლია ზუსტად ვთქვა, თუ რა რაოდენობის ჯარი გამოიყვანა თითოეულმა ხალხმა, რადგან ამის შესახებ ადამიანისშვილი არაფერს ამბობს. ხოლო მთლიანად სახმელეთო ლაშქრის რაოდენობამ 1 700 000 კაცს მიაღწია. ისინი ამგვარად დათვალეს: შეჰყარეს ერთ ადგილს 10 000 კაცი, დაყენეს ისინი რაც შეიძლება მჭიდროდ და მათ ირგვლივ წრე შემოხაზეს. შემოხაზეს, მერე გაუშვეს ეს ათიათასი კაცი და ამ წრეზე ღობე შემოავლეს, რომელიც სიმაღლით ადამიანს ჭიპამდე სწვდებოდა. ამის შემდეგ სხვები შეიყვანეს ამ შემოღობილში და ასე

აკეთებდნენ, ვიდრე ყველანი არ დათვალეს ამ ხერხით. ჯარისკაცები რომ დათვალეს, მერე დააწყვეს ისინი ხალხების მიხედვით.

61. ხოლო მოლაშქრენი იყვნენ: სპარსელები, რომლებიც ასე იყვნენ აღჭურვილნი; თავზე ეხურათ ეგრეთ წოდებული ტიარები, რომლებიც არამკვრივი ნაბადისა იყო, ტანზე ეცვათ ჭრელი, სახელოებიანი ქიტონები. . . და თევზის ქერცლის მსგავსი რკინის აბჯარი და ტოტებგანიერი შარვლები. ხოლო ფარების მაგივრად ეჭირათ მოწნული მრგვალი ლასტები, რომლის ქვემოთაც ეკიდათ კაპარჭები, მოკლე შუბები, დიდი მშვილდები და ლერწმის ისრები. ამას გარდა, მარჯვენა გვერდზე ეკიდათ სარტყელში ჩატანებული ხანკლები. ისინი მოიყვანა მათმა გამგებელმა ოტანესმა, რომელიც ქსერქსესის მეუღლის, ამესტრისის მამა იყო. ძველად მათ ელინები კეფენებს უწოდებდნენ, მაშინ როდესაც თვითონ თავის თავს არტეებს ემახდნენ, ისევე როგორც მათ ირგვლივ მაცხოვრებლებიც მათ ასე უწოდებდნენ. როდესაც პერსევსი, დანაესა და ზევსის შვილი მივიდა ბელოსის შვილთან, კეფესთან და მისი ასული ანდრომედე შეირთო, ქალს მისგან შეეძინა შვილი, რომელსაც სახელად პერსესი დაარქვეს.

პერსევსმა ეს ბავშვი აქ დატოვა. მოხდა ისე, რომ კეფესს ვაჟიშვილი არა ჰყავდა. ამიტომ ამ პერსესისაგან მიიღეს სახელი ამ ადგილის მცხოვრებლებმა.

62. მიდიელებიც ასევე იყვნენ აღჭურვილი სალაშქროდ, რადგან ეს აღჭურვილობა მიდიურია და არა სპარსული. მიდიელებს გამგებლად ჰყავდათ ტიგრანესი, აქემენიდი. ძველად ამათ ყველა არიებს უწოდებდა, ხოლო მას მერე, რაც არიელების ქვეყანაში მოვიდა კოლხიდელი მედეა ათენიდან, მათ შეიცვალეს სახელი. თვითონ მიდიელები მოგვითხრობენ ამას თავისი თავის შესახებ. კისიელები სხვაფრივ სპარსელების მსგავსად აღჭურვილი ლაშქრობენ, მხოლოდ ნაბადის ქუდების მაგივრად დოლბანდებს ატარებენ. კისიელებს განაგებდა ანაფესი, ოტანესის ძე, ჰირკანიელები სპარსელების მსგავსად იყვნენ შეიარაღებული, ხოლო წინამძღოლად ჰყავდათ მეგაპანოსი, შემდეგ ბაბილონის მეურვე.

63. მოლაშქრე ასირიელებს თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები, რომლებიც მოწნული იყო რაღაცა ბარბაროსულ ყაიდაზე, რაც ადვილად არ აიხსნება. ხოლო ფარები, შუბები და ხანჯლები ეგვიპტურის მსგავსი ჰქონდათ. ამას გარდა მათ ჰქონდათ რკინის შეჭედილი ხის კომბლები და სელის აბჯრები. ამათ ელინები სირიელებს უწოდებენ, ხოლო ბარბაროსები ასირიელებს. ამათ შორის იყვნენ ქალდეები, განაგებდა მათ ოტასპესი არტაქსესის ძე.

64. ბაქტრიელებს ლაშქრობისას თავზე მიდიელების მსგავსად ეხურათ, ხოლო მშვილდები ლერწმისა ჰქონდათ. ამას გარდა ეჭირათ ადგილობრივი, მოკლე შუბები. საკებს, რომლებიც სკვითები არიან, თავზე წვეტიანი ქუდები ეხურათ, წვეტით ზემოთ და თავზე სწორედ დადგმული. მათ ეცვათ შარვლები, ჰქონდათ ადგილობრივი მშვილდები და ხანჯლები, ამას გარდა ცულები - საგარისები. ესენი სინამდვილეში ამირიგიელი სკვითები არიან და საკებს კი უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ სპარსელები ყველა სკვითს საკებს უწოდებენ. ბაქტრიელებსა და საკებს განაგებდა ჰისტასპესი, შვილი დარიოსისა და კიროსის ასულის ატოსასი.

65. ინდოელებს კი ეცვათ ზამბის ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი. მშვილდები და ისრები ლერწმისა ჰქონდათ. ისრის წვერები კი რკინისა იყო. ასე იყვნენ აღჭურვილი ინდოელები, ხოლო ამ თანამოლაშქრეების უფროსად ფარნაძათრეს არტაბატესის ძე იყო დაყენებული.

66. არიები მიდიური მშვილდებით იყვნენ შეჭურვილები, ხოლო სხვაფრივ ისინი ბაქტრიების მსგავსად იყვნენ მოწყობილები. არიებს განაგებდა სისამნეს ჰიდარნესის ძე. პართებს, ხორასიმებს, სოგდებს, განადარიებსა და დადიკებს ლაშქრობისას ისეთივე საჭურველი ჰქონდათ, როგორც ბაქტრიებს. ამათ განაგებდნენ შემდეგი პირნი: პართებსა და ხორასიმებს - ართაბადოსი, ფარნაკესის ძე, სოგდებს - ანძანესი, არტადოსის ძე, განადარიებსა და დადიკებს - არტიფოსი, არტაბანესის ძე.

67. კასპიები ლაშქრობდნენ ტყაპუჭ-ჩაცმულები; მათ ჰქონდათ ლერწმის ადგილობრივი მშვილდები და აკინაკესები. ისინი ასე იყვნენ აღჭურვილნი. წინამძღოლად ჰყავდათ არიომარდოსი, არტიფოსის ძმა. სარანგები გამოირჩეოდნენ შეღებილი ტანსაცმლით, მათ ეცვათ მუხლებამდე ფეხსაცმელი და ეჭირათ მიდიური მშვილდები და შუბები. სარანგებს განაგებდა ფერენდატეს მეგაბადოსის ძე. პაქტიებიც ტყაპუჭით მოსილნი იყვნენ და ჰქონდათ ადგილობრივი მშვილდები და ხანჯლები. პაქტიებს გამგებლად ჰყავდათ არტაინტეს ითამიტრესის ძე.

68. პაქტიების მსგავსად იყვნენ აღჭურვილნი უტიები, მიკიები და პარიკანიები. მათ განაგებდნენ შემდეგი პირნი: უტიებსა და მიკებს - არსამენესი, დარიოსის ძე, ხოლო პარიკანიებს - სირომიტრეს ობზადოსის ძე.

69. არაბებს სარტყელიანი მოსახურავები ეცვათ და მარჯვენა მხარეს ეკიდათ დიდი, დაგრეხილი მშვილდები. ეთიოპელები ავაზისა და ლომის ტყავებში იყვნენ გამოხვეული. მათ ჰქონდათ პალმის ღეროსაგან გაკეთებული დიდი მშვილდები, არანაკლები ოთხი წყრთისა და მასთა პატარა ლერწმის ისრები. ისრის წვერებად რკინის ნაცვლად წვეტიან ქვას ხმარობდნენ, ისეთს, რითაც საბეჭდავესაც სჭრიდნენ. ამას გარდა მათ ჰქონდათ შუბები, წვერზე ჯეირნის წვეტიანი რქით. მათ აქვთ აგრეთვე ლურსმნებით შეჭედილი კეტებიც. როდესაც ისინი ბრძოლაში გადიოდნენ, ნახევარ სხეულს იღებავდნენ ცარცით, ხოლო მეორე ნახევარს - სურინჯით. არაბებსა და ეთიოპებს, რომლებიც ეგვიპტის ზემოთ ცხოვრობენ, განაგებდა არსამესი, დარიოსისა და არტისტონეს (კიროსის ასულის) შვილი. თავის ცოლთა შორის დარიოსს ეს ცოლი გამორჩევით უყვარდა და გააკეთებინა კიდევაც მისი ჭედური ოქროს გამოსახულება.

70. ამგვარად, არსამესი განაგებდა ეგვიპტის ზემოთ მცხოვრებ ეთიოპებსა და არაბებს. ხოლო ის ეთიოპები, რომლებიც მზის აღმოსავლიდან იყვნენ (ორივე ეთიოპები იღებდნენ ლაშქრობაში მონაწილეობას), ინდოელებთან იყვნენ დაყენებული. ეს ეთიოპები კი შესახედავად ერთმანეთისაგან სხვა არაფრით განსხვავდებიან, გარდა ენისა და თმებისა: მზის აღმოსავლელი ეთიოპები სწორთმიანები არიან, ხოლო ლიბიელ ეთიოპებს ყველა ხალხებზე უფრო ხუჭუჭი თმები აქვთ. ეს ეთიოპები, რომლებიც აზიიდან იყვნენ, ძირითადად ინდოელებივით იყვნენ აღჭურვილნი, მხოლოდ თავებზე ეხურათ ცხენების თავიდან გადამძობილი ტყავი, გატყავებული ყურებიანად და ფაფარიანად. ფაფარს ხმარობდნენ ისინი მუზარადის ბიბილოს

მაგივრად, ხოლო ცხენის ყურები სწორედ ჰქონდათ დაყენებული. ფარების ნაცვლად მათ წინ ეჭირათ წეროების ტყავი.

71. ლიბიელები მოვიდნენ ტყავით მოსილნი, ხოლო ხელშუბებს გამომწვარს ხმარობდნენ. მათ გამგებლად ჰყავდათ მასაგეს ოარიძოსის ძე.

72. პაფლაგონელები ლაშქრობდნენ ისე, რომ თავებზე მოწნული მუზარადები ეხურათ, ჰქონდათ პატასრა ფარები და არც თუ დიდი შუბები. ამას გარდა ხელშუბები და ხანჯლები. ფეხებზე ეცვათ ადგილობრივი ფეხსაცმელი, რომელიც შუა წვივამდე სწვდებოდათ. ლიგიები, მატინები, მარიანდინები და სირიელები ისევე იყვნენ სალაშქროდ მოწყობილი, როგორც პაფლაგონელები. ამ სირიელებს სპარსელები კაპადოკიელებს უწოდებენ, პაფლაგონელებსა და მატინებს დოტოსი განაგებდა, მეგასიდროსის ძე, ხოლო მარიანდინებს, ლიგიებსა და სირიელებს - გობრიესი, დარიოსისა და არტისტონის შვილი.

73. ფრიგიელებს პაფლაგონების მსგავსი მოწყობილობა ჰქონდათ, ცოტათი განსხვავებული. ფრიგიელებს, როგორც მაკედონელები ამბობენ, ეწოდებოდათ ბრიგები, მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადავიდნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს, ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ მოწყობილები. ამათ ორივეს მართავდა არტოქმესი, რომელსაც დარიოსის ასული ჰყავდა ცოლად.

74. ხოლო ლიდიელებს ელინების მსგავსი იარაღი ჰქონდათ. ლიდიელები ძველად მეფობებდნენ იწოდებოდნენ, ხოლო შემდეგ სახელი გამოიცვალეს, ატიისის ძის, ლიდოდის მიხედვით დაერქვათ მათ ახალი სახელი. მისიელებს თავზე ადგილობრივი მუზარადები ეხურათ, ჰქონდათ პატარა ფარები და ხმარობდნენ გამომწვარ ხელშუბებს. ესენი ლიდიელებისაგან მომდინარეობდნენ და ოლიმპოს მთის მიხედვით ეწოდათ ოლიმპიენები. ლიდიელებსა და მისიელებს განაგებდა არტაფრენესი, შვილი იმ არტაფრენესისა, რომელიც მარათონში შეიჭრა დატისთან ერთად.

75. თრაკიელებს ლაშქრობის თავზე მელის ტყავები ეხურათ, ტანზე ეცვათ ქიტონები, ხოლო ამის ზემოდან ჭრელი მოსახურები ესხათ, ფეხებსა და წვივებზე ირმის ტყავის ფეხსაცმელები ეცვათ. ამას გარდა, ჰქონდათ ხელშუბები, მსუბუქი ფარები და პატარა ხანჯლები. ესენი აზიაში რომ გადავიდნენ ბითონები ერქვათ, უწინ კი, როგორც თვითონ ამბობენ, სტრიმონიები რქმევიათ, რადგან ცხოვრობდნენ სტრიმონთან. იმასაც ამბობენ, რომ ისინი თავისი ქვეყნიდან ტევკრებმა და მისიელებმა გამოდევნეს. აზიელ თრაკიელებს განაგებდა ბასაკესი, არტაბანოსის ძე.

76. ხალიბებს პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თითოეულს ორი შუბი ეპყრა ლიკიური ხელობისა, ხოლო თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები. მუზარადებზე იყო სპილენძისაგან ნაკეთები ხარის ყურები და რქები; აქვე იყო ბიბილოც. მუხლები მოწეულის ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული. ამ ხალხს აქვს არესის სამისნო.

77. კაბელ-მეფონებს, ლასონიებად წოდებულებს, ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც კილიკიელებს. ამ აღჭურვილობას მე მაშინ აღვწერ, როდესაც კილიკიელთა წყობის შესახებ მოგიხსენებ. მილიებს ჰქონდათ ლიკიური მშვილდები, ხოლო თავზე დამუშავებული ტყავისაგან გაკეთებული მუზარადები, ყვალე ამათ განაგებდა ბადრესი, ჰისტანესის ძე.

78. მოსხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ. პატარა ფარები და შუბები ჰქონდათ, ხოლო შუბის წვერები გრძელი იყო. ლაშქრობდნენ ტიბარენები, მაკრონები და მოსინოაკები, რომლებიც მოსხესავით იყვნენ აღჭურვილნი. მათ მეთაურობდნენ და განაგებდნენ შემდეგი პირები: მოსხებსა და ტიბარენებს - არიომარდოსი, რომელიც დარიოსისა და პარმისის შვილი იყო, ეს უკანასკნელი კი სმერდისის შვილი იყო, კიროსის შვილისა. მაკრონებსა და მოსინოაკებს განაგებდა არტაიკეტესი, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს მეურვეობდა.

79. მარებს თავზე ადგილობრივი მოწნული მუზარადები ეხურათ; ეჭირათ ტყავის პატარა ფარები და ხელშუბები. ხოლო კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები. ამას გარდა დანები. მარებსა და კოლხებს განაგებდა ფარანდატეს ტეასპისის ძე. ალაროდიელები და სასპედრები კოლხების მსგავსად შეიარღვებულნი ლაშქრობდნენ. მათ განაგებდა მასისტოსი, სირომიტრესის ძე.

80. მეწამული ზღვის კუნძულების ხალხებს (იმ კუნძულებისა, რომლებზედაც მეფე ეგრეთ წოდებულ გაძევებულებს ასახლებს) მიდიელთა მსგავსი ტანსაცმელი და იარაღი ჰქონდათ. ამ კუნძულებს განაგებდა მარდონტეს ბაგადოსის ძე, რომელიც მომდევნო წელს მიკალეში მხედართმთავრობდა და იქ გარდაიცვალა ბრძოლაში.

81. ესენი იყვნენ ხმელეთზე მოლაშქრე ხალხები, რომლებიც ქმნიდნენ ქვეით ჯარს. ამ ლაშქარს განაგებდნენ ზემოხსენებული პირნი. სწორედ მათ დააწესეს და დათვალეს ჯარი. მათვე დანიშნეს ათასისთავები და ათიათასის თავები, ხოლო ათიატასის თავებმა - ასისთავები და ათისთავები. ცალკეულ რაზმებსა და ხალხებს კიდევ თავისი უფროსები ჰყავდათ.

82. ამგვარად, ისინი იყვნენ მეთაურები, რომლებიც მოვიხსენიე, ხოლო ამათ და მთელ ქვეით ჯარს მხედართმთავრობდნენ: მარდონიოსი, გობრიესის ძე, ტრიტანტაქმესი. იმ არტაბანოსის ძე, რომლის აზრიტაც არ უნდ ელაშქრათ ელადაზე, სმერდომენესი, ოტანესის ძე. ესენი ორივენი დარიოსის და ათოსას შვილი, გერგისი, არიამოსის ძე და მეგაბიდოსი, მოპიროსის ძე.

83. ესენი იყვნენ მხედართმთავრები მთელი ქვეითი ჯარისა, იმ ერთი ათიათასის გამოკლებით. იმ ათიათას რჩეულ სპარსელს მხედართმთავრობდა ჰიდარნესი, ჰიდარნესის ძე. ამათ სპარსელები უკვდავებას უწოდებდნენ და აი ამიტომ: თუ რომელიმე მათგანი სათვალავში გამოაკვებოდათ ან სიკვდილის გამო, ან ავდმყოფობის მიზეზით, მაშინვე სხვა კაცს აიყვანდნენ და არასოდეს იყვნენ 10000-ზე არც მეტი და არც ნაკლები. წესრიგი სპარსელებს ყველაზე უკეთესი ჰქონდათ და ამავე დროს ყველაზე მამაცებიც იყვნენ. მათი აღჭურვილობა ზემოთ აღვწერე. ამის

გარდა გმორიჩეოდნენ ოქროს სიუხვით, მათ თან ახლდათ ურმები, რომლებითაც ხასები და მრავალრიცხოვანი კარგად გამოწყობილი მსახურები მიჰყავდათ. მათი საგზალი, სხვა მოლაშქრეებისათვის განკუთვნილისაგან განსხვავებით მოჰქონდათ აქლემებს და სახედრებს.

84. ხოლო შემდეგმა ხალხებმა გამოიყვანეს მხედრობა (მხედრობა ყველამ კი არ გამოიყვანა, არამედ მხოლოდ ამათ). სპარსელებმა, რომლებიც ისევე იყვნენ აღჭურვილნი, როგორც მათი ქვეითი ჯარი. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ეხურა თავზე ნაჭედი სპილენძისა და რკინის ზუჩები.

85. მხედართა შორის იყვნენ მომთაბარეები, საგარტიებად წოდებულნი; ესენი ენის მიხედვით სპარსული ხალხია, ხოლო აღჭურვილობა ნაკეთობის მხრივ საშუალო აქვთ სპარსელსა და პაქტიურს შორის. მათ მოიყვანეს 8000 მხედარი; ისინი არც სპილენძის იარაღს ხმარობდნენ, არც რკინისას, გარდა ხანჯლებისა, სამაგიეროდ ხმარობენ თასმებისგან დაწნულ თოკებს. ამისი იმედით მიდიან ომში. ისინი შემდეგგვარად იბრძვიან: როდესაც მტერს ხვდებიან, გადაისრვიან ხოლმე მთავის თოკებს, რომელთაც ბოლოზე მარყუჟი აქვთ; ვისაც კი მოიხელთებენ, ცხენი იქნება თუ კაცი, თავისკენ მიითრევენ. ამ ქამანდაში გამბულეები უეჭველად იღუპებიან. მათ ასეთი ბრძოლა იციან. ესენი სპარსელებთან ერთად იყვნენ დარაზმულეები.

86. მიდიელებს ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც მათ ქვეით ჯარს. კისიელებსაც ასევე. ინდოლებს ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც მათ ქვეით ჯარს, მაგრამ ისინი ცხენებზე შემსხდრები მოვიდნენ, ან კიდევ ეტლებით. ხოლო ეტლებში შემძული ჰყავდათ ცხენები და ველური ვირები. ბაქტრიები ისევე იყვნენ შეჭურვილი, როგორც ქვეით ჯარში, ასევე კასპიებიც. თვით ლიბიელებიც ქვეითი ჯარის მსგავსად იყვნენ შეჭურვილი. ესენი ყველანი ეტლებით მოვიდნენ. ასევე კასპიები და პარიკანიები იმის მსგავსად იყვნენ აღჭურვილნი, როგორც მათი ქვეითი ჯარი. არაბების მხედრობას იგივე შეკაზმულობა ჰქონდა, როგორც ქვეით ჯარს, ისინი ყველანი აქლემებზე შემსხდრები მოვიდნენ; ხოლო აქლემები სისწრაფით არ ჩამორჩებოდნენ ცხენებს.

87. მხოლოდ ამ ტომებმა გამოიყვანეს მხედრობა. მხედრობის რიცხვი იყო 80. 000, გრდა აქლემებისა და ეტლებისა. მხედრები დაწყობილი იყვნენ რიგებად, ხოლო ამ რაზმში არაბები სულ ბოლოს იყვნენ; რადგან ცხენები ვერ იტანდნენ აქლემებს, ესენი სულ ბოლოს უნდა მდგარიყვნენ, რათა ცხენები არ დაეფრთხოთ.

88. მხედრობას განაგებდნენ არამიმთრესი და ტითაფოსი, დატისის შვილები. ხოლო მათთან ერთად მესამე მეთაური მხედრობისა, ფარნუქესი, სარდელში დარჩა ავადმყოფობის გამო. როდესაც ისინი სერდედან გამოდიოდნენ, მას მოულოდნელი უბედურებ დაატყდა თავს: რომ მოდიოდა, მის ცხენს ფეხებში ეცა ძაღლი, ცხენმა ის წინასწარ ვერ დაიანხა, დაფრთხა, ყალყზე შედგა და ფარნუქესი ძირს გადმოაგდო.; დაცემულმა ფარნუქესმა სისხლი ამოიღო და შემდეგ ავადმყოფობა ჭლექად გადაექცა, ხოლო ცხენს მისი მსახურნი მაშინვე მისი ბრძანებისამებრ მოექცნენ: იმ ადგილას მიიყვანეს, სადაც მან თავისი პატგრონი გადმოაგდო და ფეხები დააჭრეს მუხლებში. ეგრე წაუვიდა ფარნუქესს ხელიდან მხედართმთავრობა.

89. ტრიერთა რიცხვი 1207. იყო. ტრიერები გამოიყვანეს შემდეგმა ხალხებმა: ფინიკიელებმა, იმ სირიელებთან ერთად, რომლებიც პალესტინაში არიან, 300; ისინი ამგვარად იყვნენ აღჭურვილნი: თავზე ეხურათ მუზარადები, რომლებიც ნაკეთობით ძალიან ჰგავდნენ ელინურს. ტანზე ეცვათ სელის აბჯრები. ხელში ეჭირათ ფარები, რომელთაც ფერსოები არა ჰქონდათ, და ხელშუბები. როგორც თვითონვე ამბობენ, ეს ფინიკიელები უძველეს დროში ცხოვრობდნენ მეწამულ ზღვასთან, ხოლო აქედან გადავიდნენ და დასხდნენ სირიის ზღვისგასწვრივ ნაწილში. სირიის ამ ადგილს და მთელ იმ ნაწილს, რომელიც ეგვიპტემდეა, პალესტინა ეწოდება. ეგვიპტელებმა 200 ხომალდი მოიყვანეს. ამათ თავზე ეხურათ მოწნული მუზარადები ხოლო ფარები გამოზურცული და დიდფერსოებიანი ჰქონდათ; ხელში ეჭირათ საზღვაო ბრძოლისათვის გამოსადეგი შუბები და დიდი ცულები. მათი უმრავლესობა აბჯროსანი იყო და დიდი დანები ჰქონდათ. ასე იყვნენ ესენი შეიარაღებული.

90. ხოლო კიპროსელებმა გამოიყვანეს 150 ხომალდი, თვითონ კი ასე იყვნენ გამოწყობილი: მათ მეფეებს თავზე დოღბანდები ჰქონდათ მოხვეული, ხოლო სხვებს ქიტონები ეცვათ, სხვაფრივ ელინების მსგავსად იყვნენ შეჭურვილი. კიპროსელებში შემდეგი ხალხები შედიან: ერთნი არიან სალამინიდან და ათენიდან, მეორენი - არკადიიდან, ზოგი - კითნოსიდან, სხვები - ფინიკიიდან და დანარჩენებიც ეთიოპიიდან, როგორც თვითონ კიპროსელები ამბობენ.

91. კილიკიელებმა ასე ხომალდი მოიყვანეს. ამათ თავზე ადგილობრივი მუზარადები ეხურათ, ფარების მაგივრად გამოუქნელი ხარის ტყავისაგან გაკეთებული საფარები ჰქონდათ, ხოლო ტანზე შალის ქიტონები ეცვათ. თითოეულს ეჭირა ორი ხელშუბი და ჰქონდათ მახვილი, რომელიც ეგვიპტური დანის მსგავსად იყო გაკეთებული. მათ ძველად ჰიპაქაეები ეწოდებოდათ, ხოლო თავისი ეს სახელი მიიღეს ფინიკიელი ვაჟკაცებისაგან, კილიქს აგენორის ძისაგან. პამფილიელებმა 30 ხომალდი მოიყვანეს და ისინი ელინური იარაღით იყვნენ შეჭურვილი; ეს პამფილიელები იმათი ჩამომავლები არიან, რომლებიც მიმოიფანტნენ ტროიიდან ამფილოქოსსა და კალაქანტთან ერთად წამოსულები.

92. ლიკიელებმა მოიყვანეს 50 ხომალდი, ისინი აბჯროსნები იყვნენ და საბარკულებინაები, მათ ჰქონდათ ხეშავას მშვილდები, უფრო, ლერწმის ისრები და ხელშუბები. მხრებზე უფრიალებდათ თხით ტყავი, ხოლო თავზე ეხურათ ნაბდის ქუდები, ირგვლივ ფრთებით შემკული. ჰქონდათ აგრეთვე ხანჯლები და ნამგლები. ლიკიელებს ტერმილები ეწოდებოდათ და წარმოშობით კრეტიდან იყვნენ. მათ თავისი სახელი მიიღეს ათენელი ვაჟკაცისაგან, ლიკოს პანდიონის ძისაგან.

93. დორიელებმა, რომლებიც აზიიდან არიან, მოიყვანეს 30 ხომალდი. მათ ელინური საჭურველი ჰქონდათ და წარმოშობით პელოპონესიდან იყვნენ. კარიელებმა 70 ხომალდი მოიყვანეს. სხვაფრივ ელინების მსგავსად იყვნენ აღჭურვილნი, მგრამ დამატებით ნამგლები და ხანჯლები ჰქონდათ. ხოლო თუ რა ეწოდებოდათ მათ უწინ, ამის შესახებ ნათქვამია ჩემი ისტორიის პირველ ნაწილში.

94. იონიელებმა 100 ხომალდი მოიყვანეს. ისინი ისევე იყვნენ აღჭურვილნი, როგორც ელინები. როგორც ელინები ამბობენ, იონიელეს, სანამ ისინი პელოპონესის იმ

ნაწილში ცხოვრობდნენ, რომელსაც ამჟამად აქადა ეწოდება, დანაოსისა და ქსუთოსის პელოპონესში მოსვლამდე ეწოდებოდათ პელაზგი - აფიალები, ხოლო იონიელები ეწოდებოდათ ქსუთოსის ძის, იონის მიხედვით.

95. კუნძულის მცხოვრებთ ჰყადათ 17 ხომალდი. ისინი ისე იყვნენ შეიარაღებული, როგორც ელინები. ესეც პელაზგური ტომი იყო. შემდეგში მათ იონური ეწოდათ იმავე საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ იონიელებსაც, რომლებიც ათენიდან არიან გამოსული და 12 ქალაქის კავშირი ჰქონდათ. ეოლიელებმა 60 ხომალდი მოიყვანეს. ისინი ელინებსავით იყვნენ აღჭურვილნი და როგორც ელინები ამბობენ, ძველად მათაც პელაზგები ეწოდებოდათ. ჰელესპონტელებს, გარდა აბიდოსელებისა (აბიდოსელებს მეფისაგან ჰქონდათ განკარგულება, დარჩენილიყვნენ თავის მიწაზე და ხიდებისათვის ედარაჯათ) და დანარჩენებს, რომლებიც პონტოდან იყვნენ, ჰყადათ 100 ხომალდი და აღჭურვილნი იყვნენ ისევე, როგორც ელინები. პონტოლები იონიელთაგან და დორიელთაგან გადმოსახუებული ახალმოშენეები არიან.

96. ყველამ ამ ხომალდზე მეზღვაურები იყვნენ სპარსელები, მიდიელები და საკები. მათ შორის საუკეთესოდ მცურავი ხომალდები მოიყვენას ფინიკიელებმა, ფინიკიელებს შორის კი სიდონელებმა.3 ყველა ამათ, ისევე როგორც სახმელეთო ჯარების მეომრებს, ჰყავდათ თავისი ადგილობრივი წინამძღოლები, რომლებიც მე არ მომიხსენებია, რადგანაც ჩემი მოთხოვნის გამოცემისას არ მესჭიროებოდა. ამას გარდა თითოეული ტომის წინამძღოლები არც არიან ამის ღირსი, თითოეულ ტომს იმდენი წინამძღოლი ჰყავდა, რამდენი ქალაქიც ღებულობდა ლაშქრობაში მონაწილეობას. ხოლო ეს წინამძღოლები ჯარს ისე კი არ მიჰყვებოდნენ, როგორც მხედართმთავრები, არამედ ისე, როგორც სხვა მოლაშქრე მონები. მხედართმთავრები, რომელთა ხელშიც იყო მთელი ძალაუფლება და ცალკეული ხალხების გამგებლები, რომლებიც სპარსელები იყვნენ, უკვე მოვიხსენიე.

97. ხოლო ფლოტს მხედართმთავრობდნენ: არიაბიგნესი, დარიოსის ძე, პრექსასპესი, ასპათინესის ძე, მეგაბადოსი, მეგაბატესის ძე და აქამენესი, დარიოსის ზე. იონური და კარული ფლოტის გამგებლები იყო არიაბიგნესი, დარიოსია და გობერიესი ასულის შვილი. ეგვიპტელებს მხედართმთავრობდააქამენესი, ქსერქსესის ღვიძლი ძმა, დედითაც და მამითაც, ხოლო დანარჩენები ფლოტს მხედართმთავრობდნენ ისინი ორნი. ოცდაათნიჩბიანი და ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდები, მსუბუქი ხომალდები და ცხენის გადასაყვანი გრძელი ნავები ერთად რომ შეიყარნენ, გამოირკვა, რომ მათი რიცხვი 3000 იყო.

98. ამ მხედართმთავრების შემდეგ მათ შორის, ვინც ხომალდებზე იმყოფებოდა, ყველაზე სახელგანთქმული იყვნენ: ტერტამენსტოს ანისოსის ზე, სიდონელი, მატენე სირომონისი ძე, კილიკიელი, კაბერნისკოს სიკასის ძე, ლიკიელი; კიპროსელები: გოროგოს ქერსისის ძე და ტიმონაქს ტიმაგორესის ძე და კარიელთაგან: ჰისტიადოს ტიმნესის ძე, პიგრეს ჰისელდომისის ძე და დამასითიმოს კანდაველსის ძე.

99. ხოლო რაც შეეხება დანარცენ რაზმის უფროსებს, მათ არ მოვიხსენიებ, რადგან ეს არაა აუცილებელი, მაგრამ უნდა მოვიხსენიო არტემისიე, რომელმაც დიდად გამოაცა. ამ ქალმა გაილაშქრა ელადის წინააღმდეგ. ქმარი, რომ მოუკვდა, მას მერე თვითონ განაგებდა თავის ქვეყანას და თუმცა კი ჰყავდა ჭაბუკი შვილი, მაგრამ მაინც თვითონ

წავიდა სალაშქროდ ყოველგვარი იძულების გარეშე, თავისი სურვილითა და ვაჟკაცობით. მას სახელად ერქვა არტემისიე, ასული იყო ლიგდამისის, მამის მხრივ წარმოშობით ჰალიკარნესელი იყო, ხოლო დედის მხრივ - კრეტელი². იგი წინამძღოლობდა ჰალიკარნესელებს, კოსელებს, ნისირიელებს და კალიდნელებს და მოიყვანა თან ხუთი ხომალდი მთელ ფლოტში, სიდონური ხომალდების შემდეგ, მისი ხომალდები საუკეთესონი იყვნენ, ხოლო ყველა მოკავშირეთა შორის საუკეთესო რჩევას ეს ამღებდა მეფეს. მე მიმაჩნია, რომ ხალხი იმ ქალაქებისა, რომლებიც ჩამოვთვალე და რომელთაც ის განაგებდა, მთლიანად იყო დორიული, ჰალიკარნესელები წარმოშობით ტროიდენელები არიან, ხოლო სხვა დანარჩენები - ეპიდავრელები.

100. აი აქამდე საზღვაო ჯარის შესახებ იყო ლაპარაკი, ხოლო მას შემდეგ, რაც ლაშქარი დათვალეს და დააწყვეს, ქსერქსესმა მოინდომა თვითონ დაევიღო და დაეთვალა იერებინა ის. ასეც მოიქცა. ეტლით დაიარა თითოეული ხალხი და სათითაოდ ეკითხებოდა მათ ამბავს (მწერლები კი იწერდნენ), ვიდრე არ მივიდა, როგორც მხედრობის, ასევე ქვეითი ჯარის ერთი კიდიდან მეორემდე. ამას რომ მორჩა და ხომალდებიც ჩაუშვა ზღვაში, ქსერქსესი ეტლიდან გადავიდა სიდონურ ხომალდზე, დაჯდა ოქროს კარავის ქვეშ და გასცურა ხომალდთა ცხვირების გასწვრივ. თითოეულს ეკითხებოდა იმის მსგავსად, როგორც ამაზე უწინ სახმელეთო ჯარს და აწერინებდა. ფლოტის უფროსებმა გაიყვანეს ხომალდები სანაპიროდან დაახლოებით 5 პლეთრის დაცილებით და იქ დააყენეს, ისე რომ ყველა ცხვირები ხმელეთისაკენ ჰქონდათ მიმართული და დამწკრივებულები იდგნენ, მეზღვაურები კი ისევე იყვნენ შეიარაღებული, როგორც ბრძოლის დროს იქნებოდნენ. ქსერქსესი მოცურავდა ამ ხომალდთა ცხვირებისა და სანაპიროს შორის და ათვალა იერებდა ხომალდებს.

101. როდესაც დაათვალა იერ ფლოტი და გადმოვიდა ხომალდიდან, გამოიძახა დემარეტოს არისტონის ძე, რომელიც მასთან ერთად ლაშქროდა ელადის წინააღმდეგ. როცა გამოძახებული ეახლა, ჰკითხა: "დემარეტოს, მე მესიამოვნება გკითხო ის, რაც მინდა. სენ ელინი ხარ და როგორც სვეიტყვე თვით შენგან და ასევე სხვა ელინთაგან, რომლებიც მე მელაპარაკნენ, იმ ქალაქიდან ხარ, რომელიც არც ყველაზე პატრია და არც ყველაზე სუსტი. ახლა მითხარი: გაბედავენ ელინები და დასავლეთისაკენ მცხოვრები დანარჩენი ხალხები რომ შეიკრიბონ, ისინიც კი ვერ გაუძლებენ ერთად ჩემთან ბრძოლას, რადგან ერთმანეთს არ მეგობრობენ. შენგან მინდა შევიტყო, თუ რას იტყვი ამის შესახებ" ამას შეეკითხა ქსერქსესი დემარეტოსს, ხოლო დემარეტოსმა მიუგო მას და თქვა: "მეფეო, რა გითხრა, სიმართლე თუ ის, რაც გესიამოვნება?" ხოლო მეფემ უბრძანა, რომ ჭეშმარიტებას მოითხოვს მისგან, თან ისიც უთხრა, რომ ამის შემდეგ დემარეტოსი მისთვის უფრო უსიამოვნო არ გახდება, ვიდრე უწინ იყო.

102. ეს რომ მოისმინა დემარეტოსმა, უთხრა მას შემდეგ: "მეფეო, რადგანაც სრული ჭეშმარიტების თქმას მიბრძანებ, ისე გეტყვი, რომ შემდეგშიც ვერ მამხილო ტყუილში: ელადას სიღარიბე იმთავითვე ახასიათებდა, ხოლო სიქველე შემდეგ შეითვისა, სიბრძნისა და მტკიცე კანონების საფუძველზე მოიპოვა. სიქველით ინარჩუნებს თავს ელადა სიღარიბის და დამონებისაგან. მე ყველა ელინს ვაქებ, ვინც კი დორიულ მხრეში ცხოვრობს, მგრამ ყველაზე კინ არ ვილაპარაკებს, არამედ მხოლოდ

ლაკედემონელთა შესახებ გეტყვი. ჯერ ეს ერთი ყოვლად შეუძლებელია, რომ მათ ოდესმე მიიღონ შენი წინადადება, რომელიც ელადას დამონებას მოუტანს. ამას გარდა, ყველა სხვა ელინები კდიევაც რომ შენი მომხრენი აღმოჩნდნენ, ლაკედემონელები მაინც გამოვლენ შენს წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება მათ რაოდენობას, ნურც გამოიძიებ, თუ რამდენნი არიან, რადგან მაინც შეძლებენ ბრძოლას, რადგან თუ მოხდა ისე, რომ შენზე ათასმა კაცმა უნდა ილაშქროს, მაინც შეგებრძოლებიან, იქნებიან ისინი ამაზე ნაკლები, თუ ამაზე მეტი".

103. ეს რომ მოისმინა ქსერქსესმა, გაიცინა და თქვა: "დემარეტოს, ეს რა სთქვი? ათასი კაცი გამოვა ამოდენა ლაშქართან საომრად? ახლა მითხარი: შენ ამბობ, რომ ამ ხალხის მეფე შენ თვითონ იყავი. შენ, მაგალითად, გაზედავ ათი კაცის წინააღმდეგ ბრძოლას? და თუ მართლაც მთელი თქვენი მოქალაქეობრიობა ისეთია, როგორც შენ მას ახასიათებ, მაშინ სენ, მათ მეფეს, თქვენივე კანონების თანახმად შეგშვენის გაუმკლავდე სხვა მოქალაქეებთან შედარებით ორჯერ მეტ მტერს. რადგან თუ თითოეული მათგანი ჩემი ლაშქრის ათ კაცს უდრის, მაშინ შენ მოგეთხოვება, რომ 20 კაცს დაუხვდე. აი მაშინ გამართლდება ის ამბავი, რაც შენ მითხარი, ხოლო თუ ისინიც ისეთები არიან, და იმდენი, როგორც შენ და ისე ელინები, რომლებიც ჩემთან სალაპარაკოდ მოსულან და უკვებნიათ, დაუფიქრდი, რაცა სთქვი, ცარიელი კვებნა არ გამოდგეს. მოდი, განვიხილავს შენს ნათქვამს მთელი სამართლიანობით. როგორ შეუძლია 1000, ან 10000 ან თუნდაც 50000 კაცს, ყველას თანაბრად თავისუფალს და ისეთებს, რომელთაც ერთი მმართველი არ ჰყავთ, ამოდენა ლაშქარს გაუმკლავდეს? თითოეულ მათგანზე ჩვენი მეომარი ათასზე უფრო მეტი მოდის, რადგან ლაკედემონელები სულ 5000 არიან. მათ რომ ერთი კაცი მართავდეს ჩვენების მსგავსად, მისი შეეშინდებოდათ, თავის საკუთარი შესაძლებლობას გადააჭარბებდნენ და მათრახით იძულებულნი წავიდოდნენ უფრო მეტის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც თვითონ უფრო ნაკლებნი იქნებოდნენ. ხოლო რაკილა ისინი თავისუფლები არიან, არაფერს ამას არ გააკეთებენ. მე კი ვფიქრობ, რაოდენობითაც რომ გვიტოლდებოდნენ, ელინებს მარტო სპარსელებთანაც კი გაუჭირდებოდათ ბრძოლა.

რაც შეეხება შენს ნათქვამს, ეგ მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ ხშირად კი - არა, იშვიათად. მაგალითად, ჩემ სპარსელ შუბოსანთა შორის არიან ისეთები, რომლებიც სამ ელინს ერთად შეებრძოლებიან. შენ არ იცი ეს ამბები და ამიტომ სისულელეებს ჩმახავ".

104. ამაზე უთხრა დემარტოსმა: "მეფეო, თავიდანვე ვიცოდი, რომ ჭეშმარიტებას თუ გეტყოდი, არ გესიამოვნებოდა, მაგრამ რაკილა მაიძულე, მხოლოდ ჭეშმარიტება მელაპარაკა, ამიტომ დაგიხასიათე სპარტელები. ხოლო, რაც შემეხება მე, შენ ყველაზე უკეთ იცი, როგორი კმაყოფილიც ვარ იმათი, ვინც წამართვა პატივი და მამული თანამდებობა და უსამშობლოოდ და ლტოლვილად მაქცია. ხოლო მამაშენმა შემიფარა და მომცა საარსებო საშუალება და სახელი. ხოლო გონიერ კაცს არ შეჰფერის, გაურბოდეს აშკარა კეთილგანწყობილებას, ის კი არა - განსაკუთრებით უნდა აფასებდეს მას. მე იმას არ გპირდები, რომ ათ კაცთან შემიძლია ბრძოლა ანდა ორთან, ჩემი ნებით ერთსაც არ შევებრძოლები პირისპირ. ხოლო თუ აუცილებლობა მოითხოვდა, ან რაღაც მნიშვნელოვანი წამაქეზედა საამისოდ, დიდი სიამოვნებით შევებრძოლებოდი ერთ-ერთ მათგანს, რომლებიც სათითაოდ ამბობენ, რომ სამი ელინის ბადალი არიან. როდესაც ლაკედემონელები სათითაოდ იბრძვიან, ისინი

არავის დაუვარდებიან ვაჟკაცობით, ხოლო როდესაც ერთად არიან, მაშინ ყველას ალემატებიან სიმამაცით. ისინი თავისუფლები კი არიან, მაგრამ ყოველმხრივ თავისუფლება მაინც არ აქვთ, რადგან ჰყავთ უფალი - კანონი, რომლისაც მათ ბევრად უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე შენს ხალხს შენი. ამიტომ ისინი ასრულებენ ყველაფერს, რასაც კანონი ითხოვს მათგან. ხოლო კანონი მუდამ ერთსა და იმავეს თხოულობს - არ რთავს ნებას გაიქცნენ ბრძოლის ველიდან, რაგინდ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს მტერი, ის კი არა, უნდა დარჩნენ მწყობრში და ან გაიმრჯვონ, ან არა და დაიღუპონ. ხოლო თუ შენ გეჩვენება, რომ სისულელეს ვამბობ, მომალვისათვის ჩუმი ვიქნები. ახლა კი იძულებული ვიყავი, მელაპარაკა. შენ კი, მეფეო, დეე, ისე მოგემართოს ხელი, როგორც შენ გინდა".

105. ასე მიუგო მან. ქსერქსესმა კი ხუმრობაში ჩაატარა მისი ლაპარაკი, მასზე სრულიად არ გაჯავრებულა, პირიქით ალერსიანად გაისტუმრა. ამასთან რომ მოათავა ქსერქსესმა ლაპარაკი და აიმ ამ დორისკოსში მმართველად მასკამეს მეგადოსტესის ძე დააყენა (დარიოსის მიერ დაყენებული კი გადმოაგდო), თრაკიაზე გავლით წაიყვანა ლაშქარი ელადის წინააღმდეგ.

106. ხოლო მასკამესი, რომელიც დატოვა იქ ქსერქსესმა, ისეთი კაცი იყო, რომ მხოლოდ მას უგზავნიდა ქსერქსესი საჩუქრებს, როგორც საუკეთესოს ყველა მათ შორის, ვინც ან თვითონ, ან დარიოსმა დააყენა მმართველად, და უგზავნიდა ყოველწლიურად. ასე უგზავნიდა საჩუქრებს მასკამესის ჩამომავლებს არტაქსერქსესი, ქსერქსესის ძე. ჯერ კიდევ ამ ლაშქრობაზე უწინ დააყენეს მმართველები თრაკიასა და ჰელესპონტის ყველა მხარეში, ხოლო ყველა მათგანი, რომლებიც თრაკიასა და ჰელესპონტში იყვნენ, გარდა დორისკოსისა, ამ ლაშქრობის შემდეგ გამოძევებული იქნენ ელინთა მიერ. დორისკოსის მმართველის, მასკამესის გამოძევება კი ვერავინ შეიძლო, თუმცა ბევრნი ცდილობდნენ. ამიტომ იყო, რომ მას საჩუქრებს უგზავნიდა მუდამ სპარსეთის ყველა მეფე.

107. ელინების მიერ გამოძევებულათა შორის არც ერთს არ მიიჩნევდა ქსერქსეს მეფე ღირსეულ კაცად გარდა ბოგესისა, რომელიც ედონის მმართველი იყო, ამის ქებას კი ვერ აუდიოდა, იგი დიდ პატივს სცემდა აგრეთვე მის შვილებსაც, რომლებიც სპარსელთა შორის დარჩნენ საცხოვრებლად. ბოგესი მართლაც დიდი ქების ღირსი იყო: როდესაც მას ალყა შემოარტყეს ათენელებმა და კიმონ მილტიადესის ძემ, თუმცა შეეძლო მოლაპარაკების სფუძველზე ქალაქიდან გასვლა და დაბრუნება აზიაში, მაგრამ მან ეს არ მოინდომა, რომ მეფეს არ ეფიქრა, შიშის გამო მოიქცა ასეო, ის კი არა, ითმენდა უკანასკნელ წუთებამდე. ხოლო როდესაც საზრდო სულ აღარ ჰქონდა თავის ციხე-სიმაგრეში, დაანთებინა დიდი კოცონი, დახოცა შვილები, ცოლი, ხასები, მსახურები და შემდეგ ჩაყარა ცეცხლში. ამის შემდეგ მთელი ოქრო და ვერცხლი, რაც კი ქალაქში იყო, გადმოაზნია სიმაგრიდან სტრიმონში; ეს ქნა და თვითონაც ცეცხლში გადაეშვა. ამგვარად სრულიად სამართლიანად აქებენ მას აქამდე სპარსელები.

108. ქსერქსესი დორისკოსიდან გამოვიდა ელადის წინააღმდეგ და ყველა ხლახს, რომელსაც ხვდებოდა გზაზე, აიძულებდა, მასთან ერთად ელაშქრა, რადგან, როგორც უკვე ვთქვი ზემოთ, მთელი ეს მხარე ვიდრე თესალიამდე უკვე ჰმორჩილებდა სპარსეთს და მეფეს ხარკს უხდიდა, ის ჯერ მეგაბადოსმა დაიმორჩილა და შემდეგ - მარადონიოსმა. დორისკოსიდან გამოსულმა პირველად სამოთრაკიულ ციხე-

სიმაგრეს ჩაუარა, რომელთა შორის დასავლეთისაკენ უკიდურეს ქალაქს ასხელად ერქვა მესაბრიე. ამას მოსდევდა თასოსელთა ქალაქი სტრიმე. ამ ორ ქალაქს შორის მიდებდა მდინარე ლისოსი, რომლის წყალიც არ ეყო ქსერქსესის ლაშქარს და დააკლდა. ამ ქვეყანას ძველად ეწოდებოდა გალიაკე, ხოლო ახლა - ბრიანტიკე. მაგრამ სადაც სამართალია, ეს ქვეყანა კიკონებისაა.

109. ქსერქსესმა მდინარე ლისოსი დამშრალი კალაპოტი რომ გადაიარა, შემდეგ ელინურ ქალაქებს ჩაუარა: მარონედას, დიკადას და აბდერას. ამათ გარდა ჩაუარა აქვე მდებარე სახელგანთქმულ ტბებსაც: მარონეისა და სტრიმეს შორის მდებარე ისმარისს, დიკაიასთან მდებარე ბისტონიასს, რომელსაც ორი მდიანრე ჰმატებს თავის წყლწებს, ტრავოსი და კომფსანტოსი. ხოლო აბდერასთან ქსერქსესს არც ერთი სახელგანთქმული ტბა არ შეხვედრია, მხოლოდ მდინარე ნესტოსს ჩაუარა, რომელიც ზღვისაკენ მიედინებოდა. მან გზა განაგრძო და ამ ქვეყნებს შემდეგ ხმელეთზე მდებარე თასოსელთა კუთვნილ ქალაქებს ჩაუარა. მათ შორის ერთთან შეხვდა თევზით სავსე და მეტისმეტად მლაშე ტბას, რომლის გარშემოწერილობაც დააცლოებით 30 სტადიონი იყო. აქედან წყალი მხოლოს სახედრებმა დალიეს და სულ ამოაშრეს. ამ ქალაქს სახელად ჰქვია პისტიროსი.

110. ესენი იყო ელინური ზღვისპირა ქალაქები, რომლებიც სალაშქროდ მიმავალმ ქსერქსესს ხელმარცხნივ დარჩა, ხოლო ამ ქვეყნის გავლისას შემდეგ თრაკიულ ხალხებზე გადაიარა: პაფტებზე, კიკონებზე, ბისტონებზე, სპადებზე, დერსაფებზე, ედონებსა და სატრებზე. ამათგან ისინი, ვინც ზღვასთან ცხოვრობდნენ, ხომალდებით მიჰყვებოდნენ მას, ხოლო ჩემგან ხსენებულთა შორის ისინი, ვინც შიგნით ხმელეთზე სახლობდნენ, სატრებს გარდა ყველანი იძულებული იყვნენ ქვეით ჯარს მიჰყოლოდნენ.

111. სატრები, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ადამიანთაგან არავის ქვეშევრდომები არ ყოფილან, ისინი კი არა, თრაკიელთა შორის მხოლოდ ესენი იყვნენ მუდამ თავისუფლები და ასე მოატანეს ჩემ დრომდე. ეს იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ მაღალ მთებში, რომლებიც ყოველგვარი ტყითა და თოვლით არის დაფარული და თვითონაც გამოირჩევიან თავისი საომარი საქმიანობით. მათ ეკუთვნით დიონისის სამისნო. ეს სამისნო არის უმაღლეს მთებში, ხოლო წინასწარმეტყველებენ სალოცავში ბესები, რომლებიც სატრთაგანნი არიან. მათ ქურუმად ჰყავთ ქალი, ისევე როგორც ეს დელფოშია; და სხვა არაფერია აქ აღსანიშნავი.

112. ქსერქსესმა ამ დასახელებული ქვეყნის შემდეგ ჩაუარა პიერელთა სიმაგრეებს, რომელთაგან ერთს სახელად ჰქვია ფაგრესი, ხოლო მეორეს - ჰერგამოსი. აქ, ამ სიმაგრეებთან გავიდა მისი გზა, ისე რომ, ხელმარჯვნივ პანგაფონის მთა დარჩა, დიდი და მაღალი, ოქროსა და ვერცხლის საბადოებიანი, რასაც ფლობდნენ პიერელები, ოდომანტები და სხვებზე მეტად - სატრები.

113. პანგაფონის ჩრდილოეთით მცხოვრებ პაფონებს, დობერებსა და პა ოპლებსდრომ ჩაუარა ქსერქსესმა, მერე დასავლეთით აიღო გეზი, ვიდრე არ მივიდა მდინარე სტრიმონამდე და ქალაქ ეფონამდე, რომელსაც განაგებდა ბოგესი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და რომლი შესახებაც ცოტათი ზემოთ ვილაპარაკე1. ქვეყანას, რომელიც პანგაფონის მთის რიგვლივ მდებარეობს, ეწოდება ფილისი. დასავლეთით

ის გადაჭიმულია მდინარე ანტიგესამდე, რომელიც სტრიმონს ერთვის, ხოლო სამხრეთით ვრცელდება თვითონ სტრიმონამდე. სტრიმონს მოგვებმა მსხვერპლი შესწირეს - დააკლეს თეთრი ცხენები.

114. მას მერე, რაც სპარსელებმა ასე შეუთქვეს მდინარე და ამას გარდა კიდევ ბევრი სხვა რომ გაუკეთეს, იმ ხიდებით, რომლებიც სტრიმონზე არის გადებული, იარეს ცხრა გზაზე, რაც ედონების ქვეყანაშია. როდესაც შეიტყვეს, რომ ამ ადგილს ცხრა გზა ეწოდება, სპარსელებმა ადგილობრივ მცხოვრებთაგან ამდენივე ჭაბუკი და ქალწული აქ ცოცხლივ ჩაფლეს მიწაში. სპარსული ჩვეულება ცოცხლების დაფლვა. მაგალითად მე შევიტყვე, რომ ამესტრისმა, ქსერქსესის ცოლმა თავისი გულისათვის მოხუცებულობაში დააფლევინა ორჯერ შვიდი სპარსელი ჭაბუკი, გამოჩენილი სპარსელების შვილები, იმ ღმერთის საამებლად, რომელზედაც ამბობენ, მიწის ქვეშ იმყოფებაო.

115. როგორც კი გასცილდა სტრიმონს ლაშქარი, იქიდან მზის დასავლისაკენ გაემართა და ჩაუარა ელადის ქალაქს, არგილოსს, რომელიც აგებულია ზღვის სანაპიროზე. ხოლო ამ მხარედ და იმას, რომელიც მის ზემოთ არის, ეწოდება ბისალტე. აქედან უბე, რომელიც პოსიედდონთან არის, მარცხნივ მოიტოვა ლაშქარმა და გადაიარა სილევსის დაბლობად წოდებული ადგილი, ჩაუარა ელადის ქალაქს, სტაგიროსს და მიაღწია აკანთოსს. ქსერქსესს თან მიჰყავდა ყველა ეს ხალხი და ისინიც, რომლებიც პანგაგონის მთის ირგვლივს ცხოვრობდნენ, ისევე როგორც უწინაც აღვნიშნე - ისინი, ვინც ზღვის პირას ცხოვრობდნენ, ხომალდებით ლაშქრობდნენ, ხოლო, ვინც ზღვისგან მოშორებით იყვნენ, ქვეითად მისდევდნენ. იმ გზას, რომლითაც მეფე ქსერქსეს ლაშქარი მიჰყავდა, თრაკიელები არც აფუჭებენ და არც სთესენ მასზე. ის კი არა, დიდად სცემენ პატივს ჩემს დრომდე.

116. როგორც კი მივიდა აკანთოსში, ქსერქსესმა თავი აკანთელების მეგობრად გამოაცხადა, აჩუქა მათ მიდიური ტანსცმელი და შეაქო ისინი, რადგანაც ხედავდა, თუ არა ხალხით მიდიოდნენ ისინი ომში და თხრილის ამბავიც ხომ შეიტყო.

117. როდესაც ქსერქსესი აკანთოსში იყო, მოხდა ისე, რომ ავადმყოფობისაგან მოკვდა არტაქსადესი, თხრილის სამუშაოების უფროსი, ქსერქსესაგან პატივცემული, წარმოშობით აქაიმიენი. იგი სპარსელთა შორის ტანით უდიდესი იყო (5 სამეფო წყრთას მხოლოდ 4 თითი უკლდა) და ადამიანთა შორის უძლიერესი ხმა ჰქონდა. ისე რომ ქსერქსესმა ეს ამბავი დიდ უბედურებად მიიჩნია, მიცვალებული დიდის ამბით გამოასვენებინა და დაამარხვინა. ხოლო ყორღანი მთელმა ლაშქარმა გაუკეთა. ამ არტაქსადესს აკანთელები, მისნობის თანახმად, მსხვერპლს სწირავენ როგორც გმირს და თან მის სახელს იძახიან.

118. ისე რომ არტაქსადესის დაღუპვა დიდ უბედურებად ჩათვალა ქსერქსეს მეფემ. ის ელინები, რომლებიც ლაშქარს ლეზულობდნენ და უმასპინძლებოდნენ ქსერქსესს, უდიდეს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, ისე რომ, სულ გაუჩანაგდათ სახლ-კარი. მაგალითად, თასოსელებს, რომლებიც თავისი ხმელეთზე მდებარე ქალქების გამო მიიღეს ქსერქსესის ლაშქარი და გაუმასპინძლდნენ მას, უჩვენა ანტიპატროსმა, ორგევსის ძემ, მათ მიერ არჩეულმა . . . და მოქალაქეთა შორის საგანგებოდ პატივცემულმა კაცმა, რომ გამასპინძლებაზე დაიხარჯა 400 ვერცხლის ტალანტი.

119. ამის მსგავსი ანგარიშები წარმოაყენეს სხვა ქალაქებშიც ამ საქმიანობის მესვეურებმა. ხოლო ეს მასპინძლობა, რომლისთვისაც დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ და ცდას არ აკლებდნენ, ასეთი იყო: ჯერ ეს ერთი, როგორც კი შეიტყობდნენ მათ გამოჩენას, რასაც მაცნეები აცხადებდნენ ყველგან, მოქალაქეები ქალაქში არსებული ხომალდების მთელ მარაგს იყოფდნენ და ყველანი იმზადებდნენ მრავალი თვის სამყოფ პურისა და ქერის ფქვისლ. ამას გარდა, ასუქებდნენ საქონელს, რომელსაც ძალიან დიდ ფასად შოულობდნენ, ასევე ზრდიდნენ ხმელეთისა და ტბის ფრინველებს, რომელთაც ინახავდნენ გალიებსა და აუზებში, ლაშქრის შესახვედრად. გარდა ამისა, ოქროს და ვერცხლის სასმისებს და კრატერებს აკეთებდნენ და სხვას ყოველივეს, რაც კი მაგიდაზე იდგებოდა. ყოველივე ეს კეთდებოდა თვით მეფისა და მისი თანამეინახეთათვის, ხოლო დანარჩენი ლაშქრისათვის მზადდებოდა მხოლოდ საზრდო. როგორც კი მიაღწევდა ლაშქარი, კარვები უკვე გაშლილი იდგა და შიგ თვითონ ქსერქსესი ისადგურებდა, ხოლო დანარჩენი ლაშქარი ეწყობოდა ღია ცის ქვეშ, ჭამის დრო რომ მოაღწევდა, ჯარის მიმღებთ დიდი ჯაფა ადგათ. ხოლო ლაშქარი, დანაყრების შემდეგ ღამეს იქვე ათევდა; მეორე დღეს მოჰგლეჯდნენ ხოლმე კარავს, ყოველივე ბარგი-ბარხანას თან წაიღებდნენ და ასე განაგრძობდნენ გზას. ადგილზე არაფერს ტოვებდნენ, ყველაფერი თან მიჰქონდათ.

120. აქ იყო, რომ მეგაკრეონტ აბდერელმა კარგი სიტყვა თქვა. ურჩია აბდერელებს, ყველას უკლებლივ, კაცსაც და ქალსაც, რომ წასულიყვნენ თავის სალოცავში, დასმხდარიყვნენ იქ მავედრებლად და ღმერთებისათვის ეთხოვნად, მომავალში მაინც დაეცვათ მოსახდენი უბედურების ნახევრისაგან, ხოლო განვლილი უბედურებისათვის დიდი მადლი შეეწირათ, მაგალითად, თუნდაც იმისათვის, რომ მეფე ქსერქსესს არ სჩვეოდა ყოველდღიურად ორ-ორჯერ პურის ჭამა. რდგან აბდერელებს რომ ეს დასჭირვებოდათ - საუზმეც რომ ისეთი ჰქონდათ მისთვის გასაწყობი, როგორც სადილს ამზადებდნენ, ან ვერ დაელოდებოდნენ ქსერქსესს მოსვლას, ან და თუ დარჩებოდნენ, ყველაზე საშინაოდ ამოწყდებოდნენ.

121. ხოლო ელინები, რაოდენ შევიწროვებულებიც არ იყვნენ, მაინც ასრულებდნენ იმას, რაც ევალდებოდათ. ქსერქსესმა კი აკანთოსში მოიცალა ხომალდები თავიდან და უბრძანა საზღვაო ლაშქრის მხედართმთავრებს, დაეცადათ მისთვის თერმეში (ხოლო თერმე მდებარეობს თერმის უბეში და ამ უბეს სახელოწოდება მისგან აქვს მიღებული), რადგან მა ისე შეიტყო, რომ ეს იყო უმოკლესი გზა. ხოლო დორისკოსიდან აკანთოსამდე ლაშქარი ამგვარად დაწყობილი მიდიოდა: მთელი სახმელეთო ჯარი ქსერქსესმა სამ ნაწილად დაჰყო. ერთ მათგანს ებრძანა რომ ზღვის გასწვრივ ევლო ფლოტთან ერთად. ამას მხედართმთავრობდნენ მარდონიოსი და მასისტესი. ლაშქრის სამი ნაწილიდან მეორეს ებრძანა შუახმელეთზე სვლა, მას მხედართმთავრობდნენ ტრიტანტაქემესი და გერგესი. ხოლო მესამე ნაწილი, რომელსაც მიჰყვებოდა თვითონ ქსერქსეი, მიდიოდა ამ ორ ნაწილს შორის და მას მხედართმთავრებად ჰყავდა სმერდომენესი და მეგაბიდოსი.

122. ხოლო ქსერქსესის მეორე გაშვებულმა ფლოტმა დაუყოვნებლივ გაცურა იმ არხით, რომელიც ათონშია და მიემართება უბისაკენ, სადაც მდებარეობენ ქალაქი ასა, პილოროსი, სინგოსი და სარტე. ხოლო აქედან, როგორც კი მოკრიბა ლაშქარი და ქალაქებიდან, გაცურა და წავიდა თერმეს უბისაკენ, შემოუარა ამპელოსს, ტორონულ

კონცხს და ჩაუარა შემდეგ ელინურ ქალაქებს (რომელთაგან ხომალდები და ლაშქარი შემოიმატა): ტორონეს, გალეფოსს, სერმილეს, მეკიბერნას და ოლინთოსს. ამ ქვეყანას სითონიე ეწოდება.

123. ამპელოსის კონცხიდან ქსერქსესის ფლოტი გაემურა კანასტრადის კონცხისაკენ, რაც მთელი პალენის ყველაზე განაპირა ადგილია. აქ მოაგროვა ხომალდები და ლაშქარი პოტიდაიდან, აფიტისიდან, ნეპოლისიდან, აფგედან, თერამბოსიდან, სკიონედან, მენდედან და სანედან. აი, ეს ქალაქები შედიან ამჟამად პალენედ, ხოლო უწინ ფლეგრედ წოდებულ მხრეში. გადაცურა ეს ქვეყანა და გაემართა დათქმული ადგილისაკენ, თან წაიყვანა ლაშქარი პალენესთან მდებარე ქალებიდან, რომლებიც ემეზობლებობიან თერმეს უბეს, მათი სახელები შემდეგია: ლიმპაქსოსი, კომერეა, ჰადესა, გიგონესი, კამფსა, სმილა და ანეა. ხოლო ამ ქვეყანას ჯერაც, ჩვენს დრომდე კროსადე ეწოდება. ხოლო ანეიდან, რომელიც უკანსკნელია ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქთა შორის, აი აქედან, ფლოტი გაემართა თვით თერმეს, ქალაქ სინდოსს და ქალესტრეს, მდინარე აქსიოსთან, რომელიც საზღვრავს მიგდონიის მხარეს ბოტიადისაგან, სადაც ზღვის გასწვრივ ვიწრო ადგილას მდებარეობენ ქალაქები იქნე და პელა.

124. ხოლო ფლოტმა დაიბანაკა მდინარე აქსიოსთან, ქალაქ თერმესთან და ამათ შორის მდებარე ქალაქებთან და იქ დაელოდა მფეს. ხოლო ქსერქსესი, რომელსაც უნდოდა თერმეში მისვლა, და სახმელეთო ჯარი, გამოვიდნენ აკანთოსიდან და შუახმელეთზე მოჭრეს გზა. ქსერქსესმა გადაიარა პაფონიკესა და კრესტონიკეზე და გაემართა მდინარე ექედდორონისაკენ, რომელიც იწყება კრესტონების მხარეში, მიედინება მიგდონიის ქვეყანაზე და ჩადის ჭაობში, რომელიც მდინარე ქსიონთაა.

125. ამ გზით რომ მიდიოდა, ლომები დაესხნენ თავს სურსათ-სანოვაგით დატვირთულ აქლემებს. ლომები ღამ-ღამობით რომ ტოვებდნენ თავის ადგილსამყოფელს და დაეხეტებოდნენ, სხვა არაფერს ეტანებოდნენ (არც სახედრებს, არც ადამიანებს), მხოლოდ აქლებმებს ანადგურებდნენ. ხოლო მე მაკვირვებს იმის მიზეზი, თუ რატომაა, რომ ლომები აუცილებლად იკავებენ თავს სხვისაგან და აქლემებს კი ესხმიან თავს, მაშინ, როდესაც უწინ არ უნახავთ ეს ცხოველი და არაფერი იციან მისი.

126. ამ ადგილებში ბლომად არიან ლომები და გარეული ხარები, რომელთა ვეებერთელა რქები შეჭკონდათ ხოლმე ელინთა ქვეყანაში. ამ ლომებს საზღვრად აქვთ მდინარე ნესტოსი, რომელიც აბდერაზე მიედინება და აქელოოსი, რომელიც აქარნიანდზე მიედინება. რადგან არც ნესტოსის აღმოსავლეთით უნახავს ვისმე ლომი, სადმე მთელ წინა ევროპაში და არც აქელოოსის დასავლეთით მდებარე დანარჩენ ხმელეთზე. ის მხოლოდ ამ მდინარეთა შორის გვხვდება.

127. თერმეში რომ მოვიდა ქსერქსესი, იქ დაამკვიდრა ლაშქარი. დაბანაკებულ ლაშქარს ზღვის გასწვრივ ეჭირა ადგილი დაწყებული ქალაქ თერმედან და მიგდონიიდან, ვიდრე მდინარე ლიდიესამდე და ჰალიაკმონამდე, რომლებიც ერთ დინებად რომ შეაერთებენ თავის წყლებს, საზღვავენ ბოტიადტისისა და მაკედონიის ქვეყანას. ამ ადგილებში დაბანაკდნენ ბარბაროსები, ხოლო ჩამოთვლილ მდინარეთაგან მხოლოედ ექედდოროსი, კრესტონიელთაგან რომ

მიედინება, არ აღმოჩნდა საკმარისი ლაშქრის წყურვილის მოსაკლავად, დააკლდათ მისი წყალი

128. ხოლო როდესაც ქსერქსესმა თერმიდან თესალიის ვებერთელა მთები, ოლიმპოსი და ოსა დაინახა და შეიტყო, რომ მათ შორის ვიწრო ხევია, რომელშიც მიედინება პენეოსი, და მოისმინა, რომ აქ გადის თესალიისაკენ მიმავალი გზა, ძალიან მოუნდა გაეცურა და ენახა პენეოსის შესართავი, რადგან ზემოთა გზით წასვლას აპირებდა პერაბელეებში, ქალაქ გონოსთნა, მაკედონელების ზემოთ მცხოვრებ ნაწილზე გავლით. ეს იმიტომ, რომ შეიტყო ეს გზა ყველაზე უხიფათოაო. რაც მოინდომა, კიდევაც აისრულა. ავიდა სიდონიურ ხომალდზე, რომელშიც ჯდებოდა ყოველთვის, როცა კი ამგვარა რასმე დააპირებდა, მისცა ნიშანი, რომ სხვებიც მიჰყოლოდნენ, ხოლო ადგილზე დატოვა მარტო სახემელთო ჯარი. როდესაც მიაღწია და დაათვალიერა ქსერქსესმა პენეოსის შესართავი, დიდად განცვიფრდა, დაუძახა გზის მაჩვენებლებს და შეეკითხა, შეიძლება თუ არა მდინარის შემობრუნება და ზღვასთა მისი სხვა ადგილას შეერთება.

129. არის გადმოცემა, რომლის თანახმადაც, თესალიის ადგილას ძველად ყოველის მხრიდან უზარმაზარი მთებით გარშემორტყმული ტბა ყოფილა. მას აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა პელიონის მთა და ოსა, რომლებიც ერთმანეთს ძირებით უკავშირდებოდნენ. ჩრდილოეთის მხარეს იყო ოლიმპოსი, დასავლეთით - პინდოსი, ხოლო სამხრეთით - ოთრისი, ამ მოხსენიებული მთების შუაში მდებარეობს თესალია, რომელიც ტაფობს წარმოადგენს. ამ ტაფობში ბევრი სხვადასხვა მდინარე ჩადის, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ხუთი: პენეოსი, აპიდანოსი, ონოქონოსი, ენიპევსი და პამისოსი. ეს მდინარეები ამ დაბლობებში იყრიან თავს იმ მთებიდან, თესალიას რომ გარს არტყაინ; ამგვარი სახელწოდებები აქვთ და ერთი ხეობისა და ამ ვიწრობების გადავლით მიემართებიან ზღვისაკენ მას მერე, რაც ყველანი თავის წყლებს გააერთიანებენ. მათ შეერთებისთანავე პენეოსი სახელით ჩრდილავს სხვებს და დანარჩენებს სახელს ართმევს. ამბობენ, რომ ძველად არ ყოფილა ხეობა და ეს სადინარი, ხოლო ეს მდინარეები და ამ მდინარეების გარდა ბოძბედის ტბა (რომელთაც არ ეწოდებოდათ ის, რაც ახლა ჰქვიათ), ისვე მიედინებოდნენ, როგორც ახლა მიედინებოდნენ და მთელ თესალიას ზღვამდე აქცევდნენ. ხოლო თვითონ თესალიელები ამბობენ, რომ პოსედონმა შექმნა ის ხეობა, რომელზედაც მიედინება პენეოსი და მართალსაც ამბობენ, რადგან ვინც იმ აზრისაა, რომ პოსედონი დედამიწას არყევს და ამ რყევისაგან გაჩენილი ნაპრალები ამ ღმერთის საქმეა, ის ამ ხეობის ხილვისათვის მას პოსედონის შექმნილად მიიჩნევს. ხოლო მეც ისე მეჩვენება, რომ მიწისძვრამ გამოიწვია ამ მთების ერთმანეთისაგან დაცილება.

130. როდესაც ქსერქსესმა იკითხა, აქვთ თუ არა პენეოსს გასავალი ზღვისაკენ, მეგზურებმა, რაკილა დაბეჯითებით იცოდნენ, ასე უპასუხეს: „მეფეო, ამ მდინარეს სხვა გასავალი ზღვაში არა აქვს, მხოლოდ ესაა მისი გასავალი, რადგან მთელი თესალია მთებით არის გარშემორტყმული“. ამბობენ, რომ ქსერქსესმა ამაზე უპასუხა: „თესალიელები ჭკვიანი ხალხია, ისინი ამაზე ბევრად უწინ ფრთხილობდნენ, რადგან იცოდნენ ბევრი სხვა რამე და მათ შორის ისიც, რომ მათი ქვეყანა ადვილად დასაპყრობი და იოლად დასამარცხებელია. რადგან ამისათვის ისიც კმარა, რომ მდინარე მათ ქვეყანაზე მიუშვა, მიწაყრილით გადმოაგდო ხეობიდან და შეუცვალა

ახლანდელი კალაპოტი, რის შედეგადაც მთელი თესალია, მთებს გარდა, წყლისაგან წაილეკება“. ამას რომ ამბობდა ქსერქსესი, ალევსის შვილებს გულისხმობდა, რადგან ელინთა შორის ესენი პირველები იყვნენ და თანაც თესალიელები, რომლებიც ჩაჰბარდნენ მეფეს და ქსერქსესმა იფიქრა, რომ მათ მთელი თავისი ხალხის სახელით გამოუცხადეს მას მეგობრობა. ეს რომ თქვა და იქაურობა დაათვალიერა, ქსერქსესი ისევ უკან დაბრუნდა თერმეში.

131. ქსერქსესმა კარგა ხანს დაჰყო პიერიეში, რადგან ლაშქარის ერთი მესამედი მაკედონიის მთაზე ტყეს სჩეხავდა, რომ მთელ ლაშქარს პერადბიელებში შეძლებოდა ამ გზით გადასვლა. მაცნეები, რომლებიც დაგზავნილი იყვნენ ელადაში მიწის მოთხოვნით, უკან დაბრუნდნენ, მათგან ზოგი ცარიელი მოვიდა, ხოლო ზოგმა მიწა და წყალი მოიტანა.

132. ხოლო მათ შორის, ვინც მიწა და წყალი გაიღო, არიან: თესალიელები, დოლოპები, ენიენები, პერადბილიელები, ლორკები, მაგნეტები, მელიეები, ფთიელი აქელები, თებელები და სხვა ბეოტიელები, თესპიელების და პლატელების გარდა. ამათ წინააღმდეგ იმ ელინებმა, რომლებიც ბარბარსთან ომს აპირებდნენ, კავშირი შეჰკრეს. მათ ასეთი ფიცი დასდეს: თუკი საქმე კარგად წაუვიდოდათ ფიცის დამდებთ, იმ ელინებს, რომლებიც ყოველგვარი იძულების გარეშე დანებდნენ სპარსელებს, დელფოში ღმერთისათვის მათი ქონების ერთ მეათედს შეაწირვინებდნენ. აი, ასეთი ფიცი დადეს ელინებმა.

133. ათენსა და სპარტაში ქსერქსესს არ გაუგზავნია მაცნეები მიწის მოთხოვნით და აი რატომ: უწინ, როდესაც დარიოსმა გაგზავნა ამისათვის კაცები, ათენელებმა მთხოვნელები უფსკრულში ჩაჰყარს, ხოლო სპარტელებმა - ჭაში და უბრძანეს, რომ მიწაცა და წყალიც აქედან გამოეტანათ მეფისათვის. ამის გამო არ გაგზავნა იქ ქსერქსესმა მთხოვნელები. თუ რა უსიამოვნება შეემთხვათ ათენელებს, რომლებიც მაცნეებს ასე მოექცნენ, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ მათი ქვეყანა და ქალაქი გაატიალდა. თუმცა არა ვფიქრობს, რომ ეს ამბავი ამ მიზეზის გამო მომხდარიყოს.

134. ხოლო ლაკედემონელებს თავს დაატყდა აგამენონის მაცნის, ტალთიბიოსის რისხვა, რადგან სპარტეში არის ტალთიბიოსის სალოცავი, არიან აგრეთვე ტალთიბიოსის ჩამომავლები, რომელთაც ტალთიბიადები ეწოდებათ და რომელთაც ბოდებული აქვთ სპარტის ყოველგვარი ელჩობის გამგებლობა. ამ ამბების.

შემდეგ, სპარტელებს ზორვის დროს მსხვერპლშეწირვა აღარ გამოსდიოდათ კარგა ხანს გრძელდებოდა ასე. ლაკედემონელები სწუხდნენ და დიდ უბედურებად მიიჩნევდნენ ამას, ხშირად იწვევდნენ სახალხო კრებას და აცხადებდნენ, ხომ არ ისურვებს რომელიმე ლაკედემონელი სპარტის გულსიათვის, სიკვდილსო. მაშინ სპერეთეს¹ ანერისტოსის ძემ და ბულის ნიკოლესოსი ძემ, რომლებიც სპარტელები იყვნენ წარმოშობით კეთიშობილთგანნი და ქონებით კი თავკაცებთან გათანაბრებული, ნებაყვლობით იტვირთეს დასჯილიყვნენ ქსერქსესის მიერ დარიოსის მაცნეების სპარტელთაგან გაწყვეტის გამო. ამგვარად, სპარტელებმა ისინი დასახოცად გაგზავნეს მიდიელებთან.

135. ამ ვაჟკაცების გამბედაობა და ამას გარდა მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები სწორედ განცვირების ღირსია. ისინი რომ სუსაში მივიდნენ, ეახლნენ ჰიდარნესს. ჰიდარნესი წარმოშობით სპარსელი იყო და მხედართმთავრობდა ზღვის ნაპირას მცხოვრებ ხალხს აზიაში. მან ისინი სტუმართმოყვარულად მიიღო და რომ უმასპინძლდებოდა, შეეკითხა: „ლაკედემონელებო, რატომ გაურბიხართ მეფესთან მეგობრობას? დამაკვირდით მე და ჩემს მდგომარეობას და დაიანხეს, როგორ პატივს სცემს მეფე კარგ ვაჟკაცებს. ამგვარად, თუ თქვენ დამორჩილდებით მეფეს, რაკილა მას კარგ ვაჟკაცებად მიაჩნიხართ, თითოეულ თქვენგანს ემფე ელადის ქვეყნის გამგებლობას მისცემს“. ამაზე მათ მიუგეს: „ჰიდარნეს, ის რჩევა, რომელიც შემოგვთავაზე ცალმხრივია, რადგან ის მოწმობს, რომ ერთ რამეში ხარ გამოცდილი, მაგრამ მეორეში გამოუცდელი ხარ. მონად ყოფნა რა არის იცი, ხოლო თვისუფლებისა სრულიად არაფერი გაგეგება. ისიც არ იცი, ის ტკბილია, თუ არაა ტკბილი. რადგან ის რომ გამოგეცადა, მაშინ ჩვენ მისი გულისთვის მარტო შუბებით ბრძოლას კი არ გვირჩევდი, არამედ ცულებით ბრძოლისთვისაც წაგვაქეზებდი“. ასე მიუგეს ჰიდარნესს.

136. სუსაში რომ მვიდნენ და წარუდგნენ მეფეს, პირველად შუბოსნებმა უბრძანედ მათ რომ ძირს დაცემულიყვნენ და თაყვანი ეცათ მეფისთვის. მათ კი უთხრეს, რომ არასოდეს იზამენ ამას, კიდევაც რომ თავდაყირა დაარქონ. რადგან მათ არა აქვთ წესად ადამიანის თაყვანისცემა და არც ამისათვის მოსულან აქ. როდესაც უარი თქვეს ამაზე, შემდეგ უთხრეს მეფეს დაახლოებით ასეთი სიტყვა: „მიდიელთა მეფეო, ლაკედემონელებმა გამოგვგზავნეს იისათვის, რომ სპარტეში დაღუპული მაცნეების სამაგიერო სასჯელი ვიტყვირთოთ“. ეს რომ თქვეს, ქსერქსესმა სულგრძელად მიუგო, რომ ის არ დაემსგავსება ლაკედემონელებს, რადგან ლაკედემონელებმა მაცნეების დახოცვით ყველა ხალხს შორის არსებული წესი დაარღვიეს. თვითონ კი რაკილა ჰგმობენ მათ საქციელს, ამას არ იზამს, არ დახოცავს მათ მაცნეთა სამაგიეროდ და არ გაათავისუფლებს ლაკედემონელებს დანაშაულისაგან.

137. სპარტელების ასეთი საქციელის შემდეგ, მართალია, სპერთიესი და ბულისი დაბრუნდნენ სპარტეში, მაგრამ მაშინვე დაცხრა ტალთიბიოსის რისხვა, ხოლო როგორც ლაკედემონელები ამბობენ, ამის შემდეგ კარგმა ხანმა განვლო და ამ რისხვამ ისევე იფეთქა პენელეპოსელთა და ათენელთა ომის დროს. მე ისე მეჩვენება, რომ ეს მათ მიმართ ღვთის განგებით უნდა მოხმდარიყო, ტალთიბიოსის რისხვა რომ მოციქულებს დაატყდა თავს და მასზე უწინ არ შეწყდა, ვიდრე მათ სამაგიერო არ გადახდათ, ამას სამალტლიანობა მოითხოვდა. ის რომ სწორედ ამ კაცების შვილებს დაატყდა, რომლებიც რისხვის გამო წავიდნენ მეფესთან, ნიკოლეოსს, ბულისის ძეს და ანერისტოსს, სპარსეთის ძეს (რომელიც მიცურდა ხალხით სავსე საბარგო ხომალდით და დაიპყრო ტირინთელი ჰალიელები), ჩემთვის სასევბით ცხადი გახდა, რომ ეს ღვთაებრივი საქმე იყო და სწორედ რისხვის გამო მოხდა. ესენი ლაკედემონელთა მიერ აზიაში გაგზავნილი მოციქულები იყვნენ და ისინი გასცეს სიტალკეს ტერესის ძემ, თრაკიელთა მეფემ და ნიმფოდორის პითეესის ძემ, აბდერელმა. შეიპყრეს ბისანთესთან, რომელიც ჰელესპონტშია, მოიყვანეს ატიკაში და იქ დაიხოცნენ ათენელების ხელით. მათთან ერთად მოკლეს არისტეას ადემანტოსის ძე, კორინთელი. ყოველივე ეს მეფის ლაშქრობაზე მრავალი წლით უფრო გვიან მოხდა. ახლა კი ჩემს თავდაპირველ მოთხრობას მივუბრუნდები.

138. მეფის ლაშქრობა, როგორც ამბობდნენ თითქოს მხოლოდ ათენის წინააღმდეგ იყო მიმართული, სინამდვილეში კი მას მთელი ელადის დაპყრობა სურდა. ელინებმა ეს ბევრად უფრო ადრე შეიტყვეს, მაგრამ ყველანი ერთნაირად არ მოქცეულან. ზოგმა მათგანმა მისცა მიწა-წყალი სპარსელს და ესენი მხნედ იყვნენ, რადგან სჯეროდათ, ბარბაროსი არაფერს დაგვიშავებსო. ხოლო ისინი, ვინც არაფერი გაიღო, შეძრწუნებულნი იყვნენ, რადგან ელადას არც ხომალდები ჰქონდა, რომ თავდასხმელს ბრძოლაში გამკლავებოდა და ბევრს არც უნოდა ომში მონაწილეობა, რადგან დიდად თანაუგრძნობდნენ მიდიელებს.

139. აქ მე იძულებული ვარ გამოვთქვა აზრი, რაც ხალხის მეტი წილისათვის სრულიად მიუღებელია, მაგრამ რაც მე ჭეშმარიტად მეჩვენება, იმისაგან მაინც არ შევიკავებ თავს. ათენელებს რომ მომავალი საფრთხის შიშით დაეტოვებინათ თავისი ქვეყანა, ანდა არ დაეტოვებინათ, მაგრამ დარჩენილები ჩაჰბარებოდნენ ქსერქსეს, მაშინ ზღვაზე ვერავინ გაბედავდა მეფის წინააღმდეგობას. ხოლო თუ ზღვაზე არავინ წინააღმდეგებოდა ქსერქსეს, ხმელეთზე მისი საქმეები ასე წარმართებოდა: ისთმოსზე პელოპონესელებს კიდევაც რომ ბევრი მიწაყრილიანი კედელი აეგოთ, ლაკედემონელები მაინც მიტოვებულები აღმოჩნდებოდნენ მოკავშირეების მიერ, ნებით კი არა, იძულებით, რადგან ბარბაროსთა ფლოტი ქალაქს ქალაქზე აიღებდა, ლაკედემონელები მარტონი დარჩებოდნენ, მარტო დარჩენილები კი დიდ საქმეებს აღასრულებდნენ და სახელოვნად დაიღუპებოდნენ. ისინი ან მოითმენდნენ ამას, ანდა ამაზე უწინ, რომ დაიანხავდნენ, სხვა ელინები მიდიელებს ემხრობიანო, თვითონაც ქსერქსესს მიემხრობოდნენ. ამგვარად, ორსავე შემთხვევაში ელადა სპარსელთა ხელში აღმოჩნდებოდა. მე ვერ ვხდები იმას, თუ რა სარგებლობას მოიტანდნენ ისთმოსზე აგებული ზღუდეები, თუკი ზღვას სპარსელი მაფე დაიპყრობდა. ახლა, ვინმემ რომ თქვას, ათენელები ელადის მხსნელები არიანო, არ შესცოდავს ჭეშმარიტების წინაშე. რადგან ათენელები როგორც წარმართავდნენ საქმეს, ის მხრე გადასძლევა. მათ გადაწყვიტეს, რომ ელადა თავისუფალი უნდა დარჩეს და მათქვე გაამნხვეს მთელი დანარჩენი ელინი ხალხები, რომლებიც არ იყვნენ მიდიელთა მხარეს გადასული და ბოლოს, ღმერთების შემდეგ, სწორედ მათ დაამარცხეს მეფე. დელფოდან მოსულმა საშიშმა მისნობამ ესენი ვერ შეაშინა და ვერც გადააწყვეტინა, რომ ელადა დაეტოვებინათ, ის კი არ, დარჩნენ, რომ გამკლავებოდნენ თავის თავდამსხმელს და დახვედროდნენ მათ თავის ქვეყანაში.

140. ათენელებმა დელფოში გაგზავნეს კაცები და მზად იყვნენ, ღვთის განგება შეეტყოთ. მას შემდეგ, რაც მათ სალოცავთან შეასრულეს ის, რაც წესად იყო, შევიდნენ ტაძარში და დასხდნენ, ხოლო პითიამ, რომელსაც სახელად ერქვა არისტონიკე, გამოუცხადა მათ შემდეგი: „უბედურებო, რას სხედხართ? დატოვეთ სახლები და მომრგვალებულ კედლებიანი ქალაქის მაღალ გორაკები და გაიქეციეთ ქვეყნის კიდეზე. რადგან არც თავი გადარჩება უვნებლად არც სხეული, არც კიდურები - ფეხები და ხელები, არც რამე ნაწილი შუა სხეულისა, ყველაფერი გასაცოდავდება, რადგან მას გაანადგურებს ცეცხლი და ფიცხი არესი, სირიული ეტლით დადევნებული. მრავალ სხვა სიმაგრეს მოსპობს, მარტო შენსას არ შეეხება, მწველ ცეცხლს მისცემს ის უკვდავთა მრავალ ტაძარს, ახლა რომ დგანან და ოფლი სდით, შიშით თრთიან და მაღალი სახურავებიდან შავი სისხლი მოწანწვარებს, გარდაუვალი უბედურების წინასწარმეტყველი. მაგრამ წადით ახლა ამ სიწმინდიდან და გულები გაიმაგრეთ უბედურების მიმართ“.

141. ეს რომ მოისმინა ათენელთა მიერ გამოგზავნილმა კაცებმა, დიდად დამწუხრდნენ. რადგან ისინი ასე სასოწარკვეთილი იყვნენ ცული წინასწარმეტყველების გამო, ტიმონ ანდრობულოსის ძემ, დელფოელთა შორის საგანგებოდ სახელმომხვეჭილმა კაცმა, ურჩია მათ აეღოთ ხელში ზეთისხილის შტოები და კვლავ მისულიყვნენ პითიასთან ღვთისგანგების შესატყობად, ამჯერად როგორც მავედრებლები. ათენელებმა დაუჯერეს და ასეთი სიტყვებით მიმართეს ღვთაებას: „მბრძანებელო, გვითხარი რაიმე უკეთესი ჩვენი სამშობლოს შესახებ, პატივი ეცი იმ ზეთისხილის შტოებს, რომლებიც, რომ მოვედით, თან მოვიტანეთ, თუ არა და არ გავალთ ამ სალოცავიდან, აქ დავრჩებით მანამ, ვიდრე არ დავიხოცებით“. ეს რომ თქვეს, წინასწარმეტყველმა მეორედ უთხრა შემდეგ: „არ შეუძლია პალადას ოლიმპიელი ზევსის გულის მოღობა, თუმცა კი დიდად ევედრა მას და ბევრი გონივრული სიტყვა უთხრა. მე შენ კვლავ გეტყვი სიტყვას, რომელიც თავისი სიმტკიცით აღმასს ედრება: აქ ყველაფერს დაიმორჩილებენ, რასაც კი მოიცავს კეკროპის მთა და ღვთაებრივი კითერონის ჭალა, მაგრამ ფართოდმხედველი ზევსი მისცემს ტრიტოგენას ხის ზღუდრეს, რომელიც გადაურჩება დანგრევას, რომ შენ და შენ შვილებს რაიმე არგოს. ნუ დაუცდი წყნარად მხედრობას და ხმელეთიდან მომავალ მრავალრიცხოვან ლაშქარს, ზურგი იბრუნე და უკან დაიხიე, რადგან ოდესმე შენ კვლავ იქნები მისი მოწინააღმდეგე. ღვთაებრივო სალამინო, შენ დალუპავ ქალების ნაშობთ ან მაშინ, როდესაც დემეტრეს თესს, ან მაშინ, როდესაც ის მოიმკის“.

142. რადგან ეს მისნობა პირველზე უფრო მოწყალე იყო და მათაც ასე ეჩვენათ, მათ ის ჩაიწერეს და წავიდნენ ათენისაკენ. როდესაც გაგზავნილები დაბრუნდნენ და ხალხს გამოუცხადეს ის, რაც შეიტყვეს, ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა მას მერე, რაც ჩაუკვირდნენ წინასწარმეტყველებას, ხოლო შემდეგი მოსაზრებები მის შესახებ განსაკუთრებით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს: ზოგიერთი მოხუცი ამბოდა, რომ მათი აზრით ღმერთმა გამოაცხადა აკროპოლისის გადარჩენა, რადგან ძველად აკროპოლისი ძეძვით იყო შემოღობილი. ამათ ეს გამოთქმა „ხის ზღუდე“, გაიგეს, როგორც „ღობე“. სხვებმა კი თქვეს, რომ ღმერთის მინიშნება ეხება ხომალდებს, და ესენი ბრძანებდნენ, რომ სხვა ყველაფრისათვის თავი დაენებებინათ და ხომალდები მოემზადებინათ. მაგრამ ისინი, ვინც ამბობდნენ, რომ ხომალდებია „ხის ზღუდე“, ყოყმანობდნენ პითიას ნათქვამი ორი უკანასკნელი ტაეპის გამო: „ღვთაებრივო სალამინო, შენ დალუპავ ქალების ნაშობთ ან მაშინ, როდესაც დემეტრე თესს, ან როდესაც ის მოიმკის“. მართლაც, ეს ლექსები უარყოფდნენ მათ აზრს, ვინც ამბობდა „ხის ზღუდე“ ხომალდები არისო. ხოლო მისნობის ამხსნელებმა ეს ისე მიიღეს, რომ სალამინთან დამარცხდებოდნენ საზღვაო ბრძოლისათვის მომზადებულები.

143. ათენელთა შორის იყო ერთი კაცი, რომელიც თავკაცებში ახლახან იყო ჩამდგარი, მას სახელად ერქვა თ მისტოკლეესი და იგი ნეოკლეესი შვილად იწოდებოდა. ამ კაცმა თქვა, რომ მისნობის ამხსნელებმა ყველაფერი სწორად ვერ განმარტეს და ილაპარაკა შემდეგი: წარმოთქმული სიტყვები მართლაც ათ ნელებს რომ ეხებოდა, მისი აზრით, მაშინ ასე ლმობიერი არ იქნებოდა წინასწარმეტყველება, „უბედრუკო სალამინო“ იქნებოდა ნაცვლად გამოთქმისა, „ღვთაებრივო სალამინო“, თუკი მის მცხოვრებლებს იქ ელოდა სიკვდილი. ის კი არა, თუ მას სწორად ესმის მისნობა, ღმერთის ნათქვამი ეხება მტერს და არა ათენელებს. ამიტომ თემისტოკლეესი ურჩევდა მათ, რომ მომზადებულიყვნენ საზღვაო ბრძოლისათვის, რადგან ესაა

სწორედ „ხის ზღუდე“. ასე ახსნა თემისტოკლესმა, ხოლო ათენელებმა ცნეს, რომ მისი აზრი უფრო მისაღებია, ვიდრე მისნობის ამხსნელთა, რომლებიც არ იყვნენ საზღვაო ბრძოლის მომხრე და ამბობდნენ, რომ სულაც არაა საჭირო ხელის გამოღება, უნდა დატოვონ ატიკის ქვეყანა და სხვადასხვა სადმე გადასახლდნენ.

144. საბედნიეროდ ამაზე უწინ გაიმარჯვა თემისტოკლესის ერთმა აზრმა, როდესაც ათენელებს დიდძალი ძვირფასეულობა შემოუვიდათ სახელმწიფო ხაზინაში იმ საბადოებიდან, რომლებიც ლავრედონშია. ეს თანხა უნდა გაენაწილებინათ ერთმანეთს შორის, თითოეულზე ათი დრაქმა, როდესაც თ მისტოკლესმა ეს შეიტყო, მან შეაჩერა ათენელები გაყოფისაგან და ამ ფულით 200 ხომალდი გააკეთებინა საომრად, სახელდობრ ადგინელთ წინააღმდეგ ომისათვის. სწორედ ამ დროს ატეხილმა ამ ომმა გადაარჩინა ელადა, რადგან მან აქცია ათენელები მეზღვაურებად. ხომალდები არ გამოუყენებიათ იმისათვის, რისთვისაც ისინი გააკეთეს, მაგრამ თუ დასჭირდებოდათ, უკვე ჰქონდათ ელადაში. ეს წინასწარმომზადებული ხომალდები ჰქონდათ ათენელებს. მაგრამ საჭირო იყო კიდევ სხვები აგებაც. ღვთის განგების შეტყობის შემდეგ იმათ მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ღმერთს მიენდობიან და ელადაზე წამოსულ ბარბაროსს ხომალდით შეხვდებიან, ყველანი უკლებლივ და მათთან ერთად ის ელინები, რომლებიც ამას მოისურვებენ.

145. ეს იყო ის ღვთის განგება, რაც შეიტყვეს ათენელებმა, როდესაც ელინები ერთად შეიკრიბებოდნენ, ისინი, ვინც ელადას მიმართ საუკეთესოს იზრახვდნენ, ერთმანეთს სიტყვას აძლევდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ, მაშინ მოითათბირებდნენ და გადაწყვეტდნენ ხოლმე, რომ ყველა საქმეზე უწინ მოსპობდნენ მტრობასა და ერთმანეთს შორის ომს. ასეთი ამბები ბევრის თავს იყო, მაგრამ უდიდესი ომი მაინც ათენელებსა და ადგინელებს ჰქონდათ. შემდეგ, როდესაც შეიტყვეს, რომ ქსერქსესი სარდელში იმყოფებოდა ლაშქართან ერთად, გადაწყვიტეს აზიაში მსტოვრები გაეგზავნათ მეფის საქმიანობის დასაზვერავად, არგროსში კი მოციქულები სპარსელის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შესაკრავად. სიკელიეში კიდევ სხვებ გაგზავნეს გელონთან, დედნომენესი ძესთან, ასევე კერკირაზე, რომელსაც სთხოვდნენ ელადას შემწეობას. სხვები გაგზავნეს კრეტეზე. ეს ყოველივე ხდებოდა იმიტომ, რომ ფიქრობდნენ, როგორმე გაეერთიანებინათ მთელი ელინური სამყარო, თანხმობითა და ერთსულოვნებით შეეკრათ იგი, რადგან საშიშროება მთელს ელადას ერთნაირად მოელოდა. ამბობდნენ, რომ გელონს საგანგებოდ კარგი მდგომარეობა ჰქონდა, რითაც არ ჩამოუვარდებოდა დიდად არც ერთ ელინურ მხარეს.

146. მათ რომ ეს გადაწყვიტეს, მოსპოეს ერთმანეთში მტრობა და პირველად მსტოვრები გაგზავნეს აზიაში, სამი კაცი. ესენი მივიდნენ სარდელში და ზვერავდნენ მეფის ჯარს, მაგრამ სპარსელებმა შეიტყვეს მათი ამბავი, დაჰკითხეს ისინი სახმელეთო ლაშქრის მხედართმთავრებმა და მოკვლა დაუპირეს. მათ უკვე ჰქონდათ სიკვდილი მისჯილი, როდესაც ქსერქსესმა შეიტყო ამის შესახებ, დაიწუნა მხედართმთავრების გადაწყვეტილება და გაგზავნა რამდენიმე შუბოსანი და უბრძანა, თუკი მსტოვრებს ცოცხლებს მიუსწრებდნენ, მოეყვანათ ისინი მასთან. შუბოსნებმა ცოცხლებს მიუსწრეს მსტოვრებს, წამოიყვანეს ისინი და წარუდგნენ მეფეს. ქსერქსესმა რომ შეიტყო, რისთვის იყვნენ მოსული, უბრძანა შუბოსნებს, დაეტარებინათ ისინი და ეჩვენებინათ მათთვის ყოველივე - ქვეითი ლაშქარიცა და მხედრობაც, ხოლო მას შემეგ, რაც ისინი ამას დაათვალიერებდნენ და ამით

დაკმაყოფილებოდნენ, გაეშვათ ისინი უვნებლები, რომელ ქვეყანაშიც კი მოინდომებდნენ.

147. მან რომ ეს ბრძანა, დაუმატა კიდევ შემდეგი, რომ თუ მსტოვრები დაიხოცებიან, ელინები ვერ შეიტყობენ წინასწარ მის ძლიერებას, რომელიც აღემატება ყოველგვარ სიტყვას, ხოლო სამ კაცს თუ მოუკლავ, ამით არც მტერი დაზარალდება დიდად. ქსერქსესმა იფიქრა და თქვა, რომ როდესაც ესენი დაბრუნდებიან ელადაში და ელინები მოისმენენ მისი სიძლიერის ამბავს, ლაშქრობაზე უწინ საკუთარ თავისუფლებაზე იტყვიან უარს. ისე, რომ აღარც კი დასჭირდებათ სპარსელებს მათ წინააღმდეგ ლაშქრობა. ქსერქსესის ეს აზრი მიაგავდა მის მიერ გამოთქმულ მეორე აზრს: აზიდოსში ყოფნისას მან დაინახა პურით დატვირთული ხომალდები, რომლებსაც ტვირთი პონტოდან მიჰქონდათ ჰელესპონტზე გავლით ადგიანასა და პელოპონესში. მისმა თანმხლებლებმა როგორც კი შეიტყვეს, რომ ესენი მტრის ხომალდებია, მოემზადნენ მათ შესაპყრობად, მხოლოდ უყურებდნენ მეფეს, როდის გვიბრძანებსო ამას. ქსერქსესი შეეკითხა თავისიანებს, თუ სად მიცურავენ ის ხომალდები, ხოლო ამათ იუგეს: „უფალო, შენ მტრებთან მიაქვთ ხორბალიო“. ხოლო ქსერქსესმა მიუგო და თქვა: „განა ჩვენც აქ არ მივცურავთ, სადაც ეგენი, დატვირთულები ხორბლითა და სხვა სიკეთით. მაშ რას აკეთებს ეს ხალხი უსამართლოს, ჩვენთვის რომ საგზალი მიაქვს?“

148. ამგვარად მსტოვრებმა დაათვალიერეს ქსერქსესის ჯარები და როცა გაუშვეს ისინი, დაბრუნდნენ უკან ევროპეში, ხოლო სპარსელის წინააღმდეგ შეთქმულმა ელინებმა, მსტოვრების აზიაში გასტუმრების შემდეგ მოციქულები გაგზავნეს არგოსში. არგოსელები კი ამბობენ, რომ მათ თავს ასეთი ამბავი იყო: მათ თავიდანვე შეიტყვეს, რომ ბარბაროსი აპირებდა ელადაზე გალაშქრებას, შეიტყვეს და მიხვდნენ, რომ ელინები შეეცდებიან მათ მომხრობას სპარსელის წინააღმდეგ. ამიტომ კაცები გაგზავნეს დელფოში ღმერთის შესაკითხავად, თუ როგორც უნდა მოიქცნენ, რომ მათთვის ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდეს. რადგან ახლახან 6000 არგოსელი დაიღუპა ლაკედემონელთა და კლეომენეს ანაქსანდრიდესის ძის ხელით, ამიტომ იყო, რომ გაგზავნეს კაცები შესაკითხავად, ხოლო მათ კითხვას პითიამ უპასუხა: 1“მეზობლებისთვის სამულველო, უკვდავი ღმერთებისათვის საყვარელო, შუბი შიგნით იქონიე, ფრთხილად იჯექი და თავი დაიცავი, ხოლო თავი იხსნის სხეულს“. ასეთი რამ აუწყა მათ პითიამ პირველად. ხოლო შემდეგ სპარტელთ მოციქულები რომ მივიდნენ არგოსში, შევიდნენ საბჭოში და თქვეს ის, რაც ჰქონდათ დავალებული, ნათქვამი რომ მოისმინეს, არგოსელებმა მიუგეს, რომ მზად არიან მიიღონ მათი წინადადება, მხოლოდ ზავი უნდა დასდონ ლაკედემონელებთან 30 წლით და ამასთანვე მათ უნდა მიანდონ მოკავშირის ნახევრის წინამძღოლობაც, თუმცა სამართლიანობის მიხედვით მთელი წინამძღოლობა მათ ეკუთვნით, მაგრამ დასჯერდებიან ნახევრის უფროსობასაც.

149. ამბობენ, მოციქულებს არგოსელთა საბჭომ ასე უპასუხაო, თუმცა კი მისნობა უშლიდა მათ ელინებთან კავშირის შეკვრას. მართალია, მათ ეშინოდათ მისნობის, მაგრამ ისინი მაინც ძალიან ცდილობდნენ, რომ 30-წლიანი ზავი შეეკრათ, რათა ამ წლების განმავლობაში მათი შვილები დავაჟკაცებულებიყვნენ, ხოლო თუკი ზავი არ დაიდებოდა, ერთხელაც რომ დამარცხებულებიყვნენ სპარსელთან, მათ უბედურებას კიდევ ის დაემატებოდა, რომ მომავალში ლაკედემონელთა ქვეშევრდომები

გახდებოდნენ. ხოლო სპარტელთა მოციქულებმა საბჭოს ნათქვამზე შემდეგი უპასუხეს: ზავის შესახებ მოახსენებენ ხალხს, ხოლო რაც შეეხება წინამძღოლობას, ამის შესახებ ნაბრძანები აქვთ თვითონ გასცენ პასუხი; სახელდობრ, მათ ჰყავთ ორი მეფე, ერთს ეთქვას უარი წინამძღოლობაზე? მაგრამ არავითარი დაბრკოლება არ შეხვდება იმას, რომ ამ ორი მეფის თანაბარი ხმა ჰქონდეს არგოსელ მეფესაც. არგოსელები ამბობენ, რომ ვერ აიტანეს სპარტელთა ზვიადობა და ამჯობინეს ბარბაროსთა გამგებლობა ლაკედემონელებისათვის დათმობას. მოციქულებს კი გამოუცხადეს, რომ მზის ჩასვლამდის დაეტოვებინათ არგოსელთა ქვეყანა, თუ არა და ისე მოექცეოდნენ, როგორც მტრებს.

150. თვითონ არგოსელები ამის შესახებ ასე მოგვითხრობენ. მაგრამ არის კიდევ სხვა გადმოცემაც, რომელიც გავრცელებულია მთელს ელადაში, რომ თითქოს ქსერქსესმა იმაზე უწინ გაგზავნა მაცნე არგოსში, ვიდრე ელადაზე სალაშქროდ წავიდოდა. ეს რომ მისულა, როგორც ამბობენ, შემდეგი უთქვამს: „არგოსელებო, ქსერქსეს მეფემ შემოგიტვალა: ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრესესი, რომლისგანაც ჩვენ წამოვდგებით, იყო შვილი პერსევსისა, დანაეს ძისა და გაჩენილი იყო კეფევსის ასულის, ანდრომედეს მიერ. ამგვარად, ჩვენ თქვენი ჩამომავლები ვართ. ამიტომაც არც ჩვენ შეგვფერის, რომ ჩვენს წინაპრებზე ვილაშქროთ და არც თქვენ, რომ სხვებს დაეხმაროთ და ჩვენი მოწინააღმდეგენი გახდეთ; იყავით წყნარად და ისხედით შინ. ხოლო თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გუნებაში მაქვს, თქვენზე უფრო მეტად არავის დავაფასებ“. ამბობენ, რომ არგოსელებმა ეს ნათქვამი უყურადღებოდ არ დატოვეს, მაგრამ ამჯერად არც არაფერს დაჰპირებიან და არც არაფერი მოუთხოვიათ. ხოლო შემდეგ, როდესაც ელინებმა მიმართეს მათ მოკავშირებისათვის, რაკილა იცოდნენ, რომ ლაკედემონელები ვერ შეეღებოდნენ მეთაურობას, მოითხოვეს მათაც ამ უფროსობაში მონაწილეობა, რომ საბაბი ჰქონოდათ მშვიდად ყოფნისათვის.

151. ელინთაგან ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ გადმოცემას ადასტურებს მრავალი წლის მერე მომხდარი ამბავი: მოხდა ისე, რომ სუსაში, მემნონის ქალაქში, სრულიად სხვა საქმის გამო იყვნენ ათენელი მოციქულები, კალიეს ჰიპონიკოსის ძე და მისი თანხმლებნი. ამავე დროს არგოსელებმაც გაგზავნეს სუსაში მოციქულები, რომ ეკითხათ არტოქსერქსეს ქსერქსესის ძისათვის, ინარჩუნებს თუ არა ის იმ მეგობრობას, რაც ამათ ქსერქსესთან ჰქონდათ, თუ ისე უნდა ჩავთვალოთ, რომ ესენი მისი მტრები არიან. არტოქსერქსეს მეფემ უთხრა, რომ მეგობრობა რჩება მათ შორის და რომ არც ერთი ქალაქის მიმართ არაა არგოსზე უფრო მეგობრულად განწყობილი.

152. მე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, გაგზავნა თუ არა ქსერქსესმა მაცნე არგოსში ამის სათქმელად და მივიდნენ თუ არა არგოსელი მოციქულები სუსაში არტოქსერქსესთან მეგობრობის გამოსარკვევად. ვერც სხვა რამ აზრს გამოვთქვამ ამასთან დაკავშირებით გარდა იმისა, რასაც თვითონ არგოსელები მოგვითხრობენ. მაგრამ იმდენი კი ვიცი, რომ თუ ყველა ადამიანი თავის საკუთარ ბოროტებას ერთ ადგილას მოიტანს და თითოეული შეეცდება თავისი გაუცვალოს მახლობელს, შეხედავს თუ არა ამ მახლობლის მიერ ჩადენილ ბოროტებას, სიამოვნებით წიაღებს უკან იმას, რაც თან მოიტანა. ამდენად არც არგოსელები მოქცეულან ყველაზე უფრო სამარცხვინოდ. მე ვალდებულო ვარ ვთქვა, რასაც ამბობენ, მაგრამ, რომ მჯეროდეს ნათქვამის, ამისი ვალდებულები სულაც არა ვარ; ეს აზრი დეე გავრცელდეს მთელი ჩემი მოთხრობის მიმართ. იმასაც ამბობენ, თითქოს

სწორედ არგოსელებმა მოუხმეს სპარსელს ელადის წინააღმდეგ, მას მერე, რაც ცუდად წაუვიდათ ლაკედემონლთა მიმართ ომი და არსებულ მდგომარეობას ყველაფერი ერჩივნათ, რაც ა უნდა მოსვლოდათ.

153. ეს უნდა ითქვას არგოსელთა შესახებ. ხოლო მოკავშირეთაგან სხვა მოციქულები მივიდნენ სიკელიეში, რომ დაკავშირებოდნენ გელონს და ლაკედემონელთაგან მათ შორის იყო სიაგროსი. ამ გელონის წინაპარი, გელეს მოსახლე, კულძულ ტელოსიდან იყო, რომელიც ტრიოპიონთა მდებარეობს. როდესაც გელეს აარსებდნენ ლინდოსელები, რომლებიც როდოსიდან არიან და ანტიფემოსი, გელონის წინაპარი არ ჩამორცენია მათ. დროთა ვითარებაში მისი ჩამომავლები მიწისქვეშეთის ღმერთების მთავარი ქურუმები იყვნენ და ამ თანამდებობაზე მუდმივად იმყოფებოდნენ, მას მერე, რაც ერთმა წინაპართაგანმა, ტელინესმა, მოიპოვა ის ამგვარად: ქალაქ მაქტორიონში, რომელიც გელეს ზემოთ მდებარეობს, გაიქცნენ ამბოხების დროს დამარცხებული გელეელი ვაჟკაცები. ტელინესმა ესენი უკან წამოიყვანა გელეში, მხოლოდ ისე, რომ ადამიანთა ძალა არ უხმარია, მხოლოდ ღმერთების სიწმინდით მოქმედებდა; საიდან მიიღო მან ეს სიწმინდე, ან თუ თვითონ ფლობდა მას, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ამაზე დაყრდნობით მან უკან წამოიყვანა ხალხი, მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი ჩამომავლები ღმერთების მთავარი ქურუმები იქნებოდნენ. იქიდან, რაც შევიტყვე, ჩემთვის საოცარი ის არის, რომ ტელინესმა ამოდენა საქმე გააკეთა. რადგან ასეთ საქმეს ყველა კაცი ვერ შეიძლება, არამედ მხოლოდ ისეთი, ვისაც კეთილშობილი ბუნება და ვაჟკაცური ძალა აქვს; ხოლო სიკელიის მკვიდრნი, პირიქით, ამბობენ, რომ მას დიაცური ზნე ჰქონდა და განაზეებული კაცი იყო.

154. ეგრე მოიპოვა მან ეს პატივი. როდესაც დაასრულა თავისი სიცოცხლე კლეანდროსმა, პანტარესის ძემ, რომელიც გელეში 7 წელს ტირანობდა (მოკვდა კი ის გელეელი კაცის, საბილოსის ხელით), მაშინ მონარქია მიიღო ჰიპოკრატესმა, რომელიც კლეანდროსის ძმა იყო. როდესაც ჰიპოკრატესს ეპყრო ტირანია, გელონი, მთავარი ქურუმის, ტელინესის ჩამომავალი, მრავალ სხვასთან ერთად (მათ შორის იყო ადნესიდემოს პატადკოსის ძეც) იყო ჰიპოკრატესის შუბოსანი. დიდ დროს არ გაუვლია, რომ ის, მისი სიქველის გამო, მთელი მხედრობის უფროსად დანიშნეს. რადგან მაშინ, როდესაც ჰიპოკრატესს ალყა ჰქონდა შემორტყმული კალიპოლელებისათვის, ნაქსოსელებისათვის, ძანკლეებისათვის, ლეონტინელებისათვის, ასევე სირეკუსელებისათვის და მრავალი სხვა ბარბაროსისათვის, ამ ომში გელონი უბრწყინვალეს ვაჟკაცად გამოჩნდა. აქ ჩამოთვლილი ქალაქებიდან სირეკუსის გარდა ვერც ერთი ვერ გადაურჩა ჰიპოკრატესის მიერ დამონებას. ხოლო კორინთელებმა და კერკირელებმა იხსნეს ბრძოლაში დამარცხებული სირეკუსელები მდინარე ელოროსთან. იხსნეს ესენი და იმ პირობით დაუზავდნენ, რომ სირეკუსელები გადასცემენ კამარინას ჰიპოკრატესს. ხოლო კამარინა იმთავითვე სირეკუსელებს ეკუთვნოდათ.

155. ჰიპოკრატესი იმდენივე წელს იყო ტირანი, რამდენსაც მისი ძმა კლეანდროსი და მოკვდა ქალაქ ჰიბლესთან სიკელილთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. მაშინ გელონმა, თითქოს ჰიპოკრატესის შვილების, ევკლედედესისა და კლეანდროსის, დასახმარებლად, რომელთა მორჩილებაც აღარ სურდათ მოქალაქეებს, დაძლია ბრძოლაში გელეელები და თვითონ იგდო ხელთ ძალაუფლება, რომელიც

ჰიპოკრატესის შვილებს წაართვა. ამ წარმატების შემდეგ გელონმა ქალაქ კასმენედან სირეკუსეში დააბრუნა ის სირეკუსელები, რომლებიც გამორებად იწოდებიან და რომლებიც სირეკუსედან გააძევეს დემოსმა და მათმა საკუთარმა მონებმა, კირილიებმა. ამგვარად გელონმა ხელთ იგდო სირეკუსეც, რადგან სირეკუსის დემოსმა, გელონი რომ დაესხა თავს მათ ქალაქს, გადასცა მას ქალაქიცა და თვითონაც დანებდა.

156. მას მერე, რაც ხელთ იგდო სირეკუსე, გელეს, რომელსაც ჯერ კიდევ ფლობდა, ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭა და გადასცა ის თავის ძმას, ჰიერონს. თვითონ კი აძლიერებდა სირეკუსეს; სირეკუსე მისთვის ყველაფერი იყო. ეს ქალაქი სწრაფად გაიზარდა და განვითარდა. ჯერ ერთი მან მთელი კამერინელები სირეკუსეში მოიყვანა და იქაურ მოქალაქეებად აქცია, ხოლო ქალაქი კამარინა კი მოსთხარა, მეორე მხრივ გელეელ მოქალაქეთა ნახევარზე მეტს იგივე უყო, რაც კამარინელებს. ასევე მოექცა მეგარელებს, რომლებიც სიკელიეში არიან, შემოარტყა მათ ალყა და აიძულა ისინი დამორჩილებოდნენ მის მიერ წაყენებულ პირობებს. ამათგან მდიდრები, რომლებმაც ეს ომი წამოიწყეს მასთან, და რომლებიც ფიქრობდნენ, ამის გამო ამოგვწყვეტნო, წაიყვანა და სირეკუსის მოქალაქეები გახადა. ხოლო მეგარის დემოსი, რომელიც არ იყო დამნაშავე ამ ომში და არც ფიქრობდა, რომ ცუდი რამე დაემართებოდა, მდიდრებთან ერთად წაიყვანა გელონმა სირეკუსეში და აქ გაჰყიდა ისე, რომ სიკელიიდან სხვა ქვეყნებში წაეყვანათ. ასევე მოექცა იგი ევბეელებს, რომლებიც სიკელიეში არიან, გაარჩია მათ შორისაც მდიდრები და დემოსი. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ დემოსი მათთან ერთად ცხოვრების უღირსად მიაჩნდა.

157. ამ გზით გახდა გელონი დიდი ტირანი. მაშინ, როდესაც ელინთა მოციქულები მივიდნენ სირეკუსეში, მივიდნენ მასთან სალაპარაკოდ და შემდეგი უთხრეს: „ჩვენ გამოგზავნეს ლაკედემონელებმა და მათმა მოკავშირეებმა, რომ შენ მიგიძნობოთ ბარბაროსის წინააღმდეგ, შენ უთუოდ გაგონილი გექნება, რომ ის თავს ესხმის ელადას, რომ სპარსელი, რომელმაც შეჰკრეს ჰელესპონტი, მთელი აღმოსავლეთის ჯარის წამოყვანას აპირებს აზიიდან და ელადის წინააღმდეგ ლაშქრობას. თავს ისე გვიჩვენებს, თითქოს მხოლოდ ათენის წინააღმდეგ ლაშქრობს, მაგრამ სინამდვილეში ფიქრად აქვს თელი ელადის დაპყრობა. ხოლო შენ ისე ძლევამოსილი ხარ, ელადის იმოდენა ნაწილი გეკუთვნის (რაკილა სიკელიეს განაგებ), რომ შეეწიე ელადის გამათავისუფლებლებს და მათთან ერთად შენც გახდი მისი მხსნელი. რადგან თუ მთელი ელადა გაერთიანდა, მაშინ დიდ ძალას მოვაგროვებთ და შეგვეძლება თავდამსხმელებს ბრძოლაში გავუმკლავდეთ. ხოლო თუ ჩვენგან ზოგი მოღალატე იქნება, ან ზოგიც არ მოინდომებს დახმარებას, ელადის მცირე ნაწილს თულა შერჩება ჯანსაღი განწყობილება და ეს კი საშიში იქნება იმ მხრივ, რომ მაშინ შესაძლოა მთელი ელადა დაეცეს. ნუ გექნება იმის იმედი, რომ სპარსელი მერე შენთან არ მოვა, თუ ჩვენ გვაჯობა ბრძოლაში და დაგვამარცხა, ამიტომ გირჩევნია, წინასწარ იზრუნო ამისათვის. ჩვენ რომ დაგვეხმარები, ამით შენ თავსაც შეეწევი. კარგად მოფიქრებულ საქმეს ჩვეულებრივ კეთილი დასასრული აქვს ხოლმე.

158. მათ ესა თქვეს, ხოლო გელონმა გაცხარებით მიუგო შემდეგი: „ელინებო, თავხედური სიტყვებით მომმართეთ და გაბედეთ, რომ მე ბარბაროსის წინააღმდეგ მოკავშირედ გეხმეთ. მაშინ როდესაც თქვენ თვითონ, მე რომ გთხოვთ ბარბაროსთა წინააღმდეგ ჩვენთან ერთად ილაშქრეთ მეთქი (როდესაც კარქედონელებთან მქონდა

მტრობა) და თან იმასაც გთხოვდით, რომ დორიევს ანაქსანდრიდესის ძის სიკვდილის გამო ეგესტელებისათვის სამაგიერო მიგვეზღო; როდესაც გპირდებოდით, რომ სავაჭრო ადგილებს გავათავისუფლდებდით, რომელთაგანაც თქვენ დიდი სარგებელი გექნებოდათ და ამით კიდევაც ისიამოვნებდით; არც ჩემი ხათრით მოხვედით დასახმარებლად და არც დორიევსის სიკვდილის გამო სამაგიეროს მისაზღველად, თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ეს ყველაფერი ბარბაროსის ხელში იქნებოდა, მაგრამ ჩვენც ხელი მოგვემართა და საქმეც უკეთ მოეწყო. ახლა კი, როდესაც ომი თქვენ შეგეხოთ, მაშინვე გაგახსენდათ გელონი. თუმცა უკადრი მაკადრეთ, მაგრამ თქვენ მაინც არ დაგემსგავსებით, პირიქით, მზადა ვარ შ გეწიოთ და მოგცეთ ორასი ტრიერი, 20000 ჰოპლიტი, 2000 მხედარი, 2000 მშვილდოსანი, 2000 მეშურდულე და 2000 მსუბუქად შეიარაღებული მხედარი. აგრეთვე გპირდებით, რომ მოგცემთ ელინთა მთელი ჯარისათვის საგზალს, მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ომს არ დავამთავრებთ. მხოლოდ იმ პირობით ვიზამ ყოველივე ამას, თუ მე ვიქნები ელინების მხედართმთავარი და წინამძღოლი ბარბაროსის წინააღმდეგ. სხვა პირობით არც მე წამოვალ და არც სხვებს გამოვგზავნი“.

159. სიაგროსმა რომ ეს მოისმინა, ველარ მოითმინა და თქვა: „მართლაც და ხმამაღლა პელოპიდი აგამენონი, რომ შეეტყო, სპარტელებს წინამძღოლობას გელონი და სირეკუსლები ართმევენო. ნულარც გაიხსენებ იმ პირობას, რომ წინამძღოლობა შენ უნდა გადმოგცეთ. ხოლო თუ გინდა, შეეწიო ელადას, იცოდე, ლაკედემონელების ხელქვეითი იქნები. მაგრამ თუ არ მიგაჩნია სამართლიანად, ის, რომ სხვას დაემორჩილო, მაშინ ნურც შეგვეწვი“.

160. გელონმა დაინახა, რომ მისი წინადადება უარჰყო სიაგროსმა და საბოლოოდ შემდეგი სიტყვა უთხრა მათ: „მეგობარო სპარტელო, როდესაც ადამიანს შეურაცხყოფას მიაყენებ, ჩვეულებრივ ეს მასში რისხვას იწვევს, მართალია, შენი სიტყვა მედიდურობით იყო აღსავსე, მაგრამ მაინც ვერ მომიხერხებ იმას, რომ სამაგიეროდ მეც სამარცხვინოდ მოვიქცე. რაკილა თქვენ ეგრე იღწვით წინამძღოლობისათვის, მე თქვენზე უფრო შემფერს, რომ ამისათვის ვზრუნავდე, რადგან გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინამძღოლი ვარ და ბევრად მეტი ხოლადების პატრონი. მაგრამ რადგან თქვენ ჩვენ წინადადებას ასეთი წინააღმდეგობით შეხვდით, ამიტომ შეგვიძლია დავთმოთ წელან ნათქვამი სიტყვა: თუ თქვენ ხმელეთის ჯარს წარუძღვებით, მაშინ მე საზღვაოს ვუხელმძღვანელებ. ხოლო თუ თქვენ გესიამოვნებათ ზღვაზე მბრძანებლობა, მაშინ მე სახმელეთოს წავუძღვები. ამგვარად ან უნდა დაგვეთანხმოთ ამაზე, ან კიდევ წავიდეთ აქედან ისე, რომ ჩემი მოკავშირეობის იმედი არა გქონდეთ“.

161. გელონმა ასეთი რამ შესთავაზა მათ, ხოლო ათენელთა მოციქულმა დაასწრო ლაკედემონელს და მიუგო მას შემდეგი: „სირეკუსელთა მეფევ, ჩვენ ელადამ გამოგვზავნა შენთან არა წინამძღოლის სათხოვნელად, არამედ ლაშქრისა. შენ კი, თუ არ მიიღებ ელადის წინამძღოლობას, არაერს ამბობ იმის შესახებ, რომ ლაშქარს გაგზავნი, რადგან ძალიან გინდა მისი მხედართმთავრობა. სანამ შენ მთელი ლაშქრის წინამძღოლობას თხოულობდი, ათენელები მშვიდად ვიყავით, რადგან ვიცოდით, ლაკონელიც მოახერხებდა და ორივე ჩვენგანის მაგივრად პასუხს გასცემდა. ხოლო მას შემდეგ, რაც შენ მთელ ლაშქარზე უარი სთქვი და მხოლოდ ფლოტის

გამგებლობას თხოულობ, იცოდე, რომ ასე იქნება: ლაკონელმა კდიევაც რომ მოგცეს ნება მისი მმართველობისა, ჩვენ არ დაგეთანხმებით ამაზე, რადგან ჩვენია ზღვაზე უფროსობა, თვითონ ლაკედემონელები თუ არ მოინდომებენ ამას. ხოლო თუ ესენი მოინდომებენ წინამძღოლობას, ჩვენ მათ არ გავუწევთ წინააღმდეგობას, სხვას კი არავის მივცემთ ნებას, რომ ფლოტს უხელმძღვანელოს. რა ტყუილად შევქმენით ათენელებმა ელინთა უდიდესი ფლოტი, რომ სირეკუსელებს გადავცეთ მისი წინამძღოლობა? ჩვენ, ათენელები უძველესი ხალხი ვართ და ამავე დროს ერთადერთი ელინთა შორის, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი არ გამოგვიცვლია. ჩვენ შესახებ იყო ეპოსის მთხველმა ჰომეროსმა რომ თქვა, ილიონში მოვიდა კაცი, რომელმაც საუკეთესოდ მოაწყო და დარაზმა ლაშქარიო. ამიტომ ჩვენ არ გვრცხვენია, რომ ეს წინადადება წამოვაყენეთ“.

162. ხოლო გელონმა მას შემდეგი მიუგო: „მეგობარო ათენელო, როგორც გეტყობათ, გამგებლები გყავთ, ხოლო განსაგებლები არ გეყობათ. რადგან თქვენ ვერაფერს ელევით და ყველაფერის ფლობა გსურთ, იჩქარეთ, რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდეთ უკან და შეატყობინოთ ელადას, რომ მისთვის წელიწადიდან გაზაფხულია ამოდებული“. აზრი ამ სიტყვისა ესაა და მას ამისი თქმა სურდა: ისევე, როგორც წელიწადის დროთა შორის აშკარად საუკეთესოა გაზაფხული, ელინთა ლაშქარშიც საუკეთესოა მისი ლაშქარი. ამგვარად, მისი მოკავშირეობის დამკარგველ ელადას ადარებდა წელიწადს, რომელსაც დაჰკლებია გაზაფხული.

163. ამგვარად მოელაპარაკნენ ელინთა მოციქულები გელონს და უკან გაცურეს. მიუხედავად იმისა, რომ გელონს ეშინოდა ელინები ვერ შეძლებენ ბარბაროსის დაძლევასო, მაინც საშინელებად და აუტანლად მიაჩნდა წასულიყო პელოპონესში და ლაკედემონელთა ხელქვეითი გამხდარიყო, თვითონ, სიკელიელი ტირანი. ამიტომ მან ეს გზა უარყო და აირჩია სხვა: როგორც კი შეიტყო, რომ სპარსელი გადავიდა ჰელესპონტზე, სამი ორმოცდაათნიჩბიანი ნავით დელფოში გაგზავნა კადმოსი, სკვითესის ძე, კოსელი ვაჟკაცი, რომელსაც თან მიჰქონდა დიდძალი ფული და მეგობრული სიტყვები. იგი უნდა დალოდებოდა იმას, თუ ბრძოლა რანაირად დათმთავრდებოდა: თუ ბარბაროსი გაიმარჯვებდა, ფული უნდა მიეცა მისთვის და ის მიწა და წყალიც, რომელსაც განაგებდა გელონი, ხოლო თუ ელინები გაიმარჯვებენ, მაშინ უკან უნდა წამოეღო ფული.

164. ამ კადმოსმა ამაზე უწინ თავის მამისაგან კარგა საფუძვლიანი ტირანია მიიღო კოსელებზე, მაგრამ შემდეგ თავისი ნებით (და არა რაიმე საშიშროების გამო), მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გრძნობით შეპყრობილმა კოსელების მიმართ, ანება თავი გამგებლობას და წავიდა სიკელიეში. აქ მან სამოსელთაგან მოიპოვა და დაასახლა ქალაქი ძანკლე, რომელსაც მესწენედ შეეცვალა სახელი. გელონმა დელფოში აი ეს კადმოსი გაგზავნა, რომელიც ამგვარად მოვიდა მასთან სიკელიეში. და გაგზავნა იგი მისი პატიოსნების გამო, რაც მან სხვა შემთხვევების მიხედვით იცოდა. მის სხვა სამართლიან საქმეთა შორის ყველაზე უმნიშვნელო ეს უკანასკნელი როდია: მას დიდი ფული მიანდო გელონმა. კადმოსს შეეძლო მიეთვისებინა იგი, მაგრამ არ მოინდომა, ხოლო როდესაც ელინებმა გაიმარჯვეს საზღვაო ბრძოლაში და ქსერქსესი უკან გაბრუნდა, კადმოსი მივიდა სიკელიეში და მთელი ფული გელონს დაუბრუნა.

165. სიკელიეში მცხვრებნი კიდევ იმასაც ამბობენ, რომ თითქოს გელონი მაინც აპირებდა ელინთა შველას, თუნდაც ლაკედემონელთა მეთაურობით, რომ თერონს, ადნესიდემოსის ძეს, აკრაგანტელთა მონარქს არ გამოემეცებინა ჰიმერედან ტერილოსი, კრინიპოსის ძე, ჰიმერეს ტირანი, რომელმაც სწორედ ამ დროს მოიყვანა გელონს წინააღმდეგ 30 000 კაცი - ფინიკიელები, ლიბიელები, იბერები, ლიგიელები, ელისიკები, სარდონელები, კირნოსელები, და მათი მხედართმთავარი ამილკასი, ანონის ძე, კარქედონელთა მეფე. ტერილოსმა ეს უკანასკნელი დაიყაბულა თავისი პირადი მეგობრობის წყალობით. ეს ანაქსილეოსი რეგიონის ტირანი იყო. მან თავისი ორ შვილი მისცა ამილკასს მძევლებად და წაიყვანა სიკელიის წინააღმდეგ თავისი სიმამრის დასახმარებლად. ტერილოსის ასული ანაქსილეოსს ჰყავდა ცოლად. მას სახელად ერქვა კიდიპე. ამგვარად, გალონს არ შეეძლო, დახმარებოდა ელინებს და ამიტომაც გაგზავნა დელფოში ფული.

166. ამას გარდა იმასაც ამბობენ, რომ იმავე დღეს, როდესაც სიკელიეში გელონმა და თერონმა გაიმარჯვეს ამილკას კარქედონელზე, სალამინზე ელინებმა გაიმარჯვეს სპარსელებზე. ხოლო ამილკასი, რომელიც მამით კარქედონელი იყო, დედის მხრივ კი სირეკუსელი, კარქედონელებზე გამეფდა და თავისი პრიველი ვაჟკაცობის წყალობით. როგორც შევიტყვე, შეტაკება რომ მოხდა, ამილკასი ბრძოლაში დამარცხებისთანავე გაუჩინარდა. დედამიწის ზურგზე ვერსად იპოვეს ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი, თუმცა კი გელონმა ვეყლგან დაატარა ხალხი და დააძებნინა.

167. ხოლო თვით კარქედონელები ასეთ ამბავს მოგვითხრობენ და, როგორც ჩანს, სრულ სიმართლეს ჰყვებიან: როდესაც ბარბაროსები ელინებს ებრძოდნენ, სიკელიეები, გათენებიდან გვიან დაღამებამდის იბრძოდნენ (ამბობენ, რომ ამოდენა ხანს გრძელდებოდა ამბოხება). ხოლო იმავე დროს ამილკასის ბანაკში დარცა, მსხვერპლს სწირავდა და კეთილი ნიშნის მისაღებად დიდ ცეცხლზე მთელ-მთელ სამსხვერპლო საქონელს წვავდა. როდესაც დაინახა, რომ მისმა ჯარმა ზურგი უჩვენა მოწინააღმდეგეს, ამ დროს ის ღვინოს ათხევდა სამსხვერპლოს და ისევე გადავარდა თვითონ ცეცხლში. დაიწვა და ამიტომაც უკვალოდ გაქრა. ასე გაუჩინარდა ამილკასი, როგორც ფინიკიელები მოგვითხრობენ თუ სხვანაირად, როგორც კარქედონელები და სირეკუსელები ამბობენ, მთავარი ისაა, რომ ჯერ ეს ერთი მას მსხვერპლს სწირავენ, და მერეც ისა, რომ მას ძეგლები დაუდგეს ყველა თავის კოლონიაში, ხოლო თვით კარქედონში - უდიდესი. ასე იყო სიკელიის ამბები.

168. ხოლო კერკირელებმა მოციქულებს ერთი უპასუხეს, მეორე კი გააკეთეს: მათთანაც ისევე მივიდნენ დასაყოლიებლად, ვინც სიკელიეში და ისევე ის სიტყვები უთხრეს მათაც, რაც უთხრეს გელონს. კერკირელები მაშინვე დაჰპირდნენ მათ, რომ გაუგზავნიან ლაშქარს და დაეხმრებიან; ისინი ამბობდნენ, რომ ვერ უყურებენ ელადის დაღუპვას (რადგან თუ ელადა დაეცა, მაშინ თვითონ ამათაც სხვა არაფერი მოელით, თუ არა დამონება პირველსავე დღეებში); რომ უნდა დაეხმარონ მას, როგორც კი შეუძლიათ. ასე პირმოთნე პასუხი გასცეს, ხოლო დახმარების დრო რომ დადგა, სხვანაირად მოიქცნენ: გამართეს 60 ხომალდი და როგორც კი გამოვიდნენ ზღვაში და მიუახლოვდნენ პელოპონესს, გააჩერეს ხომალდები ლაკედემონელთა ქვეყანაში, პილოსთან და ტაძნარონთან. ესენიც იმას ელოდებოდნენ, თუ ომი როგორ დამთავრდებოდა: იმედი არ ჰქონდათ, რომ ელინები გაიმარჯვებდნენ, ეგონათ,

სპარსელი მოიპოვებდა ბრწყინვალე გამარჯვებას და მთელი ელადის გამგებები გახდებოდა. ეს განზრახ გააკეთეს, იმისათვის, რომ შეძლებოდათ სპარსელისათვის ეთქვათ: „მეფეო, თუმცა ელინები ჩვენ გვიბირებდნენ თავის მხარეზე ამ ომში, ჩვენ, რომელთაც მცირე ძალა არა გვყავს და არც ხომალდები მოგვიყვანია სხვებზე ნაკლები, უფრო მეტიც, ათენელების შემდეგ ყველაზე მეტი ჩვენ მოვიყვანეთ, მაგრამ არ მოვინდომეთ შენს წინააღმდეგ გამოვსულიყავით ან და შენთვის უსიამოვნო რამ ჩაგვედინა“. ასე რომ ეტყოდნენ, იმედი ჰქონდათ, სხვებზე უკეთ წაუვიდოდათ საქმე და მე ვფიქრობ, ასეც იქნებოდა. ხოლო ელინთა მიმართ თავის მართლება მზად ჰქონოდათ და ეს კიდევაც გამოიყენეს, რადგან, როდესაც ელინებმა უსაყვედურეს, რატომ არ დაგვეხმარეთო, ამათ უთხრს, რომ 60 ტრიერი ჰქონდათ გამზადებული, მაგრამ ქარების გამო ვეღარ შემოუარეს მალეეს, ამიტომ ვერ მივიდნენ სალამინთან და არა იმიტომ, რომ რაიმე ბოროტი განზრახვის გამო გაექცნენ საზღვაო ბრძოლას. ასე მოატყუეს მათ ელინები.

169. ხოლო კრეტელები, როდესაც მათ მიმართეს საგანგებოდ ამისთვის წარგზავნილამ ელინებმა, ასე მოიქცნენ: მათ საერთო შეთანხმების საფუძველზე გაგზავნეს დელეგატიონი კაცები, რათა ეკითხათ ღმერთისათვის, არგებდა თუ არა მათ რასმე ელადის დახმარება. ხოლო პითიამ მიუგო მათ: „თქვე ბრიყვებო, ხომ უკმაყოფილონი იყავით, როდესაც განრისხებულმა მინოსმა ცრემლები გაღვრევინათ მენელეოსის დახმარების გამო! ეს იმიტომ, რომლ ელინებმა არ მოინდომეს თქვენთან ერთად სამაგიეროს მიზღვა მინოსის კამიკოსში მკვლელობისათვის. თქვენ კი დაეხმარეთ მათ, როდესაც ბარბაროსმა სპარტიდან ქალი მოიტაცა“. კრეტელებს რომ ეს პასუხი მოუვიდათ, თავი შეიკავეს ელინთა დახმარებისაგან.

170. ამბობენ, რომ როდესაც მინოსი დაადალოს ეძებდა, მივიდა სიკანიეში, რასაც ახლა სიკელიე ეწოდება და მოკვდა იქ ძალადური სიკვდილით. დროთა ვითარებაში ღმერთისაგან შთაგონებული კრეტელები, ყველანი, გარდა პოლიქნელებისა და პრესიელებისა, მივიდნენ დიდი ლაშქრით სიკანიეში და ხუთი წლის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქ კამიკოსისათვის, რომელშიც ჩემს დროს ცხოვრობდნენ აკრაგანტელები. ბოლოს, როდესაც ვეღარ შეიძლეს ვერც ქალაქის აღება, ვერც ადგილზე დარჩენა შიმშილისაგან შევიწროვებულებმა, დატოვეს იქაურობა და წავიდნენ. როდესაც ცურვით მიაღწიეს იეპიგიეს, დიდ ქარშხალში მოხვდნენ, რომელმაც ისინი ხმელეთზე გადმოსროლა. რადგან ნავები დაემსხვრათ და არ უჩანდათ რაიმე საშუალება კრეტეზე დაბრუნებისა, ამიტომ ააშენეს იქ ქალაქი ჰირიე და იქვე დარჩნენ. კრეტელების მაგიერ გადაიქცნენ მესაპიელ იეპიგებად, ხოლო კუნძულის მცხოვრებთაგან ხმელეთის მოსახლეებად. ხოლო ქალაქ ჰირიედან მათ სხვა ქალაქები დაარსეს, რომელთა განადგურება მოიწადინეს ტარანტელებმა დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს. ისე რომ ეს იყო ელინთა ყველაზე დიდი ჟლეტა, რაც კი ჩვენ ვიცით: თვითონ ტარანტელები და რეგიონელი მოქალაქეები, რომლებიც მიკინთოს ქოძროსის ძემ აიძულა ტარანტელების შემწედ მისულიყვნენ, 3000 კაცის რაოდენობით ამოწყდნენ. საკუთრივ ტარანტელების რიცხვი არ დათვლილა. ხოლო მიკინთოსი ანაქსილეოსის მსახური იყო და იგი ანაქსილოესმა რეგიონის მეურვედ დატოვა. ეს ის კაცი იყო, რომელიც გააძევეს რეგიონიდან, დასახლდა არკადიელთა ტეგეში და ბევრი ქანდაკება აღმართა ოლიმპოში.

171. ხოლო რეგიონელებისა და ტარანტელების ამბავი ჩემს მოთხრობას დამატებად დავურთე. როგორც პრადსოსელები მოგვითხრობენ, გაუდაბურებულ კრეტეზე სხვადასხვა ხალხი დასახლდა და უპირატესად კი ელინები. მინოსის სიკვდილის შემდეგ მესამე თაობაში მოხდა ტროის ომი, რომლის დროსაც კრეტელები მენელეოსისათვის ყველაზე უარესი შემწეები არ აღმოჩნდნენ. ამის გამო იყო, რომ როდესაც ისინი ტროიდან უკან დაბრუნდნენ, შიმშილი და ჭირი დაატყდათ თავს, თვით მათაც და მათ საქონელსაც. ისე რომ მეორედ გაუდაბურდა კრეტე და გადარჩენილებთან ერთად ვინც ახლა ცხოვრობს ამ კუნძულზე, ეს მესამე მოსახლეობაა. ეს შეახსენა პითიამ კრეტელებს და თავი შეაკავებინა, როდესაც მათ ელინების დახმარება მოინდომეს.

172. თესალიები პირველად იძულებულები იყვნენ, მიდიელთა მხარე დაეჭირათ, რადგან არ მოსწონდათ ის, რასაც ალევადები იზრახავდნენ. მაგრამ როგორც კი შეიტყვეს თესალიელებმა, რომ სპარსელი ევროპეში აპირებს გადასვლას, გაგზავნეს მოციქულები ისთმოსში. ხოლო ისტმოსში თავი მოიყარეს ელადის რწმუნებულებმა, რომლებიც ამორჩეულები იყვნენ იმ ქალაქებიდან, რომლებიც სხვებზე უფრო მეტს ზრუნავდნენ ელადის კეთილდღეობისათვის. როდესაც მოვიდნენ მათთან თესალიელთა მოციქულები, უთხრეს დამხვდურებს შემდეგი: „ელინო ვაჟკაცებო, უნდა დაიცვათ ოლიმპიის შესავალი, რათა ომისაგან დაიფაროთ თესალიაცა და მთელი ელადაც. ჩვენ მზად ვიქნებით, თქვენთან ერთად დავიცვათ ეს შესავალი, თქვენ კი მრავალრიცხოვანი ლაშქარი უნდა გამოგზავნოთ, ხოლო თუ არ გამოგზავნით, მაშინ იცოდეთ, რომ ჩვენ სპარსელს შევუთანხმებით, რადგან ჩვენ რამოდენა მანძილით ვართ დანარჩენი ელადისაგან დაცილებული და მარტო ჩვენ ხომ არ უნდა დავიღუპოთ თქვენ გამო, ხოლო თუ თქვენ არ გინდთ დაგვეხმაროთ, მაშინ არც ის შეგიძლიათ, რომ თქვენთან შეერთება გვაიმულოთ, რადგან არავითარი იძულება არ შეიძლება იყოს უფრო ძლიერი შეუძლებლობაზე. მაშინ ჩვენ თვითონ შევეცდებით რაიმე ვიზრუნოთ საკუთარი თავის ხსნისათვის“.

173. ესა თქვეს თესალიელებმა. ხოლო ელინებმა ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს, რომ თესალიაში ზღვით გაეგზავნათ ქვეითი ჯარი, რომელიც დაიცავდა შესავალს. შეიკრიბა ლაშქარი და გაცურა ევრიპოსზე გავლით. როდესაც მიაღწიეს აქეის ალოსს, გადმოვიდნენ და წავიდნენ თესალიაში, ხომალდები კი იქვე დატოვეს. ისინი მივიდნენ ტემპეში, იმ შესავალთან, რომელსაც მიჰყავს კაცი ქვემო მაკედონიიდან თესალიაში მდინარე პენეოსის გასწვრივ და რომელიც არის ოლიმპიის მთასადა ოსეს შორის. აქ დაბანაკდა დაახლოებით 10000-მდე მძიმედ შეიარაღებული ელინი და მათ შეუერთდა თესალიელი მხედრობა. ლაკედემონელებს მხედართმთავრობდა პოლემარქოსთან შორის ამორჩეული ევანეტოსი, კარენოსის ძე, რომელიც მეფური ჩამომავლობისა არ იყო. ათენელებს კი მხედართმთავრობდა თემისტოკლეესი, ნეოკლეესის ძე. ელინები აქ სულ რამდენიმე დღე დარჩნენ, რადგან მოვიდნენ მათთან ალექსანდრე ამინტესის ძის, მაკედონელის მოციქულები, რომელთაც ურჩიეს მათ, უკან გაბრუნებულიყვნენ. ნუ დარჩებოდნენ შესავალში, რომ თავდამსხმელ ლაშქარს არ გაექვლა ისინი, ამასთანვე შეატყობინეს მათ მტრის ლაშქრისა და ხომალდების სიმრავლე. თესალიელებმა ყურად იღეს მაკედონელების რჩევა, რადგან იფიქრეს, რომ რჩევა მათთვის სასიკეთოა და მაკედონელიც მათ მიმართ კეთილად განწყობილი მოეჩვენათ. მე კი მგონია, რომ შიში იყო, რამაც დააჯერა ესენი, რადგან შეიტყვეს, რომ სხვა შესასვლელიც ყოფილა თესალიებში,

რომელიც მიემართებოდა ზემო მაკედონიიდან პერადების გავლით ქალაქ გონოსთან, და რომელთაც მართლაც შეიჭრა ქსერქსესის ლაშქარი. ელინები ჩასხდნენ ისევ ხომალდებში და უკან წამოვიდნენ ისთმოსში.

174. ეს ლაშქრობა თესალიაში მაშინ მოხდა, როდესაც მეფე აზიიდან ევროპეში აპირებდა გადასვლას და უკვე აზიდოსში იმყოფებოდა. ხოლო თესალიელებს, რომლებიც უმეკავშირეებოდ დარჩნენ, მეტი აღარ უყოყმანიათ და დიდი ხალისით მიემხრნენ მიდიელებს, ისე რომ საქმეში მეფისათვის ყველაზე უფრო სასარგებლონი აღმოჩნდნენ.

175. მას მერე, რაც ელინებმა მიაღწიეს ისთმოსს, მოითათბირს ალექსანდრეს ნათქვამის შესახებ, თუ როგორ უნდა იომონ და სად დაუხვდნენ მტერს. გაიმარჯვა იმ აზრმა, რომლის მიხედვითაც თერმოპილეში შესავალი უნდა დაეცვათ, რადგან აღმოჩნდა, რომ ეს ყველაზე უფრო ვიწრო შესავალი იყო თესალიაში, ამასთან ყველაზე უფრო ახლოს მდებარე მათ ქვეყანასთან. რაც შეეხება იმ ბილიკს, რომელზედაც დაილუპა ზოგიერთი ელინი თერმოპილეში, მისი არსებობა არც გაუგონიათ, ვიდრე არ მივიდნენ თერმოპილეში და იქ არ შეიტყვეს ტრაქინელთაგან. ამგვარად, ელინებმა მოითათბირეს, რომ დაეცათ ეს შესავალი და არ შეეშვათ ბარბაროსი ელადაში, ხოლო ფლოტს უნდა გაცურა არტემისონისაკენ, რომელიც ჰისტიამოტისის ქვეყანაშია. ეს ადგილები ერთმანეთის ახლოსაა, ისე რომ ერთმანეთის ამბავს იოლად შეიტყობდნენ, ასეთია ეს ადგილები.

176. ჯერ ეს ერთი არტემისონის შესახებ: თრაკიის ზღვა, მისი ფართო ნაწილი თანდათანობით ვიწროვდება და ვლებულობთ ვიწრო გასავალს, რომელიც არის კუნძულ სკიათოსსა და მაგნესიის ხმელეთს შორის. ხოლო ამ ვიწრობებს მიჰყვება უკვე ევბეის სანაპირო, არტემისიონი, სადაც არის არტემიდეს სამლოცველო. რაც შეეხება იმ შესასვლელს, რომელიც ელადაშია ტრაქინელებზე გავლით, მისი ყველაზე ვიწრო ადგილი არის ნახევარი პლეთრონი. მაგრამ აქ კი არაა ყველაზე ურო ვიწრო ადგილი, არამედ თერმოპილეს წინ და მის უკან: ალპენოსთა, რომელიც მის უკან არის, მხოლოდ საურმე გზაა, ხოლო მის წინ, მდინარე ფოფნიქსთა, ქალაქ ანთელეს ახლოს ასევე მეორე საურმე გზაა მხოლოდ. თერმოპილეს დასავლეთით არის გაუვალი მთა, ციცაბო და მაღალი, რომელიც გადაჭიმულია ოფტემდე. ხოლო ამ გზის აღმოსავლეთით ზღვა და ჭაობებია. ამ შესასვლელში არის თბილი წყაროები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ქოთენებს“ უწოდებენ, მათთანვეა აღმართული ჰერაკლეს საკურთხეველი. ამ შესასვლელებთან აგებულია ზღუდე, რომელსაც ძველად ბჭეებიც ჰქონდა. ეს ზღუდე შემინებულმა ფოკეელებმა ააგეს მაშინ, როდესაც თესალიელები მოვიდნენ თესპორტების ქვეყნიდან და დაასახლეს ადოლიდის ქვეყანა, რომელიც ახლაც უჭირავთ. როდესაც თესალიელები შეეცდებოდნენ ფოკეელების დამორჩილებას, ფოკეელებს ამ ზღუდით უნდოდათ თავის დაცვა. მაშინ იყო, რომ თბილი წყალი მიუშვეს შემოსასვლელზე, რათა ადგილი მთლად ოღრო-ჩოღრო გამხდარიყო. ყოველივე ეს მოიგონეს იმისათვის, რომ თესალიელები არ შემოჭრილიყვნენ მათ ქვეყანაში. ამრიგად, ძველ ზღუდე დიდი ხნის წინ იყო აშენებული და მისი დიდი ნაწილი დროთა ვითარებაში უკვე დანგრეულიყო. ელინებმა გადაწყვიტეს, რომ მას აღადგენდნენ და მისი საშუალებით დაიცავდნენ ელადას ბარბაროსისაგან, ამ გზის ახლოს არის სოფელი, სახელად ალპენოსი, ელინები ფიქრობდნენ, რომ საგზალს აქ მოიმარაგებდნენ.

177. ეს ადგილები ელინებს მოსახერხებლად ეჩვენებოდათ. რადგან ყველაფერს რომ დაუკვირდნენ და მოიფიქრეს, დაასკვნეს, რომ ბარბაროსები ვერც თავიანთ სიმრავლეს გამოიყენებდნენ და ვერც თვის მხედრობად, ამიტომ გადაწყვიტეს, აქ დახვედროდნენ ელადაზე თავდამსხმელებს. როდესაც შეიტყვეს, რომ სპარსელი პიერიერში იმყოფება, გაიყვნენ და ისთმოსიდან სალაშქროდ გაემართნენ, ერთი ნაწილი ხმელეთით წავიდა თერმოპილეში, ხოლო სხვები ზღვით გაემართნენ არტემისიონში.

178. ყველა ელინმა სასწრაფოს მიაშურა მისთვის წინასწარ გამწესებულ ადგილს. ამავე დროს დელფოელები ღმერთს ეკითხებოდნენ განგების შესახებ, რადგან აშინებდათ თავისი და ელადას ბედი. მათ პასუხად მიიღეს, რომ შევედრებოდნენ ქარებს, რადგან ისინი იქნებოდნენ ელადას უდიდესი მოკავშირეები. დელფოელებმა მიიღეს მისნობა და ეს ღვთისგანგება პირველად იმ ელინებს გამოუცხადეს, ვისაც უნდოდა თავისუფალი ყოფილიყო, და რაკილა ელინებს საშინლად ეშინოდათ ბარბაროსის, ამ შეტყობინებით დელფოელებმა მათი საუკუნო მადლობა მოიპოვეს. ამის შემდეგ დელფოელებმა ქარებს საკურთხეველი განუკუთვნეს თიიეში, სადაც კეფისოსის ასულის, თიიეს, სალოცავი არის (რომლის მიხედვითაც ჰქვია ამ ადგილს სახელი) და მსხვერპლშეწირვით უნდოდათ მათი მოღმობიერება.

179. ამ მისნობის მიხედვითაა, რომ დელფოელები ჯერაც მიმართავენ შეწყალებისათვის ქარებს. ხოლო ქსერქსესის ფლოტი გამოვიდა ქალაქ თერმედან და საუკეთესოდ მცურავმა ათმა ხომალდმა პირდაპირ სკიათოსს მიაშურა. აქ მცველებად იდგა სამი ელინური ხომალდი: ტრომძენური, აფგინური და ატიკური. ამათ როგორც კი დაინახეს ბარბაროსთა ხომალდები, მაშინვე გაიქცნენ.

180. ბარბაროსები მაშინვე გამოეკიდნენ მათ, და შეიპყრეს ტრომძენური ხომალდი, რომელსაც მართავდა პრექსინოსი. შემდეგ ამ ხომალდის მეზღვაურთა შორის ის, ვინც ულამაზესი იყო, გამოიყვანეს ხომალდის ცხვირზე და დაკლეს, ხოლო კეთილ ნიშნად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ მათ ხელში ყტვედ ჩავარდნილი პირველი ელინი ულამაზესი იყო. ამ მოკლულს სახელად ერქვა ლეონი, შესაძლოა, ნაწილობრივ მისი სახელიც გამოც იყო, რომ მას ეს გადახდა.

181. ხოლო აფგინურმა ტრიერმა, რომელსაც მართავდა ასონდიესი, მათ ხოტა არ იყოს, საქმე გაუჭირვა, რადგან მასზე იმყოფებოდა ერთ-ერთი მეზღვაური, პითეეს ისქენოსის ძე, რომელმაც იმ დღეს ყველაზე მეტი ვაჟკაცობა გამოიჩინა: როდესაც ხომალდი ხელთ იგდო მოწინააღმდეგემ, იგი იქამდე იბრძოდა და ეწინააღმდეგებოდა მათ, ვიდრე მთლიანად აკუწეს. ხოლო როდესაც დაეცა, მკვდარი კი არ იყო, ჯერ კიდევ სული ედგა. ხომალდებზე მყოფმა მეზღვაურებმა, მისი მამაცობის გამო მის გასადარჩენად ყველაფერი იღონეს, რაც კი შეეძლოთ: მურით მკურნალობდნენ მის წყლულებს და წმინდა ტილოს სახვევებით უხვევდნენ, ხოლო როდესაც უკან დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში, ისინი განცვიფრებულები უჩვენებდნენ მის თავს მთელ ლაშქარს და პატივითაც ექცეოდნენ მას. სხვებს კი, ვინც ხელთ იგდეს იმ ხომალდზე, ექცეოდნენ როგორც მონებს.

182. ხომალდებიდან ორი ასე იგდეს ხელთ. ხოლო მესამე, რომელსაც მართავდა ფორმოსი, ათენელი ვაჟკაცი, გაიქცა და პენელონის შესართავთან გარჩა, მაგრამ ბარბაროსებმა ხელთ იგდეს მხოლოდ ხომალდი, ხალხი კი ვერ დაიჭირეს, რადგან როგორც კი ათენელებს ხომალდი იმ შესართავთან გაუჩერდათ, გადმოხტნენ და თესალიაზე გავლით მივიდნენ ათენში.

183. ეს შეიტყვეს არტემისიონში დაბანაკებულმა ელინებმა სკიათოსიდან ნაჩვენები ცეცხლის ალების საშუალებით. შეიტყვეს, შეეშინდათ და გადავიდნენ არტემისიონიდან ქალკიდეში, რომ დაეცვათ ევრიპოსი, ხოლო ევბეის მაღლობზე დატოვეს დღის დარაჯები. ხოლო ბარბაროსთა ათი ხომალდიდან სამი მიცურავდა კლდესთან, რომელიც მდებარეობს სკიათოსსა და მაგნესიას შორის და რომელსაც ეწოდება მირმექსი. როდესაც ამ კლდესთან მივიდნენ, ბარბაროსებმა იქ აღმართეს ქვის სტელა, თვითონ კი გაემართნენ თერმედან, როგორც კი დაბრკოლებები გადალახეს და გაცურეს მთელი ფლოტით მეფის თერმედან გასვლის 11 დღის შემდეგ. ხოლო ამ კლდეზე მგზავრობის დროს მიუთითა მათ პამონ სკიროსელმა. მთელი დღის ცურვის შემდეგ ბარბაროსებმა მიაღწიეს სეპიასს, რომელიც მაგნესიის ქვეყანაშია და სანაპიროს, რომელიც მდებარეობს კასთანადეს ქალაქსა და სეპიასის კონცხს შორის.

184. ამ ადგილამდე და თერმოპილემდე ქსერქსესის ლაშქარს ცუდი არაფერი შემთხვევია, მისი რაოდენობა კი ჩემი გამოთვლის თანახმად, ამ დროისათვის ასეთი იყო: აზიის ხომალდებზე, რომელთა რიცხვი 1207-ს უდრიდა, სხვადასხვა ტომის მეომართა რაოდენობა შეადგენდა 241400 კაცს, რადგან თითოეულ ხომალდზე ვიანგარიშე დაახლოებით 200 კაცი. ამ ხომალდებზე, ადგილობრივი მეომრების გარდა იმყოფებოდნენ სპარსელი, მიდიელი და საკი - 30 კაცი. ამ მეომრების რაოდენობა იქნებოდა დაახლოებით 36210 კაცი. ამას და წინა რიცხვს უნდა მივუმატოთ 50-ნიჩბიანი ხომალდების მეზღვაურთა რიცხვი, თითოეულზე დაახლოებით 80-მდე კაცი იმყოფებოდა, შესაძლოა, ცოტათი მეტი ან ნაკლები: როგორც უწინაც ვთქვი, ასეთი ნავი მოგროვდა 3000. ისე რომ, მათზე იქნებოდა 240000 კაცი. ეს იყო აზიის ფლოტი, რომელიც მთლიანად შედგებოდა 510000 კაცისაგან და ამას გარდა იყო კიდევ 7610. ქვეით ჯარში 1700000 კაცი იყო, ხოლო ცხენოსანში - 80000. ამას უნდა მივუმატო კიდევ არაბები, რომლებიც ისხდნენ აქლემებზე და ლიბიელები, რომლებიც მოვიდნენ ეტლებით, რაც 20000 კაცს შეადგენს. ამგვარად, ფლოტისა და სახმელეთო ჯარის საერთო რაოდენობა 2.310.000 იყო და ამას გარდა კიდევ 7610. რაც მე ვთქვი, ეს თვითონ აზიიდან გამოყვანილი ლაშქარია; ამაში არ ვთქვლი მსახურებს, რომლებიც მიჰყვებოდნენ მას, სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ნავეებს და იმ ხალხს, რომელიც მასზე იჯდა.

185. ხოლო ყოველივე ამას, რაც აქ დავთვალეთ, კიდევ უნდა მიემატოს ევროპიდან მოყვანილი ჯარი. აქ უკვე ვარაუდით უნდა ვილაპარაკოთ. თრაკიის ელინებმა და თრაკიასთან მდებარე კუნძულების მცხოვრებლებმა გამოიყვანეს 120 ხომალდი. ხოლო ამ ხომალდებზე იყო 24000 კაცი. სახმელეთო ჯარი კი რომელიც გამოიყვანეს თრაკიელებმა, პადონებმა, ეორდებმა, ბოტიეებმა, ქალკიდელთა მოდგმამ, ბრიგებმა, პიერებმა, მაკედონეებმა, პერადბელებმა, ენიენებმა, დოლოპებმა, მაგნეტებმა, აქელეებმა და მათ, ვინც თრაკიის სანაპიროზე ცხოვრობენ, აი, ამ ხალხებმა, მე ვფიქრობ, გამოიყვანეს 300 000 კაცი, ეს ათი ათასობით რომ მივუმატოთ იმას, რაც

აზიიდან იყო, გამოვა ყველა მებრძოლის რიცხვი - 2.640.000 და ამას უნდა მივუმატოთ კიდევ 1610.

186. მებრძოლთა სიმრავლე ხომ ასეთი იყო, მაგრამ ამით რომ მსახურები მისდევდნენ და ისინი, ვინც სურსათით დატვირთულ ხომალდებზე ისხდნენ ან სხვა ნაგებობით მიცურავდნენ ლაშქართან ერთად, ალბათ, მებრძოლებზე ნაკლები კი არა, უფრო მეტი იქნებოდნენ. მაგრამ მე ვუშვებ, რომ ისინი თანაბრად მრავარიცხოვანნი იყვნენ, არც მეტნი და არც ნაკლები. ესენი მებრძოლების თანაბარი რაოდენობისა იყვნენ და იმდენსავე 10000-ს შეიცავდნენ, რამდენსაც მებრძოლები. ამრიგად, ქსერესმა, დარიოსის ძემ, სეპიესამდე და თერმოპილემდე მოიყვანა 5283220 კაცი.

187. ესაა რიცხვი ქსერქსესის მთელი ლაშქრისა, ხოლო რაც შეეხება ქალებისა (როგორც მზარეულების, ისე ხასების) და საჭურისების ზუსტ რიცხვს, ამას ვერავინ იტყვის, ისევე, როგორც სახედრების, სხვა მებარგული ცხოველებისა და ინდური ძაღლებისას, რომლებიც ლაშარს მიდევდნენ; ამ რიცხვს ვერავინ იტყვის მათი სიმრავლის გამო. ისე რომ სრულიადაც არ მიკვირს ის ამბავი, რომ ზოგი მდინარის წყალი მათ არ ეყოთ სასმელად, პირიქით, ის უფრო მაკვირვებს, ამდენ ათი ათასს როგორ ყოფნიდა საჭმელი, რადგან ვიანგარიშე და გამოვარკვიე, თითოეულს რომ დღეში მიეღო ერთი ქოინიქსი ხორბალი და მეტი არაფერი, ყოველდღიურად დაიხარჯებოდა 110. 000 მედიმნი და ამს გარდა კიდევ სხვა 3401. ხოლო ქალებს, საჭურისებსა და ძაღლებს არა ვთვლით. ამდენ ათიათასეულ კაცთა შორის არავინ იყო ისეთი, რომ სილამაზითა და ტანადობით თვითონ ქსერქსეზე მეტად ყოფილიყო ღირსი მთელი ამ ხალხზე მბრძანებლობისა.

188. ხოლო როდესაც სპარსელთა ფლოტი დაიძრა, გაცურა და დაიჭირა მაგნესიის ქვეყანაში სანაპირო, რომელიც კასთანადეს ქალაქსა და სეპიესის კონცხს შორისაა, ამათგან პირველი ხომალდები გაჩერდნენ ხმელეთთან, ხოლო სხვებმა მათი მიყოლებით უფრო შიგნით, ზღვაში ჩაუშვეს ლუზები. რადგან სანაპირო დიდი არ იყო, ამიტომ ხომალდები ღრმად იყვნენ ზღვაში შეჭრილი და 8-8 ხომალდი იდგა რიგში. ასე გაატარეს ის ღამე. ხოლო გათენებისას მოკრიალებული ცა და წყნარი ამინდი შეიცვალა, აღელდა ზღვა და მათ თავს დაატყდათ დიდი ქარიშხალი და ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, რომელსაც ამ ადგილების ირგვლივ მცხოვრებნი ჰელესპონურს უწოდებენ. იმ მეზღვაურებმა, რომლებმაც შეატყვეს, რომ ქარი ძლიერდება, და რომლებიც თან ისე იდგნენ, რომ თავის შველა შეეძლოთ, დაასწრეს ქარიშხალს და გამოათრიეს ნაპირზე ხომალდები. ამით თვითთონაც გადარჩნენ და მათი ხომალდებიც. ხოლო ღია ზღვაში მდგომ ხომალდებს მოუსწრო გრიგალმა და ზოგი მათგანი გამოაგდო ეგრეთ წოდებულ იპონში, რომელიც პელიონშია, ზოგიც კიდევ სანაპიროზე. ზოგი ხომალდი თვითონ სეპიესს მიენარცხა, ზოგი ქალაქ მელიბოდას, დანარჩენებიც კასთანადეში გამოირიყნენ. ისე რომ ქარიშხალმა მათ ცუდი საქმე დამართა.

189. ასეთ ამბავსაც გადმოგვცემენ, რომ ათენელებმა ღვთის განგების მითითებით საშველად უხმეს ბორეასს, რადგან მათ ერთი მისნობის მიხედვით დამხმარედ სიძისათვის უნდა დაეძახნათ. ხოლო ელინთა თქმულების მიხედვით ბორეასს ცოლად ჰყავდა ატიკელი ქალი, როეფთია, ერეხთევსის ასული. როგორც ამბავი გადგმოგვცემს, ამ მოყვრობის გამო იყო, რომ ევბეის ქალკიდეში ხომალდები დადარაჯებულმა ათენელებმა როდესაც შეიტყვეს ქარიშხალი ძლიერდებოდა (თუ

ამაზე უფრო უწინაც), გადაწყვიტეს, ბორეასი ჩვენი სიძეაო, მსხვერპლი შესწირეს და მოუწოდეს ბორეასს და ორედთიას დახმარებოდნენ მათ და ბარბაროსთა ხომალდები გაენადგურებინათ, როგორც გაანადგურეს უწინ ათონთან მაგრამ ბორეასი ამიტომ დაატყდა თავს ღუზაზე მდგარ ბარბაროსებს, თუ სხვა მიზეზის გამო, არ შემძლია ვთქვა. ათენელები კი ამბობენ, რომ ბორეასი შეეწია მათ უწინაც და ამ შემთხვევაშიც აღმოუჩინა შემწეობა, ამიტომ, როდესაც დაბრუნდნენ, ბორეასს სამლოცველო აუგეს მდინარე ილისოსთან.

190. ისინი, ვინც ყველაზე ნაკლებს ამბობენ, ამტკიცებენ რომ ამ უბედურების დროს დაიღუპა სულ მცირე 400 ხომალდი, ურიცხვი მეზღვაური და დიდძალი ქონება. ისე რომ ეს გემთდაღუპვა დიდად სასიკეთო აღმოჩნდა ამეინოკლეს კრეტინესის მისათვის, მაგნესიელი კაცისათვის, რომელიც მიწისმფლობელი იყო სეპიესის მიდამოებში. მან შემდეგ ხანებში ნაპირზე გამორიყული ბევრი ოქროს სასმისი მოკრიბა, ბევრი - ვერცხლისა, იპოვა სპარსელთა საგანძურები და ენით აუწერელი ქონება შეიმატა. ამ ნაპოვნის წყალობით ის ძალიან მდიდარი გახდა. თუმცა სხვაფრივ ბედნიერი არ ყოფილა, რადგან მასაც შეხვდა ერთი დიდი უბედურება, გამოწვეული შვილის სიკვდილით.

191. უანგარიშოა რიცხვი სურსათით დატვირთული საბარგო ხომალდებისა და სხვა ნაგებებისა, რომლებიც დაიღუპნენ. ისე რომ, ამ საზღვაო ლაშქრის მხედართმთავრები შემინდნენ, ვაი თუ დაზარალებულებს თესალიელები დაგვესხნან თავსო და გარსშემოვიღეს მაღალი ზღუდე ხომალდთა ნამსხვრევებისაგან. ქარიშხალი სამ დღეს გრძელდებოდა. ბოლოს მოგვებმა ქარის მიმართ განკუთვნილი სისხლიანი მსხვერპლშეწირვითა და ჯადოსნური შელოცვებით, ამას გარდა თეტისისა და ნერეიდების მიმართ მსხვერპლშეწირვით, მეოთხე დღეს შეწყვიტეს ქარიშხალი. ან შესაძლოა ის თვითონაც ჩადგა. თეტისს მსხვერპლს სწირავდნენ იმიტომ, რომ იონიელთაგან გაეგონათ, პელევსმა თეტისი ამ ადგილიდან მოიტაცაო და მთელი კონცხი, სეპიესი მისი და სხვა ნერეიდებისა იყო.

192. ამგვარად ქარიშხალი მეოთხე დღეს ჩადგა, ხოლო ქარიშხლის ამოვარდნიდან მეორე დღეს, დღის დარაჯები ევბეის მაღლობებიდან ელინებთან გაიქცნენ და ყოველივე შეატყობინეს, რაც მოხდა ხომალდთადაღუპვასთან დაკავშირებით, მათ რომ ეს შეიტყვეს, მხსნელი პოსედონის მიმართ ილოცეს, მის პატივსაცემად სამსხვერპლოზე ზედაშე დასთხიეს და რაც შეიძლება სასწრაფოდ დაბრუნდნენ არტემისიონში, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მოწინააღმდეგედ ახლა სულ ცოტა ხომალდები ეყოლებოდათ.

193. ამგვარად, ისინი მეორედ მოვიდნენ არტემისიონში და ჩასაფრდნენ ხომალდებით. აქედანაა, რომ პოსედონს მხსნელი ეწოდება დღემდე. ხოლო ბარბაროსებმა, როგორც კი ჩადგა ქარი და დაწყნარდა ღელვა, ისევ ჩაათრიეს ზღვაში თავისი ხომალდები და გაცურეს ხმელეთის გასწვრივ. მაგნესიის კონცხს რომ შემოუარეს, პირდაპირ გაცურეს იმ უბისაკენ, რომელიც პაგასეს ეკვრის. მაგნესიის ამ უბეში არის ადგილი, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ იესონმა და მისმა არგოზე მყოფმა ამხანაგებმა აქ დატოვეს წყლისათვის გაგზავნილი ჰერაკლე, როდესაც ესენი მიცურავდნენ ამაში, კოლხიდაში, საწმისისათვის. აქ აპირებდნენ წყალი

მოემარაგებინათ და ზღვაში გასულიყვნენ. ამის გამო, რომ ამ ადგილს დაერქვა აფეტე1. ამ ადგილას გააჩერა ქსერქსესმა თავისი ფლოტი.

194. მოხდა ისე, რომ მათი თხუთმეტი ხომალდი დანარჩენებს დიდი მანძილით ჩამორჩა უკან და სწორედ მათ შენიშნეს არტემისიონთან ელინთა ხომალდები. ბარბაროსებმა იფიქრეს, რომ ეს ხომალდებიც მათია და გაცურეს მათკენ, მტრებს კი წააწყდნენ. ბარბაროსთა ხომალდებს უფროსობდა აჟოლიდის კიმეს მეურვე, სანდოკეს თამასიოსის ძე, სწორედ ის, რომელიც ადრე მეფე დარიოსმა რაღაც დანაშაულისათვის ჯვარზე გააკვრევინა, მაშინ, როდესაც ის სამეფო მომართლეთაგანი იყო (სანდოკესმა ფულის გამო საქმე უსამართლოდ განსაჯა). უკვე ჩამოკიდებული იყო სანდოკესი, რომ დარიოსმა იფიქრა, სანდოკესს სამეფო სასახლის მიმართ შეცოდებაზე ბევრად მეტი სიკეთე აქვს გაკეთებულიო. ამას რომ მიხვდა დარიოსი, იფიქრა, ჩემი ქცევა უფრო ნაჩქარევია, ვიდრე გონივრულიო და გაათავისუფლა სანდოკესი. ეგრე გადაურჩა ის მეფე დარიოსს, არ დაიღუპა და ცოცხალი დარჩა; ახლა კი, როდესაც ელინებთან მიცურდა, ბარემ უნდოდა, მაგრამ მეორედ ველარ გადარჩა. რადგან ელინებმა დაინახეს ისინი, მათკენ რომ მიცურავდნენ, მიხვდნენ მტრის შეცდომას, თვითონაც გამოეშურნენ მათკენ და სულ იოლად დაიჭირეს ისინი.

195. ერთ-ერთ ამ ხომალდზე იმყოფებოდა და დაიჭირეს არიდოლისი, ამ ალაბანდების ტირანი, რომლებიც კარიასში არიან, მეორეზე იყო პაფოსელი მხედართმთავარი პენთილოს დემონოოსის ძე, რომელიც თორმეტ ხომალდს მიუძღოდა პაფოსიდან და მათგან თერთმეტი დაკარგა სეპიესთან ატეხილი ქარიშხლის დროს, მხოლოდ ერთიღა დარჩა, იმით მიცურავდა და დაიჭირეს კიდევაც არტემისიონთან. ელინებმა გამოჰკითხეს მათ, რისი შეტყობაც უნდოდათ ქსერქსესის ლაშქრის შესახებ და შებოროკილი გაგზავნეს კორინთოს ყელზე.

196. ამგვარად ბარბაროსთა საზღვაო ჯარმა, გარდა იმ 15 ხომალდისა, რომელთა შესახებაც ვთქვი, რომ სანდოკესი იყო მათი მეთაური, მიაღწია აფეტეს. ხოლო ქსერქსესსა და ქვეით ჯარს უკვე გადაევლოთ თესალიასა და აქეაზე და ამაზე სამი დღით ადრე მოესწროთ შეჭრა მელიების მხარეში. თესალიაში ქსერქსესმა, გამოცდის მიზნით, შეჯიბრება მოაწყო და თავისი ცხენოსნებისა და თესალიელთა მხედრობისა, რომელთა შესახებაც შეიტყო, რომ ელინთა შორის ეს მხედრობაა საუკეთესო. მაგრამ ელინების ცხენები დიდად ჩამორჩებოდნენ სპარსელებისას. თესალიაში მდინარეთა შორის მარტო ონოქონოსი არ ეყო მის ლაშქარს დასალევად. ხოლო ქეის მდინარეთა შორის, თვით უდიდესიც კი, ეპიდანოსი, ძლივას იმყოფინეს.

197. აქეის ალოსში მოსული ქსერქსესათვის გზის მაჩვენებლებს უნდოდათ ყველაფერი მოეთხროთ და უამბეს ადგილობრივი თქმულება, რაც ეხება ლაფისტის ზევსის სალოცავს, რომ ათამანტი, აჟოლოსის ძე იონსთან ერთად სიკვდილს უმზადებდა ფრიქსოსს. ხოლო შემდეგში აქეელებმა მისნობის თანახმად მიუსაჯეს მის ჩამომავლებს ასეთი სასჯელი: ამ გვარიდან უხუცესს დარაჯებს უყენებდნენ, რომ არ შეეშვათ ის ლეიტონში (ხოლო აქეელები პრიტანონს ძტონს უწოდებენ). ხოლო თუ შევიდოდა, არ შეიძლებოდა იმაზე ადრე გამოსულიყო უკან, ვიდრე მას მსხვერპლად შეწირვას არ დაუპირებდნენ. ამასთანავე, ბევრი მათგანი, რომელთაც უპირებდნენ მსხვერპლად შეწირვას, შეშინებულა და გაქცეულა სხვა ქვეყანაში.

მაგრამ თუ გარკვეული დროის შემდეგ უკან დაბრუნდებოდნენ და მათ მიასწრებდნენ პრიტანდონში შესვლისას, უეჭველად მსხვერპლად შესწირავდნენ, მანამდე კი გვირგვინებით მორთულს გამოიყვანდნენ და ზეიმით დაატარებდნენ. ასე ექცევიან ფრიქსოსის შვილის, კიტისოროსის ჩამომავლებს. ეს იმიტომ, რომ როდესაც მისნობის თანახმად აქელები ქვეყნის განწმენდის მიზნით ათამანტს, აფლოსის ძეს მსხვერპლად შეწირვას უპირებდნენ, მოვიდა ეს კიტისოროსი აფა - კოლხიდიდან და გაათავისუფლა იგი. გაათავისუფლა და ამით თავის საკუთარ შთამომავლობას ღვთის რისხვა დაატეხა თვის. ქსერქსესმა ეს მოისმინა, როდესაც ჭალასთან იმყოფებოდა, მაგრამ თვითონაც გაერიდა მას და მთელ თავის ჯარს აუკრძალა იქ შესვლა, რის შემდეგ თანაბრად სცა პატივი ათამანტის ჩამომავლების სახლსაც და სალოცავსაც.

198. ეს იყო თესალიასა და აქეაში. ამ ადგილებიდან ქსერქსესი წავიდა მელისში ზღვის უბესთნა, სადაც ყოველდღიურად იყო ზღვის მიქცევა და მოქცევა. ამ უბის ირგვლივ დაბლობი ადგილი, ზოგან ფართო და ზოგან კი ძალიან ვიწრო. ამ ადგილის ირგვლივ მაღალი მიუვალი მთებია., როპმლებიც გარსერტყმის მელისის მთელ მიწას და რომელთაც ტრექინის კლდეები ეწოდებათ. აქედან წამოსულთათვის პირველი ქალაქი ამ უბეში არის ანტიკირე, რომელთანაც ზღვას ერთვის მდინარე სპერქედოსი, ენიენტა ქვეყნიდან რომ მოედინება. ამ მდინარიდან დაახლოებით 20 სტადიონის მანძილზე არის სხვა მდინარე, რომელსაც სახელად ჰქვია დირასი და გადმოცემის თანახმად ჰერაკლე რომ იწვოდა, ის მაშინ გამოჩნდა მის მშველელად¹. ამ მდინარიდან კიდევ 20-ოდე სტადიონის დაშორებით არის მდინარე, რომელსაც ეწოდება მელასი².

199. ქალაქი ტრექისი ამ მდინარე მელასიდან 5 სტადიონით არის დაშორებული. აქაა მთელი ამ მხარის ყველაზე უფრო ფართო ადგილი მთებსა და ზღვას შორის და ამ მთების მახლობლად აგებულია ქალაქი ტრექისი. დაბლობი სიგანით 22 000 პლეთრონია. იმ მთაში, რომელიც გარს არტყია ტრექინელთა ქვეყანას ქალაქ ტრექისის სამხრეთით, არის ხეობა, ხოლო ამ ხეობაში, მთის ძირას მიედინება მდინარე ასოპოსი.

200. ხოლო ასოპოსის სამხრეთით არის სხვა, არც თუ დიდი მდინარე ფოდნიქსი, რომელიც ამ მთებიდან მოედინება და ერთვის ასოპოსს. მდინარე ფოდნიქსი,დან თერმოპილემდე 15 სტადიონია. მდინარე ფოდნიქსსა და თერმოპილეს შორის არის ერთი სოფელი, რომელსაც სახელად ჰქვია ანთელე, მას ჩამოუდის ასოპოსი და ერთვის ზღვას. ამ სოფელთან არის ფართო ადგილი, სადაც დგას დემეტრე ამფიქტიონის ტაძარი. აქვეა ამფიქტიონთან დასაჯდომები და თვითონ ამფიქტიონის ტაძარი.

201. ქსერქსეს მეფემ დაიბანაკა ტრექინიეში, მელისის ქვეყანაში, ხოლო ელინებმა - ზედ გასავალში. ამ ადგილს ელინთა მეტი ნაწილი თერმოპილეს უწოდებს, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები და მეზობლად მოსახლენი კი პილეს. ამგვარად, ორივე მოწინააღმდეგემ ამ ადგილებში დაიბანაკა: ქსერქსესს ეჭირა მთელი მხრე ჩრდილოეთის მიმართულებით ვიდრე ტრექინიემდე, ელინებს ის ადგილები, რომლებიც თერმოპილედან სამხრეთისაკენ არის მათ საკუთარ ხმელეთზე.

202. ხოლო ამ ადგილას შემდეგ ელინები უცდიდნენ სპარსელს: 300 ჰოპლიტი-სპარტელთაგან; ტეგელთაგან და მანტინელთაგან - 1000 (თითოეულიდან ამის ნახევარი); არკადიის ოქრომენოსიდან - 120, ხოლო დანარჩენი არკადიიდან 1 000. აი, ამდენი იყო არკადიელი. კორინთოდან იყო 400 კაცი, ფლიუსიდან - 200, მიკენედან - 80. ამდენნი მოვიდნენ პელოპონესიდან, ხოლო ბეოტიელთაგან - 700 თესპიელი და 400 თებელი.

203. ამას გარდა მეშველებად დაუმახეს ოპუნტელ ლოკრებს მთელი თავისი ლაშქრით და 1 000 ფოკელს. ელინებმა დაუმახეს მათ, მოციქულების პირით შეუთვალეს, რომ თვითონ წინამორბედებად არიან მოსული, ხოლო დანარჩენ მოკავშირეებს ყოველდღე ელოდებიან; რომ ზღვა მათი მხრიდან არაა საშიში, რადგან მას იცავენ ათენელები, აიგინელები და ისინი, ვისაც ევალდებოდა ფლოტის გამოყვანა, და რომ მათ არაფრის არ უნდა ეშინოდეთ, რადგან ღმერთი კი არ არის ის, ვინც ელადის წინააღმდეგ მოდის, არამედ ადამიანია; ხოლო არავინ არის იმთავითვე ისეთი მოკვდავი და არც იქნება, რომელსაც რაიმე ცუდი არ შემთხვეოდეს და ამთ შორის უდიდესებს - უდიდესი უბედურება ეწვათ ხოლმე. ამიტომაც, რომ სპარსელი თავდამსხმელი, რადგან მოკვდავია, უნდა დამარცხდეს თავისი მოლოდინის საწინააღმდეგოდ. ლოკრიელებმა და ფოკელებმა რომ ეს მოისმინეს, წავიდნენ ელინთა დასახმარებლად ტრექისში.

204. ელინებს თავთავისი მხედართმთავრები ჰყავდათ ცალკეული ქალაქების მიხედვით, ხოლო განსაკუთრებულ პატივში იყო და მთელ ლაშქარს წინამძღოლობდა ლაკედემონელი ლეონიდეს ანაქსანდრიდესის ძე, ლეონის ძისა, ხოლო ლეონი ევრიკრატიდესის ძე იყო, ევრიკრატიდესი - ანაქსანდროსისა, ანაქსანდროსი - ევრიკრატესის, ევრიკრატესი - პოლიდოროსის, პოლიდოროსი - ალკამენესის, ალკამენესი - ტელეკლოსის, ტელეკლოსი - არქელეოსის, არქელეოსი - ჰეგესილეოსის, ჰეგესილეოსი - დორისოსის, დორისოსი - ლეობოტესის, ლეობოტესი - ექეკრატოსის, ექეკრატოსი - ეგისის, ეგისი - ევრისტენესის, ევრისტენესი - არისტოდემოსის, არისტოდემოსი - არისტომაქოსის, არისტომაქოსი - კლეოდაიოსის, კლეოდაიოსი - ჰილოსის, ჰილოსი - ჰერაკლესი. აი, ამ ლეონიდესმა მოულოდნელად მოიპოვა სპარტეში მეფობა.

205. მართლაც და, რაკილა მას ორი უფროსი ძმა ჰყავდა, კლეომენესი და დორიევსი, ის ვერც კი იფიქრებდა გამეფებაზე. მაგრამ კლეომენესი ისე მოკვდა, რომ ვაჟიშვილი არ დარჩენია, დორიევსიც ამ დროისატვის უკვე აღარ იყო ცოცხალი (ის სიკვლიეში გარდაიცვალა), ისე რომ მეფობა გადავიდა ლეონიდესზე. ეს იმიტომ მოხდა, რომ უფროსი იყო კლეომბროტოსზე (ეს ყველაზე უმცროსი შვილი იყო ანაქსანდრიდესისა) და კიდევ იმიტომ, რომ მას ცოლად ჰყავდა კლეომენესის ასული. ლეონიდესი წავიდა თერმოპილში და გამოარჩია 300 შუახნისა კაცი, რომელთაც შვილები ჰყავდათ. მან თებელთაგან იმდენი წამოიყვანა, რამდენიც ზემოთ, დათვლის დროს მოვიხსენიე. ამათ მხედართმთავრობდა ლეონტიადეს ევრიმაქოსის ძე, ლეონიდესი ყველა ელინთ შორის განსაკუთრებით თებელების წაყვანას ცდილობდა; ეს იმიტომ, რომ სხვებზე მეტად ამათ ბრალდებოდათ მიდიელთა მომხრეობა. ლეონიდესმა მოუწოდა მათ ომში წასასვლელად, რადგან სურდა შეეტყო წავლენ მათთან ერთად საომრად, თუ პირდაპირ იტყვიან უარს ელინთა მოკავშირეობაზე. თებელები თუმცა სხვაგვარად ფიქრობდნენ, მაგრამ მაინც. გაგზავნეს მეშველი ჯარი.

206. სპარტელებმა პირველები ესენი გაგზავნეს ლეონიდესთან ერთად, ეს იმისათვის, რომ დაენახათ სხვა მოკავშირეებს და თვითონაც ელაშქრათ. რადგან ისინი თუ შეიტყობდნენ ამათ ყოყმანს, თვითონაც არ გადასულიყვნენ მიდიელთა მხარეზე. რადგან კარნეა¹ მომდგარი იყო, ამიტომ სპარტელებს უნდოდათ, ჯერ ის ედღესასწაულათ, შემდეგ სპარტეში მხოლოდ დარაჯები დაეტოვებინათ და ყველანი სასწრაფოდ წასულიყვნენ მშველელებად. ასევე ფიქრობდნენ დანარჩენი მოკავშირეებიც, ისინიც ამას აპირებდნენ, რადგან ამავე დროს, ამ საქმიანობას დაემთხვა ოლიმპიური დღესასწაულებიც. ამით არ ეგონათ, რომ თერმოპილეში ომი ასე მალე გადაწყდებოდა, ამიტომ იყო რომ გაგზავნეს მხოლოდ წინამორბედები.

207. ამას აპირებდნენ მოკავშირეები. ხოლო თერმოპილეში მყოფ ელინებს შეეშინდათ, რადგან სპარსელი შემოსასვლელთან ახლოს იყო და თათბირი დაიწყეს უკან დახევის შესახებ. სხვა პელოპონესელები ფიქრობდნენ, რომ საწულიყვნენ პელოპონესში და დაეცვათ ისთმოსი. მაგრამ რადგან ფოკელები და ლოკრები ამ აზრის წინააღმდეგ წავიდნენ, ლეონიდესმა გადაწყვიტა ადგილზევე დარჩენა და მოციქულების დაგზავნა ქალაქებში, რომელთაც მოსთხოვდა დახმარებას, რადგან მას მეტისმეტად მცირე ლაშქარი ჰყავდა მიდიელებთან გასამკლავებლად.

208. ისინი რომ ამ თათბირში იყვნენ, ქსერქსესმა გაგზავნა ერთი მხედარი მსტოვრად, რათა დაეთვალიერებინა, თუ რამდენი არიან ელინები და რას აკეთებენ. ქსერქსესმა ჯერ კიდევ თესალიაში ყოფნისას მოისმინა, რომ აქ მცირერიცხოვანი ლაშქარი იყო მოგროვილი და მას წინამძღოლებად ჰყავდნენ ლაკედემონელები და ლეონიდესი, წარმოშობით ჰერაკლიდი. მხედარი მივიდა ბანაკთან, დაათვალიერა იქაურობა, მაგრამ მთელი ბანაკი ვერ დაზვერა, რადგან არ შეეძლო დაენახა ის მეომრები, რომლებიც ზღუდის შიგნით იყვნენ დაწყობილი და რომელთაც ეს ზღუდე აღმართეს და იცავდნენ. მხედარმა მხოლოდ ის შენიშნა, რომლებიც ზღუდის წინ იყვნენ დაბანაკებული. მოხდა ისე, რომ ამ დროს ლაკედემონელები გარეთ იყვნენ დაწყობილი. მხედრებმა დაინახეს, რომ ამ ვაჟკაცთაგან ზოგი ვარჯიშობდა, ზოგი კი თმას ივარცხნიდა. ის გაკვირვებული უყურებდა ამას და თან რაოდენობას არკვევდა. როდესაც ყველაფერი ზუსტად გამოირკვია მშვიდობიანად წავიდა უკან, რადგან არც ვინმე გასდევნებია და არც რაიმე ყურადღება მიუცევიათ მისთვის. მივიდა და მოახსენა ქსერქსეს ყოველივე, რაც ნახა.

209. ქსერქსემ რომ ეს მოისმინა, ვერ ახსნა ნამდვილი რა იყო, თვითონ ემზადებოდნენ ელინები სასიკვდილოთ, თუ სხვებს უპირებდნენ ამოხოცვას თავისი შესამლებლობის შესაბამისად. მას სასაცილოდ ეჩვენა მათი ქცევა და დაამახებინა დემარეტოს არისტონის ძეს, რომელის ამის ბანაკში იმყოფებოდა. როცა დემარეტოსი მოვიდა, ქსერქსესმა ჰკითხა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, რადგან უნდოდა გაეგო, თუ რას აკეთებდნენ ლაკედემონელები. ხოლო დემარეტოსმა უთხრა: "ვიდრე ელადაზე წამოვიდოდით, მანამდე მოისმინე ჩემგან ამ ადამიანების შეასხებ. მოისმინე და მასხრად ამიგდე, როდესაც გითხარი, თუ როგორ მესახება მე ამ საქმის გამოსავალი. ჩემთვის, შენს წინაშე, მეფეო, სიმართლის თქმა ძალიან ძნელია. მომისმინე ახლაც. ეს ადამიანები მოვიდნენ იმისათვის, რომ გვებრძოლონ და ჩვენ ამ შესასვლელისათვის და ახლა საამისოდ ემზადებიან. მათ ასეთი ჩვეულება აქვთ: როდესაც მათ სიცოცხლეს რაიმე საფრთხე ემუქრება, მაშინ ისინი თავებს იმკობენ. ისე რომ იცოდე:

თუ დაიმორჩილებ ამათ და იმათაც, ვინც სპარტეში დარჩნენ, მაშინ ადამიანთა შორის აღარ იქნება სხვა ტომი, რომელიც გაბედავს შენს წინააღმდეგ ხელის აღმართვას. ახლა კი ელინთა საუკეთესო სახელმწიფოსა და უმამაცეს ვაჟკაცებს ებრძვი". ძალიან დაუჯერებლად ეჩვენა ქსერქსეს ეს ნათქვამი და მეორედ შეეკითხა, თუ რაინაირად შეებრძოლებიან ესენი მის ლაშქარს, მაშინ როდესაც ისინი ასე ცოტანი არიან. დემარეტოსმა კი უთხრა: "მეფეო, მომეჩეცი, როგორც მატყუარას, თუ ისე არ მოხდეს, როგორც მე ვამბობ". ესა სთქვა, მაგრამ მაინც ვერ დაარწმუნა ქსერქსესი.

210. ოთხმა დღემ ისე გაიარა, რომ ქსერქსესს სულ იმედი ჰქონდა, ელინები გაიქცეოდნენ. ხოლო მეხუთე დღეს, რაკილა ელინები არ წავიდნენ და დარჩნენ, როგორც მას ეჩვენა, თავისი უტიფრობის და მოუფიქრებლობის გამო, მან, განრისხებულმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ მიდიელები და კისიელები და უბრძანა მათ, ცოცხლივ შეეპყროთ და მისთვის მიეგვარათ ელინები, როგორც კი მიმიდიელები თავს დაესხნენ ელინებს, ბევრი მიდიელი დაიღუპა, მაგრამ მათ სხვები ემატებოდნენ და მაინც არ იხევდნენ უკან მიუხედავად იმისა, რომ დიდად ნადგურდებოდნენ. ყველასათვის ცხადი გახდეს და სხვებზე არანაკლებად თვით მეფისათვის, რომ ხალხი ბევრი იყო, მაგრამ ვაჟკაცები მათ შორის ძალიან ნაკლებად. ეს ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა.

211. მიდიელებს რომ ასე მტკიცედ დაუხვდნენ, მათ უკან დაიხიეს და მათ მაგიერ ბრძოლაში ჩაებნენ მეფის მიერ უკვდავებად წოდებული სპარსელები, რომელთაც მხედართმთავრობდა ჰიდარნესი, თითქოს ამათ იოლად უნდა მოეღოთ მტრისათვის ბოლო. მაგრამ ესენი რომ ებრძოდნენ ელინებს, მიდიურ ლაშქარზე უფრო მეტისათვის არც მათ მიუღწევიათ, არამედ შედეგი იგივე იყო, რადგან ვიწრო ადგილას იბრძოდნენ, უფრო მოკლე შუბებს ხმარობდნენ, ვიდრე ელინები და არ შეეძლოთ თავისი სიმრავლე გამოეყენებინათ. ხოლო ლაკედემონელები ღირსეულად იბრძოდნენ და უჩვენეს მტერს, რომ საომარი ხერხის მცოდნენი ებრძვიან უცოდინრებს; მაგალითად, ზურგს უჩვენებდნენ ხოლმე ლაკედემონელები მოწინააღმდეგეს, თითქოს ყველანი გარბოდნენ, ხოლო ბარბაროსები რომ დაინახავდნენ გაქცეულებს, ყიჟინით დაედევნებოდნენ. ლაკედემონელები კი, მტერი რომ დაეწეოდა, შემობრუნდებოდნენ და ბარბაროსების პირდაპირ აღმოჩნდებოდნენ, შემობრუნდებოდნენ და სპარსელთა ურიცხვ რაოდენობას ანადგურებდნენ. თვით სპარტელთაგან ამ ბრძოლაში მცირენი დაიხოდნენ, ხოლო როდესაც სპარსელები შეეცადნენ შესავლის აღებას, ცაკეული რაზმებითა თუ ერთობლივი თავდასხმებით, არაფერი გამოუვიდათ და უკან წავიდნენ.

212. ამბობენ, რომ ამ ბრძოლას მეფე უყურებდა და სამჯერ წამოვარდა ტახტიდან, თავისი ლაშქრის ბედით შემფოთებული. იმ დღეს ასე იბრძოდნენ, ხოლო მეორე დღეს ბარბაროსებს არაფერი უკეთესი ხვდომიათ წილად. რაკილა ელინები ცოტანი იყვნენ, ბარბაროსებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი, დაჭრილები, ვეღარ შეძლებდნენ მათ წინააღმდეგ ხელის აღმართვას და იბრძოდნენ, მაგრამ ელინები მწყობრების და ტომების მიხედვით იყვნენ დარაზმული და თითოეული იბრძოდა მაშინ, როცა მისი რიგი მოვიდოდა, გარდა ფოკეელებისა, რომლებიც მთაზე იდგნენ და ბილიკს იცავდნენ. როდესაც სპარსელები მიხვდნენ იმას, რომ წინა დღეზე მეტს ვერაფერს მიაღწიეს, უკან გაბრუნდნენ.

213. მეფემ აღარ იცოდა, როგორ მოევლო ამ საქმისათვის; ამ დროს მივიდა მასთან ეპიალტეს ევრიდემოსის ძე, მალიელი, იმის იმედით, რომ მეფისაგან დიდს რასმე მიიღებდა და აცნობა მას იმ ბილიკის არსებობა, რომელიც მთაზე გავლით თერმოპილემში შედიოდა. ა მით დაღუპა მან იქ დარჩენილი ელინები. შემდეგ შეეშინდა ლაკედემონელებისა და გაიქცა თესალიაში, ხოლო გაქცეულის შემპყრობს გასამრჯელო აღუთქვეს პილაგორებმა, ე.ი. პილემში შეგროვილმა ამფიქტიონებმა. ხოლო ხანი რომ გავიდა, იგი დაბრუნდა ანტიკირემში და იქ მოკვდა ათენადესის, ტერექინელი კაცის ხელით. ამ ათენადესმა ეპიალტესი სხვა მიზეზის გამო მოკლა, რაზედაც შემდეგ ნაწილში მოგითხრობთ, მაგრამ ლაკედემონელებმა ამის გამო ის ნაკლებად არ დაასაჩუქრეს. ამგვარად, ეპიალტესი ამ ამბების შემდეგ მოკვდა.

214. კიდევ მეორე ამბავსაც ჰყვებიან, თითქოს ონეტეს ფანაგორესის ძემ, კარისტელმა და კორიდალოს ანტიკირელმა უთხრეს მეფეს ეს და შემოატარეს სპარსელები იმ მთას, მაგრამ ეს მე სულ არ მჯერა. რადგან კარგად უნდა ჩაუკვირდეს კაცი ამ ამბავს: ჯერ ეს ერთი ელინთა პილაგორებმა გასამრჯელო აღუთქვეს არა ონეტესისა ან კორიდალოსის შემპყრობთ, არამედ ეპიალტეს ტრექინელისას და იმათ ხომ სავსებით ზუსტად ეცოდინებოდათ ეს საქმე. ამას გარდა ვიცი, რომ ეპილატესი ამ მიზეზის გამო გაიქცა. შეეძლო ონეტესსაც სცოდნოდა ეს ბილიკი (თუმცა მალიელი არ იყო) ამ ქვეყანაში რომ დიდხანს დაეყო, მაგრამ მაინც ეპილატესი იყო, რომელმაც შემოატარა სპარსელები მთას ამ ბილიკით და ამიტომ იმაზე ვწერ, რომ დამნაშავე ისაა.

215. ხოლო ქსერქსესს ძალიან გაეხარდა, როდესაც მოისმინა ის, რასაც ეპილატესი დაჰპირდა და მაშინვე გაგზავნა ჰიდარნესი და ისინი, ვისაც ჰიდარნესი მხედართმთავრობდა. ესენი ბანაკიდან მაშინ გავიდნენ, როდესაც სანათურების ანთების დრო დადგა. ეს ბილიკი აღმოაჩინეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ხოლო როდესაც აღმოაჩინეს თესალიელები წაიყვანეს ამ გზით ფოკელელების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ფოკელელებმა ზღუდით გადაკეტეს შესავალი თავის ქვეყანაში, რომ ამით დაეცვათ თავი ომისაგან. დიდი ხნის წინ იყო აღმოჩენილი ეს ბილიკი და მას არაფერი ურგია მალიელებისათვის.

216. ხოლო ეს ბილიკი ასეთია: ის იწყება მდინარე ასოპოსთან, რომელიც მიედინება ხეობაზე, ხოლო ამ მთასა და ბილიკს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ, ანოპაია. ეს ანოპაია მიემართება ქედის გასწვრივ ქვემოთ და მთავრდება ქალაქ ალპენოსთან, რაც ლოკრების პირველი ქალაქია მალიელებისაკენ. და აქვეა ეგრეთ წოდებული მელამპიგოსის ქვა და კეკროპთა სამყოფელი. ამ ადგილას ყველაზე უფრო ვიწროა ბილიკი.

217. ამგვარია ეს ბილიკი, რომელზედაც იარეს სპარსელებმა მთელი ღამის განმავლობაში მას მერე, როცა ასპოსი გადალახეს. მიდოდნენ ისინი, რომ მარჯვნივ ჰქონოდათ ოიტეის მთები, ხოლო მარცხნივ - ტრექინისა. გათენებისას უკვე მთის მწვერვალზე იყვნენ, როგორც ზემოთ ვთქვი, მთის ამ ადგილზე იდგა ფოკელთა 1000 ჰოპლიტი, რომ დაეცვათ თავისი საკუთარი ქვეყანა და გაემაგრებინათ ბილიკი. ხოლო შესავალს ქვემოთ იცავდნენ ისინი, ვინც მე უკვე მოვიხსენიე. ამ მთაზე მიმავალი ბილიკის დაცვა თავისი ნებით დაივალეს ფოკელელებმა ლეონიდესისაგან.

218. ხოლო ფოკელებმა ამგვარად შეიტყვეს სპარსელების ასვლა ამ მთაზე: სპარსელები მალულად ავიდნენ, რადგან მთელი მთა მუხებით იყო დაფარული. მაგრამ ძალიან წყნარი ამინდი იყო და დიდი ხმაური ისმოდა, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე, როდესაც ფეხქვეშ ყრია. ფოკელები წამოცვივდნენ და აისხეს იარაღი, მაგრამ მაშინვე წამოადგნენ თავზე ბარბაროსები. მათ რომ შეიარაღეწული ვაჟკაცები დაინახეს, გაუკვირდათ, რადგან იმედოვნებდნენ, რომ წინააღმდეგობა არ შეხვდებოდათ და ლაშქარს კი წააწყდნენ. მაშინ ჰიდარნესს შეეშინდა, რომ ესენი ფოკელები კი არა, ლაკედემონელები არიან და შეეკითხა ეპიალტესს, სადაური ლაშქარიაო. ხოლო როდესაც დანამდვილებით შეიტყო თუ ვინ იყვნენ, დააწყო სპარსელები საბრძოლველად, ისრების წვიმა დაატყდა თავს ფოკელებს და ისინი გაიქცნენ მთიწ მწვერვალისაკენ, რადგან დაიჯერეს, რომ სპარსელები თავიდანვე მათ წინააღმდეგ არიან გამოსული და მოემზადნენ სასიკვდილოდ. ესენი ასე ფიქრობდნენ, მაგრამ სპარსელები ეპიალტესსა და ჰიდარნესთან ერთად ფოკელებს ყურადღებას არ აქცევდნენ და მთიდან სასწრაფოდ დაბლა ჩადიოდნენ.

219. ხოლო რაც შეეხება თერმოპილეში მყოფ ელინებს, პირველად მისანმა მეგისტიესმა დაინახა მსხვერპლშეწირვისას და უთხრა მათ, რომ გათენებისთანავე მოელთ სიკვდილი, ხოლო ამას გარდა მოვიდნენ გამოცეულები, რომელთაც მოიტანეს ცნობა, სპარსელები მთას ირგვლივ უვლიანო, ჯერ კიდევ ღამე ანიშნეს მათ ეს ამბავი. ხოლო როგორც კი გათენდა, მესამე მაუწყებლები დღის დარაჯები იყვნენ, რომლებიც მწვერვალებიდან ჩამოცვივდნენ. მაშინ ელინებმა ითათბირეს და მათი აზრი გაიყო: ერთნი ამბობდნენ, რომ არ უნდა დატოვონ თვისი ადგილი, ხოლო მეორენი ამის საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ. ამის შემდეგ დაიშალნენ, ნაწილი გაბრუნდა და თავთავის ქალაქს მიაშურა. ხოლო ნაწილი მოემზადა, რომ ლეონდესთან ერთდ დარჩენილიყო ადგილზე.

220. ამბობენ, თითქოს თვითონ ლეონიდესმა გაგზავნია ისინი, რადგან ზრუნავდა, რომ არ დაღუპულიყვნენ. ხოლო თვითონ და იმ სპარტელებს, ვინც მასთან ერთად იყვნენ, არ შეშვენოდათ დაეტოვებინათ ადგილი, რომლის დასაცავადაც თავიდანვე იყვნენ მოსული. მე კი უფრო იმ აზრისა ვარ, რომ1 ლეონიდესმა შეატყო მოკავშირეებს უხალისოდ ყოფნა და ის, რომ სრულებით არ სურდათ მასთან ერთად საფრთხის გაზიარება, ამიტომ გამოუხცადა გაბრუნებულები იყვნენ, თვითონ კი წასვლა არასაკადრისად მიიჩნია. იქ დარჩენით ის დიდ სახელს მოიხვეჭდა, სპარტის კეთილდღეობას კი დიდი არაფერი დააკლდებოდა. როდესაც სპარტელებმა ამ ომის დაწყებისთანავე შედეგის შესატყობად მიმართეს პითიას, მან თქვა, რომ ან ლაკედემონს დაანგრევენ ბარბაროსები, ანდა მათი მეფე დაიღუპება, პითიამ მათ ეს ამბავი ჰეგზამეტრული ლექსით გამოუცხადა, რომელიც ასეთი იყო: "თქვენ, ვრცელი სპარტის მცხოვრებლებო, ან დიდ სახლოვან ქალაქს დაგიმხობენ პერსეიდი ვაჟკაცები, ანდა თუ ეს არ მოხდა, ჰერაკლეს მოდგმის დაღუპულ მეფეს დაიტირებენ ლაკედემონის საზღვრები. რადგანაც ვერც ხართა ღონე წინააღმდეგება მტერს და ვერც ლომთა, ვიონაიდან მას ზევსის ღონე აქვს. და მე ვამბობ, რომ იგი მანამ არ მოისვენებს, ვიდრე არ მიიღებს ამ ორთაგან ერთერთს მთლიანად". ეს აწონ-დაწონა ლეონიდესმა და მოინდომა სახელის მოხვეჭა მხოლოდ სპარტელთათვის, აიტომ იყო, რომ გაგზავნა მოკავშირეები უკან და იმიტომ კი არ წასულან ისინი ეგრე უწესრიგოდ, თითქოს აზრთა სხვადასხვაობა ყოფილიყო მათ შორის.

221. საამისოდ არც თუ პატარა მოწმობად მეჩვენება შემდეგი: ცნობილია, რომ ლეონიდესი გზავნიდან, რომ არ დაღუპულიყო ისიც, მასთან ერთად იმ მისანს, რომელიც თან ახლდა ლაშქარს (მეგისტის აქარნელს, რომელზედაც ამბობენ, მელამპოსის ჩამომავალი არისო), აი იმას, რომელმაც უთხრა მსხვერპლშეწირვის მიხედვით ის, რაც მათ თავს იყო მოსახდენი. ლეონიდესი გზავნიდა მას, მაგრამ მან არ დატოვა იქაურობა. მხოლოდ თავისი შვილი, რომელიც მათთან ერთად ლაშქრობდა, რაკილა ის ერთადერთი ჰყავდა, გაგზავნა უკან.

222. ამგვარად, მოკავშირეები დაემორჩილნენ ლეონიდესს, წავიდნენ და გაშორდნენ იქაურობას, მხოლოდ თესპელეები თავისდა უნებურად დარჩნენ, ისე რომ სულაც არ უნდოდათ (ლეონიდეს ხომ ისინი მძევლებად ჰყავდა), თესპიელებმა კი სწორედ თავისი ნებით გადადეს თავი; მათ თქვეს, რომ არ დატოვებენ ლეონიდესს და იმათ, ვინც მასთან ერთად არიან და არ წავლენ; დარჩნენ და მათთან ერთად დაიხცნენ კიდეც. მათ დემოფილოს დიადრომესის ძე მხედართმთავრობდა.

223. მზე რომ ამოვიდა, ქსერქსესმა სამსხვერპლო დათხევა შეასრულა და შემდეგ ერთხანს მოიცადა, სანამ ის დრო არ დადგა, როდესაც საბაზრომოდანი ყველაზე უფრო სავსეა ხოლმე. აი, მაშინ ბრძანა საბრძლოდ გამოსვლა; ასე ჰქონდა ეპიალტესისაგან ნაბრძანები, რადგან მთიდან ჩამოსვლა გაცილებით უფრო სწრაფად ხდება და ეს მანძილი გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე მანძილი მთის ირგვლივ ანდა მასზე ასასვლელი. ამგვარად, ბარბაროსები ქსერქსესთან ერთად თავს დაესხნენ ელინებს, ხოლო ლეონიდესთან მყოფმა ელინებმა, რომლებიც თითქოს სიკვდილს ეძებდნენ, ხეობის ბევრად უფრო ფართო ნაწილისაკენ გაიწიეს იმასთან შედარებით, თავდაპირველად რომ იდგნენ. აქ მათ ზღუდე იცავდა; თვითონ წინა დღეებში გამოვიდოდნენ ხოლმე ვიწრობებში და ისე იბრძოდნენ. ახლა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ვიწრობებს გარეთ შეხვდნენ და ბარბაროსთა დიდი სიმრავლე დაილუპა, რადგან რაზმეულთა წინამძღოლები უკან იდგნენ და მათრახით ცემდნენ ყოველ კაცს, გამუდმებით წინ ერეკებოდნენ. ბევრი მათგანი ზღვაში ჩაცვივდა და დაილუპა, ხოლო ბევრად უფრო მეტმა ერთმანეთი ცოცხლივ გაქელა, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას დაღუპულებს. ელინებმა იცოდნენ, რომ მათ სიკვდილი მოელოთ იმ სპარსელთა ხელით, რომლებმაც მათს შემოუარეს და რაც კი შეემლოთ, იმაზე მეტი ძალა გამოიჩინეს ბარბაროსების მიმართ, რომელთაც თავგამეტებით და გააფთრებით ებრძოდნენ.

224. მოხდა ისე, რომ მეტწილ ელინებს სულ მალე დაემტვრათ შუბები და სპარსელებს მახვილებით ხოცავდნენ. ამ ბრძოლაში დაეცა ლეონიდესი, რომელიც უმამაცესი ვაჟკაცი იყო, და მასთან ერთად სხვა სახელოვანი სპარტელები, რომელთა სახელებიც, როგორც ღირსეული ადამიანებისა, შევიტყვე, და შევიტყვე აგრეთვე სახელები ყველა სამასი კაცისა. მაგრამ აქ სხვებთან ერთად ბევრი სახელოვანი სპარსელიც მოკვდა და მათ შორის დაილუპა დარიოსის ორი შვილი, აბროკომესი და ჰიპერანთესი, რომლებიც დარიოსს გაუჩინა არტანესის ასულმა, ფრატაგუნესმა, ხოლო არტანესი მეფე დარიოსის ძმა იყო, შვილი ჰისტასპეს არსამესის ძისა. მან მისცა ქალი დარიოსს და ამასთანავე მთელი თავისი ქონებაც, რადგან მხოლოდ ეს ერთი შვილი ჰყავდა.

225. ასევე დაილუპა იქ ბრძოლის დროს ქსერქსესის ორი ძმა. ხოლო ლეონიდესის გვამისათვის სპარსელთა და ლაკედემონელთა შორის დიდი შეჯახება მოხდა, ვიდრე

ელინებმა არ ივაჟკაცეს, არ გამოათრიეს გვამი და ოთხგზის არ გააქციეს მოწინააღმდეგე. ეს გრძელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე ბარბაროსები არ მოვიდნენ ეპიალტესთან ერთად. როგორც კი ამათი მოსვლა შეიტყვეს ელინებმა მას მერე შეიცვალა ბრძოლა: ელინებმა უკან, ისევ გზის ვიწროებებში გადაინაცვლეს, ჩაუარეს ზღუდეს, წავიდნენ და ყველანი ერთად დასხდნენ გორაკზე, გარდა თებელეზისა.

ხოლო ეს გორაკი იყო შესავალში, სადაც ახლა ქვის ლომია აღმართული ლეონიდესის მოსაგონრად. ამ ადგილას ისინი თავს იცავდნენ დანებიტ, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა, ხელებითა და კბილებით, ვიდრე ბარბაროსებმა, ყოველის მხრიდან ისრებს არ უშენდნენ, არ დაძლიეს ისინი. რომლებიც მთას გარსშემოუარეს, ისინი მათ ყოველის მხრიდან შემოეხვივნენ.

226. ლაკედემონელთა და თესპიელთა შორის, რომლებიც ამგვარად იქცეოდნენ, ამბობენ, უმამაცესი აღმოჩნდა სპარტელი დიენეკესიო. ამბობენ, რომ იმაზე უწინ, ვიდრე ესენი მიდიელებს შეეჯახებოდნენ, მან თქვა სიტყვა, როდესაც შეიტყო ტრექინელთაგან ვილაცის ნათქვამი, თითქოს ბარბაროსები რომ მშვილდ-ისრებს მოიმარჯვებენ, ისრების სიმრავლით მზეს დაფარავენო. დიენეკესი არ შეუშინდა ამ ნათქვამს, მიდიელთა სიმრავლეც არაფრად ჩააგდო და თქვა, რომ ტრექინელმა სტუმარმა კარგი რამ გვაუწყა, რადგან თუ მიდიელები მზეს დაფარავენ, ჩრდილში მოგვიხდება მათთან ბრძოლა და არა მზეშიო. ამბობენ, რომ ეს და სხვა ამის მსგავსი სიტყვები დაუტოვა დიენეკესმა ლაკედემონელებს მოსაგონარად.

227. ამბობენ, რომ დიენეკესის შემდეგ ვაჟკაცობით თავი გამოიჩინეს ლაკედემონელებმა, ორმა ძმამ, ალფეოსმა და მარონმა, ორსიფანტისის შვილებმა. ხოლო თესპიელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა კაცი, რომელსაც სახელად ერქვა დითირამბოსი, ჰარმატიდესის ძე.

128. ისინი იქვე დამარხეს, სადაც დაეცნენ და ასევე ისინიც, ვინც იმაზე უწინ დაიხოცნენ, ვიდრე ლეონიდესი მოკავშირეთა ნაწილს უკან გაგზავნიდა. ამათ გაუკეთეს წარწერა, რომელშიაც შემდეგია ნათქვამი: „აქ ოდესღაც 3 000 000 კაცს ებრძოდა პელოპონესიდან მოსული 4 000“. ეს წარწერა საერთო იყო, ხოლო სპარტელებს კიდევ საკუთრივ ეწერათ: „მგზავრო, შეატყობინე ლაკედემონელებს, რომ აქ განვისვენებთ მორჩილნი მათი მითითებებისა“. ეს ეწერათ ლაკედემონელებს, ხოლო მისანს კი ეწერა შემდეგი: „ესაა საფლავი სახელოვანი მეგისტისის, რომელიც ოდესღაც მოჰკლეს მიდიელებმა მდინარე სპერქეოსი რომ გადაიარეს; მისნისა, რომელმაც დაბეჯითებით იცოდა, როდის ეწვეოდნენ კერები, მაგრამ მაინც ვერ გაბედა სპარტის წინამძღოლთა დატოვება“. ამფიქტიონები იყვნენ, რომ ამ მიცვალებულებს პატივი სცეს, ამ წერწერებით და სტელებით, გარდა მისნის წარწერისა. ხოლო მისან მეგისტისს წარწერა გაუკეთა სიმონიდესმა, ლეოპრეპესის ძემ, მათი მეგობრობის გამო.

229. ამბობენ, რომ ორნი იმ სამასიდან არიან ევრიტოსი და არისტოდემოსი, რომელთაც შეეძლოთ საერთო შეთანხმების საფუძველზე ან ერთად გადარჩენილიყვნენ სპარტეში წასვლით, როდესაც ლეონიდესი უშვებდა მათ ბანაკიდან, ალპენოში რომ იწვნენ თვალების სნეულებით დაავადებულები, ანდა თუ არ მოინდომებდნენ უკან დაბრუნებას, სხვებთან ერთად დახოცილიყვნენ; თუმცა მათ

შეეძლოთ ამ ორიდან ერთ-ერთ გზას დასდგომოდნენ, მაგრამ არ მოინდომეს შეთანხმება; უფრო მეტი - ისინი სხვადასხვა აზრისა იყვნენ: ევრიტოსმა როგორც კი შეიტყო, სპარსელები გორაკს გარს უვლიანო, მოითხოვა იარაღი, შეიჭურვა და უბრძანა ჰელოტს, წაეყვანა მებრძოლებისაკენ. მიიყვანა თუ არა მისმა მძღოლმა, დატოვა და გაიქცა, ხოლო ევრიტოსი ხელჩართულ ბრძოლაში, შუა ბრბოში დაიღუპა. არისტოდემოსი კი დარჩა, რადგან თავი ძალიან უყვარდა. რომ მართლ არისტოდემოსი ყოფილიყო ავად და დაბრუნებულიყო სპარტეში, ანდა ორივე რომ ერთად დაბრუნებულიყვნენ შინ, მე ვფიქრობ, სპარტელები მას არ შერისხავდნენ. ახლა კი რაკილა ერთი მათგანი დაიღუპა, ხოლო მეორემ (რომელსაც ისეთივე მიზეზი ჰქონდა) არ მოინდომა სიკვდილი, სპარტელები ძალიან უნდა გაჯავრებულიყვნენ არისტოდემოსზე.

230. ზოგიერთები ამბობენ, რომ არისტოდემოსმა ამნაირად გადაირჩინა თავი და მივიდა სპარტეში; სხვები კი ამბობენ, რომ ის მოციქულად გაგზავნეს ბანაკიდან და თუმცა შეეძლო ბრძოლისათვის მიესწრო, მაგრამ არ მოინდომა, დაყოვნდა გზაზე და ამგვარად გადარჩა, ამასთან ერთად მოციქულად გაგზავნილი კი მივიდა ბრძოლაში და მოკვდა.

231. ლაკედემონში დაბრუნებულ არისტოდემოსს სირცხვილი და უპატიობა ხვდა წილად; უპატიობა ის იყო, რომ სპარტელთაგან არც არავინ მოუკიდებდა მას ცეცხლს და არც არავინ ელაპარაკებოდა; ხოლო სირცხვილი კიდევ ის იყო, რომ მას არისტოდემოს მხდალს უწოდებდნენ. მაგრამ პლატეის ბრძოლაში არისტოდემოსმა მთელი თავიდი დანაშაული გამოისყიდა.

232. თესალიაში გაგზავნილ ერთ მოციქულზე გვიამბობენ, რომ ამ სამასი კაციდან ისიც გადარჩა; მას სახელად ერქვა პანტიტესი. როდესაც ის სპარტეში დაბრუნდა, უპატიოდ რომ ექცეოდნენ, თავი ჩამოიხრჩო.

233. ხოლო რაც შეეხება თებელებს, რომელთაც ლეონტიადესი მხედართმთავრობდა, ვიდრე ისინი ელინებთან ერთად იყვნენ, მეტი რა გზა ჰქონდათ, იბრძოდნენ მეფის ლაშქრის წინააღმდეგ. მაგრამ როგორც კი თებელებმა დაინახეს, რომ სპარსელები იმარჯვებდნენ, ხოლო ლეონტიადესთან მყოფი ელინები ბორცვისაკენ გაიქცნენ, ჩამოშორდნენ დანარჩენ ელინებს და წინგაწვდილი ხელებით მიუახლოვდნენ ბარბაროსებს, თან გულწრფელად ეუბნებოდნენ, რომ ისინი მიდიელთა მხარეზე არიან და იმ პირველთა შორის იყვნენ, რომელთაც მეფეს მიწა და წყალი მისცეს, რომ თერმოპილეში იძულებით მოიყვანეს და უდანაშაულონი არიან იმ ზიანში, რაც მეფეს მიაყენეს. ასე ილაპარაკეს და გადარჩნენ. თავისი სიტყვების მოწმეებად თესალიელები ჰყავდათ. მაგრამ მაინც მთლად კარგად არ წაუვიდათ საქმე: რომ მოვიდნენ, ისინი შეიპყრეს, ზოგი მათგანი დახოცეს, ხოლო მეტი წილის მიმართ ქსერქსესმა ბრძანა, რომ სამეფო დაღები დაესვათ, დაწყებული მხედართმთავარ ლეონტიადესიდან, რომლის შვილი, ევრიმაქოსი, შემდეგში მოკლეს პლატეელებმა, როგორც 400 თებელის მხედართმთავარი, რომელმაც პლატეელთა ქალაქი დაიჭირა.

234. ასე იბრძოდნენ ელინები თერმოპილესთან. ხოლო ქსერქსესმა დაუძახა დემარეტოსს და მისი გამოკითხვა აქედან დაიწყო: „დემარეტოს, შენ კარგი კაცი ხარ. ამაში მე შენმა სიმართლემ დამარწმუნა. რაც კი მითხარი, ყველაფერი ისე მოხდა.

ახლა მითხარი, რამდენნი არიან დანარჩენი ლაკედემონელები და ამათგან რამდენნი არიან ასეთივე მეომრები, თუ ყველანი ასეთივე არიან“ დემარეტოსმა უპასუხა: „მეფეო, ლაკედემონელი მრავლისაგან მრავალნი არიან და ქალაქებიც ბევრი აქვთ. მაგრამ რისი გაგებაც გინდა, იმას გაიგებ. ლაკედემონში არის ქალაქი სპარტე, რომელშიც 8000-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. ესენი ყველანი იმათნაირები ვერ არიან, მაგრამ მაინც გამოირჩევიან სიმამაცით“. ამაზე ქსერქსესმა უთხრა: „დემარეტოს, როგორ შეიძლება ყველაზე უფრო გაუჭირვებლად მათი დაძლევა? მოდი, მითხარი. შენ ხომ მათი მეფე იყავი და მათი გადაწყვეტილებების ასავალ-დასავალიც კარგად გეცოდინება“.

235. მან მიუგო: „მეფეო, თუ ნამდვილად გინდა ჩემთან თათბირი, სამართლიანობა მოითხოვს ის გითხრა, რაც საუკეთესოა: შენი ფლოტიდან სამასი ხომალდი უნდა გაგზავნო ლაკონიის ქვეყნის წინააღმდეგ. მასთან ახლოს მდებარეობს კუნძული კითერია, რომელის შესახებაც ქილონმა, ჩვენს შორის ყველაზე ბრძენმა კაცმა თქვა, რომ სპარტელებისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა, ეს კუნძული ზღვაში ჩაძირულიყო, ვიდრე ის, რომ ის წყალსზემოთაა, რადგან ქილონი მუდამ ფიქრობდა იმას, რომ რაღაც ასეთი იქნებოდა, რასაც მე შენ გეუბნები, იმიტომ კი არა, რომ მაინცა და მაინც შენი ლაშქრობა განსჭვრიტა წინდაწინ, არამედ იმიტომ, რომ ადამიანთა ყოველგვარი ლაშქრობისა ეშინოდა. ამ კუნძულიდან გამოვიდნენ შენი ხომალდები და თავზარი დასცეს ლაკედემონელებს. თუ ამათ თავის საკუთარ მიწა-წყალზე ექნებათ ომი, შენ არ უნდა გეშინოდეს იმისა, რომ ისინი დანარჩენ ელადას დაეხმარებიან, როდესაც შენი სახმელეთო ჯარი მას დაიპყრობს. ხოლო დანარჩენ ელადას რომ დაიმონებ, ლაკონიკეც სუსტი აღმოჩნდება, რომ შემდეგი მოხდება: პელოპონესის ყელი ვიწროა. ამ ადგილას, რაკილა ყველა პელოპონესელი შეფიცულია შენს წინააღმდეგ, სხვა, ბევრად უფრო სასტიკი ბრძოლა მოგელის, ვიდრე აქამდე გქონია. ხოლო თუ ამას გააკეთებ, ეს ყელიცა და ქალაქებიც უბრძოლველად გადმოვა შენს ხელში“.

236. ამის შემდეგ ილაპარაკა აქამენესმა, რომელიც ქსერქსესის ძმა იყო და საზღვაო ჯარის მხედართავარი; იგი შეესწრო ამ ლაპარაკს და შეშინდა, რომ ქსერქსესი დაუჯერებდა დემარატოსს და ასე მოიქცეოდა. მან თქვა: „მეფეო, მე ვხედავ, რომ შენ ღებულობ ამ კაცის სიტყვებს, რომელსაც შურს შენი კეთილდღეობა, და რომელიც კიდევაც უღალატებს შენს საქმეს. რადგან ელინები ჩვეულებრივ სიამოვნებით იქცევიან ამგვარად: იმათ შურთ სხვისი ბედნიერება და სძულთ თავისზე ძლიერები. მიუხედავად განცდილი მარცხისა, როდესაც 4000 ხომალდი დაგელუპა, თუ მაინც გაგზავნი სხვა სამასს შენი ბანაკიდან პელოპონესის ირგვლივ საცურაოდ, მაშინ მოწინააღმდეგეს, ცხადია, შეეძლება შენთან ბრძოლა. ხოლო როდესაც ჩვენი საზღვაო ჯარი ერთად არის, მაშინ ის მათთვის დაუძლეველია და ისინი სულაც ვერ შეძლებენ შენს გამკლავებას, ის კი არა, ერთად თუ ილაშქრებენ, მთელი ფლოტი სახმელეთო ჯარს დაეხმარება, ხოლო სახმელეთო - ფლოტს. მაგრამ შენ თუ ფლოტს დაყოფ, ვეღარც შენ არგებ მას რასმე და ვეღარც ის შენ. შენ შენს საკუთარ საქმეებზე იზრუნე და მტრის საქმეებზე ნუ ფიქრობ, თუ სად აპირებენ ისინი ომს, რას იზამენ და რამდენნი არიან. რადგან სრულიად საკმარისია, რომ მათ თავის თავზე იფიქრონ, ხოლო ჩვენ კიდევ ასევე ჩვენზე. ლაკედემონელები კიდევაც რომ წამოვიდნენ სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვერაფრით აინაზღაურებენ თავის ახლანდელ ზარალს“.

237. ხოლო ქსერქსესმა მას შემდეგი მიუგო: „აქამენეს, მე ვფიქრობ, რომ კარგად ლაპარაკობ და ასეც მოვიქცევი. დემეტროსი მართალია ამბობს, რომ რაც საუკეთესოა ჩემთვის იმას მირჩევს, მაგრამ მისი წინადადება შენსას ჩამორჩება. მე იმას ვერ დავუშვებ, თითქოს ის ჩემი საქმეების მიმართ კეთილს არ იზრახავდეს, და ამას ვასკვნი იმის მიხედვით, რაც მას ულაპარაკია უწინ და რაც თქვა თუნდაც ახლა. მეც იმ აზრისა ვარ, რომ მოქალაქეს იმ მოქალაქისა შურს, რომლის საქმეებიც კარგად არის და მტრულად განწყობილი მდუმარებს, ხოლო როდესაც ეთათბირება მას მისი თანამოქალაქე, იმას არ ურჩევს, რაც მას საუკეთესოდ მიაჩნია, თუკი უაღესად კეთილშობილი ადამიანი არ არის (ასეთები კი ძალიან იშვიათად გვხვდება). ხოლო უცხო სტუმარი იმ უცხო მასპინძლის მიმართ, რომლის საქმეებიც კარგად მიდის, ყველაზე უფრო კეთილად არის განწყობილი და როდესაც მას ეთათბირებთან, ურჩევს იმას, რაც საუკეთესოდ მიაჩნია. ამიტომ ვბრძანებ, ამიერიდან დემარეტოსზე ძვირის თქმისაგან თავი შეიკავებ, რადგან ის ჩემი უცხო სტუმარია“.

238. ესა თქვა ქსერქსესმა და ჩაიარა გვამებს შორის და ბრძანა ლეონიდესისათვის თავი მოეკვეთათ და სარზე დაეგოთ, როდესაც შეიტყო, რომ ის ლაკედემონელების მეფე და მხედართმთავარი იყო. სხვა მრავალი მოწმობითაც და არანაკლებ ამით, ცხადია ჩემთვის, რომ ქსერქსეს მეფე ყველაზე უფრო ლეონიდესზე ჯავრობდა მაშინ, როდესაც ის ცოცხალი იყო. თუ არა და გვამს ასე უპატიოდ არ მოექცეოდა, რადგან ვიცი, რომ ყველა სხვა ადამიანზე მეტად პატივს სპარსელები მამაც მეომრებს სცემენ. ვისაც დაევალა ამის გაკეთება, იმათ კიდევაც გააკეთეს ეს.

239. დავუბრუნდები მოთხრობის იმ ნაწილს, რომელიც ზემოთ შევწყვიტე. ლაკედემონელებმა პირველებმა შეიტყვეს, რომ მეფე ელადაზე აპირებდა თავდასხმას და დელფოში გაგზავნეს კაცები ღვთი განგების შესატყობად, მათ ასეთი საოცარი გზით შეიტყვეს: დემარეტოს არისტონის ძე გაიქცა მიდიელებთან და მე ვფიქრობ და სინამდვილედ მიჭერს მხარს ამაში, რომ იგი კეთილს არ იზრახავდა და ლაკედემონელთა მიმართ. ადამიანს თვითონ შეუძლია დაასკვნას, მან ეს ლაკედემონელთა მიმართ კეთილი განზრახვით გააკეთა თუ ღვარძლიანობით. როდესაც ქსერქსესმა გადაწყვიტა ელადის წინააღმდეგ ლაშქრობა, სუსაში იყო დემარეტოსი და ეს რომ შეიტყო, მოინდომა ლაკედემონელებისათვის ეცნობებინა. მაგრამ ვერ შელო ენიშნებინა, რადგან საფრთხილო იყო, არ დაეჭირათ. ამიტომ მან ასეთი რამ მოიგონა. მან აიღო ორკარედი დაფა, ააფხიკა ცვილი და შემდეგ დაფის ხეზე დააწერა მეფის განზრახვა, ხოლო ეს რომ გააკეთა, შემდეგ ნაწერზე ისევ ცვილი დაასხა, რომ მას, ვინც ამ ცარიელ დაფას წაიღებდა, გზისმცველთაგან რიამე დაბრკოლება არ შემთხვეოდა. როდესაც ამ დაფამ ლაკედემონს მიაღწია, ლაკედემონელები ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდა ეს, ვიდრე, როგორც შევიტყვე, კლეომენესის ასულმა, ლეონიდესის ცოლმა, გორგომ არ გაიგო და არ აუხსნა მათ. მან თქვა, რომ ცვილი უნდა ააფხიკონ და იპოვიან ხეზე ნაწერს. ლაკედემონელებმა მას დაუჯერეს. იპოვეს ნაწერი და წაიკითხეს. შ მდეგ ეს ორკარედი სხვა ელინებს გაუგზავნეს. ამბობენ, ეს ამბავი ასე იყო.

1. ელინთა საზღვაო ჯარში შემდეგნი შედიოდნენ: ათენელები, რომელთაც ჰყავდათ 127 ხომალდი. ხოლო პლატეელები, მართალია, გამოუცდელნი იყვნენ ზღვაოსნობაში, მაგრამ მაინც ათენელებთან ერთად სხდებოდნენ ხომალდებზე თავისი სიქველისა და მოწადინების გამო. კორინთელებმა გამოიყვანეს 40 ხომალდი, ხოლო მეგარელებმა - ოცი. ქალკიდელები 20 ხომალდზე ისხდნენ. მაგრამ ხომალდები მათ ათენელებმა მისცეს, ადგინელებმა გამოიყვანეს 18 ხომალდი, სიკიონელებმა - 12, ლაკდედემონელებმა - 10, ეპიდავრელებმა - 8, ერეტრიელებმა - 7, ტროადენელებმა - 5, სტირელებმა - 2, კეოსელებმა - 2 ხომალდი და ორიც ორმოცდაათნიჩბიანი ნავი. ოპუნტელი ლოკრებიც მოვიდნენ მათ საშველად 7 ორმოცდაათნიჩბიანი ნავით.

2. აი, სწორედ ესენი გაემართნენ არტემისიონისკენ, ხოლო მე უკვე ვთქვი, თითოეულმა ხალხმა რამდენი ხომალდი მოიყვანა. არტემისიონში შეგროვილი ხომალდების რიცხვი, გარდა ორმოცდაათნიჩბიანი ნავებისა იყო 271. მათ მხედართმთავრად სპარტელებმა დააყენეს ევრიბიადეს ევრიკლეადესის ძე, როგორც ყველაზე გავლენიანი პირი. რადგან მოკავშირეებმა თქვეს, რომ თუ ლაკონელი მხედართმთავარი არ წაუძღვება მათ, ისინი არ მიჰყებიან ათენელ წინამძღოლებს და ჩაშლიან მომავალ ლაშქრობას.

3. თავიდანვე, ვიდრე სიკელიეს მიმართავდნენ მოკავშირეობისათვის, იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საზღვაო ჯარი ათენელებისათვის უნდა მიენდოთ. რაკილა მოკავშირეები ამის წინააღმდეგ წავიდნენ, ათენელებმა მათ დაუთმეს, რადგან ძალიან ზრუნავდნენ ელადის გადასარჩენად და კარგად იცოდნენ, რომ თუ წინამძღოლობისათვის იდავებდნენ, ელადა დაილუპებოდა; მათ სწორედ იფიქრეს, რადგან შინააშლილობა იმდენად უარესია ერთსულოვან ომზე, რამდენადაც ომი - მშვიდობიანობაზე. რადგან ეს იცოდნენ, არ გაუწიეს ლაკედემონელებს წინააღმდეგობა და დაუთმეს მათ მანამ, ვიდრე მათი თავი სჭირდებოდათ, როგორც გამოირკვა შემდეგში: როდესაც სპარსელი გააძევეს და ბრძოლა მის ტერიტორიაზე გადაიტანეს, ათენელებმა მოიმიზეზეს პავსანიესის სითავხედე და ლაკედემონელებს ჩამოართვეს წინამძღოლობა. მაგრამ ეს შემდეგ მოხდა.

4. ხოლო მაშინ არტემისიონში მოსულმა ელინებმა როგორც კი დაინახეს აფეტეს მიმდგარი მრავალი ხომალდი და იქაურობა ლაშქრით ავსილი (ბარბაროსთა მდგომარეობა მათი წარმოდგენის საწინააღმდეგო აღმოჩნდა, როგორც ისინი ფიქრობდნენ ისეთი არ იყო), ძალიან შეეშინდათ და გადაწყვიტეს არტემისიონიდან შიგნით, ელადაში გაქცევა. ევბეელებმა რომ შეიტყვეს მათი გადაწყვეტილება, შეეხვეწნენ ევრიბიადესს, ერთხანს შეეცადა, რომ მათ შვილები და მსახურნი გაეპარებინათ. როდესაც მათ ვერ დაითანხმეს ამაზე ევრიბიადესი, მაშინ მიმართეს ათენელთა მხედართმთავარს, თემისტოკლესს და ეხვეწებოდნენ, რომ 300 ტალანტ გასამრჯელოდ გაჩერებულიყო ევბეის წინ და საზღვაო ბრძოლა იქ გაემართა.

5. ხოლო თემისტოკლესი ელინების შესაჩერებლად ასე მოიქცა: მან ამ ფულიდან ევრიბიადესს მისცა 5 ტალანტი ისე, თითქოს თავის საკუთარი თანხიდან აძლევდა. მან რომ ეს დაიყოლია (დანარჩენთაგან მხოლოდ კორინთელი მხედართმთავარი

ადემანტოს ოკიტოსის ძე ჯიუტობდა, ამბობდა, რომ გაცურავდა არტემისიონიდან და აქ არ დარჩებოდა), თ მისტოკლეესმა დაიფიცა და უთხრა ადემანტოსს: „შენ არ დაგვტოვებ ჩვენ, იმიტომ, რომ მე უფრო დიდ საჩუქარს მოგცემ, ვიდრე მიდიელთა მეფე გამოგიგზავნიდა იმ შემთხვევაში, თუ შენ მოკავშირეებს დატოვებდი“. ეს უთხრა და ამასთანავე გაგზავნა ადემანტოსის ხომალდზე სამი ვერცხლის ტალანტი. ესენ საჩუქრებით იქნენ მოსყიდულნი და დაყოლიებულნი: ამით ევბელებსაც ასიამოვნა თემისტოკლეესმა და თვითონაც ისარგებლა, რადგან დანარჩენი ფული თავისთვის შეინახა ჩუმად. ის კი არა, ვინც ამ ფულიდან გარკვეული თანხა მიიღო, იმას ფიქრობდა, ათენიდან არის ეს ფული ამ მიზნით გამოგზავნილიო.

6. ამგვარად დარჩნენ ელინები ევბეაში და იქ გაიმართა საზღვაო ბრძოლა. ეს კი ასე მოხდა: სადამო ხანს, როდესაც ბარბაროსები მოვიდნენ აფეტეში, მათ ჯერ კიდევ უწინ იცოდნენ¹, რომ არტემისიონთან სულ ცოტა ელინური ხომალდები იყვნენ ჩასაფრებული. ახლა კი თვითონ დაინახეს ეს და მოუნდათ თავს დასხმოდნენ, რომ შეეპყროთ ისინი. სპარსელებმა გადაწყვიტეს, პირდაპირ არ მიეცურათ მათთან, ეს იმიტომ, რომ ელინებს არ შეემჩნიათ ისინი ცურვისას და არ გაქცეულიყვნენ, ხოლო გაქცეულებს კი ღამე დაფარავდა. სპარსელთა აზრით, ელინები, ცხადია, გაიქცეოდნენ, მაგრამ მათ უნდოდათ, რომ თვით ცეცხლისმატარებელიც კი ვერ გაჰქცეოდნენ და გადარჩენილათ.

7. ამის გამო ასეთ ხერხს მიმართეს: მთელი ხომალდებიდან გამოჰყვეს 200 და გაგზავნეს სკიათოსის იქით, რომ არ დაენახა ისინი მტერს და ისე გარსშემოევლოთ მათ ევბეისათვის და მისულიყვნენ ევრიპოსში კაფერევისა და გერამსტოსის ჩავლით. . ევრიპოსში უნდა დაეჭირათ მოსული ელინები და მოეჭრათ მათთვის უკან დასაბრუნებელი გზა, დანარჩენები კი ამ დროს წინიდან შეუტევდნენ. ეს რომ გადაწყვიტეს, გაგზავნეს ის ხომალდები, რომლებსაც ასეთი დავალება მისცეს, თვითონ კი გუნებაში არ ჰქონდათ იმ დღისათვის ელინებზე თავდასხმა და არც იმაზე უწინ აპირებდნენ ამას, ვიდრე ნიშანს არ მისცემდნენ გაგზავნილნი, რომ ევბეის ირგვლივ შემოიარეს და მოვიდნენ დანიშნულ ადგილამდე. ამგვარად, ის 200 ხომალდი გაგზავნეს ევბეის გარშემოსავლელად, ხოლო აფეტეში დარჩენილი ხომალდები დაითვალეს.

8. იმ დროს, როდესაც სპარსელები ხომალდებს ითვლიდნენ, მათ ბანაკში იყო სკილიეს სკიონელი, იმდროინდელი საუკეთესო მყვინთავი, რომელმაც პელიონთან მომხდარ გემთდაღლუპვის დროს სპარსელებს დიდძალი ქონება გადაურჩინა და თავისთვისაც ბევრი მოიხვეჭა; ამ სკილიესს ჯერ კიდევ უწინ ჰქონდა გუნებაში ელინთა მხარეზე გადასულიყო, მაგრამ აქამდე ვერ მოეხერხებინა, ახლა კი როგორ მოახერხა ელინებთა მისვლა, ამის ზუსტად თქმა არ შემოძლია, ის კი, რასაც ამბობენ, ძალიან მაკვირვებს, თუკი მართალია: ამბობენ, რომ მან აფეტესთან ჩაყვინთა ზღვაში და მანადე არ ამოსულა ზევით, ვიდრე არტემისიონს არ მიაღწია. ისე რომ მან ზღვაში, წყალქვეშ დაახლოებით 80 სტადიონს გაცურა. ამ კაცის შესახებ ბევრ სხვა, დაუჯერებელ ამბავს ჰყვებიან, მაგრამ ზოგი რამ მაინც მართალია. ამ შემთხვევის შესახებ ჩემს აზრს თუ მათქმევინებთ, გეტყვით, რომ ის, ალბათ, ნავით მივიდა არტემისიონში. მისვლისთანავე გამოუცხადა მხედართმთავრებს, თუ როგორ მოხდა გემთდაღლუპვა და რომ ხომალდები გაგზავნილია ევბეის გარშემოსავლელად.

9. ელინებმა რომ ეს მოისმინეს, ერთმანეთს მოეთათბირნენ. დიდხანს იმსჯელეს და გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ იმ დღეს იქ დარჩებოდნენ და ღამის გასათევად მოეწყობდნენ, ხოლო ნაშუაღამევს გავიდოდნენ და დახვდებოდნენ სპარსელთა ნავებს, რომლებიც კუნძულს გარს უვლიდნენ, ხოლო ამის შემდეგ, რაკი არავინ მოცურავდა მათ წინააღმდეგ, მოიცადეს ვიდრე არ მოსალამოვდა და თვითონ გაცურეს ბარბაროსების წინააღმდეგ, უნდოდათ, თვითონ გამოეყენებინათ მათი საბრძოლო ხერხი და ხომალდებს შორის გასხტომოდნენ.

10. როდესაც ქსერქსესის ჯარისკაცებმა და მხედართმთავრებმა დაინახეს, რომ ელინები მათ წინააღმდეგ ასე მცირერიცხოვანი ხომალდებით მოცურავდნენ, იფიქრეს, სულ დაგიჟებულანო და თვითონაც გამოიყვანეს ხომალდები, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ სულ იოლად დაიჭერდნენ მტერს. სპარსელთა იმედიანობას საფუძველი ჰქონდა, რადგან ისინი ხედავდნენ ელინთა მცირერიცხოვან ხომალდებს და ამავე დროს თავისას, რაოდენობით გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანს და უკეთესად მოცურავეს. ამას ფიქრობდნენ და გარს შემოერთყენენ ელინებს სრულიად აშკარად. ის იონიელები, რომლებიც ელინთა მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი და თავისდაუნებურად ლაშქრობდნენ, დიდად წუხდნენ, რომ ხედავდნენ მათ გარშემორტყმულებს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ დაბრუნდებოდა უკან, ისე სავალალო ეჩვენათ მათ ელინთა მდგომარეობა. ხოლო ის იონიელები, ვისაც ახარებდა ეს ამბავი, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ თითოეულ მათგანს პირველს დაეჭირა ატიკური ხომალდი და მეფისაგან საჩუქარი მიეღო; რადგან სპარსელთა მთელ ბანაკში ყველაზე მეტად ყურადღება ათენელებს ექცეოდა.

11. როგორც კი ანიშნეს, ელინებმა პირველად თავისი ხომალდები ისე მოაწყვეს, რომ ცხვირებით ბარბაროსებისაკენ მიაქციეს, კიჩოები კი შუა მხრისაკენ მიმართეს, ხოლო მეორე ნიშანზე ისინი უკვე საქმეზე გადავიდნენ. თუმცა მცირე სივრცე ჰქონდათ თავის განკარგულებაში და ისიც წინ. მაშინ მათ ხელთ იგდეს ბარბაროსთა 30 ხომალდი და ფილაონ ქერსისის ძე, სალამინელთა მეფის, გორგოს ძმა, სპარსელთა ბანაკში გავლენიანი კაცი. პირველი ელინი, რომელმაც მტრის ხომალდი დაიჭირა, იყო ათენელი ლიკოდემეს ადსქრადოსის ძე და მანვე მიიღო ჯილდო მამაცობისათვის. ამ საზღვაო ომში უთანასწორო პირობებში მყოფი მებრძოლები ღამემ გაჰყარა; ელინებმა უკან არტემისიონში გაცურეს, ხოლო ბარბაროსებმა, რომელთაც სრულიად სხვაგვარი ბრძოლა შეხვდათ, ვიდრე მოელოდნენ, აფეტეს მიაშურეს. ამ საზღვაო ბრძოლაში მეფის მხარეზე მყოფ ელინთაგან მხოლოდ ანტიდოროს ლემნოსელი იყო, რომელიც გამოექცა სპარსელებს და მოვიდა ელინებთან. ათენელებმა ამ საქციელისათვის მას მიწა მისცეს სალამინში.

12. როდესაც დადამდა (შუა ზაფხული იყო სწორედ), დიდი წვიმა წამოვიდა, მთელ ღამეს წვიმდა და პელიონის მხარეს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. გვამები და გემთნამსხვრევები აფეტეში ირიყრებოდნენ. ისინი ეხვეოდნენ ხომალდების ცხვირებს და ნიჩბის პირებს აზიანებდნენ. ამან თავზარი დასცა იქ მყოფ ჯარისკაცებს; ახლა კი ნამდვილად მოელოდნენ დაღუპვას, ამისთანა უბედურებები რომ დაატყდათ თავს, რადგან გემთდაღუპვისა და პელიონთან ამოვარდნილი ქარიშხლის მერე, სულის მოთქმაც ვერ მოასწრეს, რომ სასტიკ საზღვაო ბრძოლაში მოუხდათ ჩაბმა, ხოლო საზღვაო ბრძოლის შემდეგ ძლიერი წვიმა წამოვიდა, დიდი ნიაღვრები დაიძრა ზღვისაკენ და საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა.

13. ასეთი ღამე გაატარეს იმათ, მაგრამ ეს ღამე ბევრად უფრო ულმობელი იყო მათთვის, ვისაც ევალეზოდა ევბეის გარშემოვლა, რადგან მათ ღია ზღვაში მოუხდათ ამ დროს ყოფნა, მათი ბოლო მართლაც რომ სამწუხარო იყო. როდესაც ისინი ევბეის კოდას1 მახლობლად მიცურავდნენ, ქარი და წვიმა დაატყდათ თავზე, ქარმა ისინი ისე წაიღო, რომ არ იცოდნენ, საით მიექანებოდნენ და კლდეებს მიეხეთქნენ. ყველაფერი ეს ღმერთმა მოიმოქმედა იმისათვის, რომ სპარსელთა ძალა ელინთათვის გაეთანაბრებინა და რომ ის მასზე ბევრად მეტი არ ყოფილიყო.

14. ამგვარად ესენი ევბეის კოდასთან დაილუპნენ, ხოლო იმ ბარბაროსებს, რომლებიც აფეტეში იდგნენ, გაეხარდათ გათენება. მათ უძრავად ეყენათ თავისი ხომალდები და იმითვე კმაყოფილნი იყვნენ, რომ ამდენი უბედურების შემდეგ ახლა მაინც მშვიდად შეეძლოთ ყოფნა. ამასობაში ელინებს 53 ატიკური ხომალდი მოეშველათ. ესენი გაამხნევა მათმა მოსვლამ და ამასთანავე იმის გაგებამ, რომ ის ბარბაროსები, რომლებსაც ევბეის ირგვლივ უნდა შემოევლოთ, ყველანი დაღუპულან ამოვარდნილი ქარიშხლისაგან. მათ დღის იმავე დრომდე მოიცადეს 2, გამოვიდნენ და თავს დაესხნენ კილიკიურ ხომალდებს, ესენი მოსპეს და დაღამებისთანავე უკან, არტემისიონში დაბრუნდნენ.

15. მესამე დღეს ბარბაროსთა მხედართმთავრებმა, შერცვენილებმა იმით, რომ ასე დაზარალდნენ ამ მცირერიცხოვანი ხომალდებისაგან და თანაც ქსერქსესის შიშით, ელინებს აღარ დააცალეს ბრძოლის დაწყება. თვითონ მოემზადნენ და შუადღისას გამოიყვანეს თავისი ხომალდები. მოხდა ისე, რომ ერთსა და იმავე დღეებში გაიმართა ეს საზღვაო ბრძოლებიცა და სახემელეთო ბრძოლებიც თერმოპილეში. მთელი მათი ბრძოლა, ვინც ზღვაზე იმყოფებოდა, ხდებოდა ევრიპოსისათვის, ისევე, როგორც მათი, ვინც ლეონიდესთან იყო, შესავლის დასაცავად წარმოებდა. ერთნი ამხნევებდნენ ერთმანეთს, საიმისოდ, რათა არ შეეშვათ ბარბაროსები ელადაში, ხოლო მეორენი იმისათვის, რომ გაენადგურებინათ ელინთა ლაშქარი და დაეპყროთ შესავალი.

16. როდესაც ქსერქსესის ხალხი დაეწყო და გაცურა, ელინები წყნარად იდგნენ არტემისიონში. ბარბაროსებმა თავისი ხომალდები ნახეარ მთვარის სახედ დააწყვეს და გარს შემოერყტნენ ელინებს, რომ ყოველის მხრიდან ჩაეჭირათ ისინი. მაშინ ელინებიც გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ და დაიწყეს ბრძოლა. ამ საზღვაო ბრძოლის დროს ორივე მხარე თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქსერქსესის ლაშქარი თავისი სიდიდისა და სიმრავლის გამო თვითონ აზიანებდა თავისთავს, რადგან ხომალდები ირეოდნენ და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. მიუხედავად ამისა მტერს წინააღმდეგობას მარჯვედ უწევდა და თავის პოზიციას არ თმობდა, რადგან სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა მცირერიცხოვანი ხომალდებისაგან გაქცევა. ელინთა ბევრი ხომალდი დაილუპა, ბევრი მეზღვაური, მაგრამ ბევრად უფრო მეტი ხომალდი და მეზღვაური დაილუპა ბარბაროსთა ლაშქრიდან. ასე იბრძოდნენ და ორივე მხარე გაშორდა ერთმანეთს.

17. ამ საზღვაო ბრძოლაში ქსერქსესის ჯარისკაცთა შორის მამაცობით ყველაზე მეტად თავი ეგვიპტელებმა გამოიჩინეს, რომელთაც, სხვა ვაჟკაცობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ხელთ იგდეს 5 ელინური ხომალდი თავისი მეზღვაურებით. ელინთა შორის

ამ დღეს ყველაზე მეტად ივაჟკაცეს ათენელებმა და ათენელთა შორის კიდევ კლინიესმა. ალკიბიადესის ძემ, რომელსაც საკუთარი ხარჯით ჰყავდა მოყვანილი ორასი კაცი და ხომალდი.

18. როდესაც დაშორდნენ ერთმანეთს, ორივე მხარემ სიხარულით მიაშურა თავის ნავთსადგომს. მართალია, მტრის გაშორებისა და საზღვაო ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ ელინთა ხელში იყო მათი დაღუპულების გვამები და გემების ნამტვრევები, მაგრამ მაინც ყველანი სასტიკად იყვნენ დაზარალებული და სხვებზე არანაკლებად ათენელები, რომელთაც ხომალდების ნახევარი დაუზიანდათ. ამიტომ იყო, რომ გადაწყვიტეს ელადის შიგნით გაქცევა.

19. ხოლო თემისტოკლეესმა იფიქრა, რომ თუ ბარბაროსს იონიური და კარიული ტომები ჩამოშორდებიან, მაშინ შესაძლებელი გახდება დანარჩენების დაძლევა. რადგან ამ დროს ევბეელები საქონელს ზღვისაკენ მიერეკებოდნენ, აქ შ კრიბა მან მხედართმთავრები და გამოუცხადა მათ, რომ ასე ჰქონია, გამოძებნა საშუალება, რომლითაც იმედოვნებს მეფეს ჩამოაცილოს მის მოკავშირეთა შორის უმამაცესნი. თემისტოკლეესმა ეს მხოლოდ გამოუცხადა მათ. ხოლო არსებულ ვითარებაში მან თქვა, რომ შემდეგი უნდა გაკეთდეს: ვისაც რამდენი უნდა, იმდენი დახოცოს ევბეელთა საქონელი (რადგან უმჯობესია, ეს საქონელი მათ ჯარს შეხვდეს, ვიდრე მტრისას). ამასთანავე ურჩია, ებრძანებინათ ყველას თავისიანებისათვის ცეცხლის დანთება, ხოლო დაბრუნების შესახებ თვითონ იზრუნებს თავის დროზე ისე, რომ უვნებლად მიაღწევენ ელადას. მხედართმთავრებს მოეწონათ მისი აზრი, მაშინვე დაანთესა ცეცხლი და გაემართნენ საქონლისაკენ.

20. ევბეელებმა არაფრად ჩააგდეს ბაკისის წინასწარმეტყველება, როგორც არაფრისმთქმელი, ამიტომ არც არაფერი გაიტანეს თავისი კუნძულიდან, არც რაიმე შემოიტანეს ომის მოლოდინში და ამით თვითონ მოუმზადეს თავის თავს უბედურება. ხოლო ბაკისის წინასწარმეტყველება ასეთი იყო: „როდესაც ბარბაროსულად მოლაპარაკე ზღვაში გადაისვრის ჭილის უღელს, იფიქრე იმაზე, რომ ევბეას მოაშორო ხშირადმოკიკინე თხები“. ევბეელებს სრულიად არ მიუქცევიათ ყურადღება ამ სიტყვებისათვის, ამიტომ იყო, რომ აწმყოშიც და მომავალშიც მეტისმეტად დიდი უბედურება დაატყდათ თავს.

21. ისინი რომ ამ საქმიანობაში იყვნენ, ტრექსიდან მოვიდა მსტოვარი. არტემისიონში იყო მსტოვარი პოლიასი, წარმოშობით ანტიკირელი. მას ყოველმხრივ გამართული ნავი მზად ჰყავდა და ევალეზობდა საზღვაო ჯარის დამარცხების შემთხვევაში ეს ამბავი თერმოპილეში მყოფთათვის ეცნობებინა. ასევე აბრონიქოს ლისიკლესის ძე, ათენელი, ლეონიდესთან იყო გამზადებული, რომ ოცდაათნიჩბიანი ნავით არტემისიონში მყოფთათვის ამბავი მიეტანა, თუკი სახმელეთო ჯარს რაიმე ხიფათი შეემთხვეოდა. სწორედ ეს აბრონიქოსი იყო, რომ მივიდა მათთან და შეატყობინა ის, რაც დაემართა ლეონიდესს და მის ლაშქარს. როგორც კი შეიტყვეს ეს ელინებმა, აღარ დაუყოვნებიათ უკან დაბრუნება და გაემართნენ ისე, როგორც იყვნენ დაწყობილები, პირველები მიდიოდნენ კორინთელები, ხოლო უკანასკნელები - ათენელები.

22. თემისტოკლეესმა გამოარჩია ათენელთა ის ხომალდები, რომლებიც საუკეთესოდ ცურავდნენ, ამ ხომალდებით მოიარა სასმელი წყლების ირგვლივ მდებარე ადგილები

და ამოჰკვეთა ქვებზე წარწერები, რომლებიც მეორე დღეს წაიკითხეს არტემისიონში მიმავალმა იონიელებმა. წარწერებში შემდეგი იყო ნათქვამი: „იონიელო ვაჟკაცებო, სამართლიანად არ იქცევით, როდესაც მამების წინააღმდეგ ლაშქრობთ და ელადას იმონებთ. უმჯობესია ჩვენს მხარეზე გადმოხვიდეთ, ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, გზიდან მაინც გაგვეცალეთ ახლავე, თქვენცა და კარიელებსაც სთხოვეთ, თქვენ მოგბადონ. თუ თქვენ ვერც ერთი, ამას ვერ შეძლებთ და იძულების უღელი ისე მძიმეა, რომ გადნგომას ვერ მოახერხებთ, როდესაც ერთმანეთს შეხვდებით საბრძოლველად, საქმით უღალატეთ ბარბაროსებს და გახსოვდეთ, რომ ჩვენი თესლისანი ხართ და რომ თავდაპირველად მტრობა ბარბაროსსა და ჩვენს შორის თქვენგან მომდინარეობს“. თემისტოკლეესმა ეს დაწერა და მე ვფიქრობ, რომ ამ დროს მას ორი აზრი ამოქმედებდა: ან ამ წარწერებს მეფე ვერ ნახავდა და მაშინ იონიელები მას უღალატებდნენ და ელინთა მხარეზე გადავიდოდნენ, ან კიდევ ქსერქსესს მიუტანდნენ წარწერებს, ქსერქსესს აზრი შეეცვლებოდა, აღარ ენოდობოდა იონიელებს და მათ საზღვაო ბრძოლიდან ჩამოიშორებდა.

23. ეს დაწერა თემისტოკლეესმა. ამის შემდეგ ბარბაროსებთან დაუყოვნებლივ მივიდა ნავით ჰისტიელი კაცი, რომელმაც მათ შეატყობინა ელინთა გაქცევა არტემისიონიდან. მათ ეს არ დაიჯერეს, ამბის მომტანი დაატყვევეს, ხოლო დასაზვერავად სწრაფი ხომალდები გაგზავნეს. როდესაც მათ იგივე ამბავი მოიტანეს, მზის ამოსვლისთანავე მთელმა ფლოტმა ერთად გაცურა არტემისიონისაკენ. ამ ადგილას შეჩერდნენ ისინი შუადღემდის, შემდეგ კი ჰისტიადესკენ აიღეს გზი. იქ მისულთ ჰისტიელთა ქალაქი დაიპყრეს და დაარბიეს მთელი ზღვისპირა სოფლები, რომლებიც ჰისტიადოტისის ქვეყანაში იყო, ელოპის ნაწილში.

24. როდესაც ესენი აქ იყვნენ, ქსერქსესმა, მას მერეც რაც მოუარა მიცვალებულთა გვამებს, საზღვაო ჯარში მაცნე გაგზავნა. ხოლო მისი ზრუნვა დახოცილთა გვამებისათვის ასეთი იყო: თავისი ლაშქრიდან თერმოპილეში დაღუპულ გვამებთაგან (ასეთი კი 20000 იყო), დატოვა დაახლოებით 1000, ხოლო შემდეგ მიწით დააფარვინა, რომ საზღვაო ჯარს ისინი არ დაენახა. ჰისტიადეში რომ გადავიდა მაცნე, მოაგროვა მთელი ბანაკი და შემდეგი გამოუცხადა: „მოკავშირეებო, ქსერქსე მეფე ნებას გრთავთ, ვისაც გსურთ, დასტოვოთ მწყობრი, წახვიდეთ და ნახოთ, თუ როგორ ებრძვის ის უგუნურ ადამიანებს, რომლებიც იმედოვნებენ მეფის ძალის დათრგუნვას“.

25. ეს რომ გამოუცხადა, დამრჩენი ნავი ძალიან ცოტა აღმოჩნდა, ისე ბევრს მოუნდა ბრძოლის ველის ნახვა. ისინი გადავიდნენ თერმოპილეში, დადიოდნენ გვამებს შორის და ათვალიერებდნენ. თანაც ყველას ეგონა, რომ ვინც კი აქ განისვენებს ყველანი ლაკედემონელები და თესპიელები არიან. ხედავდნენ ჰეილოტებსაც. მაგრამ გადასულთათვის არც ის დამალულა, ქსერქსესმა ლაშქრიდან მიცვალებული 1000 კაცი თუ ჩანდა, ხოლო მოწინააღმდეგის მიცვალებულები ყველანი ერთად ესვენენ, ერთ ადგილას იყო მოგროვილი 4000 კაცის გვამი. ეს დღე დათვალიერებაში გაატარეს, ხოლო მეორე დღე გაცურეს ჰისტიადეში თავის ხომალდებთან, ხოლო ისინი, ვინც ქსერქსესთან ერთად იყვნენ, თავის გზით წავიდნენ.

26. ბარბაროსებთან მოვიდნენ არკადიიდან გამოქცეულები, რაღაც რამოდენიმე კაცი, რომლებიც საჭმელს თხოულობდნენ და მუშაობა უნდოდათ. მოიყვანეს ესენი

მეფესთან და იძიებდნენ, თუ ელინები რას აკეთებენ. ერთი სპარსელი ეკითხებოდა მათ ყველას მაგიერ. ხოლო მათ უთხრეს, რომ ელინები ახლა ოლიმპიურ დღესასწაულს ზეიმობენ და უცქერიან მოვარჯიშეთა და ცხენთა შეჯიბრებებს. სპარსელი შეეკითხა, თუ შეჯიბრის ჯილდოდ რაა დანიშნული, ხოლო მათ უპასუხეს, რომ გამარჯვებული მიიღებს ზეთის ხილის გვირგვინს. მაშინ ტრიტანტაქმეს არტაბანოსის ძემ გამოთქვა ძალიან კეთილშობილური აზრი, რაც მას მეფემ სიმხდალეში ჩამოართვა. მან რომ შეიტყო, ჯილდოდ გვირგვინია და არა ფული, ვეღარ მოითმინა და ყველას თანდასწრებით თქვა: „ვაიმე, მარდონიოს, რა ხალხის წინაღმდეგ მიგყავართ საბრძოლველად! ისინი ფულის გულისთვის კი არა, თავისი ვაჟკაცობის გამო იბრძვიან“. ეს უთქვამს ტრიტანტაქმეს.

27. სწორედ იმ დროს, როდესაც თერმოპილეში ეს დამარცხება განიცადეს, თესალიელებმა მაცნე გაუგზავნეს ფოკიელებს, რომლებზედაც ყოველთვის ჯავრობდნენ, განსაკუთრებით კი უკანასკნელი დამარცხების გამო. მეფის ამ ლაშქრობაზე რამდენიმე წლით ადრე თვითონ თესალიელები და მათი მოკავშირეები მთელი ლაშქარით დაესხნენ თავს ფოკიელებს. ფოკიელებმა ისინი დაამარცხეს და ცუდ დღეში ჩაჰყარეს. ეს ამბავი ასე მოხდა: ფოკიელები რომ პარნასოსთან მოიმწყვდიეს, მათ ჰყავდათ მისანი, ტელიეს ელეელი; აი მაშინ, ამ ტელიესმა ასეთი ხრიკი იხმარა: 600 საუკეთესო ფოკიელი ვაჟკაცი კირით გაათეთრა, თვითონ ისინიც და მათი იარაღიც, ღამით თავს დაასხა თესალიელებს და უბრძანათ მათ, ვისაც კი დაინახავდნენ გაუთეთრებლებს, დაეხოცათ. პირველად თესალიელეთა მცველებმა დაინახეს ესენი და შეეშინდათ, რადგან იფიქრეს, რაღაც სასწაული არისო. ხოლო მცველებს შემდეგ შეშინდა თვით ლაშქარიც. ისე რომ ფოკიელებმა ხელთ იგდეს მტრის 4000 გვამი და ფარი, რომელთაგან ნახევარი აბეს შესწირეს, ხოლო მეორე ნახევარი - დელფოს. ამ ბრძოლაში მოპოვებული ქონების მეათედი იყო, რომ დიდი ქანდაკებები აღმართეს სამფეხის ირგვლივ დელფოს ტაძრის წინ, ხოლო სხვა ასეთივე შეწირულება არის აბეში.

28. ეს საქმე დამართეს ფოკიელებმა თესალიელების ქვეით ჯარს, რომელსაც მათთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. ხოლო როდესაც თესალიელთა მხედრობა შეიჭრა მათ ქვეყანაში, ის საშინლად განადგურდა. შესასვლელში, რომელიც ჰიამპოლისთან არის, აი სწორედ იქ, დიდი თხრილი გააკეთეს ფოკიელებმა და შიგ ცარიელი ამფორები ჩადგეს, ზემოდა მიწა დააყარეს, მოასწორეს მთელი ეს ადგილი და დაელოდნენ თესალიელების შემოჭრას. ხოლო თესალიელები თავს დაესხნენ თუ არა ფოკიელებს (იმ იმედით, რომ დავიპყრობთო), ჩაცვივდნენ ამფორებში. აქ იმათმა ცხენებმა ფეხები დაიმტვრიეს.

29. ამ ორი მარცხის გამო განრისხებულნი იყვნენ თესალიელები ფოკიელებზე; გაუგზავნეს მაცნე და შეუთალეს შემდეგი: „ფოკიელებო, ახლა მაინც უნდა აღიაროთ, რომ ჩვენი სწორნი არა ხართ. ჯერ კიდევ უწინ, სანამ ელინები მოგვწონდნენ, მუდამ თქვენზე მეტად ვიყავით მათთან მიღებული, ახლა კი ბარბაროსზე იმოდენა ძალა გვაქვს, რომ შეგვიძლია თქვენ უმიწოდ დაგტოვოთ და ამას გარდა კიდევ დაგიმონოთ. მაგრამ რადგან ყოველივე ჩვენს ხელთ არის, ბოროტს არ გაგიხსენებთ, სამაგიეროდ დაგჯერდებით 50 ვერცხლის ტალანტს და გპირდებით, რომ თქვენს ქვეყანას თავდასხმას ავაცილებთ“.

30. ეს შემოუთვალეს თესალიელებმა ფოკეელებს და სულ იმიტომ, რომ იქ მცხოვრებ ხალხთა შორის მხოლოდ ფოკეელები არ გადავიდნენ მიდიელების მხარეზე და არ გადავიდნენ რაიმე სხვა მიზეზის გამო კი არა, როგორც მე დაფუკვირდი და მივხვდი, არამედ სწორედ თესალიელებთან მტრობის გამო. თესალიელები რომ ელინთა მხარეზე ყოფილიყვნენ, მე მგონია მაშინ ფოკეელები მიდიელთა მომხრეები იქნებოდნენ. როდესაც თესალიელებმა ეს შემოუთვალეს, ფოკეელებმა თქვეს, რომ ფულს მათ არ მისცემენ და საერთოდ, თუ კი მოინდომებდნენ, თესალიელების მსგავსად ესენიც როგორმე მოახერხებდნენ მიდიელთა მხარეზე გადასვლას, მაგრამ საკუთარი ნებით არ გახდებიან ელადის მოღალატეები.

31. როდესაც მოუვიდათ ეს ამბავი, თესალიელები ძალიან გაჯავრდნენ ფოკეელებზე და ბარბაროსის მეგზურობა იკისრეს. ბარბაროსები ტერქინიიდან დორიდაში შეიჭრნენ, რადგან დორიდის ქვეყნიდან ამ ადგილასაა შედარებით ვიწრო გზა ქვემოთ რომ მიემართება, დაახლოებით 30 სტადიონის სიფართის, მელიდისა და ფოკიდის მიწებს შორის, რაც ძველად იყო დრიოპისი. სწორედ ეს ადგილია დორიელთა სამშობლო პელოპონესში. ბარბაროსები რომ შეიჭრნენ, არ გაანადგურეს დორიდის ქვეყანა, რადგან აქაურები მიდიელთა მომხრეები იყვნენ და ეს არც თესალიელებს უნდოდათ.

32. როდესაც ესენი დორიდიდან ფოკიდაში შეიჭრნენ, თვითონ ფოკეელები ვერ იგდეს ხელთ, რადგან ფოკეელთა ნაწილი პარნასოსის მაღლობებზე იყო ასული. პარნასოსის მწვერვალი მოსახერხებელი იყო ხალხის დასატევად. ამ მწვერვალის ქვემოთ კი ქალაქი ნეონი მდებარეობდა და მწვერვალს სახელად ერთქვა ტითორეა. აქ აიტანეს ფოკეელებმა თავისი სარჩოს-საბადებელი და თვითონაც ავიდნენ. ხოლო ფოკეელთა მეტი წილი ოძოლ ლოკრებში წავიდა, ქალაქ ამფისაში, რომელიც კრისის დაბლობის ზემოთ მდებარეობს. ბარბაროსებმა ფოკიდის მთელი ქვეყანა შემოირბინეს; ლაშქარს თესალიელები უძღოდნენ წინ. რა ადგილებსაც დაიჭერდნენ, ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ - ცეცხლს სტყორცნიდნენ ქალაქებსაც და სამლოცველოებსაც.

33. აქ ისინი მდინარე კეფისოსის ნაპირს მიუყვებოდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. დაწვეს ქალაქი დრიომოსი, ქარადრა, ეროქოსი, ტერთრონიონი, ამფიკადა, ნეონი, პედიეე, ტრიტეე, ელატეა, ჰიამპოლისი, პარაპოტამიო და აბე. აქ იყო აპოლონის მდიდარი ტაძარი, საგანძურითა და მრავალი შეწირულობებით სავსე. მაშინაც იყო და ახლაც არის იქ სამისნო. აი ეს ტაძარი დაარბიეს და დაწვეს ბარბაროსებმა, დაედევნენ და ზოგიერთი ფოკიდელი დაიჭირეს მთებში. ხოლო ზოგიერთი ქალი კიდევაც მოკვდა, რადგან ბევრმა იხმარა მათზე ძალა.

34. ბარბაროსებმა პარაპოტამიო რომ გაიარეს, მივიდნენ პანოპეეში. ამის მერე ლაშქარი უკვე ორად გაიყო: ლაშქრის უფრო დიდი და ძლიერი ნაწილი თვით ქსერქსესთან ერთად გაემართა ათენის წინააღმდეგ და შევიდა ბეოტიაში, ორქომენელთა ქვეყანაში. ბეოტიელები ყველანი მიდიელთა მხარეზე იყვნენ, მათ ქალაქებს იცავდნენ ჩაყენებული მაკედონელები, ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილები; მაკედონელებმა იმით გადაარჩინეს ბეოტიელები, რომ თავისი იქ ყოფნით ქსერქსეს დაუმტკიცეს ბეოტიელების კეთილი განწყობა მიდიელთა მიმართ.

35. ამგვარად, ბარბაროსთა ეს ნაწილი აქეთკენ გაემართა, ხოლო დანარჩენები თავისი წინამძღოლებით დაიდრნენ დელფოს სამისნოსაკენ, პარნასოსი კი მარჯვნივ მოიტოვეს. ამათაც, სადაც კი მივიდნენ ფოკიდაში, ყველაფერი გაანადგურეს: დაწვეს პანოპეელთა, დავლიელთა და აფოლიდების ქალაქი, ესენი დანარჩენ ლაშქარს იმის გამო გამოეყვნენ და აქეთკენ იმიტომ წავიდნენ, რომ დელფოს ტაძარი გაემარცვათ და ქსერქსესათვის გადაეცათ იქ დაცული ქონება. როგორც მე შევიტყვე, ქსერქსესმა უფრო უკეთ იცოდა ყოველივე ქონება. როგორც მე შევიტყვე, ქსერქსესმა უფრო უკეთ იცოდა ყოველივე ღირშესანიშნავი რამ, რც ამ ტაძარში იყო, ვიდრე ის, რაც მან თავის ტაძრებში დატოვა, რადგან ბევრნი ელაპარაკებოდნენ მას გამუდმებით ამ ამბავზე, განსაკუთრებით კი კროდსოს ალიატესის ძის შეწირულების შესახებ.

36. დელფოელებმა რომ შეიტყვეს, ძალიან შეშინდნენ. თავზარდაცემულებმა მისნობას მიმართეს, რა უყო ტაძრის ქონებას, მიწაში ჩაფლან თუ სხვა ქვეყანაში გაიტანონ. ხოლო ღმერთმა არ მისცა ნება, მისთვის ხელი ეხლოთ, უთხრა, რომ თვითონვე მოახერხებს თავისი ქონების დაცვას. დელფოელებმა რომ ეს მოისმინეს, თავის თავზე დაიწვეს ზრუნვა: ბავშვები და ქალები გადაღმა აქადაში გაგზავნეს, მამაკაცთა დიდი ნაწილი კი ავიდა პარნასოსის მწვერვალზე, ქონება კორიკის გამოქვაბულში შეხიდეს. დანარჩენი მამაკაცები კი ლოკრიდის ამფისაში გაიხიზნენ. ამგვარად, ყველა დელფოელმა დატოვა ქალაქი, გარდა 60 მამაკაცისა და წინასწარმეტყველისა.

37. როდესაც ბარბაროსები ისე ახლოს მივიდნენ, რომ ტაძარს ხედავდნენ, ამ დროს წინასწარმეტყველმა, რომელსაც სახელად ერქვა აკერატოსი, დაინახა შიგნიდან, ტაძრის საკურთხეველიდან გამოტანილი წმინდა საჭურველი, რომლის ხელის ხლებაც ადამიანთა შორის არავისთვის იყო ნებადართული. წინასწარმეტყველი წავიდა და იქ დარჩენილ დელფოელებს შეატყობინა ეს სასწაული. ამასობაში ბარბაროსები მიიჩქაროდნენ და მივიდნენ ათენა პრონადის ტაძართან, სადაც მათ უფრო დიდი სასწაული ეჩვენათ, ვიდრე ის, რომელიც ამაზე უწინ მოხდა. მართლაც და დიდად საოცარია, რომ საომარი იარაღი, რომელიც შიგნით იდო ტაძარში, თავისით აღმოჩნდა გარეთ, ხოლო რაც ამის შემდეგ მოხდა, ის ყველა სასწაულზე უფრო მეტად არის ღირსი განცვიფრებისა. როდესაც ბარბაროსები მივიდნენ ათენა პრონადის ტაძართა, იმ დროს მათ მეხი დაეცათ ციდან, ხოლო პარნასოსს ჩამოენგრა ორი მწვერვალი, დიდი ხმაურით წამოვიდა მათკენ და ბევრი მათგანი თან ჩაიტანა. ხოლო პრონადის ტაძრიდან ყვირილი და ღრიანცელი ისმოდა.

38. ყოველივე ამის გამო ბარბაროსები შიშმა შეიპყრო. დელფოელებმა რომ შეიტყვეს, მტერი გაიქცაო, ჩამოვიდნენ მთიდან და ბარბაროსების დიდი სიმრავლე ამოხოცეს. ხოლო გადარჩენილები პირდაპირ ბეოტიელების ქვეყანაში გაიქცნენ. როგორც შევიტყვე (უკან დაბრუნებული ბარბაროსები ჰყვებოდნენ), მათ ამის გარდა სხვა სასწაულიც უნახავთ, სახელდობრ ასეთი: ორი ჰოპლიტი, ტანად გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები, მისდევდა სპარსელებს, მიერეკებოდა და ხოცავდა.

39. ხოლო დელფოელები ამბობენ, რომ ეს ორნი არიან ადგილობრივი გმირები, ფილაკოსი და ავტონოსი, რომელთა სალოცავებიც ტაძრის მახლობადაა,

ფილაკოსისა გზასთან, პრონადის ტაძრის ზემოთ, ხოლო ავტონომოსისა კასტალიის მახლობლად, ჰიამპეის მწვერვალის ქვემოთ. პარნასოსიდან ჩამოცვნილი ქვეები ჩვენს დრომდე არის შემონახული და აწყვია ათენა პრონადის სალოცავში, სადაც ისინი ჩაგორდნენ მას მერე, რაც ბარბაროსთა მწყობრები გადაჰქელეს. ასე წავიდნენ ეს მოლაშქრენი ამ ტაძრიდან.

40. ხოლო ელინთა ფლოტმა ათენელათა თხოვნისამებრ ხომალდები არტემისიონიდან სალამინში გადასხა. ათენელებმა იმიტომ ითხოვეს იმათი სალამინში გაგზავნა, რომ თავისი ცოლშვილის ატიკიდან გაყვანა უნდოდათ და შემდეგ აპირებდნენ თათბირს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ. ათენელები შექმნილი მდგომარეობის გამო აპირებდნენ თათბირს, რადგან მოლოდინი გაუცრუვდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ბეოტიაში იპოვიდნენ ბარბაროსის წინააღმდეგ ჩასაფრებულ ყველა პელოპონესელს უკლებლივ, მაგრამ მსგავსი არაფერი დახვედრიათ, ის კი არა, ისიც შეიტყვეს რომ პელოპონესელები ისთმოსს კედლით ამაგრებდნენ, რომ ისინი გასაკუთრებით ზრუნავდნენ პელოპონესის გადარჩენაზე და იმას იცავენ, ხოლო დანარჩენი არ ენაღვლებათ. ეს რომ შეიტყვეს ათენელებმა, მოითხოვეს სალამინთან გაჩერებულიყვნენ.

41. ამგვარად, ომის ყველა სხვა მონაწილე გაჩერდა სალამინთან, ხოლო ათენელები დადგნენ თავის საკუთარ მიწა-წყალთან. მოსვლისთანავე ათენელებმა გამოაცხადეს - ვისაც კი შეუძლია, გადაარჩინოს თავისი შვილები და მსახურები. ამის მერე უმეტესობამ ტროადენეში გაგზავნა თავისი ოჯახი, სხვებმა - აფინაზე, დანარჩენებმა - სალამინზე. ყველანი ჩქარობდნენ ქონება გადაემაღათ, რადგან რა თქმა უნდა, მისნობას ემორჩილებოდნენ, მაგრამ უფრო მეტად ამაზე ზრუნავდნენ. ათენელები ამბობენ, აკროპოლისის მცველი დიდი გველი ბინადრობს ტაძარშიო. ისინი ამას ამბობენ და თან ყოველთვიური შესაწირავი თაფლის კვერია. უწინდელ დროში ეს თაფლის კვერი მუდამ შექმული ხვდებოდათ, ახლა კი ხელუხლებელი ნახსე. როდესაც ქურუმმა ქალმა მათ ეს აუწყა, ათენელებმა დიდი ხალისით დასტოვეს ქალაქი, რადგანაც ისე მიიჩნიეს, თითქოს ღმერთქალს დაეტოვებინოს აკროპოლისიკ. როდესაც კი მათ თავისი სარჩო - საბადებელი სამშვიდობოს გაზიდეს, თვითონაც გაცურეს ლაშქრის სადგომისაკენ.

42. არტემისიონიდან წამოსულებმა სალამინთან რომ დააყენეს ხომალდები, ელინთა ფლოტის დანარჩენი ნაწილიც წამოვიდა ტროადენედან და შეუერთდა მათ. ადრე კი ნათქვამი ჰქონდათ შეგროვილიყვნენ ტროადენეს ნავსადგურში - პოგონში. ამგვარად, გაცილებით უფრო ბევრი ხომალდი მოგროვდა, ვიდრე არტემისიონის საზღვაო ბრძოლაში ღებულობდა მონაწილეობას და ამასთანავე ბევრად მეტი ქალაქებიდან. ფლოტს მეთაურობდა იგივე, ვინც არტემისიონთან ხელმძღვანელობდა მას, ევრიბიადეს ევრიკლიდესის ძე, სპარტელი, მაგრამ არა სამეფო წარმოშობისა. ყველაზე მეტი და ამასთანავე საუკეთესოდ მოცურავე ხომალდები ჰყავდათ ათენელებს.

43. ხოლო საზღვაო ლაშქრობაში მონაწილეობდნენ შემდეგნი: პელოპონესიდან იყვნენ ლაკედემონელები, რომელთაც ჰყავდათ 16 ხომალდი; კორინთელები, რომელთაც იმდენივე ხომალდი ჰყავდათ, რადენიც არტემისიონთან, სიკიონელები - რომლებისაც 15 ხომალდი ჰყავდათ, ეპიდავრელებს - 10, ტროადენელებს - 5,

ჰერმიონელებს - 3. ყველა ესენი, გარდა ჰერმიონელებისა, დორიული და მაკედონური მოდგმისა იყვნენ; ისინი ბოლოს ჩამოსახლდნენ ერინეოსიდან, პინდოსიდან და დრიოპიდიდან. ჰერმიონელები დრიოპები არიან, რომლებიც ჰერაკლემ და მელიელებმა გამოაძევეს, ახლა დორიდად წოდებული მხარიდან.

44. პელოპენესელთაგან ესენი ლაშქრობდნენ, ხოლო იმ ტერიტორიიდან, რომელიც მათი ქვეყნის გარეთ მდებარეობს, შემდეგნი მონაწილეობენ: ათენელები, რომელთაც ყველა სხვათაგან განსხვავებით, 180 ხომალდი გამოიყვანეს. ეს იმიტომ, რომ სალამინში ათენელებს საზღვაო ბრძოლის დროს პლატელებმა არ უშველეს და არ უშველეს შემდეგი მიზეზის გამო: როდესაც ელინები არტემისიონიდან უკან ბრუნდებოდნენ, ქალკიდას რომ გაუსწორდნენ, პლატელები ჩამოსხდნენ გადაღმა მდებარე ბეოტიის ქვეყანაში იმისათვის, რომ შინაურებისათვის მიეხედათ. ამრიგად, ისინი ჩამორჩნენ იმის გამო, რომ თავისიანები გადაერჩინათ. ხოლო ათენელები, სანამ პელაზგებს ეპყროთ დღევანდელი ელადად წოდებული ქვეყანა, თვითონაც პელაზგები იყვნენ და ეწოდებოდათ კრანაები, მეფე კეკროპის დრო კეკროპიდები ერქვათ, ხოლო როდესაც მმართველობა ერეხთევსმა დაიმკვიდრა, მაშინ დაერქვათ ათენელები. მაგრამ იონ ქსუთონსის ძე რომ გახდა მხედართმთავარი, ათენელებს მისი სახელის მიხედვით ეწოდათ იონიელები.

45. მეგარელებმა ამჯერადაც იმდენი ხომალდები მოიყვანეს, რამდენიც არტემისიონში, ამპრაკიოტები 7 ხომალდით მოვიდნენ საშველად; ხოლო ლევკადები - სამით, ესენი იყვნენ დორიული ტომები კორინთოდან.

46. კუნძულის მცხოვრებთაგან აფინელებმა 30 ხომალდი გამოიყვანეს. ამათ სხვა ხომალდებიც ჰყავდათ გამზადებული, მაგრამ ისინი თავის კუნძულთან ეყენათ დასაცავად. სალამინის საზღვაო ბრძოლაში ესენი მონაწილეობდნენ 30 საუკეთესოდ მცურავი ხომალდით. აფინელები ეპიდავროსიდან გამოსული დორიელები არიან. ხოლო კუნძულს უწინ ერქვა ონონე. აფინელებს შემდეგ იდგნენ ქალკიდელები იმ ოცი ხომალდით, რომელიც არტემისიონშიც ჰყავდათ და ერეტრიელები - შვიდი ხომალდით. ესენი იონიელები არიან. შემდეგ იდგნენ კოსელები, რომელთაც იგივე ხომალდები გამოიყვანეს, რაც ჰყავდათ არტემისიონში. ეს ათენელთაგან გამოსული იონიური ტომია. ნაქსოსელებს ჰყავდათ ოთხი ხომალდი. ესენი სხვა კუნძულების მცხოვრებლებისა არ იყოს, მოქალაქეების მიერ მიდიელებთან და ელინებთან მივიდნენ წაქეზებულები დემოკრიტოსის მიერ, რომელიც მოქალაქეთა შორის პატივცემული პიროვნება იყო და მაშინ ტრიერარქობდა. ნაქსოსელები წარმოშობით ათენელი იონიელები არიან. სტირეელებმა იგივე ხომალდები გამოიყვანეს, რაც არტემისიონში ჰყავდათ, კითნოსის მცხოვრებლებმა ერთი ხომალდი და ერთიც ორმოცდაათნიჩბიანი ნავი მოიყვანეს. ორივენი ესენი დრიოპები არიან.

ამათ გარდა ლაშქრობდნენ სერიფოსელები, სიფნოსელები და მელოსელები. კუნძულის მცხოვრებთა შორის მხოლოდ მათ არ მისცეს ბარბაროსს მიწა და წყალი.

47. ყველა ეს მოლაშქრე ცხოვრობს თესპროტებისა და მდინარე აქერონტის აქეთა მხარეს, რადგან თესპორტები ამპრაკიოტებისა და ლევკადების მეზობლები არიან; ესენი კი ელადის უკიდურესი ქვეყნიდან მოვიდნენ სალაშქროდ. ხოლო ამ ადგილების გადაღმა მხარეს მცხოვრებთაგან, მხოლოდ კროტონელები მოვიდნენ

საფრთხეში მყოფი ელადის საშველად, ისიც ერთი ხომალდით, რომელთაც მართავდა ფაილოსი, პითიურ შეჯიბრებებში სამგზის გამარჯვებული. კროტონელები წარმოშობით აქეელები არიან.

48. ყველა მოლაშქრემ ტრიერები მოიყვანა, ხოლო მელოსელებმა, სიფნოსელებმა და სერიფოსელებმა - ორმოცდაათნიჩბიანი ნაეზი. მელოსელებმა, რომლებიც წარმოშობით ლაკედემონიდან არიან, მოიყვანეს ორი, სიფნოსელებმა და სერიფოსელებმა, რომლებიც ათენელი იონიელები არიან, თითოეულმა - თითო. ორმოცდაათნიჩბიან ნაეზებს გარდა ყველა ხომალდის რიცხვი იყო 378.

49. როდესაც სალამინში მოიყარეს თავი მოხსენებული ქალაქებიდან მოსულმა მხედართმთავრებმა, თათბირი გამართეს. ამ თათბირზე ევრიბიადესმა გამოთქვა აზრი, რომ ვინც კი მოისურვებს, ყველას შეუძლია დაასაბუთოს, თუ იმ მხარეთა შორის, რომელთა მფლობელებიც ესენი არიან, სად მიაჩნიათ უფრო მეტად მოსახერხებლად საზღვაო ბრძოლის გამართვა. რადგან ატიკა უკვე ხელიდან ჰქონდათ გაშვებული, ეს წინადადება დანარჩენ მხრეებს ეხებოდა. მეტი წილი გამოთქმული აზრებისა ერთგვარი იყო და იმას გულისხმობდა, რომ გაეცურათ ისთმოსი და საზღვაო ბრძოლა გაეჩაღებინათ პელოპონესის წინ. ამას შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებდნენ: თუ სალამინზე მყოფნი საზღვაო ბრძოლის დროს დამარცხდებოდნენ, მათ ალყას შემოარტყამდნენ კუნძულზე სადაც არავითარი შეწევნა არ გამოუჩნდებოდათ, ხოლო ისთმოსზე რომ დამარცხებულიყვნენ, ყოველთვის გადაირჩენდნენ თავს თავისიანებში.

50. როდესაც პელოპონესელი მხედართმთავრები ამას ბჭობდნენ, მოვიდა ერთი ათენელი და შეატყობინა, რომ ბარბაროსი შევიდა ატიკაში და იქაურობას სულ ცეცხლით ანადგურებს. მართლაც, იმ ლაშქარმა, რომელმაც ქსერქსესთან ერთად გადაიარა ბეოტიაზე, გადაწვა თესპიელთა ქალაქი (ხალხი კი გადარჩა), გაემართა პელოპონესში და პლატეელთა ქალაქსაც იგივე დღე დააწია; შემდეგ მივიდა ათენში და აქაც ყოველივე გაანადგურა. ხოლო თესპეა და პლატეა იმიტომ გადაწვა, რომ თებელთაგან შეიტყო, ისინი მიდიელთა მხარეზე არ არიანო.

51. ჰელესპონტზე რომ გადავიდნენ (საიდანაც დაიწყეს მსვლელობა ბარბაროსებმა), აქ მათ ერთ თვეს დაჰყვეს და ამასობაში თანდათან გადადიოდნენ ევროპეში; ამის შემდეგ კი უკვე სამ თვეში ისინი ატიკაში იყვნენ, ხოლო ათენელებს ამ დროს არქონთობდა კალიადესი. ბარბაროსებმა აიღეს დაცარიელებული ქალაქი და აღმოაჩინეს ის მცირერიცხოვანი ათენელები, რომლებიც სამლოცველოში იმყოფებოდნენ - სამლოცველოს ხაზინადრები და ღარიბი ხალხი, აკროპოლისს რომ იცავდნენ და თავდამსხმელებს კარებითა და კეტებით იგერიებდნენ. ესენი სალამინში რომ წავიდნენ თავისი უსახსრობის გამო, ამას გარდა, ისინი ფიქრობდნენ, რომ მიხვდნენ, რასაც გულისხმობდა მისნობა, რომელიც მათ აუწყა პითიამ, ხის ზღუდე აუღებელი არისო. ამრიგად, მისნობის მიხედვით, სწორედ ეს მიიჩნიეს თავშესაფარად და არა ხომალდები.

52. ხოლო სპარსელები დაბანაკდნენ აკროპოლისის პირდაპირ მდებარე ბორცვზე, რომელსაც ათენელები არეოპაგს უწოდებენ და აკროპოლისს ალყა შემდეგნაირად შემოარტყეს: ისრებს ახვევდნენ ძენძს, ცეცხლს უკიდებდნენ და ისე ესროდნენ მათ

ზღუდეს. ალყაშემორტყმული ათენელები მაინც თავს იცავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურეს გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვენილი და ზღუდეც ვეღარ ემსახურებოდა მას. არც პედისსტრატეგების წინადადება მიიღეს მათ, რომ მტერს დანებებოდნენ, ყოველმხრივ უმკლავდებოდნენ მათ და ისიც კი გამოიგონეს, რომ უზარმაზარ ქვეებს ესროდნენ კარიბჭეებთან მოსულ ბარბაროსებს, ისე რომ ქსერქსესმა, რადგან ვერ შეძლო მათი დაპყრობა, დიდი ხნის განმავლობაში არც კი იცოდა, თუ რა უნდა ექნა.

53. ბოლოს, ამ გაჭირვების მერე ბარბაროსებს გამოუჩნდათ რაღაც საშუალება აკროპოლისში შესვლისა. ღვთისგანგების მიხედვით ხომ მთელი ატიკა, რომელიც ხმელეთზე მდებარეობდა, სპარსელების ხელში უნდა გადასულიყო. აკროპოლისის წინ, ხოლო კარიბჭეებისა და მათზე ასასვლელი გზის უკან, რომელსაც არავინ სდარაჯობდა, რადგან იმედოვნებდნენ, რომ იქ კაცთაგანი ვერავინ შეძლებდა ასვლას, აი, ამ ადგილას, კეკროპსის ასულის, აგლავროსის სალოცავთან ავიდა რამდენიმე კაცი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ციკაბო ადგილი იყო. ათენელებმა რომ დაინახეს ისინი აკროპოლისზე ასული, ზოგი გალავნიდან გადმოცვივდა ძირს და დაიღუპა, ხოლო სხვებმა სალოცავს შეაფარეს თავი. იმ სპარსელებმა რომლებიც ზევით იყვნენ ასული, პირველად კარიბჭეებს მიაშურეს, გააღეს ისინი და მავედრებლები ამოხოცეს. ყველანი რომ გაწყვიტეს, გაძარცვეს სალოცავი და ცეცხლი წაუკიდეს მთელ აკროპოლისს.

54. ათენის მთლიანად დაპყრობის ემრე, ქსერქსესმა სუსაში მოციქულად მხედარი გაგზავნა, რომ შეეტყობინებინა არტაბანოსისათვის თავისი წარმატების ამბავი. მოციქულის გაგზავნიდან მეორე დღეს შეჰკრიბა მან ათენელთა მიერ გაძევებულები, რომლებიც მის ლაშქარს ახლდნენ და უბრძანა მათ, რომ ასულიყვნენ აკროპოლისზე და თავისი ჩვეულებების თანახმად მოეხდინათ მსხვერპლშეწირვა. მან ეს ალბათ იმიტომ ბრძანა, რომ ან სიზმარში ნახა რაღაც ჩვენება, ანდა მას რაღაცნაირად აწუხებდა სალოცავის გადაწვა. ათენელთაგან გაძევებულმა შეასრულეს მისი ბრძანება.

55. ახლა იმას ვიტყვი, თუ რისთვის გავიხსენე ეს ამბავი. აკროპოლისზე არის ერეხთევსის ტაძარი, მიწის მიერ შობილისა. ამ ტაძარში ზეთისხილის ხე და ჭა; ათენელების სიტყვით ეს ხე და ჭა ამ ადგილას იმას მოასწავებს, რომ პოსედონი და ათენა დავობდნენ ამ ქვეყნისათვის. ბარბაროსებმა დანარჩენ სალოცავთან ერთად ეს ზეთისხილის ხეც გადაწვეს. ხანძრის მეორე დღეს ათენელები, რომელთაც მეფემ უბრძანა, რომ მსხვერპლი შეეწირათ, შევიდნენ სალოცავში და დაინახეს ზეთისხილის ხის ღეროდან გამოსული შტო, დაახლოებით ერთი წყრთის ოდენა. ამათ ამის შესახებ მოახსენეს მეფეს.

56. სალამინში მყოფი ელინები (როდესაც შეიტყვეს, თუ რა მოხდა ათენში აკროპოლისზე) ისეთნაირად შეშფოთდნენ, რომ ზოგი მხედართმთავარი აღარც კი დარჩა მათ წინაშე მდგარი საქმის გადასაწყვეტად; მათ მიაშურეს ხომალდებს და აუშვეს აფრები რომ გაქცეულიყვნენ. ხოლო დარჩენილებმა გადაწყვიტეს ისთმოსთან საზღვაო ბრძოლა გაემართათ. დადგა ღამე, ელინები დაიშალნენ შეკრებიდან და ჩასხდნენ ხომალდებში.

57. როდესაც თემისტოკლესი დაბრუნდა თავის ხომალდზე, მას შეეკითხა ათენელი მნესიფილოსი, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს. როდესაც შეიტყო, რომ გადაწყვეტილია ხომალდების გაყვანა ისთმოსთან და საზღვაო ბრძოლის გამართვა პელოპონესისათვის, თქვა: „არა, თუ ხომალდებს სალამინიდან წაიყვანენ, სამშობლოსათვის აღარ გამოგვივა საზღვაო ბრძოლა. რადგან თითოეული თავთავის ქალაქში წავა და მათ დაჭერას, რომ არ დაიფანტოს ლაშქარი, ვერც ევრიბიადესი შეძლებს და ვერც სხვა ვინმე მე ხორციელი, ელადა უვარგისი გადაწყვეტილებების გამო იღუპება. ამიტომ, თუ გაქვს რაიმე საშუალება, წადი და შეეცადე შეაცვლევირო გადაწყვეტილება. ეგება როგორმე შეიძლო და დაარწმუნო ევრიბიადესი, შეიცვალოს აზრი და აქ დარჩეს.“.

58. თემისტოკლეს ეს აზრი ძალიან მოეწონა, არაფერი უპასუხა მნესიფილოსს და წავიდა ევრიბიადესის ხომალდისაკენ. როდესაც მივიდა, უთხრა, ევრიბიადესს, რომ სურს მასთან ლაპარაკი საზოგადო საქმის გამო. ევრიბიადესმა უთხრა ხომალდზე ასულიყო და ეთქვა რაც უნდოდა. მაშინ თემისტოკლესი მიუჯდა მას გვერდით და უთხრა ყოველივე, რაც კი მოისმინა მნესიფილოსისაგან, მაგრამ ისე, თითქოს მისი საკუთარი აზრი ყოფილიყო და ბევრი სხვაც დაუმატა. ვიდრე თხოვნით არ დაარწმუნა, ჩასულიყო ხომალდიდან და მხედართმთავრები სათათბიროდ შეეკრიბა.

59. როდესაც მხედართმთავრები შეიკრიბნენ, იმაზე უწინ, ვიდრე ევრიბიადესი ეტყოდათ მათ, თუ რისთვის შეჰკრიბა ისინი, თემისტოკლესმა ბევრი ილაპარაკა, რადგან ძალიან უნდოდა მათი დაყოლიება. როდესაც ის ლაპარაკობდა, კორინთელმა მხედართმთავარმა, ადემანტოს ოკიტოსის ძემ თქვა: „თემისტოკლესს, შეჯიბრების დროს ვინც დროზე ადრე ადგება, იმას ჯოხით სცემენ“. თემისტოკლესმა ამაზე მობოდიშებით უთხრა: „ხოლო ვინც ჩამორჩება, მას გვირგვინს არ ადგამენ“.

60. მაშინ ასე ტკბილად უპასუხა მან კორინთელს, ხოლო ევრიბიადესს აღარაფერი უთხრა იმის შესახებ, რაც უწინ ჰქონდა ნათქვამი, რომ თუ კი სალამინიდან წავიდოდნენ, ჯარი დაიფანტებოდა; რადგან რაკილა მოკავშირეები იქ იყვნენ, არ ივარგებდა, რომ ვინმე დაედანაშაულებინა. მან ახლა სხვა საბუთები გამოიყენა და თქვა: „შენს ხელთ არის ახლა ელადის ხსნა, თუ დამიჯერებ, აქ დარჩები და აქ გამართავ საზღვაო ბრძოლას და არ დაუჯერებ იმათ, ვინც მოითხოვს ხომალდების გადაყვანას ისთმოსში. მოისმინე ორივე წინადადება და ერთიმეორეს დაუპირისპირე. ისთმოსში თუ შეეჯახებით ერთმანეთს, ღია ზღვაში მოგიხდება ბრძოლა, რაც ჩვენ ძალიან ნაკლებად გვარგებს, რადგან ჩვენი ხომალდები მძიმეები არიან და რიცხვით მცირენი. და სხვაფრივ რომ კიდევაც გაგიღიმოს ბედმა, მაინც ვკარგავთ სალამინს, მეგარასა და აფინას. ბარბაროსთა საზღვაო ფლოტს ქვეითი ჯარი მოჰყვება. ისე რომ, შენ თვითონ წაიყვან მათ პელოპონესში და საფრთხეში ჩააგდებ მთელს ელადას. ხოლო თუ იმას გააკეთებ, რასაც მე გეუბნები, ამით ასეთ უპირატესობას მოიპოვებ: ჯერ ერთი, თუ ჩვენი მცირერიცხოვანი ხომალდებით მათ ურიცხვ ფლოტს ვიწრო ადგილას შეებრძოლებით (თუ კი ომს სათანადო შედეგი მოჰყვა), მაშინ ჩვენ გადამწყვეტ გამარჯვებას მოვიპოვებთ, რადგან ვიწრო ადგილას საზღვაო ბრძოლა ჩვენთვისაა ხელსაყრელი, გაშლილ ზღვაში კი - მათთვის. ეგეც არ იყოს, გადარჩება სალამინი, სადაც ბავშვები და ქალები გვყავს გადამალული; ამას გარდა იმის შესაძლებლობაც გვექნება, რაც განსაკუთრებით გინდათ: აქ რომ დარჩები, იმაზე არანაკლებ იბრძოლებ პელოპონესისათვის, ვიდრე მაშინ ისთმოსში რომ გამართო

საზღვაო ბრძოლა და არც მტერს გაუძღვები პელოპონესისაკენ, თუ კარგად დაფიქრდები. თუ ისე მოხდება, როგორც მე ვფიქრობ, და ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენი ხომალდებით, მაშინ ბარბაროსები ვერც თქვენ მოგადგებიან ისთმოსში, ვერ ატიკაში უფრო შორს წასვლას შეძლებენ და უკან გაბრუნდებიან ყოველგვარი წესრიგის გარეშე¹. ჩვენ დიდად ვისარგებლებთ მეგარის, აფინისა და სალამინის გადარჩენით, სალამინისა, სადაც, წინასწარმეტყველების თანახმად, მტერს უნდა ვაჯობოთ. როდესაც ადამიანები გონივრულ რასმე გადაწყვეტენ, ჩვეულებრივ როგორც უნდათ, ისე ხდება ხოლმე, ხოლო როდესაც გონივრულად არ სწყვეტენ, მაშინ არც ღმერთს სურს ადამიანთა მხარეზე დადგომა“.

61. როდესაც თემისტოკლესი ამას ლაპარაკობდა, კორინთელი ადემანტოსი მას კვლავ თავს დაესხა, უბრძანა ჩუმიად ყოფილიყო, რადგან მას სამშობლო არ ჰქონდა. ადემანტოსი არ აძლევდა ნებას ევრიბიადესს, რომ თემისტოკლესისათვის მიეცა ხმა, როგორც ისეთი პიროვნებისათვის, რომელსაც ქალაქი არ ჰქონდა. მან თქვა, რომ როდესაც თემისტოკლესი აჩვენებს მათ თავის ქალაქს, მაშინ შეეძლება მას თავისი აზრის გამოთქმა. ის ამას იმიტომ ამბობდა, რომ ათენი აღებული იყო და მტერს ეპყრა. მაშინ თემისტოკლესმა მასაც და კორინთელებსაც ბევრი ცუდი რამ აკადრა და თავის სიტყვაში დაუმტკიცა, რომ ათენელებს უფრო დიდი ქალაქი და ქვეყანა აქვთ, ვიდრე მათ და რომ ათენელებმა 200 შეჭურვილი ხომალდი გამოიყვანეს, რომლებსაც ელინთაგან ვერავინ გაუმკლავდება, თუ კი ისინი თავს დაესხმიან.

62. ეს რომ თქვა, მერე ევრიბიადესზე გადავიდა, მაგრამ ახლა უფრო გაცხარებით ლაპარაკობდა: „შენ თუ აქ დარჩები, კარგი ვაჟკაცი იქნები, თუ არა და დალუპავ ელადას. რადგან ჩვენთვის ამ ბრძოლაში ყველაფერი ხომალდებია, მაგრამ დამიჯერე - თუ არ გააკეთებ ამას, ჩვენს წავიყვანთ ყველა შინაურს და წავალთ სირისში, რომელიც იტალიაშია, რაც ძველიდანვე ჩვენი იყო და როგორც ნაწინასწარმეტყველვეი გვაქვს, ის ჩვენ უნდა დავასახლოთ. როდესაც თქვენ ამისთანა მოკავშირეებს დაჰკარგავთ, მაშინ გაიხსენებთ ჩემს სიტყვებს“.

63. თემისტოკლესმა ასე ილაპარაკა და ევრიბიადესმა მას დაუჯერა; მე ვფიქრობ, უფრო იმიტომ დაუჯერა, რომ ეშინოდა, ათენელებმა არ მიგვატოვონ, თუ კი ისთმოსში წავიყვან ხომალდებსო, რადგან თუ ათენელები მათ მიატოვებდნენ, დანარჩენები ვეღარ შეძლებდნენ მტერთან ბრძოლას. ამიტომ ევრიბიადესმა თემისტოკლესის აზრი ამბობინა, რომ დარჩენილიყო იქვე და საზღვაო ბრძოლა გაემართა.

64. ამრიგად, სალამინთან მყოფნი ასეთ სასტიკ პაექრობაში იყვნენ, მაგრამ მას მერე, რაც ევრიბიადესმა გადაწყვიტა, მათაც დაიწყეს სამზადისი, რომ იქვე გაემართათ საზღვაო ბრძოლა. დღე რომ დადგა, მზის ამოსვლისთანავე იძრა მიწაც და ზღვაც. მაშინ ელინებმა გადაწყვიტეს ელოცათ ღმერთების მიმართ და მოკავშირეებად მოეწვიათ ადაკიდები. როგორც გადაწყვიტეს, ისე მოიქცნენ კიდევ; მათ ილოცეს ყველა ღმერთების მიმართ და სალამინინდა გამოიძახეს ადანტი და ტელამონი, ხოლო ადაკოსსა და სხვა ადაკიდებს ხომალდი გაუგზავნეს აფინაში.

65. დიკაძოსმა, თეოკიდესის ძემ, ათენელმა, იქიდან გამოქცეულმა და მიდიელებში დიდად დაფასებულმა, თქვა, რომ იმ დროს, როდესაც ათენელთაგან დაცარიელებულ

ატიკის ქვეყანას აჩანაგებდა ქსერქსესის ქვეითი ჯარი, მაშინ ის შემთხვევით იყო დემარეტოს ლაკედემონელთა ერთად თრიის დაბლობზე და მათ დაინახეს ელევსინიდან წამოსული მტვრის ბუქი, თითქოს სულ ცოტა 30 000 კაცისაგა დაყენებული და როდესაც გაიკვირვეს, ამისთანა ბუქს რა ხალხი დააყენებდაო, უცხად გაიგონეს ხმაც, და ეს ხმა მათ მისტიკურ იაკქოსის ხმად ეჩვენათ. რადგან დემარეტოსმა არაფერი იცოდა იმ წესჩვეულებების შესახებ, რომლებიც სრულდებოდა ელევსინში, ამიტომ შეეკითხა დიკაიოსს, ეს რა ხმები ისმისო, მან კი უპასუხა: "დემარეტოს, მართლაც და რაღაცა დიდი უბედურება არის მეფის ლაშქრის თავს. რადგან ატიკა დაცარიელებულია, ცხადია, რომ ეს ხმა ღვთაებრივია და ათენელთა და მათ მოკავშირეთა საშველად მოდის ელევსინიდან. თუ მტვერი დაეშვება პელოპონესზე, მაშინ საფრთხე მეფეს და მის ჯარს ხმელეთზე ემუქრება, ხოლო თუ ის მიემართება ხომალდებისკენ, რომლებიც სალამინთან დგანან, მაშინ მეფე თავისი საზღვაო ლაშქრის დაკარგვის საფრთხე მოელის, ამ დღესასწაულს ათენელები ყოველწლიურად მარტავენ დედისა და ასულის პატივსაცემად და ვისას სურს ათენელთაგან, თუ სხვა ელინთაგან, ყველას შეუძლია ამ მისეტერიაში მონაწილეობის მიღება. ხმა, რომელიც გესმის, სადღესასწაულო შემახილია იაკქოსის მიმართ". ამაზე მიუგო დემარეტოსმა: "ჩემად იყავი და სხვას არავის უთხრა ასეთი რამ. თუ მეფემდე მიაღწია ამ სიტყვებმა, თავს წაგაცლიან, ვერც მე გიშველი და ვერც სხვა ვინმე. წყნარად იყავი და ლაშქარე ღმერთები იზრუნებენ". დემარეტოსი რომ ასე არიგებდა, მტვრისაგან იმ ადგილიდან, საიდანაც ხმა მოიდიოდა, წარმოსდგა ღრუბელი, ზევით ზევით აიწია და გაემართა სალამინისაკენ, სადაც ელინთა ბანაკი იყო. ამით შეიტყვეს მათ, რომ ქსერქსესის ფლოტს დაღუპვა მოელოდა. აი, ამას მოჰყვა დიკაიოსის, თეოკიდესის ძე, რომელიც იმოწმებდა დემარეტოსისა და სხვების სიტყვებს.

66. ქსერქსესის საზღვაო ლაშქრის მონაწილეებმა ლაკონიკის ჯარის დამარცხების ადგილი დაათვალიერეს და ტრექისიდან ჰისტიადეში გადავიდნენ, იქ მოიცადეს სამ დღეს, გაცურეს ევრიპოსზე და შემდეგ სამ დღეში მივიდნენ ფალერონში. მე ვფიქრობ, რომ რაოდენობრივად ათენში უფრო ნაკლებნი არ შეჭრილან (თუ ხმელეთიდან და თუ ხომალდებით მოსულები), ვიდრე სეპიასსა და თერმოპილეში, რადგან იმ ბარბაროსების მაგივრად, რომლებიც უამინდობის გამო დაიღუპნენ თერმოპილესა და არტემინოსში საზღვაო ბრძოლის დროს, გამოვიდა ის ხალხი, რომელიც მაშინ ჯერ არ იყო მეფის მხარეზე. ესენი იყვნენ: მალიელები, დორიელები, ლოკრები, ბეოტიელები, რომლებიც მთელი ლაშქრით მისდევდნენ მეფეს, თესპიელებისა და პლატეელების გამოკლებით, ამათ გარდა კარისტელები, ანდროსელები, ტენოსელები და ყველა დანარჩენი კუნძულების მცხოვრებლები, გარდა იმ ხუთი ქალაქისა, რომელთა სახელებიც ზემოთ მოვიხსენიე. საერთოდ, რაც უფრო ღრმად შედიოდა ელადამი სპარსელი მეფე, მით უფრო მეტი ტომები მისდევდნენ მას.

67. მივიდნენ ათენთან პაროსელებს გარდა ყველა ესენი (პაროსელები კი დარჩნენ კითონოსში და უყურებდნენ თუ ომი რანაირად წარიმართებოდა); როდესაც დანარჩენები მივიდნენ ფალერონში, იქ თვითონ ქსერქსესი ჩამოვიდა ხომალდებიდან, რადგან უნდოდა მეზღვაურებში გარეულიყო და შეეტყო იმათი აზრი; მივიდა ქსერქსესი მათთან და დაჯდა თავის ადგილას; მივიდნენ მასთან ხომალდებიდან მის მიერ გამოძახებული პირები: სხვადასხვა ხალხების ტირანები და ტაქსიარქები და ჩამოსხდნენ იმის მიხედვით, თუ თითოეულ მათგანს მეფე რა პატივს

ანიჭებდა: პირველი იყო სიდონის მეფე, შემდეგ ტიროსისა და მათ შემდეგ ყველა სხვა. როდესაც ისინი ასე ჩამორიგდნენ, ქსერქსესმა გაგზავნა მარდონიოსი, რომ ჩამოევლო და თითოეულისათვის ეკითხა, უნდა გაიმართოს თუ არა საზღვაო ბრძოლა.

68. შემდეგ მარდონიოსმა ჩამოიარა და შეკითხვა დაიწყო სიდონის მეფისაგან, ყველანი ერთსა და იმავე აზრს გამოთქვამდნენ, ამბობდნენ უნდა გაიმართოს საზღვაო ბრძოლა, მხოლოდ არტემისიემ თქვა შემდეგი: ა) "მარდონიოს, გადაეცი მეფეს - ის, რასაც მე ვლაპარაკობ, რადგან ყველაზე უარესი არ ვყოფილავარ ევბეასთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში და არც ყველაზე ნაკლებად გამომიჩენია თავი. უფალო, სამართლიანი იქნები, რომ მე ჩემი აზრი გამოვთქვა, ვთქვა რა მიმაჩნია ყველაზე სასარგებლოდ შენთვის. ამიტომ შემდეგს გეუბნები: მოუფრთხილდი ხომალდებს და ნუ გამართავ საზღვაო ბრძოლას, რადგან ეს ხალხი შენს ხალხთან შედარებით იმდენად ძლიერია ზღვაზე, რამდენდაც მამაკაცები - ქალებზე. რისთვის უნდა ჩაიგდო თავი საფრთხეში ამ საზღვაო ბრძოლებით? განა შენს ხელთ არ არის ათენი, რომლის გულისთვისაც წამოიწყე ეს ლაშქრობა, განა დანარჩენი ელადაც შენი არ არის? ისეთი ხომ არავინაა, შენ რომ გელობებოდეს. მათ, შენს წინააღმდეგ სამაგიერო უკვე მიეზღოთ. ბ) ახლა იმას გეტყვით, თუ როგორ წარიმართება მტრის საქმეები, ჩემი აზრით. თუ არ წამოიწყებ საზღვაო ბრძოლას, არამედ ნაპირთან დარჩები და ხომალდებს აქვე იყოლიებ, ანდა სულაც წინ წახვალ პელოპონესისაკენ, მაშინ უფალო, სულ ადვილად აგისრულდება შენი განზრახვა, რისთვისაც ხარ მოსული, რადგან ელინებს არ შეუძლიათ წინააღმდეგობა დიდხანს გაგიწიონ, შენ მათ დაჰფანტავ და ისინი თავ-თავის ქალაქში გაიქცევიან. რადგან, როგორც შევიტყვე, ამ კუნძულზე მათ საზრდო არა აქვთ და არც ისაა მოსალოდნელი, რომ შენ თუ პელოპონესისაკენ წაიყვან ქვეით ჯარს, პელოპონესიდან მოსულები აქ წყნარად ისხდნენ, ან და მოუნდეთ ათენის გულისათვის საზღვაო ბრძოლა. გ) ხოლო თუ შენ სასწრაფოდ წამოიწყებ საზღვაო ბრძოლას, მეშინია, რომ ფლოტი დაგიმარცხდება და ეს ქვეითი ჯარსაც დაგილუპავს. ამას გარდა, მეფეო, მიაქციე ყურადღება იმასაც, რომ ჩვეულებრივ კარგ ხალხს ცუდი მონები ჰყავს, ხოლო ცუდს - კარგი. შენ, საუკეთესოს ყველა ადამიანთა შორის, ცუდი მონები გყავს და ისინი შენს მოკავშირეთა შორის ირიცხებიან. ესენი არიან ეგვიპტელები, კიპროსელები, კილიკიელები და პამფილიელები, რომელთაგან არავითარი ხეირი არ არის".

69. როდესაც არტემისიე ამას ელაპარაკებოდა მარდონიოსს, ამ ქალის მიმართ კეთილად გაწყობილები შეწუხდნენ მისი სიტყვების გამო, რომ ცუდი არაფერი შემთხვეოდა მას მეფისაგან, რადგან უშლიდან მას საზღვაო ბრძოლის გამართვას. სამაგიეროდ ისინი, ვისაც ის სძულდა და შურდა მისი რაკილა ის მოკავშირეთა შორის ყველაზე მეტად იყო პატივცემული, ხარობდნენ, რადგან ეგონათ, რომ მისი სიტყვა მას დაღუპავდა. როდესაც გადასცეს ქსერქსეს თავკაცების მიერ გამოთქმული აზრები, მას ძალიან მოეწონა არტემისიეს წინადადება; არტემისიე მას უწინაც სამაგალითო ქალად მიაჩნდა და ახლა ხომ კიდევ უფრო მეტად აქებდა მას, მაგრამ ქსერქსესმა მაინც ბრძანა, უმრავლესობისათვის დაეჯერებინათ, რადგან ეგონა, რომ ევბეასთან სპარსელები მაინცდამაინც არ ეცადნენ, რაკილა ის თვითონ არ იყო მათთან, ახლა კი ემზადებოდნენ, რომ თვითონ ეყურებინა საზღვაო ბრძოლისათვის.

70. როდესაც გასცა ბრძანება გაეცურათ, სპარსელებმა ხომალდები წაიყვანეს სალამინისკენ, იქ მოეწყვნენ და წყნარად დალაგდნენ. მაშინ ვერ გამართეს საზღვაო ბრძოლა, რადგან დღე ილეოდა და ღამე დგებოდა. ამიტომ სახვალიოდ ემზადებოდნენ. ხოლო ელინები შიშსა და შეშფოთებას შეეპყრო და მათ შორის განსაკუთრებით ისინი, ვინც პელოპონესიდან იყვნენ. ხოლო ესენი შფოთავდნენ იმიტომ, რომ თვითონ სალამინზე იყვნენ, ათენელთა მიწისათვის უნდა გაემართათ საზღვაო ბრძოლა და თუ დამარცხდებოდნენ, კუნძულზე გამოემწყვდებოდნენ ალყაშემორტყმულები, თავიანთი სამშობლო კი მიტოვებული ჰქონდათ ყოველგვარი დაცვის გარეშე. მართლაც, ბარბაროსთა ჯარი იმ ღამეს პელოპონესისაკენ გაემართა.

71. რაც კი შესაძლებელია, ყველაფერი იქნა გაკეთებული იმისათვის, რომ ბარბაროსები ხმელეთით არ შეჭრილიყვნენ პელოპონესში. როგორც კი შეიტყვეს პელოპონესელებმა, რომ თერმოპილეში დაიღუპნენ ისინი, ვინც ლეონიდესთან იყვნენ, თავიანთი ქალაქებიდან გაიქცნენ და ისთმოსში დასხდნენ, მათ მხედართმთავრად ჰყავდათ კლეომბროტოსი, ანაქანდრიდესის ძე, ლეონიდესის ძმა. ისთმოსში რომ ისხდნენ, მიწა წააყარეს სკეპრონიდის გზას, ხოლო შემდეგ მოითათბირეს და გადაწყვიტეს აემუნებინათ ისთმოსზე ზღუდე. რადგანაც მრავალი ათასი კაცი იყო იქ და ყველა მუშაობდა, ამიტომ სამუშაო სწრაფად სრულდებოდა. მოჰქონდათ ქვები, აგურები, ხეები და ქვიშით სავსე კალათები და აქ მოსულები წუთითაც არ ჩერდებოდნენ, დღე და ღამე შრომობდნენ.

72. ხოლო ისთმოსში შემდეგი ელინები გაემურნენ საშველად: ლაკედემონელები, ყველა არკადიელი, ელეელები, კორინთელები, სიკიონელები, ეპიდევრელები, ფლეიუსელები, ტრამენელები და ჰერმიონელები. სწორედ ესენი მოვიდნენ საშველად, ძალიან შეშფოთებულნი საფრთხეში ჩავარდნილი ელადის გამო. ხოლო დანარჩენი პელოპონესელები სულაც არ დარდობდნენ ამას, ამასობაში ოლიმპიური და კარნიის დღესასწაული უკვე მოთავებული იყო.

73. პელოპონესში ცხოვრობდა 7 ტომი. ამათგან ორი არის ადგილობრივი და ახლაც იმავე მხარეში სახლობს, სადაც ძველად ცხოვრობდა. ესენი არიან არკადიელები და კინურიელები. ხოლო ერთი ტომი აქეურია, რომელიც, მართალია, არ გასულა პელოპონესიდან, მაგრამ თავის საკუთარი ტერიტორია დატოვა და ცხოვრობს სხვათა მიწა-წყალზე. დანარჩენი ტომები, შვიდიდან ოთხი, მოსულები არიან: დორიელები, ეტოლიელები, დრიოპები და ლემნოსელები. დორიელებს ბევრი და ცნობილი ქალაქი აქვთ, ხოლო ეტოლიელებს მხოლოდ ელიდა აქვთ, დრიოპებს ჰერმონი და ასინე, რომელიც ლაკონიკის კარდამილესთანაა, ხოლო ლემნოსელების არიან ყველა პარორეტები¹. კინურიელები ადგილობრივი მკვიდრნი არიან და ვფიქრობ, რომ მხოლოდ ესენი არიან იონიელები; ხოლო გადორიელდნენ ისინი იმიტომ, რომ იმართვოდნენ არგოსელთაგან და თან დროთა ვითარებასაც ჰქონდა მნიშვნელობა, იმტიომ რომ ისინი ორეელები იყვნენ და არგოსელები მეზობლები, ჩამოთვლილებს გარდა ამ შვიდი ტომის სხვა ქალაქები მიუმხრობლობას იცავდნენ. ხოლო თუ შეიძლება თავისუფლად ლაპარაკი, მიუმხრობლობა მიდიის მხრეზე ყოფნას ნიშნავს.

74. ისთმოსში მყოფნი მეტისმეტი თავგამოდებით შრომობდნენ, რადგან თავისი არსებობისათვის იბრძოდნენ და აღარ ჰქონდათ იმედი ხომალდებზე როგორმე გამობრწყინებისა. ხოლო მათ, ვინც სალამინზე იყვნენ, თუმცა კი შეიტყვეს ის, რაც აქ ხდებოდა, მაგრამ მაინც იყვნენ შეშფოთებულები და ისე თავისი თავისთვის არ

დელავდნენ, როგორც პელოპონესის გამო. ჯერჯერობით კი ერთმანეთში დადიოდნენ და ჩუმად ლაპარაკობდნენ, რომ აცვიფრებთ ევრიბიადესის სისულელე. ბოლოს უკმაყოფილება საჯაროდ გამოითქვა. შედგა კრება და ბევრი ილაპარაკეს ამის შესახებ; ისინი ამბობდნენ, რომ უნდა გაცურონ პელოპონესისაკენ, მისი გულისათვის უნდა გაწირონ თავი და არა უნდა ისხდნენ ერთ ადგილას და იბრძოლონ უკვე დამარცხებული ქვეყნისათვის; ხოლო ათენელები, აფინელები და მეგარელები ამჯობინებდნენ დარჩენას და მტრის აქ მოგერიებას.

75. როდესაც შეატყო, რომ პელოპონესელთა აზრი სჯობნიდა მისას, თემისტოკლეესი ჩუმად გამოვიდა კრებიდან, გამოვიდა და ნავით გაგზავნეს კაცი მიდიელთა ბანაკში და უბრძანა, ეთქვა, რაც იყო საჭირო. ამ კაცს სახელად ერქვა სიკინოსი, ის იყო თემისტოკლეესის მსახური და მისი შვილების აღმზრდელი. ამ ამბის შემდეგ, თემისტოკლეესმა ის თესპიელ მოქალაქედ გახადა, მაშინ, როდესაც თესპიელები ახალ მოქალაქეებს ღებულობდნენ და თან ქონებაც ბევრი მიესცა. სკინოსი რომ მივიდა ნავით, ბარბაროსთა მხედართმთავრებს შემდეგი უთხრა: "სხვა ელინთაგან მალულად გამომგზავნა თქვენთან ათენელეთა მხედართმთავარმა (რადგან ის თქვენი მეფის თანამოაზრეა და თქვენი გამარჯვება უფრო უნდა, ვიდრე ელინებისა); მან თქვა რომ შემინებულმა ელინებმა გადაწყვიტეს გაქცევა და თქვენ ახლა შეგიძლიათ საქმეების საუკეთესოდ დაბოლოება, თუ კი არ მისცემთ მათ საშუალებას რომ აქეთ-იქით დაიფანტონ ისინი ერთმანეთში ვერ თანხმდებიან და ვერც თქვენს წინააღმდეგობას შეძლებენ. თქვენ ნახავთ, თუ როგორ ებრძვიან ისინი ერთმანეთს, ისინი, რომლებიც თქვენს მხარეზე არიან და ისინი, რომლებიც არ არიან თქვენს მხარეზე". სიკინოსმა გამოუცხადათ მათ ეს ამბავი და სასწრაფოდ გაბრუნდა.

76. მათ დაუჯერეს ამ ცნობას და ჯერ პატარა კუნძულზე, ფსიტალეაზე (სალამინსა და ხმელეთს შორის მდებარეობს) გადასხეს ბევრი სპარსელი, ხოლო შემდეგ, როდესაც შუალამე დადგა, დასავლეთის ფრთიდან გამოიყვანეს ხომალდები სალამინის გარშემორტყმის მიზნით. ამავე დროს კეოსსა და კინოსურსთან დარაზმული ხომალდებიც გამოიყვანეს და მუნიქიემდე მთელი ყელი ხომალდებით დაიჭირეს. იმისათვის გამოიყვანეს ხომალდები, რომ ელინებისათვის არ მიეცათ გაქცევის საშუალება, რადგან უნდოდათ ისინი გამოჭირათ სალამინზე და მათთვის არტემისიონთან ბრძოლის სამაგიერო მიეზღოთ. ხოლო ფსიტალეად წოდებულ კუნძულზე იმიტომ გადასხეს სპარსელები, რომ საზღვაო ბრზოლის დროს ყველაზე ემტად აქ გამოირიყებოდნენ ხალხი და დაღუპული ხომალდების ნამტვრევებიც (კუნძული სწორედ იმ სრუტესთან მდებარეობდა, სადაც საზღვაო ბრძოლა იყო მოსალოდნელი), და ამათ უნდა გადარჩინათ თავისიანები და დაეხოცათ მტრები. სპარსელები ამას ჩუმად აკეთებდნენ, რომ მოწინააღმდეგეს არ შეეტყო. ამ სამზადისში მათ მთელი ღამე არ დაუძინიათ.

77. მე არ შემიძლია წინასწარმეტყველების საწინააღმდეგო ვილაპარაკო და ვთქვა, რომ ის არ არის ჭეშმარიტი, რადგან არ მინდა ვცადო იმის არუყოფა, რასაც ის გარკვეულად ამბობს და რასაც თვითონაც ვხედავ: "როდესაც ოქროსმანხვილიან არტემიდეს წმინდა ნაპრისა და ზღვისპირას მდებარე კინოსურას ხომალდებით გახიდავენ, მას მერე, რაც გიჟური იმედით გაანადგურებს ბრწყინვალე ათენი, ღვთაებრივი სამართალი მოათვინიერებს უძლიერებს სიამაყეს, ზვიადობის ძეს, რომელიც სასტიკადაა გაშმაგებული და ყოველთვის შთანთქმას აპირებს, სპილენძი

სპილენძს შეეჯახება, ხოლო არესი სისხლით შეღებავს ზღვას. მაშინ შორსმხედველი კრონიდი და დედოფალი ნიკე თავისუფალ დღეს მიანიჭებენ ელადას".

აი, ასე ცხადლივ ლაპარაკობს ბაკისი და ამ წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ ვერც თვითონ ვბედავ რაიმეს თქმას და არც სხვათაგან მივიღებ.

78. ამასობაში სალამინზე მყოფ მხედართმთავართა შორის დიდი კამათი გრძელდებოდა. მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ ბარბაროსები მათ გარსშემოერთყნენ ხომალდებით, ის კი არა, როდესაც გათენდა და ისინი დაწყობილები დაინახეს, იფიქრეს, ისევე იმავე ადგილას არიანო.

79. სანამ მხედართმთავრები დაობდნენ, აფინიდან გადმოვიდა არისტედესი, ლისიმაქოსის ძე, ათენელი, რომელიც ხალხმა გამოაძევა; მისი ხასიათი რომ შევისწავლე, დავრწმუნდი, რომ ათენში ის საუკეთესო და ყველაზე უფრო სამართლიანი კაცი იქნებოდა. ის დადგა კრებასთან და გამოიძახა თემისტოკლეესი, რომელთანაც მეგობრულად კი არ იყო, პირიქით საგანგებო მტრობა ჰქონდა, მაგრამ თავს დატეხილი უბედურების გამო დაივიწყა მტრობა და მას დაუძახა, რადგან უნდოდა მოლაპარაკებოდა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ პელოპონესელებს უნდოდათ ხომალდების წაყვანა ისთმოსში. როდესაც გამოვიდა თემისტოკლეესი, არისტედესმა მას შემდეგი უთხრა: "ჩვენ ყოველ დროს გვმართებდა და მით უმეტეს ახლა, რომ ვეჯიბრებოდეთ ერთმანეთს იმაში, თუ ვინ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სამშობლოს ჩვენ ორთაგან. მე გეუბნები, რომ ამჟამად სულერთია, ბევრს ილაპარაკებენ, თუ ცოტას პელოპონესელებთან აქედან ფლოტის გაცურვის შესახებ. მე ვამბობ ამას, როგორც ჩემი თვალთ მხილველი იმისა, რომ ახლა ვერ კორინთელები და ვერც თვით ევრიბიადესი, კიდევაც რომ მოიწადინონ, ვერ შეძლებენ გაცურვას, რადგან მტრისაგან გარშემორტყმულები ვართ. შედი ახლა იმათთან და აცნობე ეს ამბავი".

80. ხოლო თემისტოკლეესმა მას მიუგო: "ძალიან სასარგებლო რასმე გვირჩევ და კარგი ამბავიც მოგვიტანე. რადგან ის, რაც მეგონა რომ მოხდებოდა, მოხდა და ეს შენ შენი თვალთ ნახე. იცოდე, რომ მიდიელებმა ეს ჩემი ჩაგონებით გააკეთეს, რადგან ელინებს არ სურდათ თავისი ნებით ბრძოლაში ჩაბმა, ამიტომ საჭირო იყო ისინი თავისდა უნებურად ჩაგვება ბრძოლაში. რახან მოხვედი და კარგი ამბავი მოგვიტანე, შენ თვითონვე გამოუცხადე მათ ამის შესახებ, რადგან მე რომ ვუთხრა, იფიქრებენ, გამოიგონაო და არ დაიჯერებენ, რომ ბარბაროსები ასე მოიქცნენ. ამიტომ შენ თვითონ მიდი და გამოუცხადე, როგორც არის საქმე. როდესაც ეტყვი, თუ დაიჯერეს, ხომ კარგი და პატიოსანი, ხოლო თუ არ დაიჯერეს, მაშინ ჩვენთვის სულერთია. რადგან ისინი მაინც ვერსად გაიქცევიან, თუ კი ყოველის მხრიდან გარშემორტყმულები ვართ, როგორც შენ ამბობ".

81. ეს რომ უთხრა, შევიდა არისტედესი, თქვა რომ აფინიდან არის მოსული და რომ ძლივესძლივობით, ძალულად გამოუსხლტა ჩამომწკრივებულ ხომალდებს, რომ ელინთა მთელი ბანაკი გარშემორტყმულია ქსერქსესის ხომალდებით, და ურჩია, მოემზადეთ და შეუტით მტერსო. ეს რომ თქვა, გავიდა, ხოლო მხედართმთავრებს შორის ისევ კამათი ატყდა, რადგან მხედართმთავრთა მეტ წილს არ სჯეროდა, რაც მათ გამოუცხადეს.

82. მათ რომ არ სჯეროდათ, მოვიდა ტრიერი, რომელზედაც ისხდნენ ტენოსელი ვაჟკაცები, მტრისაგან გამოქცეულები, მათ მეთაურობდა ტენოსელი, პანაიტოს სოსიმენესის ძე; აი, მათ მოუტანეს ნამდვილი ამბავი. ამ საქმის გამოა, რომ ტენოსელთა სახელი სწერია დელფოში სამფეხზე, მათ შორის, ვინც ბარბაროსი დაამარცხა. ამ ხომალდთან ერთად, რომელიც გადავიდა სალამინში ელინთა მხარეზე (ამაზე უწინ კი ლემნოსის ხომალდსაც თუ ჩავთვლით, რომელიც არტემისიონში შეემატა მათ)1, ელინთა ფლოტი 380 ხომალდს შეიცავდა. ხოლო მანამ ამ რიცხვს ორი ხომალდი აკლდა.

83. ელინებმა რაკილა დაიჯერეს ის, რაც უთხრეს მათ ტენოსელებმა, დაიწყეს მზადება იმისათვის, რომ საზღვაო ბრძოლა გაემართათ. გარიჟრაჟზე შეკრიბეს მეზღვაურები და ყველაზე კარგად მათ წინაშე თემისტოკლესმა ილაპარაკა. მთელ მის სიტყვაში უკეთესი უპირისპირდებოდა უარესს, რამდენადაც ადამიანის ბუნება და მდგომარეობა ერთთანაც წილნაყარია და მეორესთანაც. ის არწმუნებდა მეზღვაურებს აერჩიათ უკეთესი და სიტყვის დასასრულს უბრძანა, ხომალდებზე ასვლა. როდესაც მეზღვაურები ადიოდნენ ხომალდებზე, აფინიდან მოვიდა ტრიერი, რომელიც გაგზავნილი იყო ადაკიდებისათვის. მაშინ ყველა ელინმა გამოიყვანა თავისი ხომალდები.

84. მათ გამოსვლისთანავე თავს დაესხნენ ბარბაროსები. დანარჩენმა ელინებმა გააბრუნეს ხომალდები და ნაპირს უნდოდათ მისდგომოდნენ, ხოლო ამედნიეს პალენელი, ათენელი წავიდა წინ და ხომალდით შეეჯახა მტერს. როდესაც მისი ხომალდი ჩაება ბრძოლაში და მეზღვაურებს უკვე აღარ შეეძლოთ ერთმანეთს გასცლოდნენ, მაშინ სხვებიც მიეშველნენ და ამედნიესს და ბრძოლა გაჩაღდა. ათენელები ამბობდნენ, რომ ასეთი იყო საზღვაო ბრძოლის დასაწყისი, ხოლო აფინელების სიტყვით იმ ხომალდში დაიწყო ბრძოლა, რომელიც აფინეზე იყო გაგზავნილი ადაკიდების მოსაყვანად. იმასაც ამბობენ, თითქოს ეჩვენა მათ დედაკაცის აჩრდილი, ეჩვენა და ისე გასცა განკარგულება, რომ ელინთა მთელმა ბანაკმა გაიგონა. ამაზე უწინ კი შემდგი სიტყვებით შეარცხვინა ისინი: "თქვე უბედურებო, როდემდის უნდა იხევდეთ უკან".

85. ათენელთა საპირისპიროდ დაეწყვნენ ფინიკიელები, რადგან ამათ ეჭირათ დასავლეთის ფრთა ელევსინისაკენ, ხოლო ლაკედემონელების პირდაპირ იყვნენ იონიელები (მათ ეჭირათ აღმოსავლეთის ფრთა პირეესისაკენ). იონიელთაგან მხოლოდ მცირეოდენნი იქცეოდნენ მოლალატურად თემისტოკლესის შთაგონების შედეგად, ხოლო უმეტესობა - არა. მე შემემლო ბევრი ტრიერარქის სახელი ჩამომეთვალა, რომელთაც ელინური ხომალდები შეიპყრეს, მაგრამ მათგან არავის მოვიხსენიებ, გარდა თეომესტორ ანდროდამასის ძისა და ფილაკოს ჰისტიაიოსის ძისა (ორთავენი სამოსელები იყვნენ). მხოლოდ ამათ იმიტომ ვახსენებ, რომ სწორედ ამ საქმის გამო თეომესტორი სამოსის ტირანად დააყენეს სპარსელებმა, ხოლო ფილაკოსი მეფის კეთილისმოქმედება ჩაწერეს და დაასაჩუქრეს დიდძალი მიწით. მეფის კეთილისმოქმედნი სპარსულად იწოდებიან "ოროსანგებად".

86. ასე მოიქცნენ ამათ მიმართ. ხოლო სალამინში ბარბაროსების ხომალდთა დიდი რაოდენობა დაიღუპა, ზოგი ათენელებმა გაანადგურეს და ზოგიც აფინელებმა. ეს იმიტომ, რომ ელინები საზღვაო ბრძოლას წესს და რიგზე აწარმოებდნენ, ხოლო

ბარბაროსები დაწყობილებიც კი არ იყვნენ და არც სხვა რასმე აკეთებდნენ გონივრულად, ისე რომ, რაც მათ დაემართათ, ასეც უნდა მომხდარიყო. მაგრამ ისინი იმ დღეს ბევრად უფრო ვაჟკაცურად იქცეოდნენ, ვიდრე ევზეის ბრძოლისას, რადგან ყოველი მათგანი ძალიან ცდილობდა და ეშინოდა ქსერქსესის; თითოეული ფიქრობდა, რომ სწორედ მას უყურებს მეფე.

87. სხვების შესახებ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, თუ როგორ იბრძოდნენ სათითაოდ ბარბაროსები ან ელინები, მაგრამ არტემისიემ გააკეთა ისეთი რამ, რითაც მეფის კიდევ უფრო დიდი პატივისცემა დაიმსახურა. როდესაც მეფის საქმეები ძალიან ცუდად წარიმართა, ამ დროს არტემისიეს ხომალდს დაედევნა ერთი ატიკური ხომალდი. არტემისიეს არ შეეძლო გაქცევა (რადგან მასზე წინ იყვნენ მოკავშირეთა ხომალდები, ხოლო მისი ხომალდი შემთხვევით აღმოჩნდა მტრის ხომალდებთან) და მან გადაწყვიტა შემდეგნაირად მოქცეულიყო და რაკი ასედაც მოიქცა, ეს მისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ატიკური ხომალდი რომ მისდევდა, იგი თავს დაესხა მოკავშირე კალინდელების ხომალდს, რომელზედაც მიცურავდა კალინდელების მეფე დამასითიმოსი. ეგება რაიმე უთანხმოებაც ჰქონდათ მას და დამასითიმოსს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი ჰელესპონტთან ცხოვრობდნენ, ამას ვერ ვიტყვი; ვერც იმას ვიტყვი, განზრახ ჩაიდინა არტემისიემ ეს, თუ შემთხვევით შეეჯახა მას კალინდელების ხომალდი. არტემისიე დაეჯახა და ჩაძირა ხომალდი, და ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მან თავისთვის ორმაგი სიკეთე გამოიგდო: ატიკური ხომალდის ტრიერქოსმა როდესაც დაინაცა, თუ როგორ ესხმის არტემისიეს ხომალდი, ანდა რომ ის გადაუდგა ბარბაროსებს და ახლა მათ უტევს, ამიტომ გამობრუნდა და სხვა ხომალდების წინააღმდეგ გაემართა.

88. ჯერ ერს ერთი ამნაირად გადაურჩა არტემისიე მტერს და არ დაიღუპა, მეორეცაა და მოხდა ისე, რომ ასეთინ საქციელით მან ქსერქსესის განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურა. ამბობენ, რომ მეფე უცქეროდა საზღვაო ბრძოლას და დაინახა, რომ ერთი ხომალდი თავს დაესხა მეორეს, ამ დროს ვიღაც იქ მყოფთაგანმა უთხრა მას: "უფალო, ხედავ არტემისიეს, რა კარგად იბრძვის და როგორ ჩაძირა მტრის ხომალდი?" მეფემ იკითხა, ეს მართლა არტემისიეს საქმეა, თუ არა, მათაც დაუდასტურეს, რადგან კარგად იცოდნენ მისი ხომალდის ნიშანი, ხოლო დაღუპული ხომალდი მტრისა ეგონათ. როგორც უკვე ითქვა, ყოველივე, რაც შეემთხვა არტემისიეს, მისთვის სასიკეთო აღმოჩნდა და ისიც, რომ კალინდური ნავიდან არავინ გადარჩენილა, რომელიც არტემისიეს ბრალს დასდებდა. ამბობენ, ქსერქსესს რომ უთხრეს ეს ამბავი, იმას ასე უპასუხია: "ვაჟკაცები ქალებად გადამეცნენ, ხოლო ქალები - ვაჟკაცებად". ამბობენ, რომ ასე თქვა ქსერქსესსმა.

89. ამ ბრძოლაში დაიღუპა მხედართმთავარი არიაბიგნესი, დარიოსის ძე, ქსერქსესის ძმა, სხვაც ბევრი დაიხოცა სახელოვანი სპარსელი, მიდიელი, თუ სხვა მოკავშირე, ხოლო ელინთაგან ცოტანი დაიღუპნენ, რადგან მათ ცურვა იცოდნენ და ვისაც ხომალდები დაუზიანდა, და ვინც არ ამოწყდა ხელჩართულ ბრძოლაში, ისინი სალამინზე გადაცურდნენ. ხოლო ბარბაროსთაგან ბევრნი დაიღუპნენ ზღვაში, რადგან მათ ცურვა არ იცოდნენ. როდესაც ბარბაროსთა პირველმა ხომალდებმა ზურგი უჩვენეს, მაშინ დაიღუპა უმეტესობა. ეს იმიტომ, რომ უკანა მწყობრებიც ცდილობდნენ მეფესთან თავი გამოეჩინათ, წინ მიიწევდნენ თავისი ხომალდებით და უკუქცეულთა ხომალდებს ეჯახებოდნენ.

90. ამ არეულობაში კიდევ ერთი ამბავი მოხდა: ფინიკიელთაგან ზოგიერთები, რომელთაც ხომალდები დაეღუპათ, მივიდნენ მეფესთან და დააბეზლეს იონიელები. მათი ბრალთა ჩვენი ხომალდების დაღუპვა, რადგან ისინი მოღალატეები არიანო, მაგრამ მოხდა ისე, რომ იონიელთა მხედართმთავრები არ დასაჯეს, ხოლო მამბეზლარა ფინიკიელებს ასეთი რამ მიეზლოთ: ისინი ჯერ კიდევ ამის ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ატიკურ ხომალდი დაეჯახა სამოთრაკიული ხომალდი. ატიკური ხომალდი უკვე იძირებოდა, როდესაც სამოთრაკიულ ხომალდს თავს დაესხა აფინური ხომალდი და დასძირა ის; მშვილდებით შეიარაღებულმა სამოთრაკიელებმა ესროლეს და დაძირული ხომალდიდან მეზღვაურები გამოჰყარეს, ავიდნენ ზედ და დაიპყრეს ის. აი, ამ შემთხვევამ იხსნა იონიელები. მართლაც, ქსერქსესმა დაინახა, რომ ისინი დიდ საქმეს აკეთებდნენ. მიუბრუნდა ფინიკიელებს (მეტისმეტად იყო განრისხებული და ყველას დადანაშაულების სურვილი ჰქონდა) და ბრძანა, მათთვის თავები დაეკვეთათ, ეს იმიტომ რომ თვითონ უღირსებს თავისზე უკეთესები აღარ დაებეზლებინათ. ქსერქსესი იჯდა მათ ძირას, რომელსაც აფალეოსი ეწოდება, ზედ სალამინის პირდაპირ და როგორც კი დაინახავდა ვინმეს თავისიანს საზღვაო ბრძოლაში გამორჩეულს, მაშინვე იკითხავდა, ვინაა, ამას რომ შვრებაო და მწერლები იწერდნენ ტრიერარქის მამის სახელს და ქალაქს, ფინიკიელების ამ უბედურებაში ერთგვარად წილი უძღვოდა სპარსელს, არიარამნესს, რომელიც იონიელთა მეგობარი იყო.

91. ასე შეუტყეს მათ ფინიკიელებს. ხოლო როდესაც ბარბაროსები გაიქცნენ და მიცურავდნენ ფალერონისაკენ, აფინელები ჩაუსაფრდნენ მათ სრუტეში და მნიშვნელოვანი ამბები დაატრიალეს: რადგან მაშინ, როდესაც ათენელები არეულობის დროს ანადგურებდნენ იმ ხომალდებს, რომლებიც მათ ეწინააღმდეგებოდნენ და ასევე იმათ, რომლებიც მათ ზურგს უჩვენებდნენ, აფინელები ანადგურებდნენ მათ, რომლებიც ფალერონისკენ მიცურავდნენ. ისე, რომ თუ კი ვინმე გაექცეოდა ათენელებს, ის ხელში უვარდებოდა აფინელებს.

92. მოხდა ისე, რომ ერთმანეთს შეხვდნენ ხომალდები, თემისტოკლეესის, რომელიც მისდევდა მოწინააღმდეგის ხომალდს და პოლიკარტოს კრიოსის ძისა, აფინელის, რომელიც თავს დაესხა სიდონის ხომალდს; ეს სწორედ ის ხომალდი იყო, რომელმაც შეიპყრო აფინური ხომალდი, სკიათოსს რომ იცავდა და მასზე მიცურავდა პითეეს ისქენოსის ძე; მან თავისი ვაჟკაცობით გააცვიფრა სპარსელები, რომელთაც აკუწული პითეესი ხომალდზე ჰყავდათ. სიდონური ხომალდი, რომელზედაც იმყოფებოდა პითეესი სპარსელებთან ერთად, შეიპყრეს, ისე რომ, პითეესი მშვიდობით მიიყვანეს აფინეზე. როდესაც პოლიკრიტოსმა ატიკური ხომალდი დაინახა, მისი ნიშნის მიხედვით იცნო, რომ ის მხედართმთავრისაა და ხმამაღლა სძრახავდა თემისტოკლეესს და ჰკიცხავდა იმ აფინელებს, რომლებიც მიდიელებს მიემხრნენ. ასეთი რამ უთხრა მან თემისტოკლეესს მას მერე, რაც თვითონ დაესხა თავს სიდონურ ხომალდს. ამ დროს ბარბაროსები, რომელთა ხომალდებიც გადარჩნენ, გაიქცნენ, მივიდნენ ფალერონში და ქვეით ლაშქარს შეეფარნენ.

93. ამ საზღვაო ბრძოლაში ელინთა შორის ყველაზე დიდი სახელი მოიხვეჭეს აფინელებმა, ხოლო შემდეგ ათენელებმა, ვაჟკაცთა შორის კი პოლიკრიტოს აფინელმა და ათენელებმა ევმენეს ანაგირასელმა და ამეინის პალენელმა, რომელიც

მისდევდა არტემისიეს. მან არ იცოდა, რომ ამ ხომალდზე არტემისიე მიცურავდა, თორემ მის დევნას მანამდე არ შეეშვებოდა, ვიდრე მას არ შეიპყრობდა, ან თვითონ არ იქნებოდა მის მიერ შეპყრობილი. ასე ჰქონდათ ნაბრძანები ათენელთა ტრიერაქებს. ამას გარდა ჯილდოც იყო გამოცხადებული, ათიათასი დრაქმა, იმისათვის, ვინც ცოცხლივ შეიპყრობდა არტემისიეს, რადგან ძალიან სამარცხვინოდ მიაჩნდათ ის ამბავი, რომ ქალმა გაილაშქრა ათენის წინააღმდეგ. ის კი როგორც ზემოთაც ითქვა, გაიქცა. ხოლო სხვა ბარბაროსებმა, რომელთა ხომალდებიც გადარჩა, თავი შეაფარეს ფალერონს.

94. ათენელები ამბობდნენ, რომ კორინთელმა მხედართმთავარმა, ადემანტოსმა, მაშინვე, როგორც კი ხომალდები ერთმანეთს დაეტაკნენ, თავზარდაცემულმა და შეშინებულმა, აფრები ააშვებინა და გაიქცა, ხოლო კორინთელებმა რომ დაინახეს, მხედართმთავრის ხომალდი გარბისო, თვითონაც გაიქცნენ. ისინი რომ გარბოდნენ, სალამინის ათენა სკირასის სამლოცველოსთან შემოხვდათ ღვთის განგებით მოვლენილი პატარა სწრაფმავალი ხომალდი, რომლის გამომგზავნიც არავინ ჩანდა, კორინთელებმა არც ის იცოდნენ, თუ რა შეემთხვა დანარჩენ ფლოტს. ხოლო ეს საქმე რომ ღვთის განგებით იყო, ამას შემდეგით ასკვნიან: როდესაც ხომალდები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მათ ვინც სწრაფმავალ ხომალდზე იყვნენ, მეორე ხომალდზე მყოფებს გადასძახეს: "ადემანტოს, შენ ხომალდები გამოაბრუნე და გაიქცე, უღალატე ელინებს, ისინი კი ახლა იმარჯვებენ და სძლევენ მტერს, როგორც თვითონ სურდათ". ეს რომ სთქვეს და ადემანტოსმა არ დაიჯერა, მათ ახლა უთხრეს, მძევლებად დავრჩებით და მზადა ვართ დავიხოცოთ, თუ ელინები არ გაიმარჯვებენო. ასე გამოაბრუნა ადემანტოსმა ხომალდი და სხვებმაც, ვინც მასთან იყვნენ და მოვიდნენ ბანაკში მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე მოთავებული იყო. ასეთი ხმა დაუგდეს ათენელებმა კორინთელებს, ხოლო თვითონ კორინთელები ამაში არ ეთანხმებოდნენ და ირწმუნებიან, რომ საზღვაო ბრძოლის დროს პირველთა შორის იყვნენ; მთელი დანარჩენი ელადაც კორინთელებს ემოწმება ამ ამბავში.

95. ხოლო არისტედეს ლისიმაქოსის ძე, ათენელი, რომელიც ცოტა ზემოთ მოვიხსენიე, როგორც საუკეთესო ვაჟკაცი, შემდეგნაირად მოიქცა სალამინთან მომხდარი ბრძოლის დროს: მან სალამინის სანაპიროს გასწვრივ დაყენებული, ბევრი ათენელი ჰოპლიტი წაიყვანა, გადასხა კუნძულ ფსიტალედაზე და ამ კუნძულზე მყოფი სპარსელები მათ ერთიანად გააჟლეტინა.

96. როდესაც საზღვაო ბრძოლა მოთავდა, ელინებმა გამოათრიეს სალამინზე ხომალდის ნამსხვრევები, რაც ჯერ კიდევ იქ იყო და მზად იყვნენ ახალი საზღვაო ბრძოლისათვის, რადგან ფიქრობდნენ, რომ მეფე უეჭველად გამოიყენებს გადარჩენილ ხომალდებსო. ამასობაში დასავლეთის ქარმა ხომალდის ბევრი ნამტვრევი წაიღო ატიკის სანაპიროსაკენ, რომელსაც ეწოდება კოლიასი; ისე რომ, სხვა წინასწარმეტყველებებთან ერთად, რომელიც წარმოუთქვამთ ბაკისსა და მუსადოსს, ისიც ასრულდა მთლიანად, რაც მათ ამ საზღვაო ბრძოლის შესახებ თქვეს და ასრულდა ისიც აქ გამოტანილი ხომალდის ნამტვრევების შესახებ, რაც იწინასწარმეტყველა მრავალი წლის წინ ათენელმა მისანმა ლისისტრატოსმა (და რაც გაუგებარი იყო ყველა ელინისათვის): "კოლიასელი ქალები ნიჩბებზე შეწვავენ" 2, ეს უნდა მომხდარიყო მას მერე, რაც მეფე წავიდოდა.

97. ქსერქსესმა როდესაც შეიტყო, თუ რა უბედურება დაატყდა თავს, შეეშინდა, იონიელთაგან ვინმეს არ ერჩია ელინებისათვის, ან თვითონ არ მოეფიქრებინათ ჰელესპონტისაკენ გაცურვა ხიდების დასანგრევად; შეეშინდა ევროპეში არ გამოკეტილიყო და არ დაღუპულიყო და გადაწყვიტა გაქცევა. მას არ უნდოდა, რომ შეეტყობთ ეს ამბავი ან ელინებს ან და მისიანებს, ამიტომ დაიწყო მიწაყრილის კეთება სალამინისაკენ, ფინიკიური ხომალდები ერთმანეთს გადააბა, რომ ისინი ხილად და ზღუდედ გამოსდგომოდნენ და ემზადებოდა თითქოს მეორე საზღვაო ბრძოლისათვის. ყველა სხვამ, ვინც კი დაინახა, რომ ქსერქსესი ამას აკათებდა, ირწმუნა, რომ ის რჩება და ყოვლად სერიოზულად ემზადება საომრად. მხოლოდ მარდონიოსი არ მოტყუვდა, რადგან მან ყველაზე უკეთ იცოდა მეფის ბუნება.

98. ქსერქსესი ამას რომ აკეთებდა, თან სპარსელებში გაგზავნა კაცი და შეატყობინა, თუ რა უბედურება დაემართა. მოკვდავთა შორის სპარსელ დესპანზე უფრო სწრაფად არავინ დადის. სპარსელებს ეს საქმე ასე აქვთ მოგვარებული: ამბობენ, რომ რამდენიმე დღის სავალიც არ უნდა იყოს, მთელ გზაზე იმდენი ცხენი და კაცი ჰყავთ სპარსელებს დაყენებული, რომ ყოველ თითო დღის სავალზე თითო ცხენი და თითო კაცი მოდისო. მათ არც თოვლი უშლის ხელს, არც წვიმა, არც პაპანაქება სიცხე და არც ღამე იმაში, რომ გასავლელი გზა რაც შეიძლება სწრაფად განვლონ. პირველი მორბედი განკარგულებას მეორეს გადასცემს, მეორე მესამეს, და ასე შემდეგ ერთი მეორეს გადასცემენ ხოლმე განკარგულებას და ეს ისევე ხდება, როგორც ელინებში ჰეფესტოს დღესასწაულზე ლამპრების გადაცემა. ამ ცხენების სრბოლით შეტყობინებას სპარსელები უწოდებენ "ანგარედნოს"-ს.

99. პირველმა ცნობამ, რომელმაც მოაღწია სუსაში ქსერქსესის მიერ ათენის აღების შესახებ, შინ დარჩენილი სპარსელები ისე გაახარა, რომ მთელი გზები ტვიის ტოტებით მოჰფინეს, გუნდრუკი აკმის, თვითონ მონაწილეობდნენ მსხვერპლშეწირვაში და მიეცნენ დროსტაებას. ხოლო მეორე ცნობა როდესაც მოუვიდათ, ისე შეძრწუნდნენ, რომ ყველამ ტანსაცმელი შემოიხია, საშინელი ყვირილი და ღრიალი მორთეს და ბრალს მარდონიოსს სდებდნენ. სპარსელები ამას ჩადიოდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ხომალდებს ნაღვლობდნენ, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ ქსერქსესი ედარდებოდათ.

100. ასე იყვნენ სპარსელები მთელი ის ხანი, ვიდრე თვითონ ქსერქსესი არ დაბრუნდა და მაშინ კი მოისვენეს. ხოლო მარდონიოსმა რომ დაიანხა, თუ რამოდენა უბედურება სჭირდა ქსერქსესს საზღვაო ბრძოლის შედეგად, ასე იფიქრა, ქსერქსესი ათენიდან გაქცევას გადასწყვეტსო და ამასთანავე იმასაც მიხვდა რომ პასუხს მას მოჰკითხვდნენ, რაკილა მან ურცია მეფეს ელადაზე გალაშქრება, ამიტომ ამჯობინა კიდევ ჩაეგდო თავი საფრთხეში და ან დაემარცხებინა ელადა, ანდა სახელოვნად დაესრულებინა თავისი სიცოცხლე დიად საქმეში. ისე, იმ აზრისა უფრო იყო, რომ დაამარცხებდა ელადას. ეს რომ მოიფიქრა, მეფეს შემდეგი უთხრა: "უფალო, ნუ სწუხარ, და დიდ დარდს ნუ მისცემიხარ მომხდარის გმაო. რადგან ფიცრებსი შეჯიბრება კი არაა ჩვენთვის ყველაფრის მომტანი, არამედ ვაჟკაცებისა და ცხენებისა. ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი მოთავებულია, ვერც კი გაბედავს ხომალდებიდან გადმოსვლას და შენს წინააღმდეგობას. ამას ვერ გაბედავს ვერც ის ხალხი, ვინც ამ ხმელეთზე იმყოფება. ვინც ჩვენ გვეწინააღმდეგებოდნენ, იმათ უკვე აგეს პასუხი 1 თუ კი შენ გადაწყვეტ, ახლავე დავესხათ თავს პელოპონესს, ხოლო თუ მოცდა გირჩევნია, მაშინ

შემდეგ დავესხათ მას თავს. ნუ იდარდებ, რადგან ელინებს არაფერი ეშველებათ. იმათ პასუხი მოეთხოვებათ იმისათვის, რაც გააკეთეს ახლა და უწინ და ისინი შენი მონები გახდებიან. ყველაფერს სჯობია, ასე მოიქცე, ხოლო თუ გადაწყვეტ, რომ წახვიდე და წაიყვანო თან ლაშქარი, ამ შემთხვევისათვის სხვა რჩევა მაქვს. მეფეო, ნუ გახდი სპარსელებს ელინების სამასხროდ. ამ საქმეში სპარსელებს შენთვის ზიანი არ მოუყენებიათ და ვერც იმას იტყვი რომ ჩვენ მხდელი ვაჟკაცები ვიყავით. თუ ფინიკიელები, ეგვიპტელები, კიპროსელები და კილიკიელები მხდლები იყვნენ, არაფერი ბრალი სპარსელებს ამაში არ მიუძღვით. ისე რომ, რაკი სპარსელები შენს მიმართ არ არიან დამნაშავენი, დამიჯერე: თუ შენ გადაგიწყვეტია, რომ აქ არ დარჩები, დაბრუნდი შინ და თან წაიყვანე ლაშქრის დიდი ნაწილი, მე კი ლაშქრიდან 300000 რჩეული კაცით თავს ვიდებ ელადის დამორჩილებას".

101. ეს რომ მოისმინა ქსერქსესმა, რამდენადაც შეიძლებოდა მწუხარება სიხარულმა და სიამოვნებამ შეუცვალა და მარდონიოსს უთხრა, რომ მოითათბირებს და ეტყვის, ასე მოიქცევა, თუ ისე. როდესაც ის მოწვეულ სპარსელებთან თათბირობდა, გადაწყვიტა, რომ თათბირზე არტემისიეც მოეყვანა, რადგან, როგორც გამოირკვა, უწინ მხოლოდ ის მიხვდა, რაც იყო გასაკეთებელი. როდესაც მოვიდა არტემისიე, ქსერქსესმა გაუშვა სხვები. სპარსელი მოთათბირეები და შუბოსნები და თქვა შემდეგი:

"მარდონიოსი მირჩევს დავრჩე აქ და გავილაშქრო პელოპონესის წინააღმდეგ, ის ამბობს, რომ სპარსელები და ქვეითი ჯარი სრულიად არ არიან დამნაშავენი ამ დამარცხებაში, პირიქით, მათ სურთ კიდევაც, რომ თავისი უდანაშაულობა დაგვიმტკიცონ. მან მირჩია მე ამის გაკეთება, თუ არა და თვითონ უნდა ჯარიდან გამორჩეული 300 000 კაცით ელადა დამიმონოს, ხოლო მე მირჩევს ამასობაში დანარჩენი ლაშქრით ჩემს სამშობლოში დავბრუნდე. რაკილა საზღვაო ბრძოლის შესახებ კარგად მირჩიე, იმას მეუბნებოდი, რომ თავი შემეკავებინა მისგან, ახლაც მითხარი, რომელ გზას დავადგე, რომ უკეთესი გადაწყვეტილება მივიღო".

102. ის ასე ეთათბირებოდა, ხოლო ქალმა უთხრა შემდეგი: "მეფეო, ძნელია ჩემთვის გირჩიო ისეთი რამ, რაც შენთვის ყველაზე უკეთესი გამოდგება, მაგრამ ამ ვითარებაში, ვფიქრობ, სჯობია უკან გაბრუნდე, ხოლო მარდონიოსს, თუ კი სურს ასეთი რამის გაკეთება, დატოვე ის აქ მათთან ერთად, ვისაც თვითონ მოინდომებს, რადგან თუ დაამარცხებს ელინებს, როგორც გპირდება და მიაღწევს იმას, რაც სურს და გუნებაში აქვს, ეს ხომ შენი გამარჯვება იქნება, უფალო, რადგან მას ხომ შენი მონები მიაღწევენ. ხოლო, თუ მარდონიოსის განზრახვის საწინააღმდეგო ამბავი მოხდება, ეს დიდი უბედურება არ იქნება, რადგან გადარჩები შენ და შენი სახელმწიფო. რადგან თუ გადარჩები შენ და შენი სახლი, ელინებს ხშირად მოუხდებათ ბრძოლა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება მარდონიოსს, მას თუ კიდევაც რაიმე შეემთხვა, ამას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა: იმასაც კი არა, რომ გაიმარჯვონ ელინებმა, რადგან ისინი შენს მონას დაამარცხებენ; შენ გადაწვი ათენი, რის გულისთვისაც წამოიწყეს ეს ლაშქრობა, ახლა კი შინ წადი".

103. ქსერქსესს მოეწონა ეს რჩევა, რადგან არტემისიემ სწორედ ის უთხრა, რასაც თვითონ ფიქრობდა. მე მგონია, ყველა კაცსა და ყველა ქალს რომ ერჩია მისთვის დარჩენა, ის მაინც არ დარჩებოდა, იმდენად იყო შეშინებული. მან შეაქო არტემისიე,

გაგზავნა ეფესოში და თან თავისი შვილები გაატანა, ქსერქსესს ხომ ზოგი თავისი უკანონო შვილი თან ჰყავდა ამ ლაშქრობისას.

104. შვილებთან ერთად ქსერქსესმა მათ მცველად გაგზავნა ჰერმოტიმოსი, წარმოშობით პედასოსიდან, რომელსაც მეფის საჭურისთა შორის მეორე ადგილი არ სჭერია¹. პედასოსელები ცხოვრობდნენ ჰალიკარნესოსს ზემოთ. პედასოსელებში შემდეგი ამბავი ხდება ხოლმე, როდესაც ამ ქალაქის ირგვლივ მცხოვრებთ ახლო მომავალში რაღაც ცუდი უნდა დაემართოთ, მაშინ იქაურ ათენას ქურუმ ქალს დიდი წვერი ამოსდის. ეს მათ უკვე ორჯერ მოუვიდათ.

105. აი, ამ პედასოსელთაგან იყო ჰერმნოტიმოსი, რომელმაც, ვინც კი ჩვენ ვიცით, მათ შორის ყველაზე უფრო სასტიკად იძია შური. საქმე ისაა, რომ ის შეიპყრო მტერმა, წაიყვანა და მიჰყიდა პანიონიოსს, ქიოსელს, რომელიც ყოველად უწმინდურ საქმიანობას ეწეოდა და ისე ცხოვრობდა: ის იძენდა ლამაზ ყმაწვილებს, ასაჭურისებდა, მიჰყვებოდა და ჰყიდდა სარდეში და ეფესოში დიდ ფასად. ეს იმიტომ, რომ ბარბაროსები გაცილებით უფრო აფასებენ საჭურისეს ყოველგარ საქმეებში ერთგულების გამო, ვიდრე ვაჟკაცებს. მაგრამ ჰაერმოტიმოსი ყველაფერში უბედური არ გამოდგა: სარდედან ის დიდი საჩუქრებით მივიდა მეფესთან და დრო რომ გავიდა, ქსერქსესთან ყველა საჭურისზე უფრო პატივცემული იყო.

106. როდესაც მეფე სპარსელი ჯარით მიდიოდა ათენში და გზად სარდეში იმყოფებოდა, მაშინ ჰერმოტიმოსი რაღაც საქმისთვის ჩავიდა მისიის ქვეყანაში, სადაც ქიოსელები იყვნენ, იმ ქალაქში, რომელსაც ერქვა ატარნევსი და იქ შეხვდა პანიონიოსს, მან იცნო პანიონიოსი, ელაპარაკა მას და ბევრი ტკბილი სიტყვა უთხრა, ჯერ ჩამოუთვალა ყველა ის წარმატება, რასაც მისი წყალობით მიაღწია, ხოლო შემდეგ აღუთქვა სამაგიერო იმ სიკეთისათვის, რაც პანიონიოსს მისთვის გაუკეთებია, უკეთუ პანიონიოსი თავისი მახლობლებიანად დასახლდა აქ, ატარნევსში. პანიონიოსმა მსი წინადადება დიდი სიამოვნებით მიიღო და მოიყვანა აქ შვილები და ცოლი. როდესაც ჰერმოტიმოსმა ის და მთელი მისი სახლი ხელთ იგდო, უთხრა მას შემდეგი: "შენ, რომელიც ადამიანთა შორის ყველაზე უფრო უწმინდური საქმიანობით ირჩენ თავს, გამაგებინე, რა დაგიშავე ან მე თვითონ, ან ვინმე ჩემიანმა, ან შენ და ან ვისმე შენიანს, რომ კაცი ვიყავი და არარად მაქციე? შენ გეგონა, რომ რაც მაშინ გამიკეთე, ის ღმერთებისაგან დაიმალებოდა; ისინი კი სამართლიანად მოიქცნენ და შენ, უწმინდურობის ჩამდენი, ჩემს ხელში ჩაგაგდეს. ისე, რომ სასაყვედურო არაფერი გექნება ჩემგან თუ სამართალს მიიღებ". ასე სასტიკად რომ გაჰკიცხა ჰერმოტიმოსმა, შემოდევ მოაყვანინა მისი შვილები და აიძულა პანიონიოსი, თავისი შვილები (ოთხნი იყვნენ ესენი) დაესაჭურისებინა, ესეც იძულებული გახდა ბრძანება შეესრულებინა. პანიონიოსმა რომ ეს გააკეთა, შემდეგ მისი შვილები აიძულა, მამა დაესაჭურისებინათ. ჰერმოტიმოსმა ასე იძია შური პანიონიოსზე.

107. ქსერქსესმა არტემისიეს რომ ჩააბარა შვილები ეფესოში წასაყვანად, დაუძახა მარადონიოს და უბრძანა ლაშქრიდან გამოერჩია, ვინც უნდოდა და სიტყვა საქმედ ექცია. ამასობაში ეს დღე გავიდა, ხოლო ღამით მეფის ბრძანების თანახმად მხედართმთავრებმა ხომალდები ფალერონიდან უკან ჰელესპონტში გამოიყვანა, თითოეულმა, რაც შეიძლება სწრაფად, რომ დაეცვათ ხიდები, სადაც მეფეს უნდა გაევიღო. ცურვისას მოსტერს რომ მიუახლოვდნენ ბარბაროსები იმ ადგილას, სადაც

პატარ-პატარა კონცხებია ხმელეთიდან გამოშვერილი, ისინი მტრის ხომალდებად მიიღეს და შორს გაიქცნენ. ხოლო დრო რომ გავიდა, შეიტყვეს, რომ ხომალდები კი არა, კონცხები იყო და ისევ შეიკრიბნენ და გზა განაგრძეს.

108. როცა გათენდა, ელინებმა მტრის ქვეითი ჯარი იმავე ადგილას დაინახეს და ეგონათ, რომ ხომალდებიც ისევე ფალერონში არიან; მათ ეგონათ, რომ საზღვაო ბრძოლა გაიმართებოდა და ემზადებოდნენ მტრის მოსაგერიებლად. ხოლო როდესაც შეიტყვეს, რომ ხომალდები წასულან, მაშინვე გადაწყვიტეს მათ დასდევნებოდნენ. მისდიეს ანდროსამდე, მაგრამ ქსერქსესის ფლოტი ვერსად ნახეს, ხოლო ანდროსზე რომ მივიდნენ, თათბირი გამართეს. თემისტოკლესმა გამოთქვა აზრი, რომ ხომალდები კუნძულებს შორის წარემართათ და ისე დასდევნებოდნენ ფლოტს, გაეცურათ პირდაპირ ჰელესპონტისაკენ და იქ დაენგრიათ ხიდები. ხოლო ევრიბიადესმა საწინააღმდეგო აზრი წამოაყენა, თქვა, რომ თუ დაანგრევენ ხიდებს, უდიდეს უბედურებას დაატეხენ თავს ელადას. რადგან თუ სპარსელს გზას მოუჭრეს და ამით აიძულეს ევროპეში ჩარჩენა, ის შეეცდება, რომ წყნარად არ იყოს, რადგან წყნარად ყოფნით ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევს და ვერც უკან დაბრუნებაზე იფიქრებს რასმე, ჯარი კი შიმშილით უნდა ამოუწყდეს, ხოლო თუ სპარსელი ამოქმედდა, მაშინ შესაძლოა ევროპეში ყველაფერი ამის მხრეზე გადავიდეს, სათითაოდ ქალაქებიცა და ტომებიც, რომლებსაც ან დაიმორჩილებენ, ან და ამაზე უწინ შეიძლება ისინი ნებაყოფლობით დანებდნენ მას. საზრდოს ყოველწლიურად მუდმივად მიიღებენ ელინთა მოსავლისაგან, მაგრამ მას ჰგონია, რომ რაკილა საზღვაო ბრძოლაში დამარცხდა სპარსელი, ის არ დარჩება ევროპეში, ამიტომ უნდა მიეცეს მას გაქცევის საშუალება, ვიდრე ის თავის ქვეყანაში არ მივა. აი, მაშინ კი, ბრძანა ევრიბიადესმა, უნდა გაიმართოს ბრძოლა მისი ქვეყნისათვის. ეს აზრი მიიღეს სხვა პელოპონესელმა მხედართმთავრებმა.

109. როდესაც თემისტოკლესმა შეატყო, რომ ვერ ითანხმებდა უმრავლესობას ჰელესპონტისკენ წასასვლელად, მოუბრუნდა ათენელებს (რადგან ესენი განსაკუთრებით ჯავრობდნენ სპარსელების გაქცევის გამო და ისწრაფოდნენ ჰელესპონტისკენ, თუნდაც მარტო თვითონ, თუ კი სხვები არ მოინდომებდნენ) და უთხრა მათ შემდეგი: "მე თვითონ ბევრის მომსწრე ვყოფილვარ და კიდევ უფრო ბევრი ასეთი რამ მსმენია; უკიდურესობამდე მისულ დამარცხებულ ხალხს ხელახლა დაუწყო ბრძოლა და უწინდელი დამარცხება გაუქარწყლებია. ხოლო ჩვენ (რომლებმაც მოულოდნელად გადავირჩინეთ ჩვენი თავიცა და ელადაც და რომლებმაც დავამარცხეთ ამოდენა ბრბო) არ უნდა მივდიოთ გაქცეულ ხალხს. რადგან ჩვენ კი არა, ღმერთებმა და გმირებმა გააკეთეს ეს, რომელთაც არ ემეტებოდათ ერთი კაცისათვის, უწმინდურისა და ბოოტმოქმედისათვის, აზიისა და ევროპის მეფობა. ის კაცი თანაბრად ექცეოდა სალოცავესა და თავის საკუთრებას, წვავდა და ანგრევდა ღმერთების ქანდაკებებს; მან ზღვა ღაამათრახა და შიგ ბორკილები ჩაჰყარა. ახლა, რადგან ჩვენ აქამდე მშვიდობით მოვაღწიეთ, უნდა დავრჩეთ ელადაში და ვიზრუნოთ ჩვენს თავზე და ჩვენს მახლობლებზე. ყოველმა კაცმა უნდა აღადგინოს თავისი სახელი, იზრუნოს ნათესებზე და სულ აღარ იფიქროს ბარბაროსზე. ხოლო როდესაც გაზაფხულდება, მაშინ გავცურავთ ჰელესპონტის და იონიისაკენ". თემისტოკლესმა ეს იმიტომ ილაპარაკა, რომ მომავლისათვის სპარსელი გული მოენადირებინა და მასთან თავშესაფარი ჰქონოდა, თუ კი ათენელთაგან მას რაიმე ხიფათი შეემთხვეოდა. მართლაც ეს ასე მოხდა.

110. თემისტოკლეესი ამას რომ ამბობდა, ტყუოდა, ათენელებს კი სჯეროდათ, რადგან უწინაც ბრძენ კაცად მიაჩნდათ და როდესაც ის ჭეშმარიტად ბრძენი და კარგისმრჩეველი გამოდგა, ათენელები მზად იყვნენ მთლიანად მინდობოდნენ მას. ისინი რომ ამაზე დაიყოლია, მერე მაშინვე გაგზავნა თემისტოკლეესმა ხომალდით კაცები, რომელთაც ენობდობდა, რომ ჩუმიად იქნებოდნენ კიდევაც რომ ეწამებინათ და არ იტყოდნენ იმას, რაც მისი სახელით მეფისათვის უნდა გადაეცათ. მათ შორის ისევ იყო მისი მსახური სიკინოსი. როდესაც მივიდნენ ატიკაში, ყველანი ნავზე დარჩნენ, სიკინოსი კი ავიდა ქსერქსესთან და უთხრა: "მე გამომგზავნა თემისტოკლეესმა, ნეოკლეესის ძემ, ათენელთა მხედართმთავარმა, ყველა მოკავშირეთა შორის საუკეთესო ვაჟკაცმა და ბრძენმა კაცმა; მან შემოგითვალა, რომ თემისტოკლეეს ათენელს უნდა დაგეხმაროს და ამიტომ შეაჩერა ელინები, რომლებიც აპირებდნენ შენი ხომალდების დადევნებას და ჰელესპონტში ხიდების დანგრევას. ახლა სრულიად მშვიდად შეგიძლია შინ დაბრუნება".

111. ეს თქვა და გაბრუნდა უკან. ხოლო მას მერე, რაც ელინებმა გადაწყვიტეს, რომ მეტი აღარ უნდა ედევნათ ბარბაროსთა ხომალდები, და არც ჰელესპონტისკენ უნდა წასულიყვნენ ხიდის დასანგრევად, ანდროსს გარსემოერტყნენ და სურდათ მისი აღება. კუნძულების მცხოვრებთა შორის თემისტოკლეესმა პირველად ანდროსელებს მოსთხოვა ფული და იმათ კი არ მისცეს. როდესაც თემისტოკლეესმა გამოუცხადა მათ, რომ მოვიდნენ ათენელები, რომელთაც თან ჰყავდათ ორი დიდი ღმერთი, დარწმუნდა და იძულება, და ამიტომ ანდროსელებმა უნდა გაიღონ ფული, აამზე ანდროსელებმა ასე უპასუხეს: "რა თქმა უნდა, ათენი დიდი და მდიდარი იქნება, რაკილა მას ასეთი სასარგებლო ღმერთები ჰყოლია. სამაგიეროდ ანდროსელები მეტისმეტად ღარიბები არიან მიწით და ორი უსარგებლო ღმერთი თავს არ ანებებს მათ კუნძულს; ისინი მუდამ აქ ცხოვრობენ, ეს ღმერთები არიან სიღარიბე და უმწეობა, და რადგან ანდროსელს ასეთი ღმერთები ჰყავთ, ისინი, ცხადია, ვერ გაიღებენ ფულს, ისე რომ, ათენელთა ძლიერება ვერასოდეს მოერევა მათ უძლურებას". ასე უპასუხეს ანდროსელებმა, არ მისცეს თემისტოკლეეს ფული და თემისტოკლეესმა ალყა შემოარტყა მათ.

112. თემისტოკლეესი ვედარ იკავებდა თავის სიხარბეს და სხვა კუნძულებზედაც გაგზავნა იგივე მოციქულები, რომლებიც მეფესთან იგზავნებოდნენ; მან დიდი მუქარით მოსთხოვა მათაც ფული და შეუთვალა, რომ თუ არ მისცემდნენ, რასაც თხოუბლობს, ის გაილაშქრებს მათზე და ელინთა ლაშქრით, ალყას შემოარტყამს და დაიპყრობს. ასე შეუთვალა და დიდძალი ფული შეკრიბა კარისტიელთაგან და პაროსელთაგან; ამით შეიტყვეს, რომ ანდროსს ალყა შემოარტყეს იმიტომ, რომ ის მიდიელთა მომხრე იყო, თან თემისტოკლეესის მხედართმთავართა შორის უდიდესი სახელი ჰქონდა, შეეშინდათ იგივე არ მოსვლოდათ და გაუგზავნეს ფულები. მე ვერ ვიტყვი, სხვა კუნძულთა მცხოვრებლებმა გაიღეს თუ არა ფული, მაგრამ მგონია, რომ არა მხოლოდ ამათ, არამედ სხვებმაც მისცეს. კარისტიელებმა ამის შედეგად მაინც ვერ ასცდნენ დიდ უბედურებას, ხოლო პაროსელებმა თემისტოკლეესი ფულებით მოქრთამეს და დალაშქვრად გადაურჩნენ. ანდროსიდან წამოსული თემისტოკლეესი კუნძულთა მცხოვრებლებისაგან კრებდა ფულებს, მხოლოდ სხვა მხედართმთავართაგან დაფარულად.

113. საზღვაო ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისინი, ვინც ქსერქსესთან ერთად იყვნენ, იმავე გზით გაბრუნდნენ უკან ბეოტიაში, რადგან მარდონიოსმა გადაწყვიტა, რომ თან მეფის გაცილებათაა საჭირო და თანაც წლის ისეთ დრო არაა, რომ ბრძოლა ხელსაყრელი იყოს: უმჯობესია ზამთარი გაატარონ თესალიაში, ხოლო შემდეგ, გაზაფხულზე დაესხნენ თავს პელოპონესს. როდესაც მივიდა თესალიაში, მარდონიოსმა ჯერ ყველა ის სპარსელი გამოარჩია, ვინც უკვდავებად იწოდებოდნენ, გარდა მხედართმთავარ ჰიდარნესისა (რადგან ამან თქვა, რომ მეფეს არ მიატოვებდა), ხოლო შემდეგ სხვა სპარსელებიდან აირჩია თოროსნები და ათასი მხედარი; ამასთანავე მიდიელები, საკები, ბაქტრიელები და ინდები, ქვეითებიცა და ცხენოსნებიც. ეს ხალხები მან მთლიანად საიყვანა, ხოლო სხვა მოკავშირეთაგან ზოგიერთები გამოჰკრიბა, ზოგი შესახედაობით გამორჩეული და ზოგიც ისეთი, ვის შესახებაც იცოდა, რომ სასარგებლო რაღაც აქვს გაკეთებული. გამორჩულ ხალხებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ სპარსელები, რომელთაც ყელზე ჯაჭვები და ხელებზე სამკაულები ეკეთათ, შემდეგ კი - მიდიელები. ესენი რაოდენობით სპარსელებზე ნაკლებნი არ იყვნენ, მაგრამ ძალით ჩამორჩებოდნენ. ისე რომ, მთლიანად მხედრობასთან ერთად სულ 300 000 მეომარი მოგროვდა.

114. იმ დროს, როდესაც მარდონიოსი ლაშქარს ირჩევდა და ქსერქსესი თესალიაში იყო, ლაკედემონელებს მისნობა მოუვიდათ დელფოდან, რომ ქსერქსესს მოსთხოვონ პასუხი ლეონიდესის მკვლელობისათვის და მიიღონ ის, რასაც ის გაიღებს. სპარტელებმა სასწრაფოდ გაგზავნეს მაცნე, რომელსაც მთელი სპარსული ლაშქარი ჯერ კიდევ თესალიაში დახვდა, მაცნე წარუდგა ქსერქსესს და უთხრა: "მიდიელთა მეფე, ლაკედემონელები და სპარტელი ჰერაკლიდები პასუხს გთხოვენ მკვლელობისათვის; რადგან შენ მოჰკალი მათი მეფე, რომელიც იცავდა ელადას". ქსერქსესმა გაიცინა, დიდხანს ჩუმად იყო, ხოლო შემდეგ, რაკილაც მარდონიოსი შემთხვევით იქვე იდგა, მიუთითა მასზე და თქვა: "აი, მარდონიოსმა აგოს მათთვის შესაფერისი პასუხი".

115. მაცნემ მოისმინა ეს ნათქვამი და გაბრუნდა. ხოლო ქსერქსესმა მარდონიოსი თესალიაში დატოვა, თვითონ სასწრაფოდ წავიდა ჰელესპონტისკენ და გადასასვლელს 45 დღეში მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ლაშქარი სულ არ ჰყავდა თან. სადაც არ უნდა მისულიყვნენ და რა ხალხთანაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, მათ მოსავალს იტაცებდნენ და იმით იკვებებოდნენ. თუ კი ნაყოფს ვერაფერს იშოვიდნენ, მიწიდან ამოსულ ბალახს გლეჯდნენ, ხეებს ქერქებს აძრობდნენ, ფოთლებს კრეფდნენ და იმას სჭამდნენ, როგორც ბალის, ისე ველური მცენარეების და არაფერს ტოვებდნენ. ამას შიმშილის გამო აკეთებდნენ. ლაშქარს შავი ჭირი შეხვდა, თანაც ფაღარათი დაემართა და თანდათანობით ამოხოცა. დაავადმყოფოებულ ჯარისკაცებს ქსერქსესი ტოვებდა, სადაც კი გაივლიდა და მოსახლეობას განკარგულებას აძლევდა, მათთვის მოევლოთ და ეჭმიათ; ზოგიერთები თესალიაში დატოვა, ზოგიც პეონის სირისში, ზოგიც მაკედონიაში. აქვე ჰქონდა მას ზევსის წმინდა ეტლი დატოვებული, როდესაც ელადის წინააღმდეგ მიდიოდა; მაგრამ უკან დაბრუნებისას ის ველარ მიიღო, რადგან პეონებმა ეტლი ტრაკიელებს მისცეს; ხოლო როდესაც ქსერქსესმა მოითხოვა, უთხრა, რომ ცხენები მოვდნენ და ისინი გაიტაცეს ზემო თრაკიელებმა, რომლებიც სტრიმონის სათავესთან ცხოვრობენო.

116. მაშინ ბისალტების და კრესტონის ქვეყნის მეფემ, თრექსმა არაჩვეულებრივი საქმე ჩაიდინა: მან თქვა, რომ ნებაყოფლობით არ დაემონება ქსერქსეს, და ავიდ ზემოთ, როდოპის მთაზე, ხოლო თავის შვილებს აუკრძალა ელადის წინააღმდეგ ლაშქრობა. შვილებმა მას არ გაუგონეს, ანდა შესაძლოა გული ერჩოდათ, რომ ომი ენახათ და გაილაშქრეს სპარსელთან ერთად. როდესაც ყველანი (ექვსნი იყვნენ) შინ უვნებლად დაბრუნდნენ, მამამ ამ საქციელის გამო მათ თვალები დასთხარა. აი, მათ ასეთი სასჯელი მიიღეს.

117. ხოლოს სპარსელები თრაკიიდან რომ გამოვიდნენ, მივიდნენ გადასასვლელთან, ჰელესპონტი ხომალდებით გადაიარეს და გადავიდნენ აბიდოსში, რადგან ხიდები აღარ დახვდათ გადებული (ქარბუქს დაენგრია ისინი). აქ სპარსელები შეყოვნდნენ, რადგან საზრდოს უფრო მეტს შოულობდნენ, ვიდრე გაზაზე; ზომაზე მეტად ძღებოდნენ, წყალიც გამოიცვალეს და ამ მიზეზების გამო გადარჩენილი ლაშქრიდან ბევრი დაიხოცნენ. დანარჩენები კი ქსერქსესთან ერთად დაბრუნდნენ სარდელში.

118. კიდევ სხვა ამბავსაც მოგვითხრობენ ამის შესახებ: როდესაც ქსერქსესი გამოვიდა ათენიდან, თითქოს მვიდა ეიონში, რომელიც სტრიმონის ნაპირზეა, იქიდა ხმელეთით აღარ უვლია, ლაშქარი ჰიდარნესისათვის გადაუბარებია, რომ მას ის ჰელესპონტისაკენ წაეყვანა, ხოლო თვითონ ფინიკური ხომალდით წასულა აზიისაკენ, როდესაც მიცურავდა, ძლიერი და ღელვის ამტეხი ქარი ამოვარდნილა სტრიმონის მხრიდან. ქარიშხალი მატულობდა, ხოლო ხომალდი ისე ყოფილა ხალხით გავსებული, რომ ქსერქსესის მხლებელი სპარსელების დიდი ნაწილი გემბანზე მსხდარა. მაშინ მეფე შიშს შეუპყრია და ყვირილით უკითხავს მესაჭისათვის, არის თუ არა რაიმე საშუალება გადარჩენისაო. მას კი უპასუხნია: "უფალო, არავითარი საშუალება არ არის, თუ გემზე მყოფი ხალხისაგან არ გავთავისუფლდითო". ამბობენ, რომ ქსერქსესს ამის მოსმენის შემდეგ უთქვამს: "სპარსელებო, აბა ახლა რომელი თქვენგანი გვიჩვენებს იმას, რომ მეფისთვის ზრუნავს? რადგან, როგორც ჩანს, თქვენს ხელშია ჩემი ხსნა". ასე თქვა თურმე მეფემ, ხოლო სპარსელებს თავიანთი უციათ მისთვის და ზღვაში გადაცვენილან. ამრიგად გათავისუფლებულა ხომალდი და მშვიდობით მიუღწევია აზიისათვის. როგორც კი გამოსულ ქსერქსესი ნაპირზე, ასე მოქცეულა: ოქროს გვირგვინით დაუსაჩუქრებლად მესაჭე, რომელიც მეფეს სიცოცხლე გადაურჩენია, ხოლო რაკილა მან ბევრი სპარსელი დაღუპა, ამიტომ მისთვის თავი მოუკვეთია.

119. ამბობენ, რომ ესაა ქსერქსესის უკან დაბრუნების შესახებ მეორე გადმოცემა. მაგრამ მე ამისი არაფერი მჯერა, განსაკუთრებით კი სპარსელთა დაღუპვის ამბისა. რადგან მესაჭემ თუ კიდევაც ასე უპასუხა ქსერქსესს, 10 000 აზრიდან ერთიც არ გამოერევა იმის საწინააღმდეგო, რომ მეფე ასე არ მოიქცეოდა; გემბანზე მყოფთ (ესენი იყვნენ სპარსელები და სპარსელთა შორის თავკაცები), ჩაიყვანდა ხომალდის ქვედა ნაწილსი, ხოლო ფინიკიელ მენიჩბეებს, რომლებიც იმდენივე იყვნენ, რამდენიც სპარსელები, გადაჰყრიდა ზღვაში. მაგრამ როგორც ზემოთაც ვთქვი, ის ხმელეთის გზით წავიდა დანარჩენ ლაშქართან ერთად და დაბრუნდა აზიაში.

120. ამისი დიდი საბუთია შემდეგი: ქსერქსესი უკან დაბრუნებისას მივიდა აბდერაში, სტუმარმასპინძლური ურთიერთობის ნიშნად აჩუქა მათ ოქროს მახვილი და ოქრომკედლიანი თავსაბურველი. როგორც თვითონ აბდერელები ამბობენ (მე კი არ

მჯერა მათი ნათქვამისა) ქსერქსესმა, რაც ათენიდან გამოიქცა, თითქოს პირველად აქ შეიხსნა სარტყელი, რადგან აქ უკვე უშიშრად გრძნობდა თავს. აბდერა ჰელესპონტთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სტრიმონთან და ეიონთან. და ამბობენ, რომ მეფე აქ ავიდა ხომალდზე.

121. ელინებმა რადგან ვერ შეძლეს ანდროსის აღება, მიუბრუნდნენ კარისტოსს, გააჩანაგეს მისი მიწა-წყალი და დაბრუნდნენ სალამინზე. აქ პირველად ღმერთებს გამოუყვეს თავისი ნაალაფევის საუკეთესო ნაწილი და ამაში შედიოდა სამი ფინიკიური ტრიერი, რომელთაგან ერთი ისტმოსს შეწირეს და რომელიც ჯერ კიდევ ჩემს დრომდე იქ იყო, მეორე - სუნიონს, ხოლო მესამე - აიაქსს იქვე, სალამინზე. ამის შემდეგ გაიყვეს ნაალაფევი და მისი საუკეთესო ნაწილი გაგზავნეს დელფოში. ამისაგან გააკეთეს ქანდაკება, რომელსაც ხელში ხომალდის ცხვირი ეჭირა და სიდიდით 12 წყრთა იყო. ის იქავე იდგა, სადაც მაკედონელი ალექსანდრეს ოქროს ქანდაკება.

122. ელინებმა დელფოში რომ შეწირულეზანი გაგზავნეს, ღმერთს ყველას სახელით შეეკითხნენ, საკმარისია და კმაყოფილია თუ არა ის მიღებული შეწირულობით. ღვთაებამ უპასუხა, რომ ყველა სხვა ელინთაგან საკმარისია, ხოლო ადგენელებმა რომ შეიტყვეს, შესწირეს ოქროს სამი ვარსკვლავი, რომელიც დგანან კუთხეში, სპილენძის ანძაზე, კრომსოსის სასმისის მახლობლად.

123. ნაალაფევის განაწილების შემდეგ ელინებმა გასცურეს ისტმოსისაკენ ჯილდოს მისარებად ამ ომში ელინთა შორის ყველაზე უფრო ღირსეულისათვის. როდესაც მივიდნენ ისტმოსში, მხედართმთავრებმა კენჭი იყარეს პოსეიდონის საკურთხეველთან; ყველან მხედართმთავრიდან უნდა გამოერჩიათ პირველი და მეორე. მაშინ ყოველმა მათგანმა თავისთავს ჩაუგდო კენჭი, რადგან თითოეული ფიქრობდა, რომ ის ყველაზე უკეთესია, ხოლო მეორე კენჭი ძალიან ბევრმა ჩაუგდო თემისტოკლეესს. ისე რომ, ყველა მხედართმთავარმა თავის თავს მისცა თითო ხმა, ხოლო თემისტოკლეესმა მეორე ხმებით ყველას ბევრად გადააჭარბა.

124. შურის შეპყრობილ ელინებს არ უნდოდათ საკითხის ასე გადაწყვეტა, გადაუწყვეტლად დატოვეს ის და ყველა სათითაოდ თავთავის ქალაქში წავიდა. მაგრამ თემისტოკლეესმა მთელს ელადაში ელინთა შორის ყველაზე უფრო ბრძენი კაცის სახელი მოიხვეჭა. რაკილა მას არ ჰქონდა პატივი მიღებული სალამინის საზღვაო ბრძოლაში გამარჯვებისათვის, იგი მაშინვე წავიდა ლაკედემონში, რომ იქ ეცათ მისთვის პატივი. ლაკედემონელებმა ის ძალიან კარგად მიიღეს და დიდი პატივიც სცეს. ევრიბიადესს ვაჟკაცობისათვის მათ ზეთისხილის გვირგვინი მიართვეს, ხოლო თემისტოკლეესი სიბრძნისა და გამჭრიახობისათვის ასევე ზეთისხილის გვირგვინით დააჯილდოვეს. მას აჩუქრეს აგრეთვე ეტლი, სპარტეში უმშვენიერესი. იგი დიდად შეაქეს და როდესაც წავიდა, მას აცილებდა 300 რჩეული სპარტელი, რომელთაც მხედრები ეწოდებოდათ და ამათ გააცილეს ტეგეის საზღვრებამდე. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ყველა ადამიანს შორის სპარტელებმა მხოლოდ ეს კაცი გააცილეს ასე.

125. როდესაც თემისტოკლეესი ლაკედემონიდან ათენში მივიდა, იქ ტიმოდემოს აფიდნელი, რომელიც თემისტოკლეესის მტერი იყო და სხვაფრივ არაფრით

გამოირჩეოდა, შურით იყო გასიებული და წაეჩხუბა თემისტოკლეესს; ლაკედემონში მისვლას უსაყვედურებდა და ეუბნებოდა, რომ ათენის წყალობით მიიღო მან ჯილდოები ლაკედემონელთაგან და არა პირადი დამსახურების გამო. ტიმოდემოსმა რომ აღარ გაათავა ამის ლაპარაკი, შემდეგ უთხრა მას თემისტოკლეესმა: "ასეა საქმე. მე რომ ბელბინელი ვყოფილიყავ, არც მე მცემდნენ ასეთ პატივს საპრტელები, შენ კი, ადამიანო, თუმცა ათენელი ხარ, მაგრამ მაინც არაფრად ჩაგაგდეს". ასე დამთავრდა ეს ლაპარაკი.

126. არტაბადოსი, ფარნაკესის ძე სპარსელებში უწინაც პატივცემული იყო, მაგრამ პლატეის ბრძოლის შემდეგ მაინც განსაკუთრებით დააფასეს. მას თან ჰყავდა 60 000-კაციანი ლაშქარი, რომელიც მარდონიოსმა გამოარჩია და ამიანად მიაციალ მეფე გადასასვლელამდე. როდესაც მეფე აზიაში იყო, ხოლო არტაბადოსი უკან დაბრუნებისას პალენესთან იმყოფებოდა, რაკილა მარდონიოსი ზამთარს თესალიასა და მაკედონიაში ატარებდა და სრულიად არ ეჩქარებოდა დანარჩენ ლაშქართან შეერთება, ამიტომ არტაბადოსს სამართლიანად მიაჩნდა გადამდგარი პოტეიდელების დამორჩილება. პოტეიდელები ხომ აშკარად გადაუდგენენ ბარბაროსებს მას შემდეგ, რაც მეფემ მათთან ჩაიარა და სპასელების ფლოტი სალამინიდან გამოიქცა. ასევე მოიქცნენ პალენეს სხვა მცხოვრებლებიც. ამრიგად, არტაბადოსმა ალყა შემოარტყა პოტეიდეას.

127. არტაბადოსს ეჭვი ჰქონდა, რომ ოლინთელებიც გადაუდგნენ მეფეს და მასაც ალყა შემოარტყა. . . ის ეპყრათ ბოტიეებს, რომლებიც თერმეს უბიდან გამოდევნეს მაკედონელებმა. როდესაც არტაბადოსმა ალყა შემოარტყა და დაიპყრო ოლინთოსი, გამოიყვანა მისი მოსახლეობა ტბასთან და ამოხოცა, ხოლო ქალაქი სამართავად გადასცა კრიტობულოს ტორონელს და ქალკიდურ ტომს; ამრიგად, ოლინთოსი დაიჭირეს ქალკიდელებმა.

128. ოლინთოსი რომ დაიპყრო არტაბადოსმა, შემდეგ პოტეიდეას შეუტია, მაგრად, ხოლო თვითონ რომ ამ ქალაქს უტევდა გამწარებით, ტიმოქსეინოსი, სკიონელთა მხედართმთავარი, შეუთანხმდა მას, რომ ქალაქს გადასცემდა, თავდაპირველად როგორ ხდებოდა შეთანხმება, ვერაფერს ვიტყვი (რადგან ამის შესახებ არაფერს ამბობენ), ხოლო ბოლოს ამგვარი ამბავი მოხდა: როდესაც კი წერილს დაწერდნენ და ან ტიმოქსეინოსს უნდოდა მისი არტაბადოსისათვის გაგზავნა, ანდა არტაბადოსს ტიმოქსეინოსისათვის, წერილს შემოახვევდნენ ისრის ქვემო ნაწილზე, ზემოდან კი ბუმბულს აკრავდნენ და ასე ისროდნენ ამ წერილს დათქმულ ადგილას. მაგრამ გამომჟღავნდა ტიმოქსეინოსის განზრახვა, რომ ის პოტეიდეას გასცემდა. ისროლა არტაბადოსმა წერილი დათქმულ ადგილას, ასცდა ისარი ამ ადგილს და ერთი პორტიდელი მხარში დასჭრა. მთელი ხალხი დაჭრილს შემოეხვია, როგორც ხდება ხოლმე ომის დროს; მაშინ ამოაძვრეს ისარი და რომ ნახეს წერილი, წაუღეს მხედართმთავრებს: აქ ხომ სხვა პალენელი მოკავშირეები იყვნენ. მხედართმთავრებმა წერილი წაიკითხეს და შეიტყვეს გამცემი, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ სკიონელთა ქალაქის ხათრით ტიმოქსეინოსი ღალატისათვის არ დაესაჯათ, ეს იმიტომ რომ სკიონელები შემდეგ ხანებსი მოღალატეებად არ მიეჩნაით. აი, ამგვარად გამომჟღავნდა ტიმოსეინოსი.

129. ხოლო არტაბადოსს 3 თვის განმავლობაში რომ ჰქონდა ქალაქისათვის ალყა შემორტყმული, სწორედ ამ ხანად მოხდა ზღვის დიდი და ხანგრძლივი მიქცევა. ბარბაროსებმა დაინახეს, რომ წყალი ძალიან ათხელდა და წავიდნენ პალენეში. როდესაც გზის ორი ნაწილი გაიარეს და კიდევ სამი დარჩათ გასავლელი, იმისათვის, რომ პალენეში შესულიყვნენ, ზღვის ისეთი დიდი მოქცევა მოხდა, როგორც არასოდეს ყოფილა, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის მოქცევა აქ ძალიან ხშირად არის. ბარბაროსთაგან ზოგნი დაიღუპნენ იმიტომ, რომ ცურვა არ იცოდნენ, ხოლო ვინც იღოდა, მათთან ნავებით მიცურავდნენ პოტეიდელები და ამოხოცეს. პოტეიდელები ამბობენ, რომ ზღვის მიმოქცევისა და სპარსელთა ზღვაზე დაღუპვის მიზეზი იყო შემდეგი: სწორედ ის სპარსელები დაიღუპნენ ზღვაში, რომელთაც შეურაცხყოფა მიაყენა სპოსეიდონის ტამარს და გარეუბანში მდგომ ქანდაკებას. მე ვფიქრობ, ამ მიზეზს რომ ასახელებენ, სწორედ ლაპარაკობენ, არტაბადოსმა გადარჩენილები თან წაიყვანა თესალიაში მარდონიოსთან ასე დაემართათ მეფის გამცემლებს.

130. სალამინიდან გაქცეულმა ქსერქსესის ფლოტმა, რომელიც გადარჩა, მას მერე რაც მეფე და მისი ლაშქარი ქერსონესიდან აბიდოსში გადავიდნენ, მიაღწია აზიას და კიმეში დაიზამთრა. როდესაც ზოგიერთმა ხომალდმა აქ გაატარა ზამთარი. ხოლო მეზღვაურთა უმრავლესობა სპარსელები და მიდიელები იყვნენ. მათ მეთაურობდნენ მარდონტეს ბაგადოსის ძე და არტანტეს არტაქაძესის ძე. ამათთან ერთად უფროსობდა ითამიტრესი, არტანტესის ძმისშვილი, თვითონ არტანტესის მიერ გამორჩეული. რაკილა ძალიან დაზარალდნენ, ბარბაროსები აღარ მიდიოდნენ წინ, დასავლეთისაკენ, არც არავინ აიძუებდა მათ საამისოდ; ისინი იყვნენ სამოსზე და იმას უდარაჯდებოდნენ, იონია არ გადამდგარიყო; თვითონ იონიურ ხომალდებთან ერთად მათ სულ 300 ხომალდი ჰქონდათ. ისინი სულაც არ ფიქრობდნენ, რომ ელინები იონიაში მოვიდოდნენ, არამედ ეგონათ, რომ ისინი თავის ქვეყანას დაიცავდნენ; ეს იქიდან დაასკვნეს, რომ ისინი სალამინიდან გამოქცეულ ბარბაროსებს კი არ დაედევნენ, არამედ კმაყოფილები უკან გაბრუნდნენ. ამრიგად, თუმცა ისინი ზღვაზე დამარცხდნენ და თავიანთი ვაჟკაცობა ვერ გამოიჩინეს, მაგრამ იმისი იმედი ჰქონდათ, რომ მარდონიოსი ქვეით ჯარს სულ ადვილად დაძლევა. სამოსზე რომ იყვნენ, თან ბჭობდნენ, თუ რა ზიანის მიყენება შეუძლიათ მტრისათვის, თანაც თვალყურს ადევნებდნენ, თუ რა გამოდიოდა მარდონიოსის საქმიანობიდან.

131. ელინებს აღელვებდათ გაზაფხულის დადგომაცა და მარდონიოსის თესალიაში ყოფნაც. მათი ქვეითი ჯარი ჯერ არ იყო შეკრებილი, ხოლო ფლოტი მოვიდა ადგინაზე, სულ 110 ხომალდი. მათი უფროსი და მეთაური იყო ლევტიქიდეს მენარესის ძე, ჰეგესილას ჰიპოკრატიდესის ძის შვილიშვილი, ხოლო ჰიპოკრატიდესი იყო ძე ლევტიქიდეს ანაქსილეოსის ძისა, ეს კიდევ იყო ძე არქიდემოს ანაქსანდრიდესის ძისა; ანაქსანდრიდესი იყო თ ოპომპოს ნიკანდროსის ძის შვილი და შვილისშვილი ქარილეოს ევნომოსის ძისა; ევნომოსი იყო პოლიდექტეს პრიტანისის ძის შვილი, პრიტანისი იყო ძე ევრიფონტ პროკლესის ძისა, პროკლესი იყო არისტოდემოს არისტომაქოსის ძის ძე, არისტომაქოსი კი იყო კლეოდადოსის ძე, ჰილოსის შვილიშვილი და ჰერაკლეს შვილიშვილის შვილი. ლევტიქიდესი იყო მეფეთა სხვა სახლიდან. ყველა ესენი, გარდა შვიდისა, რომლებიც ლევტიქიდესის შემდეგ პირველად დავასახელა, იყვნენ სპარტის მეფეები. ათენელებს კი მხედართმთავრობდა ქსანთიპოს არიფრონის ძე.

132. როდესაც ყველა ხომალდი აფინასთნა იდგა, ელინთა ბანაკში მივიდნენ იონიელთა მოციქულები, ისინი, რომლებიც ამაზე ცოტათი უწინ მივიდნენ სპარტეში და სთხოვეს ლაკედემონელებს, გაათავისუფლეთ იონიაო. მათ შორის იყო ჰეროდოტე, ბასილიდესის ძე. ისინი შეითქვენ და განიზრახეს ქიოსის ტირანის, სტრატოსის მოკვლა; თავდაპირველად ისინი შვიდნი იყვნენ. ბოროტისმზრახველები გამომჟღავნდნენ, რადგან ერთმა მონაწილემ შეთქმულება გასცა, ისე რომ დანარჩენმა ექვსმა მიატოვა ქიოსი; ისინი ჯერ სპარტეში მოვიდნენ, ახლა კი აფინაზე და ელინებს სთხოვდნენ, წადით იონიაშიო. ელინები ძლივს მიიყვანეს დელოსამდე. ყველაფერი, რაც შორს იყო, აშინებდა ელინებს, რადგან ამ ადგილებს არ იცნობდნენ და ეგონათ, ჯარებით არის სავსეო. მათ წარმოდგენაში სამოსი ისევე იყო მათგან დაშორებული, როგორც ჰერაკლეს სვეტები. მოხდა სწორედ ისე, რომ ვერც ბარბაროსები ბედავდნენ შიშისაგან დასავლეთისაკენ სამოსზე უფრო შორს გაცურვას და ვერც ელინები მიდიოდნენ დელოსზე უფრო ქვემოთ, აღმოსავლეთისაკენ, თუმცა ქიოსელები სთხოვდნენ მათ ამის შესახებ. ამრიგად, შიში იცავდა ამ კუნძულებს შორის მდებარე ადგილებს.

133. ელინები მიცურავდნენ დელოსისაკენ, ხოლო მარდონიოსი ზამთარს ატარებდა თესალიაში. აქედან გაგზავნა მან სამისნოებში წარმოშობით ევროპელი კაცი, სახელად მისი და უბრძანა ყველგან დაევილო, სადაც კი შეიძლებოდა წინასწარმეტყველების შეტყობა. არ შემოიძლია ვთქვა, თუ რა უნდოდა მას სამისნოებისაგან შეეტყო, როდესაც მისს ასეთი რამ უბრძანა, რადგან ამის შესახებ არაფერი უთქვამთ, მე კი ვფიქრობ, რომ არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად გაგზავნა და არა სხვა რამისათვის.

134. ჩანს, ეს მისი ლებადეში მივიდა და ერთი ადგილობრივი მცხოვრები გასამრჯელოთი დაიყოლია ტროფონიოსთან ჩასულიყო; ის იყო აგრეთვე ფოკეელთა აბეში, სამისნოში. პირველად მისი თებეში მივიდა და ჯერ ისმენიელ აპოლონს შეეკითხა (აქაც, ისევე როგორც ოლიმპიაში, მისნობას მსხვერპლშეწირვის საშუალებით იგებენ), შემდეგ ერთი უცხოელი, არა თებელი, ფულით დაიყაბულა, რომ ღამე გაეთია ამფიარეოსის სამისნოში, რადგან თებელთაგან არავის შეუძლია აქ მისნობის გაგება შემდეგი მიზეზის გამო: ამფიარეოსმა მისნობის საშუალებით გააგებინა თებელებს, რომ ორი შესაძლებლობიდან, რომელიც უნდოდათ, ის აერჩიათ - ან გამოეყენებინათ ის როგორც მისანი, ან გაეხადათ მოკავშირედ - ხოლო მეორე შესაძლებლობა უარეყოთ. მათ არჩიეს, რომ ის მოკავშირედ ჰყოლოდათ. აი, ამიტომაც, რომ თებელთაგან არავის შეუძლია იქ ღამის გათევა.

135. თებელები ამბობენ შემდეგს, რაც მე ყველაზე უფრო საოცრად მიმაჩნია: ევროპელმა მისმა დაიარა მთელი სამისნოები და მივიდა აპოლონ პტოოსის სალოცავშიც. ამ სალოცავს პტოოსისა ეწოდება და ეკუთვნის თებელებს, ის მდებარეობს კომპანისის ტბის ზემოთ, მთასთან, ქალაქ აკრადიის მახლობლად. როდესაც მოვიდა ამ სალოცავში ის ეგრეთ წოდებული მისი, მას თან ახლდა სახელმწიფოს ხარჯით სამი რჩეული მოქალაქე წინასწარმეტყველების ჩასაწერად. უცბად მისანმა ბარბაროსულ ენაზე დაილაპარაკა; მისის მხლებელი თებელები განცვიფრდნენ ელინურის მაგივრად ბარბაროსული ენა რომ გაიგონეს და არ იცოდნენ, ასეთ შემთხვევაში რა უნდა გაეკეთებინათ; მაშინ მის ევროპელმა გამოსტაცა მათ ფირფიტა, რომელიც ეჭირათ და დააწერა ზედ ის, რასაც

წინასწარმეტყველი ლაპარაკობდა; თებელებს კი უთხრა, რომ ის კარიულ ენეზე ლაპარაკობსო. ჩაიწერა მისი ნალაპარაკევი და წავიდა ისევ თესალიაში.

136. მარდონიოსმა რომ წაიკითხა სამისნოში წარმოთქმული, ამის შემდეგ ათენში გაგზავნა მოციქულად ალექსანდრე ამინტესის ძე, მაკედონელი; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის სპარსელების მოყვარე იყო (ალექსანდრეს და გიგადე, ამინტესის ასული, ცოლად ჰყავდა ბუბარესს, სპარსელს; ამ ქალისაგან ჰყავდა ბუბარესს ამინტესი, რომელიც არის აზიაში და რომელსაც თავისი პაპის - დედის მამის -სახელი ჰქვია; მას მეფისაგან ჰქონდა ბოძებული საცხოვრებელი ფრიგიის დიდი ქალაქი, ალბანადა), თანაც იმიტომ გაგზავნა მარდონიოსმა ალექსანდრე, რომ შეიტყო, ის ათენელთა პროქსენოსი და მათ მიმართ კეთილის მოქმედი იყო, მან გადაწყვიტა, რომ ამ გზით ის ყველაზე უფრო მიიმხრობს ათენელებს, რომელთა შესახებაც მოესმინა, რომ ეს მრავალრიცხოვანი და მამაცი ხალხია და თან ისიც იცოდა, რომ სპარსელთა დამარცხება ზღვაზე განსაკუთრებით ათენელების მიზეზით მოხდა. მარდონიოსი იმედოვნებდა, რომ თუ მათ მოიმხრობდა, მაშინ ადვილად დაიპყრობდა ზღვას, რაც მართლაც ასე მოხდებოდა; ის ფიქრობდა, რომ თვითონ ელინებზე ბევრად უფრო ძლიერი იყო ხმელეთზე და თუ ასე მოიქცეოდა, ელინებზე უპირატესობას მოიპოვებდა. შესაძლოა, სამისნოებმაც ეს უწინასწარმეტყველეს მად და ურჩიეს ათენელები მოკავშირეებად გაეხადა. აი, მათ დაუჯერა და გაგზავნა მოციქული ათენში.

137. ალექსანდრეს წინაპარი მეშვიდე თაობაში პერდიკესი იყო. მან მაკედონელებზე ძალაუფლება შემდეგნაირად მოიპოვა: არგოსიდან ილირიაში გაიქცა სამი ძმა, ტემენოსის ჩამომავალთაგანი: გავანესი, აეროპოსი და პერდიკესი. ისინი ილირიელთა ქვეყნიდან გადმოვიდნენ ზემო მაკედონიაში და მივიდნენ ქალაქ ლებადაში. აქ ისინი ქირით ემსახურებოდნენ მეფეს, ერთი ცხენებს უვლიდა, მეორე ხარებს, ხოლო ყველაზე უმცროსი მათ შორის, პერდიკესი უვლიდა წვრილფეხა საქონელს. ძველად ხალხთა ტირანებსაც აკლდა ფული, არა მარტო ხალხს, ამიტომ მეფის ცოლი თვითონ უმზადებდა მათ საქმელს. ხოლო როდესაც გამოცხვებოდა დაქირავებული პერდიკესის პური, ის ერთი ორად მატულობდა. რადგან ეს ამბავი გამუდმებით ასე ხდებოდა, ქალმა უთხრა თავის ქმარს. კაცმა რომ მოისმინა, მაშინვე იფიქრა, რომ ეს რაღაც სასწაულია და რაღაც დიდის მომასწავებელიო. მან დაუძახა დაქირავებულებს და გამოუცხადა, რომ დაეტოვებინათ მისი ქვეყანა. მათ უთხრეს, რომ სამართლიანობა მოითხოვს, მიიღონ თავიანთი გასამრჯელო და ისე წავიდნენ. მეფემ რომ გასამრჯელოს შესახებ მოისმინა (ამ დროს მზის სხივები მის სახლში საკვამურიდან ჩამოდიოდა), ღვთისაგან ჰკუთნა ჰქონდა არეული და უთხრა მათ: „აი, თქვენი საკადრისი გასამრჯელო, რასაც მე თქვენ გაძლევთ“ და მიუთითა მზეზე. გავანესი და აეროპოსი, უფროსები, განცვიფრებულები იდგნენ, ეს რომ მოისმინეს. ხოლო ყმაწვილმა, რომელსაც შემთხვევით დანა ეჭირა ხელში, უთხრა: „ვლებულობთ, მეფეო, რასაც გვაძლევ“ და დანით შემოხაზა სახლის იატაკზე მზე; ხოლო რომ შემოხაზა, სამჯერ მოიხვეჭა მკერდზე მზე და თავის ძმებთან ერთად წავიდა.

138. მათი წასვლის შემდეგ ერთმა იქ მჯდომთაგანმა აუხსნა მეფეს, თუ რა გააკეთა ყმაწვილმა და რა გონივრულად მიიღო მან ძმებს შორის ყველაზე ახალგაზრდამ ის, რაც მისცა მეფემ მათ. მეფემ რომ ეს მოისმინა, ძალიან გაჯავრდა და ყმაწვილებს ცხენოსნები დაადევნა ამოსახოცად. ამ ქვეყანაში არის მდინარე, რომელსაც აი, ამ

არგოსელი ხალხის ჩამომავლები მსხვერპლს სწირავენ, როგორც მხსენელს. როდესაც ტემენიდებმა გადალახეს ეს მდინარე, ის ისე ადიდდა, რომ მდევრებმა ვერ შეძლეს გადასვლა. ყმაწვილები მივიდნენ მაკედონიის სხვა მხარეში და დასახლდნენ ბალების მახლობლად, რომელთა შესახებაც ამბობენ, რომ ისინი ეკუთვნოდა მიდესს, გორდიესის ძეს; ამ ბაღში იზრდება ველური ვარდი; თითოეულ ვარდს აქვს 60 ფურცელი და სუნით აღემატება ყველა სხვას. როგორც ამბობენ მაკედონელები, ამ ბაღში დაიჭირა მიდესმა სილენოსი. ბაღებს ზემოთ მდებარეობს მთა, რომელსაც ეწოდება ბერმიონი და რომელიც ძნელადსავალია თოვლის გამო. ტემენიდებმა ეს ადგილი რომ დაიჭირეს, შემდეგ წამოვიდნენ აქედან და დაიპყრეს დანარჩენი მაკედონია.

139. აი, ამ პერდიკესის ჩამომავალია ალექსანდრე. სახელდობრ: ამინტესის შვილი იყო ალექსანდრე, ამინტესი იყო ალკეტესის შვილი, ხოლო ალკეტესის მამა იყო აეროპოსი, ფილიპეს ძე; ფილიპეს მამა კი იყო არგადოსი, ხოლო ამის მამა იყო პერდიკესი, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება.

140. ა). ასეთი იყო ალექსანდრე ამინტესის ძის საგვარეულო. როდესაც ის, მარდონიოსის გაგზავნილი, მივიდა ათენში, თქვა: „ათენელებო, მარდონიოსი შემდეგს გატყობინებთ: მეფისაგან მივიღე ასეთი შემონათვალი: „ათენელებს მივუტევე ყველა ის შეცოდება, რომელიც ჩაიდინეს ჩემს მიმართ. ახლა კი, მარდონიოს, ასე მოიქეცი: ჯერ ეს ერთი, დაუბრუნე მათ მიწები, შემდეგ - სხვა მიწებიც მიეცი, რასაც კი მოინდომებენ და დამოუკიდებლობა მიანიჭე მათ. აღუდგინე მათ ყველა სალოცვავე, რომელიც კი მე გადავუწვი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოინდომებენ ჩემს მხარეზე ყოფნას“. რაკილა ეს განკარგულებები მივიღე, უთუოდ უნდა შევასრულო ისინი, თუ თქვენ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო. აი, მე თქვენ რას გეუბნებით: რა სიგიჟეა ახლა თქვენთვის მეფესთან ომი? თქვენ ხომ არც მისი დამარცხება შეგიძლიათ და ვერც სულ მუდამ გაუმკლავდებით მას. თქვენ ხომ ნახეთ ქსერქსესის ლაშქრის სიმრავლე და საქმიანობა, ისიც იცით, თუ მე ახლა რა ძალის პატრონი ვარ, ისე რომ თქვენ რომ კიდევაც გვაჯობოთ და გაიმარჯვოთ (რისი იმედიც არ უნდა გქონდეთ, თუკი თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ), სხვა ლაშქარი მოვა, ბევრად უფრო დიდი. ამიტომ ნუ მოინდომებთ მეფის გატოლებას, რომ არ დაჰკარგოთ თქვენი ქვეყანა და მუდამ არ გაფიქრებდეთ თქვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამიტომ შეწყვიტეთ ბრძოლა. თქვენ ახლა ადვილად შეგიძლიათ ბრძოლას თავი გაანებოთ, რადგან მეფეც ამისთვის იღვწის. იყავით თავისუფლები, დაამყარეთ ჩვენთან სამხედრო კავშირი მზაკვრობისა და ტყუილების გარეშე.

ბ) . ათენელებო, მარდონიოსმა აი ეს მიბრძანა, რომ მეთქვა თქვენთვის. ხოლო რაც შემეხება მე, არაფერს ვიტყვი ჩემს კეთილგანწყობაზე თქვენს მიმართ (რადგან ახლა იმისი დრო არაა, რომ პირველად ამაზე გელაპარაკოთ), მაგრამ გთხოვთ დაუჯეროთ მარდონიოს. მე ვხედავ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მომავალში გამუდმებით ეომოთ ქსერქსესს (ეს რომ არ დამენახა, არც მოვიდოდი თქვენთან და არც გეტყოდით ასეთ რასმე), რადგან მეფეს ზეადამიანური ძალა და ძალიან გრძელი ხელი აქვს. ამიტომ, თუ თქვენ ახლავე არ შეუთანხმდებით მხოლოდ უნდა დაეთანხმოთ, მეშინია თქვენს მაგივრად, რადგან ყველა მოკავშირეთა შორის, სწორედ თქვენ ხართ ზედ გზაზე, მუდამ მხოლოდ თქვენ ნადგურდებოდით და ისეთ მიწა-წყალზე ცხოვრბოთ, რომელიც გამორჩევით ორ ცეცხლს შორის მდებარეობს. მაგრამ დაგვიჯერეთ დიდი

პატივია თქვენთვის, რომ დიდმა მეფემ ელინთა შორის მხოლოდ თქვენ მოგიტევათ შეცოდებანი და უნდა თქვენთან დამეგობრება“. ასე ილაპარაკა ალექსანდრემ.

141. ლაკედემონელებმა ამასობაში შეიტყვეს, რომ ალექსანდრე წავიდა ათენში ათნელბის ბარბაროსთან შესათანხმებლად, გაახსენდათ სამისნოებიდან მიღებული წინასწარმეტყველებები, სახელდობრ ის, რომ მათ სხვა დორიელებთან ერთად პელოპონესიდან გამოაძევებენ მიდიელები და ათენელები. ამიტომ ძალიან შეეშინდათ, რომ არ შესთანხმებოდნენ ათენელები სპარსელს და გადაწყვიტეს მაშინვე გაეგზავნათ მოციქულები ათენში. ისე მოხდა, რომ ლაკედემონელთა და ბარბაროსთა მოციქულები ერთდროულად წარდგნენ საზოგადოების წინასე. ეს იმიტომ, რომ ათენელები იცდიდნენ და აჭიანურებდნენ მოლაპარაკებას, რადგან კარგად იცოდნენ ლაკედემონელების ამბავი: ესენი როდესაც შეიტყობდნენ ბარბაროსის მოციქულის მოსვლას მოსარიგებლად, სასწრაფოდ გამოუგზავნიდნენ თვითონაც მოციქულებს. ასე მოიქცნენ ისინი განზრახ, რომ ლაკედემონელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი განწყობილება.

142. ალექსანდრემ რომ გაათავა ლაპარაკი, მის შემდეგ ილაპარაკეს სპარტიდან მოსულმა მოციქულებმა: „ჩვენ გამოგზავნეს ლაკედემონელებმა და გთხოვენ თქვენ, რომ ცუდი არაფერი ჩაიდინოთ ელადის მიმართ და არც ბარბაროსის წინადადება მიიღოთ. რადგან ეს საქციელი არ იქნებოდა სამართლიანი და არავის დაამშვენებდა, არავის სხვას ელინთა შორის და განსაკუთრებით კი თქვენ მრავალი მიზეზის გამო. თქვენ წამოიწყეთ ეს ომი ისე, რომ ჩვენ არავის გვინდოდა, თავდაპირველად ბრძოლა თქვენი მიწა-წყლის გამო იყო, ახლა კი ის მთელს ელადას ეხება. ამას გარდა, სრულიად აუტანელი იქნება, რომ ათენელები, რომლებიც ყოველივე ამის მიზეზი არიან, ელინების მონობის მიზეზიც გახდნენ. ის ათენელები, რომლებიც მუდამ და ძველადვე ცნობილი იყვნენ, როგორც ბევრი ხალხის განმათავისუფლებლები. ჩვენ მართალია თანავუგრძნობთ თქვენს გაჭირვებას, იმას, რომ თქვენ ორჯერ დაგეკარგათ მოსავალი და რომ უკვე დიდი ხანია განადგურებული გაქვთ სახლები. ამისთვის ლაკედემონელები და მათი მოკავშირეები გიცხადებენ თქვენ, რომ შეინახავენ თქვენს ქალებს და თქვენს იმ ნათესავებს, რომლებიც ომში გამოუსადეგარი არიან მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ომი გრძელდება. ნუ დაუჯერებთ მაკედონელ ალექსანდრეს, რომელიც გაწონებთ თქვენ მარდონიოსის წინადადებას, რადგან მას სწორედ ამის გაკეთება მართებს. ის თვითონ ტირანია და ტირანს ეხმარება; მაგრამ თქვენ არ გმართებთ ამის გაკეთება, თუ თქვენს ჭკუაზე ხართ, რადგან მოგეხსენებათ, რომ ბარბაროსები არც სანდონი არიან და არც მართლები“. ეს თქვენს მოციქულებმა.

143. ხოლო ათენელებმა ალექსანდრეს შემდეგი მიუგეს: „ჩვენ თვითონაც ვიცით, რომ მიდიელს ბევრად უფრო დიდი ჯარი ჰყავს, ვიდრე ჩვენ, ისე რომ ამ მხრივ არაფერი გვაქვს სასაყვედურო. მაგრამ ჩვენ მივისწრაფით თავისუფლებისაკენ და ისე დავიცავთ თავს, როგორც შეგვეძლება. შენ ნუ შეეცდები დაგვარწმუნო, რომ ბარბაროსთან შეთანხმება გვიჯობს. სულერთია ჩვენ მაინც არ დაგიჯერებთ. ახლა კი გადაეცი მარდონიოსს ის, რასაც ათენელები ამბობენ: ვიდრე მზე იმ გზაზე ივლის, რომელზედაც ახლა დადის, არასოდეს შევუთანხმდებით ქსერქსესს. პირიქით, გამოვალთ და თავდ დავიცავთ მოკავშირე ღმერთებისა და გმირების იმედით, რომელთა მიმართ არავითარი პატივისცემა მას არ ჰქონია და გადასწვა მათი სამყოფელი და გამოსახულებები. შენ კი ნუღარასოდეს მოხვალ ათენელებთან

ამნაირი წინადადებით და მაშინ, როდესაც უკანონო საქმის ჩადენას გვირჩევ, ნურც იმას იფიქრებ, რომ ჩვენ სასიკეთოდ ზრუნავ, რადგან არ გვინდა, რომ ათენელთაგან რაიმე უკეთურება შეგემთხვეს. ჩვენს პროქსენოსსა და მეგობარს“.

144. ასე უპასუხეს მათ ალექსანდრეს, ხოლო სპარტიდან მოსულ მოციქულებს შემდეგი უთხრეს: „სავსებით ადამიანურია ის, რომ ლაკედემონელებს ეშინოდათ ჩვენი და ბარბაროსის შეთანხმებისა. მაგრამ სირცხვილია, რომ თქვენ ამისი გეშინოდათ, რადგან იცოდით ათენელების განწყობილება. არც იმდენი ოროსა სადმე დედამიწაზე, არც ქვეყანა არსებობს სილამაზითა და სიკეთით ისე აღმატებული, რომ გვინდოდეს ამის მიღება და ჩვენი გამიდიელება, ელადის მონობაში ჩავდების ფასად. ბევრი და დიდი მიზეზებია დამაბრკოლებელი საიმისოდ, რომ ეს არ გავაკეთოთ, კიდევაც რომ გვინდოდეს. პირველი და უდიდესი მიზეზია ღმერთების გამოსახულებათა და სამყოფელთა გადაწვა და დანგრევა, რისთვისაც ვალდებული ვართ მას სასტიკად ვაზღვევინოთ სამაგიერო და არ შევუთანხმდეთ იმას, ვინც ეს გააკეთა. შემდეგ ათენელებისაგან არ ივარგებდა, რომ გამცემები გამხდარიყვნენ, მაშინ, როდესაც ელინებს ერთი სისხლი და ერთი ენა აქვთ. საერთო აქვთ ღმერთების ტაძრები, მსხვერპლშეწირვები და წეს-ჩვეულებები. ამრიგად, თუ აქამდე არ იცოდით, ამიერიდან იცოდეთ, რომ სანამ თუნდაც ერთი ათენელი არსებობს, ჩვენ არ მოვრიგდებით ქსერქსესთან. მადლობლები ვართ, რომ თქვენ ზრუნავთ ჩვენზე, რომ ყურადღებას აქცევთ ჩვენს დანგრეულ სახლებს იმდენად, რომ ჩვენი ოჯახების შენახვაც კი გინდათ. თქვენს მიმართ მადლობის გრძნობით ვართ სავსე, მაგრამ ჩვენ თვითონ გავუძლებთ ყოველივეს, რაც არ უნდა დაგვემართოს, ისე, რომ თქვენ არ შეგაწუხოთ. ახლა რაკილა ასეა საქმე, სასწრაფოდ გაგზავნეთ ლაშქარი. რადგან ჩვენ გვგონია, რომ ბარბაროსი მალე შემოიჭრება ჩვენს ქვეყანაში, მაშინვე შემოიჭრება, როგორც კი მიუვა ცნობა, რომ არ ვაკეთებთ იმას, რაც იმან მოგვთხოვა. ვიდრე ის ატიკაში მოვა, თქვენ გექნებათ დრო, რომ მიემშველოთ ბეოტიას“. ეს უპასუხეს ათენელებმა, ხოლო მოციქულები გაბრუნდნენ სპარტეში.

IX წიგნი კალიოპე

1. მარდონიოსმა, როდესაც ალექსანდრე მასთან დაბრუნდა და ათენელთა პასუხი მოახსენა, წამოიყვანა ლაშქარი და თესალიიდან სასწრაფოდ წავიდა ათენის წინააღმდეგ. სადაც კი გაივლიდა, იქაური მაცხოვრებლები თან მიჰყავდა, ხოლო თესალიის თავკაცები არც იმას სწუხდნენ, რაც უწინ ჰქონდათ ჩადენილი და ახლა ხომ განსაკუთრებით აგულიანებდნენ სპარსელს; თორაქს ლარისეული უწინ ქსერქსესს ახლდა, ის რომ გარბოდა, ახლა კი სრულიად აშკარად გაატარა მარდონიოსი, რომელიც ელადის წინააღმდეგ მიემართ ბოდა.

2. როდესაც ლაშქარი ბეოტიელების ქვეყანაში მივიდა, თებელებმა მოინდომეს მარდონიოსის შეჩერება, ურჩევდნენ მას და ეუბნებოდნენ, რომ ამაზე უფრო მოსახერხებელი ადგილი სხვა არაა დასაბანაკებლად, ამიტომ არ ღირს აქედან უფრო შორს წასვლა. პირიქით, აქ უნდა დასხდნენ და იზრუნონ იმისათვის, რომ მთელი ელადა უბრძოლველად დაიმორჩილონ. რადგან როგორც მათ უწინდელი გამოცდილებით იცოდნენ, როდესაც ელინები ერთსულოვანნი იყვნენ, ძალით მათ ვერაფერს დააკლებდა თუნდაც მთელი კაცობრიობა. „ხოლო თუ იმას გააკეთებ, რასაც

ჩვენ გირჩევთ, - ეუბნებოდნენ ისინი - გაუჭირვებლად მიაღწევ ყოველივეს, რაც მათ მიმართ გაქვს გადაწყვეტილი. ფულები გაუზზავნე ძლევამოსილ პირებს ქალაქებში, გაგუზავნე და ამით ელადაში განხეთქილებას გამოიწვევ, ხოლო შემდეგ, ვინც შენი თანამოაზრე არ იქნება, იმათ ადვილად დაპყრობ შენს მომხრეებთან ერთად“. ასე ურჩევდნენ მას თებელები.

3. მარდონიოსმა მათ არ გაუგონა. პირიქით, საოცარმა სურვილმა შეიპყრო ათნი ხელმეორედ აელო, ერთის მხრივ თავისი უმეცრების გამო, ხოლო მეორეს მხრივ იმიტომ, რომ სურდა სარდელში მყოფი მეფისათვის შეეტყობინებინა, ათენი ჩემს ხელთ არისო კუნძულებზე დანთებული ცეცხლის ნიშნების საშუალებით. როდესაც მარდონიოსი მივიდა ატიკაში, იქ ათენელები ვერ ჰპოვა; შეიტყო, რომ მეტი წილი სალამინშია წასული და ზოგიც ხომალდებზე იმყოფება, ისე რომ, სულ უკაცრიელი ქალაქი აიღო. მეფის მიერ ქალაქის აღება მარდონიოსის ამ მეორე ლაშქრობამდე ათი თვით ადრე მოხდა.

4. როდესაც ათენში იმყოფებოდა მარდონიოსი, მან სალამინში გაგზავნა ჰელესპონტელი მურიქიდესი იმისათვის, რომ მას იგივე სიტყვები მიეტანა, რაც მაკედონელმა ალექსანდრემ შეუთვალა ათენელებს. თუმცა მან იცოდა, რომ ათენელებს მათ მიმართ მეგობრული განწყობილება არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც გაგზავნა მეორედ კაცი, რადგან იმედოვნებდა, რომ მაშინ, როდესაც ატიკის მთლიან ქვეყანა დაპყრობილი და მის ხელში იყო, ათენელები თავის უგუნურებაზე ხელს აიღებდნენ. აი, იმიტომ გაგზავნა მან მურიქიდესი სალამინში.

5. მურიქიდესი მივიდა სათათბიროში და გადასცა მარდონიოსის დანაბარები. ერთ-ერთმა მოთათბირეთაგანმა, ლიკიდესმა გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესია მიიღონ ის წინადადება, რაც მურიქიდესმა მოუტანა და მოახსენონ ხალხს. მან ეს აზრი გამოთქვა, ან იმიტომ, რომ ფული ჰქონდა მიღებული მარდონიოსისაგან, ანდა იმიტომ, რომ მართლაც ასე მიაჩნდა უმჯობესად. ათენელები ამაზე საშინლად განრისხდნენ, სათათბიროს წევრებიცა და გარეშე პირებიც, ეს რომ მოისმინეს; ისინი გარს შემოერთყნენ ლიკიდესს და ჩაჰქოლეს, ხოლო ჰელესპონტელი მურიქიდესი უვნებელი გაუშვეს. სალამინში რომ შფოთი ატყდა ლიკიდესის გამო, მომხდარი ამბავი შეიტყვეს ათენელმა ქალებმა; ქალმა ქალი წააქეზა და თან წაიყვანა, თავისი ნებით მივიდა ლიკიდესის სახლში, ჩაჰქოლეს მისი ცოლი და ასევე მისი შვილები.

6. ხოლო სალამინზე ათენელები ასე გადავიდნენ: ვიდრე ისინი პელოპონესიდან ელოდებოდნენ ჯარს, რომელიც მათ საშველად მოვიდოდა, ატიკაში იცდიდნენ. მაგრამ რადგან პელოპონესელები აჭიანურებდნენ აგვიანებდნენ ამ საქმეს, თანაც, ამბობდნენ, რომ მტერი უკვე მეოტიაშიაო, მაშინ ათენელებმა გადაიტანეს, რაც კი რამე ებადათ და თვითონაც გადავიდნენ სალამინზე. ამასთანავე ლაკედემონში მოციქულები გაგზავნეს; ესენი ჯერ ეს ერთი უსაყვედურებდნენ ლაკედემონელებს, რომლებმაც არაფრად ჩააგდეს ბარბაროსის შემოჭრა ატიკაში და მათთან ერთად არ გამოვიდნენ მტრის შესახვედრად ბეოტიაში, მეორეც - შეახსენებდნენ ლაკედემონელებს, თუ რა აღუთქვა ათენელებს სპარსელმა, იმ შემთხვევაში, თუ ესენი მის მხარეზე გადავიდოდნენ; ამასთანავე მათ უნდა ეთქვათ ლაკედემონელებისათვის, რომ თუ ისინი არ უშველიან ათენელებს, ათენელები თვითონ უშველიან როგორმე თავს.

7. ლაკედემონელები ამ დროს დღესასწაულობდნენ ჰიაკინთიის დღესასწაულს და ყველაზე მეტ საზრუნავად ღმერთის მიმართ ჩასატარებელი ზეიმი მიაჩნდათ. ამასთანავე იმ ზღუდეს, რომელსაც ისინი ისთმოსში აგებდნენ, უკვე ქონგურებს უკეთებდნენ. როდესაც მივიდნენ ლაკედემონში ათენელი მოციქულები, თან მოიყვანეს მოციქულები მეგარელთაგან და პლატეელთაგან, მივიდნენ ეფოროსებთან და უთხრეს შემდეგი: „ჩვენ გამოგზავნეს ათენელებმა იმის სათქმელად, რომ ჯერ ეს ერთი - მიდიელთა მეფე უკან გვიბრუნებს ჩვენს მიწა-წყალს. მეორე - მას სურს მოკავშირეებად გაგვიხადოს სრულიად თანაბარი უფლებების პირობებში მზაკვრობისა და სიცრუის გარეშე; მას სურს ჩვენი ქვეყნის გარდა კიდევ სხვა ქვეყნის მოცემა, რომელსაც ჩვენ თვითონ ავირჩევთ, ჩვენ კი თავყვანს ვცემთ ელინურ ზევსს და გვზარავს ელადის გაცემა. ამიტომ არ დავეთანხმეთ მას და უარყავით იმის წინადადება; ელინები კი უსამართლოდ გვექცევიან და გვღალატობენ, მაშინ, როდესაც ვიცით, რომ ჩვენთვის უფრო სასარგებლოა სპარსელთან შეთანხმება, ვიდრე მასთან ომი. მაგრამ მასთანა ჩვენი შეთანხმება ნებაყოფლობით არ მოხდება. ამრიგად, ჩვენ ელინთა მიმართ პირნათელი ვართ. თქვენ მაშინ ძალიან იყავით შეშინებული, რომ არ მოვრიგებოდით სპარსელს, ხოლო როდესაც დანამდვილებით შეიტყვეთ ჩვენი აზრი, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გავცემდით ელადას, თქვენ არავითარ ყურადღებას არ აქცევთ ათენელებს, მაშინ როდესაც ისთმოსზე ზღუდის აგება უკვე მთავრდება. მიუხედავად ჩვენი შეთანხმებისა, სპარსელს ბეოტიაში დახვედროდით, გვიღალატეთ ჩვენ და ბარბაროსს საშუალება მიეცით ატიკაში შემოჭრილიყო. ამიტომაც, რომ ამჟამად ათენელები თქვენზე განრისხებულნი არიან, რადგან არ მოიქეცით ისე, როგორც იყო საჭირო. ახლა ათენელები მოითხოვენ, სასწრაფოდ გაგზავნოთ ლაშქარი ჩვენთან ერთად, რომ დახვდეთ ბარბაროსს ატიკაში. რაკიდა ბეოტიაში ბროძლა ხელიდან გაუშვით, ყველაზე უფრო ხელსაყრელია შებრძოლება ჩვენს მიწა-წყალზე, თრიის დაბლობზე“.

8. ეფოროსებმა რომ ეს მოისმინეს, პასუხის გაცემა მეორე დღისათვის გადადეს, ხოლო მეორე დღეს კიდევ შემდეგისთვის. ასე იქცეოდნენ ისინი მთელი ათი დღის განმავლობაში, დღიდან დღეზე გადაჰქონდათ პასუხის გაცემა. ამ დროის ისთმოსზე პელოპონესელები დიდი მონდომებით აგებდნენ ზღუდეს და დაასრულეს კიდევაც. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ათენში მივიდა, მაშინ ლაკედემონელებმა დიდად გამოიღეს თავი, რომ ათენელებს მიდიელების მხარე არ დაეჭირათ, ახლა კი სრულიად არ ზრუნავდნენ ამსიათვის; მე საამისოდ სხვა მიზეზს ვერ დავასახელებ იმის გარდა, რომ ახლა ლაკედემონელებს ისთმოსი გამაგრებული ჰქონდათ ზღუდით და ეგონათ, რომ ათენელთაგან აღარაერი დასჭირდებოდათ. ხოლო როდესაც ალექსანდრე მივიდა ატიკაში, ზღუდე ჯერ არ იყო აგებული და გამალებით მუშაობდნენ, რადგან სპარსთა მიმართ დიდი შიში ჰქონდათ.

9. საბოლოო პასუხის გაცემა და სპარტელთა სალაშქროდ გამოსვლა ამგვარად მოხდა: უკანსკნელი შეხვედრის წინა დღეს ტეგეელმა ქილეოსმა, უცხოელთა შორის ყველაზე უფრო გავლენიანმა ლაკედემონიაში, ეფოროსთაგან შეიტყო ყოველივე, რაც ეთქვათ ათენელებს. ქილეოსმა რომ შეიტყო, მათ შემდეგი უთხრა: „ასეა საქმე, ეფოროსებო, ათენელები რომ ჩვენი მეგობრები კი არა, არამედ ბარბაროსის მოკავშირეები იყვნენ, ისთმოსზე კიდევაც რომ ძლიერი ზღუდე იყოს აღმართული, სპარსელისათვის მაინც დიდი კარიბჭე იქნებოდა გაღებული პელოპონესისაკენ. ისე რომ, მოუსმინეთ მათ,

ვიდრე სხვა რასმე გადაწყვეტენ ათენელები, ელადისათვის საზიანოს“. ასეთი რამ ურჩია მან ეფოროსებს.

10. ეფოროსები მის სიტყვას ყურადღებით მოეპყრნენ; არაფერი უთხრეს სხვადასხვა ქალაქებიდან მოსულ მოციქულებს, დამითვე გაგზავნეს 5000 სპარტელი და თითოეულს გაატანეს 7 ჰეილოტი, ხოლო მათი წაყვანა დაევალა პავსანიეს კლეომბროტოსის ძეს. წინამძროლობა წესით ეკუთვნა პლემსტარქოს ლეონიდესის ძეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ხოლო პავსანიესი იყო მისი მეურვე და ბიძაშვილი. კლეომბროტოსი, პავსანიესის მამა, ანაქსანდრიდეს ძე აღარ იყო ცოცხალი; ის ცოტა ხანში გარდაიცვალა მას მერე, რაც ისთმოსიდან მოიყვანა ლაშქარი, რომელმაც იქ ზღუდე ააგო, ხოლო ისთმოსიდან კლეომბროტოსმა ლაშქარი ამიტომ წამოიყვანა: როდესაც ის მსხვერპლს სწირავდა სპარსელის წინააღმდეგ, ამ დროს ცაზე მზე დაბნელდა. პავსანიესმა თავის თანაშემწედ გამოირჩია ევრიანაქტი, დორიევსის ძე, ვაჟკაცი, რომელიც იმავე სახლიდან იყო. ასე გავიდა სპარტიდან ლაშქარი პავსანიესთან ერთად.

11. ხოლო მოციქულებმა არაფერი იცოდნენ ლაშქრის გასვლის შესახებ და დღ როდესაც დადგა, მივიდნენ ეფოროსებთან; გუნებაში ჰქონდათ, რომ წავიდოდნენ თითოეული თავთავის ქვეყანაში. მივიდნენ და უთხრეს შემდეგი: „ლაკედემონელებო, თქვენ აქ რჩებით, აქ აწყობთ ჰიაკინთის დღესასწაულს და ერთობით, თქვენს მოკავშირეებს კი დალატობთ, ხოლო ათენელები, რომელთაც თქვენ უსამართლოდ ექცევით და მოკავშირეთა გარეშე ტოვებთ, დაეთათბირებიან სპარსელს, როგორც კი მოახერხებენ, ხოლო რომ დაეთათბირებიან, ცხადია, მეფის მოკავშირეები გახდებიან და ჩვენც მათთან ერთად ვილაშქებთ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც ისინი წაგვიყვანენ. თქვენ კი ამის მერე შეიტყობთ, თუ რა დაგემართებათ ყოველივე ამის შედეგად“. როდესაც მოციქულებმა ეს ილაპარაკეს, ეფოროსებმა ფიცით უპასუხეს, რომ მათი აზრით, ახლა დაახლოებით ორესთეფონში უნდა იყოს მათი ჯარი, უკვე წასული უცხოების წინააღმდეგ (უცხოები მათ ბარბაროსებს უწოდეს). მოციქულებმა ვერ გაიგეს და იკითხეს, რას ამბობთო. რომ იკითხეს, შეიტყვეს ყოველივე, როგორც იყო, ისე რომ ძალიან გაოცდნენ და სასწრაფოდ გაემართნენ, რომ დასწეოდნენ წასულებს. მათთან ერთად წავიდა ლაკედემონელთა პერიოდკთავან 5000 რჩეული ჰოპლიტი.

12. ესენი ისთმოსისაკენ მიემურებოდნენ, ხოლო არგოსელები როგორც კი შეიტყვეს, რომ ჯარი სპარტიდან გავიდა პავსანიესთან ერთად, მალემსრბოლთავან გამოარჩიეს საუკეთესო მაცნე და გაგზავნეს ატიკაში, რადგან უწინ აღუთქვეს მარდონიოსს, რომ ხელს შეუშლიდნენ სპარტელს, არ გასულიყო თავისი ქალაქიდან. მაცნე რომ მივიდა ათენში, თქვა შემდეგი: „მარდონიოს, არგოსელებმა გამომგზავნეს იმის სათქმელად, რომ ლაკედემონიდან ათენისაკენ წამოვიდა ახალგაზრდობა, რომლის დაბრკოლებ არგოსელებმა ვერ შეძლეს. აი, ამის შესახებ კარგად იფიქრე“.

13. ეს თქვა მაცნემ და უკან გაბრუნდა. მარდონიოსმა რომ ეს მოისმინა, ატიკაში დარჩენის სურვილი აღარ ჰქონდა, ხოლო ვიდრე შეიტყობდა, იცდიდა. რადგან უნდოდა გაეგო, ათენელები რას მოიმოქმედებდნენ, არც რასმე ვნებდა მათ და არც აჩანაგებდა ატიკის ქვეყანას, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში იმედი ჰქონდა, რომ მათთან შეთანხმებას მიაღწევდა. მაგრამ რომ ვერ დაითანხმა და თან ნამდვილი

ამბავიც შეიტყო, ვიდრე პავსანიესი თავისი ლაშქრითურთ ისთმოსში შევიდოდა, აიყარა ათენიდან, მას მერე, რაც ათენი ცეცხლს მისცა, და ყოველივე დაანგრია და მოსპო, თუ კი რამე იყო კიდევ შერჩენილი ზღუდეთაგან, საცხოვრებელ ნაგებობათაგან ან ტაძართაგან.

მარდონიოსი იმის გამო წავიდა ატიკიდან, რომ ატიკის ქვეყანა არ ვარგოდა საცხენოსნოდ და კიდევ იმიტომ რომ თუ დამარცხდებოდა, უკანდახევა მხოლოდ ვიწრობებზე შეიძლებოდა, სადაც რამდენიმე კაციც კი მოახერხებდა მის დაკავებას. ამიტომ მარდონიოსმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო თებეში და ბრძოლა გაემართა მეგობრულ ქალაქის სანახებსა და საცხენოსნოდ გამოსაყენებელ ქვეყანაში.

14. მარდონიოსი გავიდა ატიკიდან და ჯერ კიდევ გზაში იყო, რომ მიიღო ცნობა: მეგარაში წინამორბედად სხვა ლაშქარი მივიდა, სახელდობრ 1000 ლაკედემონელიო. ეს რომ შეიტყო, ითათბირა ამის შესახებ, რადგან უნდოდა პირველად ამათ შეებოდა. მან შემოაბრუნა თავისი ლაშქარი და წაიყვანა მეგარის წინააღმდეგ. ცხენოსანი ჯარი წინ წავიდა და მეგარისის მხარე მოაოხრა. ეს იყო ევროპის უკიდურესი ნაწილი მზის დასავალისაკენ, რომელსაც მიაღწია ამ სპარსულმა ლაშქარმა.

15. ამის შემდეგ მოუვიდა მარდონიოსს ცნობა, რომ ელინები ისთმოსში იყვნენ შეკრებილები. ამიტომ წავიდა დეკელიის გავლით. ბეოტიელთა მმართველებმა გამოიძახეს ასოპიელთა მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც მათ გაუძღვა სფენდალეს გზაზე, იქიდან კი ტანაგრისაკენ. მარდონიოსმა ტანაგრაში გაათია ღამე და მეორე დღეს გაემართა სკოლოსისაკენ, რომელიც თებელთა მიწა-წყალზეა. მიუხედავად იმისა, რომ თებელები მიდიელთა მომხრეები იყვნენ, მარდონიოსმა იქ მთელი ის მხარე გააჩეხინა იმიტომ კი არა, რომ მტრობა ჰქონდა მათ, არამედ დიდი საჭიროების გამო - მას უნდოდა თავისი ბანკისათვის საფარი გაეკეთებინა, თუ ბრძოლა ისე არ დამთავრდებოდა, როგორც მას სურდა, ის თავშესაფარს იმზადებდა თავისთვის. მისი ბანკი გაჭიმული იყო მდიანრე ასოპოსის გასწვრივ, დაწყებული ერთრეელთა მიწებიდან ჰისიეს გაყოლებით და ვრცელდებოდა პლატიის მიწამდე. მართალია, ზღუდე მან ამოდენა ვერ გაიკეთა, მაგრამ მაინც ყოველი მისი მხარე დაახლოებით ათი სტადიონის სიგრძისა იყო, ხოლო როდესაც ბარბაროსები ამ მუშაობაში იყვნენ, თებელი ატაგინოსი, ფრინოსის ძე, დიდ სამზადისში იყო და მიიწვია თავისთან თვით მარდონიოსი და სპარსთა შორის 50 წარჩინებული. დაპატიჟებულები მივიდნენ ატაგინოსთან წვეულებაზე, რომელიც თებეში იყო.

16. დანარჩენი, რასაც გადმოვცემ, მოვისმინე ორქომენელი თერსანდროსისაგან, რომელიც გამორჩეულია ორქომენოსის მიერ ამ წვეულებაზე და მიწვეული იყო აგრეთვე თებელთაგან 50 კაცი. ამ სუფრაზე ცალ-ცალკე კი არ ისხდნენ თებელები და სპარსელები, არამედ თითოეულ ინახზე ერთად იყვნენ ერთი სპარსელი და ერთი თებელი. როდესაც წვეულება დამთავრდა, სმის დროს მისმა თანამეინახე სპარსელმა მიმართა მას ელინურად და შეეკითხა, თუ საიდანაა, ხოლო მან, ცხადია, მიუგო, რომ ორქომენოდან არის. სპარსელმა უთხრა: „რადგან ჩემთან ერთად ჭამე და სვი, მინდა ჩემი კეთილი განწყობის სახსოვარი დაგიტოვო; მინდა რომ წინასწარ შეიტყო, რაც მოგელის და შეძლო მოფიქრება იმისა, რაც გადაგხდება. ხედავ ამ მოქეიფე სპარსელებს და იმ ლაშქარს, რომელიც მდინარესთან დაბანაკებული დავტოვეთ? სულ ცოტა ხანი გავილის და შენ დაინახავ, რომ ყველა ამათგან მხოლოდ

მცირეოდენი გადარჩებიან ცოცხლები“. ესა თქვა და სპარსელი ცხარე ცრემლით ატირდა. თერსანდროსს გაუკვირდა მისი სიტყვა და უთხრა: „არ უნდა უთხრა ეს მარდონიოსს და მის შემდეგ სპარსელთა ყველაზე სახელოან თავკაცთ?“ სპარსელმა კი ამაზე ასე უთხრა: „მეგობარო, რაც უნდა მოხდეს ღვთის განგებით, შეუძლებელია, რომ ის კაცმა აიცდინოს, რადგან არავინ უჯერებს მეორეს, როდესაც მას სიმართლეს ეუბნებიან. სპარსელთაგან ბევრმა იცის ეს ამბავი, მაგრამ იძულებით მაინც მივყვებით აუცილებლობას. ყველაზე დიდი სატანჯველი ადამიანებისათვის ისაა, როდესაც ბევრი გესმის და ვერაფერს ხდები“. ეს მოვისმინე ორქომენელი თერსანდროსისაგან და ამას გარდა ისიც, რომ მან მაშინვე გადასცა ეს ნალაპარაკევი სხვებს მასზე უფრო უწინ, ვიდრე პლატადაში ბრძოლა მოხდებოდა.

17. მაშინ, როდესაც მარდონიოსი ბეოტიაში იყო დაბანაკებული, იქ მცხოვრებმა და მიდიელთა მომხრე ელინებმა გამოიყვანეს ლაშქარი და შეიჭრნენ ათენში, მხოლოდ ფოკეელები არ შეჭრილან. ესენიც მიდიელთა მხარეს იყვნენ. მაგრამ არა თავისი ნებით, არამედ აუცილებლობის გამო. მარდონიოსის თებეში მოსვლიდან რამდენიმე დღის მერე მოვიდა ფოკეელთა ათასი ჰოპლიტი. მათ მოუძლოდა ჰარმოკიდესი, მოქალაქეთა შორის ყველაზე სახელოვანი კაცი. როდესაც ესენიც მოვიდნენ თებეში, მარდონიოსმა გაუგზავნა მათ მხედრები და უბრძანა ცალკე დამსხდარიყვნენ დაბლობზე. როდესაც მათ ეს შეასრულეს, მაშინვე იქ გაჩნდა მთელი ცხენოსანი ჯარი. ამის შემდეგ ელინთა ბანაკში, რომელიც მიდიელებთან ერთად იყო, გავარდა ხმა, თითქოს მარდონიოსი ისრების დაშენას უპირებს ფოკეელებს, იგივე ხმა გავრცელდა თვით ფოკეელებშიც. მაშინ მხედართმთავრმა ჰარმოკიდესმა დაუწყო მათ რჩევა და უთხრა შემდეგი: „ფოკეელებო, ცხადია, რომ ეს ხალხი ჩვენ ნაღდ სიკვდილს გვიპირებს. რადგან, ასე მგონია, თესალიელთა მიერ ვართ შესმენილნი. ახლა საჭიროა ყოველმა თქვენგანმა ივაჟკაცოს. რადგან უმჯობესია რაღაცს აკეთებდეს კაცი, თავს იცავდეს და ისე აღასრულოს სიცოცხლე, ვიდრე დაემორჩილოს მტერს და დაიღუპოს სამარცხვინო სიკვდილით. დეე, შეიტყოს თითოეულმა მათგანმა, რომ ისინი ბარბაროსები არიან და სიკვდილს უმზადებენ ვაჟკაც ელინებს“.

18. ასე არიგებდა ის მათ. ცხენოსანი ჯარი გარსშემოერთყა ფოკეელებს, თავს დაესხა, რომ ამოეხოცა: უკვე მოსჭიმეს მშვილდები, და ზოგმა კიდევაც ისროლა, მაგრამ ფოკეელები მათ წინ აღუდგნენ, შეჯგუფდნენ და რაც შეიძლება შემჭიდროვდნენ. მაშინ მხედრები გაბრუნდნენ და უკან გაჰქუსლეს. მე ვერ ვიტყვი დაბეჯითებით, ისინი მართლაც თესალიელთა მოთხოვნით იყვნენ თუ არა მოსული ფოკეელთა ამოსახოცად, ხოლო როდესაც დაინახეს, რომ ისინი თავს იცავდნენ, გაბრუნდნენ, რადგან შეეშინდათ, თვითონვე არ დამარცხებულიყვნენ და გაჰქუსლეს უკან(თითქოს ასე უბრძანა მათ მარდონიოსმა, ან ეგებ მათი გამოცდა უნდოდა, თუ აქვთ რაიმე სიმამაცეო). როდესაც მხედრებმა უკან გაჰქუსლეს, მარდონიოსმა გაუგზავნა ფოკეელებს მაცნე და შემდეგი შეუთვალა: „გამხნევდით ფოკეელებო, გამოჩნდა, რომ მამაცი ვაჟკაცები ყოფილხართ და არა ისეთები, როგორებიც მეგონეთ. ახლა მამაცურად იომეთ, კეთილი საქმით ვერც მე მაჯობებთ და ვერც მეფეს“. აი, ეს იყო ფოკეელთა შესახებ.

19. ლაკედემონელები ისთმოსში მივიდნენ და იქ დაიბანაკეს. ეს რომ შეიტყვეს დანარჩენმა პელოპონესელებმა, ზოგიერთებმა ეს ამბავი უმჯობესად მიიჩნიეს, ზოგიერთებმა კიდევ დაინახეს, რომ სპარტელები გამოვიდნენ და იფიქრეს არ

ივარგებს, ლაკედემონელების ლაშქრობას ჩამოვრჩეთო. მას მერე რაც მსხვერპლშეწივა იღბლიანი გამოუვიდათ, ყველანი დაიდრნენ ისთმოსიდან და მიაღწიეს ელევსინს. მსხვერპლშეწივა აქაც მოახდინეს და აქაც იღბლიანი გამოუვიდათ, ისე რომ წავიდნენ წინ, მათთან ერთად იყვნენ ამიერიდან ათენელებიც, რომლებიც გადმოვიდნენ სალამინიდან და ამათ ელევსინში შეუერთდნენ. როდესაც მივიდნენ ბეოტიის ერთრეში, მათ შეიტყვეს, რომ ბარბაროსები მდინარე ასოპოსთან არიან დაბანაკებული, მოიფიქრს ამის შესახებ და დაეწყვნენ მათ საწინააღმდეგოდ კითერონის მთის ძირას.

20. რადგან ელინები დაბლობში არ ჩავიდნენ, მარდონიოსმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა მთელი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც მხედართმთავრობდა მასისტიოსი, სპარსთა შორის სახელოვანი კაცი. ელინები რომ მაკისტიოსს უწოდებენ; მას ჰყავდა ნესაფონის ოქროსსადავიანი ცხენი, საერთოდ ლამაზად შეკაზმული. აქ ცხენოსნები გაემურონენ ელინთა წინააღმდეგ, თავს ესხმოდნენ მათ ცალკეულ რაზმებად, დიდ ზიანს აყენებდნენ და დედაკაცებს უწოდებდნენ.

21. მეგარელები შემთხვევით ისე იყვნენ დაწყობილნი, რომ ეს ადგილი ყველაზე უფრო მოსახერხებელი იყო თავდასხმისათვის და ცხენოსანი ჯარი განსაკუთრებით სწორედ ამ ადგილს უტევდა. ცხენოსანთა თავდასხმისაგან შეჭირვებულმა მეგარელებმა ელინთა მხედართმთავარს მაცნე გაუგზავნეს, ხოლო მაცნე რომ მივიდა მათთან, შემდგი უთხრა: „მეგარელები ამბობენ, მოკავშირეებო, არ შეგვიძლია სპარსელთა ცხენოსნებს მარტოებმა გავუძლოთ, სანამ იმ ადგილას ვიდგებით, სადაც თავიდანვე ვდგავართ: ჩვენი გამძლეობითა და სიმამაცით ვუმკლადებით მათ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვავიწროვებენ. მაგრამ თუ ახლა არ გამოგზავნით ჩვენს შემცვლელ სხვა რაზმს, იცოდეთ, რომ დავტოვებთ ჩვენს რიგებს“. როდესაც მაცნემ მათ ეს გამოუცხადა, პავსანიესმა დაიწყო ელინთა გამოცდა, თავისი ნებით ვინმე ხომ არ წავიდოდა და დადგებოდა იმ ადგილას მეგარელების შემცვლელად. რაკი სხვა არავინ მოინდომა, ათენელები დაეთანხმდნენ და ათენელთაგან 300 რჩეული ვაჟკაცი წავიდა ოლიმპიოდოროს ლამპონის ძის წინამძღოლობით.

22. ასეთები იყვნენ ისინი, ვინც ერთრეში იტვირთა ეს საქმე და გამორჩეული მშვილდოსნებით ყველა იქ მყოფ ელინზე წინ დაირაზმა. ისინი ერთხანს იბრძოდნენ და ბრძოლის ბოლოს ასეთი რამ მოხდა: როდესაც ცხენოსნები რაზმებად ესხმოდნენ თავს ათენელებს, მასისტიოსის ცხენი, რომელიც ყველაზე წინ იდგა, ისრით გვერდში დაიჭრა, ტკივილისაგან ყალყზე შედგა და გადმოაგდო მასისტიოსი. დაცემულ მასისტიოსს მაშინვე მიეხვივნენ ათენელები, დაიჭირეს მისი ცხენი; იგი თავს კი იცავდა, მაგრამ მაინც მოჰკლეს, თუმცა თავიდან ძალიან გაუჭირდათ, რადგან ასე იყო შეჭურვილი: შიგნით ჰქონდა ოქროს ქერცლოვანი აბჯარი, ხოლო აბჯრის ზემოთ ეცვა მოწეულის ქიტონი; აბჯარს რომ სცემდნენ, ვერაფერს ხდებოდნენ, ვიდრე ვიღაცა არ მიხვდა ამას და არ ჩაარტყა თვალში. ასე დაეცა ის და მოკვდა. ეს სხვა ცხენოსნებმა ვერ შენიშნეს. მათ ვერც მისი ცხენიდან ჩამოვარდნა დაინახეს, ვერც მისი სიკვდილი, რადგან ისინი ამასობაში უკან იხევდნენ და მიბრუნდნენ, ამიტომ ვერ დაინახეს, თუ რა მოხდა. მაგრამ როგორც კი დადგნენ, მაშინვე მოისაკლისეს მასისტიოსი, რადგან არავინ იყო, რომ ისინი დაერაზმა. როცა ამას მიხვდნენ, ყველამ ერთმანეთის წაქეზებით გააჭენა ცხენი, რომ მტრისათვის გვამი წაერთმიათ.

23. როდესაც ათენელებმა დაინახეს, რომ ცხენოსანი ჯარი მათგენ რამზებად კი არ მოდის, არამედ ყველა ერთად მოექანება, მაშველად გამოუძახეს დანარჩენ ლაშქარს. ვიდრე მათ მთელი ქვეითი ჯარი წამოეშველებოდა, ამასობასი სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული მასისტიოსის გვამისათვის. სანამ ათენელები მხოლოდ სამასნი იყვნენ, ძალიან უჭირდათ და გვამს ჰა და ჰა, სთმობდნენ. მაგრამ როდესაც მათ ბევრნი წამოეშველნენ, სპარსელთა ცხენოსანი ჯარი ვერაფერს გახდა და ვერც ის შეძლო, რომ გვამი გამოეტაცა. ამას გარდა, ცხენოსანთაგან ბევრი დაეღუპათ. სპარსელები ორიოდ სტადიონით განზე გადგნენ და დაიწყეს თათბირი, თუ რის გაკეთებაა საჭირო. გადაწყვიტეს, რომ რაკილა მეთაური აღარ ჰყავდათ, დაბრუნებულიყვნენ უკან მარდონიოსთან.

24. როდესაც ცხენოსანი ჯარი ბანაკში მივიდა, მასისტიოსისათვის მთელ ლაშქარს და მარდონიოსს უდიდესი გლოვა შეუდგათ. ხალხმა თმები შეიჭრა, ცხენები და სახედრებიც გაკრიჭეს და საშინელი ღრიალი მორთეს. მთელს ბეოტიაში გაისმოდა ექო, რადგან ყველაზე უფრო სახელოვანი კაცი დაეღუპათ მარდონიოსის შემდეგ სპარსელებსა და მეფეს. ასე სცეს პატივი ბარბაროსებმა თავისი წესის მიხედვით სიკვდილის შემდეგ მასისტიოსს.

25. ხოლო ელინები, მას მერე რაც მათ ცხენოსანი ჯარის შემოტევას გაუძლეს და კიდევაც ძლიეს მას, დიდად გამხნევდნენ. უპირველეს ყოვლისა გვამი დადეს ეტლზე და რაზმებს ჩამოუტარეს: ხოლო გვამი მისი სიდიდისა და სილამაზის გამო სწორედ რომ კარგი სანახავი იყო. ამიტომაც იყო, რომ მას დაატარებდნენ. მეომრები ტოვებდნენ რიგებს და მიდიოდნენ მასისტიოსის სანახავად. ამის მერე ელინებმა გადაწყვიტეს პლატადაში ჩასვლა. რდგან პლატადის ეს ადგილი დასაბანაკებლად მათ ბევრად უფრო ხელსაყრელი ეჩვენებოდათ ვიდრე ერთორისა, ყველა თვალსაზრისით და განსაკუთრებით წყლის სიუხვის გამო. ელინებმა გადაწყვიტეს, რომ საჭიროა იქ გადასვლა და გარგაფის წყაროსთან, რომელიც ამ ადგილას არის, დაწყობა და დაბანაკება. მათი აისხეს იარაღი, კითერონის მთის ძირას ჰისიეს გაუარეს და პლატეის მიწაწყლისაკენ გაემართნენ. ხოლო რომ მივიდნენ დალაგდნენ ტომების მიხედვით გარგაფის წყაროსა და გმირი ანდროკრატესის სალოცავის მახლობლად დაბალ ბორცვესა და დაბლობ ადგილზე.

26. აქ განაწილების დროს დიდი დავა გაიმართა ტეგეელებსა და ათენელებს შორის. რადგან თითოეულ მათგანს სამართლიანად მიაჩნდა საკუთრივ დაეკავებინა ორიდან ერთი ფრთა და საამისოდ ასახელებდნენ თავის ახალსა და ძველ დამსახურებას. ჯერ ტეგეელებმა თქვეს შემდეგი: „ყოველთვის, ყველა მოკავშირე ღირსად მიგვიჩნევდა, რომ ეს ადგილი ჩვენ დაგვეკავებინა, როდესაც კი ერთობლივ ლაშქრობდნენ პელოპონესელები. თუ ძველად, თუ ახლა, იმ დროიდან მოკიდებული, ევრისთევსის სიკვდილის შემდეგ ჰერაკლიდები რომ შეეცადნენ პელოპონესში დაბრუნებას, მაშინ მოვიპოვეთ ეს ადგილი შემდეგი დამსახურების წყალობით; როდესაც ჩვენ პელოპონესში მყოფ აქებთან და იონიელებთან ერთად, გავემურეთ ისთმოსში და ჩავუსაფრდით უკან დაბრუნებულ ჰერაკლიდებს, მაშინ, ამბობენ, ჰილოსმა გამოაცხადა, რომ არაა საჭირო ერთი ლაშქარი შეებას მეორე ლაშქარს და ორეივენი საფრთხეში ჩაცვივდნენ. საკმარისია პელოპონესელთა ბანაკიდან ის გამოვიდეს, ვისაც ისინი თვითონ მიიჩნევენ უმამაცესად და შეებრძოლოს ჰილოსს პირისპირ,

გარკვეული შეთანხმების პირობით. პელოპონესელებმა გადაწყვიტეს, რომ სწორედ ასეა საჭირო, ერთმანეთს შეჰფიცეს და ასე შეთანხმდნენ: თუ ჰილოსი დაძლევდა პელოპონესელთა ფალავანს, პელოპონესელები დაბრუნდებოდნენ თავის მამულში, ხოლო თუ ჰილოსი დამარცხდებოდა, მაშინ ჰერაკლიდები უკან წავიდოდნენ, თან წაიყვანდნენ ლაშქარს და 100 წლის განმავლობაში არც კი შეეცდებოდნენ პელოპონესში შესვლას. მთელ მოკავშირეთა შორის თავისი ნებით გამოირჩა ექემოსი, ევროპის ფეგევსის ძის ძე, რომელიც იყო ჩვენი მხედართმთავარი და მეფე, შეებრძოლა პირისპირ და მოჰკლა ჰილოსი. ამით მოვიხვეჩეთ მაშინ პელოპონესელებში ბევრი უპირატესობა, რაც გვაქვს აქამდეც და ამ უპირატესობათა შორის არის ისიც, რომ საერთო ლაშქრობის დროს ერთ-ერთი ფრთის წინამძღოლობა მუდამ ჩვენ გვეკუთვნის. ლაკედემონელებო, თქვენი წინააღმდეგი არ ვართ, პირიქით, თქვენ გაძლევთ არჩევანს, რომელი ფრთის გამგებლობაც გინდათ, იმას უხელმძღვანელოთ, გითმობთ ამას, მაგრამ ვამბობთ, რომ მეორე ფრთის წინამძღოლობა ჩვენ გვეკუთვნის ისევე, როგორც იყო უწინდელ დროში ზემოთ მოთხრობილი საქმეებიც რომ არა, ჩვენ საერთოდ ათენელებზე მეთად გვეკუთვნის, რომ ეს ადგილი გვეჭიროს. რადგან, სპარტელებო, ჩვენ ბევრი იღბლიანი ბრძოლა გვექონია თქვენთან და ბევრი სხვებთანად. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება რომ ჩვენ გვეჭიროს ერთი ფრთა, ვიდრე ათენელებს, რადგან მათ არა აქვთ ისეთი დამსახურება, როგორც ჩვენ, არც ახლა და არც ძველად“.

27. ასე ილაპარაკეს ტეგეელებმა, ხოლო ათენელებმა ამაზე შემდეგი მიუგეს: „ჩვენ ვიცით, რომ ეს თავყრილობა ბარბაროსთან საბრძოლველადაა და არა ერთმანეთში სადაოდ. მაგრამ რადგან ტეგეელმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ ძველად და ახლა ყველა დროში ორივე მხრეს რა ღირსეული საქმეებით გაუთქვამს სახელი, ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ცხადვყოთ თქვენს წინაშე, რომ მამა-პაპათაგან მოგვდგამს სიკეთე და მუდამ პირველები ვიყავით არკადიელებთან შედარებით. ჰერაკლიდები, რომელთა შესახებაც ეგენი ამბობენ, რომ მაგათ მოუკლეს წინამძღოლი ისთმოსში, აი, ესენი ამაზე უწინ სადაც კი არ მივიდოდნენ, მათ ყველა ელინები აძევებდნენ და მხოლოდ ჩვენ მივიღეთ, მიკენელთა მონობისაგან თავდაღწეულებმა ჩვენ ავლაგმეთევრისთევსის სიზვიადე, რადგან მათთან ერთად ბრძოლაში გავიმარჯვეთ იმათზე, ვისაც მაშინ ეპყარა პელოპონესი. ამას გარდა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის არგოსელები, რომლებიც პოლინკესთან ერთად წავიდნენ თებეს წინაღმდეგ, იქ აღესრულნენ საუკუნოდ და დაუმარხავნი ეყარნენ; მაშინ გავილაშქრეთ კადმოსელების წინააღმდეგ, ავკრიფეთ ეს გვამები და დავმარხეთ ჩვენს მიწა-წყალზე, ელევსინში. ჩვენ კიდევ ერთი კარგი საქმე გვაქვს ჩადენილი ამამონიდების მიმართ, რომლებიც მდინარე თერმოდონტის მხრიდან შემოიჭრნენ ოდესღაც ატიკის ქვეყანაში. და ასევე, ტროის ომის დროსაც არავის ჩამოვრჩენივართ. თუმცა, არაა საჭირო ამის მოგონება, რადგან, შესაძლოა, ერთი და იგივე ხალხი ოდესღაც სახელოვანი იყოს და ახლა უღირსია, ანდა უწინ უღირსი იყო და ახლა საუკეთესოა. ისე რომ, ძველ მოღვაწეობაზე საკმარისია ლაპარაკი. ჩვენ კიდევაც რომ სხვა არაფერი გაგვეკეთებინა (თუმცა ბევრი რამ კარგი გვაქვს გაკეთებული, როგორც ზოგიერთ სხვებსაც ელინთა შორის), მარტო მარათონის ბრძოლისათვის ვართ ღირსი ეს უპირატესობაც გვექონდეს და კიდევ სხვაც ამას გარდა; ჩვენ ხომ ყველა ელინთა შორის მარტონი შევებით სპარსელს, გავბედეთ წინააღმდეგომოდით მას, თვითონაც გადავრჩით და 46 სხვადასხვა ტომიც დავძლიეთ. განა სამართლიანი არ იქნება, რომ თუნდაც მხოლოდ ამ საქმისათვის დავიჭიროთ ჩვენ ეს ადგილი? თუმცა, არ

შეგვშენის ასეთ ვითარებაში ადგილის გულისათვის ჩხუბი. ისე რომ, ლაკედემონელებო, ჩვენ მზად ვართ დაგემორჩილოთ თქვენ და დავდგეთ იქ, სადაც თქვენის აზრით გვეკუთვნის დგომა და ვის წინააღმდეგაც საჭიროა, იქ დავდგებით, რადგან სადაც არ უნდა დაგვაყენოთ, შევეცდებით საუკეთესონი ვიყოთ. გვიბრძანეთ და დაგემორჩილდებით“.

28. ათენელებმა ეს უპასუხეს, ხოლო ლაკედემონელთა მთელმა ბანაკმა ერთხმად იყვირა, ათენელებს უფრო ღირსნი არიან, რომ ფრთა ეჭიროთ, ვიდრე არკადიელებიო. ასე დაიჭირს ფრთა ათენელებმა და აჯობეს ტეგეელებს.

ამის შემდეგ ახლახან თუ თავიდანვე მოსული ელინები ასე დალაგდნენ: მარჯვენა ფრთა ეჭირა ათიათას ლაკედემონელს. მათ შორის 5 000 სპარტელს იცავდა 35 000 მსუბუქადს შეიარაღებულ ჰელოტი. ე.ი. თითოეულ კაცთან 7 იყო დარაზმული. სპარტელებმა გამოარჩიეს და თავის მახლობლად სახელისა და სიმამაცის გამო დააყენეს ტეგეელები; ესენი იყვნენ 1 500 მძიმედ შეიარაღებული მეომარი; ამათ შემდეგ იდგა 5 000 კორინთელი. მათ პავსანიესს დააყენებინეს თავის გვერდით იქ მყოფი პალენელი პოტედდეელები 300 კაცი, ამათთანავე იდგნენ ორქომენელი არკადიელები 600 კაცი, შემდეგ კი 3 000 სიკიონელი. ამათ მოსდევდა 800 ეპიდავრელი; ამათ მერე დარაზმულნი იყვნენ ტროძენელები 1000 კაცი, ხოლო ტროძენელებს მოსდევდნენ ლეპრეონელები 200 კაცი, შემდეგ იყვნენ მიკენელები და ტირინთელები, ერთად 400. ამათ მოსდევდნენ ფლეადუნტელები - 1000 კაცი, ამათ გვერდით იყო 300 ჰერმიონელი, ჰერმიონელების მიდევნებით იდგნენ ერეტრიელები და სტირეები - 600 კაცი. ამათ შემდეგ - 400 ქალკიდელი, შემდეგ ამპრაკიელები - 500. ამათ შემდეგ იდგნენ 800 ლევკადელი და ანაქტორიელი. ამათ მიდევნებით - 200 პალეელი, რომლებიც კეფალენიიდან არიან. ამათ მერე დაწყობილნი იყვნენ ადგიანელები 500 კაცი. ამათ გვერდით დარაზმულები იყვნენ მეგარელები - 3 000 კაცი. ამათ მოსდევდნენ პლატეელები - 600 კაცი. უკანასკნელები და თან პირველები იდგნენ ათენელები, რომელთაც ეჭირათ მარცხენა ფრთა, 8 000 კაცი, მხედართმთავრობდა მათ არისტედდესი, ლისიმაქოსის ძე.

29. ესენი ყველანი, გარდა თითოეულ სპარტელთა დარაზმული 7 ჰელოტისა, იყვნენ მძიმედ შეიარაღებული. ყველანი ერთად რიცხვით იყვნენ 38 700. ამდენი იყვნენ მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცები, ყველანი ერთად შეკრებილნი ბარბაროსის წინააღმდეგ. ხოლო მსუბუქად შეიარაღებულნი კი ამდენნი იყვნენ: სპარტელების რაზმში იყო 35 000 მსუბუქად შეიარაღებული კაცი, რადგან თითოეულ სპარტელთან 7 იყო მიყენებული და ყოველი ამათგანი მზად იყო ომისათვის. დანარჩენ ლაკედემონელებსა და ელინებში იყო 34 500 მსუბუქად შეიარაღებული მეზრძოლი, რადგან თითოეულ კაცთან თითო ასეთი იყო დაყენებული. ყველა მსუბუქად შეიარაღებული მეზრძოლი ერთად იყო 69 500.

30. ხოლო რაოდენობა მთელი ელინური ჯარისა, რომელიც შეიკრიბა პლატეაში, თავისი მძიმედ შეიარაღებული და მსუბუქად შეიარაღებული მეზრძოლებით იყო 110 000, რასაც აკლდა 1 800, ხოლო თესპიელებთან ერთად, რომლებიც გადარჩნენ, შეივსო ეს 110 000: რადგან გადარჩა და ბანაკში მოვიდა 1 800 თესპიელი, მაგრამ ისინი არ იყვნენ მძიმედ შეიარაღებული.

31. ასე დაწყობილები დაბანაკდნენ ესენი ასოპოსთნა. ხოლო ბარბაროსები, რომლებიც მარდონიოსთან ერთად იყვნენ, ოვიდნენ მას მერე, რაც გამოიტირეს

მასისტოსი; რომ შეიტყვეს ელინები პლეტეაში არიანო, თივთონაც ასოპოსთნა მოვიდნენ, რომლებიც ამ ადგილას მიედინება. რომ მოვიდნენ, მარდონიოსმა ისინი მტრის საპირისპიროდ ასე დააღაგა: ლაკედემონელებს რაოდენობით ბევრად აღმატებოდნენ, ამიტომ სპარსელები უფრო მეტ რიგებად მოეწყვნენ და ტეგეელებს გასწვრივად ესენი იყვნენ განლაგებული. ხოლო სპარსელები მან ასე დააწყო: მათ შორის უძლიერესები გამოარჩია და ლაკედემონელების საპირისპიროდ დააღაგა. ეს მან გააკეთა თებელების რჩევითა და სწავლებით. სპარსელების მიყოლებით მარდონიოსმა დააღაგა მიდიელები. ესენი უპირისპირდებოდნენ კორინთ ლებს, პოტედეელებს, ორქომენელებსა და სიკიონელებს. მიდიელების მიდევნებით დააღაგა ბაქტრიელები. ესენი უპირისპირდებოდნენ ეპიდავრელებს, ტროადენელებს, ლეპრონელებს, ტირინთელებს, მიკენელებს და ფლეიუნტელებს. ბაქტრიელების შემდეგ დააყენა ინდები. ესენი უპირისპირდებოდნენ ჰერმიონელებს, ერეტრიელებს, სტირეებსა და ქალკიდელებს. ინდების მიყოლებით დააწყო საკები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ამპრაკეელებს, ანაქტორიელებს, პალეელებსა და აფინელებს.

საკების მომდევნოდ დააწყო ბეოტიელები, ლოკრები, მალიელები, თესალიელები და ფოკეელები - 1000 კაცი ათენელთა, პლატეელთა და მეგარელთა საპირისპიროდ. ყველა ფოკეელი არ იყო მიდიელთა მომხრე, ზოგიერთი მათგანი ელინთა მხარეზე იყო და ესენი პარნასოსთან იყვნენ გაჩერებული, იქიდან გამოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ და მარცვავდნენ მარდონიოსის ლაშქარსაც და იმ ელინებსაც, ვინც მასთან ერთად იყვნენ. მარდონიოსმა მაკედონელები და თესალიის ირგვლივ მცხოვრებლები ათენელების საპირისპიროდ დააყენა.

32. აქ ჩამოვთვალე ხალხმა შორის უდიდესნი, რომლებიც განაღაგა მარდონიოსმა, ესენი არიან ყველაზე უფრო ცნობილი და დიდი სახელის მქონე. მათთან იყო შერეული მეომრები სხვა ტომებიდან: ფრიგიელთაგან, მისიელთაგან, თრაკიელთაგან, პეონთაგან და სხვათაგან. ეთიოპელთაგან და ეგვიპტელთაგან იყვნენ ეგრეთ წოდებული ჰერმოტიბიები და კალასირიები, სატევრეებით შეიარაღებული; მხოლოს ესენი არიან მეომრები ეგვიპტელთა შორის. ჯერ კიდევ ფალერონში რომ იყო მარდონიოსი, ესენი იქ გადმოსხა ხომალდებიდან, რომლებზედაც ისხდნენ. ეგვიპტელები ხომ არ ირიცხებოდნენ იმ ქვეით ჯარში, რომლებიც ქსერქსესთან ერთად მივიდა ათენში. ბარბაროსთა ჯარი 300 000 კაცისაგან შედგებოდა, როგორც ადრევე ვთქვი². მარდონიოსის მოკავშირე ელინთა რიცხვი არავინ იცის (რადგან არავის აღურიცხავს ისინი), მაგრამ სავარაუდებელია, რომ დაახლოებით 50 000 მოგროვდებოდა ასე მგონია, ეს დარაზმული ჯარი ქვეითი იყო; ხოლო ცხენოსანი ჯარი ცალკე იდგა.

33. მას მერე რაც ყველანი დანაწილებული იქნენ ტომებად და რაზმებად, მეორეს დღეს ორივე მხარემ შესწირა მსხვერპლი. ელინთა შორის მსხვერპლშემწირავი იყო ტედსამენოს ანტიოქოსის ძე. იგი თან ახლდა ამ ლაშქარს, როგორც მისანი. თუმცა იგი ელეელი იყო გვარის დამიდთაგანი, კლიტიადი, მაგრამ ლაკედემონლებმა იგი თავის მოქალაქედ გახადეს. როდესაც ტედსამენოსმა მიმართა დელფოში მისნობისათვის თავის შთამომავლების შესახებ, პითიამ მიუგო, რომ იგი გაიმარჯვებს ხუთ უდიდეს შეჯიბრში. იგი შეცდა მისნობის გაგებაში და ხელი მოჰკიდა ფიზიკურ ვარჯიშს, რომ გაემარჯვა გიმნასტთა შეჯიბრებაში; იგი ვარჯიშობდა ხუთჭიდში და ოლიმპიადის

დროს გამარჯვებას ერთი შეჯიბრი დააკლდა მაშინ, როდესაც ანდროსელი ჰიერონიმოსი ჰყავდა მოქიშპედ. ლაკემონელებმა შეიტყვეს, რომ ტეესამენოსის მისნობა გიმნასტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას კი არ გულისხმობდა, არამედ საომარ შეჯიბრებაში გამარჯვებას, გასამრჯელოთი შეეცადნენ მის დაყაბულებას და ტეესამენოსს აღუთქვეს ჰერაკლიდების მეფეებთან ერთად ომების წინამძღოლობა. მან რომ დაინახა, როგორ ცდილობენ სპარტელები მასთან მეგობრობას, ფასი დაიდო, აგრძნობინა მათ, რომ თუ მას თავის მოქალაქე გახდიან და ყველაფერში წილს დაუდებენ, მაშინ დათანხმდება ამას, სხვა გასამრჯელოსთვის კი არა. სპარტელებმა პირველად რომ მოისმინეს ეს, გაწყინდნენ და მისნობა სულაც დაივიწყეს, მაგრამ ბოლოს, როდესაც სპარსელთა ლაშქრობის დიდი საშიშროება თავს დაატყდათ, სთხოვეს და დაეთანხმნენ. როდესაც ტეესამენოსმა შეიტყო, რომ მათ ასე შეიცვალეს აზრი, უთხრა, რომ მას ახლა მხოლოდ ეს პირობები აღარ აკმაყოფილებს, და მისი ძმა, ჰეგიესიც უნდა გახადონ სპარტელ მოქალაქედ იმავე პირობებში, როგორც ის თვითონ.

34. ამას რომ ამბობდა ტეესამენოსი, ბაძავდა მელამპუსს, რამდენადაც შეიძლება სამეფო ძალაუფლების მოთხოვნა სამოქალაქო უფლების მოთხოვნას ჰგავდეს. როდესაც არგოსში ქალები დაგიჟდნენ, არგოსელებმა პილოსელ მელამპუსს გაკრვეული საზღაური შესთავაზეს, რომ მათი ქალები ამ ავამდყოფობისაგან ეხსნა. მელამპუსმა გასამრჯელოდ მათი სახელმწიფოს ნახევარი მოითხოვა, მაგრამ არგოსელები არ დათანხმდნენ და უკან გაბრუნდნენ. მათი ქალები კი კიდევ უფრო მეტად დაგიჟდნენ; ისე რომ, არგოსელები მივიდნენ ისევ მელამპუსთან იმ განზრახვით, რომ რასაც ის თხოულობდა, მიეცათ მისთვის. მან კი როდესაც დაინახა, რომ მათი განწყობილება შეიცვალა, უფრო მეტი მოინდომა და თქვა, თუ მის ძმას, ბიასსაც არ მისცემენ სახელმწიფოს მესამედ ნაწილს, არ გაკეთებს იმას, რაც მათ სურთ. არგოსელები, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვენილი, დაეთანხმნენ ამაზედაც.

35. ასევე იყვნენ სპარტელებიც, ძალიან სჭირდებოდათ ტეესამენოსი, ამიტომ მას ყველაფერი დაუთმეს; როდესაც სპარტელები დათანხმდნენ ყველაფერზე, ტეესამენოსმა, ელეელმა, რომელიც სპარტელი გახდა, თავისი მისნობით მათ ხუთი უდიდესი ბრძოლა მოაგებინა. ყველა ადამიანთა შორის მხოლოდ ესენი გახდნენ სპარტელი მოქალაქეები. ხოლო ხუთი ბრძოლა შემდეგი იყო: ერთი და პირველი ბრძოლა იყო პლატეაში, შემდეგ - ტეგეეში, ტეგეელებისა და არგოსელების წინააღმდეგ, მერე - დიპეეში, ყველა არკადიელის წინააღმდეგ, მანტინეელების გამოკლებით, შემდეგ მესენიელებთან, რომელიც ითომესთან მოხდა, უკანასკნელი კი იყო ტანაგრაში, ათენელთა და არგოსელთა წინააღმდეგ, იმ ხუთი ბრძოლიდან ეს უკანასკნელი იყო.¹

36. აი ეს ტეესამენოსი იყო, პლატეაში რომ წინასწარმეტყველებდა ელინთა შორის მაშინ, როდესაც სპარტელები იბრძოდნენ. ელინებს მსხვერპლშეწირვა კეთილ შედეგს უჩვენებდა თავდაცვის შემთხვევაში, ხოლო თუ ასოპოსს გადავიდოდნენ და ბრძოლას წამოიწყებდნენ, მაშინ არა.

37. მარდონიოსს ძალიან უნდოდა ბრძოლის დაწყება, მაგრამ მსხვერპლშეწირვა წარმატებას არ უჩვენებდა, ხოლო თუ თავს დაიცავდა, მაშინ კეთილი ბოლო

გამოსდიოდა, ისიც ელინურ მსხვერპლშეწირვას მიმართავდა, მისნად ჰეგესისტრატოსი ჰყავდა, ელეელი ვაჟკაცი, ყველაზე უფრო სახელოვანი ტელიადთა შორის. ამაზე უწინ სპარტელებმა შეიპყრეს ის და სასიკვდილოდ დაატყვევეს, რადგან მისგან ბევრი ცუდი ჰქონდათ გადატანილი. ამისთანა უბედურებაში რომ იყო (მის სიცოცხლეს ხიფათი უქადდა და სიკვდილის წინ ბევრი და მძიმე განსაცდელი მოელოდა), მან ისეთი საქმე ჩაიდინა, რაც სიტყვას აღემატება. ჰეგესისტრატოსი შეკრული იყო რკინით შ ჭედელი ბორკილით; მან ხელთ იგდო საპყრობილეში როგორღაც შეტანილი რკინის იარაღი და მაშინვე მოიფიქრა ყველაზე უფრო ვაჟკაცური საქმე, რაც კი ჩვენ ვიცით. მან მოისაზრა, როგორ უნდა გაეთავისუფლებინა ფეხის დანარჩენი ნაწილი და მოიკვეთა ტერფი. მან რომ ეს გააკეთა, რაკილა მცველები სდარაჯობდნენ მას, გათხარა კედელი და გაიქცა ტეგეეში; დამ-დამობით მიდიოდა, ხოლო დღისით ტყეში იმალებოდა და იქ ისვენებდა. ისე რომ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ლაკედემონელები იმას ეძებდნენ, იგი მესამე დამეს უკვე ტეგეეში იყო. ხოლო ლაკედემონელები დიდად იყვნენ განცვიფრებული მისი გამბედაობით, როდესაც ნახეს საპყრობილეში დაგდებული მისი ფეხის მოჭრილი ნახევარი, თვითონ კი ვერ იპოვეს. ასე გაექცა ჰეგესისტრატოსი მაშინ ლაკედემონელებს და შეეფარა ტეგეეს, რომელიც იმ დროს ლაკედემონელებთა არ იყო მეგობრულ ურთიერთობაში. როდესაც ის გამოჯანმრთელდა და ხის ფეხი გაიკეთა, ლაკედემონელების აშკარა მტერი გახდა. მაგრამ ლაკედემონელების მიმართ მტრობას მისთვის საბოლოოდ სიკეთე არ მოუტანია: როდესაც ის მაკინთოსში მისნობდა, იგი შეიპყრეს ლაკედემონელებმა და მოჰკლეს.

38. ჰეგესისტრატოსი პლატეის ბრძოლის შემდეგ მოკვდა, ხოლო მაშინ, ასოპოსთან იგი მსხვერპლს სწირავდა მარდონიოსისთვის, რომლისგანაც ის არც თუ მცირე გასამრჯელოს იღებდა და დიდად იყო მისთვის თავგამოდებული, როგორც ლაკედემონელთა მიმართ მტრობის გამო, ასევე გამორჩენის გულისათვის. როდესაც მსხვერპლშეწირვა ბრძოლასთან დაკავშირებით კარგს არაფერს ანიშნებდა არც თვით სპარსელებს და არც იმ ელინებს, ვინც სპარსელებთან იყვნენ (ამათაც თავისი საკუთარი მისანი ჰყავდათ, ლევკადიელი ჰიპომაქოსი), ხოლო ელინებს კი ემატებოდათ და ემატებოდათ მეზრძოლები და მათი ბანაკი სულ უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა, თებელებმა ტიმეგენიდეს ჰერპისის ძემ მარდონიოსს ურჩია კითერონის გასასვლელები დაეცვა, უთხრა, რომ ელინები ყოველდღიურად გამუდმებით მოედინებიან ამ გზებზე და რომ მან ეგბ დაიჭიროს ბევრი მათგანი.

39. უბეკ რვა დღე იყო, რაც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ჯარები, როდესაც მან ეს ურჩია მარდონიოსს. მარდონიოსმა ეს რჩევა რომ მოისმინა, მოიწონა და დაღამებისას ცხენოსანი ჯარი გაგზავნა კითერონის იმ გასასვლელებისაკენ, რომლებიც პლატეისაკენ მიემართებიან; ბეოტიელები ამ გასასვლელებს უწოდებენ „სამ თავს“, ხოლო ათენელები - „მუხის თავებს“. გაგზავნილი ცხენოსნები იქ ტყუილად არ მისულან: როდესაც პელოპონესიდან ბანაკში საზრდო მიჰქონდათ და ის კაცებიც, რომლებიც მისდევდნენ აღალს. სპარსელებმა ეს ნადავლი ხელთ რომ იგდეს, უმოწყალოდ ხოცეს, არ დაინდეს არც სახედარი და არც ადამიანი. როდესაც ჟლეტით გული იჯერეს, დარჩენილებს გარსშემოერთყნენ და გაირეკეს მარდონიოსთან ბანაკში.

40. ამ ამბის შემდეგ კიდევ ორი დღე გავიდა, მაგრამ არც ერთს არ უნდოდა ბრძოლის დაწყება. ბარბაროსები ცდიდნენ ელინებს და ასოპოსამდე მიდიოდნენ, მაგრამ არც

ერთი მხარე არ გადადიოდა მდინარეს, თუმცა კი მარდონიოსის ცხენოსანი ჯარი გამუდმებით უტევდა და აწუხებდა ელინებს: რადგან თებელები, რომლებიც მთლად მიდიელთა მხარეზე იყვნენ, დიდი თავგამოდებით ომობდნენ და მუდამ ბრზოლამდე მიჰყავდათ საქმე, ხოლო ამის მერე სპარსელები და მიდიელები იჭერდნენ მათ ადგილს და განსაკუთრებით იჩენდნენ თავსა ვაჟკაცობით.

41. ათი დღის განმავლობაში ამაზე მეტი არაფერი მომხდარა; მეთერთმეტე დღეზე, მას მერე, რაც პლატეაში ერთმანეთის პირდაპირ დაბანაკდნენ მტრები, ელინები მეტისმეტად მომრავლდნენ, ხოლო მარდონიოსი ძალიან უკმაყოფილო იყო ადგილზე ჯდომით, მაშინ ერთმანეთში თათბირი გამართეს მარდონიოსმა, გობრიესის ძმე, და არტაბადოსმა, ფრანკესის ძემ, რომელიც ქსერქსესს მცირერიცხოვან სპარსელთა შორის კიდევ საგანგებოდ ჰყავდა გამორჩეული. თათბირისას შემდეგი აზრები გამოითქვა: არტაბადოსის აზრის მიხედვით საჭირო იყო, სასწრაფოდ აყრა მთელი ლაშქრით და მისვლა თებელთა ზღუდესთან, სადაც ბლომად იყო თავმოყრილი მათთვის საზრდო და საკვები სახედრებისათვის. აქ უნდა დამსხდარიყვნენ ისინი წყნარად და საქმის ბოლომდე მისაყვანად შემდეგი გაეკეთ ბინათ: მათ ბევრი ოქრო ჰქონდათ ფულად მოჭრილი, ბევრი კი მოუჭრელი, ასევე უამრავი ვერცხლი და სასმისები; ამათგან არაფერი არ უნდა დაეზოგათ და ყველაფერი ელინებისათვის უნდა გაეგზავნათ, ხოლო ელინთაგან განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ქალაქებს განაგებდნენ; მაშინ ესენი სასწრაფოდ მიანიჭებდნენ მათ თავისუფლებას და საფრთხის თავიდან ასაცილებლად არც ბრძოლას მოინდომებდნენ. თებელთა აზრიც იმგვარივე იყო, როგორც ამ კაცისა, რადგან წინასწარხედვის უნარით დაჯილდოებულად მიაჩნდათ, ხოლო მარდონიოსის აზრი უფრო მკვეთრი, მკაცრი და შეუპოვარი იყო; მისი აზრით, მათი ლაშქარი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ელინებისა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა დასხმოდნენ თავს და არ დაეცლიათ, რომ ელინები იმაზე უფრო მეტნი შეგროვილიყვნენ, ვიდრე იყვნენ შეგროვილნი; ჰეგესისტრატოსის მსხვერპლშეწირვისათვის თავი უნდა გაენებებინათ, იქიდან რაიმე იძულებით დასკვნები არ გაეკეთებინათ, სამაგიეროდ სპარსელთა ჩვევიდათვის უნდა მიემართათ და მტერს თავს დასხმოდნენ.

42. როდესაც მარდონიოსმა ეს თქვა, ვერავინ გაბედა წინააღმდეგობა, ისე რომ, ამ აზრმა გაიმარჯვა, რადგან ლაშქარზე ძალაუფლება მეფისაგან მას ჰქონდა ბოძებული და არა არტაბადოსს. მან გამოიძახა რაზმების უფროსები და მასთან მყოფი ელინების მხედართმთავრები და შეეკითხა მათ, ხომ არ იციან სპარსთა შესახებ რაიმე მისნობა, რომლის მიხედვითაც მათ ელადაში მოელით დალუპვა. რადგან წვეულნი მდუმარებდნენ, ერთნი იმიტომ, რომ იცოდნენ ასეთი წინასწარმეტყველება, ხოლოს სხვები იმიტომ, რომ იცოდნენ, მაგრამ თქმისა ეშინოდათ, მაშინ თვითონ მარდონიოსმა თქვა: „რადგან თქვენ ან არაერი იცით, ან იცით და ვერ ბედავთ თქმას, ამიტომ მე ვიტყვი, რაც კარგად ვიცი. არის ერთი მისნობა, რომლის მიხედვითაც სპარსელებს უწერიათ მისვლა ელადაში და დელფოს სალოცავის გაძარცვა, ხოლო გაძარცვის შ მდევ ყველას მოელის ამოწყვეტა. რაკი ჩვენ ეს ამბავი ვიცით, ამიტომ ამ სალოცავსი დასარბევად არ წავალთ და არც მის გაძარცვას განვიზრახავთ, მაშასადამე ამ მიზეზის გამო ჩვენ არ დავილუპებით. ისე რომ, თქვენს შორის იმათ, ვინც სპარსელების მიმართ კეთილად არიან განწყობილნი, გაიხარონ იმის გამო, რომ ელინებს ვაჯობებთ“. ეს რომ თქვა, ანიშნა, შეიარაღებულიყვნენ და კარგად მოწესრიგებულიყვნენ, რადგან გათენდებოდა თუ არა, ბრძოლა უნდა დაეწყოთ.

43. მე ვიცი, რომ წინასწარმეტყველება, რომლის შესახებაც მარდონიოსი ლაპარაკობდა, სპარსელების შესახებ არისო, ეხებოდა ილირიელებსა და ენქელეელების ლაშქარს და არა სპარსელებს. ის კი არა, ამ ბრძოლის შესახებ არის ბაკისის ასეთი წინასწარმეტყველება:

„თერმოდონტთან და ბალახოვან ნაპირებიან ასოპოსთან მოხდება ელინთა შეკრება და ბარბაროსთა ენაზე ყვირილი; მშვილდებით შეიარაღებულ მიდიელთაგან იქ ბევრნი დაეცემიან ბედისწერისა და განგების მიუხედავად, როდესაც განკითხვის დღე დადგება“.

ეს წინასწარმეტყველება და ამისი მსგავსი, რომელიც ეკუთვნოდა მუსაფოსს, ვიცი რომ ეხებოდა სპარსელებს. ხოლო მდინარე თერმოდონტი მიედინება ტანაგრასა და გლისანტს შორის.

44. მას მერე რაც მარდონიოსმა გამოიკითხა წინასწარმეტყველების შესახებ და დამოდგრა მხედართმთავრები, დადამდა და დააყენეს დარაჯები. მაგრამ გვიან ღამით, როდესაც თითქოს სიწყნარე იყო ბანაკში და ხალცსაც ღრმა ძილით ეძინა, ათენელეთა დარაჯებთან ცხენი მოაგელვა ალექსანდრემ, ამინტესის ძემ, მაკედონელების მხედართმთავარმა და მეფემ და მოითხოვა მხედართმთავრებთან მოლაპარაკება. დარაჯთა მეტი წილი ადგილზე დარჩა, ზოგი კიდეც გაიქცა მხედართმთავრებთან, მივიდნენ და უთხრეს, რომ მიდიელთა ბანაკიდან მოვიდა ერთი მხედარი, რომელიც სხვას არაფერს ამბობს, მხოლოდ მხედართმთავრებს ასახელებს და მათთან ლაპარაკს თხოულობსო.

45. მხედართმთავრებმა ეს რომ მოისმინეს, მაშინვე გაჰყვნენ მათ საგუშაგოებისაკენ. როდესაც მივიდნენ, ალექსანდრემ მათ უთხრა: „ათენელებო, ამბავი მინდა გაგანდოთ, საიდუმლოდ შეინახეთ ეს და არავის უთხრათ, გარდა პავსანიესისა, რომ მეც არ დამღუპოთ. მე არ ვიტყვოდი, რომ დიდად არ მადარდებდეს მთელი ელადის ბედი. მე თვითონაც ხომ მოდგმით იმთავითვე ელინი ვარ და არ მინდა თავისუფალი ელადის წილ ვიხილო დამონებული ელადა. ამრიგად იცოდეთ: არც მარდონიოსს და არც ლაშქარს მსხვერპლშეწირვამ სასრუველი რამ არ ანიშნა. თომრე დიდი ხანია ბრძოლა გექნებოდათ გამართული. ახლა კი მან გადწყვიტა, შეეშვას მსხვერპლშეწირვას და როგორც კი გათენდება, ბრძოლა წამოიწყოს, რადგან, ასე მგონია, ეშინია, რომ კიდეც უფრო მეტი არ მოგროვდეთ. აი, ამისთვის მოემზადებით. თუ მარდონიოსმა გადადო ბრძოლა და არ წამოიწყო, თქვენც უნდა გაუძლოთ და დარჩეთ ადგილზე, რადგან მათ სულ რამდენიმე დღის სამყოფის საზრდო აქვთ. თუ ომი დათავრდა ისე, როგორც თქვენ გინდათ, უნდა გამიხსენოთ მე და იზრუნოთ ჩემი განთავისუფლებისათვისაც. რადგან მე ელინების გულისათვის დიდი თავგამოდებით ამისთანა ხიფათში ჩავიგდე თავი და მოვინდომე გამემჟღავნებინა თქვენთვის მარდონიოსის განზრახვა იმიტომ, რომ ბარბაროსები მოულოდნელად, მოუმზადებლებს არ დაგხმოდნენ თავს. მე მაკედონელი ალექსანდრე ვარ“. ეს თქვა, გაქუსლა უკან ბანაკში და თავის ადგილას მიაშურა.

46. ათენელთა მხედართმთავრები გადავიდნენ მარჯვენა ფრთაზე და უთხრეს პავსანიესს ის, რაც მოისმინეს ალექსანდრესაგან. ეს ამბავი რომ მოისმინა, პავსანიესს

შეეშინდა სპარსელებისა და თქვა: „რადგან გათენებისას იქნება ბრძოლა, თქვენ, ათნელები უნდა დადგეთ სპარსელების პირისპირ, ჩვენ კი ბეოტიელებისა და იმ ელინების საპირისპიროდ, რომლებიც თქვენს საწინააღმდეგოდ არიან დარაზმულები და აი, რატომ: თქვენ იცნობთ მიდიელს და იცით მათი ბრძოლის ხერხებიც, რადგან მართონში ებრძოდით მათ, ჩვენ კი არ გვაქვს საამისო გამოცდილება და არ ვიცნობთ ამ ხალხს. სპარტელთაგან ხომ არავის უცდია თავისი ძალა მიდიელებთან; ბეოტიელებთან და თესალიელებთან კი გარკვეული გამოცდილება გვაქვს. ამიტომ საჭიროა აიღოთ იარაღი და გამოხვიდეთ ამ ფრთაზე. ჩვენ კი გადავალთ მარცხენა ფრთაზე“. ამაზე ათენელებმა ასე უპასუხეს: „ჩვენ თავიდანვე, როდესაც დავინახეთ, რომ სპარსელები თქვენს საპირისპიროდ მოეწყვნენ, გვინდოდა გვეთქვა ამის შესახებ, მაგრამ თქვენ დაგვასწართ. იმიტომ არ გითხარით რომ გვეშინოდა, ჩვენი წინადადება თქვენთვის უსიამოვნო არ ყოფილიყო. რადგან ახლა თქვენ თვითონ შემოგვთავაზეთ, ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ ამ წინადადებას და მზადა ვართ ასე მოვიქცეთ“.

47. რადგან ორივე მხარე შეთანხმდა, ირიჟრაჟა თუ არა, მათ ადგილები შეცვალეს. ბეოტიელებმა, როგორც კი შეიტყვეს, რაც მოხდა, აცნობეს მარდონიოსს. ხოლო ის ამის მოსმენისთანავე შეეცადა ჯარის ნაწილები ისე გადაეადგილებინა, რომ სპარსელები ლაკედემონელების საპირისპიროდ დაეყენებინა. როგორც კი გაიგო პავსანიესმა, რომ ასეთი რამ მოხდა და მიხვდა, რომ მისი განზრახვა გამომჟღავნდა, უკან წამოიყვანა სპარტელები მარჯვენა ფრთაზე. ასევე მოიქცა მარდონიოსიც, რომელმაც მარცხენა ფრთაზე დააბრუნა სპარსელები.

48. როდესაც დადგნენ თავდაპირველ ადგილებზე, მარდონიოსმა მაცნე გაუგზვნა სპარტელებს და მისი პირიქე შეუთვალა: „ლაკედემონელებო, აქ მცხოვრები ხალხის სიტყვით თქვენ უმამაცესი ვაჟკაცები ხართ: ამ ხალხს აცვიფრებს ის, რომ თქვენ არც ომიდან გარბიხართ და არც მწყობრს სტოვებთ, არამედ რჩებით თქვენს ადგილზე და ანადგურებთ მოწინააღმდეგეს, ანდა თვითონ იღუპებით. მაგრამ, როგორც ჩანს ეს აზრი არ ყოფილა ჭეშმარიტი; იმაზე უწინ, ვიდრე შევიბმებოდით და ხელჩართულ ბრძოლას გავმართავდით, ჩვენ დავინახეთ, რომ თქვენ გაიქეციით და თქვენი დგილი მიატოვეთ, მოინდომეთ პირველი იერიში ათენელებზე მიგვეტანა, თქვენ თვითონ კი ჩვენი მონების საპირისპიროდ მოეწყვეთ. ეს სულაც არაა მამაცი ხალხის საქმე და ჩვენ დიდად მოვტყუვდით თქვენში. ჩვენ თქვენი სახელის მიხედვით მოველოდით, რომ მაცნეს გამოგვიგზავნიდით, გამოგვიწვევდით და მხოლოდ სპარსელებთან მოინდომებდით ბრძოლას, ჩვენც მზად ვიყავით ეს გაგვეკეთებინა, მაგრამ დავინახეთ, რომ არაფერი მსგავსი არ გითქვამთ, ის კი არა, შიშით იმალებით კიდევაც. ახლა, რაკილა თქვენ არაფერს გვეუბნებით, ჩვენ გეტყვით. რატომ არ უნდა შევებრძოლოთ ჩვენ ერთმანეთს მებრძოლთა თანაბარი რაოდენობით? თქვენ გამოდით ელინების მხრიდან, თუკი მართლაც უმამაცესნი ხართ მათ შორის და ჩვენ გამოვალთ ბარბაროსების მხრიდან. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სხვებმაც უნდა იბრძოლონ, იმათ ჩვენს შემდეგ იბრძოლონ. ხოლო თუკი არ ფიქრობენ ასე, და იმ აზრისა არიან რომ მართლაც ჩვენ გვეკუთვნის ბრძოლა, ჩვენ შევებრძოლებით ერთმანეთს. რომელიც გაიმარჯვებს ჩვენს შორის, ის ჩაითვლება გამარჯვებულად მთელი თავისი ბანაკითურთ“.

49. მაცნემ თქვა ეს და ერთხანს შეიცადა, მაგრამ რადაგან არავინ არაფერი უპასუხა, უკან გაბრუნდა, მივიდა და შეატყობინა მარდონიოსს, რაც მოხდა. მარდონიოსს ძალიან გაეხარდა და მომავალი გამარჯვებით გაამაყებულმა ცხენოსანი ჯარი ელინების წინააღმდეგ გაგზავნა. როდესაც ცხენოსნები თავს დაესხნენ, ზიანი მთელი ელინურ ჯარს მიაყენეს; სპარსელები ცხენებზე ისხდნენ და მოწინააღმდეგეს ისე ესროდნენ შუბებს და ისრებს, ამიტომ შეუძლებელი იყო მათთან მიახლოვება. ამასთანავე გარგაფის წყარო, საიდანაც იღებდა წყალს მთელი ელინური ჯარი, აამღვრიეს და დააშლამიანეს. ამ წყაროსთან მარტო ლაკედემონელები იყვნენ დარაზმული, ხოლო სხვა დანარჩენი ელინთაგან თითოეული ტომი ისე იყო განლაგებული, რომ ეს წყარო შორს იყო, ასოპოსი კი ახლოს ჰქონდათ. მაგრამ რადგა ასოპოსთან არ მიესვლებოდათ, ამიტომ ისინიც წყაროზე დადიოდნენ. ეს იმიტომ რომ მხედართა და მოისართა შიშით მდინარიდან ვერ მოჰქონდათ წყალი.

50. რადგან ასეთი მდგომარეობა შეიქმნა (ლამქარი წყალს იყო მოკლებული და მხედრობისაგან შემფოთებული), ელინთ მხედართმთავრები შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს ამის შესახებ და კიდევ სხვა საკითხებზეც და წავიდნენ პავსანიესთან მარჯვენა ფრთაზე. მართლაც და ამაზე უფრო მათ სხვა ამბები აწუხებდათ: აღარც საკვები ჰქონდათ, და თან მათი მსახურები, რომლებიც პელოპონესში გაგზავნეს საკვების მოსამარაგებლად, ცხენოსნების მიერ იყვნენ გზამოჭრილი და ველარ ბრუნდებოდნენ ბანაკში.

51. თათბირისას მხედართმთავრებმა კუნძულზე წასვლა გადაწყვიტეს, თუ კი სპარსელები ამ დღესაც ისე გაატარებდნენ, რომ ბრძოლას არ გამართავდნენ. ეს კუნძული იმ ადგილიდან, სადაც ისინი იყვნენ დაბანაკებული, ე.ი. ასოპოსისა და გარგაფის წყაროდან, 10 სტადიონით იყო დაშორებული და მდებარეობდა პლატეელთა ქალაქის წინ. ხოლო ამ კუნძულს ასეთი მდებარეობა ჰქონდა: მდინარე ზემოთ შუაზე იყოფოდა და კითერონიდან ისე მოედინებოდა ქვემოთ დაბლობისაკენ, ეს ორი ტოტი ერთმანეთისაგან დაახლოებით სამი სტადიონით იყო დაშორებული და შემდეგ ისევ ერთდებოდნენ ერთ მდინარედ. სახელად ამ მდინარეს ერქვა ოეროე. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ოეროეს ასოპოსის ასული არისო. აი, ელინებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ადგილას გადავიდოდნენ, რათა სახმარი წყალი უხვად ჰქონოდათ და რომ მხედრებს არ მიეყენებინათ მათთვის ისეთი ზიანი, როგორსაც აყენებდნენ მაშინ, როდესაც მათ პირისპირ იყვნენ დარაზმულები. გადაწყვიტეს, რომ ღამის მეორე დარაჯობის დროს დაიძროდნენ, ეს იმიტომ, რომ სპარსელებს არ შეენიშნათ მათი გასვლა, მხედრები არ დასდევნებოდნენ და არ აეწიოკებინათ ისინი, როდესაც მივიდნენ იმ ადგილას, რომელსაც კვეთს კითერონიდან მომდინარე ასოპოსს ოეროე, ელინებმა გადაწყვიტეს იმავე ღამეს ბანაკის ნახევარი კითერონში გაეგზავნათ, რომ შეხვედროდნენ სურსათისათვის წასულ მსახურებს. ისინი ხომ კითერონში იყვნენ გამომწყვდეულები.

52. ეს რომ გადაწყვიტეს, მთელ ამ დღეს ცხენოსნების მოძალების გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ ელინები, მაგრამ როგორც კი დღე მიიწურა, ცხენოსნობმა შეწყვიტეს შემოტევა, დაღამებისას შესაფერისი დრო დადგა შეთანხმებისამებრ უკან დასახევად, აი, მაშინ ბევრნი აიყარნენ და დაიწყეს უკან დახევა, მაგრამ არც კი უფიქრიათ იმ ადგილას მისვლა, სადაც დათქმისამებრ უნდა მისულიყვნენ. როგორც კი დაიძრნენ, გახარებულები გაექცნენ ცხენოსნებს და მიაშურეს პლატეელთა ქალაქს; გაიქცნენ და მიაღწიეს ჰერას სალოცავს, ეს არის პლატეელთა ქალაქის წინ და

გარგაფის წყაროს დაშორებული 20 სტადიონით. მივიდნენ და სალოცავის წინ დააწყვეს იარაღი.

53. ამათ ჰერას სალოცავის წინ დაიბანაკეს, ხოლო პავსანიესმა დაინახა, რომ ისინი ბანაკიდან გავიდნენ და გამოუცხადა ლაკედემონელებს, თვითონაც აეღოთ იაღალი და წინ წასულთ მიჰყოლოდნენ. მას ეოგნა, რომ ესენი წავიდნენ დათქმულ ადგილზე. ყველა სხვა რაზმების მეთაურები მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ პავსანიესს. ხოლო ამომფარეტოსმა, პოლიადესის ძემ, რომელიც მეთაურობდა პიტანელთა რაზმს, თქვა, რომ არ გაეცევა უცხოელებს და თავისი ნებით არ შეარცხვენს სპარტეს; იგი გაკვირვებით უცქეროდა იმას, რაც ხდებოდა, რადგან არ დასწრებია წინა მოლაპარაკებას. პავსანიესი და ევრიანაქსი ძალიან ჯავრობდნენ მასზე, რატომ გვეურჩებო. უფრო კიდევ იმაზე, რომ მისი ასეთი სიკერპის გამო მათ მოუხდებოდათ პიტანელთა რაზმის მიტოვება. არა და თუ დასტოვებდნენ და მოიქცეოდნენ ისე, როგორც იყვნენ შეთანხმებული სხვა ელინებთან, დაილუპებოდა თვითონ დატოვებული ამომფარეტოსი და ისინიც, ვინც მასთან ერთად იყვნენ. ამაზე რომ ბჭობდნენ, ლაკონელთა ბანაკი ნებაზე ჰყავდათ მიშვებული და ამომფარეტოსის დარწმუნებას ცდილობდნენ, საჭირო არაა აქ დარჩენაო.

54. ვიდრე ესენი ამომფარეტოსის დაყოლიებას ცდილობდნენ, რომელიც ლაკედემონელთა და ტეგეელთაგან მარტო იყო დარჩენილი, ათენელები ასე მოიქცნენ: ისინი წყნარად იდგნენ იქ, სადაც იყვნენ დაყენებული, რადგან იცოდნენ ლაკედემონელთა ზნე, რომ ისინი ერთს ფიქრობენ და სხვას ამბობენ. როდესაც ბანაკი დაიდრა, ათენელებმა გაგზავნეს თავისი მხედარი იმის სანახავად, აპირებენ თუ არა სპარტელები გამოსვლას, ან ეგებ სულაც არ ფიქრობენ დაძვრას და კიდევ იმისათვის, რომ გაეგოთ პავსანიესისაგან, რა უნდა გააკეთონ თვითონ ათენელებმა.

55. როდესაც მივიდა მაცნე ლაკედემონელებთან, დაინახა, რომ ისინი ჯერაც თავთავის ადგილებზე დგანან და მათი თავკაცები ერთმანეთს ეჩხუბებიან. რადგან როდესაც ევრიანაქსი და პავსანიესი შთააგონებდნენ ამომფარეტოსს, ნუ ჩააგდებ ხიფათში მარტო დარჩენილ ლაკედემონელებსო, ის მაინც ვერ დაიყოლიეს და ბოლოს მოხდა ისე, რომ მათ შორის ჩხუბი გაიმართა. აი, მაშინ მოვიდა მათთან ათენელთა მაცნე და წარსდგა მათ წინაშე. ჩხუბში ამომფარეტოსმა ორივე ხელით აიღო ლოდი, დასდო პავსანიესს ფეხებთან და თქვა, რომ ამ კენჭით ხმას აძლევს იმის სასარგებლოდ, რომ არ გაეცევა უცხოელებს, ე.ი. ბარბაროსებს. პავსანიესმა მას გიჟი და შეშლილი უწოდა. ხოლო როდესაც ათენელთა მაცნე შეეკითხა მას იმის შესახებ, რაც ნაბრძანები ჰქონდა, რომ გადაეცა, პავსანიესმა უთხრა მას, ეუწყებინა ათენელთათვის საქმის არსებული ვითარება და ეთხოვა, მოსულიყვნენ მათთან და უკან დახვევისას ისევე მოქცეულიყვნენ, როგორც ესენი იქცევიან. ამის მერე მაცნე დაბრუნდა ათენელებთან.

56. ჯერ კიდევ კამათობდნენ, რომ თავზე დაათენდათ. პავსანიესი იჯდა და ფიქრობდა, რომ ამომფარეტოსი არ ჩამორჩებოდა სხვა ლაკედემონელებს, თუ კი ესენი წავიდოდნენ და მართლაც, ასე მოხდა: მან ანიშნა და გაუძღვა ყველა დანარჩენ ლაკედემონელებს, რომლებიც გორებზე გადაატარა: მათ მიჰყვნენ ტეგეელებიც. ათენელები კი მოლაპარაკების თანახმად ლაკედემონელების საპირისპირო მიმართულებით წავიდნენ. ლაკედემონელები ცხენოსანი ჯარის შიშით კითერონის

გორებსა და ფერდობს მიჰყვებოდნენ, ათენელები კი ქვემოთ გაბრუნდნენ დაბლობისაკენ.

57. ამომფარეტოსმა თავდაპირველად იფიქრა, რომ პავსანიესი ვერაფრით ვერ გაბედავს მის მიტოვებას, ამიტომ დაჟინებით იდგა და არ იძვროდა თავისი ადგილიდან. მაგრამ როდესაც პავსანიესთან მყოფებმა დიდად გაუსწრეს მას, მან იფიქრა, რომ იმათ მართლაც მიატოვეს ის; მაშინ თავის რაზმს ააღებინა იარაღი და გაუძღვა ნაბიჯით ჯარის ძირითადი ნაწილისაკენ. პავსანიესი ოთხი სტადიონით რომ დასცილდა, მოუცადა ამომფარეტოსის რაზმს, მოეყწო მდინარე მოლოფესთან იმ ადგილას, რომელსაც არგიოპიონი ეწოდება და სადაც დგას ელევსინელი დემეტრეს სალოცვაკვი. პავსანიესი აქ იმიტომ გაჩერდა, რომ მიხმარებოდა ამომფარეტოსს, თუ ის და მისი რაზმი არ მიატოვებდნენ თავის სადგომს და იქ დარჩებოდნენ. როდესაც მათ, ვინც ამომფარეტოსთან ერთად იყვნენ, მოაღწიეს ამ ადგილს, ბარბაროსების მთელი ცხენოსანი ჯარი დაესა მათ თავს. ცხენოსნები ისე იქცეოდნენ, როგორც მანამდე, მაგრამ რომ დაინახეს მოცარიელებული ადგილი, რომელზედაც წინა დღეებში ელინთა მწყობრები იდგა, ცხენები გარეკეს სულ უფრო და უფრო წინ, ვიდრე არ დაეწივნენ მათ და არ დაესხნენ თავს.

58. მარდონიოსმა როდესაც შეიტყო, რომ ელინები ღამით წავიდნენ და დაინახა მოცარიელებული ადგილი, დაუძახა ლარისელ თორაქს და მის ძმებს - ვერიპილოსსა და თრასიდემოსს და უთხრა: „ალევსის ძენო, ახლა რაღას ითყვით, ამ მოცარიელებულ ადგილს რომ ხედავთ? თქვენ, მათი მეზობლები ხომ ამბობდით, რომ ლაკედემონელები ბრძოლას არ გაურბიანო, უფრო მეტიც - სამხედრო საქმეში პირველები არიანო. ჯერ იყო და ხომ დაინახეთ, რომ იმათ თვისი მწყობრიდან გადაინაცვლეს. ახლა კი ჩვენ ყველამ დავინახეთ, წარსულ დამეს სულაც რომ გაიქცნენ. როდესაც ისინი უნდა შებრძოლებოდნენ ადამიანთა შორის ჭეშმარიტად ყველაზე უფრო მამაცებს, გამოირკვა, რომ არაფრის მაქნისნი არიან და ამიტომ გამოირჩევიან სრულიად არაფრის მაქნის ელინთა შორის. ხოლო თქვენ, რომლებიც არ იცნობთ სპარსელებს, ჩემგან, ცხადია, გეპატიებათ, იმათი ქება, ვის შესახებაც რაღაც კარგი იცით. მაგრამ განსაკუთრებით მიკვირს არტაბადოსის, რომელსაც შეეშინდა ლაკედემონელებისა და შეშინებულმა ასეთი უმსგავსი აზრი მოგვაწოდა, რომ თითქოს საჭიროა ავყაროთ ბანაკი და წავიდეთ თებელთა ქალაქში, სადაც ალყაშემორტყმულები უნდა ვისხდეთ. ამ აზრს შეიტყობს ჩემგან მეფე. ამის შესახებ სხვა დროს გვექნება ლაპარაკი. ახლა კი არ უნდა მივცეთ მტერს იმის გაკეთების საშუალება, რასაც აპირებს, ის კი არა, უნდა მივდიოთ მათ, ვიდრე არ შევიპყრობთ და არ ვაზღვევინებთ ყოველივე იმისათვის, რაც მათ ჩაიდინეს სპარსელთა მიმართ“.

59. ეს რომ თქვა მარდონიოსმა, სირბილით გაუძღვა სპარსელებს და გადაიყვანა ასოპოსზე ელინების კვალდაკვალ, რომლებიც გარბოდნენ, მაგრამ ის მხოლოდ ლაკედემონელებსა და ტეგესელებს მისდევდა, რადგან ველარ ხედავდა ათენელებს, რომლებმაც გადაუხვიეს დაბლობისაკენ და ეფარებოდნენ გორაკებს. ბარბაროსთა რაზმების დანარჩენმა მეთაურებმა რომ დაინახეს, სპარსელები ელინებს მისდევნო, მაშინვე მისცეს თავისიანებს ნიშანი და ისიც დაედევნენ იმ სიჩქარით, როგორითაც შეიძლეს, ყოვლად უწყესოდ და უთავბოლოდ, ესენი ყვირილითა და ჯოგად გარბოდნენ, თითქოს ელინების განადგურებას აპირებდნენ.

60. ხოლო პავსანიესმა, ცხენოსნების მიერ მეტად შევიწროვებულმა, ათენელებს ერთი მხედარი გაუგზავნა და შეუთვალა: „ათენელებო, მაშინ, როდესაც უდიდესი ბრძოლა მოგველის, რომელიც გადაწყვეტს ელადა თავისუფალი იქნება თუ დამონებული, ჩვენ - ლაკედემონელები და თქვენ, ათენელები მიგვატოვეს მოკავშირეებმა, რომლებიც გასულ ღამეს გაიქცნენ. ახლა გარკვეულია. თუ ამიერიდან რა გვაქვს გასაკეთებელი: შეძლებისამებრ უნდა მოვიგერიოთ მტერი და თავგამოდებით დავეხმაროთ ერთმანეთს. მაგალითად, ჯერ რომ თქვენთვის შემოეცია ცხენოსან ჯარს, ჩვენ ჩვენთან ერთად მყოფი ტეგეელები, რომლებმაც არ უღალატეს ელადას, თქვენ უნდა მოგშველებოდით. ახლა კი მთელმა ცხენოსანმა ჯარმა რახან ჩვენ შემოგვიტია, სამართლიანობა მოითხოვს თქვენ წახვიდეთ ლაშქრის განსაკუთრებით გაჭირვებულინაწილების საშველად. ხოლო თუ თქვენ თვითონ ისეთ მდგომარეობაში ხართ, რომ დახმარება არ შ გიძლიათ, მაშინ მოიღეთ მოწყალება და გამოგვიგზავნეთ მოისარნი. ჩვენ ვიცით ამ ომში თქვენი საგანგებო თავდადება, ისე რომ, იმედი გვაქვს, ამ სათხოვარსაც შეისმენთ.“

61. ათენელებმა რომ ეს შეიტყვეს, გაეშურნენ საშველად და საგულდაგულოდ დასაცავად. გზად მიმავალთ თავს დაესხნენ ის ელინები, რომლებიც მათი მოწინააღმდეგენი იყვნენ და მეფის მხარეზე იმყოფებოდნენ, ისე რომ, ათენელებს სხვისი დახმარება აღარ შეეძლოთ, რადგან თავდამსხმელისგან თვითონ იყვნენ შეჭირვებული. ამრიგად, ლაკედემონელები და ტეგეელები მარტონი აღმოჩნდნენ. მათ ჰყავდათ შეიარაღებული 50000 ლაკედემონელი და 3000 ტეგელი ჯარისკაცი (ესენი ხომ არასოდეს შორდებოდნენ ლაკედემონელებს); ამათ მოახდინეს მსხვერპლშეწირვა, რადგანაც აპირებდნენ შებრძოლებას მარდონიოსთა და მასთან მყოფ ლაშქართან. მსხვერპლშეწირვამ მათ კარგი არაფერი ანიშნა; ამასობაში მათ შორის ბევრნი დაიხოცნენ, ბევრად უფრო მეტნი კი დაიჭრნენ. ეს იმიტომ, რომ სპარსელები თვითონ ამოეფარნენ ფარებს და დაუნდობლად და განუწყვეტლივ უშენდნენ მათ ისრებს. რადგან სპარტელები დიდ გაჭირვებაში იყვნენ და თანაც მსხვერპლშეწირვა სასიკეთო არ გამოუვიდათ, პავსანიესმა მიაპყრო თვალები პლატეელთა ჰერას სალოცავს, შეღაღადა ღმერთქალს და შეეხვეწა, ნუ გაგვიცრუებ იმედებსო.

62. ის ჯერ კიდევ ამას ევედრებოდა, როდესაც ტეგეელები სხვებზე უწინ აღსდგნენ და გაემართნენ ბარბაროსების წინააღმდეგ, ხოლო ლაკედემონელებს, რომლებმაც პავსანიესის ლოცვის შემდეგ მაშინვე დაიწყეს მსხვერპლშეწირვა, ეს მსხვერპლშეწირვა სასიკეთო გამოუვიდათ. ცოტა ხნის შემდეგ ისინიც წავიდნენ სპარსელების წინააღმდეგ, სპარსელები კი მათ საპირისპიროდ იდგნენ და მშვილდები ჰქონდა დაშვებული. პირველად ბრძოლა ფარებისაგან გაკეთებული თავშესაფრის ირგვლივ ხდებოდა, მაგრამ როდესაც სპარსელებს ფარები დაუღეწეს, მაშინ სასტიკი ბრძოლა გაიმართა თვით დემეტრეს ტამართან და დიდხანსაც გაგრძელდა, ვიდრე მოწინააღმდეგეები ერთმანეთს პირისპირ არ შეეტანკნენ. ბარბაროსები სტაცებდნენ ელინებს შუბებს და ამტვრევდნენ. სპარსელები გამბედაობითა და ძალით ელინებზე ნაკლები არ იყვნენ, მაგრამ იარღი არ ჰქონდათ, უმეცრები იყვნენ და მოწინააღმდეგესთან გამოცდილებით ვერ მოვიდოდნენ. ისინი თითო-თითოდ გამორბოდნენ, ან ათ-ათნი, ხან მეტი, ხან ნაკლები იკრიბებოდნენ, თავს ესხმოდნენ სპარტელებს და თვითონვე იღუპებოდნენ.

63. იქ, სადაც იყო თვითონ მარდონიოსი, თეთრ ცხენზე შემდგარი რომ იბრძოდა და ირგვლივ სპარსთა შორის რჩეული, უმამაცესი 1000 კაცი ეხვია; სწორედ იქ იყო, რომ განსაკუთრებული გააფთრებით შეუტიეს მოწინააღმდეგეს. ვიდრე მარდონიოსი ცოცხალი იყო, სპარსელები კიდევაც უმკლავდებოდნენ მტერს, თავსაც იცავდნენ და ბევრიც დასცეს ლაკედემონელთაგან. ხოლო როდესაც მარდონიოსი მოკვდა და მის ირგვლივ დარაზმულებიც დაიხოცნენ, რომლებიც უძლიერესნი იყვნენ სპარსთა შორის, მაშინ დანარჩენი სპარსელები გაბრუნდნენ და გაექცნენ ლაკედემონელებს. განსაკუთრებით დამღუპველი გამოდგა მათთვის მათი შეჭურვილობა: ისინი თითქმის სრულიად უიარაღონი იყვნენ, ისე რომ, მსუბუქად შეიარაღებული სპარსელები ებრძოდნენ მძიმედ შეიარაღებულ ელინებს.

64. ამრიგად, ახდა წინასწარმეტყველება და სპარტელებმა ლეონიდესის სიკვდილი აზღვევინეს მარდონიოსს, ხოლო პავსანიეს კლეომბროტოს ალექსანდრიდესის ძის ძეს, წილად ხვდა უბრწყინვალესი გამარჯვება, ყველა მათ შორის, რომელიც ჩვენ გვინახავს. ხოლო მათი წინაპრების სახელები ზემოთ ჩამოვთვალე ვიდრე ლეონიდესამდე. ხოლო წინაპრები ლეონიდესსა და პავსანიესს ერთი და იგივე ჰყავდათ. მარდონიოსი მოკვდა არიმნესტოსის ხელით, ეს იყო გამოჩენილი სპარტელი, რომელიც მიდიური ომებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ 300 კაცით ჩაება სტენიკლეროსის ბრძოლაში, მესენიელების წინააღმდეგ, სადაც თვითონაც მოკვდა და ეს სამასი კაციც.

65. ლაკედემონელების მიერ პლატეაში უკუგდებული სპარსელები ყოველგვარი წესრიგის გარეშე გაიქცნენ თავის ბანაკში იმ ხის ზღუდესთან, რომელიც მათ გაიკეთეს თებეს მხრეში. მე ძალიან გამიკვირდა როგორ მოხდა ის ამბავი, რომ დემეტრეს ჭალასთან მეზრძოლ სპარსელთაგან არც ერთი არ შესულა წმინდა ადგილას, რაც რომელიმე მათგანი მოუკლავთ ამ ადგილებში, მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი ეყარნენ ტაძრის ირგვლივ არასატაძრო მიწაზე. მე ვფიქრობ (თუ კი შესაძლებელია, რომ კაცმა საღვთო ამბებზე რაიმე იფიქროს), თვითონ ქალღმერთმა არ შეუშვა ისინი იქ, რადგან სპარსელებმა ელევსინში მათი წმინდა ტაძარი გადაწვეს.

66. აი, ამგვარად მოხდა ეს ბრძოლა. ხოლო არტაბადოსი, ფარნაკესის ძე, რომელსაც იმთავითვე არ მოსწონდა მეფისაგან მარდონიოსის ელადაში დატოვება და ბევრს უშლიდა, რომ მას არ წამოეწყო ეს ომი (მაგრამ ვერაფერს გახდა), აი, ეს არტაბადოსი შემდეგგვარად მოიქცა, რადგან არ მოსწონდა მარდონიოსის საქმიანობა. იგი თავის ლაშქარს მწყობრად დარაზმულს წარუძღვა წინ (მას მცირერიცხოვანი ლაშქარი როდი ჰყავდა: ის დაახლოებით 40000 კაცს მხედართმთავრობდა), მაშინ, როდესაც ბრძოლა იწყებოდა. რადგან კარგად იცოდა, თუ ამ ბრძოლას რა მოჰყვებოდა, არტაბადოსმა გამოუცხადა თავის ლაშქარს, რომ მათაც ისევე ეარათ, როგორც ის თვითონ ივლიდა, ეს გამოუცხადა არტაბადოსმა და თითქოს ბრძოლისაკენ გაუძღვა ლაშქარს. რაკილა გზაზე ის ყველაზე წინ მიდიოდა, დაინახა, თუ როგორ გარბოდნენ სპარსელები, მაშინ აღარ გაუძღვა ჯარს იმ წესრიგით, როგორც აქამდე ჰქონდა, ის კი არა, რაც შეიძლება სწრაფად გაიქცა და გაიქცა არა ხის ზღუდისაკენ, არა თებეს გალავნისაკენ, არამედ ფოკიდელის ქვეყანაში. რადგან უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია ჰელესპონტისათვის.

67. ამრიგად, არტაბადოსი და მისი ლაშქარი ამ გზით გაემართნენ. ხოლო რაც შეეხება სხვა ელინებს, რომლებიც მეფის მხარეზე იყვნენ, ისინი მოღალატურად იქცეოდნენ; მხოლოდ ბეოტიელები ებრძოდნენ ათენელებს ხანგრძლივად. ეს თებელები, ვინც მიდიელთა მომხრენი იყვნენ, მათლაც დიდი მოწადინებით იბრძოდნენ და არც მოღალატურად მოქცეულან; ამიტომაც იყო, რომ 300 წარჩინებული და უმამაცესი კაცი თებელთა შორის კიდევაც დაეცა აქ ათენელთა ხელით მოკლული. ხოლო როდესაც ამათაც ზურგი უჩვენეს, გაიქცნენ თებეში, მაგრამ არა იმ გზით, რომლითაც სპარსელები და სხვა მათი მოკავშირეების მთელი ბრბო, რომელიც არც არავის ებრძოდა და არც არავის ეთანხმობდა რამეში და ისე გარბოდა.

68. ჩემთვის ცხადია, რომ ბარბაროსთა ყოველგვარი საქმიანობა დამოკიდებული იყო სპარსელებზე; ცხადია თუნდაც იმიტომ, რომ მოკავშირეები იმაზე უწინ გაიქცნენ, ვიდრე მტერს შეებრძოლებოდნენ, და მხოლოდ იმიტომ, რომ დაინახეს სპარსელები, რომლებიც ასე მოიქცნენ. ასე გაიქცა ყველა ბარბაროსი გარდა ცხენოსნების და განსაკუთრებით კი ბეოტიელი ცხენოსნებისა, ეს ძალიან სასარგებლო იყო გაქცეული ბარბაროსებისათვის, ცხენოსნები სულ ახლოს იყოფებოდნენ მტერთან და ლტოლვილ თავისიანებს ელინთაგან აცალკევებდნენ. გამარჯვებულები მისდევდნენ ქსერქსესის ლაშქარს, სდევნიდნენ და ხოცავდნენ.

69. იმ დროს, როდესაც ეს არეულობა დატრიალდა, შეატყობინეს ჰერას სალოცავთან დაწყობილ ელინებს, რომლებიც ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ, რომ ბრძოლა დაწყებულია და გაიმარჯვებს პავსანიესმა და მისმა ლაშქარმა. მათ რომ ეს გაიგეს, ყოველგვარი წესრიგის გარეშე გაემართნენ: ისინი, ვინც კორინთ ლებთან ერთად იყვნენ, გაბრუნდნენ ფერდობებისა და გორაკების გავლით იმ გზაზე, რომელიც მიემართებოდა ზემოთ, პირდაპირ დემეტრეს ტაძრისაკენ, ხოლო ისინი, ვინც მეგარელებთან და ფლეფუსელებთან ერთად იყვნენ, წავიდნენ დაბლობის გავლით ყველაზე უფრო სწორ გზაზე. როდესაც მეგრელები და ფლეფუსელები მიუახლოვდნენ მტერს, თებელთა ცხენოსნებმა შენიშნეს ისინი, ყოველგვარი წესრიგის გარეშე რომ მოდიოდნენ და გამოაჭენეს ცხენები მათკენ; მათ წინ უძლოდა ასოპოდოროსი, ტიმანდროსის ძე. თებელები დაესხნენ მათ თავს, მათგან 600 კაცი ძირს დასცეს, დანარჩენებს კი გამოედევნენ და მისდიეს კითერონამდე.

70. ესენი ასე დაიღუპნენ და არავის მიუქცევია ამისათვის ყურადღება, ხოლო სპარსელები და მთელი დანარჩენი ბრბო შეეფარნენ ხის ზღუდეს და ვიდრე ლაკედემონელები მოაღწევდნენ აქამდე, მოასწრეს კომკებზე ასვლა, ავიდნენ და რაც შეიძლება უკეთ გაამაგრეს ზღუდე. როდესაც მოვიდნენ ლაკედემონელები, სასტიკი ბრძოლა გაიმართა მათ შორის ზღუდესთან. ვიდრე ათენელები მოვიდოდნენ, სპარსელები იგერიებდნენ ლაკედემონელებს, რომლებზედაც ბევრად უფრომრავალრიცხოვანი იყვნენ და თანაც იმიტომ რომ ლაკედემონელებმა არ იცოდნენ ზღუდესთან ბრძოლა, ხოლო როდესაც ათენელები მოვიდნენ, სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა გაიმართა ზღუდესთან. ბოლოს თავისი სიმამაცისა და გამძლეობის წყალობით ათენელები ავიდნენ ზღუდეზე და გაანგრეს ის. ამ განგრეულ ადგილში შევიდნენ ელინები. ყველაზე უმაღლესი ტეგეელები შეცვივდნენ იქიდან სხვა ნივთთა შორის ცხენების ბაგა, რომელიც მთლიანად სპილენძისა იყო და შესანიშნავი სანახავი. მარდონიოსის ეს ბაგა ტეგეელებმა შესწირეს ალვის ათენას ტაძარს, ხოლო სხვა ყველაფერი, რაც კი წამოიღეს, ერთ ადგილას დააგროვეს

შეჯგუფებულად, არც ვინმე ფიქრობდა მათ შორის თავის დაცვას. აქეთ-იქით აწყდებოდა ერთ პატარა ადგილას გამომწყვდეული და თავზარდაცემული მრავალი ათასი მეომარი. ელინებმა ადვილად შეძლეს მათი ამოხოცვა. ისე რომ, 300 000-კაციანი ლაშქრიდან (გარდა იმ ორმოცი ათასისა, რომელიც თან წაიყვანეს არტაბადოსმა და გაიქცა) 3000 კაციც კი არ გადარჩენილა. სპარტიდან მოსულ ლაკედემონელთაგან ამ ბრძოლაში მთლიანად 91 კაცი დაიხოცა, ტეგეელთაგან - 16, ხოლო ათენელთაგან - 52.

71. ბარბაროსთა შორის ამბობენ, სიმამაცით გამოირჩეოდა სპარსელთა ქვეითი ჯარი, საკების ცხენოსნობა და ვაჟკაცი მარდონიოსი, ხოლო ელინთა შორის თუმცა ტეგეელები და ათენელები კარგები იყვნენ, მაგრამ სიმამაცით ყველას აღემატებოდნენ ლაკედემონელები. მე ამას სხვა რამეების მიხედვით კი არ ვასკვნი (მათ ხომ ყველამ გაიმარჯვეს თავის მოწინააღმდეგეებზე), არამედ იმის მიხედვით, რომ ლაკედემონლებმა შეუტყეს მოწინააღმდეგის ყველაზე უფრო ძლიერ ნაწილს და დაამარცხეს ის. ჩვენის აზრით, განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინა არისტოდემოსმა, რომელიც 300 თერმოპილელთა შორის ერთადერთი გადარჩა და ამით სირცხვილი მოიხვეჭა და პატივი აიყარა. არისტოდემოსის შემდეგ ვაჟკაცობით თავი გამოიჩინეს პოსედონიოსმა, ფილოკიონმა და ამომფარეტოსმა, სპარტელებმა. როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე, თუ რომელია მათ შორის ყველაზე მამაცი, დამსწრე სპარტელები აღიარებდნენ იმას, რომ არისტოდემოსს, როგორც ჩანს, სიკვდილი უნდოდა ჩადენილი დანაშაულის გამო და ამიტომ იყო, რომ გამმაგებულმა დატოვა მწყობრი და დიდებული საქმე მოიმოქმედა, ხოლო პოსედონიოსს არ უნდოდა სიკვდილი და ისე იყო ბუნებით ვაჟკაცი. ამდენად ეს უკეთესი არის არისტოდემოსზე. მაგრამ შესაძლოა ამას შურით ამბობდნენ. ყველა ისინი, რომლებიც ვახსენე. გარდა არისტოდემოსის, რომელსაც სიკვდილი უნდოდა ზემოთქმული მიზეზის გამო, არ იქნა პატივდებული. ესენი იყვნენ ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილნი მათ შორის, ვინც პლატეაში იბრძოდა.

72. კალიკრატესი კი უბრძოლველად მოკვდა; ის ულამაზესი კაცი იყო მაშინდელ ელინთა ბანაკში, არა მარტო საკუთრივ ლაკედემონელთა შორის, არამედ სხვა ელინთა შორისაც. როდესაც პავსანიესი მსხვერპლს სწირავდა, კალიკრატესი იჯდა და თავის მწყობრში, მოხვდა გვერდში ისარი და დაიჭრა. როდესაც სხვები იბრძოდნენ, იგი მზიმე სიკვდილით კვდებოდა და უთხრა არიმნესტოს პლატეელს, რომ იგი იმას კი არ სწუხს, რომ ელადისათვის კვდება, არამედ იმას, რომ ხელიც კი არ გაუნძრევია ბრძოლაში და მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, ღირსეული არაფერი ჩაუდენია.

73. ამბობენ, რომ ათენელთა შორის გამოირჩა სოფანეს ევტიქიდესის ძე, დეკელეის დემიდან, იმ დეკელეელთაგანი, რომელთაც, როგორც თვითონ ათენელები ამბობენ, ყველა დროისათვის სასარგებლო საქმე ჰქონდათ გაკეთებული, როდესაც ძველად ტინდარიდები ელენეს დასაბრუნებლად დიდძალი ჯარი თ შეიჭრნენ ატიკის ქვეყანაში და აჰყარეს სოფლები (რადგან არ იცოდნენ, თუ სად იმალებოდა ელენე), მაშინ, ამბობენ, დეკელეელებმა, თუ თვითონ დეკელოსმა, შეურაცხყოფილმა თესევსის სითავხედით და შეშინებულმა მთელი ათეთ ნელთა ქვეყნის გამო, უამბო მათ, თუ როგორ იყო საქმე და წაიყვანა აფიდნეში, რომელიც ტიტაკოსმა, ადგილობრივმა მცხოვრებმა, გადასცა ტინდარიდებს. ამ საქმის გამო მას შემდეგ

მუდამ, დღევანდელამდე დეკლემები სპარტეში ხარკს არაფერზე არ იხდიან და იქ წინა საპატიო ადგილებიც აქვთ დათმობილი. ისე რომ, თვით იმ ომის დროსაც კი, რომელიც ამ ამბების მერე მრავალი წლის შემდეგ მოხდა ათენელებსა და პელოპონესელებს შორის, როდესაც ლაკედემონელები აჩანაგებდნენ მთელ ატიკას, დეკლემას ხელს არ ახლებდნენ.

74. აი, ამ დემიდან იყო სოფანესი, რომელმაც მაშინ ათენელთა შორის თავი გამოიჩინა ვაჟკაცობით და რომლის შესახებაც ამბავს ორნაირად მოგვითხრობენ. ერთი ამბის მიხედვით იგი აბჯრის სარტყელთან ატარებდა სპილენძის ჯაჭვით მიმაგრებულ რკინის ღუზას; ეს იმისათვის, რომ როგორც კი მიუახლოვდებოდა მტერს, ისროდა ღუზას, რათა თავდამსხვმელ მტერს არ შესძლებოდა მისი მწყობრიდან დაძვრა; ხოლო მტრის გაქცევისას კი ის ღუზას ამოადრობდა და ისე დაედევნებოდა. ერთ ამბავს ასე მოგვითხრობენ; ხოლო მეორე ამბავი, რომელიც პირველისაგან განსხვავდება, შემდეგს გადმოგვცემს: მას აბჯარზე კი არ ეკიდა რკინის ღუზა, არამედ ღუზის გამოსახულება ჰქონდა ფარზე, რომელიც მუდმივად ტრიალებდა და არასოდეს ჩერდებოდა.

75. სოფანესმა კიდევ მეორე ბრწყინვალე საქმე მოიმოქმედა: როდესაც ათენელებმა ადგინას ალყა შემოარტყეს, მან გამოიწვია ევრიბატს არგოსელი. ხუთჭიღში გამარჯვებული კაცი და მოჰკლა იგი. ამის მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ მოხდა ისე, რომ თვითონ სოფანესი, ვაჟკაცი კაცი, ათენელებს რომ მხედართმთავრობდა ლეაგროს გლავკონის ძესთან ერთად, მოკლული იქნა ჰედონების ხელით დაპონში, როდესაც იბრძოდა ოქროს საბადოებისათვის.

76. როდესაც ელინებმა გაანადგურეს ბარბაროსები პლატეაში, მათთან მოვიდა მტრის ბანაკიდან გამოქცეული ქალი. ის იყო სპარსელი ვაჟკაცის, ფარანდატეს ტეასპისის ძის ხარჭა. როდესაც მან შეიტყო, სპარსელები დაწყდნენ და ელინებმა გაიმარჯვესო, თვითონ და მისი მხევლები მოკაზმულნი ოქროულობითა და უმშვენიერესი ტანსაცმლით, რაც კი გააჩნდათ, ჩამოვიდნენ ეტლიდან და გაემართნენ ლაკედემონელებისაკენ, რომლებიც ჯერ კიდევ ხოცვა-ჟლეტაში იყვნენ. მან დაიანხა, რომ ყველაფერს განაგებს პავსანიესი, რომლის სახელი და გვარიშვილობა უწინაც იცოდა, რადგან მრავალგზის გაეგონა; იცნო პავსანიესი, შემოეხვია მუხლებზე და უთხრა: „სპარტის მეფეო, მიხსენ მე, მავედრებელი, ტყვეობაში მონობისაგან. შენ ხომ მე უკვე იმით მიყიდე, რომ ამოხოცე ეს ხალხი, რომელთაც არც დემონების პათივისცემა აქვთ და არც ღმერთებისა. მე წარმოშობით კოსელი ვარ, ჰეგეტორიდის ანტაგორესის ძის ასული. სპარსელმა ძალით წამომიყვანა კოსიდან და ძალით ვყავდი თავისთან. პავსანიესმა მიუგო: „ქალო, გამხნევდი, იმიტომაც, რომ მევედრები და უფრო იმიტომ, თუ მართალს ლაპარაკობ და ჰეგეტორიდს კოსელის ასული ხარ. ის ჩემი საუკეთესო მეგობარია იმ მხარეთა ყველა მცხოვრებს შორის“. ეს თქვა და ჩააბარა ქალი იქ მყოფ ეფოროსებს. შემდეგ კი გაგზავნა ადგინაზე, სადაც თვით ქალმა მოინდომა წასვლა.

77. ამ ქალის მოსვლის შემდეგ მალე მოვიდნენ მანტინეელები, მაგრამ მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე მოთავებული იყო. როდესაც შეიტყვეს, რომ ისინი დაგვიანებით მოვიდნენ ბრძოლისათვის, ძალიან შეწუხდნენ და თვითონვე თქვეს, რომ ღირსნი არიან სასჯელისა. როდესაც შეიტყვეს, რომ არტაბადოსთან ერთად მყოფი მიდიელები

გაქცეულან, მისდიეს მათ თესალიამდე, თუმცა ლაკედემონელებმა არ მისცეს ნება გაქცეულების დადევნებისა. ხოლო თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ გააძევეს ქვეყნიდან თავისი ლაშქრის წინამძღოლები. მანტინეელებს შემდეგ მოვიდნენ ელეელები და მანტინეელებისა არ იყოს, ისინიც ძალიან შეწუხდნენ და უკან გაბრუნდნენ. წასულებმა მათაც გააძევეს ლაშქრის წინამძღოლები თავისი სამშობლოდან. ესაა, რაც ეხება მანტინეელებსა და ელეელებს.

78. პლატეაში, აფინელთა ბანაკში იმყოფებოდა ლამპონი, პითეესის ძე. აფინელთა ერთ-ერთი თავკაცთაგანი. იგი პავსანიესკენ გაემართა ყოვლად უწმინდური წინადადებით. მივიდა მასთან სასწრაფოდ და უთხრა შემდეგი: „კლეობროტოსის ძეო, შენ ჩაიღინე უბრწყინვალესი სიდიდისა და სიმშვენიერის საქმე. ღმერთმა მოგანიჭა შენ ელაედის ხსნა და შენ მოიხვეჭე უდიდესი სახელი ყველა ელინს შორის, რომელთაც კი ჩვენ ვიცნობთ. მაგრამ შენ ამიერიდან ამას გარდა გმართებს კიდევ უფრო დიდი სახელის მოხვეჭა, რომ შემდეგში ყოველი ბარბაროსთაგანი მოერიდოს და ვერ გაბედოს ელინთა მიმართ უკეთური საქმის ჩადენა. რადგან, როდესაც ლეონიდესი მოკვდა თერმოპილეში, მარდონიოსმა და ქსერქსემამოკვდეთეს მას თავი და ჯვარს აცვეს. თუ შენ მას მსგავსსვე მიუზღავ, დიდ ხოტბას დაიმსაუხრებ ჯერ ყველა სპარტელთაგან და შემდეგ ყველა დანარჩენ ელინთაგან, რადგან მარდონიოსის სარზე ჩამოცმით შურს იძიებ შენი ბიძის, ლეონიდესისათვის“. ლამპონს ეგონა ამით ასიამოვნებდა პავსანიესს. მან კი შემდეგი მიუგო:

79. „ძვირფასო აფინელო, მე აღტაცებული ვარ შენი კეთილი განწყობითა და წინდახედულებით, მაგრამ კეთილი რჩევისაგან ძალიან შორსა ხერ. შენ ამამალლე მე, ჩემი წარმოშობა, ჩემი საქმიანობა, მაგრამ ძირს მცემ არარაობამდე იმით, რომ მირჩევ შევურაცხვეო გვამი და თუკი ამას ვიზამ, ამბობ, რომ კიდევ უკეთესი სახელი მექნება. ამის გაკეთება ბარბაროსებს უფრო შემშვენიით, ვიდრე ელინებს და ბარბაროსების ეს საქციელი ხომ გვძულს ჩვენ კიდევაც. ამრიგად მე არც აფინელების სიამოვნება მინდა და არც იმათი, ვისაც ასეთი რამეები მოსწონს. ჩემთვის საკმარისია, რომ ვასიამოვნებ სპარტელებს ჩემი ღვთისმოსავი საქმით და ღვთისმოსავი სიტყვით, ხოლო რაც შეეხება ლეონიდესს, მე მწამს, რომ მისი მაგიერი უკვე მიეზღოთ სპარსელებს, მე ვამბობ, რომ მაგრად მიეზღოთ, რადგან მთრების აურაცხელმა სულმა გააპატიოსნა თვითონ ისინიც და სხვებიც, ვინც თერმოპილეში დაიღუპნენ. შენ კი ნულარასოდეს მომმართავ ასეთი წინადადებით და ნურც ასეთ რჩევას მომცემ, წადი და გიხაროდეს, რომ უვნებლად გადამირჩი“. ლამპონმა მოისმინა და გაბრუნდა.

80. ხოლო პავსანიესმა გამოაცხადა, არავინ მიჰკარებოდა ნადავლს და უბრძანა ჰელოტებს, ქონებისათვის ერთად მოეყარათ თავი. ჰელოტები მოედვნენ მთელს ბანაკს და იპოვეს ოქროთი და ვერცხლით შემკობილი კარვები, მოოქრული და მოვერცხლილი საწოლები, ოქროს კრატერები, ფიალები და სხვა სასმისები. ეტლებზე იპოვეს ტომრები, რომლებშიც აღმოჩნდა ოქროსი და ვერცხლის ტაშტები. გვამებს ახსნეს ოქროს სამაჯურები, ყელსაბამები და ხანჯლები, ხოლო ჭრელი ტანსაცმლისათვის არავის მიუქცევია ყურდღება. მაშინ ჰელოტები ბევრს იპარავდნენ და ჰყიდდნენ აფინელებზე, მაგრამ ისინი, ვინც ვერ ახერხებდნენ დამალვას, ბევრსაც აჩენდნენ, ისე რომ აფინელთ დიდი ქონების სათავე აქედან მოდის. ისინი ხომ ჰელოტთაგან ოქროს სპილენძის ფასად ყიდულობდნენ.

81. ელინებმა ნადავლი რომ შეაგროვეს, მეთადი დელფოს ღვთაებისათვის გამოყვეს. აქედან გაკეთდა ოქროს სამფეხი, რომელიც დგას სამთავა სპილენძის გველზე, იქვე საკურთხველის მახლობლად, მეთადი გამოუყვეს ოლიმპიის ღვთაებას. ამ მეთადით ზევსს აღუმართეს ათწერთიანი სპილენძის ქანდაკება, მეთადი კიდევ ისთმოსის ღვთაებას განუკუთვნეს, საიდანაც გააკეთეს 7 წყრთის სიმაღლის ქანდაკება პოსედონისა. ეს რომ გამოყვეს, დანარჩენი გაინაწილეს და თითოეულმა მიიღო თავისი ღირსების მიხედვით. ეს იყო: სპარსელი ხარჭები, ოქრო, ვერცხლი და სხვა ქონება და სახედრები. იმის შესახებ არაფერს ამბობენ, თუ რამდენი მიიღეს იმათ, ვინც საგანგებოდ ისახელა თავი ვაჟკაცობით პლატეაში. მე კი ვფიქრობ, რომ მათთვისაც იქნებოდა განსაკუთრებული საბოძვარი. პავსანიესისთვის კი ყველაფერი ათმაგად გამოყვეს და ისე მისცეს: ქალები, ცხენები, ეტლები, აქლემები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ქონება.

82. ამბობენ, რომ ასეთი რამეც მომხდარა: როდესაც ქსერქსესი გაიქცა ელადიდან, მარდონიოსს დაუტოვა თავისი კარავი, პავსანიესმა რომ დაინახა მარდონიოსის კარავი ოქროთი, ვერცხლით და ფერად-ფერადი საფენებით მორთული, უბრძანა პურისმცხოვლებს და მზარეულებს, მისთვისაც ისეთივე სადილი მოემზადებინათ, როგორსაც უმზადებდნენ მარდონიოსს. მათ რაკილა ებრძანა, დაიწყეს კეთება; მაშინ პავსანიესმა შენიშნა შესანიშნავად მოფენილი ოქროს და ვერცხლის საწოლები, ოქროსა და ვერცხლის ტაბლები, სადილისათვის უბრწყინვალესი სამზადისი და განცვიფრდა იმ ფუფუნებით, რაც მის წინ იყო. მაშინ უბრძანა თავის მსახურებს, სახუმაროდ მოემზადებინათ ლაკონიკური სადილი. როდესაც სადილი მომზადდა და განსხვავება მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა, პავსანიესმა იცინა და მოიწვია ელინთა მხედართმთავრები. როდესაც ესენი შეგროვდნენ, პავსანიესმა მიუთითა ერთი სადილის სამზადისზედაც და მეორეზედაც და თქვა: „ელინებო, მე იმისათვის შეგყარეთ, რომ მინდა გაჩვენოთ მიდიელი ბელადის უგუნურება, რომელსაც ასეთი ცხოვრება ჰქონდა და მაინც წამოვიდა ჩვენს წინააღმდეგ იმისათვის, რომ წაერთმია ის საცოდავი ქონება, რაც მოგვეპოვებოდა“. ამბობენ ეს უთხრა პავსანიესმა ელინთა მხედართმთავრებსო.

83. ამის შემდეგ პლატელები ერთხანს კიდევ ხშირად პოულობდნენ ოქროთი, ვერცხლითა და სხვა ძვირფასეულობით სავსე ყუთებს. შემდეგში კიდევ ასეთი რამეც გამოჩნდა: როდესაც გვამებს ხორცი დასცვივდათ (პლატელებმა ძველები ერთ ადგილას მიზიდეს), აღმოჩნდა თავი, რომელსაც არც ერთი ნაკერი არ ჰქონდა და ერთი მთლიანი ძვლისაგან იყო. აღმოჩნდება ყბაც, ყბის ზედა ნაწილი, რომელსაც კბილები ერთიანად ჰქონდა ამოსული; ერთი ძვლისაგან იყო ყველა, როგორც წინა კბილები, ასევე ძირის კბილებიც. აღმოჩნდა აგრეთვე ხუთი წყრთის სიმაღლე კაცის ძვლები.

84. მარდონიოსის გვამი მეორე დღეს გაქრა და მე არ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, თუ ვინ გააქრო იგი. ისე კი ბევრი ვიღაცეებისა და სხვადასხვა მხარის მცხოვრებთა შესახებ მოვისმინე, თითქოს მათ დამარხეს მარდონიოსი და ვიცი, რომ ამ საქმისათვის ბევრმა არტონტესისაგან, მარდონიოსის ძისაგან დიდი საბოძვარი მიიღო. მაგრამ რომელმა მათგანმა მოიტაცა და დამარხა მარდონიოსის გვამი, ვერ შევძელი ამის დანამდვილებით შეტყობა. არის ასეთი ხმაც, რომ მარდონიოსი დიონისოფანესმა, ეფესელმა დამარხა. ის ამგვარად იქნა დამარხული:

85. პლატეაში ნადავლი რომ დაინაწილეს, ელინებმა თავისი მკვდრები დამარხეს, ყველამ ცალ-ცალკე. ლაკედემონელებმა გააკეთეს სამი საფლავი: რთში ირენები¹ დამარხეს. მათ შორის იყვნენ პოსედონიოსი, ამომფარეტოსი, ფილოკიონი და კალიკრტისი. ისე რომ, ერთში ამ საფლავთაგან დაიმარხნენ ირენები, მეორეში ყველა სხვა სპარტელი, ხოლო მესამეში ჰედილოტები². ამათ ასე დამარხეს. ტეგეელები თავისი მკვდრები ყველანი ერთად დამარხეს, მხოლოდ სხვებისაგან განცალკევებით. ათენელებმაც თავისი მიცვალებულები ერთად დამარხეს, ხოლო მეგარელებმა და ფლეიუსელებმა დამარხეს ისინი, ვინც ამოწყვიტა მტრის ცხენოსანთა ჯარმა. საფლავები სახსე იყო ყველა ამათი გვამებით. რაც შეეხება სხვებს, იმათი საფლავებიც არის პლატეაში. ამათ, როგორც ჩანს, შერცხვათ, რომ ამ ბრძოლაში არ მიიღეს მონაწილეობა და თითოეულმა ცარიელი მიწაყრილი გააკეთა თავისი მემკვიდრე თაობებისათვის. მართლაც, იქ არის ეგრეთ წოდებული აფგინელთა საფლავი, რომელიც მიწაყრილს წარმოადგენს და როგორც მითხრეს, ამ ამბებიდან ათი წლის შემდეგ აფგინელთა თხოვნით გუაკეთებია ის პლატეელ კლეადესს, ავტოდოკოსის ძეს, აფგინელთა მაშინდელ პროქსენოსს.

86. ელინებმა როგორც კი დამარხეს პლატეაში თავისი მიცვალებულები, მაშინვე ითათბირეს და გადაწყვიტეს გაელაშქრათ თებეს წინააღმდეგ და გამოეთხოვათ მათგან მიდიელთა მომხრეები, უპირველეს ყოვლისა ტიმეგენიდესი და ატაგინოსი, რომლებიც თებელ თავკაცთა შორისაც კი პირველები იყვნენ. თუ თებელები მათ არ მისცემდნენ, ელინები ქალაქს მანამდე არ მოეშვებოდნენ, სანამ არ იღებდნენ. მათ ასე გადაწყვიტეს და ბრძოლის შემდეგ მეთერთმეტე დღეს მიადგნენ თებეს, ალყა შემოარტყეს თებელებს და მოითხოვდნენ მათგან ეს კაცები მიეცათ. რაკილა თებელებმა არ მოინდომეს ამ კაცების მიცემა, ელინებმა დაიწყეს მათი ქვეყნის გაჩანაგება და იერიშის მიტანა ქალაქის ზღუდეზე.

87. რადგან ელინები არ წყვეტდნენ იქაურობის გაჩანაგებას, ტიმეგენიდესმა მეოცე დღეს თებელებს შემდეგი უთხრა: „თებელებო, რადგანაც ელინებს ასე გადაუწყვეტიათ, რომ ალყას მანამდე არ მოხსნიან, ვიდრე არ აიღებენ თებეს, ანდა ვიდრე თქვენ არ მისცემთ მათ ჩვენ თავებს, ნულარ დაზიანდება ამაზე მეტაც ჩვენი გულისათვის ბეოტიის ქვეყანა. თუ ისინი ჩვენს გაცემას იმიზეზებენ და სინამდვილეში კი ფული უნდათ, მივცემთ მათ სახელმწიფო ფული (რადგან მიდიელთა მომხრეები მართო ჩვენ ხომ არ ვიყავით, სახელმწიფოსთან ერთად ვმოქმედებდით), ხოლო თუ ისინი ალყას იმიტომ გვარტყამენ, რომ მართლა ვუნდივართ, მაშინ ჩვენ თვითონ წავალთ და ვაგებთ მათ წინაშე პასუხს“. თებელებმა გადაწყვიტეს, რომ ის კარგად ლაპარაკობს, რომ მისი ნათქვამი დროულია და მაშინვე ამცნეს პავსანიესს, რომ თებელებს უნდათ ამ კაცების გადაცემა.

88. როდესაც ორივე მხარე მოგროვდა, ატაგინოსი გაიქცა ქალაქიდან, მისი ბავშვები რომ მიიყვანეს პავსანიესთან, მან ისინი დანაშაულისაგან გაათავისუფლა და თქვა, რომ შვილებს ბრალი არ მიუძღვით მიდიელთა მიმართ მამის სიმპათიებში. ხოლო რაც შეეხება სხვა ვაჟკაცებს, რომლებიც გადასცეს ელინებს თებელებმა, ისინი ფიქრობდნენ რომ თავისმართლების საშუალება ექნებოდათ და სასჯელს ფულებით აიცდენდნენ თვიდან. მაგრამ როგორც კი იგდო ისინი ხელთ პავსანიესმა, რახან

მიუხვდა თუ რისი იმედით იყვნენ, მოკავშირეთა მთელი ლაშქარი გაუშვა, ეს კაცები კი წაიყვანა კორინთოში და იქ დაახოცინა. აი, ეს ამბები მოხდა პლატეას და თებეში.

89. ხოლო არტაბადოსი, ფარნაკესის ძე, რომელიც პლატიდან გაიქცა, უკვე კარგა შორის იმყოფებოდა: თესალიელებთან რომ მივიდა, მათ ის სტუმრად დაპატიჟეს და ეკითხებოდნენ დანარჩენი ლაშქრის ამბავს, რადგან არაფერი იცოდნენ იმაზე, რაც მოხდა პლატეაში. არტაბადოსმა იცოდა, რომ თუ ის სრულ ჭეშმარიტებას იტყოდა ბრძოლების შესახებ, თვითონაც დალუპვა მოელოდა და მის ჯარსაც (რადგან ყოველი კაცი დაესხმოდა მათ თავს, თუ კი შეიტყობდა იმას, რაც მოხდა). ასე იფიქრა არტაბადოსმა და ფოკეელებს არაფერი უთხრა, ხოლო თესალიელებს უთხრა შემდეგი: „თესალიელებო, როგორც ხედავთ, მეჩქარება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივიდე თრაკიაში და ვჩქარობ იმიტომ, რომ ჩემი ბანაკიდან გამომგზავნეს ამ კაცებთან ერთად გარკვეული საქმის გამო. თვითვე მარდონიოსი და მისი ლაშქარი მე ფეხდაფეხ მომდევს და თქვენ უნდა მათ დაელოდოთ. მას უმასპინძლეთ და კარგი საქმეები უჩვენეთ. ასე თუ მოიქცევით, არასოდეს ინანებთ“. ეს თქვა და სასწრაფოდ წაიყვანა ლაშქარი თესალიისა და მაკედონიის გავლით პირდაპირ თრაკიაში, თითქოს მართლაც ეჩქარებოდა და ზედ შუა ქვეყანაზე გადაჭრა გზა. ასე მიაღწია ბიძატიონს, მაგრამ თავისი ჯარიდან ბლომად ხალხი დაეკარგა: ზოგი თრაკიელებმა აკუწეს გზაზე, ზოგსაც შიმშილმა და დაღლილობამ მოულო ბოლო. ბიძანტიონიდან ხომალდებით გადავიდა, ასე დაბრუნდა ის აზიაში.

90. იმავე დღეს, როდესაც სპარსელებმა პლატეაში განიცადეს მარცხი, მოხდა ისე, რომ იონის მიკალემიც დამარცხდნენ. როდესაც დელოსთან იცდიდნენ ელინები, მათთან, ვინც ლევტიქიდესმა ხომალდებით მოიყვანა ლაკედემონელებთან, სამოსიდან მოციქულებად მოვიდნენ ლამპონი, თრასიკლეესის ძე, ათენაგორესი, არქესტრატიდესის ძე და ჰეგესისტრატოსი, არისტაგორესის ძე. ისინი სპარსელთა და მათ მიერ დაყენებული თავისი ტირანის, თეომესტორ ანდროდამასის მისაგან ჩუმიად გამოეგზავნათ სამოსელებს. როდესაც ისინი მოვიდნენ მხედართმთავრებთან, ჰეგესისტრატოსმა ილპარაკა ბევრი და ყოველმხრივ დასაბუთებლად, რომ იონიელებმა ოღონდ კი დაინახონ ელინები და მშინვე გადაუდგებიან სპარსელებს და რომ მაშინ აღარც ბარბაროსები გაჩერდებიან, ხოლო თუ კი ბარბაროსებმა მოიცადეს, ელინები მეორე ამისთანა ნადავლს სხვას ვერ მოიპოვებენ. სერთო ღმერთებს მოუწოდებენ ჰეგესისტრატოსი და აქეზებდა მათ, რომ ეხსნათ ელინები მონობსიდან და გაემევებინათ ბარბაროსი. ის ამბობდა, რომ ამითვის ადვილია ამის გაკეთება, რადგან ბარბაროსთა ხომალდები ცუდად ცურავენ და ვერ გაუძლებენ ბრძოლაში ელინთა ხომალდებს. ხოლო თუკი ელინებს ეჭვი ეპარებათ მოციქულებში და ფიქრობენ, რომ მათ ეშმაკობით უნდათ ელინთა შეტყუება, მოციქულები მზად არიან, გაჰყვნენ ელინთა ხომალდებს, როგორც მძევლები.

91. სამოსელი სტუმარი ასე დაჟინებით რომ იხვეწებოდა, ლევტიქიდესი შეეკითხა მას, ან რაიმე მინიშნების შესათყობად ან არა და შემთხვევით, ღვთის განგების შთაგონებით: „ძვირფასო სამოსელო, რა გქვია? „მან უპასუხა: „ჰეგესისტრატოსი“. ამაზე შეაწყვეტინა სიტყვა ლევტიქიდესმა, რადგან ჰეგესის ჰეგესისტრატოსი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა და უთხრა: „მე ჯარის წინამძღოლის მინიშნებას ვიღებ, ძვირფასო სამოსელო. მაგრამ ვიდრე გადაგვიცურავს, ასეთი რამ გაგვიკეთე შენ და

მათ, ვინც შენთან ერთად არიან: მოგვეცით იმის საბუთი, რომ სამოსელები მართლაც ჩვენი გულითადი მოკავსირეები იქნებიან“. ეს სთქვა და ამას მაშინვე საქმე მოჰყვა.

92. სამოსელებმა მაშინვე მისცეს რწმუნება და დადეს ფიცი ელინებთან მოკავშირეობისა. ეს გააკეთეს და გაცურს სამოსელებმა, ხოლო ლევტიქიდესმა ბრძანა, მათთან ერთად წასულიყო ჰეგესისტრატოსიც, რადგან მისი სახელი მინიშნებად ჰქონდა მიღებული. ელინებმა ის დღე მოიცადეს, ხოლო მეორე დღეს მსხვერპლშეწირვამ კეთილი შედეგი გამოიღო: მისნობდა დეფფონოსი, აპოლონიის მოქალაქის ევენოსის ძე, ხოლო ეს აპოლონია არის იონიის უბეში. მის მამს, ევენოსს კი ასეთი საქმე შეემთხვა.

93. ამ აპოლონიაში არიან მზისადმი განკუთვნილი წმინდა ცხვრები, რომლებიც დღისით სძოვენ ლაკმონის მთიდან გამოსული მდინარის ნაპირას; ეს მდინარე მიედინება აპოლონიის ქვეყანაზე და ერთვის ზღვას ნავსადგურ ორიკოსთან, ხოლო ღამლამობით კი - მოქალაქეთა შორის სიმდიდრითა და გვარიშვილობით გამორჩეული კაცები მწყსიან მათ და თითოეული მათგანი ამ საქმიანბას ეწევა ერთ წელიწადს. აპოლონიის მოქალაქეები ამას დიდი თავგამოდებით აკეთებენ რაღაც ღვთის განგებით შთაგონებული. ღამეს ათევენ გამოქვაბულში, რომელიც ქალაქიდან შორსაა. ერთხალაც, არჩევით ცხვრებს ეს ევენოსი სდარაჯობდა. მოხდა ისე, რომ დარაჯობისას დაეძინა, გამოქვაბულში მოვიდნენ მგლები და დაახლოებით 60 ცხვარი გაწყვიტეს. მან ეს შეამჩნია, მაგრამ აგჩუმდა და არავის უთხრა, თანაც გუნებაში ჰქონდა სხვები ეყიდა და იმით შეეცვალა დახოცილი ცხვრები. მაგრამ ეს ამბავი არ დაიმალა აპოლონიელთაგან. როგორც კი აპოლონიელებმა ეს შეიტყვეს, წაიყვანეს ევენოსი სასამართლოში პასუხისსაგებად, და რაგან მან დარაჯობისას დაიძინა, თვალების დათრა მიუსაჯეს. მაგრამ ევენოსი რომ დააბრმავეს, ამის მერე აღარც ცხვრები იგებდნენ ბატკნებს და აღარც მიწა იძლეოდა ნაყოფს. როდესაც აპოლონიელები წინასწარმეტყველებს ეკითხებოდნენ თავს დატეხილი უბედურების მიზეზს, დოდონესა და დელფოში ისინი ასეთ წინასწარმეტყველებას ღებულობდნენ: მათ ეუბნებოდნენ, რომ ამის მიზეზია წმინდა ცხვრების დარაჯისათვის, ევენოსისათვის თვალისჩინის უსამართლოდ წართმევა; რომ თვითონ ღმერთებმა გააგზავნეს იქ მგლები და ისინი არ შეწყვეტენ აპოლონიელების მიმართ შურისძიებას მანამდე, სანამ ესენი არ უზღავენ ევენოსს მის მამართ ჩადენილი საქმისათვის იმით, რასაც თვითონ ევენოსი აირჩევს და სამართლიანად მიიჩნევს. ამის შემდეგ თვითონ ღმერთები მისცემენ ევენოსს იმისთანა ნიჭს, რომ ბევრნი მიიჩნევენ მას ადამიანთა შორის უბედნიერეს კაცად.

94. ასეთი იყო მისნობა, რომელიც მათ მიიღეს, მაგრამ აპოლონიელებმა საიდუმლოდ შეინახეს მისნობა და დაავალეს მოქალაქეთა შორის რამდენიმე კაცს მისი შესრულება. მათ კი ეს ასე შეასრულეს: ერთხელ, როდესაც ევენოსი სკამზე იჯდა, მივიდნენ და გვერდით მიუსხდნენ. ლაპარაკი გაუბეს სხვადასხვა ამბებზე და ბოლოს მივიდნენ იქამდეც, რომ თანაუგრძნეს მის უბედურებაში. ამით ნელ-ნელა ჩაითრიეს საუბარში და შეეკითხნენ, რა საზღაოს მოისურვებდა იგი, თუკი აპოლონიელები მოინდომებდნენ მისთვის იმის ანაზღაურებას, რაც მის მიმართ ჩაიდინეს. რაკილა მას მისნობის შესახებ არაფერი ჰქონდა გაგონილი, ამიტომ შემდეგი ამოირჩია და თქვა, თუ მისცემენ იმათ ყანებს (თან დაასახელა ორი მოქალაქე, რომელთა შესახებაც იცოდა, რომ მათ საუკეთესო ნაკვეთები ჰქონდათ წილხვდენილი აპოლონიის მთელ

მიწებს შორის) და ამას გარდა იმ სახლს (რომელიც იცოდა, რომ უმშვენიერესი იყო მთელ ქალაქში), აი, თუ ის ყოველივე ამის მფლობელი გახდება, მან თქვა, რომ მომავლისათვის ბოლმას გულიდან ამოიგდეს და საზღაურს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. ევენოსმა ასე ილაპარაკა, ხოლო მასთან მსხდომებმა შემდეგი უპასუხეს: „ევენოს, აპოლონიელები შენი დაბრმავებისათვის გაიღებენ ასეთ საზღაურს ღვთისგანგების თანახმად“. ამის მერე ევენოსმა შეიტყო, როგორც იყო საქმე და რომ ის მოტყუებულია და ძალიან გაჯავრდა. ხოლო აპოლონიელებმა იყიდეს მათი მფლობელებისაგან, რაც მან ამოირჩია და მისცეს, ამის მერე მაშინვე მიენიჭა მას მისნობის უნარი, რითაც ის სახელოვანი გახდა.

95. აი, ამ ევენოსის შვილი იყო დედფონოსი, რომელიც კორინთელებმა მოიყვანეს თან და ის იყო, რომ მისნობდა ელინთა ლაშქრისათვის. თუმცა მე ისიც გამიგონია, რომ დედფონოსმა მიითვისა ევენოსის სახელი ისე, რომ სულაც არ იყო ევენოსის შვილი და თავისი ამ საქმიანობით მთელს ელადაში გაიჩინა შემოსავალი.

96. ელინებმა რომ მსხვერპლშეწირვებით კეთილი მინიშნება მიიღეს, დელოსიდან სამოსისაკენ წაიყვანეს ხომალდები. როდესაც ისინი სამოსის კალამოსთან იმყოფებოდნენ, ღუზა ჩაუშვეს ჰერას სალოცავთან და ამ ადგილას გაემზადნენ საზღვაო ბრძოლისათვის. სპარსელებმა შეიტყვეს, რომ ისინი მოვიდნენ და თვითონაც წაიყვანეს ხმელეთისაკენ თავისი ყველა ხომალდი, მხოლოდ ფინიკიელთა ხომალდები გაუშვეს, რომ წასულიყვნენ. ეს იმიტომ, რომ თათბირზე გადაწყვიტეს ელინებისათვის საზღვაო ბრზოლა არ გაემართათ, რადგან თავიანთი თავი მათ თანაბრად არ მიაჩნდათ. ხოლო ხმელეთისაკენ იმიტომ გაცურეს, რომ თავისი ქვეითი ჯარის მფარველობის იმედი ჰქონოდათ, ჯარისა, რომელიც მიკალეში იდგა და რომელიც ქსერქსესის განკარგულების თანახმად ჩამორჩა დანარჩენ ლაშქარს იონიის დასაცავად. რაოდენობა ამ ჯარისა იყო 60000 და მას მხედართმთავრობდა ტიგრანესი, რომელიც სილამაზითა და ახოვანებით აღემატებოდა ყველა სხვა სპარსელს. აი, ამ ჯარის მფარველობაში ყოფნა გადაწყვიტეს საზღვაო ფლოტის მხედართმთავრებმა, ასევე ხომალდების ზღვიდან ნაპირზე გამოთრევა და ირგვლივ ზღუდის გაკეთება, რომელიც ხომალდებსაც დაიცავდა და თვით მათთვისაც თავშესაფარი იქნებოდა.

97. ეს გადაწყვიტეს და გაემართნენ კიდევაც. როდესაც მიკალეს დედულფალთა სალოცავის გავლით მიაღწიეს გადსონსა და სკოლოპოედსს, სადაც ელევისინის დემეტრეს სალოცავია, ფილისტოს პასიკლეესის ძის აგებული (როდესაც ის ნედევეს კოდროსი ძესთან ერთად მილეტის დასაფუძლებლად წავიდა), მაშინ სპარსელებმა ხმელეთზე გამოათრიეს ხომალდები და ირგვლივ ზღუდე გაიკეთეს ქვისა და ხისაგან, რისთვისაც ბალებში ხეები გაჩეხეს, ხოლო ზღუდის ირგვლივ სარები დაარქვეს. ასე მოემზადნენ ისინი, თითქოს ალყაშემორტყმულები იყვნენ და მომავალში გამარჯვების იმედი ჰქონდათ, რადგან, როდესაც ემზადებოდნენ, ორივე შესაძლებლობას ითვალისწინებდნენ.

98. როდესაც ელინებმა შეიტყვეს, რომ ბარბაროსები ხმელეთისაკენ წავიდნენ, შეწუხდნენ მათი გაქცევით და არ იცოდნენ, რა ექნათ, უკან გაბრუნებულიყვნენ, თუ ჰელესპონტისკენ გაეცურათ. ბოლოს, გადაწყვიტეს ერთისგანაც თავი შეეკავებინათ და მეორისგანაც და ხმელეთისაკენ გაეცურათ. მათ მოამზადეს საზღვაო ბრძოლისათვის თოკის კიბეები და ყველაფერი სხვა, რაც კი იყო საჭირო ამისათვის

და გაცურს მიკალესკენ. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ მტრის ბანაკს, ვერავინ შენიშნეს მათ წინააღმდეგ გამოსული, ის კი არა, დაინახეს, ხმელეთზე გამოთრეული და ზღუდის შიგნით მოქცეული ხომალდები და მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარი სანაპიროზე ჩამომწვრივებული. მაშინ პირველმა ლევტიქიდესმა ჩაიარა მათ გასწვრივ თავისი ხომალდით, მიცურდა ნაპირთა რაც შეიძლება ახლოს და იონიელებს მაცნეს პირით შემდეგი გამოუცხადა: „იონიელებო, თქვენგან ვისაც კი შეუძლია რომ გაიგონოს, შეისმინეთ, რასაც გეუბნებით: სპარსელები ხომ სრულიად ვერაფერს გაიგებენ იმისას, რაც მინდა შემოგთავაზოთ. როდესაც ერთმანეთში შევებრძოლებით, თითოეულს, უპირველს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს თავისუფლება და შემდეგი პირობით ნიშანი - ჰერა, და ვინც თქვენს შორის ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამი, იმან იმისგან შეიტყოს, ვინც მოისმინა“. ამ ნათქვამს იგივე აზრი ჰქონდა, რაც თემისტოკლეესის გამოსვლას არტემისიონში: ამ ნათქვამს ვერ შეიტყობდნენ ბარბაროსები და შესაძლებელი იყო მას იონიელები გადმოეხირობინა, ან არა და ის მოხსენებოდათ ბარბაროსებს და ისინი იონიელებს უნდობლად დაუწყებდნენ ცქერას.

99. მას მერე, რაც ლევტიქიდესმა ასე მიმართა იონიელებს, ელინები შემდეგნაირად მოიქცნენ. მიაყენეს ხომალდები სანაპიროს, გადმოვიდნენ ნაპირებზე და დაირაზმნენ. სპარსელებმა რომ დაინახეს, ელინები ბრძოლისათვის ემზადებოდნენ და იონიელებს იბირებდნენ, დაეჭვდნენ იმაში, რომ სამოსელები ელინთა მხარეზე იყვნენ და მათ იარაღი ჩამოართვეს. საქმე ისაა, რომ როდესაც ბარბაროსთა ხომალდებით მოვიდნენ ათენელი ტყვეები (ის ათენელები, რომლებიც ატიკაში იყვნენ დარჩენილი და ქსერქსესის ჯარმა იგდო ხელთ), სამოსელებმა აი, ესენი, ყველანი, გაათავისუფლეს და უკან გაგზავნეს ათენში, თანაც საგზლით მოამარაგეს. აი, ამის გამო იყო ძირითადად, რომ სპარსელები სამოსელებს არ ენდობოდნენ, მათ ხომ 500 სული ქსერქსესის მტერი გაათავისუფლეს. შემდეგ სპარსელებმა მიკალეს მწვერვალისაკენ მიმავალი გასასვლელების დასაცავად დააყენეს მილეტელები, რადგან მათ ყველაზე უკეთ იცოდნენ ეს მხარე. თან იმიტომ მოიქცნენ ასე, რომ მილეტელები ბანაკს გარეთ ჰყოლოდათ. ამნაირად დაიცვეს თავი სპარსელებმა იმ იონიელებისგან, რომელთა მიმართაც ფიქრობდნენ, რომ რაღაცას ჩაიდენდნენ, თუკი საამისო შესაძლებლობა იქნებოდა. თვითონ კი შეაჯგუფეს თავისი მოწნული ფარები, რომლითაც საცავი გაიკეთეს.

100. სამზადისს რომ მორჩნენ ელინები, ბარბაროსების წინააღმდეგ გაემართნენ. ესენი რომ დაიდრნენ, ამასობაში ხმა გავარდა მთელ ბანაკში და მაცნეს კვერთხი გამოჩნდა ზღვის ნაპირას, ხოლო ხმა, რომელიც გავრცელდა ასეთი იყო: ელინებმა დაამარცხეს მარდონიოსის ლაშქარი ბეოტიაშიო. ღვთის განგების მონაწილეობა ამ საქმეში სრულიად ცხადია. თუნდაც ის, რომ ერთსა და იმავე დღეს მოხდა დამარცხება პლატეაში და უნდა მომხდარიყო მიკალეში, ამის შესახებ ხმამ მიკალეში მყოფ ელინებამდე მაშინვე მიაღწია და ეს სულ იმისათვის, რომ ელინთა ლაშქარი ბევრად უფრო გამხნეებულიყო და უფრო დიდი თავგამოდებით შეხვედროდა საფრთხს.

101. კიდევ ერთი თანხვედრა მოხდა: ორივე ბრძოლა გაიმართა ელევსინის დემეტრს სალოცავთან: პლატეის ბრძოლა ხომ თვით დემეტრეს ტაძართან მოხდა, როგორც უწინაც ვთქვი, ხოლო მიკალეს ბრძოლაც ასევე სალოცავთან უნდა გამართულიყო.

ხმა, რომელიც აქ მოვიდა პავსანიესთან მყოფი ელინების გამარჯვების შესახებ, მართალი იყო, რადგან ბრძოლა პლატეაში გათენების ხანს მოხდა, მიკალეში კი მოსაღამოვეებისას. ხოლო ორივე ეს ბრძოლა რომ ერთსა და იმავე დღს მოხდა და ერთსა და იმავე თვეში, ეს ელინებმა ცოტა ხნის შემდეგ შეიტყვეს დაზუსტებულად. ვიდრე ეს ხმა მიაღწევდა, ისინი ცოტა არ იყოს შეშინებულები იყვნენ არა იმდენად თავისი თავის გამო, რამდენადაც იმ ელინების გამო, რომლებიც ებრზოდნენ მარდონიოსს, მათ ეშინოდათ, რომ ელადა მარდონიოსთან ბრძოლაში არ დამარცხებულიყო, მაგრამ როდესაც ეს ხმა სწრაფად მოედო ბანაკს, ისინი მეტი მონდომებით და უფრო სწრაფად გაემართნენ მტრისაკენ. ელინებიცა და ბარბაროსებიც გამალეებით ეშურებოდნენ ბრძოლას, რადგან წინ ჯილდოდ კუნძულები და ჰელესპონტი ესახებოდათ.

102. ათენელთათვის და მათ გვერდით დარაზმულთათვის, ე.ი. ლაშქრის თითქმის ნახევრისათვის, გზა ზღვის ნაპირას და დაბლობ ადგილას მიდიოდა. ხოლო ლაკედემონელთათვის და მათ მიყოლებით დარაზმული ხალხისათვის - ხეობებსა და გორებზე, ისე რომ, ვიდრე ლაკედემონელები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, ისინი მეორე ფრთაზე უკვე იბრძოდნენ. ვიდრე სპარსელებს თავისი მოწნული ფარები სწორად ეყენათ, მტერს კარგად უმკლავდებოდნენ და სრულებითაც არ იყვნენ ელინებზე უფრო სუსტები ბრძოლაში. მაგრამ როდესაც ათენელებმა და მათ მეზობლად მყოფმა ლაშქარმა მოინდომეს, რომ მათ ეთავათ საქმე და არა ლაკედემონელებს, გადასძახეს ერთმანეთს და უფრო თავგამოდებით შეუტიეს მოწინააღმდეგეს, აი, მაშინ სრულიად შეიცვალა ვითარება. ისინი დაუხვდნენ, კარგა ხნის განმავლობაში იგერიებდნენ, მაგრამ ბოლოს ზღუდის შიგნით შეცვივდნენ. ათენელები, კორინთელები, სიკიონელები და ტროიძენელები (ესენი იყვნენ ერთმანეთის მიყოლებით დარაზმულები) მიჰყვნენ მათ და მათთან ერთად შეცვივდნენ ზღუდის შიგნით. როდესაც ელინებმა ზღუდე აიღეს, ბარბაროსები აღარ იცავდნენ თავს და ყველანი გაიქცნენ, გარდა სპარსელებისა. ესენი პატარა-პატარა ჯგუფებად ებრძოდნენ ელინებს, რომლებიც განუწყვეტლივ შემოდიოდნენ ზღუდის შიგნით. სპარსელთა მხედართმთავართა შორის ორი გაიქცა, ორი კიდევ მოკვდა: არტიანტესი და ითამიტრესი, საზღვაო ფრლოტის მხედართმთავრები, გაიქცნენ, ხოლო მარდონტესი და ქვეითი ჯარის მხედართმთავარი ტიგრანესი ბრძოლაში დაიღუპნენ.

103. სპარსელები ჯერ კიდევ იბრძოდნენ, როდესაც მოვიდნენ ლაკედემონელები და ისინი, ვინც მათთან ერთად იყვნენ და ერთად დაამთვრს, რაც დასამთავრებელი იყო. აქ ელინთაგან ბევრი დაიღუპა. სხვათა შორის დაიღუპნენ სიკიონელები და მათი მხედართმთავარი პერილეოსი, ხოლო რაც შეეხება სამოსელ ჯარისკაცებს, ისინი მიდიელთა ბანაკში იყვნენ და იარაღი ჰქონდათ ჩამორთმეული, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ თავიდანვე გაურკვეველი იყო ბრძოლა, ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, რომ სასარგებლონი ყოფილიყვნენ ელინთათვის. როდესაც სხვა იონიელებმა დაინახეს, თუ რა წამოიწყეს სამოსელებმა, მაშინ თვითონაც გადაუდგნენ სპარსელებს და შეუტიეს ბარბაროსებს.

104. მილეტელები დანიშნეს სპარსელებმა თავისი გადარჩენის გულისათვის გადასასვლელების დამცველად; თუ მათ ის დაემართებოდათ, რაც შეემთხვათ, მილეტელები უნდა ჰყოლოდათ მეგზურებად და ამნაირად გადარჩენილიყვნენ მიკალეს მწვერვალებზე. აი, რა საქმის გამო იყვნენ იქ დაყენებული მილეტელები და

კიდევ იმიტომ, რომ არ ყოფილიყვნენ სპარსელთა ბანაკში და იქ ღალატი რაიმე არ ჩაედინათ. მაგრამ მილეტელებმა იმის სრულად საწინააღმდეგო მოიმოქმედეს, რაც ჰქონდათ დავალებული: გაქცეული სპარსელები სრულიად სხვა გზებით წაიყვანეს, რომლებიც პირდაპირ მტრისკენ მიემართებოდნენ; ბოლოს თვითონაც, მეტისმეტად მტრულად განწყობილებმა, საშინელი ჟლეტა დაუწყეს სპარსელებს.

105. ამრიგად, მეორედ გადაუდგა იონია სპარსელებს. ამ ბრძოლაში ელინთა შორის ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ ათენელები და ათენელთა შორის კი ჰერმოლიკოსი, ვეთოდნოსის ძე, რომელიც ჭიდაობასა და მუშტიკრივში ფალავანი იყო. ამის მერე ამ ჰერმოლიკოსს ის მოუვიდა, რომ ათენელთა და კარისტელებს შორის ამტყდარი ომის დროს იგი კარისტის მხარის კირნოსში დაიღუპა და დამარხულია გერადსტოსში. ათენელთა შემდეგ სიმამაცით თავი კორინთელებმა, ტროიძენელებმა და სიკიონელებმა გამოიჩინეს.

106. მას მერე, რაც ელინებმა ბარბაროსთა დიდი ნაწილს ბოლო მოუდეს, ზოგს ბრძოლისას და ზოგს კიდევ უკან დახევისას, ცეცხლი წაუკიდეს მათ ხომალდებს და მთელ ზღუდეს, მხოლოდ წინასწარ ნადავლი ნაპირზე გამოიტანეს. მათ რამდენიმე საგანძურიც იპოვეს. დაწვეს ამის მერე ზღუდეცა და ხომალდებიც და გაცურეს.

ელინები რომ სამოსზე მივიდნენ, ითათბირეს იონიელთა გასასახლების შესახებ, თუ ამთ მფლობელობაში მყოფ ელადის რომელ ნაწილში უნდა დაასახლონ ისინი, თვითონ იონიას ბარბაროსებს უტოვებდნენ, ელინებს კი თავისთვის შეუძლებლად ეჩვენებოდათ მუდამ იქ მსხდარიყვნენ და იონიელები დაეცვათ. ხოლო თუ თვითონ არ დაიცავდნენ იონიელებს, იმედი არ ჰქონდათ, რომ სპარსელებს ისინი დაუსჯელები გადაურჩებოდნენ. ამასთან დაკავშირებით ძალაუფლების მქონე პელოპონესელებმა თქვეს, რომ აყვარათ სავაჭრო ადგილებიდან ის ელინი ტომები, რომლებიც მიდიის მომხრენი იყვნენ და მიეცათ ეს ადგილები დასასახლებლად იონიელთათვის. მაგრამ ათენელებს სულ არ მოეწონათ არც ის, რომ იონიელები უნდა გადაესახლებინათ და არც ის, რომ პენეპოლესელები ბჭობდნენ მათი ახალშენების შესახებ. იმიტომ ისინი ცხარედ წინააღმდეგნენ ამ აზრს და პელოპონესელებმა დათმეს. ამრიგად, სამოსელები, ქიოსელები, ლესბოსელები და სხვა კუნძულთა მცხოვრებნი, რომლებიც ელინებთან ერთად იბრძოდნენ, ათენელებმა მოკავშირეებად გაიხადეს, მხოლოდ რწმუნება ჩამოართვეს და ფიცი დაადებინეს, რომ ისინი ელინებს არ გადაუდგებოდნენ. ჩამოართვეს მათ ფიცი და გაცურეს ხიდების მოსაშლელად, რადგან ეგონათ, რომ ხიდები ჯერ კიდევ გამართული დახვდებოდათ.

107. ამრიგად, ელინებმა გაცურეს ჰელესპონტისკენ. ის ბარბაროსები, რომლებიც გაიქცნენ და მიაკლეს მწვერვალებთან მოემწყვდნენ, ბევრნი არ ყოფილან და გამოემართნენ სარდესაკენ. როდესაც გზაზე მოდიოდნენ, მასისტესმა, დარიოსის ძემ, რომელიც შეესწრო იმ განსაცდელს, მათ რომ თავს გადახდათ, მხედართმთავარ არტიანტესს ბევრი ცუდი რამ აკადრა და სხვათაშორის ისიც უთხრა, რომ ამისთანა მხედართმთავრობისათვის ის დედაკაცზე უარესია და მეფის სახლისათვის ასეთი ზიანის მიყენების გამო ღირსია ყოველგვარი მძიმე სასჯელისა. სპარსელთათვის „დედაკაცზე უარესის“ წოდება უდიდესი სირცხვილია. არტიანტესმა დიდხანს უსმინა, საშინლად გაბრაზდა და იშიშვლა მახვილი მასისტესის მოსაკლავად. მაგრამ ის რომ თავდასხმად აპირებდა, ეს შენიშნა ქსენაგორესმა, პრექსილეოსის ძემ,

ჰალიკარნესელმა, რომელიც არტაინტესის უკან იდგა. შემოეხვია წელზე, ასწია და დაანარცხა მიწაზე, ამასობაში მასისტესის წინ ჩამოდგნენ მისი შუბოსნები. ამ საქციელით ქსენაგორესმა არა მარტო თვით მასისტესის მადლობა დაიმსახურა, არამედ ქსერქსესიც, რადგან მას ძმა გადაურჩინა. ამ საქმის გამო ქსენაგორესმა მეფისაგან მთელი კილიკიის გამგებლობა მიიღო. სანამ გზაზე მიდიოდნენ, მეტი არაფერი მომხდარა ღირშესანიშნავი, ასე მივიდნენ სარდეში სპარსელები. მოხდა ისე, რომ მეფე ამჯერად სარდეში იმყოფებოდა და აქ იყო იმ დროიდან, როდესაც სპარსელები საზღვაო ბრძოლაში დამარცხდნენ. მაშინ გამოიქცა მეფე ათენიდან და მოვიდა აქ.

108. სარდეში ყოფნის დროს მეფეს შეუყვარდა მასისტესის ცოლი, რომელიც აგრეთვე იქ იმყოფებოდა. თუმცა მიუგზავნა მას კაცი, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაყოლიება. ძალის ხმარება კი არ უნდოდა, რადგან ძმის, მასისტესის ხართრი ჰქონდა (იგივე აკავებდა ქალსაც, რომელმაც კარგად იცოდა რომ ძალით არაფერი შეემთხვეოდა). მაშინ ქსერქსესმა სხვა ყველაფერზე უარი თქვა და მოუწყო თავის საკუთარ შვილს, დარიოსს ასეთი ქორწინება - შერთო მას ამ ქალისა და მასისტესის ასული, რადგან ფიქრობდა, რომ თუ ამას გააკეთებდა, მაშინ უფრო ადვილად დაეუფლებოდა ქალს. დანიშნა ისინი, გააკეთა ყოველივე, რაც წესი არის და წავიდა სუსაში. ხოლო როდესაც მივიდა იქ და მიიყვანა სახლში დარიოსისთვის ქალი, მასისტესის ცოლის მიმართ გაუქრა გრძნობა, სამაგიეროდ შეუყვარდა და დაეუფლა კიდევაც დარიოსის ცოლს, მასისტესის ასულს. ამ ქალს სახელად ერქვა არტაინტე.

109. ხოლო დრო რომ გავიდა, ეს ამბავი გამომჟღავნდა შემდეგნაირად: ამესტრისმა, ქსერქსესის ცოლმა, დიდი, ჭრელი და შესანიშნავი მოსასხამი მოქსოვა და აჩუქა ქსერქსესს, ქსერქსესს ძალიან მოეწონა, წამოისხა და ისე წავიდა არტაინტესთან. არტაინტეთი დიდად კმაყოფილმა უთხრა მას, მომთხოვე, რაც გინდა, იმ ტკბობის სანაცვლოდ, შენ რომ მომანიჭე. ყველაფერი შეგისრულდება, რასაც კი მოითხოვო. რადგან ბოროტება უნდა შემთხვეოდა მასაც და მთელ სახლსაც, ქალმა ამაზე უთხრა ქსერქსესს: „რაც არ უნდა მოგთხოვო, მომცემ?“ და ქსერქსესმა შეჰფიცა, რადგან ყველაფერს წამოიდგენდა იმის გარდა, რაც ქალმა მოითხოვა, ხოლო როდესაც შეჰფიცა, ქალმა სრულიად უშიშრად მოსთხოვა მოსასხამი. ქსერქსესი ყოველ ღონეს ხმარობდა, რადგან არ უნდოდა მიცემა, სხვა რამ მიზეზის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ამესტრისისა ეშინოდა, რომელიც ისედაც ეჭვობდა ამ ამბავს და ამგვარად საბოლოოდ დაიდასტურებდა. ის სთავაზობდა ქალაქს, უამრავ ოქროს, ლაშქარს, რომლის უფროსიც სხვა არავინ იქნებოდა მის მეტი (ლაშქარი ხომ სპარსელთათვის უდიდესი საჩუქარია), მაგრამ ვერაფრით დაიყოლია და ბოლოს მისცა მოსასხამი; ქალი დიდად იყო გახარებული საჩუქრით, ატარებდა მას და თავს იწონებდა.

110. ამესტრისმა შეიტყო რომ არტაინტეს ჰქონდა მისი მოქსოვილი მოსასხამი და როდესაც მიხვდა, თუ რა ხდებოდა, ამ ქალზე კი არ გაბრაზდა, არამედ დედამისი მიიჩნია დამნაშავედ და ეს საქმე მის მოწყობილად და განიზრახა მასისტესის ცოლის დალუპვა. მან მოიცადა, ვიდრე მისი ქმარი, ქსერქსესი სამეფო ნადიმს მოაწყობდა (ხოლო ეს ნადიმი ეწყობოდა ერთხელ წელიწადში, მეფის დაბადების დღეს. ამ ნადიმს სპარსულად ეწოდება „ტიკტა“, ხოლო ელინთა ენაზე - „რულყოფილი“. მხოლოდ ამ დღესაა, რომ მეფე თავზე იცხებს და სპარსელებს საჩუქრებს ურიგებს).

აი, ამ დღეს დაელოდა ამესტრისი და მოსთხოვა ქსერქსესს, ეჩუქებინა მისთვის მასისტესის ცოლი. ქსერქსესს საშინელ და მტრულ საქციელად მიაჩნდა ძმის ცოლის ჩუქება, მით უმეტეს რომ ეს ქალი სრულიად უდანაშაულო იყო ამ საქმეში, თანაც ხვდებოდა, თუ რატომ თხოულობდა მისი ცოლი ამ ქალს.

111. ბოლოს და ბოლოს, რადგან ქალი დაჟინებით ითხოვდა, მეფეს კი კანონი აიძულებდა მთხოვნელი დაეკმაყოფილებინა, მისი გაწბილება არ შეიძლებოდა მაშინ, როდესაც სამეფო ნადიმი იყო, მეფე იძულებით, მაგრამ მაინც დაეთანხმა და მისცა ამესტრისის ქალი, თვითონ მოაყვანინა თავისი ძმა და უთხრა: „მასისტეს, შენ ხარ დარიოსის შვილი და ჩემ ძმა, ამას გარდა შენ თავად ხარ შესანიშნავი ვაჟკაცი. იმ ქალთან, რომელთანაც ახლა ცხოვრობ, ნულარ იცხოვრებ, მის მაგივრად მე შენ ჩემს ასულს მოგცემ, მასთან იცხოვრე. ის, ვინც ახლა გყავს, ნულარ იქნება შენი ცოლი, რადგან მე არ მინდა“. ამ ლაპარაკით განცვიფრებულმა მასისტესმა უთხრა: „მეფეო, ეს რა უკეთურ სიტყვას მეუბნები, როდესაც მიბრძანებ, რომ ცოლი, რომლისგანაც მოზრდილი ვაჟები და ასულები მყავს (მათგან ხომ ერთი შენი საკუთარი ვაჟისთვისაც წაიყვანე ცოლად), ის ქალი, რომელიც ჩემთვის ძალიან სასურველია, მიბრძანებ, გავუშვა, და შენი ასული შევირთო? მეფეო, მე დიდად პატივდებული ვარ იმით, რომ შენი ასულის ღირსაც მხდი, მაგრამ არც ერთს ვიზამ და არც მეორეს, რასაც მთავაზობ. ნურავითარ შემთხვევაში ნუ მაიძულებ, რომ ეს საქმე გავაკეთო. შენი ასულისათვის გამოჩნდება სხვა ვინმე კაცი, არანაკლებ ღირსეული ჩემზე, მე კი დამაცადე, რომ ჩემს ცოლთან ვიცხოვრო“. მან ეს უპასუხა, ხოლო ქსერქსესი განრისხდა და უთხრა: „მასისტეს, აბა მაშინ ასე მოხდება: აღარც ჩემს ასულს მოგცემ ცოლად და აღარც შენ ცოლთან იცხოვრებ, ეს იმისათვის, რომ ისწავლო იმის მიღება, რასაც გიბოძებენ“. მასისტესმა ეს რომ მოისმინა, შემდეგი უთხრა და გარეთ გავიდა: „მეუფეო, ხომ არ დაგიღუპივარ უკვე?“

112. სწორედ იმ დროს, როდესაც ქსერქსესი თავის ძმასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, ამესტრისმა გამოიძახა ქსერქსესის შუბოსნები და მასისტესის ცოლი სასტიკად აწამებინა: ძუძუები დააჭრევინა და ძაღლებისათვის გადააყრევინა, ასევე მოაჭრევინა ცხვირი, ყურები, ტუჩები და ენა და ასე დასახიჩრებული გაგზავნა სახლში.

113. მასისტესს ჯერ არაფერი გაეგო ამის შესახებ, მაგრამ რაღაც ცუდის წინათგრძნობა კი ჰქონდა და სირბილით გაემურა სახლისაკენ. როდესაც თავისი ცოლი ასე დასახიჩრებული დაინახა, მაშინვე მოეთათბირა თავის შვილებს და გაემართა ბაქტრაში თავის ვაჟებთან და ზოგს სხვა პირებთან ერთად, იმისათვის, რომ ბაქტრიის მხარე აეჯანყებინა და მეფისათვის უდიდესი ბოროტება მიეყენებინა. მე მგონია, რომ ეს ასეც იქნებოდა, მას რომ დროზე მიეღწია ბაქტრიებისა და საკვებისათვის, რადგან ის იყო ბაქტრიების მმართველი და მათ ის უყვარდათ. მაგრამ ქსერქსესმა შეიტყო მისი განზრახვა და ლაშქარი დაადევნა, რომელმაც გზაზე ამოხოცა თვითონ მასისტესიც, მისი შვილებიცა და მთელი მისი ლაშქარიც. ასეთი იყო ქსერქსესის სიყვარულისა და მასისტესის სიკვდილის ამბავი.

114. ხოლო რაც შეეხება ელინებს, რომლებიც გამოვიდნენ მიკალედან და მიემართებოდნენ ჰელესპონტისაკენ, ისინი პირველად ლექტონთან შეჩერდნენ, რადგან პირქარი უბერავდა. ხოლო იქიდან მივიდნენ აბიდოსში და ნახეს რომ ის

ხიდები, რომლებიც ეგონათ, კიდევ გაჭიმული დახვდებოდათ, მოშლილი იყო; სწორედ ამ ხიდების გამო იყო, რომ ჰელესპონტში მივიდნენ. პელოპონესელმა, რომელიც ლევტიქიდესთან ერთად იყვნენ, გადაწყვიტეს უკან დაბრუნებულიყვნენ ელადაში, ხოლო ათენელები თავის მხედართმთავარ ქსანთიპოსთან ერთად დარჩნენ და შეეცადნენ ქერსონესი აეღოთ. პელოპონესელები გაბრუნდნენ, ხოლო ათენელები აბიდოსიდან ქერსონესში გადავიდნენ და სესტოსს ალყა შემოარტყეს.

115. ხოლო სესტოსში, რომელიც ყველაზე უკეთ გამაგრებული ქალაქი იყო ამ ადგილებში, თავი მოიყარა ბევრმა ხალხმა, რადგან გაეგოთ რომ ელინები ჰელესპონტში მოვიდნენო; ბევრი სხვა მეზობელი მხარიდან მოვიდა ხალხი და მათ შორის კარდიის ქალაქიდან მოვიდა სპარსელი ოფობამოსი, რომელმაც ხიდებიდან აქ მოზიდა მთელი მოწყობილობა. ეს ქალაქი ეკუთვნოდა ადგილობრივ მცხოვრებ ეოლიელებს, მაგრამ იქ შეგროვდნენ სპარსელები და დიდი რაოდენობით მათი სხვადასხვა მოკავშირეები.

116. ამ მხარეს განაგებდა ქსერქსესის ნაცვალნი არტაქტესი, სპარსელი, საშიშარი და უწმინდური კაცი, ის, რომელმაც ათენის წინააღმდეგ წასული მეფე მოატყუა და ელადაუსში პროტესილეოსის, იფიკლოსის ძის ქონება მიითვისა. ქერსონესის ელადაუსში ხომ პროტესილეოსის საფლავია და მის ირგვლივ სალოცავი, სადაც დიდძალი ქონება იყო, ოქროსი და ვერცხლის ფიალები, სპილენძიანი, ტანსაცმელი და სხვა შეწირულებანი. ყოველივე ეს მეფეს აჩუქებინა არტაქტესმა. მან მზაკვრულად უთხრა ქსერქსესს შემდეგი: „მეუფეო, აქ არის იმ ელინის სახლი, რომელმაც შენს ქვეყანაზე გაილაშქრა, მას ამისათვის მიეზლო სამაგიერო და იგი მოკვდა კიდევაც, მაჩუქე მე ეს სახლი, რათა შეიგნოს ყველამ, რომ შენ ქვეყანაზე არ უნდა ილაშქროს“. ამ სიტყვებით სულ ადვილად დაითანხმა ქსერქსესი და მიაცემინა სახლი, მით უმეტეს, რომ ქსერქსესს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ჰქონდა მას გუნებაში: როდესაც არტაქტესმა თქვა, როტესილეოსმა ილაშქრა მეფის ქვეყნის წინააღმდეგო, იგი შემდეგს გულისხმობდა: სპარსელები ჩვეულებრივ მთელ აზიას თავისად მიიჩნევენ და იმის საკუთრებად, ვინც ამ დროს მათზე მეფობს. როდესაც მიიღო არტაქტესმა ეს საჩუქარი, ქონება ელადაუსიდან სესტოსში გადაიტანა, სალოცავის მიწა სახნავ-სათესად და სამოვრად აქცია, თვითონ კი, როდესაც მივიდა ელადაუსში, სამლოცველოში წვებოდა ქალებთან. ახლა არტაქტესი ალყაშემორტყმული იყო ათენელთა მიერ, მაგრამ იგი არც ალყისათვის იყო მზად და არც ელინთა მისაღებად. ისინი მას სრულიად მოულოდნელად დაესხნენ თავს.

117. როდესაც ალყაშემორტყმულებს გვიანი შემოდგომა დაუდგათ, ათენელები წუხდნენ, რომ ასე შორს იყვნენ თავისი სამშობლოდან და ვერ შეძლეს ციხე-სიმაგრის აღება; ისინი სთხოვდნენ თავის მხედართმთავრებს, უკან წაგვიყვანეთო. მხედართმთავრები კი უარს ეუბნებოდნენ ამაზე მანამ, ვიდრე ქალაქს არ აიღებდნენ, ან კიდევ ათენელთა სახელმწიფო არ გამოიძახებდა. ისე რომ ჯარი ემორჩილებოდა შექმნილ ვითარებას.

118. ხოლო ზღუდის შიგნით მყოფნი უკიდურეს გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვნილი, საწოლების თასმებს ხარშავდნენ და იმას სჭამდნენ. როდესაც აღარც ეს ჰქონდათ, სპარსელები, არტაქტესი და ოფობამოსი ღამით ჩამოვიდნენ და გაიქცნენ, ჩამოვიდნენ ზღუდის უკანა მხარეზე, სადაც მტერი ყველაზე ნაკლები იყო. დღე რომ

დადგა, ქერსონელებმა კომპებიდან ანიშნეს ათენელებს იმის შესახებ, რაც მოხდა და კარიბჭე გაუღეს. ათენელთაგან მეტი წილი გაქცეულებს დაედევნა, დანარჩენებმა კი ქალაქი დაიჭირეს.

119. თრაკიაში გაქცეული ოდობადოსი აფსინთელმა თრაკიელებმა შეიპყრეს და შესწირეს ადგილობრივ ღვთაებას, პლედსტოროსს თავისი წესის მიხედვით, ხოლო ისინი, ვინც მასთან ერთად იყვნენ, სხვაგვარად ამოხოცეს, არტაიქტესი და მისი მხლებლები უფრო გვიან გაიქცნენ და ათენელები მათ ადგოსპოტამოსს მახლობლად დაეწინენ. ისინი დიდხანს იცავდნენ თავს, მერე ზოგი დახოცეს, ზოგი კიდეც ცოცხლად დაიჭირეს. ელინებმა ისინი შებორკილები წაიყვანეს სესტოსში და მათთან ერთად წაიყვანეს შებორკილი არტაიქტესი და მისი შვილი.

120. ქერსონელები ამბობენ, რომ ერთ-ერთ დარაჯს, დამარილებულ თევზს, რომ წვავდა, შემდეგი სასწაული ეჩვენა: დადებული დამარილებული თევზები ხტოდნენ და ისევ ფრთხილებდნენ, როგორც ახლად დაჭერილი თევზები. ირგვლივ შემომდგარი ხალხი გაოცებული იყო, ხოლო არტაიქტესმა, როდესაც დაინახა ეს სასწაული, დაუძახა იმ დარაჯს, რომელიც დამარილებულ თევზს წვავდა და უთხრა: „ძვირფასო ათენელო, ნუ შეგეშინდება ამ სასწაულის. ეგ შენ კი არ გეჩვენა, მე მანიშნა ელაფუსელმა პროტესილეოსმა, რომ თუმცა ის მკვდარია და დაბალზამებული, მაგრამ მაინც აქვს ღმერთთაგან ბოდებული ძალა, რომ უსამართლოს სამაგიერო მიუზღოს. ამიტომ მიინდა ახლა შემდეგი საზღაური დავიწესო: ნაცვლად იმ ქონებისა, რომელიც მე სალოცავიდან წამოვიღე, 100 ტალანტს შევწირავ ღვთაებას, ხოლო თუ ცოცხალი გადავრჩი, ჩემს და ჩემი შვილის მაგივრად 200 ტალანტს გადავუხდი ათენელებს“. ასე დაჰპირდა არტაიქტესი, მაგრამ მხედართმთავარი ქსანთიპოსი ვერ დაიყაბულა, რადგან ელაფუსელები მოითხოვდნენ პროტესილეოსის გამო მისთვის სამაგიეროს მიზღვას (სიკვდილით დასჯას) და თვით მხედართმთავარიც ამავე აზრისა იყო. არტაიქტესი გაიყვანეს იმ სანაპიროზე, სადაც ქსერქსესმა გასადასვლელი გააკეთა (ხოლო სხვები კი ამბობენ, რომ იმ გორაზე, რომელიც ქალაქ მადიტოსის ზემოთაა), მიაჭედეს მაგრად ფიცარზე და ჩამოჰკიდეს, ხოლო შვილი არტაიქტესის თვალწინ ჩაქოლეს.

121. ეს გააკეთეს ელინებმა და გასცურს ელადაში, თან წაიღეს ყოველგვარი ქონება და მათ შორის ხიდების მთელი მოწყობილობა, რომ შეეწირათ თავისი ტამრებისათვის. ამ წლის მანძილზე ამის მეტი აღარაფერი მომხდარა.

122. ამ ჩამოკიდებული არტაიქტესის წინაპარი იყო არტემბარესი, რომელმაც სპარსელებთან ასეთი აზრი გამოთქვა, იმათ კი აიღეს და კიროსს მიუტანეს ამბავი: „რადგან ზევსმა სპარსელებს მიანიჭა, თავკაცობა, ხოლო ადამიანთა შორის კდიევ შენ, კიროს, რომელმაც დაამხე ასტიაგესი, მოდი, რადგან ჩვენი ქვეყანა პატარა და მწირია, გადავინაცვლოთ აქედან და სხვა უკეთესი ქვეყანა დავიჭიროთ. ჩვენს მეზობლად ბევრი ქვეყანაა და მათზე მოშორებითაც კიდეც ბევრი ისეთები, რომელთა შორის ერთიც რომ დავიპყროთ, გაცილებით უფრო შეძლებული გავხდებით, ვიდრე ახლა ვართ. ასეთი მოქცევა შეფერის ხალხს, რომელიც ძლევამოსილია. აბა როდისლა გვექნება ამაზე უკეთესი შესაძლებლობა, ახლა ხომ მთელ ხალხსაც ჩვენ ვმართავთ და მთელ აზიასაც?“ კიროსმა ეს მოისმინა, არ მოეწონა ეს აზრი და უბრძანა სპარსელებს, არ მოქცეულიყვნენ ასე; ეს უთხრა და თანაც აუხსნა, რომ თუ არტემბარესის რჩევის

თანახმად მოიქცეოდნენ, მომზადებულიყვნენ იმისათვის, რომ მმართველები კი აღარ იქნებოდნენ, არამედ თვითონ გახდებოდნენ მართულები. ჩვეულებრივ რბილი ჰავიან ქვეყნებში ხალხი განაზებულია, რადგან ერთსა და იმავე ქვეყანაში ვერ ამოცნდება საოცარი ნაყოფი და ვერ გაიზრდება მამაცი მეომარი ხალხი. სპარსელებმა შეიგნეს ეს და გაბრუნდნენ, მიხვდნენ, რომ მათი აზრი კიროსის აზრზე გაცილებით უფრო სუსტი იყო. მათ შეიგნეს რომ უმჯობესია იცხოვრონ მწირ ქვეყანაში და ის მართონ, ვიდრე თესონ ვაკე-ადგილი და სხვებს დაემონონ.